**დავით ჭითანავა, ბექან ხორავა,
ქეთევან ციმინტია, იოსებ შენგელია**

სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა

(ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი
2021

DAVID CHITANAVA, BEZHAN KHORAVA,
QETEVAN TSIMINTIA, IOSEB SHENGELIA

SAMEGRELO VILLAGE IN ANCIENT TIMES AND NOW

(historical and ethnological study)

Publishing House **"UNIVERSAL"**
Tbilisi
2021

UDC (უაკ) 94(479.222.2-22)+39(=353.32)
ჭ-449

წინამდებარე ნაშრომი ***„სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“ (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)*** წარმოადგენს სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოლოგიურ გამოკვლევას უძველესი დროიდან დღევანდელობის ჩათვლით.

საკვლევ საკითხთა ორიენტირად, როგორც ისტორიული, ისე ეთნოლოგიური თვალსაზრისით, შერჩეულია სამეგრელოს თითოეული მუნიციპალიტეტიდან თითო დიდი სათემო დასახლება თავისი სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით. ესენია: მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის თემი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ჭოღის თემი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემი, აბაშის მუნიციპალიტეტის კეთილარის თემი, სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის თემი, ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბას თემი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კოკის თემი. სამეცნიერო ლიტერატურის, საისტორიო წყაროების, მათ შორის საარქივო მასალების, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის, საბჭოთა პერიოდისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის პერიოდული პრესის და საველე-ეთნოგრაფიული მასალების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პირველად მონოგრაფიულად შესწავლილია სამეგრელოს სოფლის ისტორია, რასაც არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს მნიშვნელოვანი მასალა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძველი და თანამედროვე სამეგრელოს სოფლის კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გაშუქებას.

Samegrelo village in ancient times and now. This work represents historical and ethnological study of Samegrelo from the ancient time up to the present day.

One large communal settlement from each municipality of Samegrelo, according to their specific characteristics, was chosen as a reference point, both from a historical and ethnological point of view, for the issues studied. They are: Khuntsi community of Martvili municipality, Tchogha community of Tchkhorotsku municipality, Jgali community of Tsalenjikha municipality, Ketilari community of Abasha municipality, Khorshi community of Senaki municipality, Torsa-Dghvaba community of Khobi municipality, Koki community of Zugdidi municipality. As a result of research carried out on the basis of the study and critical analysis of scientific literature, historical sources, including archival materials, periodicals of the second half of the XIX - early XX centuries, the Soviet period and the post-Soviet period, as well as field ethnographic materials, the history of the Megrelian village has been studied monographically for the first time, which has not only scientific but also practical significance. We are introducing very important material into scientific circulation, in which special attention is paid to the coverage of the cultural, economic and social development of the old and modern Megrelian village.

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [FR-17-144-„სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“. წიგნში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს (დ. ჭითანავა-სამეცნიერო ხელმძღვანელი, ბ. ხორავა-კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერები: ქ. ციმინტია, ი. შენგელია).

„This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [FR-17-144- Samegrelo village in ancient times and now]. All the ideas expressedherewith are those of the authors, and may not represent the opinion of the Foundation itself (D. Chitanava-Scientific Supervisor, B. Khorava-Coordinator, Yang scientist: Q. Tsimintia, I. Shengelia).

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ბონელი არახამია**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ლავრენტი ჯანიაშვილი**

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი **პაპუნა გაბისონია**
ისტორიის დოქტორი **ნოდარ შოშიტაშვილი**

© დ. ჭითანავა, ბ. ხორავა, ქ. ციმინტია, ი. შენგელია 2021

გამომცემლობა **„უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-993-6

სარჩევი

შესავალი **7**

თავი I. ბიოგეოგრაფიული გარემო და ადამიანის ცხოვრების წესი (უძველესი დროიდან ანტიკური ხანის ჩათვლით) (*დ. ჭითანავა*) **20**

თავი II. სამეგრელო. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (*ბ. ხორავა*) **47**

თავი III. ოდიში შუა საუკუნეებში. ისტორია და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება (*ბ. ხორავა*) **66**

§ 1. ოდიში — საერისთავოდან სამთავრომდე 66
ოდიშის საერისთავო XI-XV საუკუნეებში *66*; სათავადოები *75*; ოდიშის სამთავროს ჩამოყალიბება *78*.

§ 2. ოდიშის სამთავრო XVI-XVIII საუკუნეებში 81
ოდიშის სამთავრო XVI ს. მეორე ნახევარსა და XVII საუკუნეში *81*; ოდიშის სამთავრო XVII ს. მიწურულსა და XVIII საუკუნეში *93*; სოციალური ურთიერთობები *106*; ოდიშის სამთავროს საეკლესიო იერარქია *109*; ადილობრივი მმართველობა *110*; ოდიშის სამთავროს მეურნეობა XVI-XVIII სს. *111*.

თავი IV. სამეგრელო XIX საუკუნეში — XX საუკუნის დასაწყისში (*ბ. ხორავა*) **118**

§ 1. სამეგრელოს სამთავრო 118
სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის დასაწყისში *118*; სამეგრელოს სამთავროს საეკლესიო იერარქია *123*; სამეგრელოს სამთავრო XIX ს. 20-40-იან წლებში *126*; ადგილობრივი მმართველობა *129*; ყირიმის ომი და სამეგრელო *131*; სოციალური ვითარება *132*; გლეხთა ანტიბატონყმური გამოსვლები. სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყება *135*; რუსული მმართველობის შემოღება *139*; გლეხთა ანტიბატონყმური გამოსვლები 60-იან წლებში *140*; ბატონყმობის გაუქმება *141*; სამთავროს გაუქმება *144*; დროებითვალდებულ გლეხთა გამოსვლები *144*; ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა *146*; მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა. გზები *148*; მოსახლეობა *156.*

§ 2. სამეგრელო XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში 158
სამეგრელოს სოფელი XIX-XX სს. მიჯნაზე *158*; სამეგრელოს სოფელი XIX-XX სს. მიჯნაზე ქართული პრესის მიხედვით *167*; სახალხო განათლება *171*; სამედიცინო საქმე *176*; სოციალური ურთიერთობები XX ს. დასაწყისში *176*; პირველი მსოფლიო ომი და სამეგრელოს სოფელი *177*; ეკლესია XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში *179*.

§ 3. სამეგრელოს სოფელი 1918-1921 წლებში 181

თავი V. სამეგრელოს სოფელი 1921-1991 წლებში (*ბ. ხორავა*) **192**

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები *192*; 1924 წლის აგვისტოს აჯანყება *202*; ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა *207*; ადმინისტრაციული დაყოფა და მოსახლეობის 1926 წლის აღწერა *211*; კოლექტიური მეურნეობების შექმნა *211*; საქართველოს სსრ 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა *228*;

ახალი კონსტიტუცია *229*; 30-იანი წლების რეპრესიები *230*; სამეგრელოს სოფელი ომის წინა წლებში *231*; საბჭოთა სკოლა *239*; 1941-1945 წწ. ომი *241*; სამეგრელოს სოფელი 40-80-იან წლებში *246.*

თავი VI. სამეგრელოს სოფელი XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დამდეგს (*ბ. ხორავა*) 290

თავი VII. დასახლების ფორმა და საცხოვრებელი ნაგებობები (*დ. ჭითანავა, ი. შენგელია, ქ. ციმინტია*) 305

§ 1. დასახლების ტოპოგრაფია *(დ. ჭითანავა)* *305*
გაშლილ-გაფანტული დასახლების სიტემის ჩამოყალიბება *305*; მეგრული „ოხორუ“ — კარ-მიდამოს სისტემა *309*; საცხოვრებელი ნაგებობები (ფაცხა, ჯარგვალი, პიტაფიცარა, განის ანუ ბოყვის სახლი, ოდა, ათაბოგი) *311*; ვერტიკალური ზონალობის პანორამა *323*; სოფლის გზები და ინფრასტრუქტურა *326.*

§ 2. დასახლების მორფოლოგია *(დ. ჭითანავა)* *327*
სოფლის თემის მმართველობა, სტატისტიკური აღწერილობის მასალები და დემოგრაფიული მდგომარეობა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე *327*; სათემო (პოლიგენური) დასახლების სტრუქტურა *336*; „სამოხიო“ *347*; პატრონიმია და გვარი *351;* მიგრაციული პროცესები *360.*

§ 3. დასახლების სოციალურ-ეკონომიკური პირობები 371
სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. ზოგადი მიმოხილვა) *(დ. ჭითანავა) 371;* მიწის საკითხი *(დ. ჭითანავა) 380;* ურთიერთდახმარების ფორმები *(დ. ჭითანავა) 388;* კვების კულტურა *(ი. შენგელია) 392*; ხალხური მედიცინა და დაავადებები *(დ. ჭითანავა) 398;* მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის წესები *(ი. შენგელია, ქ. ციმინტია) 402;* ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებები *(ი. შენგელია, ქ. ციმინტია) 409;* ხალხური საკრავები *(ი. შენგელია, ქ. ციმინტია) 411;* ხალხური სპორტის ერთი სახეობისათვის — რკინება (*ი. შენგელია*) *419*; მჭედლობა *(ი. შენგელია, ქ. ციმინტია) 420.*

თავი VIII. რელიგიური რიტუალები და რწმენა-წარმოდგენები (*დ. ჭითანავა, ი. შენგელია, ქ. ციმინტია*) 424

მეგრული „ხვამა-ოხვამე-ოხვამერი-“ს მნიშვნელობისათვის *(დ. ჭითანავა) 424;* ზედაშეს კულტურა *(ი. შენგელია, ქ. ციმინტია) 431;* „ალობის“ რიტუალი *(დ. ჭითანავა) 436*; სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეა „ქვევრსამარხებში“ და ზედაშეს კულტურა *(დ. ჭითანავა) 441;* „მირსობა“ *(დ. ჭითანავა) 446;* „რაკუტიას“ რიტუალი *(დ. ჭითანავა) 452;* მევენახეობა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები *(ი. შენგელია) 4549;* აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები *(ი. შენგელია, ქ. ციმინტია) 457;* ჩვეულებითი სამართალი *(ქ. ციმინტია) 459.*

შემოკლებათა განმარტება 470

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 471

ილუსტრაციები 485

ავტორები 505

შესავალი

საქართველოს თითოეული მხარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდება, რასაც ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, ისტორიული და სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები განაპირობებს. ქვეყნის მეტნაკლებად სრულყოფილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის აუცილებელია მისი თითოეული მხარის შესწავლა, რაც წარმოუდგენელია ამ მხარის თითოეული სოფლის ისტორიის შესწავლის გარეშე. თითოეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს, ყოველ სოფელს, ზოგადისა და საერთოს გვერდით, ისტორიული განვითარების თავისებურებები გააჩნია. ქართულ საისტორიო მეცნიერების ამოცანაა ქვეყნის ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა ამ თავისებურებების შესწავლა, რაც აუცილებელია საქართველოს ისტორიული განვითარების სრულყოფილი მეცნიერული გააზრებისათვის.

2018-2020 წლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა სამეცნიერო თემის „სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“ ფარგლებში. საკვლევ საკითხთა ძირითად ორიენტირად, როგორც ისტორიული, ისე ეთნოლოგიური თვალსაზრისით, სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით, სამეგრელოს თითოეული მუნიციპალიტეტიდან თითო დიდი სათემო დასახლება შეირჩა: აბაშის მუნიციპალიტეტის *კეთილარის თემი*, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის *კოკის თემი*, მარტვილის მუნიციპალიტეტის *ხუნწის თემი*, სენაკის მუნიციპალიტეტის *ხორშის თემი*, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის *ჭოლის თემი*, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის *ჯგალის თემი*, ხობის მუნიციპალიტეტის *თორსა-დღვაბას თემი*.

სოფლების ისტორიის დაწერა მოითხოვს პირველ რიგში საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების, მათ შორის საარქივო მასალების შესწავლას; სოფელში შემორჩენილი საფორტიფიკაციო და საკულტო ძეგლების: ეკლესიები, ციხესიმაგრეები, აგრეთვე ძველი ხიდების, მიკროტოპონიმების აღნუსხვას და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას; ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეკრებას; გასათვალისწინებელია არქეოლოგიური მასალები, და ბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ქართული სოფლის კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გაშუქებას. ამიტომ, თითოეული თემის შესწავლა განხორციელდა ადგილზე საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად, რამაც საშუალება მოგვცა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა ძველი და თანამედროვე ყოფისათვის დამახასიათებელ ცხოვრების წესზე. ამავე დროს, სათემო დასახლებათა მაგალითზე ეთნოლოგიური საკითხების ფართო სპექტრით წარმოჩენამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მხარის შესწავლაში ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას (1890-1986) მიერ დანერგილი საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის უპირატესობასა და მართებულობაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კვლევა გარკვეულწილად ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც მასში მონაწილეობდნენ როგორც ისტორიკოსები, ისე ეთნოლოგები, რამაც საკითხებისადმი კლასიფიცირებული, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი, ასევე კონკრეტული კვლევებისადმი პროფესიონალური და მეცნიერულად გამართული დასკვნების გაკეთებას შეუწყო ხელი. საბოლოოდ, მომზადდა ნაშრომი „სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“.

ნაშრომში სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხები შესწავლილია საისტორიო წყაროების, მათ შორის საარქივო და XIX-XX სს. პრესის მასალების, ასევე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციისას მოპოვებული მასალების, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული წერილობითი და დოკუმენტური წყაროები.

ქართული წერილობითი წყაროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფეოდალური ხანის უდი-

დესი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758) თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.[1] თხზულება წარმოადგენს საქართველოს გაბმულ ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. მასში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ოდიშის (სამეგრელოს) შუა საუკუნეების ისტორიას და ეთნოგრაფიას; პოლიტიკური ისტორიის გვერდით დიდი ადგილი ეთმობა მხარის ბუნებრივი გარემოს აღწერას, ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას.

ვახუშტი ბატონიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ეთნოგრაფიის კვლევაში. მან პირველმა დაახასიათა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, მათ შორის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებები, ტიპი, ჩაცმულობა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, რელიგიური ვითარება, მეურნეობის ფორმები და სხვ. მისი კვლევა-ძიების ერთ-ერთ არსებით ნაწილს გეოგრაფია წარმოადგენდა. თხზულებაში განხილულია ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, მეურნეობა; წარმოდგენილია ოროგრაფია (ქედები, მასივები, ხეობები, ვაკეები); ჰიდროგრაფიული ქსელი — მდინარეები და ტბები; მოცემულია სრულყოფილი კლიმატური დახასიათება. ვახუშტი ბატონიშვილმა საქართველო დაყო მთისა და ბარის ზონებად. ბარის რაიონებს იგი აკუთვნებდა ისეთ ტერიტორიას, სადაც გაბატონებული იყო მევენახეობა-მეხილეობა, ხოლო სადაც მეურნეობის ეს დარგები არ იყო განვითარებული, მთის ზონას მიაკუთვნა. სწავლული ბატონიშვილი განიხილავს მცენარეულ საფარს, მათ ყოფს კულტურულ და ველურ ზონებად. თხზულებაში პირველადაა წარმოდგენილი მცენარეული საფარის კლასიფიკაციის მეცნიერული ცდა და მათი გეოგრაფიული გავრცელება; დაწვრილებით აღწერა საქართველოს ფაუნა ცალკეული მხარეების მიხედვით. გარდა თხზულებისა, საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მისი რუკები, სადაც დაწვრილებით აისახა ჰიდროქსელი, რელიეფი, ჰავა.

ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიის შესასწავლად უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა ნიკო დადიანის (1765-1834) „ქართველთ ცხოვრება“.[2] თხზულების ერთი ნაწილი — უძველესი დროიდან 1740 წლამდე, წინამორბედი ავტორების, საერთოდ „ქართლის ცხოვრების“ ნაშრომთა შემოკლებული გადმოცემაა. უფრო მნიშვნელოვანია ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც 1740-1823 წლების დასავლეთ საქართველოს ისტორიაა გადმოცემული. ავტორი, ოდიშის სამთავროს ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, აღწერილი ამბების თანამედროვე, ზოგჯერ მრავალი მოვლენის თვითმხილველი და უშუალო მონაწილე იყო. ამასთან იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო სახლთან და ხელი მიუწვდებოდა მრავალმხრივ ინფორმაციაზე, რაც მის ნაშრომს უდავოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ჩვენ მიერ გამოყენებული ქართული დოკუმენტური წყაროები, ძირითადად, საეკლესიო და საერო საბუთები, წარწერები და ანდერძ-მინაწერები, ქრონიკებისა და კინკლოსების ცნობები, გამოქვეყნებულია მარი ბროსეს, თედო ჟორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილის, სარგის კაკაბაძის, კონსტანტინე გრიგოლიას, შოთა ბურჯანაძის, ციალა ქირიასა და შოთა სარიას, ისიდორე დოლიძის და სხვათა მიერ.[3] XVIII-XIX სს. ოდიშის ისტორიის შესახებ საბუთების ნაწილი გამოაქვეყნა

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ*, ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973.

[2] **ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება. *ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ*, თბ., 1962.

[3] **M. Brosset**, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et Armenie, execute en 1847-1848, St.P., 1851; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. *შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ*, წ. II, ტფ., 1897; წ. III *გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ*, თბ., 1967; **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, *კრებ. ,,ძველი საქართველო“*, ტ. III, ტფ., 1913-1914; **ე. თაყაიშვილი**, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, *კრებ. ,,დაბრუნება“, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა,* ტ. II, თბ., 1991; საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., ტ. I, 1920; ტ. II, 1909; ტ. III, 1910; **ს. კაკაბაძე**, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ., 1920, წ. II, ტფ., 1921; **კ. გრიგოლია**, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, *ენიმკის მოამბე*, XIII, თბ., 1942; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), *შ. ბურჯანაძის რედაქციით*, თბ., 1959; **ცი. ქირია, შ. სარია**, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1967; ქართული სამართლის ძეგლები. *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ში. დოლიძემ*, თბ., ტ. II, 1965; ტ. III, 1970; ტ. IV, 1972.

კავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ ადოლფ ბერჟეს რედაქციით.[1]

ჩვენთვის საინტერესო ქართული დოკუმენტური წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია საქართველოს ეროვნული არქივისა და აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში. მათი ერთი ნაწილი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად უაღრესად ვრცელ და მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა საეკლესიო ჩანაწერები, მეტრიკული წიგნები.ქრონოლოგიურად ისინი XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან 1917 წლამდე პერიოდს მოიცავს და უაღრესად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სამრევლო სოფელში დაბადების, ნათლობის, ქორწინების, გარდაცვალების შესახებ. საეკლესიო ჩანაწერები გვაწვდის ცნობებს გეოგრაფიული სახელწოდებების, ეკლესიების, ამა თუ იმ სოფელში გავრცელებული გვარების, საკუთარი სახელების, დაავადებების, მოსახლეობის სოციალური კუთვნილებისა და საქმიანობის სფეროს შესახებ: ჩანაწერებში მოხსენიებულია სოფლის მამასახლისები, პოლიციის მოხელეები, მასწავლებლები, სამხედრო სამსახურში გაწვეულები, მღვდლები, მედავითნეები, დიაკვნები.

უაღრესად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და მოსახლეობის აღწერის მასალები. მოსახლეობის აღწერის მასალების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია. მათ შორის აღსანიშნავია: 1886 წელს შედგენილი ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის საოჯახო სიები; 1897 წელს რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მასალები; ამიერკავკასიის მხარის სტატისტიკური ცნობების კრებული; ქუთაისის გუბერნიის დასახლებული პუნქტების ცნობარი; საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალები; სხვადასხვა დროის მოსახლეობის აღწერისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მასალები.[2]

ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ ქართული წყაროების სიმცირეს ნაწილობრივ მაინც ავსებს და მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის უცხოური წერილობითი წყაროები, XVII-XIX სს. უცხოელ მოგზაურთა, კათოლიკე მისიონერთა, საქართველოში სამეცნიერო თუ დაზვერვითი ხასიათის ექსპედიციებისა და სამხედრო-დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთა ცნობები. ეს ცნობები ფრიად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ოდიშის (სამეგრელოს) ბუნების, ისტორიის, მოსახლეობის ყოფისა და კულტურის, მეურნეობის, ზნე-ჩვეულებების შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია თურქი მოგზაურის *ევლია ჩელების*, რუსი ელჩების დიაკ *ფედოტ ელჩინისა* და მღვდელ *პავლე ზახარიევის*, ანტიოქიის პატრიარქის *მაკარიოსის*, ფრანგი კომერსანტისა და მოგზაურის *ჟან შარდენის;* იტალიელი კათოლიკე მისიონერების: დომინიკანელთა ორდენის წევრის *ჯოვანი ჯულიანო და ლუკას;* თეატინელთა ორდენის წევრების — *ჯუზეპე მარია ძამპის*, *არქანჯელო ლამბერტის*, *ჯუზეპე ჯუდიჩეს*, *კრისტოფორო დე კასტელის* და სხვათა ცნობები.[3]

---

[1] Акты собранные Кавказской археографической комиссией под ред. Ад. Берже, Тифлис, т. I (1866), т. II (1868), III (1869), IV (1870), V (1873), VI, ч. II (1875), VII (1878), VIII (1881), IX (1884), X (1885).

[2] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из семейных списков 1886 г. Тифлис, 1893; Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. *Под ред. Н. А. Тройницкого*, LXVI. Кутаисская губерния, [СПб.], 1905; Сборник статистических сведений по Закавказскому краю. *Составлен по постановлению Закавказскаго Статистическаго комитета, состоящим при нем отделом, под редакцией старшего редактора отдела Е. Кондратенко*, ч. 1, Тифлис, 1902; Список населённым местам Кутаисской губернии, Кутаис, 1907; საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნაწ. I. სათემო ჯამები. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო. ტფილისი, 1923; საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003; საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, თბ., 2018; ს.ს.ს.რ. ადმინისტრატიული დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფილისი, 1925; საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა. ს.ს ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამოცემა. ქ. ტფილისი, 1930; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის 1 სექტემბრისათვის, თბ., 1949; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, თბ., 1961; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, თბ., 1966; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის, თბ., 1977; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბ., 1987.

[3] ევლია ჩელების ,,მოგზაურობის წიგნი". *თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ*, ნაკვ. I, თბ., 1971, ნაკვ. II, თბ., 1973; გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. *წიგნი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ*, თბ., 2014; **მაკარი ანტიოქიელი**, ცნობები საქართველოს შესახებ. *არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა*, კრებ. ,,არმაღანი", III, თბ., 1982; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთ-

თურქმა მოგზაურმა, გეოგრაფმა და ისტორიკოსმა ევლია ჩელებიმ (1611-1682) 1640-1641 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე; რუსი ელჩები დიაკი ფედოტ ელჩინი და მღვდელი პავლე ზახარიევი 1639-1640 წლებში იმყოფებოდნენ ოდიშის სამთავროში; ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი საქართველოში 1664-1666 და 1669 წლებში იმყოფებოდა. 1666 წელს მან წალენჯიხის მონასტერში დაასრულა მუშაობა თავის თხზულებაზე; ფრანგი იუველირი და კომერსანტი ჟან შარდენი (1643-1713) საქართველოში 1672-1673 წლებში იმყოფებოდა; იტალიელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა XVII საუკუნის 30-იან წლებში იმყოფებოდა ოდიშის სამთავროში; ჯუზეპე მარია ძამპის, რომელიც 19 წელი ცხოვრობდა ოდიშში, დაწვრილებით აქვს აღწერილი სამეგრელოს ეკლესიების არქიტექტურა, საეკლესიო რელიკვიები, ღვთისმსახურება, რელიგიური წეს-ჩვეულებები, დაცული აქვს ფოლკლორული და საყოფაცხოვრებო მასალა; არქანჯელო ლამბერტი 1633-1649 წწ. ცხოვრობდა ოდიშში. იგი დაწვრილებით აღწერს ოდიშის სამთავროს მაშინდელ ვითარებას, ურთიერთობას მეზობლებთან, ოდიშის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ მდგომარეობას, მეგრელთა ყოფასა და ტრადიციებს; XVII საუკუნის I ნახევრის ოდიშის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა კრისტოფორო დე კასტელის წერილობითი ცნობები და ჩანახატები (ისტორიულ პირთა პორტრეტები, ეკლესია-მონასტრების, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა გრაფიკული სურათები, სურათების მთელი წყება ოდიშის ცხოვრებიდან). მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს ამ სურათების მინაწერებიც. კასტელმა მოგვცა მეგრული კარმიდამოს სურათი, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი; გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ცნობებისა, ძალიან საინტერესოა კათოლიკე მისიონერის ჯუზეპე ჯუდიჩეს ცნობები სამეგრელოში დასახლების ტიპისა და საცხოვრებელი ნაგებობების შესახებ. კათოლიკე მისიონერების ცნობები ძალიან საინტერესოა ოდიშის (სამეგრელოს) სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ.

XVIII-XIX სს. ოდიშის (სამეგრელოს) პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სარწმუნოებრივი მდგომარეობის, მოსახლეობის ყოფის, წეს-ჩვეულებების, ფლორასა და ფაუნას შესახებ მრავალფეროვანი ცნობებია დაცული რუსი მოგზაურის, ბუნებისმეტყველის, 1787 წლიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის *ვასილი ზუევის* (1754-1794); გერმანელი ავტორების, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის *იოჰან ანტონ გიულდენშტედტის* (1745-1781), ბუნებისმეტყველ *ედუარდ აიხვალდის* (1795-1876), გეოგრაფისა და ბუნებისმეტყველის *მორიც ვაგნერის* (1813-1887), ბოტანიკოს *კარლ კოხის* (1809-1879), აგრარული ურთიერთობების მკვლევარის *აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის* (1792-1866); ფინელი ზოოლოგისა და ბოტანიკოსის *ალექსანდრე ნორდმანის* (1803-1866); ფრანგი ავტორების: მოგზაურისა და კომერსანტის, თბილისში საფრანგეთის კონსულის ჟაკ-ფრანსუა გამბას (1763-1833), შვეიცარიელი მოგზაურისა და სიძველეთა მკვლევარის *ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს* (1798-1850), *მარი ბროსეს* (1802-1880), *ალექსანდრე დიუმას*, *ბარონ დე ბაის* (1853-1931), *ჟიულ მურიეს* და სხვათა ჩანაწერებსა *და* თხზულებებში.[1]

სა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. *ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა*, თბ., 1975; დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი და ლუკას ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოზე, წიგნ. **ი. ტაბაღუა**, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ., 1987; **არქანჯელო ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა. *თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, მე-2 გამოცემა, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით*, თბ., 1938; **არქანჯელო ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა. *გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ილია ანთელავამ, იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ,* თბ., 1991; **არქანჯელო ლამბერტი**, წმინდა კოლხეთი. *იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ*, თბ., 2020; **დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი**, წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე. *იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ*, თბ., 1964; **დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი**, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). *იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა*, თბ., 2014; **დონ კრისტოფორო დე კასტელი**, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. *ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ*, თბ., 1976.

[1] Выписка из путешественных записок Василья Зуева из месяцеслова на 1777 года, М., 1823; **ი. კვაშილავა**, სამეგრელოს საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი XVIII საუკუნის II ნახევარში (მოგზაურ ვ. ზუევის ჩანაწერების მიხედვით), „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XIV, თბ., 2012; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. *გერმანული ტექსტი ქარ-*

ორიენტალისტმა და ქართველოლოგმა მარი ბროსემ სამეგრელოში 1848 წელს იმოგზაურა და შეაგროვა დიდძალი მასალა, რომელიც მისი მოგზაურობის ანგარიშებში შევიდა. საინტერესოა მის მიერ აღწერილი XIX საუკუნის 40-იანი წლების სამეგრელო, სამთავროს პოლიტიკური ცენტრი ზუგდიდი, დავით დადიანის სასახლის კარი, ამ მხარის სიძველეები. იგი ამასთანავე აღწერს აღდგომის დღესასწაულს სამეგრელოს მთავრის კარზე, რომელშიც აფხაზი წარჩინებულებიც მონაწილეობდნენ.

გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ (1803-1870) 1858-1859 წლებში იმოგზაურა კავკასიაში. ამ მოგზაურობის დროს, 1858 წლის დამლევს, ის საქართველოში ჩამოვიდა და სამეგრელოს გავლით, 1859 წლის დასაწყისში, სამშობლოში გაემგზავრა. მის მოგონებებში სათანადოდ აისახა სამეგრელოს სოციალური და ეკონომიკური ვითარება; არქეოლოგი და მოგზაური ბარონი დე ბაი 1897-1904 წლებში საქართველოს რამდენჯერმე ეწვია და მრავალი ეთნოგრაფიული ცნობა შემოგვინახა. მის ჩანაწერებთან ერთად მის მიერ გადაღებული ფოტოები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა.

ლიტერატორი და ჟურნალისტი *ჟიულ მურიე* ერთხანს სამეგრელოს ყოფილი მთავრის დავით დადიანის (1846-1853) შვილების აღმზრდელად მუშაობდა; XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის (1862-1881) შვილების ფრანგული ენის მასწავლებელი იყო; 80-იანი წლებიდან თბილისში, საფრანგეთის საკონსულოში, ვიცე-კონსულის მოვალეობას ასრულებდა. მისი წიგნი „სამეგრელო“ მდიდარ და საინტერესო მასალას იძლევა. მასში თანმიმდევრულადაა განხილული ამ მხარის ისტორია, გეოგრაფია, გეოლოგია და მინერალოგია, ფლორა და ფაუნა, ჰიგიენა, ეთნოგრაფია, ენა და ფოლკლორი, განათლება, მუსიკა, მმართველობა, სასამართლო, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, რელიგია, ეკლესიები და მონასტრები. ეს იყო პირველი წიგნი სამეგრელოს შესახებ, სადაც ასე სრულად იყო განხილული ეს საკითხები.

დიდი მნიშვნელობა აქვს რუსი მოხელეებისა და რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციის სამსახურში მყოფი უცხოელების მოგონებებს, ამ მხარეში მოგზაურობის ჩანაწერებს. მათ შორის აღსანიშნავია, 1853-1856 წწ. ეკატერინე დადიანის მდივნისა და მისი შვილების აღმზრდელის, 1857-1861 წლებში სენაკის ოკრუგის უფროსის *კორნელი ბოროზდინის* (1828-1896) მოგონებები. 1862 წელს სამეგრელოში იმოგზაურა არქეოგრაფმა *ადოლფ ბერჟემ* (1828-1886). მისი ჩანაწერები საინტერესო წყაროა ამ მხარის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ. სამეგრელოში ა. ბერჟეს მოგზაურობის შესახებ ნარკვევი 1864 წელს საფრანგეთში, ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში, ფრანგულ ენაზე სრულად დაიბეჭდა, მოგვიანებით კი, 1868 წელს, გაზეთ «Кавказ»-ში შემოკლებული სახით გამოქვეყნდა.[1]

სამეგრელოს შესახებ ცნობები და აღწერილობები იბეჭდებოდა XIX საუკუნისა და XX საუკუნის

თული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962; ტ. II, თბ., 1964; **ჟაკ ფრანსუა გამბა**, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I. *ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა*, თბ., 1987; **ედუარდ აიხვალდი** საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). *გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა*, თბ., 2005; **მორიც ვაგნერი** საქართველოს შესახებ. *გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა*, თბ., 2002; **აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი** საქართველოს შესახებ. XIX საუკუნის პირველი ნახევარი. *გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა*, თბ., 2011; **ო. სპენსერი**, მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ, წიგნ. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. *გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა*, თბ., 1981; **კარლ კოხი**, მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპეზუნტამდე, წიგნ. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. *გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა*, თბ., 1981; **ალექსანდრე დიუმა**, კავკასია. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. *თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა. შესავალი წერილი, რედაქცია და შენიშვნები აკაკი გაწერელიასი*, თბ., 1964; **A. Нордман**, Путешествие по Закавказскому краю. *Введением и примечаниями снабдили Саломе Бахиа-Окруашвили и Бежан Хорава*, Тб., 2020; **Ф. Дюбуа де Монперэ**, Путешествие вокруг Кавказа, т. I. *Перевод с французского Н. А. Данкевич-Пущиной*, Сухуми, 1937; **M. Brosset**, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et Armenie, execute en 1847-1848, St.P., 1851; **მარი ბროსე**, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, *ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა ხათუნა წიკლაურმა*, თბ., 2011; ბარონი დე ბაი საქართველოში. *ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მაღრაძემ*, თბ., 2011; **J. Mourier,** La Mingrelie, Odessa, 1884; **ჟიულ მურიე,** სამეგრელო (ძველი კოლხეთი). *ფრანგულიდან თარგმნა ვლადიმერ ანთელავამ. ორიგინალს შეადარა, შეასწორა და გამოტოვებული ადგილები თარგმნა ანა ჭეიშვილმა. შენიშვნები და საძიებლები დაურთო ბეჟან ხორავამ*, თბ., 2018.

[1] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი, *თარგმნილი თ. სახოკიას მიერ*, ტფ. 1934; **A. Berge**, Voyage en Mingrelie, execute en 1862, *«Revue de l'Algerie et des Colonies»*, Paris, 1864; **А. П. Берже**, Отрывок из путешествия по Мингрелии, газ. «Кавказ», 1868, №25.

დასაწყისის რუსულ და ქართულ პრესაში და სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში. ამ მასალებიდან აღსანიშნავია *რაფიელ ერისთავის*, *დიმიტრი ბაქრაძის*, *გიორგი ჩიჩუას*, *ალექსანდრე ცაგარელის*, *იოსებ ყიფშიძის* და სხვათა პუბლიკაციები.[1]

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე *რაფიელ ერისთავი* (1824-1901) 1857-1867 წწ. ზუგდიდის ოკრუგის უფროსი იყო. გარდა ისტორიული, გეოგრაფიული, ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობებისა, რომელიც მოცემულია მის ჩანაწერებში, იგი სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევების ავტორია; 1859 წელს ქუთაისის გუბერნიაში, მათ შორის სამეგრელოში იმოგზაურა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა *დიმიტრი ბაქრაძემ* (1826-1890), რომელმაც მხარის საინტერესო აღწერა დაგვიტოვა; 1893 წელს ქუთაისის გუბერნიაში, მათ შორის სამეგრელოში, ადგილობრივი მეურნეობის შესწავლის მიზნით მეცნიერმა და მეურნემ *გიორგი ჩიჩუამ* იმოგზაურა; უაღრესად საინტერესოა ფილოლოგისა და ისტორიკოსის *ალექსანდრე ცაგარელის* (1844-1929) სამეგრელოში 1876 წლის სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში; 1911 წელს ამ მხარეში იმოგზაურა ენათმეცნიერმა *იოსებ ყიფშიძემ* (1882-1919), რომელიც მეგრული გრამატიკისა და ლექსიკონისთვის მასალებს აგროვებდა. მათ ცნობების საფუძველზე სამერელოს ისტორიისა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების საკმაოდ რეალური სურათის აღდგენაა შესაძლებელი.

სამეგრელოს სიძველეთა შესწავლას ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო *ექვთიმე თაყაიშვილმა* (1863-1953), რომელმაც 1913 წლის ზაფხულში იმოგზაურა ამ მხარეში და დიდძალი ისტორიული მასალა მოიძია. ამ მოგზაურობისას მას დიდი დახმარება აღმოუჩინა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ოქროპირიძემ). ექვთიმე თაყაიშვილი გაეცნო სამეგრელოს უმთავრეს ეკლესიებსა და მონასტრებს და იქ დაცულ ისტორიულ მასალებს. ექსპედიციის შედეგებს მან თავი მოუყარა ნაშრომში „არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში“, რომელშიც მოცემულია ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და სეკლესიო ნივთების აღწერილობა, განხილულია ეპიგრაფიკული მასალა, ხელნაწერები. ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის ანგარიში მალევე გამოქვეყნდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“. შემდეგ იგივე მასალა ცალკეც გამოქვეყნდა.[2]

სამეგრელოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია მწერლისა და პუბლიცისტის *იონა მეუნარგიას* (1852-1919) ნაშრომი „დავით დადიანი და მისი დრო“, რომელსაც წყაროს მნიშვნელობა აქვს სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდისა და მხარის ეთნოგრაფიის შესასწავლად. მასში საინტერესო ცნობებია ასევე დაცული მეურნეობის, საეკლესიო დღესასწაულების და სხვათა შესახებ.[3] წყაროს მნიშვნელობა აქვს ასევე მიხეილ კოლხიდელის (მიხეილ კანკავა) მონოგრაფიას „გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა“.[4] ნაშრომში ავტორი ფართოდ იყენებს ოფიციალურ მასალებს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებიდან და ზუგდიდის არქივიდან, ასევე მის მიერ ხალხში შეგროვილ ცნობებს. აჯანყებიდან ნაშრომის გამოქვეყნებამდე სულ რაღაც 70 წელი იყო გასული და აჯანყების შესახებ ხალხში საკმაოდ ბევრი ინფორმაცია იყო დაცული. წიგნი უაღრესად ფასეულია აჯანყების ხასიათისა და მსვლელობის შესახებ.

ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიის ცალკეულ საკითხებს ეხებიან თავიანთ ნაშრომებში ივა-

---

[1] **Р. Эристов,** Путевыя заметки по Мингрелии, *«Кавказская старина»*, №3, 1873; **რ. ერისთავი**, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები. *გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თემურ ჯაგოდნიშვილმა*, თბ., 1986; **Д. Бакрадзе**, Очерк Мингрелии, Самурзакани и Абхазии, газ. «Кавказ», 1860, №48, 49; **გ. ჩიჩუა**, მოგზაურობა, გაზ. „ივერია“, 1894 წ. №8, 9, 12, 13, 14, 19; **А. Цагарели**, Сообщение о поездке в Мингрелию, *Известия Кавказского Отделения Русского Географического Общества*, т. V, Тифлис, 1877; **მაკოშვილი-ალექსიძე** [ი. ყიფშიძე], ოდიშსა და სამურზაყანოში (მგზავრის შენიშვნები), I, გაზ. ,,კოლხიდა“, №117, 1911წ. 21 აგვისტო; II, გაზ. ,,კოლხიდა“, №140, 1911წ. 21 სეკტემბერი.

[2] **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, *კრებ. ,,ძველი საქართველო“*, ტ. III, ტფ., 1913-1914; **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. II, ტფ., 1914; **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, წიგნ. **ე. თაყაიშვილი**, თხზულებანი, 4, თბ., 2017.

[3] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო (მასალები), წიგნ. **ი. მეუნარგია**, ქართველი მწერლები, II. *შედგენილი სოლომონ ცაიშვილის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით,* თბ., 1957.

[4] **მ. კოლხიდელი,** გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა (უტუ მიქავა), ტფ., 1926.

ნე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, სარგის კაკაბაძე, აბელ კიკვიძე, დავით გვრიტიშვილი.[1] იმ დროისათვის ცნობილ მასალებზე, ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია მონოგრაფიულად შეისწავლა ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა სერგი მაკალათიამ (1893-1974), რომელიც ნაყოფიერად მუშაობდა ისტორიაში.[45] ნაშრომი ორი ნაკვეთისაგან შედგება: ისტორია და ეთნოგრაფია. მასში სამეგრელოს ისტორია წარმოდგენილია უძველესი დროიდან, განხილულია ასევე ოდიშის საერისთავოსა და სამთავროს ისტორია, ამ უკანასკნელის გაუქმებამდე. ეთნოგრაფიულ ნაწილში წარმოდგენილია მხარის მეურნეობა, შინამრეწველობა და ხელოსნობა, მატერიალური კულტურა, წეს-ჩვეულებები, სარწმუნოება, საკულტო-ადგილები და მათთან დაკავშირებული რიტუალები. ნაშრომში ფიქსირებული ეთნოგრაფიული ფაქტების გამოვლენა დღესდღეობით თითქმის შეუძლებელია, რაც მას დიდ შემეცნებით მნიშვნელობას ანიჭებს და ამავე დროს, ამ კუთხეზე მომუშავე ყველა ეთნოგრაფს მეგზურობას უწევს.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სამეგრელოს ისტორიის, მათ შორის სოციალური ურთიერთობების, საგლეხო რეფორმის, საგლეხო რეფორმამდე და რეფორმისშემდგომი გლეხთა მოძრაობის საკითხები განხილულია შალვა ჩხეტიას, მამია დუმბაძის, ირაკლი ანთელავას, ვიქტორ გუჩუას, ირაკლი ახალაიას, ეთერ ორჯონიკიძის, დიმიტრი ლემონჯავას, შალვა ჯღარკავას, პლატონ ჯიშკარიანის, ილია მელქაძის, ალექსანდრე მიქავას, ილია მირცხულავას, მიხეილ ახობაძის, ვალერიან საბახტარიშვილის, ალექსანდრე ბენდიანიშვილის, ვახტანგ ჯანჯღავას, გივი ჯამბურიას, ვახტანგ გურულის, მანანა სანაძის და სხვათა ნაშრომებში.[2]

ოდიშის პოლიტიკური ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, სათავადოების, დადიანთა სამთავრო სახლის ისტორიის საკითხები განხილულია ილია ანთელავას, გონელი არახამიას, თამაზ ბერაძის, ავთანდილ თორდიას, ოლია სოსელიას, აბესალომ ტუღუშის ნაშრომებში.[3] ოდიშის (სა-

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი**, ქართველი ერის ისტორია, წ. III, წიგნ. **ივ. ჯავახიშვილი**, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982; **ს. კაკაბაძე**, საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. 1500-1810 წწ., ტფ., 1922; **ს. კაკაბაძე**, ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921. თბ., 2003; **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, წიგნ. **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965; **ა. კიკვიძე,** საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), თბ., 1959; **დ. გვრიტიშვილი**, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II (XV-XVII სს.), თბ., 1965.

[45] **ს. მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

[2] **შ. ჩხეტია**, გლეხთა აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* ნაკვ. 1*,* თბ., 1937; **მ. დუმბაძე**, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; **გ. ჯამბურია**, სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს., *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV*,* თბ., 1973; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857 წწ., თბ., 1957; **დ. ლემონჯავა**, ჯვარის საბატონო გლეხების 1865 წლის ამბოხება, *სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები,* ტ. 17-18*,* სოხუმი, 1966; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა რეფორმამდელ საქართველოში (XIX საუკუნის 30-60-იანი წლები), სოხუმი, 1970; **ი. ახალაია**, საგლეხო რეფორმა სამეგრელოში, სოხუმი, 1958; **შ. ჯღარკავა**, სალიპარტიანოს ისტორიიდან, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ,,მაცნე",* №6*,* თბ., 1970; **პლ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის პერიოდში, თბ., 1968; **ვ. საბახტარიშვილი,** გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905-1907 წ.წ. (სენაკისა და ზუგდიდის მაზრები), თბ., 1959; **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905-1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960; **ა. მიქავა**, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალური კატეგორიები (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), *,,მაცნე", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო,* №4*,* თბ., 1966; **ირ. ანთელავა, ვ. გუჩუა,** საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1967; **ე. ორჯონიკიძე**, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. V*,* თბ., 1970; **ი. მირცხულავა**, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში, ნაკვ. I, თბ., 1964; **მ. ახობაძე**, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში, თბ., 1970; **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., 1989, **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ,,მაცნე", ისტორიის ... სერია,* №4*,* 1985; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. I, თბ., 2017, წ. II, თბ., 2018, წ. III, თბ., 2019; **მ. სანაძე**, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1979.

[3]**ილ. ანთელავა,** ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ურთიერთობანი XVII საუკუნის I ნახევარში. *ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად*, თბ., 1974; **ილ. ანთელავა,** ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, *„საისტორიო კრებული",* V*,* თბ., 1976; **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, თბ., 1990; **გ. არახამია,** ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. — XVI ს. I ნახ.), თბ., 2003; **გ. არახამია,** „ბიჭვინტის იადგარი" (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბ., 2009; **თ. ბერაძე**, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან. *ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად*, თბ., 1967; **თ. ბერაძე**, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, *სიგკ,* III, თბ., 1967; **თ. ბერაძე**, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", ისტორიის... სერია,* №3, 1971; **თ. ბერაძე**, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, *სიგკ,* IV, 1971; **თ. ბერაძე**, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, *ჟურნ. ,,ძეგლის მეგობარი",* №21, 1970; **თ. ბერაძე**, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, *სა-*

მეგრელოს) სამთავროს საზღვრების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორიის, „ტყვის სყიდვის“ საკითხები შესწავლილია ზურაბ ცინცაძის, ავთანდილ კილასონიას, ლალი გაბისონიას, ბადრი (კახა) კვარაცხელიას ნაშრომებში.[1] ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ისტორიას საგანგებო ნაშრომები მიუძღვნეს აბესალომ ტულუშმა, თამილა ქადარიამ, ნონა ჟველიამ.[2] უკანასკნელ ხანს ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიის ცალკეული საკითხებს იკვლევენ პაპუნა გაბისონია, გიორგი კალანდია, კახა კვაშილავა, ზაალ ქორთუა, აკაკი ჩიქობავა, ბეჟან ხორავა, ლევან ჯიქია და სხვ.[3]

მკვლევართა ყურადღების სფეროში ადრიდანვე იყო მოქცეული სამეგრელოს ცალკეული რაიონების, გეოგრაფიული სახელების შესწავლის საკითხები. სახელწოდება „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიის, ზუგდიდის ისტორიის შესახებ ფრიად საინტერესოა შოთა მესხიას ნარკვევი. სამეგრელოს რაიონებისა და სოფლების ისტორიის საკითხების შესწავლის თვალსაზრისით აღსანიშნავია მამანტი პაჭკორიას, გივი ელიავას, ევგენი ბართაიას, ბორის ბიგვავას, სპირიდონ კვარაცხელიას, ბორის ხაბურზანიას, ვალერიან ახალაიას, ანზორ სიჭინავას, გოგიტა ჩიტაიას, კონსტანტინე კაჭარავას, პაპუნა გაბისონიას და სხვათა ნაშრომები.[4] სამეგრელოს სოფლის შესახებ ფრიად საინტერესოა კონსტანტინე ლორ-

---

ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ,,მაცნე“, ისტორიის... სერია, №1, 1982; **თ. ბერაძე**, ოდიშის მთავართა ქრონოლოგიური სია, *,,ანალები“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი,* №2, 2000; **Т. Н. Берадзе**, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989; **ო. სოსელია**, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიმომხილველი,* II, თბ., 1966; **ო. სოსელია**, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966; **ო. სოსელია**, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), თბ., II, 1981, III, 1990; **ა. თორდია**, სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ოდიში, *შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული,* №5, თბ., 2012; **ა. ტულუში**, თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველთა და აფხაზთა ბრძოლების ისტორიიდან, *ჟურნ. „რიწა“*, სოხუმი, 1987, №2; **ა. ტულუში**, ჩიქვანთა გამთავრების ისტორიიდან სამეგრელოში, *ჟურნ. „რიწა“,* №1, სოხუმი, 1991; **ა. ტულუში**, ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა, თბ., 1992; **ა. ტულუში**, ცაიშის საეპისკოპოსო, ზუგდიდი, 2001; **ა. ტულუში**, ანაკლიის ისტორია, ზუგდიდი, 1991; **ა. ტულუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, თბ., 2012.

[1] **ზ. ცინცაძე**, სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, VII, თბ., 1989; **ზ. ცინცაძე**, ოდიშის სამთავროს გვიანი შუა საუკუნეების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, *საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები*, VIII, თბ., 2005; **ა. კილასონია**, ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში, თბ., 2006; **ლ. გაბისონია**, სამეგრელო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია, ტ. 1, თბ., 2005; **ბ. კვარაცხელია**, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში, თბ., 2009.

[2] **ა. ტულუში**, სამეგრელოს სამთავროს ისტორია (მოკლე კურსი), ზუგდიდი, 1999, მეორე გამოცემა, ზუგდიდი, 2001; **თ. ქადარია**, სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 2003; **ნ. ჟველია**, ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო XVI-XIX საუკუნეებში, თბ., 2012.

[3] **პ. გაბისონია**, წალენჯიხის მონასტრის ისტორიიდან, *საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები,* ტ. IX, 2008; **გ. კალანდია**, ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბ., 2004; **კ. კვაშილავა**, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა — 1840 წელი, თბ., 2011; **ზ. ქორთუა**, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. ოდიშის სამთავრო XVII საუკუნის პირველ ნახევარში (ურთიერთობა ოსმალეთთან, სპარსეთთან და ევროპასთან), თბ., 2012; **ზ. ქორთუა**, ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შესწავლის ისტორიისათვის: ქორთოძეთა სათავადო, თბ., 2014; **ა. ჩიქობავა**, ოდიშის სამთავროს საუფლისწულოები, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. III, თბ., 2011; **ა. ჩიქობავა**, ერთი საკითხი ოდიშისა და ცხუმის საერისთავოების ისტორიიდან, *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. IV, თბ., 2012; **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996; **ბ. ხორავა**, ჩიქვანთა გადადიანება და ოდიშის სამთავროს ისტორიის ზოგიერთი საკითხი, *ჟურნ. „ცისკარი“*, №7-8, 1996; **ბ. ხორავა**, მასალები დადიანთა სამთავრო სახლის ისტორიიდან (XVIII ს. I ნახევარი), *კრებ. „საისტორიო ძიებანი“*, II, თბ., 1998; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, თბ., 2001; **ბ. ხორავა**, ოდიში. ისტორიის ფურცლები, *აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული*, ტ. 4, ოდიში, თბ., 2015; **ა. კილასონია, ბ. ხორავა**, გლეხთა გადასახლება სამეგრელოდან აფხაზეთში XIX საუკუნის 70-იან წლებში (რამდენიმე ახალ საბუთის მიხედვით), *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია*, ტ. XVI, თბ., 2016; **ლ. ჯიქია**, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. *დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*, თბ., 2012; **ლ. ჯიქია,** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში. ნარკვევი, დოკუმენტები და მასალები, თბ., 2015; **ლ. ჯიქია,** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში. ნარკვევი, დოკუმენტები და მასალები, თბ., 2017.

[4] **შ. მესხია**, ,,ზუგდიდი“ თუ ,,ზუბდიდი“, წიგნ. **შ. მესხია**, საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1986; **მ. პაჭკორია**, ფოთის წარსულიდან, თბ., 1967; **მ. პაჭკორია**, რედუტ-კალე, თბ., 1968; **მ. პაჭკორია**, ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1974; **გ. ელიავა,** მარტვილი, თბ., 1959; **გ. ელიავა**, ჭყონდიდი-მარტვილი, თბ., 1962; **გ. ელიავა**, მხარეთმცოდნის თვალით, თბ., 1978; **ა. მიქავა**, ზუგდიდი, გზამკვლევი, თბ., 1966; **ე. ბართაია,** ადამიანები და საქმეები, თბ., 1963; **ბ. ბიგვავა**, ნარაზენი, თბ., 1976; **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, თბ., 1979; **ს. კვა-**

თქიფანიძის ნარკვევი, გურამ მგელაძის ჩანაწერები და სხვ.[1]

სამეგრელოს ხუროთმოძღვრული ძეგლების — ეკლესია-მონასტრების, თავდაცვითი ნაგებობების, ციხედარბაზების შესწავლაში დიდია ქართველი ხელოვნებათმცოდნეების ვახტანგ ბერიძის, პარმენ ზაქარაიას, ილია ადამიას წვლილი. უკანასნელ ხანს სამეგრელოს ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები საგანგებოდ შეისწავლა დავით ჭითანავამ.[2]

პირველი ქართველი ევროპული განათლების ეთნოლოგი, რომელმაც სამეგრელოს ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხები მეცნიერულ დონეზე შეისწავლა, *თედო სახოკია* (1868-1956) გახლდათ. მის ნაშრომებში („სამეგრელოს მითოლოგიიდან", „ყვავილ-ბატონები სამეგრელოში", „ახალი წელიწადი ანუ კალანდა სამეგრელოში", „წმ. გიორგის კულტი და ღვთის სამართალი", „საქორწილო ჩვეულებანი", „მიცვალებულის კულტი") თავმოყრილი ეთნოგრაფიული მასალა ფასდაუდებელია.[3] ამავე დროს, ამ მასალაზე დაყრდნობით, ავტორის ეთნოლოგიური კვლევა-ძიება დღესაც დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა.

სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1979 წელს გამოცემული კრებული, სადაც თავმოყრილია *გიორგი ჯალაბაძის* (მიწათმოქმედება სამეგრელოში), *თამარ გელაძის* (შრომის ორგანიზაციის ფორმები სამეგრელოში), *მზია მაკალათიას* (მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში), *ცისანა კაკაბაძისა და გიორგი ჯალაბაძის* (მჭედლობა სამეგრელოში), *ციალა ბე ზარაშვილის* (ქალის ჩაცმულობა სამეგრელოში), *მედეა ნადარაიას* (წვიმის პატარა ღვთაებები, ჭინკები და მესეფები სამეგრელოში) წერილები ამ კუთხის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხის შესახებ.[4] სამეგრელოში სოციალურ ურთიერთობათა, სულიერი თუ მატერიალური კულტურის სხვადასხვა საკითხებზე უაღრესად მნიშვნელოვანია *ჯულიეტა რუხაძის, ნინო თოფურიას, გივი ელიავას, გიორგი გეგეჭკორის, ნინო აბაკელიას, ნუგ ზარ ანთელავას* და სხვათა გამოკვლევები.[5] უაღრესად ფასეულია *ნუგ ზარ ანთელავას* ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი კავკასიის ხალხთა მითების, რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების შესახებ,

---

რაცხელია, კურორტი სქური, თბ., 1988; **ბ. ხაბურზანია**, უშაფათის ჩაის ფაბრიკა, თბ., 1984; **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 2002; **გ. ჩიტაია**, ხობის სიძველენი, თბ.-ხობი, 2017; **გ. ჩიტაია**, ხობის მუნიციპალიტეტი, ხობი, 2019; **გ. ჩიტაია**, ფოთისა და ხობის ეპარქია, თბ., 2007; **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს" (ისტორიული ალმანახი), თბ., 2004; **ა. სიჭინავა**, ეკის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, თბ., 2016; **ა. სიჭინავა**, დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, თბ., 2020; **პ. გაბისონია**, ჭკადუაში (ნარკვევი სოფლის ისტორიიდან), თბ., 2008; **პ. გაბისონია**, სამეგრელოს ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან: წალენჯიხის რაიონი, თბ., 2009.

[1] **კ. ლორთქიფანიძე**, ქართული სოფლის ქრონიკები. რა მოხდა აბაშაში, თბ., 1977; **გ. მგელაძე**, ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა (რაიკომის მდივნის ჩანაწერები), თბ., 1982.

[2] **ვ. ბერიძე**, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; **ვ. ბერიძე**, XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; **ვ. ბერიძე**, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ,,მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია*, №2, 1973; **П. П. Закарая**, Древние города и крепости Грузии, Тб., 1982; **პ. ზაქარაია**, ქართული ცენტრალურგუმბათოვანი არქიტექტურა XI-XVIII სს., თბ., 1981; **პ. ზაქარაია**, ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს., თბ., 1990; **პ. ზაქარია, თ. კაპანაძე**, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991; **ა. მიქავა**, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების ისტორიული ძეგლები, *ჟურნ. ,,საბჭოთა ხელოვნება"*, №1, 1964; **ი. ადამია**, ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრება, *ჟურნ. ,,ძეგლის მეგობარი"*, №55, 1980, №57, 1981; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010.

[3] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.

[4] მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1979.

[5] **ჯ. რუხაძე,** ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, *მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის*, XI, თბ., 1960; **ნ. თოფურია,** ქართული მარანი, *კრებ. ,,მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის"*, ტ. VII, თბ., 1955; **ნ. თოფურია**, რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში, *კრებ. ,,ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და კულტურა"*, თბ., 1964; **ნ. თოფურია**, ახალი საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში, *კრებ. ,,საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები"*, თბ., 1968; **ნ. თოფურია**, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984; **გ. ელიავა,** ძველკოლხურ უნიკალურ ვაზის ჯიშთა კატალოგი, თბ., 1984; **გ. ელიავა**, ეთნოგრაფიული სამეგრელო (ალბომი), მარტვილი, 1989; **გ. ელიავა**, სამეგრელო ჩემს თვალსაწიერში, თბ., 1996; **გ. ელიავა**, ალბომი პატრიარქატიდან მომდინარე გვართა (გვარ-სახელთა) ამოსავალი ძირებისა, პატრონიმიის თანმიმდევრობით, სამეგრელოს მასალების შუქზე, ქუთაისი, 1998; **გ. გეგეჭკორი,** დასახლების ფორმა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1997; **გ. გეგეჭკორი**, ფაცხა, *კრებ. ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი"*, I, თბ., 2000; **გ. გეგეჭკორი**, ჯარგვალი, *კრებ. ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი"*, II, თბ., 2000; **გ. გეგეჭკორი**, პიტაფიცარა სახლი, ადრეული ფორმები, *კრებ. ,,ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი"*, III, თბ., 2001; **Н. Абакелия,** Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991; **ნ. აბაკელია**, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; **ნ. აბაკელია,** საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, თბ.-ზუგდიდი, 1999; **ნ. ანთელავა,** ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, თბ., 2005.

სადაც სამეგრელოს მასალას სათანადო ადგილი ეთმობა.[1]

საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან ერთად სამეგრელოს სათანადო ადგილი ეთმობა როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომში „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები", სადაც წარმოჩენილია ამ მხარეებისათვის დამახასიათებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები, სამეურნეო-ეკონომიკური, კულტურული ტრადიციები, წესჩვეულებები.[2] ამ მხრივ აღსანიშნავია ასევე კოლექტიური ნაშრომი „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია", რომელიც როლანდ თოფჩიშვილის რედაქციით გამოვიდა.[3]

სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებებს, გვარებსა და გვართა დასახლებებს ათეული წლებია სწავლობს *პაატა ცხადაია;* მხარის გეოგრაფიული სახელწოდებები შესწავლილია ასევე *გივი ელიავას, იგორ კეკელიას* და სხვათა ნაშრომებში, ხოლო აქ გავრცელებულ გვარსახელებს საგანგებოდ იკვლევს *დავით ჭითანავა.*[4] უკანასნელ ხანს, ამ წიგნის თანაავტორების რამდენიმე ერთობლივი პუბლიკაცია განხორციელდა, მათ შორის იმ საკითხებზე, რომლებიც წინამდებარე წიგნშია განხილული — „ნამლევი" გვარსახელები სამეგრელოში, მიგრაციული პროცესები და სხვ.[5] ზოგადად სახელების ეთნოლოგიასა და ისტორიას, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორიას იკვლევს როლანდ თოფჩიშვილი, რომლის ნაშრომებში სამეგრელოს მასალას სათანადო ადგილი ეთმობა.[6]

1999 წელს ილია ანთელავას რედაქციით გამოვიდა განმაზოგადებელი ნაშრომი „სამეგრელო", რომელშიც შევიდა ამ მხარის არქეოლოგიის, ისტორიის, ეთნოლოგიის, ხუროთმოძვრების, ენათმეცნიერების ნარკვევები.[7] 2015 წელს აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გამოსცა შრომების კრებული, რომელიც მთლიანად ოდიშს მიეძღვნა. კრებულში შევიდა ნარკვევები, რომლებიც შეეხება ოდიშის ისტორიას, ბუნებას, კულტურას, ეპიგრაფიკას, ტოპონიმიას, გვარსახელებს, ხალხურ ხუროთმოძღვრებას, ციხე-სიმაგრეებს, კვების კულტურას, ფლორასა და ფაუნას, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიას, მეურნეობას.[8]

წინამდებარე ნაშრომის შექმნაში უაღრესად მნიშვნელოვანია საველე-ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც ჩვენმა ექსპედიციამ სამეგრელოს სათემო დასახლებებში მოიპოვა. საველე

---

[1] **ნ. ანთელავა**, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბ., 2017.

[2] **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017.

[3] საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, *როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით*, თბ., 2010.

[4] **პ. ცხადაია**, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985; **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I. წალენჯიხის რაიონი, თბ., 2004; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III. ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV. ჩხოროწყუს რაიონი, თბ., 2008; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2009; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012; სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, თბ., 2013; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII. აბაშის რაიონი, თბ., 2013; **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977; **გ. ელიავა, გ. ფარულავა, გრ. შენგელია,** ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983; **გ. ელიავა,** სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1990; **ი. კეკელია**, მარტვილის რაიონის ოიკონიმია, ქუთაისი, 2010; **ი. კეკელია**, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2009; **ი. კეკელია**, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი, 2011; **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, თბ., 2020; **ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიაშვილი, ნ. თავართქილაძე, რ. შენგელია,** გვარსახელები და მოსახლეობის ანთროპოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი, *ჟურნ. „ქრონოსი"*, №1, თბ., 2020.

[5] **ბ. ხორავა, დ. ჭითანავა,** ხუნწის თემის ისტორიიდან, *კრებ. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის*, ტ. 1, თბ., 2019; **დ. ჭითანავა, თ. შური (აშშ), ლ. ბითაძე, ბ. ხორავა, ქ. ციმინტია, ი. შენგელია, ა. იარდუმიანი (აშშ), შ. ლალიშვილი, რ. შენგელია,** „ნამლევი" გვარსახელები სამეგრელოში და მისიკვლევის ძირითადი ასპექტები, *ჟურნ. „ანალები", ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი*, XV, თბ., 2019; **D. Chitanava, T. G. Schurr, L. Bitadze, B. Khorava, Q. Tsimintia, I. Shengelia, A. Yardumian, S. Laliashvili, R. Shengelia,** An Interdisciplinary Analysis of Surname Extinction in Mingrelia (North-West Georgia), *Bulletin of the Georgian National Academy of sciences*, vol. 13, no. 4, 2019; **V. Lordkipanidze**, **B. Khorava, D. Chitanava, Q. Tsimintia,** Migration processes in the Principality of Mingrelia in the First Half of the 19th Century, *Bulletin of the Georgian National Academy of sciences*, vol. 15, no. 1, 2021.

[6] **რ. თოფჩიშვილი**, სახელების ეთნოლოგია და ისტორია, თბ., 2010; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია. *მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა*, თბ., 2021.

[7] სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევი), *ილია ანთელავას საერთო რედაქციით*, თბ.-ზუგდიდი, 1999.

[8] აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული, ტ. 4, ოდიში, თბ., 2015.

სამუშაოს გარეშე, რაც არ უნდა მრავალფეროვან წყაროებს ეყრდნობოდეს მკვლევარი, წარმოუდგენელია როგორც ძველი, ისე განსაკუთრებით თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების სწორად წარმოჩენა, რადგან ადგილზე დანახული ცხოვრების წესი მკვლევარს გაცილებით ობიექტური დასკვნების საშუალებას აძლევს. ეს მასალა საინტერესო უნდა იყოს არა მხოლოდ სამეცნიერო წრეებისთვის და ფართო საზოგადოებისათვის, არამედ ხელისუფლებისათვისაც, რადგან ნათლად დაანახვებს სოფელში არსებულ პრობლემებს, მისი სწორად გადაწყვეტის გზებს და არ დაეყრდნობა მხოლოდ მშრალ სტატისტიკურ მასალას, რაც ზოგჯერ იმის ილუზიას ქმნის, თითქოს ყველაფერი არც ისე ცუდად არის. ამავე დროს, ეთნოგრაფების თვალით დანახული ეს რეალობა ყოველთვის ინარჩუნებს პირველადი მასალის უპირატესობას, რამდენადაც ხალხის წარსული და აწმყო აქ გადმოცემულია მეცნიერული ანალიზით დროსა და სივრცეში და არ ეყრდნობა მშრალ ციფრებს, რომელიც მხოლოდ სტატისტიკის სფეროა.

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით ბევრია გაკეთებული, ეს მხარე ამ თვალსაზრისით კიდევ მოითხოვს შესწავლას. ამასთანავე, სასურველია, ერთ განმაზოგადებელ ნაშრომში აისახოს მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები, როგორც ძველად, ისე დღევანდელ რეალობაში. სწორედ ამის ცდას წარმოადგენს წინამდებარე ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა, სადაც სამეგრელოს სოფლის ყოფისა და კულტურის რეალიები დანახულია თითქმის ყველა მიმართულებით, უძველესი დროიდან დღემდე. ასეთი კვლევები დროის გარკვეული შუალედებით, თაობათა ცვლის პარალელურად უნდა წარმოებდეს და დიდი აუცილებლობაა იმისა, რომ ამ ხასიათის ნაშრომები საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეზე შეიქმნას.

ნაშრომში, სამეგრელოს შვიდი სასოფლო თემის ისტორია და ეთნოგრაფიაა შესწავლილი და ამ მასალის განზოგადების შედეგად ნაჩვენებია სამეგრელოს სოფლის განვითარება შუა საუკუნეებიდან დღემდე. ამასთანავე, სამეგრელოს სოფლის წარსული ნაჩვენებია საქართველოს ისტორიის ფონზე.

მხარის ისტორიის გადმოცემისას აუცილებელია ბიოგეოგრაფიული გარემოს და ადამიანთა ცხოვრების წესის ჩვენება. ეს საკითხი ნაშრომში განხილულია დინამიკაში, უძველესი დროიდან დღემდე, რაც წარმოდგენას გვაძლევს ისტორიული განვითარების უწყვეტ ხაზზე და აქ მცხოვრებ ადამიანთა არსებულ გარემო პირობებთან ადაპტაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბიოგეოგრაფიული გარემოს განხილვისას ნაჩვენებია ძველი ეპოქის ისტორიის განვითარების ხაზი, ამჯერად ყურადღება ვრცლად არ მახვილდება ამ კუთხის მოსახლეობის ეთნოგენეზის საკითხებზე, რამდენადაც თემა ძალზე ვრცელია და საგანგებო კვლევას მოითხოვს.

ნაშრომში სათანადოდ არის შესწავლილი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აქამდე სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფია მთლიანობაში შესწავლილი არ ყოფილა. ნარკვევში დეტალურადაა განხილული სამეგრელოს მდებარეობა, ბუნება, ფლორა და ფაუნა, ბუნებრივი რესურსები, გეოგრაფიული და ისტორიული საზღვრები, ჰიდროგრაფია, ოროგრაფია, ისტორიული განვითარების, დასახლებული პუნქტების ისტორიული გეოგრაფიის, ისტორიული საფორტიფიკაციო ნაგებობების გეოგრაფიის, ისტორიული საეკლესიო გეოგრაფიის, ისტორიული ტოპონიმიის, ისტორიული ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხები.

ტერმინი „სამეგრელო“ საისტორიო წყაროებში XI საუკუნიდან არის დამოწმებული, თუმცა ამ გეოგრაფიულმა სახელწოდებამ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დატვირთვა საქართველოში ვერ შეიძინა. შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ამ მხარის სახელწოდებად ყველგან *ოდიში* გვხვდება, ევროპულ წყაროებში კი — Mingrelia (სამეგრელო). ამიტომაც ნაშრომში სამეგრელოს ისტორია განხილულია XI საუკუნიდან, ტერმინების „სამეგრელოსა“ და „ოდიშის“ პირველი მოხსენიებიდან XVI საუკუნის შუა ხანებამდე, ოდიშის საერისთავოდან ოდიშის სამთავროს ჩამოყალიბებამდე; აქვე, განხილულია ოდიშის სამთავროს ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში, მათ შორის, სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ოდიშის (სამეგრელოს) სოფლები საისტორიო წყაროებში XVI საუკუნიდან იხსენიება. ამდენად, სამეგრელოს სოფლის განვითარება სწორედ ამ დროიდან გვაქვს განხილული.

ნაშრომის ცალკე ნაკვეთში, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სამეგრელოს სოფელი, წარმოდგენილია რუსეთის იმპერიის მფლობელობის პერიოდი. სამეგრელოს სოფლების ამ პერიოდის ისტორიის შესახებ მეტი მასალა არსებობს, რამაც საშუალება მოგვცა მხარის ისტორია სხვადასხვა კუთხით განგვეხილა: პოლიტიკური ისტორია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ეკლესია, კულტურა. ცალკე ნაკვეთები ეთმობა სამეგრელოს სოფლის განვითარების შესწავლას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს; სამეგრელოს სოფლის ისტორიას 1921-1991 წლებში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბჭოთა წარსული ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, მით უმეტეს, მსგავსი კვლევა სამეგრელოზე ჯერ განზოგადებული არ ყოფილა. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სამეგრელოში, მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები, პოლიტიკური რეპრესიები, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა, კოლექტივიზაცია, სსრ კავშირ-გერმანიის 1941-1945 წლების ომი და სამეგრელოს სოფელი, სამეგრელოს სოფელი 40-80-იან წლებში. ცალკე ნაკვეთი ეთმობა სამეგრელოს სოფლის განვითარებას 1991 წლიდან დღემდე — ომისა და სამეურნეო ნგრევიდან დაწყებული 2000-იანი წლების დამდეგის ჩათვლით. აქვე, გარკვეული ადგილი ეთმობა ჩვენთვის საინტერესო თემებიდან გამოსული განათლების, მეცნიერების, კულტურის მუშაკების შესახებ მოკლე ნარკვევს.

წმინდა ეთნოლოგიური თვალსაზრისით, სამეგრელოს დიდ სათემო დასახლებებში — თორსა-დღვაბას, კეთილარის, კოკის, ჭოღის, ხორშის, ხუნწის, ჯგალის თემები, — საველე-ეთნოგრაფიული მასალების, ასევე, წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, შესწავლილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობის ძველი და თანამედროვე ყოფის ამსახველი ეთნოლოგიური კვლევის სხვადასხვა მიმართულებები: დასახლება (დასახლების ტოპოგრაფია, მორფოლოგია და მეურნეობრივი პირობები) და საცხოვრებელი ნაგებობები, ვერტიკალური ზონალობის პანორამა, მიგრაციული პროცესები, ტერიტორიული თემის, „სამოხიოს“, პატრონიმიის და გვარის სტრუქტურის საკითხები, მიწის განაწილების საკითხი, ურთიერთდახმარების ფორმები, ჩვეულებითი სამართალი, ხალხური მედიცინა და დაავადებები, კვების კულტურა, აგრიკულტურა, მევენახეობა, ზედაშე — „ოხვამერი“-ს კულტურა, მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის წესები, ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებები, ხალხური საკრავები, ხალხური სპორტი, სხვადასხვა წარმართული რელიგიური რიტუალი, საოჯახო და სათემო სალოცავები.

ნაშრომში ნაჩვენებია სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსული და თანამედროვეობა ყველა მიმართულებით. სწორედ ასეა შესაძლებელი ნათელი წარმოდგენა შევუქმნათ ამ მხარის შესახებ, როგორც მისი მეცნიერული კვლევით დაინტერესებულ ადამიანებს, ისე ფართო მკითხველ საზოგადოებას. ამ მიზნის მიღწევა არ იყო ადვილი. ასევე, არ იყო ადვილი საკმაოდ ვრცელი და, ამავე დროს, ვერტიკალური ზონალობის სპეციფიკური თავისებურებების მქონე ისეთი მხარის მთლიანობაში ჩვენება, როგორიც სამეგრელოა. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, საქართველოს ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეზე ისეთი გამოკვლევა, რომელიც მთლიანობაში წარმოდგენას შექმნის მისი ისტორიის, ყოფისა და კულტურის, ზოგადად ცხოვრების წესის თითქმის ყველა მხარეზე, მით უმეტეს ძველი და თანამედროვე ყოფის შედარებით, ძნელია დასახელდეს. საკითხის ამ მიმართულებით წარმოჩენის პრეტენზია ამ წიგნს ნამდვილად გააჩნია.

ამდენად, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი სამეგრელოს სოფლის ისტორია, რასაც არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის მნიშვნელოვანი მასალა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამედროვე ქართული სოფლის კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გაშუქებას. ამასთან, ნაშრომში შეეცადეთ თავიდან აგვეცილებინა ლოკალურობა, შესწავლილი სასოფლო თემების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესთან, თითოეული თემი წარ-

მოდგა არა განკერძოებით, არამედ როგორც ქვეყნის განუყოფელი ნაწილი.

რაც შეეხება ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ჩვენ მიერ შესწავლილ თემებში დადგინდა სოფლის მეურნეობის დარგების — მეჩაიეობის, მესიმინდეობის, მეაბრეშუმეობის, სუბტროპიკული მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მეფუტკრეობის, სარძევე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობის განვითარება; ტრადიციული მარცვლეული (ღომი, ფეტვი, ქერი, ჭვავი), და ბოსტნეული კულტურების (ბარდა, მუხუდო, ოსპი, ცერცვი, ცულისპირა), ვაზისა და ხეხილის მთელი რიგი ტრადიციული ჯიშების მოყვანა სულ ახლო წარსულში. კვლევამ გვიჩვენა, რომ სათანადო ხელშეწყობის პირობებში, სავსებით შესაძლებელია სოფლის მეურნეობის დარგების, სახელდობრ: მეჩაიეობის, სუბტროპიკული მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, სარძევე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობის განვითარება; ჩაისა და ხილის გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენა; მთელი რიგი მივიწყებული ტრადიციული მარცვლეული და ბოსტნეული, საზეთებოჭკოვანი (სელი), ეთერზეთოვანი, ტექნიკური (ტუნგი, რამი) კულტურების სამრეწველო გამოყენების აღდგენა, რაც დიდად წაადგებოდა მოსახლეობასაც და ქვეყანასაც.

სამეგრელო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. სავსებით რეალურად გვესახება კირქვების, ბარიტის, ანდეზიტის, დოლომიტის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო მიზნით გამოყენება.

დიდი მნიშვნელობა აქვს სამეგრელოს ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის სათანადოდ გამოყენებას. მხარე მდიდარია მინერალური და თერმული წყლებით. კურორტ სქურში 80-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობდა მინერალური წყლის ჩამოსხმა, რომელიც სსრ კავშირის ბაზარზე გადიოდა; თვით კურორტი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი კერა იყო, რომლის აღორძინება დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოიტანდა. ასევე შეიძლება ითქვას ცაიშისა და მენჯის ბალნეოლოგიური კურორტების, საბავშვო კურორტ მუხურის, კლიმატური კურორტების ლებარდეს, ანაკლიის, განმუხურის აღორძინების შესახებ. მხარეს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. სავსებით შესაძლებელია კულტურული, რელიგიური, რეკრეაციული, სამედიცინო, აგრო (*სასოფლო*), გასტრონომიული, ეკოლოგიური, ექსტრემალური ტურიზმის განვითარება. ბუნების ისეთი ძეგლები, როგორიცაა — ტობავარჩხილის ტბათა ჯგუფი ეგრისის ქედზე, მღვიმეები, მდინარე აბაშის კანიონი, პალიასტომის ტბა და კოლხეთის ეროვნული პარკი; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: მარტვილის, წალენჯიხის, ხობის, ფოთის, ზუგდიდის, ცაიშის, კორცხელის ტაძრები, დადიანების სასახლეები ზუგდიდსა და სალხინოში; ნოქალაქევის კომპლექსი, რუხის, შხეფის, ხეთის, ჯიხასკარის ციხეები; ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები კოლხეთის დაბლობზე, გვინბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქურა-სახელოსნოები, რომლებიც მდ. ოჩხომურის გაყოლებაზე მდებარეობს; ქვის ხანის ძეგლები ურთის, ყალიჩონას, ჯორწყუს მღვიმეებში, — შეიძლება საინტერესო ტურისტულ ობიექტებად იქცეს.

ამდენად, სამეგრელოს სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, რომლის გამოყენება, როგორც მხარის, ისე მთლიანად ქვეყნის განვითარებას დიდად წაადგება.

დაბოლოს, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა ეს კვლევა შეგვესრულებინა; მადლიერება გვინდა გამოვხატოთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც პროექტზე მუშაობის დროს, განსაკუთრებით საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციისას, თანადგომა და დახმარება გაგვიწიეს: ხუნწის თემის რწმუნებულს *ჯამბულ ხუროძეს;* ხორშის თემის რწმუნებულს *სოსო მატახერიას* და ამავე სოფლის მკვიდრს *ანრო კანკავას;* ჭოღის თემის რწმუნებულს *ვახტანგ თოდუას* და ამავე სოფლის მკვიდრთ *ოქრო შენგელიას*, *სლავა ქობალიას* და *ელგუჯა შენგელიას;* თორსა-დღვაბას თემის რწმუნებულს *ედემ იზორიას;* კოკის თემის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგს *შაქრო ნარმანიას;* აბაშის საკრებულოს წევრს სოფელ კეთილარიდან *ბაქარ შელიას*; ჩვენს მეგზურებს *გელა ჭრელაშვილს*, *კობა შეროზიას*, *ბაბუში როგავას* და ყველას, ვინც ჩვენი ექსპედიციის წარმატებაში მცირედი წვლილი მაინც შეიტანა.

თავი I.

ბიოგეოგრაფიული გარემო
და ადამიანის ცხოვრების წესი
(უძველესი დროიდან XIX საუკუნის ჩათვლით)

ბიოგეოგრაფიულ გარემოს, ინდივიდის თუ ადამიანთა ჯგუფის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გამომდინარე აქედან, სანამ ამ მიმართულებით კონკრეტულად ჩვენს მიერ განსახილველი რეგიონის თავისებურებებს და განვითარების ისტორიას წარმოგიდგენთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთი რამის ზოგადთეორიულ ჭრილში დაზუსტება.

ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა შესაძლოა ორი მიმართულებით განვიხილოთ: საზოგადოების ზემოქმედებით ბუნებრივ გარემოზე და ბუნებრივი გარემოს ზემოქმედებით საზოგადოებაზე.[1]

გეოგრაფიული გარემო, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ერთ-ერთი მუდმივი და აუცილებელი წინაპირობაა, ის გავლენას ახდენს მის განვითარებაზე — აჩქარებს ან აფერხებს მის წინსვლას.[2] თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ცხოვრების წესი იცვლება საზოგადოების ცნობიერების ცვლილებასთან ერთად. ადამიანთა ცხოვრების წესი და მათი სოციალურ-კულტურული მახასიათებლები — საზოგადოების არსებობის ობიექტური და სუბიექტური ფორმები ქმნიან ორგანულ ერთიანობას.[3] მაშასადამე, ცხოვრების წესს ცვლის საზოგადოების ცნობიერების ცვლილება, მაგრამ რა ცვლის თვით ცნობიერებას, მასზე პასუხი არ ჩანს. ამ შემთხვევაში გეოგრაფიული გარემო ადამიანის ცხოვრების წესის ცვლილებასთან არ არის კავშირში და ამ მიმართებით გადამწყვეტ ფაქტორად მისი მოაზრება არ იქნება მიზანშეწონილი.

ბიოგარემოს და სოციოგარემოს გ. გამყრელიძე ისტორიული განვითარების ერთობლიობაში განიხილავს და სოციოგარემოს წარმოქმნის ათვლის წერტილს Homo sapiens-ის გაჩენას და მისი ბიოგეოგარემოსთან ურთიერთზემოქმედების ევოლუციას უკავშირებს. მისივე აზრით, ისტორიული პროცესის ახსნისას ჭეშმარიტება ორი ძირითადი ფაქტორის, კერძოდ, ბიოგეოგარემოს და სოციოგარემოს კორელაციური ურთიერთზემოქმედების ახსნაში უნდა ვეძებოთ. ამათგან პირველის გარეშე მეორე ვერ წარმოიქმნება და განვითარდება, ხოლო მეორის გარეშე პირველი მაინც არსებობს.[4] ადამიანის, ინდივიდის ცხოვრება, ძირითადად ბიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციაა. ყველაფერი ის, რასაც ადამიანთა ჯგუფები, საზოგადოება თავისი მოაზროვნე ინტელექტით ქმნის — სოციოგარემოს პროდუქტია.[5]

აქვს თუ არა მხოლოდ გეოგრაფიულ გარემოს ამგვარი მნიშვნელობა და რა დოზით არის დამოკიდებული ადამიანის განვითარება მხოლოდ ხელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოზე, გარკვეულ ეჭვებს აჩენს. საზოგადოების განვითარების ისტორიაზე თვალის გადევნება ამაზე ნათლად მეტყველებს. თუ ჩვენ გეოგრაფიული გარემოს როლს ასე უეჭველ ჭეშმარიტებად დავაყენებთ და მხოლოდ მას მივიჩნევთ პროგრესის, ზნე-ჩვეულებათა, საერთოდ ეთნოსის ცხოვრების წესის და სხვა ყოველივე მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების მთავარ პირობად, მაშინ გამოდის, რომ ჯერ ერთი სხვა ყოველივე საზოგადოებრივ მეცნიერულ კვლევებს ზედაპირულად უნდა შევხედოთ და მეორე მხრივ ეს იმას ნიშნავს, რომ წინ ვერ წავიდეთ ანტიკური და შუა საუ-

---

[1] **Р. М. Кабо,** Природа и человек в их взаимных отношениях как предмет социально-культурной географии// *«Вопросы географии»*, V, М., 1947, გვ. 11.

[2] **Р. М. Кабо,** Природа и человек..., გვ. 18.

[3] **Р. М. Кабо,** Природа и человек..., გვ. 26.

[4] **გ. გამყრელიძე,** ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1993, გვ. 19.

[5] **გ. გამყრელიძე,** ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, გვ. 23.

კუნეების „მეცნიერული“ აზროვნებიდან. ვფიქრობთ, ეს წინააღმდეგობაში იქნება საზოგადოების განვითარების ისტორიის რეალურ შეფასებასთან და შესაბამისად, გეოგრაფიული გარემოს მაღალი როლის ხაზგასმით გატაცებულები ობიექტურ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ.

ადამიანთა ჯგუფების მიერ შექმნილ კულტურულ გარემოს გააჩნია ნიშანთა გარკვეული სისტემა, რომელიც მეტ-ნაკლებად მყარი საფუძვლებით მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი. ეს ნიშნები და მათი ერთობლიობა გარკვეული ოპერატიულობით გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში გადაეცემა საუკუნეთა მანძილზე, რომელიც ყალიბდება ერთი გვარის, ტომის თუ მათი ერთობლიობის შედეგად წარმოქმნილი უფრო დიდი ერთეულის — ეთნოსის შიგნით. გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელი გამორჩეული თვისებები გვაძლევს ამა თუ იმ ჯგუფის თუ ეთნოსის კულტურის ენას — კულტურის სხვადასხვა ნიშანთა ერთობლიობას. თუმცა ამა თუ იმ ხალხს თუ ეთნოსს კულტურის ახალი ნიშნის შექმნაც ძალუძს თავისი სპეციფიკური კულტურული სტილის შენარჩუნებით. ამ შემთხვევაში ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს შესაძლოა საკმაოდ დიდი როლი ეკავოს, მთელი რიგი ყოფითი სიახლეების შექმნასა და განხორციელებაში, თუმცა არა გადმწყვეტი. აქვე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ადამიანის მოღვაწეობა უნდა იქნას დახასიათებული ყოველ კულტურულ ეპოქაში ცალ-ცალკე და კულტურის ნიშნები არ უნდა იქნას დაყვანილი მხოლოდ მატერიალური საგნების დონეზე. ადამიანის მოღვაწეობა უნდა განისაზღვროს გარკვეული ეთნოკულტურული გარემოს, მისი საერთო ინტერესების, სულიერი მისწრაფებების მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ რა აყალიბებს პიროვნებას.

პირველ რიგში საინტერესოა საკითხი, თუ რამ უბიძგა ადამიანს მუდმივი განვითარებისკენ და ტექნოლოგიური ძიებისკენ. მარტო გეოგრაფიულმა გარემომ განაპირობა ამა თუ იმ კულტურის და ცივილიზაციის განვითარება და საწარმოო იარაღების დახვეწა? პირდაპირ ვიტყვით, რომ არა. სავსებით სწორად დაისვა საკითხი, როდესაც აღინიშნა ის, თუ რატომ დადგა უფრო ადრე ბრინჯაოს ხანა, ვიდრე რკინის, რამდენადაც რკინის გამოდნობა და მიღება უფრო ადვილია. სწორედ რომ აქ საქმე გვაქვს ფასეულობით და არა ტექნიკურ მახასიათებლებთან, რამდენადაც ბრინჯაო უფრო ფართოდ გამოიყენებოდა რიტუალურ სფეროში, ანუ რიტუალური სფერო და კულტი უმთავრესი იყო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში, ფაქტიურად ყველა ცხოვრების წესი რელიგიურ-მაგიურ ნიადაგზე ეწყობოდა და ეყრდნობოდა ადამიანის გარეთ არსებულ ზებუნებრივ რწმენას, ყოველივე მასზე იყო დამოკიდებული და შემთხვევით არაფერი ხდებოდა. მაშასადამე, თვით რიტუალმა შექმნა ტექნოლოგია და არა „ტექნოლოგიას სდევდა თან რიტუალური ქმედებები“.[1] ყველა ნივთის პირველშემქმნელ ადამიანს და თვით ამ ნივთს მიაწერდნენ განსაკუთრებულ საკრალურ მნიშვნელობას, რაც თავისთავად იწვევდა ამ ადამიანის გამოყოფას საზოგადოებიდან. გამომდინარე აქედან, კულტურა დიდხანს ინარჩუნებს ერთგვაროვან ხასიათს და სიფრთხილით უყურებს ახალი ელემენტის შესვლას, მაგრამ დროთა განმავლობაში უფრო ძლიერის გავლენით შეუძლებელია არსებული მიღწევების შენარჩეუნება და ამა თუ იმ საზოგადოებას არ ძალუძს ბოლომდე შეინარჩუნოს საკუთარი სტილი, ის იძულებულია ახალი კულტურის მიღწევებიც შემოუშვას თავის წიაღში. მაშასადამე, შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ეს იწვევს ძველის გაქრობას, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ამ შემთხვევაში საზოგადოებას საწყის საკრალურ წესრიგს უბრუნებს რიტუალი, რაც ტრადიციული ცხოვრების წესის შენარჩუნებას, ჩარჩოში ისევ მოქცევას და მის მუდმივ კონტროლს ნიშნავს. ამ ყოველივეს ხაზგასმა დაგვჭირდა იმიტომ, რომ ადამიანის და საზოგადოების ფიზიკურ და სოციალურ განვითარებაში ბიოგეოგრაფიული გარემოს მნიშვნელოვანი როლის მიღმა არსებობს არანაკლებ წამყვანი როლის მატარებელი ელემენტი — კულტურა. შესაბამისად, თუ ადამიანის ბიოლოგიური არსებობისათვის საკმარისია გარკვეული საზოგადო მოთხოვნების დაკმაყოფილება, კოლექტივის ცხოვრება (რა საფეხურზეც არ უნდა იდგეს ეს საზოგადოება) კი შეუძლებელია რამენაირი კულტურის გარეშე. ეს ის მდგომარეობაა, რომელსაც ეპოქათა შესაბამისად წერიგში

---

[1] **А. К. Байбурин,** Семиотические аспекты функционирования вещей// *Этнографическое изучуние знаковых средств культуры*, Л., 1989, გვ. 66-68.

მოჰყავს ყოველივე. ადამიანი იმითაა ადამიანი, რომ მან თავისი სოციალური როლის განვითარება შესძლო. ვფიქრობთ, მართებულადაა შენიშნული, რომ ადამიანი ისტორიულად წარმოიქმნა და არსებობს როგორც სოციალური არსება და ამიტომაც წმინდა ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი ჩვეულებრივ იღებს სოციალურ ფორმას.[1] როგორც ადამიანს, ისე სოციალურ ჯგუფებს და მათ შორის ეთნოსს, „სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის" აუცილებელი კომპონენტები სჭირდება. „სიცოცხლის უზრუნველყოფის" ქვეშ იგულისხმება არა მარტო კვება, ჩაცმა და ა. შ. არამედ, ის, რომ ეთნოსი წარმოადგენს სოციალურ-ბიოლოგიურ არსებას და „სიცოცხლის უზრუნველყოფა" მოითხოვს როგორც ბიოლოგიური ან „ფიზიკური", ისე სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.[2]

ბუნებრივ გარემოზე საზოგადოების ეკოლოგიური ადაპტაცია ხდება მისთვის შესაბამისი სოციალურად ორგანიზებული ტერიტორიის ათვისებით, რომელიც გამოიხატება მისგან წარმოქმნილ დასახლებებში, ამავე დროს ადამიანთა ცხოვრებისათვის აუცილებელი საკვები პროდუქტების და ტანსაცმლის წარმოებაში.[3]თუმცა, ანთროპოგეოცენოზის ბუნებრივი გარემო ყოველთვის არ უზრუნველყოფს მწარმოებლურ კოლექტივს ნედლეულით. ადამიანისათვის სასარგებლო ნედლეულის წარმოების პროცესში წარმოქმნილი მთელი ერთობლიობა შეიძლება აღვნიშნოთ როგორც საწარმოო-სამეურნეო ჯაჭვი, რომელიც არსებობს მოცემული ანთროპოგეოცენოზის შიგნით.[4]

ადამიანების პოპულაციების რეპროდუქციულობაზეც ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს არა აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. ბიოსოციალური ევოლუციის დროს გამომუშავებული კულტურული ადაპტაციის მექანიზმები საშუალებას აძლევს ადამიანებს გარემოს არასასურველ გავლენებს მეტწილად ნეიტრალიზება გაუკეთონ. ამდენად, ადამიანთა საზოგადოებაში დემოგრაფიული პარამეტრების ეთნორეგიონალური დიფერენციაცია განისაზღვრება არა იმდენად ბუნებრივი გარემოს ფაქტორებით, არამედ უმთავრესად ყველა ეთნოსისთვის მისი ათვისების სპეციფიკური მეთოდებით, რაც გამომზეურდება კულტურული ტრადიციების კომპლექსში და სიახლეებში, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო ფონზე იქმნება.[5] ამდენად, ცხოველებისაგან განსხვავებით, ადამიანთა ჯგუფები ბუნებასთან თავის დამოკიდებულებაში, როგორც წესი, აქტიურ გარდამქმნელ ძალად გამოდიან. ადამიანთა პოპულაციები ფლობენ შესაძლებლობებს სხვადასხვა ფორმების ზემოქმედებით გააფართოვონ და შეცვალონ ბინადრობის გარემო. ეს შესაძლებელია, როგორც თავისი საცხოვრებელი არეალიდან მოსაზღვრე ტერიტორიის ათვისებით, ისე ახალი, ადრინდელი საცხოვრისიდან სრულიად დაშორებულ ტერიტორიაზე გადასახლებით, რომელიც საერთოდ განსხვავებულია თავისი ეკოლოგიური მახასიათებლებით.[6] ამდენად, ადამიანთა პოპულაციაში რეპროდუქციის პროცესები არა მარტო თვით გარემო პირობებით, ანუ ბიორესურსების ბუნებრივი დინამიკით განისაზღვრება, არამედ უმეტესწილად გარემოსთან ურთიერთქმედების მეთოდებით, სპეციფიკური მახასიათებლებით და თითოეული პოპულაციის კონკრეტულ პირობებში მისი არსებობის სოციალურ-კულტურული ადაპტაციის „დონით".[7] ადამიანს გარემომცველ ბუნებასთან, რაც არ უნდა ექსტრემალური იყოს ის, ძლიერი ადაპტაციის უნარი გააჩნია. რაც შეეხება არასრულ კულტურულ ადაპტაციას, აქ მნიშვნელობა აქვს ამ ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობას და

---

[1] **В. И. Козлов,** Жизнеобеспечение этноса: содержание понятия и его экологические аспекти, в кн. Этническая экология: теория и практика, М., 1991, გვ. 18.

[2] **В. И. Козлов,** Жизнеобеспечение этноса: содержание понятия и его экологические аспекти, გვ. 16.

[3] Культура жизнеобеспечения и этнос. Опыт этнокультурологического исследования (на материалах армянской сельской культуры), Ереван, 1983, გვ. 36.

[4] **В. П. Алексеев,** Антропогеоценозы - сушность, типология, динамика//*«Природа»,* №7, М., 1975, გვ. 43.

[5] **О. Д. Комарова,** Демографические факторы этнической экологии, в кн. Этническая экология: теория и практика, М., 1991, გვ. 49.

[6] **О. Д. Комарова,** Демографические фактори этнической экологии, გვ. 63.

[7] **О. Д. Комарова,** Демографические фактори этнической экологии, გვ. 64.

ასევე, გარკვეული ჯგუფის მხრიდან ეთნორელიგიურ ტაბუირებულ მიდგომებს.[1] ამდენად, პოპულაციის ადაპტაციის ოპტიმალურ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, რაც ხდება ადამიანთა შემოქმედების შედეგად მომავალი თაობებისათვის საზოგადოების შეუფერხებელი დინამიკის და გარეგანი პირობების შენარჩუნების გზით.[2]

ადამიანის სრულყოფიული არსებობისათვის აუცილებელია ჯანმრთელობა, რომლის განმსაზღვრელი წმინდა სამედიცინო — პრაქტიკული ცოდნის გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი სუბიექტური ელემენტებიც, როგორიც არის ოპტიმიზმის გრძნობა, კეთილდღეობა, სიცოცხლის სიხარული, შემოქმედების სურვილი და სხვა, რის გარეშეც ადამიანის არსებობაც არასრულადაა მისაჩნევი.[3] რაც შეეხება ტრადიციულ მედიცინას, მის ერთ-ერთ უმთავრეს მხარეს წარმოადგენს სანიტარია და ჰიგიენა, რასაც დაავადებათა პროფილაქტიკისთვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უკვე წარმოქმნილი დაავადებების მკურნალობას.[4]შესაბამისად, ეთნოსის მდგრადობის, გამრავლების და სიცოცხლის უზრუნველყოფის საქმეში ამ ელემენტის წინ წამოწევას გადამყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მიწათმოქმედების და საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალი დონის მიღწევისათვის ბუნებრივი გარემოს როლი ზოგჯერ უკუშედეგსაც იძლევა. შენიშნულია, რომ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები სრულაც არ არის ხელსაყრელი აქ დასახლებული ხალხებისათვის თუნდაც იმიტომ, რომ იგი მათ განვითარების ნაკლებ სტიმულს აძლევდა. ამ აზრით, ბევრად უკეთესი იყო უფრო ნაკლებ „გულუხვი“ ბუნება.[5] მაგრამ, მეორე მხრივ, ნაკლებად „გულუხვი“ ბუნების პირობებშიც განვითარების დონე სხვადასხვა ხალხში ერთნაირი ტემპებით და მიმართულებებით არ ხდებოდა. ამ მიდგომას ცალკეულ შემთხვევებში აქვს არსებობის უფლება, თუმცა, განვითარებისთვის სტიმულის მიმცემ მთავარ ფაქტორად ეს მაინც ვერ ჩაითვლება.

ბრიტანელი ისტორიკოსის გორდონ ჩაილდის (1892-1957) თეორია მიწათმოქმედებასთან ერთად ბინადრობაზე მყარად გადასვლის შესახებ, მთლად მართებული არ არის. ბინადარი ცხოვრების წესი ყოველთვის არ ნიშნავდა მწარმოებლური მეურნეობის მქონე, ანუ მიწათმოქმედ საზოგადოებას. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ინდიელებმა, ალეუტებმა და კადიაკის ესკიმოსებმა მაღალგანვითარებული ნადირობის ან მეთევზეობის ხარჯზე შეძლეს ბინადარი ცხოვრების წესი ჰქონოდათ.[6]

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში შენიშნული „ნეოლითური რევოლუცია“ მიწათმოქმედების მეტ-ნაკლებად ერთდროულად ათვისებას და ცხოველთა მოშინაურებას აღნიშნავდა, შემდგომ კი კერამიკის, გაპრიალებული ქვის იარაღების და ცალკეული კულტურების ინდივიდუალური მიღწევების განვითარებას. მწარმოებლური მეურნეობის ფართო განვითარება გულისხმობდა ახალი, ადრე ათვისებული სივრცის მეტ ათვისებას, დასახლების ხაზოვან-მარშრუტული სქემიდან, უფრო ხელსაყრელი ბუნებრივი საზღვრებისკენ მოედნის ირგვლივ ჭადრაკულ-წერტილოვანი დასახლების შექმნას.[7]

ბოლო დროს გავრცელდა მოსაზრება, რომ ნეოლითამდელი ტომები ცხოვრების ნეოლითურ წესზე გადავიდნენ არა სპონტანურად, არამედ რაღაც კრიზისული ვითარების საპასუხოდ.[8]

---

[1] **В. И. Козлов**, Основные проблемы этнической экологии//*«Советская этнография»*, №1, М., 1983, გვ. 3, 11.

[2] **Ю. В. Медведенко,** Среда обитания и экология человека// Человек и среда обитания, Л., 1974, გვ. 151.

[3] **Г. И. Царегородцев,** Социальная обусловленность здоровья человека// *Общество и здоровье человека,* М., 1973, გვ. 10.

[4]**А. А. Воронов,** Традиционная медицинская культура и этническая экология, *в кн. Этническая экология: теория и практика,* М., 1991, გვ. 125.

[5] **გ. ყორანაშვილი,** გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, თბ., 1975, გვ. 67.

[6] **Л. А. Файнберг,** Возникновение и развитие родового строя, в кн. Первобытное общество, М., 1975, გვ. 81.

[7] **С. А. Арутюнов,** Народы и культуры. Развитие и взаимодействие, М., 1989, გვ. 64-65.

[8] **З. Ян Де Лаат,** От начала производства пищи до первых государств: обший обзор, *в кн. История человечества, т. I. Доисторические времена и начала цивилизаций, под ред. З. Я. Лаата,* М., 2003, გვ. 397.

მიწათმოქმედ-მესაქონლეთა ყველაზე უძველესი კერა განვრცობილია დასავლეთ აზიაში ლევანტიდან დასავლეთით ტავრის მთებამდე, ზაგროსის მთიანეთის ჩრდილოეთით სამხრეთ კალთებამდე, სადაც საკვების წარმოება

გეოგრაფიული გარემოს როლისადმი ერთმნიშვნელოვნად დიდი როლის მინიჭების მცდელობა უნდა გასცდეს ადრინდელ აზროვნებას (მაგალითად ძველი ბერძნების) რამდენადაც არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მეზობლად მცხოვრებ ერთი და იმავე გეოგრაფიულ გარემოში მყოფ ჯგუფთაგან ერთნი გადადიან მიწათმოქმედებაზე და მესაქონლეობაზე, ხოლო მეორენი ისევ საკვების ტრადიციული მოპოვების წესით ირჩენენ თავს. მაგალითად, ასეთი ტომები ცხოვრობდნენ ლიბიის სანაპიროზე.[1]

კ. პოლანის თეორიით, პრიმიტიულ და არქაულ საზოგადოებებში ძნელი წარმოსადგენია ისეთი სპეციალური ეკონომიკური ინსტიტუტების არსებობა, რომელიც ეკონომიკური მოტივების ბაზისზე იყო აგებული. ასეთი რამ ან სრულებით არ უნდა არსებულიყო, ან თუ არსებობდა, რაიმე არსებითი როლი მათ არ უნდა ჰქონოდა. ეკონომიკური პროცესი მათში ორგანიზებულია არა ეკონომიკური, არამედ სოციალური ინსტიტუტების შუამავლობით, ანუ ისეთებით, როგორიცაა: ნათესაობა, ქორწინება, ასაკობრივი ჯგუფები, საიდუმლო საზოგადოებები, ტოტემური ასოციაციები და საჯარო დღესასწაულები. შესაბამისად, პრიმიტიულ და არქაულ საზოგადოებებში ადამიანს ამოძრავებს არა ინდივიდუალური ეკონომიკური ინტერესები, არა ის რომ რაიმე პირადი დიდი მატერიალური სარგებელი ნახოს, როგორც ეს კაპიტალიზმის დროს ხდება, არამედ სოციალური მოტივები.[2] მაშასადამე, კითხვაზე, თუ რატომ ყალიბდება ერთ გეოგრაფიულ გარემოში სხვადასხვა ცხოვრების წესი და რატომ აღწევს ზოგიერთი ტომი ნეოლითურ პროგრესს და ზოგი ვერა, ჩვენ შეიძლება ავხსნათ არა მარტო გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედებით, არამედ სოციალურ ურთიერთობათა სფეროში განცდილი პროგრესით, ეს ის წესრიგია, რომელსაც ყველა ტომი ვერ აღწევს, ისევე, როგორც მოგვიანებით ყველა საზოგადოება ვერ ქმნის სახელმწიფოს რაც არ უნდა ხელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოში უწევდეს მას ცხოვრება.

რატომ არის, რომ Homo sapiens-ამდელ სამარხებს ძალიან ცოტას ვპოულობთ და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ დღესაც არ არის დადგენილი უძველესი ადამიანიდან თანამედროვეზე გარდამავალი ტიპის ვინაობა. სამარხების ნაკლებობის მიზეზი კი უნდა ვეძებოთ კულტის არარსებობაში. ანუ ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული წინაპარი, ნათესავი, თავისი ჯგუფის წევრი და შესაბამისად არ არსებობს ადამიანის გამიზნულად დაფლვა. სწორედ ამ სოცილურ-რელიგიური ფორმის დამკვიდრების შემდგომ აღწევს ადამიანი გარკვეულ „პროგრესს საზოგადოებრივი ცხოვრების“ წესში, სწორედ ამ კულტურული ელემენტის გაჩენის შემდეგ გადადის ის ბინადარი ცხოვრების წესზე, ხოლო შემდგომ ამის პარალელურად, მწარმოებლურ მეურნეო-

---

დაახლ. 12 ათასი წლის წინ დაიწყო. აქ აღმოჩნდა შინაური ცხვრის (XI ათასწლეულის დასაწყისი), შინაური თხის (X ათასწლეული) ძვლები. ღორი აღმოჩენილია მოგვიანებით, ხოლო ხარს აშინაურებენ IX ათასწლეულის შუა ხანებში. მცენარეებიდან იმ დროს უკვე კულტივირებული იყო სელი, ზოგიერთი სახის მარცვლეული და პარკოსნები. ნეოლითური ცხოვრების ეს წესი ამ ცენტრიდან გავრცელდა ანატოლიაში, ევროპაში, აფრიკის ხმელთაშუაზღვისპირეთის ზონაში, დასავლეთ და სამხრეთ აზიაში, ინდოეთის სუბკონტინენტზე. მიწათმოქმედების მეორე კერა, შესაძლოა მდებარეობდა ზემო ეგვიპტეში ან სამხრეთ-აღმოსავლეთ საჰარაში, სანამ ამ რეგიონის გაუდაბნოება არ მოხდებოდა. შესაძლებელია ასევე მიწათმოქმედების ორი ძირითადი კერის ჩამოყალიბებაზე ვისაუბროთ ჩინეთში (მდ. ხუანხეს აუზში და მდ. იანძის შუა და ქვედა აუზში, ძვ. წ. VIII ათასწლეული). მიწათმოქმედების დიდი კერები შეიძლება ასევე გამოიყოს სამხრეთ ჩინეთში, ფილიპინებში, ინდონეზიასა და პაპუაში (VIII-VII ათასწლეულები), ამერიკაში — მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში, ანდების რეგიონში 7 ათასი წლის წინ, ხოლო ნამდვილი ნეოლითი აქ დადგა 4,5 ათასი წლის წინ (**З. Ян Де Лаат,** От начала производства пищи до первых государств..., გვ. 396-397). ადრესამიწათმოქმედო კულტურების მიმართ კი ამ სახის თარიღები გვაქვს: კებარას კულტურა — 19 000-14 500 წლის წინ; კებარის გეომეტრიული კულტურა — 14 500-12 750 წლის წინ; ნაფუტიის ადრეული კულტურა — 12 750 წლის წინ; ნაფუტიის გვიანდელი კულტურა — 11 700-11 000 წლის წინ; ჩათალ-ჰუიუკი, ზურგასი, უმ-დაბაგიხი — 9 250-8 250 წლის წინ, ხოლო ადრეული კერამიკული პერიოდი — 10 500-9 250 წლის წინ; ხალაფის, ხასუნის და სამარის კულტურების დასაწყისი — 8 250 წლის წინ; ხალაფის კულტურის დასასრული და უბეიდის კულტურის დასაწყისი — 7 250-7 000 წლის წინ (**Дж. Меллаарт,** Западная Азия в период неолита и халколита (около 12000 - 5000 лет назад), в кн. История человечества, т. I. Доисторические времена и начала цивилизации, გვ. 451).

[1] **З. Ян Де Лаат,** От начала производства пищи до первых государств..., გვ. 397.

[2] Этнологические исследования за рубежом, М., 1973, გვ. 51.

ბაზე. ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა წარმოშობს საცხოვრებლის გამართვის აუცილებლობას და მის შიგნით გარკვეული კოსმიური ცენტრის ჩამოყალიბებას. აქვე ჩნდება მეურნეობის სპეციალიზაციის ნიშნები ჯგუფებს შორის და გვაქვს სოციალური დაყოფის პირველი სურათი (მონადირე, მეთევზე, მიწის მუშა, ხელოსანი, მეთუნეობაში დახელოვნებული ადამიანები და სხვ.).

„ნეოლითური რევოლუცია“ უნდა ვუწოდოთ იმ ცვლილებებს, რომელიც მოხდა ადამიანთა საციალური ორგანიზაციის ფორმებში. წარმოუდგენელია მზარდი პოლიტარხიული, ანუ მმართველი კასტის წარმოქმნის გარეშე საყოველთაო ცვლილებების დაფიქსირება მეურნეობის ფორმებზე. ამის შედეგია შრომის ორგანიზაციის ფორმების წარმოშობა, რის გარეშეც შეუძლებელია მიწათმოქმედების და მესაქონლეობის წარმოქმნა. სხვანაირად წარმოუდგენლად გვეჩვენება დადგეს მიწათმოქმედების რთული პროცესის შემუშავების აუცილებლობა იმდროინდელი მონადირე და მეთევზე საზოგადოებისათვის, რომელიც ისედაც უფრო იოლი და ტრადიციულად მისთვის ათასწლეულებით აპრობირებული ფორმებით კარგად ახერხებს თავის გამოკვებას. ნეოლითურ რევოლუციას აღწევს იმ ტომთა ჯგუფი, სადაც საზოგადოება აღწევს გარკვეულ სოციალურ წესრიგს მმართველობის სისტემაში და კულტში, პირველ რიგში კი მიცვალებულის კულტში, რაც საფლავების პატივისცემაში გამოიხატება და ეს უკანასკნელიც განსაზღვრავს არა მარტო მიწათმოქმედი, არამედ მეთევზე და მონადირე მოსახლეობის ბინადრობის ხარისხს.

საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლის უმთავრეს ფაქტორად წარმოჩენა ნიშნავს ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების დაკნინებას, და არც „პირველყოფილი“ ეპოქის ადამიანი არ უნდა დავიყვანოთ „ჩვილის“ მდგომარეობამდე. აქ მნიშვნელოვანია ცალკეული ჯგუფების ინდივიდუალური თავისებურებების აღმოჩენა მისთვის დამახასიათებელი კულტურული გონით და შემოქმედებით. ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოდ, მეზოლითში უკვე არსებობენ ასეთი ადამიანები და შესაბამისად, მონათესავე ადამიანთა კოლექტივები.

* * *

ყოველივე ამის შემდეგ, ამჯერად ზოგად ჭრილში, მეტწილად არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით გადავხედოთ მთლიანობაში კოლხეთის და კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო სამეგრელოს დღევანდელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორიის განვითარების ისტორიას და ადამიანის ცხოვრების წესს.

დღევანდელი სამეგრელოს რეგიონი, თავისი მთითა და ბარით, ისტორიის დიდ მონაკვეთზე მთლიანად დასავლეთ საქართველოსთან ერთად ერთ კულტურულ არეალს ქმნიდა. საკუთრივ კოლხეთი, ზღვებითა და მთებით კარგად შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი იყო, რაც გეოპოლიტიკურად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნაყოფიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეულის სიუხვე, ფლორის და ფაუნის მრავალფეროვნება საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე, ფრიად თავისებური ისტორიულ-კულტურული, ლოკალური ცივილიზაციის არე ჩამოყალიბდა.[1]

კოლხეთი გახდა მესამეულის ფლორის ძირითადი თავშესაფარი, რომელიც დღემდე ნარჩუნდება.[2]გამყინვარების შემდგომ პერიოდში კოლხეთში წარმოიქმნა ხორბლის სახეობათწარმომქმნელი ცენტრი, რომელიც დღეს უკვე გამქრალი ზანდურის სახეობებს წარმოადგენდნენ.[3] დასავლეთ საქართველოსთვის ასევე ენდემურია მახა. კოლხეთი ასევე წარმოადგენდა რამდენიმე სახეობის სელის პირველად ცენტრს, რომელიც არქეოლოგიურად ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან არის ცნობილი. კოლხეთში სელის ქსოვილი ელინურ ეპოქამდე

---

[1] **გ. გამყრელიძე**, ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, გვ. 41.

[2] **А. А. Колаковский,** Растительный мир Колхиды, М., 1961, გვ. 14.

[3] **П. М. Жуковский,** Культурные растения и их сородичи, Л., 1971, გვ. 58-59.

დიდი ხნით ადრე იყო გავრცელებული. კოლხეთისათვის ასევე ენდემური სახეობებია ცერცვი, ქართული ნუში, წყავი, თხილის რამდენიმე სახეობა, წაბლი და სხვ.[1]

გვიან პლეისტოცენის დასასრულს კავკასიის კლიმატი საკმაოდ მკაცრი იყო. 20 000-14 000 წლის წინ კავკასიაში საგრძნობლად აცივდა.[2] ბოლო გამყინვარების გვიანდელ ფაზაში დასავლეთ საქართველოს ექსტრაგლაციალურ რაიონებში ამ პერიოდში განვითარებული იყო ცივი ტყის სტეპი.[3] ჰოლოცენში, ანუ გამყინვარების შემდგომ პერიოდში, მთელი დედამიწის მასშტაბით კლიმატი ერთნაირად არ შეცვლილა.[4]ყოველ შემთხვევაში, მოცემულ დროს ბუნებრივი პროცესების განვითარებაში შეიძლება გამოიყოს მკვეთრი ცვლილებები: ა) დაახლოებით 12 000 წლის წინ დიდი დათბობის დასაწყისი, რომელმაც გამოიწვია ყინულის იტენსიური დნობა; ბ) 10 500-10 200 წლის წინ საყოველთაო დათბობა და კლიმატის კონტინენტალურობის შერბილება, გ) დაახლ. 9-8 ათასი წლის წინ გამყინვარებათშორისი კლიმატური ოპტიმუმის დასაწყისი.[5] პლეისტოცენიდან ჰოლოცენისაკენ გადასვლას (ძვ. წ. XI-X ათასწლეულებში) და მეზოლითური ელემენტების ჩამოყალიბებას, ადამიანის მორფოლოგიური ევოლუციის დასრულებას და არსებობის პირობების რადიკალურად შეცვლას უკავშირებენ.[6]

გამყინვარების შემდეგ მსოფლიო ოკეანის დონე დაახლოებით 120 მეტრით აიწია და ძვ. წ. IV ათასწლეულში თანამედროვე ნიშნულს მიაღწია. ადრეულ ნეოლითში, რომელიც ქრონოლოგიურად უმაღლესი გამყინვარების ფაზას შეესაბამება, შავი ზღვის შელფი თანამედროვე დონის დაბლა 27-35 მეტრ ნიშნულამდე იყო გაშიშვლებული, სადაც ადამიანის განსახლებისათვის გამოსადეგი პირობები არსებობდა. ძვ. წ. IV ათასწლეულში დამთავრდა თანამედროვე მსოფლიო ოკეანის, მათ შორის შავი ზღვის აუზის სანაპირო ხაზის (წყლის დონის) ფორმირება. ძვ. წ. IV ათასწლეულშივე იწყება და ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე გრძელდება მცირე ზღვური რეგრესია. ამ დროს გლობალურ ცვლილებასთან დაკავშირებით წყლის დონემ მსოფლიო ოკეანეზე დაბლა დაიწია. მაგალითად, ქობულეთის სანაპირო ხაზი იმ დროს გადიოდა თანამედროვე ხაზის აღმოსავლეთით 1-1,5 კილომეტრზე, ხოლო ისპანის ტორფნარი წარმოადგენდა ზღვის თავთხელს, რომელსაც შლამით კვებავდა მდ. ჩოლოქი, ოჩხამური, შავღელე და სხვ. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში იწყება საერთო დათბობა და ტრანსგრესიული მოვლენების განვითარება, რაც ძვ. წ. XVII-XVI საუკუნეებამდე გრძელდება. ეს პერიოდი ახალშავზღვური ტრანსგრესიის სახელითაა ცნობილი[7], რომლის შედეგად გამოწვეულმა ცვლილებამ აიძულა ადამიანი ძვ. წ. XXVII-XVII სს. დაეტოვებინა კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლი და მაღლობებისაკენ გადაენაცვლა. ზღვური რეგრესია, ძვ. წ. II საუკუნემდე გრძელდებოდა, თუმცა მანამდეც დროდადრო ხდებოდა წყლის დონის შუალედური აწევა და ტერიტორიის დაჭაობება, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში.[8]

კოლხეთის დაბლობზე ზღვის სანაპირო ხაზი ამჟამინდელთან შედარებით უფრო აღმოსავლეთით გადიოდა: მდინარეთაშორის უბნებზე 6 კმ-ის, ხოლო მდინარეთა შესართავების ხაზზე 8-10 კმ-ით. მაშასადამე, უკანასკნელი 5000-6000 წლის მანზილზე ზღვამ ჰოლოცენში უკან დაიხია

---

[1] **П. М. Жуковский,** Культурные растения и их сородичи, გვ. 33-34.

[2]**Н. В. Думитрашко,** Проблемы палеографических реконструкций позднее плейстоценового горного оледенения (на примере горной зоны юга СССР), *в кн. Развитие природы террытории СССР в позднем плейстоцене и голоцене*, М., 1982, გვ. 42.

[3] **Г. М. Майсурадзе,** Свидетельства двух фаз позднее плейстоценового оледенения на Кавказе, *в кн. Развитие природы террытории СССР в позднем плейстоцене и голоцене*, М., 1982, გვ. 47.

[4] **А. С. Монин, Ю. А. Шишков**, История климата, Л., 1979, გვ. 321; **Г. Г. Лем**, Изменение климата за исторический период, *в кн. Изменение климата*, Л., 1980, გვ. 105.

[5] **М. П. Долуханов,** Мезолит: экологический подход// *Краткие сообшения Института археологии*, вып. 149, М., 1977, გვ. 13.

[6] **Н. М. Ермолова,** Формирование Мезолитической культуры в связи с природной обстановкой// *Краткие сообщения Института археологии*, вып. 149, М., 1977, გვ. 17-18.

[7] **დ. ხახუტაიშვილი**, ქობულეთის ქვეყანა ნეოლითიდან ადრეკლასობრივი ქალაქების წარმოქმნამდე, I. ბათუმი, 1995, გვ. 10-11.

[8] **დ. ხახუტაიშვილი,** ქობულეთის ქვეყანა..., გვ. 13.

საშუალოდ 6-დან 10 კმ-მდე. სწორედ ამ დროს იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები მდინარების მიერ ჩამოტანილი მკვრივი ნაწილაკების შესართავის ზონაში აკუმულირებისათვის.[1]

ამდენად, კოლხეთის დაბლობის რელიეფი ძველად დაჭაობებული იყო (ნაწილობრივ ახლაც ასეა) და მისი ზედაპირი ეპოქალურად განსაკუთრებულ ცვლილებებს განიცდიდა. ასეთ პირობებში თავისებური ფორმის დასახლების სისტემის შექმნა იყო საჭირო და ეს მოახერხეს კიდეც აქ მცხოვრებმა ადამიანებმა უდიდესი შრომის შედეგად. იმდროინდელი დასახლების სისტემა სრულიად განსხვავდებოდა არა მარტო დღეს ამ რეგიონში არსებული დასახლებისაგან, რომელიც გაშლილ-გაფანტული ფორმით და კარ-მიდამოს სისტემით არის წარმოდგენილი, არამედ მსგავსი რამ დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე მსოფლიოს არც ერთი ხალხისათვის არ არის დამახასიათებელი და შეიძლება საკუთრივ კოლხურად ჩაითვალოს. ეს გახლავთ ე. წ. ხელოვნური „დიხა-გუძუბების“ შუა ჭაობში მოწყობის წესი, რომელიც უდიდესი ადამიანური შრომის მობილიზაციას მოითხოვდა და განვითარების ძალიან მაღალ საფეხურზე მყოფ საზოგადოებას უნდა შეექმნა.

კოლხეთის დაბლობში უამრავი ამობურცული, როგორც მას ზოგიერთი ავტორი უწოდებს, ყორღანული ფორმის სამოსახლოა ფიქსირებული (600-ზე მეტი) მდ. რიონის, ენგურის და ჭოროხის გაყოლებებზე. ზოგიერთი მათგანი გვხვდება ჯგუფურად, ზოგი კი ინდივიდუალურად.[2]

გეოგრაფიულად, სამეგრელოს ვაკეს უჭირავს სივრცე სამეგრელოს მაღალმთიან ნაწილსა და კოლხეთის დაბლობს შორის. დასავლეთიდან იგი გრძელდება მდ. ენგურის აუზში და უკავშირდება აფხაზეთის ბორცვიან მხარეს, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით მდ. ცხენისწყლის აუზისკენ ვრცელდება. სამეგრელოს ვაკე ხასიათდება გორაკ-ბორცვიანი რელიეფით, სადაც მდინარეთა ხეობების გაყოლებით მდებარე დაბლობში მორიგეობენ ხეობათა შორის მდებარე გასწვრივ წყალგამყოფებთან, რომელთა შედარებითი სიმაღლე 70-100 მ-ს არ აღემატება. ვაკეს სამხრეთიდან ეკვრის ურთა-ეკის მთების ზოლი, რომელიც სამეგრელოს ვაკესა და კოლხეთის დაბლობს შორის საზღვარს წარმოადგენს. ურთა-ეკის მთები მათ ჩრდილოეთით მდებარე ვაკეს აღემატებიან სიმაღლით. სამეგრელოს ვაკე წარმოადგენს ბოცვიანი, ტალღობრივი რელიეფის მქონე სივრცეს, რომელიც ოდნავაა დახრილი; დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით, მას სამ მხარეზე — ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან აკრავს უფრო მაღალი რელიეფის მქონე ზონები, ხოლო დასავლეთიდან კი გაშლილი და დაბალია, ამიტომ საერთო გეოგრაფიული მდებარეობით ერთი შეხედვით ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს აქ ოდესღაც უბე ყოფილა.[3] კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი მეოთხეულში ზღვით იფარებოდა თუ არა, ამ დარგის სპეციალისტებს ამაზე პასუხი არა აქვთ, მაგრამ სამეგრელოს ზოლოვანი რაიონის რელიეფის განვითარება მეოთხეულის დასასრულს დაწყებულა.[4] კოლხეთის დაბლობის ზედაპირი იმდენად გამშრალა და გამაგრებულა, რომ შესაძლო გამხდარა იქ ადამიანი დასახლებულიყო, რაზეც მოგვითხრობს ძველი დროის ნამოსახლარი ადგილები ხელოვნურად წარმოშობილი ბორცვების სახით.[5]

კოლხეთის დაბლობის ზოგ ადგილას მიწას 5 ათასი წლის განმავლობაში დაახლოებით ხუთი მეტრით უნდა დაეწია, ვინაიდან ძვ. წ. III ათასწლეულის არქეოლოგიური ძეგლები თითქმის ხუთი მეტრის სიღმეზეა მოქცეული. მაშასადამე, ათასი წლის განმავლობაში მიწა საშუალოდ თითო მეტრით იწევდა დაბლა.[6]

---

[1] **დ. ხახუტაიშვილი,** ქობულეთის ქვეყანა..., გვ. 11.

[2] **В. М. Гоголишвили,** Проблема изучения древних памятников Колхидской низменности// *Бюллетень комиссии по изучению четвертичного периода*, №6-7, М.-Л., 1940, გვ. 109-110.

[3] **გრ. დევდარიანი,** სამეგრელოს ვაკის მდინარეული ტერასების დათარიღებისათვის// *ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, ტ. III, ქუთაისი, 1941, გვ. 117.

[4] **გრ. დევდარიანი,** მასალები სამეგრელოს ბორცვიანი ზოლის გეომორფოლოგიისათვის// *ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, ტ. X, ქუთაისი, 1950-1951, გვ. 133, 136.

[5] **გ. ნიორაძე,** არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში// *ენიმკის მოამბე*, ტ. X, თბ., 1941, გვ. 324-326.

[6] **ნ. ხოშტარია,** პალიასტომის ტბის ისტორიისათვის// *,,მეცნიერება და ტექნიკა“*, №9, თბ., 1953, გვ. 32-33.

ურეკის ძვ. წ. I ათასწლეულის ზღვისპირა მიწაყრილები, სადაც მოსახლეობა ცხოვრობდა, დღეს ზღვიდან 200-300 მეტრითაა დაშორებულია. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ მოცემული პერიოდიდან მოყოლებული ზღვის მოხაზულობაში აქ დიდი ცვლილებები არ ყოფილა.[1]

როგორც ცნობილია, ადამიანი წარმოიშვა მეოთხეულ პერიოდში და მასზე მოდის მთელი ქვის ხანა ანუ პალეოლითი.[2] გეოლოგიური და ბიოსტატიგრაფიული მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მეოთხეულის მანძილზე არ შეიმჩნევა ისეთი დიდი კლიმატური ცვლილებები, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეესრულებინოთ მცენარეთა და ცხოველთა ძირითად გარდაქმნაში. ევროპის კონტინენტური მყინვარული კლიმატის გავლენისაგან ამიერკავკასია და კერძოდ კოლხეთი დაცული იყო კავკასიონის ქედით, ამიტომ ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ჰაერის დიდი მასები ძირითადად გავლენას ახდენდა ქედის ჩრდილოეთ კალთებზე და მის მთისწინეთზე. გამყინვარება კავკასიონის ქედზე რამდენადმე შეზღუდული იყო და მყინვარები არ ვრცელდებოდა შორს ხეობებში. კოლხეთის დაბლობზე, და საერთოდ, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, მის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაპირებზე ჰავა იმდენად ხელსაყრელი იყო, რომ იმდროინდელ მცენარეთა საფარში ზოგიერთი მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე შემოინახა.[3]

ზღვისპირა აშელური სადგომებიდან აღსანიშნავია სოფ. კოლხიდა, გუდაუთა, სოხუმი, იაშთხვა, ბირცხა, გალი, ჭუბურხინჯი, ლესელიძე, ხეივანი და სხვ. ამ პერიოდის სამოსახლოები არის ტერასებზე ღია სადგომების სახით.[4] მუსტიეში უკვე კარგად ჩანს ათვისებული ცენტრალური კოლხეთის მთისწინა ზოლი, სამეგრელოში ამ პერიოდის ღია სადგომები დამოწმებულია მდ. აბაშასა და ენგურს შორის — ურთაში, მენჯში, სენაკში, ძველ სენაკსა და სხვ.[5] იმ პერიოდში დაბლობი არის დაუსახლებელი და მოსახლეობა ძირითადად ჯერ კიდევ გორაკ-ბორცვებზე და მთისწინა ზოლში ცხოვრობს. გვიანპალეოლითურ ეპოქაში კი ადამიანის მიერ ფართოდაა ათვისებული დასავლეთ საქართველო, მაგრამ უპირატესად რიონ-ყვირილის აუზები და მღვიმეები, რაც აციებას უნდა გამოეწვია.[6] მუსტიეს ეპოქა წარმოადგენს ძველი ქვის ხანის ბოლო ეტაპს, რომელსაც ცვლის ზედა პალეოლითი და მოიცავს 35-დან 10 ათას წელს ჩვენს ერამდე.[7]

აშელ-მუსტიეს ხანის ძეგლები სამეგრელოში აღმოჩენილია ენგურის ხეობის სოფლებში: ლია, სააფაქიო ეწერი, რეჩხო-ცხირი, რეჩხი, ფახულანი და ენგურჰესის საყრდენი კაშხლის ტერიტორიაზე. სააფაქიო ეწერში, პირველად კავკასიაში, დადასტურდა ღია ცის ქვეშ მოწყობილი საცხოვრისის სწორკუთხა გეგმა, გაირკვა სამეურნეო ხასიათი (ნადირობა) და მკაცრად დიფერენცირებული კაჟის იარაღების საშუალებით აშკარად გამოიკვეთა სქესთა შორის არსებული შრომის განაწილების ძირითადი ნიშნები. პალურის (ჟირ სუკი) ახალი ქვის ხანის ძეგლზე აღმოჩენილ კაჟის ნაწარმსა თუ საოჯახო და სამეურნეო ყოფაზე დაკვირვებით, დასავლეთ საქართველოს ერთგვაროვანი ნეოლითისაგან განსხვავებით, მისი ლოკალური ვარიანტი გამოიყო.[8] სააფაქიო ეწერის გარე სადგომის ზედა პალეოლითის ბოლო ეტაპით დათარიღებულ III ფენაში აღმოჩნდა სწორკუთხა საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი, რომელიც სავარაუდოდ ფაცხა (ფართობი 19 მ^2) უნდა ყოფილიყო. მსგავსი რამ კავკასიაში აღმოჩენილი არ არის და ამ მხრივ ის უნიკალურია. კავკასიაში სწორკუთხა ნაგებობები მოგვიანებით მტკვარ-არაქსის კულტურაში (თეთრიწყარო, ქვაცხელა, ნახიჩევანის ქიულ თეფე და სხვ.) იჩენს თავს და მიუხედავად განსვავებული მასალით აგებისა, გენეტიკურად ეწერის ანალოგიურ ნაგებობებს უკავშირდება.

---

[1] **Н. В. Хоштария,** Археологические исследования Уреки// *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. I, თბ., 1955, გვ. 30.

[2] **ალ. კალანდაძე,** ქვის ხანა საქართველოში, წიგნ. *სინ*, ტ. I, თბ., 1970, გვ. 78-79.

[3] **ლ. წერეთელი,** მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბ., 1973, გვ. 20.

[4] **ალ. კალანდაძე,** ქვის ხანა საქართველოში, გვ. 88.

[5] **ოთ. ჯაფარიძე,** საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 21.

[6] **ოთ. ჯაფარიძე,** საქართველოს არქეოლოგია, გვ. 33.

[7] **Ю. Н. Воронов,** Древности Сочи и его окрестностей, Краснодар, 1979, გვ. 20.

[8] **გ. გრიგოლია,** ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშობის წინასწარი შედეგები// *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის ... სერია*, 3, თბ., 1971, გვ. 180.

სქესთა შორის შრომითი განაწილება, რომლის საწყისი მუსტიეში შეინიშნება, ზედა პალეოლითის დასასრულისა და მეზოლითის ხანისათვის საკმაოდ შორს არის წასული.[1]

სამეგრელოში, ქვის ხანის ადამიანის გამოქვაბულის სადგომები აღმოჩენილია სოფელ ბალდაში, მდ. აბაშის გაყოლებაზე, ადგილ „ოხოპე"-ში, მაღალ კლდეზე, სადაც ორი გამოქვაბულია; ასევე, მდ. აბაშის შენაკად „ჯორწყუ"-სთან, სადაც პალეოლითიდან მოყოლებული ნეოლითის, რკინის ხანის და შემდგომი დროის არტეფაქტები აღმოჩნდა.[2]

პალეოლითიდან ნეოლითისაკენ (ახალი ქვის ხანა) გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს მეზოლითი, რომელიც 3-4 ათასი წლის მონაკვეთს მოიცავს.[3] საქართველოში მეზოლითური პერიოდის კულტურა საგრძნობ პროგრესს განიცდის. საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია მეზოლითური კულტურის სულ მცირე სამი ლოკალური ჯგუფი. პირველი მათგანი მოიცავს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს (ეძანის და ზურტაკეთის მაღლობი). მეორე ვრცელი ლოკალური ძეგლების ჯგუფი მოიცავს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს, უმთავრესად აფხაზეთის ტერიტორიას. მესამე ლოკალური ჯგუფის ძეგლები თავმოყრილია მდ. რიონის ზემო და შუა დინების გასწვრივ. ეს არის ძირითადად ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე, იმერეთის და რაჭის ნაწილში.[4] მეორე და მესამე ლოკალური ჯგუფის ძეგლები ერთმანეთთან ახლოს დგანან, ხოლო პირველი, მეურნეობის ფორმებით მათგან სრულებით განსხვავდება.[5] სამეგრელოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეზოლითური სადგომი მიკვლეულია სოფელ პალურში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), რომელიც, თავისი გავრცელებით მთის კულტურაა და გენეტიკურად მთისავე მეზოლითს უნდა უკავშირდებოდეს.[6]

მეზოლითური კულტურის გეოლოგიური ასაკი უკანასკნელი ვალდაური გამყინვარების დასასრულს და ქვედა ჰოლოცენის დასაწყისს ემთხვევა. ამ პერიოდში სამეგრელოს ტერიტორიაზე, კერძოდ, მდ. ენგურსა და მისი შენაკადების ხეობებში უკვე ჩამოყალიბებული იყო ძველი ტერასების მთელი რიგი და ენგურ-ჭკადუაშ-ეწერის ტერასაზე იმთავითვე ყველა ხელსაყრელი პირობა არსებობდა ადამიანის სამოსახლოდ. ყოველ შემთხვევაში, ჯვარის, ღუმურიშის და ეწერის ღია სადგომების აღმოჩენის ფაქტი ამის მაჩვენებელია. თუმცა, მეზოლითური ადამიანი ბუნებრივი პირობების გაუმჯობესებასთან ერთად საბოლოოდ არ ტოვებს უფრო მკაცრი კლიმატის შეჩვეულ თავშესაფრებს გამოქვაბულებში.[7]

მეზოლითის დასასრულს ჩნდება მშვილდისარი. ამ დროისათვის ამოწყდა მამონტები და მარტორქები და ძალაუნებურად ნადირობა უხდებოდათ მომცრო და არაჯოგურად მცხოვრებ ძუძუმწოვრებზე. მეზოლითის ბოლოს გამოიგონეს თევზსაჭერი ბადე და ანკესები.[8] გვიანი მეზოლითის ადამიანის მეურნეობაში დიდი როლი უნდა ჰქონოდა მეთევზეობას. ამ პერიოდის სადგომების უმრავლესობა მდინარეთა ტერასებზე და მდინარისპირა მღვიმეებსა და ეხებშია მოთავსებული.[9]

კავკასიის გვიანმეზოლითური სადგომების არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალების ანალიზის მიხედვით, ამ ეპოქის მცხოვრებთა ეკონომიკა ძირითადად დამყარებული იყო მითვისებითი მეურნეობის სხვადასხვა დარგებზე, სადაც განსაკუთრებული როლი ჰქონდა ნადირობას (კეთილშობილი ირემი, შველი, გარეული ღორი, ცხვარი, თხა, ტყის სხვა ბი-

---

[1] **გ. გრიგოლია,** ქვის ხანის ღია ნამოსახლარები კოლხეთში// *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. VI, თბ., 1974, გვ. 88-89.

[2] **გ. ფარულავა,** უძველესი ნასახლარები მაღალმთიან ზონაში, გაზ. „კოლხეთის ცისკარი", ???

[3] **Ю. Н. Воронов,** Древности Сочи и его окрестностей, გვ. 26.

[4] **М. К. Габуния,** Мезолит Грузий// *Краткие сообшения Института археологии*, вып. 149, М., 1977, გვ. 34-39.

[5] **М. К. Габуния,** Мезолит Грузий, გვ. 40.

[6] **გ. გრიგოლია,** ცენტალური კოლხეთის ნეოლითი. პალური, თბ., 1977, გვ. 104-107.

[7] **ლ. წერეთელი,** მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, გვ. 81.

[8] **А. А. Формозов,** Памятники первобытного искусства на территории СССР, М., 1966, გვ. 11.

[9] **ლ. ნებიერიძე,** დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978, გვ. 47.

ნადარნი).[1] ასევე ირკვევა, რომ ადრეჰოლოცენში კავკასიაშია შედარებით თბილი ჰავა იყო და იმ დროს გავრცელებული ფაუნა ახლოსაა თანამედროვესთან.[2] გვიანმეზოლითელი და ადრენეოლითელი ტომების ერთი ნაწილი აგრძელებს ცხოვრებას მდინარისპირა მღვიმეებსა და ეხებში და ეს ხელს არ უშლის მათ დაეუფლონ მწარმოებლური მეურნეობის ახალ დარგებს.[3]

მომდევნო, ნეოლითის ეპოქა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, თითქმის სამ ათასწლეულს მოიცავს (ძვ. წ. VIII-VI ათასწლეულები).[4] ნეოლითის ადრეული საფეხური შესაძლებელია დაძველდეს ძვ. წ. IX ათასწლეულამდე.[5] ამ დროს ხდება ძირეული ცვლილებები ეკონომიკაში, რაც მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლაში გამოვლინდა.[6] განვითარებულ ნეოლითში იქმნება წარმოების მთელი რიგი ახალი დარგები, როგორიც არის სამეთუნეო საქმიანობა და ხდება თანდათანობითი გადასვლა მყარ ბინადრობაზე, რაც თავის მხრივ იწვევს ცვლილებებს ტომობრივ ორგანიზაციაში, წყვილადი ოჯახის განვითარებაში და მუდმივი კულტურულ-ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს მეზობელ მხარეებთან. ამ დროს ფართოდ გამოიყენება მშვილდისარი.[7]

დასავლეთ ამიერკავკასიაში სადღეისოდ ცნობილი შუა და გვიანნეოლითური ძეგლები გავრცელებულია შავიზღვისპირეთის მთისწინა ბორცვიან ზოლში, მდინარისპირა და ზღვისპირა ტერასებზე ღია ნამოსახლარების სახით.[8] გამონაკლისს შეადგენს კისტრიკის სადგომი (გუდაუთის მახლობლად), რომელიც მიკვლეულია ოდნავ შემაღლებულ (4 მ) ზღვის ტერასზე, ღელე კისტრიკის შესართავთან. მოსახლეობა გორაკ-ბორცვებზეა დასახლებული ღია სადგომებში (ადრენეოლითში), სადაც საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობის პირველი მინიშნებაც გვაქვს. სამეგრელოში ამ დროის ძეგლებიდან აღსანიშნავია ოდიში, პალური, ურთა, რომლებიც ბუნებრივ ბორცვებზე იყო განლაგებული.[9] ძველი ქვის ხანის ადამიანს, სამოსახლოების შერჩევისას, უპირატესობა მიუცია საშუალო სიმაღლის მთიანი ზოლის მდინარეთა ხეობებისთვის, მაღალმთიანი ზონის მდინარეთა ხეობებში არსებული ტერასებისა და მღვიმე-ფარდულებისათვის. მომდევნო ხანაში კი ფართოდ აუთვისებიათ გორაკ-ბორცვიანი ზოლი და ჰიფსომეტრიულად ყველაზე დაბალი დონის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დავაკება-კოლხეთის დაბლობი.[10] დასახლება აქ ყველგან წარმოდგენილია ბუნებრივი თუ ხელოვნური ბორცვების სახით, იმ განსხვავებით, რომ ბუნებრივ ბორცვებზე წარმოდგენილი შედარებით ადრეული ასაკის გორასამოსახლოები უპირატესად ქვეყნის შიდა რაიონებში გვხვდება; კოლხეთის დაბლობზე კი მხოლოდ ხელოვნურად შექმნილ გორაკ-ბორცვებზე წარმოქმნილი ნამოსახლარები სჭარბობს.[11] ამ პერიოდში ახალ ეკონომიკაზე გადასვლის რთული და ხანგრძლივი პროცესი მეზოლითს უკავშირდება.[12]

ყველაზე მკაფიოდ ახალი ეკონომიკის ნიშნები თავს იჩენს ოდიშის და კისტრიკის ნამოსახლარებზე, სადაც კარგადაა წარმოდგენილი მიკროლითური ტექნიკის საშუალებით დამზადებული სა-

---

[1] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები (გვიანმეზოლით-ენეოლითი), თბ., 1986, გვ. 36-37.

[2] **В. И. Громов,** Палеонтологическое и археологическое обоснование стратиграфии континентальных отложении четвертичного периода на территории СССР//Труды Института геологических наук, вып. 64, геологическая серия (№17), М., 1948, გვ. 233-250.

[3] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო..., გვ. 43.

[4] **ლ. ძიძიგური,** ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბ., 1994, გვ. 25.

[5] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო..., გვ. 118.

[6] **Ю. Н. Воронов,** Древности Сочи и его окрестностей, გვ. 30.

[7] **Ю. Н. Воронов,** Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1969, გვ. 72-73.

[8] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო..., გვ. 80.

[9] **ალ. კალანდაძე,** მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში//ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939, გვ. 363-371; **ალ. კალანდაძე,** ქვის ხანა საქართველოში, გვ. 123; **გ. გრიგოლია,** ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი. პალური, გვ. 102.

[10] **გ. გრიგოლია,** ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994, გვ. 4.

[11] **გ. გრიგოლია,** ეგრის-ლაზიკის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები, გვ. 4.

[12] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო..., გვ. 10.

მიწათმოქმედო დანიშნულების იარაღები.[1] ამ ხანის სხვა ძეგლებთან ერთად (არახლო I, არახლო II, იმირის გორა, ქვაცხელა, ცივი და დარკვეთის მღვიმეები) მნიშვნელოვანია ანაკლიის დიხა-გუძუბას ქვედა, ადრენეოლითურ ფენაში ნაპოვნი ხელსაფქვავები და სახეხ-საბეგველები, რაც მარცვლეულის დამუშავებაზე მიუთითებს. ეს მარცვლეული სავარაუდოდ იყო ფეტვისნაირი, ერთ-ერთი იმ კულტურათაგანი, რამაც სათავე დაუდო მიწათმოქმედებას დასავლეთ ამიერკავკასიაში.[2]

სამეგრელოს ტერიტორიაზე ამ პერიოდის ნამოსახლარებს შორის მნიშვნელოვანია ღია სადგომი „ჟირსუკი", რომელიც სოფელ პალურში მდებარეობს. ის ნეოლითის ადრე საფეხურით თარიღდება.[3]პალურის (ზღვის დონიდან 350 მ), და საერთოდ „მთის ნეოლითური კულტურის" საფუძველს უმთავრესად შემგროვებლობა, მეთევზეობა და ნადირობა შეადგენდა. რაც შეეხება მწარმოებლურ მეურნეობას, იგი პრიმიტიული მიწათმოქმედების და მესაქონლეობის დონეს არ გასცილებია. პალური „მთიელთა" სეზონური ნამოსახლარია, სადაც წელიწადის გარკვეულ პერიოდში მთიდან ჩამოსული მონადირე-შემგროვებელი და მეთევზე დროებით ჩერდებოდა, ბარში არსებული პროდუქტით ივსებდა კვების რაციონს და შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდა. გ. გრიგოლიას საკვების ასეთ რაციონად მიაჩნია ორაგული, რომლის მოპოვების ყველა პირობა არსებობდა პალურის მიდამოებში. გვიან შემოდგომაზე ქვირითის დასაყრელად მდ. ენგურზე ზღვიდან ამოსულ ორაგულზე ნადირობა ნებისმიერი მარტივი საშუალებებით იყო შესაძლებელი. თვით ტოპონიმი პალურიც სათევზე ადგილს ნიშნავს (ს.-ს. რბელიანი).[4]

ხორშის (სენაკის მუნიციპალიტეტი) ნამოსახლარის მასალებით (მარცვლის სახეხი, სალეწი ქვა და კბილებიანი ნამგლის სამაგრები) ნათელია, რომ მიწათმოქმედება, როგორც მწარმოებლური მეურნეობის დარგი, განვითარებული ფორმით ჯერ კიდევ ნეოლითის პირველ ნახევარში გვაქვს.[5]

დღევანდელი სამეგრელოს მიმდებარე რაიონებიდან მნიშვნელოვანია ასევე ჩხორთოლში (გალის რაიონი) ნეოლითური ნამოსახლარი, სადაც ქვის ხანის ადამიანს დიდი ხნის მანძილზე უცხოვრია.[6] ხერხისებური, ანუ დაკბილული იარაღები ჩხორთოლის კოლექციაში ერთ-ერთი წამყვანი სამეურნეო დანიშნულების იარაღია, რომლის დანიშნულება ხორბლის თავთავის მომკა უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში იგი ნამგლის ფუნქციას ასრულებდა. გარდა ამისა, აღნიშნული იარაღით შეიძლებოდა ხისა და ძვლის საგნების გადახერხვაც. ნეოლითში ამ იარაღს ფართო გამოყენება უნდა ჰქონოდა, ხოლო ხერხისებური იარაღის წარმოშობა ზედა პალეოლითის ბოლოდან იწყება. ხერხისებური ანუ დაკბილული იარაღები გვხვდება ოდიშში, ანასეულ II-ში და საქართველოს სხვა ნეოლითურ ნამოსახლარებზე. გვხვდება აგრეთვე თოხისებური იარაღები, ცულები, მარავალფეროვანი ხელსაფქვავები. საბრძოლო-სამონადირეო იარაღები, გარდა შურდულის ქვისა, ჩხორთოლის ნამოსახლარზე ძალიან ცოტა გვაქვს, ხოლო მეთევზეობა-სამონადირეო იარაღებიდან აღსანიშნავია ბადის საწაფები. კერამიკიდან აღმოჩნდა რამდენიმე არქაული ჭურჭლის ფრაგმენტი. მსგავსი ჭურჭელი სხვა ნამოსახლარებზეც (ოდიში, ანასეული II, შულავერის გორა) ნეოლითით თარიღდება. ნამოსახლარზე გამოვლენილია კერა და სამეურნეო დანიშნულების ორმოები.[7]

ჩხორთოლის მაგალითზე ჩანს, რომ ადამიანი ხანგრძლივი დროის მანძილზე იჯდა ერთი და იმავე ადგილას და წარმოებით მეურნეობას ეწეოდა. დამატებით ეწეოდნენ შემგროვებლობას და ნადირობასაც, მაგრამ ისინი თანდათან ადგილს უთმობენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას.[8]

---

[1] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო..., გვ. 98-99.

[2] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო..., გვ. 47.

[3] **გ. გრიგოლია,** ქვის ხანის ღია ნამოსახლარები კოლხეთში, გვ. 90-91.

[4] **გ. გრიგოლია,** ცენტალური კოლხეთის ნეოლითი. პალური, გვ. 102-103.

[5] **Г. Григолия, Н. Мгеладзе,** Предварительные результаты работ археологической экспедиции изучавшей памятники каменного века Самегрело// Полевые Археологические исследования в 1973 году, Тб., 1974, გვ. 14.

[6] **კ. კალანდაძე,** ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971-73 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, კრებ. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. VI, თბ., 1974, გვ. 178-179.

[7] **კ. კალანდაძე**, ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე..., გვ. 180-184.

[8] **კ. კალანდაძე,** ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე..., გვ. 187.

მომდევნო ხანის, ენეოლითის, დასაწყისად მიჩნეულია ძვ. წ. VI ათასწლეულის მეორე ნახევარი.[1] ენეოლითში ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში დაწყებული მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა კულტურის უფრო სრულყოფილი ჩამოყალიბება მიმდინარეობს, და ეს ეპოქა, როგორც ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების გვიანი ეტაპი, გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს ახალი ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანამდე.[2] დასავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურის განვითარება გაგრძელდა აღმავალი, სწრაფი ტემპით და საგრძნობლად მატულობს მღვიმური და ღია ნამოსახლარები. მან უფრო ფართო ტერიტორია დაიკავა, ვიდრე ოდიშის გვიანმეზოლითურ კულტურას ეჭირა; მოიცვა მთელი დასავლეთ ამიერკავკასია, გავრცელდა მის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ყვირილისა და მისი შენაკადების ხეობებში; მოიცვა მთელი რიონის აუზი, სადაც წარმოიქმნა თეთრამიწას ტიპის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ღია ნამოსახლარები და მღვიმური ძეგლები. ამავე კულტურამ მოიცვა კოლხეთის დაბლობი და შავიზღვისპირა ზოლი, საიდანაც ცნობილია აგრეთვე ღია და მღვიმური ნამოსახლარები. რიონის შენაკადთა აყოლებით იგი საკმაოდ მაღალ ადგილებში გავრცელდა და მთიანი ზოლის (ლენტეხისა და ცაგერის რ-ები) ათვისება დაიწყო.[3] აღსანიშნავია, რომ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში მიმდინარეობს მღვიმეებში ცხოვრების განახლება.[4]

სამეგრელოში — ხორში, გალი I, ღუმურიში, ურთა, პალური და დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებზე (ქობულეთის, ხუცუბნის, კინკიშას, კვირიკეს, ჩოლოქის, ანასეული I-ის, დემსა და სხვ.) მეზოლითურ-ნეოლითური მოსახლეობა უკვე „ღია“ ცის ქვეშ მოწყობილი მსუბუქი ტიპის, მოწნულ ან ხის ნაგებობებში სახლობს. თუმცა მღვიმეებიდან გამოსვლის პროცესი ყველგან ერთდროული არ იყო.[5]

ენეოლითი ხასიათდება ცივად გამოჭედილი ლითონის იარაღის პირველი გამოჩენით, თუმცა ქვა იარაღის დასამზადებლად მაინც ძირითად მასალად რჩება. საჩეხისმაგვარი თოხები, რომლებიც დამახასიათებელია ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთისათვის და როგორც პოლირებული ლურსმნის მსგავსი ნაჯახები მისი ადრეული ფორმებით, ტიპიურია ხასუნის ტიპის დასახლებისათვის მესოპოტამიაში. ამ პერიოდში მიწათმოქმედება ჯერ კიდევ რჩება მეურნეობის ძირითად დარგად, ნარჩუნდება ქალის მოწინავე ადგილი გვაროვნულ ორგანიზაციაში, თუმცა მონადირეობიდან განვითარებული მესაქონლეობა მატრიარქატის პრინციპის რღვევას იწყებს.[6]

თ. მიქელაძის დაკვირვებით, ახალშავზღვური ტრანსგრესიის დროს (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) ზღვით დაფარული შეიძლება ყოფილიყო რიონის დაბლობი დაახლოებით 7 კმ-ის მანძილზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით ნაბადასა და პალიასტომს შორის; ახალშავიზღვური ტრანსგრესიის დროს ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში სოფ. ქვემო ჭალადიდის მიდამოებში არ უნდა არსებულიყო დასახლების პირობები.[7] ამ მოსაზრების გაზიარება არ იქნებოდა სწორი, რადგან ჩვენ უკვე გვაქვს ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნის ძეგლები თანამედროვე სამეგრელოს და გურიის ტერიტორიიდან (ანაკლია, ურეკი). როგორც ნ. ხოშტარია აღნიშნავს, მოსახლეობა აქ უფრო ადრე უნდა ყოფილიყო, რადგან იქ გვხვდება ნეოლითური ხანის დასახლებათა ნაშთები, რომელიც ვრცელდება ზღვისპირეთის გაყოლებაზე, ჩრდილოეთით მდ. ხობის მიდამოებში და მის შესართავზე მდ. ცივთან, ასევე აფხაზეთში.[8]

---

[1] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ კავკასიის ნეოლითური კულტურის მცდარი ინტერპრეტაციის შესახებ (პასუხად პროფ. ვ. ტრიფონოვს)// აფხაზეთი II. არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები, თბ., 2011, გვ. 27.

[2] **ლ. ძიძიგური,** ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, გვ. 33.

[3] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო..., გვ. 119.

[4] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო..., გვ. 164-165 (იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე).

[5] **ლ. ნებიერიძე,** დასავლეთ კავკასიის ნეოლითური კულტურის..., გვ. 28-29.

[6] **Ю. Н. Воронов,** Археологическая карта Абхазии, გვ. 73.

[7] **თ. მიქელაძე,** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978, გვ. 90-92.

[8] **Н. В. Хоштария,** Археологические исследования Уреки, გვ. 29.

ბრინჯაოს ნაწარმის ქიმიური შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ კოლხური კულტურის ჩამოყალიბების წინარე ხანაში ბრინჯაოს მეტალურგიასა და ლითონდამუშავებას დასავლეთ საქართველოში გარკვეული განვითარებისათვის მიუღწევია.[1] ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში არსებული თოხების ფორმები მიუთითებენ ლითონის სამიწათმოქმედო იარაღების ადრეულ წარმოქმნაზე და ინტენსიურ თოხურ მეურნეობაზე.[2]

ადრე ბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. 2500-1800 წწ.) ხასიათდება გუთნური მიწათმოქმედების, მესაქონლეობის განვითარებით და მეტალურგიის წარმოქმნით, რამაც ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მამაკაცური საწყისების გამყარებასთან მიგვიყვანა. ენეოლითში დაწყებული ლითონის ათვისება, ადრებრინჯაოს ხანაში შესამჩნევად გაიზარდა და კოლხეთში სპილენძის სამეურნეო იარაღების ჩამოსხმას ჩაეყარა საფუძველი; მკვეთრად ჩანს სამეურნეო იარაღების რამდენიმე ტიპი: ცული, ბრტყელი ცული, ხისა და რქის სახვნელები. ადრე ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე ხმარებაში შემოდის ლითონის თოხი, თუმცა ის ამ ეპოქის ადრეულ საფეხურზე უნდა ყოფილიყო გამოყენებაში, რამდენადაც საჩხერეში და ქვაცხელაზე აღმოჩენილია წელში მოხრილი სპილენძის მინიატურული თოხის საკიდები.[3]

შუა ბრინჯაოს ხანის საზოგადოებრივ ურთიერთობაში და მეურნეობაში მოხდარი ცვლილებები თვალსაჩინოა კოლხეთში, სადაც საგრძნობლად დაწინაურებულია მეტალურგია, რაც აშკარად უწყობს ხელს მეურნეობის განვითარებას. განსაკუთრებით მატულობს ბრინჯაოს ცულები, ვითარდება თოხების დამზადების ტექნოლოგიაც.[4]

კოლხური მეტალურგიის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და მძლავრი სპილენძის საწარმოო ცენტრი, როგორც ჩანს, მდებარეობდა მდ. ჭოროხის აუზში. მეორე, არანაკლებ მძლავრი მეტალურგიული კერა არსებობდა ცენტრალურ კოლხეთში, რიონ-ცხენისწყლის ორმდინარეთში. საკმაოდ მძლავრი მეტალურგიული კერა არსებობდა აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში (მდ. კოდორის ზემო წელი). დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე ადრე, უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან, სპილენძის მეტალურგიას ეცნობიან აფხაზეთსა და იმერეთში (მდ. ყვირილის ხეობაში). გურიასა, რაჭასა და სვანეთში სპილენძის მეტალურგიული წარმოება შუაბრინჯაოს ხანიდანაა დადასტურებული. რაც შეეხება სამეგრელოსა და ლეჩხუმს, სპილენძის მეტალურგია ამ რეგიონებში გვიანბრინჯაოს ხანამდე არ ჩანს.[5] უშუალოდ ენგურჰესის კაშხლის მშენებლობის რაიონში, მრავალფენიან კულტურულ ძეგლში („ბაქსანიას გამოქვაბული“), გამოვლინდა სპილენძ-ბრინჯაოს ხანის მეტალურგიის უნიკალური მასალა. აქ აღმოჩნდა ლითონსადნობი, ორიგინალური კონსტრუქციის ქურის ნაშთით.[6]

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან (გვიანბრინჯაოს ხანა) თითქმის მთლიანად წყდება კავშირი წინარე ხანის ტრადიციებთან, საგრძნობლად იცვლება მეურნეობის ხასიათი და საერთოდ ცხოვრების პირობები. კავკასიის ზოგიერთ რეგიონში კვლავ ეტყობა ცხოვრების გამოცოცხლება ბარში და მთისწინა ზოლში. მეურნეობაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრებს შედეგად მოჰყვა ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესება. ცხოვრების დონის ამაღლებამ მოსახლეობის სწრაფი მომრავლება გამოიწვია და ამ ხანაში მთელი კავკასია, მისი მთა და ბარი, უკვე მჭიდროდაა დასახლებული. კოლხური კულტურის ხანაში თითქმის მთლიანად წყდება კავშირი იმ ძველ ტრადიციებთან, რომლებიც განუზომლად ბატონობდნენ მეურნეობაში კოლხეთში გვიანბრინჯაოს ხანამდე. ახლა შემოდის სრულიად განსხვავებული სახის ლითონის სამეურნეო იარაღი, რომელსაც უკვე არაფერი აქვს საერთო წინარე ხანაში გავრცელებულ ქვისა და ძვლის იარაღთან. კოლხეთის

---

[1] **ც. აბესაძე,** ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 2011, გვ. 230.

[2] **Т. К. Микеладзе,** О некоторых результатах полевых исследований в зонах Колхидской низменности в десятой пятилетке// *Археологические исследования на новостройках Грузинской СССР*, Тб., 1982, გვ. 75.

[3] **ლ. ძიძიგური,** ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, გვ. 39, 43.

[4] **ლ. ძიძიგური**, ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, გვ. 59

[5] **ც. აბესაძე,** ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან საქართველოში, გვ. 344-345.

[6] **გ. გრიგოლია,** ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშობის წინასწარი შედეგები, გვ. 181.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ლითონის წარმოების დაწინაურებასთან ერთად ჩნდება ლითონის ნივთებისაგან შემდგარი განძები. ამ დროს არც ერთ კულტურას მთელს კავკასიაში არ მოუცია ისეთი რაოდენობის განძები, როგორც კოლხურ კულტურას.[1]

კოლხეთში მსხვილფეხა საქონლის მოშენებას სათანადო ადგილი ეკავა მეურნეობაში, იგი უფრო ბაგური ხასიათის იყო და ახოს იღებდნენ არა მარტო სახნავ-სათესი ნაკვეთებისათვის, არამედ სათიბებისა და საძოვრებისთვისაც.[2]

ხით მდიდარ კოლხეთში, ნესტიანობის მაღალ პირობებში, სამშენებლო საქმეში ხეს წამყვანი ადგილი ეკავა. საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობები შენდებოდა გრუნტის დონეზე ხის მორებისაგან მოწყობილ მოედნებზე.[3]სამოსახლო ბორცვების სიმრავლე მოწმობს, რომ კოლხეთის დაბლობი ამ დროს ფართოდაა ათვისებული. აქ ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობს და საზოგადოებას საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზა გააჩნია, რომელიც უპირატესად მიწათმოქმედებაზე იყო დაფუძნებული. მიწათმოქმედების გვერდით მესაქონლეობის როლი ეკონომიკაში საკმაოდ მაღალი იყო. სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ეჭირა მონადირეობასა და შემგროვებლობას. სამეურნეო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მეფუტკრეობასაც. ასევე, თანდათან დაწინაურდა ხელოსნობის სხვადასხვა დარგები — მეტალურგიული წარმოება, ხით ხუროობა, ნივთების დამზადება[4].

სამეგრელოს მთისწინეთში, მაგალითად სოფელ ოჩხომურში (ლესიჭინეს თემი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი), გამოვლინდა განვითარებული ბრინჯაოს ხანის სამეურნეო-საბრძოლო იარაღების ჩამოსასხმელი ქურა-სახელოსნო, სადაც აღმოჩნდა კოლხური ცულები, ტყავის დასამუშავებელი სეგმენტური იარაღები, ხელეჩოები (შესაძლოა თოხადაც გამოიყენებოდა ღომისა და მჭადის ხშირი ნათესების გამოსათოხნად), ისრის წვერები, ნამგალი, ტყავის საჭრელი იარაღი ანუ ბრტყელი ცული, ბრინჯაოს ზოდები, ბრინჯაოს უფორმო სხმულები (ზოდებისა და იარაღების ფრაგმენტები), სამრეკლო სახელოსნოს კერემიკის ფრაგმენტები.[5]

ურეკის ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და I ათასწლეულების დასაწყისის ზღვისპირა მიწაყრილების — „ზურგას“ (მსგავსი დასახლებები გვხვდება მდ. ხობის, მდ. ცივის აუზში და აფხაზეთშიც) ტიპის დასახლებებში გვხვდება „ტექსტილური“ კერამიკა. კერამიკა წარმოდგენილია ცუდად გამომწვარი, დიდი რაოდენობით ქვიშის შემცველი ოქრა-წითელი ფერის ჭურჭლით, რომელიც ჩვეულებრივია კოლხეთის ძველი დასახლებებისთვის. ის ასევე ცნობილია ბევრ ადგილას (ქსოვილისებური კერამიკა) აფხაზეთის სანაპირო ზოლის გაყოლებით ოჩამჩირის სამხრეთიდან გაგრის ჩრდილოეთამდე.[6] ურეკში აღმოჩენილი დიდი ზომის ჭურჭელი უნდა გამოეყენებინათ მარცვლეულის მარაგის შესანახად. აქვე აღმოჩნდა თიხისაგან გაკეთებული კვირისთავები, რომელიც აქ საფეიქრო საქმის, ასევე ჭილოფის მოწნული ნაწარმის დამზადებაზე მიუთითებს; აგრეთვე, ბრინჯაოს ნაჯახი, ბრინჯაოს ბრტყელი თოხი, ბრინჯაოს ხანჯალი, რომელიც არც თუ ისე ხშირად გვხვდება დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში.[7] ურეკშივეა აღმოჩენილი ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანის, კოლხეთისთვის სრულიად ახალი ბრინჯაოს სამკუთხა ნახვრეტებიანი თოხები.[8]

ფიჩორის პროტოკოლხურ ფენაში და ჩოლოქისპირა ნამოსახლარის I ათასწლეულის საწყის ფენაში აღმოჩნდა ხის სახვნელები, ხოლო ძვ. წ. VIII საუკუნიდან გავრცელებას იწყებს რკინის სახნისები. ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში ბრინჯაოს რკინის თოხების, სეგმენტებისა და

---

[1] **ო. ჯაფარიძე,** დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში// *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის ... სერია*, №1, თბ., 1982, გვ. 61-62.

[2] **ო. ჯაფარიძე,** დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, გვ. 67.

[3] **ო. ჯაფარიძე,** დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, გვ. 69.

[4] **ო. ჯაფარიძე,** დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში, გვ. 71-74.

[5] **გ. შენგელია,** გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები ოჩხომურიდან// *„ძეგლის მეგობარი“,* 69, 1985, გვ. 52.

[6] **Н. В. Хоштария,** Археологические исследования Уреки, გვ. 29-32.

[7] **Н. В. Хоштария,** Археологические исследования Уреки, გვ. 38-39, 43, 46.

[8] **Н. В. Хоштария,** Археологические исследования Уреки, გვ. 47-49.

სახნისების ბუმია. „მოდგომილი ყანის მოსაწევად“ იხმარებოდა როგორც ლითონის ნამგალი, ასევე ცხოველის ყბაში ჩაწყობილი კაჟის და დაკბილულჩასართებიანი ნამგალი. მოწეული მოსავალი მუშავდებოდა მრავალგვარი ხის ხელსაფქვავებით, სასრესებით და სანაყებით, რომლებიც ასე მრავლადაა დადასტურებული კოლხურ ნამოსახლარებზე.[1]

ხითხუროობასთან დაკავშირებული იარაღები კოლხურ კულტურაში საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, რაც ამ დარგის მაღალ შესაძლებლობებზე მიუთითებს. ეს იარაღებია: ცული, ცულ-სატეხი (ბრტყელი ცული), ხელეჩო, ღორეჩო, სატეხები და ჯერჯერობით ერთადერთი ბრინჯაოს საორხელო დანა ლუხვანოს განძიდან, რომელიც ქართულ ეთნოგრაფიაში მიჩნეულია სახვეწ-სათლელ იარაღად.[2] კოლხეთის ბარში და ბორცვიან ზოლში, პროტო და ძველკოლხურ ხანაში დასტურდება ჯარგვალური, ძელური ჭდობით გადაბმული შენობები, ასევე კოლხეთის დაბლობში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჯარგვალურ ნაგებობათა გვერდით გავრცელებული ყოფილა სარლასტზე გამართული, წნულკედლიანი, წნულკარკასიანი ფაცხისმაგვარი შენობები; ასევე, თირში ჩაჭრილი სათავსოები, მიწურები და ნახევრადმიწურები, რომლებზეც ზემოდან დადგმული იყო ფაცხისმაგვარი, სარ-ლასტზე გამართული ნაგებობები. სითბოს უკეთ შენარჩუნების მიზნით ისინი გარედან თიხით ილესებოდა. ბორცვის პირველი მცხოვრებლების მიერ ნაკლებად წყალგაუმტარი, წებოვანი, თიხნარი, გრუნტული მიწით კეთდებოდა ერთგვარი შემაღლება-ბაქანი, რომელზეც ლაგდებოდა როგორც გათლილი, ასევე დაუმუშავებელი ძელების წყობა. ზოგჯერ მათ ენაცვლებოდა ფიცარნაგები. ხის მორები ეწყობოდა უსისტემოდ, ხანდახან გვერდიგვერდ საგულდაგულოდ. შემდეგ კი ხდებოდა მიწის დაზვინვა, მზადდებოდა თიხატკეპნილი იატაკები, სადაც კვლავ აწყობდნენ ძელებს, რომელიც სიმტკიცის მიზნით ორი მხრიდან სოლებით მაგრდებოდა. ამგვარად, სპეციალურად მომზადებულ ბაქანზე იმართებოდა ჯარგვალური ტიპის შენობები.[3] ლ. ჯიბლაძის ამ რეკონსტრუქციიდანაც ჩანს კოლხეთის საზოგადოების მაღალი დონე, რაც შრომის ორგანიზაციის ურთულეს ფორმებს მოითხოვდა. სწორედ, ძვ. წ. III ათასწლეულიდან, კოლხეთის დაბლობში ვრცელდება დასახლების თავისებური ტიპი, რომელიც სამოსახლოს ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზე გამართავაში მდგომარეობს და სამეცნიერო ლიტერატურაში „დიხა-გუძუბების“ სახელწოდებითაა ცნობილი.

„დიხა-გუძუბა“, ამ ხელოვნური გორა-სამარხების ადგილობრივი ყველაზე გავრცელებული მეგრული სახელწოდებაა. დიხა-გუძუბა ანუ ამობურცული მიწა, მათი ზოგადი სახელწოდებაა და ყველგან, სადაც კი მსგავსი ტოპონიმია, ფიქსირებული გვაქვს ძველი მოსახლეობის ნაშთები.[4] ბოლოდროინდელი არქეოლოგიური მასალებით ნათელია, რომ ხელოვნური გორა-ნამოსახლარების ძირითადი კონცენტრაცია შეინიშნება კოლხეთის დაბლობის ზოლში მდინარეების ან ძველი ნამდინარევი კალაპოტის (განსაკუთრებით მდ. რიონის) გასწვრივ რიონ-ფიჩორის, აბაშა-ნოღელას და ენგურ-ერისწყლის აუზებში. აქ რამდენიმე ათეული ბორცვ-ნამოსახლარია ფიქსირებული.[5]

ნ. ხოშტარიას აღნიშვნით, ხელოვნური დიხა-გუძუბას სიმაღლე ხშირად რამდენიმე მეტრამდე, ხოლო დიამეტრი ას მეტრამდე აღწევდა; დიხა-გუძუბები ჩვეულებრივ ჯგუფებადაა განლაგებული. ამას გარდა ცენტრალური, უფრო მაღალი დიხა-გუძუბის ირგვლივ არის რამდენიმე ამაღლებული მოედანი (ეგიძელი); ყოველი მათგანი გარშემორტყმულია არხით ან არხებით (და ჯებირებითაც); ყველა ეს არხი შეერთებულია მდინარეებთან და ერთ სისტემას წარმოადგენს.[6] ასეთი გორაკები (ხელოვნური თუ ბუნებრივი) აქ ასობით არის და ზოგიერთ ასეთ ბუნებრივ და ხელოვნურ

---

[1] **ლ. სახაროვა,** შრომის იარაღი კოლხურ და ყობანურ კულტურებში// ძიებანი, ტ. IX, თბ., 2002, გვ. 41.

[2] **ლ. სახაროვა,** შრომის იარაღი კოლხურ და ყობანურ კულტურებში, გვ. 42.

[3] **ლ. ჯიბლაძე,** კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007, გვ. 35-36.

[4] **ნ. ხოშტარია**, დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა// *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. V, №2, თბ., 1944, გვ. 207-208. ზოგიერთი ავტორის აზრით, გუძუბა (გუძუბი) უკავშირდება სიტყვას „კუწუბი“ და დიხა-გუძუბა ნიშნავს არა ნაყარ გორას, ამობურცულ მიწას ან კიდევ მიწა-ძუძუს, არამედ იგი არის მიწა კუწუბი (ამოწეული, წვერი) იხ. **ბ. კილანავა,** „დიხა-გუძუბას“ გაგებისათვის, წიგნ. ტოპონიმიკა, ტ. I, თბ., 1976, გვ. 403-405.

[5] **მ. ბარამიძე,** ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ნამოსახლართა ტოპოგრაფიის და არქიტექტურის საკითხები, გვ. 63.

[6] **ნ. ხოშტარია,** დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, გვ. 209.

ბორცვებზე (სოფ. ჭოგნარი, სოფ. პატარა ეწერი, ნაოხვამუ, ნაჯიხურუ, მდ. ცივზე, საღორია, დაბლაგომი) დაახლოებით ერთი და იმავე პერიოდის კულტურული ნაშთებია. ძვ. წ. IV-III ათასწლეულიდან ახ. წ. პირველი საუკუნეების ჩათვლით მოსახლეობა აქ თითქმის უწყვეტად არსებობდა.[1] სხვა მოსაზრებით, სამოსახლოს აღნიშნული ტიპი (დიხა-გუძუბები) წარმოქმნილია არაუგვიანეს ძვ. წ. III ათასწლეულისა და, როგორც ჩანს, მთელი ანტიკური პერიოდის გასულამდე არსებობდა.[2] აღნიშნულია ასევე, რომ შუაბრინჯაოს ხანაში ინტენსიურადაა დასახლებული კოლხეთის დაბლობის რიონ-ენგურის ორმდინარეთი, მისი ათვისება, ჩანს, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო, რაც ჯერ კიდევ III ათასწლეულის ბოლოდან იწყება და თითქმის მთელი II ათასწლეულის მანძილზე გრძელდება.[3] გ. გრიგოლიას აზრით, კოლხეთის ბარის ფარგლებში ამ ტიპის სამოსახლოები (ხელოვნური დიხა-გუძუბები) პირველად ჩნდება ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში, რაც დასტურდება ოჩამჩირის ბორცვების, ანაკლიის დიხა-გუძუბისა და ქობულეთის ისპიანის ნამოსახლართა სახით. ასევე, ერთეულების სახით გვხვდება შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ფენების შემცველი გორანამოსახლარები (ანაკლიის დიხა-გუძუბა II, თეკლათის ნაოხვამუ, გალის ფიჩორის ნამოსახლარი, ჭალადიდის ზურგა, საგვიჩიოს კონძა, ნოსირის ბორცვების ჯგუფი და სხვ.); ავტორი, კოლხეთის ბარს, ყოველ შემთხვევაში გვიანბრინჯაოს ხანისათვის, ჯერ კიდევ აუთვისებლად მიიჩნევს.[4] ჩვენ უფრო მართებულად გვეჩვენება ნ. ხოშტარიას მოსაზრება, რომ ძვ. წ. IV-III ათასწლეულიდან იწყება კოლხეთის ბარის ფართოდ ათვისება და თვისებრივად კოლხეთის დაბლობის დასახლების ქვედა ფენების მასალა ნეოლითის დასასრულისა ჩანს, ხოლო ზედა ფენების — გვიან ბრინჯაოს ხანის და ჩვენს ერამდე I ათასწლეულის.[5]

ჩვენი აზრით, კოლხეთის ბარის ათვისების პროცესი უნდა დაეწყო სამეგრელოს მთისწინეთში მოსახლე ჩრდილოეთი ზოლიდან დაბლობისაკენ მიგრირებულ ნეოლითურ ტომებს, რომელთაც საშუალება მიეცათ ზღვის უკანდახევისა და ჭაობიანი ადგილების მეტ-ნაკლებად ამოშრობის შედეგად იქ დასახლებულიყვნენ. დასახლებისათვის ჭაობზე უფრო მეტად ხელსაყრელი, რა თქმა უნდა, სამეგრელოს პლატო უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ ეპოქაში უნდა დაწყებულიყო ტომობრივი „თვითგამორკვევის“ პროცესი, რასაც მოსდევს ურთიერთდაპირისპირებები და ომები ტერიტორიების დასაუფლებლად; ამ მხრივ, ძვ. წ. V-III ათასწლეულის მიჯნაზე სამეგრელოს პლატოზე და მთისწინა ზოლში ჭარბი მოსახლეობის არსებობაცაა სავარაუდო. შესაბამისად, უნდა წარმოქმნილიყო თავდაცვითი ფაქტორის წინა პლანზე წამოწევის აუცილებლობაც, რისი გამართვაც პლატოზე ნაკლებ შედეგს იძლეოდა, ვინაიდან იმ პერიოდში ქვის ციხე-სიმაგრეების მშენებლობის პრაქტიკა ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული და ვერც დაიტევდა იმდროინდელ სისხლითნათესაურ ერთობას, ხოლო შუა ჭაობში ხელოვნურად აგებული არხებით გარშემორტყმული დიხა-გუძუბა კი ამ მხრივ უფრო საიმედო იყო. ასევე, ხაზი უნდა გაესვას ზღვის მნიშვნელობას, რაც გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს უზრუნველყოფდა და, ამასთანავე, თევზჭერის თვალსაზრისით საკვების მოპოვების მნიშვნელოვანი წყარო იყო. ამავე დროს, ჩვენ არ გამოვრიცხავთ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ გარკვეულ ტომთა ერთობების დაბლობისკენ გადანაცვლების და მათი აქ ფართოდ განფენის შესაძლებლობას, ხოლო გარკვეული მათგანის დროთა განმავლობაში ჩრდილოეთით მიგრაციას. ამ ერთობას საფუძველი უნდა დაედო იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებისათვის, რომელთაც ასევე საფუძველი ჩაუყარეს ყობანურ კულტურას. ეს მიგრაციები — მთიდან ბარისაკენ გადანაცვლება, კლიმატის ცვლილებებით არის

---

[1] **ნ. ხოშტარია,** კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა// *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. VI, №6, თბ., 1945, გვ. 466-468.

[2] **გ. გობეჯიშვილი,** გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, წიგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 264.

[3] **ო. ჯაფარიძე,** საქართველოს არქეოლოგია, გვ. 197.

[4] **გ. გრიგოლია,** ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშობის წინასწარი შედეგები, გვ. 4.

[5] **А. А. Иессен,** Проблема изучения археологических памятников Колхидской низменности в целях характеристики современных (послеледниковых) геологических процессов// *Бюллетень комиссии по изучению четвертичного периода,* №6-7, М.-Л., 1940, გვ. 108.

გამოწვეული, რაც გამოიხატა საგრძნობ აციებაში, რამაც მიწათმოქმედებისთვის უფრო ხელსაყრელი ზონების დაბლობისკენ გადანაცვლებას შეუწყო ხელი.[1]

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უზარმაზარი შრომა და ამ შრომის ორგანიზაცია იქნებოდა საჭირო დიხა-გუძუბის ამოსაყვანად და არხების მოსაწყობად; ეს განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ლითონის (სპილენძის) იარაღი ჯერ კიდევ იშვიათი უნდა ყოფილიყო და მთელი ეს სამუშაოები ქვის და ხის იარაღით უნდა შესრულებულიყო. ხელოვნური ბორცვების აგება საცხოვრებლად და მის ირგვლივ მდინარეთა შეერთებული არხების სისტემის მოწყობა იქ მცხოვრები ადამიანების დიდ გამოცდილებაზე მეტყველებს და წარმოადგენს ჭაობთან ბრძოლის საუკეთესოდ მოფიქრებულ სამეურნეო ღონიძიებას — მელიორაციის, დრენაჟის უძველეს ხერხს. უამისოდ ადამიანს არ შეეძლო კოლხეთის დაბლობში ცხოვრება.[2] ეს არის მაგალითი იმისა, რომ არახელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოს თავის სასარგებლოდ ცვლის ადამიანი და ბოლომდე არ არის მასზე დამოკიდებული.

უშუალოდ დღევანდელ სამეგრელოს ტერიტორიაზე კოლხური დიხა-გუძუბის ფორმის დასახლების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზღვისპირა, დაბალი ზონის სოფლებში აღმოჩენილი ათეულობით დიხა-გუძუბა (ანაკლია, ერგეტა, ჭითაწყარი და სხვ.); ანაკლიის დიხა-გუძუბაში ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდანვე, თუ უფრო ადრე არა, ცხოვრობდა ბინადარი მოსახლეობა, რომელიც ინტენსიურ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას მისდევდა.[3] ანაკლიის დიხა-გუძუბაში კულტურული მცენარეებიდან აღმოჩენილია ფეტვი, ხორბალი და სელი. მათ გვერდით გამოვლინდა ტყის ნაყოფის მარაგის ნაშთებიც: წაბლი, წიწიბო, თხილი, რკო (ქერქშემოცლილი). იმავე ფენაში გვაქვს ვაზის ღეროებიც. ამ კულტურულ მცენარეთა ნაშთები მოწმობს მიწათმოქმედების მაღალ განვითარებას, რასაც მოგვითხრობენ ასევე მიწის დასამუშავებელი ქვის იარაღები და მრავალრიცხოვანი ხელსაფქვავები. შესაძლოა დიხა-გუძუბების მოსახლეობა მიწათმოქმედებას ეწეოდა მის ირგვლივ არსებულ შემაღლებულ ადგილებში. კოლხეთში აღმოჩენილი კიდევ უფრო ძველი დროის ძეგლები, ნეოლითური სადგომები, უკვე საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედების სურათს გვიჩვენებენ (ოდიში, ურთა, სათაფლია, გუდაუთა).[4] ასეთივე აღმოჩენები იყო არა მარტო ზღვისპირა, არამედ სამეგრელოს შიდა რაიონებში, მაგალითად, სენაკის მუნიციპალიტეტში „ნაოხვამუ"-დ წოდებულ ადგილზე გამოკვლეული დიხა-გუძუბა.[5]

სამეგრელოს სიღრმეში საინტერესო ძეგლია აბედათის დიხა-გუძუბაც, რომელიც დათარიღებულია გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპით, ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებით. ის მსგავსებას ამჟღავნებს კოლხეთში აღმოჩენილ სხვა სინქრონულ ძეგლებთან (ნაოხვამუ, ანაკლიის დიხა-გუძუბა) და ასევე გარკვეული ჭურჭლის ფორმებით ბერძნულ სამყაროსთან, კერძოდ, ტროა-მუსიანის კულტურასთან.[6]

აბაშის, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრეანტიკური და ელინისტური ხანის დიხა-გუძუბები, როგორც წესი, ორი, სამი და მეტი ბორცვისაგან შემდგარი ჯგუფით არის წარმოდგენილი და გარკვეული შუალედებით ერთი რომელიმე პატარა

---

[1] **ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიაშვილი, თ. ზუბიაშვილი, ე. ყვავაძე,** ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, თბ., 2011, გვ. 140-151; **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, თბ., 2020, გვ. 16-18, 60-102.

[2] **ნ. ხოშტარია,** დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, გვ. 209.

[3] **Б. А. Куфтин,** Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, გვ. 193; **რ. ქორთუა,** ინტერვიუ დავით მუსხელიშვილთან. „და ნასახლაზე ისევ სახლი დგას", გაზ. „მებრძოლი", 1975 წ. 28 აგვისტო; **თ. მიქელაძე, რ. პაპუაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ნ. პაპუაშვილი, ე. სახვაძე,** კოლხეთის ექსპედიცია, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბ., 2004, გვ. 36-37.

[4] **ნ. ხოშტარია,** დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, გვ. 210-211.

[5] **გ. ნიორაძე,** არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში// *ენიმკის მოამბე,* ტ. X, თბ., 1941, გვ. 324-325.

[6] **გ. ფხაკაძე,** მასალები აბედათის დიხა-გუძუბიდან// *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის,* ტ. VI, თბ., 1974, გვ. 137-143.

მდინარის გასწვრივაა განლაგებული. ბორცვების ჯგუფიდან, ერთი ბორცვი ყოველთვის გამოირჩევა სიმაღლით, მზღუდავი თხრილის მასშტაბებითა და რაოდენობით (ზოგჯერ ორი არხი ზღუდავს), მას სამოსახლოში ცენტრალური ადგილი ეკავა. გორანამოსახლართა მესამე თავისებურებაა გარკვეული შუალედებით გავრცელება ერთი რომელიმე პატარა მდინარის ან მასთან დაკავშირებული არხების გასწვრივ. აბაშის, სენაკის და ხობის რაიონებში სამი ძირითადი სამოსახლო, მდინარეული არტერიითაა გამოვლენილი: ფიჩორი, ყორათის წყალი და მუნჩია. ადგილობრივი მოსახლეობის მიდრეკილება შედარებით მცირე მდინარეებისაკენ უნდა აიხსნას ამ მდინარეთა ძირითადი პრაქტიკული დანიშნულებით, რომლებიც ახლობელ და შორეულ მეზობლებთან დამაკავშირებელ საგზაო საშუალებას წარმოადგენდა.[1] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პატარა მდინარეები (მუნჩია, ყორათის წყალი), მიმოსვლის სანაოსნო საშუალებასთან ერთად, უმეტესად სუფთა წყლის (საყოფაცხოვრებო) გამოსაყენებლად იქნებოდა აუცილებელი, და ამავე დროს, მდინარესთან დასახლება საშუალებას იძლეოდა არხების მასთან შეერთებით გაეწმინდათ იქ დაგროვილი ბინძური წყალი. ეს პატარა მდინარეები ყველა სანაოსნოდ გამოსადეგი ვერ იქნებოდა და უმეტესად არა ამ მდინარეებს, არამედ არხებს უნდა გაეყვანა აქ მცხოვრებნი უფრო დიდი სანაოსნო მდინარეებისაკენ (ხობი, რიონი) რომლებიც მათ ზღვისპირა, ქალაქის ტიპის დასახლებებთან დააკავშირებდა.

საინტერესო აღმოჩენებია მუხურჩის ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების კომპლექსშიც, სადაც სრულებით ქრება ბრინჯაოს იარაღი და ის რკინით იცვლება.[2] გვიანბრინჯაო-ადრერკინის (VIII საუკუნის II ნახევრით და VII საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ) ხანის ნამოსახლარებიდან ამ პერიოდის სამეგრელოს მოსახლეობის ცხოვრების წესის აღსადგენად მნიშვნელოვანი აღმოჩენები გვაქვს ერგეტის სამაროვანში, ძვ. წ. VII-V საუკუნეებით დათარიღებულ სოფელ პალურში მიკვლეულ საძვალეში, კურზუს ძვ. წ. IX-VII საუკუნეების ნამოსახლარში.[3]

მ. ინაძის აზრით, ძვ. წ. VI-V სს. მჭიდროდ დასახლებული ჩანს მდ. ფაზისის (რიონის) ქვემო წელიც, სადაც არქეოლოგიური დაზვერვებით ბუნებრივ ან ხელოვნურად აღმართულ ბორცვზე მიკვლეული იქნა რამდენიმე ქალაქური ტიპის დასახლება. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს სამოსახლო ბორცვები საგვიჩიოს, სარიაჩქონის, კონძას და ნანდეუს მიდამოებში (მდ. რიონსა და მდ. ფიჩორს შორის). ანტიკური ხანის სამოსახლოთა მთელი სისტემა იქნა გამოვლენილი აგრეთვე ამ ბორცვების დასავლეთით, ზღვიდან 15-18 კმ-ის დაშორებით, მდ. რიონის ორივე ნაპირას (საქორქიო, ქვემო ჭალადიდი და სხვ.); ადრეანტიკური ხანის ქალაქური ტიპის დასახლება სავარაუდოა მდ. ხობის მარჯვენა ნაპირას, მისი შესართავიდან 2 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქარიატაში. აქ აღმოჩენილი იმპორტული ამფორები და შავლაკიანი კერამიკა მოწმობს მდ. ხობის მეშვეობით ამ სამოსახლოს მჭიდრო ურთიერთობას საზღვაო-სავაჭრო ცენტრებთან. ენგურის ქვემო წელის მარცხენა ნაპირის დაზვერვებისა და შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მონაპოვარი მოწმობს ადრეანტიკური ხანის კოლხეთის ამ რეგიონის განვითარების მაღალ დონეს. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ზუგდიდის გარშემო თავმოყრილი კოლხური მონეტების განძები სოფ. ჯუმიდან, სოფ. ერგეტიდან, სოფ. რუხიდან და სხვ.[4]

---

[1] **გ. გრიგოლია,** დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები// არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971, გვ. 19-20.

[2] **Э. М. Гогадзе,** К вопросу о хронологии и периодизации памятников Колхидской культуры (по материялам Носири-Мухурча// საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ,,მოამბე'', ტ. XXXVII-B, თბ., 1984, გვ. 30-33.

[3] **Б. А. Куфтин,** К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии// საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XII-B, თბ., 1951, გვ. 318. **ო. ჯაფარიძე,** მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში// თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 49, თბ., 1953, გვ. 195; **დ. ქორიძე,** შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფელ კურზუში// საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-B, თბ., 1961, გვ. 56; **გ. გრიგოლია,** ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშობის წინასწარი შედეგები, გვ. 181; **რ. პაპუაშვილი,** ერგეტის II სამაროვანი (სამარხი ორმო 4)// ,,ძეგლის მეგობარი", 3 (106), თბ., 1999, გვ. 5-8.

[4] **მ. ინაძე,** ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.

სამეგრელოს ანტიკურ და ელინისტურ დასახლებებზე დაკვირვების შედეგად, რომელიც ხელოვნურ და ბუნებრივ ბორცვებს გულისხმობს, გ. გრიგოლია აღნიშნავს, რომ „გამორიცხული არ არის სწორედ დასახლების ანალოგიური ტიპი იგულისხმებოდეს ურარტული წყაროების იმ ნაწილში, სადაც საუბარია დიაუხის და იგანიეხის დიდ გაერთიანებათა „ციხე-სიმაგრეებზე“ და მათ გარშემო მიმოფანტულ ქალაქებზე“.[1] იმის დაშვება, რომ აქ კოლხეთის შიდა რეგიონებზეა საუბარი, ძნელი დასაჯერებელია. იმ პერიოდში ურარტუს მეფეები ალბათ ვერ მიაღწევდნენ კოლხეთის დაბლობის შიდა რაიონებამდე, სამეგრელოს ზღვისპირეთამდე (დღევანდელი ფოთი, ხობის, სენაკის, მარტვილის მიდამოები); რომც მიეღწიათ დიხა-გუძუბების მსგავს დასახლებებამდე, იმდროინდელი ურარტული სამხედრო ტექნიკისთვის ალბათ შეუძლებელი იქნებოდა მათი ადვილად აღება. ამავე დროს, ერთი რამ ნათელია, რომ დასახლების ეს ფორმა ბუნებრივი თუ ხელოვნური გორა-ნამოსახლარების სახით მთელს კოლხურ და მასთან მონათესავე ტომთა სამყაროში ერთნაირი ფორმით გვხვდება, ხოლო დიხა-გუძუბების უნიკალურობა ბუნებრივ გორა-სამოსახლოებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალზედ დიდ მუშახელს, ანუ ცენტრალიზებული შრომის ორგანიზაციას მოითხოვდა, რაც სახელმწიფოს არარსებობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა. წყაროებში მოხსენიებული კულხა (ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში) უკვე საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის მომცველი სახელმწიფო ჩანს, რომლის ამ დროს მოხსენიება მიუთითებს მის უშუალო მეზობლობას ურარტუსთან, დიაოხთან და ასურეთთან. ვფიქრობთ, უშუალოდ კოლხეთის დაბლობში და მის მიმდებარედ, კულხას სახელმწიფო უფრო ადრე არსებობს და თარიღის გადაწევა ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრისთვის შეიძლება იყოს დასაშვები. ამის საფუძველს არგონავტების მითიც გვაძლევს. სამეგრელოს ზღვისპირეთში ფიქსირებული დიხა-გუძუბები, რომელთა ათი პროცენტიც კი არ არის დღესდღეობით შესწავლილი, უნდა ყოფილიყო სწორედ ის არეალი, სადაც ყალიბდებოდა ძველი კოლხური სახელმწიფო და მისი ნაშთი, სწორედ აქ, კოლხეთის დაბლობში, ამ დიხა-გუძუბებში უნდა ვეძებოთ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში მეტად მნიშვნელოვანია ჰიპოკრატეს ცნობები (ძვ. წ. IV ს.) კოლხთა დასახლებაზე „...ხოლო ვინც ფაზისში ცხოვრობს, მათ შესახებ [შემდეგი მაქვს სათქმელი]: ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და [მათი] ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია“.[2] ნ. კიღურაძის აზრით, ჰიპოკრატეს ხელოვნურ ბორცვებზე გაშენებული საცხოვრებლები რომ ენახა, იგი აუცილებლად აღნიშნავდა ამ გარემოებას, ავტორი აქ ანტიკურ ხანაშიც დასახლების გაფანტულ ფორმას ვარაუდობს, ისეთს, რომელიც დღეს არის შემორჩენილი.[3] ვფიქრობთ, ნ. კიღურაძის დაკვირვება არ არის მართებული. ჰიპოკრატე აქ გარკვევით ამბობს, რომ კოლხეთში არსებობდა ქალაქები და ნავით სავალი არხები, და ის სხვა არაფერია თუ არა, სწორედ ჰიპოკრატეს მიერ „ქალაქებად“ წარმოდგენილ დასახლებებს შორის, ანუ „დიხა-გუძუბებს“ შორის არსებული სანაოსნო გზები.

ასევე მნიშვნელოვანია ახ. წ. აღ. II საუკუნის დასაწყისის რომაელი დიდმოხელისა მემატიანის ფლავიუს არიანეს მიერ ფაზისის რომაული, მაგრამ ადგილობრივ ყაიდაზე ნაშენი ციხე-სიმაგრის აღწერილობა, რომელიც „დიხა-გუძუბა“-ს სტილშია აგებული.[4] ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმის ნათელსაყოფად, რომ ახ წ. II საუკუნეში, ანუ არიანეს დროს, დასახლების მსგავსი სისტემა — ხელოვნური დიხა-გუძუბების სახით, ჯერ კიდევ წამყვანია კოლხეთის დაბლობში და ეს ფორმა ახ. წ. V-VI საუკუნეებამდე მაინც უნდა შენარჩუნებულიყო. ამის დამამტკიცებლად შესაძლოა გამოდგეს

---

[1] **გ. გრიგოლია,** დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, გვ. 19.

[2] **თ. ყაუხჩიშვილი,** ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 45.

[3] **ნ. კიღურაძე,** კოლხური სოფელი ანტიკურ ხანაში// *საქართველოს არქეოლოგიის საკითხები,* I, თბ., 1978, გვ. 54, 57.

[4] **ფლავიუს არიანე,** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. *თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა*, თბ., 1961, გვ. 39-40.

აგათია სქოლასტიკოსის ქალაქი ონოგურისი, რომელიც ჩვენი აზრით, ამ სახის დასახლებაა და არა აბედათის რომაული ხანის ციხე-სიმაგრე, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს.[1]

როგორც ჩანს, ახ. წ. II-VI სს. კოლხური ხელოვნური დიხა-გუძუბის მსგავსი დასახლებები (ზოგიერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და დიდი დასახლებების გარდა) თანდათან ქრება, მონური შრომა წარსულს ჩაბარდა, ისპობა მელიორაციის სიტემა, წყალი ბინძურდება, ხოლო მისი აღდგენა უკვე არ ხდებოდა, რადგან ის არ შეესაბამებოდა თავდაცვის ახალ გარემოებებს (შესაძლოა კლიმატური ცვლილებების — ზღვის დონის აწევის და ხელახალი დაჭაობების გამო). ამდენად, ახ. წ. V საუკუნიდან მაინც კოლხეთის დაბლობის დასახლების ფორმა დიხა-გუძუბების სახით, საბოლოოდ იცვლება; დაბლობის უმეტესი ზონები მოსახლეობისაგან ნაწილობრივ დაცარიელდა და ჩრდილოეთით ისინი გორაკ-ბორცვიანი ზოლისკენ ინაცვლებენ, რომელიც უფრო მშრალი და ნაყოფიერი მხარე იყო. ციხე-სიმაგრის ტიპის თავდაცვის სისტემას, რომლის ფუნქციასაც თავის დროზე საცხოვრებელთან ერთად დიხა-გუძუბა ითავსებდა დაბლობში, სამეგრელოს ვაკესა, მთისწინეთსა და მთიანეთში უკვე ქვის ციხე-სიმაგრეები ცვლის. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან ჩნდება მასიურად დასახლების ინდივიდუალური სისტემა დღევანდელი კარ-მიდამოს ფორმით. ამ ეპოქის მოსახლეობის თავდაცვითი სისტემა მარტო დიხა-გუძუბების დასახლებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ ფეოდალური ურთიერთობების ჩასახვასთან ერთად ქვეყანაში ჩნდება სხვა სახის თავდაცვითი ზღუდეები–სათემო, თუ ცალკეულ ფეოდალთა კუთვნილი ქვის ნაგებობების ფორმით.

სოციალური თვალსაზრისით დიხა-გუძუბებს, ზოგიერთი ავტორი, გარკვეული ტომის გვაროვნულ დასახლებათა განვითარების საფუძველზე წარმოშობილ ე. წ. სასოფლო თემის სამოსახლოებად მიიჩნევდა.[2] ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ ამგვარ გორაკ-ბორცვებზე აღმოჩენილი ბათქაშით შელესილი ხის თიხატკეპნილიატაკიანი სახლები ცალკეული გვაროვნულ-საოჯახო დასახლებები იყო.[3]ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი, ეს დასახლებები დიდ, თუ შედარებით მომცრო ოჯახების ცალკეულ საცხოვრებლებს წარმოადგენდა, რომელთა ჯგუფს სოფლური დასახლებები უნდა შეედგინათ. აქედან გამომდინარე, კოლხეთში ივარაუდეს ცალკეულ ოჯახთა ნათესაურ კავშირზე დაფუძნებული სასოფლო თემები.[4] არსებობს მოსაზრება, რომ ძველი კოლხური (ბრინჯაოს და ადრერკინის სამოსახლოები) სოფელი ნათესაურ-კოლექტიურ დასახლებას წარმოადგენდა.[5] ზოგიერთი მოსაზრებით, ბორცვული დასახლება შეესატყვისება დიდი ოჯახის ან გვარის ერთი ნაწილის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ გაერთიანებას.[6]

მ. ინაძემ, ნოსირ-მუხურჩის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის დაბლობის მოსახლეობაზე დაკვირვებით, ნამოსახლარი ბორცვების უმრავლესობა დიდი ოჯახებით დასახლებულად მიიჩნია და ამ სამოსახლოების აღსანიშნავად ტერმინი „სახლი“ (მეგრულად „ოხორი“, სვანურად „ლახორ“ ანუ „ლალხორ“) გამოიყენა. მისივე აზრით, ასეთი „სახლების“ კომპლექსური სახით ცალკე დასახლებები, მათი სამოსახლოების შემოზღუდვა არხებით, იმის ნიშანია, რომ ისინი დამოუკიდებელ სოციალურ ერთეულებს წარმოადგენენ.[7]

ამ სახის მოსაზრებები არქეოლოგიურ ლიტერატურაში უამრავია, თუმცა არც ერთ მათგანში არ ჩანს ამ დასახლების სოციალური წყობის ნათელი სურათი. არ არის განმარტებული რას გულისხმობენ „საგვარეულო ოჯახის“, „გვარის“, „თემის“ ქვეშ, და რაც მთავარია, არ ჩანს თუ რა ფორმაციის შიგნით არსებობდა ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური ერთეულები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „კლასობრივი საზოგადოება წარმოადგენს სა-

---

[1] **დ. ჭითანავა,** ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010, გვ. 60-61.

[2] **გ. გრიგოლია**, დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, გვ. 20.

[3] **Б. А. Куфтин**, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тб., 1950, გვ. 172-174.

[4] **А. И. Джавахишвили**, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа. V-III тыс. до н. э. Тб., 1973, გვ. 359-360.

[5] **გ. გამყრელიძე**, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982, გვ. 55.

[6] **ე. გოგაძე**, კოლხეთის ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარების კულტურა, თბ., 1982, გვ. 84.

[7] **მ. ინაძე**, ძველი კოლხეთის საზოგადოება, გვ. 20-21, 22-23.

ზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ძირითად ეტაპს. ეს განვითარება სამ ძირითად ეტაპს ითვლის: პირველყოფილი უკლასო საზოგადოება, კლასობრივი საზოგადოება და განვითარებული უკლასო საზოგადოება.[1] აქვე შევნიშნავთ, რომ „უკლასო საზოგადოება“ მეტად პირობითი აღნიშვნაა და მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ტერმინი „გვაროვნული საზოგადოება“. მეორე მხრივ, გაუგებარია რა ეტაპი იგულისხმება ზემოთ ნახსენები „განვითარებული უკლასო საზოგადოების“ ქვეშ. ვფიქრობთ, მსგავსი განვითარების ხაზი არ არსებობს და ის არ დასტურდება არც ერთ ხალხში. ასევე, აღნიშნულია, რომ ნეოლითურმა რევოლუციამ, რომლის დროსაც ხდება გადასვლა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე, ლითონის დამუშავებაზე, შექმნა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის შესაძლებლობა და განსაზღვრა კლასობრივი განვითარების შემდგომ ეტაპზე, ანუ კლასობრივი საზოგადოების ეტაპზე გადასვლა.[2] თუმცა, მიგვაჩნია, რომ მარტო მეურნეობის ფორმებს არ შეეძლო განესაზღვრა კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა ანუ ე. წ. „ნახტომი“[3]; კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნა ყოველთვის შინაგანი, ანუ ეკონომიკური განვითარების შედეგად არ ხდებოდა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სხვადასხვა ხალხების განვითარების მაგალითები — გერმანელების, სლოვაკების, რუსების, — რომლებიც გვაროვნული წყობიდან უცბად ფეოდალურ ფორმაციაში გადავიდნენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს მიდგომაც ზოგადია, რადგან კლასები გვაროვნული საზოგადოების პირობებშიც კი არსებობს მისთვის დამახასიათებელი ფორმებით; ეს შეინიშნება ზედა პალეოლითის დასასრულსაც, ხოლო ნეოლითში პიკს აღწევს და ამ ყოველივეს განაპირობებს იმდროინდელი საზოგადოების შინაგანი ცხოვრების წესის სხვადასხვა ასპექტი, რომეზეც ნაწილობრივ ზემოთაც ვისაუბრეთ. გასათვალისწინებელია, რომ პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივზე გადასვლა წარმოადგენს არა ერთდროულ აქტს, არამედ ასეულობით და ათასეულობით წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესს. ბარბაროსობის პირველი საფეხური წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს ველურობიდან ცივილიზაციისაკენ. ამ ეპოქაში ისახება კერძო საკუთრება, ქონებრივი და სოციალური უთანასწორობა, საკუთრების სხვადასხვა ფორმები, ადამიანების რანგებად დაყოფა, ერთის ხელისუფლება მეორის მიმართ.[4]

ამ საკითხზე ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი თუ განსხვავებული უამრავი მიდგომა არსებობს. ამჯერად ამით შემოვიფარგლებით. ზოგადად კი აღვნიშნავთ, რომ ამ მოსაზრებათა უმრავლესობაში საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოქმნის მხოლოდ მატერიალისტურ საწყისებზეა საუბარი: პროდუქტის განაწილება, ვიღაცის გამდიდრება, ვიღაცის გაღარიბება და ჩაგვრა, ე. წ. „ნეოლითური რევოლუცია“, მესაქონლეობა, მიწათმოქმედება და ა. შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამან უდიდესი როლი შეასრულა ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლის საქმეში, თუმცა არა გადამწყვეტი, რადგან არსებობენ ხალხები, რომელთაც ყველა ჩამოთვლილი მატერიები ბოლომდე აითვისეს, მაგრამ არ გააჩნიათ სახელმწიფო, არა აქვთ საზღვრები, თუმცა ჰყავთ გვარის და თემის წინამძღოლები, რომელთაც პატივს სცემენ და ეთაყვანებიან. ამდენად, სახელმწიფოს და ამა თუ იმ საზოგადოების თუ სოციალური ერთობის საკითხთა კვლევისას, პირველ რიგში (სხვა ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად), უნდა გავითვალისწინოთ რელიგიის (რწმენა-წარმოდგენების) როლი. ვფიქრობთ, მხოლოდ ქონების დაგროვების შედეგად ვერავინ გახდებოდა „ტომის ბელადი“ თუ ის პირველ რიგში არ იქნებოდა „ქურუმი“, ანუ ადამიანი, რომელმაც წინაპრისაგან გადმოცემული „ყველა სიბრძნე“ იცოდა. ის უნდა ყოფილიყო ქურუმი, არა მარტო თავისი სოციალური სტატუსით, არამედ ადამიანი, რომელიც „სასწაულებს“ (მაგია, მკურნალობა და ა. შ.)

---

[1] **გ. მელიქიშვილი**, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოების ხასიათის საკითხი// *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის ... სერია*, №3, თბ., 1971, გვ. 105.

[2] **გ. მელიქიშვილი**, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია..., გვ. 105.

[3] საკითხთან დაკავშირებით იხ. **დ. ჭითანავა**, მომთაბარეობიდან ბინადრობაზე გადასვლის ძირითადი მიზეზები პირველყოფილ საზოგადოებაში// *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. XIV-XV, თბ., 2016, გვ. 575-587.

[4] **Ю. Н. Семенов**, Переход от первобытного общества к классовому: пути и варианты развития (часть I)// *Этнографическое обозрение*, №1, М., 1993, გვ. 52-54.

ახდენდა; სწორედ ეს ძალა ანუ ბასილევსის მაგიური ძალა უბიძგებდა საზოგადოებას გამხდარიყო ერთიანი გარკვეული იდეის ირგვლივ. გარკვეული ქონება, რომელიც გააჩნდა ამ ადამიანს (კულტის მსახურს), იქნებოდა სამხედრო ძალის შექმნის საფუძველიც, რომლითაც ის ძლიერდებოდა და გარშემომყოფთ იმორჩილებდა. ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას (ი. სემიონოვი), თითქოს გვარს და თემს არავითარი როლი არ უნდა შეესრულებინა საზოგადოების და კლასების წარმოქმნის საქმეში. სწორედ გვარი უნდა ყოფილიყო ის სოციალური ერთეული, რომლის თანდათანობით დაშლის შემდეგ იქმნება ჯერ მონოგენური, ხოლო შემდგომ პოლიგენური თემი. ისიც თავის მხრივ იშლება და იქმნება სახელმწიფოს საფუძვლები. იქ, სადაც თემი არ არის დაშლილი, სახელმწიფოს შექმნის საფუძველი არ არსებობს. საქართველოს მაგალითზე, ქართული სოფლები მონოგენურად იყო განსახლებული, რაც თითქმის ბოლო დრომდე ცოცხლობს ყოფაში. ზოგიერთი ავტორი ამ მოვლენას მიიჩნევდა (მ. კოვალევსკი) გვაროვნულ და პირველყოფილ თემურ წყობილებად, მსგავსი მიდგომები სავსებით სამართლიანად არის გაკრიტიკებული სამეცნიერო ლიტერატურაში.[1]

ივ. ჯავახიშვილის აზრით, წყაროების უქონლობის გამო, I საუკუნემდე, საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების შესახებ ვერაფერს ვიტყვით. I საუკუნიდან საქართველოს საზოგადოება გვაროვნულ ნიადაგზეა აშენებული. გვაროვნული წყობილება არის ის საფუძველი, რომელიც წარმოშობს ყველა ინსტიტუტს I-VII საუკუნეებში, დაწყებული მეფე-მამასახლისით და სოფლის მამასახლისით დამთავრებული, ყველანი გვაროვნული წყობილების საფუძველზე არიან წარმოშობილი. ამ საზოგადოების უმრავლესობა თავისუფალია, მაგრამ სოლიდარული ურთიერთობა მონობის სახით უკვე არსებობს. ასეთი მდგომარეობა გრძელდება VII საუკუნეებამდე. VII-VIII საუკუნეებში „მონობის“ ხსენება ქრება“, ხოლო IV საუკუნიდან ფეოდალური ურთიერთობა მტკიცდება და ამ საფუძველზე წარმოიშობა მეფის ხელისუფლება, რომელიც არსებითად განსხვავდება I-VII საუკუნეებში არსებული საგვარეულო წყობილების მეფე-მამასახლისის ხელისუფლებისაგან.[2]ამ მოსაზრებას სხვა ახსნა დაუპირისპირეს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ივ. ჯავახიშვილი თავისი მსოფლმხედველობით მარქსიზმის წინა ხანის ისტორიკოსებს ეკუთვნის და რასაკვირველია, სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტულ ახსნას ჩვენ მისგან არ მოველით“-ო[3]. ივ. ჯავახიშვილი სავსებით გასაგებად იყენებს ტერმინს „გვაროვნებათა მიხედვით“ განსახლებას, რომელიც გულისხმობს არა პირველყოფილ გვარს, არამედ საგვარეულო ანუ მონოგენურ განსახლებას, რისი ტრადიციაც დღესაც ნარჩუნდება ქართულ სოფელში (რა თქმა უნდა მეტ-ნაკლებად); მისი პირველყოფილ-გვაროვნული წყობისაგან გარჩევა არც თუ ისე ძნელია. ასეთივე მიდგომითაა განსახილველი ტერიტორიული თემის სტრუქტურაც, რომელიც საქართველოს ბარსა და მთაში თითქმის ბოლო დრომდე ცოცხლობდა. კერძოდ, სამეზობლო თემის განვითარების ეტაპები თანაეტაპებად უნდა დაიყოს. უფრო მართებულია გავიზიაროთ ის მიდგომა, რომ სემეზობლო თემის განვითარების ეტაპები ორი მიმართულებით იქნას წარმოდგენილი: ერთი, „პირველყოფილი მეზობლური (ე. ი. ისეთი, რომელიც არსებობს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში, - დ. ჭ.) და, მეორე, „კლასობრივი საზოგადოების სამეზობლო თემი“.[4] დაუშვებლად მიგვაჩნია ისეთი მიდგომები, სადაც ეთნოგრაფიულად XIX საუკუნის ქართული სოფლის ყოფაშიც კი გვაროვნული ხასიათის გადმონაშთებია დანახული.[5] საგვარეულო ხასიათის დასახლების არსებობა სრულიადაც არ ნიშნავს გვაროვნულ საზოგადოებას. მეორე მხრივ, პოლიგენური დასახლების წარმოქმნის მი-

---

[1]**Г. А. Меликишвили**, К характеристике социально-экономического строя раннеклассового общества грузинских горцев// *Вестник древней истории*, М., 1984, №1 (167), გვ. 27-50.

[2] **ივ. სურგულაძე**, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ., 1951, გვ. 19.

[3] **ივ. სურგულაძე**, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, გვ. 19-20.

[4] იხ. **Л. Б. Алаев**, Сельская община в Северной Индии, М, 1981, გვ. 11; იხ. **დ. ჭითანავა**, სამეზობლო თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში (,,სამოხიო“), *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, ტ. V, თბ., 2003, გვ. 406; **დ. ჭითანავა**, ტერიტორიული თემი სამეგრელოში, *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, ტ. VII, თბ., 2004.

[5] **რ. ხარაძე**, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში// *ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები,* ტ. IV, ნაკვ. 2, თბ., 1959, გვ. 178.

ზეზები გვაროვნული საზოგადოების უკვე კარგა ხნის დაშლის შემდგომ არსებულ ფორმაციებში უნდა ვეძებოთ.

ისევ რომ მივუბრუნდეთ ძველი კოლხური დასახლების სტრუქტურას გვართან და თემთან მიმართებაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნებრივი და ხელოვნური დიხა-გუძუბები და გორა-სამოსახლოების სახელწოდება უნდა ყოფილიყო ხი//ოხორე//ხორი//ქორი. ეს ტერმინი ქართველურ-იბერიულ-კავკასიური ერთობის და მათთან მონათესავე ძველაღმოსავლური არაინდოევროპული ეთნოსების კუთვნილებაა. მცირე აზიაში მისი გავრცელება კი მიუთითებს ძველაღმოსავლური და ქართველური ტომების უძველესი დროიდან ვრცელ ტერიტორიაზე ერთად მოსახლეობაზე. ხორი-ოხორი, რომლის ფუძეა -ხ, უძველესი, მატრიარქატის დროინდელი ტერმინი ჩანს და ამ დასახლებების აღმნიშვნელად არა ხი-ს, არამედ ოხორი//ხორი-ს სახით უკვე ძვ. წ. V-IV საუკუნეებიდან არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ქართველურ ტომებს უკვე I ათასწლეულზე დიდი ხნით ადრე გაუვლიათ გვაროვნული წყობა. კერძოდ, II ათასაწლეულის დასაწყისში ეს პროცესი უკვე დასრულებული ჩანს. ამ პერიოდში არსებული დასახლებები არა პირველყოფილ-გვაროვნული, არამედ საგვარეულო და სახელმწიფოს არსებობის პერიოდშიც მოქმედი სათემო ფორმის უნდა ყოფილიყო. ამაზე დიხა-გუძუბების დასახლებათა განლაგებაც აშკარად მიუთითებს.

ძვ. წ. IIIათასწლეულიდან მოყოლებული კოლხური დიხა-გუძუბების თუ ბუნებრივი გორაკ-ბორცვების დასახლებები დიდ საგვარეულო დასახლებებს წარმოადგენდა, რომელშიც გვარის დაშლის პროცესი შორს ჩანს წასული, რამდენადაც ერთი გენეალოგიური ერთობის მიერ ამგვარი დასახლების გამართვა ფიზიკურად შეუძლებელია. თითოეულ დიხა-გუძუბაში უნდა ეცხოვრა რამოდენიმე მონათესავე საოჯახო თემს, ანუ რელიქტის სახით სამეგრელოში ოჯახის აღმნიშვნელად შემორჩენილ „თი“-ს და მისგან ნაწარმოებ, „თურის“ მსგავს სოციალურ ერთობას (*თი* და *თურ*-ზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ). ეს რამდენიმე მონათესავე „თი“ ანუ დიდი ოჯახი ქმნის დიხა-გუძუბების დასახლების სოციალურ სურათს. თითოეული დიხ-გუბუძა, რომელიც მონათესავე გვართა დასახლებას წარმოადგენდა, ემეზობლებოდა ერთ, ან რამდენიმე მსგავსადვე განსახლებულ დიხა-გუძუბას, რომელთა ერთიანობას აქ უნდა შეექმნა თემი, როგორც ტერიტორიულ-მეზობლური ანუ პოლიგენური ერთეული და რომელიც გარკვეულ ლოკალურ ტერიტორიაზე ერთიან თავდაცვით სისტემას ქმნიდა. თავის მხრივ, ეს თემიც უნდა დაშლილიყო, რასაც შემდგომი შინაგანი თუ გარეგანი განვითარების შედეგად სახელმწიფოს წარმოქმნისკენ მივყავართ. როგორც თითოეულ დიხა-გუძუბას, ისე საერთოდ თემს, უნდა ჰქონოდა, როგორც ცალ-ცალკე, ისე საერთო მმართველობის სისტემა, რომლის მეშვეობით მყარდებოდა კავშირი სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფალთან. მათ უნდა ჰქონოდათ როგორც ცალ-ცალკე, ისე საერთო სალოცავი და სხვა.

საკითხთან მიმართებაში, წერილობითი წყაროებიდან ყველაზე უფრო ფართო და საინტერესო მასალას იძლევა ქსენოფონტეს „ანაბასისი“ (ძვ. წ. V-IV სს.), რომელშიც საკმაოდ კარგადაა დახასიათებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთში მოსახლე ქართველური ტომების დასახლებათა როგორც ფორმა, ასევე ტიპი და თვით მათი ადგილობრივი სახელწოდებებიც. [1] ის უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა კოლხური გვარის გენეზისის კვლევისას. პირველ რიგში, საინტერესოა ტერმინი „ხორიონი“ *(χωρίον, χωρία),* რომელიც გარკვეული სახის დასახლების ერთეულის აღმნიშვნელია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ქართველურ ტომებში.[2]

როგორც ქსენოფონტეს „ანაბასისიდან“ ჩანს, ძვ. წ. V საუკუნეში, ქართველურ ტომებთან (ტიბარენები, მოსინიკები, ტაოხები, ხალიბები, დრილები და სხვა) „ხორიონები“ დასახლების ერთ-ერთ ძირითად ერთეულს წარმოადგენდა.[3] ისინი საკმაოდ გამაგრებული ნაგებობების შთაბეჭდილებას

---

[1] **თ. მიქელაძე**, ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბ., 1967, გვ. 70, 80, 91-92, 100-101, 103, 105-106.

[2] **თ. მიქელაძე**, ქსენოფონტის „ანაბასისი“, გვ. 67, 70-71, 80, 90, 91, 93, 96, 98, 100-101, 103-106.

[3] *„...[კარდუხები] ისე გაიქცნენ და მიატოვეს **χωρίον** (სიმაგრე — თ. მ.), რომ [ელინები] ახლოს არ მიუშვეს“. „...ტაოხები ცხოვრობდნენ მიუვალ სიმაგრეებში **(χωρία)** და მთელი თავისი სურსათი იქ ჰქონდათ ატანილი. როდესაც ელინები მი-*

ტოვებს და საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ერთიან კომპლექსს ქმნიან. რაც მთავარია, მათ შიშიანობის დროს თავდაცვითი ფუნქცია გააჩნდათ. ხორიონები, როგორც ჩანს, გარშემო განიერი თხრილით, ზემოთ კი მესრებით იყო გარშემორტყმული; საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები კი ხის მასალისაგან შენდებოდა. ამგვარი დასახლების სისტემის შექმნის (როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი) აუცილებლობა, ერთი მხრივ ბუნებრივი პირობებით (წვიმის წყლისა და ნესტისაგან დაცვა) და, მეორე მხრივ, თავდაცვითი ფაქტორის (მტერთა და ნადირთა) წინა პლანზე წამოწევით იყო ნაკარნახევი. „ოხორუ“-ებიც ალბათ ცალკეულ გვართა საგვარეულო დასახლებებს წარმოადგენდა.

ამჯერად არ შევუდგებით სამეგრელოში ამ პერიოდის გვაროვნულ წყობაზე საუბარს, რამდენადაც ის სხვა ნაშრომშიც გვაქვს განხილული.[1] შემოგთავზებთ მხოლოდ ძირითად დასკვნებს:

1. მეგრული „ოხორუ“, ქართული „სახლი“ და სვანური „ქორ“ ნიშნავს, როგორც საცხოვრებელ ნაგებობას“, „კარ-მიდამოს“, ისე „მოსახლეობას“ და „ხალხს“; ფონეტიკურად და სემანტიკურად იდენტური სიტყვები გვხვდება კავკასიურ-ძველაღმოსავლურ სამყაროში, რომელიც ზოგან „ველს“, „მინდორს“, „სოფელს“, „ოჯახს“, „სახლს“, „დაბლობს“, „მხარეს“, „ყანას“, „სახლის უფროსს“, „პატრონიმიის (გვარის) უფროსს“, „ტერიტორიას“, „მიწას“, „სამშობლოს“, „ბუდეს“, „ცხოვრებას“ ნიშნავს.

2. ოხორუ//სახლში გამოიყოფა ძირეული -ხ, რომელიც უძველესი ლექსიკური ერთეული ჩანს. ოხორუ//სახლის ზემოთ წარმოდგენილი მნიშვნელობები კარგად ჩანს მეგრულ „მუხურსა“ და ქართულ „მხარეში“, რომელიც „კუთხეს“, „მხარეს“ და „ქვეყანას“ ნიშნავს და როგორც ოხორ//სახლში, აქაც ძირეულია -ხ მორფემა. სიტყვა „მუხური“ მრავლად არის შემორჩენილი საქართველოს ტოპონიმიკაში და მას შესატყვისები მოეპოვება იბერიულ-კავკასიურ ენებში „ქვეყნის“, „მხარის“, „სამყაროს“, „მიწის“ მნიშვნელობით.

3. ქართველური ოხორუ//ხორ//სახლი//ქორ//მუხური//სამოხიო//სახეისკაცო// სახევისკაცო//ჰეუ//ხევი ფონეტიკურ-აზრობრივი მნიშვნელობით იდენტურია და აღნიშნავს „კარ-მიდამოს“, „საცხოვრებელ ნაგებობას“, „ხალხს“, „გვარს“, „მოსახლეობას“, „მხარეს“, „კუთხეს“, „მიწა-წყალს“, „სოფლის კუთხეს“, „დასახლების გარკვეულ მტკიცედ განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულს“; მსგავსი შესატყვისებით მოიპოვება იბერიულ-კავკასიურ ენებში (ჩაჩნურ-ინგუშური, აფხაზურ-ადიღური, ნახურ-დაღესტნური), „ველის“, „მინდვრის“, „სახლის უფროსის“, „ტერიტორიის“, „ვაკის“, „დასახლების“, „სოფლის“, „მიწა-წყლის“, „სამშობლოს“, „ბუდის“, „ცხოვრების“, „დაბის“, „თავშესაფრის“ მნიშვნელობით.

---

*ვიდნენ ერთ გამაგრებულ (**χωρίον**) ადგილთან, რომელიც ქალაქი არ იყო და სადაც შენობები არ მოიპოვებოდა, თუმცა იქ თავი მოეყარა მამაკაცებს და ქალებს მრავალ პირუტყვთან ერთად“. „როდესაც ელინები [ამ მთიან] ქვეყანაში მივიდნენ, დრილებმა გადაწვეს და მიატოვეს ის სიმაგრეები (**χωρίον**), რომელიც მათი ფიქრით, ადვილი ასაღები იყო; ასე, რომ აქედან არაფრის წაღება არ შეიძლებოდა გარდა ღორისა, ხარისა და სხვა შინაური პირუტყვისა, რომელიც ცეცხლს გადარჩენოდა; ერთი სიმაგრე (**χωρίον**) მათი დედაქალაქი იყო. იქ თავი მოეყარა სუყველას. მას გარშემო ღრმა ხრამი ჰქონდა და სიმაგრე მისადმგომად სახიფათო იყო. [ელინებმა] ბრძოლით ვერ შეძლეს სიმაგრის (**χωρίον**) აღება, რადგან მას გარშემო განიერი ორმო და მიწის ყრილი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ამ ყრილზე აღმართული იყო მესერი და მრავალი ხის კოშკი. განიზრახეს გასცლოდნენ მას... შიკრიკმა ქსენოფონტეს უთხრა, რომ სიმაგრე (**χωρίον**) სავსეა მრავალი სიმდიდრით, მაგრამ მისი აღებაც შეუძლებელია, რადგან იგი მიუვალია და არც მისგან დახევაა ადვილი... „...მაშინვე გაეშურნენ მტრისაკენ იმ სიმაგრის (**χωρίον**) წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე უფრო სუსტი ეგონათ. ის მდებარეობდა იმ ქალაქის წინ, რომელსაც მეტროპოლისი ეწოდებოდა [და რომელსაც] მოსინიკების [ქვეყანაში] ყველაზე მაღალი ადგილი ეკავა...“ . „ბარბაროსები (მოსინიკები) გაიქცნენ, ცეცხლი წაუკიდეს და მიატოვეს ეს სიმაგრეც (**χωρίον**)... „სიმაგრეთაგან (**χωρίον**) უმეტესი ასეთი იყო: ქალაქები ერთიმეორისაგან 80 სტადიონით იყო დაშორებული, ზოგი მეტით და ზოგი ნაკლებით, როცა [მცხოვრებნი] გადასძახებდნენ ხოლმე ერთმანეთს ძახილი ერთი ქალაქიდან მეორეში ისმოდა, იმდენად მთაგორიანი და ღარტაფიანი იყო ეს ქვეყანა“ „...(ტიბარენებს) ზღვის სანაპიროზე მცირედ გამაგრებული დასახლებები (**χωρία**), ჰქონდათ“* (**თ. მიქელაძე**, ქსენოფონტის „ანაბასისი“, გვ. 67, 70, 71, 80, 90, 91, 93, 96, 98, 100, 101, 103, 104, 105, 106).

[1] **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 60-102.

5. ძირეული -ხ ელემენტი უნდა გვქონდეს იბერიულ-კავკასიურთან გარკვეულ ნათესაობაში მყოფ ძველაღმოსავლურ (ხური-ურარტულ) ეთნოტოპონიმიკურ დაბოლოებებში არა მარტო როგორც კუთვნილების და მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსის მნიშვნელობით, არამედ როგორც ცალკე მდგომი ლექსიკური ერთეული, რომელიც თავდაპირველად ნიშნავდა „ქვეყანას“, „მხარეს“, „მიწა-წყალს“, „გვარს“ (კოლ-ხი — კოლას ქვეყანა, მხარე, მიწა-წყალი, გვარი, რესპ. ერთი გარკვეული ტომობრივი, ნათესაური კავშირი).

6. ხი-ს ცალკე ლექსიკურ ერთეულად გამოყოფის საფუძველს კიდევ ერთი გარემოება იძლევა. როგორც ცნობილია, საქართველოს ტოპონიმიკაში მრავლად არის შემორჩენილი თი-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები (უმთავრესად დასავლეთ საქართველოში), რომელთა უმრავლესობა საკუთარი სახელისაგან არის ნაწარმოები. მისი იდენტურია ცალკეული ქვეყნების თუ მხარეების დაბოლოებებში შემორჩენილი და დღესაც ცოცხალი ეთ/თა სუფიქსები (მაგ. მესხეთი, იმერეთი, სვანეთი და სხვ.), მაგალითად „მეს-ხ-ეთ“-ში გვაქვს ორმაგი ხ//ეთ-თა სუფიქსური წარმოება. ეს უკანასკნელი ეთ/თა სუფიქსის ფორმა თი თითქმის ჩვენს დრომდე მეგრულს შემორჩა, როგორც ცალკე მდგომი ლექსიკური ერთეული, რაც „ოჯახს“, „სახლ-კარობას“, „გვარს“, „მოსახლეობას“ და „სახლს“ ნიშნავს. ასეთივე დანიშნულების უნდა ყოფილიყო თავის დროზე უძველესი ეთნოტოპონიმიკის მაწარმოებელი -ხი სუფიქსი ანუ ცალკე მდგომი ლექსიკური ერთეული, რომელიც საერთო იყო ქართველურ-იბერიულ-კავკასიური და ხური-ურარტული სამყაროსათვის.

7. -ხი სუფიქსი მეტად გავრცელებული ყოფილა ქართულ გვარსახელებშიც ორმაგი წარმოებით, ისეთებში, როგორიცაა: კობა-ხი-ძე//კობა-ხი-ა, კომა-ხი-ძე, სხულუ-ხი-ა, კორძა-ხი-ა, პერტა-ხი-ა, გოგო-ხი-ა, კუჭუ-ხი-ძე, ბობო-ხი-ძე, ჩომა-ხი-ა, კვინი-ხი-ძე, სადაც უძველესი ხ//ხი და გვიანდელი „ძე“ წარმოება ერთი და იმავე (საგვარეულო, შთამომავლობა, სახლი და ა. შ. - დ. ჭ.) მნიშვნელობისაა. აღსანიშნავია ასევე, რომ ზოგი -ხი-ზე დაბოლოებული ქართველური ტომის თვითსახელწოდება პირდაპირ გვარ-სახელადაც იხმარება. მაგალითად: მეს-ხია, მეს-ხი, მეს-ხი-შვილი, ჯავა-ხი-შვილი, ჯავა-ხა-ძე, ჯავა-ხი-ძე, ჯავახი-ა და როგორც ენათმეცნიერი გ. როგავა მიუთითებდა, -ხი ძველისძველი სუფიქსი ჩანს, რომელიც მოქმედი ყოფილა მაშინაც, როცა დაიწყო ბერძენი და ქართველი ტომების შეხვედრა“.[1] ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს მის უძველესობასა და ქართველური, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური და მათთან მონათესავე ძველაღმოსავლური ეთნოსებისადმი კუთვნილებაზე, რაც ზემოთ განხილულ ქართველური დასახლების აღმნიშვნელ სიტყვებთან უდავო კავშირშია.

8. ხი//ხა სუფიქსის უძველესობაზე მეტყველებს და თავდაპირველ მნიშვნელობას ხსნის მეგრულში მისი მდედრობითი სქესის სუფიქსად შემორჩენილობა, რომელიც კოლხურ გვარსახელებს ერთვის -ხე-ს სახით (მაგალითად, ჯაბუას ქალი იქნება ჯაბხე//ჯაბუხე, შე(ნ)გელიასი — შენგელხე//შეგელხე და სხვ.). აქედან გამომდინარე, ის გვარის აღმნიშვნელ მატრიარქატის დროინდელ ტერმინად უნდა მივიჩნიოთ.

9. ზემოთ წარმოდგენილ სიტყვებს, პარალელები მოეპოვება ინდოევროპულ ენებშიც, რომელიც თითქმის იმავე ფონეტიკური და აზრობრივი მნიშვნელობებით გვხვდება, თუმცა მათი ინდოევროპულობის დასამტკიცებლად არავითარი არგუმენტი არ არსებობს. წარმოდგენილი მასალის გათვალისწინებით დასაშვებად და რეალურად მიგვაჩნია ეს უძველესი ძირის სიტყვები ქართველური და ზოგადად იბერიულ-კავკასიური ენობრივი სამყაროს კუთვნილებად მივიჩნიოთ.

10. თუ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ოხორ//სახლი//ქორი//მუხური//მხარე//სამოხიო//სახევისკაცო//სახეისკაცო//ხევი-თავდაპირველ მნიშვნელობათა შესახებ სწორია, მაშინ, ვფიქრობთ, უფრო ადვილი იქნება „ხორ“ ფორმის შემცველი ტოპონიმების ინტერპრეტაცია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მრავლად გვხვდება: „კლუხორი“, „ჩიხორი“, „ხორენია“ (ჯავახეთში); „ხონოხორი“ (სათიბი ხორშში), „ხორგა“ (სოფელი ხობის მუ-

[1] **გ. როგავა**, ზოგიერთი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის// *ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, ტ. XIII, ქუთაისი, 1995, გვ. 6-8.

ნიციპ.), „ხორგული“ (ადგილი სოფ. ფოცხოში), „ხორგიში“ (სოფ. სენაკის მუნიციპ.), „ხორგიში“ (საძოვარი სოფ. თეკლათში), „ხორში“ (სოფელი სენაკის მუნიციპ.), „ხორშილი“ (ღელე სოფ. ცაიშში), „ხორხიშ(ი)“ (ტყე სოფ. ჭალეში); „ხორნაბუჯი“ (ციხე-სიმაგრე დედოფლისწყაროს მუნიციპ., თამარის ციხე), „ხორანთა“; „ხორჯინა“ მდინარე ტოლებში, ერთვის ხევისწყალს); „სახორისხევი“ (დუშეთის მუნიციპ., სოფელი ანისში, ღელეს სახელწოდებაა); „ხორეთი“ (ჩოჩხათის თემი), „ხორეთი“ (ტყე წითელგორაში), „ხორეთა“ (ადგილი, ტყე, საძოვარი ორაგვეთში), „ხორიე“ (გორაკი ორაგვეთში), „ხორისოული“ (ადგილი ჭანეთში, ზემო ონჭიკეთში), „ხოროჯინა“ (მდ. ტოლებში, ერთვის მდ. ხევისწყალს), „ხორ-ცისმერა“ (სათიბი ჭანეთში), „ხორციულა“ (მდინარე გოგოურში), „ხოხი“ (ადგილი, კლდე, წითელგორში).[1]

[1] **გრ. ზარდალიშვილი**, კლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის დადგენისათვის// *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 36, 1949, გვ. 145; **ალ. ღლონტი**, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 103-104; **ალ. ღლონტი**, ტოპონიმიკური ძიებანი, IV, თბ., 1982, გვ. 81; **ალ. ღლონტი**, ტოპონიმიკური ძიებანი, VI, თბ., 1990, გვ. 86; **ალ. ღლონტი**, ტოპონიმიკური ძიებანი, IX, თბ., 1995, გვ. 10; **ალ. ღლონტი**, ტოპონიმიკური ძიებანი, VIII, თბ., 1993, გვ. 57.

თავი II.

სამეგრელო. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სამეგრელო დასავლეთ საქართველოს ცენტრალურსა და დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. დასავლეთით მას შავი ზღვა ეკვრის; ჩრდილო-დასავლეთით მისი საზღვარი ძირითადად მდ.ენგურის ქვემო დინებაზე (შესართავიდან სოფ. ფახულანამდე), შემდეგ ოხაჩქუეს მასივზე და ჩრდილოეთით ეგრისის (სამეგრელოს) ქედის თხემზე გადის, მიუყვება ეგრისის ქედს აღმოსავლეთით გოდირაკილის ქედის და მდ.საწისქვილესწყლის და მდ.აბაშის წყალგამყოფი ქედის თხემამდე; აღმოსავლეთით — მდ.ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირს გასდევს; სამხრეთით — მდ.ცხენისწყლის შესართავიდან ჯერ მდ.რიონის მარჯვენა ნაპირს მიუყვება, შემდეგ მდ.რიონის მარცხენა მხარეზე გადადის და მდ.ფიჩორს ემთხვევა პალიასტომის ტბასთან მის შეერთებამდე, გასდევს ტბის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროს და შავ ზღვას ებჯინება.[1]

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, სამეგრელოში შედის: აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტები, ქალაქები — ზუგდიდი და ფოთი.

სამეგრელოს ჩრდილოეთით *ეგრისის ქედი* საზღვრავს. ეს არის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გასწვრივი გვერდითი ქედი, მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფი. მისი სიგრძეა 62 კმ, სიგანე 37 კმ. იგი ინტენსიურად არის დანაწევრებული მდინარეების — მაგანას, ჭანისწყლის, ტეხურის, ხობისწყლის და მათი შენაკადების ხეობებით. ქედის თხემზე და მისგან სამხრეთისაკენ გამოწვდილ შტოქედებზე აღმართულია მწვერვალები: *ოხაჩქუე* (2167 მ), *ურულაფუ* (2120 მ), *ოთიფურეშ-დუდი* (3040 მ), *დიდღალი-დუდი* (3167 მ), *ლაკუმურაშ-დუდი* (3111 მ), *ჭითაგვალა* (3226 მ), *კატახტიშ-დუდი* (2947 მ), *სამაჭირხოლო* (3170 მ), *ტეხურიშ-დუდი* (3001 მ), *ცეკური* (3178 მ), *გოდირაკილი* (2520 მ).[2]

ეგრისის (სამეგრელოს) ქედის სამხრეთით, მდინარეების ენგურის და ცხენისწყლის ხეობებს შორის, ვრცელდება ოდიშის ჩრდილო კირქვიანი ზოლი, რომელიც მდინარეების: ენგურის, მაგანას, ჭანისწყლის, ხობისწყლის და ტეხურის ხეობებით დაყოფილია *წულიშის* (1124 მ), *ყვირას* (2038 მ), *გაუჩას* (950 მ), *მიგარიას* (2024 მ) იზოლირებულ მასივებად. ამ ზოლს მიეკუთვნება *ოხაჩქუეს მასივი*, რომელიც ენგურის მარჯვენა ნაპირზეა; ასევე, *ასხის მასივის* უკიდურესი დასავლეთი ნაწილი, რომელიც მდინარეებს ტეხურსა და ცხენისწყალს შორის ტერიტორიას მოიცავს.[3] ასხის მასივის უმაღლესი მწვერვალია გოდირაკილის მთა (2520 მ).

მდინარეების ხობისწყლისა და ტეხურის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ ტეხურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფებს შორის, აღმართულია *ჯახუნაბუსა* (2759 მ) და *ყვირას* (2038 მ) შტოქედები. *ჯახუნაბუ* ერთმანეთთან აკავშირებს ეგრისის ქედსა და მიგარიას კარსტულ მასივს; *ყვირას ქედი* მდინარეების მაგანისა (ენგურის მარცხენა შენაკადი) და ინწრის (ჭანისწყლის მარცხენა შენაკადი) სათავეების წყალგამყოფია. უმაღლესი მწვერვალია *ყვირა* (2038 მ.). იგი ეგრისის ქედის თხემური ნაწილისა და *ასხის მასივის* დამაკავშირებელი ოროგრაფიული ერთეულია. ქედის სამხრეთ კალთაზე წიფლნარ-რცხილნარია, არის მუქწიწვიანებიც, მაღალ ნაწილში სუბალპური მდელოებია; მდინარეების ხობისწყლისა და მაგანას წყალგამყოფია მთა *ცაშკიბული*, რომელიც ეგრისის ქედის მთავარ წყალგამყოფსა და ყვირასა და გაუჩას კირქვულ მა-

---

[1] საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1. ფიზიკური გეოგრაფია, *მთავარი რედაქტორი ზურაბ ტატაშიძე*, თბ., 2000, გვ. 264; **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, თელავი, 2012, გვ. 22-23; **მ. ალფენიძე, კ. კორსანტია, რ. მაისურაძე, ე. ესებუა, ლ. მზარელუა,** ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, — *აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული,* ტ. 4, ოდიში, თბ., 2015, გვ. 56.

[2] **ლ. მარუაშვილი,** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 140; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1. ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 263-264.

[3] **ლ. მარუაშვილი,** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 142; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1. ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 264.

სივებს ერთმანეთთან აკავშირებს.[1]

სამეგრელო დასავლეთ კავკასიონისა და კოლხეთის ლანდშაფტური ოლქების საზღვრებში შედის. აქ ორი ლანდშაფტური ქვეოლქი გამოიყოფა — მთიანი სამეგრელო და ოდიშის ბარი. მთიანი სამეგრელო მოიცავს ეგრისის ქედის თხემურ ზოლს, მის სამხრეთ ფერდობებს და წულიშის, ყვირას, გაუჩას, მიგარიას და ასხის მასივებს. ოდიშის ბარში შედის: კოლხეთის დაბლობის ვრცელი უბანი — ოდიშის ვაკე-დაბლობი, ცენტრალური ოდიშის პლატო და მისი განაპირა გორაკბორცვიანი ზოლი.[2] მთიანი სამეგრელოს ერთ ნაწილს, ეგრისის ქედის მთისწინა ზოლს, რომელიც ენგურის მარცხენა ნაპირიდან ტეხურამდე აღწევს და მთისწინა სოფლებსაც მოიცავს, ლაკადას (ლაკად, სვან. „სანაჯახე", ანუ ტყიანი) ეძახიან. ადრე, გეოგრაფიული თვალსაზრისით, სამეგრელოს სამ ნაწილად ყოფდნენ: *ზემო სამეგრელო* — მთიანი ნაწილი, *შუა სამეგრელო* — ცენტრალური ოდიშის პლატო და მისი განაპირა გორაკბორცვიანი ზოლი, *ქვემო სამეგრელო* — ოდიშის ვაკე-დაბლობი.

ოდიშის ვაკე-დაბლობი კოლხეთის ლანდშაფტური ოლქის ცენტრალურ, ყველაზე დაბალ ნაწილს მოიცავს, რომელიც დასავლეთი ნაწილით შავ ზღვას ებჯინება. ცენტრალური ოდიშის პლატო მდებარეობს კოლხეთის ჩრდილო გორაკბორცვიანი განაპირა ზოლის საზღვრებში. მას დასავლეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით ეკვრის ურთის, ეკისა და უნაგირას მაღლობები.[3]

სამეგრელო ზომიერი და სუბტროპიკული კლიმატური სარტყლების საზღვარზე მდებარეობს. რთული რელიეფი და შავი ზღვის სიახლოვე მისი ჰავის წარმომქმნელი ძირითადი ფაქტორებია. სამეგრელოში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა გავრცელებული. ვაკე-დაბლობი და გორაკბორცვიანი ზოლი გამოირჩევა ნოტიო, თბილი ჰავით, უთოვლო ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. საშუალო და მაღალმთიანი ზოლისთვის დამახასიათებელია ზომიერად ცივი და ცივი ჰავა თოვლიანი ზამთრითა და ხანმოკლე ზაფხულით.[4] ნოტიო ჰავა და რთული რელიეფი ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელის არსებობას განაპირობებს. სამეგრელოზე გაედინება ტრანზიტული მდინარეები: ენგური, ცხენისწყალი, რიონი; უშუალოდ სამეგრელოს ადგილობრივი მდინარეებია: აბაშა, ნოღელა, ტეხური, ხობისწყალი, ჭანისწყალი, ჯუმი, ჩხოუში, ცივი, ჭურია და სხვ.

საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარეა ***ენგური*** (სიგრძე 221 კმ, აუზის ფართობი 4060 კმ^2), რომელიც სათავეს იღებს სვანეთში, შხარას მწვერვალის მყინვარ ენგურზე, ზღვის დონიდან 2614 მ-ზე და შავ ზღვას სოფელ ანაკლიასთან ერთვის.[5] მდინარის ძველი სახელწოდებაა *ეგური*, რასაც დიდი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758) თხზულება და გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს რამდენიმე საეკლესიო დოკუმენტი მოწმობს.[6] სახელწოდება *ეგური* უკავშირდება ეგრი ტომის სახელს, რომლის განსახლების ძირითად რეგიონს ამ მდინარის ქვემო წელი წარმოადგენდა, და ქვეყნის სახელს *ეგრისი* (ეგრული, ეგრისული წყალი).[7] ენგურის ქვემო დინების ერთი მონაკვეთი სამეგრელოს აფხაზეთისაგან გამოყოფს. ენგურის შე-

---

[1] **ლ. მარუაშვილი**, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II, თბ., 1970, გვ. 48; **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 31.

[2] საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1. ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 266; **ზ. სეფერთელაძე**, ლანდშაფტების დიფერენციაცია და ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, ანალიზი და სინთეზი, თბ., 1995.

[3] **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 102-105.

[4] **მ. კორძახია**, საქართველოს ჰავა, თბ., 1961; **ლ. მარუაშვილი,** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 217; **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 37.

[5] **ლ. მარუაშვილი**, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, თბ., 1969, გვ. 90; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1. ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 267; **თ. ბერაძე**, ენგური, ჟურნ. ,,საქართველოს ბუნება", 1988, №6, გვ. 2.

[6] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ*, ,,ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბ., 1973, გვ. 776, 779; ქართული სამართლის ძეგლები, *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ*, ტ. II, თბ., 1965, გვ. 179; ქართული სამართლის ძეგლები, *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ*, ტ. III, თბ., 1970, გვ. 648; **გ. ჩიტაია**, ხობის სიძველენი, თბილისი-ხობი, 2017, გვ. 167-168.

[7] **И. Кипшидзе**, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914, გვ. 217; **ზ. ჭუმბურიძე,** სადაც ვშობილვართ, გავზრდილვართ..., წიგნ. **ზ. ჭუმბურიძე**, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 444; **თ. ბერაძე**, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, წიგნ. **თ. ბერაძე**, შრომების კრებული სამ ტომად, ტ. I, თბ., 2018, გვ. 32.

სართავთან, მის მარცხენა ნაპირზე კურორტი ***ანაკლია*** მდებარეობს.

ანაკლია წყაროებში პირველად XVII საუკუნეში იხსენიება, მაგრამ უეჭველად დიდი ხნით ადრე არსებობდა. საბუთებში და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში ის ანაკრიას სახელით იხსენიება.[1] შუა საუკუნეებში ის ოდიშის სამთავროს მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო. 1703 წელს მას თურქები დაეუფლნენ და აქ ციხე ააგეს, რომელიც 1723 წელს უფრო მეტად გაამაგრეს. ოსმალთა ხელში ანაკლია ტყვეებით ვაჭრობის ბუდედ გადაიქცა. XIX საუკუნის დასაწყისში თურქებისა და მათი ხელდებული აფხაზთა მთავრის მფლობელობისაგან განთავისუფლების შემდეგ ანაკლია სამეგრელოს სამთავროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა.[2] ანაკლია, ზღვის სანაპირო ზოლით, ჰავითა და კლიმატური თავისებურებებით, საუკეთესო კურორტია.

ანაკლიის აღმოსავლეთით, ენგურის ნაპირზე, სოფელი ***კოკი*** მდებარეობს. კოკი სათემო ცენტრია, იგი ორ სოფელს — კოკსა და ხურჩას აერთიანებს. შუა საუკუნეებში მას *კადარი* ეწოდებოდა. იგი წყაროებში პირველად XVII საუკუნეში იხსენიება. სოფელში შემორჩენილია ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ნანგრევები. ამ ადგილს დღესაც კადარეს ეძახიან.[3]

ენგურის ქვემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე ***რუხის ციხე-სიმაგრე*** დგას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ანაკრიის აღმოსავლით, ამ მდინარეზედ (ენგურზე, - ბ.ხ.) არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე“.[4] ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ციხე-სიმაგრე 1647 წელს ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657) აუგია. იგი სამთავროს პოლიტიკურ ცენტრს, ზუგდიდს, დასავლეთიდან იცავდა, ამასთანავე ზღვიდან ციხემდე ნავები ამოდიოდა. რუხში ციხე-სიმაგრის აგება სწორედ სამთავროს პოლიტიკურ ცენტრთან (8 კმ) და ზღვასთან (34 კმ) სიახლოვემ და მდ.ენგურზე ნაოსნობის შესაძლებლობამ განაპირობა.[5] ციხესიმაგრე ნაგებია რიყის ქვით. იგი შედგებოდა ციტადელისა და ქვემო ეზოსაგან, რომლებიც ერთმანეთთან ფართო კარებით იყო დაკავშირებული. ციხესიმაგრის გალავანი 10-12 მ სიმაღლის იყო მთელ სიგრძეზე და ყრუ კედელს წარმოადგენდა. მის ზემო ხაზზე საბრძოლო ბილიკი გადიოდა.[6]

ენგურის მნიშვნელოვანი შენაკადებია *მაგანა* და *ჯუმი*. მდინარე ***მაგანა*** (სიგრძე 24 კმ, აუზის ფართობი 141 კმ^2) სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2460 მ სიმაღლეზე, გაედინება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მდ. ენგურს მარცხენა მხრიდან, ქ. ჯვართან ერთვის. ***ჯვარი*** წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შედის. მან ქალაქის სტატუსი 1981 წელს მიიღო. აქ შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები; სვანეთისკენ მიმავალ გზაზე დგას XIII-XV სს. კოშკი.[7] ენგურზე აგებულია ჰიდროელექტროსადგური. მის შემადგენლობაში შედის კაშხალი, რომელიც ჯვართან წყალსაცავს ქმნის. ***ჯვრის წყალსაცავი*** მდინარის ჩამონადენის რეგულირებისა და ენერგეტიკული მიზნებით შეიქმნა. მისი ზედაპირის ფართობია 13,5 კმ^2, სიგრძე — 30 კმ, სიღრმე — 226 მ, წყლის მოცულობა 1100 მლნ. მ^3 შეადგენს.[8]

მდინარე მაგანის სათავეებში, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2650 მ სიმაღლეზე მყინვარული (კარული) წარმოშობის ულამაზესი *ტბა* ***ტობავარჩხილი*** (ვერცხლის ტბა) მდებარეობს. ოფიციალურად მას *ჭითაგვალაშ ტობა* ჰქვია. მისი სარკის ფართობია 0,21 კმ^2, წყლის მოცულობა 3,3 მ^3, საშუალო სიღრმე 15,8 მ, მაქსიმალური სიღრმე 35 მ. საზრდოობს თოვლის,

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 779; **გ. არახამია**, ,,ბიჭვინტის იადგარი“ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბ., 2009, გვ. 80.

[2] **Т. Н. Берадзе**, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 28-29; **ა. ტუღუში**, ანაკლიის ისტორია, ზუგდიდი, 1991, გვ. 19.

[3] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007, გვ. 169.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 779.

[5] **Т. Н. Берадзе**, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 238; **თ. ბერაძე**, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, წიგნ. **თ. ბერაძე**, შრომების კრებული სამ ტომად, ტ. I, გვ. 78.

[6] **П. П. Закарая**, Древние города и крепости Грузии, Тб., 1982, გვ. 64-65.

[7] **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010, გვ. 374-375.

[8] **მ. ალფენიძე, კ. კორსანტია, რ. მაისურაძე, ე. ესებუა, ლ. მზარელუა,** ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, გვ. 66.

წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით.[1] ტბიდან სათავეს იღებს მდ. მაგანა, რომელიც მის სიახლოვეს ულამაზეს კანიონსა და ჩანჩქერს ქმნის. ეგრისის ქედზე კიდევ რამდენიმე მცირე ზომის მყინვარული ტბაა: *დიდღალიშ ტობა* (ზ. დ. 2600 მ), *კალალიშ ტობა* (ზ. დ. 2540 მ), *წაქაწყარიშ ტობა* (ზ. დ. 2700 მ), *ცაშკიბულიშ ტობა* (ზ. დ. 2550 მ), *დიდი ტობავარჩხილი* (ზ. დ. 2292 მ) და სხვ.

მდინარე ***ჯუმი*** (სიგრძე 61 კმ, აუზის ფართობი 379 კმ^2) სათავეს ეგრისის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, ზ. დ. 310 მ სიმაღლეზე იღებს და სოფელ დარჩელთან ენგურს მარცხენა მხრიდან ერთვის. ჯუმის მარჯვენა ნაპირზე, ურთის მთის ძირას, მდებარეობს ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელშიც შედის ღვთისმშობლის გუმბათოვანი ტაძარი, ორსართულიანი სამრეკლო და საეპისკოპოსო სასახლე. კომპლექსს შემოვლებული აქვს ფართო და მაღალი გალავანი. ცაიშის ტაძარი საეპისკოპოსო კათედრალს წარმოადგენდა. ცაიშის საეპისკოპოსო ერთ-ერთი უძველესი ეპარქიაა საქართველოში. საისტორიო წყაროებში ის VI-VII საუკუნეებიდან იხსენიება. საფიქრებელია, რომ იმდროინდელი საეპისკოპოსო ტაძრის ადგილას, X-XI სს. მიჯნაზე ააგეს დარბაზული ეკლესია; მისი დანგრევის შემდეგ, XIII-XIV სს. მიჯნაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც 1614 წელს მიწისძვრამ დაანგრია. ოდიშის მთავრის ლევან II დადიანისა (1611-1657) და აფხაზეთის კათალიკოსის მალაქია გურიელის თაოსნობით 1616-1619 წლებში ტაძარი აღადგინეს. იმავე ხანებში ტაძარი შიგნიდან მთლიანად მოხატეს. ტაძრის გალავნის გარეთ შემორჩენილია საეპისკოპოსო სასახლის ნანგრევები.[2]

ჯუმის მარჯვენა შენაკადია მდინარე ***ჩხოუში*** (სიგრძე 41 კმ, აუზის ფართობი 119 კმ^2), რომელიც სათავეს ეგრისის ქედის მთისწინეთში იღებს. იგი მდ.ჯუმს სოფელ დიდი ნეძის მიდამოებში ერთვის. მდინარე ჩხოუშის ნაპირებზე, ოდიშის დაბლობზე, გაშენებულია ქალაქი ***ზუგდიდი***. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ზუგდიდი“ მომდინარეობს ზურგ-დიდიდან (ე. ი. დიდი გორა) ან გეოგრაფიული სახელწოდებიდან ზუბი (ზუბ-დიდი). ზუგდიდი წყაროებში პირველად XVI საუკუნის ამბების თხრობისას იხსენიება. XVI-XIX სს. ის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი იყო. მიჩნეულია, რომ ძველი ზუგდიდი მდებარეობდა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით იმ ბორცვზე, რომელიც „მანცხვარკარის“ (მაცხოვრის კარი) სახელითაა ცნობილი. აქ დგას კვირაცხოვლობის სახელობის XIII საუკუნის ეკლესია, რომელსაც ერში „მანცხვარკარის“ ეკლესიას უწოდებენ.[3]

ზუგდიდის ცენტრში მდებარეობს ბოტანიკური ბაღი, რომელსაც საფუძველი სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა და დედოფალმა ეკატერინე ჭავჭავაძემ ჩაუყარეს როგორც სასახლის ბაღს. აქვე მდებარეობს დადიანთა სასახლეები (XIX ს.) და ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც 1830 წელსაა აგებული. ზუგდიდის კეთილმოწყობას დიდი ყურადღება მიაქციეს სამეგრელოს მთავრებმა ლევან V დადიანმა (1805-1840) და დავით დადიანმა (1840-1853). XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ზუგდიდი გაფართოვდა, დამშვენდა, მოსახლეობა გაიზარდა. დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით შეიქმნა ზუგდიდის მაზრა, რომელშიც დ.ზუგდიდი შედიოდა. ყირიმის ომის (1853-1856) დროს, 1855 წლის ოქტომბერში, ზუგდიდი თურქთა ჯარმა დაიკავა. ნოემბერში ქართველთა სახალხო ლაშქარმა გენერალ-მაიორ გრიგოლ დადიანის მეთაურობით ზუგდიდი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა, თუმცა თურქებმა მას დიდი ზიანი მიაყენეს, გაძარცვეს და გადაწვეს იგი, დაწვეს მთავრის სასახლე, გაჩეხეს მთავრის ბაღი. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროს, 1857 წლის

---

[1] **ლ. მარუაშვილი,** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 145-146; **მ. ალფენიძე, კ. კორსანტია, რ. მაისურაძე, ე. ესებუა, ლ. მზარელუა,** ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, გვ. 63-64.

[2] **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, წიგნ. **ე. თაყაიშვილი**, თხზულებანი, 4, თბ., 2017, გვ. 154; **პ. ზაქარაია**, ქართული ცენტრალურგუმბათოვანი არქიტექტურა XI-XVIII სს., თბ., 1981, გვ. 89-163; **პ. ზაქარაია**, ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს., თბ., 1990, გვ. 171-205; **ა. ტუღუში**, ცაიშის საეპისკოპოსო, ზუგდიდი, 2001, გვ. 4-36; **გ. კალანდია**, ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბ., 2004, გვ. 28-34; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 81-95.

[3] **შ. მესხია**, ,,ზუგდიდი“ თუ ,,ზუბდიდი“, წიგნ.: **შ. მესხია**, საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1986, გვ. 263-270; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, გვ. 12-17; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 171-177.

მაისში, აჯანყებულებმა სამი დღის ბრძოლის შემდეგ დაიკავეს და ერთი თვის განმავლობაში ფლობდნენ მას. რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, 1857 წლის სექტემბრიდან, ის სამეგრელოს დროებითი მმართველობის და ზუგდიდის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 1857-1861წწ. ზუგდიდის ოკრუგის უფროსი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი, რომელმაც ზუგდიდს ღრმა კეთილისმყოფელი კვალი დაამჩნია. სამეგრელოს სამთავროს ოფიციალურად გაუქმების შემდეგ, 1867 წელს, შეიქმნა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ზუგდიდის მაზრა, რომელიც ყოფილი სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. მისი ადმინისტრაციული ცენტრი დ.ზუგდიდი იყო. 1867-1917წწ. ზუგდიდის მაზრა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროსაც არსებობდა ზუგდიდის მაზრა ადმინისტრაციული ცენტრით დ.ზუგდიდში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წელს, ზუგდიდს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. 1921-1930წწ. ქ. ზუგდიდი კვლავ ზუგდიდის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან — ზუგდიდის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1933 წლის 25 თებერვალს ზუგდიდში საქალაქო საბჭო შეიქმნა. 1967 წლის 16 მაისს ქ. ზუგდიდი გამოეყო ზუგდიდის რაიონს და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაიქმნა. 2007 წლიდან ქ.ზუგდიდი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.[1]

ენგურის სამხრეთ-დასავლეთით ზღვას პატარა მდინარე ჭურია უერთდება. მდინარე ***ჭურია*** (სიგრძე 12 კმ, აუზის ფართობი 296 კმ^2) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაედინება, იგი ტიპური ჭაობის მდინარეა, იქმნება მდინარეების მუნჩიისა და ოჩხომურის შეერთებით და შავ ზღვას ყულევის დასავლეთით ერთვის. მდ. ჭურიის მარჯვენა ნაპირზე, ოდიშის ვაკეზე, სოფელი ***თორსა-დღვაბა*** მდებარეობს. თორსა-დღვაბას თემი სამი სოფლისაგან შედგება: თორსა, დღვაბა და საბუკიო. სოფელში შემორჩენილია გვიანი ბრინჯაოს ხანის (II-I ათასწლეული) კოლხური ნამოსახლარები, ხელოვნური მიწაზვინულები, დიხაგუძუბები; აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, ადრერკინის ხანის სამაროვანი.[2] მდინარეებს ჭურიასა და რიონს შორის შავი ზღვის სანაპირო ზოლი ჭაობიანია, აქ გავრცელებულია კოლხური ჭაობიანი ტყეები, სადაც კოლხური ხოხობი (ლათ. Phasianus colchicus) ბუდობს. კოლხური ხოხობის სამშობლო კოლხეთის დაბლობია. ის ქათმისნაირ ფრინველთა რიგს ეკუთვნის და მეტად ლამაზი გარეგნობა და შეფერილობა აქვს. ძველმა ბერძნებმა კოლხეთიდან გაიყვანეს და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მდ.რიონის ძველი ბერძნული სახელიდან ფაზისი (Phasis) მომდინარეობს მისი ლათინური სახელწოდება Phasianus („ფასიანუს“, ანუ ფრინველი ფაზისიდან), ასევე ჰქვია მას უმრავლეს ევროპულ ენებზე.[3]

ენგურის სამხრეთ-აღმოსავლეთით ***ჭანისწყალი*** მოედინება. ჭანისწყალს (სიგრძე 63 კმ, აუზის ფართობი 315 კმ^2) სათავე აქვს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დონიდან 1960 მ სიმაღლეზე და ხობისწყალს მარჯვენა მხრიდან სოფელ ბიას მახლობლად ერთვის.

ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე ქალაქი ***წალენჯიხა*** მდებარეობს. მისი მეგრული სახელწოდებაა „წენდიხა“, ხოლო ჭანისწყლის — „წენწყარი“. მიჩნეულია, რომ „წანი“ ერთ-ერთი დასავლურქართული ტომის „ჭანის“ სახესხვაობაა. ამდენად, წალენჯიხა „ჭანების სამკვიდროს“, ჭანების ციხეს (ჯიხას) ნიშნავს, ხოლო მდინარეს, რომელიც აქ გაედინებოდა — ჭანისწყალი „ჭანების მდინარე“ ეწოდა.[4] წალენჯიხის აღმოსავლეთით, მაღალ გორაკზე დგას მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის გუმბათოვანი ტაძარი (X-XI სს.). ტაძარში შემორჩენილია XIV-XVII სს. ფრესკული

---

[1] **ა. მიქავა**, ზუგდიდი, გზამკვლევი. თბ., 1966; **მ. პაჭკორია**, ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 48-52; **შ. მესხია**, ,,ზუგდიდი“ თუ ,,ზუბდიდი“, გვ. 263-270; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, გვ. 12-17; **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, თბ., 2012.

[2] **გ. ჩიტაია**, ხობის მუნიციპალიტეტი. ხობი, 2019, გვ. 32-33; **გ. ჩიტაია**, ხობის სიძველენი, გვ. 149-153.

[3] **მ. კუტუბიძე**, კოლხური ხოხობი, ქსე, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 598.

[4] **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 336; **პ. გაბისონია**, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის და ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები (I-V საუკუნეები), ,,ქართული წყაროთმცოდნეობა“, XIX-XX, 20127/2018, გვ. 37-38.

მოხატულობა. XVII საუკუნეში წალენჯიხის ტაძარი საეპისკოპოსო ცენტრი გახდა.[1] ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „მთის ძირზედ, არის ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღუამდე“.[2] XIII-XIV სს. წალენჯიხაში იყო ოდიშის ერისთავების, დადიანების, ერთ-ერთი რეზიდენცია, აქ ჰქონდათ სასახლე და საჭურჭლე.

დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით სოფელი წალენჯიხა ჯვარის მაზრაში შედიოდა, ხოლო 1867-1917წწ. — ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს სოფელი წალენჯიხა ისევ ზუგდიდის მაზრაშია. 1921 წლიდან ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1929 წლიდან წალენჯიხის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან წალენჯიხის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში წალენჯიხა ჩაის გადამუშავების ერთ-ერთ ცენტრად გადაიქცა, რამაც ხელი შეუწყო დასახლების ურბანიზაციას. 1957 წელს სოფელ წალენჯიხა ქალაქის ტიპის დასახლებად, დაბად, გარდაიქმნა. 1964 წლის 25 იანვარს დაბა წალენჯიხამ რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო.[3] 2007 წლიდან ქ.წალენჯიხა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.

ჭანისწყლის ზემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე, სოფელი ***ჯგალი*** მდებარეობს. სოფელში შემორჩენილია ციხე, რომელიც საისტორიო წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება; შუა საუკუნეებში აქვე იყო წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. ჯგალი სათემო ცენტრია, იგი ხუთ სოფელს აერთიანებს: ჯგალი, ლესალე, ლეხარჩილე, ლეკაკულე და ლეთკანთი.

ჭანისწყლის ულამაზეს ხეობაში, ზღვის დონიდან 450-500 მ-ზე კურორტი ***სქური*** მდებარეობს. აქ გამოედინება ბუნებრივი მინერალური წყალი. ჭანისწყლის მარცხენა ნაპირზე, სქურის ტერიტორიაზე დგას დარბაზული ეკლესია (IX-X სს.), სქურის ციხე (XII ს.), მაცხოვრის შობის სახელობის ფეოდალური ხანის ეკლესია.[4] ჭანისწყლის შუა წელზე, მის მარჯვენა ნაპირზე, გორაკზე დგას ***ჭაქვინჯის ციხე***, რომელიც IV-Vსს. აგებული. შუაფეოდალურ ხანაში ციხე ოდიშის საერისთავოს ცენტრი იყო. იგი აფხაზეთიდან, სვანეთიდან, იმერეთიდან, შავი ზღვიდან მომავალ გზათა შესაყარზე მდებარეობდა. ციხეში შემორჩენილია დადიანთა სასახლისა და კარის ეკლესიის ნანგრევები.[5] XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აქ შეიქმნა სოფელი, რომელსაც ჯიხასკარი ეწოდა.

ენგურის სამხრეთ-აღმოსავლეთით დიდი მდინარეა ***ხობისწყალი*** (სიგრძე 150 კმ, აუზის ფართობი 1340 კმ^2). იგი სათავეს იღებს ეგრისის ქედზე, მთა ლაკუმურასთან (*ლაკუმურაშ-დუდი*), ზღვის დონიდან 2326 მ სიმაღლეზე, მიედინება კოლხეთის დაბლობზე და შავ ზღვას სოფელ ყულევთან შეერთვის.[6] ვახუშტი ბატონიშვილი მას „ხორგის წყალს“ უწოდებს და აღნიშნავს: „მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა“.[7] ხორგა ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა მდ. ხობისწყლის ორივე მხარეს ხობიდან ყულევამდე. აქ იყო აფხაზეთის კათალიკოსის სასახლე. საისტორიო წყაროებში პირველად XVII საუკუნეში იხსენიება როგორც „ხომალდების სადგომი“.[8]

---

[1] **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 194-209; **ი. ლორთქიფანიძე**, წალენჯიხის ტაძრის მოხატულობა, ჟურნ. ,,საბჭოთა ხელოვნება“, 1977, №12, გვ. 57-63; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 335-344.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 778.

[3] გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი“, №11, 1964 წ. 25 იანვარი.

[4] **ა. მიქავა**, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების ისტორიული ძეგლები, ჟურნ. ,,საბჭოთა ხელოვნება“, 1964, №1, გვ. 56; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 352-353.

[5] **თ. ბერაძე**, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 72-73; **პ. ზაქარია, თ. კაპანაძე**, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991, გვ. 153-156; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 139-142.

[6] **თ. ბერაძე**, ხობისწყალი, ჟურნ. ,,საქართველოს ბუნება“, 1989, №11, გვ. 7.

[7] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 778.

[8] **ს. ჯანაშია**, შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, წიგნ. **ს. ჯანაშია**, შრომები, VI, თბ., 1988, გვ. 274, 277.

მდინარე ხობისწყლის ქვემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ნოჯიხევში, ***ხობის მონასტერი*** მდებარეობს. სამონასტრო კომპლექსში შედის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, სასახლე და გალავანი. ტაძარი XIII-XIV სს. მიჯნაზეა აგებული ოდიშის ერისთავის გიორგი I დადიანის (გარდ. 1323 წ.) მიერ. იგი ოდიშის ერისთავების დადიანების საძვალეს წარმოადგენდა. ტაძარი დარბაზული ტიპისაა, ინტერიერი მოხატულია XIII-XVII სს. ფრესკებით. როგორც ირკვევა, იგი აგებულია ნატაძრალზე, რომელიც X-XI სს. თარიღდება. ტაძარში 1923 წლამდე დასვენებული იყო ქრისტიანობის უდიდესი სიწმიდე — ღვთისმშობლის კვართი, აგრეთვე იოანე ნათლისმცემლის, წმ. გიორგის, წმ. მარინეს, წმ. კვირიკეს წმიდა ნაწილები.[1] ხობისწყლის პირას, 554 წელს ბიზანტიელებმა ღალატით მოკლეს ეგრისის (ლაზიკის) მეფე გუბაზ II (დაახლ. 540-554წწ.). გადმოცემით, ეს ამჟამინდელ ხობის მონასტერთან მომხდარა და აქ გუბაზ მეფის სულის მოსახსენიებლად ეკლესია აუგიათ.[2]

ხობისწყლის ქვემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქი ***ხობი*** მდებარეობს. თავდაპირველად, ხობი ეწოდებოდა ღვთისმშობლის ტაძარს და მის მიმდებარე ტერიტორიას. აქედან მიიღო სახელწოდება მდინარემაც, რომელიც ხობის ტაძართან მიედინება. დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით სოფელი ხობი ზუგდიდის მაზრაში შედიოდა. 1867-1917 წლებში იგი ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის შემადგენლობაშია. XIX საუკუნის შუა ხანებში, როდესაც სენაკი-ზუგდიდის გზატკეცილი გაიყვანეს, ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე გაჩნდა დასახლება ხობის სახელწოდებით, რომელიც ნოჯიხევის თემში შედიოდა. XX ს. 20-იან წლებში იგი დამოუკიდებელ დასახლებად გადაიქცა. 1923 წლიდან სოფელი ხობი ზუგდიდის მაზრის ხობის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია; 1929 წლიდან ხობის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან — ხობის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. 1961 წელს მას დაბის, ხოლო 1981 წელს რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიენიჭა. 2007 წლიდან ქ. ხობი ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.[3]

მდინარეებს ხობისწყალსა და ჯუმს შორის, მათ ქვემო წელში, კოლხეთის დაბლობის ჩრდილოეთ ნაწილში ***ურთის მთა*** (446 მ) მდებარეობს. იგი შემოსილია წიფლნარით, შემონახულია დაფნის ბუნებრივი ტყის ნაშთები. მთის კალთებზე ბევრი მღვიმე და გამოქვაბულია. ქვის ხანაში მათი ნაწილი საცხოვრისად, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში სახიზრებად გამოიყენებოდა. მთაზე მდებარეობს შუა საუკუნეების წმ. გიორგის არქიტექტურული კომპლექსი „ჯეგეთა“. იგი შედგება ეკლესიის, სასახლის, გალავნისა და სხვა ნაგებობათა ნაშთისაგან.[4]

ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთის ძირას სოფელი ხეთა მდებარეობს. სოფლის მახლობლად, გაშლილ ველზე ციხე-სიმაგრის ნაშთებია შემორჩენილი. აქვე იყო სასახლე, და კარის ეკლესია.[5] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა“.[6]

სოფელ ხეთის ტერიტორიაზე, ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე კარსტული წარმოშობის პატარა ***პაპანწყვილის ტბა*** მდებარეობს. ტბის სარკის ფართობია 0,62 ჰა, მაქსიმალური სიღრმე — 7 მ. ტბის წყალი ცისფერი და გამჭვირვალეა. გამდინარე ტბა წვიმისა და მი-

---

[1] **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 126-127; **ვ. ბერიძე**, ხობის ტაძრის ისტორიისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1973, №2, გვ. 73-81; **გ. კალანდია**, ოდიშის საეპისკოპოსოები, გვ. 149-184; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 269-292; **გ. ჩიტაია**, ხობის სიძველენი, გვ. 9.

[2] **გ. ჩიტაია**, ხობის სიძველენი, გვ. 6-7.

[3] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III. ხობის რაიონი, ქ. ფოთი. თბ., 2007, გვ. 18-19; **გ. ჩიტაია**, ხობის მუნიციპალიტეტი, გვ. 21-23.

[4] **გ. ჩიტაია**, ხობის მუნიციპალიტეტი, გვ. 8-9; **გ. ჩიტაია**, ხობის სიძველენი, გვ. 94-97.

[5] **თ. ბერაძე**, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, წიგნ. **თ. ბერაძე**, შრომების კრებული სამ ტომად, ტ. I, გვ. 81; **გ. ჩიტაია**, ხობის მუნიციპალიტეტი, გვ. 113-115; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 292-294.

[6] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 778.

წისქვეშა წყლებით საზრდოობს.[1]

ხობისწყლის შესართავთან სოფელი ***ყულევი*** მდებარეობს. შუა საუკუნეებში მას *კემხელი* ერქვა. პირველად იგი ოდიშის ერისთავის შამადავლე დადიანის (1470-1474წწ.) სიგელში იხსენიება. XVIII ს. 30-იან წლებში თურქებმა აქ კოშკი (თურქ. კულე) ააგეს. ამ დროიდან, თურქები სოფელს კულეს, ხოლო ქართველები ყულევს ეძახდნენ. 1804 წელს რუსებმა დაიკავეს ხობისწყლის შესართავი, სადაც პატარა სიმაგრე (რედუტი) და ნავსადგური ააგეს. რუსებმა თურქული კულე (კოშკი) გაიაზრეს როგორც „კალე“ (ციხე) და სიმაგრეს „რედუტ-კალე“ უწოდეს. ამ დროიდან სოფლის სახელი *კემხელი* რედუტ-კალემ შეცვალა. აქ აგებულმა მცირე ნავსადგურმა XIX ს. I ნახევარში რედუტ-კალე გახადა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანზიტო პუნქტი, ევროპისთვის ნამდვილი „საზღვაო კარიბჭე“ ამიერკავკასიაში. 1840 წელს მას ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ყირიმის ომის (1853-1856) დროს, 1856 წელს თურქებმა უკანდახევისას იგი გადაწვეს. ამის შემდეგ მის აღდგენაზე არავის უზრუნია. XIX ს. 60-იან წლებში ფოთის ნავსადგურის მშენებლობისა და 1872 წელს თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ მან პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა. 1918 წელს სოფელს ყულევი დაერქვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ჰქონდა. 2008 წელს აქ საზღვაო ტერმინალი აშენდა, რომელსაც წელიწადში 10 მლნ. ტონა ნავთობპროდუქტების გადატვირთვის შესაძლებლობა აქვს.[2] სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები.[3] ყულევის ტერიტორიაზე, ზღვასთან შეერთებამდე 300-400 მ დაშორებით მდ.ხობისწყალს მარცხენა მხრიდან ჭაობის მდინარე ***ცია*** უერთდება.

ხობისწყლის ზემო წელში, იქ, სადაც მდინარე მთებიდან გამოდის, სოფელი ***მუხური*** მდებარეობს. მუხური შესანიშნავი საბავშვო კურორტია. აქ ხობისწყლის ხეობის ნაზი ჰავაა, რომელიც ზღვისა და მთის ჰაერის ნაზავს წარმოადგენს. სოფლის ჩრდილოეთით, ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სამკურნალო მინერალური წყალი ***ლუგელა*** გამოედინება. აქვე ახლოს არის კარსტული მღვიმე *შურუბუმუ*, რომელიც ლუგელას ხეობაში იღებს სათავეს და ათეულ კილომეტრზეა განვითარებული. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია ანტიკური ხანის დასახლების ნაშთები, სადაც ტერასული მიწათმოქმედება იყო განვითარებული.[4] მუხური ქართული მეფუტკრეობის ერთ-ერთ ცენტრად ითვლება. ქართული მთის რუხი ფუტკრის წმინდა სახით გავრცელების ერთ-ერთი კერა ხობისწყლის ხეობაა. ამ ფუტკარმა პოპულარობა თვინიერებით, პროდუქტიულობითა და ხორთუმის სიგრძით მოიპოვა. ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე, ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, სოფლების მუხურისა და თაიას თავზე, ***ოცინდალეს ეკლესია*** მდებარეობს. ოცინდალეს წმ. გიორგის ეკლესია წარმოადგენს დარბაზული ტიპის ერთნავიან ნაგებობას. იგი XIV-XV სს. თარიღდება. მას გარს შემოვლებული ჰქონდა გალავანი, რომლის ნაშთი შემორჩენილია. ტაძარი მოხატული იყო ფრესკებით. გვიან შუა საუკუნეებში და XIX საუკუნეშიც ოდიშის სამთავროს ეკლესიების ძვირფასეულობის ნაწილი აქ ინახებოდა.[5]

ხობისწყლის შუა წელზე, მის მარცხენა ნაპირზე, ოდიშის დაბლობზე დაბა ***ჩხოროწყუ*** მდებარეობს. სახელწოდება „ჩხოროწყუ“ „ცხრა წყაროს“ ნიშნავს. გადმოცემით, აქ ცხრა წყარო გამოედინებოდა. როგორც დასახლებული პუნქტი, XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან იხსენიება. 1867-1917წწ. სოფელი ჩხოროწყუ ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში შედიოდა. სა-

---

[1] **მ. ალფენიძე**, **კ. კორსანტია**, **რ. მაისურაძე**, **ე. ესებუა**, **ლ. მზარელუა**, ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, გვ. 65.

[2] **Т. Н. Берадзе**, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 29-30; **მ. პაჭკორია**, რედუტ-კალე. თბ., 1968, გვ. 10-17; **მ. პაჭკორია**, ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 33-39; **გ. ჩიტაია**, ხობის მუნიციპალიტეტი, გვ. 45-46.

[3] **გ. ჩიტაია**, ხობის სიძველენი, გვ. 120.

[4] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 2002, გვ. 13.

[5] **თ. ბერაძე**, ოცინდალეს ძეგლი, ,,მოამბე“, I. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-შემოქმედებითი ჟურნალი, ჩხოროწყუ, 2012, გვ. 12.

ქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს ისევ ზუგდიდის მაზრაშია. 1921 წლიდან ზუგდიდის მაზრის ჩხოროწყუს რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1929 წლიდან ჩხოროწყუს მაზრის, ხოლო 1930 წლიდან ჩხოროწყუს რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1959 წლის დეკემბერში სოფელი ჩხოროწყუ დაბად გარდაიქმნა. 2007 წლიდან დ.ჩხოროწყუ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.

ხობისწყლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაკადია ***ოჩხომური*** (სიგრძე 47 კმ, აუზის ფართობი 159 კმ^2). იგი სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ჯვარის მთის სამხრეთ ფერდობზე, ზ. დ. 1400 მ სიმაღლეზე და ხობისწყალს მარცხენა მხრიდან სოფელ ლესიჭინესთან ერთვის. სახელწოდება გაფორმებულია -ო და -ური პრეფიქს-სუფიქსით და „სათევზაოს“ ნიშნავს. ოჩხომურის ზემო წელში, მის მარცხენა მხარეს, გორაკ-ბორცვიან ზოლში სოფელი ***ჭოღა*** მდებარეობს. ჭოღა სათემო ცენტრია, იგი სამ სოფელს აერთიანებს: პირველ ჭოღას, მეორე ჭოღას და ლექობალეს. ჭოღა ამ სოფლების ძველი სახელწოდებაა. აქ აღმოჩენილია რკინის მეტალურგიის კერა, რომელიც ძვ. წ. IX-VII სს. თარიღდება. როგორც ირკვევა, ჭოღა რკინის წარმოების ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო კოლხეთში.[1] სოფლის მიდამოებში არის მღვიმე ყალიჩონა, რომელიც მეტად საინტერესოა გეომორფოლოგიური თვალსაზრისით. იგი რამდენიმე დარბაზისგან შედგება, სადაც გვხვდება სტალაქტიტები და სტალაგმიტები. აქვე აღმოჩნდა ადამიანთა ცხოვრების ნაკვალევი.[2]

ხობისწყლის მარცხენა შენაკადია ზანა (ქვემო წელში ზანაძგა). მდინარე ***ზანა*** (სიგრძე 42 კმ, აუზის ფართობი 70 კმ^2) სათავეს იღებს ეგრისის ქედის მთისწინეთში, ზ. დ. 341 მ სიმაღლეზე და ხობისწყალს მარცხენა მხრიდან სოფელ ხორშთან ერთვის.

ხობისწყლის აღმოსავლეთით შედარებით პატარა მდინარე ***ცივი*** (მეგრულად ***ცი***) მოედინება. ცივი (სიგრძე 60 კმ, აუზის ფართობი 199 კმ^2) სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ მთისწინეთში, 363 მ სიმაღლეზე და მდ.რიონს მარჯვნიდან სოფ.თეკლათის მიდამოებში ერთვის. მდინარის სახელწოდება მომდინარეობს თელას მეგრული სახელისაგან (ცი, მეგრ. „თელა“). მდ.ცივის მარცხენა მხარეს, ეკის მთის კალთებზე ისტორიული სოფელი ***ეკი*** მდებარეობს. იგი წყაროებში პირველად XVII ს. 20-იანი წლებში იხსენიება.[3] სოფელში, მდ. ცივის მახლობლად, მაღალ მთაზე აღმართულია ციხე, რომელიც IV-V სს. თარიღდება. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთაზე მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის ერთნავიანი ეკლესია (IX-Xსს.) და მისი სამონასტრო კომპლექსი; სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში — მაცხვარკარის (XIIIს. II ნახ.) ეკლესია.[4] სოფელში აღმოჩენილია ანტიკური ხანის მონეტების განძი.[5]

მდინარე ცივის ქვემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე, ცივსა და ხობისწყალს შორის სოფელი ***ხორში*** მდებარეობს. ხორში სათემო ცენტრია, თემში შედის სოფლები შუა ხორში, დიდი ხორში, პატარა ზანა, საადანაიო, საგუგუნავო და ციზეთი.

ცივის მარცხენა ნაპირს, სოფელ მოხაშიდან სოფელ სახარბედიომდე, გასდევს ***ეკის მთა*** (467 მ), რომელიც ცივის აუზს ტეხურის აუზისგან გამოყოფს.

ტეხური (სიგრძე 109 კმ, აუზის ფართობი 994 კმ^2) სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, მთა ტეხურიშ-დუდთან, ზღვის დონიდან 2400 მ სიმაღლეზე და მდ.რიონს მარჯვენა მხრიდან ერთვის.[6] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ტეხური ... იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ხიდსა და სხუასა რაის“.[7] სათავიდან სოფელ დობერა-

---

[1] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი, გვ. 230-231.

[2] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი, გვ. 11.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 502.

[4] **ი. ადამია**, ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრება, „ძეგლის მეგობარი“, 1980, №55, 1981, №57; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 408-412; **ა. სიჭინავა**, ეკის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, თბილისი, 2016.

[5] **გ. დუნდუა**, საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან), თბ., 1979.

[6] **ლ. მარუაშვილი**, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, გვ. 90.

[7] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

ზენამდე ტეხური ღრმა ხეობაში მიედინება. მთებიდან გამოსვლის შემდეგ ხეობა განიერდება და ნოქალაქევის ქვემოთ კოლხეთის დაბლობზე მიედინება. ზემო წელში, რელიეფის დახრილობის გამო ბობოქარი დინება ახასიათებს, ვაკეზე გასვლის შემდეგ მშვიდი დინებით ხასიათდება. მისი კალაპოტი ულამაზესი კლდოვანი კანიონებითა და ქვაბულების სიმრავლით გამოირჩევა. ტეხურის ხეობის ზემო ნაწილში, წიწვოვანი ტყეების ზონაში, მთებით გარშემორტყმულ ქვაბულში, ზ. დ. 1600 მ სიმაღლეზე კურორტი ***ლებარდე*** მდებარეობს. იგი სიმაღლით, ბუნებით, მთის ჯანსაღი ჰაერით და სამკურნალო მინერალური წყლებით უნიკალური კურორტია.[1]

ტეხურის მარცხენა შენაკადია ***წაჩხური*** (სიგრძე 12 კმ, აუზის ფართობი 108 კმ^2), რომელიც მდ.ტეხურს მარცხნიდან, სოფელ დიდი ჭყონის მახლობლად ერთვის.

ტეხურის ქვემო წელზე, იქ, სადაც მდინარე ვიწრო ხეობიდან ვაკეზე გამოდის, მის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი ***ნოქალაქევი***, სადაც შემორჩენილია ანტიკური ხანის ციხე-ქალაქის *ციხეგოჯის* ნანგრევები. ნოქალაქევისა და ციხეგოჯის იგივეობის მოსაზრება, ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა გამოთქვა: „აწ სენაკს ზეით არს ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული, ეს აღაშენა მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე“.[2] არქეოლოგიური გათხრებისას ნოქალაქევში აღმოჩნდა ძვ. წ. IV-Iსს. სამარხები მათთვის დამახასიათებელი ინვენტარით, რამაც დაადასტურა აქ ამ ხანის ნამოსახლარების არსებობა და გაამყარა ნოქალაქევისა და ციხეგოჯის იგივეობის მოსაზრება. *ციხეგოჯი* საისტორიო ტრადიციით აგებულია ეგრისის მეფის ქუჯის მიერ ძვ. წ. IV საუკუნეში, აქედანაა სახელწოდება ქუჯის ციხე (ციხეგოჯი). ფრანგმა მეცნიერმა და მოგზაურმა ფრ. დიუბუა დე მონპერემ, რომელმაც 1833 წელს იმოგზაურა ამ მხარეში, ის ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ არქეოპოლისს (სიტყვა-სიტყვით „ძველი ქალაქი“) დაუკავშირა. IV-VIIსს. *არქეოპოლისი* ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო. ციხე-ქალაქი მაღალი მთის ფერდობზე იყო გაშენებული და სამი ნაწილისაგან შედგებოდა: ქვედა ქალაქი, შუა ციხე და ციტადელი. მას 3 კმ სიგრძის გალავანი ჰქონდა შემოვლებული და ფაქტობრივად აუღებელი იყო. სამი მხრიდან მას მდინარე და ციცაბო კლდეები ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთიდან კი სამი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ციხე-ქალაქს სახმელეთო და სამდინარო კარიბჭეები ჰქონდა. სახმელეთო — აღმოსავლეთით, ვაკეზე, ხოლო სამდინარო — ტეხურის პირას. ციხეში დგას ორმოც მოწამეთა ეკლესია (Vს.). ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სასახლეების, ქრისტიანული ტაძრების, აბანოების, გვირაბების და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა ფრაგმენტები. მდინარეზე ჩამავალი გვირაბი წყალმომარაგების ფუნქციასთან ერთად სამდინარო ჭიშკრის მოვალეობასაც ასრულებდა. გამუდმებული ომების შედეგად იგი დაკნინდა და მცირე სოფლად გადაიქცა. ამის შემდეგ დაერქვა *ნოქალაქევი* („ნაქალაქარი“). XVI-XVIIIსს. იგი ოდიშის მთავრების ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.[3] ნოქალაქევში, მდ. ტეხურის პირას, მინერალური წყლებია.

მდინარე ტეხურის ქვემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე, ოდიშის დაბლობზე ქალაქი ***სენაკი*** მდებარეობს. ადრე სენაკი ერქვა სოფელს, რომელიც საისტორიო წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება.[4] აქ იყო შუა საუკუნეების ტაძარი, აფხაზეთის კათალიკოსის ერთ-ერთი რეზიდენცია. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ტეხურისავ კიდეზედ, არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოზისა“.[5] სახელწოდება „სენაკი“ მომდინარეობს ეკლესიის სენაკის, ბერის, მონაზვნის ცალკე ოთახის („მცირე სახლაკი“) სახელიდან.[6] დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით სოფელი

---

[1] **ლ. ჯიქია**, კურორტი ლებარდე. თბ., 1981, გვ. 5-35.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

[3] **პ. ზაქარაია**, **თ. კაპანაძე**, ციხე-გოჯი — არქეოპოლისი — ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, გვ. 7-113, 165-198, 215-228; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 433-443, 445-446, 448-450.

[4] **ს. კაკაბაძე**, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, ტფ., 1919, გვ. 83; **ს. კაკაბაძე**, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფილისი, 1920, გვ. 53; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 533.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

[6] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, თბ., 2013, გვ. 110.

სენაკი სუჯუნის მაზრაში შედიოდა; 1857 წლიდან სენაკის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, 1867 წელს შეიქმნა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სენაკის მაზრა, ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში, ადმინისტრაციული ცენტრით დაბა სენაკში. თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანასთან ერთად, დ. სენაკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 7 კმ-ში, სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე, 1870 წელს რკინიგზის სადგური აშენდა. ამის შემდეგ აქ გადმოვიდა სენაკის მაზრის ცენტრი და ადგილს *ახალი სენაკი* ეწოდა, ხოლო მაზრის ყოფილ ცენტრს — *ძველი სენაკი.* 1917 წლამდე სენაკის მაზრა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) დროს დ.ახალი სენაკი სენაკის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრია. სენაკმა ქალაქის სტატუსი 1917 წლის 20 აგვისტოს მიიღო.[1] 1921 წლიდან ქ.ახალი სენაკი სენაკის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან, მაზრებად დაყოფის რაიონებად დაყოფით შეცვლის შემდეგ, სენაკის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1935 წლის 17 ივნისს ქ. ახალ სენაკს ცნობილი რევოლუციონერის მიხა ცხაკაიას პატივსაცემად *მიხა ცხაკაია* ეწოდა, სენაკის რაიონს — *მიხა ცხაკაიას რაიონი*, ხოლო რკინიგზის სადგურს — სადგური *მიხა ცხაკაია.*[2] 1989 წლის 6 ივლისს ცხაკაიას *სენაკი* ეწოდა, ცხაკაიას რაიონს — *სენაკის რაიონი*, ხოლო რკინიგზის სადგურს — სადგური *სენაკი.* 2007 წლიდან ქ.სენაკი სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.[3]

სენაკის აღმოსავლეთით, ტეხურის ნაპირებს გასდევს ***უნაგირას მთა,*** რომელიც მდინარეების ტეხურისა და აბაშის წყალგამყოფია. მისი სიგრძე 45 კმ-ია. სოფელ ნოქალაქევთან მას ტეხურის ვიწროები შუაზე ჭრის. ტეხურის ქვემო წელში ის მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ხოლო მდინარის შუა წელში — მარცხენა მხარეს. უნაგირას სერის თხემზე ალაგ-ალაგ ჩადაბლებებია, უნაგირები, რომლებიც მას მაღლობებად, ბორცვიან სერებად და მაღალ მთებად ჰყოფენ. მათგან აღსანიშნავია: *ეკის მთა* (467 მ), *დადიანის ტახტა* (349 მ), *ნაქალაქევის მთა* (395 მ), *აბედათის მთა* (624 მ).[4] უნაგირას სერის სამხრეთ დაბოლოებაზე, *შხეფის მთის* თხემზე აღმართულია ციხე-სიმაგრე, რომელიც სამეგრელოს დაბლობს გადაჰყურებს და მეტად მოხერხებული მდებარეობა უკავია. ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ წერს: „უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა“.[5] ***შხეფის ციხე*** აგებულია IV საუკუნეში, შემდეგ იგი მნიშვნელოვნად გაუფართოებიათ. თავდაპირველად ციხე ეგრისის სამეფოს თავდაცვის საერთო სისტემაში შედიოდა; XVI-XIX სს. იგი დადიანთა სამთავრო სახლის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.[6]

ტეხურის აღმოსავლეთით მდინარე ***აბაშა*** (სიგრძე 66 კმ, აუზის ფართობი 370 კმ^2) მოედინება. იგი სათავეს ასხის მასივის სამხრეთ კალთებიდან იღებს და ტეხურს სოფელ ზანათის მიდამოებში მარცხნიდან უერთდება. მისი მდგენელებია ტობა და რაჩხისწყალი. ასხის მასივის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობსა და აბედათის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბოლოს შორის, სოფელ გაჭედილთან, აბაშა 50-70 მ სიღრმის ვიწრო, 5-6 მ კანიონს აჩენს. კანიონში შემონახულია 75 მლნ. წლის წინ დედამიწაზე მობინადრე ცხოველების გაქვავებული ძვლები; კანიონის ზოგიერთ მღვიმეში აღმოჩნდა უძველესი ადამიანის არსებობის ნაშთები, ნაპოვნია გადაშენებული ცხოველების ზოგიერთი სახეობის, მათ შორის მღვიმის დათვისა და ბიზონის ნაშთები.

---

[1] ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921, თბ., 2021, გვ. 89.

[2] გაზ. ,,კომუნისტი“, №141, 1935 წ. 18 ივნისი.

[3] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 8, 10.

[4] **ლ. მარუაშვილი**, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 231; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1. ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 266.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 777.

[6] **პ. ზაქარაია**, **თ. კაპანაძე**, ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, გვ. 139-150; **პ. ზაქარაია**, შხეფის ციხე, გაზ. ,,კოლხეთი“, №15, 1988 წ. 27 ოქტომბერი; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 421-423.

მდინარე აბაშის მარცხენა შენაკადია პატარა მდინარე ***ინჩხია*** (სიგრძე 4 კმ), რომელიც სათავეს ტაბაკონას მთის სამხრეთ კალთაზე იღებს. ინჩხიას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ქალაქი ***მარტვილი***, მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მისი თავდაპირველი სახელი იყო ჭყონდიდი. გადმოცემით, ჭყონდიდი ძველ საქართველოში წარმართობის მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. აქ, გორაკზე მდგარა წარმართთა კერპი — დიდი მუხა (მეგრ. დიდი ჭყონი, ჭყონდიდი), რომლის სახელწოდებაც სოფელზე გავრცელდა. VII საუკუნის I ნახევარში აქ ყველა წმინდანის (მარტვილთა) სახელზე ეკლესია ააგეს. რადგან ტაძარი მარტვილთა სახელს ატარებდა, სალოცავის სახელწოდება დასახლებულ პუნქტზეც გავრცელდა. X საუკუნეში, „აფხაზთა“ მეფის გიორგი II-ის (922-957) დროს, ეკლესია გადააკეთეს, მაშინვე დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა. გვიანდელ შუა საუკუნეებში ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე აკურთხეს და მარტვილი მხოლოდ დასახლებული პუნქტის სახელად დარჩა, რომელიც წყაროებში XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან იხსენიება. მარტვილის პარალელურად სოფელს ჭყონდიდიც ეწოდებოდა. შემდეგ სოფლის სახელად მარტვილი დარჩა, საეპისკოპოსო კათედრალს კი ძველი სახელი ჭყონდიდი შერჩა.[1] დავით დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს 1840 წლის ადმინისტრაციული დაყოფით შეიქმნა მარტვილის მაზრა, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი სოფელი მარტვილი იყო. სოფელი მარტვილი 1867-1917წწ. სენაკის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს ისევ სენაკის მაზრის შემადგენლობაშია; 1921 წლიდან სენაკის მაზრის მარტვილის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია; 1929 წლიდან მარტვილის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან მარტვილის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის 1936 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით, სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 8 ივლისის დადგენილების შესაბამისად, სოფელ მარტვილს ცნობილი რევოლუციონერის ალექსი გეგეჭკორის პატივსაცემად *გეგეჭკორი*, ხოლო მარტვილის რაიონს *გეგეჭკორის რაიონი* ეწოდა.[2] 1956 წლის ოქტომბერში გეგეჭკორმა დაბის სტატუსი მიიღო და მის შემადგენლობაში შევიდა სოფლები ნალეფსაო, ნახარებავო, საელიავო, ქვაითი.[3] 1982 წლის 21 დეკემბერს დაბა გეგეჭკორმა რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო, ხოლო გეგეჭკორის სადაბო საბჭო გეგეჭკორის საქალაქო საბჭოდ გარდაიქმნა.[4] 1989 წლის 6 ივლისს გეგეჭკორს დაუბრუნდა სახელი *მარტვილი*, ხოლო რაიონს *მარტვილის რაიონი* ეწოდა. 2007 წლიდან ქ. მარტვილი მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.

მდინარის ქვემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფელი ძველი აბაშა, რომლის უწინდელი სახელია ***აბაშა***. სახელწოდება „აბაშის“ ეტიმოლოგიის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი მოსაზრებით, ჰიდრონიმისა და ოიკონიმისათვის ამოსავალია აბჩა, რაც სპარსულად „პატარა წყალს, პატარა მდინარეს“ ნიშნავს. სხვა მოსაზრებით, სახელწოდებაში „აბაშა“ აბა ელემენტი ადამიანის საკუთარ სახელს უნდა ნიშნავდეს, ხოლო ში/შა — მაწარმოებელ სუფიქსს, ე. ი. „აბაშა“ გაიგება როგორც „აბას სამფლობელო“.[5] მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სახელწოდება „აბაშა“ ჯერ კიდევ არაა დამაჯერებლად განმარტებული.[6] თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, სოფლიდან სამხრეთით, 5 კმ დაშორებით რკინიგზის სადგურს უწოდეს *აბაშა*, ხოლო სოფელ აბაშას — *ძველი აბაშა*. 1923 წელს აბაშას დაბის სტატუსი მიენიჭა. 1930 წლიდან დ.აბაშა აბაშის რაიონის ადმინისტრაციული

---

[1] **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 45-46; **თ. ბერაძე**, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, გვ. 79-80; **ი. კეკელია**, მარტვილის რაიონის ოიკონიმია, ქუთაისი, 2010, გვ. 72; **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010, გვ. 178-179.

[2] გაზ. ,,კომუნისტი“, №181, 1936 წ. 6 აგვისტო.

[3] გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №118, 1956 წ. 5 ოქტომბერი.

[4] **ი. კეკელია**, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2009, გვ. 149.

[5] **ი. კეკელია**, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), გვ. 21; **ი. კეკელია**, აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი, 2011, გვ. 18-20.

[6] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII. აბაშის რაიონი, თბ., 2013, გვ. 14, 104.

ცენტრია. 1964 წლის 25 იანვარს დ.აბაშას რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიენიჭა. იმავდროულად, გაუქმდა ნოღახაშის ს/საბჭო და მასში შემავალი სოფლები ნოღახაში და კაპანა მათი ქალაქ აბაშასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.[1] 2007 წლიდან ქ. აბაშა აბაშის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.

მდინარე აბაშის აღმოსავლეთით პატარა მდინარე ***ნოღელა*** (სიგრძე 51 კმ, აუზის ფართობი 130 კმ^2) მოედინება. იგი სათავეს იღებს ასხის მასივის სამხრეთ-დასავლეთით, ტაბაკონას (ტაბაკელას) მთაზე, 680 მ სიმაღლეზე, და მდ.რიონს მარჯვენა მხრიდან, სოფ. ნაესაკაოს მიდამოებში ერთვის.

მდინარე აბაშის აღმოსავლეთით დიდი მდინარეა ***ცხენისწყალი*** (სიგრძე 183 კმ, აუზის ფართობი 2117 კმ^2). იგი სათავეს იღებს სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ფასის მთის დასავლეთით, 2710 მ სიმაღლეზე და მდ. რიონს მარჯვენა მხრიდან, სოფელ ქვიშანჭალასთან (უწინდელი ორპირი) ერთვის.[2] ცხენისწყლის ზემო და შუა დინება კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მოედინება, ხოლო ქვემო დინება — კოლხეთის დაბლობზე. მის შუა წელში, ცხენისწყალსა და ნოღელას შორის, ისტორიული სოფელი ***ხუნწი*** მდებარეობს. საისტორიო წყაროებში ის XVI საუკუნიდან იხსენიება. ხუნწის თემში სამი სოფელი შედის — ზემო ხუნწი, ქვემო ხუნწი (თემის ცენტრი) და ლეციცხვაიე.

საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარეა ***რიონი*** (სიგრძე 327 კმ, აუზის ფართობი 13 390 კმ^2). იგი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე, ფასის მთაზე, 2990 მ სიმაღლეზე, და შავ ზღვას ფოთთან ერთვის.[3] მისი მარჯვენა შენაკადებია ცხენისწყალი, ნოღელა, ტეხური, ცივი (მეგრ. ცი).

მდინარე ცხენისწყლის რიონთან შესართავში მდებარეობდა სოფელი ორპირი (ამჟამად სოფ. ქვიშანჭალა, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე), რომელიც XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი სატრანსპორტო პუნქტი იყო. ორპირსა და ფოთს შორის ნავებით, ხოლო 50-იანი წლებიდან ორთქლის გემებით ხორციელდებოდა მიმოსვლა.[4] რიონის ქვემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე, ნოღელას შესართავის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს სოფელი ***კეთილარი***, რომელიც საისტორიო წყაროებში XIX საუკუნის დასაწყისიდან იხსენიება. კეთილარი სათემო ცენტრია, იგი სამ სოფელს აერთიანებს: კეთილარს, გულეკარს და გაღმაკოდორს.

რიონის შესართავთან საქართველოს საზღვაო კარიბჭე ქალაქი ***ფოთი*** მდებარეობს. ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში რიონის შესართავში, ქართული დასახლების გვერდით ბერძნული სავაჭრო ფაქტორია ფაზისი გაჩნდა. სახელწოდება მომდინარეობს მდ. რიონის ბერძნული სახელწოდებიდან ფაზისი (ფასის მთის მდინარე). ძვ. წ. IV-I სს. აქ მთავრდებოდა სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს და ინდოეთს ევროპის ქვეყნებთან აკავშირებდა. ანტიკურ ხანაში აქ იდგა არტემიდას ტაძარი, ხოლო რიონის შესართავთან აღმართული იყო ადგილობრივი ქალღმერთის მარმარილოს ქანდაკება. სახელწოდება „ფოთი“ პირველად სომეხი მემატიანის ღევონდის (VIII ს.) თხზულებაში იხსენიება. ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ფოთი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად გადაიქცა. VI საუკუნეში პალიასტომის ტბის პირას იდგა ტაძარი, რომელიც ფაზისის სამიტროპოლიტოს საკათედრო ეკლესია იყო. XI საუკუნის დასაწყისში ფაზისის სამიტროპოლიტო კათედრა მოიშალა და მისი მთავარი პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი ქუთაისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს.[5]

---

[1] გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი“, №11, 1964 წ. 25 იანვარი; **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII. აბაშის რაიონი, გვ. 15.

[2] **ლ. მარუაშვილი**, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, გვ. 90.

[3] **ლ. მარუაშვილი**, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, გვ. 90; **თ. ბერაძე**, რიონი, ჟურნ. ,,საქართველოს ბუნება“, 1988, №5, გვ. 7.

[4] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი, *თარგმნილი თ. სახოკიას მიერ*, ტფ., 1934, გვ. 300-303.

[5] **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 526-598; **თ. ბერაძე**, საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში X საუკუნეში, *ქრისტიანული არქეოლოგიის VI კონფერენცია, მოხსენებათა შინაარსები*, თბ., 2002, გვ. 86; **პ. გაბისონია**, ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია, თბ., 2017, გვ. 26.

შუა საუკუნეებში, ისევე როგორც ანტიკურ ხანაში, ფოთი საქართველოს მთავარ ნავსადგურად რჩებოდა. 1579 წელს ფოთი თურქებმა დაიპყრეს და აქ ციხე-სიმაგრე ააგეს. 1640 წელს ფოთი ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657) გაათავისუფლა, მაგრამ XVIII ს. დასაწყისში თურქებმა ისევ დაიკავეს. 1723 წელს თურქებმა ფოთის ციხე განაახლეს. ამ დროიდან ის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თურქების მთავარ საზღვაო ბაზად გადაიქცა. ოსმალთა ბატონობის დროს ფოთი ტყვეებით ვაჭრობის ერთ-ერთი კერა იყო. 1828 წლის ივნისში ფოთის ციხე რუსთა ჯარმა და სამეგრელოს სახალხო ლაშქარმა დაიკავა. 1858 წლის 31 მარტს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1855-1881) ხელი მოაწერა ბრძანებულებას ფოთში ნავსადგურის გახსნის შესახებ, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, 1859 წლის 1 იანვარს, მან სანავსადგურო ქალაქის სტატუსი მიიღო. 1872 წელს დასრულდა თბილისი-ფოთის რკინიგზის მშენებლობა. 1863-1905 წწ. მიმდინარეობდა ფოთის ნავსადგურის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა. ფოთის ნავსადგურის მშენებლობას, ქალაქის აღმშენებლობას 1894-1912 წწ. სათავეში ქალაქისთავი ნიკო ნიკოლაძე ედგა.[1]

ფოთის ცენტრში დგას ბიზანტიური სტილის მაცხოვრის აღდგომის ტაძარი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ააგეს და ღვთისმშობლის შობის სახელზე აკურთხეს. 1907-1917 წწ. ტაძარი გურია-სამეგრელოს ეპარქიის ცენტრს წარმოადგენდა. 30-იან წლებში ტაძარი გადააკეთეს და აქ თეატრი განთავსდა. 2005 წლიდან ეს შენობა საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა, მას რესტავრაცია ჩაუტარდა და პირვანდელი სახით აღდგა.[2]

ფოთის სამხრეთით, ზღვასთან ახლოს ***პალიასტომის ტბა*** მდებარეობს. ვახუშტი ბატონიშვილი მის შესახებ წერს: „ფოთის სამხრით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე“.[3] ტბის ზედაპირის ფართობი 18 კმ^2-ს, ხოლო მაქსიმალური სიღრმე 3 მ შეადგენს. იგი ზ. დ. 0,3 მ დაბლა მდებარეობს. ტბას თითქმის ოთხკუთხედის ფორმა აქვს, მისი სიგრძე-სიგანე თითქმის ერთმანეთის ტოლია და დაახლ. 4 კმ უდრის; საზრდოობს წვიმის წყლით და მცირე შენაკადებით. ოდესღაც ტბის ადგილას შავი ზღვის ყურე იყო, რომელიც შემდეგ ტბად გადაიქცა. ტბის სახელწოდება ბერძნულად სწორედ „ძველ შესართავს“ ნიშნავს. 1961 წელს ტბის ფსკერზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძვ. წ. II ათასწლეულის დასახლების ნაშთები. ეს ადგილი ქალაქ ფაზისის სავარაუდო ადგილსამყოფელს წარმოადგენს. ტბიდან პატარა მდინარე ***კაპარჭინა*** გამოედინება, რომელიც ზღვის პარალელურად მიედინება და შემდეგ მას უერთდება. 1924 წელს ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირიდან გაიყვანეს არხი და ზღვას შეუერთეს. 1933 წლის დეკემბერში ძლიერი ზვირთცემის შედეგად არხი გაფართოვდა და სრუტედ გარდაიქმნა. შესაბამისად, ტბის წყალი მლაშე გახდა. ტბა შედის კოლხეთის ეროვნული პარკის შემადგენლობაში.[4]

მდინარე რიონის სამხრეთით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თითქმის მის პარალელურად, მდინარე ***ფიჩორი*** (სიგრძე 66 კმ, აუზის ფართობი 405 კმ^2) მიედინება. იგი სათავეს იღებს აჭარა-მესხეთის ქედის კალთაზე და პალიასტომის ტბაში ჩაედინება.[5]

კოლხეთის დაბლობზე, შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჭაობების დაშრობისა და ჩაისა და ციტრუსების გაშენების შემდეგ აქ გავრცელებული კოლხური მცენარეულობა ძალიან შემცირდა. მათი დაცვის მიზნით, 1935 წელს შეიქმნა კოლხეთის ნაკრძალი, რომელიც 1999 წელს კოლხეთის ეროვნულ პარკად გადაკეთდა. კოლხეთის ეროვნული პარკი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ფიჩორსა და ჭურიას შორის, პალიასტომის ტბის აუზს და ორი მხარის — სამეგრელოსა და გურიის ნაწილია. ეს ერთადერთი პარკია საქართველოში, სადაც ხმელეთის

---

[1] **Т. Н. Берадзе**, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 59, 244; **მ. პაჭკორია**, ფოთის წარსულიდან, თბ., 1967; **მ. პაჭკორია**, ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, გვ. 26-32; **გ. მისირელი, ზ. ტურაბელიძე**, ფოთის ნავსადგური, თბ., 2008.

[2] **გ. ჩიტაია**, ფოთისა და ხობის ეპარქია, თბ., 2007, გვ. 102-103.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 790.

[4] **И. С. Апхазава**, Озера Грузии, Тбилиси, 1975, გვ. 127-130; **მ. ალფენიძე, კ. კორსანტია, რ. მაისურაძე, ე. ესებუა, ლ. მზარელუა**, ოდიში: ბუნებრივი პირობები, რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა, გვ. 65.

[5] **И. С. Апхазава**, Озера Грузии, გვ. 129-130.

გარდა შავი ზღვის სანაპირო ზოლიცაა დაცული.

1962 წელს აბაშის რაიონში სამრეწველო თევზის გამრავლების მიზნით გამოიყო 295 ჰა მიწის ფართობი, სადაც 1964 წელს დაარსდა კაცობურის სამონადირეო მეურნეობა. 1997 წლიდან სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა კაცობურის აღკვეთილი. იგი მდებარეობს აბაშის მუნიციპალიტეტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. მისი ჩრდილოეთი საზღვარი მდ.რიონის სანაპიროს გასდევს; დასავლეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით შემოფარგლულია სოფელ კეთილარის მიწებით. აღკვეთილის ფართობი 270,8 ჰა-ს შეადგენს.

სამეგრელოს ჰიდროგრაფიული ქსელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ჭაობები წარმოადგენს. უშუალოდ შავი ზღვის სანაპირო და მდ. რიონსა და მდ. ფიჩორს შორის ტერიტორია პალიასტომის ტბიდან სოფელ კეთილარამდე, დაახლ. 45 კმ მანძილზე, ინტენსიური დაჭაობების არეა. ჭაობებს შორის ყველაზე დიდია ფიჩორი-პალიასტომის, ჭალადიდი-ფოთის და თიქორი-ჭურიის მასივები.[1] შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჭურია-ნაბადის ჭაობები საერთაშორისო მნიშვნელობის ჭაობების სიაშია შეტანილი.

სამეგრელოს სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია მინერალური და მტკნარი წყლების, საწვავი და ლითონური წიაღისეულის, სამშენებლო მასალების, მათ შორის: გრანიტის, მარმარილოს, ქვიშაქვის, თაბაშირის, ცარცის, ფერადი კირქვების, თაბაშირიანი კირქვების, მერგელის (კირქვიანი მკვრივი თიხა), სააგურე თიხის, ტორფის, აგრეთვე ანდეზიტ-ბაზალტის, ბარიტის, დოლომიტის საბადოები; გვაქვს აგრეთვე ქვანახშირის (მაგანის, ხუდონის), ლიგნიტის (ფახულანი) და მანგანუმის (ნახუნაო, სენაკი) გამოვლინებები.[2]

სამეგრელოში უხვადაა ბუნებრივი მინერალური წყლები: კალციუმ-ქლორიანი (სქური, ლუგელა), კალციუმ-ნატრიუმ-ქლორიანი (ლებარდე), ნატრიუმ-ქლორიანი (აბასთუმანი, ურთა, ძველი ხიბულა); თერმული წყლები: ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი (ნოქალაქევი), ნატრიუმ-კალციუმ-მაგნიუმიანი (ნოქალაქევი), გოგირდწყალბადიან-ქლორიდული (მენჯი, ცაიში, ურთა), გოგირდწყალბადიანი (ბია, ზანა), ქლორიდულ-კალციუმ-ნატრიუმიანი (ხორგა), ქლორიდულ-სულფატური-ნატრიუმ-კალციუმიანი (ქვალონი), ქლორიდულ-მაგნიუმ-კალიუმიანი (ყულევი).[3] ბუნებრივ-კლიმატური პირობები ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტების სიმრავლეს განაპირობებს: სქური, ცაიში, მენჯი, ნოქალაქევი, ბია, ხორგა (ბალნ.), ლებარდე, ყულევი (კლიმ.-ბალნ.), ანაკლია და განმუხური (კლიმ.).[4] მხარე მდიდარია მიწისქვეშა კარსტული რელიეფის ფორმებით: ურთის მღვიმური სისტემა მდ. ჯუმის ხეობაში, ცაიშის მიდამოებში (ზუგდიდის მუნიც.); საგუნიოს მღვიმე მდ. ცივის ხეობაში, სოფელ ეკის მიდამოებში (სენაკის მუნიც.); ნოღას მღვიმე მდ. შების (მდ.ცივის მარცხ. შენაკადი) სათავეში, სოფ. ნოღის (მარტვილის მუნიც.) მიდამოებში; გარახის მღვიმე მდ.ბუმეს (მდ. ოჩხომურის შენაკადი) ხეობაში, სოფ. გარახის (ჩხოროწყუს მუნიც.) მიდამოებში; კორცხელის მღვიმე მდ. ჯუმის მარცხენა ნაპირზე, სოფ. კორცხელის (ზუგდიდის მუნიც.) მიდამოებში; ნაზოდელავოს და სავეკუოს მღვიმეები მდ. ზანის ხეობაში, სოფ. ახუთის (ჩხოროწყუს მუნიც.) მიდამოებში; შურუბუმუს მღვიმე მდ. ხობისწყლის ხეობაში, სოფ. მუხურის (ჩხოროწყუს მუნიც.) მიდამოებში; ყალიჩონას მღვიმე მდ. ბუმეს (მდ. ოჩხომურის შენაკადი) ხეობაში, სოფ. ჭოღის (ჩხოროწყუს მუნიც.) მიდამოებში და სხვ.[5]

სამეგრელოში ორი მკაფიოდ განსხვავებული ლანდშაფტური ქვეოლქია: ოდიშის ბარი და მთიანი სამეგრელო. ბარის ლანდშაფტები არსებითად შეცვლილია ადამიანთა სამეურნეო საქმია-

---

[1] **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 68-69.

[2] **ლ. მარუაშვილი**, საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულების ბუნებრივი პირობები, თბ., 2020, გვ. 219-244.

[3] **ლ. მარუაშვილი,** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 146; **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 189-191.

[4] **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 145-149.

[5] **ლ. მარუაშვილი**, კვლევა წყვდიადში. სპელეოლოგიური ჩანაწერები, თბ., 2017, გვ. 57-89; **მ. ალფენიძე, კ. კორსანტია, რ. მაისურაძე, ლ. მზარელუა, ე. ესებუა,** ოდიში: რელიეფი და მისი სამეურნეო შეფასება, — აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული, ტ. 4, ოდიში, გვ. 203-205.

ნობის შედეგად, უკეთ არის შემონახული მთიანი სამეგრელოს ბუნებრივი ლანდშაფტები.[1] მხარის დიდი ნაწილი ვაკე-დაბლობებსა და გორაკ-ბორცვებს, ასევე მთისწინეთებს უჭირავს. სამეგრელოს ტერიტორია ზღვიდან მაღალი მთებისკენ შეფენილი ვაკე-დაბლობების, გორაკ-ბორცვების, დაბალი და საშუალო მთების ამფითეატრს წარმოადგენს, რომლის განაპირა ზოლი მაღალი მთებითაა გარშემორტყმული. ზღვისპირა ნაწილი ჭურიისა და ცის ქვაბულებს უკავია. ჭურიის ტაფობი ენგურსა და ხობისწყალს შორის მდებარეობს და მას მდ. ჭურია ორ ნაწილად ყოფს; ცის ქვაბული ხობისწყლის, ცივის და რიონის კალაპოტებითაა შემოსაზღვრული. მისი ფართობი 176 კმ^2 შეადგენს.[2] ვაკისა და დაბლობის ზონაში დიდი ფართობი უკავია კულტურულ ლანდშაფტებს. აქ გვხვდება ბაღები, ვენახები, ბოსტნები, ჩაისა და ციტრუსოვნების პლანტაციები. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის სათანადო ფაუნის ჩამოყალიბებისათვის.

სამეგრელოს მცენარეული საფარი, ისევე როგორც ბუნებრივი პირობები, დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ გავრცელებულია ძელქვა, ურთხელი, ბზა, წიფელი, მუხა, წაბლი, რცხილა, ცაცხვი, აკაცია, იფანი, თელა, წყავი, გარეული ვაზი, თხმელა, მუქწიწვიანები — ნაძვი, სოჭი; მაღალმთიან ზონაში სუბალპური და ალპური მდელოებია, რომელიც გამოყენებულია საზაფხულო საძოვრებად.[3] კულტურული მცენარეებიდან დიდი რაოდენობითაა კაკალი, თუთა, ვაშლი, მსხალი, ატამი, ტყემალი, ქლიავი, კომში, ბროწეული, თხილი და სხვ. სუბტროპიკული მცენარეებიდან აღსანიშნავია: ჩაი, კეთილშობილი დაფნა, იაპონური ხურმა, ციტრუსები და სხვ.

მრავალფეროვანი ბუნება, არაერთგვაროვანი ჰავა, აქ მობინადრე ფრინველებისა და ცხოველების მრავალფეროვნებას განაპირობებს. ვაკისა და დაბლობის ზონაში გვხვდება ზღარბი, თხუნელა, მაჩვი, ციყვი, კურდღელი; ტყეებში მტაცებლები: კავკასიური მურა დათვი, ფოცხვერი, ტყის კატა, მგელი, მელა, ტურა, მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი გარეული ღორი, შველი, კავკასიური ირემი; ფრინველებიდან გავრცელებულია: მწყერი, გნოლი, ბუ, ჭოტი, გუგული, გვრიტი, გარეული მტრედი, ოფოფი, კოდალა, ყორანი, ყვავი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, შოშია, ბეღურა, ტოროლა, მწყერჩიტა, ბულბული, მერცხალი, წითელი იხვი, ჩვეულებრივი გარეული იხვი, თეთრი ყანჩა; მტაცებელი ფრინველები — კავკასიური შევარდენი, კავკასიური ქორი, ჩვეულებრივი მიმინო, ევროპული ძერა, არწივი და სხვ. სამწუხაროდ, თითქმის განადგურებულია ისეთი სახეობები, როგორიცაა ხოხობი, შურთხი, როჭო, ოდიშის ჯიხვი, შველი, ირემი.[4] სამეგრელო მდიდარია სხვადასხვა სახეობის თევზით, რაც განპირობებულია მდინარეთა ხშირი ქსელით და შავ ზღვის ნაპირზე მდებარეობით. ზღვიდან მდინარეებში შემოდის ზუთხი, სვია, კოლხური თართი, შავი ზღვის ორაგული, მდინარეებში მრავლადაა თეთრულა, კალმახი, კობრი, კოლხური ტობი, მურწა, ქაშაპი (უნგვარო), ციმორი, წვერა, ჭანარი, ხრამული და სხვ.[5]

სახელწოდება „სამეგრელო“ ისტორიული მხარის — ეგრისის სახელიდან მომდინარეობს.

დასავლეთ საქართველოს უძველესი მოსახლეობის ძირითად ნაწილს, ქართული მოდგმის ტომი *„ეგრი“* წარმოადგენდა. ამიტომ საქართველოს ამ ნაწილს უძველესი დროიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნემდე *ეგრისი* ეწოდებოდა. ჩვენი მეზობლები, ძველი აღმოსავლური, ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური მწერლობის ძეგლების თანახმად, ამ მნიშვნელობით „კულხა“, „კოლხა“, „კოლხიდა“ და „ლაზიკე“ სახელებს იყენებდნენ. ქვეყნის სახელიდან ეგრისი, პრეფიქს-სუფიქსის დახმარებით, ამ ქვეყნის მოსახლის სახელწოდება „მეგრელი“ მივიღეთ, ამ სახელიდან კი — გეოგრაფიული სახელწოდება *სამეგრელო*, ე. ი. მეგრელთა ქვეყანა. ქართული მწერლობის ძეგლებში ეს გეოგრაფიული სახელი პირველად XI საუკუნის პირველ ნახევარში გვხვდება. „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა ნეტარისა მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებლისა“, რომელიც ქართველი

---

[1] საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1. ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 268-269.

[2] **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 27.

[3] **ლ. მარუაშვილი,** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, გვ. 147-148.

[4] **ნ. მიქაია**, ოდიშის ცხოველთა სამყარო, *აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული*, ტ. 4, ოდიში, გვ. 240-244.

[5] **ნ. მიქაია**, ოდიშის ცხოველთა სამყარო, გვ. 244-245.

მწიგნობრის, მთარგმნელისა და სასულიერო მოღვაწის ექვთიმე ათონელის (955-1028) კალამს ეკუთვნის, ნათქვამია: „წარგვავლინეს სამარადისო ექსორიობასა და პყრობილებასა კერძოთ სამეგრელოსა“. ტექსტის ბერძნულ დედანში სამეგრელოს ნაცვლად ლაზიკე იხსენიება, მაგრამ ის, რაც ბიზანტიელებისთვის ლაზიკე ანუ მთელი დასავლეთ საქართველო და მისი მომიჯნავე სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთია, ექვთიმე მთაწმინდელისთვის „სამეგრელოა“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „სამეგრელო“ XI საუკუნიდან არის დამოწმებული, ამ გეოგრაფიულმა სახელწოდებამ მთელი შუასაუკუნეების მანძილზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დატვირთვა საქართველოში ვერ მოიპოვა. შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ამ მხარის სახელწოდებად ყველგან ოდიში გვხვდება, ევროპულ წყაროებში კი — Mingrelia (სამეგრელო).[2] სახელწოდება „ოდიში“ პირველად XI საუკუნის აპოკრიფული (ადრექრისტიანული ხანის ლიტერატურული არაკანონიკური თხზულება) ლიტერატურის ძეგლის „ანდრია სალოსის ცხოვრების“ ანდერძში იხსენიება: „ღმერთმან უწყის რაიცა ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭირე, მაგრამ დედაი ოდიშს დაწერილი იყო“.[3] „ოდიშის“ ეტიმოლოგიის შესახებ მოსაზრებები გამოთქმული აქვთ ვახუშტი ბატონიშვილს, იოანე ბატონიშვილს, ნიკო მარს, მოსე ჯანაშვილს, სარგის კაკაბაძეს და სხვებს. ერთი, სხვებზე უფრო სარწმუნო მოსაზრებით, რომელიც ვუკოლ ბერიძეს ეკუთვნის, „ოდიში“ წარმართული ღვთაება ოდის სახელისაგან მომდინარეობს და *ღვთაება ოდის ქვეყანას* ნიშნავს. ოდი ქვეყნის პატრონია, მის მიწა-წყალზე დასახლებული ხალხის ღვთაება.[4] საინტერესოა ასევე ენათმეცნიერ გიორგი კლიმოვის მოსაზრება, რომლის თანახმადაც სახელწოდება „ოდიში“ შესაძლოა უკავშირდებოდეს სვანურ ად-რა//ჰად-რა (azalea pontika, შქერი) ად-/ჰად – ძირს, სადაც -რა სუფიქსი მცენარეთა სიმრავლის გამომხატველია. მისი აზრით, ამავე ძირს უნდა უკავშირდებოდეს სვანური ტოპონიმი ადიში//ჰადიში. მეგრული ოდიში ნაწარმოები ჩანს ოდ- ძირიდან, რომელიც სვანური ად- ძირის შესატყვისი უნდა იყოს.[5]

ოდიში თავდაპირველად ისტორიული ეგრისის ერთ მხარეს ერქვა, ზღვისპირა ტერიტორიას მდინარეებს ენგურსა და ტეხურს შორის. მოგვიანებით, ეს ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა გაფართოვდა და ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის მეგრელების განსახლების ტერიტორია თანდათან მოიცვა.[6] როგორც ჩანს, ოდიში იგულისხმება ვახუშტი ბატონიშვილისეულ ბედიის საერისთავოში, რომელიც VIII საუკუნის მიწურულს „აფხაზთა“ სამეფოში ჩამოყალიბდა. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას მდ. ეგრისწყლიდან (ღალიძგა) მდ. ცხენისწყლამდე და რიონიდან სვანეთამდე.[7] XII საუკუნის 80-იან წლებში ოდიშის საერისთავო იხსენიება თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.[8]

XIV საუკუნის 20-იან წლებში ოდიშის ერისთავმა ცხუმის საერისთავო შეიერთა და ამ დროიდან საერისთავოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ანაკოფიის მდინარეზე (ფსირცხა) გავიდა. XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ოდიშის საე-

---

[1] **თ. ბერაძე**, ,,მეგრელი“, ,,სამეგრელო“, ,,ოდიში“, *კრებ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, თბ., 1993, გვ. 459.

[2] **თ. ბერაძე**, ,,მეგრელი“, ,,სამეგრელო“, ,,ოდიში“, გვ. 460.

[3] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია),* ტ. 3, თბ., 1948, გვ. 291.

[4] **ვუკ. ბერიძე,** ,,ოდი – ოდიში – ოდია“, ჟურნ. ,,მნათობი“, 1962, №12, გვ. 54.

[5] **G. Klimov**, Etimologikal Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New York, 1998, გვ. 1.

[6] **თ. ბერაძე,** ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, წიგნ. **თ. ბერაძე**, შრომების კრებული სამ ტომად, ტ. I, გვ. 40; **გ. არახამია,** ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. — XVI ს. I ნახ.), თბილისი, 2003, გვ. 4-5; **ა. თორდია**, სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ოდიში. *შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული,* თბ., 2012 №5, გვ. 74.

[7] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 796.

[8] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ*, ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959, გვ. 33-34.

რისთავო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. XVI საუკუნის შუახანებში, დადიანმა იმერეთის სამეფო კარისაგან სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია და ოდიშის საერისთავოს ბაზაზე ოდიშის სამთავრო ჩამოყალიბდა. ამის შემდეგ ოდიშის მთავრები „ხელმწიფე დადიანის“ ტიტულს ატარებდნენ. XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დასაწყისში ოდიშის სამთავროს საზღვარმა ჩრდილო-დასავლეთით მდ.კელასურზე გადმოინაცვლა, რისი მიზეზიც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მთის ჩამოწოლა და დასავლეთ კავკასიელ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი აფხაზური ეთნოსის (აფსუა) ექსპანსია იყო. სამთავროს აღმოსავლეთ საზღვარი უცვლელი დარჩა.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ოდიშის სამთავრო დასუსტდა. ამით ისარგებლეს აფხაზებმა და განაახლეს თავდასხმები, რასაც შედეგად მოჰყვა 1681 წელს მათ მიერ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის, მდ. კელასურიდან მდ. ღალიძგამდე, მიტაცება. ამ ტერიტორიაზე დაიწყო აფხაზთა ჩამოსახლება და მისი ეთნიკური ათვისება. 80-იან წლებში მათ მდ. ღალიძგიდან მდ. ენგურამდე ტერიტორიაც მიიტაცეს. XVII საუკუნის 70-იან წლებში ოდიშის სამთავროში დაწინაურდნენ ლეჩხუმის ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები — ჩიქოვანები. ამ დროიდან ლეჩხუმი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. 1701 წელს გიორგი ჩიქოვანმა, რომელიც ფაქტობრივად განაგებდა სამთავროს, დადიანის ტიტული მიიღო და ოდიშის მთავართა ახალ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი. ახალმა მთავარმა, გიორგი IV დადიანმა (1701-1714) 1702 წელს შეძლო დაებრუნებინა აფხაზთა მიერ მიტაცებული ოდიშის სამთავროს მიწების ერთი ნაწილი, ტერიტორია მდინარეებს ენგურსა და ღალიძგას შორის, თუმცა ამ მხარის გამგებლად აფხაზთა სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები დარჩნენ. მოგვიანებით, XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში, ამ მხარეს მისი მფლობელის მურზაყან შარვაშიძის სახელის მიხედვით სამურზაყანო ეწოდა.[1]

ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო. მარცვლეული კულტურებიდან ითესებოდა ღომი (*Setaria italic* L.) და ფეტვი (*Panicum miliaceum* L.), რომლებიც ძირითადი საკვები კულტურები იყო. ითესებოდა აგრეთვე ბრინჯი, ზოგან მცირე რაოდენობით ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი. ბოსტნეული კულტურებიდან გავრცელებული იყო ნიორი, ხახვი, პრასი, კამა, ქინძი, ნიახური, ოხრახუში, პიტნა, ქონდარი, ცერეცო და სხვ. პარკოსნები — მუხუდო, ოსპი, ძაძა, ბარდა, ცერცვი, ცულისპირა, ხანჭკოლა, რომლებიც შემდეგ ლობიომ შეცვალა; საზეთე-ბოჭკოვანი კულტურები — ბამბა, სელი, კანაფი. საოჯახო მოთხოვნილებებისათვის ამზადებდნენ კანაფის ბაწარს, ბამბის, სელის კანაფის ტილოებს. დიდი რაოდენობით ამზადებდნენ აბრეშუმის პარკს; განვითარებული იყო მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა. მაღლარი ვენახი ხეებზე იყო მიშვებული. დაბლარის სიმცირე არ მოითხოვდა ვენახისთვის სპეციალურად ნაკვეთების გამოყოფას. ბუნებრივი პირობები ხელსაყრელი იყო მეფუტკრეობის განვითარებისათვის, დიდი რაოდენობით ამზადებდნენ თაფლსა და ცვილს. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობას. ამ დარგს განსაკუთრებით მთიან ადგილებში, ტეხურისა და ხობისწყლის ზემო წელში, აგრეთვე კოლხეთის დაბლობზე, ენგურისპირა სოფლებში მისდევდნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ ხალხური სელექციით შეძლო გამოეყვანა საუკეთესო ჯიშის საქონელი. ფართოდაა ცნობილი მეგრული ჯიშის ცხენი, ძროხა, თხა, რომელიც ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს კარგად იყო შეგუებული. ჰყავდათ აგრეთვე ღორი, კამეჩი, მცირე რაოდენობით ცხვარი. მიწათმოქმედებაში გამწევ ძალად გამოიყენებოდა ხარი და კამეჩი. მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობასა და მეთევზეობას.[2] მეურნეობის ნატურალურ ფორმას თან ახლდა მისთვის დამახასიათებელი შინამრეწველობა, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო სოფლის მეურნეობასთან. მისდევდნენ ტყავის დამუშავებას, ფარდაგებისა და შალეულის ქსოვას; ამზადებდნენ ქალამანს,

---

[1] **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996.

[2] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო (მასალები), წიგნ. **ი. მეუნარგია**, ქართველი მწერლები, II. *შედგენილი სოლომონ ცაიშვილის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით,* თბ., 1957, გვ. 141-147; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017, გვ. 262-265.

ქეჩას, ნაბადს, ყაბალახს; თიხის, ხისა და რქისაგან — ჯამ-ჭურჭელს.[1]

XVIII საუკუნიდან სამეგრელოში თანდათან გავრცელდა სიმინდი, რომელიც კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს. ის ღომზე უფრო ამტანი, მოსავლიანი და ნაკლებ შრომატევადი აღმოჩნდა, ამიტომ XIX საუკუნიდან სამეგრელოს მარცვლეულ მეურნეობაში სიმინდი გაბატონდა, ხოლო ტრადიციული კულტურების — ღომის, ქერის, ფეტვის, ჭვავის ნათესები შემცირდა. ლობიოს გავრცელებამ გამოიწვია ტრადიციული პარკოსანი კულტურების — მუხუდოს, ცერცვის, ბარდას, ოსპის, ძაძას, ცულისპირას, ხანჭკოლას, საზეთე-ბოჭკოვანი კულტურის — სელის, თანდათან მივიწყება.[2]

ოდიშში (სამეგრელოში) იკვებებოდნენ რძისა და ხორცის პროდუქტებით, თევზეულით და მხალეულით. საკვებად მრავალნაირ მხალეულს იყენებდნენ, მათ შორის ჭინჭარს, ეკალას, ნაცარქათამას, მხალი ბაიას, სატაცურს და სხვ. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ცხარე სანელებლებს, ციების საფრთხეს წიწაკის გამოყენებით ებრძოდნენ; ნიგვზით და თხილით კერძების შენელება ძველი დროიდან მოდის. მარილი საქართველოში ძირითადად აღზევანიდან შემოჰქონდათ, დასავლეთ საქართველოში — შავი ზღვის ნავსადგურებიდან.

1804 წელს ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შევიდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ამ მხარის სახელად თანდათან „სამეგრელო“ დამკვიდრდა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან სანაპირო ზოლში ფეხი მოიკიდა სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობამ. თანდათან სოფლის მეურნეობის ძირითადმა დარგებმა სასაქონლო ელფერი შეიძინა. 50-იანი წლებიდან საზღვარგარეთ გადიოდა ღვინო, სიმინდი, ცვილი და თაფლი, ძვირფასი ჯიშის ხე-ტყე. 1857 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავროს ავტონომია ფაქტობრივად გააუქმა და რუსული მმართველობა შემოიღო, 1867 წელს კი სამეგრელოს სამთავრო იურიდიულადაც გააუქმა.[3] სამთავროს გაუქმების შემდეგ სამეგრელო ზუგდიდისა და სენაკის მაზრების სახით შედიოდა ქუთაისის გუბერნიის, ხოლო 1918-1921 წლებში — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1991 წწ. სამეგრელო, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებისა და ქ. ფოთის, ხოლო მაზრების რაიონებად გარდაქმნის (1930 წ.) შემდეგ ზუგდიდის, სენაკის (შემდეგ ცხაკაიას), აბაშის, მარტვილის (შემდეგ გეგეჭკორის), ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონებით და ქ. ფოთით იყო წარმოდგენილი.

XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან ძირეულად შეიცვალა მეურნეობის სტრუქტურა — შეიქმნა მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა, რომლის მთავარი დარგი მეჩაიეობა და სუბტროპიკული მეხილეობა გახდა. გაშენდა ტექნიკური კულტურები — ტუნგი, დაფნა, ეთერზეთოვანი კულტურები. ფართოდ განვითარდა მარცვლეული მეურნეობა (მესიმინდეობა), მებოსტნეობა, მევენახეობა, აგრეთვე სარძევე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობა. მნიშვნელოვნად განვითარდა კვების მრეწველობა, რომელიც წარმოდგენილი იყო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, განსაკუთრებით ჩაისა და ხილეულის გადამამუშავებელი მრეწველობით. 1991 წელს სამეგრელოში იყო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი 28 ჩაის ფაბრიკა და კომბინატი, კარგად განვითარებული საკონსერვო (ხილისა და ხილეულის წყლების) წარმოება, მეღვინეობის ქარხნები; დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკურორტო მეურნეობას (მენჯი, ცაიში, სქური, მუხური და სხვ.); ბუნებრივი რესურსების გამოყენებით შეიქმნა მძლავრი ელექტროენერგეტიკული, ხე-ტყის და საშენ მასალათა მრეწველობა.

2007 წლიდან, რაიონების მუნიციპალიტეტებად გარდაქმნის შემდეგ, სამეგრელო წარმოდგენილია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებით, ქალაქებით — ზუგდიდი და ფოთი.

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი**, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 269.

[2] **ნ. გოცაძე, ი. მაისაია**, აღვადგინოთ მივიწყებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, თბ., 2015, გვ. 11-84.

[3] **ს. მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 176-178; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევი), *ილია ანთელავას საერთო რედაქციით*, თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 246.

თავი III.

ოდიში შუა საუკუნეებში.
ისტორია და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება

§ 1. ოდიში — საერისთავოდან სამთავრომდე

ოდიშის საერისთავო XI-XV საუკუნეებში. XI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა საქართველოს ერთიანი მონარქია. საქართველოს სამეფო საერისთავოებად იყო დაყოფილი. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, XII საუკუნის 80-იანი წლების ვითარების გადმოცემისას, სხვა ერისთავებთან ერთად ოდიშის ერისთავიც იხსენიება.[1] ესაა პირველი ცნობა ოდიშის ადმინისტრაციული სტატუსის შესახებ, თუმცა, ამ დროისათვის იგი, სულ ცოტა, ოთხი საუკუნე მაინც არსებობდა.

VIII-X საუკუნეებში ოდიში საერისთავოს სახით „აფხაზთა“ სამეფოში შედიოდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „აფხაზთა“ სამეფო 8 საერისთავოდ იყო დაყოფილი: აფხაზთა, ცხუმის, ბედიის, გურიის, თაკვერის, სვანეთის, არგვეთის, სამოქალაქოს. ბედიის საერისთავო მდ. ეგრისწყლიდან აღმოსავლეთით მდ. ცხენისწყლამდე ტერიტორიას მოიცავდა.[2] ვახუშტი ბატონიშვილის ეს ცნობა, უეჭველად, რაიმე ძველ წყაროს, ანდა რეალურ ისტორიულ ტრადიციას ემყარება, რადგან ქართულ საისტორიო წყაროებში, მართალია, მოგვიანო ხანაში, მაგრამ მაინც მოიხსენიება აფხაზთა, ცხუმის, ოდიშის (ვახუშტისეული ბედიის) ... საერისთავოები. ვახუშტი ბატონიშვილისეული ბედიის საერისთავოს არსებობა ასეთი სახელწოდებით, არ დასტურდება. ესაა უფრო გვიანი ხანის ქართული წყაროების ოდიშის საერისთავო, რომლის პოლიტიკური ცენტრიც თავდაპირველად ბედია უნდა ყოფილიყო.[3]

ოდიშის საერისთავო მდინარეებს კოდორსა და ცხენისწყალს, მდ. რიონს, ეგრისის ქედსა და შავ ზღვას შორის ტერიტორიაზე იყო მოქცეული.[4] მკვლევართა აზრით, X-XI საუკუნეებიდან ოდიშის საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი ჭაქვინჯის ციხე უნდა ყოფილიყო, რომელიც ციხედარბაზად გადააკეთეს.[5]

ოდიშის ერისთავები დადიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ. XII საუკუნის 80-იანი წლებიდან XIII საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით ოდიშის ერისთავი ბედან I დადიანი იყო. ეს არის თამარ მეფის დროინდელი ერისთავი. ის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა 1191 წელს ქართველ დიდებულთა აჯანყებისა თამარ მეფის წინააღმდეგ; ლაშა-გიორგის (1213-1223) მეფობის დასაწყისში განძის ათაბაგის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობდა; 1230 წელს დავით რუსუდანის ძის თანამოსაყდრედ კურთხევის თანადამხვდურია.[6] დადიანების ფეოდალური საგვარეულოს ეს შტო XIII საუკუნის შუა ხანებიდან მაინც მემკვიდრეობით ფლობდა ოდიშის ერისთავობას. მოგვიანებით, დამოუკიდებელ მთავრად მათი გახდომის შემდეგ, „დადიანი“ ოდიშის მთავრის ტიტულის აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა.

ბედან I დადიანის შემდეგ, ოდიშის ერისთავი გახდა მისი ვაჟი ჯუანშერი, რომელიც XIII საუკუნის 30-40-იანი წლების მოღვაწეა. იგი შეცვალა მისმა ვაჟმა ბედან II-მ, რომელიც ოდიშის ერისთავი XIII საუკუნის 40-90-იან წლებში იყო. ის 1246 წლის კოხტასთავის შეთქმულების მონაწილეა.[7]

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. II. *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ,* თბ., 1959, გვ. 34.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. IV. *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ,* თბ., 1973, გვ. 796.

[3] **დ. მუსხელიშვილი,** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 147.

[4] **გ. არახამია,** ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. — XVI ს. I ნახ.), გვ. 7-13.

[5] **ა. თორდია**, სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ოდიში, გვ. 74-76.

[6] **გ. არახამია,** ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. — XVI ს. I ნახ.), გვ. 42-43.

[7] **გ. არახამია,** ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. — XVI ს. I ნახ.), გვ. 43. კოხტასთავის შეთქმულების კიდევ ერთი მონაწილე, ცოტნე დადიანი, ოდიშის ერისთავთა გვერდით შტოს ეკუთვნოდა. ამ შტოს წარმომადგენელია თამარ

XIII საუკუნის 50-60-იან წლებში საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია დაიშალა აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. აღმოსავლეთ საქართველოში დავით ლაშა-გიორგის ძე გამეფდა, დასავლეთ საქართველოში – დავით რუსუდანის ძე (ნარინი); სამცხის სამთავროში ჯაყელები მთავრობდნენ. ოდიშის ერისთავი ბედან II დადიანი მხარს უჭერდა დავით ნარინის განმტკიცებას ლიხთიმერეთის სამეფო ტახტზე. მას დასავლეთ საქართველოს სამეფო კარზე მანდატურთუხუცესის თანამდებობაც ეკავა.[1]

დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ ლიხთიმერეთის სამეფო ტახტზე მისი უფროსი ვაჟი კონსტანტინე (1293-1326) ავიდა.[2] კონსტანტინეს მეფობას წინაღუდგა მისი ძმა მიქელი და ძმებს შორის ბრძოლა გაჩაღდა. დასავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარება დეცენტრალიზაციის კარგ პირობებს ქმნიდა, რაც ერისთავებმა ხელიდან არ გაუშვეს. XIV საუკუნის დასაწყისში ოდიშის ერისთავმა გიორგი I დადიანმა ისარგებლა დავით ნარინის სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით და ცხუმის საერისთავო შეიერთა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი დადიანმა „მაშინ მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თვით სრულიად ოდიში ანაკოფიადმდე“.[3] ამრიგად, ოდიშის შემადგენლობაში შევიდა ცხუმის საერისთავოს ტერიტორია ქალაქებით ცხუმი და ანაკოფია და ამ დროიდან მისი საზღვარი ანაკოფიის დასავლეთითით მდ. ანაკოფიის წყალზე (ამჟ. ფსირცხა) გავიდა, სადაც აფხაზთა საერისთავოს ესაზღვრებოდა.[4] ოდიშის ერისთავმა არამარტო შეიერთა ცხუმის საერისთავო, „თავისად განიმკვიდრა“ მთელი ოდიში და „არღარა ეგდენსა მორჩილებასა შინა“ არის მეფეთა, თუმცა მთლად დამოუკიდებელი ხელისუფალი – მთავარი ჯერ კიდევ არ არის.[5]

გიორგი I დადიანი XIII საუკუნის II ნახევრის ერისთავთ-ერისთავისა და მანდატურთუხუცესის ბედან II დადიანისა და ქართლის ერისთავის ბეგა სურამელის ასულის – ხუაშაქის ძე იყო.[6] მის მიერ არის აგებული ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი მდ. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ტაძრის ფრესკაზე გამოსახულია გიორგი I, იქვე, წარწერა გვაუწყებს: „ამა საყდრისა მაშენებელი, ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი გიორგი, შეუნდოს ღმერთმან“.[7] 1323 წელს გიორგი I დადიანი გარდაიცვალა და ოდიშის ტახტზე მისი ძე მამია I დადიანი (1323-1345) ავიდა.

1329 წელს მიქელ დავით ნარინის ძე (1326-1329) გარდაიცვალა.[8] დასავლეთ საქართველოში ახლა მიქელის მცირეწლოვან შვილს ბაგრატს უნდა ემეფა, მაგრამ მას ერისთავები არ დაემორჩილნენ. გიორგი ბრწყინვალემ (1318-1346), რომელიც თვალს ადევნებდა ლიხთიმერეთში მიმდინარე მოვლენებს, ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ლიხთიმერეთში გადასული გიორგი ბრწყინვალესთვის წინააღმდეგობა ფაქტობრივად არავის გაუწევია. 1330 წლისათვის უკვე მის ხელში იყო „ყოველნი ციხე-ქალაქნი იმერეთისანი“. ამის

მეფის დროინდელი მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, ოდიშის ერისთავის ბედან I დადიანის ძმა. სწორედ ამ ვარდან დადიანის ვაჟია კოხტასთავის გმირი ცოტნე დადიანი. ამ უკანასკნელის შთამომავლობა, შვილიშვილი შერგილი თავის ოჯახთან ერთად (მეუღლე ნათელი და შვილი ცოტნე), გამოსახულია ხობის ტაძრის ფრესკაზე (**ილ. ანთელავა**, დადიანთა გენეალოგიისათვის XIII საუკუნეში, ჟურნ. ,,დროშა“, 1986, №7; **გ. არახამია**, ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან, გვ. 66-71).

[1] **გ. არახამია,** ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. — XVI ს. I ნახ.), გვ. 43.

[2] **ვ. კიკნაძე,** საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 100.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782.

[5] **ო. სოსელია,** სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიმომხილველი*, II, თბ., 1966, გვ. 175.

[6] **ვ. ბერიძე,** ხობის ტაძრის ისტორიისათვის. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აცადემია. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1973, №2, გვ. 78.

[7] **ე. თაყაიშვილი,** არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, თფილისი, 1914, გვ. 174.

[8] **ვ. კიკნაძე,** საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 100.

მნახველი მამია დადიანი, გურიის, აფხაზთა და სვანთა ერისთავები მორჩილებას უცხადებენ მეფეს. გიორგი ბრწყინვალე „შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თვისად და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო“.[1] ამრიგად, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი ბრწყინვალემ დადიანს დაუკანონა ცხუმის საერისთავო, რომელიც ოდიშის ერისთავმა მეფის ნებართვის გარეშე დაიკავა. ახლა ამ ფაქტის იურიდიულ გაფორმებაზეა საუბარი. მეფემ მამია I დადიანს (1323-1345) დასავლეთ საქართველოს ლაშქრის მხედართმთავრის სახელოც უბოძა.[2] ეს ფაქტი, ერთმნიშვნელოვნად, საქართველოს ერთიან სამეფოში ოდიშის ერისთავის გავლენაზე მეტყველებს.

XIV საუკუნის 30-იან წლებში საქართველო მონღოლთა უღლისაგან გათავისუფლდა. 1329-1334 წლებში გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს ერთიანობაც აღადგინა. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური საზღვრები ძველ ფარგლებში აღდგა — „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“.[3] გიორგი V ბრწყინვალესა (1314-1346) და დავით IX-ის (1346-1360) დროს დადიანად დასმის აქტი, მართალია, ფორმალურად მეფის სანქციით ხდებოდა, მაგრამ დადიანობის „წართმევა და ცვალობა“ მეფეს არ შეეძლო.[4] ოდიშის საერისთავოს გაძლიერება აისახა XIV საუკუნის არაბი ისტორიკოსების ცნობებში. ალ-მუჰიბბი წერს: „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე — დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს, და დადიმანი — მეფე, რომელიც განაგებს სუხუმსა და აბხასს... ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე“.[5] ალ-მუჰიბბის ეს ცნობა შემდეგ თავის ენციკლოპედიაში ალ-კალკაშანდიმ შეიტანა. ის წერს: „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე, ერთი მათგანია ზემოხსენებული თბილისის გამგებელი... მეორე სუხუმისა და აბხასის გამგებელი. ეს არის ყირიმის ზღვის სამხრეთით მდებარე ორი ქალაქი... მაშინ მის გამგებელს ეწოდებოდა დადიანი... ყოველ მათგანთან მიმოწერის წესი ნახევარ ფურცელზეა... ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე“.[6]

ალ-მუჰიბბის ცნობაში მოხსენიებული „დავით მეფე“ არის დავით IX, ხოლო „დადიანი“ — გიორგი II დადიანია (1345-1384წწ.).[7] ალ-მუჰიბბი ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომ ამ დროს დადიანები ფლობენ ქალაქ ცხუმს (სოხუმი), რაც შეეხება „აბხასს“, აქ უნდა იგულისხმებოდეს შუა საუკუნეების იტალიურ რუკებზე (XIII-XVI სს.) დღევანდელ გაგრასთან, მდ. აბასკის (აბასკოსი, მზიმთა) შესართავთან მდებარე ნავსადგური Abkazia (Abcazia, Avogazia, Avogaxia).[8] დადიანების მიერ „აბხასის“ ფლობა მიუთითებს, რომ მათ აფხაზთა საერისთავოზე გარკვეული გავლენა ჰქონდათ, როგორც სამეფოს სპასალარებს თუ, მოგვიანებით, მანდატურთუხუცესებს.

XIV საუკუნეში საქართველოს შავიზღვისპირეთში, ოდიშის საერისთავოში, გენუელი ვაჭრები მკვიდრდებიან. 1354 წელს გენუელებმა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ცხუმში ფაქტორიის დაარსებაზე ნებართვა მიიღეს. პირველი კონსულიც იმავე წელს დაინიშნა. გენუელები ცხუმის სავაჭრო ფაქტორიას სებასტოპოლისს უწოდებდნენ მისი ანტიკური ხანის რომაული სახელის მიხედვით. იმავე ხანებში, 1318 წელს, ცხუმში კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა. სებასტოპოლის (ცხუმის) მოსახლეობა ძირითადად ქართველებისაგან შედგებოდა და თვითონ იტალიელები მცირე რაოდენობით იყვნენ. სავაჭრო ფაქტორიას ქალაქის ერთი კვარტალი ეკავა და თვითმმართველობით სარგებლობდა. გენუელები ადგილობრივ მო-

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 257-258.

[2] **თ. ბერაძე,** ოდიშის საერისთავო, წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, *ილია ანთელავას საერთო რედაქციით,* თბ.-ზუგდიდი, 1999, გვ. 154-155; **ვ. კიკნაძე,** საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 101-102.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 259.

[4] **ო. სოსელია,** სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 178.

[5] XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. *არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა,* თბ., 1988, გვ. 53.

[6] XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, გვ. 56.

[7] **დ. გოჩოლეიშვილი,** XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, წიგნ. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, გვ. 45.

[8] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 42.

სახლეობასთან აღებ-მიცემობით იყვნენ დაკავებული. ისინი ყიდულობდნენ ყველაფერს, რისი შეძენაც ამ მხარეში შეიძლებოდა და თვითონაც შემოჰქონდათ სავაჭრო საქონელი. გენუელებს საქართველოს შავიზღვისპირეთიდან გაჰქონდათ გემების საშენი ხე-ტყე, განსაკუთრებით, ძვირფასი ჯიშები, მათ შორის ბზა, ტყავი და ბეწვეული, თაფლი, ცვილი, ფისი, მარცვლეული, ღვინო, აბრეშუმი და სხვა.[1]

გენუის მთავრობა ადგილობრივ მფლობელთან — „ბედიანთან" შეთანხმებით, ნიშნავდა კონსულსა და სხვა მოხელეებს. მიუხედავად იმისა, რომ გენუელებს ცხუმში კონსული ჰყავდათ, ამ ქალაქის სრული ბატონ-პატრონი მაინც „ბედიანი" იყო. ამით ცხუმი საგრძნობლად განსხვავდებოდა შავიზღვისპირეთის იტალიელთა კოლონიებისაგან, სადაც გენუელები თავს სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდნენ.[2]

აღსანიშნავია, რომ ოდიშის საერისთავოს ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებდა საზღვაო ვაჭრობა. XIV-XV სს. ოდიშის საერისთავოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ტრაპიზონის იმპერიასთან, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის იტალიურ საზღვაო კოლონიებთან, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან. ოდიშის უმნიშვნელოვანესი ნავსადგური იყო ფოთი, კემხელი (ყულევი), სათამაშია (ტამიში), კელასური, ცხუმი (სოხუმი). ფოთში იყო იტალიელთა მნიშვნელოვანი დასახლება, ხოლო ცხუმში – გენუელთა სავაჭრი ფაქტორია სებასტოპოლისი. შავი ზღვით საქართველოში შემოდიოდა საქონელი ჩრდილოეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთიდან, შორეული აღმოსავლეთიდან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, კერძოდ: მარილი და დამარილებული თევზი, სანელებლები, საღებავები, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები, რკინისა და სპილენძის ნაკეთობანი, სამკაულები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, ხელოსნური ნაწარმი, ქსოვილები, იარაღი და სხვ.

გიორგი II დადიანი მეუღლესთან, თამარ-ყოფილ თომაიდასთან ერთად იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში,[3] რაც მოწმობს, რომ მას ამ ქართული სავანის მიმართ გარკვეული ღვაწლი აქვს. 1384 წელს გიორგი II გარდაიცვალა და საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის (1360-1393) დასტურით ოდიშის ერისთავი გახდა გარდაცვლილი ერისთავის ძე ვამეყ I დადიანი (1384-1396), რომელმაც, მოგვიანებით, მანდატურთუხუცესის სახელოც მიიღო.[4]

XIV საუკუნის დასასრული ერთ-ერთი უმძიმესი ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. აღმოსავლეთ საქართველოს თავს დაატყდა თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით ისარგებლეს სეპარატისტულმა ძალებმა. 80-90-იან წლებში, ჯერ იმერეთის ერისთავი ალექსანდრე, ხოლო ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმა გიორგი, იმერეთში გასამეფებლად იბრძვიან.[5] საქართველოს მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს ჯიქებმაც, რომლებიც სამეფოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ მდ. აქეუნტსა და მდ. ნიკოფსიას შორის. ისინი ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან გამოვიდნენ და საქართველოს სანაპირო რაიონებს არბევდნენ. სამეფო ხელისუფლებას, რომელიც თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩაბმული, ჯიქების „ორგულობის" აღსაკვეთად ძალა არ შესწევდა. საჭირო იყო გადამწყვეტი მოქმედება და ეს თავს იდო ვამეყ დადიანმა. ოდიშის ერისთავი დაუყოვნებლივ გაემართა ჯიქეთში, ზედიზედ აიღო ციხეები, მთავრები, ვინც მის წინაშე მორჩილებით გამოცხადდა, დამძევლა, ვინც წინააღმდეგობას არ წყვეტდა, ძალით დაიმორჩილა, ჯიქეთი კვლავ შემოუმტკიცა საქართველოს სამეფოს და გამარჯვებული ოდიშში დაბრუნდა. ვამეყ დადიანის წარმატებულ ლაშქრობაზე ჯიქეთში გვაუწყებს წარწერა ხობის მონასტრის ეკვდერის ქვაზე: „ქ(რისტე). სახელითა ღმრთისათა ერისთავთ-ერისთავმან და მანდატურთ უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა

---

[1] **Т. Н. Берадзе,** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, გვ. 115-119.

[2] **Т. Н. Берадзе,** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 92.

[3] **ე. მეტრეველი,** მასალები იერუსალიმის ქართველთა კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 93, 98, 101.

[4] **გ. არახამია,** ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. — XVI ს. I ნახ.), გვ. 45.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 262, 802-803.

პატრონისა ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა გიორგის შედეგად მიუხდა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათვის, რათამცა მოემსახურა და სძლო და შეურაცხ და უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღაღნი, ყოველნივე ძალითა მოირჭუნა, მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუვალი მოარბივნა. რაოდენნი მოეწყო, მათი მრავალნი წამოასხნა და სხვანი აოტნა...".[1] მიუხედავად იმისა, რომ „გაგარიც" და „უღაღიც" კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტებს აღნიშნავდნენ, გაგრასა და ანაკოფიას, წარწერაში ნახმარია ზოგადი მნიშვნელობით. „უღაღი" ძველ ქართულში „ძნელ სავალს" ნიშნავს, „გაგარი" — გასასვლელს და აქ ნახმარია „ადვილად სავალის" მნიშვნელობით. წარწერის ეს ადგილი ასე უნდა გავიგოთ: ვამეყმა „უხმარ ქმნა" ამ ქვეყნის სიმაგრეები, ადვილად მისადგომნიც და მიუვალნიც.[2]

XIV საუკუნის მიწურულს მნიშვნელოვნად გაძლიერდა იმერეთის ერისთავი გიორგი, რომელიც შეეცადა დასავლეთ საქართველოს ერისთავები დაემორჩილებინა. პირველ რიგში, მან ვამეყ დადიანის წინააღმდეგობის გატეხვა მოიწადინა, ვინაიდან კარგად იცოდა, „უკეთუ სძლოს და დაიმორჩილოს იგი, სხუანიცა ყოველნი დაიპყრას", შეკრიბა ლაშქარი და 1392 წელს ოდიშში შეიჭრა. ვამეყ დადიანს აფხაზთა ერისთავიც მიეშველა. იმერეთის ერისთავი დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა. ოდიშის ერისთავის მოწოდებით დასავლეთ საქართველოში გადმოვიდა საქართველოს მეფე გიორგი VII (1393-1407) და იმერეთი დაიკავა.[3]

ვამეყ I დადიანი იხსენიება სინის მთის სულთა მატიანეში,[4] საიდანაც ჩანს, რომ მას გარკვეული ღვაწლი აქვს ამ ქართული სავანის მიმართ. ნიშანდობლივია, რომ ვამეყ I დადიანი შავიზღვისპირეთში ვაჭრობის გაადვილების მიზნით ცხუმში მონეტას „ცხუმურ თეთრს" ჭრიდა.[5]

1396 წელს ვამეყ I დადიანი გარდაიცვალა. ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალებმა ვამეყ დადიანის გარდაცვალება ხელსაყრელ დროდ მიიჩნიეს თავიანთი მიზნების განსახორციელებლად და დასავლეთ საქართველოში კვლავ დამოუკიდებელი სამეფოს შექმნა მოინდომეს — იმერეთის ერისთავი გამეფებას შეეცადა. მამია II დადიანი (1396-1412) წინაღუდგა ერისთავის ცდას და საქართველოს მთლიანობის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი. თემურ-ლენგის შემოსევების შეწყვეტის შემდეგ, ცენტრალურ ხელისუფლებას შესაძლებლობა მიეცა დასავლეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად ეზრუნა. გიორგი VII დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც მას ოდიშის ერისთავი შეუერთდა. მეფემ იმერეთი შემოიმტკიცა.[6] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეფემ მამია II დადიანს ერთგულებისათვის ცხუმის საერისთავო უბოძა.[7] ამრიგად, მეფემ კიდევ ერთხელ დაუდასტურა დადიანს ცხუმის საერისთავოს გადაცემა, ე. ი. წყალობა განუახლა.

თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები თავს დაატყდა ჩრდილოეთ კავკასიასაც, რასაც აქ მცხოვრები ხალხები ამოძრავების ახალი ტალღა მოჰყვა. ამ მოვლენებმა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აფხაზთა საერისთავოშიც ჰპოვა ასახვა, რაც ქრისტიანობის დაკნინებაში და აფხაზთა ერისთავის სეპარატისტულ მისწრაფებაში გამოვლინდა. ამის აღსაკვეთად მამია II დადიანი 1412 წელს აფხაზთა საერისთავოში შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა და თვითონაც ბრძოლაში დაიღუპა.[8] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „არამედ იხილა რა მამია

---

[1] **ე. თაყაიშვილი,** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, *კრებ. ,,ძველი საქართველო"*, ტ. III, ტფ., 1913-1914, გვ. 132-133.

[2] **თ. ბერაძე,** ,,გაგარი" და ,,უღაღის" განმარტებისათვის, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ,,მაცნე". ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1973, №1, გვ. 122-123.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 803-804.

[4] **ივ. ჯავახიშვილი,** სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 247.

[5] **დ. კაპანაძე,** ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1966, გვ. 114; **თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა**, საქართველოს ისტორიული ატლასი, I. აფხაზეთი. თბ., 2013, გვ. 12.

[6] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 804-805.

[7] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 269.

[8] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 278; **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 46.

დადიანმან ესე-ვითარებანი, ინება დამორჩილება აფხაზთა, ამასვე წელსა შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა, მისრულს აფხაზეთს ეწყო შარვაშიძე აფხაზით სიმაგრით გამო. მოსწყვიდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია".[1] საქართველოს მეფე ალექსანდრე I (1412-1442) „ქვეყნის აშლის შიშით" (ივ. ჯავახიშვილი) მაშინათვე დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ოდიშის ერისთავად ლიპარიტ მამიას ძე დასვა და, შემდეგ, მისი თანხლებით, აფხაზთა საერისთავოში გადავიდა. შარვაშიძემ მეფეს მორჩილება გამოუცხადა. ალექსანდრე I-მა აფხაზთა ერისთავი ოდიშის ერისთავთან შეარიგა, საქმეები მოაგვარა და უკან გაბრუნდა.[2]

1453 წლის 29 მაისს თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერიას ბოლო მოუღეს. საქართველოს დიდი კულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოს ნაცვლად, რომლის მეშვეობითაც ის დასავლურ ცივილიზებულ სამყაროს უკავშირდებოდა და რომელთანაც მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა, გაუმეზობლდა ძლიერი, უაღრესად აგრესიული მაჰმადიანური ოსმალეთი, რამაც შემდეგ საბედისწერო როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. 1454 წლის ზაფხულში 56 გემისაგან შემდგარი ოსმალეთის ფლოტი ოდიშის სანავსადგურო ქალაქ ცხუმს თავს დაესხა. ოსმალებმა გაძარცვეს და გადაწვეს ქალაქი. გენუელ ვაჭართა ერთი ნაწილი ტყვედ ჩავარდა, ნაწილმა გაქცევით უშველა თავს.[3] ცხუმთან ერთად ოსმალებს აფხაზეთის სანაპირო ზოლიც გაუძარცვავთ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოსმალებმა „აღაოხრნეს და ამოსწყვიდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღვის პირნი. უკუნ-იქცნენ და წარვიდნენ".[4]

ეს იყო ოსმალთა პირველი თავდასხმა საქართველოს მიწა-წყალზე. გიორგი VIII (1446-1466) დაუყოვნებლივ გადავიდა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ოსმალები ამ დროისათვის წასულიყვნენ. მეფემ გახიზნული მოსახლეობა დააბრუნა, ციხეები გაამაგრა და უკან გაბრუნდა.[5] ოსმალთა თავდასხმის შემდეგ, სულ მალე, 1455 წლის 28 ივნისს, აფხაზები, რომლებმაც ისარგებლეს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით და მორჩილებიდან გამოვიდნენ, დაესხნენ ცხუმს და საშინლად აიკლეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ და გენუელებმა გაქცევით უშველეს თავს. გაქცეულთა შორის იყო სებასტოპოლის კონსულიც, რომელმაც კაფას (ფეოდოსია) შეაფარა თავი.[6] ეს იყო აფხაზების პირველი გამოჩენა ცხუმში. სებასტოპოლის კონსულმა ჯერალდო პინელიმ თხოვნა-წერილი გაუგზავნა გენუის პროტექტორებს, სადაც წერს: „... მე ჩავიბარე სებასტოპოლის კონსულობა... დავყავი იქ მცირე ხანი... მოულოდნელად მას დაესხნენ აფხაზები და მოსახლეობა მთლიანად გაიქცა, რათა თავი გადაერჩინა. მეც მათ მივბაძე. აფხაზებს სურდათ... უმეტესობა ტყვედ წაეყვანათ... გარდა ამისა გაცნობებთ, რომ ამ ადგილზე ჩემს ჩასვლამდე, თურქები დაესხნენ და გაძარცვეს ეს ქალაქი (ცხუმი) ... ეხლა... იქითკენ გამგზავრება საშიში გახდა".[7]

საქართველოს შავიზღვისპირეთში გენუელთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საქართველოს ხელისუფლებისა და, განსაკუთრებით, ოდიშის ერისთავის კეთილგანწყობაზე, რომელსაც XV საუკუნის 40-70-იანი წლების იტალიური წერილობითი წყაროები, ჩვეულებრივ, ბენდიანის სახელით მოიხსენიებენ. 60-იანი წლების დასაწყისში გენუელებსა და ოდიშის ერისთავს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ამის გამო გენუიდან კაფაში გაიგზავნა მოთხოვნა, დაუყოვნებლივ მოეგვარებინათ ურთიერთობა ოდიშის ერისთავთან.[8] ისეთ პი-

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 278.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 278; **ივ. ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორია, წ. III, წიგნ. **ივ. ჯავახიშვილი,** თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982, გვ. 155.

[3] **მ. სვანიძე,** საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990, გვ. 111; **Т. Н. Берадзе,** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 56, 105.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 284.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 284.

[6] **Т. Н. Берадзе,** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 105.

[7] **Т. Н. Берадзе,** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 105-106.

[8] **Т. Н. Берадзе,** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 107-108.

რობებში, როცა ცხუმზე „ბენდიანის“ ხელისუფლება ვრცელდებოდა, მას როგორც სებასტოპოლის სავაჭრო ფაქტორიის მფლობელს, ქალაქის ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალზე გარკვეული პრეტენზიაც ექნებოდა. საფიქრებელია, რომ ამის გამო წარმოიშობოდა კონფლიქტები „ბენდიანსა“ და გენუელებს შორის. გენუელები ოდიშის მთავართან კარგი ურთიერთობით იყვნენ დაინტერესებული. სებასტოპოლი კავკასიის მნიშვნელოვანი საზღვაო-სავაჭრო ცენტრი იყო. ნიშანდობლივია, რომ XV საუკუნის ევროპულ საზღვაო რუკებზე მდ. კელასურის შესართავთან აღნიშნულია სამეგრელოს პორტი.[1] გენუელების სავაჭრო ფაქტორიამ ცხუმში საუკუნეზე ცოტა მეტხანს იარსება და 1475 წელს კაფას (ამჟ. ქ. ფეოდოსია ყირიმში) დაცემასთან ერთად არსებობა შეწყვიტა.[2]

თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმდროინდელ მსოფლიოზე. ევროპის ქვეყნები ანტიოსმალური კოალიციის შექმნას შეეცადნენ. 1456 წელს რომის პაპის კალიქსტ III-ის დავალებით ფრანცისკანელი ბერი ლუდოვიკო ბოლონიელი ანტიოსმალური ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების მიზნით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში გაემგზავრა. 1458 წელს იგი ხელმეორედ ჩამოვიდა საქართველოში. ქართველმა მეფე-მთავრებმა — საქართველოს მეფემ გიორგი VIII-მ, სამცხის მთავარმა ყვარყვარე II ჯაყელმა, სამეგრელოს მთავარმა ბედიანმა, გურიის მთავარმა მამიამ, აფხაზეთის მთავარმა რაბიამ, — ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. მაგრამ კოალიციის შექმნის იდეა ჩაიშალა.[3] წყაროებში მოხსენიებული „ბენდია სამეგრელოს მეფე“ ოდიშის ერისთავი ლიპარიტ I დადიანია (1412-1470). ლიპარიტ I დადიანი იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში,[4] რაც მოწმობს, რომ მას გარკვეული ღვაწლი აქვს ამ ქართული სავანის მიმართ. მისი თანამეცხედრე მეფის ასული ყოფილა.[5]

ანტიოსმალური ლაშქრობის გეგმის ჩაშლისთანავე საქართველოს მეფე-მთავრებს შორის 1459 წელს დადებული ზავი დაირღვა და 60-იან წლებში ახალი ძალით გაჩაღდა შინაომი. გიორგი VIII ერთიანი საქართველოს მეფედ მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა. ფაქტობრივად, ქვეყანა დაშლილი და დანაწევრებული იყო. ახლა მთავრებმა წინანდელზე უფრო დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს სრული დამოუკიდებლობისათვის. იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა (1455-1462) იმერეთის მეფობა მოინდომა, მოელაპარაკა დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და გელოვანს, რომელთაც გამარჯვების შემთხვევაში „გათავისუფლებას“ შეპირდა. 1462 წელს ბაგრატ ერისთავმა გიორგი VIII დაამარცხა ჩიხორის ბრძოლაში და გამარჯვებული შევიდა ქუთაისში. აქ „მოერთნენ“ ბაგრატს „დადიან-გურიელ-აფხაზნი და სუანნი“ და აკურთხეს იმერეთის მეფედ. ერისთავებმაც მიიღეს შეპირებული პრივილეგიები, მათ სამეფო ხელისუფლების წინაშე ყოველგვარი ვალდებულება მოეხსნათ, გარდა „ლაშქრობისა და ქუეგანწესებისა“.[6] 1466 წელს იმერეთის მეფე ბაგრატმა ქართლის ტახტი დაიკავა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა, თუმცა, რეალურად, მისი მეფობა ქართლსა და დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. გიორგი მეფე იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო და კახეთის მეფობას დასჯერებოდა. დამოუკიდებელი გახდა სამცხის სამთავროც. საქართველოს პოლიტიკური დაშლა ამაზე არ შეჩერებულა.

საქართველოს მონარქიის დასუსტებითა და დაშლით ისარგებლეს ჯიქებმა, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან გამოვიდნენ. ადიღების (ჩერქეზების) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ექსპანსიის შედეგად, ჯიქები და სხვა აბაზა თემები სამხრეთ-

---

[1] **თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა,** საქართველოს ისტორიული ატლასი, I. აფხაზეთი, გვ. 95-96.

[2] **Т. Н. Берадзе,** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 110.

[3] **მ. თამარაშვილი,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 54-64; **დ. პაიჭაძე,** ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989, გვ. 93-94, 140.

[4] **ე. მეტრეველი,** მასალები იერუსალიმის ქართველთა კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 27, 77.

[5] **გ. არახამია,** ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI ს. — XVI ს. I ნახ.), გვ. 48.

[6] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 285, 806.

აღმოსავლეთით მოიწევდნენ. XV საუკუნეში, უშუალოდ გაგრის ჩრდილო-დასავლეთით, გაგრის ვიწროებს იქით, ჯიქების მიწები იწყებოდა. ეს პროცესები გამოწვეული იყო XIII-XIV სს. შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარებით. ჩრდილოეთ კავკასიაში მონღოლ-თათართა ლაშქრობების შემდეგ, იმიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობა: ადიღები, ალან-ოსები, ძურძუკ-ღილღვები, იძულებული გახდნენ იმიერკავკასიის ველები მოძალადეთათვის დაეთმოთ, თვი-თონ კი მტრებისათვის მიუვალ, მაგრამ მწირ მთას შეხიზნოდნენ. „მთის სიმწირე-სივიწროვით ამოხუთული იმიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობა პირაქეთი კავკასიონისა და მთის ძირობა საქართველოს დაპყრობას ცდილობდა“.[1]

ამდენად, საქართველოს მონარქიის დასუსტებისა და დაშლის შემდეგ მიმდინარეობს მთის ჩამოწოლის პროცესი, კავკასიის მთის მოსახლეობის მოძალება და თანდათან ჩამოსახლება პო-ლიტიკურად დასუსტებულ, ზოგან აყრილ-აოხრებულ ბარში. საქართველოს ჩრდილო-და-სავლეთ ნაწილში აბაზა-ადიღების, შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში — ოსების, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით — დაღესტნელების ჩამოსახლებამ შემდეგ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს განვითარებაზე. მთას თან მოჰქონდა მისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული სამეურნეო და სოციალური ყოფა, წეს-ჩვეულებები, წარმართობა. დამხვდური ელემენტი და-საწყისში ითვისებდა მას, მოსული ელემენტი დამხვდურის კულტურას ეზიარებოდა, მისი სამე-ურნეო და საზოგადოებრივი ტრადიციების მატარებლად იქცეოდა და შეერწყმოდა დამხვდურთ, მაგრამ თავის მხრივაც ახდენდა გავლენას მასზე.[2]

ლიპარიტ I დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშის ერისთავი მისი ძე შამადავლა (1470-1475) გახდა. იგი ილორის ჯვრის წარწერასა და ხობის იადგარის განახლების სიგელში დადიან-გურიელად იხსენიება, ხოლო ცხემნარის მთავარანგელოზთა ხატის წარწერაში კი სვანთა ერისთავადაც. შამადავლა დადიანის ხობისადმი შეწირულობის სიგელში ნათლადაა ნაჩვენები იმ დროს აფხაზეთში შექმნილი ვითარება. სიგელში ნათქვამია: „მას ჟამსა უღმთოდ და უსჯუ-ლოებად მიიქცეს აფხაზნი“-ო, და „აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა“.[3] ნი-შანდობლივია, რომ სიგელში აფხაზეთის მდგომარეობა ნაჩვენებია თანამედროვის — შა-მადავლა დადიანის მიერ. როგორც ჩანს, XV საუკუნეში აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანობისაგან გამდგარია და აქ წარმართობაა აღორძინებული, აგრერიგად დამახასია-თებელი მთიელთა ყოფისათვის. XV საუკუნეში მთის ჩამოწოლის პროცესი საკმაოდ შორს ჩანს წასული, რისი აშკარა მოწმობაა აფხაზთა მიქცევა „წარმართობისადმი“, რაც აისახა ამ დროს შედგენილ ძეგლში „მცნება სასჯულო“ (1470-1474). ისევე, როგორც ხობისადმი შეწირულობის სიგელში, აქაც ჩანს ქართული სამყაროსაგან აფხაზთა „გაუცხოების“ კვალი: „აფხაზეთი ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“.[4]

1474 წლის ივლისში შამადავლა დადიანი გარდაიცვალა. ბაგრატ VI-ის (1466-1478) დასტუ-რით ოდიშის ტახტზე შამადავლე დადიანის ბიძა ვამეყ II დადიანი (1474-1482) ავიდა.[5] დადიანად დასმის შემდეგ, ვამეყი ბაგრატ მეფის ურჩობას იწყებს. ეტყობა, მას უკვე აღარ სურს ბაგრატ VI-ის შემდგომი გაძლიერება და მის მორჩილებაში ყოფნა არ მოსწონს. მან „შემოიკრიბნა აფხაზნი და გურიელი და უწყო კირთება, ოხრება და დაპყრობა იმერეთს“.[6] ბაგრატ მეფემ, რო-მელიც ქართლში იმყოფებოდა, სასწრაფოდ გაილაშქრა ოდიშში. იმავე 1474 წელს გაიმართა ბრძოლა ვამეყ II დადიანსა და ბაგრატ VI-ს შორის. მეფემ დაამარცხა დადიანი, ოდიშში შეიჭრა,

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ჩვენს დრომდე, *ხელნაწერის უფლებით*, თბ., 1940, გვ. 287.

[2] **ნ. ბერძენიშვილი,** ბორჯომის ხეობა (დღიური, 1947 წ.), წიგნ. **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 139-141; **ბ. ლომინაძე,** ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), I, თბ., 1966, გვ. 231.

[3] საქართველოს სიძველენი, *ექვთიმე თაყაიშვილის რედ.* ტ. I, ტფ., 1920, გვ. 26.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 222.

[5] XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. *იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნე-ბი და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა*, თბ., 1981, გვ. 47-48; **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამე-ფოსა საქართველოსა, გვ. 807.

[6] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 807.

ციხეები დაიკავა და ვამეყ დადიანს მორჩილების ფიცი დაადებინა.[1] საგულისხმოა, რომ ბაგრატმა ვერ ჩამოართვა ერისთავობა ვამეყს და მხოლოდ მორჩილების ფიცს დასჯერდა.

ბაგრატ VI-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტზე ალექსანდრე დიდის შვილიშვილი კონსტანტინე II (1478-1505) ავიდა. ბაგრატ მეფის ძე ალექსანდრე იმერეთში გამეფებას შეეცადა, მაგრამ მთავრებმა ის მეფედ არ ისურვეს. ასეთ ვითარებაში კონსტანტინემ საქართველოს ერთიანობის აღდგენა გადაწყვიტა. 1479 წელს იგი ლიხთიმერეთში გადავიდა და მთავართა თანადგომით, განსაკუთრებით, ბაგრატ VI-ის მომდურავი ვამეყ II დადიანის დახმარებით, იმერეთშიც გაბატონდა. 1483 წელს კონსტანტინე II ყვარყვარე ათაბაგთან არადეთის ბრძოლაში დამარცხდა. ამით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, 1484 წელს ქუთაისი დაიკავა და მეფედ ეკურთხა. კონსტანტინემ კიდევ ერთხელ შეძლო იმერეთში გაბატონება, მაგრამ მცირე ხნით. 1489 წელს ალექსანდრე II (1489-1510) კვლავ დაეუფლა იმერეთის ტახტს, ამჯერად უკვე საბოლოოდ. ასე ჩაეყარა საფუძველი იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელ არსებობას. ქართლის ტახტს კი კონსტანტინე II ფლობდა.[2]

XV საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადად დასრულდა საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლა. ეს იყო „ნელი, თანდათანი და ხანგრძლივი პროცესი, XV საუკუნის დასასრული ამ პროცესის ქრონოლოგიური ტეხილია, როცა უდავო შეიქმნა დამრღვევ ძალთა უპირატესობა გამაერთიანებელ ძალებთან შედარებით“.[3] ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მწიფდებოდა და უაღრესად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ თუ საგარეო-პოლიტიკურ მოვლენათა გადახლართვის შედეგი იყო. ხვარაზმშაჰ ჯალალედინის შემოსევამ, მონღოლების ასწლიანმა თარეშმა, შემდეგ კი თემურ-ლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა დაასუსტეს ცენტრალური ხელისუფლება, ძირი გამოუთხარეს ფეოდალური საქართველოს ეკონომიკასა და პოლიტიკურ ძლიერებას. უცხო ძალის უხეშმა ზემოქმედებამ გააჩანაგა ქვეყნის ეკონომიკა, რამაც, თავის მხრივ, მოშალა მისი პოლიტიკური ერთიანობის საფუძვლები. შესაბამისად, შესუსტდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის სამეურნეო ურთიერთობა, ყოველივე ამან გააძლიერა პროვინციულ-თემობრივი განკერძოებულობა, ხელი გაუხსნა ფეოდალურ პარტიკულარიზმს.[4] 1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზი იძულებული გახდა ეცნო საქართველოს პოლიტიკური დაშლის ფაქტი.[5]

საქართველოს მონარქიის დაშლისა და სამეფო-სამთავროების წარმოშობის შემდეგ, გაძლიერდა განკერძოების პროცესი, მაგრამ ერთიანობის იდეა ამის შემდეგაც არ გამქრალა. საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდებოდა ერთიანი ქართული კულტურის შექმნა. ქართული ენა რჩებოდა საკომუნიკაციო, ღვთისმსახურების, ლიტერატურისა და ხელოვნების ენად. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეა ცოცხლობდა დამოუკიდებელი სამეფოების მეფეთა ტიტულატურაშიც. ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეები „ორისავე ტახტის გამაერთიანებლად“, „ყოვლისა საქართველოსა ტახტისა და გვირგვინის მპყრობელებად“ და „მეფეთ მეფედ“ იწოდებოდნენ.[6]

ამდენად, XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფო ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ დაიშალა. ოდიშის, გურიის, სვანთა და აფხაზთა საე-

---

[1] XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 47-48; **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 807.

[2] **ბ. ლომინაძე,** საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, *სინ*, ტ. III, თბ., 1979, გვ. 748.

[3] **ნ. ბერძენიშვილი,** ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, წიგნ. **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 137-138.

[4] **ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია,** საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 258; **ივ. ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 398 და შემდ. **ილ. ანთელავა,** XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 230-231.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 390; **ივ. ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. გვ. 371.

[6] **ვ. გუჩუა,** საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე, *სინ*, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 86.

რისთავოები იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. ეს საერისთავოები, რომლებიც ფაქტობრივად სამთავროებს წარმოადგენდნენ, ნაბიჯ-ნაბიჯ იფართოებდნენ უფლებებს და სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის გადმოცემისას, ბერი ეგნატაშვილი იძლევა ამ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრებსაც. დადიანის სამფლობელოს იგი შემდეგნაირად აღწერს: „ხოლო დადიანს ეპყრა: ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმს ქუემოთი, სუანეთის მთის გარდმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი. და აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა. კუალად ეპყრა დადიანს ზღუას შემოღმართი და რიონს გაღმართი“.[1]

ბერი ეგნატაშვილის ზოგადი ხასიათის ცნობისაგან განსხვავებით, XV საუკუნის მეორე ნახევრის ოდიშის საზღვრების შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობა ვახუშტი ბატონიშვილს აქვს: „ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე, მერე თაკუერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამხრით და კუალად თაკუერიდამვე წარსული კავკასი ჩრდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სუანეთს შორისი; სამხრით მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კუალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღუა; დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოპიის მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამხრით ზღუამდე“.[2] ამდენად, ოდიშის საზღვარი აღმოსავლეთით გასდევდა მდ. ცხენისწყალს, სამხრეთით მდ. რიონს, დასავლეთით შავ ზღვას და ჩრდილო-დასავლეთით ანაკოფიასთან, ანაკოფიის მდინარეზე (ამჟ. მდ. ფსირცხა) გადიოდა.[3] ჩრდილო-დასავლეთით მას აფხაზთა საერისთავო ესაზღვრებოდა, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ანაკოფიის მდინარიდან გაგრის ვიწროებამდე. იმის იქით იყო ჯიქეთი.[4] აფხაზთა ერისთავი შარვაშიძე დადიანთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.[5] ოდიშს სამხრეთით, მდ. ფიჩორისა და რიონის გაყოლებაზე გურია ესაზღვრებოდა; აღმოსავლეთით, მდ ცხენისწყალზე — იმერეთის სამეფო, ხოლო ჩრდილოეთით, ცხენისწყლისა და ენგურის ზემო წელში — ლეჩხუმი და სვანეთი.

სათავადოები. გარეშე მტრების შემოსევებმა და შინაომებმა საქართველოს სოფლის მეურნეობა გააჩანაგა, საქალაქო ცხოვრება დაკნინდა, ვაჭრობა და ხელოსნობა დაქვეითდა, შესაბამისად, მოიშალა ქვეყნის ერთიანობის ეკონომიკური საფუძვლები. ეკონომიკურად დასუსტებული ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება გაჭირდა. მოიშალა ქვეყნის ერთიანობის სოციალური საფუძველიც: მოსახლეობა შემცირდა — ყმა-გლეხები, ვაჭარ-ხელოსნები. ამით შემცირდა ის სოციალური ძალა, რომელზე დაყრდნობითაც მეფე ფეოდალური საქართველოს ერთიანობას ინარჩუნებდა. მოგვიანებით, მეფე-პოეტი არჩილი (1647-1713წწ.) პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, კიდევაც წერდა: „თუ ამოსწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა“. XV საუკუნემდე ფეოდალთა კლასის წარმომადგენელთა საერთო სახელი *აზნაური* იყო. მათ ზედა ფენას *დიდებული აზნაურები* ანუ დიდებულები, ხოლო ქვედა ფენას *აზნაურები* შეადგენდნენ. XV-XVI საუკუნეებში ფეოდალური განკერძოების პროცესი გაღრმავდა. გაძლიერებულმა ფეოდალებმა მიაღწიეს იმას, რომ მეფის მიერ საგამგებლოდ მიცემული ადგილ-მამულები და თანამდებობები მემკვიდრეობით ჩაიგდეს ხელში. ამიერიდან, დიდებულ აზნაურთა ცალკე ფენა თავადთა წოდების სახით ჩამოყალიბდა, მათ სამფლობელოებს სათავადოები ეწოდა. ამდენად, XV საუკუნიდან დამოუკიდებელ აზნაურთა ფენა გაქრა, სამაგიეროდ ჩამოყალიბდა მეფის, ეკლესიის და სათავადო აზნაურთა ფენები. მათ სიუზერენისაგან ნაწყალობევი ჰქონდათ ყმა-მამული. აზნაურებს ყმებიც ჰყავდათ, რომლებიც მას ღალასა და ბეგარას უხდიდნენ. *ღალა* ზოგადად ეწოდებოდა საგლე-

---

[1] **ბერი ეგნატაშვილი,** ახალი ქართლის ცხოვრება, *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ,* ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. II. თბ., 1959, გვ. 349.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 776.

[3] **თ. ბერაძე,** ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 171.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 783.

[5] **თ. ბერაძე,** ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 178.

ხო მიწათმფლობელობასთან დაკავშირებულ ფეოდალურ გამოსაღებს მარცვლეულით. ღალის სახით გლეხი ფეოდალს, მიწის სიდიდისა და ხარისხის მიხედვით, მოსავლის 1/3-1/10 ნაწილს უხდიდა. საისტორიო საბუთებში ღალა ასევე სხვადასხვა სახის ნატურალურ საგლეხო გადასახადს აღნიშნავს; *ბეგარა* ეწოდებოდა მკვიდრი გლეხის მიერ მიწის ჭერასთან დაკავშირებულ ნატურალურ და ფულად გამოსაღებს. ბეგარა შრომით ვალდებულებასაც გულისხმობდა: ხვნა, თესვა, ვენახში მუშაობა, რასაც შრომით ბეგარასაც უწოდებდნენ. ზოგიერთი ბეგარა საპატიოდ ითვლებოდა — მეფის სამსახური, ლაშქრობასა და ნადირობაში ხლება, ზოგიც — არასაპატიოდ: ზურგით ტვირთის ზიდვა და სხვ. საპატიო ნატურალური ბეგარა იყო ძღვენი და სამასპინძლო.[1]

გლეხობა არ წარმოადგენდა ერთ მთლიან წოდებრივ ფენას, არამედ რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა. გლეხი მემკვიდრეობით მიწაზე მჯდომს ეთქმოდა. საბატონო მიწის ნაკვეთს, რომელსაც გლეხი ფლობდა, *ფუძე* ერქვა. მის აღსანიშნავად *მამულიც* იხმარებოდა, რადგან მამისგან შვილზე გადადიოდა. XVI საუკუნიდან მის აღსანიშნავად შემოვიდა *საკომლო* (საკუამლო, საკვამლო). „რასაც კუამლი ამოსდიოდეს“, ესა და ეს ბეგარა გამოიღოსო, ნათქვამია საბუთებში. სრულიად უმიწო, უსახლკარო გლეხი საბუთებში გარკვეულ დრომდე არ ჩანს.[2]

ამდენად, XV-XVI სს. მიჯნაზე აღმოცენდა სათავადოთა სისტემა, და სათავადო ფაქტობრივად იქცა სახელმწიფოდ სახელმწიფოში. სათავადოები იყო მცირე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც ძირითადად წარმოიქმნა ერთ დროს მეფეების მიერ ამა თუ იმ დიდი ფეოდალისა და მოხელისათვის სამმართველოდ, საგამგებლოდ მიცემული მიწა-წყლის მისაკუთრების შედეგად. სათავადოში, ამას გარდა, მებატონის მამა-პაპეული საკუთრება და თავისუფალ მიწათმოქმედთათვის წართმეული მიწებიც შედიოდა. დროთა ვითარებაში, მებატონეებმა მოიპოვეს სამეფო ხელისუფლებისაგან ადმინისტრაციული, საგადასახადო და ზოგჯერ სასამართლო შეუვალობა. მებატონე თვითონ წყვეტდა თავის ყმა-გლეხთა სამართალს. ამგვარად მოწყობილი სამფლობელო თანდათან სამეფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ცალკე ერთეულად გადაიქცა. ერთადერთი, რაც მათ ჯერ კიდევ აკავშირებდა სამეფო ხელისუფლებასთან, სალაშქრო ვალდებულება იყო. სათავადოს ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენდა ტერიტორიული ერთობა: თავადის ყმა-მამულს, ძირითადად, ერთი გარკვეული ტერიტორია უნდა სჭეროდა. სათავადოს ჰქონდა პოლიტიკური ცენტრი, თავადის რეზიდენცია — სასახლე, ციხე-სიმაგრე და ეკლესია-მონასტერი; თავადს თავისი აპარატიც ჰყავდა. ამასთანავე სათავადო გარკვეულ ადმინისტრაციულ და სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა.[3] თავადის სასახლისა და მამულის მართვა-გამგეობა სამეფო კარის მსგავსად იყო მოწყობილი. თავადის მოხელეები იყვნენ: სახლთუხუცესი, ზინდართუხუცესი, მოურავი, ნაცვალი, ბოქაული, იასაული, მდივანი და სხვ. თავადს აზნაურებისა და მსახურებისაგან შემდგარი რაზმი ჰყავდა, რომლის საშუალებით, ერთი მხრივ, სამეფო ლაშქარში გამოდიოდა, მეორე მხრივ კი, მორჩილებაში მოჰყავდა გლეხობა. თავადის მამულს რიგი სახელმწიფო გადასახადებიც ჰქონდა დაკისრებული. თავადის სახლს თავისი „უფროსი და ბატონი“ ჰყავდა, რომელსაც მეფე ნიშნავდა „სახლისკაცების ნებაყოფლობით“. სახლის უფროსს თავადი ეწოდებოდა, ხოლო სახლისკაცებს — თავადიშვილები. სახლის უფროსი იყო უზენაესი გამგებელი სათავადოში.[4]

XV-XVI საუკუნეთა მიჯნიდან მთელი საქართველო სათავადოებით იყო მოფენილი. იმავე ხანებში, ოდიშში, თითქმის ერთდროულად ჩამოყალიბდა ანჯაფარიძეთა, აფაქიძეთა, გოშაძეთა, ქორთოძეთა, ქოჩაქიძეთა, შელიების, ჭილაძეთა, ჯაიანთა და სხვა სათავადოები.[5] ***ჭილაძეთა სა-***

---

[1] **ლ. მუსხელიშვილი**, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI-XVII სს., *აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*, V-VI, თბ., 1940, გვ. 277.

[2] **ლ. მუსხელიშვილი**, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI-XVII სს., გვ. 269.

[3] საქართველოს ისტორია, I, გვ. 271-272.

[4] **გ. ჯამბურია**, სათავადოთა საკითხისათვის, *კრებ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები*, 1, თბ., 1970.

[5] **ო. სოსელია**, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990, გვ. 161.

თავადო მოიცავდა სოფლებს საჯავახო, ორპირი, სამტრედია, აბაშა, სეფიეთი, ტყვირი, გულე-კარი და რიონის და ცხენისწყლის შესართავიდან ტეხურის შესართავამდე ტერიტორიას, კოდორს, ცხეპიჯს, კუკუთს, სამარღნაოსა და ანჯელს. ჭილაძეების სამფლობელო ბანძამდე აღწევდა. მათი რეზიდენცია ტყვირსა და გულეკარში იყო, აქ ჰქონდათ სასახლეები კარის ეკლესიებით, ფლობდნენ ტოლების ციხე-სიმაგრეს.[1] ***გოშაძეთა სათავადო*** მოიცავდა მიწა-წყალს მდ. ხობისწყლისა და მდ. ჭანისწყლის აუზში, სოფლებს: სარაქონი, კირცხი, გაშფერდი. გოშაძეების რეზიდენცია სოფელ კირცხში იყო, აქ ჰქონდათ ციხე-სიმაგრე, სასახლე და კარის ეკლესია. სათავადოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ხობისწყალი საზღვრავდა, დასავლეთით — ჭანისწყალი.[2] ***ქორთოძეთა სათავადო*** საცაიშლოს აღმოსავლეთ ტერიტორიას მოიცავდა. ქორთოძეებს ეკუთვნოდათ სოფლები ხეთა, ხამისკური, აბასთუმანი, ხეთის ციხე.[3] ***ჯაიანთა სათავადო*** მოიცავდა სოფლებს ახუთი, ალერტი, ნოღა, აგრეთვე ლეწურწუმესა და ხორგის მნიშვნელოვან ნაწილს. მათი რეზიდენცია სოფელ ნოღაში იყო. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე.[4] ***აფაქიძეთა სათავადო*** მოიცავდა ზანას (პატარა ზანას, საშურღაიოს, სატყეებუჩაოს, საესებუოს, ზანა ეწერს და შუაგულ ზანას). ამ ტერიტორიას სააფაქიო ზანა ეწოდებოდა. მათ ეკუთვნოდათ ასევე სოფ. უშაფათისა და ფოცხოს ნაწილი. რეზიდენცია ჰქონდათ შუაგულ ზანაში, აქ იყო მათი სასახლე და კარის ეკლესია.[5] ზემო სამეგრელოში მცხოვრებ აფაქიძეებს ეკუთვნოდათ: საჩინო, კუხეში, სააფაქიო ეწერი, ნაგურუს ნაწილი, წყოუში, ფახულანი. სასახლე საჩინოში ჰქონდათ, აქვე იყო ციხე-კოშკი, ხოლო ფახულანში – ციხესიმაგრე.[6] ***ქოჩაქიძეთა სათავადო*** მოიცავდა სოფლებს ჯგალს, ჩქვალერს, ნაგურუს, ტყაიას.[7] ***შელიების სათავადო*** მოიცავდა გარახას, ნაჯაგუს, მოიდანახეს. დიდ ფეოდალურ სამფლობელოდ ჩამოყალიბდა ***სალიპარტიანო***, რომელიც მდ. ტეხურის შუა და ზემო წელს მოიცავდა ოდიშის სამთავროს აღმოსავლეთ ნაწილში. სალიპარტიანო იყო ოდიშის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს სამფლობელო მამული, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ჭყონდიდიდან უნაგირამდე. სალიპარტიანოში შედიოდა ტეხურის ორივე ნაპირის სოფლები: სალხინო, ლეცავე, ჟინოთა, თამაკონი, თარგამოული, ღალი, დღვანა, ნობელევი, ეწერი, ვახა, ოჩე, წაჩხურუ, ნამიკოლავო, კიწია, დოშაყე, გურძემი, ლეძაძამე, ნაგვაზუ, ბონბოთი, ტარჩული. სალიპარტიანოს პოლიტიკური ცენტრი ნოქალაქევთან, ტარჩულში იყო.[8] ლიპარტიანების აზნაურები რევიები იყვნენ.[9]

როგორც ირკვევა, სალიპარტიანოში შედიოდა ასევე სოფელი ხუნწი, რომელიც საისტორიო წყაროებში XVI საუკუნიდან იხსენიება. XVI საუკუნის მიწურულს შედგენილ „ხონის საყდრის გამოსავლის დავთარში“ ნათქვამია: „... არის წმიდის გიორგის ხონის საყდრისა გამოსავალი... მართებს ხუნწს ლიპარტიანის შემოწირულს კაცებს ჯაველსა და მამფორიას ორ-ოლი საკლავი, ორ-ოლი ქათამი, თვითო ჭური ღვინო, შინეთ ჩაჯდომა და მასპინძლობა და სამსახური“.[10] ამდენად, ლიპარტიანს ხონის წმიდა გიორგის ეკლესიისათვის შეუწირავს ხუნწში მცხოვრები ორი გლეხი. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ხუნწი სალიპარტიანოს შე-

---

[1] **ო. სოსელია**, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, 284-285.

[2] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., I, გვ. 286-287.

[3] **ა. ტუღუში**, ქორთოძეთა სათავადო, წიგნ. **ა. ტუღუში**, ცაიშის საეპისკოპოსო, ზუგდიდი, 2001, გვ. 37-44; **ზ. ქორთუა**, ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შესწავლის ისტორიისათვის: ქორთოძეთა სათავადო, თბ., 2014.

[4] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., I, გვ. 291-292.

[5] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., III, გვ. 161-162.

[6] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., III, გვ. 165; **პ. გაბისონია**, სამეგრელოს ისტორიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან. წალენჯიხის რაიონი, თბ., 2019, გვ. 28.

[7] **დ. ჭითანავა**, ქოჩაქიძეთა სათავადო, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XIV-XV, თბ., 2016-2017, გვ. 123.

[8] **შ. ჯღარკავა**, სალიპარტიანოს ისტორიიდან, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ,,მაცნე“*, 1970, №6, გვ. 75-84; **ო. სოსელია**, ნარკვევები..., III, გვ. 85-90.

[9] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., III, გვ. 91.

[10] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 367.

მადგენლობაში შედიოდა.[1] ამასთანავე, აზნაური რევიები, რომლებიც ლიპარტიანების აზნაურები იყვნენ, სწორედ ხუნწში (ქვემო ხუნწი) ცხოვრობდნენ.[2]

ოდიშის სამთავროს ჩამოყალიბება. XVI საუკუნეში ოდიშის საერისთავო ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო დასავლეთ საქართველოში. მთელი ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთი მის ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ოდიშის ერისთავმა მამია III დადიანმა (1512-1533) აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს უბოძა სოფლები, რომლებიც საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.[3] მამია III დადიანის წყალობის სიგელში „ბიჭვინტის ღმრთისმშობლისადმი", ნათქვამია: „...კუალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმა გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქუენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა... ეგურისპირს ნაჟანეო სამოცის კუამლის კაცითა; ხოირს წმიდის გიორგის ეკლესია ოცდახუთის კუამლის კაცითა; წამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის-შვილებითა, ოცდაათის კუამლის კაცითა; ტყაურუს მეთევზე და მენავტე შამიგია ჭუჭურია და დათია; მარმარისკარს ეგვიბტია და ჩხუნბურია, აგრეთვე ბიჭვინტის გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთისხილოვანი".[4]

მამია III დადიანის წყალობის სიგელს შემდგომ ამტკიცებენ მისი მემკვიდრეები: ლევან I (1533-1572), გიორგი III (1572-1582) და მამია IV (1582-1590). ამ ფაქტიდან ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ XVI საუკუნის ბოლოსაც აფხაზეთი ოდიშთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

ამ ხანის ევროპულ წყაროებში ოდიში ძირითადად სამეგრელოს (Mingrelia) სახელით მოიხსენიება. ხშირად, ევროპელი მოგზაურები მთელ დასავლეთ საქართველოსაც სამეგრელოს უწოდებენ და მას ძველ კოლხეთთან აიგივებენ. ავსტრიელი დიპლომატი ს. ჰერბერშტეინი, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისში ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში, წერდა: „ყუბანს იქით არის სამეგრელო", თუმცა ზემოთ აღნიშნავს, რომ მდ. ყუბანის ქვემო წელზე ცხოვრობენ „აფგაზები", ხოლო მთაში — ჩერქეზები.[5] ამ პერიოდის ოდიშის საზღვრების შესახებ საინტერესოა XVI საუკუნის I მეოთხედის თურქული წყაროს ცნობა, სადაც ნათქვამია: გურიის „იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა. იგი (სოხუმი) ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან ეშვება იალბუზის მთის კალთა. იმის იქით არის აფხაზეთის ქვეყნები. მთებს უკან მდებარეობს ჩერქეზეთის ქვეყანა და ლეკისტანი დარუბანდამდე".[6] „სოხუმი"//„სუხუმი" ქართული „ცხუმის" არაბულ-თურქული ფორმაა. არაბი ავტორი ალ-ფარიკი (XII ს.) პირველად ახსენებს ქალაქ სოხუმს. აღმოსავლურ ენებს (არაბული, თურქული) „ც" ბგერა არ გააჩნიათ, თანაც ორი თანხმოვნის ერთად გამოთქმაც უჭირთ. ასე მივიღეთ ქართული ცხუმი//ცხომიდან სუხუმ//სოხუმი. ამ თურქული წყაროს მიხედვით, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ანაკოფიის მდინარეზე (მდ. ფსირცხა) გადიოდა. „იალბუზის მთის კალთაში" უნდა იგულისხმებოდეს „ანაკოფიის მცირე მთა", რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს. იმის იქით იყო აფხაზეთი გაგრის ვიწროებამდე. რაც შეეხება „ჩერქეზეთის ქვეყანას", აქ იგულისხმება აფხაზეთის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები აბაზა თემები და ჩერქეზთა ეთნოგრაფიული ჯგუფები.

---

[1] **შ. ჯღარკავა**, სალიპარტიანოს ისტორიიდან, გვ. 79; **ი. კეკელია**, ხუნწი. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ჟურნ. ,,ეგრისი", 2006 წ., №2, გვ. 42.

[2] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი, გვ. 460.

[3] **И. Г. Антелава,** Очерки по истории Абхазии XVII- XVIII веков, 2-е изд. Сухуми, 1951, გვ. 27-28; **З. В. Анчабадзе,** Из истории средневековой Абхазии (VI- XVII вв.), Сухуми, 1959, გვ. 258.

[4] ქართული სამართლის ძეგლები. *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ,* ტ. II, თბ., 1965, გვ. 179.

[5] **С. Герберштеин,** Записки о Московии, М., 1988, გვ. 181.

[6] თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. *თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ,* თბ., 1983, გვ. 57.

აფხაზეთს ჩრდილო-დასავლეთით უშუალოდ ჯიქეთი ესაზღვრებოდა.[1]

XV-XVI სს. ჩრდილოეთ კავკასია ოსმალთა აგრესიის ობიექტი გახდა. 1475 წელს ოსმალებმა ყირიმის სახანო დაიმორჩილეს, იმავე წელს ანაპაც დაიკავეს და ამრიგად, იმიერკავკასიის დასავლეთ ნაწილშიც ფეხი მოიკიდეს. ამ დროიდან ოსმალეთი ჩრდილო-დასავლეთიდანაც გაუმეზობლდა საქართველოს. მანამდე, 1461 წელს, ოსმალებმა ტრაპიზონის სამეფო დაიპყრეს და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს უშუალოდ მოადგნენ. ამ დროიდან იწყება ჩრდილოეთ კავკასიაში თურქული ენისა და ისლამის გავრცელება.

ოსმალთა წაქეზებით დასავლეთ კავკასიის მთიელები ძარცვავდნენ აფხაზეთის, ოდიშის, გურიის სანაპირო სოფლებს, ატყვევებდნენ მოსახლეობას და ოსმალებზე ყიდიდნენ. ოსმალთა მხარდაჭერით წარმოებული ჯიქების მოწოლის შესაჩერებლად, „რამეთუ ეკირთებოდნენ იგინი ოდიშს და გურიას“ (ვახუშტი ბატონიშვილი), 1533 წლის იანვარში მამია III დადიანმა და მამია I გურიელმა (1512-1534), იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) მხარდაჭერით, ზღვით ჯიქეთში ლაშქრობა მოაწყვეს. ბრძოლის პირველი დღე ქართველთა ლაშქრის გამარჯვებით დამთავრდა. მეორე დღეს დადიანისა და გურიელის ლაშქარი სისხლისმღვრელ ბრძოლაში დამარცხდა.[2] „ახალი ქართლის ცხოვრება“ ამ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს: „დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლოდ ზღვით ნავებითა და შეიბნეს თუესა იანვარსა ოცდაათსა. პირველსა დღესა ამათ გაემარჯუა; მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ღმერთი ოდიშართათვის, უღალატეს და გამოექცნეს, დადიანი და გურიელი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს; მოეტევნეს ჯიქნი და შეიბნეს: მრავალი დახოცეს დადიანმან, გურიელმან და გურიელის ლაშქართა. მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და მისნი აზნაურშვილნი. დაღალულნი ომისაგან შეჩუენებულმან ცანდია ინალდიფითა გაინდვნა, დადიანი გააშიშულეს, სრულიად შიშუელი დაჭრეს. გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ეპისკოპოზნი, და მისნი ლაშქარნი ტყუე ყვეს. წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალნი, და მკუდარნი ფასით იყიდნა“.[3]

ტექსტის ანალიზიდან ჩანს, რომ ოდიშის ერისთავსა და მისი ლაშქრის ერთ ნაწილს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა და დადიანის ლაშქრის ნაწილს, საფიქრებელია, რომ ესაა აფხაზთა ლაშქარი, ბრძოლის ველი მიუტოვებია, ხოლო შემდეგ, ბრძოლაში ძალაგამოცლილი და ინალიფასაგან ნაღალატევი ოდიშისა და გურიის ლაშქარი დამარცხებულა. ჯიქების გამარჯვებას მათი წინსვლა მოჰყვა სამხრეთ-აღმოსავლეთით. XVI საუკუნის შუა ხანებში ისინი მდ. ბზიფამდე არიან ჩამოსულნი.[4]

ჯიქეთში დამარცხების შემდეგ ბაგრატ III უფრო მეტი ენერგიით შეუდგა ხელისუფლების განმტკიცებას. ქართლის მეფესთან შეთანხმებით, 1535 წელს, მან ლევან I დადიანთან (1533-1572) და როსტომ გურიელთან (1534-1564) ერთად, სამცხეში გაილაშქრა, ყვარყვარე II დაატყვევა და სამთავრო უშუალოდ შეუერთა თავის სამფლობელოს. იმავდროულად, ქართლის მეფემ ლუარსაბ I-მა (1527-1556) ჯავახეთი დაიკავა.[5] იმერეთის მეფემ ჭანეთი და აჭარა, რომელიც გურიელს მზეჭაბუკ ათაბაგმა (1500-1515) წაართვა, ისევ გურიელს დაუბრუნა, რამაც ლევან I დადიანი გაანაწყენა.[6]

ლევან I დადიანი საშინაო საქმეებში დამოუკიდებელი იყო და უკვე არც სამეფო გადასახადს იხდიდა, მაგრამ ფორმალურად იმერეთის მეფის ვასალად ითვლებოდა: ლევან I დადიანი ერისთავთ-ერისთავისა და იმერეთის სამეფოს მანდატურთუხუცესის საპატიო საკარისკაცო ტიტულს ატარებდა. იგი ვალდებული იყო ნადირობისას მეფეს ამალით ხლებოდა, ხოლო ლაშქრობაში — ჯარით. ოდიშის ერისთავი, რომლის ქონება და შესაძლებლობა იმერეთის მე-

---

[1] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 60.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 811; **ცხოვრება საქართველოისა** (პარიზის ქრონიკა). *ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ,* თბ., 1980, გვ. 42.

[3] **ბერი ეგნატაშვილი,** ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 497.

[4] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 63.

[5] **ბ. ხორავა, გ. ვაჭრიძე,** ბგრატ III იმერეთის მეფე, თბ., 2019, გვ. 98-102.

[6] **ბ. ხორავა, გ. ვაჭრიძე,** ბგრატ III იმერეთის მეფე, გვ. 102.

ფისას არ ჩამოუვარდებოდა, ველარ ეგუებოდა ქვეშევრდომულ მდგომარეობას და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას ესწრაფვოდა. გადამწყვეტი ნაბიჯი მან ამ გზაზე იმერეთის მეფეზე განაწყენების, აჭარა-ჭანეთის გურიელისათვის გადაცემის გამო, გადადგა.

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ოსმალები ჩაერივნენ. 1543 წელს არზრუმის მმართველი მუსა ფაშა ბაგრატ III-ის წინააღმდეგ გამოემართა. მეფემ ციხეები გაამაგრა, ლაშქარი შეკრიბა და გურიელი და დადიანი იხმო. განაწყენებული დადიანი მეფეს არ ეახლა. ქარაღაქთან ბრძოლაში იმერეთის მეფის ოსმალებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, 1545 წელს სულთანმა დიდძალი ჯარი შემოუსია საათაბაგოს. ბაგრატ III-მ ისევ უხმო დადიანს, მაგრამ იგი არც ამჯერად ეახლა მეფეს.[1] დადიანის მიერ ეს უკვე იმ აუცილებელი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას ნიშნავდა, რაც მას მეფის წინაშე ეკისრებოდა — დამორჩილდეს დადგენილ წესს „ლაშქრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა“. თუ აქამდე იგი ნომინალურად მაინც ცნობდა იმერეთის მეფის უზენაესობას, ახლა მას აშკარად განუდგა.[2]

1545 წელს ოსმალებთან სოხოისტას ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, ბაგრატ III თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის ზრუნვას შეუდგა. 1546 წელს მან ხონის ჭალაში სადარბაზოდ მიიწვია ლევან I დადიანი და დააპატიმრა. მეფემ გურიელს აცნობა დადიანის შეპყრობა, შესთავაზა ერთად გაელაშქრათ ოდიშში და იგი ერთმანეთში გაენაწილებინათ. მას განზრახული ჰქონდა როსტომ გურიელიც ხელში ჩაეგდო და „ყოველი იმერეთი ერთ საბრძანებლად“ ექცია, მაგრამ გურიელი მიუხვდა მეფეს ეშმაკობას, არ მიიღო მისი წინადადება და ბაგრატს დატყვევებული დადიანის გათავისუფლება ურჩია.[3]

მეფემ მაინც ვერ შეძლო ოდიშის შემომტკიცება. მალე, იმავე 1546 წელს, ქაიხოსრო ათაბაგმა მოისყიდა დადიანის მცველი ხოფილანდრე ჩხეიძე, რომელმაც გელათის სამრეკლოში დამწყვდეული ლევან დადიანი გააპარა და ახალციხეში ჩაიყვანა. ათაბაგი დაუზავდა გურიელს და სამივემ კავშირი შეკრა იმერეთის მეფის წინააღმდეგ. ლევან I დადიანი ისევ გაბატონდა ოდიშში და ამ დროიდან ის მეფისაგან სრულებით დამოუკიდებელი გახდა. ოდიშის კვალს გურიაც მიჰყვა. ამრიგად, XVI საუკუნის შუა ხანებიდან, თუ დადიანი და გურიელი ადრე ნომინალურად მაინც ცნობდნენ იმერეთის მეფის სიუზერენობას, უკვე სრულ დამოუკიდებლობას აღწევენ, თუმცა იმერეთის მეფე კვლავ ცდილობდა მთავრებზე თავისი გავლენა გაევრცელებინა.[4]

ამდენად, XVI საუკუნის შუა ხანებში ოდიშის საერისთავოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ოდიშის სამთავრო, რომელიც მდინარეებს ცხენისწყალსა და ანაკოფიის წყალს, მდ. რიონსა და სვანეთს შორის ტერიტორიას მოიცავდა.

საინტერესოა, რა განსხვავებაა ტიტულების — „ერისთავი“ და „მთავარი“ არსში. ერისთავი მეფის მოხელე იყო, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სამეფოს ამა თუ იმ კუთხის მმართველობა და მეფისაგან „შეცვალებით“ ინიშნებოდა. მას ევალებოდა ყოფილიყო „მეფის მორჩილებასა შინა“ და ისე განეგო მინდობილი მხარე. მთავრის ხელისუფლება ერისთავის ხელისუფლებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. მთავარი ქვეყანას „მორჩილებასა შინა თვისსა“ განაგებდა. მეფე მთავრის საქმეებში ვერ ჩაერეოდა, მის სამფლობელოში სამეფო გადასახადი ვერ აიკრიფებოდა. მთავარს მემკვიდრეობით „თვისად“ უჭირავს წინათ მეფის მიერ საგამგეოდ ჩაბარებული მხარე.[5] ლევან I დადიანი იყო ოდიშის პირველი მთავარი, რომელმაც ხელისუფლება მტკიცედ დაიმკვიდრა. ამ დროიდან გვარსახელი „დადიანი“ ოდიშის მთავრის ტიტულის აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა.

---

[1] **ბ. ხორავა, გ. ვაჭრიძე,** ბგრატ III იმერეთის მეფე, გვ. 110-113.

[2] **ო. სოსელია,** ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 35-36.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 812-813; **მ. რეხვიაშვილი,** იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ. თბ., 1989, გვ. 52.

[4] **ო. სოსელია,** სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 181; **მ. რეხვიაშვილი,** იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ., გვ. 52-53.

[5] **ო. სოსელია,** სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 172, 174.

§ 2. ოდიშის სამთავრო XVI-XVIII საუკუნეებში

ოდიშის სამთავრო XVI ს. მეორე ნახევარსა და XVII საუკუნეში. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის დაპირისპირება საშუალებას აძლევდა გარეშე მტერს ქვეყანაში ფეხი მოეკიდებინა. ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისათვის სპარსეთ-ოსმალეთის მეტოქეობაში, რაც პერმანენტულ ომებს იწვევდა, ძალაუნებურად საქართველოც იყო ჩართული. სპარსეთ-ოსმალეთის I ომი (1514-1555) 1555 წელს დამთავრდა ამასიის ზავით, რომლის ძალითაც მოქიშპეებმა საქართველო გაინაწილეს. ქართლი, კახეთი, სამცხე სპარსეთს ერგო, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და ლაზეთი — ოსმალეთს.[1] დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალეთის ვასალებად ითვლებოდნენ. სპარსეთმა და ოსმალეთმა საქართველო კი გაინაწილეს ურთიერთშორის, მაგრამ ქვეყანა ჯერ დაპყრობილი არ იყო. საქართველოს სამეფო-სამთავროების ბრძოლა აგრესორთა წინააღმდეგ ამ დროიდან მეტად არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა, რადგან მათ უკვე არ შეეძლოთ თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგობანი.

ოსმალეთს მთავარ მოწინააღმდეგედ შავიზღვისპირეთში, გაძლიერებული ოდიშის სამთავრო მიაჩნდა. 1554 წელს მოხდა ოსმალთა და ოდიშის ჯარების შეჯახება მდ. რიონის შესართავთან.[2] ამავე დროს ლევან I დადიანს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ჯიქებთან, რომლებიც მის ქვეყანას გამუდმებით თავს ესხმოდნენ.[3] ამ პერიოდში, XVI საუკუნის შუა ხანებში, აფხაზეთში ჯიქების ექსპანსიის გამო ბიჭვინტის საკათალიკოსო კათედრა გელათში გადაიტანეს.[4]

1557 წლის თებერვალში ლევან I დადიანი სტამბოლში ჩავიდა. უნგრეთის მეფე ფერდინანდის ელჩი ანთალ ვერანჩიჩი 1557 წლის 1 მარტის ანგარიშში აღნიშნავდა: „უკვე გვაქვს ზუსტი ცნობები სამეგრელოს მთავრის ჩამოსვლაზე, — წერს ვერანჩიჩი, — იგი ჩამობრძანდა ზღვით, ჩვენი 16 თებერვლის ანგარიშის გამოგზავნის მეორე დღეს... იგი ჩამოვიდა, როგორც „მეფე სრულიად სამეგრელოსი“. მან ეს ტიტული სულ ახლახან მიიღო“.[5]

ვერანჩიჩის ცნობაში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ აღნიშნულია ლევან I დადიანის მიერ მეფის (მთავრის) ტიტულის მიღება, რაც 1557 წლის ახლო ხანებში მომხდარა. ლევან I დადიანმა ოდიშის გამგებლებს შორის პირველმა, უარი თქვა იმერეთის სამეფოს საკარისკაცო ტიტულებზე და თავის თავს „ხელმწიფე დადიანი“ უწოდა. ამის შემდეგ ოდიშის მთავრები ხელმწიფეებად იწოდებოდნენ. ოდიშის მთავარი სტამბოლში ჯიქების წინააღმდეგ სამხედრო დახმარების სათხოვნელად ჩავიდა, მაგრამ ეს არ იყო დადიანის დიპლომატიური მისიის ერთადერთი მიზეზი. ოდიშის სამთავროს, რომელმაც იმერეთის სამეფოსაგან დამოუკიდებლობას მიაღწია, ამ დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება და გარანტი სჭირდებოდა. ოდიშის სამთავროს დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტის როლი ოსმალეთს უნდა ეკისრა. მართლაც, ლევან I დადიანმა ოსმალეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო და სულთნის უზენაესობა სცნო. იმერეთის მეფე ერთხელ უკვე შეეცადა გაეუქმებინა ოდიშის სამთავრო. მართალია, მეფემ ეს მაშინ ვერ შეძლო, მაგრამ იმერეთის მეფისაგან ყოველთვის იყო მოსალოდნელი მსგავსი ნაბიჯის გადადგმა. ლევან I დადიანის ღონისძიების შემდეგ, სანამ ოსმალეთი შავიზღვისპირეთში ძლიერი იყო, იმერეთის მეფე ოდიშის სამთავროს ვერ გააუქმებდა.

ერთ ქართულ საბუთში, „გუჯარი რატიანთა“, ლევან დადიანის სტამბოლში ყოფნის თაობაზე ნათქვამია: „..ასრე რომე ... ლიონ დადიანი სტანბოლს წასულა ... ქრისტეკოჩი სტამბოლს წარუტანია, და ცხრა ხომალდი ბედნიერს ხუვანთქარს წყალობად მიეცა და აქეთ წამობრძანებულა. ქრისტეკოჩი იქ სტამბოლს დაუგდია ხომალდების წინამძღვრად და მდივნობაც უბოძებია

---

[1] **ფ. გორგიჯანიძე,** ისტორია, *,,საისტორიო მოამბე“,* წ. II, ტფ., 1925, გვ. 215.

[2] **ლ. ტარდი,** უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980, გვ. 69-70.

[3] **ლ. ტარდი,** უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 77-78.

[4] **ბ. ლომინაძე,** ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), I, გვ. 180.

[5] **ლ. ტარდი,** უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 77.

და უფროსობაი ხომალდისა“.[1] ამდენად, სულთანს ლევან I დადიანისთვის 9 საბრძოლო ხომალდი — ნიჩბიანი საზღვაო ნავები, კატარღები, — გადაუცია. 9 სამხედრო კატარღა მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო შენაერთს წარმოადგენდა. მის მეთაურად დადიანს ქრისტეკოჩი რატია დაუნიშნავს. რატია გვარსახელ რატიანის შემოკლებული მეგრული ფორმაა. ფაქტობრივად, ქრისტეკოჩი რატია ქართულ წყაროებში მოხსენიებული ერთადერთი ქართველი ფლოტის სარდალია (ადმირალი). ჩვეულებრივ, ფლოტის სარდალს თავისი საფლაგმანო ხომალდიც ჰქონდა. ეს წესი არც ქართველებს დაურღვევიათ. ქრისტეკოჩი რატიას ფლოტის სარდლობასთან ერთად ერთ-ერთი ხომალდის მეთაურობაც მიუღია.[2]

ნიშანდობლივია, რომ ოდიშში კარგად იყო განვითარებული საზღვაო საქმე და ნაოსნობა. ზღვიდან ხომალდები ადიოდნენ მდ.ხობზე — ხობის მონასტრამდე, მდ.მოქვზე – სოფელ მერკულამდე; მდ.რიონი ოდიშის სამთავროს მთელ ტერიტორიაზე სანაოსნოდ გამოიყენებოდა. ოდიშის სამთავროში აგებდნენ ხომალდებს, რომლებიც როგორც მდინარეებზე, ისე ზღვაზე სანაოსნოდ გამოიყენებოდა.

XVI საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში დადიანსა და გურიელს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ამის მიზეზი მათი დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისათვის ბრძოლა იყო, ხოლო საბაბი კი დადიანთა სახლის მიერ გურიელთა სახლის ქალის შეურაცხყოფა. ოდიშის ტახტის მემკვიდრეს გიორგის ცოლად ჰყავდა როსტომ გურიელის ასული. როსტომ გურიელის გარდაცვალების შემდეგ ის მას გაშორდა და თავის ბიძას ბათულიას წაართვა ცოლი „სიკეკლუცისათვის“ და თვითონ შეირთო. ამ ფაქტმა დადიანისა და გურიელის სამთავრო სახლებს შორის შუღლი ჩამოაგდო. გიორგი II გურიელმა (1564-1583) წყენა არ შეიმჩნია და მალე ლევან I დადიანის ასული ითხოვა. თითქოს, მტრობა ჩაცხრა და ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, გურიელი ლევანის ასულს გაშორდა და იმერეთის მეფის გიორგი II-ის (1565-1585) ქვრივი და შეირთო.[3] იმერეთის მეფისა და გურიელის დამოყვრება ოდიშის მთავრის წინააღმდეგ კავშირის შეკვრას მოასწავებდა. თავის მხრივ, ლევან I დადიანი იმერეთის მსხვილ ფეოდალებს დაუკავშირდა და გიორგი მეფის ტახტიდან ჩამოგდება და მისი ბიძაშვილის ხოსრო ბატონიშვილის გამეფება მოინდომა. მეფემ და გურიელმა „იწყეს შურობად და ლაშქრობად დადიანისა“ (ბერი ეგნატაშვილი). შეჭირვებულმა დადიანმა სულთანს მიმართა დახმარებისათვის და კვლავ სტამბოლში ჩავიდა. სულთანმა ლევანს ტრაპიზონისა და არზრუმის საფაშოების ლაშქარი მისცა. გურიელმა ვერ გაბედა შებრძოლებოდა ოსმალთა ძალებით გამაგრებულ ოდიშის მთავარს და შეურიგდა. ლევან I დადიანი კვლავ გაბატონდა ოდიშში.[4]

1572 წლის 14 მაისს ლევან I დადიანი გარდაიცვალა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, „ნადირობაში ჯაიანმა ცხენი შეაძგერა და მოაკუდინა დადიანი“.[5] ოდიშის ტახტზე მისი უფროსი ვაჟი გიორგი ავიდა. იმერეთის მეფე, რომელიც უკმაყოფილო იყო დადიან-გურიელის დაზავებით, ახლა ოდიშის მთავრის გადაბირებას შეეცადა და დაუმოყვრდა მას — 1573 წელს გიორგი III დადიანის (1572-1582) და თავის ვაჟს ბაგრატს შერთო.[6] მეფისა და დადიანის დამოყვრება გიორგი გურიელს არ ესიამოვნა. მან გურიაში ჩაიყვანა ოდიშის მთავრის ძმა მამია და თავისი და შერთო. ამის შემდეგ გიორგი II გურიელმა ოდიშში გაილაშქრა, ზუგდიდთან ბრძოლაში დაამარცხა გიორგი დადიანი და ოდიშის მთავრად მამია დასვა. გიორგი დადიანმა აფხაზეთს შეაფარა თავი. მამია დადიანი, გიორგი გურიე-

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. 1, გვ. 78-79.

[2] **თ. ბერაძე,** ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981, გვ. 79-80.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 815.

[4] **ბერი ეგნატაშვილი,** ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 361; **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 816.

[5] **ბერი ეგნატაშვილი**, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 361.

[6] **ბერი ეგნატაშვილი,** ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 361; **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 816.

ლი და გიორგი მეფე დაზავდნენ და შეკავშირდნენ.[1] აფხაზეთში გაქცეული გიორგი დადიანი აფხაზთა, ჯიქთა და ჩერქეზთა (ყაბარდოელთა) ლაშქრის დახმარებით ტახტის დაბრუნებას შეეცადა. მამია დადიანს მაშველი ჯარი გურიელმა გამოუგზავნა. გიორგი დადიანი კვლავ დამარცხდა და ისევ აფხაზეთში გაიქცა. სხვა გზა რომ ვერ ნახა ტახტის დასაბრუნებლად, მან დახმარება გიორგი მეფეს სთხოვა. იმერეთის მეფის შუამდგომლობით 1578 წელს გიორგი დადიანი და გიორგი გურიელი შერიგდნენ. მამია დადიანმა ოდიშის ტახტი უფროს ძმას დაუბრუნა. თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, გიორგი დადიანმა იმერეთის მეფის ცოლისდა, ყაბარდოელი მთავრის ასული შეირთო, რომელიც ქუთაისის სასახლეში იზრდებოდა.[2] ასე რომ, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის დროებით მშვიდობა დამყარდა.

1578 წელს სპარსეთ-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. ოსმალეთის მიზანს შეადგენდა ამასიის ზავით სპარსეთისთვის მიკუთვნებული მიწების — სამხრეთ კავკასიისა და, მათ შორის, საქართველოს დაპყრობა, ჩრდილოეთ კავკასიის თავის გავლენაში მოქცევა. 1578 წლის 9 აგვისტოს ოსმალთა ჯარის სარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ ჩილდირის ტბასთან სასტიკად დაამარცხა სპარსეთის არმია და სამცხე-საათაბაგო დაიპყრო. მესხეთიდან ოსმალები ქართლში გადავიდნენ და 24 აგვისტოს თბილისიც აიღეს. ოსმალეთმა აგრესია საქართველოს შავიზღვისპირეთზეც მიმართა. იმავე წლის ზაფხულში, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ცხუმის სანაპიროსთან გამოჩნდა ოსმალეთის ფლოტი, რომელსაც ბათუმის სანჯაყბეგი ჰაიდარ ფაშა მეთაურობდა. თურქებმა ცხუმი დაიკავეს და საბეგლარბეგო შექმნეს, ბეგლარბეგად ჰაიდარ ფაშა დაინიშნა.[3] იმავე წელს მათ აღადგინეს ცხუმის ძველი ციხე.[4] ამ დროიდან, ოსმალურ წყაროებში ცხუმის სახელად სუხუმ-კალე მკვიდრდება. 1579 წელს ოსმალებმა ფოთიც აიღეს და იქ ციხე აააგეს, შემდეგ ისინი შეეცადნენ მდ. რიონს აყოლოდნენ და ქუთაისიც აეღოთ, მაგრამ დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ.[5]

1580 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად ლალა მუსტაფა ფაშას ნაცვლად სინან ფაშა დაინიშნა. არსებითად, სინან ფაშას წინაშეც იგივე ამოცანა იდგა, რაც მუსტაფა ფაშას წინაშე — დაემორჩილებინა საქართველო და სამხრეთ კავკასიის დაპყრობილ ქვეყნებში აეგო და გაემაგრებინა ციხეები. მაგრამ ვერც სინან ფაშამ შეძლო საქართველოს დამორჩილება. მალე, საქართველოს შავიზღვისპირეთიც გაიწმინდა ოსმალებისაგან. თურქების ადმინისტრაციამ ვერც ცხუმში იარსება დიდხანს. 1580 წელს სოხუმის საბეგლარბეგო გაუქმდა, მაგრამ ამის შემდეგ ცხუმი აფხაზების ხელში გადავიდა, რომლებიც აბაზა-აფსუების მოწოლით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მოიწევდნენ. სოხუმის ბეგლარბეგად ჰაიდარ ფაშას დანიშვნაც არ უნდა იყოს შემთხვევითი ფაქტი. თურქი ისტორიკოსის მ. სადიკ ბელგეს ცნობით, თუმცა ჰაიდარ ფაშა ჩერქეზად იხსენიება, სინამდვილეში ის აფხაზური წარმოშობის იყო.[6] მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის ბეგლარბეგის ხელისუფლება მხოლოდ სოხუმზე ვრცელდებოდა, მას საკმაო გავლენაც უნდა ჰქონოდა ამ მხარეში, სახელდობრ, აფხაზ-ჯიქთა შორის, როგორც ამ კუთხის შვილსა და მრისხანე იმპერიის წარმომადგენელს. ოსმალეთს უთუოდ სურდა ძლიერი

---

[1] **ბერი ეგნატაშვილი,** ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 361; **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 816-817.

[2] **ბერი ეგნატაშვილი,** ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 361-362; **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 817; **ნ. ჯავახიშვილი**, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2005, გვ. 43.

[3] **მ. სვანიძე,** საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბ., 1971, გვ. 124; **ა. ჩიქობავა**, ირან-ოსმალეთის 1578-1590 წლების ომი და სოხუმის საკითხი, *კრებ. „საისტორიო ძიებანი“, წელიწდეული*, X-XI, 2007-2008, გვ. 120-121; **ზ. წურწუმია**, აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში (XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში), თბ., 2012, გვ. 39.

[4] **Ф. Дюбуа де Монперэ**, Путешествие вокруг Кавказа, т. I, *перевод с французского Н. А. Данкевич-Пущиной*, Сухуми, 1937, გვ.132.

[5] **მ. სვანიძე,** საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., გვ. 124-125.

[6] **ზ. წურწუმია**, აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში (XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში), გვ. 39.

ოდიშის სამთავროს დასუსტება და მხარს უჭერდა მის მოწინააღმდეგე ძალებს.[1]

1582 წელს გიორგი III დადიანი გარდაიცვალა და სამთავრო ტახტზე მისი უმცროსი ძმა მამია ავიდა. ამის შემდეგ, კვლავ გაჩაღდა ბრძოლა ოდიშისა და გურიის სამთავრო სახლებს შორის დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისათვის. ამ ბრძოლაში, რომელიც XVI საუკუნის მიწურულს მამია IV დადიანისა (1582-1595) და მანუჩარ დადიანის (1595-1611) დროს მიმდინარეობდა, ოდიშის სამთავრო გამოვიდა გამარჯვებული.[2] მისი უპირატესობა აშკარა იყო. გურიის სამთავრო შედარებით დასუსტდა; იმერეთის სამეფოზე ოდიშის მთავრის გავლენა ვრცელდებოდა; აფხაზეთზეც შენარჩუნებული იყო ოდიშის სამთავროს პოლიტიკური გავლენა.

1611 წელს მანუჩარ დადიანი გარდაიცვალა. ზუგდიდში, ნადირობისას, ცხენზე ამხედრებულ მთავარს შემთხვევით ფარუხია გოშაძე ცხენით დაეჯახა, მთავარი წაიქცა და დაშავდა. მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ ის გარდაიცვალა და ოდიშის ტახტზე მისი ვაჟი ლევანი ავიდა. ა. ლამბერტის ცნობით, „მანუჩარი ერთ დღეს სანადიროდ გამოვიდა, როცა ცხენით გამოუდგა ირემს, დაეტაკა მეორე ცხენოსანს, რომელიც მისდევდა თურმე იმავე ირემს. უბედური მანუჩარი ისე ძლიერ დაეტაკა, რომ სულ დაიმსხვრა, და იქვე სული განუტევა“.[3] ქართულ წყაროში, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში, ეს ამბავი უფრო დაკონკრეტებულია: „ზუგდიდს ნადირობასა, ცხენის რბევასა შიგან შეიძგერნენ ბატონი და გოშაძე ფარუხია“. დადიანის „ცხენი წაიქცა“ და მანუჩარი „ამიერ სოფლით მიიცვალა“. სანამ გარდაიცვლებოდა, მანუჩარს მცირე ხნით უავადმყოფია. ტახტის მემკვიდრეს, ლევანს, მისი მორჩენისათვის შესაწირავიც გაუღია, მაგრამ მთავარს ვერაფერმა უშველა.[4]

ლევან II დადიანი (1611-1657) მანუჩარ დადიანისა და კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605) ასულის ნესტან-დარეჯანის შვილი იყო. ნესტან-დარეჯანი ლევანის მშობიარობას გადაჰყვა. ამის შემდეგ მანუჩარმა ვახტანგ გურიელის ქვრივი, ათაბაგის ასული თამარი შეირთო.[5] ლევან ბატონიშვილმა ბავშვობა პაპის, კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605) კარზე გაატარა.[6] შემდეგში მისი მოღვაწეობა სამხედრო-პოლიტიკურ თუ კულტურის სფეროში დიდად ჰგავდა კიდეც კახთბატონის პოლიტიკას.[7]

ლევანის მცირეწლოვნობის გამო სამთავროს მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი განაგებდა. ლიპარტიანი ოდიშის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს საუფლისწულო მამულის — სალიპარტიანოს მფლობელს ეწოდებოდა. სალიპარტიანო მამული მდებარეობდა მდ. ტეხურის ორსავე ნაპირზე. იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით, გიორგი ლიპარტიანი იყო „კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად გამოცდილი“.[8] მისი მმართველობის დროს ოდიშში მშვიდობიანობა იყო, ქვეყანა მოშენდა და მოსახლეობა მომრავლდა. მას მეზობელ სამთავროებთანაც კეთილი ურთიერთობა ჰქონდა.[9]

XVII საუკუნის პირველი ათეულის მიწურულს, სპარსეთ-ოსმალეთის 1603-1612 წწ. ომის პერიოდში, ოდიშისა და გურიის მთავრებმა ოსმალეთს ხარკის მიცემა შეუწყვიტეს და აშკარა ურჩობის გზას დაადგნენ. 1612 წელს სპარსეთთან დაზავების შემდეგ, ოდიშისა და გურიის დამორჩილების მიზნით, ოსმალეთმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ბლოკადა მოაწყო. შეწყდა მოსახლეო-

---

[1] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 70.

[2] **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 29-32.

[3] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 15.

[4] **თ. ჟორდანია**, ქრონიკები, II, გვ. 439; **მ. ბროსე**, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, თბ., 2011, გვ. 102.

[5] **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, გვ. 36-40.

[6] **მ. ბროსე**, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, გვ. 187; **კ. გრიგოლია**, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, *ენიმკის მოამბე*, XIII, თბ., 1942, გვ. 149.

[7] **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, გვ. 39-40.

[8] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა. *თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, მე-2 გამოც., ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით,* თბ., 1938, გვ. 15.

[9] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 15.

ბისთვის აუცილებელი საქონლის მარილისა და რკინის შემოტანა. ეკონომიკურმა ბლოკადამ ისე შეაწუხა ოდიშისა და გურიის მესვეურნი, რომ იძულებული გახდნენ 1614 წელს სტამბოლში მოსალაპარაკებლად ელჩები გაეგზავნათ. მაგრამ მოლაპარაკება გაჭიანურდა, ვინაიდან ოსმალეთის მთავრობა, უეჭველია, მძიმე პირობებს აყენებდა, რაც ოდიშისა და გურიის მესვეურებს მიუღებლად მიაჩნდათ.[1] 1614 წლის დეკემბერში მამია II გურიელმა (1600-1625) ბათომში ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას და ხარკის გადახდა იკისრა. მოგვიანებით, 1615 წლის თებერვალში ლევან II დადიანმაც სოფელ მერკულაში ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას.[2] XVII საუკუნის 10-იან წლებში აფხაზებმა ისარგებლეს ოდიშის სამთავროს გართულებული მდგომარეობით, გათავისუფლდნენ ვასალური დამოკიდებულებისაგან და აფხაზთა დამოუკიდებელი სამთავრო ჩამოაყალიბეს, რომლის ცენტრი ზუფუ (ლიხნი) გახდა.[3]

ოდიშის სამთავროში გიორგი ლიპარტიანის რეგენტობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1615 წლისთვის ლევან II დადიანი უკვე სრულწლოვანი (16 წლის) და დამოუკიდებელი მმართველი მთავარია. მისი პირველი ღონისძიება იყო კავშირის განმტკიცება მეზობელ სამთავროებთან. 1615 წელს მან აფხაზთა მთავრის სეტემან შარვაშიძის ასული დარეჯანი შეირთო. ა. ლამბერტის დახასიათებით, „ეს ქალი იყო ბუნებით ლამაზი და სავსე ყველა სათნოებითა, რომელიც შეეფერებოდა მის გვარის ქალს: ქარგვაში, წერა-კითხვაში, გულუხვობაში და ზრდილობაში მას ტოლი არ ჰყავდა, თავის სათნოებით მან მიიზიდა ყველა თავის ქვეშევრდომის გული“.[4] როგორც ცნობილია, მაშინდელი მმართველი წრეების ქორწინება პოლიტიკური ფაქტორით იყო განპირობებული. არც ეს ქორწინება წარმოადგენდა გამონაკლისს. ოდიშის მთავრის მიზანი აფხაზთა სამთავროსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება იყო. ამის გარეშე მას ხელი არ მიუწვდებოდა „აფხაზ-ჯიქთა“ ლაშქარზე, რომლის ძალასაც ოდიშის მთავრები XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხშირად იყენებდნენ. ამასთან, ლევან II დადიანი, ალბათ, თავიდანვე ფიქრობდა აფხაზთა ხელახლა დამორჩილებაზე, მაგრამ ეს შემდეგი დროისათვის გადადო.[5]

მეორე მხრივ, ლევან დადიანმა დინასტიური კავშირი დაამყარა გურიის სამთავრო სახლთან. 1621 წელს მამია გურიელის ვაჟმა სიმონმა შეირთო ლევან დადიანის და მარიამი, მანუჩარ დადიანის ასული მეორე ცოლისაგან. გურიელისა და დადიანის პოლიტიკური კავშირი ფაქტობრივად იმერეთის მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული.[6] ამ დროიდან იწყებს განვითარებას ოდიშის მთავრის დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობის იდეა. ლევან II დადიანი აშკარად იღებს იმერეთის საწინააღმდეგო კურსს. იმერეთის მეფემ დასწრება გადაწყვიტა და ლაშქრის შეკრება დაიწყო. ლევანმა დაუყოვნებლივ შეყარა ოდიშარ-აფხაზთა ლაშქარი და მოულოდნელად იმერეთში შეიჭრა. ბრძოლა მოხდა 1622 წელს ქუთაისის მახლობლად გოჭოურაში. იმერეთის მეფე დამარცხდა და გაიქცა.[7] აქედან მოყოლებული, ლევან II დადიანი ისე გაძლიერდა პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად, რომ სიცოცხლის ბოლომდე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის უძლიერესი იყო.

იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ, იმავე 1622 წელს, ლევან დადიანი გაეყარა შარვაშიძის ასულს, რომელსაც ცოლქმრულ ღალატში დასდო ბრალი და სასტიკად დასაჯა, ა. ლამბერტის ცნობით, „ბერძნების სჯულისამებრ, შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა“.[8] მოგვიანებით, მთავარმა სასტიკად დასაჯა სამთავროს ვეზირი პაპუნა ანჯაფარიძეც, რომელსაც დედოფლის

---

[1] **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, გვ. 49.

[2] **ი. ტაბაღუა,** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბ., 1986, გვ. 46.

[3] **И. Г. Антелава,** Очерки по истории Абхазии XVII- XVIII веков, გვ. 28; **З. В. Анчабадзе,** Из истории средневековой Абхазии (VI- XVII вв.), გვ. 261-262.

[4] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 15-16.

[5] **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, გვ. 57; **И. Г. Антелава,** Очерки по истории Абхазии XVII- XVIII веков, გვ. 29.

[6] **ილ. ანთელავა,** ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, *,,საისტორიო კრებული“*, V, თბ., 1976, გვ. 112.

[7] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 826, **ილ. ანთელავა,** ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 118-119.

[8] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 16.

ტრფიალი დაბრალდა.[1]

სეტემან შარვაშიძე ამ შეურაცხმყოფელ ფაქტს ვერ შეურიგდებოდა, ამიტომ ოდიშის მთავარმა დასწრება გადაწყვიტა, შეკრიბა ლაშქარი და აფხაზეთში შეიჭრა. დადიანის თავდასხმა აფხაზთათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მათ წინააღმდეგობის ორგანიზება ვერ შეძლეს და მთებში გაიხიზნენ. ლევანმა ცეცხლითა და მახვილით მოარბია ქვეყანა, ყოფილი ცოლი იქ დატოვა და ოდიშში დაბრუნდა. ლაშქრობიდან დაბრუნებული ლევან დადიანი თავის ბიძას გიორგი ლიპარტიანს ეწვია, წაართვა ცოლი, ნესტან-დარეჯან ჭილაძე, და მასზე იქორწინა.[2] ნესტან-დარეჯან ჭილაძე გიორგი ლიპარტიანის მესამე ცოლი იყო. ა. ლამბერტის ცნობით, ახალგაზრდა ნესტან-დარეჯანი ლევან დადიანს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მოხუცებულ გიორგი ლიპარტიანს. ძმისწულისაგან შეურაცხყოფილი გიორგი ლიპარტიანი მალევე გარდაიცვალა და სამთავრო შინაომს გადაურჩა.[3]

საფიქრებელია, რომ ლევან დადიანმა, როცა გაძლიერდა, ყურადღება მიაპყრო აფხაზეთს და თავდასხმის საბაბიც გამონახა, რათა კვლავ მოექცია ის ოდიშის დამოკიდებულებაში. იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ, ლევანი აფხაზებს მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდა, ამიტომ იყო რომ დედოფალი ასე ადვილად გასწირა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ცოლი მართლა ღალატობდა მას და ეს მოგონილი საბაბი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ა. ლამბერტი იზიარებს ღალატის ვერსიას.[4]

მალე, ლევან II დადიანმა ჰეგემონობა გურიაზეც გაავრცელა. 1625 წელს სიმონ გურიელმა მოკლა მამამისი და თვითონ დაჯდა მთავრად. გურიელი შიშით შესცქეროდა ოდიშის მთავრის გაძლიერებას და მისი საწინააღმდეგო კურსი აიღო. გურიის სამთავრო კარზე მომზადდა შეთქმულება, რომლის მიზანი ლევან დადიანის მოკვლა და მისი ძმის იოსების მთავრად დასმა იყო. მაგრამ შეთქმულება გამჟღავნდა და ლევან დადიანი შეთქმულებს სასტიკად გაუსწორდა. თავის ძმას თვალები დასთხარა და მთელი ქონება ჩამოართვა; თავისი სიძე, სიმონ გურიელი, დაატყვევა და თვალები დასთხარა, წაართვა ცოლ-შვილი და სამთავროც და გურიელად მისი ბიძა, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი მალაქია დასვა. ამ დროიდან გურიის სამთავრო ლევან II დადიანის ჰეგემონობის ქვეშ მოექცა. ამის შემდეგ შარვაშიძის რიგიც დადგა. ოდიშის მთავარმა აფხაზების დამორჩილება გადაწყვიტა. „იმ დროს, — წერს ა. ლამბერტი, — როდესაც დადიანი გართული იყო თავისი ძმისაგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, აფხაზები სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად გააოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს“.[5] აფხაზთა მთავარი თითქოს შურს იძიებდა იმ შეურაცხყოფის გამო, რაც ლევან დადიანმა მას მიაყენა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ საბაბი. ოდიშზე აფხაზთა თავდასხმებში უფრო სერიოზული რამ იმალებოდა, ვიდრე პირადი წყენა და შეურაცხყოფაა. ამ პერიოდში მიმდინარეობს აფსუების ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სახელდობრ, აფხაზეთში. იმავდროულად, აფხაზები იბრძვიან ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მისატაცებლად.[6] მთის ჩამოწოლის შედეგად აფხაზეთში მკვიდრდებიან დასავლეთ კავკასიის მთიელები — აფსუები, რომლებსაც ქართული წყაროები ჯიქების, ხოლო უცხოური წყაროები აბაზების კრებითი სახელით იხსენიებენ. ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ყალიბდება თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი. აფხაზთა ტომი ახალი ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა. ამ ახალ ეთნიკურ ჯგუფს ქართველებმა მექანიკურად ისევ „აფხაზი“ უწოდეს, ისინი კი თავიანთ თავს „აფსუას“ უწოდებენ.[7]

---

[1] **ა. ტულუში,** ერთი უცნობი ხატის წარწერა (ანუ ლევან II დადიანის მიერ დასჯილი ვეზირის ვინაობა), *კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“*, ტ. 8, თბ., 1993, გვ. 171.

[2] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 16-19.

[3] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 19.

[4] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 74.

[5] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 22.

[6] **ილ. ანთელავა,** ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 128.

[7] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 87-88.

ლევან II დადიანმა შეკრიბა ლაშქარი, შეიჭრა აფხაზეთში, მოარბია ეს მხარე და ხარკიც დააკისრა მწევარ-ძაღლებისა და სანადირო ფრინველების სახით.[1] აფხაზებზე გამარჯვების აღსანიშნავად ილორის წმ. გიორგის ხატზე გაკეთებულ წარწერაში ლევან II დადიანი გვაუწყებს: „ჩუენ ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან და მოსავმან შენმან ხელმწიფემან, დადიანმან, პატრონმან ლევან, ძემან ხელმწიფისა მანუჩარისამან... მას ჟამსა ოდეს მიუხედით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალსა აქათ ავაოხრეთ, კიდევ მეორედ მიუხედით ზუფუს კაპოეტის წყალს აქათ, სრულებით დავსწვით და ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა და დავხოცეთ, ზოგი ხელთ დაგურჩა და გამარჯვებული მოვედით“.[2] წარწერაში მოხსენიებული კაპოეტის წყალი დღევანდელი მდ. ბზიფია, მუწუს წყალი, იგივე მუწის წყალი — მდ. მჭიშთა, ზუფუ ლიხნის მეგრული სახელწოდებაა. მას შემდეგ, რაც ზუფუ შარვაშიძეთა რეზიდენცია გახდა, ეს სახელწოდება მეგრული ტრადიციით მთელ აფხაზეთს აღნიშნავდა. ამ შემთხვევაშიც ზუფუ აფხაზეთს აღნიშნავს. ლევან დადიანის მიერ დამარცხებული „ზუფუარი და სიხუარი მარშანიები“ კი ზუფელი, იგივე აფხაზი და სიხი//ზიხი, იგივე ჯიქი მარშანიები არიან. ლევან დადიანმა დაამარცხა აფხაზთა და ჯიქთა ლაშქარი, რომელსაც მარშანიები მეთაურობდნენ.[3]

აფხაზები ლევან II დადიანის მიერ მათი დამარცხების შემდეგაც აგრძელებდნენ თავდასხმებს ოდიშის სამთავროზე. ლევან დადიანი კარგად ხედავდა იმ საფრთხეს, რომელიც აფხაზთაგან ემუქრებოდა ოდიშის სამთავროს, ამიტომ იყო რომ ასეთი დაჟინებითა და სისასტიკით ებრძოდა მათ.

ლევან II დადიანმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ქართლის მეფე როსტომთან (1632-1658). ეს პოლიტიკური კავშირი დინასტიური ქორწინებითაც განმტკიცდა. 1634 წელს როსტომ მეფემ, სპარსეთის შაჰის სეფი I-ის თანხმობით, ლევან II დადიანის და, სიმონ გურიელის ყოფილი ცოლი მარიამი შეირთო.[4] ქართლის დედოფალი მარიამი ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეა. მარიამ დედოფალი ზრუნავდა მტრების შემოსევების დროს დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენა-შეკეთებასა და შემკობაზე: ხელახლა ააშენა ბოლნისის ეკლესია, განაახლა რუისის ეკლესია, შეაკეთა სვეტიცხოვლის ტაძარი. დიდი ამაგი აქვს იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე; აგროვებდა და ამკობდა ქართულ ხელნაწერებს, თავისი ხარჯით ყიდულობდა მტრების მიერ გატაცებულ ხელნაწერ წიგნებს, მისი თაოსნობით 1633-1646 წწ. გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ნუსხა, რომელიც მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ სახელითაა ცნობილი.[5]

ოდიშის მთავრის პოლიტიკური კავშირი შაჰის ხელდებულ ქართლის მეფესთან, შესაბამისად დადიანის სპარსეთთან პოლიტიკურ კავშირს ნიშნავდა, რასაც ოსმალეთი, ბუნებრივია, ვერ მოითმენდა. ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა ჭკუა ესწავლებინა ოდიშის მთავრისთვის, რომელიც სიუზერენის მტრებთან იყო კავშირში. 1637 წლის 18 მაისს თურქთა სამხედრო-საზღვაო დესანტი 60 კატარღით კოდორის კონცხის მიდამოებში გადმოსხდა და დრანდის საკათედრო ტაძარი და მისი შემოგარენი დაარბია. სხვა, უფრო მასშტაბური ოპერაციისათვის თურქებს აღარ მიუმართავთ, რადგან მათ წინ სპარსეთთან ახალი ომი ელოდათ. ამის შემდეგ სულ მალე, 1639 წლის ნოემბერში, ოდიშში რუსეთის მეფის მიხეილ რომანოვის (1613-1645) ელჩობა ჩამოვიდა დიაკ ფედოტ ელჩინისა და მღვდელ პავლე ზახარიევის შემადგენლობით. ეს იყო ოდიშის მთავრის მიერ 1636 წლის ზაფხულში მოსკოვში გაგზავნილი გაბრიელ გეგენავას ელჩობის საპასუხო ელჩობა. რუსმა ელჩებმა მოიარეს მთელი ოდიშის სამთავრო მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირის სოფლებიდან მდ. რიონამდე და შავი ზღვიდან მდ. ცხენისწყლამდე, შეხვდნენ ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს და 1640 წლის მაისში სამშობლოში გაემგზავრნენ. ელჩებმა ოდიშის სამ-

---

[1] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 22; **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 828.

[2] **კ. გრიგოლია,** ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, გვ. 157.

[3] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 77.

[4] **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, გვ. 81.

[5] **ა. ტუღუში,** ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა, თბ., 1992, გვ. 31-39.

თავროს ძალიან საინტერესო მუხლობრივი აღწერილობა შეადგინეს.[1] სწორედ მათ აღწერილობაშია დაცული ცნობა თურქთა დესანტის მიერ დრანდისა და მისი შემოგარენის დარბევის შესახებ.[2] იმავე ხანებში, 1640 წელს, ოდიშისა და იმერეთ-გურიის ლაშქარმა ფოთის ციხე აიღო, რომელიც თურქებმა 1579 წელს დაიკავეს.[3]

1640-1641 წლებში შავიზღვისპირეთში თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ იმოგზაურა. იგი ტრაპიზონის ფაშას მიერ ოდიშში გამოგზავნილ ელჩობას ახლდა. იმ დროს ოსმალეთი ოდიშის სამთავროს თავის ვასალურ ქვეყნად თვლიდა, თუმცა აქ თურქული სამხედრო ნაწილები არ იდგა და ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. თურქების მარბიელი დესანტისთვის ადვილად ხელმისაწვდომი ოდიშის შავი ზღვის სანაპირო, გაჩანაგებული იყო. მთებში „ბაღ-ვენახიანი, დასახლებული და აყვავებული, დაუმორჩილებელი მეგრული სოფლებია. ზღვისოდენა ჯარიც რომ იყოს, მათ მთებში შესვლა ძნელია. ორმოც-ორმოცდაათიათასამდე თოფით შეიარაღებული მოსახლეობაა“, — წერს ევლია ჩელები.[4] მისი ცნობით, ოდიშში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, ფართოდ იყო გავრცელებული ტყვის სყიდვა. აფხაზები მეგრელებს იტაცებდნენ, მეგრელები — აფხაზებს და ვაჭრებზე ყიდიდნენ და ამით ცხოვრობდნენ.[5]

იმავე ხანებში ოდიშის სამთავროში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის ჯუზეპე ჯუდიჩეს ცნობით, სამეგრელო მშვენიერი ქვეყანაა ... ქალაქი არა აქვთ და სახლები ტყეშია გაფანტული. ამ ქვეყნის ხალხი გაფანტულად ცხოვრობს ხით ნაგებ სახლებში, რომლებიც ისლითაა დახურული, ხოლო ფიცარი ფიცარშია ჩასმული ულურსმნოდ.[6] როგორც ცნობილია, დასახლების ტიპი განპირობებულია მეურნეობის ხასიათით, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებებით და გეოგრაფიული გარემოთი.[7] ოდიშში სახლები გაფანტულად იყო განლაგებული. საკარმიდამო ნაკვეთის გარეთ იყო სახნავ-სათესი მიწები. გლეხების საცხოვრებლებს *ფაცხა* და *ჯარგვალი* წარმოადგენდა. *ფაცხა* წნელისაგან მოღობილი სახლია. იგი ორი სახის იყო: მრგვალად და ოთხკუთხედად შემოღობილი. მრგვალად შემოღობილისთვის დამახასიათებელი იყო კონუსური, კუნჭულიანი სახურავი. ოთხკუთხედი ფაცხა წრიული ფაცხისაგან განვითარდა. მისი წარმოქმნა განაპირობა წრიული ფართობის მოუხერხებლობამ დანაწევრებისა ან მომატებისათვის. ოთხკუთხა ფაცხებს წინ ან ირგვლივ აივანი ჰქონდა. მას ორფერდა ან ოთხფერდა სახურავი ჰქონდა. ხურავდნენ ისლით ან ჩალით, იატაკი მიწის იყო. არ ჰქონდა ფანჯარა და ჭერი. ფაცხა ერთგანყოფილებიანი იყო, მის ცენტრში კერა იყო მოწყობილი. კვამლი წნული კედლებიდან ან კარებიდან გადიოდა. *ჯარგვალი* ოთხკუთხედად აგებული ძელური ნაგებობაა, სადაც თითოეული ხე ერთმანეთთან კუთხეში ჭდობითაა დაკავშირებული. ისიც ერთგანყოფილებიანი იყო, შუაცეცხლით, მიწის იატაკით, უფანჯრო და უჭერო, გადახურული იყო ისლით.[8] ისლი თითქმის ყველა ოჯახს თავის ნაკვეთზე მოჰყავდა. მას შემოდგომაზე ჭრიდნენ და კონებად კრავდნენ.

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. *გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ,* თბ., 2014.

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები, გვ. 295, 328.

[3] **ჟან შარდენის მოგზაურობა** სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. *ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა,* თბ., 1975, გვ. 258; **Т. Н. Берадзе,** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 59-61.

[4] ევლია ჩელების ,,მოგზაურობის წიგნი“. *თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ,* ნაკვ, I, თბ., 1971, გვ. 96.

[5] ევლია ჩელების ,,მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 96.

[6] **დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი**, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). *იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა*, თბ., 2014, გვ. 13.

[7] **გ. ჩიტაია**, დასახლების ტიპი მთიულეთში, *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, VI, თბ., 1953, გვ. 216.

[8] **ნ. თოფურია**, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი სამეგრელოში, *საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები*, თბ., 1968, გვ. 134-135; **დ. სართანია**, ოდიშის (სამეგრელოს) ხალხური ხუროთმოძღვრება, *აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული*, ტ. 4, ოდიში, თბ., 2015, გვ. 149-151; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გვ. 260.

საზოგადოების ზედაფენა ჯარგვალში ან პიტაფიცარა სახლში ცხოვრობდა. ეს უკანასკნელი აგებული იყო ფიცრებისაგან. მუხის დიდ მორებს სიგრძეზე ჭრიდნენ, შემდეგ მათ აპობდნენ და ამ ნაპობებს ნაჯახით თლიდნენ. ასეთი ფიცრების სიგრძე და სიგანე თითქმის ერთი სიდიდისა იყო. რადგან ნაგებობა ასეთი ბრტყელი და მოკლე ფიცრებისგან იყო აგებული, მას პიტაფიცარას ანუ პატარა ფიცრებისაგან აგებულს უწოდებდნენ. ფიცრების შესაერთებლად გამოყენებული იყო ბოყვი. იგი გრძელი და სქელი ფიცარია, რომელსაც განივად ამოღებული ღარი აქვს. ბოყვს ხის საძირკვლებზე ამოჭრილ ფოსოში ამაგრებდნენ და შემდეგ პიტა-ფიცრებს ბოყვის ღარებში ალაგებდნენ. პტაფიცარა სახლიც უმთავრესად ერთგანყოფილებიანი იყო შუაში მოწყობილი კერითა და ორი კარით: ერთი ფასადის მხარეს და მეორე მის მოპირდაპირედ. მას წინ აუცილებლად ჰქონდა აივანი, მაგრამ არ ჰქონდა ფანჯარა, ჭერი. ზოგიერთი პიტაფიცარა სახლი ორგანყოფილებიანი იყო, ერთი ფიცრის იატაკით, მეორე — თიხის იატაკით. გადახურული იყო ისლით, უფრო პრესტიჟული — ყავრით, რომელსაც ფიჭვის ხისგან ამზადებდნენ.[1]

მთავრობის ბოლო წლებში ლევან II დადიანი იძულებული გახდა თავდაცვით პოლიტიკაზე გადასულიყო აფხაზთა მიმართ. მისმა ლაშქრობებმა აფხაზეთში მიზანს ვერ მიაღწია და ვერ მოსპო ის საშიშროება, რაც სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს ადგა. უფრო მეტიც, აფხაზები აძლიერებენ თავდასხმებს ოდიშზე და ამ თავდასხმებში მათთან ერთად დასავლეთ კავკასიის მთიელები მონაწილეობდნენ. ის ძალა, რომელსაც ოდიშის მავრები ხშირად იყენებდნენ XVI საუკუნეში და XVII საუკუნის დასაწყისში, „აფხაზ-ჯიქთა ლაშქარი“, ამჯერად შარვაშიძეების ხელში იყო. ამ თარეშებისაგან სამთავროს დასაცავად ლევან დადიანმა აფხაზეთის საზღვარზე საფორტიფიკაციო ნაგებობების გამაგრება და აგება დაიწყო.

XVII საუკუნის I ნახევარში ოდიშის სამთავროს საზღვარი გურიასთან რიონის მარცხენა ნაპირზე გადიოდა; იმერეთთან საზღვარი მდ. ცხენისწყალი იყო; დასავლეთით შავი ზღვა ეკვროდა, ჩრდილო-დასავლეთით, აფხაზეთთან საზღვარი XVII საუკუნის I მესამედში მდ. ცხომისწყალზე (ბესლეთი) გადიოდა, 40-იან წლებში მან მდ. კელასურზე გადმოინაცვლა. ლევან დადიანი შეეცადა აქ გაემაგრებინა საზღვარი აფხაზეთთან. ამ დროს ცხუმი უკვე გაუკაცურებული იყო და წინანდელი მნიშვნელობაც დაკარგული ჰქონდა. ოდიშის საზღვარი აფხაზეთთან მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე გადიოდა, შემდეგ კი კოდორის ქედს მისდევდა. ამ საზღვარზე ააგო მან სიმაგრეთა სისტემა, რომელიც კელასურის კედლის სახელითაა ცნობილი. იგი იწყებოდა მდ. კელასურის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე. კედელი მიუყვებოდა კელასურის ხეობას, შემდეგ უხვევდა აღმოსავლეთისაკენ, გადაკვეთდა მდინარეებს მაჭარასა და კოდორს (კოდორის ხეობის ზემო წელი უკვე აფხაზთა ხელში იყო). აქედან ის კოდორის ქედს მიუყვებოდა, გადაკვეთდა მდ. მოქვს და მდ. ღალიძგამდე (ტყვარჩელამდე) აღწევდა. მდ. ღალიძგის აღმოსავლეთით, მდინარეების — ოქუმისა და ერთისწყლის (ამჟამად, მდ. ერისწყალი) ხეობებში აშენდა, თუ შეკეთდა ციხეები, რომლებიც მთიდან მომავალ გზებს კეტავდნენ. საგულისხმოა, რომ კელასურის კედელს მრავალ ადგილას ნაჩქარევად აგების კვალი ატყვია, ზოგჯერ კოშკები უსაძირკვლოდ, პირდაპირ ბალახზე, ან ნახევრადგადამწვარ ბუჩქნარზეა დადგმული. აღსანიშნავია, რომ კელასურის კედლის ერთი ნაწილი აგებულია სწორედ იქ, სადაც ადრეფეოდალურ ხანაში იდგა „ზღუდე კლისურისა“ და იცავდა იმ გზას, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან გაგრისა და ანაკოფიის გავლით შავი ზღვის სანაპიროს მოუყვებოდა.[2] ლევან II დადიანის ბრძანებით, ოდიშის ყოველი თავადი და ეპისკოპოსი ვალდებული იყო თავისი რაზმით თითო თვეს ედარაჯა აფხაზეთის საზღვარზე.[3] გატარებულ ღონისძიებათა შედეგად დროებით შესაძლებელი გახდა აფხაზთა შემოტევის შეჩერება.

ამრიგად, XVI საუკუნის მიწურულს ოდიშის სამთავროს საზღვარმა ჩრდილო-დასავლე-

---

[1] **ნ. თოფურია**, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 137-138; **დ. სართანია**, ოდიშის (სამეგრელოს) ხალხური ხუროთმოძღვრება, გვ. 151.

[2] **თ. ბერაძე,** ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 273; **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 91-97.

[3] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 166.

თით, აფხაზთა ექსპანსიის შედეგად, მდ. ცხომზე (ამჟ. ბესლეთი), ხოლო XVII საუკუნის შუა ხანებში მდ. კელასურზე გადმოინაცვლა.

1657 წლის 17 მარტს ლევან II დადიანი მოულოდნელად გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ლევან დადიანი დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ხელისუფალი იყო, პირად ცხოვრებაში ბედნიერი არ ყოფილა. პირველი ცოლისაგან ლევანს ორი შვილი ჰყავდა, რომლებიც ადრევე დაეხოცა. ამბობდნენ, ისინი ნესტან-დარეჯან ჭილაძემ მოაწამვლინაო, რათა მის შვილებს რგებოდათ მემკვიდრეობა. 1639 წელს ნესტან-დარეჯან ჭილაძე გარდაიცვალა. ლევან II დადიანი ღრმა გლოვამ და სევდამ მოიცვა. მთავარმა ოდიშის მრავალ ეკლესია-მონასტერს უხვი საბოძვარი უწყალობა, მრავალი ხატი შეამკო და ოქრო-ვერცხლით მოაჭედინა „ამ სოფლის მნათი“ ნესტან-დარეჯან ჭილაძის სულის მოსახსენიებლად. ლევან დადიანს მეორე ცოლისაგან ორი ვაჟი — ალექსანდრე და მანუჩარი და ორი ასული — გული და ზილიხანი ჰყავდა. ყველა ისინი ავადმყოფები და სუსტი აგებულებისანი ყოფილან. გული კუტი დაიბადა და მისიონერები მკურნალობდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ადრევე გარდაცვლილა; 1641 წლის შემდეგ ისტორიის არენაზე არც ზილიხანი ჩანს, ისიც ადრე გარდაიცვალა. უფროსი ვაჟი ალექსანდრე, დამბლადაცემული და მმართველობის უნარს მოკლებული იყო. ოდიშის მთავარი ტახტის მემკვიდრედ მანუჩარს ამზადებდა.[1] 1657 წლის მარტში მანუჩარი მოულოდნელად გარდაიცვალა. ლევან დადიანმა სასწრაფოდ მემკვიდრედ თავისი მცირეწლოვანი შვილიშვილი, ალექსანდრეს ვაჟი გამოაცხადა. რეგენტად დაინიშნა ბავშვის დედა, რომლისთვისაც დახმარება ვამეყ ლიპარტიანს, ლევან დადიანის ბიძის, გიორგი ლიპარტიანის ძეს უნდა გაეწია. სამთავროს ყველა დიდებული ტახტის მემკვიდრის ერთგულებაზე დააფიცეს.[2] მანუჩარი ჯერ დაკრძალული არ იყო, რომ ლევან დადიანი გარდაიცვალა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ოდიშის მთავარმა მწუხარებისაგან „შვილის ტირილში ლახტი თავს გარდიკრა და შვილს ზედ დააკვდა დაუმარხავს“.[3]

ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ლიპარტიანმა გამთავრება მოინდომა და იმერეთის მეფეს დახმარებისათვის მიმართა. ალექსანდრე III-მ (1639-1660) დაუყოვნებლივ გაილაშქრა ოდიშში და მთავრად ვამეყ ლიპარტიანი დასვა.[4] ლიპარტიანის გამთავრება იყო ლევან II დადიანზე შურისძიება მამამისის შეურაცხყოფისა და დაღუპვის გამო. ოდიშის ტახტის მემკვიდრე და დედამისი გურიაში გაიქცნენ, ხოლო შემდეგ ახალციხის საფაშოში გადავიდნენ.[5] იმერეთის მეფემ ხელში ჩაიგდო ოდიშის სამთავროს საგანძური, ამასთან უნაგირამდე ტერიტორიაც ჩამოაჭრა ოდიშის სამთავროს. მან ლიპარტიანს თავისი ლაშქრის ნაწილიც დაუტოვა, თან ოდიშის წარჩინებულთა შვილები მძევლებად წაიყვანა და ამით მისი მდგომარეობა განამტკიცა.

ვამეყ ლიპარტიანის გამთავრებას სამოქალაქო ომი მოჰყვა ოდიშში. მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ქვეყნის შიგნით. ოდიშის მრავალი თავადი სამთავრო ტახტის უზურპაციის წინააღმდეგი იყო. აქეთ, აფხაზეთიც აშლილა მის წინააღმდეგ. აფხაზებსაც არ სურდათ ლიპარტიანის ცნობა მთავრად. ახალი ვითარებით უკმაყოფილო ძალებს სათავეში ჩაუდგა ლიპარიტ დადიანი, ლევანის ძმის, იოსების ვაჟი, რომელიც ვამეყის გამთავრების შემდეგ ქართლში გადაიხვეწა. ლიპარიტმა ოდიშის ტახტზე განაცხადა პრეტენზია და დახმარება ქართლის მეფეს როსტომს (1632-1658) სთხოვა. ლიპარიტს ლაშქარი შეაწია ახალციხის ფაშამაც, ქაიხოსრო I გურიელი (1640-1658) და ჭილაძე-მიქელაძენიც მას უჭერდნენ მხარს. ალექსანდრე ცხენისწყალს გადავიდა დალიპარიტის მომხრე კოალიციას 1658 წლის ივნისში ბანძასთან შეება. ლიპარიტი დამარცხდა და სტამბოლში გადაიხვეწა, სადაც გარდაიცვალა კიდეც.[6]

---

[1] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 16, 21; **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, გვ. 122, 130.
[2] **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, გვ. 130.
[3] **ფ. გორგიჯანიძე,** ისტორია, გვ. 262.
[4] **ილ. ანთელავა,** ლევან II დადიანი, გვ. 131.
[5] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 247.
[6] **ფ. გორგიჯანიძე,** ისტორია, გვ. 268; **ბერი ეგნატაშვილი,** ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 432; **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 833-834; **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 99-100.

1660 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე III გარდაიცვალა და ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. იმერეთის ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღდა, რომელშიც ვამეყ III დადიანიც (1657-1661) ჩაერთო. 1660 წლის აგვისტო-სექტემბერში იმერეთი ქართლის მეფემ ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675) და ოდიშის მთავარმა გაიყვეს. ზემო იმერეთი — არგვეთი, ქართლის მეფემ დაიკავა, ქვემო იმერეთი — ოდიშის მთავარმა, საზღვრად მდ. ბუჯისწყალი დაიდო. ვამეყმა თავისი ასული ვახტანგ მეფის ვაჟს არჩილ ბატონიშვილს აღუთქვა, რომელიც შემდეგ იმერეთში უნდა გაემეფებინათ.[1]

ოდიშის მთავარს სურვილი გაუჩნდა საბოლოოდ თვითონ გაბატონებულიყო იმერეთში და მეფის ტიტული მიიღო. ამასთანავე, დადიანმა არჩილ ბატონიშვილისთვის „დაწინდული" თავისი ასული იმერეთის თავად ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა, რომლის მოყვრობაშიც იგი ქვემო იმერეთის შემომტკიცების გარანტიას ხედავდა. შაჰნავაზი განარისხა ვამეყ დადიანის ასეთმა ნაბიჯმა, იმერეთის თავადებმაც იუკადრისეს დადიანის მეფობა. 1662 წელს შაჰნავაზი დიდი ჯარით გადავიდა იმერეთში, ქუთაისი დაიკავა და შემდეგ ოდიშზე გაილაშქრა. ვამეყ დადიანი სვანეთში გაიქცა. შაჰნავაზმა ოდიშის ციხეები დაიკავა და სამთავროს პოლიტიკურ ცენტრში, ზუგდიდში, გამარჯვებული შევიდა. ქართლის მეფემ ოდიშის მთავრად დასვა ლევან II დადიანის ძმისწული შამადავლე იოსების ძე, რომელმაც ბიძის პატივსაცემად ლევანი დაირქვა. შაჰნავაზმა მას ცოლად შერთო თავისი ძმისწული, საოცარი სილამაზის ქალი თამარი, რომელიც შემდეგ ცილობის საგანი გახდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის და რომლის გამოც ბევრი სისხლი დაიღვარა.[2] რაც შეეხება ვამეყ III დადიანს, 1662 წელს ის შაჰნავაზის შეჩენილმა კაცებმა სვანეთში მოკლეს.

XVII საუკუნის 60-იან წლებში მთელი დასავლეთი საქართველო საშინელმა ანარქიამ მოიცვა. გაუთავებელმა შინაომებმა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკა გააჩანაგა. პოლიტიკური ხელისუფლება უაღრესად სუსტი იყო. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დაქვეითებამ ზნეობრივი დეგრადაცია გამოიწვია. გაძლიერდა ტყვის სყიდვა, რაც ამ დროის ყველაზე დიდი უბედურება იყო. დიდებულები მეფე-მთავრებს არ ემორჩილებოდნენ, მათ თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებით მძიმე დღეში იყო ოდიშის სამთავრო, რომელმაც უწინდელი ძლიერება და გავლენა დაკარგა. ლევან III დადიანი (1662-1681) თავადების სათამაშოდ იქცა. მაკარი ანტიოქიელის ცნობით, ლევანი არ გამოირჩეოდა არც სიბრძნით, არც მჭევრმეტყველებითა და არც მოხერხებულობით. მას არც მეომრებში ჰქონია დიდი ავტორიტეტი.[3] ამ დროს ოდიშში მეტად განდიდდა ცაგერის ეპისკოპოსი გაბრიელ ჩიქვანი, რომელმაც 60-იან წლებში ჭყონდიდის კათედრაც მიიღო და მთავრის უპირველესი მრჩეველი და ვეზირი გახდა.[4] ჭყონდიდელ-ცაგერელის დახმარებით სამთავრო კარზე დაწინაურდა მისი ძმა კაცია ჩიქვანი, რომელიც ყოფილა გაბედული და ჭკვიანი, მაგრამ მკაცრი და ისეთივე ცბიერი, როგორც მისი ძმა. წარმოშობით, გაბრიელი და კაცია ღარიბი გორდელი აზნაურის ოჯახიდან იყვნენ. მათ მამას, ოჯახი რომ ერჩინა, თავისი ზურგით მიჰქონდა სვანეთში თაფლი გასაყიდად. იმერეთის სამეფოში არეულობის დროს კაცია ჩიქვანი სწრაფად დაწინაურდა სამეფო კარზე და ლეჩხუმის თავი გახდა. გაბრიელ ჭყონდიდელ-ცაგერელის რჩევით ლევან III დადიანმა ლეჩხუმის ხელში ჩაგდების მიზნით დაიახლოვა კაცია და მას სამთავრო სახლის გვერდითი შტოს საუფლისწულო სალიპარტიანო უბოძა, ხოლო შემდეგ ვეზირიც გახადა. ამ დროიდან ლეჩხუმი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. ცხადია, „უგვარო კაცის" ასეთ განდიდებას ოდიშის დიდებულები ვერ შეურიგდებოდნენ, ამიტომ კაცია ჩიქვანი სამთავროში თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად ოდიშის წარჩინებულთ სასტიკად უსწორდებოდა.[5]

დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ფეოდალურ შინაომში ოსმალები ჩაერივნენ. 1672 წლის

---

[1] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 101-102.

[2] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 102-103. ამის შესახებ დაწვრილებით, იხ. **ბ. ხორავა**, კარლო გოლდონის ,,მშვენიერი ქართველი ქალი" და ისტორიული რეალობა, *აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. შრომათა კრებული. საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია*, №2, 2010, გვ. 81-93.

[3] **მაკარი ანტიოქიელი,** ცნობები საქართველოს შესახებ. *არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა. კრებ. ,,არმაღანი"*, III, თბ., 1982, გვ. 119-120.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 842.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 842-845.

სექტემბერში ახალციხის ფაშა იმერეთში შეიჭრა. მან ქუთაისში დაიბარა ოდიშის მთავარი. ოსმალებს სურდათ ტახტიდან ჩამოეგდოთ ლევან III და მთავრად ახალციხის ფაშას კარზე გაზრდილი ლევან II დადიანის შვილიშვილი დაესვათ. ფაშამ ერთი თვე უცადა დადიანს ქუთაისში და შემდეგ გურიელთან ერთად ოდიშში შეიჭრა. ისინი გზადაგზა არბევდნენ ყველაფერს, იტაცებდნენ ადამიანებსა და პირუტყვს. მტრის მოახლოების ნიშნად, 26 ოქტომბერს, რუხის ციხიდან ორჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ამ ნიშანზე ხალხმა იწყო გახიზვნა ტყეებსა და გამაგრებულ ადგილებში. მათ თან მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. „მძიმე სანახავი იყო, — წერს ამ ამბების თვითმხილველი ჟან შარდენი, — თუ როგორ გარბოდა ეს უბედური ხალხი. დედაკაცებს მიჰყავდათ ბავშვები და მიჰქონდათ ფუთები, მამაკაცებს კი ბარგი. ერთნი საქონელს მიერეკებოდნენ, მეორენი საოჯახო ნივთებით სავსე ურიკას მიაგორებდნენ. გზაზე გვხვდებოდნენ ძალაგამოლეული ცოცხალმკვდარი ადამიანები. გვხვდებოდნენ მოხუცები, პატარა ბავშვები, რომლებსაც სიარული არ შეეძლოთ და საშინელი კვნესა-ტირილით ითხოვდნენ შველას. ეს იყო სასოწარკვეთილების, მწუხარებისა და ვაების მოთქმა“.[1] იმავე შარდენის ცნობით, ერთ-ერთ ციხეში შეხიზნულ ხალხს ოსმალებმა გამოსასყიდი მოსთხოვეს. „ყველა ოჯახიდან, სადაც ოთხი ბავშვი ჰყავდათ, ერთი მათ მიჰყავდათ. ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედას მკლავებიდან საბრალო ბავშვებს, კრავდნენ მათ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან“.[2]

ლევან III დადიანი რუხის ციხეში ჩაიკეტა, რომელსაც თურქებმა ალყა შემოარტყეს. თურქები ოთხი დღე იდგნენ ალყაში, მაგრამ ციხის აღება ვერ მოახერხეს და დიდი ნადავლით დატვირთულნი უკან გაბრუნდნენ, თან ორი ათასზე მეტი ტყვე წაუყვანიათ.[3]

გამუდმებულმა ფეოდალურმა შინაომებმა ოდიშის თავდაცვისუნარიანობა შეარყია. სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, ასე საგანგებოდ გამაგრებული ლევან II დადიანის მიერ, თანდათან მოიშალა, რადგან მას უკვე არავინ იცავდა. მოიშალა ის ვასალური დამოკიდებულებაც, რომელიც ლევან II დადიანისა და ვამეყ III დადიანის დროს, აგრეთვე ლევან III დადიანის მთავრობის დასაწყისში, აფხაზებს ოდიშთან აკავშირებდა. 70-იან წლებში, როდესაც შარვაშიძეები სიუზერენისადმი ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდნენ, აფხაზთა სამთავროს ჩამოყალიბება დასრულდა.[4]

ოდიშის სამთავროს შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავებით კვლავ ისარგებლეს აფხაზებმა და 60-იან წლებში ოდიშზე თავდასხმები განაახლეს. „ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან“, — წერდა ვახუშტი ბატონიშვილი.[5] ამრიგად, ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშზე აფხაზთა შემოტევის ახალი ტალღა იწყება. აფხაზები თავისუფლად თარეშობდნენ არამარტო ოდიშის საზღვრისპირა მხარეში, არამედ ქვეყნის შიდა რაიონებამდეც აღწევდნენ. XVII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე ქალი ანიკა ქორთოძე (ქორთუა) ცაიშის სახარების მინაწერში აღნიშნავდა: „მერმეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა ... ტაძარს მოუხთა და ჩუენ დიდსა დაჭირებასა და შიშსა ქვეშე შევარდით“-ო. აფხაზებს ტაძარი გაუტეხიათ და აუხრეზიათ. ანიკა ქორთოძეს ხატები და ცაიშის სახარება (XVII ს.) მოუტაცნია და გადაურჩენია.[6] აფხაზებს წალენჯიხის მონასტერიც აუკლიათ.[7] იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი გულისტკივილით წერდა: „...დადიანი ისეთი უძლური იყო, რომ აბაზგებმა გაანადგურეს მისი სამფლობელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიაჩი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე“ (სოხუმიდან ცხენისწყლამდე და რიონამდე), ამასთან „და-

---

[1] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 230-231.
[2] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 250.
[3] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 248-251.
[4] **კ. ოკუჯავა,** აფხაზეთი XVII საუკუნეში, თბ. 2002, გვ. 24.
[5] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 842.
[6] **ე. თაყაიშვილი,** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 188.
[7] **ე. თაყაიშვილი,** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 222.

დიანი ისეთი უმწეო იყო, რომ ძალა არ შესწევდა გაერეკა აფხაზები“.[1]

1681 წელს აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ღალიძგამდე. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ამბების შესახებ აღნიშნავდა: „...გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელითა და სტყვევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“.[2] როგორც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, აფხაზთა შემოსევები აშკარად განსხვავდებოდა იმ შინაფეოდალური ომებისაგან, რომელშიც ჩაბმული იყვნენ იმერეთის სამეფო, გურიისა და ოდიშის სამთავროები და, რომლის მთავარი მიზანიც იყო ბრძოლა დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისათვის. ამისგან განსხვავებით, აფხაზები მიწებს იკავებდნენ და ზედ „დაეშენებოდენ“, ე. ი. სახლდებოდნენ. აფხაზების ბრძოლა მიმართული იყო ტერიტორიის მისატაცებლად. საგულისხმოა, რომ წარმართი აფხაზების (აფსუების) მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გაუქმდა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები.

იმ დროს, როდესაც მოქვისა და დრანდის საეპისკოპოსოები უქმდება, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან უსაფრთხო ადგილას, ოდიშის შიდა რაიონებში გადაჰქონდათ საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ინვენტარი. მოქვის ახლოს იყო ქიაჩის მონასტერი, სადაც ესვენა ქიაჩის წმ. გიორგის ხატი. ეს ხატი სოფ. ობუჯში გადაუსვენებიათ. ამის შემდეგ, ეკლესიას, რომელშიც ეს ხატი დაასვენეს, და სოფლის იმ უბანს, სადაც ეს ეკლესია იყო, ქიაჩი ეწოდა. მთავარანგელოზის ხატი, რომელიც ასევე ქიაჩში იყო დასვენებული, სოფ. ჭოღაში გადმოუსვენებიათ. მოქვის სახარება (1300 წ.) მარტვილში გადმოუტანიათ; მოქვის ორი ღვთისმშობლის ხატიდან ერთი, მოგვიანებით ზუგდიდის ეკლესიაში აღმოჩნდა, ხოლო მეორე — ხობის მონასტერში. ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დადიანების მთავარ სალოცავად ითვლებოდა, ბედიის ტაძრიდან მარტვილში გადმოასვენეს, და სხვა.[3]

1681 წლის ზაფხულში ლევან III დადიანი რუხში გარდაიცვალა. ოდიშის ტახტის მემკვიდრე, ლევან III დადიანის ძე მანუჩარი, მძევლად ჰყავდა გიორგი III გურიელს. ოდიშის მესვეურებმა სთხოვეს გურიის მთავარს მანუჩარის გათავისუფლება, მაგრამ მან თავად განიზრახა ოდიშში გაბატონება. მან იფიქრა, რომ მანუჩარის მოშორების შემდეგ მოცილე არავინ ეყოლებოდა, ამიტომ მოკლა ყრმა მანუჩარი და ოდიშში გაილაშქრა, მაგრამ ოდიშართ არ ინდომეს „მესისხლე თვისი“ ბატონად, ციხეები გაამაგრეს და გურიელი სამთავროში არ შეუშვეს.[4] ფაქტობრივად, ოდიში დარჩა მთავრის გარეშე და რეალურად არც არსებობდა სამთავრო ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოვანი იყო თავ და გამგე მათი“.[5] კაცია ჩიქვანი გამთავრებაზე ოცნებობდა და მოწინააღმდეგეებს სასტიკად უსწორდებოდა. ამ რეპრესიებს ოდიშის მრავალი ძირძველი ფეოდალი ემსხვერპლა.[6]

ოდიშის სამთავრო XVII ს. მიწურულსა და XVIII საუკუნეში. ოდიშში შექმნილი რთული ვითარებით ისარგებლა აფხაზთა მთავრის საუსტან შარვაშიძის ვაჟმა სორეხმა (სავარეხმა) და ოდიშის სამთავრო ტახტზე პრეტენზია განაცხადა. 1681 წლის შემოდგომაზე, ოქტომბერ-ნოემბერში, სორეხ შარვაშიძემ ოდიშში გაილაშქრა და მთავრად გამოაცხადა თავი, თუმცა იგი ოდიშის მთელ ტერიტორიას ვერ აკონტროლებდა. როგორც ჩანს, სორეხს რაღაც ლეგიტიმური უფლებაც ჰქონდა ოდიშის ტახტზე. საფიქრებელია, და ყველაზე უფრო დამაჯერებელი ჩანს, რომ დედა ჰყავდა ოდიშის სამთავრო სახლიდან.[7]

---

[1] Путешествие патриарха Досифея с религиозным и политическим состоянием до века, в кн. ***М. Селезнев,*** *Руководство к познанию Кавказа, кн. 1,* СПб., 1847, გვ. 46.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 845.

[3] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 112-113.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 844; **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 113.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 845.

[6] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 845.

[7] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 114.

ოდიშის წარჩინებულთა ერთი ნაწილი არ ცნობდა სავარეხ შარვაშიძის პრეტენზიებს ოდიშის ტახტზე. ასეთ რთულ ვითარებაში, იმავე 1681 წელს კაცია ჩიქვანი გარდაიცვალა და „დაიპყრა ლიპარტიანობა ძემან მისმან გიორგი უმეტეს მამისა თვისისა“.[1] გიორგი ლიპარტიანი გამთავრებაზე ოცნებობდა და მოწინააღმდეგეებს სასტიკად უსწორდებოდა. იგი მამაზე უფრო დაუნდობელი აღმოჩნდა. ამ დროს ოდიშში შექმნილი ვითარების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „გარნა იყო ოდიშს ჭირი გიორგი ლიპარტიანისაგან კლვითა და ყიდვითა ტყვისათა და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ლაშკრად და აოხრებდიან ქუყანა ავაზაკობით და ცხადად“.[2] როგორც ჩანს, სავარეხ შარვაშიძე ოდიშის მთელ ტერიტორიაზე გაბატონებას ცდილობდა. ოდიშში გამთავრებაზე კვლავ ფიქრობდა გიორგი III გურიელიც. ამ მიზნით, რაღაც უფლება რომ ჰქონოდა ოდიშის ტახტზე, მან ცოლად შეირთო კაცია ჩიქვანის ქვრივი, გიორგი ლიპარტიანის დედინაცვალი. გიორგი ლიპარტიანმა, ბოლო რომ მოეღო ოდიშის ტახტზე შარვაშიძისა და გურიელის პრეტენზიებისათვის, ახალციხის ფაშას შუამდგომლობით სულთნისაგან გამოითხოვა ნებართვა ლევან III დადიანის უკანონო შვილის ლევანის გასამთავრებლად, რომელიც იმჟამად ახალციხის საფაშოში იმყოფებოდა. 1683 წელს ოდიშის ტახტზე ლევან IV დადიანი (1682-1695) ავიდა, მაგრამ სამთავროს, ფაქტობრივად, გიორგი ლიპარტიანი განაგებდა.[3] ლევანმა ცოლიც კი — იმერეთის მეფის ალექსანდრე IV-ის (1683-1695) და, თინათინი, ლიპარტიანის ნებით შეირთო. ლიპარტიანს ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ალექსანდრე მეფის დახმარებით ოდიში შემოემტკიცებინა.[4] საბოლოოდ, ოდიშის მთელ ტერიტორიაზე, გარდა მდ. ენგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილისა, სადაც სავარეხ შარვაშიძე გაბატონდა, ნომინალურად მაინც, ლევან IV დადიანის ხელისუფლება გავრცელდა.[5]

აფხაზთა სამთავრო სახლის წევრის, სავარეხ შარვაშიძის მიერ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტაცების მიუხედავად, ეს მხარე აფხაზთა სამთავროს არ შეერთებია, ეს მხარე ოდიშად იწოდებოდა და მისი ხელისუფალი ოდიშის მთავრად. სავარეხ შარვაშიძე არ ემორჩილებოდა აფხაზთა მთავარს და კიდევაც ეურჩებოდა მას. ამის გამო, 1685 წლის აპრილში, აფხაზები მის სამფლობელოს შემოესივნენ და აიკლეს.[6] მაგრამ სავარეხ შარვაშიძის სიკვდილის შემდეგ ეს მხარე აფხაზთა სამთავროს შეუერთდა და მდ. ენგურსა და მდ. ღალიძგას შორის ტერიტორიაზე აფხაზთა მთავრის ვაჟი ყვაპუ შარვაშიძე გაბატონდა. ამდენად, XVII საუკუნის მიწურულს ოდიშის საზღვარმა მდ. ენგურზე გადმოინაცვლა. ეს მხარე იმდენად იყო მოოხრებული და გაუკაცურებული, რომ ყვაპუმ უფროსი ძმის სამფლობელოდან, ბზიფის აფხაზეთიდან, თავად-აზნაურთა რამდენიმე გვარი გადმოასახლა. იმავდროულად, ამ ტერიტორიაზე გრძელდებოდა ტყვის სყიდვა და მოსახლეობის „აყრა აფხაზისგან“. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნში (1706 წ.) ბიჭვინტისადმი, ნათქვამია: „ნაჟანევს სოფელი საკათალიკოზო ნემსაძე კათალიკოზის ხელშიდ აფხაზისგან აყრილიყო, ყვაპ შარვაშიძეს სხვა დაეყიდა და ექუსი მოსახლე კაცი ყავდა. ის კათალიკოსიც ბევრს ედავა და ჩუენც, მაგრამ არც მას და არც ჩუენ პასუხი მოგუცა, რომ შარვაშიძე მოკუდა, მივედით ჩუენ და ნიშანიც მართებული ავიღეთ და ექუსი მოსახლე კაცის მეტი აღარ იყო და ის წამოვიყვანეთ...“.[7] როგორც ჩანს, ნაჟანეულში 1621 წელს მცხოვრები 58 კომლიდან, მას შემდეგ, რაც ის აფხაზებმა დაიკავეს, 1706 წელს მხოლოდ 6 კომლი იყო დარჩენილი. ვინც აფხაზთაგან აყრას გადაურჩა, ყვაპუ შარვაშიძეს დაუყიდია. ასეთივე ვითარება იყო ენგურის გაღმა სხვა სოფლებშიც. ყვაპუ შარვაშიძე იძულებული გამხდარა კათალიკოს დავით ნემსაძისათვის ფიცის წიგნი მიეცა, რომ ამიერიდან აღარ გაყიდდა გლეხებს: „ესე ... მტკიცე, უტყუარი ფიცი, პირი და წიგნი დაგიწერეთ და

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 845.
[2] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 850.
[3] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 850.
[4] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 849-850.
[5] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 115.
[6] **მ. თამარაშვილი,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 209-210.
[7] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 647-648.

მოგართვით ჩვენ შარვაშიძემან ბატონმან ყუაპუ და ჩემმან ძმამან ქერექიმ თქუენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოზსა დავითს ასრე და ამა პირსა ზედან, რომელ ნაჟნაურელი და ხოირული კაცები, რომელიც ახლა იყოს, ის შეუცოდებლად და თქუენდა უკითხავად აღარც გავყიდოთ, და თქვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილის კაცისაგან კარგად შემოუაროთ, არც თქვენი ხლება და სამსახური დაუშალოთ".[1]

თუმცა არც ამ ფიცის წიგნმა უშველა და ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გრძელდებოდა მოსახლეობის „აყრა, ოხრება და ტყვედ გაყიდვა". მდ. კელასურსა და მდ. ენგურს შორის მდებარე მიწა-წყლის მოსახლეობის ნაწილი აფხაზთა მიერ აოხრებისა და აკლების დროს აქედან გადაიხვეწა. ვინც მახვილს, შიმშილსა და ავადმყოფობას გადაურჩა, აფხაზებმა თურქებს ტყვედ მიჰყიდეს.[2] დაცარიელებულ ადგილებზე აფხაზები სახლდებოდნენ. მათ დასაწყისში ეთნიკურად აითვისეს მდ. კელასურსა და მდ. ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორია, შემდეგ უკვე დაიწყო ღალიძგის მარცხენა ნაპირის ეთნიკური ათვისება, თუმცა ეს პროცესი რამდენადმე გაჭიანურდა. ფეოდალთა წრეში გაბატონებული მდგომარეობა თანდათან აფხაზმა ფეოდალებმა მოიპოვეს, თუმცა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ამ მხარეში მაინც ქართული (მეგრული) რჩებოდა.

ლევან IV დადიანის დროს ოდიშის სამთავროს, ფაქტობრივად, გიორგი ლიპარტიანი განაგებდა, ლევანი მხოლოდ სახელით იყო ოდიშის მთავარი. ლიპარტიანისაგან შევიწროებულმა მთავარმა 1691 წელს მიატოვა ოდიში და ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც მალევე გარდაიცვალა. ოდიშზე და ლეჩხუმზე გიორგი ლიპარტიანი ბატონობდა. 1701 წელს მან დადიანის ტიტული მიიღო. ამდენად, ოდიშში ჩიქვანთა საგვარეულო გადადიანდა.[3] ამის თაობაზე ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა: „აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოსწყვიტნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანად".[4] ვახუშტი ბატონიშვილი „მთავარნი"-ს თავადების მნიშვნელობით იყენებს.

ძირძველი თავადები ჭილაძეები, ქორთოძეები, ქოჩაქიძეები, ჯაიანები, გოშაძეები, ანჯაფარიძეები აზნაურთა წრიდან გამოსულ ჩიქვანთა გადადიანებას ვერ ურიგდებოდნენ. დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია მათ დამორჩილებასა და მათი მამულების მიტაცებას ცდილობდა. ეს ბრძოლა XVII ს. მეორე ნახევარში დაიწყო და XVIII საუკუნეშიც გაგრძელდა. ამ ბრძოლის შესახებ ცნობა ვახუშტი ბატონიშვილთანაც არის დაცული. როდესაც იგი ჩამოთვლის „აწინდელთა ჟამთა" წარჩინებულ გვარებს, აღნიშნავს: „აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოსწყვიტნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანად". ჩიქვანებთან ბრძოლაში დაემცრო ოდიშის ძველი წარჩინებული საგვარეულოები: ჭილაძეები, გოშაძეები, ქორთოძეები, ჯაიანები, ანჯაფარიძეები, ჯოლიები და სხვ.[5] ***ჭილაძეებმა*** XVIII ს. მეორე ნახევარში თავადობა დაკარგეს, მათი სამფლობელო დადიანებმა დაიკავეს; ***ჯაიანებმა*** დაკარგეს ნოღის ციხე, რომელსაც დადიანების სამთავრო სახლის უმცროსი შტოს წარმომადგენლები დაეუფლნენ; ***გოშაძეებმაც*** მამულები და ყმები დაკარგეს; სხვა წარჩინებულ საგვარეულოებსაც დადიანებმა აზნაურები და მიწა-წყალი წაართვეს.[6]

ჩიქვანთა გადადიანების შემდეგ დაწინაურდა ჩიქვანების, ჩიჩუების, ფაღავების, დგებუაძეების საგვარეულოები. ***ჩიქვანთა სათავადო*** ჩამოყალიბდა XVII-XVIII სს. მიჯნაზე, როცა ამ საგვარეულოს ერთი შტო გადადიანდა. სათავადო ჩამოყალიბდა ძველი სალიპარტიანოს ერთ ნაწილზე და მოიცავდა სოფლებს კვაუთს, ლესაჯეს, აგრეთვე თარგამულის, ჯოლევის, ნამიკოლუს, ლეძაძამეს ნაწილს; ჩიქვანები ყმა-მამულს ფლობდნენ ასევე თამაკონსა და ნოქალაქევში.

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 36.

[2] **ს. კაკაბაძე,** საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. 1500-1810 წწ., ტფ., 1922, გვ. 102.

[3] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 119-121. ამის შესახებ დაწვრილებით, იხ. **ბ. ხორავა,** დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, თბ., 2001.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 26.

[5] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., I, გვ. 284; **ა. ტუღუში,** სამეგრელოს სამთავროს ისტორია (მოკლე კურსი), ზუგდიდი, 2001, გვ. 26-27.

[6] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., I, გვ. 284-285, 289, 295.

რეზიდენცია ჰქონდათ კვაუთში, აქ იყო მათი სასახლე და კარის ეკლესია, ციხესიმაგრე — ლეძაძამეში.[1] შემდეგ, ჩიქვანები დაეუფლნენ ***ქოჩაქიძეთა*** მამულს, სოფლებს — ნაგურუს, ტყაიას, ზუმს, მუხურს, მედანს. მდ. ჭანისწყლის მარცხენა მხარეს, მედანში, მათ ჰქონდათ ციხესიმაგრე. რაც შეეხება ქოჩაქიძეებს, ისინი რიონის ქვემო წელში დამკვიდრდნენ, სადაც ფლობდნენ სოფლებს — სირიაჩქონს, ეწერს, მუხურს.[2] ***ჩიჩუათა სათავადო*** XVII ს. 20-50-იანი წლებიდან არსებობდა, თუმცა როდის ჩამოყალიბდა, ძნელი სათქმელია. მდებარეობდა ჭანისწყლისა და ხობისწყლის ქვემო წელზე და მოიცავდა სოფლებს: ზუბი, ჯაპშაქარი, რზენი, საჯიჯაო. ჩიჩუები ყმა-მამულს ფლობდნენ აგრეთვე ნარაზენში, ბიაში, სახარბედიოში, თეკლათში, ქვალონსა და მუხურში, ისინი დაეუფლნენ ასევე ქორთოძეების კუთვნილ ხეთას; რეზიდენცია ჰქონდათ სოფ. რზენში. აქ იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე.[3] ***ფაღავების სათავადო***, ჩამოყალიბდა XVII-XVIII სს. მიჯნაზე. სათავადოში შედიოდა: ბანძა, აბედათი, ნახუნაო, აგრეთვე თარგამულისა და ჯოლევის ნაწილი. ფაღავები ყმა-მამულს ფლობდნენ ასევე ლეხაინდრაოში, ნაგვაზუში, სეფიეთში, ეკში, მოხაშში, უშაფათში, სუჯუნასა და ონოღიაში; რეზიდენცია ჰქონდათ ბანძაში, აქ იყო მათი სასახლე და კარის ეკლესია, მათვე ეკუთვნოდათ თარგამულის ციხესიმაგრე.[4] XVII საუკუნის მიწურულიდან ***სალიპარტიანო*** თანდათან შემცირდა. ლიპარტიანების კუთვნილი მიწების ერთ ნაწილზე ჩიქვანთა სამფლობელოში შევიდა, მეორე ნაწილზე დადიანები ბატონობდნენ. XVIII საუკუნის დასაწყისამდე ნოქალაქევთან, ტარჩულში იყო სალიპარტიანოს ცენტრი.

გარეშე მტრებთან ომებმა, შინააშლილობამ, ტყვის სყიდვამ ოდიშის სამთავროს მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. ნიშანდობლივია, რომ XVII საუკუნის I ნახევარში ოდიშის სამთავროში დაახლ. 150 ათასი მცხოვრები იყო, ამავე საუკუნის 70-იან წლებში კი მოსახლეობა განახევრდა.

1702 წელს გიორგი IV დადიანმა (1701-1709, 1710-1714) იმერეთის ლაშქრის დახმარებით აფხაზთა წინააღმდეგ გაილაშქრა. აფხაზთა მთავარი იძულებული გახდა დაეთმო მიტაცებული მიწების ერთი ნაწილი და მდ. ენგურსა და მდ. ღალიძგას შორის ტერიტორიაზე ოდიშის მთავრის იურისდიქცია აღდგა, თუმცა მის გამგებლად აფხაზთა სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები დარჩნენ.[5] ყვაპუ შარვაშიძის შემდეგ ოდიშის სამთავროს ამ ნაწილს მისი ვაჟი მურზაყანი განაგებდა. ზეპირი ხალხური გადმოცემით მას თავის სამფლობელოში ტყვეთა სყიდვა აუკრძალავს, ქურდ-ავაზაკნი სასტიკად დაუსჯია, შედარებით მშვიდობიანობა დაუმყარებია, ჭეშმარიტად „აღუყვავილებია“ ეს მხარე, რითაც ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოგვიანებით ოდიშის ამ მხარეს სამურზაყანო ეწოდა.[6] XVIII საუკუნის დასაწყისიდან, სამურზაყანოს წარმოქმნის შემდეგ, ოდიშს, ვიწრო მნიშვნელობით, მდ. ენგურსა და მდ. ცხენისწყალს შორის ტერიტორიას უწოდებდნენ.

XVII-XVIII სს. მიჯნაზე დასავლეთ საქართველო ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში იყო მოქცეული. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს ოსმალეთი თავის ვასალ ქვეყნებად თვლიდა და მათ საშინაო საქმეებში აქტიურად ერეოდა. მათზე სულტანი თავის გავლენას ახალციხის ფაშას მეშვეობით ავრცელებდა. იმერეთის მეფეს, გურიის, ოდიშისა და აფხაზთა მთავრებს ტახტზე სულთანი ამტკიცებდა. ამ პოლიტიკურ ერთეულთა ხელისუფალნი ქრისტიანები იყვნენ და თურქებს მათი გამაჰმადიანება არც უცდიათ. მათი ოსმალეთზე დამო-

---

[1] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., I, გვ. 309, 317-318.

[2] **დ. ჭითანავა**, ქოჩაქიძეთა სათავადო, გვ. 123.

[3] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., I, გვ. 300, 303.

[4] **ო. სოსელია**, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), II, გვ. 189-190.

[5] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 121-122.

[6] **ვ. ზუხბაია, ხ. ზანთარაია,** გალი. რაიონის ბუნება, ეკონომიკა, ისტორიული ნარკვევი. სოხუმი, 1988, გვ. 72-73.

კიდებულება სულტნისათვის ყოველწლიურად მისართმეველის გაგზავნაში გამოიხატებოდა, რომელსაც ქართველები „ქრთამს“ ეძახდნენ.[1]

1702 წელს იმერეთის, ოდიშისა და გურიის მესვეურებმა ახალციხის ფაშას ყოველწლიური მისართმეველის გაგზავნა შეუწყვიტეს, რითაც ოსმალეთის მორჩილებაზე უარი თქვეს. 1703 წლის იანვარში სულტანმა არზრუმის ბეგლარბეგ ჰალილ ფაშას დასავლეთ საქართველოს დასამორჩილებლად ლაშქრობის მოწყობა უბრძანა. იმავე წლის ზაფხულში თურქები დასავლეთ საქართველოსაკენ გამოემართნენ. ისინი გურიაში შეიჭრნენ და ციხეები დაიკავეს, რის შემდეგაც გურიელმა მათ მორჩილება გამოუცხადა. ოსმალები იმერეთშიც შეიჭრნენ. მოსახლეობა ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევდა თურქებს, მაგრამ მომხდურთა სიმრავლემ და ფეოდალურმა განკერძოებულობამ მტრის წარმატებას შეუწყო ხელი. თურქები ოდიშშიც შეიჭრნენ და ქვეყანა ააოხრეს, რუხის ციხეში მეციხოვნეები ჩააყენეს და ზღვისპირას ახალი დასაყრდენის შექმნის მიზნით ანაკლიის ციხე ააშენეს.[2] დასავლეთ საქართველო სრული დაპყრობის საფრთხის წინაშე იდგა და არც ჩანდა რაიმე გამოსავალი, მაგრამ მოულოდნელად ვითარება რადიკალურად შეიცვალა. სტამბოლში სწორედ ის ჯარი აჯანყდა, რომელიც საქართველოში გამოსაგზავნად იყო გამზადებული. ამ აჯანყებას ოსმალეთში ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა. სულტანი მუსტაფა II (1695-1703) გადადგა და ტახტზე მისი ძმა აჰმედ III (1703-1730) ავიდა. ახალმა სულტანმა, პირველ რიგში, აჯანყებულებს რამდენიმე წლის გადაუხდელი ჯამაგირი გადაუხადა და დასავლეთ საქართველოდან ლაშქრის გამოწვევა ბრძანა, რადგან ოსმალეთის მთავრობას ლაშქრობის გაგრძელების ძალა არ შესწევდა. ამის შემდეგ, თურქებმა, გარდა მეციხოვნეებისა, დასავლეთი საქართველო დატოვეს.[3]

ოდიშში თურქი მეციხოვნეები დარჩნენ ფოთის, ანაკლიისა და რუხის ციხეებში, თუმცა მათი ხელისუფლება ამ ციხესიმაგრეთა კედლებს არ სცილდებოდა. ოდიში ისევ ოსმალეთის დამოკიდებულებაში დარჩა და ამიტომ ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა არ ცხრებოდა, რაც თურქთა მიერ დაკავებული ციხეების ოსმალთაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიხატა. ასეთ ვითარებაში, გიორგი IV დადიანს შვილები აუმხედრდნენ და დახმარება იმერეთის მეფეს სთხოვეს. იმერეთის მეფემ, გიორგი VI-მ (1703-1720), ოდიშში გაილაშქრა. გიორგი IV დადიანმა ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა და აფხაზეთში გაიქცა. მეფემ ოდიშის მთავრად გიორგი IV დადიანის უფროსი ვაჟი კაცია დასვა, ხოლო ლეჩხუმს მისი მომდევნო ძმა ბეჟანი დაეუფლა.[4]

კაცია I დადიანის (1709-1710) მთავრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1710 წელს იგი ხუნაგით გარდაიცვალა. გიორგი IV დადიანი შემოვიდა აფხაზეთიდან და კვლავ დაეუფლა ოდიშის ტახტს, თუმცა, მალე, 1714 წელს ბეჟანმა ტახტიდან ჩამოაგდო მამა და თვითონ დაჯდა მთავრად.[5] ბეჟან დადიანი აქტიურად იბრძოდა თურქთა ბატონობის წინააღმდეგ, ამიტომ ახალციხელი ისაყ ფაშას შვილმა 1728 წელს ის გეგუთში ღალატით მოაკვლევინა.[6] ოდიშის ტახტზე ბეჟან დადიანის ვაჟი ოტია ავიდა.

1730 წლის გაზაფხულზე ოსმალებმა ბათუმიდან აზოვამდე ზღვის სანაპიროს საბოლოოდ დაპყრობა გადაწყვიტეს. ლაშქრობას ფოთის ფაშა სარდლობდა. ფაშამ ლაშქრობაში მონაწილეობის მოთხოვნით იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს (1721-1752) და ოტია დადიანს (1728-1758) მიმართა. ოდიშის მთავარმა უარი განაცხადა ლაშქრობაში მონაწილეობაზე და იმერეთის მეფესაც ასე ურჩია, მაგრამ მან რჩევა ყურად არ იღო. თურქები ოდიშში შეიჭრნენ და ააოხრეს. მოსახლეობა, ვიდრე აფხაზეთამდე, მდ. ღალიძგამდე, სრულიად დახიზნულიყო. „არბევდნენ ოსმალნი და იმერნი და სტყუევნიდნენ, სადა ვის ჰპოვებდნენ, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი, — შევიდნენ

---

[1] **ქ. ჩხატარაიშვილი,** დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, *სინ*, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 455.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 863-864; **ქ. ჩხატარაიშვილი,** დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 457-458.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 865; **ქ. ჩხატარაიშვილი,** დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 459.

[4] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 125-126.

[5] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 127.

[6] **ს. ჩხეიძე,** საქართველოს ცხოვრება, წიგნ. ,,საქართველოს ცხოვრება“, *ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა*, ტფ. 1913, გვ. 40.

ოსმალნი ილორს, არამედ ხატნი და ჯუარნი და სახმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შეუდვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა და მოსპნეს დახატულებანი და შემდგომად განვლეს და მივიდნენ აფხაზეთს“. იმერეთის მეფე მიხვდა, რომ თურქთა ლაშქრობაში მონაწილეობა არც მისი ქვეყნისთვის იყო სასიკეთო და თავისი ლაშქრით გზიდან გამოიპარა. ასეთ ვითარებაში, თურქთა წინააღმდეგ აფხაზებიც აჯანყდნენ და მათ ლაშქრობის გააგრძელება ვერ შეძლეს. აფხაზებმა თურქთა დიდი ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი კი ზღვით გაიქცა.[1]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურდა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ იმერეთ-ოდიშ-გურიის მესვეურნი საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად გამოდიოდნენ. ოდიშის ლაშქარი აქტიურად მონაწილეობდა 1757 წლის 14 დეკემბერს თურქებთან ხრესილის ბრძოლაში, სადაც სოლომონ I-მა (1752-1784) ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. რადგან ოდიშის მთავარი უკვე ასაკში იყო, სამთავრო ლაშქარს ტახტის მემკვიდრე კაცია ბატონიშვილი სარდლობდა. ოდიშის ლაშქრის შემადგენლობაში იმყოფებოდა სამურზაყანოელთა რაზმი ხუტუნია შარვაშიძის მეთაურობით. ეს უკანასკნელი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. ნ. დადიანის ცნობით, „გარნა ძე დადიანისა მწუხარე იყო, ვინათგან მხლე მისი შარვაშიძე ხუტუნია მოჰკლეს ბრძოლასა ამას შინა, რომელმანცა სამაგალითოდ წარმოაჩინა მამაცობა და სიმხნე მისი, სადა სხვათა სახელოვანთა ბრძოლათა შორის ხრმლითა განჰკვეთა თექვსმეტი ოსმალი და შემდგომად ოსმალთა რაზმთა შუაგულობასა მყოფი მოჰკლეს შარვაშიძე ხუტუნია.[2] 1759 წლის 30 დეკემბერს ოდიშის მთავარმა კაცია II დადიანმა, ბატონიშვილებმა და თავად-აზნაურებმა: ჩიჩუამ, ჩიქვანმა, ფაღავამ, აფაქიძემ, მხეიძემ, დგებუაძემ, ჩიჯავაძემ, ჯაიანმა, ქოჩაქიძემ, მიქაძემ, ჯოლიამ, შელიამ, ქართველისშვილმა (ქორთუამ, - ავტ.), საჯაიამ და „ერთობით ოდიშარმან“, გურიის მთავართან, ბატონიშვილებთან და თავადაზნაურებთან ერთად პირობის წიგნი მისცეს იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს, რომ ტყვეს არ გაყიდდნენ, მისი „მორჩილი და ბრძანების აღმსრულებელი იქნებოდნენ“.[3]

1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი (1768-1774) დაიწყო. ერეკლე II და სოლომონ I შეეცადნენ რუსეთის დახმარებით განედევნათ თურქები საქართველოდან. 1769 წელს საქართველოში გრაფ ტოტლებენის მეთაურობით რუსეთის საექსპედიციო კორპუსი შემოვიდა. 1770 წლის სექტემბერში რუსეთის საექსპედიციო კორპუსი ოდიშში გადავიდა და ფოთის ციხისაკენ გაემართა. ასეთ ვითარებაში, თურქებმა რუხისა და ანაკლიის ციხეები დაცალეს, რომლებიც დადიანმა დაიკავა. საექსპედიციო კორპუსმა სამთავროს ლაშქართან ერთად ფოთის ციხეს ალყა შემოარტყა. ფოთის ალყა სამთვენახევარს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში საექსპედიციო კორპუსმა ბრძოლის უნარი დაკარგა. 1771 წლის 3 თებერვალს სოლომონ I-მა ტოტლებენს აცნობა, რომ ზურაბ და ქელეშბეი შარვაშიძეები აპირებდნენ რუსეთის კორპუსს თავს დასხმოდნენ, რათა აეძულებინათ ფოთს გასცლოდა. აფხაზები მართლაც დაესხნენ თავს კორპუსს და ცხენები გაიტაცეს.[4] 1771 წელს რუსეთის საექსპედიციო კორპუსმა საქართველო დატოვა. ამის შემდეგ, თურქები შეეცადნენ ოდიშში ისევ მოეკიდებინათ ფეხი და ამ მიზნით ხელი შეუწყვეს აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ლაშქრობას ოდიშზე. 1780 წლის გაზაფხულზე აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ლაშქარი ოდიშისაკენ დაიძრა. კაცია II დადიანმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს მიმართა და ისიც მაშინვე გამოეშურა ოდიშისაკენ. ბრძოლა გაიმართა 1780 წლის მარტში რუხში და ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.[5]

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 886-888.

[2] **ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება, ქართველთ ცხოვრება. *ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ,* თბ., 1962, გვ. 178.

[3] AKAK, I, გვ. 56-58.

[4] **ვ. მაჭარაძე,** მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. 2, თბ., 1997, გვ. 42-45.

[5] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 161-162.

რუხის ბრძოლამ ბოლო მოუღო აფხაზების შემოტევას ოდიშის სამთავროზე. მალე, აფხაზთა სამთავრო კარზე დაიწყო არეულობა და ახლა აფხაზთა სამთავრო სახლის საქმეებში ოდიშის მთავარი ჩაერია. ოსმალთა წაქეზებით ქელეშ-ბეი შარვაშიძე შეეცადა ზურაბ შარვაშიძე ტახტიდან ჩამოეგდო და თვითონ გამთავრებულიყო. ზურაბმა კაცია დადიანს სთხოვა დახმარება. „დადიანმა, — წერს ნ. დადიანი, — შეიკრიბა სპანი თვისნი, აჩინა მხედართმძღვანვად ძმა თვისი გიორგი და წარგზავნა აფხაზეთად. მივიდნენ რა აფხაზეთს, ურჩნი ზურაბისანი მოსწვეს, მოსწყვიდეს და შემდგომად მოადგენ ცხომის ციხეს“. გიორგი დადიანის ძემ „სიმხნე-მამაცობითა“ საქებელითა აიღო ციხე, ურჩნი ისევ დაუმორჩილა ზურაბ შარვაშიძეს და გამარჯვებული ოდიშში დაბრუნდა.[1] ამრიგად, ზურაბ შარვაშიძემ, კაცია II დადიანის დახმარებით, ხელისუფლება შეინარჩუნა. ამავე ხანებში, კაცია II დადიანი დაუმოყვრდა სამურზაყანოს მფლობელ ლევან შარვაშიძეს. დადიანის ძემ მანუჩარმა ლევან შარვაშიძის ასული ელისაბედი შეირთო.[2] ამ დინასტიური ქორწინებით ოდიშის მთავარს სამურზაყანოს მფლობელის შემომტკიცება სურდა.

XVIII საუკუნეში სალიპარტიანოს ერთი ნაწილი დადიანთა სამფლობელოში შედიოდა. 1771 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: „ჩვენ ... ცაგერელ მიტროპოლიტმან ანტონიმ ... ეკლესიასა საირმისასა უდაბნოთა შინა ... რომელიცა ჩვენი მოგებული რამ იყო ისიც ყოველი შემოგწირეთ ... და ნასყიდი ძმისა ჩვენისა დადიანისა კაციასაგან ... ნახარბოის (ნახარებუ, - ავტ.) სასახლე მისის ეკლესიის კარით და წყლით, ტყით და ... მამულით ... ძმისა ჩვენისა გიორგისაგან კვალად ქრთამით მოცემული ხუნწს ერთი გლეხი მოგვაძე...“.[3] ამდენად, ცაგერელ მიტროპოლიტ ანტონს (დადიანი) ლეჩხუმში, საირმის უდაბნოსთვის მისი ძმისგან, გიორგი დადიანის ძისაგან შეძენილი ხუნწში მცხოვრები გლეხი მოგვაძე შეუწირავს. მიტროპოლიტი ანტონი ცნობილი საეკლესიო მოღვაწე იყო, ოდიშის მთავრის ოტია დადიანის (1758-1788 წწ.) ძე, 1761-1777 წლებში — ცაგერელი მიტროპოლიტი, ხოლო შემდეგ, 1777-1789 წლებში — ჭყონდიდელი მიტროპოლიტი.[4]

1768-1774 წწ. გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა (1745-1781) რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მონაწილეობა მიიღო ექსპედიციაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს ყოველმხრივი გამოკვლევა-შესწავლა. 1771-1772 წწ. მან საქართველოში იმოგზაურა. ის იხსენიებს ხუნწის ციხეს — „ხუნწი, პატარა ციხე“.[5] ხუნწის ციხის (XVII ს.) ნანგრევები მდებარეობს ქვემო ხუნწში, ქუქითის ბორცვზე. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ნაჯიხოუ“-ს (ნაციხვარი) უწოდებს. ჩრდილოეთით კოშკი მდგარა, რომელიც ძირამდეა დანგრეული. ციხეს გარს უვლიდა ფლეთილი ქვით ნაგები გალავანი. გალავნის კედელზე სათოფურიც შეიმჩნევა. გალავნის გარეთ, ქვემოთ, წყაროს წყალი იყო გამოყვანილი.[6]

XVIII საუკუნის მიწურულს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა იმერეთის სამეფო კარზე, რაც, შემდეგ, მრავალი შინაომისა და სისხლისღვრის მიზეზი გახდა. 1784 წლის 23 აპრილს სოლომონ I უეცრად გარდაიცვალა. მისი დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო აღორძინების გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის. სოლომონ მეფე ისე გარდაიცვალა, რომ მემკვიდრე არ დაუტოვებია. ტახტის პრეტენდენტებად გამოდიოდნენ სოლომონ მეფის ძმისშვილი, დედის მხრივ ერეკლე II-ის შვილიშვილი, 12 წლის დავით არჩილის ძე და სოლომონ მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. იმერეთის გავლენიანი ფეოდალებისა და დადიან-გურიელის მხარდაჭერით, ტახტზე ეს უკანასკნელი ავიდა და იმერეთის ფეოდალთა წინაშე დაიფიცა, რომ სოლომონ I-ის საში-

---

[1] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

[2] **ვ. მაჭარაძე,** ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 277-278; **ო. სოსელია,** ნარკვევები..., III, გვ. 93.

[3] **ს. კაკაბაძე,** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფ. 1921, გვ. 43-44.

[4] **ბ. ხორავა,** დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, თბ., 2001, გვ. 42-43.

[5] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. *ტექსტი თარგმნა და კომენტარები დაურთო გია გელაშვილმა*, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 323.

[6] **ი. კეკელია**, ხუნწი. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, გვ. 42.

ნაო და საგარეო პოლიტიკურ ხაზს გაატარებდა.[1] მალე, 1788 წლის 6 დეკემბერს, კაცია II დადიანიც გარდაიცვალა და ოდიშის ტახტზე მისი უფროსი ვაჟი გრიგოლი ავიდა.[2]

კაცია II დადიანი სამჯერ იყო ცოლშერთული. მისი პირველი მეუღლე იყო შარვაშიძის ასული დარეჯანი, რომელსაც 1765 წელს გაშორდა და იმავე წლის ნოემბერში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის და ელისაბედ ბატონიშვილი შეირთო.[3] 1770 წელს ელისაბედი შვილზე, გრიგოლზე, მშობიარობას გადაყვა. ამის შემდეგ ოდიშის მთავარმა წულუკიძის ასული ანა შეირთო.[4]

ანა დედოფალს, როგორც ჩანს, გრიგოლი დიდად არ უყვარდა და ღვიძლი შვილის, მანუჩარის გამთავრება უნდოდა. გრიგოლ დადიანი არც იმერეთის მეფისათვის იყო სასურველი კანდიდატი ოდიშის ტახტზე, ამასთან, სამურზაყანოს ანუ „ზემო აფხაზეთის“ მფლობელს, ლევან შარვაშიძეს დავით II-ისთვის უთხოვია, მისი სიძე მანუჩარი გაემთავრებინა, რის შემდეგაც ის მზად იყო იმერეთის მეფის უზენაესობა ეცნო.[5] იმერეთის მეფე, გრიგოლ დადიანის გამთავრებიდან ორი თვის თავზე, ოდიშში შეიჭრა, მრავალი გავლენიანი ოდიშარი გადაიბირა და მთავრად მანუჩარ დადიანი დასვა. გრიგოლ დადიანმა ლეჩხუმს შეაფარა თავი.[6]

ეს ლაშქრობა იმერეთის მეფისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მას ქვეყნის შიგნით ბევრი მტერი ჰყავდა იმერეთის წარჩინებული ფეოდალების სახით; საზღვრებთან თურქები იდგნენ და ახალციხის ფაშაც უარყოფითად იყო განწყობილი მის მიმართ; ერეკლე II-ის კარზე მყოფი იმერეთის ტახტის პრეტენდენტი დავით არჩილის ძეც ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდა. ოდიშის წარჩინებულების — ლეჩხუმის სარდლის ქაიხოსრო გელოვანის, სამთავროს სახლთუხუცესის გიორგი ჩიქოვანის (გრიგოლ დადიანის ბიძაშვილები) და სამთავრო სახლის სხვა წევრების რჩევით, გრიგოლ დადიანმა ქართლიდან გამოიწვია დავით არჩილის ძე, რომელიც ჯერ იმერეთში, ხოლო შემდეგ, ლეჩხუმში ჩაიყვანეს. მურის სასახლეში დავით ბატონიშვილს გრიგოლ დადიანის და მარიამი შერთეს. ქორწილის შემდეგ გრიგოლ დადიანი და დავით არჩილის ძე ლეჩხუმის ლაშქართან ერთად გამოემართნენ და ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ხუნწში დაბანაკდნენ. აქ მათ ოდიშის ლაშქარი შეუერთდა. იმერეთის მეფემ, დავით II-მ საჩქაროდ შეკრიბა იმერეთის ლაშქარი და დაქირავებულ ლეკთა რაზმთან ერთად მათ წინააღმდეგ გაემართა და ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ხონის მახლობლად დაბანაკდა. ძალთა თანაფარდობა იმერეთის მეფის სასარგებლოდ აშკარად არ იყო. ერეკლე მეფემაც ქართლ-კახეთის ლაშქარი იმერეთის საზღვარს მოაყენა.[7]

იმერეთის მეფემ გადაწყვიტა მოწინააღმდეგისათვის დაესწრო და უპირატესობა მოეპოვებინა, ამიტომ რამდენიმე დღის შემდეგ ცხენისწყლისაკენ დაიძრა. ოდიშ-ლეჩხუმის ლაშქარიც გაემართა მის წინააღმდეგ. რადგან ცხენისწყალი ადიდებული იყო, ოდიშის სამთავროს სახლთუხუცესმა გიორგი ჩიქოვანმა ქვეითები ბუნბუას ხიდით გადაიყვანა მდინარეზე და მათხოჯში დაბანაკდა. იმავდროულად, ოდიშ-ლეჩხუმის მხედრობამ მდინარე გადალახა და მოწინააღმდეგეს ეკვეთა. როგორც ნიკო დადიანი წერდა, 1789 წლის 10 ივლისს მათხოჯში „იქმნა ბრძოლა ძლიერი“. იმერეთის მეფე დავით II დამარცხდა და უკან დაიხია. ოდიშ-ლეჩხუმის ლაშქარმა ქუთაისი და სამეფოს მნიშვნელოვანი ციხეები დაიკავა. იმერეთის ტახტზე დავით არჩილის ძე ავიდა, რომელმაც ბიძის პატივსაცემად სოლომონ II დაირქვა, რაც შეეხება დავით II-ს, ის ახალციხეში გაიქცა.[8] ოდიშში ისევ გრიგოლ დადიანი (1788-1804 წწ.) გაბატონდა.[9] იმავე წლის ნოემბერში გრიგოლ დადიანი თავის ძმას მანუჩარ ბატონიშვილს შეურიგდა და უბოძა: ჯგალის ციხე და მისი შემავალი გლეხები და მამული, რომელიც ადრე მთავარს ეკუთვნოდა; აგრეთვე, ამ ციხის შემავალი აფაქიძისა და ჩიქოვანის გლე-

---

[1] **მ. რეხვიაშვილი,** იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982, გვ. 177-180.
[2] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 184; **ე. თაყაიშვილი,** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 193.
[3] **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 46.
[4] **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 46-48.
[5] **ვ. მაჭარაძე,** ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, გვ. 277-278.
[6] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.
[7] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 184-185.
[8] **ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება, გვ. 185.
[9] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, XV-XVIII სს., გვ. 166.

ხები მათი გადასახადებით; ნაფიჩხოუში სახასო გლეხები; ლეჩხუმში 20 კომლი და ერთი სასახლე; თაიაში ჩარკვიანები თავიანთი მამულითა და გლეხებით და სხვ.[1]

1790 და 1792 წლების სიგელებში გრიგოლ დადიანი ოდიშის, აფხაზეთის, სვანეთის, თაკვერის მფლობელად იწოდება. ამ დროს ოდიშის მთავარი მართლაც ფლობდა თაკვერს (ლეჩხუმი), რომელსაც სარდალ-მოურავი გელოვანები განაგებდნენ; დადიანს ემორჩილებოდა სვანეთის ის ნაწილიც, რომელიც ლეჩხუმს ესაზღვრებოდა — ცხენისწყლის ხეობის სვანეთი. ამ მხარეს ოდიშის მთავარი მართავდა ლეჩხუმელი ჩიქოვანების მეშვეობით, რომლებიც მოურავებად ინიშნებოდნენ. რაც შეეხება „აფხაზეთს“, აქ სამურზაყანო იგულისხმება, რომელსაც დადიანის ვასალი შარვაშიძეები განაგებდნენ.[2]

1791 წელს ოდიშის სამთავრო სახლი დაუმოყვრდა ქართლ-კახეთის სამეფო სახლს. გრიგოლ დადიანმა (1788-1804) ერეკლე მეფის შვილიშვილი, გიორგი ბატონიშვილის (შემდეგში ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII) ასული ნინო ბატონიშვილი შეირთო.[3]

თავდაპირველად, გრიგოლ დადიანსა და იმერეთის მეფეს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. 1789-1792 წლებში გრიგოლ დადიანი სოლომონ II-ს (1789-1810) დავით გიორგის ძესთან ბრძოლაში ყოველმხრივ ეხმარებოდა. 1790 წლის ივნისში გაფორმდა „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომლის ძალითაც დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს ფორმალურად უერთდებოდნენ. ტრაქტატი რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა. ჯერ „მეფე ქართლისა, კახეთისა და სხუათა, ირაკლი მეორე“ ყოველმხრივ დახმარებისა და რუსეთთან შუამავლობის პირობას აძლევდა „საიმერეთოსა მეფესა სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხუათა სამთავროთა დადიან გრიგოლს და მთავარსა გურიისა სიმეონს“. შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები შესაბამის პირობას აძლევდნენ ქართლ-კახეთის მეფეს. მესამე ნაწილში, „მთავარი ოდიშისა და სხუათა სამთავროთა“ გრიგოლ დადიანი ერთგულების პირობას აძლევდა ერეკლე II-ს და „თავადთა კეთილშობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა“.[4] 1791 წელს გრიგოლ დადიანმა „ტყვის სყიდვის“ წინააღმდეგ ბრძოლის პირობა მისცა იმერეთის მეფეს; 1792 წლის მაისში მან სოლომონ II-ს ოდიშში იმერეთიდან „აღმოჩენილი ნაქურდალის“ დაბრუნების პირობა მისცა.[5]

მალე, ოდიშის მთავარსა და იმერეთის მეფეს შორის შეურიგებელმა წინააღმდეგობებმა იჩინა თავი. სოლომონ II (1789-1810) სოლომონ I-ის პოლიტიკის გამტარებელი აღმოჩნდა, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ამას ხელს უწყობდა საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც. ოსმალეთის იმპერია, რომელიც საქართველოში ცენტრიდანულ ძალებს უჭერდა მხარს, საკმაოდ დასუსტებული იყო და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს სათანადო კონტროლს ვერ უწევდა. ამით ისარგებლა სოლომონ II-მ და დასავლეთ საქართველოს ხელმწიფის პრეტენზიებით გამოვიდა. იგი თავს „ქუემოისა ივერიისა და სხუათა მეფეს“ უწოდებდა. მეფის მარჯვენა ხელი სოლომონ ლიონიძე წერდა, რომ „აფხაზეთი უძველესი დროიდანვე იმერეთისა იყო“, მასვე ეკუთვნოდა ფოთის ციხეც. მეფე დადიანს უყურებდა როგორც ურჩ ყმას. მისი აზრით, მართალია, დადიანი „მთავრად დაიდგინა, მაგრამ

---

[1] XVIII საუკუნის ისტორიული საბუთები ზუგდიდის მუზეუმიდან. *ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს გ. არახამიამ, ნ. ქორთუამ და მ. ქობალიამ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი*, წელიწდეული, I, თბ., 2005, გვ. 138-139.

[2] **შ. ბურჯანაძე,** იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789-1802 წლებში, *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, II, თბ., 1960, გვ. 243-244; **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 166.

[3] **ბაგრატ ბატონიშვილი,** ახალი მოთხრობა, წგნ. **დავით ბატონიშვილი,** ახალი ისტორია. **ბაგრატ ბატონიშვილი,** ახალი მოთხრობა. *გამოც. თ. ლომოურისა,* თბ., 1941, გვ. 61; **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 184.

[4] ქართული სამართლის ძეგლები. *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ*, ტ. II, თბ., 1965, გვ. 504-505; **თ. ბერაძე**, ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII საუკუნის მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე, *წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში*, გვ. 233.

[5] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 528; **თ. ბერაძე**, ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში XVII საუკუნის მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე, *წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში*, გვ. 233.

მას მეფის წინააღმდეგობის უფლება არ ჰქონდა“, იგი მეფის მორჩილი უნდა ყოფილიყო.[1] გრიგოლ დადიანს კი სრულიად დამოუკიდებელ მთავრად ეჭირა თავი და იმერეთის მეფის უზენაესობას არ ცნობდა. მეფემ ოდიშის მთავარს მისი ძმა მანუჩარი და ლეჩხუმის მფლობელი ქაიხოსრო გელოვანი დაუპირისპირა. 1792 წელს შეთქმულებმა გრიგოლ დადიანი გადააყენეს და მთავრად მანუჩარი დასვეს. გრიგოლ დადიანმა სამურზაყანოს შეაფარა თავი.[2]

1794 წელს დავით გიორგის ძე იმერეთში შეიჭრა და ქუთაისის ახლოს დაბანაკდა. იმერეთის მეფის დასახმარებლად ოდიშ-ლეჩხუმის ლაშქრით მანუჩარ დადიანი მოვიდა. მას ქაიხოსრო გელოვანიც ახლდა. ამავე დროს, სამურზაყანოდან გრიგოლ დადიანიც გამოემართა. „ჟამსა ამას, — წერს ნ. დადიანი, — შეკრბენ სამურზაყანო აფხაზნი შესაწევნელად გრიგოლ დადიანისა, ვინათგან იხილეს მფლობელი მათი განძებული უსამართლოდ“, — და ბანძის მახლობლად, მარსილში დაბანაკდა. სოლომონმა დასწრება გადაწყვიტა, სანამ მისი მოწინააღმდეგეები გაერთიანდებოდნენ. ქაიხოსრო გელოვანი და ქაიხოსრო წერეთელი, მოულოდნელად, ღამით, თავს დაესხნენ გრიგოლ დადიანს და დაამარცხეს იგი. როცა გრიგოლის დამარცხების ამბავი შეიტყო, დავით გიორგის ძემ ქუთაისიდან დაიხია და მათხოჯში დაბანაკდა. გრიგოლ დადიანმა აფხაზთა მთავარს მიმართა დახმარების თხოვნით. ქელეშ-ბეი აფხაზთა ლაშქრით ოდიშში გადავიდა და ხიბულაში დაბანაკდა. სოლომონი 24 ოქტომბერს შეტევაზე გადავიდა და დავით გიორგის ძე დაამარცხა. ქელეშ-ბეიმ თავი აარიდა იმერეთის მეფესთან ბრძოლას და აფხაზეთში გაბრუნდა. ამის შემდეგ დავით გიორგის ძე ახალციხეში გადავიდა, სადაც მალევე გარდაიცვალა.[3]

გრიგოლ დადიანი ახალციხის ფაშას დახმარებით შეეცადა ტახტის დაბრუნებას, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ვერც ერეკლე მეფის შუამდგომლობამ გასჭრა სოლომონთან, იმერეთის მეფემ პაპას უარი აკადრა. მაშინ გრიგოლმა თავისი ერთგული ბიძის გიორგი დადიანის ძის დახმარებით ლეჩხუმის მოურავი ქაიხოსრო გელოვანი გადმოიბირა და მათი დახმარებით იმერეთის მეფეს შეურიგდა. 1798 წელს სოფ. ოჯოლაში მათ შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. გრიგოლ დადიანი კვლავ დაეუფლა ოდიშსა და ლეჩხუმს, ხოლო მანუჩარს სალიპარტიანო უბოძა.[4] იმავე წლის 5 აგვისტოს გრიგოლ დადიანმა წყალობის წიგნი უბოძა პეტრე მხეიძეს, რომელმაც მის მიმართ ერთგულება გამოიჩინა, როდესაც ქაიხოსრო გელოვანმა „ოდიშ-ლეჩხუმი არია“, მთავრის ყველა სიმაგრე დაიკავა და თვით მთავარი კი გააძევა. პეტრე მხეიძეს მაშინ „ჭაქვითის“ ციხე გაუმაგრებია მთავრისთვის და მისი დიდი ერთგულება გამოუჩენია. როცა სამთავრო ტახტი დაიბრუნა, ქაიხოსრო გელოვანი მოაკვლევინა და ქვეყანა დაამშვიდა, გრიგოლ დადიანმა მოიგონა პეტრე მხეიძის ერთგულება და სოფელ სორტაში ყმა-მამული უბოძა.[5]

სოლომონ II-ს ამის შემდეგაც არ აუღია ხელი ოდიშ-ლეჩხუმის იმერეთთან შეერთების განზრახვაზე. მალე, იმერთა და დაქირავებულ ლეკთა ლაშქრით, მეფე კვლავ შეიჭრა ოდიშში და მთავრად ისევ მანუჩარი დასვა, მაგრამ გრიგოლ დადიანის ოდიშიდან განდევნა ვერ შეძლო. *ხორგის, ხეთის, ჭაქვინჯისა და ნოღის ციხეების* პატრონები გრიგოლ დადიანს უჭერდნენ მხარს. როგორც კი იმერეთის მეფე ოდიშიდან გავიდოდა, გრიგოლ დადიანი კვლავ იპყრობდა სამთავროს. რადგან გრიგოლი ოდიშიდან ვერ განდევნა და მიზანს ვერ მიაღწია, სოლომონი „განძვინდა და აქცევდა ოდიშსა ყოველ წელ და აოხრებდა სპითა იმერელ-ლეკითა და სტყვევნიდა მრავალსა ქრისტიანთა ტყვეთა, სწვიდა და აოხრებდა ოდიშსა. და მიეცა ოდიში დიდსა მწუხარებასა, სადა ურწმუნოთა ლეკთა მრავალნი ეკლესიანი შებღალნეს“.[6]

---

[1] **მ. დუმბაძე,** დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 134-135.

[2] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 186; **ე. თაყაიშვილი,** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 70, 193; **მ. რეხვიაშვილი,** იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 220.

[3] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 186-188.

[4] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 188-190; **შ. ბურჯანაძე,** იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789-1802 წლებში, გვ. 246-247.

[5] XVIII საუკუნის ისტორიული საბუთები ზუგდიდის მუზეუმიდან, გვ. 139-140.

[6] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 190.

1802 წლის ზაფხულში იმერეთის მეფემ ისევ დაამარცხა გრიგოლ დადიანი და ლეჩხუმი დაიკავა. ოდიშის მთავარმა დახმარება ქელეშ-ბეი შარვაშიძეს სთხოვა, „რომელსა ეპყრა ყოველი აფხაზეთი ვიდრე ღალიძგამდე და მძლავრებდაცა დადიანის სამფლობელო სამურზაყანო აფხაზეთსა“.[1] აფხაზთა მთავარმა მძევალი მოითხოვა. დადიანმა ტახტის მემკვიდრე ლევანი გაუგზავნა მძევლად. ამის შემდეგ ქელეშ-ბეი თავისი ლაშქრით, 20 ათასი მეომრითა და 3 ზარბაზნით, ოდიშში გადმოვიდა და აბედათში დაბანაკდა. შემოდგომაზე სოლომონ II ოდიშში შეიჭრა და ქვეყნის შემომტკიცებას შეუდგა. ქელეშ-ბეიმ მეფესთან შებრძოლება ვერ გაბედა, დაუზავდა მას და აფხაზეთში დაბრუნდა. გრიგოლ დადიანი გორდისა და მურის ციხეებში გამაგრდა, რომელთა აღებაც მეფემ ვერ შეძლო. სოლომონმა ოდიშის მთავრად გრიგოლ დადიანის უმცროსი ძმა ტარიელი (ტაია) დასვა და იმერეთში დაბრუნდა.[2]

გრიგოლ დადიანისათვის, რომელიც ოდიშის გარკვეულ ტერიტორიაზე მაინც ბატონობდა, ცხადი შეიქნა, რომ საკუთარი ძალებით იმერეთის მეფის მძლავრობას წინ ვერ აღუდგებოდა, ამიტომ რუსეთის მფარველობაში შესვლა გადაწყვიტა და აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის ადმინისტრაციას შესაბამისი თხოვნით მიმართა.[3] როგორც ცნობილია, რუსეთთან მფარველობითი კავშირის ძიება ქართლ-კახეთის ინკორპორაციით დამთავრდა. ამის შემდეგ, საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური ერთეულების რუსეთთან შეერთება მხოლოდ დროის საქმე იყო. აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებისთანავე რუსეთის მთავრობა ფრთხილად შეუდგა დასავლეთ საქართველოში დამკვიდრებისათვის ზრუნვას. ლიხთიმერეთის სამეფო-სამთავროებს შორის არსებული მძაფრი დაპირისპირება რუსეთის მიზნების განხორციელებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. სოლომონ II ახლა უკვე მიხვდა რა დიდი საშიშროების წინაშეც იდგა და გრიგოლ დადიანს მორიგების წინადადებით მიმართა, მაგრამ მისგან უარი მიიღო. მაშინ, მან გადაწყვიტა კვლავ ძალის მეშვეობით დაემორჩილებინა დადიანი, მაგრამ საქართველოს მთავარმართებელი პავლე ციციანოვი (1802-1806) ოდიშის მთავარს გამოექომაგა და იგი იმერეთის მეფის ძალადობისაგან დაიცვა.[4]

ტფილისში, მთავარსარდლის კანცელარიაში შედგა რუსეთის იმპერიისათვის ოდიშის სამთავროს მიერთების პირობები, რომელიც მთავრის „სათხოვარი პუნქტების“ სახით ჩამოყალიბდა. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ოდიშის მთავარი რუსეთის ქვეშევრდომობაში შედიოდა. იგი სამთავროს მემკვიდრეობითი მფლობელი ხდებოდა და იმპერატორისაგან მთავრად დამტკიცების ნიშნად ხმალს და დროშას მიიღებდა. ამის შემდეგ ყოველი ახალი მთავარი რუსეთის ხელმწიფეს საგანგებო სიგელით უნდა დაემტკიცებინა. მთავარი თავისი ქვეშევრდომების უმაღლეს მოსამართლედ რჩებოდა და შინაგან საქმეებში ფართო ავტონომიით ისარგებლებდა. 1803 წლის 1 დეკემბერს სოფელ ჭალადიდში ციციანოვის წარმომადგენელი გრიგოლ დადიანს შეხვდა. მან ოდიშის მთავარს და მის მეუღლეს ძვირფასი საჩუქრები მიართვა და გრიგოლ დადიანს მისი სახელით ტფილისში შედგენილი „სათხოვარი პუნქტები“ წარუდგინა.

1803 წლის 2 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა სოფელ ჭალადიდში ხელი მოაწერა რუსეთის სამფარველო ხელშეკრულებას, ხოლო 4 დეკემბერს ცაიშელისა და ოდიშის წარჩინებულთა თანდასწრებით რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცა.[5] ფიცის დადების შემდეგ, ციციანოვის წარმომადგენელმა გრიგოლ დადიანს იმპერატორის გამოგზავნილი ალექსანდრე ნეველის ორდენი გადასცა.[6]

---

[1] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 192.

[2] **ბაგრატ ბატონიშვილი,** ახალი მოთხრობა, გვ. 80; **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 192; **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 169.

[3] **ბაგრატ ბატონიშვილი,** ახალი მოთხრობა, გვ. 80; **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 192-193.

[4] **ნ. ბერძენიშვილი**, საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, წიგნ. **ნ. ბერძენიშვილი** საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 293; **მ. დუმბაძე,** დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 151.

[5] **ბ. ხორავა,** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 170; **ბ. ხორავა,** დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 57.

[6] **ბ. ხორავა,** დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 57.

ოდიშის სამთავროს მიერ რუსეთთან გაფორმებულმა მფარველობის ხელშეკრულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებაზე. ოდიშისა და ლეჩხუმის გავლენიანი წრეები, რომლებიც აქამდე იმერეთის მეფეს უჭერდნენ მხარს, დადიანის მხარეზე გადავიდნენ. ოდიშის მთავარს მიემხრო სოლომონ მეფის მიერ ლეჩხუმის მოურავად დადგენილი ბერი გელოვანიც. 1804 წელს უკვე მთელი ოდიში და ლეჩხუმი გრიგოლ დადიანის ხელში იყო.[1]

გრიგოლ დადიანის მიერ ხელმოწერილი „სათხოვარი პუნქტები" 1804 წლის 4 ივლისს რუსეთის იმპერატორმა საგანგებო სიგელით დაამტკიცა. ამ აქტით ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო ავტონომიის უფლებით რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომლობაში შევიდა.[2] ამრიგად, რუსეთის ხელისუფლებამ ისარგებლა ოდიშ-იმერეთს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით და ადვილად ჩაიგდო ხელში ოდიშის სამთავრო, რამაც შემდეგ მთელი დასავლეთ საქართველოს დაპყრობა გაუადვილა. ეს იყო სოლომონ II-ის მიერ ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ მიმართული არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგი.[3] იმავდროულად, იმპერატორმა სოლომონ II-ის სათხოვარი პუნქტებიც დაამტკიცა და იმერეთის მეფე რუსეთის ქვეშევრდომად გამოცხადდა.

ამდენად, ოდიშის სამთავრო და იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია შეეცადა იმერეთის მეფე სოლომონ II და ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი შეერიგებინა. 1804 წლის ივლისში რუსმა მოხელემ, ნამდვილმა სახელმწიფო მრჩეველმა, გენერალმა პეტრე ლიტვინოვმა (1760-1834) სოლომონ II გრიგოლ დადიანთან შეხვედრაზე დაითანხმა. ლიტვინოვის ჩანაფიქრით დადიანისა და მეფის შეხვედრა ოდიშისა და იმერეთის საზღვარზე უნდა გამართულიყო. ორივე დათანხმდა ამ წინადადებას, მაგრამ სოლომონ მეფემ თავისი პირობა წამოაყენა. იგი წინააღმდეგი იყო შეხვედრა მდ. ცხენისწყლის ნაპირას მდებარე სოფელ ხუნწში შემდგარიყო, რადგან ეს სოფელი ოდიშის მთავარს ეკუთვნოდა, იგი სთავაზობდა შეხვედრა სოფელ საჭილაოში გამართულიყო, რომელიც ცხენისწყლის ორივე ნაპირზე მდებარეობდა და მეფეს ეკუთვნოდა. გრიგოლ დადიანისა და სოლომონ II-ის მოლაპარაკება 1804 წლის 20 ივლისს შედგა, მაგრამ ოდიშის მთავრისა და იმერეთის მეფეს შორის წინააღმდეგობები ვერ გადაწყდა.[4]

ოდიშის სამთავროს სახით რუსეთის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი დასაყრდენი გაიჩინა დასავლეთ საქართველოში და დადიანის გაძლიერებას ყოველმხრივ ცდილობდა. 1804 წლის მაისში პავლე ციციანოვმა გრიგოლ დადიანს რუსეთის ჯარის ერთი ასეული გამოუგზავნა, რომელიც ოდიშის მთავარმა ხობისწყლის შესართავთან, ყულევში დააბანაკა.[5] ამ ასეულის ერთ-ერთი ამოცანა იყო სამეგრელოში მიეღო რუსეთის ჯარის ნაწილი, რომელიც ყირიმიდან უნდა ჩამოსულიყო. 1804 წლის ოქტომბრის დასაწყისში მდ. ხობისწყლის შესართავს ორი რუსული გემი „ისიდორ" და „მიხაილ" მოადგა. საიდანაც ბელევის მუშკეტერთა პოლკი გადმოსხდა, რომელსაც გენერალი იონა რიკჰოფი მეთაურობდა. ჯარის ნაწილი მთავარმა სოფელ ყულევში დააბანაკა, სადაც რუსებმა სიმაგრე რედუტ-კალე ააგეს. ეს იყო რუსების მიერ დაკავებული პირველი პუნქტი ოდიშში და, საერთოდ, საქართველოს შავიზღვისპირეთში.[6] რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი პოლკოვნიკ ტარასოვის მეთაურობით სოფელ ხუნწში დაბინავდა, ხოლო მეორე ნაწილი — ხონში.[7] მათ უშუალო მოვალეობას ყულევიდან სამხედრო ტვირთის აღმოსავლეთ საქართველოში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა შეადგენდა. XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსები დასავლეთ საქართველოში მკვიდრდებოდნენ, იმერეთ-სამეგრელოს საზღვარზე მდებარე სოფელი ხუნწი მათთვის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. გრიგოლ დადიანი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ პროცესებს. როცა ყველაფერი მოაგვარა, მთავარი ლეჩხუმში ჩავიდა, სადაც იმავე წლის 23 ოქტომბერს გარდაიცვალა. იგი ცაგერის

---

[1] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 193.

[2] **ბ. ხორავა,** დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 57.

[3] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 170.

[4] **ვ. გურული,** საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. I, თბ., 2017, გვ. 196.

[5] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 193.

[6] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 194; **მ. დუმბაძე,** დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 144-156.

[7] Акты собранные Кавказской Археографической Комиссией под ред. Ад. Берже, т. II, Тифлис, 1868, გვ. 486; **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 194.

ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს.[1]

XIX საუკუნის დასაწყისიდან, ოდიშის სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომლობაში შესვლის შემდეგ, სამთავროს სახელად თანდათან სამეგრელო მკვიდრდება. რაც შეეხება დადიანთა სამთავრო სახლს. როგორც წესი, XIX საუკუნემდე დადიანად იწოდებოდა მხოლოდ ის, ვინც ოდიშის მთავრად იჯდა, ხოლო მთავრის შვილებსა და ძმებს „დადიანის ძეს“, „დადიანის ძე ბატონიშვილს“ ეძახდნენ, მათ შვილებს კი, „დადიანის ძის ძეს“, ან, უბრალოდ, „ბატონიშვილს“. XIX საუკუნის დამდეგიდან ეს წესი თანდათან ირღვევა და სამთავრო სახლის შთამომავალი ყველა დადიანად იწოდება.[2] ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისიდან, სამეგრელოს მთავრის ტიტული „დადიანი“ საგვარეულო სახელად იქცა.

ოდიშის სამთავროში სახელმწიფო (საკანცელარიო), საეკლესიო და სამწერლობო ენა ქართული იყო. დადიანების სამთავრო კარზე ყველა საბუთი და დოკუმენტი ქართულ ენაზე დგებოდა, ამ მხარეში აგებული ეკლესია-მონასტრები ქართული წარწერებითაა შემკული.

ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის დის მარიამ დედოფლის დაკვეთით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება“, რომელიც მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ სახელითაა ცნობილი. დადიანთა სამთავრო კარზე დამუშავდა ქართული მწერლობის ძეგლი „რუსუდანიანი“. XVII საუკუნის I ნახევარში ოდიშში მოღვაწეობდა კახეთის სამეფოდან გადმოხვეწილი პოეტი, მწიგნობარი ბარძიმ ვაჩნაძე. მას გაულექსავს „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული ვერსია „უთრუთიან-საამიანი“, რომელიც მეტწილად „საამიანის“ სახელით არის ცნობილი. პოემაში სიუჟეტური დეტალები ზუსტად არის დაცული და მხატვრულადაც გამართულია. მის ლექსს რუსთველის გავლენა ეტყობა. იმავე ხანებში ოდიშში ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა მამუკა თავაქალაშვილი, რომელმაც 1646 წელს გადაწერა და დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“. მის მიერ გადაწერილ „ვეფხისტყაოსანში“ ილუსტრაციების გარდა, წარმოდგენილია დამკვეთის — ლევან II დადიანის, პოემის ავტორის რუსთველისა და თვით მომხატველის სურათები. 1647 წელს მასვე გადაუწერია „უთრუთიან-საამიანის“ პროზაული ვერსია, გაულექსავს „ზააქიანის“ პროზაული ტექსტი, რისთვისაც გამოუყენებია „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული თარგმანი.[3]

ოდიშის მთავრები პოეტური ნიჭითაც იყვნენ დაჯილდოებულნი. კაცია II დადიანის მიერ აგებულ სალხინოს კარის ეკლესიაში ერთ-ერთ სვეტზე ამოკვეთილია ჩახრუხაულით დაწყობილი წარწერა, რომელიც 1782 წლით თარიღდება: „ჰოი ქრისტეს დედავ,/ მცირე მწვლილს ვბედავ,/ შენ სახლად იძღვენ ეს ეკლესია!/ შენ მიერს შენდა/ გძღვნობ ვით შეგშვენდა,/ ჩემზედ მხედველ ყავ ჩემო მესია?/ მე დადიანმან/ შენმან მმოსავმან/ კაციამ გიგე სახლი ესია./ და მეუღლით და ძით/ მნათობთა მბაძით/ მრჩობლ სუფევა გვეც უმჯობესია!“.[4]

XVIII საუკუნეში ოდიშში მოღვაწეობდა ანტონ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი (1730-1815), საეკლესიო მოღვაწე, მჭევრმეტყველი, მწიგნობარი. იგი ოდიშის მთავრის ოტია დადიანის (1728-1758) ვაჟი იყო. აღიზარდა სამთავრო კარზე, ხოლო უმაღლესი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განათლება თბილისსა და თელავში მიიღო. ძმის, კაცია II დადიანის ბრძანებით ფილიპე ყაითმაზაშვილთან ერთად სომხურიდან უთარგმნია ანტონი კოვიდი ლევმოაკელის თხზულება „ლოღიკა“; მასვე გადმოუკეთებია სომხურიდან „წიგნი ჭეშმარიტებითისა ღმრთისმეტყუელებისა“. იგი მეტად ღვთისნიერი და ასკეტური სულის ადამიანი ყოფილა, გული შესტკიოდა თავის სამწყსოზე და ცდილობდა აღმოეფხვრა მასში სხვადასხვა მანკიერებანი. უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში და საეკლესიო წრეებში. უპირველეს ყოვლისა, ცნობილია, როგორც გამოჩენილი მქადაგე-

---

[1] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 193; **ე. თაყაიშვილი**, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, *კრებ. ,,დაბრუნება“, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა*, ტ. II, თბ., 1991, გვ. 66-67.

[2] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., III, გვ. 102-103.

[3] **კ. კეკელიძე**, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958; ვეფხისტყაოსნის დასურათება. მინიატურები შესრულებული XVI-XVIII საუკუნეებში, თბ., 1966; **შ. ამირანაშვილი**, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971; ,,შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები, III, თბ., 1974; ქართული მწერლობა. ლექსიკონი-ცნობარი, I, თბ., 1984, გვ. 109, 116.

[4] **მაკოშვილი-ალექსიძე** [ა. ყიფშიძე], ოდიშსა და სამურზაყანოში, გაზ. ,,კოლხიდა“, 1911 წ. №117.

ბელი, მჭევრმეტყველი. ისტორიკოს ნიკო დადიანის შეფასებით, იგი იყო „ლამპარი მოძღვრებისა და მქადაგებელ ახალოქროპირ“. იგი ავტორია ზნეობრივ-დოგმატური ხასიათის ქადაგებებისა, რომლებიც ქართული მჭევრმეტყველების საგანძურში შედის.[1]

ოდიშში მოღვაწეობდა ისტორიკოსი ნიკო დადიანი (დაახლ. 1780-1834). იგი აქტიურად მონაწილეობდა სამთავროს მართვაში, იყო მსაჯულთუხუცესი, სარდალი. ფეოდალურ არისტოკრატიასა და ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ჩინებულად იცოდა საეკლესიო მწერლობა, ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკა. ფლობდა ქართულ, აფხაზურ, რუსულ, თურქულ ენებს. მას ეკუთვნის საისტორიო ნაშრომი „ქართველთ ცხოვრება“, სამეგრელოს სამთავროს მართვა-გამგეობის განწესება — „დასტურლამა“, რუსეთში მოგზაურობაზე დაწერილი თხზულება — „მიმოვლა ნიკოლაᲲ დადიანოვისა“, აგრეთვე „დღიური“ და რამდენიმე ლექსი.[2]

სოციალური ურთიერთობები. ოდიშის სამთავროში გაბატონებული ფენა ასეთი იერარქიით იყო წარმოდგენილი: მთავარი, ბატონიშვილები, თავადები და აზნაურები.[3]

მთავრები ყველაზე უფრო მსხვილი მემამულეები იყვნენ. უფლებრივად და ქონებრივად მათზე დაბლა იდგნენ ბატონიშვილები, სამთავრო სახლის წევრები. მათ თავიანთი მამულები ჰქონდათ და ქვეშევრდომი თავად-აზნაურები ჰყავდათ.

XVI-XVIII საუკუნეებში მიწათმოქმედი მოსახლეობა სხვადასხვა ფენად იყო დაყოფილი. ისინი ერთმანეთისაგან უფლებრივად განსხვავდებოდნენ. ოდიშის სამთავროში გლეხთა შემდეგი კატეგორიები არსებობდა: *მოჯალაბეები*, *მებეგრეები*, *მსახურები*, *აზატები, ხიზნები.*

მოჯალაბე (*დოლმახორე*) XVII საუკუნიდან დასტურდება. ის მოკლებული იყო საკუთრებას, საკუთარ მეურნეობას, მთელი თავისი ოჯახით ბატონის სახლში ან მის ეზო-მიდამოში ცხოვრობდა და ყოველგვარ საოჯახო საქმეს ასრულებდა. მის მოვალეობაში შედიოდა ბატონის მიწის დამუშავება, მარცვლეულის თესვა, გამარგვლა, მომკა; ჯალაბის, ანუ ბატონის ოჯახისა და კარ-მიდამოს მოვლა და შინამოსამსახურეობა; ასრულებდა ყველაზე დამამცირებელ სამუშაოს (ჭურჭლის რეცხვა, ღომის ცეხვა, პირუტყვის მოვლა). ვალდებული იყო ერთი ქალიშვილი ბატონისთვის მიეცა შინამოსამსახურედ (მოახლე). მოჯალაბე გლეხის ქალიშვილს ბატონის ნებართვის გარეშე გათხოვების უფლება არ ჰქონდა. მას მხოლოდ მოჯალაბეზე გათხოვება შეეძლო, თუ არადა გაუთხოვარი რჩებოდა. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, მებატონეები მოახლეებს თავიანთ ქალიშვილებს მზითევში ატანდნენ. მებატონეს შეეძლო მოჯალაბე გლეხი ცოლშვილით გაეყიდა, გაეჩუქებინა, მზითევში მიეცა და სხვ.[4]

მებეგრე (*მოინალე*), ოდიშის სამთავროში გლეხების ძირითად მასას შეადგენდა. მისი მთავარი მოვალეობა ბეგარის გამოღება და მუშაობა იყო. ბეგარა სამსახურებრივ მოვალეობას ეწოდებოდა. ცხოვრობდა საბატონო მიწაზე, ჰქონდა სახლ-კარი, ჰყავდა მუშა-პირუტყვი და გააჩნდა სამუშაო ინვენტარი. თავისი ინვენტარით და გამწევი ძალით მუშაობდა ბატონის მამულში. ბატონს აძლევდა ერთ გოგოს ან ბიჭს, რომელსაც ფარეში (შინამოსამსახურე) ეწოდებოდა და სამუდამოდ ბატონის სასახლეში რჩებოდა. იგი ბატონის ეზოში ან მამულში ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოს — ხნავდა, თესავდა, მარგლავდა, აბინავებდა მოსავალს; ამზადებდა შეშას, აძოვებდა პირუტყვს და სხვ. ასრულებდა მზარეულის, მეჯინიბის, ხაბაზის მოვალეო-

---

[1] **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 42-43.

[2] **ი. მეუნარგია**, ქართველი მწერლები, I, *სოლომონ ცაიშვილის რედაქციით,* თბ., 1957; **გ. ანჩაბაძე**, ისტორიკოსი ნიკო დადიანი (დაბადების 200 წლისთავი), *„მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №3, 1980.

[3] **კ. ბოროზდინი**, **რ. ერისთავი**, **მურიე**, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 112.

[4] **ა. მიქავა**, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალური კატეგორიები (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), *„მაცნე“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო*, №4, თბ., 1966, გვ. 166; **გ. ჯამბურია**, სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს., *სინ*, ტ. IV, გვ. 198; **მ. სანაძე**, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 102-108.

ბას. მებეგრე გლეხი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მკვიდრი — გლეხი, რომელიც მემკვიდრეობით ფლობდა ბატონისაგან პირობით საკუთრებაში მიცემულ მიწას.[1]

მსახური — ყმა გლეხი, აზნაურსა და გლეხს შორის შუალედური მდგომარეობა ეკავა. ჰქონდა სახლ-კარი, სახნავ-სათესი მიწა, ბაღ-ბოსტანი, სამუშაო ინვენტარი და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. ბატონის კარზე საპატიო სამსახურს ასრულებდა. მის მოვალეობას შეადგენდა: ბატონის სასახლეში მორიგეობითი სამსახური, ლაშქრობით სამსახური, ბატონის ამალაში ყოფნა და ნადობა. მისთვის დამახასიათებელია მემკვიდრეობითი წოდებრივი მსახურება. ჰქონდა ყმის ყოლის უფლება. ის ბატონს არ აძლევდა მოახლეს, ფარეშს, შინაყმას. საკუთარი ინვენტარით და გამწევი ძალით ამუშავებდა ბატონის მიწას და აბინავებდა მოსავალს, რასაც „ნადობა“ (მეგრულად *ნოდალა*) ეწოდებოდა. ბატონის სახლში ასრულებდა ხელოსნის, მზარეულის, ხაბაზის, მეჯინიბის და სხვა მოვალეობას. მებატონეს უხდიდა შემდეგი სახის გადასახადს — ცხენის ჭმევა, სააღდგომო, ოქირსეპიჩური, საუნადო, საუდიერო. დანარჩენი ბეგარა-გადასახადისაგან თავისუფალი იყო.[2]

აზატი („აზატი“ სპარს. „თავისუფალი“) საბატონო ბეგარა-გადასახადებისაგან ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფალი იყო, მაგრამ პირადად მებატონის დამოკიდებულებაში რჩებოდა. თავისუფალი იყო მძიმე, დამამცირებელი სამუშაოს შესრულებისაგან; ბატონს არ აძლევდა მოჯალაბეს, ფარეშს (შინაყმას), არ ამუშავებდა ბატონის ყანას, მაგრამ განსაზღვრული რაოდენობის გადასახადს უხდიდა მებატონეს, ასევე მის სახლში ასრულებდა გარკვეულ სამსახურს: მესტუმრეობა, მერიქიფეობა, ხელოსნობა და სხვ. ბატონს ახლდა ლაშქრობასა და ნადირობაში, სადაც ცხენით მიყვებოდა. ქვემო სამეგრელოში ყოველ წელიწადს ბატონს აძლევდა 1-2 ქილა ღომს, 1-2 კოკა ღვინოს და ერთ ძროხას. ვალდებული იყო გამოეკვება ბატონის ცხენები. ზემო სამეგრელოში — გათავისუფლებული იყო ღომისა და ღვინის გადასახადისაგან, მაგრამ იხდიდა ოდიდპიჩურს (დიდმარხვის გადასახადს), ქრისტეშობის მარხვის დაწყების წინ ვალდებული იყო გადაეხადა ერთი მჭადი, ერთი კოთხო ლობიო, ხახვი, ჭარხალი და სხვა ბოსტნეული.[3]

მებეგრე ყოველწლიურად იხდიდა თავბეგარას (ორი ღორი, 6-15 ჩაფი ღვინო, 5-10 ბათმანი მარცვლეული — ღომი, სიმინდი; 5-8 ქათამს, 2-3 მან ფულს და სხვ.). სამეგრელოში მებეგრე გლეხები იხდიდნენ დამატებით გადასახადებსაც, რომლებიც სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა მოცულობისა იყო, მათ შორის: *ოჩამური* (გოჭკომური, სამასპინძლო), ბატონი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ცოლშვილით ეწვეოდა თავის გლეხს, რომელიც ვალდებული იყო საჭმელ-სასმელი მიერთმია; *საქორწილო* — ბატონის ოჯახის რომელიმე წევრის გათხოვების ან დაქორწინების შემთხვევაში უნდა გადაეხადა ერთი ძროხა ან 10-15 მანეთი; *სამარხი* — ბატონის ან მისი ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გლეხი 1-5 მან ფულს იხდიდა; *სახური* — ბატონის სახლის ან სხვა ნაგებობის ასაშენებელი გადასახადი, ნატურით 4-8 კოკა ღვინო და ერთი ღორი, ხოლო ფულად 8-10 მანეთი; *საური* — საერობო გადასახადი 10 შაურის ოდენობით, რომელსაც ყოველწლიურად მთავრის სასარგებლოდ იხდიდნენ, მაგრამ მას თავადებიც და აზნაურებიც ღებულობდნენ; *ოქირსეპიჩური* (ქრისტეშობის მარხვა) — სამარხვო სანოვაგე: ერთი პური და ერთი მჭადი, მეოთხედი ქილა ლობიო, მხალი და ჭარხალი; *საყველიერო* — თითოეულ კომლს ყველიერში ბატონისთვის უნდა მიერთმია 30 ნაჭერი ყველი, 30-40 კვერცხი და თევზეული; *სააღდგომო* — იმავე რაოდენობის ყველი, კვერცხი და ერთი ქათამი; *ძღვენი* — შობას, ახალწელიწადს და აღდგომას გლეხს ბატონისთვის უნდა მიერთმია ბატკანი და ქათამი, პური, კვერცხი და ერბო; *სამასპინძლო* — ბატონისა და მისი ამალის გამასპინძლება; *გასამყრელო* —

---

[1] **ა. მიქავა**, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალური კატეგორიები (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), გვ. 168-170; **გ. ჯამბურია**, სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს., გვ. 193-195; **მ. სანაძე**, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 147-152.

[2] **ა. მიქავა**, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალური კატეგორიები (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), გვ. 171-172; **მ. სანაძე**, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 19-29, 42-87.

[3] **ა. მიქავა**, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალური კატეგორიები (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), გვ. 174-175; **მ. სანაძე**, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში, გვ. 119-146.

კომლის გაყრისას ბატონს ეძლეოდა ერთი ძროხა და მთელი მოძრავი ქონების 1/20. კომლიდან გამოყოფილი გლეხი თუ ამ გადასახადს ვერ გადაიხდიდა, ბატონი მას გაყრის უფლებას არ მისცემდა; *ცხენის ჭმევა* — ბატონის ცხენის ჭმევა და მეჯინიბის გამოკვება-შენახვა ზამთარში; *საბოჭი ქათამი* — ყოველ კომლს ბატონისთვის უნდა მიერთმია ერთი ქათამი; *საჩექმე* — როდესაც ყმა გლეხის ქალიშვილი თხოვდებოდა, მისი პატრონი ბატონის სასარგებლოდ იხდიდა 10 მანეთს, ხოლო როდესაც მებეგრე გლეხის ვაჟი ცოლს ითხოვდა — 6 აბაზს; *სამეჯინიბო* — მთავრის ან თავადის მეჯინიბეთა შესანახი გადასახადი; *საუნადო* — თითოეული კომლი მებეგრე გლეხი მოვალე იყო წელიწადში ერთხელ ბატონს დახმარებოდა თესვაში, გაემარგლა ყანა, მოემკა და დაებინავებინა მოსავალი. ვინც ამ ვალდებულებას არ შეასრულებდა, წლიურად იხდიდა 8-10 ქილა ღომს ან ყოველდღიურად 10-80 შაურს; *საციხო* — მთავრის ციხის მცველების შესანახად ყოველი კომლი იხდიდა 1 ქილა ღომს, 1 კოკა ღვინოს და 1 ქათამს ყოველწლიურად; *საქვრივო* — გარდაცვლილი მებეგრე გლეხის ქვრივის გათხოვების შემთხვევაში, მისი ქმარი იხდიდა 1 ხარს ან 40-50 მანეთს; *სამოურავო* — მოურავისა და მისი აპარატის შესანახი გადასახადი; *სამაჭრო* — ბატონისთვის ყოველ შემოდგომაზე 1-3 კოკა ღვინის მირთმევა; *ობატკური* — საბატკნე გადასახადი, ერთი ან ორი ციკანი; *სააბრეშუმე* — აბრეშუმის პარკის ახალი მოსავლის დროს თითოეული კომლი იხდიდა 1-4 ლანკა აბრეშუმს; *საკურძუალო* — მთავრის და თავადების მეძებარი ძაღლების მძღოლთა შესანახად ყოველწლიურად თითოეული კომლი იხდიდა ნახევარ ქილა ღომს და ერთ კოკა ღვინოს; *საუდიერო* — შეადგენდა ერთ ღორს, 10-15 კოკა ღვინოს, 1-5 ქილა ღომს და ერთ ქათამს. ეს გადასახადი შემოიღო დავით დადიანმა და საერთოდ დაწესებული ყოველწლიური გამოსაღები იყო; მებეგრე გლეხებს ევალებოდათ აგრეთვე ხიდ-ბოგირებისა და გზების შეკეთება, რუს გამოყვანა და სხვ.[1]

ამდენად, მებეგრე გლეხები ყველაზე მეტ ბეგარა-გადასახადს იხდიდნენ. მაგალითად, სოფელ ჭალადიდში მცხოვრები მებეგრე გლეხები გიორგიტა ჭაჭუა, დავითიკა ჭაჭუა, სვიმონიკა, მიქელა და დავითა დამენიები ყოველწლიურად იხდიდნენ 6-6 მანეთს, ერთ ღორს, 10 ქილა ღომს, 5-10 კოკა ღვინოს, ერთ ქათამს; წელიწადში ერთხელ ან ორჯერ უმასპინძლდებოდნენ თავიანთ ბატონს და აძლევდნენ საყველიეროს, ოქირსეპიჩურს, სახუროს, საურს, საუდიეროს და სხვა გადასახადებს.[2]

საქართველოში ბატონყმობას მკაცრი ფორმები დიდხანს არ მიუღია. აქ დიდხანს არსებობდა ე. წ. „პატრონყმური“ ურთიერთობა, რომელიც ძირითადად ვასალიტეტის ხასიათს ატარებდა. ბატონყმობის ჩამოყალიბების შემდეგაც ყმა-გლეხს უფლება ჰქონდა ერთი მებატონიდან მეორესთან თავისუფლად გადასულიყო, მაგრამ მემამულის მიწაზე ყმის მიჯაჭვულობა სულ უფრო ძლიერდებოდა. ბატონყმური ექსპლუატაციის გაძლიერება გლეხთა აყრა-გადასახლებას იწვევდა. გლეხები ცდილობდნენ მძიმე ფეოდალურ უღელს გაქცეოდნენ და სხვა მემამულეს შეეხიზნებოდნენ. ასეთ გლეხს *ხიზანი* ერქვა. იგი ბატონის მიწაზე იჯდა და ღალას უხდიდა. ხიზანი გლეხები დასავლეთ საქართველოში XVI-XVII საუკუნეებიდან გვხვდება. ვახტანგ VI-ის სამართლით გაქცეული ყმის მოძებნა და დაბრუნება მებატონეს 30 წლის განმავლობაში შეეძლო.[3]

გლეხი საგლეხო მამულს — *ფუძეს* იყო მიმაგრებული. მეურნეობის განვითარების საჭიროება, თვით თავადაზნაურობის ინტერესი მოითხოვდა, რომ გლეხი მკვიდრად მჯდარიყო მიწაზე. მებატონის მიწა გლეხს მუდმივ მფლობელობაში, მემკვიდრეობით, წასვლისა და გაყიდვის უფლების გარეშე ჰქონდა. ქართული ფეოდალური კანონი გლეხის მიწიდან აყრას, ყმის გადამეტებით დაბეგვრას, გლეხის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე და უმიწოდ გაყიდვას კრძალავდა. გლეხის გაყიდვა-გასხვისება მის მთლიან სამეურნეო ერთეულთან — მამულთან ერთად იყო შესაძლებელი. ამასთანავე, ფეოდალური ვალდებულებები ყველა გლეხს ერთად როდი აწვა. საყო-

---

[1] **ა. მიქავა**, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალური კატეგორიები, გვ. 168-170.

[2] **ა. მიქავა**, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალური კატეგორიები, გვ. 170.

[3] **გ. ჯამბურია**, სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა საქართველოში XVI-XVII სს., გვ. 198; **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., 1989, გვ. 61.

ველთაო მხოლოდ ბეგარა და ღალა იყო, სხვა გადასახადები კი სხვადასხვა კატეგორიის გლეხებზე ნაწილდებოდა.[1]

საცხოვრებელი, ისევე როგორც ადრე, იყო ფაცხა, ჯარგვალი, პიტაფიცარა სახლი. XVIII საუკუნიდან შემოდის ოდა-სახლი. ეს უკანასკნელი დახერხილი გრძელი ფიცრებით ნაგები ხის იატაკ-ჭერიანი ნაგებობაა. მასში ბოყვები კარის ადგილებში და მთლიანი ფართის დანაწევრებისთვისაა გამოყენებული. ოდა-სახლი ძირითადად სამოთახიანი იყო. ერთი მისაღებ ოთახად იყო განკუთვნილი, დანარჩენი კი საძინებლის ფუნქციას ასრულებდა. ოთახების გადატიხვრის წერტილში ბუხარი იყო აგებული, რომელსაც სამივე ოთახისკენ ჰქონდა ცეცხლის დასანთები. ოდა-სახლი ნესტიან კლიმატს რომ არ დაეზიანებინა, ხის ბოძებზე იყო შემდგარი. მას ოთხქანობიანი სახურავი ჰქონდა. ფასადის მხარეს — განიერი აივანი, რამდენიმე სვეტითა და სვეტებს შორის ორნამენტირებული დეკორით დამშვენებული. ჰქონდა ფანჯრებიც. გადასახურავად გამოიყენებოდა ისლი, ყავარი ან კრამიტი.[2] ოდა-სახლის თავდაპირველი სახელწოდება „საღდარი“ იყო, რაც შეეხება „ოდა“-ს, თურქული სიტყვაა და ოთახს ნიშნავს. ამ სიტყვის მთლიანად ნაგებობისათვის დარქმევას გარკვეული კულტურულ-ისტორიული საფუძველი ჰქონდა. კერძოდ ის, რომ იგი მოგვიანებით შექმნილი ნაგებობის სახეა და ამ პროცესში ოსმალეთთან ურთიერთობამ თავისი წვლილი შეიტანა. დასავლეთ საქართველოში ამ ტერმინის დამკვიდრება ლაზი (ჭანი) ხითხუროების მოღვაწეობის შედეგი იყო.[3] ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ტერმინი „ოდა“ საქართველოში სწორედ XVIII საუკუნეში უნდა იყოს შემოსული. ამ ტიპის ნაგებობის გაჩენაც ამ პერიოდში არის სავარაუდებელი.[4]

ოდიშის სამთავროს საეკლესიო იერარქია. ოდიშის სამთავროში, მისი ჩამოყალიბების დროს, XVI საუკუნეში, ხუთი საეპისკოპოსო იყო: ჭყონდიდის, ცაიშის, ბედიის, მოქვის და დრანდის. XVII საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა წალენჯიხის საეპისკოპოსო. ოდიშის სამთავროს საეპისკოპოსოები აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოში შედიოდა.

ჭყონდიდის საეპისკოპოსო მოიცავდა ტერიტორიას მდ. ცხენისწყლიდან მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირამდე და მთიდან მდ. რიონამდე; *წალენჯიხის საეპისკოპოსო* — მდ. ჭანისწყლიდან მდ. ენგურამდე და ეგრისის ქედიდან ურთას მთამდე; *ცაიშის საეპისკოპოსო* — ურთის მთიდან ზღვამდე და დადისწყლიდან ტეხურამდე; *ბედიის საეპისკოპოსო* — მდ. ერისწყალსა და მდ. მოქვს შორის ტერიტორიას; *მოქვის საეპისკოპოსო* — მდ. მოქვსა და მდ. კოდორს შორის ტერიტორიას; *დრანდის საეპისკოპოსო* — კოდორის დასავლეთით ანაკოფიამდე ტერიტორიას. იმის გამო, რომ XVII საუკუნიდან ლეჩხუმი ოდიშის სამთავროში შედიოდა, შესაბამისად ცაგერელიც ოდიშის საეკლესიო იერარქიაში შედიოდა. *ცაგერის საეპისკოპოსო*, რომელიც X-XI სს. მიჯნაზე შეიქმნა, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს მოიცავდა.[5]

საეპისკოპოსოს ცენტრები შედგებოდა საეპისკოპოსო ეკლესიის, მონასტრის და სასახლისაგან.[6] საეკლესიო იერარქიაში ეპისკოპოსების შემდეგ მონასტრების წინამძღვრები იდგნენ. მონასტრები იყო საკათალიკოსო და საეპისკოპოსო. მონასტრები ყველა საეპისკოპოსო კათედრასთან არსებობდა. საკათალიკოსო მონასტრები იყო: ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების,

---

[1] **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 17.

[2] **ნ. თოფურია**, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 140-141; **დ. სართანია**, ოდიშის (სამეგრელოს) ხალხური ხუროთმოძღვრება, გვ. 151-153; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გვ. 260.

[3] **ი. ადამია**, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, თბ., 1968; **ნ. თოფურია**, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი სამეგრელოში, გვ. 140-141; **დ. სართანია**, ოდიშის (სამეგრელოს) ხალხური ხუროთმოძღვრება, გვ. 150-151; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გვ. 260.

[4] **ივ. ჯავახიშვილი**, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 19.

[5] **თ. ბერაძე**, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, გვ. 80; **გ. კალანდია**, ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბ., 2004; **ბ. ხორავა**, ცაგერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, *კრებ. ქართულ-თურქული კულტურული პარალელები*, I, თბ., 2009, გვ. 41-53; **პ. გაბისონია**, წალენჯიხის მონასტრის ისტორიიდან, გვ. 32.

[6] **თ. ბერაძე**, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, წიგნ. **თ. ბერაძე**, შრომების კრებული სამ ტომად, ტ. I, გვ. 2018, გვ. 79.

ეკის იოანე ნათლისმცემლის, ობუჯის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებთან. აფხაზეთის კათალიკოსს სასახლეები ჰქონდა სოფლებში — სუბეიშში, საქუჩულორიოში, წყარიძგაში, ხაუჟელში, ხორირში, ხორგაში; ხიბულაში კათალიკოსს ორი სასახლე ჰქონდა.[1] ჭყონდიდელს ეკუთვნოდა ტყვირის მონასტერი.[2] მონასტრები იყო ქიაჩში — წმ. მიქაელის (ჯგერდაში), ჭალაში — ჯვარი პატიოსნის და წმ. გიორგის სახელობის, წალენჯიხაში, სქურში და ა. შ. სასახლეები ჰქონდათ ეპისკოპოსებსაც. ცაიშელს სასახლეები ჰქონდა ცაიშში, დარჩელში, ჭალაში, ჩოხათში, ხეთაში, წყარიძგაში.[3] საეპისკოპოსოები ვრცელ მამულებს ფლობდნენ. გარდა სამრევლო საყდრებისა, ყველა თავადს ჰქონდა კარის ეკლესია და ჰყავდა კარის მღვდელი. ყოველ სამრევლო საყდარში იყო დიდი სპილენძის ბუკი (ოყე), რომლითაც აუცილებლობის შემთხვევაში ხალხს მოუხმობდნენ.[4]

XVII საუკუნის მიწურულს ოდიშის სამთავროში აფხაზთა ექსპანსიისა და მისი ჩრდილოდასავლეთი ნაწილის მიტაცების გამო მოქვისა და დრანდის საეპისკოპოსოები გაუქმდა.[5] XVIII ს. 70-იან წლებში იმავე მიზეზით ბედიის საეპისკოპოსოც გაუქმდა.[6] ამის შემდეგ ოდიშის სამთავროში დარჩა ჭყონდიდის, ცაიშისა და ცაგერის ეპარქიები. დრანდის, მოქვისა და ბედიის ეპარქიების გაუქმების შემდეგ, აფხაზეთი და სამურზაყანო ეკლესიურად ოდიშის სამთავროს ცაიშის ეპარქიაში შედიოდა. მიტროპოლიტი გრიგოლ ცაიშელი (1777-1823) აღნიშნავდა: „მახლობელობისათვის სამურზაყანო აფხაზთსაც ვმწყსიდი და ვიღწვოდი, რათა სარწმუნოება განმრავლებით მრავალთა შორის მტკიცედ გებულ იყო“.[7] XVII საუკუნის მეორე ნახევარში წალენჯიხის საეპისკოპოსოც გაუქმდა.[8]

ადგილობრივი მმართველობა. ოდიშის სამთავროში ადგილობრივი მმართველობა მთავრის მოურავების მეშვეობით ხორციელდებოდა.[9] სამთავრო დაყოფილი იყო 12 სამოურავოდ, რომელთა სათავეში ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებებით აღჭურვილი მოურავები იდგნენ.[10] XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დასაწყისში არსებობდა ჭაქვინჯის, საჭილაოს, სალიპარტიანოს, ჭალადიდის, სენაკის, ყულევის, ცაიშის, სუჯუნის და სხვა სამოურავოები. მოურავებად, ჩვეულებრივ, თავადები ან აზნაურები ინიშნებოდნენ. საჭილაოს მოურავები კორძაიები იყვნენ, სალიპარტიანოსი — დგებუაძეები, ჭალადიდის — მიქაძეები.[11] ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა საციხისთავოები. სამოურავოები საციხისთავოებად იყოფოდა. თითოეულ ციხეს თავისი „შემავალი ქვეყანა“ გააჩნდა. გამორჩეულ (სახასო) ციხეებს მის ირგვლივ მდებარე სოფლები ემორჩილებოდა.[12] სენაკის სამოურავოში შემავალ გორდის საციხისთავოში ექვსი სოფელი შედიოდა: გორდი, ნოღა, კინჩხა, რონდიში, ღვედი, დიდღვაბუნა; საჭილაოს საციხისთავოში 6 სოფელი — კეთილარი, ტყვირი, ილორი, ეკალი, ნაფაღური, სანავარდო, გუგუნაყათი.[13]

---

[1] **თ. ბერაძე**, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, გვ. 80.

[2] **თ. ბერაძე**, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, გვ. 80.

[3] **თ. ბერაძე**, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, გვ. 80.

[4] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებები, ტფ., 1934, გვ. 79.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 845; **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 112; **ბ. ხორავა**, მოქველ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, *კრებ. „საისტორიო ძიებანი“*, I, თბ., 1998, გვ. 53; **Б. Хорава**, Драндское епископство// *Вопросы гуманитарных наук*, №4, М., 2006, გვ. 22.

[6] **ბ. ხორავა**, ბედიის საეპისკოპოსო, „საისტორიო ძიებანი“, III, თბ., 2000, გვ. 40-41.

[7] **ა. ტუღუში,** ცაიშის საეპისკოპოსო (ისტორია, ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური სია, დოკუმენტები), ზუგდიდი, 2001, გვ. 97.

[8] **პ. გაბისონია**, წალენჯიხის მონასტრის ისტორიიდან, გვ. 33.

[9] **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, თბ., 2012, გვ. 29.

[10] **მ. ბროსე**, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში. *ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა ხათუნა წიკლაურმა*, თბ., 2011, გვ. 64; **ა. ტუღუში**, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, *წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი ოდიში*, გვ. 250.

[11] **ბ. კვარაცხელია**, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში, თბ., 2009, გვ. 118-120.

[12] **ზ. ცინცაძე**, ოდიშის სამთავროს გვიანი შუა საუკუნეების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, *კრებ. საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები*, VIII, თბ., გვ. 276.

[13] **ზ. ცინცაძე**, ოდიშის სამთავროს გვიანი შუა საუკუნეების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 277.

ოდიშის სამთავროში XVI-XVIII სს. სოფლები ამა თუ იმ საერო თუ საეკლესიო ფეოდალის (თავადი, აზნაური, ეპისკოპოსი, მონასტრის წინამძღვარი) რეზიდენციის — ციხესიმაგრის, ციხე-დარბაზის, სასახლის, ეკლესიის, — ირგვლივ ერთიანდებოდნენ. ამ ფეოდალურ-სამეურნეო ერთეულში შემავალი სოფლები მიმდგამ (მიმდგომ) სოფლებად იწოდებოდა. ჭაქვინჯის ციხის და „მისი შემავალი“ იყო: წალენჯიხა, ყულისკარი, ალერტკარი, სარაქონი, სობოგა, უჩაშონა, ხიბულა, ობუჯი.[1] სოფლებს, რომლებიც მთავარს, ბატონიშვილებს, თავად-აზნაურებს ან ეკლესიას ეკუთვნოდა, ასევე მოურავი ედგა სათავეში. სასოფლო თემი რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა.[2] მოურავების ხელქვეითები იყვნენ სოფლის მამასახლისები, რომელთაც სამეგრელოში ხელოსანი („ხელის“, თანამდებობის მქონე) ერქვა.[3]

ოდიშის სამთავროში სამართალწარმოებაში ადათით და მეფე-სჯულმდებელის ვახტანგ VI-ის (1703-1724) სამართლით ხელმძღვანელობდნენ.[4]

ოდიშის სამთავროს მეურნეობა XVI-XVIII სს. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის, გარეშე მტრების შემოსევებისა და შინაომების შედეგად ქვეყნის ეკონომიკა დაქვეითდა. ტყვის სყიდვისა და დროდადრო გავრცელებული ჟამიანობის გამო მცირდებოდა მოსახლეობა, იცლებოდა სოფლები, დაუმუშავებელი რჩებოდა მიწები.

XVI-XVIII საუკუნეებში ოდიშის სამთავროში მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იმერეთში, ანუ დასავლეთ საქართველოში „მარცვალნი ... ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად, გარნა ბრინჯ-ბამბას სთესენ იშვიათ და ეგრეთვე ხორბალსა და ქრთილსა, და ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით. და სხუათა მარცვალთა სიმრავლენი იმყოფიან, რამეთუ ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი, დასახლდების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბთასა და გარდაიხდის ბეგარასაცა“.[5] ევლია ჩელების ცნობით, ოდიშში სამოცდაათნაირი მოსავალი მოჰყავდათ. პურსა და ქერს ცოტას თესავდნენ, თუმცა ღომი ბევრი მოდიოდა.[6] საკუთრივ ოდიშის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად. ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული ადგილ ადგილს და სხუანი ხილნი მრავალნი. ვენახნი მაღლარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი. აქა არს ღვინო ზარდაგი, ფერისათვის ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა. აქ ჰყოფენ აბრეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისაგან. პირუტყუნი — ცხოვარნი მცირედ და სხუანი მრავლად, რამეთუ უვისთ ჯოგად, მროწლედ, და თხა, ცხოვარი და ღორი ერთ არვედ. რამეთუ არა უხმსთ მწყემსი, და მძოვარ არიან ზამთარ-ზაფხულს ბალახთა. ფრინველნი მრავალნი; ფუტკართაგან თაფლი და ცვილნი მრავალნი, ვინაითგან ტყეთა შინა მრავლად არიან. ნადირნი წურილნი და დიდნი ურიცხუნი, თვინიერ ქურციკისა და სანადირო მრავალნი და კეთილნი. თევზნი მთის კერძოდ კალმახნი მრავლად, ხოლო ვაკეთა სხუანი თევზნი და კირჩხიბნი ურიცხუნი. ზღუასა შინა იპყრობის ანდაკია და სხუანი ზღვის თევზნი“.[7]

ოდიშში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა *ღომი* იყო.[8] ღომი ერთწლოვანი მარცვლეული მცენარეა, რომელიც ერთ-ერთ მთავარ საკვებ კულტურას წარმოადგენდა. მისი დაფ-

---

[1] **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 56; **ბ. კვარაცხელია**, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში, გვ. 115-116.

[2] **ბ. კვარაცხელია**, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში, გვ. 113-122.

[3] **ა. ტუღუში**, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 250-251.

[4] **მ. ბროსე**, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გვ. 64.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 743-744.

[6] ევლია ჩელების ,,მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 333.

[7] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782-783.

[8] საქართველოს ისტორია, I, გვ. 265; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გვ. 262.

ქვილი მარცვლისაგან ამზადებდნენ სქლად მოხარშულ ფაფას, რომელსაც ასევე ღომს ეძახ-დნენ, იყენებდნენ ასევე მჭადის გამოსაცხობად.[1]

ფეტვნაირი კულტურებიდან, გარდა ღომისა, ითესებოდა ფეტვი, ქვრიმა, ბრინჯი, ურიში. ოდიშის სამთავროს სამეურნეო ყოფაში მარცვლეული კულტურებიდან მნიშვნელოვანი ადგილი *ფეტვს* ეკავა. მისი ფქვილისაგან აცხობდნენ მჭადს ან ხარშავდნენ პატარა კვერებს. *ქვრიმა* ფეტვნაირი პურეულია. მორფოლოგიურად ის ღომის მსგავსია. აკად. ნიკო კეცხოველის გამოკ-ვლევით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მას სხვადასხვა სახელს ეძახდნენ: „ქვრიმა ჭადი", „შავი ჭადი", „ჭადი", „ჭადის-ჭადი" და სხვ. ფეტვთან და ღომთან შედარებით, ქვრიმასაგან დამ-ზადებული ბურღული დაბალი ხარისხის იყო, მაგრამ მას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იყო გვალვაგამძლე, მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე, აგრეთვე ნიადაგისადმი ნაკლებად მომ-თხოვნი მცენარე. მის თესვა-მოყვანას, უმთავრესად მაღალმთიან ადგილებში მისდევდნენ. *ურიში* უძველესი ფეტვნაირი პურეულია. როგორც საკვები პურეული მეტად დაბალი ღირსები-სა იყო. მის დაფქვილ მარცვალს ხარშავდნენ ღომის მსგავსად ან მჭადად აცხობდნენ, მაგრამ მწარე გემო ჰქონდა. ურიშით ძირითადად ყმა გლეხები იკვებებოდნენ.[2] სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა *ბრინჯს*, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ზოგან ურწყავადაც ხარობდა.[3] ბრინჯი მოჰყავდათ რიონისპირა ჭაობიან ადგილებში; მთაში ითესებოდა მშრალი ბრინჯი, რომელსაც მორწყვა არ სჭირდებოდა.

მარცვლეული კულტურებიდან ოდიშში ითესებოდა აგრეთვე ხორბალი („პიტა ქობალი"), ქერი, ჭვავი; ითესებოდა უმთავრესად პურეულის უძველესი სახეები: იფქლი, ზანდური, მახა, ასლი, ხულუგო და სხვ.

ხორბლის ყველაზე უფრო გავრცელებული ჯიში ძველ საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, იფქლი იყო. *იფქლი* იძლეოდა უმაღლესი ხარისხის ფქვილს, რომელიც კარგი ცხობისუნარიანობით და გემოთი ხასიათდებოდა; *ზანდური* საქართველოში ერთ-ერთი უძვე-ლესი და ყველაზე გავრცელებული სახეობა იყო. ის გვალვა და ყინვაგამძლეა, ხარობს ყოველ-გვარ ნიადაგზე, თვით კირქვიანზეც; მისი ფქვილისაგან საუცხოო პური ცხვება, გემრიელი და არომატული, ამასთან დიდხანს, მთელი კვირის განმავლობაში რბილად ინახება. ამიტომ იყო, რომ ლაშქრობა-მგზავრობის დროს ძირითადად ზანდურის პური მიჰქონდათ. *მახა* საშემოდგო-მო ხორბალია. მისი ფქვილისაგან ცხვება თეთრი, გემრიელი, კარგი გემოსა და არომატის მქონე სურნელოვანი პური, რომელიც სირბილეს რამდენიმე დღის განმავლობაში ინარჩუნებს. *ასლის* მარცვალი გამოირჩევა სითეთრით. ფქვილიც განსაკუთრებული თეთრი გამოდის; ის მიღებული იყო მონასტრებში მარხვის დროს. გავრცელებული იყო ოდიშში.[4]

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „...ადამიანის საკვებ მცენარეთაგან, ხორბლეულის შემ-დგომ, მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა „ქრთილსა" და „ქერს", რომელთა საერთო ზოგად სახე-ლად ვახუშტი ბატონიშვილს „ქრთილნი" აქვს ნახმარი". სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში აღნიშნულია: „ქრთილი" – ქერის საშემოდგომო ნათესი, „ქერი" – ქერის საგაზაფხულო ნათესი.[5] *ქერი* უძველესი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. ოდიშში ითესებოდა მთასა და მთისწინეთში. ნაცხობი გემოთი ხორბლის ნაცხობს არ ჩამოუვარდება, მისგან აკეთებდნენ ფაფას, კვერებს; *ჭვავი* ითესებოდა ძირითადად მთასა და მთისწინეთში, იჭრებოდა ნამგლით. ჭვავის პური სპეცი-ფიკური არომატითა და გემური თვისებებით ხორბლის პურს ბევრად არ ჩამოუვარდება, ამას-

---

[1] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამინათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, წიგნ. პური ჩვენი არსობისა, თბ., 2016, გვ. 244, 258.

[2] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამინათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 261, 272, 276-278.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782; საქართველოს ისტორია, I, გვ. 266.

[4] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამინათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 203-217.

[5] **ს.-ს. ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 220, 233.

თან საკმაოდ ყუათიანია. მარცვლეულის მოსავლის ასაღებად გამოიყენებოდა შნაკვი (მეგრ. „შანკი“), ლეწავდნენ კევრით, მარცვალს წყლის წისქვილში ფქვავდნენ.[1]

XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში გავრცელდა სიმინდი, რომელმაც თანდათან *ღომი* ჩაანაცვლა, რადგან ის ნაკლებად ჭირვეული მცენარე იყო, უფრო ნაკლებ შრომას მოითხოვდა და მეტ მოსავალსაც იძლეოდა.[2]

მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი მებაღეობა-მეხილეობას, მებოსტნეობასა და მევენახეობა-მეღვინეობას ეკავა. ბუნებრივ-კლიმატური პირობები ხელს უწყობდა ყოველგვარი ხილისა და ბოსტნეულის მოყვანას.

სოფლებში მოსახლეობა გაფანტულად ცხოვრობდა — ორი, სამი, ათი, ოცი კომლი ერთად. ამის გამო ყოველ მოსახლეს საკმაოდ ვრცელი ეზო ჰქონდა, სადაც ბაღი და ბოსტანი იყო გაშენებული.[3] აქვე ჰქონდათ სახნავ-სათესი მიწები. მიწა ნაყოფიერი იყო, მას სახნისით ხნავდნენ და თოხით ამუშავებდნენ. ყოველ მოსახლეს ეზოში ხეხილი და ვაზი ჰქონდა გაშენებული. მთავრებს, თავადებს, ეკლესია-მონასტრებს დიდი და საუკეთესო ბაღები ჰქონდათ. ხეხილის ჯიშებიდან გავრცელებული იყო: ბროწეული, ვაშლი, მსხალი, კომში, ქლიავი, ალუბალი, თუთა, შინდი, კაკალი; შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოჰყავდათ სუბტროპიკული კულტურებიც: ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი.[4] ტყეებში უხვად იყო: ჟოლო, მოცხარი, მაყვალი.

მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პარკოსან კულტურებს. ბოსტნეულისა და მხალეულის გვერდით, მოსახლეობა სამარხვო საჭმელებს სწორედ პარკოსნებისაგან ამზადებდა. ძველად ქართულში პარკოსანთა ზოგად სახელად „ცერცვნაირები“ იხმარებოდა. ოდიში პარკოსანი კულტურების მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. მოჰყავდათ ბარდა, ცერცვი, ოსპი, მუხუდო, ცულისპირა, საკადრისა, ძაძა, ხანჭკოლა. ოდიშში მოსახლეობის ძირითადი საკვები *ბარდა* და *ცერცვი* იყო. ეს კულტურები ადრე გაზაფხულზე შემოდიოდა, როდესაც მინდვრის საბოსტნე კულტურები ჯერ კიდევ არ იყო შემოსული, ამიტომ მოსახლეობისთვის მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე ბერ-მონაზონთა მთავარი სამარხვო საჭმელი იყო. მარხვის დროს ერთ-ერთი ძირითადი საკვები *ოსპი* და *მუხუდო* იყო. მუხუდოს ფქვილის მჭადს ქვის კეცებში აცხობდნენ. *ცულისპირას*, იგივე „უკადრისას“ განსაკუთრებული გამოყენება „სართვიანების“ გამოცხობისას ჰქონდა; ცულისპირასა და ჭვავის ან ხორბლის ნარევისაგან ნოყიერ პურს ამზადებდნენ. *საკადრისა* ფართოდ იყო გავრცელებული შავი ზღვის სანაპიროდან დაწყებული ლიხის ქედამდე. *ძაძა* ერთწლოვანი პარკოსანი მცენარეა.[5] სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ძაძა განმარტებულია როგორც წვრილი ლობიო.

სამეურნეო ყოფაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზეთე-ბოჭკოვან კულტურებს — *სელი, კანაფი, ბამბა*. სელის კულტურის ფართოდ გავრცელება განპირობებული იყო სამეურნეო და საკვები მნიშვნელობით. სელის თესლისაგან ხდიდნენ ზეთს, რომელსაც საჭმელადაც ხმარობდნენ და გასანათებლად. სელის მარცვლის ფქვილისაგან ამზადებდნენ ფაფას, რომელიც ყუათიანი საჭმელი იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სელისა და ბამბისაგან ქსოვილების წარმოებას. სელისა და კანაფის ძაფს უხეში ქსოვილის, ხამიანის, ბაგირისა და თოკის, თევზის საჭერი ბადეების დასამზადებლად იყენებდნენ. მცირე რაოდენობით კანაფის მარცვლს ფქვილსაც ურევდნენ და საკვებად იყენებდნენ, მისგან ზეთსაც ხდიდნენ. ზოგიერთი სოფელი, მათ შორის ჯგალი, სელისა და კანაფის ტილოს წარმოებით ყოფილა ცნობილი, ზოგ სოფელს კი, იმის გამო, რომ

---

[1] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 225-240; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გვ. 262.

[2] **ლ. დეკაპრელევიჩი**, სიმინდის გავრცელების ისტორიისათვის საქართველოში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში, *საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები*, ტ. XLVI, 1957, გვ. 27-32.

[3] ევლია ჩელების ცნობით, ოდიშში სოფლები მუდამ ერთ ადგილზე იყო, მოსახლეობა არ მომთაბარეობდა. სოფლები იყო ბაღ-ვენახიანი, ეკლესიებით (ევლია ჩელების ,,მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 334).

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782; საქართველოს ისტორია, I, გვ. 266-267.

[5] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 279-287.

იქ უმთავრესად კანაფის (მეგრ. კიფი) მოყვანას მისდევდნენ, „ნაკიფუ“ შერქმევია.[1] დიდი ადგილი ეკავა მეაბრეშუმეობას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მთელ იმერეთში „აბრეშუმს აკეთებენ და ქსოენ ლარს არა დიდფასსა, უოქრომკედოსა, და ხმარობენ სხუებრცა. ეგრეთვე ბამბასა და კანაფთაგან — ტილოსა, არამედ სხუათა ქუეყანათაგან უმჯობესნი არიან“.[2]

ოდიშში განვითარებული იყო მევენახეობა. ძირითადად, გავრცელებული იყო მაღლარი ვენახი. ღვინოს დიდი რაოდენობით აყენებდნენ. უხვ მოსავალს და საუკეთესო ღვინოს იძლეოდა *ოჯალეში*. ვაზის ჯიშებიდან გავრცელებული იყო კაჭიჭი, კოლოში, ზერდაგი, პანეში, პუმპულა, ტოროკუჩხი, ჩეჭიფეში, ჭვიტილური, ხოჯიშთოლი და სხვ.[3] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, აქაური ღვინო მსუბუქი და კარგი იყო. ფერის გამო აქაურ ღვინოს ზარდაგს (შავი), ეძახდნენ, რომელიც ყოფილა „ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა“.[4] მონასტრებს ღვინის დიდი შემოსავალი ჰქონდათ.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, იმერეთში ანუ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო „ხილი, მტილოვანნი ყოველნივე, რამეთუ მელსაპეპონი და პუნპულა უმუშაკოდ ნაყოფიერებენ“; მტილოვანნი ანუ ბოსტნეული კულტურები: ნიორი, ხახვი, პრასი, ბოლოკი, კიტრი, სხვადასხვა ჯიშის გოგრა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, მელსაპეპონი (საზამთრო) და პუნპულა (ნესვი) უმუშაკოდ ანუ მორწყვის გარეშე მოდიოდა. მწვანილეულიდან გავრცელებული იყო: ქინძი, კამა, ცერეცო, ოხრახუში, ნიახური, ქონდარი, პიტნა, მდოგვი, ზაფრანა; ზამთრისთვის სუნელებსაც ამზადებდნენ. კულტურული მცენარეების გარდა ფართოდ იყენებდნენ ველურ მცენარეებს: ბალბას (მეგრ. ბოდორია), ეკალას, დანდურს, ნაცარქათამას, ღანძილს (მეგრ. ჯიშკილა), ღვალოს, სატაცურს, ჭინჭარს და სხვა. მათგან შესანიშნავ მხალეულს ამზადებდნენ, ფხალს და ჯონჯოლს ამწნილებდნენ.

ოდიშში კარგად იყო განვითარებული მესაქონლეობა, რასაც ხელს უწყობდა ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების არსებობა. ჰყავდათ ღორი, კამეჩი, ძროხა, თხა, შედარებით მცირე რაოდენობით — ცხვარი. მწყემსი არც ჰყავდათ, საქონელი ზამთარ-ზაფხულ საძოვარზე იყო მიშვებული. ფართოდ იყო გავცელებული მეფუტკრეობა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ფუტკარი მრავლად იყო ტყეში. დიდი რაოდენობით ამზადებდნენ თაფლსა და ცვილს.[5]

მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ნადირობასა და მეთევზეობას. მდინარეების სიუხვისა და ზღვის სიახლოვის გამო ოდიშში მეთევზეობა კარგად იყო განვითარებული. თევზით მდიდარი ადგილები როგორც მდინარეებზე, ისე ზღვაში მთავარს, თავადებსა და ეკლესიას ეკუთვნოდა. მდინარეების ამა თუ იმ მონაკვეთზე თევზაობის უფლება იმ ფეოდალს ეკუთვნოდა, რომლის სამფლობელოზეც ის გადიოდა. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ გლეხთა ერთ კატეგორიას მეთევზეები წარმოადგენდნენ. ასეთი ყმა-გლეხები ჰყავდათ ოდიშის მთავარს, ცალკეულ ფეოდალებსა და ეკლესიას. საეკლესიო მეთევზეები ზოგი ცალკეულ საეპისკოპოსოებს ეკუთვნოდა, ზოგიც დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს. თევზის ჭერა გლეხებს ბეგარად ედოთ. თევზის სახეობებიდან გავრცელებული იყო ზუთხი, ორაგული, კალმახი, სვია და სხვ. XVII საუკუნის იტალიელი კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ზუთხი ბლომად არის შავ ზღვაში ყველგან“. ზუთხის ქვირითისაგან ხიზილალას ამზადებდნენ. სხვა ჯიშის თევზების ქვირითისგანაც ამზადებდნენ ხიზილალას, მაგრამ მისი ხარისხი შედარებით დაბალი იყო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „რიონსა შინა ... იპყრობენ ზუთხსა მაისსა, ივ-

---

[1] საქართველოს ისტორია, I, გვ. 266; **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 289-296.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 744. მისივე ცნობით, „ჰყოფენ აბრეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისაგან“, (გვ. 782).

[3] **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გვ. 264.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782. ევლია ჩელების ცნობით, ოდიშში მრავლად ჰყავდათ ცხვარი, თხა, ღორი, ჰყავდათ ცხენები, მაგრამ ვირი და ჯორი არა (ევლია ჩელების ,,მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, გვ. 333).

ნისსა და ივლისსა შინა და, თვინიერ ამ თთუეთაგან კიდე, სხუანი თევზნი არიან: ლოქო, კობრი, და წურილნი თევზნი, და კალმახნი მრავალნი. ხოლო ზღვის კიდეთა შინა იპყრობიან ანდაკია და სხუანიცა. არამედ კირჩხიბი ყოველგან მრავალნი და ფრიად გემოიანნი". ამდენად, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მთის მდინარეებში მრავლად იყო კალმახი, ხოლო ვაკე ადგილებში სხვა სახეობის თევზი და კიბორჩხალა.[1]

ფეოდალურ ხანაში ნადირობა სალაშქრო-საომარი წვრთნის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა. ჩვეულებრივ, როცა ომები არ იყო, მთავრებისა და სხვა ფეოდალების ერთ-ერთ მთავარ საქმიანობას ნადირობა შეადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოდიშში მრავლად იყო ნადირი და ფრინველი.[2] ოდიშის ტყეებში მრავლად იყო: ირემი, გარეული თხა, გარეული ღორი, მელია, ფოცხვერი და სხვ.

XIV-XV საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ტრაპიზონის იმპერიასთან და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის იტალიურ საზღვაო კოლონიებთან, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე უმნიშვნელოვანესი ნავსადგურები იყო: ბათომი, ფოთი, კემხელი (ყულევი), სათამაშია (ტამიში), კელასური, ცხუმი (სოხუმი). თურქების მიერ ბიზანტიის, ტრაპიზონის, ყირიმის დაპყრობისა და შავ ზღვაზე გაბატონების შემდეგ დასავლეთ საქართველოს საზღვაო ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან შეწყდა; ამ დროიდან ლიხთიმერეთის საზღვაო ვაჭრობა ევროპასთან ოსმალეთის მეშვეობით წარმოებდა. დასავლეთ საქართველოში ზღვით შემოდიოდა ხელოსნური ნაწარმი, აგრეთვე მარილი; გაჰქონდათ – ძვირფასი ხე-ტყე, ტილო, სელის ნაწარმი, აბრეშუმი, თაფლი, ცვილი, ღვინო, ტყავეული, ბეწვეული. ვაჭრობა ფულზე წარმოებდა. საგარეო ვაჭრობა უმთავრესად სპარსეთთან და ოსმალეთთან წარმოებდა. თბილისიდან მოდიოდნენ ქართველი, ირანელი და სომეხი ვაჭრები, რომელთაც ჩამოჰქონდათ ძვირფასი ირანული შალეული და ხავერდი, ატლასისა და აბრეშუმის ქსოვილი, ფარჩა, ინდოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავეული, სანელებლები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა. სახმელეთო გზით, ოსმალეთიდან, ყარსის, არტაანის, ახალციხის გავლით მოდიოდნენ სავაჭრო ქარავნები, რომლებსაც შემოჰქონდათ მრავალფეროვანი სავაჭრო საქონელი, მათ შორის უნაგირები და ცხენის აღკაზმულობა, ხალები, ხანჯლები და თურქული ზანდუკები. ოდიშის ნავსადგურებში ოსმალეთიდან და კაფადან (ყირიმიდან) შემოდიოდა მარილი, თევზი, ხიზილალა, ტილო, ტანსაცმელი, იარაღი, საყოფაცხოვრებო ნივთები.[3] XV საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში, მათ შორის ოდიშში, ფეხი მოიკიდა ტყვეებით ვაჭრობამ – ტყვის სყიდვამ, რომელმაც ფართო ხასიათი XVI-XVIII სს. მიიღო.[4]

შავ ზღვაზე ოსმალთა გაბატონების შემდეგ ოდიშის საზღვაო ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან შეწყდა. XVI-XVII სს. ოდიშის საზღვაო ვაჭრობა ევროპასთან ოსმალეთის მეშვეობით წარმოებდა. ამ დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნავსადგურად იქცა ისგაური (სკურჩა), რომელიც მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. როდესაც ოსმალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გაბატონდნენ, ოდიშის სამთავრო საზღვაო ვაჭრობას ოსმალების მიერ დაკავებული ნავსადგურების მეშვეობით აწარმოებდა.[5] ვაჭრობა თურქების ხელში იყო. გზებზეც სულ უფრო ხშირად თურქი ვაჭრები ჩანდნენ, რომლებსაც შემოჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, მშვილდ-ისრები, ცხენის აღკაზმულობა, ქსოვილები, სპილენძი და რკინა. სამეგრელოდან გაჰქონდათ ტყავეული, თაფლი და ცვილი, ხე-ტყე.[6] XVII-XVIII სს. მიმოქცევაში იყო თურქული ფული.[1]

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782-783.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782.

[3] **Т. Н. Берадзе,** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, გვ. 115-119, 123-124.

[4] **ა. კილასონია,** ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში, თბ., 2006.

[5] **ა. ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა, გვ. 157.

[6] Выписка из путешественных записок Василья Зуева из месяцеслова на 1777 года, М., 1823, გვ. 233; **ი. კვაშილავა**, სამეგრელოს საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი XVIII საუკუნის II ნახევარში (მოგზაურ ვ. ზუევის ჩანაწერების მიხედვით), *კრებ. ,,ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი"*, XIV, თბ., 2012, გვ. 95; **დ. რომმელი**, კავკასიის ხალხები. *თარგმანი გერმანულიდან ნოდარ გიოშვილისა*, თბ., 2011, გვ. 34.

XVIII საუკუნის მოგზაურის ვასილი ზუევის ცნობით, ოდიშში ძირითადი საკვები ღომი და ლობიო იყო, ზამთარში — საქონლისა და ღორის ხორცი, ხოლო მარხვაში — შებოლილი თევზი, ხიზილალა; მეგრელები სადილ-ვახშმობისას, აღმოსავლეთის ხალხების წესისამებრ, ფეხმორთხმით სხდებოდნენ; ისინი დიდად მორწმუნენი იყვნენ. დაკრძალვისა და გლოვის რიტუალი რელიგიური წესების დაცვით მიმდინარეობდა. მიცვალებულს წესს აუგებდნენ, საფლავს აკურთხებდნენ და გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს კრძალავდნენ. გლოვა ერთი წელი გრძელდებოდა. მოსახლეობა მეაბრეშუმეობას და ბამბის მოყვანას მისდევდა. ცეცხლსასროლ იარაღს ცოტანი თუ ფლობდნენ. ძირითადად, შეიარაღებაში ჰქონდათ მშვილდ-ისარი, ხმალი, კომბალი, ოსტატურად იყენებდნენ შუბს.[2]

ოდიშში კარგად იყო განვითარებული ხელოსნობა. ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, საქართველოს ამა თუ იმ მხარეში ხელოსნობის გარკვეული დარგი იყო კარგად განვითარებული. ხელოსნები ამზადებდნენ მშვილდ-ისრებს, ხმალ-ხანჯალს, სამუშაო იარაღებს: ნაჯახებს, ცულებს, სახნისებს, ნამგლებს, დანებს, ხისა და რქისაგან — საოჯახო ჭურჭელს, მეთუნეობის ნაწარმს — ქვევრებს, დოქებს, ფიალებს. დიდი მოთხოვნილების გამო ისინი ბაზრისთვისაც მზადდებოდა. რკინის წარმოებით განთქმული იყო რაჭა; სვანეთში ამზადებდნენ ნაბდებს, ნაბდის ქუდებს, შალეულს; ნაბდებსა და ბამბეულის ქსოვილს აფხაზეთშიც ამზადებდნენ. ნატურალური მეურნეობის პირობებში გლეხის ოჯახი ცდილობდა თვითონვე დაემზადებინა ყველაფერი, რაც მისთვის აუცილებელი იყო; ამ მიზნით, ფეოდალებსაც სხვადასხვა ხელობის ყმა-გლეხები ჰყავდათ. ამიტომ შინამრეწველობა ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. გლეხების ოჯახებს ან თემებს შინასარეწები ჰქონდათ, მათ შორის, ბამბისა და აბრეშუმის საქსოვი დაზგები, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები. ხელოსნები ამზადებდნენ ცხენის აღკაზმულობას, იყვნენ ხუროები, დურგლები, კალატოზები.

XVI-XVIII სს. ბაზრობები იმართებოდა ეკლესიებთან: ილორში, წიფურიაში, კორცხელში, ხობში, სენაკში, ცაგერში; მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტები იყო ლაილაში, ბანძა, სუჯუნა.[3] ვაჭრებისა და ხელოსნების ძირითადი მასა ყმურ დამოკიდებულებაში იყო. მათი მფლობელები მთავარი და მისი სახლეულობა, ეკლესია-მონასტრები, და თავადები იყვნენ. ბიჭვინტის საკათალიკოსო საყდარს, საეპისკოპოსო საყდრებს, მონასტრებს თავიანთი ყმა-ვაჭრები და ხელოსნები ჰყავდათ.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ სოფლის მეურნეობა დაქვეითდა. ამას ხელს უწყობდა გარეშე მტრების შემოსევები, ტყვის სყიდვის თუ სხვა მიზეზების გამო გულგატეხილი გლეხი თავისი ყანის, ვენახისა და ბაღ-ბოსტნის უკეთესად მოწყობასა და გაუმჯობესებაზე აღარ ფიქრობდა და მხოლოდ თავის სარჩენი ლუკმა-პურის მოპოვებაზე ზრუნავდა; მიწის სათავადო მფლობელობის გაბატონებამ თანდათან შეავიწროვა მიწისმფლობელობის კერძო საბატონო ფორმა, რითაც ხელი შეუშალა ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებას.[4]

XVI-XVIII სს. ოდიშის სამთავროში ფეოდალურ-ბატონყმური, კარჩაკეტილი მეურნეობა იყო გაბატონებული. ნატურალური მეურნეობის პირობებში გლეხის ოჯახი ცდილობდა თვითონვე დაემზადებინა ყველაფერი, რაც მისთვის აუცილებელი იყო. ფეოდალებსაც ამავე მიზნით სხვადასხვა ხელობის ყმა-გლეხები ჰყავდათ. ამიტომ შინამრეწველობა ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. გლეხის ოჯახებს ან თემებს თავიანთი სარეწები ჰქონდათ, როგორიც იყო ზეთსახდელები, ბამბისა და აბრეშუმის საქსოვი დაზგები, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები და სხვ. მთიან მხარეებში მისდევდნენ ტყავის დამუშავებას

---

[1] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 321.

[2] Выписка из путешественных записок Василья Зуева из месяцеслова на 1777 года, გვ. 226-237; **ი. კვაშილავა**, სამეგრელოს საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი XVIII საუკუნის II ნახევარში (მოგზაურ ვ. ზუევის ჩანაწერების მიხედვით), გვ. 95-102.

[3] **ა. ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა, გვ. 157; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, *ილია ანთელავას საერთო რედაქციით,* თბ.-ზუგდიდი, 1999.

[4] საქართველოს ისტორია, I, გვ. 268.

(ტყავისაგან ამზადებდნენ ქალამანს), შალეულის ქსოვას, ქეჩის, ნაბდის, ყაბალახის და სხვათა დამზადებას; თიხის, ხისა და რქისაგან ამზადებდნენ ჯამ-ჭურჭელს. ოდიშში გავრცელებული იყო კანაფისა და სელის ტილოების ქსოვა.[1] შინამრეწველობის გარდა სოფლად იყვნენ ამა თუ იმ დარგში საგანგებოდ მომუშავე ხელოსნებიც. ნატურალური მეურნეობის პირობებში, ხელოსანი საქონლის ერთადერთი მწარმოებელი იყო. ხელოსანთა უმრავლესობა ამა თუ იმ მებატონის ყმა იყო და საბატონო ბეგარას თავისი ხელობით იხდიდა: ბატონისთვის საჭირო საგნებს ამზადებ-და, ამასთანავე დანარჩენი დროის განმავლობაში საქონელს ბაზრისათვის ამზადებდა.[2]

[1] საქართველოს ისტორია, I, გვ. 268-269.
[2] საქართველოს ისტორია, I, გვ. 269.

თავი IV

სამეგრელო XIX საუკუნეში — XX საუკუნის დასაწყისში

§ 1. სამეგრელოს სამთავრო

სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის დასაწყისში. გრიგოლ დადიანის გარდაცვალების შემდეგ სამეგრელოს სამთავრო მთავრის გარეშე დარჩა, რადგან ტახტის მემკვიდრე, 12 წლის ლევანი, აფხაზეთის მფლობელს ქელაიშ-ბეგ შარვაშიძეს ჰყავდა მძევლად. ასეთ ვითარებაში, ნიკო დადიანის ცნობით, გარდაცვლილი მთავრის ძმებს მანუჩარ და ტარიელ დადიანებს, რომლებსაც ადრე ოდიშის სამთავრო ტახტი ეკავათ, გამთავრება განუზრახავთ, „გარნა ერთგულთა გრიგოლისთა არა ინებეს და უჩვენეს ერთგულება მეუღლესა მისსა“ და „ვერღარა ეუფლონ ნებას მათსა ძმები დადიანისანი“.[1] გადამწყვეტი როლი ამ შემთხვევაში რუსეთის პოზიციამ შეასრულა, რომელმაც მხარი ტახტის კანონიერ მემკვიდრეს დაუჭირა.[2]

1805 წლის 26 იანვარს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825) საგანგებო რესკრიპტით ლევან ბატონიშვილი სამეგრელოს მთავრად დაამტკიცა. გარდაცვლილი მთავრის ქვრივი ნინო დედოფალი მთავრის მზრუნველად და სამეგრელოს მმართველად გამოცხადდა. რეგენტს სამთავრო დროებით საბჭოსთან ერთად მთავრის სრულწლოვანებამდე უნდა ემართა. დროებით საბჭოში შეიყვანეს: სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი, მსაჯულთუხუცესი ნიკო დადიანი, განსვენებული მთავრის ძმა ბესარიონ ჭყონდიდელი და ლეჩხუმის სარდალ-მოურავი ბერი გელოვანი.[3]

ტახტის მემკვიდრის ტყვეობიდან განთავისუფლება საკმაოდ გაჭიანურდა. სამთავროს მესვეურებმა ქელეშ-ბეის სთხოვეს წარმოეგზავნა ტახტის მემკვიდრე, მაგრამ მან ლევანის განთავისუფლების საფასურად დიდი თანხა მოითხოვა. როცა აღნიშნული ფაქტი ცნობილი გახდა საქართველოს მთავარსარდლის პავლე ციციანოვისთვის (1802-1806), განრისხებულმა გენერალ იონა რიკჰოფს უბრძანა, თუ ქელაიშ-ბეგი ლევანს არ გაათავისუფლებდა, „წარვიდეს თვისითა რწმუნებულითა მხედრობითა აყუს და შემუსროს, რათა არა დაშთეს ქვა ქვასა ზედა, რომელ არა დაირღვეს, და გამოიყვანოს ლეონ და ქმნას თვისსა სამკვიდროსა ზედა მთავრად“.[4] 1805 წლის მარტში რუსეთის ჯარის ნაწილი გენერალ რიკჰოფის მეთაურობით აფხაზეთისკენ დაიძრა. მან ანაკლიის ციხე დაიკავა და ზღვით სოხუმზე იერიშის მისატანად ემზადებოდა, როცა რუსების საომარი მოქმედებით შეშინებულმა ქელეშ-ბეიმ ლევანი გაათავისუფლა, რვა მძევალიც გამოგზავნა და საომარი მოქმედებების შეწყვეტა ითხოვა.[5] ანაკლიის ციხე ფორმალურად ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა, ამიტომ, სულ მალე, რუსეთის ხელისუფლებას ამ ციხის თურქებისთვის დაბრუნება მოუხდა.

1805 წლის 2 აპრილს აფხაზთა მთავრის წარმომადგენლებმა სამეგრელოს ტახტის მემკვიდრე ანაკლიაში რუსეთის სარდლობას გადასცეს. ანაკლიიდან ლევან დადიანი ზუგდიდში ჩაიყვანეს და „მიათვალეს ყოველი სამთავრო მენგრელიისა“.[6] 9 ივლისს სამეგრელოს ახალმა მთავარმა ლევან V დადიანმა (1805-1846) სოფელ ბანძაში რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე საზეიმოდ დაიფიცა. მას გადაეცა ალექსანდრე I-ის გამოგზავნილი მთავრად დამტკიცების სიგელი, ხმალი და დროშა, აგრეთვე წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენი ბრილიანტის ვარსკვლავით. ამ საზეიმო ცერემონიალს საკუთვრივ სამეგრელოს დიდებულებთან ერთად ესწრებოდნენ სა-

---

[1] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 193.

[2] **თ. ბერაძე**, სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, გვ. 235.

[3] **Н. Дубровин**, История войны и владичества русских на Кавказе, т. IV, СПб., 1887, გვ. 408; **ი. მეუნარგია,** ნიკოლოზ გიორგის ძე დადიანი, წიგნ. **ი. მეუნარგია,** ქართველი მწერლები, II, *შედგენილი სოლომონ ცაიშვილის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით*, თბ., 1957, გვ. 92.

[4] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 194.

[5] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 194; **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 171.

[6] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 195-196.

მურზაყანოს მფლობელები ლევან და მანუჩარ შარვაშიძეები, რომლებმაც იმავე დღეს სამეგრელოს მთავრის და რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი დადეს, როგორც ოდითგან სამეგრელოს სამთავროს კუთვნილი სამფლობელოს მფლობელებმა. ფიცის ტექსტში ნათქვამია: „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, აფხაზის თავადნი, სამურზაყანოს მფლობელნი, შემოვედით ყმად ჩვენის ქვეყნით და თავად-აზნაურებით მისს იმპერატორობის დედებულებისა ყოვლად უმოწყალესისა რუსთა ხელმწიფისა, ვფიცავთ ყოვლად ძლიერ ღმერთს და წმინდა სახარებას, რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამიწდღეოდ და მის დიდებულობის ურჩობაში და ღალატობაში არასდროს არ შევიდეთ და აგრეთვე თუ სხვათაგან ღალატი ანუ ურჩობა შევიტყვეთ, დიახ სწრაფად შევატყობინოთ საცა მართებული იყოს და როგორც ზემო სწერია ის არ აღვასრულო, ღვთისაგან და წმინდა სახარებისაგან შეჩვენებული ვიყვნეთ, და აგრეთვე ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფისაგან განრისხებულნი ვიყვნეთ. როგორც რომ ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის ყმა ვიმყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმყრობელის თავადი დადიანისა“.[1]

ამავე ხანებში ქელეშ-ბეიმ მეგობრული ურთიერთობა აღადგინა მეზობელ სამეგრელოს სამთავროსთან. 1806 წლის მაისში აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრები, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, შერიგდნენ. იმავდროულად, აფხაზეთის მფლობელმა ცნო სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში სამურზაყანოს დაბრუნების ფაქტი. 1806 წლის 26 მაისს ქელაიშ-ბეგმა ანაკლიის ციხეში „საქართველოს მეფის ასულს ნინოს და დადიანს ლევანს, საგანგებო მტკიცების წერილი“ მისცა. წერილში ნათქვამია: „ჩვენ შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელ საქმეშიდ არ შევიდე და არც შემეძლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვრისა მოყვარე ვიქმნე“.[2] უფრო მეტიც, აფხაზთა სამთავრო სახლი დაუმოყვრდა სამეგრელოს სამთავრო სახლს, ქელეშ-ბეის ვაჟი საფარ-ბეი სამეგრელოს მთავრის კარის ეკლესიის მღვდელმა სიმონ ასათიანმა მონათლა (ნათლობის სახელი — გიორგი) და სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის (1788-1804) და თამარი შეირთო.[3] ეს ფაქტი მოასწავებდა აფხაზთა სამთავრო სახლის პოლიტიკურ კავშირს რუსეთის მფარველობაში მყოფ სამეგრელოს სამთავროსთან და ქელეშ-ბეის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე ნათლად მეტყველებდა.[4]

ჯერ კიდევ ლევან დადიანის მძევლობიდან გათავისუფლებამდე სამეგრელოს დედოფალმა, ნინო ბაგრატიონმა, პეტერბურგში საგანგებო დეპუტაცია გააგზავნა, რომელსაც იმპერატორის კარზე ის „აღფროვანება“ უნდა გადაეცა, რაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამ სამეგრელოში გამოიწვია. დეპუტაციის შემადგენლობაში შევიდნენ ნიკო დადიანი, ბეჟან დადიანი და კარის დეკანოზი იოანე იოსელიანი. სამეგრელოს დეპუტაცია პეტერბურგში დიდი პატივით მიიღეს, მათ შორის თვით იმპერატორმა. დეპუტაციამ იმპერატორს მიართვა, „ძღვნად წაღებული ნინო დედოფლისაგან ხატი ვლაქერნის ღვთისმშობლისა“. ერთი წლის შემდეგ სამეგრელოს დელეგაცია პეტერბურგიდან სამშობლოში დიდი პატივით გამოისტუმრეს. ნიკო დადიანის ცნობით, იმპერატორმა „შეამკო უძვირფასესი ხატი ვლაქერნის ღვთისმშობელისა და წარმოგზავნა კვალად სახლსა შინა დადიანისა, რათა მუნ განისვენოს“. იმპერატორის რესკრიპტში აღნიშნული იყო, რომ სადაც დედოფალი მოისურვებდა, ვლაქერნისა ღვთისმშობლის ხატის სახელზე ეკლესია აეგოთ, რისთვისაც იმპერატორი 20 ათას მანეთს გაიღებდა. ეს ადგილი უნდა გამხდარიყო სამეგრელოს მთავრის მუდმივი რეზიდენცია, გაშენებულიყო ქალაქი, რომელსაც დაერქმეოდა გრიგორიპოლისი, განსვენებული გრიგოლ დადიანის სახსოვრად.[5] ნინო დედოფალმა ეკლესიის ასაშენებლად ზუგდიდის სასახლის ეზო აირჩია.

---

[1] АКАК, т. II, Тифлис, 1868, გვ. 527; **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 171-172.

[2] **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 175.

[3] АКАК, т. III, Тифлис, 1869, გვ. 202, 209; **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 175.

[4] **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, გვ. 175.

[5] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 196.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, სამეგრელოს სამთავროს უკვე აღარ შეეძლო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა გაეტარებინა. ამის შემდეგ სამეგრელოს მთავარს ტერიტორიული პრეტენზიები მეზობლებთან მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების მეშვეობით უნდა მოეგვარებინა. ამის სანაცვლოდ დადიანს რუსეთის ინტერესები უნდა დაეცვა შავიზღვსპირეთში და მხოლოდ იმპერიის მტრების წინააღმდეგ მიემართა მახვილი. 1806 წლის დეკემბერში რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი (1806-1812) დაიწყო. საომარი მოქმედებები დუნაის აუზსა და კავკასიაში გაიშალა. ამ დროისთვის რუსები ხობის შესასრთავში, რედუტ-კალეში იყვნენ გამაგრებულნი, ხოლო თურქების მთავარ ციხე-სიმაგრეს ფოთი წარმოადგენდა. თავდაპირველად რუსეთის სარდლობამ ფოთზე თავდასხმა ვერ გაბედა და მხოლოდ რედუტ-კალეს დაცვით შემოიფარგლა. საომარი მოქმედებების დაწყებიდან სულ მალე, 1807 წლის 8 თებერვალს, თურქები რედუტ-კალეს დაუფლებას შეეცადნენ, მაგრამ გარნიზონმა თავდასხმა მოიგერია. იმავე წლის 8 მაისს რუსეთის ჯარის ნაწილები და სამეგრელოს სახალხო ლაშქარი გენერალ რიკჰოფის საერთო ხელმძღვანელობით ფოთს მიადგა. რუსეთის სარდლობამ გარნიზონს ციხის ჩაბარება მოსთხოვა, თუმცა უარი მიიღო. ამის შემდეგ, რუსთა და ქართველთა ლაშქარი იერიშზე გადავიდა, თურქები დაამარცხა და ქალაქში შეიჭრა. თურქებმა თავი ციხესიმაგრეს შეაფარეს, რომელსაც რუსთა და ქართველთა ლაშქარმა ალყა შემოარტყა. ფოთის გარშემო მდებარე ჭაობები და ზღვისპირა კლიმატი ცუდად მოქმედებდა რუს ჯარისკაცებზე, ხშირი იყო ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის შემთხვევები. რუსეთის სარდლობა დარწმუნდა, რომ კარგად გამაგრებულ ციხეს ადვილად ვერ აიღებდა, ამიტომ 19 მაისს რიკჰოფმა ალყა მოხსნა და ჯარი რედუტ-კალეში გადაიყვანა.[1] 1807 წლის ზაფხულში მეომარ მხარეებს შორის დროებითი ზავი დაიდო. ასეთ ვითარებაში რუსეთის იმპერიას სამეგრელოს სამთავროს დახმარება აფხაზეთში დასჭირდა.

1808 წლის 2 მაისს ქელეშ-ბეი შარვაშიძის უფროსმა ვაჟმა ასლან-ბეგმა სოხუმში, მთავრის სასახლეში, მოკლა მამა და თავისი ორი უმცროსი ძმაც სიცოცხლეს გამოასალმა. ასლან-ბეგი დაეუფლა სოხუმის ციხეს და თავი აფხაზეთის მთავრად და ოსმალეთის ვასალად გამოაცხადა.[2] საფარ-ბეგი, რომელიც ქელეშ-ბეის სიცოცხლეშივე იყო გამოცხადებული ტახტის მემკვიდრედ, ზუფუში (ლიხნში) იმყოფებოდა. იგი შეეცადა საკუთარი ძალებით აეღო სოხუმის ციხე, მაგრამ ვერ შეძლო და სამეგრელოში წავიდა. მამის მკვლელი ძმის სოხუმის ციხიდან გაძევება ვერ მოახერხა და დახმარებისთვის ნინო დედოფალს მიმართა. აგვისტოში სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროთა გაერთიანებული ძალები სოხუმის დაკავებას შეეცადნენ. ლაშქრობას ოდიშის სარდალი, ისტორიკოსი ნიკო დადიანი სარდლობდა. სოხუმის ციხის აღება ვერ მოხერხდა, მაგრამ ასლან-ბეგს გაათავისუფლებინეს ქელეშ-ბეის მეუღლე, მესამე ცოლი რებია-ჰანუმ მარშანია და მისი ვაჟიშვილი ბათალ-ბეი, რომელიც ქელეშ-ბეიზე თავდასხმისას დაიჭრა. „და დავმძევლეთ ყოველი აფხაზეთი, — წერს ნიკო დადიანი, — ჯიქეთის საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგა — დადიანის საზღვრამდე და მივათვალეთ საფარ-ბეგს და ესრეთ მშვიდობით წამოვედით ოდიშამდე“.[3]

სოხუმის ციხის დაუფლების უშედეგო ცდამ გიორგი შარვაშიძე დაარწმუნა, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლით უფრო დაცული იქნებოდა, ამიტომ კავკასიის ადმინისტრაციასთან შუამავლობა ნინო დედოფალს სთხოვა. ამასობაში, 1808 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომი განახლდა. სულ მალე, 1809 წლის 13 აგვისტოს, რუსეთის ჯარი დიმიტრი ორბელიანის სარდლობით და სამეგრელოს სახალხო ლაშქარი ლევან V დადიანის მეთაურობით ფოთს მიადგა. ფოთის ციხის აღება გაჭიანურდა. პორტამ ფოთის გარნიზონის დასახმარებლად დამხმარე ძალები გამოგზავნა, რომელიც ქართველთა ლაშქარმა ნიკო დადიანის მეთაურობით მალთაყვასთან ბრძოლაში დაამარცხა. ამის შემდეგ ფოთის ციხის მფლობელი ქუჩუკ-ბეგ შარვაშიძე იძულებული გახდა დანებებაზე და-

---

[1] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 198;**ნ. ქორთუა**, საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1964, გვ. 160-170.

[2] АКАК, т. III, გვ. 200; **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

[3] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

თანხმებულიყო. 1809 წლის 15 ნოემბერს მან ფოთის ციხე დიმიტრი ორბელიანს ჩააბარა.[1]

ფოთის ციხის აღების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სოლომონ II-ის გადაყენება და იმერეთში უშუალო რუსული მმართველობის დამყარება გადაწყვიტა. რუსეთის სარდლობის მოთხოვნით, სამეგრელოს სახალხო ლაშქარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სოლომონ II-ის დევნაში, რის შედეგადაც იმერეთის მეფე რუსებს დანებდა. დატყვევებული იმერეთის მეფე რუსებმა თბილისში წაიყვანეს, საიდანაც პეტერბურგში უპირებდნენ გადასახლებას. 1810 წლის 11 მაისს სოლომონ მეფე ტყვეობიდან გაიქცა და ახალციხის საფაშოში გადავიდა, იქიდან კი იმერეთში დაბრუნდა, სადაც ანტირუსულმა აჯანყებამ იფეთქა. იმერეთის აჯანყების ჩაქრობაში, სამეგრელოს სახალხო ლაშქართან ერთად ლევან V დადიანიც მონაწილეობდა. 1810 წლის სექტემბერში სოლომონ II დამარცხდა და ოსმალეთში გადაიხვეწა, ხოლო მისი მეუღლე, დედოფალი მარიამი, ლევან V დადიანის მამიდა, რუსეთში გადაასახლეს. ცარიზმმა იმერეთის სამეფო გააუქმა და უშუალო რუსული მმართველობა დაამყარა. იმავე ხანებში რუსეთის მთავრობამ გურიისა და აფხაზეთის სამთავროების საკითხიც გადაწყვიტა. 1810 წლის თებერვალში ალექსანდრე I-მა გიორგი შარვაშიძის სათხოვარი პუნქტები დაამტკიცა, ხოლო იმავე წლის ივლისში სოხუმთან რუსეთის სამხედრო ფლოტი გამოჩნდა. მეორე დღეს, 10 ივლისს, რუსეთის სამხედრო დესანტმა სოხუმის ციხე აიღო. იმავე წლის ოქტომბერში, სოხუმში, გიორგი შარვაშიძეს სამთავრო ნიშნები გადაეცა. მთავარმა თავადაზნაურობასთან ერთად რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაიფიცა, რითაც ოფიციალურად გაფორმდა აფხაზეთის სამთავროს ავტონომიური უფლებით შესვლა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში. 1811 წლის 8 აპრილს რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა გურიის მთავრის მამია V გურიელის „სათხოვარი პუნქტები“, რითაც გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შევიდა.[2]

1811 წლის გაზაფხულზე ლევან V დადიანი სრულწლოვანი გახდა და დამოუკიდებლად შეუდგა სამთავროს მართვას, მისი დედა, დედოფალი ნინო, იმპერატორის მიწვევით პეტერბურგში გაემგზავრა და თან წაიყვანა თავისი ვაჟიშვილი გიორგი ბატონიშვილი. ნინო დედოფლის რუსეთში გამგზავრების შემდეგ ლევან V დადიანმა ზურაბ წერეთლის ასული მართა შეირთო და ჭაქვინჯის სასახლეში დიდი ქორწილი გადაიხადა.[3]

XIX საუკუნის დასაწყისში სამეგრელოს სამთავროში გრიგოლ დადიანის ძმების მანუჩარ და ტარიელ ბატონიშვილების საუფლისწულო მამულები სენიორიებად ჩამოყალიბდა. საუფლისწულო არის სამამულო საკუთრების ფორმა, რომელიც უფლისწულს (ბატონიშვილს), საერთო, „სახასო“ ქონების ნაწილიდან მიეცემა.[4] მანუჩარ ბატონიშვილის საუფლისწულო მამული „სამანჩო“ ხობისწყლის ზემო წელს მოიცავდა. მასში შედიოდა სოფლები: მოიდანახე, ხაბუმე, ჯუმითი, ჭოღა, ქოყო და მუხურის ნაწილი. მანუჩარისა და მისი მემკვიდრეების რეზიდენცია იყო მოიდანახეში, ხაბუმესა და ქოყოში, სამივეგან ჰქონდათ სასახლე და კარის ეკლესია.[5] ტარიელ ბატონიშვილის საუფლისწულო ოთხ სოფელს — წალენჯიხას, მაზანდარას, ობუჯსა და ჯაღირას მოიცავდა. ტარიელ ბატონიშვილისა და მისი მემკვიდრეების რეზიდენცია წალენჯიხაში იყო, სადაც ჰქონდათ სასახლე ჭანისწყლის მარცხენა ნაპირზე, მაღალი გორაკის დავაკებაზე, მაცხოვრის ეკლესიის ჩრდილოეთით, ხოლო საძვალე ამ ეკლესიაში ჰქონდათ.[6]

იმერეთის აჯანყების შემდეგ საქართველოს მთავარსარდალმა ალექსანდრე ტორმასოვმა (1809-1811) ახალციხე დალაშქრა. რუსებთან ერთად თურქებისაგან ახალციხის განთავისუფლე-

---

[1] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, გვ. 199-200; **ნ. ქორთუა**, საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 246-257.

[2] **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 177-178; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. I, თბ., 2017, გვ. 226-236.

[3] **ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება, გვ. 203; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 63.

[4] **გ. ჯამბურია**, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1955, გვ. 139.

[5] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., III, გვ. 95.

[6] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., III, გვ. 95.

ბისთვის იბრძოდა სამეგრელოს სამთავროს სახალხო ლაშქარი. 1810 წლის ნოემბერში ახალციხის იერიში დაიწყო, მაგრამ მისი აღება ვერ მოხერხდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი „მომსვრელი სენი“, ჟამი იყო, რომელიც რუსთა და ქართველთა ბანაკში გაჩნდა. ახალციხეზე წარმატებით დაწყებული ლაშქრობა შავი ჭირის გამო შეწყდა. 1811 წლის მიწურულს საქართველოში შავი ჭირის ეპიდემია მასობრივად გავრცელდა. ამას დაერთო 1811-1812 წლების მოუსავლიანობა და შიმშილობა. ამის თაობაზე ალექსანდრე ჭავჭავაძე წერდა: „გრაფ გუდოვიჩის უიღბლო ლაშქრობას ახალქალაქსა და ერევანზე, გენერალ ტორმასოვისა — ახალციხეზე და შემდგომ სპარსელთა შემოსევას, რომელთა თარეში თითქმის ტფილისს აღწევდა, მძიმე შედეგები მოჰყვა: ჯერ ერთი, ამ ლაშქრობათა დროს სამხედრო ტრანსპორტისათვის საქონლის უწესრიგოდ გამოყვანამ ყველგან აუარებელი რქოსანი პირუტყვი იმსხვერპლა. მეორეც, 1811 და განსაკუთრებით 1812 წელს იშვიათი შიმშილის გამო, ხალხი ტყე-ღრეში დაძრწოდა და ბალახ-ბულახით იკვებებოდა“.[1] შიმშილობა და შავი ჭირის ეპიდემია დასავლეთ საქართველოშიც გავრცელდა და დიდი მსხვერპლი მოჰყვა.[2] მხოლოდ იმერეთში, ერთი წლის განმავლობაში 32 750 კაცი გარდაიცვალა, ხოლო 7450 კაცი სხვა ადგილებში გადასახლდა.[3]

სამეგრელოდან ხალხი სამურზაყანოსა და აფხაზეთში გარბოდა და ცდილობდა თავი გადაერჩინა. ნიკო დადიანის ცნობით, „გაჩნდა იმერეთსა შინა ოდიშსა და გურიასა საშინელი მომსრველი სენი (ესე იგი ჟამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი (შიმშილობა, — ავტ.), რომელ უთვალავნი მოისრნენ და მრავალნი განიბნენ, კნინღა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემოხსენებულნი, და მრავალნი წარვიდენ აფხაზეთად, ვინათგან აფხაზეთსა შინა არა იყო წელსა მას სიყმილი და არცა იგი მომსრველი სენი. და განგრძელდა ესევითარი რისხვა ღვთისა ორსა წელსა და შემდგომად გარდვიდა, გარნა ქვეყანანი მრავალნი და სოფელნი დაშთენ ოხრად“.[4] ცოტა ხანში აფხაზებმა შეხიზნულების ტყვედ გაყიდვა დაიწყეს. სამურზაყანოს მფლობელმა მანუჩარ შარვაშიძემ, რომელიც სამურზაყანოს სარდალ-მოურავად დაახლოებით 1809 წელს სამეგრელოს მთვარმა დანიშნა და „ყოველი სამურზაყანო მიათვალა და მიაბარა საუფროსოდ და საგამგებლოდ“, სამეგრელოს მთავარს, ლევან V დადიანს (1805-1846) წესრიგის დასამყარებლად აფხაზეთში გალაშქრება ურჩია: „თუ ახლავე არ უშველეთ, ტყვეები დაიყიდაო და კიდევ მრავალი დაიკარგებაო“. იმერეთიდან და სამეგრელოდან აფხაზეთში გადახვეწილების ერთი ნაწილი ლევან V დადიანმა თავისი ბოქაულების მეშვეობით დააბრუნა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი იყო დარჩენილი სამურზაყანოსა და აფხაზეთში. ამიტომ, 1812 წლის ოქტომბერში სამეგრელოს მთავარმა ლაშქარი შეკრიბა, ჭყონდიდელი და ცაიშელი მღვდელმთავრები იახლა და აფხაზეთისკენ გაემართა. სამურზაყანოში გადასული ლევან V დადიანი მანუჩარ შარვაშიძის ძმის, ლევანის მამულში, ბედიაში გაჩერდა ღამის გასათევად. ღამით, ლევან შარვაშიძის შვილის, ხუტუნიას მიგზავნილებმა მანუჩარ შარვაშიძე მოკლეს. სამეგრელოს მთავრის ცნობით, მოკვლას მასაც უპირებდნენ, მაგრამ დროზე შეიტყო და გადარჩა.[5] ლევან V დადიანი დაუყოვნებლივ დაბრუნდა ზუგდიდში. მას არ შეეძლო საკუთარი ძალებით აეღო კარგად გამაგრებული ბედიის ციხე, ამასთან ლევან შარვაშიძეც საკმაოდ გავლენიანი კაცი იყო სამურზაყანოში. ამიტომ მან დახმარება რუსულ ადმინისტრაციას სთხოვა. მთავარმართებლის ბრძანებით, დადიანის დასახმარებლად ზარბაზნების თანხლებით ორი ასეული, აგრეთვე იმერეთისა და გურიის სახალხო ლაშქარი გაიგზავნა. დეკემბერში ლევან V დადიანი ბედიისკენ გაემართა. ლევან შარვაშიძე მიხვდა, რომ დადიანს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და ციხე ჩააბარა. სამეგრელოს მთავარმა გულმოწყალება გამოიჩინა, ლევან შარვაშიძე მოხუცებულობის გამო არ დასაჯა, „გამოსაზრდელად“ სოფელი ფახულანი მიუჩინა და იქ გაგზავნა, შემდეგ ბედიის ციხე გაამაგრა, მეცი-

---

[1] **ა. ჭავჭავაძე**, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე, წიგნ. **ა. ჭავჭავაძე**, თხზულებები, თბ., 1986, გვ. 219.

[2] АКАК, т. VI, ч. I, Тифлис, 1874, გვ. 646, 658.

[3] საქართველოს ისტორია, I, გვ. 409.

[4] **ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება, გვ. 203.

[5] **ბ. ხორავა**, აფხაზეთი 1810-1880 წლებში, წიგნ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 220.

ხოვნეები ჩააყენა და ზუგდიდში დაბრუნდა.[1]

1812 წლის მაისში ბუქარესტში რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზავო ხელშეკრულება დაიდო. საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთმა ცნო ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების გადასვლა რუსეთის მფლობელობაში; რუსეთს ოსმალეთისთვის უნდა დაებრუნებინა აზიაში (სამხრეთ კავკასიაში) „იარაღის ძალით" დაპყრობილი ციხე-სიმაგრეები, დაბები და სოფლები.[2] საზავო ხელშეკრულების თანახმად რუსეთმა ოსმალეთს 1812 წლის 29 სექტემბერს ახალქალაქი, ხოლო 7 დეკემბერს ფოთი დაუბრუნა. რუსეთის მფლობელობაში დარჩა შავი ზღვის სანაპირო ზოლი მდ. ბზიფიდან მდ. ჩოლოქის შესართავამდე.[3]

XIX საუკუნის ათიან წლებში ძირითადად დასრულდა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიული დავა მეზობელ მხარეებთან. პირველ რიგში, ეს შეეხებოდა დავას ლეჩხუმის ირგვლივ. ლეჩხუმი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს შემადგენლობაში ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასასრულიდან შევიდა, როდესაც სამთავროს ტახტს ჩიქოვანთა საგვარეულო დაეუფლა. XVIII საუკუნის დასასრულს სამეგრელოს სამთავროს ლეჩხუმის მფლობელობა იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ სადავო გახადა, რომელმაც 1802-1803 წლებში თითქმის მთელი ლეჩხუმი დაიკავა. სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, ვითარება სამთავროს სასარგებლოდ შეიცვალა, რადგან მას მხარი რუსეთმა დაუჭირა. 1806 წლის მაისში რუსეთის სახელმწიფო საბჭომ ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს მიაკუთვნა, ხოლო 1810 წელს იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, სამეგრელოს მთავარს ლეჩხუმის უკიდურესი სოფელი ჭყვიშიც გადასცა, თუმცა ჭყვიშის ციხე რუსეთის სარდლობამ წინასწარ დაანგრია.[4]

სამეგრელოს სამთავროს სასარგებლოდ დასრულდა დავა საჭილაოს გარშემოც, რომელიც ჭილაძეების ძველი სამფლობელოს ერთ ნაწილს წარმოადგენდა. XIX საუკუნის დასაწყისში საჭილაო მდ. ცხენისწყლის ქვემო წელის ორივე ნაწილს მოიცავდა და დასავლეთით მდ. ნოღელამდე ვრცელდებოდა. ამ დროს საჭილაოში შედიოდა სოფლები: მარანი, ილორი, ნაფაღური, სამტრედია, სანავარდი, გულეკარი, ქვიშანჭალა, ქორეისუბანი, ტოლები, კვეტილა (კეთილარი), ეკალი, ნაფაცხევი, ტყვირი, ცილოური და შუა ქალაქი. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ეს პატარა მხარე იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი იყო, ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში. რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, ოდიშის სამთავროს მესვეურებმა ამ მხარის დამკვიდრებისათვის რუსეთის ხელისუფლებას მიმართეს და მიზანს მიაღწიეს. ასე რომ, 1815 წლის ახლო ხანებში რუსეთის მთავრობამ ეს მხარე სამეგრელოს მთავარს დაუმტკიცა. 1831 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავროს კუთვნილებად ცნო პალიასტომის ტბა, რაზეც დადიანები გურიის მთავრებს ედავებოდნენ.[5]

სამეგრელოს სამთავროს საეკლესიო იერარქია. რუსეთის იმპერიის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ მცხეთის საკათალიკოსო გაუქმდა. ანტონ II კათოლიკოსი 1811 წელს რუსეთში გაიწვიეს და მის ნაცვლად დანიშნეს ეგზარქოსი, რომელიც რუსეთის სინოდს ემორჩილებოდა. აფხაზეთის კათალიკოსის მაქსიმე II აბაშიძის (1776-1795) დიპლომატიური მისიით რუსეთში გამგზავრების შემდეგ, 1784-1795წწ. საკათალიკოსო საქმეებს ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი) განაგებდა. იგი იწოდებოდა, როგორც „ყ-დ სამღვდელო

---

[1] **ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება, გვ. 204; **ბ. ხორავა**, აფხაზეთი 1810-1880 წლებში, გვ. 219.

[2] **ნ. ქორთუა**, საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 420-421; **მ. ვაჩნაძე, ვ. გურული**, ამასიიდან ყარსამდე, გვ. 53.

[3] **ნ. ქორთუა**, საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 445; **მ. ვაჩნაძე, ვ. გურული**, ამასიიდან ყარსამდე, გვ. 53; **ბ. ხორავა**, აფხაზეთი 1810-1880 წლებში, გვ. 219.

[4] **თ. ბერაძე**, სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, გვ. გვ. 238-239.

[5] АКАК, т. VII, გვ. 398-399; **გ. ვაჭრიძე**, იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წლები), ქუთაისი, 1999, გვ. 267; **თ. ბერაძე**, სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გვ. 239.

ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს განმგებელი საკათალიკოსოსა“.[1]

1795 წლის 30 მაისს მაქსიმე კათალიკოსის კიევში გარდაცვალების შემდეგ დოსითეოს ქუთათელი დასავლეთ საქართველოს ეკლესიას სათავეში ოფიციალურად ჩაუდგა. 1814 წელს რუსეთის ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია გააუქმა და ის საქართველოს საეგზარქოსოს შეუერთა. შეიქმნა *საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა*, რომელსაც *საქართველო-იმერეთის ეგზარქოსი* ხელმძღვანელობდა.[2] მას დასავლეთ საქართველოს ყველა მხარის, მათ შორის, სამეგრელოს ეკლესიაც უნდა დამორჩილებოდა. ამის შემდეგ დღის წესრიგში დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე მოწყობის საკითხი დადგა. ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის (1817-1821) მიერ შედგენილი და რუსეთის ეკლესიის სინოდის მიერ დამტკიცებული გეგმით განზრახული იყო ეკლესიისათვის ქონებისა და შემოსავლის ჩამორთმევა და სახაზინო უწყებისთვის გადაცემა; საეპისკოპოსოების, ეკლესიებისა და სამღვდელოების რაოდენობის შემცირება, რადგან ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ სახაზინო უწყებაში გადასვლის შემდეგ ეპარქიათა სიმრავლე ქვეყნის ეკონომიკას მძიმედ დააწვებოდა. ამდენად, რეფორმის შედეგად დიდი რაოდენობით სასულიერო პირები შტატგარეშე რჩებოდნენ. მთავრობის გეგმის განსახორციელებლად საჭირო იყო საეკლესიო ქონებისა და შემოსავლის აღწერა.

ჯერ კიდევ 1816 წლის 4 იანვარს ჭყონდიდელმა ბესარიონმა, ცაგერელმა იოანემ და ცაიშელმა გრიგოლმა წერილით მიმართეს ლევან V დადიანს, აუხსნეს რეფორმის არსი და თავიანთი უკმაყოფილება გამოთქვეს.[3] ლევან V დადიანმაც საეკლესიო ქონების აღრიცხვაზე პროტესტი განაცხადა. მან წერილით მიმართა კავკასიის მთავარმართებელს ალექსი ერმოლოვს (1816-1827), სადაც აღნიშნავდა, რომ საეკლესიო მამულები ეკლესიას ნომინალურად ეკუთვნოდა, რეალურად კი მთავრის საკუთრებას წარმოადგენდა; საეკლესიო მამულებიდან ნატურით და ფულად გადასახადს მთავარი ისევე იღებდა, როგორც საკუთარი მამულიდან, საეკლესიო აზნაურები და გლეხები მას ისევე ემსახურებოდნენ, როგორც საკუთარი აზნაურები და გლეხები. ამიტომ ამ ქონების სინოდალური კანტორისთვის გადაცემა სამეგრელოს მთავარმა იმ პირობების დარღვევად ჩათვალა, რომლის ძალითაც სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. რუსეთის ხელისუფლებამ ეს პროტესტი საფუძვლიანად ჩათვალა და გადაწყვიტა სამეგრელოში მხოლოდ საეკლესიო ცხოვრების რეფორმით შემოფარგლულიყო.[4]

საეკლესიო რეფორმის გატარებისათვის ხელმძღვანელობის მიზნით ეგზარქოსი თეოფილაქტე 1819 წლის მაისში იმერეთში ჩავიდა. ივნისში საეკლესიო ყმა-მამულების აღწერა დაიწყო, რასაც იმერეთში საყოველთაო აჯანყება მოჰყვა. რეფორმის წინააღმდეგ გამოვიდა არა მარტო სასულიერო წოდება, არამედ თავადაზნაურობაც და გლეხობაც. აჯანყებამ არა მარტო იმერეთი, არამედ რაჭა-ლეჩხუმი და გურიაც მოიცვა. 1820 წელს რუსებმა მოტყუებით შეიპყრეს დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, რომლებსაც მთავრობა იმერეთის აჯანყების ხელმძღვანელობაში სდებდა ბრალს და რუსეთში გააგზავნეს. გზად, გორში, როცა ქუთაისიდან მიჰყავდათ, ტანჯული მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი) გარდაიცვალა. იგი ანანურში დაკრძალეს, ხოლო მიტროპოლიტი ექვთიმე (შარვაშიძე) რუსეთის ჩრდილოეთში, სვირის მონასტერში გაამწესეს, სადაც 1822 წელს აღესრულა. 1820 წლის შემოდგომაზე მთავრობამ შეძლო აჯანყების კერების ლიკვიდაცია.[5]

მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო რეფორმა სამეგრელოს სამთვაროს ფაქტობრივად არ შეხებია, იმერეთის აჯანყებამ გამოძახილი სამეგრელოშიც ჰპოვა. ანტირუსულ გამოსვლას აქ

---

[1] **ბ. ლომინაძე**, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII ს-თა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, — მსკი, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 138-139.

[2] **ბ. ლომინაძე**, მასალები..., გვ. 143.

[3] **ბ. ხურციძე**, იმერეთის ეპარქია 1821-1917 წლებში, ქუთაისი, 2008, გვ. 22.

[4] **თ. ბერაძე**, სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გვ. 239.

[5] АКАК, т. IV, Тифлис, 1870, გვ. 586; **В. Потто**, Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. 2, СПб., 1887, გვ. 699; **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 51-54; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. 1, თბ., 2017, გვ. 361-373.

1820 წელს ლევან V დადიანის უმცროსი ძმა გიორგი ბატონიშვილი ჩაუდგა სათავეში.

1811 წელს გიორგი ბატონიშვილი ნინო დედოფალმა პეტერბურგში წაიყვანა, სადაც პაჟთა კორპუსში ჩაირიცხა. პაჟთა კორპუსის დამთავრების შემდეგ მან ოფიცრის ჩინი მიიღო და გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში ჩაირცხა.[1] 1818 წელს ის შვებულებით ჩამოვიდა სამეგრელოში, მაგრამ აქ განზრახ დიდხანს დარჩა. მან ლევან V დადიანს საუფლისწულო მამული და სამთავროს გაყოფა მოსთხოვა. იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყების დროს მან გამთავრება განიზრახა. 1820 წლის აპრილში გურიაში აჯანყების გაფართოებას დაემთხვა გიორგი დადიანის შეიარაღებული გამოსვლა სამეგრელოში. მაისის დასაწყისში მისი რაზმი თავს დაესხა რედუტ-კალედან მარანში მიმავალ ფულის ფოსტას, ხოლო შემდეგ საბრძოლო მასალის ტრანსპორტს. რუსეთის ჯარის ნაწილმა და სამთავროს ლაშქარმა დაამარცხა გიორგი დადიანის რაზმი და გაფანტა. მოძრაობა ამით დამთავრდა კიდეც. ის სწრაფად იქნა ლოკალიზებული და შემდეგ ლიკვიდირებული. 1820 წლის ივნისში მეამბოხე ბატონიშვილი აფხაზეთის მთებში გაიქცა, მაგრამ ოდიშის მთავრის მუქარით დაშინებულმა აფხაზეთის მთავარმა მისი გაცემა განიზრახა. მაშინ, გიორგი ბატონიშვილი შეეცადა თავი შეეფარებინა თურქთა ხელში მყოფი ფოთის ციხისათვის, მაგრამ ოსმალეთს ზავი ჰქონდა დადებული რუსეთის იმპერიასთან და მას თავშესაფარზე უარი უთხრეს. ამის შემდეგ გიორგი ბატონიშვილი სვანეთში გაიქცა, სადაც ლევან V დადიანის მოთხოვნით დაატყვევეს და სამეგრელოში ჩამოიყვანეს. მთავარმა ძმის ნახვა არ ისურვა ისე გადასცა იგი რუსეთის ხელისუფლებას, თუმცა ითხოვა, რომ სიკვდილით არ დაესაჯათ. რუსეთის ხელისუფლებამ გიორგი დადიანის ამბოხი დადიანთა სამთავრო სახლის შიგნით ბრძოლის გამოხატულებად ჩათვალა. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლებამ გამოიცნო გიორგი დადიანის გამოსვლის არსი და ჩათვალა, რომ რუსეთის ხელისუფლებას ის საფრთხეს არ უქმნიდა. ამიტომ მეამბოხე ბატონიშვილი მკაცრად არ დაუსჯიათ. კავკასიის მთავარმართებლის ალექსი ერმოლოვის გადაწყვეტილებით, ლევან დადიანის პატივისცემით, იგი სასამართლოს არ გადასცეს. მთავრის მეამბოხე ძმა ციმბირში, ომსკის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში გაამწესეს.[2] იმავდროულად, კავკასიის მთავარმართებლის მოთხოვნით, გიორგი ბატონიშვილის დედა, ნინო დედოფალი, რომელიც პეტერბურგიდან ჩრდილოეთ კავკასიის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ იყო ჩასული, რიაზანში გადაასახლეს. ხელისუფლება ფიქრობდა, რომ მას კავშირი ჰქონდა იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყებასთან, თუმცა პირდაპირი სამხილი ვერ უპოვეს. მას მხოლოდ ორი წლის შემდეგ, იმპერატორის ჩარევით მისცეს პეტერბურგში დაბრუნების უფლება.[3] რაც შეეხება ლევან V დადიანს, 1819-1820 წლების აჯანყების დროს რუსეთის ხელისუფლების თანადგომისთვის, გენერალ-ლეიტენანტის ჩინი ებოძა.[4]

სამეგრელოს სამთავროს საეკლესიო ორგანიზაცია XIX საუკუნის დასაწყისში ფაქტობრივად დამოუკიდებელი ჩანდა, ფორმალურად კი ამ ორგანიზაციის მიმართ მთავარი უზენაესი ხელისუფალი იყო. სამთავროში სამი მღვდელმთავარი იყო: „მწყემსთ-მწყემსი“ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონი (დადიანი), „მწყემსთ-მთავარი“ ცაიშელი მიტროპოლიტი იოანე (დადიანი), „აფხაზეთისა და სამეგრელოს ნაწილის მწყემსთ-მთავარი“ ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლი (ჩიქოვანი). მათ შორის პირველობა ჭყონდიდელს ჰქონდა.[5] ამასთან, ჭყონდიდელი და ცაგერელი მღვდელმთავრები ოდიშის მთავრის გრიგოლ დადიანის ძმები იყვნენ.[6] სამეგრელოს სამთავროს ახალი საეკლე-

---

[1] **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 61.

[2] **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 62; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. 1, გვ. 379.

[3] **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 58-59.

[4] იხ. **ც. ქირია, შ. სარია**, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 96, 97; **ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება, გვ. 209; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 63.

[5] **მ. დუმბაძე**, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში, კრებ. *„მიმომხილველი“*, ტ. I, თბ., 1949, გვ. 18.

[6] **მ. დუმბაძე**, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია..., გვ. 18; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 49, 53.

სიო მოწყობისთვის რუსეთის მთავრობა ხელსაყრელ დროს უცდიდა, და ეს დროც მალე დადგა. 1823 წლის 15 ნოემბერს მიტროპოლიტი გრიგოლ ცაიშელი (1777-1823), ხოლო 8 დეკემბერს მიტროპოლიტი იოანე ცაგერელი (1796-1823) გარდაიცვალა. ეგზარქოსმა იონამ (ვასილევსკი) ეს დრო ხელსაყრელად ჩათვალა ამ ეპარქიების გასაუქმებლად და ისინი ჭყონდიდის ეპარქიას შეუერთა, რომელსაც მიტროპოლიტი ბესარიონ დადიანი (1796-1828) განაგებდა. 1829 წლის 23 ივნისს ჭყონდიდის ეპარქიას სამეგრელოს ეპარქია ეწოდა. კათედრა იყო მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.[1] ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ფორმალურად ეგზარქოსს დაუმორჩილეს, თუმცა მთავრის უფლება საეკლესიო ხელისუფლების მიმართ მაინც რჩებოდა.[2]

1828 წლის 16 ივლისს ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონი (დადიანი) გარდაიცვალა.[3] ამის შემდეგ სამეგრელოს ეპარქიას სათავეში ედგნენ: დავით წერეთელი (1829 წ. 30 მაისი – 1834 წ. 8 ივნისი), გიორგი კუხალაშვილი (1835 წ. 19 მაისი – 1842 წ. 3 აპრილი), ანტონ დადიანი (1843 წ. 14 თებერვალი – 1852 წ. 9 დეკემბერი), ზაქარია დგებუაძე (1853-1854წწ.), თეოფანე გაბუნია (1854 წ. 8 სექტემბერი – 1859 წ. 1 ივნისი), გერონტი პაპიტაშვილი (1860 წ. 16 აპრილი – 1862 წ. 19 მაისი), ბესარიონ ჩიჩუა (1863 წ. 1 იანვარი – 1865 წ. 13 იანვარი), ტარასი ელიავა (1865 წ. 30 აგვისტო – 1871 წ. 5 იანვარი).[4]

სამეგრელოს სამთავრო XIX ს. 20-40-იან წლებში. 1821 წლის თებერვალში აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა. აფხაზეთში გამთავრებას მისი ძმა, მამის მკვლელი ასლან-ბეი შეეცადა, რომელსაც მრავალი მხარდამჭერი აღმოაჩნდა. მაშინ, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით, 1821 წლის შემოდგომაზე პაჟთა კორპუსიდან გამოიყვანეს გარდაცვლილი მთავრის უფროსი ვაჟი დიმიტრი, რომელიც პეტერბურგში მისმა გამზრდელმა ნინო დადიანმა წაიყვანა. დიმიტრი შარვაშიძეს პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს და აფხაზეთში მთავრად გამოგზავნეს. მის გამთავრებას რუსეთის ჯარის ნაწილების ლაშქრობა დასჭირდა. ამ საკითხის მოგვარებაში სამეგრელოს მთავარმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. უპირველს ყოვლისა, სამეგრელოს მთავარმა ასლან-ბეის ჩამოაშორა რამდენიმე ფეოდალური საგვარეულო, რომლებთანაც დადიანებს ნათესაობა აკავშირებდათ. იმავდროულად, ლევან V დადიანმა აფხაზეთში რუსეთის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში სამეგრელოს სახალხო ლაშქარიც გაგზავნა. ლევან V დადიანმა საექსპედიციო კორპუსი სამთავროს საზღვრამდე, მდ. ღალიძგამდე გააცილა, შემდეგ კი მას ნიკო დადიანი წარუძღვა. რუსთა და ქართველთა ლაშქარმა ბრძოლით გაიკაფა გზა სოხუმამდე, შემდეგ აფხაზთა სამთავროს პოლიტიკური ცენტრი ზუფუ, იგივე ლიხნი, დაიკავა. სამეგრელოს ლაშქარმა მოარბია ნარჩოუ და გიორგი ინალიშვილების სამფლობელო და დიმიტრი შარვაშიძეს მთელი აფხაზეთი დაუმორჩილა.[5] 1822 წლის ოქტომბერში დიმიტრი შარვაშიძე მოულოდნელად გარდაიცვალა და 1823 წლის 14 თებერვალს იმპერატორმა სამთავრო ტახტზე მისი უმცროსი ძმა მიხეილ შარვაშიძე დაამტკიცა. 1824 წელს ახალი მთავრის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა, რომლის ჩახშობაში სამეგრელოს სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა.[6]

მიუხედავად რუსეთის მფლობელობის დამყარებისა, აფხაზეთში რთული ვითარება იყო, რაც სამეგრელოზეც ახდენდა გავლენას. აფხაზები ხშირად იჭრებოდნენ სამეგრელოში, იტაცებდნენ საქონელს, მიჰყავდათ ტყვეები. გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის ედუარდ აიხვალდის ცნობით, როგორც კი სამეგრელოს მთავარი მათ დასასჯელად გაილაშქრებდა, ისინი ტყეებსა და მთებს აფარებდნენ თავს და მათი დასჯა მხოლოდ ზამთარში იყო შესაძლებელი, როდესაც ასეთ თავშესაფარს მოკლებული იყვნენ. 1826 წლის მაისში, როდესაც ე. აიხვალდი სამეგრელოში ჩავიდა, გაიგო, რომ აფხაზები კვლავ შემოჭრილიყვნენ სამთავროში და ლევან V და-

---

[1] **Епископ Кирион**, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тифлис, 1901, გვ. 73-74.

[2] **მ. დუმბაძე**, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია..., გვ. 21.

[3] **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, წიგნ. **ე. თაყაიშვილი**, თხზულებანი, 4, გვ. 121.

[4] **Епископ Кирион**, Краткий очерк..., გვ. 75; **ე. თაყაიშვილი**, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 120-121.

[5] **ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება, გვ. 210-211; **ბ. ხორავა**, აფხაზეთი 1810-1880 წლებში, გვ. 230-231.

[6] **ნ. დადიანი**, ქართველთ ცხოვრება, გვ. 211-212; **ბ. ხორავა**, აფხაზეთი 1810-1880 წლებში, გვ. 233-237.

დიანი მათ გასადევნად და აფხაზეთთან საზღვრის გასამაგრებლად იყო წასული. აღმოჩნდა, რომ სამეგრელოს მთავრის მიახლოებისთანავე აფხაზები მთებში გაქცეულიყვნენ.[1]

1828 წლის 7 მაისს რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი (1828-1829) დაიწყო, რომლის ერთ-ერთ ასპარეზს საქართველო წარმოადგენდა. 1828 წლის ივნისში რუსეთის ჯარის ნაწილებმა ფოთის ციხეს ალყა შემოარტყეს. რამდენიმე დღის შემდეგ ფოთთან ლევან V დადიანის მეთაურობით სამეგრელოს ლაშქარი მივიდა, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია რუსებს ფოთის აღებაში. რუსებს ზაფხულში კოლხეთის ჭაობებში ბრძოლა გაუჭირდათ და აქ შეყრილი ციების გამო, უშუალოდ ბრძოლის დროს თუ შემდეგ, ჯარის დაახლოებით მეოთხედი დაეღუპათ. უშუალოდ სამეგრელოს ლაშქარმა გადაუკეტა პალიასტომის ტბასთან თურქებს ფოთიდან სამხრეთისკენ მიმავალი გზა; აგრეთვე, იმ დროს რიონის შესართვში მდებარე ორი კუნძულიდან ერთ-ერთზე განალაგა ქვემეხები, რომელთა ცეცხლმა აიძულა ფოთის თურქული გარნიზონი კაპიტულაცია გამოეცხადებინა. 15 ივლისს რუსეთის ჯარის ნაწილებმა და სამეგრელოს სახალხო ლაშქარმა ფოთი დაიკავა.[2] სამეგრელოს ლაშქარი მონაწილეობდა თითქმის ყველა ბრძოლაში, რომელიც 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში დასავლეთ საქართველოში გაიმართა. 1829 წლის აგვისტოში სამეგრელოს სამიათასიანმა ლაშქარმა ლევან დადიანის მეთაურობით მუხაესტატესთან ბრძოლაში იერიშით აიღო მტრის ბანაკი და თურქებზე გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. 1829 წლის 14 სექტემბერს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრიანოპოლში ზავი დაიდო. ამ ზავის შესახებ ცნობამ საქართველოში დაგვიანებით მოაღწია. ამიტომ 15 სექტემბერს რუსეთის ჯარსა და თურქებს შორის ციხისძირთან კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართა. სამეგრელოს ლაშქრის მიერ გამოჩენილი სიმამაცის მიუხედავად, რომელსაც ერთხმად აღნიშნავენ რუსი ისტორიკოსები, ამ ბრძოლაში ქართველებმა და რუსებმა დიდი მარცხი განიცადეს და უკან დაიხიეს. თუმცა, ამ ბრძოლის შედეგს უკვე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით რუსეთის ხელში გადავიდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მდ.ყუბანის შესართავიდან მდ.ჩოლოქამდე, მათ შორის ფოთის ციხე. ოსმალეთმა ცნო სამეგრელოს სამთავროს რუსეთთან შეერთება.[3]

1828-1829 წწ. ომში გამოჩენილი მამაცობისათვის რუსეთის იმპერატორმა ლევან V დადიანი წმ. ვლადიმერისა და წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენებით დააჯილდოვა, ხოლო სამეგრელოს სამთავროს მოსახლეობას საგანგებო დროშა გამოუგზავნა, რომელზეც სამადლობელი სიტყვები ქართულ და რუსულ ენებზე იყო წარწერილი.[4]

საინტერესოა ერთი ფაქტი 30-იანი წლების სამეგრელოს სამთავროს ისტორიიდან. 1832 წელს, როგორც ტურისტმა, სამეგრელო მოიარა ოსტზეელმა მემამულემ გრაფმა შტაკელბერგმა, რომელსაც აქაური ბუნება ძალიან მოეწონა. მან სამეგრელოში გერმანელებისა და ლატვიელების ახალშენის მოწყობა განიზრახა და მათ დასასახლებელ ადგილად სოფელი ხუნწი შეარჩია. მთავარმა და გრაფმა ფორმალური ხელშეკრულებაც დადეს. შტაკელბერგი ხუთასი ოსტზეელი კოლონისტის ჩამოსახლებას აპირებდა. „ფორმალური ხელშეკრულება ... შემოწმებული იქნა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო პალატის მიერ. შტაკელბერგი კისრულობდა თავის ხარჯით გადმოეყვანა და აქ დაესახლებინა ხუთასი კოლონისტი ორისავე სქესისა, ხოლო ლევანი აძლევდა სამუდამო სამფლობელოდ სულზე ათ დესეტინას და თითოეულ დესეტინაზე ხუთ შაურსა სთხოვდა საიჯარო ფულსა“.[5] ამის შემდეგ სამეგრელოს მთავარს მოსახლეობისთვის გამოუცხადებია, რომ ახალმოშენეთა გადმოსვლისთანავე გრაფის მიერ შერჩეულ ადგილებს დატოვებდნენ. აქედან წასულ შტაკელ-

---

[1] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესსამედი). *გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა*, თბ., 2005, გვ. 173.

[2] **მ. დუმბაძე**, იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში, — სინ, ტ. IV, გვ. 882.

[3] **მ. ვაჩნაძე, ვ. გურული**, ამასიიდან ყარსამდე, თბ., 2007, გვ. 63-65; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. I, გვ. 434.

[4] **თ. ბერაძე**, სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გვ. 241.

[5] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებები, გვ. 104.

ბერგს, რაღაც მიზეზის გამო თავისი ჩანაფიქრი ვერ განუხორციელებია. 27 წლის შემდეგ, 1859 წელს, გრაფის შვილიშვილს განუზრახავს ამ შეთანხმების განხორციელება. ამ მიზნით მას კავკასიის რუსული ადმინისტრაციისთვის მიუმართავს, ჰქონდა თუ არა ხელშეკრულების საფუძველზე უფლება, რომ ხუნწში მდებარე მიწებით ესარგებლა. გრაფის შვილიშვილმა მთავრობისგან უარყოფითი პასუხი მიიღო, რადგან მთავართან დადებულ ხელშეკრულებას უკვე ძალა არ ჰქონდა.[1] ასე გადაურჩნენ ხუნწელები მშობლიური კერიდან აყრას.[2]

XVIII-XIX საუკუნეებში ხუნწის ერთი ნაწილი, ზემო ხუნწი, ჩიქვანთა//ჩიქოვანთა სამფლობელოში შედიოდა და საჩიქვანოდ იწოდებოდა. კორნელი ბოროზდინის ცნობით, მარტვილის „მონასტრის აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრივ ცხენისწყლის აყოლებაზე საჩიქოვანო იყო. იწყებოდა ხუნწთან, გადადიოდა სერებსა და გორაკებზე, სადაც მთავრების საზაფხულო ადგილი — დაბა გორდი იყო გაშენებული და თავდებოდა სოფელ კინჩხასთან. აქ სცხოვრობდნენ მხოლოდ აზნაურნი და თავადი ჩიქოვანები. მართალია, მამულები ბევრი არა ჰქონდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მთავრების მამულების მოურავები იყვნენ, ესენივე ერეოდნენ ამ მხარის მართვა-გამგეობის საქმეებში და ქონებრივად იმდენად კარგად იყვნენ, რომ ღარიბ მემამულეებად არ ითვლებოდნენ“.[3] ოდიშის მთავარმა დავით დადიანმა 1851 წელს დავით ჩიქოვანს უბოძა „საშვილიშვილოდ ხუნწის ჭალაშიდ ოცი ქცევა საყანე ადგილი“.[4] დავით ჩიქოვანი იყო ლევან V დადიანის დროინდელი სახლთუხუცესის როსტომ ჩიქოვანის (1838-1847) ძე, ასევე სახლთუხუცესი მამის შემდეგ.[5]

1837 წლის 27 სექტემბერს, გემი „პოლარული ვარსკვლავი“, რომელზეც იმპერატორი ნიკოლოზ I (1825-1855) იმყოფებოდა, რედუტ-კალეს მოადგა. იმპერატორს დახვდნენ მთავარმართებელი გრიგორი როზენი (1831-1837), სამეგრელოს მთავარი და თავადაზნაურები. რედუტ-კალედან იმპერატორი ზუგდიდში გაემართა, სადაც მას ლევან V დადიანმა ბრწყინვალე მასპინძლობა გაუწია. ზუგდიდიდან იმპერატორი შუა სამეგრელოს გზით ქუთაისში გაემართა, იქიდან კი თბილისში ჩავიდა.

XIX საუკუნის 30-40-იან წლებში რუსეთ-ოსმალეთს შორის მშვიდობა სუფევდა. შედარებით სტაბილური მდგომარეობა იყო აფხაზეთის სამთავროშიც, რომელიც რუსეთის ხელისუფლების უშუალო ჩარევას ნაკლებად მოითხოვდა. ასეთ ვითარებაში, სამეგრელოს სამთავროსა და მისი მთავრის მნიშვნელობა რუსეთის თვალში თანდათან დაეცა. ამით იყო გამოწვეული ის, რომ სამურზაყანოს საკითხში რუსეთის ხელისუფლება სამეგრელოს მთავრის განაწყენებასაც არ მოერიდა. 1840 წლის თებერვალში სამეგრელოს მთავარს ჩამოართვეს სამურზაყანო, რომელიც სახაზინო უწყებას გადაეცა. მისგან შეიქმნა რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამურზაყანოს საბოქაულო, რომელიც შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსს დაუქვემდებარეს. კომპენსაციის სახით რუსეთის ხელისუფლებამ ლევან V დადიანს 25 ათასი ვერცხლის მანეთი გადაუხადა.[6] 1840 წლის დეკემბრიდან 1847 წლის დეკემბრამდე დადგინდა სამეგრელოს სამთავროსა და სამურზაყანოს გამყოფი სადემარკაციო ხაზი. საზღვრად მიჩნეულ იქნა მდ. ენგურის ახალი კალაპოტის მარჯვენა ტოტი. ამის შესაბამისად, 1849 წლის 4 იანვარს სოფლები: დიდი კოკი და პატარა კოკი, განარჯიაშ მუხური, ორსანტია, შამგონა, რომლებიც მდინარის მარჯვენა ტოტის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდნენ, სამეგრელოს კუთვნილად ცნეს. სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში რჩებოდა სოფელი ფახულანიც მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე.[7] სოფლის სახელწოდება განარჯიაშ მუხური, გადმოცემით, უკავშირდება ლევან დადია-

---

[1] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებები, გვ. 105.

[2] **ი. კეკელია, ა. სანაია,** ხუნწი კორნელი ბოროზდინის მოგონებებში, გაზ. ,,მარტვილი“, №6, 2005 წ. 20 სექტემბერი.

[3] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებები, გვ. 333.

[4] მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საბ. №73, ა ჯგუფი; **ო. სოსელია**, ნარკვევები..., I, გვ. 325.

[5] **ო. სოსელია**, ნარკვევები..., I, გვ. 324-325.

[6] **ბ. ხორავა**, სამურზაყანო. ისტორიის ფურცლები, *აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული*, ტ. 3, სამურზაყანო, თბ., 2010, გვ. 16; **ბ. ხორავა**, აფხაზეთი 1810-1880 წლებში, გვ. 245-246.

[7] **ზ. ცინცაძე**, სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, *სიგკ*, VII, თბ., 1989, გვ. 98-101.

ნის მეჯოგე განარჯიას, რომელიც ენგურს გაღმა, მის ქვემო წელში, დიდ ჯოგს მწყემსავდა. მაშინ ამ მხარეში მოსახლეობა არ იყო და განარჯია მარტო ცხოვრობდა. იმ ადგილს შემდეგ განარჯიაშ მუხური (მეგრ. განარჯიას კუთხე) ეწოდა.[1]

ლევან V დადიანი ცდილობდა რუსეთის ხელისუფლებას მისი უფროსი ვაჟი დავითი ტახტის მემკვიდრედ დაემტკიცებინა. ასეთი თხოვნით რუსეთის ხელისუფლებას მან 1831 წელს მიმართა. იმპერატორმა თხოვნა დაამტკიცა და დავითი სამთავროს მართვაში ჩაერთო, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მამის წინააღმდეგობას წააწყდა. ტახტის მემკვიდრემ უსიამოვნებას თავი აარიდა და თბილისში დაბრუნდა.[2] 1839 წლის 18 მაისს დავით დადიანმა თბილისში, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში ეკატერინე ჭავჭავაძეზე ჯვარი დაიწერა.[3] ლევან V დადიანი შეეცადა, ტახტის მემკვიდრედ დავითის დამტკიცების შემდეგ, სამეგრელოს მმართველობა მისთვის ოფიციალურად გადაეცა. რუსეთის იმპერატორმა დააკმაყოფილა ლევან V დადიანის თხოვნა. 1840 წლის 11 მაისს გამოცხადდა იმპერატორის ბრძანება სამეგრელოს მთავრის უფლებების დავითისათვის გადაცემის შესახებ. იმერეთის მმართველის, გენერალ-მაიორ აკიმ ესპეხოს (1837-1841) თანდასწრებით ლევან V დადიანმა უფროს ვაჟს ალექსანდრე I-ის ნაბოძები ხმალი და დროშა გადასცა. ამის შემდეგ დავით დადიანი სამთავროს მართვა-გამგეობას შეუდგა, თუმცა მამის სიცოცხლეში მას მთავრის ტიტული არ მიუღია და მემკვიდრე-მმართველად იწოდებოდა.[4]

ადგილობრივი მმართველობა. 1840 წელს სამეგრელოს მემკვიდრე-მმართველმა დავით დადიანმა სამეგრელოს სამთავრო, ოდიშ-ლეჩხუმი, სამოურავოების ნაცვლად, რვა მაზრად დაყო. მაზრაში უმაღლეს ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფალს წარმოადგენდა მაზრის მდივანბეგი, რომელსაც თანაშემწის სახით მოადგილეც ჰყავდა.[5] საკუთრივ სამეგრელო, ექვს მაზრად იყო დაყოფილი: *ზუგდიდის მაზრა*: ზუგდიდი, ცაიში, ხობი, ნოჯიხევი, ბია, ხორგა, აბასთუმანი, ლედგებიე, კორცხელი, ახალდაბა, ყულისკარი, ხიბულა, კირცხი, ოჩხომური, ჭაქვინჯი, შამგონა, დიდი-კოკი, პატარა-კოკი, კახათი, დარჩელი, ჭითაწყარი, განარჯიას-მუხური, ორსანტია, ანაკლია. *ჯვარის მაზრა*: ჯვარი, ხუდონი, ლია, ნაგუროუ, კუხეში, საჩინო, ჯგალი, წალენჯიხა, ობუჯი, ჯუმითი, ლეწურწუმე, ალერტი, გურძემი, ნამიკოლოუ, თამაკონი, ჟინოთა, ლეცაავე, წაჩხური, კურზუ, ხანწკი, ოცინდალე, ჭოღა, მუხური, ლექარჩე, ნაკიკიანო, ნაჯაგუუ, ახუთი, სავეკუო, ლეგერსამე, დოშაყი, კიწია, მოიდანახე, ნოღა; *ზუბის მაზრა*: ზუბი, ზენი, ქვალონი, საგვასალიო, ხორში, საგაბესქირიო, ახალ-დოხორე, ციზეთი, მეორე ხორში, მაცხოვრისკარი, საჯიჯავო, ზანა, საწულეისკირიო, ეკი, იმანიერი, საფაღავო, უფალ-კარი, უშაფათი, ლეძაძამე, ნასაჯოგუ, ფოცხო, მოხაში, ლესიჭინე, ოჩხომურისპირი, სააფაქიო ზანა; *სუჯუნის მაზრა*: სუჯუნა, ეწერი, ესაკეთი, ზანათი, მთავარანგელოზი, მაცხოვარ-კარი ანუ კაპანა, რობა, ონტოფო, სეფიეთი, კადარი, აბაშა, გულუხეთი, სამიქაო, ონოღია, ნაგიბეროუ, ბანძა, ორქა, ჯოლევი, კვაუთი, ნოქალაქევი, კოტიანეთი, სორტა, სენაკი, გეჯეთი, წყემი, ნოსირი, შხეფი, თეკლათი, სახარბედიო; *საჭილაოს მაზრა*: კეთილარი, გულეკარი, ქორეისუბანი, ტოლები, ეკალი, ილორი, ნაფაღოური, სანავარდო, ნაჩხიტური, ქვიშანჭალა, ნაფარცხევი, ტყვირი, ცილორი, კოდორი, შუაქალაქი, კვათანა, წალიკარი, სირიაჩქონი, საქოჩაქიძო, წყარიძგა, მუხური, საღვამიჩაო, ჭალადიდი, პატარა ფოთი; *მარტვილის მაზრა*: მარტვილი, გორდი, ინჩხური, ხუნწი, ჟუშქი, კინჩხა, დიდღვაბუნა, ბალდა, საელიავო, ქვაითი, სუხჩე, საწისქვილო, რონდიში, ღვედი, ბომბოთი, ნალეფსოუ, I ნახუნოუ, II ნახუნოუ, III ნახუნოუ, აბედათი, ნაჯახოუ, I ნაგვაზოუ, II ნაგვაზოუ.[6] მდივანბეგი არა მარტო მაზრის გამგებელი, არამედ, იმავდროულად მაზრაში უმაღლესი

---

[1] **შ. შენგელი**, სურათები ძველი ოდიშის ალბომიდან, *ლიტერატურული კრებული „რიწა“*, სოხუმი, 1977 წ. გვ. 59.

[2] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, წიგნ. **ი. მეუნარგია,** ქართველი მწერლები, II, გვ. 98-100.

[3] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 102.

[4] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 103-104; **თ. ბერაძე**, სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, გვ. 244-245.

[5] **ა. ტულუში**, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, გვ. 250; **ა. ტულუში**, ნარკვევები..., გვ. 29.

[6] **ი. მეუნარგია,** დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 151.

სასამართლო ხელისუფალი იყო. მდივანბეგს და მის თანაშემწეს მთავარი ნიშნავდა, რაც გამორიცხავდა ამ სახელოს მემკვიდრეობით გადაცემას მაშინ, როდესაც ძველ ადმინისტრაციულ სისტემაში მოურავის სახელო ძირითადად მემკვიდრეობით გადაეცემოდა.[1]

1846 წლის 30 ივლისს ლევან V დადიანი აბასთუმნის სასახლეში გარდაიცვალა. იმავე წლის 4 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (1825-1855) დავით დადიანი სამეგრელოს მთავრად დაამტკიცა.[2]

დავით დადიანმა მაქსიმალურად გამოიყენა რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობა სამთავროს ეკონომიკური დაწინაურებისათვის. მანამდე სამთავრო ომებისა და ქიშპობის ასპარეზს წარმოადგენდა გაპარტახებული და ჩამორჩენილი მეურნეობით, ახლა შეიძლებოდა ზრუნვა სამთავროს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სხვა დროს მთავრებს ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ მოეწყოთ სამთავრო კარის მმართველობა, აეგოთ სასახლეები, ეზრუნათ კულტურის განვითარებაზე. ამ მხრივ დავით დადიანმა სხვებზე მეტი გააკეთა. ის ცდილობდა სამთავროს ცხოვრებაში რიგი გარდაქმნები გაეტარებინა. მან სამეგრელოს დაბალი სამღვდელოება მებატონეთა ყრმობისგან გაათავისუფლა და პირადი თავისუფლება მიანიჭა.

მთავარი დიდად ზრუნავდა ზუგდიდის გამშვენიერებაზე, რომელიც ქალაქს დაამსგავსა. ახალი ზუგდიდის მშვენებას წარმოადგენდა მთავრის სასახლის გვერდით 1830 წელს დასრულებული ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მშენებლობა. ერთხანს, 1806-1840 წწ. ზუგდიდს, გრიგორიოპოლისსაც უწოდებდნენ. თავის დროზე, ლევან V დადიანმა ნიკოლოზ I-ს ზუგდიდისთვის ქალაქის სტატუსის მინიჭება სთხოვა, მაგრამ იმპერატორს ამ თხოვნისთვის საკუთარი ხელით მიუწერია: „ეს ადგილი მინახავს და ვეჭვობ აქ ოდესმე ქალაქი გაშენდეს, რადგან იქაურობა ხავსსა და ჭაობშია. ქალაქის სახელი მაშინ უნდა ვუწოდოთ, როცა მართლა ქალაქი გაშენდება“. ახალი ზუგდიდი, — წერდა ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე, რომელიც 1848 წელს ეწვია დავით დადიანს, — დღეს მწვანით მოსილ ვრცელ მინდორზე შენდება, რომლის აღმოსავლეთით ელვარებს დადიანების სასახლე და ბაღი, ჩრდილოეთით რამდენიმე სახლი და პატარა მდინარე, დასავლეთით თავად გრიგოლის დროებითი საცხოვრებელი სახლი, ახალი სასახლე და მდინარის ფერდობი. სამხრეთით მდებარეობს ბაზარი. ყველაფერი ეს გაკეთებულია დავით დადიანის მიერ, რომელსაც დიდი სურვილი აქვს ბაზრობაზე გაიყიდოს მისი მამულის პროდუქცია და განვითარდეს ცივლიზაციის ელემენტები შიგა ძალისხმევითა და გარე სამყაროსთან კონტაქტებით. ასობით სახლი აიგო ორ-სამ წელიწადში. თუ მშენებლობის პროცესი ასეთი აქტიურობით გაგრძელდება, ზუგდიდი ნამდვილად გახდება აყვავებული დასახლება.[3] დავით დადიანმა და ეკატერინე ჭავჭავაძემ სასახლის გვერდით ტყის ნაწილი შემოღობეს, იტალიის ქალაქ ტრიესტიდან მებაღე ჟოზეფ ბაბინი მოიწვიეს, ევროპის ქვეყნებიდან იშვიათი ხეები და ყვავილები გამოიწერეს და ზუგდიდში ევროპული ყაიდის ბაღი გააშენეს.[4]

1853 წლის 30 აგვისტოს დავით დადიანი გარდაიცვალა. მთავრის უფროსი ვაჟი ნიკოლოზი მცირეწლოვანი იყო, ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ ტახტის მემკვიდრის მზრუნველად და სამეგრელოს მმართველად დავით დადიანის ქვრივი ეკატერინე ჭავჭავაძე დანიშნა, რომელსაც მრჩევლად გარდაცვლილი მთავრის ძმები გრიგოლ და კონსტანტინე დადიანები და სამეგრელოს ეპისკოპოსი ზაქარია ჭყონდიდელი დაუნიშნა. გარდაცვლილი მთავრის ძმას გრიგოლ დადიანს ხელმწიფის გადაწყვეტილება არ მოსწონდა, მას თვითონ სურდა მთავრობა და ამიტომ სამთავრო საქმეებს უგულოდ ეკიდებოდა, რათა რუსეთის ხელისუფლებისთვის ეკატერინე დედოფლის სისუსტე ეჩვენებინა. ეკატერინე დადიანი ყოველივე ამას კარგად ხვდებოდა, მაგრამ ცდილობდა ზედმეტად არ გაემახვილებინა ამაზე ყურადღება და სამთავრო საქმეების მოწესრი-

---

[1] **ბ. კვარაცხელია**, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში, თბ., 2009, გვ. 52.

[2] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 107.

[3] **მ. ბროსე**, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში. *ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა ხათუნა წიკლაურმა*, თბ., 2011, გვ. 31.

[4] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 117-124.

გებაზე ზრუნავდა. მან დაიახლოვა ჩიქვანები და მათზე ამყარებდა იმედებს. სამთავროში კიდევ ერთი პოლიტიკური დაჯგუფება არსებობდა, რომელშიც შედიოდნენ ელიზბარ ბატონიშვილი, დგებუაძეები, მიქაძეები, ფაღავები და სხვ. ისინი სამთავროს გაუქმებას და რუსეთთან მის უშუალოდ შეერთებას მიესწრაფოდნენ.[1]

დავით დადიანი იყო მწიგნობრობის დიდი მოყვარული, თვითონაც წერდა ლექსებს, თარგმნიდა, გატაცებული იყო სიძველეთა ძიებით. იგი იყო იშვიათი ბიბლიოფილი, აგროვებდა და ჰქონდა ქართულ ხელნაწერ წიგნთა მდიდარი კოლექცია. მან მეუღლეს დაუტოვა ანდერძი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრისთვის შეწირულობანი გაეგზავნა, როგორც ამას ტრადიციულად მისი წინაპრები აკეთებდნენ. დედოფალმა შეასრულა დავით დადიანის სურვილი და იერუსალიმის ჯვრის მონასტერს, წმ. საბას ლავრას იერუსალიმში, ათონის მთის 20 მონასტერს, იერუსალიმის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის საპატრიარქოებს შეწირულობანი გაუგზავნა.[2]

ყირიმის ომი და სამეგრელო. 1853 წლის ოქტომბერში რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო, რომელიც ისტორიაში ყირიმის ომის (1853-1856) სახელითაა ცნობილი. ომის თეატრმა საქართველოც მოიცვა. 1855 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სოხუმში თავი მოიყარა თურქთა 45 ათასიანმა კორპუსმა, რომელსაც ომერ-ფაშა სარდლობდა. მისი ამოცანა იყო რუსეთის ჯარის ნაწილების მიერ ალყაშემორტყმულ ყარსის ციხე-სიმაგრეს დახმარებოდა.[3] ოქტომბრის პირველ რიცხვებში ომერ-ფაშას კორპუსის ნაწილები სამეგრელოსკენ დაიძრნენ. 70 ვერსის გავლას, სოხუმიდან ენგურამდე, მათ 16 დღე-ღამე მოანდომეს. სამეგრელოს დაცვა გურიის რაზმს ჰქონდა ნაბრძანები, რომელსაც გენერალი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი მეთაურობდა. მის განკარგულებაში მცირერიცხოვანი ძალა იყო, რომლითაც სამეგრელოს გაჭიმული საზღვრის დაცვა შეუძლებელი ჩანდა. რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილების გვერდით სამეგრელოს სახალხო ლაშქარიც იბრძოდა. მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ ივანე ბაგრატიონ-მუხრანელს მხოლოდ 5 ათასი ჯარისკაცი და სახალხო ლაშქრის რაზმები ჰყავდა. გურიის რაზმის ნაწილები ენგურის გასწვრივ განლაგდნენ. კახათთან, სანარმანიოს გადასასვლელთან — ერთი ბატალიონი 2 ქვემეხით. მას რეზერვად ჰყავდა ორი ასეული ერთი ქვემეხით. სანარმანიოს გადასასვლელის დაცვას პოლკოვნიკი სოლომონ ზვანბა ხელმძღვანელობდა. სანარმანიოდან ორი ვერსის დაშორებით, კოკის გადასასვლელთან იდგა რეგულარული ქვეითი ჯარის ორი ასეული და კაზაკთა ორი ასეული 2 ქვემეხით. იქვე, ტყეში დაბანაკებული იყო საერთო რეზერვი — 2 ბატალიონი და იმერეთის ცხენოსანი სახალხო ლაშქრის 4 რაზმი. კახათის, სანარმანიოსა და კოკის გადასასვლელებზე ჩაყენებული ჯარებისა და რეზერვის საერთო სარდლობა დიმიტრი შარვაშიძეს ებარა.[4]

1855 წლის 25 ოქტომბერს ომერ-ფაშა შეტევაზე გადმოვიდა და თავდაპირველად სოფელ რუხთან შეეცადა მდ. ენგურის გადმოლახვას, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. მაშინ ის მთავარი ძალებით ქვევით დაეშვა და მოულოდნელად სანარმანიოს გადასასვლელზე მიიტანა იერიში. უთანასწორო ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. თურქები იერიშზე გადმოვიდნენ კოკთანაც და რუსებისა და ქართველების შეერთებული ჯარი აიძულეს უკან დაეხია. ენგურის მარცხენა ნაპირზე, სანარმანიოსთან, სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. აქ დაიღუპნენ პოლკოვნიკი სოლომონ ზვანბა და მისი შემცვლელები, პოლკოვნიკი იოსელიანი, კაპიტნები ივინი და კობელევი. 25-26 ოქტომბრის ღამით რუსეთის ჯარის ნაწილებმა და სახალხო ლაშქარმა უკან დაიხია, შემდეგ კი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელმა სამეგრელო დატოვა და ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე გამაგრდა. რუსეთის ჯარის ნაწილების უკანდახევის შემდეგ სამეგრელო თურქებმა დაიკავეს, მაგ-

---

[1] **მ. კოლხიდელი**, გლეხების აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნე უტუ მიქავა. ისტორიული მონოგრაფია, ტფილისი, 1926, გვ. 15.

[2] **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 72-74.

[3] **ბ. ხორავა**, ყირიმის ომი და აფხაზეთი, *კრებ. მარი ბროსე 210*, თბ., 2012, გვ. 166.

[4] **ე. ორჯონიკიძე**, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება, *სინ*, ტ. V, თბ., 1970, გვ. 212; **ბ. ხორავა**, ყირიმის ომი და აფხაზეთი, გვ. 169-170.

რამ მოსახლეობა არ შერიგებია ოკუპაციას და ნამდვილი პარტიზანული ბრძოლა გაჩაღდა.[1] მოგვიანებით, კ. ბოროზდინი წერდა, რომ ენგურთან დამარცხებას მთლიანად მუხრან-ბატონს აბრალებდნენ, რომელსაც მთელი ჯარი სანარმანიოში დაეყენებინა, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერა მტერი ენგურს გაღმა, რადგან ომერ-ფაშას 30 000 კაცი ჰყავდა, მუხრან-ბატონის ჯარი კი 5 000 კაცს არ აღემატებოდა.[2] იმ ადგილს კოკში, სანარმანიოში, სადაც სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა, ხალხი „ნალიმას“ (ლიმა, მეგრ. ბრძოლა) უწოდებს.[3] აქვე ახლოს, მდ. ენგურზე მორევს „ბოჩოშ ნაშქვიდუ“-ს ეძახდნენ. გადმოცემით, 1855 წლის ოქტომბერში თურქებმა დაიჭირეს გლეხი ბოჩო ბიბლაია და უბრძანეს ნავით გადაეყვანა ენგურზე. ბოჩო ბიბლაიამ ნავი ამ მორევისკენ წაიყვანა და გადააბრუნა, თურქებიც დაახრჩო და თვითონაც დაიღუპა.[4]

ომერ-ფაშამ და მის ბანაკში მყოფმა ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ლონგვორტმა და გრაფმა დე მეფრემ სცადეს სამეგრელოს დედოფალთან მოლაპარაკება, მაგრამ მან თავი შორს დაიჭირა. დედოფალმა შვილები მურის ციხეში გახიზნა, თვითონ კი სათავეში ჩაუდგა სამთავროს მოსახლეობის ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ჩოხა-ახალუხით, ნაბდითა და ყაბალახით შემოსილი, შეიარაღებული და ცხენზე ამხედრებული დედოფალი პირადად ხელმძღვანელობდა მებრძოლთა რაზმებს და სიმამაცისა და სიმხნევის მაგალითს იძლეოდა.[5]

1855 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარის ნაწილებმა ყარსი აიღეს და ომერ-ფაშას ლაშქრობამ აზრი დაკარგა. მალე, რუსეთსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკებებიც დაიწყო, რომელიც 1856 წლის 18 მარტს ზავის დადებით დასრულდა. ამის შემდეგ თურქებმა სამეგრელო თანდათან დატოვეს.[6] ყირიმის ომი რუსეთის დამარცხებით დამთავრდა, თუმცა მას ტერიტორიები არ დაუკარგავს.

ომერ-ფაშას შემოსევამ სამეგრელოს სამთავრო ძალზე დააზარალა. თურქებმა გაძარცვეს ზუგდიდი, გადაწვეს მთავრის სასახლეები, გაჩეხეს სასახლის ბაღი; დაარბიეს, გაძარცვეს, გადაწვეს სამეგრელოს ეკლესია-მონასტრები, მათ შორის: კოკის, ონტოფოს წმ. ნიკოლოზის, ხორშის წმ. გიორგის, ხორშის მაცხოვრის, ხორშის წმ. გიორგის მეორე, აბასთუმნის წმ. ნიკოლოზის, ზუგდიდის მაცხოვრის, სენაკის მაცხოვრის, ქვაშიხორის წმ. ნიკოლოზის, სორტის იოანე ნათლისმცემლის და სხვ.[7]

სოციალური ვითარება. რუსეთის მფლობელობის დამყარების შემდეგ, XIX საუკუნის I ნახევარში, სამეგრელოში შეწყდა გარეშე მტრების შემოსევები, ტყვის სყიდვა აიკრძალა და თანდათან აღიკვეთა, შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება დამყარდა, რამაც სამთავროს ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება საგრძნობლად წინ წასწია. დასავლეთ საქართველო რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში მოექცა; განვითარდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები. XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველო შეუქცევადად შევიდა ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის ჩასახვის პერიოდში.[8] ამ დროს მოისპო სათავადო-სენიორიების სისტემა, გაქრა სოციალური სხვაობა თავადებსა და აზნაურებს შორის — მათ შეადგინეს თავადაზნაურთა ერთიანი წოდება, გაუქმდა მემკვიდრეობითი თანამდებობები, შეუვალობა; გაჩნდა დაქირავებულ შრომაზე დამყარებული მეურნეობები.

ფეოდალური საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვან სოციალურ ფენას გლეხობა წარმოადგენდა. გლეხობა დაყოფილი იყო მოჯალაბეთა, მებეგრეთა, მსახურთა, აზატთა კატეგორიებად. კუთვნილების მიხედვით გლეხობა იყოფოდა სამთავრო, საბატონო და საეკ-

---

[1] **ე. ორჯონიკიძე**, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება, გვ. 213. **ბ. ხორავა**, ყირიმის ომი და აფხაზეთი, გვ. 170.
[2] **კ. ბოროზდინი**, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 22.
[3] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007, გვ. 170.
[4] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II ზუგდიდის რაიონი, გვ. 168.
[5] **კ. ბოროზდინი**, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 42-71; **ი. მეუნარგია**, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, წიგნ. **ი. მეუნარგია**, ქართველი მწერლები, II, გვ. 186-189; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 75.
[6] **ბ. ხორავა**, ყირიმის ომი და აფხაზეთი, გვ. 172-174.
[7] **ა. სიჭინავა**, ეკის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, თბ., 2016, გვ. 17.
[8] **მ. დუმბაძე**, დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში, გვ. 49.

ლესიო ყმებად; აზნაურებიც სამთავრო, სათავადო და საეკლესიოდ იყოფოდნენ. საბატონო ბეგარა-ვალდებულებები გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა. ისინი იხდიდნენ ნატურალურ გადასახადს (ღალა) და დაგენილი დღეების განმავლობაში ბატონის მეურნეობაში მუშაობდნენ (ბეგარა). გლეხებს დაკისრებული ჰქონდათ პირადი ვალდებულებებიც: საშობაო, სააღდგომო, საქორწინო და სხვაგვარი ძღვენი უნდა მიერთმიათ ბატონისათვის.

სამეგრელოში შემდეგი სახის სახელმწიფო გადასახადები არსებობდა: *საური* — საყოველთაო სახელმწიფო ფულადი გადასახადი. გაწერილი იყო ყოველ კომლზე, მეტწილად 2 მარჩილის (50 კაპ.) ოდენობით; *საური* — მართვა-გამგეობისთვის დაწესებული გადასახადი, რომელსაც ყველა კატეგორიის გლეხი იხდიდა; *საციხე* — ფულადი გადასახადი, კომლზე 2 მარჩილი, სამეგრელოში ნატურით იხდიდნენ, ხმარდებოდა ქვეყნის თავდაცვის საქმეს; *საუდიერო* — ნატურალური სახელმწიფო გადასახადი. გლეხები იხდიდნენ ღომით, სიმინდით, ღვინით და საქონლით. მეტწილად, კომლზე გაწერილი იყო 15 ბათმანი ღომი ან 6 ბათმანი პური, 40 კოკა ღვინო. ამას გარდა, ყოველ 20-25 კომლს გააწერდნენ ერთ მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონელს.[1]

XIX საუკუნის I ნახევარში სამეგრელო ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენდა. მოსახლეობის მთავარ საქმიანობას მიწათმოქმედება შეადგენდა. მიწას პრიმიტიული იარაღით ამუშავებდნენ. რუსეთის მფლობელობის დროს გამოცოცხლდა ხელოსნობა და ვაჭრობა, დამყარდა სავაჭრო ურთიერთობები მეზობელ მხარეებთან თუ გარეშე ქვეყნებთან. გაუმჯობესდა გზები. ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია საფაბრიკო-საქარხნო პროდუქციის შემოსვლა. სოფლებში გაჩნდა კაპიტალისტური ტიპის მეურნეობები მებაღეობის, მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის და სხვა დარგებში. შინამრეწველური წესით დამზადებული საქონელი უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს კონკურენციას ვერ უწევდა, რის გამოც შინამრეწველობა, ხელოსნობა — დაეცა.[2] ამდენად, გლეხის სააარსებო საშუალებას მხოლოდ მიწა წარმოადგენდა. მაგრამ გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს მიწა სულ არ ჰქონდა ან ძალიან ცოტა ჰქონდა. ამიტომ გლეხი იძულებული იყო იგი იჯარით აეღო. მოიჯარადრე გლეხების მდგომარეობა მძიმე იყო. მოუსავლიანობის წლებში მემამულეები ანგარიშს არ უწევდნენ როგორი მოსავალი იქნებოდა და მოსავალს პირობის მიხედვით მოითხოვდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მოწეული მოსავალი საიჯარო ვალდებულებებს ვერ ფარავდა. ასეთ შემთხვევაში, მემამულე გლეხებს აიძულებდა იჯარა საკუთარი მიწის შემოსავლით ან სხვა საშუალებით დაეფარა.[3]

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების პირობებში გლეხთა მდგომარეობა დამძიმდა, რაც მემამულეებისაგან გლეხთა აყრა-გაქცევას იწვევდა. მიზანი იყო გლეხი გასცლოდა მებატონის სისასტიკეს, მძიმე ფეოდალურ ვალდებულებებს და სხვაგან ეძებნა თავშესაფარი. გლეხების მემამულეებისაგან აყრა-გაქცევა ანტიბატონყმური ბრძოლის ფორმა იყო. გლეხები უმთავრესად სამურზაყანოსა და აფხაზეთში გარბოდნენ. 1838-1839 წლებში სამურზაყანოში გაქცევის 9, 1840-1842 წლებში — 48, ხოლო მხოლოდ 1843 წელს — 29 შემთხვევა დადასტურდა. 1843 წელს სოფ. ჯოლევიდან თავად ოტია დადიანის გლეხების 4 ოჯახი გაიქცა. იმავე ხანებში, მემამულე გიგო ფაღავას 17 გლეხი გაექცა. იყო მემამულეების მკვლელობის შემთხვევებიც. 1844 წელს სოფ. ჭოღაში მემამულე ტოტი რატია მოკლა ყმამ ივანე გრიგოლიამ და ოჯახთან ერთად სამურზაყანოში გაიქცა.[4] სამურზაყანოში გლეხთა გაქცევამ იმდენად ფართო მასშტაბი მიიღო, რომ დავით დადიანმა 1847 წლის 3 აგვისტოს კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს (1844-1854) ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში მათი დაბრუნება სთხოვა. სამეგრელოს მთავრის წერილს მეფინაცვლისადმი ერთვოდა სხვადასხვა დროს სამურზაყანოში გაქ-

---

[1] **დ. გოგოლაძე**, ცვლილებები ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 901.

[2] **ვ. საბახტარიშვილი,** გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905-1907 წ.წ. (სენაკისა და ზუგდიდის მაზრები), თბ., 1959, გვ. 28-29.

[3] **ვ. საბახტარიშვილი,** გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 28-29.

[4] **დ. ლემონჯავა**, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857, თბ., 1957, გვ. 21-22.

ცეული გლეხების ვრცელი სია სოფლების მიხედვით.[1] სიაში ჩამოთვლილია გლეხები სამეგრელოს სამთავროს სოფლებიდან — ზუგდიდი, ცაიში, ხეთა, ნოჯიხევი, აბასთუმანი, ხორგა, ხიბულა, ჭაქვინჯი, ყულისკარი, ლედგებიე, სენაკი, ბანძა, ჯოლევი, თეკლათი და საჭყონდიდლო მამულიდან იყვნენ.

სამეგრელოს მთავარს საკმაოდ ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა, როდის და სად გაიქცა გლეხი და ვის შეაფარა თავი. სოფელ ზუგდიდიდან კვაჯი ფაჟავა ათი წლის წინ გადასულა სამურზაყანოში და მთელი თავისი ოჯახით თავად მანუჩარ ანჩაბაძესთან იმყოფებოდა; სოფელ ცაიშიდან ორი ძმა ვართაგავა ოთხი წლის წინ გაქცეულა და სოფელ ოტობაიაში თავად თადა ანჩაბაძეს მინდობია; იმავე სოფლიდან უტუია ქირიას ორი ვაჟი ხუთი თვის წინ გაქცეულა და ზურაბ ზვანბაიასთან იმყოფებოდა; სოფელ ხიბულიდან გაქცეული ხუთი კომლი ღურწკაია მთელი ოჯახით იმყოფებოდა სოფელ საბერიოში ჩქოტუებთან; სოფელ ყულისკარიდან რვა წლის წინ გაქცეული კიკოია გვილია თავისი ოჯახით ბოლიხუხუ ემუხვართან — სოფელ ოქუმში; სოფელ ლედგებიედან გაქცეული გლეხი ვატა ფარცვანია ერისთუ ანჩაბაძესთან — სოფელ მუხურში. ამ უკანასკნელს მიუტოვებია კანონიერი ცოლი, სხვაზე დაქორწინებულა და მაჰმადიანობა მიუღია. გაქცეულ გლეხებს შორის სახელის შეცვლის შემთხვევებიც ყოფილა. სოფელ ხიბულიდან ორი წლის წინ გაქცეული კიკოია მიქანძე ხიტუ ანჩაბაძის შვილებთან იმყოფებოდა, მაგრამ იქ ტაგუს ეძახდნენ. გაქცეულებს შორის იყვნენ არა მარტო საბატონო გლეხები, არამედ ერთი საეკლესიო გლეხიც. სოფელ ხორგიდან საეკლესიო გლეხი სიმონიკა სამი წლის წინ გაქცეულა და ხუხულობა ანჩაბაძესთან იმყოფებოდა. სამურზაყანოში გაქცეულ გლეხთა ერთი ნაწილი ოცდახუთი წინ იყო გადასული ამ მხარეში. გლეხი პაატია ცომაია საჭყონდიდლოდან შავი ჭირის ეპიდემიიდან სულ მალე გადასახლებულა სოფელ ოქუმში, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა; ერთი კომლი მაკალათია 1812 წლიდან ცხოვრობდა სოფელ გუდავაში; 12 სული სიგუა, სოფელ ბანძიდან, შავი ჭირის გავრცელებიდან სულ მალე გადასულა სოფელ ნაბაკევში მურზაყან და თადა ანჩაბაძეებთან; ხუთი სული კაკულია, სოფელ ჯოლევიდან, 1813 წლიდან იმყოფებოდა სოფელ ტყვარჩელში. სამურზაყანოში გაქცეულთა შორის ყმა ქალებიც იყვნენ. აზნაურ ანჯაფარიძის ქალი, სახელად კვაჯი, სოფელ ჯოლევიდან, კოჩა ნარმანიას მინდობია; გიგოია ანჯაფარიძის ქალი, ლევან შარვაშიძის გლეხს, ჯურუმია თორიას მინდობია. სამურზაყანოში გადასახლებულთა სიაში ერთი ებრაელიც არის. სოფელ სენაკის მცხოვრები მოშე ებრაელი 7 წლის წინ გაქცეულა სამურზაყანოში და შვილთან ერთად გიორგი ჯამულეთის-შვილთან იმყოფებოდა.[2] სიაში სულ 70 სახელია შეტანილი, თუმცა სამურზაყანოში გაქცეულთა რაოდენობის ზუსტად გარკვევა ძნელია, რადგან სიაში ზოგიერთი გლეხი კომლობრივად იხსენიება. მაგალითად, ერთი კომლი ტურავა სოფელ ეწერში თავად ხიტუ ანჩაბაძის შვილებთან ცხოვრობდა; ორი კომლი ვაღურია და გაჩი გერგაიები — თავად როსტომ ემუხვართან. ლევან V დადიანს ისინი გამოუხსნია, მაგრამ კვლავ გაქცეულან და სოფელ ოქუმში ბოლიხუხუ ანჩაბაძესთან და სესირყვა ანჩაბაძის შვილებთან იმყოფებოდნენ. სამურზაყანოში გაქცეულ გლეხთა რაოდენობა, სიის მიხედვით, დაახლოებით, ორასამდე აღწევდა. საარქივო საქმიდან არ ჩანს, დააბრუნეს თუ არა სამურზაყანოში გაქცეული გლეხები ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში. ნიშანდობლივია, რომ აქ მოხსენიებული ზოგიერთი გვარსახელი მცირე რაოდენობითაა ან საერთოდ არ დასტურდება სამეგრელოში; ზოგიერთი გვარსახელი — მიქანძე, ფარცვანია, ჯახუა, კაკუბერი, — საერთოდ არ ცხოვრობს სიაში დასახელებულ სოფლებში, ხოლო გვარსახელი — ანარკია, სამეგრელოში საერთოდ არ გვხვდება. ყოველივე ეს გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ დღეს სამეგრელოში მოსახლე დასახელებულ გვარსახელთა ნამლევობა (მცირერიცხოვნობა) სწორედ ამ გადასახლებით იყო გამოწვეული.[3]

---

[1] სცსსა, ფ. 4, აღწ. 1, ს. 652, ფურც. 11-14.

[2] **V. Lordkipanidze**, **B. Khorava, D. Chitanava, Q. Tsimintia,** Migration processes in the Principality of Mingrelia in the First Half of the 19th Century, *Bulletin of the Georgian National Academy of sciences*, vol. 15, no. 1, 2021, გვ. 107-108.

[3] **V. Lordkipanidze**, **B. Khorava, D. Chitanava, Q. Tsimintia,** Migration processes in the Principality of Mingrelia in the First Half of the 19th Century, გვ. 108.

XIX საუკუნის მოგზაურების ცნობებით, სამეგრელოში მოსახლეობა სოფლებში გაფანტულად ცხოვრობდა. გლეხების საცხოვრებელი იყო ფაცხა და ჯარგვალი. ქოხები შემაღლებულ ადგილებზე იდგა, ან ნიადაგის ტენიანობის გამო, ხის ბოძებზე იყო შეყენებული. მათ ჰქონდათ ორი, ერთმანეთის მოპირდაპირედ გაჭრილი კარი, ფანჯრები და საკვამური არა. შიგნით იყო ერთი სათავსი, რომლის შუაში კერა იყო. გადახურული იყო ისლით და სიმინდის ჩალით. სკამები, მაგიდები არ ჰქონდათ, კედელზე იყო მიდგმული მერხები. მხოლოდ შეძლებულებს ჰქონდათ სპარსული ან თურქული ნოხები.[1] ედუარდ აიხვალდის ცნობით, სალხინოში, დადიანის სასახლესთან, მან ნახა რამდენიმე მრგვალი დაწნული ქოხი. მათ ჰქონდათ ზევით აწვეტებული სახურავი, ორი მოპირდაპირე კარი და არცერთი ფანჯარა. თავდაპირველად ისინი გლეხების ქოხები ეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათში კარის თავადები ცხოვრობდნენ. ლევან V დადიანს სასახლეები ჰქონდა ზუგდიდში, სალხინოსა და გორდში. სასახლეები ხისგან იყო აგებული. ზუგდიდში მთავარი ხის სასახლეში ცხოვრობდა, თუმცა აშენებდა ახალ სასახლეს, რომელსაც ქვის საძირკველი ჰქონდა. სალხინოს სასახლე შემდგარი იყო მაღალ ბოძებზე; დახურულ აივანზე კიბე ადიოდა, შიგნით იყო მთავრისა და მისი ოჯახის საცხოვრებელი ოთახები. სკამები ან სხვა ავეჯი არ ჰქონდათ, მხოლოდ რამდენიმე მერხი იდგა კედლებთან. იატაკზე სპარსული ნოხები იყო დაფენილი. ერთ-ერთ მათგანზე იჯდა დედოფალი და ასე იღებდა სტუმრებს.[2] აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის ცნობით, 40-იან წლებში მთავრის ზუგდიდის სასახლე ორსართულიანი იყო, კრამიტით გადახურული და კირით შელესილი. წინა მხარეს 10 ფანჯარა ჰქონდა, გვერდით — 5 ფანჯარა. სასახლის მეორე სართულს წინა მხარეს ხის განიერი აივანი ჰქონდა, სადაც კიბე ადიოდა. აივნიდან ოთახებში კარებით შეიძლებოდა მოხვედრა. აქ ცხოვრობდა მთავარი და მისი ოჯახი. ქვედა სართული მოსამსახურეებისთვის იყო განკუთვნილი. აქვე იყო სამზარეულო და საკუჭნაო.[3]

მოსახლეობის ძირითადი საკვები კულტურა ღომი და სიმინდი იყო. გლეხებს მოსავალი მალე უმთავრდებოდათ და მარტი-აპრილიდან ზაფხულამდე, სანამ ღომი შემოვიდოდა, ძირითადად, მწვანილეულით იკვებებოდნენ. საკვებად იყენებდნენ ასევე ხილს, რომელსაც ხარშავდნენ. სიზარმაცის გამო ღომი და სიმინდი არასდროს მოჰყავდათ საჭირო რაოდენობით. ძირითადი საკვები იყო ღომის ფაფა, თევზეული. მთავარიც მეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა. შემოსავალი ძირითადად მის ამალას ხმარდებოდა, რომელიც მუდმივად მასთან მყოფი 50 თავად-აზნაურისაგან შედგებოდა. მთავარი შემოსავალს ძირითადად ნატურით იღებდა, ფულადი შემოსავალი მხოლოდ ხე-ტყის გაყიდვით ჰქონდა. ყმა-გლეხები მთავარს, თავადს და აზნაურს სიმინდის, ღომის, ხილისა და ღვინის გარკვეულ ნაწილს უხდიდა; განსაზღვრულ დღეებში ბატონის მამულში მუშაობდა, აძლევდა ქალიშვილს ან ვაჟს მოსამსახურედ. ყველა ეს გადასახადი დადგენილი იყო. თუ ბატონი მეტს მოითხოვდა, იგი გაქცევაზე იწყებდა ფიქრს. მთები და გაუვალი ტყეები გლეხებისათვის ერთგვარი გარანტია იყო, რომ ბატონი ზედმეტს არ მოითხოვდა.[4]

გლეხთა ანტიბატონყმური გამოსვლები. სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყება. ყირიმის ომის მსვლელობისას, 1855 წლის იანვარში, საეკლესიო გლეხების მღელვარება დაიწყო სოფელ სუჯუნაში, რისი მიზეზიც გახდა დედოფლის განზრახვა, საეკლესიო მამულები და შემოსავლები ხელში ჩაეგდო. გლეხთა გამოსვლის უშუალო საბაბი კი გახდა ეკატერინე დადიანის განკარგულება სუჯუნის ეკლესიიდან წმ. გიორგის ხატის მარტვილში გადასვენების შესახებ. ამით დედოფალს სურდა სუჯუნის საეკლესიო ადგილ-მამულსა და გლეხებზე თავისი ძალაუფ-

---

[1] **ედუარდ აიხვალდი** საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). *გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა*, თბ., 2005, გვ. 185; **აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი** საქართველოს შესახებ. XIX საუკუნის პირველი ნახევარი. *გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა*, თბ., 2011, გვ. 42-43; **მორიც ვაგნერი** საქართველოს შესახებ. *გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა*, თბ., 2002, გვ. 126, 134, 141.

[2] **ედუარდ აიხვალდი** საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გვ. 174-176, 185.

[3] **აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი** საქართველოს შესახებ, გვ. 44.

[4] **ედუარდ აიხვალდი** საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გვ. 171-172, 180; **მორიც ვაგნერი** საქართველოს შესახებ, გვ. 154-159; **აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი** საქართველოს შესახებ. XIX საუკუნის პირველი ნახევარი, გვ. 46, 55.

ლება საბოლოოდ დაემკვიდრებინა. გლეხებმა იარაღი აისხეს, ზარების რეკვითა და ბუკის გუგუნით სუჯუნის ეკლესიასთან შეიკრიბნენ და ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ საერთო საქმისათვის ერთსულოვნად იდგებოდნენ. გლეხთა გამოსვლა აშკარა ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა. ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ სამთავრო გლეხების კატეგორიაში გადასვლისა და მასთან დაკავშირებული ფეოდალური ჩაგვრის გაძლიერების წინააღმდეგ. გლეხთა მღელვარება მთელი იანვარ-თებერვლის განმავლობაში გრძელდებოდა. საბოლოოდ, ხელისუფლებამ შეძლო მღელვარების დაშოშმინება, მაგრამ ეკატერინე დადიანი იძულებული გახდა გაეუქმებინა განკარგულება სუჯუნიდან ხატის მარტვილში გადასვენების შესახებ.[1]

ყირიმის ომის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის კოლონიურ-ეკონომიკური ათვისება და მისი მმართველობის უნიფიცირება დაისახა მიზნად. ავტონომიური სამთავროების არსებობა აბრკოლებდა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნების განხორციელებას და ის სამთავროების გაუქმებას მშვიდობიანად ცდილობდა.[2] რუსეთის ხელისუფლება სამეგრელოს სამთავროს გაუქმების საბაბს ეძებდა და ეს საბაბიც მალე გამოჩნდა.

ყირიმის ომის დროს სამეგრელო ოკუპირებული იყო თურქთა ჯარის მიერ. სამთავროში მძიმე ვითარება იყო – ომმა გააჩანაგა მეურნეობა, მოიშალა ვაჭრობა, გლეხების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ომის მძიმე შედეგებს ერთვოდა თავად-აზნაურთა თავგასულობა. თავადაზნაურობა შეეცადა ომისგან მიყენებული ზარალი გლეხობის ხარჯზე აენაზღაურებინა. ომის მთელი სიმძიმე გლეხობას დააწვა, ისინი საბატონო გადასახადებს ვერ იხდიდნენ, მაგრამ ახალ გადასახადებს უწესებდნენ. თურქთა თარეშისაგან დარბეული და გაჩანაგებული გლეხები, რომლებიც ფიზიკურ განადგურებას გადაურჩნენ, ტყეში გაიხიზნენ, ისინი საძოვარ მიწებს ფარულად ყანებად ამუშავებდნენ, ხშირად კი იქვე სახლდებოდნენ.[3]

1856 წლის ივლისის ბოლოს სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე დადიანი პეტერბურგში გაემგზავრა იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1855-1881) მეფედ კურთხევის ცერემონიალზე დასასწრებად, სამთავროს მართვა-გამგეობა კი მაზლს გრიგოლ დადიანს ჩააბარა. დედოფალმა სახლთუხუცეს დავით ჩიქოვანს უბრძანა მოეწესრიგებინა სამოურავო მამულები, გლეხებისთვის მათ მიერ მიტაცებული ყანები ჩამოერთმია და ისინი იქიდან აეყარა. ამასთანავე, მან სახლთუხუცესს თურქების მიერ გაჩანაგებული სალხინოს სასახლის აღდგენის დავალება მისცა. ასეთ ვითარებაში, 1856 წლის შემოდგომაზე, სოფელ თამაკონში, უსამართლო მოპყრობის გამო, გლეხთა მღელვარება დაიწყო. ეს მღელვარება ჯერ კიდევ ჩაწყნარებული არ იყო, რომ სალხინოში მღელვარება დაიწყო. სალხინოში გლეხთა მღელვარების მიზეზი ის გახდა, რომ სახლთუხუცესმა გლეხები სასახლის შესაკეთებლად თავიანთი ხარჯით მორეკა და, იმავდროულად, სიმინდის დაფქვაზე მინდის აღება ბრძანა, რაც ადათის დარღვევა იყო. გლეხებმა ზუგდიდში გრიგოლ დადიანთან დეპუტაცია გაგზავნეს, მაგრამ სანუგეშო პასუხი ვერ მიიღეს. მაშინ, სალხინოში მღელვარება დაიწყო, გლეხებმა სასახლის მშენებლობაზე მუშაობა შეწყვიტეს. მღელვარებას სათავეში ჩაუდგა ფარული სათათბირო ორგანო „სხუნუ“, რომელშიც შედიოდნენ გლეხები: უტუ თოდუა, სქვამაია ნადარაია, შუკოჩია კილასონია, გვატია გადილია. აჯანყებულებმა შეკერეს წითელი დროშა „შილა“. 1856 წლის მიწურულს სალხინოში მეზობელი 7 სოფლის ათასზე მეტმა გლეხმა მოიყარა თავი. ისინი წაჩხურის ეკლესიის გალავანში ფიცის დადების შემდეგ, უტუ თოდუას მეთაურობით, სოფელ კიწიისკენ გაემართნენ და იქვე ახლოს დაბანაკდნენ. ამ დროს სალიპარტიანოს 16 სოფლის 2 ათასი კომლი აჯანყებულებს შეუერთდა. მეამბოხეთა ლაშქარი 4

---

[1] **მ. კოლხიდელი**, გლეხების აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნე უტუ მიქავა, გვ. 16; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა რეფორმამდელ საქართველოში (XIX საუკუნის 30-60-იანი წლები), სოხუმი, 1970, გვ. 178-180.

[2] **ე. ორჯონიკიძე**, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, გვ. 217-218.

[3] **ი. ანთელავა**, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმის წინარე ხანის საქართველოში. ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბება, — სინ, ტ. V, გვ. 230; **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., 1989, გვ. 73-74.

ათას კაცამდე გაიზარდა. სალიპარტიანო აჯანყების პირველ კერად იქცა, მეორე კერა იყო სოფლები ჯვარი და ლია, სადაც გლეხთა გამოსვლის უშუალო საბაბი გახდა გრიგოლ დადიანის განკარგულება ამ სოფლებიდან გლეხების აყრისა და იქ საფუტკრის გაშენების შესახებ. აქ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მჭედელი უტუ მიქავა, რომელიც თავისი რაზმით სოფელ საჩინოსკენ გაემართა. აქედან აჯანყებულები წალენჯიხაში შევიდნენ. აჯანყების მესამე კერა იყო საჭილაოსა და სუჯუნის მაზრები, სადაც აჯანყებას სათავეში კოჩა თოდუა ჩაუდგა. მეოთხე კერას ქმნიდა ზუგდიდის მაზრაში მოქმედი გლეხთა რაზმი, რომელსაც გლეხი კეზუა მეთაურობდა.[1]

1857 წლის გაზაფხულზე უტუ მიქავას რაზმი ჭანისწყლის ხეობას დაუყვა, აპრილის შუა რიცხვებში სოფელ ოჩხომურში შევიდა და წმ. ბარბარეს ეკლესიის მიდამოებში დაბანაკდა. აქვე მოვიდნენ სალიპარტიანოსა და საჭილაო-სუჯუნის გლეხთა რაზმები. აჯანყებულთა ეს კერები გაერთიანდა და საერთო ხელმძღვანელად უტუ მიქავა აირჩიეს. აჯანყება მთელ სამეგრელოს მოედო.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას გამოკვეთილად ანტიფეოდალური ხასიათი ჰქონდა. მის გაფართოებას ხელი შეუწყო რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომმა გლეხთა მძიმე მდგომარეობამ, აგრეთვე იმან, რომ ეკატერინე დედოფლის მიერ დროებით დატოვებული მმართველი, მისი მაზელი გრიგოლ დადიანი, გლეხების წინააღმდეგ ქმედით ზომებს არ იღებდა. აჯანყებულებმა შექმნეს დროებითი მმართველობა. თავადაზნაურთა ნაწილი იხიზნებოდა, ნაწილი კი იძულებული ხდებოდა არსებულ მდგომარეობას დამორჩილებოდა. აჯანყებულები ანადგურებდნენ იმ თავადაზნაურთა მამულებს, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ. მათ დაარბიეს კიწიელი მებატონის მურაზია ანჯაფარიძის, ნაგვაზაოელი მებატონის ლევან ჩიქოვანის და სხვათა მამულები. ასეთ ვითარებაში, აპრილის მიწურულს, პეტერბურგიდან ეკატერინე დადიანი სამეგრელოში დაბრუნდა, მაგრამ ამას ქვეყნის დაწყნარება არ მოჰყოლია. მან მოლაპარაკებით სცადა საქმის მოგვარება, თუმცა უშედეგოდ. მაისში აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს სამთავროს პოლიტიკურ ცენტრს ზუგდიდს და სამი დღის ბრძოლის შემდეგ, 12 მაისს დაიკავეს. 13 მაისს ეკატერინე დადიანმა ისევ სცადა აჯანყებულთა დაწყნარება, თუმცა უშედეგოდ. მაისში აჯანყებამ კულმინაციას მიაღწია, აჯანყებულებმა თითქმის მთელი სამეგრელო დაიკავეს. რუსეთის ხელისუფლებამ საგანგებო ზომები მიიღო რედუტ-კალეს გასამაგრებლად. დედოფალი იძულებული გახდა დახმარება რუსეთის ხელისუფლებისთვის ეთხოვა. 16 მაისს დედოფალმა ქუთაისში თავადი მიქაძე გაგზავნა და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ნიკოლაი კოლიუბაკინს დახმარება სთხოვა. რუსეთის ხელისუფლება სამეგრელოში განვითარებული მოვლენების თავის სასარგებლოდ გამოყენებას შეეცადა. ნ. კოლიუბაკინი დაუყოვნებლივ გაემართა სამეგრელოსკენ და ვითარებაში გარკვევას ადგილზე შეეცადა. რუსეთის ხელისუფლებამ აჯანყების მთავარ მიზეზად ადგილობრივი უვარგისი მმართველობა მიიჩნია, ეკატერინე დადიანს პირველ რიგში სამეგრელოს დატოვება და იქ რუსული ადმინისტრაციის შემოღება შესთავაზა.[2]

რუსეთის ხელისუფლება აჯანყების ჩასახშობად გადამწყვეტი ზომების მიღებას აჭიანურებდა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ალექსანდრ გაგარინი და სამხედრო გუბერნატორი ნ. კოლიუბაკინი აცხადებდნენ, რომ აჯანყება სამეგრელოს სამთავროში გამეფებული „უწესრიგობის“ შედეგი იყო და საჭიროდ მიაჩნდათ „ახალი წესების შემოღება“. რუსი მოხელეები გლეხობასთან კონტაქტების დამყარებით აჯანყების უსისხლო ფორმებში გახანგრძლივებას განზრახ უწყობდნენ ხელს, ვიდრე მმართველობის უვარგისობის საბაბით ავტონომიის გაუქმების საჭიროებას სააშკარაოზე გამოიტანდნენ. რუსეთის ხელისუფლება შეეცადა ეკატერინე დადია-

---

[1] **ირ. ანთელავა**, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმის წინარე ხანის საქართველოში, გვ. 231-232; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857 წწ., გვ. 51-137; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა რეფორმამდელ საქართველოში (XIX საუკუნის 30-60-იანი წლები), გვ. 184; **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 75-76.

[2] **ირ. ანთელავა**, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმის წინარე ხანის საქართველოში..., გვ. 232-233; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა რეფორმამდელ საქართველოში (XIX საუკუნის 30-60-იანი წლები), გვ. 188-189.

ნისთვის ნებაყოფლობით ეთქმევინებინა უარი სამთავროს მართვაზე. მას პირდაპირ განუცხადეს, რომ გადაწყვეტილი იყო სამთავროში რუსული მმართველობის შემოღება. რუსი მოხელეები დედოფალს სთავაზობდნენ მიეწერა იმპერატორისთვის, რომ მას არ ძალუძდა სამეგრელოს მართვა და ეთხოვა, მიეღო ის თავის მფარველობაში სამემკვიდრეო უფლებებით. მაგრამ ეკატერინე მტკიცედ იდგა თავის განზრახვაზე — სამთავრო ტახტი შვილისთვის შეენარჩუნებინა.[1]

20 მაისს ნ. კოლიუბაკინი აჯანყებულებს შეხვდა, რათა მათი უკმაყოფილების მიზეზები გაერკვია. ამ შეხვედრაზე უტუ მიქავამ კოლიუბაკინს ბრწყინვალე სიტყვით მიმართა, მან შთამბეჭდავად აღწერა გლეხებისადმი თავადაზნაურების არაადამიანური მოპყრობა, გლეხობის მძიმე მდგომარეობა, აჯანყების მიზეზები გააცნო და 8 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნა წარუდგინა: კაცის (ბატონის) კაცი არ უნდა არსებობდეს; ყმების ყიდვა-გაყიდვის მოსპობა; დაწესებულიყო გადასახადის ნორმა; ყმა უნდა სარგებლობდეს ადამიანური უფლებებით; უნდა არსებობდეს საკუთრების სავალდებულო ნორმა; მოისპოს წინანდელი დასასჯელი იარაღები და დაწესდეს სამართალი ბატონსა და ყმას შორის; ადათებისადმი უნდა არსებობდეს პატივისცემა; მებატონეთა უანგარიშო მმართველობის ნაცვლად უნდა იყოს ერთი მმართველობა; აკრძალულიყო გადასახადების თვითნებური გადიდება, დაწესებულიყო კანონზე დამყარებული მმართველობა, მოსპობილიყო ტანჯვა-წამების მეთოდები და სხვ.[2]

ნიკოლაი კოლიუბაკინმა გლეხებს დახმარება აღუთქვა, თუ ისინი დაიშლებოდნენ. გლეხები მართლაც დაიშალნენ, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ. მღელვარება გრძელდებოდა. ქუთაისიდან დამხმარე ძალის ჩასვლის შემდეგ მთავრობამ მებატონეების უფლებების აღდგენა დაიწყო, გლეხებს საბატონო ვალდებულებათა შესრულება მოსთხოვეს, მებატონეებს აჯანყებულთა მიერ ჩამორთმეულ მოახლე-მოსამსახურეეებს უბრუნებდნენ. მაისში მთავრობამ ცხენოსანი პატრული დააწესა და ამით საპოლიციო ძალაუფლება ერთგვარად აღადგინა. ყოველივე ამან აჯანყების ახალი ძალით აფეთქება გამოიწვია. ივნისში ჯვარი-სალიპარტიანოს ოლქი კვლავ აჯანყების ცენტრი გახდა. მღელვარება გაძლიერდა სოფლებში საჭილაო, ხობი, სუჯუნა, თეკლათი და სხვ. ასეთ ვითარებაში მთავრობამ მკაცრი ზომების მიღება გადაწყვიტა. აგვისტო-სექტემბერში ბრძოლები გაიმართა სოფელ ქვალონთან, ჯვართან, თეკლათში, მარტვილის მონასტერთან, ნახუნუში, ზუმში. ოქტომბერ-ნოემბერში მთავრობის ჯარებმა გადამწყვეტი ზომები მიიღეს აჯანყების ჩასაქრობად. აჯანყების მეთაურები უტუ მიქავა, ლევან კვარაცხელია, კოჩა თოდუა და სხვები შეიპყრეს. ჯარისკაცები აჩანაგებდნენ გლეხობას, სოფლებში ეგზეკუციები ჩააყენეს. ამრიგად, ხელისუფლებამ დეკემბერში აჯანყება ჩაახშო.[3]

დაახლოებით 40 კაცი, მათ შორის აჯანყების ხელმძღვანელები უტუ მიქავა, კოჩა თოდუა, ლევან კვარაცხელია არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლეს. მართალია თოდუას მოხუცებულობის გამო დანაშაული აპატიეს, მაგრამ ორი წელი მაინც გაატარა გადასახლებაში. აჯანყების მონაწილეთაგან ბევრი ციმბირში გადაასახლეს. მათ შორის იყვნენ თავად დუტუ დადიანის გლეხები სოფელ ჯგალიდან: ბახუ კვარაცხელია, ჯოტო კვარაცხელია, მახუია კვარაცხელია, ხუტუ კვარაცხელია. აჯანყებულებისადმი ხელშეწყობისთვის დაპატიმრებულთა შორის იყო ჯგალის მკვიდრი მღვდელი ბესარიონ კვარაცხელია. კოჩა თოდუა გადასახლებაში გარდაიცვალა, ხოლო უტუ მიქავა და ლევან კვარაცხელია დაავადებულები დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას. გადასახლების შემდეგ სამშობლოში დაბურნებული უტუ მიქავა ერთ ხანს წალენჯიხის საზოგადოების მამასახლისი იყო.[4]

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება ბატონყმობის კრიზისის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

---

[1] **ე. ორჯონიკიძე**, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, გვ. 218-220.

[2] **ირ. ანთელავა**, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება რეფორმის წინარე ხანის საქართველოში..., გვ. 233-234; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857 წწ., გვ. 107.

[3] **დ. ლემონჯავა**, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857 წწ., გვ. 137-192.

[4] **დ. ლემონჯავა**, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857 წწ., გვ. 192-194; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა რეფორმამდელ საქართველოში (XIX საუკუნის 30-60-იანი წლები), გვ. 189-204; **ი. ჭეიშვილი**, მასალები სამეგრელოს 1857 წლის აჯანყებაში მონაწილეთა შესახებ, — ,,საისტორიო მოამბე", ტ. II, ტფ. 1925, გვ. 142-176.

მალე მთელ იმპერიაში დაიწყო ბატონყმობის გაუქმება, რომელიც ბუნებრივია საქართველოსაც შეეხო.

რუსული მმართველობის შემოღება. რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს გლეხთა აჯანყება თავის სასარგებლოდ გამოიყენა და სამეგრელოს ავტონომია ფაქტობრივად გააუქმა. კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრ ბარიატინსკის (1856-1862) 1857 წლის 1 აგვისტოს ბრძანებულებით, სამეგრელოს მმართველის ეკატერინე დადიანისა და მისი დამხმარე საბჭოს — დავით დადიანის ძმების, გრიგოლ და კონსტანტინე დადიანებისა და სამეგრელოს ეპისკოპოსის ზაქარია ჭყონდიდელის, — ნაცვლად, სამეგრელოს მმართველად დანიშნა ახალი საბჭო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრის იპოლიტ დიუკრუასის თავმჯდომარეობით. დედოფალს წინადადება მიეცა მართვა-გამგეობა ახლადშექმნილი საბჭოსთვის გადაეცა. რადგან რუსეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ეკატერინე ჭავჭავაძის სამეგრელოდან ნებაყოფლობით გაყვანა, მას სამთავროზე მემკვიდრეობითი უფლებების შენარჩუნების გარანტია მისცა.[1] 8 სექტემბერს ა. ბარიატინსკიმ დაამტკიცა სამეგრელოს მმართველობის დებულება, რომლის ძალითაც აქ რუსული მმართველობა მყარდებოდა. მეფისნაცვლის 1857 წლის 26 სექტემბრის ბრძანებულებით, სამეგრელოს მმართველად ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ნიკოლაი კოლიუბაკინი დაინიშნა.[2] ფაქტობრივად, ამ თარიღით შეწყვიტა არსებობა სამეგრელოს სამთავრომ, თუმცა, რუსული მმართველობის შემოღება დროებით ღონისძიებად გამოცხადდა ტახტის მემკვიდრის სრულწლოვანებამდე.[3] იმპერატორის მიწვევით, ეკატერინე დადიანი პეტერბურგში გაიწვიეს, ოფიციალური მოტივით, ტახტის მემკვიდრის „შესაფერისი აღზრდისათვის", მაგრამ ეს იყო საბაბი მთავრის ცოლ-შვილის თავიდან მოსაშორებლად, რომ სამეგრელოში რუსული მმართველობის დამყარება გართულების გარეშე მომხდარიყო.[4] 25 ოქტომბერს დედოფალი ეკატერინე შვილებთან ერთად პეტერბურგში გაემგზავრა.[5]

ამდენად, რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავროს ავტონომია ფაქტობრივად გააუქმა და უშუალო რუსული მმართველობა დააწესა. უშუალო რუსული მმართველობის შემოღების მიუხედავად, ნიკოლოზ დადიანი კვლავ ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა. სექტემბერში სამეგრელოს სამთავროს „სამეგრელოს სამფლობელო" ეწოდა. შეიქმნა „სამეგრელოს მმართველობის საბჭო", რომელშიც რუსი მოხელეები და ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლები შეიყვანეს. „სამეგრელოს სამფლობელო" დაყვეს ზუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის ოკრუგებად, რომელთა სათავეში ოკრუგის უფროსები იდგნენ. მათ ქუთაისის გუბერნიის მაზრის უფროსების უფლებები მიენიჭათ.[6] ოკრუგების პირველი უფროსები იყვნენ: *ზუგდიდის* — თავადი რაფიელ ერისთავი, *სენაკის* — კორნელი ბოროზდინი, *ლეჩხუმის* — თავადი კონსტანტინე მიქელაძე.[7] ამრიგად, ყოფილი საოლქო მდივანბეგები ოკრუგების უფროსებით შეიცვალა. საკუთრივ სამეგრელოს ტერიტორიაზე შეიქმნა ზუგდიდისა და სენაკის ოკრუგები; სამეგრელოში შედიოდა ფოთისა და რედუტ-კალეს ნავსადგურები. ოკრუგებში საპოლიციო სამმართველოები არსებობდა. სასოფლო მმართველობა სამი მოხელით იყო წარმოდგენილი — ასისთავი, ათისთავი და გადასახადის ამკრეფი.[8] იმავე 1857 წელს სამეგრელოზეც გავრცელდა დებულება თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი თვითმმართველობის შემოღების შესახებ. დებულება

---

[1] **ე. ორჯონიკიძე**, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, გვ. 221; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 25.

[2] АКАК, т. XII, გვ. 308; **В. Н. Иваненко**, Гражданское управление Закавказьем, Тифлис, 1901, გვ. 509; **ე. ორჯონიკიძე**, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, გვ. 221.

[3] **მ. დუმბაძე**, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 404; **ე. ორჯონიკიძე**, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, გვ. 221.

[4] АКАК, т. XII, გვ. 316; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 25.

[5] **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 77.

[6] **В. Н. Иваненко**, Гражданское управление Закавказьем, Тифлис, 1901, გვ. 500.

[7] **კ. ბოროზდინი**, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 132.

[8] **ა. ტუღუში**, სამეგრელო, გვ. 251; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. I, გვ. 579.

თავადაზნაურობას უფლებას აძლევდა წოდების შინაგანი მართვისათვის აერჩიათ თავადაზნაურთა წინამძღოლები მაზრებში, აგრეთვე სამაზრო სასამართლოთა თითო მრჩეველი.[1]

1858 წლის 31 აგვისტოს სამეგრელოს მმართველი, გენერალ-მაიორი ნიკოლაი კოლიუბაკინი ერევნის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად გაამწესეს. სამეგრელოს მმართველად მისი ძმა, გენერალ-მაიორი მიხეილ კოლიუბაკინი დაინიშნა, რომელიც მანამდე თბილისის ვიცე-გუბერნატორი იყო.[2] 1861 წელს სამეგრელოს მმართველად მ. ჭილაევი დაინიშნა.

გლეხთა ანტიბატონყმური გამოსვლები 60-იან წლებში. *გლეხთა აჯანყება თამაკონში.* სამეგრელოში უშუალო რუსული მმართველობის შემოღების მიუხედავად, კვლავ გრძელდებოდა თავადების თვითნებობა. ამის გამო 1863 წელს სენაკის ოკრუგის სოფელ თამაკონში გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა მოხდა.

სოფელი თამაკონი სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი ოდითგანვე ცნობილი იყო მეთუნეობით. ამ საქმიანობას თითქმის ყველა ოჯახი ეწეოდა, განსაკუთრებით — ჯანაშიები, ფაცაციები, ხვიჩიები. აქ დამზადებული ნაწარმი სამეგრელოს გარეთაც გაჰქონდათ. 1819 წელს ლევან V დადიანმა თავად როსტომ ჩიქოვანს ამ სოფელში ხუთი კომლი ყმა გლეხი აჩუქა. ჯანაშიების და ფაცაციების ხუთი კომლის *საუდიერო* ვალდებულება თავად ჩიქოვანის მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ყოველ წელს 100 კოკა ღვინო და 10 ღორი უნდა გადაეხადათ, რაც ლევან V დადიანის სათანადო სიგელით იყო დადასტურებული. 1862 წლისთვის ჯანაშიებისა და ფაცაციების 5 კომლის რაოდენობა 23 კომლამდე გაიზარდა. თავადმა მოითხოვა 23 კომლს წელიწადში იმდენი *საუდიერო* გადაეხადა, რასაც მანამდე თითო კომლი იხდიდა, ე. ი. ყოველ კომლს — 20 კოკა ღვინო და ორი ღორი, სულ 23 კომლს — 460 კოკა ღვინო და 46 ღორი. 1862 წლის დამდეგს ჯანაშიებმა და ფაცაციებმა სამეგრელოს ხელისუფლებას მიმართეს თხოვნით, დაგვიფარეთ მემამულე ჩიქოვანების შევიწროებისაგანო, მაგრამ ამაოდ. იმავე წლის ივნისში მათ თხოვნით მიმართეს მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს გრიგოლ ორბელიანს, რათა დაეკანონებინა მთავრის 1819 წლის სიგელით დადასტურებული ვალდებულება — 100 კოკა ღვინო და 10 ღორი 23 კომლისათვის წელიწადში, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს. ამის შემდეგ გლეხებსა და მებატონეებს შორის ურთიერთობა უფრო გამწვავდა და გლეხებმა ვალდებულების შესრულება შეწყვიტეს. 1863 წლის მარტში ჯანაშიებმა და ფაცაციებმა კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ რომანოვს (1862-1881) საჩივრით მიმართეს. გლეხები ასაბუთებდნენ, რომ რაკი კომლობრივად გამრავლებას არ მოჰყოლია მიწის ნადელის გადიდება, ამიტომ გადასახადი იმდენივე უნდა დარჩენილიყო, რამდენსაც ადრე 5 კომლი იხდიდა. სენაკის ოკრუგის უფროსმა კორნელი ბოროზდინმა, მემამულეთა სასარგებლოდ ხარკის აკრეფის მიზნით, 9 მაისს თამაკონში კაზაკთა თანხლებით თავისი თანაშემწე ნანეიშვილი გაგზავნა. ნაფოსტართან, მდ. ტეხურის ხიდზე გავლისას, გლეხებსა და კაზაკებს შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც ნანეიშვილის თანმხლები თავადი ბეჟან დგებუაძე მოკლეს, ხოლო გლეხი გუტუ კვაშილავა და აზნაური გიორგი დგებუაძე დაიჭრნენ. ნანეიშვილი იძულებული გახდა უკან დაეხია. გლეხები შემდგომი ბრძოლისათვის მზადებას შეუდგნენ — დასახმარებლად მოუხმეს მეზობელი სოფლების გლეხებს, მოიმარაგეს იარაღი და ტყვია-წამალი. აჯანყების ჩახშობის მიზნით ოკრუგის უფროსმა ჯარის ნაწილი გამოგზავნა. 13 მაისს ბატალიონის ორმა ასეულმა თამაკონს ალყა შემოარტყა, რითაც სხვა სოფლებიდან მისი იზოლირება მოახდინა, შემდეგ სოფელში შეიჭრა და აჯანყება ჩაახშო. აჯანყების ხელმძღვანელები შეიპყრეს და ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. ამის შემდეგ თავადებმა გლეხების მიმართ უფრო მკაცრი ზომების გატარება დაიწყეს.[3]

---

[1] **შ. ვანიშვილი**, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., თბ., 1989, გვ. 169-170.

[2] газ. «Кавказ», №76, 1858 г. 28 сентября.

[3] **შ. ჩხეტია**, გლეხთა აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში, — მსკი, ნაკვ. 1, თბ., 1937, გვ. 75-124; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა რეფორმამდელ საქართველოში (XIX საუკუნის 30-60-იანი წლები), გვ. 228-233; **გ. ფარულავა**, სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ. *გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. სამეცნიერო სესია, 1961 წ. დეკემბერი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები*, ქუთაისი, 1961, გვ. 38-39; **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 90-92.

ჯვარის საბატონო გლეხთა აჯანყება. სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მაჩვენებელია სოფელ ჯვარის საბატონო გლეხების 1865 წლის ამბოხება.

დადიანების კუთვნილი სოფელი ჯვარი მდ. ენგურის ორივე ნაპირზე მდებარეობდა. 60-იან წლებში სოფელ ჯვარის მცხოვრებთა საერთო რაოდენობა 422 კომლი იყო. აქედან, საბატონო გლეხი — 346 კომლი, თავადაზნაურობა — 4 კომლი, სამღვდელოება — 5 კომლი. მემამულე ალექსანდრე დადიანმა თავის ყმას გოძო შელიას მოსთხოვა გადაეხადა *საუშვილო*, რომელსაც გლეხები ოჯახში ვაჟის გარდაცვალების შემთხვევაში იხდიდნენ და ფულზე გადაყვანით 1-დან 40 მანეთამდე შეადგენდა. გლეხმა მებატონის მოთხოვნა არ შეასრულა, რის გამოც დადიანმა მას ერთი ცხენი და ერთი ძროხა წაართვა, რომელთა საერთო ღირებულება 25 მანეთი იყო. მებატონის ძალადობა ჯვარის საბატონო გლეხების ამბოხების საბაბი გახდა. ჯვარის საბატონო გლეხებმა თავიანთ მებატონეებს — კაცია, ლევან, გოგია და ალექსანდრე დადიანებს უარი უთხრეს ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულებაზე და 1865 წლის აპრილიდან საბატონო გადასახადის გადახდა შეწყვიტეს. დადიანებმა სცადეს გლეხებთან მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ, ზუგდიდის ოკრუგის უფროსის თანაშემწემ, თავადმა ჯორჯაძემ, გლეხებს მოსთხოვა მემამულეებს დამორჩილებოდნენ, მაგრამ ვერც ამან გამოიღო შედეგი. ხელისუფლება შიშობდა, რომ გლეხთა მღელვარება ერთ სოფელს გასცდებოდა, ამიტომ სამეგრელოს მმართველმა ოკრუგის უფროსს, ი. მიქაბერიძეს, მოსთხოვა შესაბამისი ზომები მიეღო. ამის საპასუხოდ გლეხებმა იარაღი აისხეს. ი. მიქაბერიძე ჯარის ნაწილებთან ერთად ჯვარისაკენ გაემართა და გლეხების წინააღმდეგობის მიუხედავად აჯანყება ჩაახშო. სამეგრელოს მმართველის ვლასტოვის განკარგულებით, აჯანყების ორი მოთავე სტავროპოლის გუბერნიაში გადაასახლეს, რამდენიმე გლეხს ქუთაისის ჰაუპტვახტში პატიმრობა მიესაჯა. მიუხედავად დამარცხებისა, ჯვარის საბატონო გლეხთა აჯანყებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მებატონე დადიანები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ყმა გლეხებისგან საბატონო გადასახადის *საუშვილოს* უფლებაზე; ალექსანდრე დადიანიც იძულებული გახდა თვითნებურად მითვისებული ცხენი და ძროხა გლეხისთვის დაებრუნებინა.[1]

ბატონყმობის გაუქმება. ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისმა და გლეხთა ბრძოლის გამწვავებამ ცარიზმი აიძულა ბატონყმობა გაეუქმებინა. 1861 წლის 19 თებერვალს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1855-1881) ხელი მოაწერა მანიფესტს ბატონყმობის გაუქმების შესახებ და გლეხთა მოწყობის დებულება დაამტკიცა. საგლეხო რეფორმის თანახმად გლეხები გათავისუფლდნენ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, მათ მიიღეს პირადი თავისუფლება, მიწა კი მთავრობამ მემამულის საკუთრებად აღიარა.[2] მალე, იმავე საფუძვლებზე, საგლეხო რეფორმა იმპერიის განაპირა მხარეებში, მათ შორის, საქართველოშიც გატარდა. 1864 წლის 13 ოქტომბერს მთავრობამ დაამტკიცა „მთავარი დებულებები“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო თბილისის გუბერნიის (აღმოსავლეთ საქართველოს) გლეხთა განთავისუფლების პირობები. აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ საგლეხო რეფორმა დასავლეთ საქართველოშიც გატარდა. ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთი, რაჭა და გურია) ბატონყმობა 1865 წელს გაუქმდა.

იმპერატორის 1866 წლის 1 დეკემბრის ბრძანებულებით სამეგრელოში ბატონყმობა გაუქმდა.[3] რადგან ბრძანებულება სამეგრელოში მომდევნო წლის 19 თებერვალს გამოცხადდა, რეფორმის თარიღად სწორედ 1867 წელი ითვლება. საგლეხო რეფორმა დასავლეთ საქართველოშიც იმავე პრინციპებით გატარდა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, განსხვავება იყო მხოლოდ დეტალებში ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ გამოცემულ დებულებაში აღნიშნულია, რომ 1864 წლის 13 ოქ-

---

[1] **დ. ლემონჯავა**, ჯვარის საბატონო გლეხების 1865 წლის ამბოხება. *სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, ტ. 17-18, სოხუმი, 1966, გვ. 87-93; **დ. ლემონჯავა**, გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა რეფორმამდელ საქართველოში, გვ. 236-240.

[2] **ირ. ანთელავა**, საგლეხო რეფორმა საქართველოში, *სინ*, ტ. V, გვ. 273.

[3] **ი. ახალაია**, საგლეხო რეფორმა სამეგრელოში, სოხუმი, 1958, გვ. 128-129.

ტომბრის „სჯულდებანი ყოველთა იმა ნაწილთაშინა, რომელთაცაზედა არა დაწესდებიან განსხვავებანი ამა დამატებითა კანონთა შინა“, გავრცელდებიან სამეგრელოს, ე. ი. ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრის საბატონო გლეხებზეც.[1]

კანონით გლეხებს ტყითა და საძოვრებით სარგებლობისათვის მძიმე გადასახადი უნდა ეხადათ მემამულისთვის. მიწა ვერ მიიღეს იმ გლეხებმა, რომელთაც ის რეფორმამდე არ ჰქონდათ, აგრეთვე შინაყმებმა და ხიზნებმა. ბატონყმური უღლისაგან გათავისუფლებულ გლეხებს ნადელებით სარგებლობისთვის გაცილებით მეტი გადასახადი უნდა ეძლიათ მებატონისთვის, ვიდრე ბატონყმობის დროს იხდიდნენ.[2]

საგლეხო რეფორმის თანახმად გლეხები განთავისუფლდნენ ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, მათ მიიღეს პირადი თავისუფლება, მიწა კი მთავრობამ მემამულის საკუთრებად აღიარა. გლეხებს დაუტოვეს მხოლოდ მიწის მცირე ნაკვეთები, ე. წ. „ნადელები“ იმ პირობით, რომ ამ ნაკვეთებით სარგებლობისათვის გარკვეულ ვადამდე მემამულეებისთვის გადასახადი ეხადათ, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ მათგან ნაკვეთები გამოესყიდათ და სრულუფლებიანი მესაკუთრეები გამხდარიყვნენ. ამ ნაკვეთების გამოსყიდვამდე ყმობიდან განთავისუფლებულები *დროებითვალდებულ* გლეხებად იწოდებოდნენ. დროებითვალდებული გლეხები მემამულის მიწით სარგებლობისათვის მიწასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რეფორმამდელ გადასახადს იხდიდნენ. გამოსყიდვის ვადა დადგენილი არ იყო. მემამულეს გლეხზე დიდი უფლებები რჩებოდა. მიწის ნაკვეთები, რომლითაც გლეხები ადრე სარგებლობდნენ, მათ მთლიანად არ დაუტოვეს. ნადელი ყოველ ყმას კანონით დაწესებული ნორმით ეძლეოდა, ნორმის ზევით ფართობი კი ჩამოაჭრეს და მემამულეებს გადასცეს. ამის გამო გლეხთა მიწათმფლობელობა რეფორმამდელ ხანასთან შედარებით ზოგან ერთი მეოთხედით შემცირდა, ზოგან კი სულაც განახევრდა.[3]

დროებითვალდებულ გლეხს ცხრა წლის განმავლობაში უნდა შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებანი, შემდეგ კი უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ნადელზე და განთავისუფლდებოდა მემამულის გადასახადისაგან, მაგრამ მიწის ნაკვეთი მემამულისთვის უნდა დაებრუნებინა, რადგან მიწა მემამულის საკუთრებად იყო აღიარებული. ამ მიწის გამოსყიდვის უფლება მას ცხრა წლის განმავლობაში ჰქონდა, შემდეგ უკვე მემამულე ვალდებული არ იყო ეს მიწა გლეხისთვის მიეყიდა.[4]

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საბატონო გლეხებმა მიიღეს პირადი თავისუფლება, მათგან შეიქმნა დროებითვალდებულ გლეხთა ახალი კატეგორია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სამეგრელოში, *დროებითვალდებული გლეხების* გარდა არსებობდა ასევე *ხიზნების*, *მესაკუთრე* და *სახელმწიფო გლეხების* კატეგორიები.

ხიზნების კატეგორიას შეადგენდნენ უმიწაწყლო გლეხები, რომლებიც პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ და მემამულეებზე მხოლოდ ეკონომიკურად იყვნენ დამოკიდებული. ისინი მემამულის მიწებზე იყვნენ დასახლებული და მიწით სარგებლობისათვის მათ ღალასა და ბეგარას უხდიდნენ. ხიზანი ეწოდებოდა გლეხს, რომელიც თავის ბატონს გაექცა და სხვა მემამულეს შეეხიზნა. მემამულე გლეხს შეიფარებდა და მიწის ნაკვეთს გამოუყოფდა. ხიზნები ქართველების გარდა უცხოტომელებიც იყვნენ. გლეხთა ეს კატეგორია განსაკუთრებულმა სოციალ-ეკონომიკურმა პირობებმა წარმოშვა და დიდი ხნიდან იღებდა სათავეს. ისინი ფაქტობრივად საბატონო ყმების მდგომარეობაში იყვნენ, რადგან ბეგარა, რომელსაც მემამულის სასარგებლოდ იხდიდნენ, არ იყო განსაზღვრული წერილობითი აქტით და ჩვეულებაზე იყო დამყარებული, რაც ხელს უწყობდა მემამულეთა თვითნებობას. რეფორმა ხიზნებს არ შეხებია და მათი მდგომარეობა უცვლელი დარჩა. უფრო მეტიც, რეფორმის შემდეგ მემამულეები შეეცადნენ ხიზნების გამოსაღები ღალისა და ბეგარის გადიდებას, რათა მუდმივი მუშახელის დანაკლისი

---

[1] დებულება სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ, წგნ. **ი. ახალაია**, საგლეხო რეფორმა სამეგრელოში, გვ. 141; **ირ. ანთელავა**, საგლეხო რეფორმა საქართველოში, გვ. 293.

[2] საქართველოს ისტორია, I, გვ. 491-492.

[3] **ირ. ანთელავა**, საგლეხო რეფორმა საქართველოში, გვ. 273.

[4] **ი. ახალაია**, საგლეხო რეფორმა სამეგრელოში, გვ. 150-154.

აენაზღაურებინათ, რასაც ისინი ყმებისათვის პირადი თავისუფლების მინიჭებით განიცდიდნენ. ამდენად, ხიზნები, გარდა იმისა, რომ ისინი თავიანთ მემამულეს სხვადასხვა გადასახადს უხდიდნენ, სახელმწიფოსაგან დაწესებულ საერთო გადასახადებსაც იხდიდნენ. ხიზანი მემამულის ყველა მოთხოვნას უნდა დამორჩილებოდა, ანდა დაკავებული ადგილისთვის თავი გაენებებინა. მემამულეს შეეძლო მისი გაძევება დაკავებული ფართობიდან, როდესაც მოისურვებდა.[1] მოგვიანებით, ხელისუფლება შეეცადა ხიზნების მდგომარეობა საკანონმდებლო ნორმით განესაზღვრა. 1891 წელს დამტკიცდა დებულება ხიზანთა შესახებ, რომელიც მემამულეებისა და მათი მიწით მოსარგებლეთა ურთიერთობას მეტ-ნაკლებად არეგულირებდა.[2]

სახელმწიფო გლეხების კატეგორია ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში XIX საუკუნის მიწურულს წარმოიშვა ყოფილი საეკლესიო გლეხებისაგან, რომლებიც მთავრობამ ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა. 1880 წელს სამეგრელოს საეკლესიო მიწები სახელმწიფო ქონებათა უწყებას გადაეცა, ხოლო საეკლესიო გლეხები სახელმწიფო გლეხების კატეგორიაში ჩარიცხეს. სახელმწიფო გლეხებიც მიწის სიმცირეს განიცდიდნენ. საშუალოდ, მათ სამი დესეტინა (1 დესეტინა დაახლ. 1 ჰა უდრიდა) მიწა ჰქონდათ. ისინი მიწით სარგებლობისათვის ხაზინას უხდიდნენ გადასახადს. დასავლეთ საქართველოში მათი გადასახადი 24 მანეთამდე აღწევდა. სახელმწიფო გლეხები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე დროებითვალდებული გლეხები და ხიზნები, მათ არ უზრდიდნენ გადასახადს ისე, როგორც ამას მემამულეები აკეთებდნენ.[3] თუმცა, ასეთი გლეხების რიცხვი ძალიან მცირე იყო.

საგლეხო რეფორმის დებულება გლეხს უფლებას აძლევდა ნადელი შეესყიდა. მხოლოდ მაშინ თავისუფლდებოდა ის საბატონო გადასახადებისაგან და დამოუკიდებელი მეურნე ხდებოდა. 1868 წელს დამტკიცდა დებულება, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ნადელის გამოსყიდვის წესები. ქუთაისის გუბერნიის გლეხობამ საკუთარი სახსრებით, მთავრობის მაღალპროცენტიანი კრედიტის გარეშე, მოახერხა ნადელების გამოსყიდვა. ასე ჩამოყალიბდა *მესაკუთრე გლეხთა* ფენა. 1887 წელს ჭოღელმა დროებითვალდებულმა გლეხმა სვიმო დიხამინჯიამ მიწა გამოისყიდა და მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში გადავიდა.[4] მიწის წვრილ საკუთრებაზე გადასვლა დადებითი მოვლენა იყო, გლეხები საკუთარ მიწაზე გაცილებით მონდომებით მუშაობდნენ და მეურნეობის გაუმჯობესებას ცდილობდნენ. მემამულეებისა და ხაზინის დამოკიდებულებაში დარჩენილ გლეხებს ასეთი სტიმული არ ჰქონდათ, ამიტომ ბატონყმობის ნაშთები და მიწის იჯარის ფორმები გლეხური მეურნეობის აღმავლობას აფერხებდა.[5]

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ფართოდ გავრცელდა გლეხების მიერ მიწების იჯარით აღება. გლეხს იმდენად მცირე მიწა ჰქონდა, რომ იძულებული იყო მიწა იჯარით აეღო. გლეხებს მიწის მესაკუთრისაგან გარკვეული საზღაურის ფასად (მოწეული მოსავალი, მემამულის მიწაზე მუშაობა) დროებით სარგებლობაში იჯარით უნდა აეღოთ მიწები, მათ შორის ის მიწები, რომლებიც ადრე მათ სარგებლობაში იყო და მემამულისთვის საიჯარო გადასახადი გადაეხადათ. იჯარა ბატონყმობის გაუქმებამდეც არსებობდა, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გავრცელდა.[6]

ამდენად, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხები წინანდელზე უფრო მძიმე მდგომარე-

---

[1] **ვ. საბახტარიშვილი,** გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 21; **ა. კიკვიძე,** საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), თბ., 1959, გვ. 27; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. II, გვ. 125.

[2] საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. IV, XIX-XX საუკუნეები, თბ., 2012, გვ. 75.

[3] **ვ. საბახტარიშვილი,** გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 19-20; **ა. კიკვიძე,** საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 28-29; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. II, გვ. 131.

[4] **გრ. შენგელია**, წარსულ უკუღმართობათა ნათელი სტრიქონები, წერილი მეოთხე, გაზ. ,,ნაპერწკალი", №16, 1981 წ. 5 თებერვალი.

[5] საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. IV, XIX-XX საუკუნეები, გვ. 76.

[6] **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. II, გვ. 492.

ობაში აღმოჩნდნენ. საგლეხო რეფორმის შემდეგ ნადელის გადასახადი (ღალა) მოსავლის 1/8-დან 1/3-მდე გაიზარდა. გლეხი არა მარტო მემამულეს უხდიდა გადასახადს, არამედ მას კისერზე აწვა ე. წ. საერთო გადასახადები: სასულიერო წოდების, საზოგადოებრივი სამმართველოების, სოფლის სკოლების; გლეხი უნდა გამოსულიყო საგზაო მშენებლობაზე — გზების, ხიდების შეკეთება, საჭიროების შემთხვევაში გამოეყვანა გადასაზიდი საშუალებები და სხვ. გადასახადების სიმძიმე განსაკუთრებით გლეხობას აწვა. საშუალოდ, კომლზე 3,5 დესეტინა მიწის ფართობი და 120 მანეთი ნადელში გადასახდელი თანხა მოდიოდა.[1]

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სოფლად მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები მოხდა. თავადაზნაურობის მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა რენტაბელური მეურნეობის გამართვას; თავადაზნაურობის მეორე ნაწილი, რომელსაც მიწა მცირე შემოსავალს აძლევდა, მამულს ვალებში ყიდდა ან ბანკში აგირავებდა და საბოლოოდ კარგავდა. დაიწყო გლეხობის ქონებრივი დიფერენციაციაც, რაც მათი უღარიბეს, საშუალო და მდიდარი გლეხების ფენებად დაშლით დასრულდა.[2]

ბატონყმობის გაუქმება პროგრესული მოვლენა იყო. ყმური, იძულებითი შრომის გაუქმებამ გზა გაუხსნა კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას; თავისუფალი მუშახელი ქალაქებს მიაწყდა, მეტი გასაქანი მიეცა ფაბრიკა-ქარხნების მოწყობას და ვაჭრობა-აღებ-მიცემობას.

სამთავროს გაუქმება. 1867 წლის 4 იანვარს ნიკოლოზ დადიანი 20 წლის შესრულდა და, ამდენად, სრულწლოვანი გახდა. იმავე დღეს ტახტის მემკვიდრემ „უქვეშევრდომილესი“ თხოვნით მიმართა ალექსანდრე II-ს და სამეგრელოს სამთავრო ტახტზე უარი განაცხადა. იმავე დღეს რუსეთის იმპერატორმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის ძალითაც სამეგრელოში რუსეთის მმართველობის დამყარება გამოაცხადა. იმპერატორის ბრძანებულებით, ნიკოლოზ დადიანს ებოძა ერთდროული ფულადი კომპენსაცია 1 მლნ მანეთი, აგრეთვე მამულები სამეგრელოში და დაუმტკიცდა ტიტული „უგანათლებულესი თავადი სამეგრელოსი“ (დადიანი-მინგრელსკი).[3] ამდენად, 1867 წლის იანვარში სამეგრელოს სამთავრო იურიდიულადაც გაუქმდა.[4] სამეგრელოს ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.

1867 წლის ივნისში „სამეგრელოს მმართველობის საბჭო“ გაუქმდა და სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა.[5] ამის შემდეგ ოკრუგები მაზრებად გადაკეთდა, მათ სათავეში მაზრის უფროსები იდგნენ. ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში საკუთრივ სამეგრელო სენაკისა და ზუგდიდის მაზრების სახით შედიოდა.

დროებითვალდებულ გლეხთა გამოსვლები. საგლეხო რეფორმამ არსებითად ვერ გააუმჯობესა გლეხთა მდგომარეობა. მემამულე მიწათმფლობელთა მხრიდან ექსპლუატაციას ისიც დაერთო, რომ გაიზარდა სახელმწიფო გადასახადები. ექსპლუატაციის გაძლიერებას გლეხობამ საპროტესტო გამოსვლებით უპასუხა. 60-იანი წლების მეორე ნახევარში მთელ საქართველოში ფართოდ გაიშალა დროებითვალდებულ გლეხთა მოძრაობა. გლეხთა მოძრაობამ ზუგდიდისა და სენაკის მაზრების სოფლებიც მოიცვა. 1873 წელს დროებითვალდებულ გლეხთა გამოსვლები მოხდა სოფლებში ზუგდიდსა და კირცხში. გლეხთა მღელვარების მიზეზი მიწების გადამიჯვნა გახდა. მემამულეები შეეცადნენ საუკეთესო მიწები თავისთვის მიეთვალათ, ხოლო მწირი და უვარგისი მიწები კი გლეხებისთვის მიეზომათ, რამაც გლეხთა შეიარაღებული გამოსვლები გამოიწვია. ისინი უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე. 1874 წლის აპრილში გლეხთა გამოსვლები მოხდა სოფლებში — კოკში, ლიაში, ხიბულაში (ზუგდიდის მაზრა), ნოსირში (სენაკის

---

[1] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 16-19.

[2] **ი. კაჭარავა**, პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში, თბ., 1975, გვ. 49.

[3] **მ. დუმბაძე**, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 404; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 77.

[4] **მ. დუმბაძე**, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 404.

[5] газ. «Кавказ», №48, 1867 г. 22 июня.

მაზრა) და სხვ. გლეხები უარს ამბობდნენ ბეგარა-გადასახადებზე. ყველა ეს გამოსვლა მთავრობამ სამხედრო ნაწილების დახმარებით ჩაახშო.[1]

უფრო მძაფრი გამოსვლები დაიწყო 1876 წელს საგლეხო რეფორმიდან ცხრაწლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით. კოლონიური ჩაგვრისა და ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა გადმონაშთების წინააღმდეგ მიმართულ დროებითვალდებულ გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლას სამეგრელოში ხუფე ჯალაღონია და ხვაშტი ფიფია ხელმძღვანელობდნენ. რადგან აჯანყებამ ზემო სამეგრელოს, ლაკადის, სოფლები მოიცვა, ისტორიაში ის „ლაკადის ბუნტის“ სახელით შევიდა.

1876 წლის თებერვალში თავად გრიგოლ დადიანის კუთვნილი სოფლების ლიისა და ფახულანის დროებითვალდებულმა გლეხებმა ნადელისთვის დადგენილი გადასახადის გადახდაზე უარი განაცხადეს. ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ორი თვის მანძილზე გლეხებს განუმარტავდნენ „19 თებერვლის დებულებას“, არწმუნებდნენ, დამორჩილებოდნენ მემამულეებს, მაგრამ გლეხები უარს აცხადებდნენ მემამულე დადიანისათვის საბატონო გადასახადები გადაეხადათ. მაისის ბოლოს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა სოფელ ლიაში სამხედრო რაზმი გაგზავნა ზუგდიდის მაზრის უფროსის მეთაურობით, რათა დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გლეხების წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოეყენებინათ. სამხედრო ნაწილის მიახლოებისთანავე გლეხებმა დატოვეს თავიანთი სახლ-კარი და ტყეს შეაფარეს თავი. მაზრის უფროსმა დამსჯელი რაზმი გაუსია სოფელს და შეძლო მღელვარების მოთავე რამდენიმე გლეხი დაეკავებინა, მაგრამ ლიის მეამბოხე გლეხებს ფახულანისა და სხვა მიმდებარე სოფლების გლეხები შეუერთდნენ და მათმა რიცხვმა 2 ათასს მიაღწია. ვითარების გართულების თავიდან აცილების მიზნით მაზრის უფროსმა გაათავისუფლა დაკავებული გლეხები, დამსჯელი რაზმი მოხსნა და სოფელი ლია დატოვა. მიუხედავად ამისა, მღელვარება სწრაფად ვრცელდებოდა მაზრის სოფლებში და აჯანყებულთა რიცხვმა ივნისის დასაწყისში უკვე 4 ათასს მიაღწია. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა სამეგრელოს მეამბოხე გლეხების წინააღმდეგ დამსჯელი ჯარის ნაწილი გაგზავნა პოდპოლკოვნიკ ნიკოლაი პრინცის მეთაურობით. იმავდროულად, ზუგდიდში გაიგზავნა მეფისნაცვლის საბჭოს წევრი თავადი დ. ჯორჯაძე. დამსჯელი რაზმის ზუგდიდში ჩასვლისთანავე პოლკოვნიკმა პრინცმა მიიღო ცნობა, რომ აჯანყებულები ცდილობდნენ არა მარტო ზუგდიდის მაზრის, არამედ მთელი სამეგრელოს გლეხობა ჩაებათ აჯანყებაში. მათი ერთი რაზმი სენაკის მაზრისკენაც გაემართა იქაური გლეხების აჯანყებაში ჩართვის მიზნით. 16 ივნისს, საღამოს, დამსჯელი რაზმი პოდპოლკოვნიკ პრინცის მეთაურობით ზუგდიდიდან გამოვიდა. მისი მიზანი იყო აჯანყებულებისთვის გზა მოეჭრა. დამსჯელი რაზმის შეხვედრა აჯანყებულებთან 17 ივნისს მდ. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ლეწურწუმეში მოხდა. დამსჯელმა რაზმმა ასამდე გლეხი შეიპყრო და სოფლის კანცელარიაში დაამწყვდია, ხოლო დანარჩენი გლეხები გაფანტა. იმავე დღეს აჯანყებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს სოფლის კანცელარიას, სადაც გამაგრებული იყო პოდპოლკოვნიკი პრინცი დამსჯელი რაზმით, და დაკავებული გლეხების გათავისუფლება მოითხოვეს. მოლაპარაკებები, რომელიც ხუთი საათი გაგრძელდა, უშედეგოდ დამთავრდა. პრინცმა შეიარაღებულ გლეხებს წინადადება მისცა დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალის გამოყენებით დაემუქრა. მუქარამ გლეხები ვერ შეაშინა, ისინი განაგრძობდნენ კანცელარიის ალყას და დაკავებული გლეხების გათავისუფლებას მოითხოვდნენ. მაშინ პრინცმა სროლის ბრძანება გასცა, რასაც გლეხებმა სროლითვე უპასუხეს. შეტაკებისას 60-ზე მეტი გლეხი დაიღუპა ან დაიჭრა. დამსჯელი რაზმი შეტევაზე გადავიდა და აჯანყება ჩაახშო. შეიპყრეს აჯანყების მოთავე 14 გლეხი, მათ შორის: ხუფე ჯალაღონია, ხვაშტი ფიფია, ხუხუ სამუშია, მელიტონ ფიფია, ნიკო კვარაცხელია და სხვ. ასე დასრულდა სამეგრე-

---

[1] **მ. ახობაძე**, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში, თბ., 1970, გვ. 217-223; **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 127-130.

ლოს გლეხთა ბრძოლა „მიწისა და თავისუფლებისათვის“.[1]

მიუხედავად დამარცხებისა, აჯანყებამ ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა გლეხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში, დიდი გავლენა მოახდინა გლეხთა განწყობაზე. იმავე ხანებში გლეხებს შორის პროპაგანდას ეწეოდნენ მასწავლებლები, სენაკის მაზრის სოფლებში — ანტონ იოსელიანი, ანთიმოზ ჯუღელი, ნესტორ კანდელაკი; ზუგდიდის მაზრის სოფლებში, კოკსა და ხიბულაში — ივანე ირემაძე, ანტონ შენგელია, ბათუ აფაქიძე. აჯანყება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მას ფართო რეზონანსი ჰქონდა. საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ხელმძღვანელები ისიდორე ქიქოძე და მიხეილ ყიფიანი უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული ამ აჯანყებასთან. მან რუსი ხალხოსნების ყურადღებაც მიიპყრო, აჯანყების პერიპეტიები ფართოდ შუქდებოდა ქართულ, რუსულ და ევროპულ პრესაში. გლეხთა ბრძოლის მთავარი მიზანი იყო მემამულური თვითმპყრობელური ხელისუფლების თავიდან მოშორება, ნამდვილი თავისუფლების მოპოვება და მიწების უსასყიდლოდ მიღება. მისი მნიშვნელობა განისაზღვრება მიზანდასახულობით, საკითხის დაყენების და გლეხთა ცხოვრების მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხებისადმი მეამბოხეთა ყურადღების გამახვილებით.[2]

ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. სამთავროს გაუქმების წინადროინდელი სამეგრელოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, სოფლების ქსელი, კარგად ჩანს *სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე.* რუკაზე დატანილია: სენაკის ოკრუგში შემავალი სოფლები: *ხუნწი*, აგრეთვე *კეთილა* და *კოდორი* მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, გულეკარი — მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე; ზუგდიდის ოკრუგში შემავალი სოფლები: *კოკი*, *ჭოღა*, *ჯგალი*, *ხორში* თემის სოფლებით — ახალდოხორი და საგვასალიო. რუკაზე თორსა და დღვაბა დატანილი არ არის, მდ. ჭურიის ქვემო წელი სრულიად დაუსახლებელია. ამდენად, 1861 წლისთვის სოფლები თორსა, დღვაბა, საბუკიო ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. სულ რამდენიმე წლის შემდეგ, მდ. ჭურიის ქვემო წელში, მერმინდელი თორსასა და დღვაბას ტერიტორიაზე, ჭოღიდან ჩამოსახლდნენ გლეხები — შელიები და წულაიები. შემდეგ მათ იმავე სოფლიდან ქადარიები და სორდიები შეემატნენ. მოსახლეობა ძირითადად სოფელზე გამავალი ღელის თოლისკურის ნაპირებზე სახლობდა და მესაქონლეობას მისდევდა. მათ, ჭაობიან ადგილებში არხები გაიყვანეს, რითაც ჭარბი წყლისაგან მიწა გაათავისუფლეს და მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებასაც მიჰყვეს ხელი.

საგლეხო რეფორმის მომზადების პროცესში იმპერიის ხელისუფლების წინაშე ახალი პირობების შესაბამისად სოფლის მმართველობის რეორგანიზაციის საკითხი დადგა, რაც 1865 წლის 11 აპრილის დებულებით განხორციელდა.[3] სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, ისევე როგორც მთელ საქართველოში, 1868 წლის 1 იანვრიდან ახალი რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შემოიღეს. სოფლები გააერთიანეს წვრილ ერთეულებში, რომელსაც რუსული ენიდან მომდინარე სახელი, *სასოფლო საზოგადოება* ეწოდა. მასში რამდენიმე მეზობელი სოფელი ერთიანდებოდა.[4] *სასოფლო საზოგადოება* ქართული თემის შესატყვისი იყო.[5] დებულებით დაარსდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა. ეს იყო გლეხთა წოდებრივი

---

[1] ზუგდიდის უეზდის არეულობა, გაზ. ,,დროება“, №80, 1876 წ. 1 აგვისტო; **ი. ანთელავა, ვ. გუჩუა**, საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 57-59; **ი. ანთელავა**, აგრარული ურთიერთობა საქართველოში რეფორმის მომდევნო ხანაში (60-90-იანი წლები), — სინ, ტ. V, გვ. 579-581; **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 36-37; **მ. ახობაძე**, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში, გვ. 223-233; **დ. ლემონჯავა**, ,,მიწისა და თავისუფლებისათვის“, გაზ. ,,საბჭოთა აფხაზეთი“, №238, 1986 წ. 12 დეკემბერი; **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 130-134.

[2] **მ. ახობაძე**, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში, გვ. 200; **დ. ლემონჯავა**, ,,მიწისა და თავისუფლებისათვის“, გაზ. ,,საბჭოთა აფხაზეთი“, №238, 1986 წ. 12 დეკემბერი; **ა. ბენდიანიშვილი**, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 134.

[3] **ა. ბენდიანიშვილი**, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება. სასამართლო და საქალაქო რეფორმები. *სინ*, ტ. V, გვ. 303-305; **შ. ვანიშვილი**, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., გვ. 80.

[4] **ა. ბენდიანიშვილი**, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება. სასამართლო და საქალაქო რეფორმები, გვ. 305; **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 57.

[5] **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 57.

დაწესებულება. სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები (თავადაზნაურობა, სამღვდელოება, მეშჩანთა წოდებაზე მიწერილი ვაჭრები) მის საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ. *სასოფლო საზოგადოების* მმართველობის უმაღლესი განმაკარგულებელი ორგანო სოფლის ყრილობა იყო. მის ფუნქციებში შედიოდა სასოფლო მმართველობის თანამდებობის პირთა არჩევა, სოფლიდან მავნე და დამნაშავე პირების გასახლების თაობაზე დადგენილების მიღება, საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზემდგომი ინსტანციების წინაშე შუამდგომლობის აღძვრა, სახაზინო და საერობო გადასახადების კომლთა შორის განაწილება და სხვ. ყრილობა ირჩევდა სოფლის თანამდებობის პირებს — სოფლის მამასახლისს, მის მოადგილეს (ნაცვალი) და გადასახადის ამკრეფს. მამასახლისი, ნაცვალი, გადასახადის ამკრეფი, — აირჩეოდნენ სამი წლით. არჩევნების შედეგებს გუბერნატორი ამტკიცებდა. თანამდებობის პირები ფიცს სდებდნენ მაზრის უფროსის წინაშე. დებულების საფუძველზე ჩამოყალიბდა აგრეთვე სასოფლო სასამართლოები. სოფლის მოსამართლეს ირჩევდა სასოფლო საზოგადოების ყრილობა არანაკლებ სამი კაცის შემადგენლობით, სამი წლის ვადით. მოსამართლეები არჩევდნენ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, გლეხთა დავა-საჩივრებს 100 მან. ღირებულების ფარგლებში. სოფლის ყრილობა, მამასახლისი და სოფლის გლეხთა სასამართლო *სასოფლო მმართველობას* შეადგენდა. *სასოფლო მმართველობის* საქმიანობა გლეხებში გადასახადების აკრეფით და სახელმწიფო ბეგარა-სამუშაოთა შესრულებაზე თვალყურის დევნებით ამოიწურებოდა.[1]

სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფალი მამასახლისი იყო. იგი სოფლად ადმინისტრაციულ-საპოლიციო მოვალეობებს ასრულებდა. მის ფუნქციებში შედიოდა გზების, ხიდების, სარწყავი არხების შენარჩუნებაზე მეთვალყურეობა; კამერალურ აღწერათა ჩატარება და კონტროლი; სახელმწიფო, საერობო და საადგილმამულო გადასახადთა დროულად აკრეფის უზრუნველყოფა; მასვე უნდა მიეცა გლეხებისთვის სასოფლო საზოგადოებიდან გაშვების მოწმობა და საშოვარზე წასვლის ნებართვის ბილეთი.[2]

სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შექმნას ცვლილება არ შეუტანია საგადასახადო სისტემაში. არსებული გადასახადების გვერდით დაწესდა ე. წ. საზოგადოებრივი გადასახადები, რომლებიც გამოიყენებოდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის საჭიროებისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსებისათვის, სოფლის გზების, სარწყავი არხებისა და წყაროების მოვლა-შენახვისათვის და სხვ.[3]

XIX საუკუნის მიწურულს სამეგრელო ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში ზუგდიდის და ახალსენაკის მაზრებით და ქალაქ ფოთით იყო წარმოდგენილი. მაზრის უფროსების რეზიდენცია შესაბამისად ახალსენაკსა და ზუგდიდში იყო. მაზრები იყოფოდა საპოლიციო უბნებად, რომელთა სათავეშიც ბოქაულები იდგნენ. ზუგდიდის მაზრა დაყოფილი იყო ზუგდიდის, რედუტკალესა და წალენჯიხის უბნებად; სენაკის მაზრა — აბაშის, მარტვილისა და ძველი სენაკის უბნებად. უბნები სასოფლო საზოგადოებებისაგან შედგებოდა. ზუგდიდის მაზრაში 71, ხოლო ახალსენაკის მაზრაში 130 სოფელი, თემი და დაბა შედიოდა. უბნის სათავეში ბოქაული იდგა, ხოლო თემს მამასახლისი ედგა სათავეში.[4] სოფლის ცენტრში, ჩვეულებრივ იყო სოფლის მმართველობა, ეკლესია, ზოგჯერ სკოლაც. სამეგრელოში თემი ხშირად 10-15 ვერსის მანძილზე იყო გაჭიმული, რადგან გლეხებს საკარმიდამო ნაკვეთთან ერთად დასამუშავებელი მიწის ნაკვეთიც იქვე ჰქონდათ.[5] რაც შეეხება ფოთს, 1882 წელს მან თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიიღო.[6]

1885 წელს კავკასიის, მათ შორის საქართველოს სასოფლო საზოგადოებების ანუ თემების

---

[1] **ა. ბენდიანიშვილი**, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება..., გვ. 305-306; **შ. ვანიშვილი**, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., გვ. 81.

[2] **ა. ბენდიანიშვილი**, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება..., გვ. 306; **შ. ვანიშვილი**, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., გვ. 80.

[3] **შ. ვანიშვილი**, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., გვ. 81.

[4] **ჟ. მურიე**, სამეგრელო, გვ. 238.

[5] **ჟ. მურიე**, სამეგრელო, გვ. 238.

[6] **შ. ვანიშვილი**, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., გვ. 219.

გამსხვილება განხორციელდა მოსაზღვრე თემების შეერთებით. ყოველ თემში რამდენიმე სოფელი შედიოდა. თემი მასში შემავალ სოფელთაგან ერთ-ერთის, ჩვეულებრივ უფრო მნიშვნელოვანის სახელს ატარებდა. თემის მამასახლისის კანცელარიაც ამ სოფელში იყო.[1]

მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა, გზები. XIX საუკუნის 10-20-იან წლებში სამეგრელოში მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრები იყო ზუგდიდი, რედუტ-კალე, სენაკი, სუჯუნა, ანაკლია, სადაც სავაჭრო დუქნები იყო გამართული.[2] რუსეთის მფლობელობის პერიოდში სამეგრელოს სამთავროში ერთადერთი ნავსადგური რედუტ-კალე (ყულევი) იყო. მის დაწინაურებას ხელი შეუწყო 1821 წელს ამიერკავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის დაწესებამ. აქ თავს იყრიდა ევროპული და რუსული სავაჭრო საქონელი, რომელიც შემდეგ სპარსეთსა და მთელ აღმოსავლეთში გადიოდა. 1823 წელს რედუტ-კალეში ტრაპიზონიდან, სტამბოლიდან, ოდესიდან 86 გემი შემოვიდა, ხოლო 1924 წელს — 130 გემი; 1822 წელს რედუტ-კალეში 150 ვაჭარი ცხოვრობდა 30 სახლში, ხოლო სამი წლის შემდეგ 100-ზე მეტი სახლი იყო 400-ზე მეტი მცხოვრებით.[3] ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით, რედუტ-კალეში შემოდიოდა ლიქიორი, რომი, შაქარი, ყავა, ღვინო, ფორთოხალი, ლიმონი, ზეთი, მარილი, დამარილებული თევზი; ხამი ტილო — ნარმა და ჩითი, მატყლი, თოკი, ბამბის ქსოვილი, მაუდი, აბრეშუმი, ტყავეული, რკინეულობა და სხვ.[4] რედუტ-კალეში ძირითადად სომეხი და ბერძენი ვაჭრები იყვნენ, რომლებიც მანუფაქტურულ საქონელს ადგილობრივ ნაწარმზე — ცვილი, თაფლი, თამბაქო, ტყავეული და ბეწვეული, ირმის რქები, სიმინდი, კაკალი, კაკლისა და ბზის ხეების მასალა, — ცვლიდნენ.[5] 1831 წელს შეღავათიანი ვაჭრობა და ტრანზიტი გაუქმდა, რადგან რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ამ კანონის მოქმედება რუსეთის მრეწველობას ზიანს აყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ შეწყდა ან შეიზღუდა ევროპული საქონლის შემოტანა, რედუტ-კალე სავაჭრო მნიშვნელობას მაინც ინარჩუნებდა. მიუხედავად ამისა, 30-იან წლებში რედუტ-კალე უღიმღამოდ გამოიყურებოდა. აქ იყო ტალახიანი, მოუკირწყლავი ვიწრო ქუჩები, ბაზარი, ხის საცოდავი სახლები. სავაჭროდ ჩამოდიოდნენ სომხები, ებრაელები, თურქები, ლეკები, ჩერქეზები. ყველანი ისინი თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი.[6] რედუტ-კალეში თურქული ზომა-წონისა და ფულის ერთეულები იყო ხმარებაში. ერთხანს, 1834 წლამდე გამოიყენებოდა ქართულ-რუსული ფული, ქართულ წარწერით, რომელიც რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ თბილისის ზარაფხანაში იჭრებოდა, ხოლო შემდეგ — რუსული ფული.[7] 1846 წელს რედუტ-კალე სანავსადგურო ქალაქად გამოცხადდა. 1856 წელს აქ იყო 155 სავაჭრო დუქანი, 168 სახლი და 900-მდე მცხოვრები.[8]

XIX საუკუნის შუა ხანებიდან შეიცვალა სამთავროს პოლიტიკური ცენტრის ზუგდიდის იერ-სახე. ზუგდიდი ორ ნაწილად იყოფოდა: ქალაქი ზუგდიდი და სოფელი ზუგდიდი. ცნება ქალაქი პირობითი იყო. ჩვეულებრივ, ქალაქს სავაჭრო ადგილს ეძახდნენ. დავით დადიანის ძალისხმევით ზუგდიდში დაფუძნდა ბაზარი, სადაც ვაჭართა და ხელოსანთა დუქნები მოეწყო და ქალაქად იწოდა.[9] მარი ბროსე, რომელიც ზუგდიდს 1848 წელს ეწვია, წერდა: დავით დადიანმა ზუგდიდი ქალაქად აქცია, დააარსა ბაზარი. მეგრელი გლეხი ჯერ გაოცდა, ეს რა ქნესო და ერ-

---

[1] **შ. ვანიშვილი**, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ., გვ. 83-94.

[2] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 174; **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 19.

[3] **ს. კაკაბაძე**, ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921, თბ., 2003, გვ. 92-93.

[4] **ჟ.-ფ. გამბა**, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, გვ. 98-99.

[5] **ჟ.-ფ. გამბა**, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, გვ. 100.

[6] **ო. სპენსერი**, მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ, წიგნ. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. *გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა*, თბ., 1981, გვ. 139-140; **კ. კოხი**, მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპეზუნტამდე, წიგნ. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 165.

[7] **ჟ.-ფ. გამბა**, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, გვ. 100; **ს. კაკაბაძე**, ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921, გვ. 98.

[8] **ს. კაკაბაძე**, ქართველი ხალხის ისტორია. 1783-1921, გვ. 94.

[9] **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 29.

თბაშად ვერ გაერკვა თუ რა ხდებოდა, მაგრამ როცა აქ თავისი ნაწარმი გამოიტანა, როცა გამოიტანა თავისი ხამი აბრეშუმი, თამბაქო, ზედმეტი ღომი ან სხვა რამ, დაუხვდნენ მყიდველები, რომლებიც ელოდნენ, დახვდათ ინდური საქონლით, აბრეშუმის ქსოვილით, მინის ჭურჭლით სავსე დუქნები, ერთი სიტყვით ყოველივე აუცილებლით, მაშინ ისიც გაისარჯა, რათა მეტი ნაწარმი გამოეტანა და თავისი წარმოებაც უფრო გაეფართოებინა.[1] ამდენად, ზუგდიდი ვაჭრობისა და ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა.[2]

დავით დადიანის დროს ბაზრობები, როგორც მაშინ ეძახდნენ — *იარმუკები,* იმართებოდა სენაკში — ფერისცვალების კვირას; ჯვარში — გიორგობისთვეში, გიორგობის დღესასწაულზე; ხობში, ხობის ტაძართან — 10-15 აგვისტოს, მარიამობის კვირას.[3] სამეგრელოდან ვაჭრები XIX საუკუნის შუა ხანებში ჩადიოდნენ ტრაპიზონში, სტამბოლში, ყირიმში. შეძლებული ვაჭრები იყვნენ: ბეჟან ქავთარაძე, გიორგი შუშანია, დათა ჭედია, როსტომ წულეისკირი, დათა და ერისთო ჭედიები, ალექსი შენგელია, გიგო თოფურია, იესე სალაყაია, ევსევი გაბუნია და სხვ. იმავდროულად, სამეგრელოში ვაჭრობდნენ ებრაელი, თურქი, ბერძენი, ლაზი ვაჭრები.[4]

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო XIX საუკუნის შუა ხანებში სამეგრელოს სოფლის ეკონომიკური დაწინაურება. დავით დადიანმა, რომელიც დიდად ზრუნავდა სამთავროში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე, ზუგდიდსა და სალხინოში დააარსა არყის სახდელი ქარხნები, სადაც ხილის არაყს ხდიდნენ. წარმოებული პროდუქცია გასაყიდად ძირითადად სამეგრელოს სავაჭრო დაბებსა და ბაზრობებზე იგზავნებოდა.[5] იმავე ხანებში ზუგდიდში არსებობდა აგურის ქარხანაც.[6] დავით დადიანი განსაკუთრებით ზრუნავდა მეაბრეშუმეობის განვითარებაზე, რასაც ხელმწიფისადმი წარდგენილ მოხსენებაში მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვიც (1844-1854) აღნიშნავდა.[7] მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით მთავარმა 1848 წელს სამეგრელოში მოიწვია საფრანგეთის მოქალაქე გრაფი ჟანტი დე როზმორდიუკი, რომელმაც ზუგდიდში აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა დააარსა. მან საჭირო დაზგა-დანადგარები საფრანგეთიდან ჩამოიტანა და ჩამოიყვანა ამ საქმის მცოდნე ორი ფრანგი ქალი, რომლებმაც ხელობა ადგილობრივებს შეასწავლეს. საწარმო 6300 მანეთის ღირებულების 30 ფუთამდე ნაწარმს იძლეოდა, წარმოებული აბრეშუმის ძაფი კარგი ხარისხის იყო და რუსეთსა და საფრანგეთში იყიდებოდა. ამ ფაბრიკამ 1863 წლამდე იარსება. იმავე ხანებში ბერძენმა მაკროპულოსმა იტალიიდან შემოიტანა დაზგები და სოფელ ორპირში აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა გახსნა. წარმოებას უცხოელი სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ, მუშახელს კი ადგილობრივ მცხოვრები ქალები შეადგენდნენ. შემდეგ მაკროპულოსმა ორპირის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა ავსტრიის ქვეშევრდომ ჰოფშტრასერს მიჰყიდა. ყირიმის ომის დროს სამეგრელოს სამთავროში საომარმა მოქმედებებმა და 60-იანი წლებიდან გავრცელებულმა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობამ, დროებით შეაფერხა აქ აბრეშუმის წარმოება.[8] 1860 წელს გლეხმა ბასა სიჭინავამ მაკროპულოსთან ერთად სოფელ ლესიჭინეში დააარსა აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა. აქ დამზადებული აბრეშუმი მაღალი ხარისხის იყო. ფაბრიკა წელიწადში 130-150 ფუთ აბრეშუმს აწვდიდა ბაზარს. პროდუქცია სტამბოლში, მარსელსა და

---

[1] **მ. ბროსე**, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გვ. 64.

[2] **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 23.

[3] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 174; გაზ. ,,ივერია", №153, 1894 წ. 19 ივლისი.

[4] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 174; **გ. იობაშვილი**, დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ., 1983, გვ. 145; **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 22.

[5] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 175; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 72; **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 51-52.

[6] **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 51-52.

[7] Отчет князя М. С. Воронцова за 1849-1851 годы, АКАК, т. X, გვ. 886; **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 175.

[8] **ჟ. მურიე**, სამეგრელო, გვ. 274; **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 174-175; **ე. ხოშტარია**, საქართველოს მრეწველობის განვითარება XIX ს-ის 30-60-იან წლებში. *სინ*, ტ. V, გვ. 80-81; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 72; **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 50-51.

ლიონში იყიდებოდა. ეს ფაბრიკა 1893 წელს დაიწვა, ამის შემდეგ ბასა სიჭინავა აგრძელებდა აბრეშუმის პარკით ვაჭრობას. ის უცხოეთიდან იწერდა მაღალი ხარისხის აბრეშუმის თესლს და ურიგებდა ლესიჭინის, ახუთის, ჩხოროწყუს, ჭაქვინჯის მოსახლეობას, შემდეგ კი თვითონ ყიდულობდა პარკს, ახმობდა, ახარისხებდა და საზღვარგარეთ აგზავნიდა.[1] 60-იანი წლების დამდეგს სამეგრელოსა და იმერეთში საშუალოდ 16 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი მოჰყავდათ, რომელიც საზღვარგარეთ რედუტ-კალედან გაჰქონდათ.[2]

კარგად იყო განვითარებული მეთამბაქოეობა, რომელიც სამეგრელოში ოსმალეთიდან გავრცელებულა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. კარგი ხარისხის თამბაქო მოდიოდა სოფლებში წალენჯიხასა და ჯგალში. სამეგრელოდან ადგილობრივ თუ შორეულ ბაზარზე, მათ შორის რუსეთში, ყოველწლიურად 15-20 ათასი ფუთი თამბაქო გადიოდა.[3] მოსახლეობა ტექნიკური კულტურების ბამბის, სელისა და კანაფის მოყვანასაც მისდევდა. მათგან ძაფსა და ტილოს ამზადებდნენ. დავით დადიანის დროს დაიწყო სამეგრელოში კომბოსტოსა და კარტოფილის მოყვანა; მთავარმა სამეგრელოში ხელი მიჰყო თუთის გაშენებას აბრეშუმის ჭიის საკვებად, აბასთუმანში გააშენებინა ზეთისხილი, კუბიდან მოიწვია სპეციალისტები და სენაკის მიდამოებში მოაწყო ენდროს პლანტაცია.[4] საქალაქო ცხოვრების განვითარების შედეგად სავაჭრო ხასიათი შეიძინა სოფლის მეურნეობის ისეთმა დარგებმა, როგორიცაა მებაღეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა.[5] სასაქონლო სახე ადრიდანვე შეიძინა მეღვინეობამ. სამეგრელო მაღლარი მევენახეობის კლასიკური მხარე იყო, რასაც მხარის ბუნება და კლიმატი განაპირობებდა. აქ ვაზის 30-ზე მეტი ადგილობრივი ჯიში ყოფილა გავრცელებული, მათ შორის: აფშილური, კოლოში, ოჯალეში, პანეში, ჭვიტილური და სხვ. მაგრამ 60-იანი წლებიდან ვაზს გაუჩნდა ავადმყოფობა (ნაცარი, ობი), რამაც ადგილობრივ ჯიშებს დიდი ზიანი მიაყენა. ამის შემდეგ ვაზის ადგილობრივი ჯიშების ნაცვლად ამერიკული ჯიშის *იზაბელას* გაშენება დაიწყო. რადგან იზაბელა ოდესიდან შემოიტანეს, მის სახელად *ადესა* დამკვიდრდა. იზაბელა სოკოვანი დაავადებების მიმართ გამძლე იყო, მაგრამ მას დიდი ზიანი მიაყენა ფილოქსერამ, რომელიც 1881 წელს აფხაზეთში გამოვლინდა. ვაზის ადგილობრივი ჯიშების შემცირებისა და თითქმის განადგურების გამო, XIX საუკუნის მიწურულს სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში მევენახეობა დაეცა და ყოფილი სავენახეები თანდათან სიმინდის სათეს ფართობებად იქცა.[6]

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო გზების გაუმჯობესება. სამთავროს პოლიტიკური ცენტრი ზუგდიდი სოფლებთან ადგილობრივი მნიშვნელობის გზებით იყო დაკავშირებული. 30-იანი წლების მეორე ნახევარში შეკეთდა და განახლდა ზუგდიდი-რედუტკალეს, ზუგდიდი-სვანეთის, ზუგდიდი-სოხუმისა და ზუგდიდი-ანაკლიის გზები.[7] ყოველივე ამან ზუგდიდის, როგორც სავაჭრო ქალაქის დაწინაურებას და მის გაზრდას შეუწყო ხელი.[8] 30-40-იან წლებში გაიყვანეს სოხუმის სამხედრო გზა, რომელმაც აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი რედუტ-კალესთან დაა-

---

[1] **ე. ხოშტარია**, საქართველოს მრეწველობის განვითარება XIX ს-ის 30-60-იან წლებში, გვ. 81; **ა. სიჭინავა**, საქართველოში მეაბრეშუმეობის ისტორიიდან (ბასა სიჭინავას აბრეშუმსახვევი საწარმო სოფელ ლესიჭინეში). *,,მოამბე" I, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-შემოქმედებითი ჟურნალი*, ჩხოროწყუ, 2012, გვ. 14.

[2] **ი. ანთელავა, ე. ორჯონიკიძე**, ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება სოფლის მეურნეობაში. *სინ,* ტ. V, გვ. 44-45.

[3] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 146; **ი. ანთელავა, ე. ორჯონიკიძე**, ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევა..., გვ. 45.

[4] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 141; **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 72.

[5] **ი. ანთელავა, ე. ორჯონიკიძე**, ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევა..., გვ. 46.

[6] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის მაზრის სოციალ-ეკონომიური და კულტურული მიმოხილვა (1870-1921წწ.), გაზ. ,,მებრძოლი", №3, 1963 წ. 4 იანვარი; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გვ. 264.

[7] **გ. იობაშვილი**, ცვლილებები დასავლეთ საქართველოს სოციალურ ურთიერთობაში და საქალაქო მოსახლეობის კლასობრივ-პოლიტიკური მისწრაფებანი XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში. *,,მაცნე", ისტორიის ... სერია*, 1981, №2, გვ. 29.

[8] **გ. იობაშვილი**, ცვლილებები დასავლეთ საქართველოს..., გვ. 29; **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 21.

კავშირა.[1] რედუტ-კალესა და სოხუმს შორის მიმოსვლა გემებითაც ხორციელდებოდა; ანაკლიიდან ნავებითაც მგზავრობდნენ სოხუმში.[2]

დავით დადიანის (1846-1853) დროს სამეგრელოში შემდეგი გზები იყო: *შუა სამეგრელოს გზა*, რომელიც ზუგდიდიდან ხონის გავლით ქუთაისში მიემართებოდა შემდეგი მარშრუტით: ზუგდიდი-ჭაქვინჯი-ლესიჭინე-ჯოლევი-ნაჯახავო-ხონი-ქუთაისი. ამ გზით წავიდა 1837 წელს ზუგდიდიდან ქუთაისში იმპერატორი ნიკოლოზ I (1825-1855), ამიტომ ის მაშინ კარგ მდგომარეობაში იყო.[3] ზუგდიდიდან გზა დიხაზურგასა და ბედიის გავლით სოხუმისკენ მიემართებოდა. *სადადიო შარა*, იგივე *დადიაშ შარა* (დადიანის გზა), ძველი გზა, გორდი-ზუგდიდის გზის ერთი მონაკვეთი, რომელიც გორდიდან ხუნწისა და მარტვილის გავლით ნოქალაქევამდე მიდიოდა.[4] *დადიაში შარა* ერქვა აგრეთვე გზას, რომელიც ზუგდიდიდან და ჭკადუაშიდან ჭაქვინჯის, კირცხის, ჩხოროწყუს, ჭოღის, კურზუს გავლით სალხინოსა და გორდში მიემართებოდა.[5] ამ გზაზე, ჭოღაში იყო *დადიაში წყუ* (დადიანის წყარო). გადმოცემით, ზუგდიდიდან სალხინოსა და გორდში მიმავალი დადიანები აქ ისვენებდნენ.[6] საკმაოდ კეთილმოწყობილი იყო *ზემო სამეგრელოს გზა*. იგი ზუგდიდიდან კორცხელისა და ლიის გავლით მიემართებოდა სოფელ ჯვარში, აქედან სოფლების ლეშამუგეს, ჩქვალერისა და ნაგურუს გავლით გადადიოდა მდ. ჭანისწყალზე, გაივლიდა ჯგალს და მუხურს, სადაც მდ. ხობისწყალზე ქვის ხიდი იყო გადებული; შემდეგ ნაფიჩხუს, კურზუს, ტალერის გავლით სალხინოში ჩადიოდა.[7] XIX ს. 50-60-იან წლებში ზუგდიდიდან სენაკი-მარტვილისკენ მიმავალი გზა გადიოდა ცაიშის ტაძართან. მდ. ჯუმზე ხიდი იყო, ხეთის შემდეგ, ხობის ტაძრის ქვემოთ, მდ. ხობისწყალზე ბორანი იყო გამართული, აქვე იყო დუქნები. მდ. ცივზე ხიდი იყო გადებული. ქვაშიხორიდან სამ ვერსზე იყო სენაკი. აქ იყო მაზრის უფროსის რეზიდენცია. სენაკი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო, სოფლის ცენტრში დუქნები იდგა. წელიწადში ხუთჯერ აქ ბაზრობა იმართებოდა. ქვაშიხორიდან ორი გზა მიდიოდა მარტვილისკენ: ერთი — მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირით, მეორე — მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირით. ორივე გზა ნოქალაქევში იყრიდა თავს. ნოქალაქევიდან მდ. აბაშის გადალახვის შემდეგ გზა ბანძაში, იქიდან კი მარტვილში ჩადიოდა.[8]

სამეგრელოდან იმერეთისაკენ მიმავალი გზა სოფელ ხუნწზე გადიოდა. ხუნწზე გადიოდა ასევე სამეგრელოდან ლეჩხუმისკენ მიმავალი გზა. რაფიელ ერისთავის ცნობით, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, მარტვილიდან ხონისაკენ მიმავალი გზა ნოჯიხევისა და მარსილის მინდვრებზე ჩადიოდა, ხონისაკენ მიმავალისთვის მარცხნივ უხვევდა და ძველ საფოსტო გზაზე ორად იყოფოდა: ერთი მიემართებოდა ხუნწის გავლით ბუმბუას ხიდზე, ხოლო მეორე — დიაგონალურად, ნაგვაზაოს ზემოთ და ხუნწის ქვემოთ, ბორანზე, რომელსაც გლეხი სურმავები ამუშავებდნენ. ამ ბორანის ზემოთ და ქვემოთ ორი ასეთივე ბორანი იყო: ერთი ხუნწს ქვემოთ, ხოლო მეორე ადგილ სახარიასთან, რომელსაც თავადი წულუკიძეები ამუშავებდნენ.[9] ერთი ბორანი ბებიებსაც ეკუთვნოდა, ამ ადგილს დღემდე შემორჩა სახელი ბებიაშ ნაპარონუ.[10] ხუნწში ერთი ბო-

---

[1] **ირ. ანთელავა, გ. ძიძარია**, მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, *კრებ. „საისტორიო მოამბე“*, 7, თბ., 1953, გვ. 291.

[2] **А. Нордман**, Путешествие по Закавказскому краю. *Введением и примечаниями снабдили Саломе Бахиа-Окруашвили и Бежан Хорава*, Тб., 2020, გვ. 77, 88.

[3] **ი. მეუნარგია,** დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 147.

[4] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი, გვ. 470; **ი. კეკელია**, ტეხურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში, ქუთაისი, 2013, გვ. 38.

[5] **გ. ელიავა**, **გ. ფარულავა**, **გრ. შენგელია**, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983, გვ. 106.

[6] **გ. ელიავა**, **გ. ფარულავა**, **გრ. შენგელია**, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, გვ. 105.

[7] **В. Т. Маевский**, Кутаисская губерния. Военно-статистическое описание, Тифлис, 1896, გვ. 129; **მ. გ-ია**, მგზავრის შენიშვნები, გაზ. „ცნობის ფურცელი“, №2752, 1905 წ. 23 თებერვალი; **პ. გაბისონია,** ჭკადუაში, თბ., 2008, გვ. 28.

[8] **Р. Эристов,** Путевыя заметки по Мингрелии, «Кавказская старина», №3, 1873, გვ. 73-77.

[9] **Р. Эристов,** Путевыя заметки по Мингрелии, «Кавказская старина», №3, 1873, გვ. 79.

[10] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი, გვ. 462.

რანი თავად კ. ჩიქოვანსაც ჰკუთვნებია. ერთ-ერთი მგზავრის ჩანაწერებში, ნათქვამია: „მარ-ტვილიდან დავადექით გორდის გზას, რომელიც სოფელ ხუნწში ცხენის წყლის პირად მიდის, აქ ბორანი სდგას თავ. კ. ჩიქოვანისა, რომელსაც გაჰყავს ხალხი მათხოჯის დედათა მონასტრის პირდაპირ“.[1]

30-50-იან წლებში ქუთაისიდან ქვაშიხორის გავლით რედუტ-კალემდე საფოსტო გზა გადი-ოდა. საფოსტო გზას იმიტომ უწოდებდნენ, რომ აქ ფოსტა მოძრაობდა. ეს გზა ზემო სამეგრე-ლოს სამხედრო გზად იწოდებოდა, ხოლო ზოგიერთები ესპეხოს გზას ეძახდნენ, 1837-1841 წწ. იმერეთის მმართველის, გენერალ-მაიორ აკიმ ესპეხოს მიხედვით, რომლის დროსაც ის გაიყვა-ნეს. გზა დააპროექტა მაიორმა ლობოდამ 1838 წელს და ის სამეგრელოდან ხუნწის, ბუმბუას ხი-დის და სოფელ მათხოჯის გავლით ხონისკენ მიემართებოდა. 70-იან წლებში ძველი საფოსტო გზა უკვე მიტოვებული იყო.[2] საფოსტო სადგურებში მგზავრებისთვის შესაძლებელი იყო დასვე-ნება, საკვების მიღება, ცხენების დაქირავება.

ხუნწსა და გორდს შორის, მდინარე ცხენისწყალზე გადებული იყო ხიდი, რომელსაც ბუნ-ბუას//ბუმბუას//ბომბუას ხიდს ეძახდნენ. ამ ხიდის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ძეს აქ ხიდი ... გორდს ცხენისწყალზედ“.[3] ხიდზე გადიოდა გზა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროდან ნოქალაქევი-ქუთაისის გავლით თბილისისაკენ მიემართებოდა.[4] ვახუშტი ბატონიშვილის ცნო-ბის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ აქ წინათ ხის ხიდი ყოფილა, რომელიც ქვის ბურჯებზე იყო დაყრდნობილი.[5] შემდეგ აქ ბონდის ხიდი აუგიათ. იგივე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ცხე-ნისწყალზე ბონდის ხიდი ყოფილა: „არამედ წყალი ესე, ვინაითგან არა უტევებს ხიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთვის შესწვნენ ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდით იმიერამდე, და გაუბმენ ვაზი-საგანვე სახელურებსა აქეთ და იქით, და ვლენან ქუეითნი მას ზედა, და ექანების მკიდარებისა-გან ფრიად ხიდი იგი, გარნა უწყიან ოდიშსა შინა ხშირად ხიდი ესე და უწოდებენ ბონდსა“.[6]

მდინარე ცხენისწყალი ლეჩხუმის ვიწროებიდან სოფელ გორდის ქვემოთ გამოდის. ამ ადგი-ლას ცხენისწყალის კალაპოტი ძალზე ვიწროა და ორივე ნაპირი კლდოვანია. ნაპირებს შორის მან-ძილი აქ 23-25 მ შეადგენდა. სწორედ აქ იყო აგებული ხიდი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე იმერეთსა და სამეგრელოს შორის ცხენისწყალზე ერთადერთი ხიდი იყო.[7] მისი სახელის მიხედვით ფიქრობდნენ, რომ ის ძვ. წ. I საუკუნეში რომაელი სარდლის პომპეუსის მიერ იყო აგებული. XX საუ-კუნის დასაწყისში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ საგაზეთო წერილში ნათქვამია: „ს. ხუნწსა და გორდს შუა იქ, სადაც ცხენისწყალი ვიწროდ მოდის ორის მთის თურჩუ და ზენითის გვერდით, არსებობს შესანიშნავი „ბუმბუას ხიდი“, რომელიც, ამბობენ, პირველად რომის მხედართ-მთავარმა პომპეოს-მა გასდო ცხენის წყალზედ, როდესაც იგი მისდევდა პონტოს მეფეს მითრიდატ დიდსა და საქარ-თველოში შემოვიდა. რასაკვირველია, მას აქეთ ბევრჯელ გასდებდნენ ამ ადგილს ახალს ხიდს დაძ-ველებულის ნაცვლად, მაგრამ პომპეოსის (ბუმბუა) სახელი მაინც დარჩენილა. აქ ბუმბუას ხიდთან დუქნებია გამწკრივებული და დაღალულს მგზავრს შეუძლიან დაისვენოს და პური სჭამოს. ზემო-დან დასჩერებია ნანგრევი დადიანების მაღალ ციხე-სიმაგრისა, რომელიც არწივის ბუდესავით მი-კეთებულია კლდეზედ“.[8] 1857 წელს ეს ადგილი რაფიელ ერისთავმა მოინახულა. მას აქ უნახავს და-კიდული ხიდი, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ბონდს ეძახდნენ. იგი წერდა: „აქაური ქვის ბურჯებიანი ხიდი დიდი ხანია დაინგრა. ამ ყოფილი ხიდის მახლობლად მეორე ნაპირზე გადასას-ვლელად გადებულია კიდული ხიდი „ბონდი“.[9]

---

[1] **მ. გ-ია**, მგზავრის შენიშვნები, გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2746, 1905 წ. 17 თებერვალი.

[2] **Р. Эристов,** Путевыя заметки по Мингрелии, «Кавказская старина», №3, 1873, გვ. 79.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 762.

[4] **ნ. კვეზერელი-კოპაძე**, საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972, გვ. 93.

[5] **ნ. კვეზერელი-კოპაძე**, საქართველოს ძველი ხიდები, გვ. 95.

[6] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 748.

[7] **ნ. კვეზერელი-კოპაძე**, საქართველოს ძველი ხიდები, გვ. 94.

[8] **მ. გ-ია**, მგზავრის შენიშვნები, გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2746, 1905 წ. 17 თებერვალი.

[9] газ. «Кавказ», №81, 1857 г. 17 октября.

ერთადერთი ავტორი, რომელიც ხიდის სახელს პომპეუსს არ უკავშირებს ალექსანდრე ცაგარელია. სამეგრელოში 1876 წლის სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიშში იგი აღნიშნავდა: „სოფელ გორდამდე 6-7 ვერსზე, მთის ძირას ცხენისწყალზე არის ხიდი, რომელსაც „ბომბუას ხიდს“ უწოდებენ. ზოგიერთი ამაში ხედავს პომპეუსის სახელის დამახინჯებას და მას თარგმნის, როგორც „პომპეუსის ხიდი“... სამეგრელოში ამ ხიდს „ბომბუაშვილის ხიდს“ უწოდებენ. აზნაური ბომბუაშვილები კი აქვე ხიდის მახლობლად ცხოვრობენ... ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წინანდელი წნული ხიდი, ბონდის ხიდი, ამ აზნაურებს აუგიათ და ამის გამო მათ რაღაც დამოკიდებულება ჰქონიათ ხიდთან, ან უბრალოდ ეს ხიდი მათი მამულის სიახლოვეს იყო და ამის გამო ასეთი სახელით იხსენიებდნენ, რათა განესხვავებინათ მისი მსგავსი ხიდებისაგან, რომლებიც განსაკუთრებით იმ დროს მრავლად იყო... ძველი, ვაზისაგან დაწნული დაკიდული და მოქანავე ხიდის ნაცვლად ახლა აქ აგებულია ახალი მყარი ხიდი, რომელიც ყველაზე უკეთესია, რაც კი სამეგრელოში მინახავს“.[1]

XIX საუკუნის შუა ხანებში აქ ბონდის ხიდი იყო, თუმცა ძველი ხიდის ნაშთები ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი. შემდეგ აქ ხის ხიდი აუგიათ. საუკუნის მიწურულს, გიორგი ჩიჩუა თავის ჩანაწერებში აღნიშნავდა: „ბამბუას ხიდი დავათვალიერეთ და ვნახეთ ძველი ცემენტით (დუღაბით, - ავტ.) ნაშენი საძირკველი, რომელზედაც არის აშენებული ახალი ხიდი“.[2] 1915 წელს აქ რკინის ხიდი ააგეს, რომელსაც ისევ „ბამბუას ხიდს“ ეძახდნენ.[3]

მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი იყო მარანი-ორპირი რიონ-ცხენისწყლის შესართავში. აქედან გზა მიდიოდა ერთი მხრივ გურიაში, მეორე მხრივ – იმერეთში, ქუთაისსა და ხონში.[4] ორპირში იყო ნავების სადგური და საფოსტო სადგური. ნავების პატრონები იყვნენ რუსი სკოპცები, საჭურისთა სექტის წევრები, რომლებიც აქ 30-იან წლებში გადმოასახლეს. მათგან შეიქმნა ინვალიდთა ასეული, რომელსაც პოლკოვნიკი გეგიძე მეთაურობდა. სკოპცებს თავიანთი ნავებით მგზავრები გადაჰყავდათ და ტვირთი გადაჰქონდათ მარანსა და ფოთს შორის; ასევე, საზიდრებით გადაჰქონდათ სურსათ-სანოვაგე, რომლითაც რუსეთის ჯარის ნაწილებს ამარაგებდნენ.[5] მათი მომსახურებით ისარგებლა ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ, რომელმაც 1859 წლის იანვარში თბილისიდან ფოთში მიემგზავრებოდა. სკოპცების ნავით მგზავრობას მარნიდან ფოთამდე ორი დღე სჭირდებოდა.

1857 წელს დაარსდა „რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოება“, რომელმაც კავკასიაში ვაჭრობის განვითარების მიზნით ორგანიზება გაუკეთა რეგულარულ მიმოსვლას რედუტ-კალედან და ფოთიდან ოდესამდე და კონსტანტინეპოლამდე. იმავე საზოგადოებამ გადაწყვიტა გაეხსნა გემების მიმოსვლა რიონზე ფოთიდან ორპირამდე. 1859 წლის 23 მაისს ორპირში ორთქლის გემი „აკერმანი“ ამოვიდა. ამ დროიდან „რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოებამ“ ფოთიდან ორპირამდე ორთქლის გემების რეგულარული მიმოსვლა გახსნა.[6] 1858 წელს გაიხსნა ფოთის ნავსადგური, ხოლო 1859 წლის 1 იანვრიდან, იმპერატორის ბრძანებულებით, ქალაქად გამოცხადდა. ნავსადგური მაშინ სრულიად მოუწყობელი იყო და მხოლოდ 1865 წელს დაიწყო მისი მშენებლობა, რომელიც 1871 წელს დასრულდა. 60-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო თბილისი-ფოთის სარკინიგზო ხაზის გაყვანა, რომელიც 1872 წელს დასრულდა.[7] რკი-

---

[1] **А. Цагарели**, Сообщение о поездке в Мингрелию, *Известия Кавказского Отделения Русского Географического Общества*, т. V, 1877, გვ. 67.

[2] **გ. ჩიჩუა**, მოგზაურობა, გაზ. ,,ივერია“, №9, 1894 წ. 13 იანვარი.

[3] **ნ. კვეზერელი-კოპაძე**, საქართველოს ძველი ხიდები, გვ. 94.

[4] **А. Нордман**, Путешествие по Закавказскому краю, გვ. 85.

[5] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი, გვ. 300-303; **კ. კოხი**, მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპეზუნტამდე, გვ. 175; **ა. დიუმა**, კავკასია. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. *თარგმანი ფრანგულიდან თინათინ ქიქოძისა. შესავალი წერილი, რედაქცია და შენიშვნები აკაკი გაწერელიასი*, თბ., 1964, გვ. 428.

[6] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი, გვ. 303.

[7] **ნ. ოთხოზორია**, უცხოური კაპიტალის როლი ქალაქ ფოთში XIX ს-ის II ნახ. — XX ს-ის დამდეგს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2006, გვ. 9.

ნიგზის გაყვანასთან ერთად დაბა სენაკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე, 1870 წელს რკინიგზის სადგური ააშენეს. ამის შემდეგ აქ გადმოვიდა სენაკის მაზრის ცენტრი და ადგილს ახალი სენაკი ეწოდა, ხოლო მაზრის ყოფილ ცენტრს — ძველი სენაკი.[1] თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, სოფელ აბაშის სამხრეთით, რამდენიმე კილომეტრზე რკინიგზის სადგური ააგეს, რომელსაც უწოდეს აბაშა, ხოლო სოფელ აბაშას — ძველი აბაშა. აბაშის უბნის უფროსის რეზიდენცია სადგურ აბაშაში იყო.[2] თბილისი-ფოთის სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ რედუტ-კალეს მნიშვნელობა დაეცა, ხოლო ფოთის მნიშვნელობა თანდათან გაზარდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში სამაზრო ცენტრებს შორის მიმოსვლა იყო საფოსტო და საურმე გზებით. ძირითადი სატრანსპორტო საშუალება დილიჟანსები, ეტლები და ურმები იყო. დილიჟანსი იყო ცხენებშებმული მრავალადგილიანი დახურული ეტლი მგზავრების შორ მანძილზე გადასაყვანად და ფოსტის გადასაზიდად. ზუგდიდსა და მარტვილს, მარტვილსა და ქუთაისს, მარტვილსა და ხონს შორის დილიჟანსები და ეტლები მოძრაობდნენ, რომელთაც მგზავრები გადაჰყავდათ. სატრანსპორტო საშუალება იყო ასევე ურემი და ცხენი, გავრცელებული იყო ცხენების გაქირავება. 70-იან წლებში გაიჭრა მუხური-ხაბუმე-ჩხოროწყუ-ლესიჭინე-ახალსენაკის გზა; სოფლებს შორის გაიყვანეს საურმე გზები.[3] გზების გაყვანის, ტვირთის გადაზიდვის და ძირითად სამგზავრო საშუალებას ურემი წარმოადგენდა.

50-60-იან წლებში გაუმჯობესდა კავშირგაბმულობა: გაფართოვდა საფოსტო სადგურების ქსელი; 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოში შეიქმნა ტელეგრაფის ქსელი. 1860 წელს დასრულდა თბილისსა და ფოთს შორის სატელეგრაფო ხაზის გაყვანა და 5 ოქტომბერს ფოთიდან თბილისში პირველი დეპეშა გაიგზავნა.[4]

თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანამ მხარის ეკონომიკურ დაწინაურებას დიდად შეუწყო ხელი. დაწინაურდა რკინიგზის ხაზის გასწვრივ და მიმდებარე დასახლებები: ახალი სენაკი, ძველი სენაკი, დაბა აბაშა, ბანძა, ნაოღალევი, ნოქალაქევი, სუჯუნა, სალხინო და სხვ. შეკეთდა გზები, იმატა ვაჭრობამ, მომრავლდა სავაჭრო დუქნები, ბაზრობები. ბაზრობებისთვის გარკვეული დღეები დაწესდა. ნაოღალევში (დასახლება მარტვილის მონასტრის მიმდებარედ, მდ. აბაშასა და მდ. ინჩხიას შორის) ბაზრობა პარასკეობით იმართებოდა. აქ თავს იყრიდნენ არა მარტო ახლო-მახლო სოფლებიდან, არამედ შორიდანაც ჩამოდიოდნენ.[5] გაზ. „დროება“ 1871 წელს წერდა: „ძალიან კარგი იქნებოდა ამისთანა დაწესება სხვა საქართველოს ნაწილებშიაც იყოს. ძალიან კარგი იქნება, რომ ამას ითავებდნენ მამასახლისები და რამდენსამე ახლო-მახლო სოფლებს შუა დააწესებდნენ პარასკეობასა“.

XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში ძველ სენაკში წელიწადში ხუთჯერ იმართებოდა „იარმუკობა“, განსაკუთრებით ფერისცვალების დღეს დაიწყებოდა და მთელი აგვისტო გრძელდებოდა. დიდი ბაზრობა იმართებოდა მარიამობას, დიდძალი ხალხი იყრიდა თავს აფხაზეთიდან, გურიიდან, აჭარიდან, იმერეთიდან. მოდიოდნენ ეტლებით, ცხენებით, ურმებით, ქვეითადაც; დადიოდნენ დილიჟნები.[6] დიდი ბაზარი იყო ყულევში.[7] სოფელ სალხინოში იარმუკობა 25 აგვისტოს იწყებოდა და მთელი კვირა გრძელდებოდა. აქ სავაჭროდ ხის ფარდულები იყო მოწყობილი. იარმუკობის დღეებში იმართებოდა ცეკვა-თამაში, ჭიდაობა, მარულა. დიდძალი ხალხი იყრიდა

---

[1] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 8, 10.

[2] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII. აბაშის რაიონი, გვ. 13.

[3] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 79.

[4] **ნ. ოთხოზორია**, უცხოური კაპიტალის როლი ქალაქ ფოთში XIX ს-ის II ნახ. — XX ს-ის დამდეგს, გვ. 13.

[5] **გ. ფარულავა**, სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ, გვ. 40.

[6] **გ. ფარულავა**, აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში ოქტომბრის რევოლუციამდე, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეექვსე სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და თეზისები, ქუთაისი, 1965, გვ. 25; **დ. გეგენავა**, როცა მზე ამოდიოდა, თბ., 1969, გვ. 99-100.

[7] გაზ. „ცნობის ფურცელი“, №2691, 1904 წ. 6 დეკემბერი.

თავს მთელი სამეგრელოდან, მოდიოდნენ აფხაზეთიდანაც.[1] სავაჭრო ცენტრი იყო წალენჯიხა. აქ იყო დუქნები, სამრეწველო და სამეურნეო საქონლის სავაჭროები, პურსაცხობები, სამჭედლოები, სამკერვალოები, სახარაზოები, მეუნაგირეთა და მკალავთა სახელოსნოები. ადგილობრივმა მკვიდრმა იაკობ შანავამ სოფლის ცენტრში შეიძინა ერთ ჰექტარზე მეტი ტერიტორია და მოაწყო ბაზარი, „იარმარკა“, სადაც იყიდებოდა შინაური ფრინველი და საქონელი; მისი თაოსნობით აქ გაიხსნა ორკლასიანი სასწავლებელი, აფთიაქი, ბიბლიოთეკა.[2] დ.აბაშაში საშემოდგომო ბაზრობა სექტემბერში იმართებოდა, ისე კი ყოველ პარასკევს; ბანძაში (ურია-კარი) — კვირაობით, ლეძაძამეში — ოთხშაბათობით.[3]

ვაჭრებს გასაყიდათ გამოჰქონდათ ფართლეული, ჭურჭელი, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სურსათი. სავაჭრო საქონელს შეადგენდა: პური, სიმინდი, ღომი, ფქვილი, ღერღილი, ყველი, ხილი, ბოსტნეული და ბაღჩეული, მათ შორის ლობიო, ცერცვი, სოიო, გოგრა, ნესვი, საზამთრო; თაფლი, ცვილი, თაფლის სანთელი, ღვინო, ნიგოზი, შინაური ფრინველი და საქონელი, ხე-ტყე, განსაკუთრებით კაკლისა და ბზის მორები; სელი, აბრეშუმი, მატყლი და მათი ნაწარმი, ბეწვეული; სასოფლო და საოჯახო ნივთები; წვრილი ხელოსნური და კერამიკული ნაწარმი.[4] ბაზრობებზე უცხოელებიც მოდიოდნენ. მათ ძირითადად შემოჰქონდათ: ხალიჩები, საბნები, ტყავეული, უნაგირები და ცხენის აღკაზმულობა, მაუდი, რკინა, თითბერი, ქვაბები, ტილო, დამარილებული თევზი, საკმეველი, პილპილი, მარილი, შაქარი და სხვ.[5]

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ ხელი შეუწყო ხელოსნობის განვითარებას. მეჭურჭლეობის ცენტრს წარმოადგენდა სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, განსაკუთრებით სოფელი ნამიკოლუ, სადაც ამზადებდნენ ქვევრებს, ჭის გვიმებს, დოქებს, ქოთნებს, ხალამს, კოკას (ჩაფს), კეცებს და სხვ. ნაწარმი გაჰქონდათ ყველგან ამ მხარეში, სადაც ბაზრობა იმართებოდა; ხის ჯამ-ჭურჭელს — ჯამებს, გობებს, ხონჩებს, კოვზებს და სხვ. ამზადებდნენ სპეციალური ჩარხით, რომელსაც ქაბარკა ერქვა. სამეგრელოს გლეხთა 1857 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური უტუია (მართალია) თოდუა ჯამ-ჭურჭლის მთლელი იყო. ნაწარმს ფართო გასავალი ჰქონდა ბაზარზე. ღვინის სასმელი ჭურჭელი მზადდებოდა როგორც ხისა და კერამიკისაგან, ასევე რქისაგან. მათი დამზადება განსხვავებულ დახელოვნებას მოითხოვდა. ხისგან ამზადებდნენ: კულას, კათხას, კერამიკისაგან — სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჭინჭილებს, რქისგან — ყანწებს.[6]

გავრცელებული იყო ფეიქრობა. ქსოვდნენ დარაიას, ხამიანს, შალს, ჯვალოს. ქსოვისათვის იყენებდნენ საქსოვ დაზგას „საოშუალოს“. ხელოსნურ საქმიანობას მიეკუთვნებოდა მჭედლობა, ყავრის დამზადება, კალათების წვნა, ურმების დამზადება, აგურ-კრამიტის წარმოება, ოქრომჭედლობა და სხვ. ხელოსნური საწარმოები არსებობდა ნაოღალევში, აბაშაში, ახალ სენაკში. გაიზარდა სიმინდის მოსავლიანობა, აბრეშუმის წარმოება. მაგალითად, 1910-1919 წწ. სენაკის მაზრაში მიღებულ იქნა 11 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი: აბაშის საპოლიციო უბანში 3700 ფუთი, ნოქალაქევის უბანში — 2000 ფუთი, მარტვილის უბანში — 1000 ფუთი, ახალი სენაკის უბანში — 4300 ფუთი. სიმინდი და აბრეშუმი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ საზღვარგარეთ. მხარეში ბევრგან იყო აბრეშუმისა და სიმინდის შემძენი და სარეალიზაციო პუნქტები.[7] ნაოღალევში ვაჭრებმა ფირცხალავამ, გეგიამ, საკანდელიამ შექმნეს პურის ფქვილის შემოტანისა და გასაღების ამხანაგობა; მასხულიამ და ფირცხალავამ — აგურ-კრამიტის საწარმო; შეიქმნა ასევე მკერავთა სახელოსნოები. სოფლებში

---

[1] **მ. გ-ია**, მგზავრის შენიშვნები, გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2752, 1905 წ. 23 თებერვალი.

[2] **შ. ფიფია**, ღირსეული მამულიშვილი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №83, 1989 წ. 20 ივლისი.

[3] **გ. ფარულავა**, აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში..., გვ. 25; **დ. გეგენავა**, როცა მზე ამოდიოდა, გვ. 99-100.

[4] **გ. ფარულავა**, აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში..., გვ. 25; **დ. გეგენავა**, როცა მზე ამოდიოდა, გვ. 99-100.

[5] **გ. ფარულავა**, აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში..., გვ. 25.

[6] **გ. ფარულავა**, აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში..., გვ. 26.

[7] **გ. ფარულავა**, აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში..., გვ. 26-28.

გაჩნდა დუქნები, სამიკიტნოები, მოიჯარადრეები აგებდნენ „კაზარმებს“ — ფარდულებს აბრეშუმის პარკის მისაღებად და გასაშრობად.[1]

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ გამოიწვია გლეხების დიფერენციაცია. ზოგი მდიდრდებოდა. მაგალითად, ნაყმევი გეგია პირველი გილდიის ვაჭარი გახდა. ბევრი ღატაკდებოდა და იძულებული ხდებოდა საშოვარზე წასულიყო.[2]

მოსახლეობა. რუსეთის ხელისუფლება საქართველოში XIX საუკუნის დამდეგიდან ქვეყნის ფისკალურ-ეკონომიკურ შესწავლას შეუდგა. ამ მიზნით კამერალური აღწერები ჩატარდა. აღწერის მასალებში მოცემულია კომლები და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; კომლის სულადობრივი შემადგენლობა, ეროვნება, მათ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო, საბატონო ან საეკლესიო სახნავი მიწების ფართობი, საკუთარი ნასყიდი მიწის ფართობი, მარცვლეულისა და პირუტყვის რაოდენობა, თითოეული კომლის წამყვანი საქმიანობა. მაგრამ ყველა აღწერის ცნობები ერთი პრინციპით არ არის შედგენილი. ზოგჯერ აღნიშნულია მხოლოდ კომლის რიცხობრივი შემადგენლობა, ეროვნება და ძირითადი საქმიანობა, თუმცა გაპარულია მრავალი უხეში შეცდომა, გამოტოვებულია გლეხთა კომლები და სხვ. ნაკლის მიუხედავად აღწერის მასალები მნიშვნელოვანი წყაროა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის დასადგენად.[3]

1859-1860 წწ. სამეგრელოში ჩატარდა კამერალური აღწერა, რომლის თანახმადაც ამ მხარეში 25 479 კომლი ცხოვრობდა. მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 127 ათასი კაცი უნდა ყოფილიყო.[4] ნიშანდობლივია, რომ თბილისის 1866 წლის კამერალური აღწერით აქ სამეგრელოდან ჩასული 246 კომლი ცხოვრობდა, რომელიც აღწერის ჩამტარებელი კომისიის გადაწყვეტილებით მათ საცხოვრებელ ადგილებში უნდა დაბრუნებულიყვნენ.[5]

1886 წელს, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის საოჯახო სიები შედგა, რომელიც შემდეგი მონაცემებისაგან შედგება: მაზრების ადმინისტრაციული დაყოფა, კომლების რაოდენობა და შემადგენლობა სქესის მიხედვით; მოსახლეობის ეთნიკური, რელიგიური და წოდებრივი შემადგენლობა; დადგინდა სოფლების სწორი სახელწოდება. სტატისტიკური მონაცემები საოჯახო სიების მიხედვით 1893 წელს დაიბეჭდა. საოჯახო სიების მიხედვით, *ზუგდიდის მაზრა* დაყოფილი იყო *ზუგდიდის* (13 თემი), *წალენჯიხის* (13 თემი), *რედუტ-კალეს* (7 თემი) უბნებად; *სენაკის მაზრა* — *აბაშის* (9 თემი), *მარტვილის* (9 თემი), *ნაქალაქევის* (11 თემი) უბნებად. ამდენად, ზუგდიდის მაზრაში 33 სასოფლო საზოგადოება, ხოლო სენაკის მაზრაში — 29 სასოფლო საზოგადოება შედიოდა.

ზუგდიდის მაზრის *ზუგდიდის უბანში* შედიოდა: *ზუგდიდის, აბასთუმნის, დარჩელის, კახათის, კოკის, კორცხელის, ყულისკარის, ნიკოსიის, ობუჯის, ხიბულის, ცაიშის, ჭკადუაშის თემები*; *წალენჯიხის უბანში*: *ახუთის, ჯგალის, ჯვარის, კირცხის, ლესიჭინის, ლეწურწუმის, ლიის, მუხურის, ფახულანის, წალენჯიხის, ჭალის, ჭოღის, ჩხოროწყუს თემები; რედუტ-კალეს უბანში*: *ზანის, ქვალონის, ნაჯიხევის, საჯიჯაოს, ხეთის, ხორგის, ხორშის თემები.*

სენაკის მაზრის *აბაშის უბანში* შედიოდა: *აბაშა-ონტოფოს, გულეიკარის, ილორის, კვათანის, მარანის, ნაესაკავოს, ნოსირის, სეფიეთის, სუჯუნის თემები; მარტვილის უბანში*: *კინჩხის, კიწიის, მარტვილის, ნაგვაზავოს, ნაფიჩხოვოს, ნახუნაოს, ნოღის, სალხინოს, თამაკონის თემები; ნაქალაქევის უბანში*: *აბედათის, ბანძის, გეჯეთის, ლეხაინდრავო-ონოღიის, ნაქალაქევის,*

---

[1] **გ. ფარულავა**, სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის..., გვ. 40.

[2] **გ. ფარულავა**, სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის..., გვ. 41; **გ. ფარულავა**, აღებ-მიცემობა და ხელოსნური საქმიანობა მხარეში..., გვ. 28.

[3] **პ. გუგუშვილი**, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. 1, თბ., 1949; **პ. გუგუშვილი**, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე, *„მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“*, ტ. XII-XIII, 1963, გვ. 66-68; **ე. ორჯონიკიძე**, კამერალური აღწერა, ქსე, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 346-347.

[4] **კ. ბოროზდინი**, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 262.

[5] **ე. ხოშტარია**, საქართველოს ქალაქების ზრდა XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში. ცვლილებები ქალაქში მცხოვრებ წოდებათა სოციალურ მდგომარეობაში, *სინ*, ტ. V, გვ. 113.

ფოცხოს, სენაკის, თეკლათის, უშაფათის, ჭალადიდის, ეკის თემები.[1]

ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბნის *ჭოღის თემში* შედიოდა სოფლები: ლექარჩე, ჭოღა (ცენტრი) და ხანწკი. 1855 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ჭოღა ამავე სახელწოდების სოფლადაა მოხსენიებული. 1859-1860 წწ. კამერალური აღწერით სოფელში 229 კომლი (1607 კაცი) ცხოვრობდა. 1886 წელს ის „ჭოღის სოფლის საზოგადოებად" იხსენიება.[2] 1886 წლის კომლობრივი აღწერით, ჭოღის სასოფლო საზოგადოების მოსახლეობა 537 კომლს (3519 კაცი) შეადგენდა. თემის ყველა მცხოვრები აღწერილია, როგორც მეგრელი, მართლმადიდებელი. სოციალური სტრუქტურა ასეთი იყო: თავადთა წოდებას ეკუთვნოდა – 7, აზნაურთა წოდებას – 106, სამღვდელოებას – 38, სახელმწიფო მიწებზე ცხოვრობდა 35 კომლი, მემამულეთა მიწებზე – 326 კომლი, მესაკუთრეთა კატეგორიას ეკუთვნოდა 143 კომლი, ხიზნების კატეგორიას – 4 კომლი.[3] სოფლის ცენტრი ჭყონღალის პირას ყოფილა (მერმინდელი მეორე ჭოღა). ამას ადასტურებს იქვე ახლოს მთავარანგელოზის ეკლესიის არსებობაც. მოგვიანებით, სოფლის ცენტრი გადმოვიდა ჩხოროწყუ-ნაფიჩხოვო-კურზუს მთავარ გზაზე, რადგან ამ ადგილს უფრო ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა. იმავდროულად, სოფელი ჭოღა პირველ და მეორე ჭოღის უბნებად გაიყო. სოფლის ცენტრს პირველი ჭოღა დაერქვა, აქვე აუშენებიათ ხის ეკლესია, სოფლის კანცელარია, დუქნები.[4]

ხორშის თემი ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბანში შედიოდა ორი სოფლით: ხორში და ციზეთი. 1886 წლის კომლობრივი აღწერით, ხორშის თემში ცხოვრობდა 638 კომლი (3811 კაცი). თემის ყველა მცხოვრები აღწერილია როგორც მეგრელი, მართლმადიდებელი. თემის სოციალური სტრუქტურა ასეთი იყო: თავადთა წოდებას ეკუთვნოდა 36, აზნაურთა წოდებას – 391, ციზეთში თავადთა და აზნაურთა წოდებიდან არავინ ცხოვრობდა. სამღვდელოებას ეკუთვნოდა – 69; სახელმწიფო მიწებზე ცხოვრობდა 5 კომლი, მემამულეთა მიწებზე — 364 კომლი, მესაკუთრეთა კატეგორიას ეკუთვნოდა 122 კომლი; მოიჯარადრე – 2 კომლი; ხიზანთა კატეგორიას ეკუთვნოდა 7 კომლი.[5] მაშინ სოფელი პატარა ზანა ზანის თემში შედიოდა. პატარა ზანაში ცხოვრობდა 80 კომლი (471 სული), ყველა მეგრელი, მართლმადიდებელი, არცერთი თავადი და აზნაური, სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა 12 მცხოვრები, საქალაქო წოდებას — 3; სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა 5 კომლი, სამამულო მიწებზე – 67 კომლი, ხიზანი იყო 2 მცხოვრები. სოფელში არ ცხოვრობდა არცერთი მესაკუთრე და მოიჯარე გლეხი.[6]

კოკის თემში შედიოდა სოფლები: დიდი კოკი, პატარა კოკი, მანუჩარის კახათი, ორსანტია, ოტობაია, შამგონა. 1886 წლის კომლობრივი აღწერის მონაცემებით, კოკის სასოფლო საზოგადოების მოსახლეობა 682 კომლს (3420 მცხოვრები). ყველა აღწერილია, როგორც მეგრელი, სარწმუნოებით — მართლმადიდებელი ქრისტიანი. სასოფლო საზოგადოების სოციალური სტრუქტურა ასეთი იყო: თავადთა წოდებას ეკუთვნოდა 21, აზნაურთა წოდებას – 350, სამღვდელოებას – 50, საქალაქო წოდებას – 94; გლეხებიდან სახელმწიფო მიწებზე არავინ ცხოვრობდა, მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდა 239 კომლი, მესაკუთრეთა კატეგორიას ეკუთვნოდა 188 კომლი, ხიზნების კატეგორიას — 161 კომლი.[7]

ჯგალის თემში შედიოდა სოფლები: ჯგალი (ცენტრი), ნაგურუ და საჩინო. 1886 წლის კომლობრივი აღწერის მიხედვით, ჯგალის სასოფლო საზოგადოების მოსახლეობა 531 კომლს (3870 კაცი) შეადგენდა. ყველა მართლმადიდებელი, მეგრელი — 530 კომლი, ბერძენი — 1 კომლი. თავადთა წოდებას ეკუთვნოდა — 88, აზნაურთა წოდებას — 19, სამღვდელოებას — 43, მოქალაქეთა წოდებას

---

[1] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из семейных списков 1886 г. Тифлис, 1893.

[2] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 230.

[3] Свод статистических данных о населении Закавказского края, Тифлис, 1893.

[4] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 230.

[5] Свод статистических данных о Кавказе, 1897.

[6] Свод статистических данных о Кавказе, 1897.

[7] Свод статистических данных о Кавказе, 1897.

— 15; მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდა — 391 კომლი, მესაკუთრეთა კატეგორიას ეკუთვნოდა — 87 კომლი, მოიჯარეთა კატეგორიას — 2 კომლი, ხიზნების კატეგორიას — 19 კომლი.[1]

სენაკის მაზრის მარტვილის უბნის ნაგვაზაოს სასოფლო თემში შედიოდა *სოფელი ხუნწი.* ნაგვაზაოს თემში შედიოდა სოფლები: ნაგვაზაო, ნოჯიხევი, სუხჩე, ხუნწი. ამ დროს ხუნწში 332 კომლი (2140 კაცი) ცხოვრობდა.[2] *კეთილარი* (კეთილა) სენაკის მაზრის აბაშის უბნის გულიკარის სასოფლო თემში შემავალი სოფელი იყო. გულიკარის თემში შედიოდა სოფლები: გულიკარი, კეთილა, ქორეის-უბანი, ტყვირი, ტოლეფი.[3] სოფელ *გულიკარში* ცხოვრობდა 104 კომლი (451 კაცი), ყველა ქართველი (მეგრელი), აღმსარებლობით — ყველა მართლმადიდებელი; წოდებების მიხედვით: არცერთი თავადი, აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა 4, სამღვდელოებას — 1, ვაჭართა კატეგორიას — 3; გლეხები: მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდა 62 კომლი, მესაკუთრენი — 15 კომლი, ხიზნები — 23 კომლი. *კეთილაში* ცხოვრობდა — 100 კომლი (928 კაცი), ყველა ქართველი (მეგრელი), აღმსარებლობი — ყველა მართლმადიდებელი; წოდებების მიხედვით: არცერთი თავადი, აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა — 33, სამღვდელოებას — 5, ვაჭართა კატეგორიას — 10; გლეხებიდან სახელმწიფო მიწებზე არავინ ცხოვრობდა, მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდა 13 კომლი, მესაკუთრეთა კატეგორიას ეკუთვნოდა 63 კომლი, ხიზნების კატეგორიას — 15 კომლი.[4]

1886 წელს თორსასა და დღვაბას სოფლის სტატუსი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ეს ტერიტორია ხეთის თემის შემადგენლობაში შედიოდა. ხეთის თემი სოფლით — ხეთა, ზუგდიდის მაზრის რედუტ-კალეს უბანში შედიოდა.[5]

1897 წელს რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა. სენაკის მაზრის ტერიტორია 1.520 კვ ვერსს, ხოლო მოსახლეობა 115 785 შეადგენდა; ზუგდიდის მაზრის ტერიტორია 2.614,9 კვ ვერსს, ხოლო მოსახლეობა 114 869 კაცს შეადგენდა.[6] XIX საუკუნის მიწურულის (1893 წ.) მდგომარეობით სენაკის მაზრაში მამულების რაოდენობა 1625, ხოლო ზუგდიდის მაზრაში — 1174 იყო. თავადაზნაურთა მამულები ძირითადად მცირემიწიანი იყო — 18 დესეტინაზე ნაკლები ფართობით; ყველაზე დიდი მამული სენაკის მაზრაში მხოლოდ ერთ მემამულეს ჰქონდა — 6 ათას დესეტინაზე მეტი ფართობით.[7]

§ 2. სამეგრელო XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში

სამეგრელოს სოფელი XIX-XX სს. მიჯნაზე. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში სამეგრელოს გლეხობას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა მცირემიწიანობა, ბატონყმობის ნაშთების არსებობა, მიწაზე მაღალი საიჯარო ფასი, მემამულეთა და სახელმწიფო გადასახადების სიდიდე, რის გამოც სოფლის მეურნეობა სათესი ფართობის, მოსავლიანობის, პირუტყვის სულადობის შემცირებით ხასიათდებოდა. თავადაზნაურობა ადიდებდა გადასახადებს სანადელო მიწებზე, ტყეებზე, საძოვრებზე, რაც რეფორმით გაჩანაგებულ გლეხობას მთელი სიმძიმით აწვებოდა. გლეხურ მეურნეობათა მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებდა სახელმწიფო

[1] Свод статистических данных о Кавказе, 1897.
[2] Свод статистических данных о Кавказе, 1897.
[3] Свод статистических данных о Кавказе, 1897.
[4] Свод статистических данных о Кавказе, 1897.
[5] Свод статистических данных о Кавказе, 1897.
[6] Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897 г. *Под ред. Н. А. Тройницкого,* LXVI. Кутаисская губерния, [СПб.], 1905, с. 1; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, თბ., 2019, გვ. 20.
[7] **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, გვ. 221.

გადასახადთა ნარჩენების ზრდა, მრავალრიცხოვანი ბეგარის შეუსრულებლობა. ამას ემატებოდა ცარიზმის მიერ გატარებული ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა.[1]

დროებითვალდებულ გლეხებთან ერთად მიწისა და თავისუფლებისათვის ხიზნებიც იბრძოდნენ. 1889 წელს ნიკოლოზ დადიანი-მინგრელსკიმ თავის დას, სალომე მიურატს, მისცა დედის, ეკატერინე დადიანის საკუთრებიდან მთელი სალიპარტიანო ყველა იქ მცხოვრები დროებითვალდებული და ხიზანი გლეხებით. 1890-იან წლებში სენაკის მაზრის სოფელ სალხინოში მცხოვრები გლეხები, ლაშხიები, აცხადებდნენ, რომ ისინი არ ცხოვრობდნენ სალომე მიურატის მიწებზე, ეს მიწები მათი საკუთრებაა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეს. გლეხები თუმცა ეხმარებოდნენ ეკატერინე დადიანს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ნებაყოფლობითი დახმარება და მას ასრულებდნენ არა ვალდებულების გამო და არა როგორც ხიზნები. ლაშხიებმა წარადგინეს საბუთი, რომ 1816 წელს ლევან V დადიანმა ისინი გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადისაგან, გარდა ერთი ფარეშის გამოყვანისა. მიუხედავად ამისა, მათ ვერ დაამტკიცეს, რომ ისინი მესაკუთრეები იყვნენ.[2] ზუგდიდის მაზრის სოფელ დარჩელში მცხოვრები გლეხები სასამართლოში ჩიოდნენ, რომ მიწა, რომელიც ჰქონდათ, მათი საკუთრებაა, თავადი ანჩაბაძე კი მათ ხიზნებად თვლიდა და ხიზნურ გადასახადებს თხოულობდა. 1891 წელს გლეხებმა ანჩაბაძეს უარი უთხრეს გადასახადების მიცემაზე. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გლეხებს იძულების წესით გადაახდევინა გადასახადები. მთავარმართებელმა და შემდეგ სენატმა გუბერნატორის ეს მოქმედება მართებულად ჩათვალა იმ მოტივით, რომ სასამართლოს მიერ დადგენილების გამოტანამდე გლეხებს ხიზნური გადასახადები უნდა გადაეხადათ.[3]

საგლეხო რეფორმის შემდეგ თავადაზნაურობა ქონებრივ დიფერენციაციას განიცდიდა. მათი ნაწილი მდიდრდებოდა, ნაწილი კი — ღატაკდებოდა. ამასთან, მსხვილი და საშუალო მემამულეები სულ უფრო ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციას განიცდიდა გლეხობა, რომელიც შეძლებულ, საშუალო და უღარიბეს გლეხობად დაიყო. შეძლებული გლეხი დაქირავებულ შრომას იყენებდა და კიდევ უფრო მდიდრდებოდა; საშუალო გლეხი დამოუკიდებელ ნატურალურ მეურნეობას მისდევდა, უღარიბესი გლეხობა წარმოების ძირითად საშუალებებს — მიწას და გამწევ ძალას მოკლებული იყო. უმიწო და მცირემიწიანი გლეხების ერთი ნაწილი, რომლებსაც მიწის იჯარით აღების შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ტოვებდნენ სოფლებს და საშოვარზე მიდიოდნენ. ზუგდიდისა და სენაკის მაზრების გლეხები ხშირად აფხაზეთში მიდიოდნენ სამუშაოდ და ზოგჯერ იქვე მკვიდრდებოდნენ.[4] გლეხები მიდიოდნენ აგრეთვე ქალაქებში და ყოველგვარ სამუშაოს ასრულებდნენ: მუშაობდნენ მტვირთავებად, მზიდავებად, სახელოსნოებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში. სამეგრელოს გლეხობა ძირითადად მიდიოდა ქუთაისში, ფოთის ნავსადგურში, ბათუმის ქარხნებში, ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მანგანუმის მაღაროებში. გლეხები მიდიოდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში: ნოვოროსიისკში, სევასტოპოლში, ქერჩში, ოდესაში. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა სამუშაოდ ქალაქებში მიდიოდა, მათი დიდი ნაწილი სოფელთან კავშირს არ წყვეტდა.[5]

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში გავრცელდა მსოფლიო სამრეწველო კრიზისი, რომელიც მოუსავლიანობამ და შიმშილობამ კიდევ უფრო გაამწვავა. კრიზისს მძიმე შედეგე-

---

[1] **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905-1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 19; **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, *„მაცნე“, ისტორიის ... სერია*, 1985, №4, გვ. 17.

[2] **ირ. ანთელავა, ვ. გუჩუა,** საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 158.

[3] **ირ. ანთელავა, ვ. გუჩუა,** საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 158.

[4] **ა. კილასონია, ბ. ხორავა**, გლეხთა გადასახლება სამეგრელოდან აფხაზეთში XIX საუკუნის 70-იან წლებში (რამდენიმე ახალ საბუთის მიხედვით), *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია*, ტ. XVI, თბ., 2016, გვ. 224-237.

[5] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 29-31; **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 21; **ი. კაჭარავა**, პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში, გვ. 53-55.

ბი მოჰყვა საქართველოშიც. სამეგრელოს სოფლებში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირე, მცირემიწიანობა, გადასახადების სიმძიმე, სასოფლო ადმინისტრაციის თვითნებობა გლეხობას სულს უხუთავდა. 1901 წელს ამას დაემატა მოუსავლიანობა, რამაც გლეხობის შიმშილობა და უკიდურესი გაჭირვება გამოიწვია. გლეხები იძულებული იყვნენ იჯარით აღებული მიწებიდან მიღებული მთელი შემოსავალი მემამულეებისთვის ეძლიათ; გარესამუშაოებზე წასული გლეხები ეკონომიკური კრიზისისა და აქედან გამომდინარე უმუშევრობის გამო სამუშაოს კარგავდნენ და სოფელში ბრუნდებოდნენ.[1] სოფლად არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარება გლეხთა გამოსვლების მიზეზი გახდა. 1902 წლის გაზაფხულიდან მთელ დასავლეთ საქართველოში ძლიერი აგრარული მოძრაობა დაიწყო. გლეხები უარს ამბობდნენ დროებითვალდებულებით დამოკიდებულებაზე, რადგან სანადელო მიწის ფასს გაღებული ღალით სამი ათეული წელი იხდიდნენ და უკვე გადახდილად თვლიდნენ. გლეხთა გამოსვლებმა სამეგრელოს სოფლებიც მოიცვა.[2] იმავდროულად, ამიერკავკასიაში ფართოდ გაიშალა მუშათა რევოლუციური მოძრაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სამეგრელოდან სამუშაოს საძებნელად თბილისში ჩასული გლეხებიც. ერთ-ერთი მათგანი იყო მოსე კვარაცხელია (1882-1942). იგი წარმოშობით ზუგდიდის მაზრის სოფ. ჯგალიდან იყო. ზუგდიდის სამაზრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოს საძებნელად თბილისში ჩავიდა. 1902 წელს მეფის არმიაში გაიწვიეს. ამ დროიდან ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში.[3]

მუშათა გამოსვლები თბილისსა და ბათუმში გავლენას ახდენდა სოფლებზეც. ამასთანავე, მუშების ერთი ნაწილი 1900-1902 წლების სამრეწველო კრიზისისა და უმუშევრობის პერიოდში თავისი ნებით ბრუნდებოდა სოფლებში, ნაწილს კი მთავრობა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობის გამო იძულებით აბრუნებდა. მათ რევოლუციური იდეები ჩამოჰქონდათ და ავრცელებდნენ გლეხობაში, თვითმპყრობელობისა და მემამულეების წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ.[4] სოფლებში აგიტაციას ეწეოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებიც. 1902 წლის 25 მარტს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა მიხა ცხაკაიამ სოფელ ლესიჭინეში თავი მოუყარა ზუგდიდის მაზრის სოფლების ოჩხომურის, კირცხის, ლეწურწუმეს, მუხურის, ახუთის, ნაკიანის, ლექარჩეს და სხვათა 500-მდე გლეხს და კრება ჩაატარა. კრებაზე გლეხებმა მიიღეს გადაწყვეტილება არ დამორჩილებოდნენ მემამულეებს, მათთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. გლეხებმა ეკლესიაში ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ არ გადაუხდიდნენ საიჯარო ქირას მემამულეებს, ერთად იმოქმედებდნენ და არ უღალატებდნენ ერთმანეთს.[5] ლესიჭინიდან მიხა ცხაკაია სოფელ ხუნწში ჩავიდა, სადაც 30 აპრილს ასეთივე კრება ჩაატარა. კრებას ლეხაინდრაოს, ნოჯიხევის, აბედათის, ინჩხურის, სალხინოს, ეწერის, ტალერის და სხვა სოფლების 400-მდე გლეხი ესწრებოდა. მათ მემამულეებისაგან მოითხოვეს ღალის დაკლება, უარი თქვეს სამღვდელოებისთვის დაწესებული დრამის ფულის (კომლზე 2 მან.) გადახდაზე. გლეხები აღნიშნავდნენ, რომ სოფლის ყოველი საჭიროება — გზების შეკეთება, ეკლესიის მოვლა და სხვა, სოფლის ყველა მცხოვრებს უნდა დაკისრებოდა წოდების განურჩევლად.[6]

1902 წლიდან გლეხთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში. სენაკის მაზრის სოფლების: ნოქალაქევის, გახომელას, გეზათის, გულეიკარის, ლებაღათურეს, კოტიანეთის, ძველი სენაკის, ფოცხოს, უშაფათის, ილორის, საჭილაოს, ნაესაკავოს, მარ-

---

[1] **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, გვ. 17; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, გვ. 79.

[2] **ა. კიკვიძე**, მასობრივი პოლიტიკური მოძრაობის აღმავლობა საქართველოში 1901-1904 წლებში, — *სინ*, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 174; **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 74.

[3] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის პერიოდში, თბ., 1968, გვ. 40-41.

[4] **ა. კიკვიძე**, მასობრივი პოლიტიკური მოძრაობის აღმავლობა საქართველოში 1901-1904 წლებში, გვ. 174; **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, გვ. 17.

[5] **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, გვ. 18-19.

[6] **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, გვ. 19.

ნის და სხვათა გლეხებმა უარი თქვეს მემამულეთა მიწების დამუშავებაზე, ისინი ზოგჯერ მემამულეთა სახლებსაც წვავდნენ. 8 მაისს გულეიკარის საზოგადოებაში თავად მიხეილ დიდიას სამზადს ცეცხლი წაუკიდეს; 12 მაისს იმავე საზოგადოებაში დაწვეს თავად სოლომონ დიდიას ორი სასიმინდე 900 ფუთი სიმინდით.[1] ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მთავარმართებლისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახლეობის დასაწყნარებლად და წესრიგის აღსადგენად მიღებული ზომების მიუხედავად, მოძრაობა გრძელდება და გლეხობა ძალადობაზე გადავიდაო. იგი ნებართვას ითხოვდა დიდიას ზარალის ასანაზღაურებლად 600 მანეთი სოფელ გულეკარის მცხოვრებთაგან ამოეღოთ.[2] ზაფხულიდან სამეგრელოს სოფლის მოსახლეობაში დაიწყო მოძრაობა სამღვდელოებისთვის დაწესებული „დრამის“ გადასახადის გაუქმების მოთხოვნით. სამღვდელოება ხაზინიდან ჯამაგირს იღებდა, ამასთან მრევლისაგან სხვადასხვა რიტუალის შესრულებისთვისაც გასამრჯელოს იღებდა.[3] აგვისტოში ზუგდიდის მაზრის სოფელ ნარაზენში გაიმართა გლეხების კრება, რომლის ინიციატორი გურიის გლეხთა გამოსვლების მონაწილე პეტრე ბიგვავა იყო. გლეხებმა გადაწყვიტეს მიებაძათ გურული გლეხებისთვის და მემამულეებისთვის საიჯარო ქირა არ გადაეხადათ, ამასთანავე ფიცი დადეს ერთად ემოქმედათ და ერთმანეთისთვის არ ეღალატათ. ასეთივე კრება გაიმართა სოფელ ჯაპშაქარში და გლეხებმა იქაც ასეთივე ფიცი დადეს.[4] სექტემბრიდან გლეხთა მოძრაობა მთელ ზუგდიდის მაზრას მოედო. ზუგდიდის მაზრის სოფლების კოკის, ხურჩას, შამგონას, კორცხელის, ცაცხვის, ჩხოუშიას, ურთას, ჭაქვინჯის, ჩხორიას გლეხებმა კრებებზე დაადგინეს, მემამულეებისთვის მიწის საიჯარო თანხა არ გადაეხადათ, სანადელო მიწები ჩვენ გვეკუთვნის, ამიტომ არ ვართ ვალდებული მემამულეებს ღალა ვუხადოთო.[5] 12 სექტემბერს სოფელ მუხურის მკვიდრი 70-მდე გლეხი თავს დაესხა თავად დადიანისა და აზნაურ ჩარკვიანის მამულს ლუგელას და მის დაუფლებას შეეცადა. მუხურიდან გლეხთა გამოსვლები მოედო ზუგდიდის მაზრის სოფლებს ლეგახარეს, ქოყოს, ზუმს, ნაკიანს, ლექარჩეს, ლეჯიქეს. საჭირო გახდა მთავრობის ჩარევა, რათა გლეხთა მასობრივი ძალადობა თავიდან აეცილებინათ.[6]

ამრიგად, გლეხები უარს ამბობდნენ არა მარტო მემამულეთა მიწების დამუშავებაზე, არამედ ყოველგვარი გადასახადის გადახდაზე, როგორც საიჯარო, ისე საღალო გადასახადებზე.[7]

1903 წელს სამეგრელოს სოფლებში გლეხები აწყობდნენ გაფიცვებს და საიჯარო ფასების შემცირებას მოითხოვდნენ. მემამულე მხეიძეებსა და დადიანებს (ძველი სენაკი, შხეფი, ეკი და სხვ.) გლეხებმა წაუყენეს პირობა საიჯაროდ გაცემული მიწებიდან მოსავლის მხოლოდ ერთი მეხუთედი აეღოთ.[8] 1903 წლის 1 მაისს სოფელ ხორშში გლეხების პავლე კანკავასა და სხვათა ინიციატივით, სასოფლო საზოგადოების კანცელარიასთან წითელი დროშა გამოფინეს, მეფის პორტრეტი თავდაღმა დაკიდეს და რევოლუციური პროკლამაციები გააკრეს.[9] პავლე კანკავა სოფელ ხორშის მკვიდრი იყო. 17 წლის ასაკში, 1885 წელს, ბათუმში ჩავიდა და მანთაშევის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. აქ ის აქტიურად ჩაერთო მუშათა მოძრაობაში, მონაწილეობდა ბათუმის მუშათა 1902 წლის მარტის პოლიტიკურ დემონსტრაციაში, რისთვისაც ერთხანს დაპატიმრებუ-

---

[1] **ი. მირცხულავა**, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში, ნაკვ. I, თბ., 1964, გვ. 123; **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, გვ. 21.

[2] **ი. მირცხულავა**, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში, ნაკვ. I, გვ. 124.

[3] **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, გვ. 219.

[4] **ი. მირცხულავა**, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში, ნაკვ. I, გვ. 122.

[5] **ი. მირცხულავა**, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში, ნაკვ. I, გვ. 123; **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, გვ. 20-21.

[6] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 49-50; **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, გვ. 20.

[7] **ვ. ჯანჯღავა**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1902-1904 წლებში, გვ. 20.

[8] **ა. კიკვიძე**, მასობრივი პოლიტიკური მოძრაობის აღმავლობა საქართველოში 1901-1904 წლებში, გვ. 174.

[9] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 51-52.

ლი იყო, შემდეგ სხვა მუშებთან ერთად დაითხოვეს და თავის სოფელში გააძევეს. ამის შემდეგ ის თანასოფლელებში სოციალდემოკრატიულ იდეებს ავრცელებდა.[1]

პირველი მაისი სენაკის მაზრის სხვა სოფლებშიც აღნიშნეს. პროპაგანდისტები გლეხებს მოუწოდებდნენ არ გადაეხადათ გადასახადები. ასეთი ვითარება იყო ზოგადად ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში.[2]

1903 წლის ივლისში ჩამოყალიბდა რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი. სამეგრელოს სოფლებში დაიწყო გლეხთა მღელვარება, რომელიც სენაკის მაზრას მოედო, მას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. სოფლებში — მარანში, გულეიკარში, ნაესაკავოში, ქვათანაში, სუჯუნაში, თეკლათში, გეჯეთში, ლეხაინდრაოში, ნახუნაოში, მარტვილში, ნაგვაზაოში, — ეწყობოდა კრებები, სადაც გლეხები ფიცს სდებდნენ, რომ არ გადაიხდიდნენ დრამის ფულს, არ დაუდგებოდნენ მოსამსახურეებად მემამულეებს, არ გასცემდნენ პოლიციის მიერ დევნილ პირებს, გლეხებს შორის სრული ერთიანობა იქნებოდა და სხვ. მემამულეთა მიწებს გლეხები დაუმუშავებლად ტოვებდნენ.[3]

1903 წელს კვლავ მოუსავლიანობა იყო სამეგრელოში, სიმინდის მოსავალი ძალიან ცოტა მოვიდა. ამიტომ 1904 წლის ზაფხულში ყველას შემოელია სიმინდი, ზოგს იმიტომ, რომ ცოტა მიიღო მოსავალი, ზოგმა კი ნაადრევად გაყიდა. სიმინდის ფასმა 40-50 კაპიკიდან 1 მან და 1,5 მანეთამდე მიაღწია. მოსახლეობას ძირითადად ხილეულით გაჰქონდა თავი.[4] იმავდროულად, მიწათმფლობელობის ნიადაგზე დავა და დაპირისპირება ხშირი იყო. 1904 წლის აგვისტოში ზუგდიდის მაზრის სოფელ მუხურში სისხლისღვრა მოხდა. ლუგელას მთიდან, რომლის დაუფლებაზე დავა ჰქონდათ დადიანებსა და გლეხ თოლორდავებს, ამ უკანასკნელებმა მდ. ხობისწყლით ტივებად შეკრული ხეები წამოიღეს. მათ გზაზე დახვდნენ დადიანები მათ აზნაურებთან ჩარკვიანებთან ერთად, და ხეების დატოვება მოსთხოვეს. თოლორდავები უარზე იყვნენ, მთა ჩვენია და ხეც ჩვენ მოგვაქვსო. თავადები პეტრე, პლატონ, გოჯუ და გახა დადიანები და აზნაური ჩარკვიანები რევოლვერებით, თოლორდავები — კეტებით, ერთმანეთს დაერივნენ. შეტაკებისას თომა თოლორდავა მოკლეს, ბასაია, ბახვა და მაქსიმე თოლორდავები დაიჭრნენ.[5] იმავე ხანებში მუხურში გაიმართა ფარული კრება, რომელსაც სამი საზოგადოების — მუხურის, ზუმის, ლეგახარეს მცხოვრებლები ესწრებოდნენ. გლეხები პროტესტს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ისინი თოვლ-ჭყაპსა და ყინვაში აკეთებდნენ გზებსა და ბოგირებს, თავადაზნაურები კი სამუშაოებში არ მონაწილეობდნენ. გლეხთა მოძრაობამ 1904 წლის დამლევიდან ორგანიზებული ხასიათი მიიღო.[6]

1904 წლის იანვარში რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905) დაიწყო. ომი რუსეთის იმპერიის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახა და დაბალი ფენების ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. რუსეთის არმიის დამარცხებებმა საომარ მოქმედებათა თეატრზე უკიდურესად დასცა ხელისუფლების ავტორიტეტი, ქვეყანაში გართულდა სოციალური და პოლიტიკური ვითარება. შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლეს სოციალისტური ორიენტაციის პარტიებმა და ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის მხილებით რევოლუციის დაწყებას ხელი შეუწყვეს.[7]

1905 წლის 9 იანვრის ამბები პეტერბურგში, იმპერიაში სახალხო რევოლუციის დასაწყისი გახდა. „სისხლიანი კვირისა“ და შემდეგ განვითარებულმა ამბებმა გამოძახილი საქართველოშიც ჰპოვა. მალე, გლეხთა რევოლუციური გამოსვლები მთელ საქართველოს მოედო. იანვრის მეორე ნახევრიდან გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ სენაკისა და ზუგდიდის მაზრების სოფლების დიდი ნაწილი მოიცვა.[8] ზუგდიდის მაზრაში დაიწყო გლეხთა რევოლუციური რაზმე-

---

[1] **ი. გვასალია**, ვალმოხდილი, გაზ. ,,კოლხეთი“, 1968 წ. 6 აგვისტო, №93.

[2] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 52, 61.

[3] **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 89, 112-113, 123.

[4] **მ. გ-ია**, მგზავრის შენიშვნები, გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2752, 1905 წ. 23 თებერვალი.

[5] **მ. გ-ია**, მგზავრის შენიშვნები, გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2752, 1905 წ. 23 თებერვალი.

[6] **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 121-122, 486-487.

[7] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 65; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, თბ., 2019, გვ. 216.

[8] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 77.

ბის შექმნა, რომლებიც პოლიციასა და კაზაკებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. თებერვალში გლეხებმა გადაწვეს სენაკის მაზრის სოფლების თეკლათისა და ეკის, ზუგდიდის კანცელარიები; თებერვალში გლეხთა გამოსვლები მოხდა კოკში, კახათში. კახათის დროებითვალდებულმა გლეხებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ მემამულეებს არ შეუსრულებდნენ დაკისრებულ ვალდებულებებს, გარდა მოსავლის მეათედის მიცემისა, არ გადაიხდიდნენ სამღვდელოების გადასახადს. მათ კოკისა და დარჩელის გლეხებმაც მიბაძეს. ხდებოდა შეტაკებები პოლიციასთან და კაზაკებთან.[1]

თებერვალში, სენაკის მაზრის უფროსის ცნობით, მაზრაში რევოლუციური პროპაგანდა დაიწყო. პროპაგანდისტები გლეხებს მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ ძველი პირობით მემამულეთა მიწების დამუშავებაზე, არ გადაეხადათ საეკლესიო გადასახადი. მისი ცნობით, გლეხთა მოძრაობა, გარდა აგრარულისა, პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა. მაზრის სოფლებში: გულეიკარში, მარანში, ნაესაკავოში, ქვალონში, სუჯუნაში, თეკლათში, ლეხაინდრაოში, მარტვილში, ნაგვაზაოში და სხვაგან შედგა კრებები, რომელთა მოთავეებს გლეხები საიდუმლოდ ინახავდნენ. კრებებზე გლეხებმა ფიცის ქვეშ დაადგინეს: სრული ერთობა ყოფილიყო მათ შორის, უქმე დღეებში არ ემუშავათ, არ გადაეხადათ საეკლესიო გადასახადები გარდა ჯვრისწერისა და მიცვალებულთა წესის აგებისა, სამღვდელოება უნდა შეენახა ხაზინას; არ გადაეხადათ სახელმწიფო გადასახადები; არ ემუშავათ იმ მემამულეებთან, რომლებიც რევოლუციას არ მიემხრნენ; დაუნდობლად ებრძოლათ საქონლის ქურდობის წინააღმდეგ; კანონიერად არ ეცნოთ სასოფლო მმართველობის თანამდებობის პირთა არჩევნები, გამართულიყო ახალი არჩევნები და სხვ. რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი ხალხს შეიარაღებული აჯანყებისკენ მოუწოდებდა. სამეგრელოს სოფლებში აგრარული მოძრაობა ფართოვდებოდა. მოსალოდნელი უწესრიგობების შესახებ ზუგდიდის პოლიციის ბოქაული 1905 წლის 6 თებერვალს ზუგდიდის მაზრის უფროსს აფრთხილებდა.[2] სოფელ კახათის გლეხები მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების საფუძველზე, პოლიტიკურ მსჯავრდებულთა სრულ ამნისტიას, თავდაცვის მიზნით მათთვის იარაღის გადაცემას, მაზრის უფროს ვასილ კეღამოვისა და ბოქაულების დაუყოვნებლივ გადაყენებას. ამ მოთხოვნას ხელს აწერდა 344 კახათელი გლეხი; ანალოგიური მოთხოვნები წამოაყენეს სოფელ კოკის გლეხებმა. ამ მოთხოვნებში იყო პოლიტიკური მოტივებიც. კახათისა და კოკის გლეხობა მმართველობის მოწყობას დემოკრატიულ პრინციპებზე მოითხოვდა.[3]

ასეთ ვითარებაში, ნიკოლოზ II-ის (1894-1917) ბრძანებულებით, 1905 წლის თებერვალში კავკასიაში მეფისნაცვლობა აღდგა. კავკასიის მეფისნაცვალი მთავარმართებელზე მეტი უფლებით იყო აღჭურვილი. ის იყო კავკასიის ერთპიროვნული მმართველი, რომელსაც ემორჩილებოდა ყველა უწყება, მათ შორის, სასამართლო. თვითონ მეფისნაცვალი კი მხოლოდ იმპერატორის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. კავკასიის მეფისნაცვლად გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1905-1915) დაინიშნა. მეფისნაცვლის მთავარი ამოცანა აღმავალ რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლა იყო.

ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში გლეხთა შეიარაღებული რაზმების შექმნამ მასობრივი ხასიათი მიიღო. თებერვალ-მარტში გლეხთა წითელი რაზმები სოფლებში წვავდნენ კანცელარიებს და დოკუმენტაციას ანადგურებდნენ. კახათში, რიყეში მოხდა შეტაკებები პოლიციასთან და სტრაჟნიკებთან. 6 მარტს შეიარაღებულმა გლეხებმა ზუგდიდში პატიმრობიდან გაათავისუფლეს წინა დღეს დაკავებული თანამებრძოლები. შეტაკებას, როგორც პოლიციელებს, ისე გლეხებს შორის, მსხვერპლი მოჰყვა. გლეხებმა თავადაზნაურთა მამულები დაარბიეს ჭკადუაშსა და

---

[1] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 80-85; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, გვ. 305, 320.

[2] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 44.

[3] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 46.

რიყეში; 18 მარტს სოფელ კირცხში მოკლეს მემამულე მხეიძე.[1]

მეფის ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოს რიგ მაზრებში, მათ შორის სენაკის მაზრაში, საომარი წესები შემოიღო. 1 მარტს მაზრაში ჯარის ნაწილები შევიდნენ, რომლებმაც დროებით შეძლეს წესრიგის აღდგენა.[2] „საომარი დროის წესების გამოცხადებისას, — წერდა გაზეთის კორესპონდენტი, — სამეგრელო გაივსო კაზაკ-რუსებით, პლასტუნებით. მაზრის უფროსი და პრისტავები, რომლებიც წინათ დაშინებული ჩუმად იყვნენ, ჯარის მოსვლის შემდეგ გამაგრდნენ. თავადაზნაურობაც, რომელთა უმეტესობამ ხალხს „ერთობა“ შეფიცა, ახლა სხვანაირად იქცევა“.[3] სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, თავადაზნაურობის ერთი ნაწილი გლეხთა მოძრაობას თანაუგრძნობდა.[4] სოფელ ჭკადუაშში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლას მუშნი დადიანი და ვასილ ალშიბაია ხელმძღვანელობდნენ.[5] მარტში რევოლუციური მოძრაობა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში უფრო გამწვავდა. სენაკის მაზრის რიგ სოფლებში რევოლუციური სიმღერებითა და წითელი დროშებით იმართებოდა ანტისამთავრობო დემონსტრაციები, თავს ესხმოდნენ პოლიციის საგუშაგოებს. 2 მარტს სენაკის მაზრის სოფელ *ლეციცხვაიეს* გლეხებმა მოკლეს თანამდებობიდან გადამდგარი სახალხო მრჩეველი გეგეჭკორი, რომელიც ჯაშუშობდა და ლეციცხვაიეს გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელებს პოლიციასთან ასმენდა.[6] ზუგდიდის მაზრის სამი სასოფლო საზოგადოების — ხორშის, ზენის და ზანის გლეხებმა მსჯელობა გამართეს თავიანთ მძიმე მდგომარეობაზე და განაცხადეს, რომ ძველებურად ცხოვრება შეუძლებელი იყო.[7]

ზუგდიდის მაზრის სოფლებში გლეხთა გამოსვლებს, ფარული კრებების გამართვას სათავეში ედგნენ სოფლის ყოფილი მასწავლებელი დიმიტრი გეთია (სოფ. ჭაქვინჯი), მასწავლებლები ნ. როდონაია (სოფ. კირცხი), ი. ცანავა და ს. ჯოლოხავა (სოფ. წალენჯიხა). დიმიტრი გეთიასა და სვიმონ თოლორდავას (სოფ. მუხური) ხელმძღვანელობით შეიქმნა გლეხთა შეიარაღებული რაზმები.[8] სენაკის მაზრის აბაშის უბნისა და ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბნის სოფლებში გლეხებმა უარი თქვეს დრამის ფულის გადახდაზე, მემამულეებს შეუწყვიტეს ღალის გადახდა, ბოიკოტი გამოუცხადეს მამასახლისებსა და პოლიციურ სასამართლოებს, შექმნეს ამხანაგური სასამართლოები. მარტში შეიარაღებული შეტაკება მოხდა სოფ. მუხურში პოლიციასა და თოლორდავას რაზმს შორის. ამის გამო მუხურსა და მეზობელ სოფლებში რამდენიმე გლეხი დააპატიმრეს. გლეხებმა წალენჯიხის ბოქაულს მათი გათავისუფლება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუხურის, ჯგალის და ჭოღის გლეხები მზად იყვნენ გაელაშქრათ წალენჯიხის საბოქაულოს წინააღმდეგ. ამ მუქარის გამო ზუგდიდის მაზრის უფროსმა ბოქაულს დამხმარე ძალა გაუგზავნა.[9]

აპრილში გლეხთა შეიარაღებულმა რაზმმა სვიმონ თოლორდავას მეთაურობით, ერთ-ერთი შეტაკებისას მოკლა სოფელ ხაბუმეს მკვიდრი, თავადი პლატონ დადიანი. შიშით შეპყრობილი მემამულეები ტოვებდნენ თავიანთ სოფლებს და თავს აფარებდნენ ქუთაისს, სოხუმს.[10] ზუგდიდის მაზრის უფროსმა ვასილ კეღამოვმა (1897-1906) სოფლებს დამსჯელი რაზმები გაუსია. 8 აპრილს დამსჯელი რაზმი ვ. კეღამოვის მეთაურობით ზემო სამეგრელოს სოფლების — ჯგა-

---

[1] **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, გვ. 305, 319.

[2] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 91-92; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, გვ. 320.

[3] გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2813, 1905 წ. 6 მაისი.

[4] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 105.

[5] **ე. ანთია**, 1905-1907 წლების რევოლუცია და ზუგდიდის მაზრა. *შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შრომების კრებული*, №4, თბ., 2011, გვ. 92, 94.

[6] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 95.

[7] გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2781, 1905 წ. მარტი; **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 75; **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 264.

[8] **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 133-134.

[9] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 88, 97-98.

[10] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 98; **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 473.

ლის, მუხურის, ჭოღის, ოცინდალეს წინააღმდეგ დაიძრა. კაზაკებმა სოფელი ჭოღა დაარბიეს, დალეწეს სავაჭრო დუქნები, იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც მოიხელთებდნენ, სასტიკად უსწორდებოდნენ გლეხებს; გაძარცვეს და ააოხრეს მუხური, ოცინდალეს მონასტერში შეხიზნული ქალები ააწიოკეს. სამი დღე გრძელდებოდა ჯგალის, მუხურის, ჭოღის, ოცინდალეს, ნაფიჩხოვოს ძარცვა, რბევა, აწიოკება, შემდეგ მაზრის უფროსმა ამ სოფლებში ეგზეკუცია ჩააყენა.[1] გლეხებს დააწვა ეგზეკუციის შენახვისა და გადამწვარი კანცელარიების აღდგენის ხარჯები.[2] იმავე ხანებში, მაზრის უფროსის მითითებით, დიმიტრი გეთია მოკლეს.[3]

რევოლუციური მოძრაობა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, აგვისტოდან კვლავ გამწვავდა. ძალმომრეობა, დამცირება, შეურაცხყოფა მძიმე ეკონომიკურ პირობებთან და ეროვნულ ჩაგვრასთან ერთად, რევოლუციური მოძრაობის გაფართოების მიზეზი გახდა. ყველგან სრული ანარქია სუფევდა, მოსახლეობა არავითარ ხელისუფლებას არ ცნობდა, იმართებოდა დემონსტრაციები, რომლებშიც მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. გლეხები თითქმის ჩამოშორდნენ ეკლესიას, საეკლესიო მსახურებაც იშვიათად იმართებოდა და რაც იმპერატორსა და მის ოჯახს ეხებოდა, არ იკითხებოდა; სამეგრელოს სოფლებში უარს ამბობდნენ მეფის ჯარში სამსახურზე. სოფლად პროპაგანდას ეწეოდნენ ისეთი პირები, რომლებიც მოსახლეობისათვის ახლობელ ადამიანებს წარმოადგენდნენ.[4] სენაკის მაზრის მარტვილისა და აბაშის უბნის სოფლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის დავალებით რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე ჩოჩია, შემდეგში ცნობილი პოეტი ალექსანდრე აბაშელი.[5] გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ზუგდიდის მაზრაში და მის წინააღმდეგ რეპრესიები შესანიშნავად აღწერა ამ მოძრაობის ერთ-ერთმა მონაწილემ, მწერალმა ლეო ქიაჩელმა მოთხრობაში „ტარიელ გოლუა“.

შემოდგომაზე ისევ გააქტიურდა გლეხთა გამოსვლები. იმართებოდა დემონსტრაციები, მიტინგები. 4 სექტემბერს სადგურ აბაშაში ჯარსა და მოსახლეობას შორის შეტაკება მოხდა, რასაც მოსახლეობის მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა. გლეხები უარს ამბობდნენ ყოველგვარი გადასახადის გადახდაზე; ვრცელდებოდა პროკლამაციები შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. ნოემბერში გახშირდა გლეხთა შეიარაღებული რაზმების თავდასხმები პოლიციის საგუშაგოებზე და მათი განიარაღება. იმავდროულად, ზუგდიდის მაზრის სოფლებში მუხურში, კახათში, ჭაქვინჯში, ზუგდიდში, დარბევები მოხდა. გლეხები მოითხოვდნენ მაზრის უფროსის კეღამოვის გადაყენებას, დარბევების ფაქტის გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას, იყო პოლიტიკური მოთხოვნებიც. ნოემბრის დამლევს მთელი სამეგრელო გლეხთა გამოსვლებით იყო მოცული. ზუგდიდის მაზრის სოფლების — მუხურის, ჯგალის, კოკის გლეხები ქუთაისის ციხეში დაპატიმრებული თავიანთი თანასოფლელების გათავისუფლებას მოითხოვდნენ.[6]

დეკემბერში ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში გლეხთა რაზმები თავს ესხმოდნენ პოლიციის საგუშაგოებს, იარაღს ართმევდნენ პოლიციელებსა და სტრაჟნიკებს, კაზაკებს; გლეხები აყალიბებდნენ შეიარაღებულ რაზმებს.[7] 2 დეკემბერს წითელრაზმელებმა ხელში ჩაიგდეს ახალსენაკის ყველა სამთავრობო დაწესებულება: პოლიციის სამმართველო, სატუსაღო, ხაზინა. 6

---

[1] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 101-102.

[2] გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2846, 1905 წ. 17 ივნისი.

[3] **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 273-274.

[4] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 112-113, 144-149, 166-167; **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 475.

[5] **ა. კოკაია**, ორი დოკუმენტი ალექსანდრე აბაშელის შესახებ, გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი“, №41, 1962 წ. 10 ივლისი. 1906 წელს ალექსანდრე ჩოჩია მარტვილში დააპატიმრეს და ახალსენაკის საპყრობილეში მოათავსეს. შემდეგ ის ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი ვოლოგდის გუბერნიაში გადაასახლეს (იქვე).

[6] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 169-176, 182-187; **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 417; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, გვ. 320-322.

[7] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 191-194.

დეკემბერს წითელრაზმელები თავს დაესხნენ ზუგდიდის მაზრის სამმართველოს და სტრაჟნიკთა საგუშაგოებს, განაიარაღეს მაზრის უფროსი და ბოქაულები, ხელში ჩაიგდეს იარაღი, გაათავისუფლეს პოლიტპატიმრები, განაიარაღეს საპოლიციო უბნები ზუგდიდში, წალენჯიხაში და სხვა სოფლებში. მაზრის ადმინისტრაციამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ასეთივე ვითარება იყო სენაკის მაზრაშიც. სამთავრობო დაწესებულებებისა და პოლიციის საგუშაგოების განიარაღების შემდეგ მთელი ძალაუფლება ფაქტობრივად აჯანყებულთა ხელში გადავიდა. სამეგრელოში იარაღი შემოდიოდა ბათუმიდან, ფოთიდან, ანაკლიიდან. გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ სოფლის კანცელარიებს, მათ სრულიად შეწყვიტეს ურთიერთობა სამთავრობო დაწესებულებებთან, არ მიმართავდნენ მამასახლისებს და მოსამართლეებს, სამთავრობო დაწესებულებებს. სოფლებში ბევრგან აირჩიეს სახალხო სასამართლოები, საკუთარი ადმინისტრაცია.[1]

მოსკოვში დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მთელ ქვეყანაში საშინელი რეაქციის ხანა დაიწყო. საქართველოში შეიარაღებული გამოსვლები, რომლებიც ლოკალურ ხასიათს ატარებდა, რევოლუციური ძალების დამარცხებით დამთავრდა, 1906 წლის დასაწყისიდან კი რეპრესიები დაიწყო. იანვარში ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალ-მაიორი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით აღიჭურვა. მას დაევალა სისხლიანი ანგარიშსწორება ქუთაისის გუბერნიაში.[2]

ქუთაისში დამსჯელი რაზმები თბილისიდან 9 იანვარს ჩავიდნენ. იმ დროს ქუთაისის გუბერნიაში არსებული ვითარების შესახებ გენერალი ალიხანოვ-ავარსკი მოხსენებით ბარათში კავკასიის პოლიციის მმართველობის უფროსისადმი, წერდა: „ქ. ქუთაისის და ქუთაისის გუბერნიაში შემავალი შვიდი მაზრის ყველა რაიონი ფაქტიურად რევოლუციონერთა კომიტეტის ქსელის განკარგულებაში იმყოფებოდა. ყველა საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულება უმოქმედოდაა; ჟანდარმები, ქალაქის პოლიციელები და მთელი გუბერნიის პოლიციის დაცვა განიარაღებული და ნაწილობრივ განადგურებულია; საზოგადოების ყველა კანცელარია დამწვარია. სამაზრო პოლიციისა და სხვა დაწესებულების მოხელენი გაიქცნენ ან რევოლუციონერებთან შეთანხმებული არიან. ვაჭრობა, მრეწველობა, საფოსტო-სატელეგრაფო ცნობების მიღება, მატარებელთა მოძრაობა შეწყვეტილია. სამრეწველო დაწესებულებები დაკეტილია. გადასახადის გადახდასა და სამხედრო ბეგარაზე ლაპარაკი ზედმეტია. მთელი გუბერნია დაყოფილი იყო რევოლუციურ რაიონებად, რომლებსაც თავიანთი უფროსები ჰყავდათ. თითოეულ მათგანში ყალიბდებოდა, იარაღდებოდა, იწვრთნებოდა მილიციელთა რაზმები მთავრობის ჯარებთან საბრძოლველად. რკინიგზის ყველა სადგური რევოლუციონერების ხელშია გადასული.[3] იანვრის პირველ ნახევარში სენაკის მაზრაში შემოვიდა დამსჯელი ჯარი პოლკოვნიკ ჩიქოვანის მეთაურობით, ზუგდიდის მაზრაში დამსჯელ ჯარს პოლკოვნიკი ხოძინსკი მეთაურობდა. სამეგრელოში დამსჯელი რაზმების თარეში დაიწყო. აპრილის დასაწყისში სენაკისა და ზუგდიდის მაზრებს თვით ალიხანოვ-ავარსკი ეწვია, რომელმაც ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „რაც დაგემართათ, ღმერთს მადლობა უთხარით, რომ ჯარმა მთლად არ გაგანადგურათო“. დამსჯელი რაზმები ცეცხლითა და მახვილით მოქმედებდნენ, წვავდნენ და აოხრებდნენ სახლებს. მოსახლეობის დარბევასა და აწიოკებას თან ახლდა დაპატიმრებები და დახვრეტები; პატიმრებს ადმინისტრაციული წესით რუსეთის შორეულ გუბერნიებში ასახლებდნენ. კაზაკების ძალმომრეობისათვის თავი რომ დაეღწიათ, ქალები მონასტრებს აფარებდნენ თავს, მაგრამ მათ აქაც მისწვდა მსახვრალი ხელი. ხალხის ძარცვა-აწიოკებამ ფართო ხასიათი მიიღო. თებერვალში დამსჯელი რაზმი სოფელ ჭკადუაშში შეიჭრა, გადაწვა სახლები, მათ შორის მუშნი დადიანის სახლი, თვით მუშნი დადიანმა გაქცევა მოასწრო, შეიპყრეს და

---

[1] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 179; **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 296-297, 430-431, 448-450, 488-489; **გრ. პაჭკორია**, 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, თბ., 1986, გვ. 97-98.

[2] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 200; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. III, გვ. 144.

[3] **გრ. პაჭკორია**, 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, გვ. 95-96.

დახვრიტეს ვასილ ალშიბაია.[1] დაპატიმრებულთა შორის იყო ლეო შენგელაია, შემდეგში ცნობილი მწერალი ლეო ქიაჩელი, რომელიც ქუთაისის ციხეში მოათავსეს, თუმცა 1907 წელს იქიდან გაიქცა 37 პოლიტპატიმართან ერთად და იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა.[2] დამსჯელი ექსპედიციის მოქმედების შედეგად სამეგრელო ძალიან დაზარალდა, სოფლებში დამსჯელი რაზმები ჩადგნენ.

სამეგრელოს სოფელი XIX-XX სს. მიჯნაზე ქართული პრესის მიხედვით. სამეგრელოს სოფლების შესახებ მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობებია დაცული XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში.

XIX საუკუნის მიწურულს კოკის სოფლის საზოგადოება ზუგდიდის მაზრაში შედიოდა. კოკის საზოგადოებაში ექვსი სოფელი იყო: დიდი კოკი, პატარა კოკი, ორსანტია, შამგონა, ოტობაია და კახათი. სიდიდითა და მცხოვრებთა რიცხვით საზოგადოება საკმაოდ დიდი იყო სამეგრელოში. მიწა ნაყოფიერი იყო. ძირითადად სიმინდი მოჰყავდათ. შემოდგომაზე სიმინდის საკმაოდ დიდ მოსავალს იღებდნენ. დეკემბრიდან მაისამდე სასოფლო საზოგადოების მცხოვრებლები სიმინდს შავიზღვისპირა დაბა ანაკლიაში ეზიდებოდნენ გასაყიდად; ბლომად ღვინოსაც აყენებდნენ, ქალებს დიდძალი აბრეშუმი მოჰყავდათ. საზოგადოებაში თუთის ხეები ძალიან ბევრი იყო და აბრეშუმის ჭიის საკვებისთვის თავიანთი ეზოს გარეთ გასვლაც არ სჭირდებოდათ.

ბუნების ასეთმა გულუხვობამ მოსახლეობის გარკვეულწილად გაზარმაცება გამოიწვია. გავრცელებული იყო ყაჩაღობა, ქურდობა, მკითხაობა და სხვა. ქურდობა ძალიან გახშირებული იყო, თითქმის ყოველდღე ხდებოდა. სხვა მხრიდანაც მოდიოდნენ აქ ავაზაკები, მათ შორის დასამალადაც. ხელისუფლება ცდილობდა მის აღმოფხვრას, მაგრამ ვერაფერი გააწყო. გახშირებული იყო მკვლელობებიც, რაც ქორწილის, გასვენებების, დღეობების დროს ხდებოდა. იყო სხვისი მამულების მიტაცების შემთხვევებიც. მამულის თაობაზე დავის გამო მოუკლავთ მემამულე შ. ლეფონავა და თ. დგებუაძე; 1890 წლის მარიამობის თვეში მოუკლავთ კ. ნარმანია. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ სოფლების მიწები არ იყო შემოფარგლული. კიდევ ერთი მანკიერება, რომელიც კოკის საზოგადოებას აწუხებდა, ცხენების ქურდობა იყო.[3]

იმავე ხანებში, გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულია ლუკა ხუნწარიას კორესპონდენცია, რომელშიც ვკითხულობთ:

დაბა და სოფელი (მოწერილი ამბები). სოფ. კოკი (ზუგდიდის მაზრა). კოკის საზოგადოებაში ექვსი სოფელია: დიდი კოკი, პატარა კოკი, ორსანტია, შამგონა, ოტობაია და კახათი; სიდიდითა და მცხოვრებელთა რიცხვით ამოდენა საზოგადოება ბევრი არ მოიპოვება სამეგრელოში, ამისთანა მშვენიერის მდებარეობის ადგილ მამული, ყოველისფერით აყვავებული და მოსავლიანი იშვიათია საქართველოში: სახნავ-სათესი მინდვრები ერთი მეორესა სჯობია: დიდი ჯაფა და შრომა არა სჭირდება აქაურს მხვნელ-მთესველს. ჯერა სთესენ და მერე ხვნენ, უფრო-კი სჩიჩქნიან მიწას, ოღონდ-კი დაჰმალოს დათესილი მარცვლები. მიწა იმდენად ღონიერია და ნაყოფიერი, რომ მიბარებულს მარცვალს ერთი ოთხმოცად გვაძლევს. არც ერთის მხრიდგანაც არ მიდის ამდენი სიმინდი, რამდენიც აქედგან გადის: დადგება თუ არა დეკემბერი მცხოვრებლები მაისის თვემდე ყოველდღე ეზიდებიან სიმინდსა დაბა ანაკლიაში (შავი ზღვის პირზეა). მევენახეობა სრულიად არ იციან ამ საზოგადოების მცხოვრებმა, მაგრამ თვით ბუნებისაგან აყვავებულს მამულში ყოველ წლობით ბლომად მოსდით ღვინო. გარდა ამისა ქალებსაც დიდი ძალი აბრეშუმი მოჰყავთ: არც ერთს ქვეყანაში არ აკეთებენ ამდენს აბრეშუმს იმიტომ, რომ ამ საზოგადოებაში თუთის ხეები ძლიერ ბევრია. აქ ერთი დედაკაციც არ გავა თავის ეზოს გარეთ ფურცლის მოსაკრებად, სხვაგან-კი დედაკაცები ფურცლის მოსაკრებად ხშირად ხუთი ექვსის ვერსის სიშო-

---

[1] **ვ. საბახტარიშვილი**, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში..., გვ. 201-209; **ი. მელქაძე,** რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი..., გვ. 518-534; **გრ. პაჭკორია**, 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, გვ. 125-126; **ე. ანთია**, 1905-1907 წლების რევოლუცია და ზუგდიდის მაზრა, გვ. 94.

[2] **ლ. ქიაჩელი**, მოკლე ბიოგრაფიული ცნობა, წიგნ. მწერალთა ავტობიოგრაფიები, წ. I, თბ., 2013, გვ. 399.

[3] **ლ. ხუნწარია**, ს. კოკი (სამეგრელო), აქაური ავი და კარგი, გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №871, 1899, 20 ივლისი.

რეზედაც მიდიან. ერთის სიტყვით ჩვენს საზოგადოებაში ყველაფერი უხვად მოგვდის, ბუნება ხელგაშლით და უშრომლად გვასაზრდოებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამნაირად მშვენიერს, ადგილ-მამულით შემკულს, საზოგადოებაში მუშაობის მოყვარული ხალხი არა სცხოვრობს. სიზარმაცის გარდა სხვაც ბევრი რამე გვჭირს: ყოჩაღობა, ავკაცობა, ქურდ-ბაცაცობა, მკითხაობა, ცრუ-ექიმბაშობა, ცრუ-მორწმუნეობა და სხვა ამ გვარი ძლიერ ხშირია. ქურდობა და ძარცვა-გლეჯა თითქმის ყოველ დღე და ღამეა. სხვა ქვეყნის ავაზაკებიც აქ მოდიან სანავარდოდ და სამალავად. დაღამდება თუ არა, თავსმოიყრიან ხოლმე და ერთად გაემგზავრებიან საშოვარზედ. ყოველს დილას სამი-ოთხი საწყალი კაცი მოჰკივის ტირილით სასამართლოში.

ადმინისტრაცია ბარემ ცდილობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გადაუწყვია-რა. გარდა ამისა ჩვენში გახშირებულია კაცის კვლა. რა გვარი შეკრებულობა უნდა მოჰხდეს: ქორწილი თუ მიცვალებულის გასვენება, დღეობა ან სხვა რამე და ისე დაიშალოს ხალხი, რომ ერთი კაცი მაინც არ დამახინჯდეს, ან საიქიოს არ წავიდეს. წარსულ წლებში მოჰკლეს მტრებმა მემამულე შ. ლეფონავა, დიად კარგი და გამოსადეგარი კაცი საზოგადოებისა. მიცვალებული ჩემის თვალითა ვნახე და ოც-და-ორი ჭრილობა ჰქონდა: შარშან მოკლეს თ. დგებუაძე. წარსულს მარიამობის თვეში მოკლეს კ. ნარმანია. საწყალს სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ეს ამბავი ასე მოხდა: ავაზაკებს ჰქონიათ ნარმანიასთან მტრობა და განუზრახავთ იმის მოკვლა; დიდი ხანი დასდევდნენ თურმე საწყალს მოსაკლავად. ბოლოს ავაზაკები წამოსულან ღამის სამს საათზედ და მისდგომიან ეზოს კარებზედ, ერთი მოღალატე ეზოში შევარდნილა და ორმოში ჩასაფრებულა, მეორეს დაუძახნია, სტუმარი ვარ, კარი გამიღეო. ძახილზე საწყალი ამდგარა და კარებთან მისულა, ამასობაში დასცემიათ ავაზაკები თავზედ და რევორველით მოუღიათ ბოლო. საცოდავი შესახედავი იყო, როდესაც ცოცხალ-მკვდარი ძლივს-ღა ანძრევდა ენას სალაპარაკოდ. ეხლა თუ ვისმე საქონელი ჰყავს, ან თუ ორი გროში აბადია, ეშინიან და ყოველს წამს ელის თავზედ ავაზაკების დასხმას. ადმინისტრაცია ბევრი ხანია სცდილობს რამე ნაირად დაამშვიდოს საზოგადოება, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ თავიანთი არ დაიშალეს, დაიშალეს კი არა, უფრო უარესსაც სჩადიან. წარსულს წლებში ზუგდიდის მაზრის ბოქაულმა ა. წერეთელმა დიდი შრომა მიიღო ამ საზოგადოების გასაუმჯობესებლად, რიგიანად ადევნა თვალ-ყური, სასტიკად სდევნა ღამის რაინდები და ცოტაოდენი მოსვენებაც მიეცა მცხოვრებლებს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, წერეთელიც გადაიყვანეს სხვა მაზრაში და იმის ადგილზედ დაინიშნა ძველადვე კოკის ბოქაულად მყოფი გ. დგებუაძე. ამ სენთან ერთად სხვა გვარი უბედურებაც გვჭირს. ჩვენებურებს სანატრელ სურვილად გადაქცევიათ, რომ როგორმე სხვის ადგილ-მამულში შეპარვით ჩაიდგან ფეხი და დაეპატრონონ სხვის მამულს. თუ კი ერთხელ ჩადგა ფეხი, მერე შეუდგებიან სასამართლოში საჩივარს, შოულობენ მოწმეებს და დავი-დარაბასა და საჩივრებში აღამებენ დღეს.

ამ ნაირი საქმეები ან წართმევა-წაგლეჯით უნდა გათავდეს და ან ხანჯლების ტრიალით, (როგორც მოგახსენეთ ბ. ლეფონავა და დ. დგებუაძე ორივე მამულის თაობაზედ მოჰკლეს) ცუდი არ იქნება, რომ ამ მაზრის სოფლებსაც მალე ეღირსოს ადგილ-მამულის შემოფარგვლა, ეს ესე, მაგრამ ერთი რამ კიდევ გამაგონეს მცხოვრებლებმა არა მარტო კოკში, არამედ ახლო-მახლო სხვა სოფლებშიაც, რაც სამხედრო ბეგარა დაგვიწესდა, ჯარისჯაცები მუდამი სჩივიან სოფლის მწერალთა და მამასახლისზე და ვინ მოსთვლის, რას აბრალებენ.

ორიოდე სიტყვა სწავლა განათლებაზე. ჩვენის საქართველოის სოფლებში ცოტა არ იყოს სკოლების გამართვას და სწავლის გავრცელებას ყველა საზოგადოება ჰზრუნავს, ჩვენი საზოგადოება კი ამაზედ ჯერ არასა ფიქრობს, მაგრამ ამის მიზეზი ისევ ჩვენი საზოგადოებაა, რადგანაც სრულიად არ მისდევენ სკოლების დამყარებას და სწავლის შეძენას თითქმის სკოლის ხსენებაც არა ჰსურთ. ერთს დროს ვიღაცას მოუნდომებია აქ სკოლის გახსნა და კიდევაც შეუდგენია საზოგადოებას განჩინება, რათა მოეწვიათ მასწავლებელი და წელიწადში სამასი მანათი ეძლიათ, მაგრამ შენობის გაკეთებაზედ არავინა ზრუნავს და დადგენილი განჩინება უყურადღებოდ არის მიგდებული. იმის ნაცვლად შეადგინეს მეორე განჩინება, რომ მასწავლებელს ეძლიოს ას ორმოცდა ათი მანათი (150 მ.) ჯამაგირი წელიწადში და სკოლა გახსნეს სასამართლოს ერთს პატარა ოთახში, მაგრამ, ჩვენდა და სკოლის სამწუხაროდ, ყოველ მეორესა და მესამე თვეში

გარბოდნენ მასწავლებლები, რადგანაც საზოგადოება ყურადღებას არ აქცევდა და ცოტა ჯამაგირი ჰქონდათ. ამ გვარ უსაფუძვლო სკოლის გამო არა ვრცელდებოდა სწავლა და თან და თან ეცემოდა სკოლა. ბოლოს კი როგორც იყო დაინიშნა სკოლის მასწავლებლად ერთი რიგიანი კაცი, რომელმაც სკოლის გაუმჯობესობას მიჰყო ხელი. გამოუცხადა საზოგადოებას ყოველივე პედაგოგიური მოთხოვნილება, ჩამოართვა საზოგადოებას პირობა, რათა აღაშენონ სკოლისთვის შენობა, ცოტა დააწუხა საზოგადოება და პირველის განაჩენების ძალით დააწესებინა მასწავლებელთათვის ჯამაგირის ძლევა, ისე იგი სამასი მანეთი ყოველ წლობით. ამ ნაირად, ცოტა არ იყოს, ახალმა მასწავლებელმა ფეხზედ დააყენა სკოლა. ამ საზოგადოებაში ხუთი ეკლესიაა და განა მღვდლებს არ შეუძლიათ თავიანთ ეკლესიებთან იქონიონ სკოლა და ან ერთმანეთის დახმარებით ერთი სამრევლო სკოლა გამართონ? ისიც ხომ მათი მოვალეობაა, რომ, საზოგადოებას ჩააგონონ და სკოლისათვის ხელი შეაწყობინონ.[1]

მოუსავლიანობა და წყალდიდობა მოსახლეობას მძიმე დღეში აყენებდა, სტიქიური უბედურებებს სრულიად ვერ უმკლავდენოდა. გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილ კორესპონდენციაში ნათქვამია: „ს. ხორში (სამეგრელო): ჯერ იყო და წრევანდელმა მოუსავლობამ შეგვიღონა გული და ცხარე ცრემლით გვატირა, რომ მთელის წლის გარჯამა და შრომამ ფუჭად ჩაგვიარა და ახლა, რაც გვაკლდა, ამ წყალდიდობამ დაგვითავა. აუარებელი ზარალი, რომელიც კი უკანასკნელმა ნიაღვრებმა და მდინარეთა მოდიდებამ მოგვცა, დღეს სწორედ საშინელებას წარმოადგენს ჩვენთვის: ნეტა საიდამ უნდა გადვიხადოთ ან სახელმწიფო და სხვა ხარჯი და ან როგორ გამოვიკვებოთ თავი მთელს წელს?.. აი, რა აწუხებს დღეს ყველა ამერს“.[2]

1902 წელს ხორში ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთი დიდი სოფელი იყო, სადაც 800 კომლზე მეტი ცხოვრობდა. სოფელში გზები ცუდი იყო; მაცხოვრის ეკლესიამდე მისასვლელი გზაც ცუდ დღეში იყო.[3]

1903 წელს ხუნწი დიდი სოფელი იყო, სადაც 200 კომლი ცხოვრობდა. სოფელი მთა-გორიანი იყო, ალაგ-ალაგ ჭაობიანი ადგილებით. აქ ძალიან მცირე მოსავალი იცოდა. მოსავალს ხელს უშლიდა სინესტე, ხშირი წვიმები. კორესპონდენტის ცნობით, „ადესა“ (ვენახი) კარგად ხარობდა და კარგ მოსავალს იძლეოდა. ვაზი ხეებზეა გაშვებული, დაბლა სინესტის გამო ვერა ხეირობს. სოფელში ერთკლასიანი სასწავლებელია, სადაც სულ ოციოდე ბავშვია. ამ ოც ბავშვში ხუთამდე გლეხია. გლეხობას ავადმყოფობა და სიღარიბე ხელს უშლის ბავშვები სკოლაში აძლიონ, ამიტომ იძულებულნი არიან თავიანთი შვილები უბრალო მუშად ან მოჯამაგირედ დააყენონ თვეში 5 მანეთად და ამგვარად ირჩინონ თავი. ხუნწი ნაქებია ციებ-ცხელებით, განსაკუთრებით ზაფხულობით. აქაურ მცხოვრებლებს არა აქვთ მოსვენება ციებ-ცხელებისაგან. ვინ მოსთვლის, რამდენი იხოცება ამ სენისაგან. სოფელს აღმოსავლეთით ჩაუდის დიდი მდინარე ცხენისწყალი, რომელიც იმერეთს და სამეგრელოს ჰყოფს. ამ მდინარეს დიდი ზარალი მოაქვს, ადიდების დროს წალეკავს ხოლმე ნაპირებს; ხშირად ახრჩობს მგზავრებს. მოლაპარაკება იყო ამ მდინარეზე ხიდის გაკეთების შესახებ, მაგრამ საქმეს ბოლო ვერ მიადევნეს. მდინარეზე მგზავრები ბორნით გადაჰყავდათ.[4]

XIX საუკუნის მიწურულს სოფ. ზედა ხუნწში ქვანახშირი აღმოუჩენიათ, რომელიც შემოწმების შედეგად კარგი ხარისხის გამოდგა. 100 ფუთამდე ქვანახშირი ხონშიც გაუგზავნიათ და აღმოჩნდა, რომ თუჯის ღუმელებსა და ბუხრებშიც გამოსადეგი იყო. ის ადგილები, სადაც ქვანახშირი აღმოჩნდა, აზნაურ ჩიქოვანებს და მათ გლეხებს ეკუთვნოდა. მაშინ ფიქრობდნენ, რომ ქვანახშირი სოფელს გაჭირვებიდან გამოიყვანდა.[5] როგორც ჩანს, ამ თემამ განვითარება ვერ ჰპოვა. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში სოფელ ხუნწში, მთის კალთებზე მოიპოვებდნენ თეთრ მი-

---

[1] **თ. ჭიჭინაძე**, სოფ. კოკი, გაზ. ,,ივერია“, №105, 1891 წ. 21 მაისი.

[2] ს. ხორში (სამეგრელო), გაზ. ,,ივერია“, №259, 1895 წ. 30 ნოემბერი.

[3] **ხორშელი**, ს. ხორში (ზუგდიდის მაზრა), გაზ. ,,კვალი“, №4, 1902 წ. 20 იანვარი.

[4] **ა. მებუკე**, ჩვენებური ამბები, გაზ. ,,ივერია“, №224, 1903 წ. 19 ოქტომბერი.

[5] სოფ. ზედა ხუნწი (სენაკის მაზრა), გაზ. ,,ივერია“, №142, 1898 წ. 5 ივლისი; სოფ. ზედა ხუნწი (სენაკის მაზრა), გაზ. ,,ივერია“, №173, 1898 წ. 24 ივლისი.

წას, რომლისგანაც პატარა გუნდებს აკეთებდნენ და თავის დასაბანად ხმარობდნენ. მათ იყენებდნენ როგორც ოჯახში, ასევე ბაზარშიც გაჰქონდათ და კარგადაც იყიდებოდა.[1]

გაზ. „ივერიის“ 1904 წლის 28 ივლისის ნომერში დაბეჭდილია თეიმურაზ თოფურიას კორესპონდენცია სოფელ ლეციცხვაიეზე.

„სოფელ ლეციცხვაიე (სენაკის მაზრა, მარტვილის საზოგადოება). წინად ამ სოფლის მცხოვრებნი მაღლობ და ფერდო ადგილას იყვნენ დასახლებულნი, მაგრამ განმრავლდნენ, ერთბაშად ცხენის წყლის მახლობლად, ვაკე ადგილას, ჩამოესახლნენ, ამიტომ დაშორდნენ თავიანთ ძველს და პატარა ხის ეკლესიას ოთხი-ხუთი ვერსით. ამ დროს მობრძანდა მარტვილში ნეტარ-ხსენებული იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი; სხვათა შორის, ინახულა ლეციცხვაიეს წმიდის გიორგის ეკლესია და ხალხს უთხრა, იღონეთ, ეკლესია საშუალ ადგილას აიშენეთო. ხალხმა გაუგონა, საშუალ ადგილას აიშენეს ქვის ეკლესია. 1896 წ. დიდმა თოვლმა მთელი სახურავი ეკკლესიისა ჩაამტვრია. ხალხი იძულებული გახდა ხელახლა შეეკეთებინა. ეკლესია კი გავაკეთეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არა გვაქვს სკოლა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მამა დავით ოსიძე, რომელმაც ეკკლესია გაამშვენა, შუამდგომლობას აღძრავს, სადაც ჯერ არს, რომ დაარსდეს სამრევლო სკოლა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მრევლისათვის. იმედია, ვისაც რაიმე დამოკიდებულობა აქვს ამ სოფელთან, შემწეობას აღმოუჩენს მამა ოსიძეს, რომ გაახორციელოს ეს კეთილი საქმე“.[2]

პრესაში აისახა ის პრობლემებიც, რომლებიც ხუნწის მოსახლეობას იმხანად აწუხებდა. ეს იყო მიწის სივიწროვე, სიდუხჭირე: „ს. ხუნწში დიდი ვიწროობაა მიწისა, რის გამო ხალხი შეწუხებულია. ამასთანავე ადგილობრივი მღვდელი სულიერი მოძღვრობის ნაცვლად, მეტად ავიწროებს თურმე ხალხს მატერიალურად — უზომო გადასახადებით. ამ ხუცის და მის მახლობელთა საქციელის შესახებ ბევრჯერ უცნობებიათ თვით უმაღლეს სასულიერო მთავრობისათვის, მაგრამ როგორღაც აქამდის პასუხ-უგებელი რჩება და ამ ძალად მაცხონე მამის თავიდან მოშორება მცხოვრებთ ვერ მოუხერხებიათ“.[3]

1905-1906 წწ. სენაკის მაზრის მარტვილის უბანში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სოციალ-დემოკრატები რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ. სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „ჩვენი გზა“ მაშინ წერდა: „სოფ. ხუნწის „ბრწყინვალე წოდების“ წარმომადგენლებმა, ჩიქოვანებმა ააწიოკეს რამდენიმე სოფელი, წარსული წლების ღალის ფული ერთი ორად გადაახდევინეს; თუ ვინმეს ფიცარი ან ახალი ხე უნახეს, წაართვეს, ეს ჩვენს ტყეებში მოგიჭრიათო, ახალ აგებულ სახლებშიც კი აუყარეს გლეხებს იატაკი. ასე დიდძალი ხე-ტყე შეაგროვეს და გაყიდვა გადაწყვიტეს, მაგრამ არავინ იყიდა“.[4] 1907 წლის ოქტომბერში ორენბურგის გუბერნიაში გადაასახლეს სენაკის მაზრის სოფ. გეჯეთის მცხოვრებნი აქვსენტი გეგენავა, ნოე კილაბერია, ლაზარე გვილავა, დიმიტრი ოჩიგავა, სამსონ გულუა, ძიკი ოჩიგავა, ლავრენტი კუპრეიშვილი და პავლე გეგენავა, რომლებსაც ბრალს სდებდნენ მამასახლის დიმიტრი ალასანიასა და მღვდელ ლეონტი ხორავას მკვლელობის განზრახვაში.[5]

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ზოგიერთმა აზნაურმა და გლეხმა ვაჭრობით დიდი ქონება დააგროვა. ისინი მემამულეებისგან მიწებს იძენდნენ. სოფელ ხუნწში ცხოვრობდა საკმაოდ მდიდარი კაცი პავლე გვახარია, რომელმაც ვაჭრობით დიდი ქონება დააგროვა. მის ხელში იყო უხვმოსავლიანი, დობილოიანი და ხეხილიანი მიწის ვრცელი მასივები.[6]

1911 წლის ზაფხულში სამეგრელოს სოფლების სამრევლოები მოიარა ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა. კორესპონდენტი, რომელიც დაწვრილებით მიმოიხილავს ეპისკოპოს ლეონიდის

---

[1] **თ. სახოკია**, როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955, გვ. 53-55.

[2] საქართველოს ამბები. გაზ. ,,ივერია“, №173, 1904 წ. 28 ივლისი.

[3] **მ. გ-ია**, მგზავრის შენიშვნები, გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2746, 1905 წ. 17 თებერვალი.

[4] გაზ. ,,ჩვენი გზა“, №6, 1907 წ. 11 სექტემბერი.

[5] **ბ. ნოსირელი**, სენაკის მაზრა, გაზ. ,,წყარო“, №3, 1907 წ. 31 ოქტომბერი.

[6] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, გვ. 100.

მოგზაურობას, წერს: „ზუგდიდის მაზრა თხლათ არის დასახლებული, კაი მანძილი უნდა გაიაროთ, რომ ერთი სოფლიდან მეორეში მიხვიდეთ. მიწა ბლომათაა, მაგრამ დაუმუშავებლათ არის დატოვებული. იშვიათად შეხვდებით ვაზის და ხილის ბაღებს, იშვიათი სანახავია აგრეთვე ბოსტნეული; ზოგან, ვგონებ, კომბოსტოს და კარტოფილის სახელიც არ გაუგონიათ. მხოლოდ ალაგ-ალაგ თვალს მოჰკრავთ ეზოში პრასის, კალამფხლის და ყვითელი ყვავილის კვლებს, რომელსაც აქ ზაფრანას ეძახიან. აქაური ხალხი უფრო სიმინდს, ლობიოს და კვახის მოყვანას მისდევს. პურს, ქერს და ღომს იშვიათათ ნახავთ, ბალახის თესვაზე ხომ წარმოდგენაც არა აქვთ. რომ ურჩიოთ — მიწა დაამუშავეთ, ვენახები და ხეხილის ბაღები გააშენეთ, პური და ქერი თესეთ, პირში მოგაძახებენ: ჩვენებური მიწა ეწერია, მასზე არაფრის მოყვანა არ შეიძლებაო“.[1]

სახალხო განათლება. ოდიშის სამთავროში გავრცელებული იყო საოჯახო აღზრდა. XIX საუკუნეში თავადები შვილების აღსაზრდელად ქირაობდნენ აღმზრდელებს, გუვერნიორებს, მასწავლებლებს. არსებობდა საშინაო სკოლები — მღვდლების ოჯახებში, გავრცელებული იყო მღვდლებისათვის ბავშვების მიბარება. დიდი ყურადღება ექცეოდა რაინდულ აღზრდას — ცხენოსნობის, ნადირობის, მშვილდ-ისრის და სხვა იარაღის ხმარების შესწავლას; ფართოდ იყო გავრცელებული შვილების გაძიძავება, რასაც მაღალი წოდების წარმომადგენლები მიმართავდნენ.[2]

1827 წელს ლევან V დადიანმა რუსეთის ხელისუფლებას, ხოლო სამეგრელოს მიტროპოლიტმა ბესარიონ დადიანმა საქართველოს ეგზარქოსს სამეგრელოში სასულიერო სასწავლებლის გახსნის თხოვნით მიმართეს. 1830 წლის 1 ოქტომბერს მარტვილის მონასტერთან *სასულიერო სასწავლებელი* გაიხსნა. მის გახსნას ლევან V დადიანი, სამეგრელოს სამღვდელოება და თავადაზნაურობა დაესწრო. სამეგრელოს მიტროპოლიტმა დავითმა (1829-1834) სასწავლებელი აკურთხა. სასწავლებელი გაიხსნა სასულიერო პირთა შვილებისათვის და მისი მიზანი ნასწავლი მღვდლების მომზადება იყო. სასწავლებელში, რომელიც ორკლასიანი იყო, სწავლას 50 მოსწავლე შეუდგა. მისი პირველი ზედამხედველი დეკანოზი რომან ბორისოვი (რომანოზ ბერიძე) იყო.[3] მკვლევართა აზრით, რომანოზ ბორისოვი აზნაურ ჩიქოვანების საგვარეულოს ეკუთვნოდა და გვარი ჰქონდა შეცვლილი. რომანოზ პეტრეს ძე ბარისოვი შეტანილია მარტვილის მაზრაში მცხოვრებ თავად-აზნაურთა სიაში აზნაურ ჩიქოვანების შემდეგ, რომელთაც მოსდევს რევიები.[4] მარტვილის სასულიერო სასწავლებლის გახსნისას ის თბილისის სასულიერო სემინარიის უმაღლესი კლასის მოსწავლე იყო.[5] მარტვილის სასულიერო სასწავლებელი რეალურად სამრევლო სკოლა იყო, ერთადერთი ამ ხასიათის სასწავლებელი სამეგრელოში კარგა ხანს. 1844 წლიდან სასწავლებლის ზედამხედველი იყო დავით მაჭავარიანი, ხოლო 1849 წლიდან — ივანე ჭიჭინაძე.

რადგან სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი სასულიერო პირთა შვილებისთვის გაიხსნა, ლევან V დადიანმა მოისურვა ერთი სასწავლებელი თავადაზნაურთა შვილებისთვის გაეხსნა.1830 წლის 23 დეკემბერს სოფელ ნაოღალევში გაიხსნა სამეგრელოს სამაზრო სასწავლებელი, რომელიც თავადაზნაურთა შვილებისთვის იყო განკუთვნილი. მაგრამ ცხოვრების მძიმე პირობების, მასწავლებელთა დაბალი განათლების, სწავლების არაპედაგოგიური მეთოდების, სწავლების ენად სრულიად უცხო რუსული ენის გამოყენების და სხვა მიზეზების გამო, მოსახლეობის დამოკიდებულება სასწავლებლისადმი უარყოფითი იყო, და 1836 წელს უმოწაფოდ დარჩა, ხოლო 1839 წელს ოფიციალურად გაუქმდა.[6]

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სახალხო განათლების საქმე გაუმჯობესდა. კავკასიაში

---

[1] ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად, გაზ. ,,შინაური საქმეები“, 1912 წ. №14, გვ. 4.

[2] **თ. ქადარია**, სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 2003, გვ. 210-214.

[3] **თ. ქადარია**, სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 191-199.

[4] ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები. *ტექსტები შეკრიბეს და დასაბეჭდად მოამზადეს ზ. ჭუმბურიძემ, ი. ჩიქოვანმა და ა. სიჭინავამ. ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით*, თბ., 2013, გვ. 370-371; **ფ. აფაქიძე, ა. ტუღუში**, მასალები განათლების ისტორიისათვის სამეგრელოს სამთავროში, ზუგდიდი, 2001, გვ. 14.

[5] **ფ. აფაქიძე, ა. ტუღუში**, მასალები განათლების ისტორიისათვის სამეგრელოს სამთავროში, გვ. 10.

[6] **ფ. აფაქიძე, ა. ტუღუში**, მასალები განათლების ისტორიისათვის..., გვ. 18-22.

სასწავლო უწყების სათავეში სასწავლო ოლქის მზრუნველი იდგა. სასწავლო უწყება მეფისნაცვალს ექვემდებარებოდა.[1] არსებობდა სახაზინო ანუ სამინისტრო სკოლები, რომლებიც განათლების სამინისტროს უწყებაში შედიოდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები, წერა-კითხვის ანუ სამრევლო სკოლები, სასულიერო სასწავლებლები.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როდესაც გლეხმა პირადი თავისუფლება მიიღო, შესაძლებელი გახდა სკოლაში მათ შვილებსაც ესწავლათ. 1864 წელს დამტკიცდა დებულება დაწყებითი სახალხო სკოლების შესახებ, რომლის თანახმადაც დაწყებითი სკოლის გახსნა მთავრობის ნებართვით საზოგადოებრივ დაწესებულებებს და კერძო პირებსაც შეეძლო. იმავე წლის 18 ნოემბერს გამოვიდა მეორე დებულება და დამტკიცდა გიმნაზიის ახალი წესდება, რომელიც მიმართული იყო საშუალო სასწავლებლებში წოდებრივი პრინციპის წინააღმდეგ. სახალხო სკოლებში დაიშვებოდა ყველა, განურჩევლად წოდებისა, ვინც კი სწავლის თანხას გადაიხდიდა.[2]

1867 წლის 25 ივნისს დამტკიცდა კავკასიის სასწავლო ოლქის ახალი დებულება, რომლის თანახმადაც დაწყებითი სკოლების ქსელი გაფართოვდა. დაწყებითი სკოლები ორი ტიპის იყო: საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის. სახაზინო დაწყებითი სკოლები გაიხსნა: 1867 წელს — დაბა ზუგდიდში, 1869 წელს — წალენჯიხაში. 1872 წელს ზუგდიდის მაზრაში გაიხსნა 4 სახალხო დაწყებითი სკოლა — კოკში, საჩინოსა და მუხურში, — და 1 საეკლესიო-სამრევლო სკოლა სოფ. ხეთაში. 1873 წლის 1 იანვარისათვის ზუგდიდის ორკლასიან სასწავლებელში სწავლობდა 83 მოსწავლე, მხოლოდ ვაჟები.[3] შემდგომ წლებში, დაწყებითი სკოლები გაიხსნა მაზრის მთელ რიგ სოფლებში: 1873 წელს — კირცხში, ხორგაში; 1874 წელს — ზანაში, ხეთაში, ხელახლა გაიხსნა მუხურში; 1875 წელს — ნოჯიხევში, ლესიჭინეში, ჭოღასა და ხორშში; 1876 წელს — საჯიჯაოში; 1877 წელს — ახუთში.[4] სენაკის მაზრაში 1876 წ. ერთკლასიანი დაწყებითი სკოლა გაიხსნა სოფელ მარანში, 1885 წელს საეკლესიო-სამრევლო სკოლები გაიხსნა გულუხეთში, ზანათში, ონტოფოში, სეფიეთსა და ძველ აბაშაში; 1886 წელს — წყემში, სამიქაოში, ილორში.[5] 1879 წელს სენაკის მაზრაში 15 სოფლის სკოლა იყო, ზუგდიდის მაზრაში 16 სახალხო დაწყებითი სკოლა 485 მოსწავლით (477 ვაჟი, 8 ქალი).[6] ზუგდიდის მაზრაში სწავლების საქმეს ემსახურებოდა 17 მასწავლებელი, რომელთაგან მხოლოდ ორს ჰქონდა მასწავლებლის წოდება.[7]

1864 წლიდან მარტვილის სასულიერო სასწავლებელი ოთხკლასიანი გახდა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი ეწოდა. 1877 წელს ის ქუთაისში გადაიტანეს, რადგან მარტვილში სასწავლებლის შენობა დაიწვა. ტერიტორიული დაშორებისა და ტრანსპორტის იშვიათობის გამო ქუთაისი ხელმისაწვდომი არ იყო სამეგრელოს მოსახლეობისთვის, ამიტომ მისი დაკომპლექტება ვერ ხერხდებოდა. 1878 წელს სასწავლებელი მარტვილში დააბრუნეს. 1881 წელს, როდესაც სასწავლებლის შენობა კიდევ ერთხელ დაიწვა, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი ახალ სენაკში გადაიტანეს.[8]

სოფელ კოკში ადგილობრივმა მკვიდრმა ნესტორ ეგნატეს ძე ცხაკაიამ 1872 წელს ერთკლასიანი სკოლა გახსნა და იქ მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მომდევნო წლის 1 იანვრისათვის კოკის ერთკლასიან სკოლაში 17 მოსწავლე ირიცხებოდა, თუმცა უსახსრობის გამო სკოლა 1873 წელს დაი-

---

[1] **ა. კიკვიძე,** საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 35-38.

[2] **ა. კიკვიძე**, საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 35.

[3] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 31.

[4] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 31; **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, თბ., 2012, გვ. 80.

[5] **მ. სიმონია**, ზოგი რამ აბაშის რაიონის სკოლების ისტორიიდან, გაზ. „განახლებული აბაშა“, №124, 1970 წ. 17 ოქტომბერი.

[6] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 31; **ვ. როდონაია**, გავლილი გზა, გაზ. ,,ნაპერწკალი“, 1982 წ. 24 აგვისტო.

[7] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 32. **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 88.

[8] **ვ. როდონაია**, ზოგი რამ სამეგრელოს პირველი სკოლის ისტორიიდან, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №14, 1981 წ. 31 იანვარი.

ხურა.[1] 1884 წელს კოკში ხელახლა გაიხსნა დაწყებითი სკოლა. კალისტრატე ნესტორის ძე ცხაკაიამ, რომელმაც 1913 წელს დაამთავრა დონის სასულიერო სემინარიის სრული კურსი, იმავე წელს დაიწყო მასწავლებლობა კოკის ორკლასიან სასწავლებელში.[2] 1913 წელს აქ 213 მოსწავლე იყო, მათ შორის 28 გოგონა. სკოლის წლიური სახსრები 1500 მანეთით განისაზღვრებოდა. 1914 წელს აქ უკვე ორკლასიანი სკოლა იყო 198 მოსწავლით და ხუთი მასწავლებლით.[3]

ხორშში სკოლა 1875 წელს გაიხსნა. ამისათვის დიდი შრომა გასწია სოფლის მკვიდრმა საბა გვასალიამ, რომელმაც სკოლას საჭირო თანხა შესწირა. შემდგომში სკოლაზე დიდად ზრუნავდნენ ბესარიონ გვასალია, არჩილ და ილიკო მატახერიები. 1902 წელს *ხორში* ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთი დიდი სოფელი იყო. სოფელში 800 კომლზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა. სოფელში იყო ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და ერთიც – სამრევლო სკოლა. ამ სკოლებს, მასწავლებლის მიხეილ გვასალიასა და არჩილ მატახერიას მეცადინეობით, სამრევლო საქალებო სასწავლებელიც დაემატა. იმის გამო, რომ სამინისტრო სკოლებიდან ქართული ენა განდევნილი იყო, გლეხებს შვილები უფრო სამრევლო სკოლებში შეჰყავდათ.[4]

ჭოღაში 1875 წელს გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა. მასში 1878 წლის იანვრის მდგომარეობით 33 მოსწავლე, ხოლო 1889 წლის მდგომარეობით — 45 მოსწავლე ირიცხებოდა. სკოლის შესანახი წლიური ხარჯი 340 მანეთს შეადგენდა. თავიდან მას სოფრომ ხობელია ხელმძღვანელობდა, რამდენიმე წელიწადს კი ერასტო როდონაია განაგებდა. შემდგომში სკოლის მასწავლებლები იყვნენ კალისტრატე ბერულავა, დავით ფაცაცია, ლეონტი და ტარას ლაგვილავები, შალვა ბერულავა, სევერიანე ფაცაცია, თადაოზ შენგელია, თომა ქარჩავა. 1903 წელს ჭოღის სკოლის ხის შენობა დაიწვა. სწავლის პროცესი რომ არ შეფერხებულიყო, თადაოზ შენგელიამ თავისი საცხოვრებელი სახლის ზედა სართული სკოლას უსასყიდლოდ დაუთმო. მისივე პროექტით, პირადი და სოფლის მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევით, 1908 წელს თემის ცენტრში ათოთახიანი ქვითკირის შენობა ააგეს. 1914 წლიდან ჭოღის სკოლა უკვე ორკლასიანი იყო.[5] 1898 წელს ჭოღის თემის სოფელ ლექარჩეში, ხოლო 1900 წელს იმავე თემის სოფელ ხანწკშიც გაიხსნა სკოლები.[6]

1884 წელს სოფელ *გულეკარში* აზნაურ გიგო დიდიას დიდი მეცადინეობით სკოლა გაიხსნა. სკოლაში 72 მოსწავლე სწავლობდა, როგორც ბიჭები, ასევე გოგონები. მოკლე ხანში გიგო დიდიამ სკოლას სხვადასხვა საჭიროებისთვის ას მანეთამდე შესწირა. გიგო დიდია სკოლასთან სამეურნეო განყოფილების გახსნასაც ფიქრობდა, რომელსაც დიდ შემწეობას ჰპირდებოდა.[7] 1895 წელს *კეთილარში* წერა-კითხვის გამავრცელებილი საზოგადოების სკოლა გაიხსნა. 1902 წელს სკოლაში 27 ბავშვი სწავლობდა.[8]

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1884 წელს სენაკში სათავადაზნაურო სასწავლებელი გახსნა. სასწავლებელი გაიხსნა როგორც ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო სკოლის ფილიალი. შემდეგ იგი დამოუკიდებელი ქართული ორკლასიანი მოსამზადებელი სასწავლებელი გახდა. სასწავლებლის დაარსების იდეა 1873 წელს აკაკი წერეთელმა წამოაყენა. სკოლას დახმარებას და ინსპექციას უწევდნენ იაკობ გოგებაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, ნიკო ცხვედაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვ. სასწავლებლის პირველი გამგე ს. ყი-

---

[1] კალისტრატე ნესტორის ძე ცხაკაია, ავტობიოგრაფია. ხელნაწერი (ინახება ექსპედიციის არქივში); **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 31.

[2] **კალისტრატე ნესტორის ძე ცხაკაია**, ავტობიოგრაფია. ხელნაწერი (ინახება ექსპედიციის არქივში).

[3] **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 98.

[4] **ხორშელი**, ს. ხორში, (ზუგდიდის მაზრა), გაზ. ,,კვალი", №4 1902 წ. 20 იანვარი; **ა. ეჯიბია**, ხორში, გაზ. „კოლხეთი", №130, 1967 წ. 31 ოქტომბერი.

[5] **ნ. ჯომიდავა**, ჭოღის სკოლის ისტორიიდან (საარქივო ცნობები), გაზ. ,,ნაპერწკალი", №10, 1967 წ. 21 იანვარი; **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 233.

[6] **ვ. როდონაია**, გავლილი გზა, გაზ. ,,ნაპერწკალი", 1982 წ. 24 აგვისტო; **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 233.

[7] **დ. ფირ-ვა [ფირცხალავა,** სოფ. გულეკარი. გაზ. ,,დროება", №77, 1885 წ. 13 აპრილი.

[8] **მ. სიმონია**, ზოგი რამ აბაშის რაიონის სკოლების ისტორიიდან, გაზ. „განახლებული აბაშა", №124, 1970 წ. 17 ოქტომბერი.

ფიანი იყო. სასწავლებელში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები: ა. წითლიძე, დ. ოყრეშიძე-თომაშვილი, პ. ლორთქიფანიძე, გ. ბოკერია, ი. გოგოლაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ჯანაშია, ი. რამიშვილი, ი. გომელაური, ა. შუბლაძე, რ. გამსახურდია და სხვ. სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელმა დიდი როლი ითამაშა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეში და ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ სკოლაში სწავლობდნენ კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, პეტრე ქავთარაძე და სხვ.[1]

1900 წელს ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბნის ცენტრში, დ. წალენჯიხაში, ქალბატონ ვარდოვნა დადიანის ინიციატივით სამინისტროს ხაზით საქალებო სკოლა გაიხსნა. სკოლის გახსნას მხარი დაუჭირა გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო სკოლების მეთვალყურემ თედო ჟორდანიამ. სკოლის სასარგებლოდ ფულადი შემოწირულობები გაიღეს მაქსიმე თვალთვაძემ, ვარდოვნა დადიანმა, თედო ჟორდანიამ და სხვ. სკოლას თავისი ოდა-სახლის სასტუმრო ოთახი უფასოდ დაუთმო ვარდოვნა დადიანმა. 1902 წელს აშენდა სკოლის ხუთთვლიანი შენობა, სადაც გოგონებმა სწავლა გააგრძელეს. სკოლაში მასწავლებლებად მუშაობდნენ ვარდოვნა დადიანი, ნანა ნიჟარაძე ქუთაისიდან, სოფიო ხაბურზანია ზუგდიდიდან, ანეტა ხაბურზანია, ივანე ოსიძე და სხვ. ეს სკოლა დაამთავრა და შემდეგ აქ მასწავლებლად მუშაობდა ფედოსი თვალთვაძე. საქალებო სასწავლებელში ასწავლიდნენ დედაენას, ხელსაქმეს და მეურნეობას — ჭარ-კერვას, ქსოვას, ფრინველის მოვლა-მოშენებას, მეაბრეშუმეობას.[2] 900-იანი წლების დასაწყისში ზუგდიდის მაზრის სკოლების მეთვალყურე იყო მღვდელი ტროფიმე ჯოხთაბერიძე. მისი ინიციატივით ზუგდიდის მაზრის მრავალ სოფელში გაიხსნა სამრევლო სკოლები.[3]

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიაში მკაცრი პოლიტიკური რეაქციის ხანა დადგა. ეს პერიოდი კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, ეროვნული ჩაგვრისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებით აღინიშნა. სკოლებიდან დაიწყო ქართული ენის განდევნა და მის ნაცვლად სწავლების რუსულ ენაზე დანერგვა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კირილ იანოვსკის (1878-1899) და ცარიზმის სხვა მოხელეთა აზრით სკოლა გარუსების მძლავრი იარაღი უნდა გამხდარიყო. 80-იანი წლების დამდეგიდან, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სამეგრელოშიც დაიწყო ქართული ენის განდევნა სკოლებიდან. მთავარმართებლის 1885 წლის 11 იანვრის ცირკულარით სენაკისა და ზუგდიდის მაზრების პირველდაწყებით სასოფლო სკოლებში სწავლება მეგრულად უნდა წარმართულიყო, ხოლო რადგან მეგრულ ენაზე დამწერლობა არ არსებობდა, მეგრული სიტყვების გადმოსაცემად რუსული ანბანით უნდა ესარგებლათ. ეს გამოწვეული იყო არა მეგრულ ენაზე ზრუნვით, არამედ იმით, რომ მისი საშუალებით ქართული ენა განედევნათ სკოლიდან.[4] სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვის მეგრულად შემოღების და საღვთო წერილის მეგრულად თარგმნის მცდელობაც იყო, რაც ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიწყო.[5] კ. იანოვსკის მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი ალექსანდრ გრენი, რომელმაც 1886 წელს შეადგინა მეგრული ანბანი და მეგრული ენის სახელმძღვანელო, მეგრულად თარგმნა ლოცვები და მათეს სახარების რამდენიმე თავი.[6] ზუგდიდის საქალაქო სკოლის მასწავლებელმა თადა აშორდიამ 1899 წელს გამოსცა „მეგრული ანბანი“, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქმა სკოლების სახელმძღვანელოდ დაუშვა.

---

[1] **ვ. გაგუა**, სენაკის სათავადაზნაურო სასწავლებელი, ქსე, ტ. 9, თბ., 1985, გვ. 284.

[2] გაზ. ,,ივერია“, №6, 1902 წ. 8 იანვარი; **ა. კოკაია**, ქალთა სკოლა წალენჯიხაში, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1988 წ. №9, გვ. 19.

[3] გაზ. ,,ივერია“, №16, 1903 წ. 21 იანვარი; გაზ. ,,შინაური საქმეები“, 1912 წ. №33, გვ. 12.

[4] გაზ. ,,დროება“, №59, 1885 წ. 17 მარტი; **ტრ. ხუნდაძე**, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 38, 96-98; **ა. იოსელიანი**, 80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები, *სინ*, ტ. V, გვ. 644-647.

[5] გაზ. ,,დროება“, №59, 1885 წ. 17 მარტი.

[6] **ტრ. ხუნდაძე**, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), გვ. 105, 108-109.

სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვამ, საეკლესიო წიგნების მეგრულად თარგმნამ და ქართულ ენაზე ღვთისმსახურების მეგრულით შეცვლის მცდელობამ მხარის მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. როცა მეგრულ ენაზე ღვთისმსახურების მცდელობა იყო, ხალხმა ეს არ მიიღო.[1] ხელისუფლების მცდელობას წინ აღუდგა სამეგრელოდან გამოსული ინტელიგენცია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იონა მეუნარგიას, ნიკო დადიანის და სხვათა პოზიცია.[2] სამეგრელოს უგანათლებულესი თავადის ნიკოლოზ დავითის ძე დადიანი-მინგრელსკის ჩარევამ დროებით შეაჩერა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და მის ნაცვლად მეგრულის შემოღების მცდელობა.[3] 1893 წელს სამეგრელოს თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ მოიწვია კრება, რომელმაც დაადგინა: სამეგრელოს სკოლებში აიკრძალოს მეგრულად სწავლება.[4] იმავე წელს, მარტვილში, სამრევლო სკოლის გახსნისას, ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი) მოსწავლეებს ასე მიმართავდა: „დაიხსომეთ, გულში ღრმად ჩაიმარხეთ, შვილებო, რომ მეგრელები ძველის-ძველი ქართველები ვართ... სამეგრელო, მეგრელი განსაკუთრებულს ქვეყანას, განსაკუთრებულს ხალხს როდი შეადგენს. სამეგრელო ნაწილია ერთის ქვეყნისა, ჩვენის საზოგადო სამშობლოსი, საქართველოსი. მეგრელი იმ ქართველის სახელია, რომელიც საქართველოს ერთ ნაწილში, სამეგრელოში ცხოვრობს... ნუ დაუჯერებთ იმ ზოგიერთ სულმდაბალს, რომელიც მხოლოდ პირადის ინტერესებისათვის ქადაგებს ქართულისა და მეგრულის განსხვავებაზედ“.[5]

1903 წლიდან სამეგრელოს სკოლებიდან საერთოდ განიდევნა ქართული ენა, რაც მოსახლეობას ძალიან აწუხებდა. იყო შემთხვევები, როდესაც ე. წ. სამინისტრო ორკლასიან სასწავლებელს ამთავრებდა ბავშვი და მერე სამრევლო სკოლაში შეჰყავდათ, სადაც ქართულად წერა-კითხვას ასწავლიდნენ. ამიტომ სამრევლო სკოლები მთელ სამეგრელოში გავრცელდა. სოფელ ხორშში სამი ასეთი სკოლა იყო და ყველას მშვენიერი შენობა ჰქონდა. ერთი მათგანი ორკლასიანად უნდოდათ გადაეკეთებინათ, მაგრამ ხალხმა გაიგო, ქართულ ენას სამრევლო სკოლებშიც სპობენო და გული აიცრუა. სამინისტრო ორკლასიანი სკოლა კი მოთავსებული იყო ნახევრად დამპალ და ძველ შენობაში, ნახევარი ისეთსავე კანცელარიის ოთახში, სადაც ხმაურის გამო არაფერი ისმოდა. რუსული, რომელსაც ამ სკოლაში მუნჯურად ასწავლიდნენ, ბავშვებს ჭიშკრამდე არ მიჰყვებოდა. ამიტომაც ხალხი ამგვარ სკოლებს არ თანაუგრძნობდა.[6] 1903 წლის ზაფხულში, როდესაც საქართველოს ეგზარქოსი ალექსი (ოპოცკი) სამეგრელოს ეწვია, უამრავი ხალხი აწყდებოდა მას ლოცვა-კურთხევის მისაღებად, თან ემუდარებოდა, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას ეშუამდგომლა, რომ სამრევლო სკოლებიდან არ ამოეღოთ ქართული ენა და არ შემოეღოთ მეგრული ანბანი“.[7] იმავე წელს, ზუგდიდისა და სენაკის თავად-აზნაურებმა განცხადებით მიმართეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს ყოფილი სამეგრელოს სამთავროს საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების ძველ უფლებებში დატოვების აუცილებლობის თაობაზე. არსებული ინფორმაციით, — წერდნენ ისინი, — საეკლესიო-სამრევლო სკოლებში გათვალისწინებულია ქართული ენის სწავლების შემცირება ან ამოღება ყოფილი სამეგრელოს სამთავროს ზუგდიდისა და სენაკის მაზრების საეკლესიო-სამრევლო სკოლებიდან.[8]

---

[1] გაზ. ,,ივერია“, №4, 1889 წ. 6 იანვარი.

[2] **ტრ. ხუნდაძე**, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), გვ. 109; **მ. სიმონია**, ზოგი რამ აბაშის რაიონის სკოლების ისტორიიდან, გაზ. „განახლებული აბაშა“, №131, 1970 წ. 3 ნოემბერი.

[3] **ბ. ხორავა**, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, გვ. 80.

[4] **ა. ჯიქია**, შეტევა ქართულ ენაზე. წერილი მეორე, გაზ. ,,სახალხო განათლება“, №33, 1990 წ. 16 აგვისტო.

[5] გაზ. ,,ივერია“, №114, 1893 წ. 3 ივნისი.

[6] **კ. გვასალია**, სამეგრელო, გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, №2785, 1905 წ. 31 მარტი.

[7] გაზ. ,,ივერია“, №15, 1904 წ. 21 იანვარი.

[8] ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები. დოკუმენტების კრებული. *შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ*, ქუთაისი, 2009, გვ. 205-209.

XIX საუკუნის 80-იან წლებში განხორციელებულმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ განათლების სფეროში კიდევ უფრო გააძლიერა ქართველთა შორის ეროვნული ერთიანობის შეგნება.[1] ამასთანავე, მიუხედავად რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მრავალი ხელშემშლელი გარემოებისა, სამეგრელოში სკოლების ქსელი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც დადებითი მოვლენა იყო.

სამედიცინო საქმე. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამეგრელოს სოფლებში სამედიცინო საქმე შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება მაინც მძიმე მდგომარეობაში იყო.

1888 წელს ზუგდიდში გაიხსნა ოთხსაწოლიანი ქსენონი, რომელიც შემდეგში სოფლის სამკურნალო პუნქტად გადაკეთდა. 1897 წელს ქუთაისის გუბერნიას 52 ექიმი ემსახურებოდა, ამათგან 2 ექიმი — ზუგდიდის მაზრას. 1905 წელს მაზრაში 2 სავადმყოფო (6-6 საწოლით) და 2 საფერშალო გაიხსნა.[2] 1913 წლის მონაცემებით, სამედიცინო მომსახურების მიზნით, ზუგდიდის მაზრა დაყოფილი იყო ორ დიდ სამკურნალო უბნად. ერთ-ერთი იყო წალენჯიხის უბანი, რომელიც მომსახურებას უწევდა ყულისკარის, კორცხელის, ჭაქვინჯის, კირცხის, ახუთის, ჭოღის, ჩხოროწყუს, ლეწურწუმის, ობუჯის, წალენჯიხის, მუხურის, ჯგალის, ჯვარის, ლიის, ჭკადუაშის, ფახულანის, ჭალეს და ლესიჭინეს საზოგადოებებს. ამ უბნის ექიმის ადგილსამყოფელი წალენჯიხაში იყო.[3] მაზრის მეორე — ხობის სამკურნალო უბნის მომსახურებაში შედიოდა ნოჯიხევის, საჯიჯაოს, ხორშის, ზანის, კოკის, კახათის, ზუგდიდის, ნიკოსიის, აბასთუმნის, ცაიშის და ხიბულის საზოგადოებები. ექიმის ადგილსამყოფელი ხობში იყო. ყოველ სამედიცინო უბანს ჰქონდა ერთი საფერშლო პუნქტი. წალენჯიხის უბნის საფერშლო პუნქტი იყო სოფ. ლესიჭინეში, ხობისა — სოფ. კოკში. თითოეულ სამკურნალო უბანში მუშაობდა ერთი ექიმი, ორი ფერშალი და ერთი ბებიაქალი; თითოეულ საფერშლო პუნქტში — ერთი ექთანი. დ. ზუგდიდში არ იყო სამოქალაქო უწყების სავადმყოფო, სამაგიეროდ აქ არსებობდა ექიმ ა. პატარაიას 12 საწოლიანი კერძო საავადმყოფო. მედიკამენტების მხრივ მდგომარეობა სავალალო იყო.[4] XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ჭოღელი ექიმი ნიკო შენგელია ერთადერთი იყო ამ მხარეში. იგი უანგაროდ ემსახურებოდა არა მარტო თანასოფლელებს, არამედ მხარის მთელ მოსახლეობას.[5] 1909 წელს სენაკის მაზრის აბაშის საექიმო უბანში საავადმყოფოს გამგე-ექიმად დაინიშნა გიორგი ჯორჯიკია. იგი დაიბადა ზუგდიდის მაზრის სოფელ ხობში, დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ — კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მისი თაოსნობით აბაშაში გაიხსნა ამბულატორია და ექვსსაწოლიანი სტაციონარი, აფთიაქი. იგი სენაკის მაზრის სოფლებში ეწეოდა ბრძოლას სხვადასხვა ეპიდემიის, მათ შორის ციების (მალარიის) წინააღმდეგ.[6]

სოციალური ურთიერთობები XX საუკუნის დასაწყისში. საგლეხო რეფორმის შემდეგ დროებითვალდებულებულ გლეხთა მიერ ნადელების გამოსყიდვა და, შესაბამისად, მათი თავდახსნა საქართველოში დიდი სიძნელეებით, ნელი ტემპით მიმდინარეობდა.[7] მემამულეებმა აღადგინეს ბატონყმური წესები. ისინი გლეხებს ძალით ართმევდნენ, რასაც საჭიროდ ჩათვლიდნენ. არც გლეხები რჩებოდნენ ვალში, იტაცებდნენ მემამულეთა მიწებს. სენაკის მაზრაში 50 შეიარაღებული გლეხი თავს დაესხა თავად წულუკიძის მამულს და დაეუფლა მას. ადგილი ჰქონდა გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებს.[8]

რუსეთში დროებითვალდებულებითი დამოკიდებულება 1881 წელს გაუქმდა. საქართველოს ეს მაშინ არ შეხებია. მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1912 წლის 20 დეკემბრის კანონით, საქართველოში გლეხების დროებითვალდებულებითი დამოკიდებულება გაუქმდა. დროებითვალდებულმა გლეხებ-

---

[1] **ი. კაჭარავა**, პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში, გვ. 78.
[2] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 37.
[3] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 37.
[4] **პ. ჯიშკარიანი**, ზუგდიდის რაიონის მშრომელები..., გვ. 38.
[5] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 235-236.
[6] **პ. ჩაგანავა**, ადამიანთა ჯანმრთელობის მოამაგე, გაზ. ,,განახლებული აბაშა", №135, 1970 წ. 12 ნოემბერი.
[7] **ა. კიკვიძე**, საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 198.
[8] **ა. კიკვიძე**, საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 317.

მა უფლება მიიღეს თავიანთი ნადელები გამოესყიდათ. ნადელის გამოსყიდვა მათ ადრეც შეეძლოთ, მაგრამ ეს მემამულის სურვილზე იყო დამოკიდებული. ახალი კანონით კი გამოსყიდვა სავალდებულო გახდა.[1] ასე მოხდა დროებითვალდებულთა ინსტიტუტის ლიკვიდაცია.

მიუხედავად იმისა, რომ დროებითვალდებულებითი დამოკიდებულება გაუქმდა, გლეხების მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. ფაქტობრივად, ვალდებულებითი დამოკიდებულება გრძელდებოდა, გლეხის თავდახსნა არ მთავრდებოდა ნადელის გამოსყიდვით, მოუგვარებელი რჩებოდა ტყით, საძოვრებითა და წყლით სარგებლობის საკითხები. უმიწობა გლეხს აიძულებდა მემამულისთვის ისეთი საიჯარო ქირა გადაეხადა, რომ მას არაფერი რჩებოდა. 20 დეკემბრის კანონი *ხიზანთა* კატეგორიას არ შეხებია და გლეხების ეს ნაწილი კვლავ ყმურ დამოკიდებულებაში რჩებოდა.[2] მხოლოდ, ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დებულებით, ხიზანთა ინსტიტუტი გაუქმდა. ის მიწები, რომლითაც ხიზნები სარგებლობდნენ, მათივე საკუთრებად გამოცხადდა, თუმცა ეს მიწა დაწესებულ ნორმაზე მაღალი არ უნდა ყოფილიყო.[3] ასე მოხდა ხიზანთა ინსტიტუტის ლიკვიდაცია. რაც შეეხება საეკლესიო გლეხობას, 1869-1880 წწ. თანდათან სახაზინო უწყებას დაექვემდებარა.

რეფორმის შემდგომ წლებში სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად, თანდათან ღრმავდებოდა გლეხობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი. XIX-XX სს. არსებობდა ბატონყმობის ნაშთები თავადაზნაურთა წოდებრივი პრივილეგიებისა და მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის სახით.

პირველი მსოფლიო ომი და სამეგრელოს სოფელი. 1914 წლის ივლისში I მსოფლიო ომი დაიწყო. მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო. ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ანტანტის ბლოკის ქვეყნები — ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, რომელთაც მოგვიანებით შეემატა აშშ, იტალია და რუმინეთი, ხოლო მეორე მხარეს — გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი და ბულგარეთი. 30 ივლისს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ გამოსცა მანიფესტი საყოველთაო მობილიზაციის შესახებ, ხოლო 1 აგვისტოს გერმანიამ რუსეთის იმპერიას ომი გამოუცხადა. ოქტომბერ-ნოემბერში გერმანიის მხარეზე ომში ოსმალეთის ჩაბმამ წარმოშვა კავკასიის ფრონტი. საქართველო ფრონტისპირა მხარედ იქცა.

ომმა სამეურნეო ნგრევა მოიტანა, რაც განსაკუთრებით ფრონტისპირა მხარეებში გამოჩნდა. დარდანელის სრუტის ჩაკეტვამ დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთის იმპერიის ეკონომიკას და საგარეო ვაჭრობას, რაც საქართველოს მდგომარეობაზეც აისახა. შემცირდა და დაიხურა ზოგიერთი საწარმო, ფოთიდან და ბათუმიდან მანგანუმისა და ნავთობის ექსპორტი დარდანელის სრუტით შეწყდა. მძიმე მდგომარეობაში იყო საქართველოს სოფლის მეურნეობა. ისედაც ჩამორჩენილი და ბატონყმობის ნაშთებით შებოჭილი წვრილი გლეხური მეურნეობები გაპარტახების გზაზე შედგა. ომმა სოფელს ხელიდან გამოაცალა მუშახელი, მუშა საქონელი; შემცირდა ნათესების ფართობი, ისედაც მცირე მიწის ფართობი დაუმუშავებელი რჩებოდა, სოფელი უმოსავლოდ დარჩა. მრეწველობის დარგების შეკვეცამ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიმცირემ მუშები და გლეხობა დიდ გასაჭირში ჩააგდო. სურსათზე და ფართო მოხმარების საქონელზე ფასები იზრდებოდა. შიმშილობდნენ მუშები, გლეხური მოსახლეობა.[4] 1915 წლის 10 მარტს გაზ. „თანამედროვე აზრი“ მეთაურ სტატიაში „შიმშილობა დასავლეთ საქართველოში“, წერდა: „დასავლეთ საქართველოს თავს დასტრიალებს შიმშილის აჩრდილი“. მეორე დღეს, 11 მარტს, იგივე გაზეთი წერდა: „დადგა პირველი ხანა შიმშილისა ... დიდი უბედურება ტრიალებს გაჭირ-

---

[1] **ი. მირცხულავა**, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წლებში, ნაკვ. I, გვ. 352; **ირ. ანთელავა, ვ. გუჩუა,** საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 74-80; **ვ. გურული**, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წ. II, გვ. 124.

[2] **ა. კიკვიძე**, საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 316-317.

[3] **ირ. ანთელავა, ვ. გუჩუა,** საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 180-181.

[4] დ. ნაოღალევი, გაზ. ,,იმერეთი“, №126, 1914 წ. გვ. 10 აგვისტო; **ა. კიკვიძე**, საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 340.

ვებულ გლეხის ოჯახში. ტიტველ-მშიერი ბავშვები დარბიან სახლში და მათ მწარე მოთქმას საზღვარი არ აქვს. მათი ცხარე-ნაღვლიანი ცრემლები, მათი მუდმივი ყვირილი — „მჭადი, ფაფუ (ღომი) მთელი ტრაგედიაა ... ოჯახის უფროსს სახსარი, საშუალება ვეღარ მოუძებნია“.[1] მოგვიანებით, იგივე გაზეთი ამ თემას ისევ დაუბრუნდა: „შიმშილმა სამეგრელოში ფართოდ გაშალა ფრთები, ყოველდღე მსხვერპლი მსხვერპლს ემატება. არ არის სოფელი, სადაც ყოველდღე არ ხდებოდეს შემაძრწუნებელი ამბავი“.[2]

მთავრობა ახდენდა გლეხთა ქონების რეკვიზიციას; მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, მემამულეები ღალის განუხრელად გადახდას მოითხოვდნენ. მათ თავიანთი მიწების დასამუშავებლად გაჰყავდათ გლეხები, როდესაც ამ უკანასკნელთ საკუთარი მიწები დაუმუშავებელი რჩებოდათ. სიდუხჭირისა და შიმშილობის გამო, როდესაც ოჯახის ასეთ უბედურებას ვერ უმკლავდებოდნენ, ხშირი იყო გლეხების თვითმკვლელობის შემთხვევები.[3]

I მსოფლიო ომში სამეგრელოს მრავალი მკვიდრი მონაწილეობდა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთის იმპერიაში გატარდა სამხედრო რეფორმა, რომლის ფარგლებშიც სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევა დაწესდა. რუსეთის შიდა გუბერნიებსა და კავკასიაში ეს რეფორმა 1877 წელს გატარდა. სავალდებულო სამხედრო ბეგარა 5 წლის ვადით დაწესდა.[4] მსოფლიო ომის მონაწილეთა შორის იყო სოფელ კეთილარის მკვიდრი კონსტანტინე საბულუა. 1915 წელს იგი გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა. სამშობლოში მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ დაბრუნდა და მენშევიკურ პარტიაში გაწევრიანდა.[5] სოფელ ნოსირის მკვიდრი პეტრე ქავთარაძე (1889-1966), შემდეგში ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მან 1915 წელს დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და ექიმად გააგზავნეს დასავლეთის ფრონტზე.[6] სოფელ ნაკიფუს მკვიდრი ტარასი კვარაცხელია (1889-1951), შემდეგში ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, 1916-1917 წწ. მოქმედ არმიაში იყო ოსმალეთის ფრონტზე, აგრონომიული რაზმის ოფიცრად; სოფელ ხორშის მკვიდრი კონსტანტინე (ჯუგუ) გრიგოლის ძე დადიანი „ველური დივიზიის“ ოფიცერი იყო.[7] სოფელ ხორშის მკვიდრი ალექსი ბუკია (1896-1964) მეფის ჯარში 1915 წელს გაიწვიეს, მონაწილეობდა სამხრეთის ფრონტზე ბრძოლებში. ომში მონაწილეობდნენ: ლავრენტი ბუკია (სოფ. ხორში), ვასილ მიქავა (სოფ. ჯგალი), ვასილ ლაზარია, ფარნა შენგელია, მაქსიმე შენგელია, თადა ფაცაცია (სოფ. ჭოღა); პლატონ იზორია (სოფ. კირცხი), რაჟდენ ლემონჯავა (სოფ. ზუმი), დიანოზ ახალაია (სოფ. ქვედა ჩხოროწყუ), დიმიტრი ხორავა (სოფ. ოჩხომური), ევსტაფი ჟვანია (სოფ. მოიდანახე), მიხეილ მალანია (სოფ. ფოცხო), გრიგოლ ხორავა (სოფ. ჭითაწყარი), რაჟდენ ჯგერენაია (სოფ. დიდინეძი), ძმები ათანასა და მაქსიმე მოლაშხიები (სოფ. ნაკიფუ), ვლადიმერ ბაღათურია (სოფ. ნოქალაქევი), იოსებ გვაძაბია (სოფ. ბერთემი), ტაგუ გვალია (სოფ. ნახარებუ), თეოფანე დარასელია (დ. ზუგდიდი), ილია ჭანტურია (დ. აბაშა), სტეფანე ფარულავა, მიხეილ ძიძიგური (სოფ. ხუნწი) და სხვ.[8] ისინი სამშობლოში მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ დაბრუნდნენ. მათი დიდი ნაწილი რევოლუციურად იყო განწყობილი.

პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918) საქართველოს ეკონომიკა დიდად დააზარალა. 200

---

[1] გაზ. ,,თანამედროვე აზრი“, 1915 წ., №8-9; **ა. კიკვიძე**, საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 340-341.

[2] გაზ. ,,თანამედროვე აზრი“, 1915 წ., №58; **ა. კიკვიძე**, საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 341.

[3] **ა. კიკვიძე**, საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 341.

[4] **ა. კიკვიძე,** საქართველოს ისტორია. XIX-XX სს. წ. II (1861-1921 წწ.), გვ. 38.

[5] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 106.

[6] **ა. მინდაძე**, პ. ქავთარაძე, თბ., 1969.

[7] გაზ. ,,მახარია“, №12, 2001 წ.

[8] გაზ. ,,სახალხო ფურცელი“, №141, 1914 წ. 18 ნოემბერი; გაზ. ,,სახალხო ფურცელი“, №170, 1914 წ. 23 დეკემბერი; **ც. ქირია**, დაუბერებელი გული, გაზ. მებრძოლი“, №104, 1962, 28 ოქტომბერი; გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №71, 1966 წ. 28 ივნისი; **ი. გვაძაბია**, მოგონება, გაზ. ,,კოლხეთი“, №36-37, 1970 წ. 28, 31 მარტი; **ი. გვასალია**, რევოლუციის ჯარისკაცი, გაზ. ,,კოლხეთი“, №11, 1971, 26 იანვარი; **ალ. კუკანია**, სპეტაკი პარტიელი, გაზ. ,,შრომის დროშა“, №131, 1987 წ. 31 ოქტომბერი; **ხ. ბერულავა**, ძეგლი და სიმღერა, წიგნ. **ხ. ბერულავა**, მშობლიური სახელები, თბ., 1979, გვ. 473.

ათასი შრომისუნარიანი მამაკაცი ფრონტზე იყო გაწვეული. შემცირდა მარცვლეული კულტურებისა და ვენახის ფართობები, პირუტყვის სულადობა; დიდი ზიანი მიადგა მრეწველობას: მანგანუმის, ქვანახშირისა და სპილენძის ამოღება მთლიანად შეწყდა; გაიზარდა ფასები სურსათსა და პირველადი მოხმარების საგნებზე. როგორც ქალაქად, ისე სოფლად, შიმშილობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სამეურნეო ნგრევამ, მძიმე სოციალურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ 1917 წლის თებერვალში უკიდურეს ზღვარს მიაღწია და პროტესტი შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა, რასაც მეფის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა.

ეკლესია XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში. საეკლესიო რეფორმის გატარების შემდეგ ხელისუფლება შეეცადა სამღვდელოების გული მოეგო. დაბალი სამღვდელოების ერთი ნაწილი ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1807 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულებით ქართველი სამღვდელოება რუსეთის შიდა გუბერნიების სამღვდელოებას უფლებრივად გაუთანაბრდა. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოება, როგორც ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, ასევე ყოველგვარი გადასახადისაგან სრულად გათავისუფლდა. ანალოგიური ღონისძიება მოგვიანებით დასავლეთ საქართველოშიც გატარდა. 1829 წლიდან იმერეთის დაბალი სამღვდელოება და მათი შვილები, რომლებიც 1810 წლის შემდეგ იყვნენ დაბადებულნი, ყმობიდან გათავისუფლდა.[1] სამეგრელოს მემკვიდრე-მმართველის დავით დადიანის 1841 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით დაბალი სამღვდელოება თავადაზნაურობის ყმობიდან გათავისუფლდა.[2]

სამღვდელოების ერთი ნაწილი შტატიან მღვდელმსახურად ითვლებოდა, მეორე ნაწილი — უშტატოდ. შტატიანი მღვდელმსახურები ხაზინიდან იღებდნენ ჯამაგირს, უშტატო მღვდელმსახურები მხოლოდ შემოწირულობით არსებობდნენ.[3] ბატონყმობისაგან გათავისუფლებულ სასულიერო პირებს სახლის ასაშენებლად მემამულისაგან ერთ დესეტინამდე მიწის ნაკვეთი ეძლეოდათ; სამღვდელოებას ძველი ადათებით გადასახადების აკრეფის უფლება რჩებოდა. გლეხები ბატონისა და ეკლესიის სასარგებლოდ იხდიდნენ ღალას — ხორბლის შემოსავლის 1/5 ნაწილს, ღვინის 1/10 ნაწილს და ფულად გადასახადს. 1873 წელს მთავრობამ სასულიერო პირებს დაუნიშნა ჯამაგირი, რითაც სასულიერო წოდება თავისუფლდებოდა გადასახადის აკრეფის არასასიამოვნო მოვალეობისაგან, რაც ხშირად მღვდელსა და მრევლს შორის უთანხმოების მიზეზი ხდებოდა. ამასთანავე, სამღვდელოება შეაშფოთა დრამის ფულისა და სხვა საწესო გადასახადებზე უარის თქმის მოსალოდნელმა აუცილებლობამ, რადგან თვლიდა, რომ სასულიერო წოდების მხოლოდ ხელფასით უზრუნველყოფა მას გააღარიბებდა. თუმცა ჯამაგირით უზრუნველყოფის მიუხედავად გადასახადების აკრეფის ძველი წესი ძალაში რჩებოდა. 1836 წლიდან ხელისუფლებამ სამღვდელოებას პენსია დაუნიშნა. 1867 წლიდან ეს კანონი დაბალი წოდების სასულიერო პირებზეც გავრცელდა. ეკლესიას ჰყავდა საეკლესიო აზნაურები. ისინი საეკლესიო მამულების მმართველი და გადასახადების ამკრეფი მოხელეები იყვნენ. რადგან საეკლესიო მამულების მართვა და გადასახადების აკრეფა ეკლესიის ახალმა უწყებამ იკისრა, საეკლესიო აზნაურები ეკლესიას აღარ სჭირდებოდა. 1841 წლის 8 ივლისის კანონით საეკლესიო აზნაურები თავიანთი ყმა-მამულით სახაზინო უწყებაში ჩარიცხეს.[4]

სამეგრელოში სამღვდელოების ნაწილს მცირე განათლება ჰქონდა. ბევრმა წერა-კითხვაც კი არ იცოდა. არქიმანდრიტი თეოფანე (გაბუნია), რომელმაც მთავრის დავალებით 1852 წელს სამთავროს ყველა ეკლესია შეამოწმა და აღწერა, წერს, რომ ჯვარის მაზრის ლეშამუგეს, ნაჯაგუს, ჭოღის, კურზუს, ხანწკის, თამაკონის, ნამიკოლუს, ჯვარზენის ეკლესიების მღვდლების

---

[1] **ე. ბუბულაშვილი**, იმერეთის ეპარქია ეგზარქოსობის პერიოდში, კრებ. *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“*, 1 (5), თბ., 2009, გვ. 315.

[2] **ი. მეუნარგია**, დავით დადიანი და მისი დრო, გვ. 171.

[3] **ე. ბუბულაშვილი**, იმერეთის ეპარქია ეგზარქოსობის პერიოდში, გვ. 315.

[4] **დ. გოგოლაძე**, ცვლილებები ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში, *სინ*, ტ. IV, გვ. 893.

უმრავლესობამ წერა-კითხვა ცუდად იცოდა, კარგად მცოდე კი ძალიან ცოტა იყო.[1]

ჭყონდიდის საეპისკოპოსო ერთ-ერთ უდიდეს საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა. საეპისკოპოსო ფლობდა დიდძალ მამულს, რომელიც საჭყონდიდლოდ იწოდებოდა და მთელ სამეგრელოში იყო გაფანტული, მაგრამ მისი მთავარი ნაწილი მოქცეული იყო მდინარეებს — ტეხურს, აბაშასა და რიონს შორის. საეპისკოპოსოს 3 ათას კომლზე მეტი გლეხი ჰყავდა.[2] რუსეთის იმპერატორის მიერ 1874 წლის 16 მაისს დამტკიცებული სინოდის წარდგინების თანახმად, სამეგრელოს ეპარქია გაუქმდა და იმერეთის ეპარქიას შეუერთდა. შეიქმნა იმერეთის ეპარქიაში შემავალი სამეგრელოს სავიკარო, ვიკარისადმი სამეგრელოს ეპისკოპოსის წოდების მინიჭებით. მის ადგილსამყოფელად მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი განისაზღვრა.[3] იმავე წლის 29 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსის ვიკარად (თანაშემწედ), სამეგრელოს ეპისკოპოსად, ბესარიონ დადიანი (1874-1885) დაინიშნა.[4] 1875 წლის 12 იანვარს გელათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ბესარიონი (დადიანი) ეპისკოპოსად აკურთხეს.[5] სამეგრელო შვიდ საბლაღოჩინოდ ანუ საეკლესიო ოლქად იყო დაყოფილი. ეკლესიისა და სამღვდელოების საქმეებს ბლაღოჩინი (მთავარხუცესი) მართავდა.[6]

რუსეთის სინოდის 1885 წლის 12 ივნისის დადგენილებით სამეგრელოს ეპარქია გურიის ეპარქიას შეუერთდა და შეიქმნა გურია-სამეგრელოს ეპარქია, კათედრად განისაზღვრა ფოთის ალექსანდრე ნეველის ტაძარი და მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.[7] 1886 წლის მარტში გურია-სამეგრელოს მღვდელმთავრად გრიგოლ დადიანი (1886-1898) დაინიშნა. 25 მარტს სიონის ტაძარში არქიმანდრიტი გრიგოლი (დადიანი) ეპისკოპოსად აკურთხეს.[8]

მეუფე გრიგოლის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ყოფნისას, მის სამწყსოში დაარსდა სამზრუნველო სასულიერო პირთა ქვრივ-ობლებისთვის, აშენდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო სასახლე, მარტვილის სასულიერო სასწავლებლის შენობა, საცხოვრებელი სახლები ამ მონასტრის ბერებისთვის, სენაკის მაზრის სოფელ თეკლათში აიგო დედათა მონასტერი თავისი ეკლესიით, ბათუმში აიგო ეკლესია ახალშემოერთებული აჭარის მკვიდრთათვის, გურიასა და სამეგრელოში აშენდა 60-ზე მეტი ქვითკირისა და ხის ეკლესია, ორკლასიანი სამრევლო სკოლები გაიხსნა ბანძაში, ეწერში, თამაკონში, მარტვილში, ხეთაში, კიწიაში, აგრეთვე — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 160-მდე სკოლა.[9]

ეპისკოპოს გრიგოლის (დადიანი) მოსკოვში გაწვევის შემდეგ, 1898 წლის 20 მარტს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ალექსანდრე ოქროპირიძე (1898-1903) დაინიშნა. ეპისკოპოსი ალექსანდრე ცდილობდა დაკნინებული სამონასტრო ცხოვრების აღორძინებას, ეკლესია-მონასტრების განახლებას, ქრისტიანული სარწმუნოების გაძლიერებასა და სასულიერო განათლების დონის ამაღლებას. გურია-სამეგრელოს ეპარქიაში მოღვაწეობისას იგი ღიად დაუპირისპირდა ქართველი ერის გათიშვისა და სამეგრელოდან ქართული ენის განდევნის იმპერიულ პოლიტიკას.[10] ასეთი მოღვაწეობის გამო, 1903 წლის 4 ნოემბერს, ეპისკოპოსი ალექსანდრე ეპარქიას ჩამოაშო-

---

[1] უწყება სამეგრელოს სამთავროს ჯვარის მაზრასა შინა ეკლესიებთა და სამღვდელო საეკლესიო მსახურთა და სამრევლოებთა, შედგენილი 1852-სა წელსა, ზსიემ, №18634, დოკ. 7602.

[2] **კ. ბოროზდინი, რ. ერისთავი, მურიე**, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 120.

[3] **Епископ Кирион**, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, გვ. 75-76.

[4] **Епископ Кирион**, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, გვ. 76.

[5] **ს. ვარდოსანიძე**, ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები), თბ., 2010, გვ. 39.

[6] **ჟ. მურიე**, სამეგრელო, გვ. 299.

[7] **Епископ Кирион**, Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, გვ. 76; **П. Иоселиани**, Краткая история грузинской церкви, СПБ, 1843.

[8] გაზ. ,,ივერია“, №54, 1886 წ. 9 მარტი; ჟურნ. ,,მწყემსი“, 1886 წ. №10.

[9] **ა. ტუღუში**, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი, გაზ. ,,საფარველი“, ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია, №8 (89), 2008 წ. ოქტომბერი.

[10] **ჯ. გამახარია**, ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, წიგნ. წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. *კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ,* თბ., 2006, გვ. 47-48.

რეს. ფოთის ქალაქისთავმა ნიკო ნიკოლაძემ, ქალაქის საზოგადოებამ და ეპარქიის სამღვდელოებამ ეპისკოპოს ალექსანდრეს გულთბილი გაცილება მოუწყვეს. სიცოცხლის ბოლო წლები მან შიო-მღვიმის მონასტერში გაატარა, სადაც 1907 წლის 30 აგვისტოს (12 სექტემბერს) გარდაიცვალა.[1] 1903 წლის ნოემბერში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ცნობილი რუსოფილი დიმიტრი აბაშიძე (1903-1905) დაინიშნა. 1905 წლის 25 სექტემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), რომელიც ეპარქიას 1908 წლის იანვრის ჩათვლით ედგა სათავეში. შემდეგ ის იმერეთის კათედრაზე გადაიყვანეს.[2] 1906 წლის 14 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) ფოთში ახალი საკათედრო ტაძრის საძირკველი აკურთხა. ტაძარი რვა თვის განმავლობაში აშენდა. 1907 წლის 22 მაისს ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღმართეს. საკათედრო ტაძარი კონსტანტინეპოლის წმ. სოფიას ტაძრის თითქმის ზუსტ ასლს წარმოადგენდა, მხოლოდ შემცირებული მასშტაბით, და 2 ათას მლოცველზე იყო გათვლილი.[3]

ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი) შემდეგ ეპარქიას ლეონიდე ოქროპირიძე (1908-1917) ედგა სათავეში. სამეგრელოს სამრევლო ეკლესიების დიდ ნაწილს ეპისკოპოსი ლეონიდი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადმოსვლის პირველ წელსვე გაეცნო. ყველა ეკლესია, რომელიც ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა მოინახულა, მისი რჩევით განაახლეს, გაამშვენიერეს, საეკლესიო ნივთებით, შესამოსლით შეამკეს. 1911 წლის ზაფხულში ყოვლადსამღვდელო ლეონიდმა სამეგრელოს სამრევლოები დაწვრილებით მოიხილა, გაეცნო ეკლესიებისა და მრევლის მდგომარეობას და ყველგან მამაშვილურ მზრუნველობას იჩენდა.[4] 1917 წლის მარტში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 17 სექტემბერს, პირველმა საეკლესიო კრებამ გურია-სამეგრელოს ეპარქია გააუქმა. შეიქმნა ჭყონდიდის ეპარქია, რომლის სამწყსოდ განისაზღვრა „ოდიში — სენაკისა და ზუგდიდის მაზრები“, მღვდელმთავრის კათედრის ადგილსამყოფელად — მარტვილი, რეზიდენციად — ქ. ფოთი; მწყემსმთავრის პატივად „ჭყონდიდელი მიტროპოლიტი“ დადგინდა. ჭყონდიდელ ეპისკოპოსად აირჩიეს ამბროსი (ხელაია), რომელიც ეპარქიას 1917-1921 წლებში განაგებდა.

§ 3. სამეგრელოს სოფელი 1918-1921 წლებში

1917 წლის თებერვალში რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მოხდა. მონარქია დაემხო და ხელისუფლების სათავეში დროებითი მთავრობა მოვიდა, რომელმაც 9 მარტს სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგეობისათვის „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი“ (Особый Закавказский Комитет, ОЗАКОМ) შექმნა.[5] ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რჩებოდა: თბილისის გუბერნია 9 მაზრით და ქუთაისის გუბერნია 7 მაზრით, ბათუმის ოლქი, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგები.[6]

1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალების შედეგად რუსეთის დროებითი მთავრობა დაემხო და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა. ასეთ ვითარებაში, ქართველი სოციალ-დემოკრატების ინიცია-

---

[1] **ჯ. გამახარია**, ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ. 49.

[2] **ბ. ხურციძე**, იმერეთის ეპარქია 1821-1917 წლებში, ქუთაისი, 2008, გვ. 141.

[3] **გ. ჩიტაია**, ფოთისა და ხობის ეპარქია. ისტორიული ძეგლები, თბ., 2007, გვ. 102-103.

[4] ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად, გაზ. ,,შინაური საქმეები“, 1912 წ. №4-22.

[5] **ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე,** საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 177; **ა. ბენდიანიშვილი,** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 36.

[6] **თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა,** საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 108.

ტივით, ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა 1917 წლის 15 (28) ნოემბერს თბილისში სამხარეო ხელისუფლების ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატი (მთავრობა) შექმნეს, რომელსაც სათავეში ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი (1881-1954) ჩაუდგა.[1] ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები — ეროვნული საბჭოები ჩამოყალიბდა. 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ საქართველოს ეროვნული საბჭო აირჩია.[2]

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში ამიერკავკასიის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო სეიმი (პარლამენტი) შეიქმნა. იგი შედგებოდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიიდან არჩეული წევრებისა და ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან. ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ქართველი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926) გახდა. ორი თვის შემდეგ, 9 (22) აპრილს, სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო.[3] შეიქმნა „დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა“ და ბოლშევიკურ რუსეთს ამიერკავკასია ჩამოშორდა. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი გახდა.[4]

პირველი მსოფლიო ომითა და იმპერიის დაშლით გამოწვეულმა სამეურნეო ნგრევამ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოშლამ, სურსათის მარაგის არარსებობამ ამიერკავკასია შიმშილობის საფრთხის წინაშე დააყენა. მძიმე ეკონომიკური ვითარებით ისარგებლეს ბოლშევიკებმა, რომლებიც ეკონომიკურ კრიზისში მთავრობას ადანაშაულებდნენ და მშრომელებს მის წინააღმდეგ აქეზებდნენ. ბოლშევიკური პროპაგანდა სოფლებში ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს ეყრდნობოდა. 1918 წლის გაზაფხულზე გლეხთა აგრარულმა გამოსვლებმა საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად სამეგრელოც მოიცვა.

1918 წლის 20-23 თებერვალს რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ქუთაისში პარტიული კონფერენცია მოიწვია. კონფერენციამ გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადება და შექმნა აჯანყების შტაბი, რომლის ხელმძღვანელად ალექსი (საშა) გეგეჭკორი აირჩია. აჯანყების ორგანიზების მიზნით ა. გეგეჭკორი 26 თებერვალს მარტვილში ჩავიდა, ხოლო შემდეგ — სენაკსა და აბაშაში, სადაც გლეხებს აჯანყებისკენ მოუწოდებდა. მისი ხელმძღვანელობით მთელ სამეგრელოში დაიწყო წითელ პარტიზანთა რაზმების შექმნა. ამ რაზმის წევრი იყო ინჩხურის მკვიდრი პეტრე წოწორია, რომელსაც რევოლუციამ მეფის ჯარში მოუსწრო და შინ გამოეშურა. 1918 წლის თებერვალში ის მარტვილში ჩამოვიდა და საშა გეგეჭკორის რაზმში შევიდა. პარტიზანული რაზმის წევრი იყო ასევე სოფ. ხუნწის მკვიდრი მიხეილ ძიძიგური, I მსოფლიო ომის მონაწილე, რომელიც 1917 წლის აპრილში დაბრუნდა სამშობლოში და რევოლუციურად განწყობილ გლეხებს შეუერთდა.[5] ჭოღაში შექმნილ პარტიზანულ რაზმს ხელმძღვანელობდა მაქსიმე შენგელია. რაზმში შედიოდნენ: ფარნა ქარჩავა, გაბრიელ შენგელია, ალექსი შენგელია, ბაგრატ შენგელია, თევდორე ჭეჟია და სხვ. ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდა ჭოღელი გიორგი წახნაგია.[6] აჯანყებაში აქტიურად

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, репринтное издание, Тбилиси, 1990, გვ. 7; **ა. ბენდიანიშვილი,** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 76.

[2] **ნ. ჭანტურია,** ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, თბ., 2006, გვ. 36.

[3] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, გვ. 200-222; **ჯ. გამახარია,** აფხაზეთი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 288.

[4] **ა. ბენდიანიშვილი,** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 87-92.

[5] **გ. ფარულავა**, პეტრე ფილიპეს ძე წოწორია, გაზ. ,,შრომის დროშა“, №16, 1967 წ. 4 თებერვალი; **გ. ფარულავა**, რევოლუციის ჯარისკაცი, გაზ. ,,შრომის დროშა“, №104, 1967 წ. 2 სექტემბერი; **პ. წოწორია,** ასე ვიბრძოდით, ასე გავიმარჯვეთ, გაზ. ,,შრომის დროშა“, №54, 1971 წ. 7 მაისი; **გ. ელიავა,** რაიონის რევოლუციური წარსულიდან, გაზ. ,,შრომის დროშა“, №56, 1971 წ. 14 მაისი.

[6] **გ. ციალაძე** (წახნაგია), ძველი ბოლშევიკის მოგონებანი, თბ., 1976, გვ. 5-16.

მონაწილეობდნენ სოფელ ხორშის მცხოვრებნი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილეები ალექსი ბუკია, ლავრენტი ბუკია.

თებერვლის მიწურულს სამეგრელოს სოფლებში მასობრივი მღელვარება დაიწყო. იმართებოდა მიტინგები, გლეხობა უარს ამბობდა არმიაში გაწვევაზე. ფრონტიდან დემობილიზებული, რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები გლეხებს რუსეთის დროებითი მთავრობის პოლიტიკას განუმარტავდნენ და აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ. 8 მარტს საშა გეგეჭკორი აბაშაში დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს, შემდეგ კი შინაპატიმრობაზე გადაიყვანეს. მარტის შუა რიცხვებში მთელი სამეგრელო აჯანყებამ მოიცვა. მას სათავეში ჩაუდგნენ შალვა ასკურავა, მიხეილ (მიშა) გეგეჭკორი, სანდრო მახარაძე და სხვ. მარტის ბოლოს აჯანყებულთა რაზმმა შალვა ასკურავას მეთაურობით დაიკავა მარტვილი, ბანძა, ნოქალაქევი და ამ სოფლებში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ხუნწელების — მიხეილ ძიძიგურისა და თეიმურაზ ხარებავას ხელმძღვანელობით წითელ პარტიზანთა რაზმმა განაიარაღა ხუნწის თემის მმართველობა. წალენჯიხის უბანში მმართველობა საბჭოებმა აიღეს ხელში. ხელისუფლებამ, რომელიც ოსმალეთთან ომში იყო ჩაბმული, სამეგრელო „შინაურ ფრონტად“ გამოაცხადა და შეიარაღებული ძალები აჯანყების ჩასახშობად გაგზავნა. აპრილის დასაწყისში ჯარის ნაწილები და სახალხო გვარდია ვალიკო ჯუღელის მეთაურობით აჯანყებულების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. დიდი ბრძოლები გაიმართა ძველ სენაკთან, ნოქალაქევთან, ნოჯიხევთან, ზუგდიდთან. აჯანყებულებმა ჯარს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დაკავებული სოფლები დატოვეს. აჯანყების დამარცხების შემდეგ, აპრილის შუა რიცხვებში, 56 კაცისაგან შემდგარი პეტრე წოწორიას რაზმი, რომელშიც მიხეილ ძიძიგურიც შედიოდა, ადგილობრივი ბოლშევიკების დასახმარებლად სოხუმისკენ დაიძრა, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. თუმცა რაზმმა იქ ჩასვლა ვერ მოახერხა, რადგან სამთავრობო ჯარის ნაწილებთან ბრძოლაში დამარცხდა და გაიფანტა.[1] ჭოღელი ბოლშევიკების რაზმი ივანე გოგუას მეთაურობით სამურზაყანოში გადავიდა და იქაურ ბოლშევიკებს შეუერთდა.[2]

მალე, საშა გეგეჭკორი შინაპატიმრობიდან გაიქცა და თავი სამეგრელოს მთიან რაიონებს შეაფარა. ამჯერად, აჯანყების შტაბი სალხინოში განთავსდა. სამთავრობო ჯარებმა რამდენიმე გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს მოწინააღმდეგეს, რის შემდეგაც მათ ჩრდილოეთ კავკასიაში, დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლა გადაწყვიტეს. 1918 წლის 24 მაისს, ა. გეგეჭკორმა სოფელ ხაბუმეში გამართა სენაკისა და ზუგდიდის მაზრის პარტიზანთა კრება, რომელსაც ათასამდე კაცი დაესწრო. კრებამ აჯანყებულთა შტაბის მდივნად, საშა გეგეჭკორის წინადადებით, ჭოღის მკვიდრი, 21 წლის რევოლუციონერი ფარნა შენგელია აირჩია. საშა გეგეჭკორისა და მიშა გეგეჭკორის მეთაურობით შედგა 400 კაციანი რაზმი, რომელიც სალხინო-გორდი-ცაგერი-ონი-მამისონის გზით კავკავისაკენ გაემართა, სადაც 22 დღის შემდეგ ჩავიდა.[3]

ასეთ ვითარებაში, 1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა შინაგანი წინააღმდეგობების გამო დაიშალა. იმავე დღეს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. 117 წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღდგა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

---

[1] **გ. ფარულავა**, პეტრე ფილიპეს ძე წოწორია, გაზ. ,,შრომის დროშა“, №16, 1967 წ. 4 თებერვალი; **გ. ელიავა**, რაიონის რევოლუციური წარსულიდან, გაზ. ,,შრომის დროშა“, №56-57, 1971 წ. 14 მაისი.

[2] **გ. ციალაძე** (წახნაგია), ძველი ბოლშევიკის მოგონებანი, გვ. 19-20.

[3] **გ. ციალაძე** (წახნაგია), ძველი ბოლშევიკის მოგონებანი, გვ. 20-25; **ა. სურგულაძე**, საქართველო ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის პერიოდში (1917 წ. ოქტომბერი 1918 წ. მაისი), *სინ*, VI, გვ. 580; **ვ. ქარჩავა**, ზუგდიდისა და სენაკის მაზრის მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში 1918 წელს, *ზუგდიდის მუზეუმის მეორე სამეცნიერო სესია*, თბ., 1958, გვ. 31-33; **გ. ელიავა**, რაიონის რევოლუციური წარსულიდან, გაზ. ,,შრომის დროშა“, №56-57, 1971 წ. 14 მაისი; **კ. ქაჯაია**, ჩხოროწყუს რაიონის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, გაზ. ,,ნაპერწკალი“, 1978 წ. 6 ნოემბერი.

ახალი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა რთულ პირობებში მიმდინარეობდა. პირველი მსოფლიო ომითა და იმპერიის დაშლით გამოწვეულმა ნგრევამ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოშლა გამოიწვია. ეკონომიკური კრიზისის პირობებში იხურებოდა საწარმოები, მუშები სამუშაო ადგილებს კარგავდნენ. მძიმე ეკონომიკური ვითარება ცხოვრების დონეს აუარესებდა. იზრდებოდა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე. საგრძნობი იყო პირველადი მოხმარების საგნების ნაკლებობა, არ იყო სურსათის მარაგი, განსაკუთრებით ჭირდა პური. ქვეყანა შიმშილობის საფრთხის წინაშე იდგა.[1] მდგომარეობას ართულებდა აგრარული საკითხი, რომლის გადაუჭრელობამ პროვინციებში რთული ვითარება შექმნა. სოფლად გლეხობა „მიწის შიმშილს“ განიცდიდა და სტიქიურად ცდილობდა დაპატრონებოდა მიწას. ბოლშევიკების აქტიური პროპაგანდის შედეგად რიგ მაზრებში ანარქიული გამოსვლები დაიწყო.[2]

ივნისში სამეგრელო კვლავ ცეცხლის ალში გაეხვა. ბოლშევიკების შეიარაღებული რაზმი თავს დაესხა დ. ხობს, მაგრამ სახალხო გვარდიამ ისინი გაფანტა, რამდენიმე თავდამსხმელი მოკლეს ან დაჭრეს.[3] 28 ივნისს აჯანყებულებმა მცირე ხნით მაზრის ცენტრი ზუგდიდიც აიღეს, მაგრამ მალევე სამთავრობო ჯარის ნაწილებმა ბოლშევიკური გამოსვლები სამეგრელოში ჩაახშეს.[4] ასეთ ვითარებაში გეგეჭკორის რაზმი კავკავიდან დუშეთში აჯანყებულ გლეხთა დასახმარებლად გამოემართა. სტეფანწმინდასთან მას გზა გადაუღობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიის ნაწილმა. პირველი შეტაკება 12 ივლისს, ხოლო მეორე — 14 ივლისს მოხდა. ბოლშევიკთა რაზმი განადგურდა: 350-მდე პარტიზანი დაიღუპა; 175 მებრძოლი ტყვედ ჩავარდა, მათ შორის მიშა გეგეჭკორი, რომელიც საველე სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს. დაპატიმრებულთა შორის იყო ჭოღის მკვიდრი ფარნა შენგელია, რომელიც თბილისის ციხეში ტიფით გარდაიცვალა. საშა გეგეჭკორი მცირერიცხოვან მებრძოლებთან ერთად ისევ ჩრდილოეთ კავკასიაში გაემართა.[5]

მიუხედავად დამარცხებისა, ბოლშევიკები დროდადრო ისევ აწყობდნენ გამოხდომებს. ივლისში ბოლშევიკების შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა ზუგდიდის მაზრის სოფ. ახუთს, იარაღი აჰყარა და დაატყვევა 12 მილიციელი, სოფ. ყულისკარში ორი მილიციელის სახლი დაწვეს.[6] 3 აგვისტოს ბოლშევიკების შეიარაღებული რაზმი დ. ხობში თავს დაესხა ჯარის მეოთხე ასეულს, რომელმაც შეძლო თავდასხმის მოგერიება; თავს დაესხნენ სოფელ ხორგასაც, მაგრამ იქაც დამარცხდნენ.[7] საბოლოოდ, რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გენერალ გედევანიშვილის მეთაურობით შეძლო გაეწმინდა სამეგრელო შეიარაღებულ ბოლშევიკთა ბრბოებისაგან.[8]

ქვეყანაში პურის ნაკლებობა იყო, ზოგიერთი მხარე ფაქტობრივად შიმშილობდა. გურიიდან სამეგრელოში მოდიოდნენ ფქვილის საშოვნელად. მთავრობამ ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში პური შეიძინა უკრაინაში, ყუბანის ოლქში, აზერბაიჯანში და სასურსათო კრიზისი თავიდან აიცილა.[9] 1918 წლის ივლისში ზუგდიდში აბრეშუმის პარკის მიღება დაიწყო.[10] ამ და სხვა გარემოებებმა, რომლებიც მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული, დადებითი შედეგები გამოიღო.

---

[1] **ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე,** საქართველოს ისტორია, გვ. 203.

[2] ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921. თბ., 2021, გვ. 107.

[3] გაზ. ,,სოციალ-დემოკრატი“, №353, 1918 წ. 2 ივლისი.

[4] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №112, 1918 წ. 6 ივნისი.

[5] **გ. ციალაძე** (წახნაგია), ძველი ბოლშევიკის მოგონებანი, გვ. 26-30; **კ. ქაჯაია**, ჩხოროწყუს რაიონის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, გაზ. ,,ნაპერწკალი“, 1978 წ. 6 ნოემბერი.

[6] დამოუკიდებლობის 1028 დღე. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918-1921), თბ., 2013, გვ. 31.

[7] გაზ. ,,სოციალ-დემოკრატი“, №380, 1918 წ. 4 აგვისტო.

[8] გაზ. ,,სახალხო საქმე“, №542, 1919 წ. 5 ივნისი.

[9] გაზ. ,,საქართველო“, №152, 1918 წ. 31 ივლისი; გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №17, 1918 წ. 14 აგვისტო; გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №54, 1918 წ. 28 სექტემბერი; გაზ. „ერთობა“, №199, 1918 წ. 16 სექტემბერი.

[10] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. 25 ივლისი.

1919 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი, ისევე როგორც მთელ საქართველოში, სამეგრელოში დიდი ზეიმით აღინიშნა. ამის თაობაზე გაზ. „სახალხო საქმე“ წერდა: „მაისის 26 ნამდვილი ეროვნული დღესასწაული იყო ზუგდიდში. კარგი ამინდი, ქალაქი მორთულია ეროვნული დროშებით და ყვავილებით. დილის რვა საათიდან ხალხმა იწყო დენა სოფლებიდან და თავი მოიყარა სასახლეში. დღესასწაულს ხელმძღვანელობდა სამაზრო ერობის გამგეობა. სასახლეში სიტყვა წარმოთქვა ერობის გამგეობის თავმჯდომარემ. იქიდან ხალხი, მოწაფენი, პარტიები დროშებით გამოემართნენ ქალაქში და ჩამოიარეს უმთავრესი ქუჩები. შემდეგ გაიმართა მარულა ცხენოსნების. ყველა განიცდიდა რაღაც იდუმალ გამოუთქმელ მხიარულებას. ნაშუადღევს გაიმართა ბურთაობა და ჭიდაობა. საღამოს ქუჩები განათებული იყო. ხალხი გვიანამდე განაგრძობდა სეირნობას და მხიარულებას“.[1] დამოუკიდებლობის დღე ზეიმით აღნიშნეს ასევე სენაკში, ზუგდიდისა და სენაკის მაზრის თემებში.

ზუგდიდის მაზრის კოკის თემში დღესასწაულის აღნიშვნის თაობაზე გაზ. „სახალხო საქმე“ იუწყებოდა: „26 მაისობა სოფელ კოკში (ზუგდიდის მაზრა).

დილიდან სოფელს რაღაც არაჩვეულებრიობა ეტყობოდა: ყველას საზეიმოდ გამოწყობილი და ქუჩ-ქუჩად ახლო მახლო მეზობლები შეკრებილან სასოფლო გზებთან, თითქოს რაღაცას მოელიან. აგერ მოისმის ძველ მეგრულ-აფხაზურ კილოზე შეხმატკბილებული მშვენიერი „აყიშ“ (სიმღერა). ცოტა კიდევ და დინჯად მიემართება მრავალრიცხოვანი კავალკადა. ეს „მარულა“ მიდის ქ. ზუგდიდში. ჯერ მოივლიან სოფელს, ვითომ და ფიცი უნდა დასდონ ყოველ კუთხის წინაშე, რომ არ შეარცხვენენ და გამარჯვების გვირგვინით სოფელს შეამკობენ ... სოფელიც მათ „ვაშას“ ძახილით და გამარჯვების სურვილით ისტუმრებს...

12 საათია და სოფლის ცენტრი უკვე აღელვებულ ზღვას წარმოადგენს: აქეთ ძველებური მხრის ცეკვაობაა, სადაც მრავალი ათეული ქალი და კაცი ერთმანეთთან მკლავებით ჩაჭიდებული ჯარასავით მოუსვენრად ტრიალებენ მშვენიერი სიმღერით... აგერ მეშაირენი ერთმანეთს მისჩერებიან - ცოტა იქით სხვა და სხვა ჯგუფები მოცეკვავე მომღერალთა... აგერ ახალგაზრდა ყმაწვილი ქალი ლეკურს უვლის... და ყველაფერი ეს გრძელდება თითქოს საღამოს 5 საათამდის. როდესაც ქ. ზუგდიდიდან შიკრიკი ცხენით მოვარდა, უცბად წყდება ყველაფერი და მოზღვავებული ხალხი შიკრიკისაკენ მიეშურება. მოისმის ურას გრიალი, ვაშას ძახილი, სროლა: სოფლის მარულავები ორივენი გამარჯვებულან, პირველი და მეორე ჯილდო წამოუღიათ. ხალხი ახლა უფრო აღფრთოვანებით აგრძელებს შეჩერებულ „ქეიფს“. ამ დროს მოისმის ზუგდიდის გზაზე დაუსრულებელი სროლა და სიმღერა... გვიბრუნდება გამარჯვებული კავალკადა. ცოტა ხანი, და მოედანზე შემოიჭრებიან 60 ცხენოსანი. მათ წინ მოუძღვით მარულავების პატრონი – ქუთელია და გელენავა. ხალხი მათ ეგებება ვაშას ძახილით და მილოცვით. შემდეგ ხალხი აქეთ-იქით ირაზმება. ცხენოსნები იჭერენ ფართე მოედანს, რომ ერთხელ კიდევ გადაიხადონ სოფლის ვალი. იმართება ჯირითი, შეჯიბრება, გაჭენება რაიც გრძელდება თითქმის დაღამებამდის. დაშლისას ინტელიგენტთა წრემ მადლობა გამოუცხადა ხალხს და აღნიშნა, რომ ამიერიდან 26 მაისობა ს. კოკისათვის იქნეს ისეთი დღეობა, როგორც გიორგობაა და სხვა. საზოგადოების მხრივ ილაპარაკეს ორატორებმა, რომელნიც იზიარებენ წრის აზრს, სთხოვენ ამავე წრეს მთელ კოკის საზოგადოების სახელით მიესალმონ საქართველოს ეროვნულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს და მიულოცონ მათ ეს დიდი ისტორიული დღე“.[2]

1919 წლის 28 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებდა იმ უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე სოფლის მცხოვრებთათვის, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს სასოფლო-სამეურნეო შრომა შეადგენდა; საძოვრები სასოფლო საზოგადოებას ან სოფელს გადაეცემოდა საკუთრებაში.[3] ყოფილი სანადელო, სახაზინო და სხვა მიწები კერძო საკუთრებად გამოცხად-

---

[1] გაზ. ,,სახალხო საქმე“, №544, 1919 წ. 7 ივნისი.

[2] გაზ. ,,სახალხო საქმე“, 1919 წ. 11 ივნისი.

[3] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ. 217-218.

და. ის სანადელო მიწები, რომელთა კერძო საკუთრებაში დამტკიცება ვერ მოასწრეს ყოფილმა დროებითვალდებულმა და სახელმწიფო გლეხებმა 1912 წლის 20 დეკემბრის კანონით, მათ საკუთრებად გამოცხადდა. აგრარული რეფორმის გატარების პროცესში მიწათმფლობელებს ჩამოერთვათ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი და გლეხებს გადაეცათ. ჩამორთმეული მიწების ნაწილი, ასევე ტყეები და საძოვრები, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა; აგრარული რეფორმის გატარება ადგილებზე ერობებს დაევალათ.[1] მალე, მეურნეობის რიგ დარგებში, მათ შორის მეაბრეშუმეობაში, დაიწყო აღმავლობა, რაც ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების საფუძველს ქმნიდა.[2]

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შენარჩუნებული იყო მეფის რუსეთის დროინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ქვეყანა დაყოფილი იყო შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად: თბილისის გუბერნია ცხრა მაზრით და ქუთაისის გუბერნია შვიდი მაზრით; სოხუმის ოლქი და ზაქათალის ოლქი, მოგვიანებით, ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოიყო ბათუმის ოლქი. ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრები და ქ. ფოთი. გუბერნიაში უმაღლესი ადმინისტრაციული მოხელე იყო გუბერნიის კომისარი, მაზრაში — მაზრის კომისარი. ყველა სასოფლო თემში ხუთკაციანი მილიცია შეიქმნა. ადგილობრივი მმართველობის რეფორმიდან გამომდინარე, 1919 წლის 30 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა გაუქმდა. იმავდროულად, შენარჩუნდა მაზრებად დაყოფის ძველი სისტემა.[3]

სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის საქმეში ერთ-ერთი უპირატესი მნიშვნელობა ადგილობრივი მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას ენიჭებოდა. ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში საქალაქო არჩევნები ჩატარდა. თებერვლის რევოლუციიდან მალევე ჩატარდა საქალაქო არჩევნები სენაკში და ჩამოყალიბდა საქალაქო საბჭო, რომელმაც ქალაქის თავად პ. ლორთქიფანიძე აირჩია; ფოთში საქალაქო არჩევნები აგვისტოში ჩატარდა. ქალაქის საბჭომ თავმჯდომარედ გიორგი ჩიტაია, ხოლო ქალაქის თავად დავით ონიაშვილი აირჩია; ზუგდიდში საქალაქო არჩევნები ოქტომბერში გაიმართა. ქალაქის საბჭომ თავმჯდომარედ გიორგი ჭედია, ხოლო ქალაქის თავად იოსებ დადიანი აირჩია.[4]

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის ზაფხულში, საქალაქო, სამაზრო და სათემო თვითმმართველობების ჩამოყალიბება დაიწყო.[5] საქართველოში თითქმის ყველაზე ადრე, საერობო თვითმმართველობის დაწესებულებანი ჩამოყალიბდა სენაკის მაზრაში, სადაც საერობო არჩევნები 4 აგვისტოს გაიმართა. სენაკის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იოსებ სალაყაია. მოგვიანებით, 1919 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად მისი არჩევის შემდეგ, სენაკის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარედ ისიდორე მალანია აირჩიეს.[6] ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნები 1918 წლის დეკემბერში გაიმართა, თუმცა სამაზრო ერობა 1919 წლის დეკემბერში პოლიტიკური კრიზისის გამო დაიშალა. 1920 წლის 25 იანვარს სამაზრო ერობის ახალი არჩევნები გაიმართა. ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლეო შენგელაია, შემდეგში ცნობილი მწერალი ლეო ქიაჩელი.[7]

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. გვ. 222-223.

[2] **ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე,** საქართველოს ისტორია, გვ. 203.

[3] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1919 წ. 1 მარტი.

[4] ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921, გვ. 82, 86, 89.

[5] ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921, გვ. 219.

[6] ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. *ავტორ-შემდგენლები: ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე,* თბ., 2019, გვ. 66-69.

[7] ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გვ. 142-144.

ამდენად, საერობო კრებებმა აირჩიეს გამგეობები — საერობო თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები. გამგეობები მრავალპარტიული იყო.[1] მაზრის ერობათა კრებების ფუნქციებში შედიოდა სათემო ერობების ჩამოყალიბება, თემის ტერიტორიის, საზღვრების, სათემო კრების ხმოსანთა რიცხვის, გამგეობის წევრთა რაოდენობისა და მათი ჯამაგირის განსაზღვრა. ერობა ირჩევდა გამგეობის თავმჯდომარეს, წევრებს. სათემო ერობის გამგეობას ევალებოდა ფუნქციონირების დაწყებისთანავე, გასაუქმებელი სასოფლო საზოგადოების მმართველობისაგან გადაებარებინა ყველა საქმე, უძრავი ქონება, კაპიტალი და შემოსავლის სხვა წყაროები.[2]

პარლამენტის მიერ 1919 წლის 28 იანვარს მიღებული კანონით, სამაზრო ადმინისტრაცია და მილიცია ერობათა განკარგულებაში გადავიდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯის 75%-ის გამოყოფით. სამაზრო კომისარი და მილიციის უფროსი სამაზრო ერობის გამგეობას უნდა აერჩია. სენაკის მაზრის ერობამ ყველაზე ადრე გააუქმა მთავრობისგან ადრე დანიშნული კომისრის თანამდებობა და მისი ფუნქციები ერობის გამგეობის თავმჯდომარესა და მილიციის უფროსს შორის გადაანაწილა. მაზრა გაიყო 5 სასამართლო უბნად, ჩატარდა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა არჩევნები.[3]

ადგილობრივი მმართველობის პირველი დონის — სამაზრო ერობების ჩამოყალიბების შემდეგ, 1919 წლიდან ადგილობრივი მმართველობის ქვედა დონის — სათემო (სასოფლო) თვითმმართველობების შემოღება დაიწყო. მანამდე სოფელს სათემო საზოგადოება განაგებდა, რომელსაც სათავეში მამასახლისი ედგა. 1919 წლის მარტში ჩატარებული ერობების არჩევნების შემდეგ სასოფლო საზოგადოებების ნაცვლად თემები ჩამოყალიბდა. თემს ერობა და მისი თავმჯდომარე მართავდა. ერობას უფლება ჰქონდა ადგილობრივი საკითხები დამოუკიდებლად გადაეჭრა. ახალი თემების შექმნის უფლებამოსილება გააჩნდა არა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, არამედ სამაზრო ერობას. თემები იქმნებოდა მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, საერთო ეკონომიკით მჭიდროდ დაკავშირებულ საზღვრებში, ადგილობრივი, სხვა ტერიტორიებისაგან განსხვავებული პირობების გათვალისწინებით. თემი არ უნდა ყოფილიყო იმდენად დიდი, რომ მოსახლეობას არ შეძლებოდა ხელისუფლებასთან ყოველდღიური ურთიერთობა, და იმდენად მცირე, რომ ადგილობრივი საჭიროებისათვის ფინანსები ვერ შეგროვებულიყო გადასახადების მეტისმეტად გაზრდის გარეშე.[4] ზუგდიდის მაზრაში ჩამოყალიბდა 45, ხოლო სენაკის მაზრაში — 33 თემის ერობა. თემი რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა. 1919 წლის სექტემბერში შეიქმნა ერობათა რესპუბლიკური კავშირი, სამაზრო და სათემო ერობების მაკოორდინირებელი ორგანო.[5]

ზუგდიდი, სენაკი, ფოთი და ყულევი თვითმმართველ ქალაქებად ჩამოყალიბდა. 1919 წელს გაიმართა ქალაქების ახალსენაკის, ზუგდიდის, ფოთის, ყულევის, საბჭოს არჩევნები და ქალაქების თვითმმართველობები ჩამოყალიბდა. საქალაქო არჩევნები ფოთში 1919 წლის თებერვალში გაიმართა. ქალაქის საბჭომ თავმჯდომარედ ლავროსი კიღურაძე აირჩია, ქალაქის თავად — ალექსანდრე კორძაია, გამგეობის წევრებად — გიორგი ჩიტაია, ამბროსი ინწკირველი, პეტრე ქუთათელაძე; ზუგდიდში არჩევნები მარტში გაიმართა, სენაკში — იანვარ-ივნისში, ყულევში — ივნისში. ყულევში ქალაქის თავად მიხეილ საბახტარაშვილი აირჩიეს.[6]

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1919 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა შეიქმნა. 1919 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თვითმმართველობის საყოველთაო არჩევნები ჩატარდა. მაზრებში ჩამოყალიბდა მრავალ-

---

[1] **ა. ბენდიანიშვილი**, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 189.

[2] **ა. ბენდიანიშვილი**, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 190.

[3] **ა. ბენდიანიშვილი**, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 213.

[4] **დ. ლოსაბერიძე**, ხალხთან ახლოს, მეტი შემოსავლებით, მეტი უფლებებით — თვითმმართველობის 100 წლის წინანდელი რეფორმის საუკეთესო ისტორია https://droa.ge/?p=26188

[5] **ა. ბენდიანიშვილი**, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001.

[6] ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921, გვ. 144-145, 148-149, 151-152.

პარტიული საერობო კრებები. საერობო კრების აღმასრულებელ ორგანოს გამგეობა წარმოადგენდა. ადგილობრივ მმართველობას ახორციელებდნენ სამაზრო და სათემო ერობები, რომლებიც 1918 წლის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა. მაზრის დონეზე წარმომადგენლობითი ორგანო იყო სამაზრო ერობა, აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა, კოლეგიალური ორგანო, რომელიც ერობის მიერ აირჩეოდა. თვითმმართველ ქალაქებში არსებობდა არჩეული ქალაქის საბჭოები; თემი წარმოადგენდა თვითმმართველობის პირველ დონეს. წარმომადგენლობითი ორგანო — თემის საბჭო, აღმასრულებელი — გამგეობა: თემის თავი და გამგეობის წევრები, თემში შემავალი თითო სოფლიდან თითო. ყველა თანამდებობა არჩევითი იყო. სამაზრო ერობა აირჩეოდა ორი წლის ვადით, პირდაპირი, პროპორციული სისტემით; თემის საბჭო ასევე აირჩეოდა ორი წლის ვადით, პირდაპირი, პროპორციული სისტემით. თემის გამგეობა ასევე პირდაპირი წესით აირჩეოდა. არჩევნები ქვეყანაში ტარდებოდა არა ერთდროულად, არამედ მაზრების მიხედვით, იმის გათვალისწინებით, თუ მაზრაში როდის შეიქმნა სათანადო პირობები.[1]

ნიშანდობლივია, რომ თვითმმართველობებში საზოგადოების თვალსაჩინო წევრები აირჩიეს: ზუგდიდის მაზრის ერობის თავმჯდომარედ — ლეო შენგელაია, შემდეგში ცნობილი მწერალი ლეო ქიაჩელი; ზუგდიდის სამაზრო ერობის წევრთა შორის იყვნენ იოსებ დადიანი, ვლადიმერ ვეკუა, იოსებ კვარაცხელია, ალექსანდრე ჩიქავა, დიომიდე თოფურიძე, სოფრომ შენგელია; სენაკის სამაზრო ერობის წევრთა შორის იყვნენ პეტრე ქავთარაძე, ბარნაბა ძველაია, ბიქტორ თევზაია; ქალაქ ზუგდიდის საბჭოში შევიდნენ იონა მეუნარგია, ტროფიმე ჯოხთაბერიძე და სხვ. ქალაქ ფოთის მოურავის მოადგილედ აირჩიეს ფოთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი გიორგი ჩიტაია, შემდეგში ცნობილი მეცნიერი, ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი.[2]

1919 წლის 28 იანვარს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფო ფონდიდან გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვის შესახებ. 1920 წლის 10 თებერვლის დეკრეტით მიწის ყიდვა-გაყიდვის თავისუფლება დაწესდა. გლეხობის დიდმა ნაწილმა, ვისაც კი ოდნავ საშუალება ჰქონდა, მიწის ნაკვეთები შეიძინა. თავადაზნაურობამ, ეკლესიამ და ვაჭარ-მრეწველთა ფენამ დათმო მიწების დიდი ნაწილი, რომელიც სახელმწიფო მიწების ფონდში გადავიდა. ეს მიწები ერობების ხელში გადადიოდა და ისინიც გლეხებს დადგენილი ნორმების მიხედვით ურიგებდნენ. აგრარული რეფორმის გატარების შედეგად სენაკის მაზრის ერობა თავის საკუთრებაში ელოდა გარკვეული რაოდენობის ადგილ-მამულს და ვარაუდობდა მუნიციპალური მეურნეობის შექმნა-განვითარებას.[3]

1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს, დამფუძნებელი კრების, არჩევნები ჩატარდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები გახდნენ წარმოშობით ზუგდიდისა და სენაკის მაზრების მკვიდრნი: გიორგი გვაზავა (სოფ. სუჯუნა), სამსონ დადიანი (სოფ. მუხური), დიომიდე თოფურიძე (სოფ. ხობი), სპირიდონ კედია (დ.ზუგდიდი), იოსებ კვარაცხელია (სოფ. წალენჯიხა), იოსებ სალაყაია (სოფ. თეკლათი), ლეო შენგელაია (სოფ. ობუჯი), ალექსანდრე ჩიქავა (სოფ. შამგონა), ბარნაბა ძველაია (სოფ. ნოსირი).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული ენა, სახელმწიფოს გამოეყო ეკლესია, ყოველგვარი წოდებრივი პრივილეგია გაუქმდა, რაც დაადასტურა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ.[4]

სენაკისა და ზუგდიდის მაზრების შემადგენლობა ისეთივე იყო, როგორც ცარიზმის დროს, მაგრამ იქმნებოდა ახალი თემები. 1920 წელს ზუგდიდის მაზრის ჯგალის თემს 400 კომლიანი სოფე-

---

[1] **დ. ლოსაბერიძე**, ხალხთან ახლოს, მეტი შემოსავლებით, მეტი უფლებებით — თვითმმართველობის 100 წლის წინანდელი რეფორმის საუკეთესო ისტორია https://droa.ge/?p=26188

[2] ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გვ. 293.

[3] **ა. ბენდიანიშვილი**, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 213.

[4] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, წიგნ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. მუხლი 3, მუხლი 17, მუხლი 142, გვ. 460.

ლი საჩინო გამოეყო.[1] იმავე წელს სენაკის მაზრის სოფელ ქვედა ხუნწში დაარსდა თემი, რომლის თავმჯდომარე ალექსანდრე მონიავა გახდა. თემის შექმნამ მოსახლეობაში დიდი იმედები გააჩინა — „აწი რა გვიშავს, თემს ველირსეთ და ჩვენს თავს თვითონ მივხედავთო“. თუმცა თემის ხელმძღვანელობა საკმაოდ სუსტი იყო. წინათ სოფელში იყო სკოლა, კოოპერატივი, გზებიც შეკეთებული იყო, მაგრამ თემის შექმნის შემდეგ, ძველი სკოლის შენობა გაიყიდა, სკოლის ახალი შენობის მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ ვერ დაასრულეს, კოოპერატივი დაიკეტა, გზები და ბოგირები გაფუჭდა, შეკეთება კი ვერ ხერხდებოდა; თემში არ იყო სამკითხველო. როგორც გაზეთის კორესპონდენტი აღნიშავდა, ხუნწი კულტურის თვალსაზრისით ჩამორჩენილი სოფელი იყო.[2] იმავე წელს ჭოღის თემს გამოეყო სოფელი ხაბუმე და შეიქმნა ხაბუმეს თემი, რომლის კომისრად ფილუ შენგელია დაინიშნა. სოფლის მოსახლეობას, ძირითადად, ჭოღიდან გადმოსახლებული შენგელიები შეადგენდნენ.[3] ჭოღის თემში დარჩა სოფლები პირველი ჭოღა და მეორე ჭოღა.

სენაკისა და ზუგდიდის ერობებმა რკინიგზის მშენებლობის პროექტი წამოიწყეს და წარმატებით განახორციელეს. სენაკისა და ოზურგეთის სამაზრო ერობებმა ერთობლივად განახორციელეს მდინარე რიონის ნაპირსამაგრი სამუშაოები.[4] 1920 წელს მოწყობილ იქნა რესპუბლიკური მნიშვნელობის გზა ახალსენაკი-ზუგდიდი-ოჩემჩირე-სოხუმი.[5] მთავრობა აპირებდა მდ. რიონსა და მდ. ხობისწყალს შორის, შავი ზღვის სანაპიროზე, ჭაობების დაშრობას, რაც გაზრდიდა მიწის ფონდს და ამ ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნებოდა სიმინდის მოყვანა.[6] 1919-1920 წწ. სენაკისა და ზუგდიდის მაზრების მთელ რიგ სოფლებში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებები გაიხსნა.[7] ზუგდიდის ერობის თავმჯდომარის, ლეო შენგელაიას დახმარებით, წალენჯიხიდან ჯგალში სატელეფონო ხაზი გაიყვანეს და საფოსტო განყოფილება გაიხსნა.[8] 1918-1920 წწ. მაზრებში მომხმარებელთა საზოგადოებები შეიქმნა. 1920 წელს ჩხოროწყუს რაიონში შეიქმნა მომხმარებელთა საზოგადოება, რომელიც 181 წევრ-მეპაიეს აერთიანებდა.[9]

1918-1921 წლებში სოფლები მრავალი საჭიროების წინაშე იდგა: გზები შესაკეთებელი იყო, სოფლებში არ იყო კავშირგაბმულობის განყოფილებები, საავადმყოფოები. ზუგდიდის სამაზრო ერობამ ადგილობრივ დონეზე შექმნა ტუბერკულოზის სამკურნალო მცირე სანატორიუმები. სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობებმა ადგილობრივ დონეზე შექმნეს ამბულატორიათა ქსელი, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ პერიოდში ესპანური გრიპის წინააღმდეგ ბრძოლაში.[10] სოფლებში ხშირი იყო ქურდობისა და ყაჩაღობის შემთხვევები. ზუგდიდის მაზრაში 1919 წლის ივლისში მოკლეს ცნობილი ყაჩაღები ბაძაღუა და სასანია; გაქცევის მცდელობისას მოკლეს ყაჩაღები იესე პერტაია და კალენიკე ჭანკვეტაძე.[11] მიუხედავად სიძნელეებისა, მილიცია ახერხებდა წესრიგის დამყარებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი სასიკეთოდ აისახა განათლების სფეროზე. პირველდაწყებითი განათლება საყოველთაო, სავალდებულო და უფასო გახდა. გათვალისწინებული იყო უღარიბესი ბავშვებისთვის ტანსაცმლისა და სასწავლო ნივთების უფასოდ გადაცემა. ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება სკოლის გაეროვნულება იყო. სწავლება

---

[1] რევოლუციური ლამაზი სიცოცხლე, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №142, 1971 წ. 4 დეკემბერი.

[2] **ხუნწელი მუშა,** ს. ხუნწი, გაზ. ,,ახალი კომუნისტი“, №8, 1920 წ. 4 აგვისტო.

[3] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 239.

[4] **დ. ლოსაბერიძე**, ხალხთან ახლოს, მეტი შემოსავლებით, მეტი უფლებებით — თვითმმართველობის 100 წლის წინანდელი რეფორმის საუკეთესო ისტორია https://droa.ge/?p=26188

[5] გაზ. ,,სახალხო საქმე“, №874, 1920 წ. 14 ივლისი.

[6] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №203, 1919 წ. 11 სექტემბერი.

[7] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №105, 1919 წ. 11 მაისი; გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №110, 1919 წ. 17 მაისი; გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №184, 1920 წ. 17 აგვისტო.

[8] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №90, 1989 წ. 5 აგვისტო.

[9] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 83.

[10] **დ. ლოსაბერიძე**, ხალხთან ახლოს, მეტი შემოსავლებით, მეტი უფლებებით — თვითმმართველობის 100 წლის წინანდელი რეფორმის საუკეთესო ისტორია https://droa.ge/?p=26188

[11] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №167, 1919 წ. 24 ივლისი; გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №11, 1920 წ. 15 იანვარი.

ქართულ ენაზე გადავიდა.[1] რუსიფიკაციის პოლიტიკას, რასაც ცარიზმი ნერგავდა, ბოლო მოეღო, მაგრამ ეროვნული სკოლის მშენებლობის გზაზე მრავალი დაბრკოლება არსებობდა: მშობლიურ ენაზე არ იყო სახელმძღვანელოები, მცირე იყო მასწავლებელთა კადრები, მაგრამ განათლების უწყება ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ენერგიულ ზომებს მიმართავდა. განათლების საქმეში დაბრკოლების კომპენსაციას წარმოადგენდა მასწავლებელთა უჩვეულო ენთუზიაზმი. ისინი მძიმე მატერიალური პირობების მიუხედავად მოზარდების აღზრდას დიდი პასუხისმგებლობით და მონდომებით ეკიდებოდნენ.[2]

სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობებმა განათლების რეფორმის გატარებაში უდიდესი როლი შეასრულეს. 1918-1920 წწ. ზუგდიდის მაზრის განათლების განყოფილების გამგე ვლადიმერ ვეკუა იყო. მას ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და წლების განმავლობაში პედაგოგად მუშაობდა, ამასთანავე კარგი ორგანიზატორიც იყო.[3]

1919 წელს მასწავლებლებს ხელფასები გაეზარდათ.[4] მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა აგრონომიულ და ტექნიკურ განათლებას. 1920 წელს სოფ. ხორშში, მემამულისთვის ჩამორთმეულ მიწის ნაკვეთზე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სკოლის მშენებლობა, რომელსაც ალექსანდრე კანკავა ხელმძღვანელობდა, თუმცა მისი დასრულება გაჭიანურდა.[5] ყურადღება ექცეოდა სახელოვნებო განათლებას. ქართული ხალხური სიმღერის მოყვარულთა საზოგადოებამ სიმღერისა და გალობის უფასო სკოლა გახსნა ფოთში, სადაც მასწავლებლებად ამ საქმის კარგი სპეციალისტები მიიწვია.[6] თვითმმართველობები ზრუნავდნენ სასოფლო ბიბლიოთეკების შექმნაზე.[7] სოფლებში ძირითადად დაწყებითი სკოლები იყო. სოფელ ხაბუმეში 1919 წელს გაიხსნა სამრევლო სკოლა, რომელსაც მალე უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი ეწოდა; სოფელ ჭოღის სკოლაც 1919 წელს უმაღლეს-დაწყებით სასწავლებლად გადაკეთდა.[8] 1919 წელს კოკში, სკოლის შენობაში გახსნა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი. სასწავლებელი კერძო იყო და ხელფასს მთავრობა არ იძლეოდა, ამიტომ პირველ წელიწადს კალისტრატე ცხაკაიამ და ლავრენტი საჯაიამ უხელფასოდ იმუშავეს. სკოლა მოსახლეობის მატერიალური მხარდაჭერით არსებობდა, ადგილობრივი მასწავლებლებიც, ლავრენტი ჩიქავა და ამბაკო ცხაკაია, ყოველნაირად მხარში ედგნენ. ასე იარსება სკოლამ 1919-1920 წლებში.[9] დაწყებითი სკოლები იყო ხორშში, ჯგალში. ჯგალის ორკლასიანი სკოლის გამგე პეტრე ნიკოს ძე ქვარცხავა იყო.[10] სოფლებში მოეწყო ბავშვთა სახლები, ამბულატორიები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება რეალურად ზრუნავდა „თავის მოქალაქეთა ღირსეული არსებობისთვის“, რაც კონსტიტუციაში იყო დაფიქსირებული.[11]

მიუხედავად ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის სიძნელეებისა, ხელისუფლება ზრუნავდა ახალგაზრდებს განათლება საზღვარგარეთ მიეღოთ. 1919 წელს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 74 სტუდენტი სტიპენდიით საზღვარგარეთ განათლების მისაღებად გააგზავნეს. მათ შორის იყო ზუგდიდის მაზრის სოფელ ახუთის მკვიდრი ლიდია პაპასკირი, რომელმაც გერმანიაში ბრწყინვალე განათლება მიიღო, 1925 წელს იქვე დაიცვა დისერტაცია და ეკონომიკის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. ის იყო პირველი ქალი

---

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მოხლი 110, მუხლი 111, გვ. 476.

[2] **ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე,** საქართველოს ისტორია, გვ. 233-234.

[3] **პ. ხმალაძე**, ვლადიმერ ვეკუა, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №60, 1981 წ. 19 მაისი.

[4] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №272, 1919 წ. 5 დეკემბერი.

[5] **ა. ეჯიბია**, სოფლის მოამაგე, გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი“, №96, 1962 წ. 14 ოქტომბერი.

[6] გაზ. ,,სახალხო საქმე“, №883, 1920 წ. 24 ივლისი.

[7] **დ. ლოსაბერიძე**, ხალხთან ახლოს, მეტი შემოსავლებით, მეტი უფლებებით — თვითმმართველობის 100 წლის წინანდელი რეფორმის საუკეთესო ისტორია https://droa.ge/?p=26188

[8] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 234, 242.

[9] კალისტრატე ნესტორის ძე ცხაკაია, ავტობიოგრაფია. ხელნაწერი (ინახება ექსპედიციის არქივში).

[10] გაზ. „კოლხეთი“, №9, 1968 წ. 20 იანვარი; გაზ. „კომუნიზმის დროშით“, №90, 1989 წ. 5 აგვისტო.

[11] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 113, გვ. 477.

ეკონომიკის დოქტორი საქართველოში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა, შემდეგ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა.[1]

ამდენად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის, განათლების, აგრარული რეფორმები. აგრარულმა რეფორმამ მოსპო ბატონყმობის ყველა ნაშთი, გაუქმდა მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობა. ჩამორთმეული მიწების დიდი ნაწილი ღარიბ გლეხებს გადაეცა. გლეხებს საკუთრებაში გადაეცათ როგორც ადრინდელი სანადელო მიწები, ისე ახლად მიზომილი ნაკვეთები და ამით თავისუფალი გლეხური, ფერმერული მეურნეობის განვითარების რეალური შესაძლებლობა შეიქმნა.[2] ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობაში იყო ხარვეზებიც, მათ შორის უმთავრესი იყო კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რაც ამგვარი საქმიანობის გამოცდილების უქონლობიდან გამომდინარეობდა; პრობლემებს ქმნიდა ფინანსების სიმცირე და კორუფცია.

ამრიგად, მიუხედავად რთული ვითარებისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ნელ-ნელა თავს ართმევდა სიძნელეებს.

---

[1] ლიდია პაპასკირი, გაზ. ,,ნაპერწკალი", 1991 წ. 11 სექტემბერი.

[2] **ა. ბენდიანიშვილი და სხვ**., გლეხობა, *ენციკლოპედია* საქართველო, ტ. 2, თბ., 2012, გვ. 43.

თავი V.

სამეგრელოს სოფელი 1921-1991 წლებში

საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. რუსეთის წითელი არმიის ნაწილებმა 9 მარტს დაიკავეს ზუგდიდი, 11 მარტს — ახალსენაკი, ხოლო 13 მარტს — ფოთი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების დროებითი უმაღლესი ორგანო რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) გახდა. საქართველოს რევკომმა მმართველობის ასეთივე ორგანოები ადგილებზეც შექმნა, 8 მარტს გამოაცხადა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სამაზრო რევკომების, შექმნის შესახებ. ამრიგად, შენარჩუნდა ადმინისტრაციული დაყოფის ძველი, სამაზრო ერთეული და სამაზრო რევკომების სისტემა დაწესდა.[1] სამეგრელოში შეიქმნა ახალსენაკისა და ზუგდიდის მაზრების ბოლშევიკების სამაზრო კომიტეტები და რევკომები. 21 აპრილის დეკრეტით საქართველოს რევკომმა თავის თავს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ფუნქცია მიანიჭა: „რევოლუციონური კომიტეტი არის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის ორგანო“.[2]

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მემკვიდრეობით მიიღო ადმინისტრაციული დაყოფის ორსაფეხურიანი სისტემა: თემი — მაზრა.[3] საქართველოს რევკომმა 1921 წლის 15 აპრილს გამოსცა დროებითი დებულება მაზრის, ქალაქისა და თემის რევოლუციური კომიტეტის ორგანიზების შესახებ.[4]

1921 წლის დეკემბერი — 1922 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოების არჩევის შემდეგ, 1922 წლის 25 თებერვალს საბჭოების I ყრილობა გაიხსნა. 2 მარტს საბჭოების I ყრილობამ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია დაამტკიცა. კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობას ეკუთვნოდა. ყრილობიდან ყრილობამდე პერიოდში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი), რომელიც ანგარიშვალდებული იყო საქართველოს საბჭოების ყრილობის წინაშე.[5]

ამრიგად, 1922 წლის თებერვალში რევკომების ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანი სისტემა ცენტრში და ადგილებზე — მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

სამეგრელოს მხარეში არსებობდა სენაკისა და ზუგდიდის მაზრები, ქ. ფოთი. 1921 წელს დაბა ახალმა სენაკმა ქალაქის სტატუსი მიიღო.[6] სასოფლო საზოგადოების ნაცვლად უწვრილეს ადმინისტრაციულ ერთეულს თემი წარმოადგენდა.[7] 1921 წლის დასაწყისში სენაკის მაზრაში შედიოდა ხუნწის თემი, ზუგდიდის მაზრაში — კოკის, ჭოღის, ხორშის, ჯგალის თემები.

---

[1] Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской Власти (Март 1921г. – Январь 1922 г.). Сборник документов и материалов. *Состовитель И. Ахалая,* Сухуми, 1963; **ვ. ეზუგბაია,** საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 წწ.), თბ., 1973, გვ. 27.

[2] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბ., 1983, გვ. 48.

[3] საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ახალი დარაიონება, წიგნ.: საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, ს.ს ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამოცემა. ქ. ტფილისი, 1930, გვ. I.

[4] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 36-44.

[5] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 75.

[6] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 10.

[7] **ა. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 58.

სოფლებში დაიწყო ახალი ცხოვრების მშენებლობა. მოსახლეობა შეუდგა სასოფლო გზებისა და ხიდების მშენებლობა-შეკეთებას. გაიხსნა სკოლები, კლუბები, აფთიაქები, საექიმო პუნქტები. ჩატარდა მიწის რეფორმა, რელიგიასთან ბრძოლისა და ხვნა-თესვის კამპანიები. ეკლესიები გადაკეთდა სკოლებად, სახალხო სახლებად და სამკითხველოებად; აპრილიდან დაიწყო მემამულეებისთვის მიწების ჩამორთმევა და მცირემიწიანი გლეხებისთვის გადაცემა; მემამულეებს ჩამოართვეს სახლებიც, რომლებიც საზოგადო საჭიროებისთვის გამოიყენეს.[1] ახალი ხელისუფლება ებრძოდა მანკიერებებს, განსაკუთრებით გახშირებულ ქურდობის შემთხვევებს; ცდილობდა სოფლებში კულტურული ღონისძიებები მოეწყო. მიუხედავად გაკეთებულისა, ბევრი საჭიროებაც იყო.

კოკის თემი ზუგდიდის სასოფლო საბჭოში შედიოდა. კოკში რევოლუციური კომიტეტი ჩამოყალიბდა, ხოლო საბჭოების არჩევნების შემდეგ იგი ჯერ სათემო, ხოლო შემდეგ სასოფლო საბჭოს აღმასკომით შეიცვალა. კოკის თემის ყველაზე დიდი სოფელი როგორც ტერიტორიით, ასევე მცხოვრებთა რაოდენობით, სოფელი პატარა კოკი იყო. იმხანად კოკის თემის საჭიროებებზე გაზ. „კომუნისტში“ ნათქვამია: ს. პატარა-კოკი (ზუგდიდის მაზრა). ს. პატარა-კოკი კოკის თემის ყველაზე მოზრდილი სოფელია, როგორც სივრცით, აგრეთვე მცხოვრებთა რაოდენობით. აქ ითვლება დაახლოებით 180 კომლი. დასავლეთის მხრით მას ჩამოუდის მდინარე ინგური. მდებარეობის მხრივ ის წარმოადგენს ვაკეს, დაბლობს. კულტურულად ის თემის სხვა სოფლებს არ ჩამოუვარდება. ამ სოფელში არსებობს 4 წლიანი შრომის სკოლა. სოფელი მოკლებულია წიგნთსაცავ სამკითხველოს. აუცილებელია სამკითხველოს და სახალხო სახლის დაარსება. ადგილობრივ გლეხკაცობას კარგად ესმის ჟურნალ-გაზეთების და სახალხო სახლის მნიშვნელობა. აქ სხვა მრავალ საჭირბოროტო საზრუნავ საქმეთა შორის (როგორიც არის გზების გაყვანა, შეკეთება-გაფართოება, ხიდების აშენება), წარმოადგენს მდინარე ინგურის საშიშროებასთან ბრძოლა. მდინარე ინგური, რომელიც ამ სოფელს ჩამოუდის, დიდ ზარალს აყენებს ყოველწლიურათ. ამ მდინარის ტოტი, რომელიც აღმოსავლეთით ჩამოუვლის, ზაფხულობით ვერ იტევდა კალაპოტში. ამის საწინააღმდეგო მუშაობა მიმდინარეობს და გლეხკაცობაც ძალიან დაინტერესებულია. მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ მახლობელი სოფლებიც. ადგილობრივი ხელისუფლება დახმარებას უწევს.[2]

ჭოღის თემი ჩხოროწყუს სასოფლო საბჭოში შედიოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ჭოღის მკვიდრნი ბაგრატ შენგელია (1896-1981), ალექსი ქარჩავა (1883-1964), გიორგი წახნაგია და სხვ. 1921 წლის მარტში ჭოღაში რევოლუციური კომიტეტი ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში ბაგრატ შენგელია ჩაუდგა.[3] საბჭოების არჩევნების შემდეგ რევკომი ჯერ სათემო, ხოლო შემდეგ სასოფლო საბჭოს აღმასკომით შეიცვალა. 15 წლის განმავლობაში ჭოღის სათემო და სასოფლო საბჭოს აღმასკომს სათავეში ალექსი შენგელია ედგა.[4]

ჯგალის თემი წალენჯიხის სასოფლო საბჭოში შედიოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აქტიურად იბრძოდნენ ჯგალელები ანდრო სალია, ვლადიმერ, გერასიმე, ერმინე, გიორგი, ელიზბარ, ანდრო, იულონ, იასონ, მიხეილ, აკი კვარაცხელიები, კონსტანტინე მიქავა, იონა ძვაბავა, გიორგი ჭანტურია და სხვები.[5] *ჯგალის თემის* მოსახლეობა უმთავრესად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდა. ძირითადი სასურსათო კულტურა იყო სიმინდი; ფართოდ იყო გავრცელებული მაღლარი ჯიშის ვენახი – იზაბელა და ოჯალეში. მთის სიახლოვე, ტყეებისა და საძოვრების სიუხვე ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებას. თემის მოსახლეობას ჰყავდა ცხვარი, თხა, ღორი; გავრცელებული იყო კვარაცხელიას განთქმული მეგრული ჯიშის წითელი ძროხები. კვარაცხელიას ჯიშის მეგრული ძროხა გამოიყვანა სოფელ ჯგალის

---

[1] **გ. საითიძე**, სამსონ მამულია. ბიოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1969, გვ. 49-50.

[2] **ინგურელი**, ს. პატარა-კოკი (ზუგდიდის მაზრა), გაზ. ,,კომუნისტი, 1925 წ. 17 აპრილი.

[3] ბ. ი. შენგელია. ნეკროლოგი, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №5, 1981 წ. 10 იანვარი.

[4] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 231.

[5] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 11.

მკვიდრმა მეჯოგემ ძიკი კვარაცხელიამ, რომელიც თავის მრავალრიცხოვან მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს გურიისა და იმერეთის მთების საძოვრებზე დაატარებდა.[1]

ხორშის თემი ზუგდიდის მაზრაში შედიოდა. 1921 წლის გაზაფხულზე თემი ზუგდიდის მაზრიდან გამოყვეს ტერიტორიული სიშორის გამო და სენაკის მაზრას შეუერთეს.[2] სოფელში გახსნეს საავადმყოფო და სამეურნეო სკოლა, შეუდგნენ გზების შეკეთებას.[3] იმხანად გაზ. „კომუნისტში" თადეოზ ტაბაღუა ხორშის თემის შესახებ წერდა: „ბევრი ხანია მას შემდეგ, რაც ხორშის თემის მშრომელნი მიესწრაფებოდნენ ცხოვრების გაუმჯობესებას, უნდოდათ დაარსებულიყო საავადმყოფო, სამეურნეო სკოლა და გზები შეკეთებულიყო, მაგრამ ნიკოლოზის მონარქულმა მთავრობამ და მერმეთ მენშევიკების ბატონობამ ვერ აღირსა ეს ბედნიერება ხორშის მშრომელ ხალხს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ მისცა ხალხს შვება და თავისუფლება. ეხლა საშუალება მიეცათ შესდგომოდნენ აღმშენებლობას და ცხოვრების გაუმჯობესებას. რადგან ზუგდიდი რამოდენიმე ათეული ვერსის მანძილზე იყო და დიდად ეძნელებოდათ ზუგდიდთან მიმოსვლა, სამი ოთხი მდინარეებიც ეღობებოდა, ამის გამო ზუგდიდის მაზრას გამოეყვნენ და შეუერთდნენ სენაკის მაზრას, გახსნეს საავადმყოფო და სამეურნეო სკოლა. შეუდგნენ გზების შეკეთებას. საერთოდ აქ საზოგადოებრივი მუშაობა გაჩაღებულია და ცხოვრება წინ მიემართება".[4]

ახალ ხელისუფლებასთან შეურიგებელი ბრძოლის შემთხვევებიც ხშირი იყო. სოფელ კოკში არის ადგილი, რომელსაც *ფუცორაშ გინაყვილა* ჰქვია. აქ მოუკლავთ პარტუჯრედის პირველი მდივანი ფაცურია კვარაცხელია.[5]

ხუნწის თემი სენაკის მაზრის მარტვილის სასოფლო საბჭოში შედიოდა. თემის რევკომის თავმჯდომარე რევოლუციური ბრძოლების აქტიური მონაწილე თეიმურაზ ხარებავა გახდა. დაიწყო ახალი ცხოვრების მშენებლობა. ამ პერიოდში თემში ხშირი იყო ქურდობის შემთხვევები. 1922 წლის 1 მაისს თემის რევკომის თავმჯდომარეს შეატყობინეს, რომ სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა თავის სასიმინდეში ყაჩაღებს თავშესაფარი მისცა. თ. ხარებავა თავისი მოადგილის ციცხვაიასა და სამი შეიარაღებული კაცის თანხლებით ადგილისკენ გაემართა. ერთი შეიარაღებული ყაჩაღი დააკავეს, ხოლო მეორემ სროლა ატეხა და გაიქცა, დატყვევებული ყაჩაღიც გაქცევას შეეცადა და ამ დროს მოკლეს. ადგილზე აღმოჩნდა ნაძარცვი ნივთები: ფართლეული, ოქროულობა, წაღები, ტანსაცმელი და სხვ. როგორც აღმოჩნდა, ყაჩაღები თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ხონის, ბანძის და სხვა სოფლების მცხოვრებლებს. რაც შეეხება გაქცეულ ყაჩაღს, ის სამი კვირის შემდეგ სოფ. ინჩხურში მოკლეს.[6]

ახალი ხელისუფლება ცდილობდა სოფლებში კულტურული ღონისძიებები მოეწყო. 1922 წლის 3 სექტემბერს სოფ. ხუნწში ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა უფასო წარმოდგენა გამართეს. საღამოს მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი სკოლის წინ. წარმოდგენა 9 საათზე დაიწყო. თავიდან მოხსენება გააკეთა ლ. ძიძიგურმა წითელი და ყვითელი ინტერნაციონალის შესახებ. შემდეგ მომღერალთა გუნდმა „ინტერნაციონალი" შეასრულა. ამის შემდეგ სცენის მოყვარეთა დასმა წარმოადგინა „კაკო ყაჩაღი" და „უმარილის ბრალია". ბოლოს კი შესრულდა სიმღერები და ცეკვები. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავდა, წარმოდგენა ღამის 3 საათზე დამთავრდა და ხალხი დიდად კმაყოფილი დაიშალა.[7] როგორც ჩანს, ხუნწის თემის მოსახლეობამ, იმ საღამოს, მცირე ხნით მაინც დაივიწყა დუხჭირი სინამდვილე.

---

[1] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით", №130, 1966 წ. 17 ნოემბერი.

[2] **თ. ტაბაღუა**, ხორშის თემი (ზუგდიდის მაზრა), გაზ. ,,კომუნისტი", 1921 წ. 12 ივლისი.

[3] **თ. ტაბაღუა**, ხორშის თემი (ზუგდიდის მაზრა), გაზ. ,,კომუნისტი", 1921 წ. 12 ივლისი.

[4] **თ. ტაბაღუა**, ხორშის თემი (ზუგდიდის მაზრა), გაზ. ,,კომუნისტი", 1921 წ. 12 ივლისი.

[5] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007.

[6] **ბ. ხუნწელი**, სოფ. ხუნწი, გაზ. ,,კომუნისტი", №137, 1922 წ. 20 ივნისი.

[7] **ლ. ძიძიგური**, ს. ზედა ხუნწი (სენაკის მაზრა), გაზ. ,,კომუნისტი", №221, 1922 წ. 27 სექტემბერი.

თემის მოსახლეობა შეუდგა შარაგზების შეკეთებას. გლეხები თავიანთი ხარ-კამეჩითა და ურმებით მუშაობდნენ. შეკეთდა გზები ხონისკენ, დაბა ნაოღალევისკენ, მარტვილისა და ურიაკარისკენ. ძველი, ერთკლასიანი სასწავლებლის ადგილზე დაიწყო ოთხკლასიანი სკოლის მშენებლობა. სოფელში კლუბი არ იყო, ამიტომ წარმოდგენები აღმასკომის კანცელარიაში იმართებოდა. თემს ჰქონდა სამკითხველო, სადაც გაზეთები შემოდიოდა.[1] ჩატარდა მიწის რეფორმა, რელიგიასთან ბრძოლის და ხვნა-თესვის კამპანიები. როგორც სხვა სოფლებში, აქაც ეკლესიები გადაკეთდა სკოლებად, სახალხო სახლებად და სამკითხველოებად; მემამულეებს ჩამოართვეს მიწები, აგრეთვე სახლები, რომლებიც საზოგადო საჭიროებისთვის გამოიყენეს.[2] მიუხედავად გაკეთებულისა, ბევრის საჭიროებაც იყო. ცხენისწყალზე არ იყო ხიდი და მდინარეზე გადასვლა შეიძლებოდა მხოლოდ ბორნით, რომელიც ფასიანი იყო. სამეგრელოს სოფლებიდან ხონის ბაზარში მიმავალთათვის, და ისედაც, საკმაოდ მძიმე იყო ფასის გადახდა, ამიტომ ხიდის საჭიროება დიდი იყო.[3]

1922 წლის თებერვალში წყალდიდობამ სენაკის მაზრის სოფლებს დიდი ზიანი მიაყენა. ცხენისწყალმა და რიონმა დაახლ. 500 მცხოვრების მიწა წალეკა. მთავრობამ მათ მატერიალური დახმარება გაუწია, მაგრამ მდინარეების მხრიდან მუდმივი საფრთხის გამო მოსახლეობის ერთი ნაწილის გადასახლების საკითხიც დადგა. ნაესაკუს თემის სოფელ გამოღმა კოდორიდან 50 კომლი ნოსირსა და ძიგურში გადაასახლეს.[4]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სოფლები *კეთილარი* და *კოდორი* ნაესაკუს სასოფლო საბჭოში შედიოდა. ცენტრი პირველ კოდორში იყო. სასოფლო საბჭოს პირველი თავჯდომარე კეთილარის მკვიდრი აპოლონ ჩაგანავა გახდა. შემდეგ შეიქმნა გულეკარ-კეთილარის სასოფლო საბჭო. ერთხანს მისი თავმჯდომარე იყო ნიკო ბზიავა, შემდეგ კი — ბიქტორ ქაჩიბაია, სოკრატ ჩიტეიშვილი, ძოკო მესხია, ჯატა ბურსულაია, ვარლამ ჩაგანავა, რაჟდენ ლიპარტია და სხვები.[5] 1921 წელს *გულეკარის თემი* ქუთაისის მაზრის სამტრედიის რაიონში შედიოდა. თემში ოთხი სოფელი იყო გაერთიანებული: გულეკარი, ტოლები, ქორეისუბანი და ნოღა. თემის მცხოვრებთა რიცხვი დაახლოებით 500 კომლს შეადგენდა.[6] გაზ. „კომუნისტის“ კორესპონდენტი მაშინ წერდა: თემის სამმართველო საშუალო ალაგას არის, ხალხი კულტურულად ჩამორჩენილია. ეკონომიურ კრიზისს ამ თემისთვისაც დაუმჩნევია თავისი დაღი. 1920 წელს თემის სოფლებში მცირე მოსავალი მიუღიათ. ზოგს ხუთი-ათი ფუთი სიმინდის მეტი არ მოსვლია. ამის მიზეზი იყო ხანგრძლივი გვალვები. ამიტომ ამ მხარეში უკვე სამი თვე იყო, რაც ხალხი შიმშილობდა. ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობას დახმარებოდა, დაახლოებით თითო ფუთი სათესლეც დაურიგებიათ, მაგრამ ეს ღონისძიებები არ იყო საკმარისი. შიმშილობის გამო ბევრს საოჯახო ნივთები და საქონელიც გაუყიდია. ხუთ-ათ ფუთ სიმინდში ძროხას და საუღელე ხარს იძლეოდნენ. შიმშილობის გამო ბევრი მხოლოდ ხილით, ძირითადად ბლით და ბჟოლით იკვებებოდა. ხალხს შიმშილისგან გული უღონდებოდა, სიკვდილის შემთხვევებიც იყო. გულეკარის თემს დიდი საყანე მიწები ჰქონდა და თუ ამინდი ხელს შეუწყობდა, ისეთი მოსავალი მოვიდოდა, არათუ თავს, მეზობელ თემებსაც შეინახავდა. წინა წლის მოუსავლიანობით შეშინებულ ხალხს 1921 წელს ადრე დაუთესია ყანები. ზოგან, სიმინდი ამოსულიც იყო და თოხნიდნენ, მაგრამ გვალვების გამო ბევრგან ნათესი არც ამოსულა. კორესპონდენტის ცნობით, მიწას პირდაპირ ცეცხლი ეკიდებოდა, თუ ერთ კვირაში წვიმა არ მოვიდა, ისევ შიმშილობა იქნებაო. პური ბლომადაა დათესილი სოფ. ქორეისუბანში, ნაწილობრივ გულეკარშიც, სხვა სოფლები მაღლობზე იყო და ამიტომ პური არ დაუთესიათ. მოსავალს ორ კვირაში ელოდნენ.

---

[1] **ბ. ხუნწელი**, ს. ხუნწი (სენაკის მაზრა), გაზ. ,,კომუნისტი“, №226, 1923 წ. 3 ოქტომბერი.

[2] **ი. მონიავა,** მარტვილის რაიონი (სენაკის მაზრა), გაზ. ,,კომუნისტი“, №74, 1923 წ. 3 აპრილი.

[3] პროვინციაში. ხიდის საჭიროება მდინარე ცხენისწყალზე. გაზ. ,,კომუნისტი“, №227, 1923 წ. 4 ოქტომბერი.

[4] **ე. შალამბერიძე**, წყალ-დიდობის გამო განადგურებულთა გადასახლება სენაკის მაზრაში, გაზ. ,,კომუნისტი“, №36, 1923 წ. 16 თებერვალი.

[5] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა,** ,,ესე სოფელი კეთილ არს“ (ისტორიული ალმანახი), თბ., 2004, გვ. 86-87.

[6] **სან კანი**, გულეკარის თემი (სამტ. რაიონი), გაზ. ,,კომუნისტი“, 1921 წ. 12 ივლისი.

ავადმყოფობა მთელ გულეკარის თემში ხშირია. ამხელა თემში ერთი ფერშალი არ არის. გულეკარის აღმასკომის თავმჯდომარეს გ. მჟავიას აღუძრავს შუამდგომლობა, თემში საფერშლო ფუნქტის გახსნის, აგრეთვე კვირაში ერთხელ მაინც ექიმის მოწვევის თაობაზე. ადგილობრივ აღმასკომს მთელი თემისთვის ბაზრობა დაუარსებია – საშუალო ალაგას მდ. ხეის წყალთან. პირველი ბაზრობა პარასკევს, 9 ივნისს გაიხსნა და უამრავი ხალხი დაესწრო, უკრავდა მუსიკა.

თემში გზები მძიმე მდგომარეობაში იყო. თემის ადმინისტრაციასაც მრავალი პრობლემა ჰქონდა. აღმასკომს ერთი მილიციონერი ჰყავდა, რაც საკმარისი არ იყო. სოფლის კომისრებს და მილიციონერებს ჯამაგირი მცირე ჰქონდათ და იმასაც თავის დროზე ვერ იღებდნენ. ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდნენ მასწავლებლებიც, რომელთაც ჯამაგირი და სურსათი დიდი ხანია არ მიეღოთ.[1]

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1922 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით სოფელი გულეკარი ამორიცხულ იქნა ქუთაისის მაზრიდან და სენაკის მაზრაზე იქნა მიწერილი. სენაკის მაზრაში შეიქმნა ახალი თემი სამი სოფლის შემადგენლობით: გულეკარი, კოდორი II და კეთილარი, ადმინისტრაციულ ცენტრად გულეკარის გამოცხადებით.[2]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ყოფილი თავადაზნაურობის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა თუ ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების, სოციალდემოკრატიული და სხვა არაბოლშევიკური პარტიების წევრთა წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო. ასეთი წარსულის მქონე ბევრი პირი 1921 წელს დააპატიმრეს. მათ შორის იყვნენ ხორშის მკვიდრნი პლატონ (კოლია) ნარაკიძე და კაპიტონ (გაგი) ძიძავა. ისინი მეტეხის ციხეში მოათავსეს, შემდეგ კი, 1922 წელს რუსეთში გადაასახლეს. პ. ნარაკიძე და კ. ძიძავა 53 ქართველ სოციალ-დემოკრატთან ერთად, რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციასთან დაკავშირებით ხელს აწერენ 1922 წლის 29 დეკემბრის საპროტესტო წერილს რსფსრ სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის ლევ ტროცკის სახელზე. წერილის ხელმომწერნი ითხოვდნენ ყველანი ერთად სუზდალის საპყრობილეში დაეტოვებინათ. თუმცა ასე არ მოხდა და ქართველი პატიმრები სხვადასხვა საპყრობილეში გადაიყვანეს. პ. ნარაკიძე და კ. ძიძავა ჯერ ველიკი უსტიუგის შრომით ბანაკში მოხვდნენ, შემდეგ კი შუა აზიაში, ქ. კოკანდაში ჩაასახლეს. ისინი სამშობლოში მხოლოდ 1936 წელს დაბრუნდნენ.[3]

1921 წლის 6 აპრილს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი მიწის „მშრომელი ხალხის საკუთრებად გამოცხადების შესახებ“, რითაც სათავე დაედო აგრარულ რეფორმას. დეკრეტით გაუქმდა მიწაზე კერძო საკუთრება. განხორციელდა მემამულეთა, ეკლესია-მონასტრების, მსხვილ მესაკუთრეთა მიწების კონფისკაცია. მთელი ნაციონალიზებული მიწა ჩაირიცხა სახელმწიფო ფონდში და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სამაზრო და სასოფლო რევკომების განკარგულებაში გადავიდა. აიკრძალა მიწის გასხვისების ყოველგვარი ფორმა. მთავრობა თავის თავზე იღებდა გლეხობისთვის მიწა უსასყიდლოდ გადაეცა სარგებლობის უფლებით. ადგილებზე „მიწის კომიტეტები“ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სამაზრო ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით ახდენდნენ მიწების განაწილებას გლეხებს შორის. მემამულე თავადაზნაურთა მიწები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გლეხებმა გაინაწილეს. 1922 წლიდან უკვე გლეხები მემამულე თავადაზნაურებს საკუთარი მამულებიდან მასობრივად ერეკებოდნენ; სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ცოცხალი გამწევი ძალა გლეხებს შორის ნაწილდებოდა.[4]

იმხანად გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სენაკის მაზრის მიწათმოქმედების განყოფილების გამგის ს. შალამბერიძის კორესპონდენცია, სადაც ნათქვამია: „სენაკის მაზრაში მემამუ-

---

[1] **სან კანი**, გულეკარის თემი (სამტ. რაიონი). გაზ. ,,კომუნისტი“, 12 ივლისი, 1921 წ.

[2] შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოამბე, 1922, №42-43, გვ. 16-17.

[3] **ა. დადიანი**, მამულიშვილთა ნაკვალევზე, გაზ. ,,ერი“, 1992 წ. 7 თებერვალი.

[4] **ი. კაჭარავა**, საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა საქართველოში (1921-1925 წწ.), *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. VII (საქართველო XX საუკუნის 20-30-იან წლებში), *ტომის რედაქტორი ი. კაჭარავა*, თბ., 1976, გვ. 125-126; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 278.

ლეების მიწების კონფისკაცია სწარმოებს. მათ ერთმევათ სახლები, ეზოები, ბაღები და ვენახები. ახალსენაკის რაიონში ჯერ-ჯერობით ჩამორთმეულია 450 ქცევა სახნავ-სათესი მიწა, 85 ქცევა ბუჩქნარი, ე. ი. 200 დესეტინა. დანარჩენ ყველა რაიონებში სწარმოებს ჩამორთმევა. სახლები ჩამოერთვა მემამულეებს: ხუტუნია მიქელაძეს ქვის შენობა 8 ოთახით, ბაღი და ვენახი ორი ქცევა; მემამულე და თუთუნის მეფაბრიკე გიორგი ქავთარაძეს — სამი სახლი, ორი ხის, ერთი კი ქვის სახლი 12 ოთახით, სამეურნეო იარაღები, ვენახი 7 ქცევა, ეზო 3 ქცევა, ხეხილი და ბაღი 15 ქცევა; ბონდო მიქელაძეს — ეზო და ერთი სახლი სამზარეულოთი. დანარჩენი მემამულეებისაგან ჩამორთმეული სახლების რეგისტრაცია სწარმოებს. მშრომელი ხალხის აღტაცებას საზღვარი არ აქვს".[1] მარტვილის რაიონში მემამულეებს ჩამოართვეს 320 ქცევა მიწა, რომელიც დაურიგდა მცირე მიწის მქონე 370 მეურნეს, აგრეთვე მემამულეებს ჩამოერთვათ 7 სახლი, რომლებიც საზოგადო საჭიროებისათვის გამოიყენეს.[2]

სოფელ ხორშში გრიგოლ (კოკი) დადიანს სახლ-კარი, მამულები ჩამოართვეს და ხალხს გაუნაწილეს. კოკი დადიანს სიცოცხლე შეუნარჩუნეს და თავის სარჩენად ერთი წისქვილი დაუტოვეს, რომელიც მდ. ხობისწყლიდან გამოყვანილ ტოტზე, ხაპიაზე იყო გამართული, თვითონაც იქვე გადაასახლეს. მწერალი მოსე გვასალია ავტობიოგრაფიულ რომანში „ობლის კვერი" წერდა:

„ყველაფერი რომ ჩამოართვეს და ხალხს დაურიგეს, ერთი ნამცეცი საზრდო დაუტოვეს, ძველი წისქვილი. ასე გახდა ბრწყინვალე თავადი მეწისქვილე.

... არხის გაყოლებით ჩარიგებულ ძეწნებს ფოთლები დაეყარათ. ძალიან შორიდან დავინახე ვიღაც წელში მოხრილი ტყაპუჭებიანი კაცი, რომელიც მუხლებამდე ამ ყინულივით წყალში იდგა. შარვლის ტოტები მაღლა აეკაპიწებია და გეჯისთვის მესრებს ასობდა ... წელში გაიმართა, წვერგაუპარსავი, ქოჩორაბურდული, წყალში ამოლუმპული, ცალ ხელში მესრით, მეორეში ეროთი. შემომხედა, შევხედე და მაშინვე ერთმანეთი ვიცანით; ეს იყო სამეგრელოს მთავრის პირდაპირი შთამომავალი, კოკი პატონსკუა. რაღაც დიდი უხერხულობა ვიგრძენი, თვითონ კი თამამად იყო. ვითომ არაფერი, შუბლზე სახელოთი ოფლი მოიწმინდა და გულღიად გამიცინა".[3]

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩათვალეს, რომ სოციალდემოკრატებმა მიწის დიდი ნორმა დააკანონეს, რითაც თავადაზნაურობისა და შეძლებული გლეხების ინტერესები დაიცვეს და ღარიბებს ძალიან მცირე ფართობები გამოუყვეს. ახალი რეფორმის შედეგად შემცირდა მიწის ნორმა, რამაც საგრძნობლად გაზარდა ღარიბი გლეხობის მიწათმფლობელობა. მაგრამ მიწის ნაციონალიზაციის კანონმა გლეხთა უფლება მიწაზე მნიშვნელოვნად შეზღუდა. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, აგრარული რეფორმა დიდი შეფერხებებით მიმდინარეობდა, რასაც უპირველეს ყოვლისა მიწის სიმცირე განაპირობებდა. ამის გამო 1925 წლის ბოლოსაც კი უღარიბესი გლეხობის დიდ ნაწილს მიწა მიღებული არ ჰქონდა; აგრარული რეფორმით გაცილებით მეტად ისარგებლეს შეძლებულმა და საშუალო გლეხებმა, რომლებიც მიწას რეფორმამდეც ფლობდნენ. ამასთანავე, აგრარული რეფორმის განხორციელებისას დაშვებულ იქნა უხეში შეცდომები, რაც მიწის ნორმების დადგენისა და გლეხობაზე განაწილების არასწორი წესით იყო განპირობებული. 1922 წლის 26 მაისს ხელისუფლებამ მიიღო დებულება, რომლითაც გათვალისწინებული იყო უმიწაწყლო გლეხობის მიწით დაკმაყოფილების ნორმები, მაგრამ მიწის ფონდის სიმცირის გამო მისი დაცვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ვითარებას უფრო ამწვავებდა გლეხურ მეურნეობათა სწრაფი ზრდა, რაც გლეხურ მეურნეობათა დაქუცმაცებით, მიწის დამატებითი ფონდის მიღების მიზნით მსხვილ მეურნეობათა დაყოფით აიხსნებოდა.[4]

1921 წლიდან საქართველოს სახალხო მეურნების აღდგენითი სამუშაოები დაიწყო, რაც რუსეთში „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე" (ნეპ-ი) გადასვლას დაემთხვა. ივლის-აგვისტოდან საქართველოც ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადავიდა. ნეპ-ის პერიოდში ხდებოდა ერთგვა-

---

[1] **ს. შალამბერიძე**, მემამულეების მიწები გლეხებს, გაზ. ,,კომუნისტი", №53, 1923 წ. 8 მარტი.

[2] **ი. მონიავა**, მარტვილის რაიონი, გაზ. ,,კომუნისტი", №73, 1923 წ. 1 აპრილი.

[3] **მ. გვასალია**, ობლის კვერი (რომანი), სოხუმი, 1970, გვ. 177-178.

[4] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 278.

რი დათმობა კერძო კაპიტალისადმი; იგი გულისხმობდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას და ვაჭრობის ნებას იძლეოდა, ამასთანავე ითვალისწინებდა სასურსათო-ნატურალური გადასახადის შემოღებას, საქონელბრუნვის გაზრდასა და კოოპერაციის განმტკიცებას. ამრიგად, ნეპი ახალისებდა კერძო ინიციატივას და ხელს უწყობდა მეურნეობის გამოცოცხლებას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. კერძო ინიციატივის წახალისებამ სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და ვაჭრობაში სული მოათქმევინა ხალხს, რომელსაც ომით გამოწვეული ნგრევის პირობებში ძალიან უჭირდა. მაგრამ ნეპის გატარებისას, კერძოდ, სასურსათო გადასახადის დაწესებისას, არ აღურიცხავთ დასაბეგრი ობიექტები; მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ნაწილობრივ ნატურით ხდებოდა, რაც ქვეყნად არსებული სასურსათო კრიზისით და ფულის მერყევი კურსით იყო გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაციონალიზაციის კანონმა გლეხთა უფლება მიწაზე მნიშვნელოვნად შეზღუდა, გლეხები არსებითად ინარჩუნებდნენ სამეურნეო დამოუკიდებლობას, მიღებული პროდუქციის საბაზრო ფასებში გაყიდვის შესაძლებლობას. ამასთანავე გლეხებს მომხმარებელთა კოოპერატივებში გაერთიანებისა და მიწის დამმუშავებელი ამხანაგობების შექმნის შესაძლებლობა ჰქონდათ.[1]

ისევე, როგორც რუსეთში, ნეპმა საქართველოს სოფლის მეურნეობასაც განვითარებისკენ გზა გაუხსნა. გლეხურ მეურნეობებს შესაძლებლობა მიეცათ ხელი მოეკიდათ ჭარბი პროდუქციის წარმოებისათვის, იჯარული ფორმების დანერგვისა და კოოპერაციული მოძრაობის აღორძინებისათვის. მაგრამ მალე სოფლებში დაიწყო აგრარულ რევოლუციად მონათლული ანარქია, რაც არსებითად კარგად მოვლილ და პერსპექტიულ მეურნეობათა რბევა-გაჩანაგებაში გამოიხატა.[2] 1921-1922 წლებში აგროკულტურულად მოწყობილი საუფლისწულო, საეკლესიო, კაპიტალისტური მამულების კონფისკაცია განხორციელდა. მათ ბაზაზე სახალხო მამულები შეიქმნა. სამეგრელოში ასეთი სახალხო მამული სენაკის მაზრის სოფელ სალხინოში, დადიანის მამულის ბაზაზე შეიქმნა. 1923 წლის დასაწყისიდან სოფლად გაძლიერდა აგრარული რევოლუცია. გლეხები მასობრივად ერეკებოდნენ მემამულეებს და მათი მიწებს ინაწილებდნენ. იქმნებოდა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საბოლოოდ 1924 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც რესპუბლიკის სახკომსაბჭომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ დეკრეტი გამოსცა.[3]

1923 წელს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აღწერა ჩატარდა. აღწერის მასალები თემების მოსახლეობის რაოდენობასა და მათ მეურნეობაზე (ნათესი მცენარეთა კულტურა, ბაღი და ვენახი, მიწათსარგებლობა და იჯარა, მესაქონლეობა, შინაური ფრინველი, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინვენტარი) ნათელ წარმოდგენას იძლევა.

ხუნწის თემში ხუთი სოფელი შედიოდა. თემის მოსახლეობა — 3470 მცხოვრები (1759 - მამაკაცი, 1711 - ქალი), მეურნეობის საერთო რიცხვი 712 იყო. სახმარი მიწების დანაწილება (დესეტინით): კარმიდამო – 91.6, იჯარა (სახნავი) – 805, ვენახი – 27.6, ბაღი (ურწყავი) - 0.4, ჩაის პლანტაცია და სათიბი – 0, კარზე ტყე – 50.1, დანარჩენი გაუნაწილებელი ვარგისი მიწა – 8.1, სულ ვარგისი მიწა – 982.8, გამოუსადეგარი მიწა – 196.7, სულ მიწა – 1179.5, ბაღის გარეშე გაშენებული ხეხილის ძირების რაოდენობა – 17015, თუთა - 6499 (ძირი), თხილი 2023 (ძირი), მეურნეობათა რიცხვი ვენახით – 195 და ხეხილის ბაღით – 1, ვენახის გარეშე გაშენებული ვაზის ძირების რაოდენობა – 8353, იჯარით გაცემული სახნავი – 25,1; საშემოდგომო ხორბლის ნათესი – 3,8, ქერი (შემოდგომის) – 0.4, ჭვავი (შემოდგომის) – 0.3, სიმინდი – 787.6, ფეტვი – 4.2, ღომი – 11.3, ლობიო – 0.1, მუხუდო და ბარდა – 0.2, სოია (ძაძა) – 0.8, უგრეხელი – 0.2, ბაღჩა და ბოსტანი – 0.8, ბამბა – 0.6, კანაფი – 0.1, ერთწლიანი ბალახი – 0.4, სულ ნათესი – 810,8. დათესილ კულტურებს შორის: სიმინდი – 0.7 (ფუთი), ლობიო – 36.5 (ფუთი), სოია (ძაძა) – 15.3; თამბაქო – 0.4 (გირვანქა), მუხუდო და ბარ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 168; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 241, 275.

[2] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 258.

[3] **ე. ქვათაძე**, საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის, თბ., 1967, გვ. 26.

და – 1.0 (გირვანქა), ოსპი - 5.2 (გირვანქა), კიტრი – 0.6 (გირვანქა), ნესვი და საზამთრო – 0.1 (გირ-ვანქა), კომბოსტო – 0.2 (გირვანქა), ჭარხალი – 0.2 (გირვანქა), პამიდორი – 0.2 (გირვანქა), ბამბა – 327.0 (გირვანქა). მეურნეობებს ჰყავდათ: სულ ცხენი – 67, ხარი – 469, ძროხა – 498, ხარ-კამეჩი – 29, ფურ-კამეჩი – 8, სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 1605; ცხვარი – 171, თხა – 132, ღორი – 858, ვირი – 1, უსაქონლო მეურნეობათა რიცხვი – 54; ფრინველი: ქათამი – 6226, ინდაური – 93, ბატი – 178, იხვი – 255, მეურნეობა ფუტკრით – 20, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინ-ვენტარი: გუთანი – 1 (ხის), კავი – 468, ფარცხი – 276, საზიდარი – 3.[1]

ხორშის თემში შვიდი სოფელი შედიოდა. თემის მოსახლეობა — 3404 მცხოვრები (1691 - კაცი, 1713 - ქალი). თემის მცხოვრებთაგან 4 მამაკაცი იმყოფებოდა ჯარში, 12 მამაკაცს და 2 ქალს სხვა მიზეზით ჰქონდა დატოვებული თემი. მეურნეობის საერთო რიცხვი 713 იყო. სახმარი მიწების დანაწილება (დესეტინით): კარმიდამო – 202.4, იჯარა (სახნავი) – 1144, ვენახი – 1.2, ბა-ღი (ურწყავი) – 4.6, ჩაის პლანტაცია და სათიბი – 0, კარზე ტყე – 108,1, დანარჩენი გაუნაწილე-ბელი ვარგისი მიწა – 162,1, სულ ვარგისი მიწა – 1622,7, გამოუსადეგარი მიწა – 440,3 სულ მიწა – 2063.0, ბაღის გარეშე გაშენებული ხეხილის ძირების რაოდენობა – 21055, თუთა – 5921 (ძირი), თხილი 3578 (ძირი), მეურნეობათა რიცხვი ვენახით – 9 და ხეხილის ბაღით – 23, ვენახის გარეშე გაშენებული ვაზის ძირების რაოდენობა – 4524, იჯარით გაცემულია სახნავი – 23.9; ვენახი, ბა-ღი, სათიბი – 0; იჯარით ამღებ მეურნეობათა რიცხვი: სახნავი – 25; იჯარით გამცემ მეურნეობა-თა რიცხვი: სახნავი – 18; ნათესი დესეტინით: ქერი (გაზაფხულის) – 0.2, ჭვავი (შემოდგომის) – 0.3, სიმინდი – 1024.6, ფეტვი – 0.3, ღომი – 1.2, შვრია – 0.4; უგრეხელი, ლობიო – 0, მუხუდო და ბარდა – 3.1, სოია (ძაძა) – 1.2, ბაღჩა და ბოსტანი – 2.7; ასლი, ბრინჯი, ოსპი, კარტოფილი – 0; ბამბა – 5.2, თამბაქო – 1.4, სელი, კანაფი – 0, სულ ნათესი – 1041.0. დათესილ კულტურებს შო-რის: სიმინდი – 0 (ფუთი), ლობიო – 86.5 (ფუთი); კარტოფილი, სოია (ძაძა), თამბაქო, მუხუდო და ბარდა, ოსპი, კიტრი, ნესვი და საზამთრო (გირვანქა), კომბოსტო (გირვანქა), ხახვი, ჭარხალი, პამიდორი, ბამბა – 0; მეურნეობებს ჰყავდათ: სულ ცხენი – 239, ხარი – 634, ძროხა – 724, ხარ-კა-მეჩი – 45, ფურ-კამეჩი – 27, სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 2281; ცხვარი – 251, თხა – 263, ღორი – 1522, ვირი – 3, ჯორი – 1, სულ საქონელი – 4560, უსაქონლო მეურნეობათა რიცხვი შეადგენდა – 21; ფრინველი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სატრანსპორტო ინვენტარი: ქათამი – 7824, ინდოური – 180, ბატი – 342, იხვი – 99, მეურნეობა ფუტკრით – 35, გუთანი – 1 (რკინის), კავი – 524, ფარცხი – 261, საზიდარი – 0.[2]

გულეკარ-კეთილარის თემში სამი სოფელი შედიოდა. თემის მოსახლეობა — 1411 მცხოვ-რები (728 - კაცი, 683 - ქალი), მეურნეობის საერთო რიცხვი 344 იყო. საცხოვრებელი – 352; სახ-მარი მიწების დანაწილება (დესეტინით): კარმიდამო – 95.8, იჯარა (სახნავი) – 582.8, ვენახი – 0.1, ბაღი – 0, ჩაის პლანტაცია – 0, სათიბი – 0, კარზე ტყე – 12.4; ნათესი: ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია – 0, სიმინდი – 509,1, ფეტვი – 0.2, ღომი – 3,7; ასლი, ბრინჯი, ლობიო, ოსპი – 0, მუხუდო და ბარდა – 0.3, სოია (ძაძა) – 0,3; უგრეხელი, კარტოფილი, ბაღჩა და ბოსტანი – 0.2; ბამბა, სელი, კანაფი, თამბაქო – 0; სულ ნათესი – 513.8; დათესილი კულტურები: ლობიო – 19,0 (ფუთი), სოია (ძაძა) – 0; კარტოფილი – 0,3; მუხუდო და ბარდა – 46.0 (გირვანქა), კიტრი – 0.2 (გირვანქა), ნესვი და საზამთრო – 0,1 (გირვანქა), კომბოსტო და ხახვი – 0, ჭარხალი – 0.1 (გირვანქა), პამიდორი – 0, ბამბა – 9.0 (გირვანქა); თამბაქო, სელი – 0; მეურნეობები, რომელთაც არა აქვთ ნათესი – 12; მეურნეობებს ჰყავდათ: სულ ცხენი – 46, ხარი – 301, ძროხა – 270, ხარ-კამეჩი – 10, ფურ-კამეჩი – 18, სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 902; ცხვარი – 5, თხა – 12, ღორი – 427, ჯორი – 1, უსაქონლო მეურნეობათა რიცხვი – 35; ქათამი – 2403, ინდაური – 62, ბატი – 158, იხვი – 173, მე-ურნეობანი ფრინველით – 297; მეურნეობა ფუტკრით - 11, გუთანი – 0 (ხის), გუთანი (რკინის) –

[1] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნაწ. I. სათემო ჯამები. სტატისტიკის ცენტრალური სამმარ-თველო. ტფილისი, 1923, გვ. 290-291, 293, 438, 442-443.

[2] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, გვ. 290-291, 293, 438, 442-443.

1, კავი – 212, ფარცხი – 109, ყურძნის საჭყლეტი – 3, ურემი – 127. სახნავი იარაღის არმქონე მეურნეობა – 132; სატრანსპორტო ინვენტარის არმქონე – 217.[1]

ჯგალის თემში ხუთი სოფელი შედიოდა. თემის მოსახლეობა — 2458 მცხოვრები (1283 - კაცი, მათგან ერთი ჯარში იყო გაწვეული, 1175 - ქალი), მეურნეობის საერთო რიცხვი 505 იყო. სახმარი მიწების დანაწილება (დესეტინით): კარმიდამო - 78.3; სახნავი – 398.6; ვენახი – 3.2; ბაღი – 0.2; ჩაის პლანტაცია – 0, სათიბი – 0, სულ მიწა - 841.2; ბაღის გარეშე გაშენებული ხეხილის ძირების რაოდენობა – 4216, მათ შორის: თუთა – 1045 (ძირი), თხილი 510 (ძირი), მეურნეობა ხეხილის ბაღით – 2, მეურნეობა ვენახით – 26; ნათესი დესეტინით: ხორბალი, ქერი, ჭვავი – 0; სიმინდი – 368.0; ფეტვი, ღომი, შვრია, ასლი, ბრინჯი, ლობიო, სოია (ძაძა) – 0, მუხუდო და ბარდა – 0.5 ბაღჩა და ბოსტანი – 1.9; ბამბა, თამბაქო, სელი, კანაფი – 0, სულ ნათესი – 370.4; ფუთი: სიმინდი – 0, ლობიო – 39.6, კიტრი – 0, კარტოფილი, ნესვი და საზამთრო – 0,1. მესქონლეობა, შინაური ფრინველი, მეფუტკრეობა, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინვენტარი: სულ ცხენი – 102, ხარი – 173, ძროხა – 679, ხარ-კამეჩი – 1, ფურ-კამეჩი – 1, სულ მსხვილფეხა საქონელი – 1566, ცხვარი – 427, თხა – 366, ღორი - 407, ჯორი – 6, ვირი – 2; უსაქონლო მეურნეობათა რიცხვი – 38, ქათამი – 5320, ინდაური – 25, ბატი – 1, იხვი – 0, სულ ფრინველი – 5346, მეურნეობა ფუტკრით – 11; გუთანი – 0, კავი – 227, ურემი – 12.[2]

ჭოლის თემში ოთხი სოფელი შედიოდა. თემის მოსახლეობა — 2185 მცხოვრები (1165 - კაცი, 1020 - ქალი), მეურნეობის საერთო რიცხვი 470 იყო. სახმარი მიწების დანაწილება (დესეტინით): კარმიდამო – 136.7; სახნავი – 488.1; ვენახი – 1.3; ბაღი – 1.0; ჩაის პლანტაცია და სათიბი – 0, სულ მიწა – 1183.7; ბაღის გარეშე გაშენებული ხეხილის ძირების რაოდენობა – 7682, მათ შორის: თუთა – 4149 (ძირი), თხილი 994 (ძირი), მეურნეობა ხეხილის ბაღით – 4, მეურნეობა ვენახით – 7; ნათესი დესეტინით: ხორბალი, ქერი, ჭვავი – 0; სიმინდი – 499.8; ფეტვი, ღომი, შვრია, ასლი, ბრინჯი, მუხუდო და ბარდა, სოია (ძაძა), ბაღჩა და ბოსტანი, სელი, კანაფი – 0, ბამბა – 1.1, თამბაქო – 0.2, სულ ნათესი – 501.3; ლობიო – 53.0, კიტრი – 0.5, ნესვი და საზამთრო – 0.1, მუხუდო და ბარდა – 1210.0. მესქონლეობა, შინაური ფრინველი, მეფუტკრეობა, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინვენტარი და შენობები: სულ ცხენი - 91, ხარი – 347, ძროხა – 448, ხარ-კამეჩი – 1, ფურ-კამეჩი – 0, სულ მსხვილფეხა საქონელი – 1195, ცხვარი – 32, თხა – 178, ღორი – 549, ჯორი – 2, უსაქონლო მეურნეობათა რიცხვი - 13, ქათამი – 8652, ინდაური – 24, ბატი – 1, იხვი – 0, სულ ფრინველი – 8677, მეურნეობა ფუტკრით – 3; გუთანი – 1 (ხის), კავი – 321, ურემი – 36.[3]

კოკის თემში ხუთი სოფელი შედიოდა. თემის მოსახლეობა 3489 მცხოვრები (1810 - კაცი, 1679 - ქალი), ჯარში იყო 7 კაცი; მეურნეობის საერთო რიცხვი 768 იყო. სახმარი მიწების დანაწილება (დესეტინით): კარმიდამო – 103,3; სახნავი – 1216.3; ვენახი – 1.3; ბაღი – 169.6; ჩაის პლანტაცია – 0, სათიბი – 1.5, სულ მიწა – 1803.6; ბაღის გარეშე გაშენებული ხეხილის ძირების რაოდენობა – 14854, მათ შორის: თუთა – 5779 (ძირი), თხილი 569 (ძირი), მეურნეობა ხეხილის ბაღით – 457, მეურნეობა ვენახით – 8; ნათესი დესეტინით: ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, ღომი, შვრია, ბრინჯი – 0, სიმინდი – 918.4; ასლი – 0.1; მუხუდო და ბარდა – 1.6; სოია (ძაძა) – 0.5; ბაღჩა და ბოსტანი – 3.4; ბამბა – 4.7; თამბაქო, სელი – 0, კანაფი – 0.5; ერთწლიანი ბალახი – 0.8; სულ ნათესი – 930.0; სიმინდი – 5.0 (ფუთი), ლობიო – 53.0 (ფუთი), კარტოფილი – 0.1 (ფუთი), (გირვანქა), ჭარხალი – 0.4 (გირვანქა), კიტრი, ნესვი და საზამთრო, მუხუდო და ბარდა – 0. მესქონლეობა, შინაური ფრინველი, მეფუტკრეობა, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინვენტარი: სულ ცხენი – 195, ხარი – 168, ძროხა – 753, ხარ-კამეჩი – 153, ფურ-კამეჩი – 227, სულ მსხვილფეხა საქონელი - 2163, ცხვარი – 11, თხა – 17, ღორი – 1470, ვირი – 2, უსაქონლო მეურნეობათა

[1] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, გვ. 58-59, 172-173, 288-289, 432-437.

[2] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, გვ. 42, 153-154, 266-269, 402-405, 406-407.

[3] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, გვ. 38, 153-154, 266-269, 402-405, 406-407.

რიცხვი – 37, ქათამი – 11 033, ინდაური – 175, ბატი – 120, იხვი – 130, სულ ფრინველი – 11 457, მეურნეობა ფუტკრით – 13; გუთანი – 1 (რკინის), კავი – 584, ურემი – 85, საზიდარი – 3.[1]

ამდენად, სამეგრელოს სოფლებში მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა სიმინდი იყო, ზოგან ითესებოდა პურიც, თუმცა მცირე რაოდენობით (საშემოდგომო ხორბალი და საგაზაფხულო ხორბალი). ითესებოდა ასევე ჭვავი, ქერი, შვრია, ფეტვი, ღომი; პარკოსანი კულტურები: ლობიო, მუხუდო და ბარდა, სოია (ძაძა), უგრეხელი (ოსპი); ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურები: კიტრი, ნესვი და საზამთრო, კომბოსტო, ჭარხალი, პამიდორი, კარტოფილი – უმნიშვნელო რაოდენობით; საზეთე ბოჭკოვანი კულტურები: ბამბა, სელი, კანაფი – უმნიშვნელო რაოდენობით; ჩაი ჯერ კიდევ არ იყო გაშენებული. მოჰყავდათ თამბაქო, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით; გაშენებული იყო ვენახი, ხეხილიდან აღწერის მასალებში მხოლოდ თუთა და თხილია დაფიქსირებული. გლეხურ მეურნეობებს ჰყავდათ ცხენი, ვირი და ჯორი – იშვიათად; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – ხარი, ძროხა, კამეჩი; ცხვარი, თხა, ღორი, აგრეთვე – ფუტკარი. სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინვენტარის მხრივ გლეხური მეურნეობები დაბალ დონეზე იდგა. რკინისა და ხის გუთანი იშვიათობა იყო, ძირითად სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს კავი და ფარცხი წარმოადგენდა; ჰყავდათ ურმები, საზიდარი – იშვიათად.

სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობას ღარიბი გლეხები შეადგენდნენ, რომლებსაც არ გააჩნდათ საკმარისი მიწა და იძულებული იყვნენ დასამუშავებლად შეძლებული გლეხებისაგან იჯარით აეღოთ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა პრიმიტიული იყო. კავითა და თოხით მარცვლეული მცირე ფართობზე ითესებოდა ყოველგვარი აგროღონისძიების გატარების გარეშე. პრიმიტიულად დამუშავებულ მიწებზე მოსავალი ცოტა მოდიოდა და მოსახლეობა თითქმის შიმშილობდა. სასოფლო-სამეურნეო აღწერამ ხელისუფლებას სრული წარმოდგენა შეუქმნა მოსახლეობის რაოდენობაზე და მათ სამეურნეო შესაძლებლობებზე.

1923 წლის 10 მაისიდან შემოიღეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რომელმაც შეცვალა სასურსათო-ნატურალური გადასახადი, საკომლო და სხვა ადგილობრივი გადასახადები, რასაც სოფლის მოსახლეობა იხდიდა.[2] 1923 წლის შემოდგომისათვის სამეურნეო სიძნელეები კიდევ უფრო გამწვავდა, რაც, ერთი მხრივ, სამრეწველო საქონლისა და, მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებს შორის მკვეთრ განსხვავებაში მდგომარეობდა. 1922 წელს სურსათსა და პირველადი მოხმარების საგნებზე ფასები ასეთი იყო: პური და სიმინდი (1 კგ) – 12 ათასი მანეთი, ყველი (250 გრ) – 40 ათასი მანეთი, მარილი (1 ფუთი) – 250 ათასი მანეთი, საპონი (250 გრ) – 75 ათასი მანეთი, ნავთი (1 ფუთი) – 450 ათასი მანეთი.[3] ამდენად, სამეურნეო ნაწარმის ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მათ შორის პურის ფასთან შედარებით ძალიან მაღალი და შეუსაბამო იყო. შესაბამისად, სამრეწველო საქონლის გასაღების კრიზისი წარმოიქმნა. სირთულეების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებამ შეამცირა მასობრივი მოხმარების სამრეწველო საქონლის ფასები, დამყარდა გლეხების გადასახადით დაბეგვრის წესი. გადასახადის ძირითადი სიმძიმე უფრო შეძლებულ მეურნეობებს დაეკისრა. 1924 წელს ჩატარდა ფულის რეფორმა, გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებიც. იმავდროულად, შეწყდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნატურით აკრეფა და იგი ფულად ფორმაზე გადავიდა. გატარებული ღონისძიებების შედეგად მასობრივი მოხმარების სამრეწველო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასები მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ერთმანეთს, რითაც კრიზისი მეტნაკლებად დაძლეულ იქნა.[4]

---

[1] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, გვ. 38, 148-150, 262-265, 396-397, 400-401.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 168.

[3] **ა. შენგელია**, კვლავ მწყობრში, გაზ. ,,ნაპერწკალი", 1982 წ. 25 დეკემბერი.

[4] **История СССР,** эпоха социализма, *под редакцией С. А. Сераева,* М., 1983, გვ. 196-198; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 175-180; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 275.

1924 წლის მაისში ხელისუფლებამ მიიღო მიწის კოდექსი, რითაც ნაწილობრივ შეზღუდა გლეხურ მეურნეობათა შემდგომი დაქუცმაცება; დადგინდა მიწის ნორმა საარსებო მინიმუმის მიხედვით. მაგრამ სახელმწიფო მიწის ფონდის სიმცირის გამო ღარიბმა გლეხობამ მთელ რიგ შემთხვევებში, ნორმით გათვალისწინებული მიწა ვერ მიიღო. სოფლის მეურნეობის სუსტი აგრონომიის გამო მოსავლიანობის ზრდა დაბალი ტემპით ხორციელდებოდა. იმავდროულად, 20-იან წლებში, მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კანონი ხშირად ირღვეოდა, იყო მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები, შეძლებული გლეხების მეურნეობა სარგებლობდა მუდმივი, ზოგი კი დროებითი დაქირავებული მუშახელით. დაშვებული იყო მიწის შრომითი იჯარა. მიუხედავად დარღვევა-ნაკლოვანებებისა, აგრარული რეფორმის შედეგად უმიწო და მცირემიწიანი გლეხობა მიწით რამდენადმე დაკმაყოფილდა, რითაც შეძლებულ მეურნეობებს საფუძველი შეერყა.[1] საქართველოს სოფლის მეურნეობას აღმავლობა მხოლოდ 1925 წელს დაეტყო. დაიწყო ტექნიკური კულტურების დანერგვა, ტარდებოდა აგრონომიული ღონისძიებები, ნათესი ფართობების რაოდენობა იზრდებოდა. იმავდროულად, მთავრობას კურსი აღებული ჰქონდა კერძო სექტორის შემცირებისაკენ. ამასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასები მასობრივი მოხმარების სამრეწველო პროდუქციის ფასებთან შედარებით კვლავ დაბალი იყო.[2] როგორც მიჩნეულია, 1925-1926 წწ. ძირითადად დასრულდა სახალხო მეურნეობის აღდგენა და იგი ომამდელ დონეს გაუთანაბრდა.[3]

1924 წლის აგვისტოს აჯანყება. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, ქვეყანაში ეროვნული მოძრაობა დაიწყო. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოსვლა, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა, 1924 წლის ეროვნული აჯანყება იყო, რომელიც მთელ საქართველოს მოედო. აჯანყებისათვის მზადება დიდხანს მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც სტიქიურად დაიწყო. აჯანყებამ სამეგრელოს ყველა მაზრა მოიცვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა სამეგრელოში აჯანყებისათვის მზადება 1924 წლის ზაფხულიდან დაიწყო. შეიქმნა რეგიონალური სამხედრო შტაბი, რომელშიც დამკომმა შეიყვანა გენერალი დიმიტრი თოფურია (მთავარი ხელმძღვანელი), პოლკოვნიკი კოდუა (შტაბის უფროსი), გენერალი არტემ ჯიჯიხია (ზურგის უფროსი), დავით მხეიძე (სამხედრო კავალერიის უფროსი), მაგრამ შტაბი ფაქტობრივად ვერ ფუნქციონირებდა. მალე შტაბს სათავეში დავით მხეიძე ჩაუდგა. შეიქმნა სამეგრელოს დამკომი. სამეგრელოს სოფლებს აგიტატორები მოედვნენ, რომლებიც მოძრაობაში მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩაბმას ცდილობდნენ.[4] ზუგდიდშიც შეიქმნა დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელი შალვა თვალთვაძე გახდა, შეიქმნა სამხედრო შტაბიც. წალენჯიხის რაიონში სამხედრო ხელმძღვანელად დაინიშნა იოსებ კვარაცხელია, ხობის რაიონში – ლევან დუნდუა, სოფელ ხეთაში – რაჟდენ ქირია, ჩხოროწყუს რაიონში – სამსონ როდონაია, სოფელ ჭოღაში – ნესტორ შენგელია.[5]

1924 წლის 29 აგვისტოს, განთიადისას, სამეგრელოში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა ბრძოლით დაიკავეს ზუგდიდი, განაიარაღეს და დააპატიმრეს კომუნისტები. მალე, მაზრის ყველა სოფელი აჯანყებულებმა დაიკავეს.[6] ზუგდიდის მაზრაში აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო სოფელ კოკის მკვიდრი ადამურ ცხაკაია.[7]

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 300.

[2] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 258-259.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 140; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 280.

[4] **ლ. ჯიქია**, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2012, გვ. 102.

[5] **ლ. ჯიქია**, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 104-106.

[6] **ლ. ჯიქია,** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში. ნარკვევი, დოკუმენტები და მასალები, თბ., 2015, გვ. 17-19.

[7] **ლ. ჯიქია**, 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში, გვ. 13.

29 აგვისტოს, განთიადისას, აჯანყებულებმა მაზრის ცენტრი სენაკიც დაიკავეს.[1] აჯანყებულებმა დააპატიმრეს სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე სამსონ მამულია, რომელიც მაშინ ავად იყო და ბინაზე იმყოფებოდა, მისი მეუღლე ანა მამულია, მაზრის სხვა ხელმძღვანელები.[2] როგორც კი სოფელ აბაშაში მიიღეს ინფორმაცია სენაკში განვითარებული მოვლენების შესახებ, სასწრაფოდ შეიქმნა კომუნართა რაზმი მილიციის უფროსის ვლადიმერ ქორჩილავას მეთაურობით. იგი 87 კაცისაგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ: ირაკლი ჭანტურია, გიორგი კიკაბიძე, აპალონ კაჭარავა, ერმილე ბარათელი, ბორის ჭანტურია, ილიკო კაჭარავა, დავით მელია და სხვ. რაზმი სენაკისკენ გაემართა, მაგრამ როდესაც მდ.ტეხურს მიადგა, მას ცეცხლი გაუხსნეს. შეტაკებისას ვ. ქორჩილავა დაიღუპა და რაზმმა უკან დაიხია. შემდეგ აჯანყებულებმა აბაშაც დაიკავეს.[3] პროკოფი არსენის ძე ჩაგანავას მოგონებით, კეთილარში გამოაცხადეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება დამხობილია და დემოკრატიული მთავრობა აღდგა. კომუნისტები დააპატიმრეს და კეთილარის გაუქმებულ ეკლესიაში შეყარეს. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბარდღა თელია, ანდრია ჩაგანავა, იერემია ჩაგანავა და სხვები.[4] ხორშის თემში აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჯონჯი დადიანი, იოსებ ეჯიბია, სალადინ ჭანტურია.[5]

29 აგვისტოს აჯანყებულებმა მარტვილიც დაიკავეს, შემდეგ ხუნწის თემზეც დაამყარეს კონტროლი.[6] სოფ. ხუნწში აჯანყების დაწყებისთანავე კომუნარებმა ხონის მიმართულებით დაიხიეს. დოკუმენტების მიხედვით, ხუნწის თემში აჯანყებაში მონაწილეობა 51 კაცმა მიიღო. მათ შორის იყო ერთი მოსწავლე, ერთი მღვდელი, 8 სოციალ-დემოკრატი, 2 ყოფილი აზნაური, 8 ყოფილი გვარდიელი, 4 ყოფილი ოფიცერი. გვარდიელებიდან ორი აზნაური იყო, ოფიცრებიდან, 2 მასწავლებელი. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: თენგიზ რევია, რაჟდენ გეგეჭკორი, ლუკა ბერია, პავლე გელენიძე, ბახვა კირთაძე, ლადი მონიავა, ჭიჭიკო რევია, ილია რევია, პლატონ გაბისონია, მიხა თოფურია, ალექსანდრე გოგია, ისააკ გოგია, რაჟდენ წოწერია.[7] ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რაც აჯანყებულებმა განახორციელეს, ყოფილი მფლობელებისათვის მიწების დაუბრუნება იყო.[8] როდესაც კომუნარებმა ხუნწის თემი დაიკავეს, აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო. აჯანყების მონაწილეებმა ტყეს შეაფარეს თავი, თან ტყვეებიც წაიყვანეს. მათაც მიიღეს შესაბამისი ზომები, მოწინააღმდეგეებს, აგრეთვე გამცემებს სასტიკად უსწორდებოდნენ. 24 სექტემბერს სოფ. ხუნწში იპოვეს ტყვეობიდან გათავისუფლებული პლატონ გაბისონიას გვამი. გავრცელებული ინფორმაციით, მან ხელისუფლებას აჯანყებულთა შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა.[9]

29 აგვისტოს დილით აჯანყებულებმა წალენჯიხა უომრად დაიკავეს. კომუნისტები აჯანყებულებს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დანებდნენ. წალენჯიხის რაიონში აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ: შალვა თვალთვაძე (ეროვნულ-დემოკრატი) და იოსებ კვარაცხელია (დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი). ძალაუფლების ხელში აღებისთანავე აჯანყებულებმა რაიონული „დამკომი“ შექმნეს ისიდორე კვარაცხელიასა (სოციალ-დემოკრატი) და გუდუ კვარახცელიას (ეროვნულ-დემოკრატი) შემადგენლობით. დამკომმა შტაბის ხელმძღვანელად მიხეილ ბელქანია დანიშნა, ის იყო ასევე წალენჯიხის რაიონის კომენდანტი; მილიციის უფროსად დაინიშნა იოსებ მიქაია. აჯანყებულებს რაიმე განსაკუთრებული აგიტაცია არ ჩაუტარებიათ, მაგრამ მოსახლეობა მათ თანადგომას მა-

---

[1] **ლ. ჯიქია,** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში. ნარკვევი, დოკუმენტები და მასალები, თბ., 2017, გვ. 25.

[2] **გ. საითიძე**, სამსონ მამულია. ბიოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1969, გვ. 79; **ლ. ჯიქია**, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 150.

[3] **პ. ჩაგანავა**, ადრე შეწყვეტილი სიცოცხლე, გაზ. ,,განახლებული აბაშა“, №122, 1970 წ. 13 ოქტომბერი.

[4] პროკოფი არსენის ძე ჩაგანავას მოგონება, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 86-87.

[5] **ლ. ჯიქია**, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 152.

[6] **ლ. ჯიქია,** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში, გვ. 47.

[7] **ლ. ჯიქია,** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში, გვ. 25, 47.

[8] **ლ. ჯიქია,** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში, გვ. 25.

[9] **ლ. ჯიქია,** 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება სენაკის მაზრაში, გვ. 32-33.

სიურად უცხადებდა. ამის შედეგად მათი რიცხვი სამასამდე გაიზარდა. სოფელი ჯგალი აჯანყებულებმა, კონსტანტინე კვარაცხელიას მეთაურობით, 29 აგვისტოს ადვილად დაიკავეს.

წალენჯიხელმა აჯანყებულებმა ძალაუფლება 3-4 დღის განმავლობაში შეინარჩუნეს. მათზე უარყოფითად იმოქმედა გავრცელებულმა ხმამ, რომ მათკენ რუსის ჯარი მოემართებოდა. აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ რაიმილიციის უფროსი ვასილ მანია, უმცროსი მილიციელი ჭიჭიკო მხეიძე, ლაუ ფიფია, კოსტა ესართია, ერმინე კვარაცხელია და სხვ. მათ დიდი როლი ითამაშეს სოფ. კორცხელში გამაგრებული აჯანყებულების დამარცხებაში. წალენჯიხის რაიონის მილიციამ, ზუგდიდის რაიონის მილიციასთან ერთად 70 აჯანყებული დააპატიმრა.

28 აგვისტოს ჩხოროწყუში, ცენტრიდან გამოგზავნილმა მეკავშირემ, სამსონ როდონაიას აჯანყების თარიღი აუწყა. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ჩხოროწყუელი აჯანყებულები გააფრთხილა. 29 აგვისტოს, გამთენიისას, ჩხოროწყუში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულთა მთავარი რაზმი სპირიდონ შენგელიას ხელმძღვანელობით სოფ. ხაბუმედან წამოვიდა და ჩხოროწყუს ტერიტორიაზე დაბანაკდა. აჯანყებულებმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან გაგზავნეს დელეგაცია, რომელიც ძირითადად ქალებისაგან შედგებოდა, და წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დანებება მოსთხოვეს. პასუხი მოკლე იყო: თუ მთელი საქართველო აჯანყებულთა ხელშია, დავაზუსტებთ და ჩაგბარდებითო. აჯანყებულთა რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და მათ დაბა ჩხოროწყუში ძალაუფლება ხელში აიღეს. აჯანყებულებმა კომუნისტების ნაწილი განაიარაღეს და დააპატიმრეს. ამასობაში, ჩხოროწყუს მილიცია ვარლამ შოგირაძის მეთაურობით სოფლებიდან გამოქცეული კომუნისტებით ივსებოდა და გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა. ჩხოროწყუელმა აჯანყებულებმა წალენჯიხიდან მიღებული დირექტივების შესაბამისად ადგილობრივი „დამკომი“ ჩამოაყალიბეს სპირიდონ შენგელიასა (სოციალ-დემოკრატი) და აკაკი შამათავას (ეროვნულ-დემოკრატი) შემადგენლობით. აჯანყებულებმა რაიონის ყველა სოფელი დაიკავეს. ხაბუმესა და ჭოღაში აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ სპირიდონ, ბეგი, კოსტა შენგელიები, გუძია ფაცაცია. ჩხოროწყუს მილიციამ შეძლო ძალების მობილიზება და შეტევაზე გადავიდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიური მოქმედება მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ გიორგი სოსელია, ევგენი უბირია და თომა ლუკავა შეუერთდნენ. მათ მოიტანეს ცნობა, რომ აჯანყებულებს საქართველოს მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში ჰქონდათ ძალაუფლება ხელში აღებული. 30 აგვისტოს საღამოს, ჩხოროწყუს რაიონის ყველა სოფელი კომუნისტების ხელში იყო. აჯანყებულთა ნაწილმა ჩხოროწყუ დატოვა და წალენჯიხის გავლით სვანეთის ტყეებს შეაფარა თავი, ნაწილი – დააპატიმრეს.[1]

29 აგვისტოს, განთიადისას, აჯანყებულებმა ბრძოლით დაიკავეს ხობი, განაიარაღეს და დააპატიმრეს კომუნისტები. აჯანყებულებმა მაზრის ყველა სოფელი დაიკავეს და ძალაუფლება, როგორც ყველგან, 3-4 დღე შეინარჩუნეს. 31 აგვისტოს კომუნარების რაზმებმა ხობი, შემდეგ კი სოფლებიც დაიკავეს.[2]

აჯანყების ძირითად მამოძრავებელ ძალას გლეხობა შეადგენდა, ხოლო დანარჩენი უფლებააყრილი და ქონებაჩამორთმეული ფენები მის მოკავშირედ გამოდიოდნენ.[3] ხელისუფლების მიერ ეკლესიის წინააღმდეგ გატარებულმა ღონისძიებებმა განაპირობა აჯანყებაში სამღვდელოების ფართოდ მონაწილეობა. სენაკის მაზრაში აჯანყებაში 59 მღვდელი მონაწილეობდა. მთელ რიგ თემებსა და სოფლებში – მარტვილში, ნოქალაქევში, სალხინოში, ახალ სენაკში, ახალ აბაშაში, ბანძაში და სხვაგან სამღვდელოება წინ მიუძღოდა ამბოხებულებს და სარწმუნოების თავისუფლების აღდგენას მოითხოვდა.[4]

---

[1] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 37-38.

[2] **ლ. ჯიქია**, 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში, გვ. 24.

[3] **ა. მუჯირი**, ოცდაოთხი წლის აგვისტოს ცხელი დღეები, გაზ. ,,კომუნისტი“, 1990 წ. 26 აგვისტო.

[4] **ი. კვესელავა**, XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, თბ., 1990, გვ. 86.

აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობდნენ წითელი არმიის ნაწილები, მუშა და გლეხი კომუნისტებისაგან შემდგარი საგანგებო რაზმები კომკავშირლების დახმარებით. თბილისიდან სამეგრელოში უმცროს მეთაურთა სკოლა გაიგზავნა. ამ სკოლის ერთ-ერთი კურსანტი დ. ჭანკვეტაძე შემდეგ წერდა: „გავწმინდეთ ყველა სოფლები ბანდიტებისაგან და შევედით ქ. ზუგდიდში. აქ უმცროს მეთაურთა სკოლა გაიყო ორად. ერთი ნაწილი დარჩა ქ. ზუგდიდში, მეორე კი, რომელსაც შეუერთდა 2 ქვემეხი და 96 ცხენოსანი ამხ. კანდელაკის მეთაურობით, გავეშურეთ იმ სოფლების გასაწმენდათ, სადაც თავი შეეფარებინათ აჯანყებულებს და მიემართებოდნენ სვანეთში გასავალი ხეობისაკენ... ჩქარა დავიპყარით ს. წალენჯიხა, სადაც მოკალათებული იყო მთავარი ძალები. ბანდიტებმა დატოვეს 4 მოკლული და გაიქცნენ. სოფელ მუხურის წინააღმდეგ გავაჩაღეთ ქვემეხიდან ცეცხლი. შრაპნელის საშუალებით ეს სოფელიც ჩქარა გავწმინდეთ. ამის შემდეგ რამდენიმე სოფელი დავიპყარით და შევედით ს. ლიაში. ცოტა შესვენების შემდეგ გავემართეთ ჯვრის უღელტეხილის მიმართულებით... წითელარმიელები მეტისმეტად მოიქანცნენ 12 დღის გამუდმებული მოქმედებისაგან და ჩვენ ამის გამო ზუგდიდში დაგვაბრუნეს დასასვენებლად.[1] 31 აგვისტოს კომუნარების რაზმებმა მაზრის ცენტრები ზუგდიდი და სენაკი, შემდეგ კი სოფლებიც დაიკავეს.[2] სენაკიდან გაქცეულმა აჯანყებულებმა მძევლებად წაიყვანეს სამსონ მამული და ანა მამულია, ასევე 20-მდე პასუხისმგებელი მუშაკი, თუმცა მოგვიანებით ისინი უვნებლად გაათავისუფლეს.[3]

სამეგრელოში აჯანყების ჩახშობას პირადად ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ შს სახკომი ალექსი (საშა) გეგეჭკორი, რომელიც დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა. ახალსენაკში ის საგანგებო სამეულს ხელმძღვანელობდა. მან განკარგულება გასცა მაზრაში მცხოვრები ყველა მღვდელი შეეპყროთ და სიკვდილით დაესაჯათ; მხოლოდ 3 და 13 სექტემბერს, სენაკის მაზრაში, აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით, გაუსამართლებლად 122 კაცი დახვრიტეს.[4] 1924 წლის 6 სექტემბერს აჯანყების აქტიური მონაწილეები დახვრიტეს, მათ შორის: კოკის მკვიდრნი: ჯვებე ორზოლია – 50 წლის, ყოფილი აზნაური; კონსტანტინე ბახვას ძე ჩხოლარია — 30 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1917 წლიდან; ვალოდია მიხეილის ძე ჩხოლარია – 34 წლის, ყოფილი აზნაური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1917 წლიდან.[5] კოკის მკვიდრი ტიხონ კონსტანტინეს (კოწიას) ძე კეიდია, დაბ. 1903 წ. ზუგდიდის რაიონში, საქართველოს საგანგებო სამეულის სხდომის 1924 წლის 2 სექტემბრის დადენილებით 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს.[6] აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრეს ადამურ (ვასილ) სიკოს ძე ცხაკაია – 30 წლის, ინტელიგენტი, მასწავლებელი, დაოჯახებული, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1913 წლიდან.[7] აჯანყებაში მონაწილეობდა ბარნაბა ძველაია, დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი. აჯანყების დამარცხების შემდეგ ის დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს, ამის შემდეგ ის თავის სოფელში, ნოსირში ცხოვრობდა.[8]

დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ზუგდიდის მაზრის სოფელ მუხურის მკვიდრნი — დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დრამატურგი, კრიტიკოსი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ყოფილი წევრი სამსონ დადიანი (1885-1937) და მისი ძმა, იურისტი, პუბლიცისტი შოთა დადიანი (1890-1937). ისინი ერთხანს მეტეხის ციხეში ისხდნენ, სადაც ნახა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელიც ამის შესახებ წერს ავტობიოგრაფიულ ნარკვევში „ლანდებთან ლაციცი“. სამსონ და შალვა დადიანები ციხიდან ამნისტიით გამოვიდნენ.

---

[1] **დ. ჭანკვეტაძე**, უმცროს მეთაურთა სკოლა სამეგრელოში, გაზ. ,,წითელარმიელი“, 1924 წ. 17 სექტემბერი.

[2] **ლ. ჯიქია**, 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში, გვ. 17-19.

[3] **გ. საითიძე**, სამსონ მამულია. ბიოგრაფიული ნარკვევი, გვ. 79-81.

[4] **ლ. ჯიქია**, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, გვ. 206.

[5] **ლ. ჯიქია**, 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში, გვ. 33.

[6] საქართველოს შს სამინისტროს ცნობა. დოკუმენტი ინახება ექსპედიციის არქივში.

[7] **ლ. ჯიქია**, 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში, გვ. 35.

[8] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018, გვ. 515.

საქართველოს ჩეკას მიერ 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის დახვრეტილთა სიაში, სამეგრელოდან იხსენიება: *დადიანი დავით* ნიკოლოზის ძე (დაბ. 1889 წ. მცხოვრები სოფ. მოიდანახეში, თავადაზნაურობიდან, ყოფილი თეთრი მენშევიკი, ოფიცერი), *დადიანი ოთარ* კონსტანტინეს ძე (36 წლის, დაბ. სოფ. რუხში, ზუგდიდის მაზრა, ყოფილი ოფიცერი, თავადაზნაურობიდან), *დადიანი მუშნი* (ივანე) კონსტანტინეს ძე (დაბ. 1879 წ. სოფ. ჭკადუაშში, ზუგდიდის მაზრა, ყოფილი ოფიცერი, თავადაზნაურობიდან), *ადამია აკაკი* ევგენის ძე (დაბ. 1899 წ. ს. ეკი, სენაკის მაზრა, ვაჭარი), *გეგელია იოსებ* თევდორეს ძე (38 წ. დაბ. ზუგდიდი, გლეხობიდან, მიწათმოქმედი), *გვალია მიხეილ* სტივას ძე (49 წ. დაბ. ზუგდიდში, მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან), *შურღაია მამანტი* ალექსანდრეს ძე (დაბ. 1906 წ. სენაკის მაზრა, ინტელიგენტი, მენშევიკური პარტიის წევრი), *დოლბაია ვლადიმერ* მარკოზის ძე (46 წ. დაბ. სოფ. ხობში), *გაბუნია გიორგი* დავითის ძე (26 წ. დაბ. სენაკში, ვაჭარი), *ბაძაღუა ივანე* (39 წ. დაბ. სოფ. მუხურში, ზუგდიდის მაზრა, პედაგოგი, მიწათმფლობელი, მენშევიკური პარტიის წევრი 1904 წლიდან), *თვალთვაძე ვლადიმერ* გიორგის ძე (19 წ. სოფ. წალენჯიხა, ზუგდიდის მაზრა, თავადაზნაურობიდან, მიწათმოქმედი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ტექნიკუმის მოსწავლე), *კედია ტიხონ* კონსტანტინეს ძე (21 წ. დაბ. ზუგდიდში, ზუგდიდის ტექნიკუმის მასწავლებელი), *კედია ალექსანდრე* სამსონის ძე (დაბ. ქ. ზუგდიდში, პედაგოგი, მენშევიკური პარტიის წევრი 1919 წლიდან), *ჟვანია მიხეილ* გრიგოლის ძე (39 წ. დაბ. სოფ. ონტოფოში, სენაკის მაზრა, მენშევიკური პარტიის წევრი 1907 წლიდან), *ნადარეიშვილი ევგენი* მაქსიმეს ძე (37 წ. დაბ. სოფ. ონტოფოში, სენაკის მაზრა, მიწათმოქმედი, მენშევიკური პარტიის წევრი 1905 წლიდან), *გაწერელია დავით* ამბროსის ძე (30 წ. დაბ. სოფ. მარტვილში, სენაკის მაზრა, აგრონომი, მენშევიკური პარტიის წევრი), *კაჭარავა კონსტანტინე* ივანეს ძე (29 წ. დაბ. სოფ. საკაჭარაოში, სენაკის მაზრა, მენშევიკური პარტიის წევრი), *ხოშტარია ივანე* პეტრეს ძე (31 წ. დაბ. სოფ. სუჯუნაში, სენაკის მაზრა), *დგებუაძე მიხეილ* სოლომონის ძე (21 წ. დაბ. სოფ. კიწიაში, სენაკის მაზრა, მიწათმოქმედი, თავადაზნაურობიდან, მენშევიკური პარტიის წევრი), *ფიფია დანიელ* პავლეს ძე (29 წ. დაბ. სოფ. ობუჯში, ზუგდიდის მაზრა, მიწათმფლობელი, მენშევიკური პარტიის წევრი, აჯანყების ხელმძღვანელი ზუგდიდის მაზრაში), *ჭანტურია რაჟდენ* ჯამლეტის ძე (39 წ. მცხ. სოფ. მაცხოვრისკარში, სენაკის მაზრა, მიწათმოქმედი, ყოფილი გვარდიელი, მენშევიკური პარტიის წევრი 1903 წლიდან), *ჭანტურია ვლადიმერ* კონსტანტინეს ძე (36 წ. მცხ. სააფაქიო-ეწერში, ზუგდიდის მაზრა, მასწავლებელი, გლეხი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი), *ჯიქიძე ალექსანდრე* ერმილეს ძე (დაბ. სოფ. ნოსირში, სენაკის მაზრა, გლეხობიდან, ყოფილი გვარდიელი).[1] ხორშის მკვიდრი გრიგოლ (კოკი) გრიგოლის ძე დადიანი (1892-1924) აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით 1924 წლის სექტემბერში სენაკში დახვრიტეს.[2] ერთ-ერთი წყაროს ცნობით, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს სამეგრელოში, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში, 800 კაცი დახვრიტეს.[3]

აჯანყების მონაწილეები გაასამართლეს, შემდეგ კი ოქტომბრის მანიფესტით გაათავისუფლეს, მაგრამ ისინი 30-იანი წლების რეპრესიებს ვერ გადაურჩნენ.[4]

1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ ანტისაბჭოთა მუხტი გარკვეულწილად შენელდა, თუმცა ის მაინც იყო. 20-იანი წლების მიწურულს ჩხოროწყუსა და მიმდებარე სოფლებში ანტისაბჭოთა ჯგუფები არსებობდა. 1929 წელს სოფლებში ნაფიჩხოვოში, ზუმში, მუხურში არსებობდა არალეგალური ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ვლადიმერ გახარია, სევერიანე ფაცაცია, მიტროფანე გახარია. სამივე სოფლის ორგანიზაციაში ორმოცი კაცი ირიცხებოდა. ამ ჯგუფებს საერთო ხელმძღვანელობას სოფელ ჭოღის მკვიდრი, სოფრომ შენგელია

---

[1] **მ. თუნგია**, სისხლიანი სტრიქონები, გაზ. ,,ახალგაზრდა ივერიელი", 1991 წ. 23 თებერვალი.

[2] გაზ. ,,მახარია", №12, 2001 წ.

[3] **ლ. სარალიძე**, ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის ისტორიიდან (1922-1924წწ.), ,,*ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*", 15, თბ., 2014, გვ. 91.

[4] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 38.

(1874-1937) უწევდა.[1] იმავე ხანებში დაწყებულ კოლექტივიზაციას თან სდევდა ამ პროცესის საწინააღმდეგო გამოსვლები, რომლებიც ლოკალურ ხასიათს ატარებდა.

ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. 1923 წლიდან საქართველოში ფართო ანტირელიგიური კამპანია გაჩაღდა, თებერვალ-მარტში საბჭოთა ხელისუფლებამ მთელ საქართველოში მასობრივად დახურა ეკლესია-მონასტრები, მათ შორის ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში. ზუგდიდის მაზრაში 75, ხოლო სენაკის მაზრაში 148 ეკლესია დაიხურა.[2] გაზ. „კომუნისტი" ამის თაობაზე მაშინ წერდა: „ყველა ეკლესიები გამოყენებულია კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსაწყობად: სასოფლო კლუბების, სახალხო სახლების, თეატრების და სამკითხველოებისათვის, რომელთა რიცხვი ამჟამად მთელს მაზრაში 100-ს უდრის".[3] ეკლესიები გადაეცა სამომხმარებლო კოოპერატივებს, გაიხსნა დუქნები, ეკლესიებს ჩამოართვეს მიწები, ქონება, სასულიერო პირებს დევნიდნენ.[4] აგრარული რეფორმის დროს მღვდლებს მთლიანად ართმევდნენ მიწებს, აიძულებდნენ ანაფორა გაეხადათ, წვერი გაეკრიჭათ, უარი ეთქვათ წოდებაზე, მხოლოდ ასეთ პირობებში აძლევდნენ მათ მიწის ნორმას. პარტიული უჯრედებისა და კომიტეტების განკარგულებით, ადმინისტრაციული იძულების წესით იხურებოდა ეკლესიები.[5]

სენაკის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე სამსონ მამულია 1923 წელს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილში წერდა: 25 თებერვალი, საქართველოს გასაბჭოების 2 წლისთავი შესანიშნავი დღე იყო ეკლესიების გაუქმებით. ეკლესიები გაუქმდა შემდეგ თემებში: ხორშში, სუჯუნაში, ნაესაკოვოში, ნახუნავოში, ნოქალაქევში, გეჯეთში და სხვ. ხალხი სახურავიდან გლეჯდა ჯვრებს, გარეთ ყრიდნენ ხატებს. სუჯუნაში სინაგოგაც გაუქმდა. ეკლესიები გადაკეთდა სკოლებად, კლუბებად, სახალხო სახლებად. 27 თებერვალს ქ. ახალსენაკში გაიმართა მიტინგი, რომელმაც დაადგინა ქალაქის ეკლესიის სახალხო სახლად გადაკეთება. მიტინგის მონაწილენი გაემართნენ ეკლესიისაკენ, სახურავიდან ჩამოხსნეს ჯვარი, ხატები ეზოში გამოიტანეს. შეტევა რელიგიის წინააღმდეგ ხდება მემამულეების წინააღმდეგ გლეხების შეტევასთან ერთად. რელიგიური გრძნობების შესუსტების ნიშანია ეკლესიაში მოსიარულეთა რიცხვის თანდათან კლება, სასულიერო პირებისადმი უპატივცემლობა, ზოგიერთი საეკლესიო წესის შეუსრულებლობა. მოსახლეობაში დაიწყო უკანასკნელი რელიგიური გრძნობების ნაშთების აღმოფხვრა.[6] 25 თებერვალს სენაკის მაზრის სოფლებშიც გაიმართა კრებები, რომელმაც დაადგინა ეკლესიების გაუქმება. გეჯეთის თემში მოწყობილმა კრებამ დაადგინა მთავარანგელოზის ეკლესიის დახურვა და მისი თეატრად გადაკეთება.[7] მარტვილის რაიონის თემებში ყველა ეკლესია სკოლებად, სახალხო სახლებად და სამკითხველოებად გადააკეთეს. 17 მღვდელი იძულებული გახდა ანაფორა გაეხადა და ამაზე აღმასკომებში განცხადება შეეტანათ.[8] სამიქაოს თემში მოწყობილმა საზოგადო კრებამ დაადგინა სოფლის ყოფილი ეკლესია, რომელიც რამდენიმე კვირის წინ გაუქმდა, სასოფლო კლუბად გადაეკეთებინათ.[9] ხორშის თემში ჯერ კიდევ 1922 წლის 24 დეკემბერს შედგა კრება, რომელმაც განიხილა საკითხი რვაწლიანი შრომის სკოლის შენობის შეძენის შესახებ. კრებამ დაადგინა: რადგან ხორშის თემში არის 9 ეკლესია, რომელშიც ხალხი არ დადის, ამ ცხრა ეკლესიიდან რამდენიმე მოხმარდეს შრომის სკოლის შენობას. დადგენილების სისრულეში მოყვანა აღმასკომს დაევალა.[10] დახურეს შუა საუკუნეების ეკის იოანე ნათლისმცემ-

---

[1] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 39.

[2] **ი. კვესელავა**, XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, გვ. 80-81.

[3] ახალ-სენაკი, გაზ. ,,კომუნისტი", №84, 1923 წ. 15 აპრილი.

[4] **ა. სიჭინავა**, ეკის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, გვ. 40.

[5] **ა. მუჯირი**, ოცდაოთხი წლის აგვისტოს ცხელი დღეები, გაზ. ,,კომუნისტი", 1990 წ. 26 აგვისტო.

[6] **ს. მამულია**, შეტევა რელიგიის წინააღმდეგ სენაკის მაზრაში, გაზ. ,,კომუნისტი", №58, 1923 წ. 15 მარტი.

[7] გეჯეთის თემი, გაზ. ,,კომუნისტი", №88, 1923 წ. 20 აპრილი.

[8] **ი. მონიავა**, მარტვილის რაიონი, გაზ. კომუნისტი, №73, 1923 წ. 1 აპრილი.

[9] **ს. ჯიქია**, ს. სამიქაო (სენაკის მაზრა), გაზ. ,,კომუნისტი", №75, 1923 წ. 4 აპრილი.

[10] **ა. ბუკია**, ს. ხორში (სენაკის მაზრა), გაზ. ,,კომუნისტი", №75, 1923 წ. 4 აპრილი.

ლის ეკლესია;[1] დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დახურეს, მისი ურთხელის ხის მასალა სოფ. კიწიაში წაიღეს და საბავშვო ბაღი ააგეს.[2]

სოფ. ხორშში ადგილობრივმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა გამოსცეს დადგენილებები ძველ სასაფლაოზე, ე. ი. ეკლესიის ეზოში, მიცვალებულის დამარხვის აკრძალვის შესახებ. გამოიყო ახალი სასაფლაოები, სადაც წითელი დროშები აღმართეს. სოფელ ჟინოთაში მიცვალებული საფლავიდან ამოიღეს და ახალ სასაფლაოზე დაკრძალეს.[3]

ეკლესიის წინააღმდეგ ისტერიული ბრძოლის პირობებში არაერთი ისტორიული ღირებულების ძეგლი განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ხელისუფლება იძულებული გახდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების დაცვის მიზნით გარკვეული ზომები მიეღო. 1923 წლის 21 მარტს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მიზნით სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი შეიქმნა.[4] 1923 წლის 17 აპრილს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტმა ცირკულიარი დაუგზავნა სამაზრო აღმასკომებს, რომლითაც აუწყა აღნიშნული კომიტეტის შექმნა, ამასთანავე გაუგზავნა „განსაკუთრებით დიდი ფასეულობის ძეგლების ნუსხა, რომელთაც საისტორიო-სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ“, მათ შორის, სენაკის მაზრაში: მარტვილი, ტყვირი, სუჯუნა; ზუგდიდის მაზრაში: ხობი, ცაიში, კორცხელი, წალენჯიხა, ყულისკარი.[5]

ეკლესიების დახურვის გამო ხალხის უკმაყოფილებამ საქართველოს კპ ცკ იძულებული გახადა მიეღო სპეციალური დადგენილება ეკლესიების დახურვის შეწყვეტის შესახებ. ხელისუფლებამ გადაწყვიტა მორწმუნეთათვის ეკლესიების ნაწილი დაებრუნებინა.[6] საქართველოს სსრ ცაკ-ის 1924 წლის 21 ნოემბრის დადგენილებით ყველა მორწმუნეს შეეძლო ესარგებლა ეკლესიებითა და სამლოცველო სახლებით, თუ ისინი დააარსებდნენ რელიგიურ საზოგადოებას, რომლის წევრთა რიცხვი 7-ზე ნაკლები არ იქნებოდა.[7] ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში მხოლოდ ათამდე ეკლესია დატოვეს როგორც ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი, მათ შორის: მარტვილის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების, ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების, ოცინდალეს წმ. გიორგის, ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის, წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების, ცაიშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების, კორცხელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების, მენჯის მთავარანგელოზთა, სენაკის საკალანდარიშვილოს და სხვ.

კეთილარში, გულეკარსა და კოდორში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიები იყო. კეთილარის ცენტრში, შემაღლებულ ადგილას ქვის საძირკველზე იდგა ლამაზი, გუმბათოვანი ხის ეკლესია, რომელიც კრამიტით იყო გადახურული. ამ ეკლესიის მღვდლები იყვნენ ბესარიონ და დომენტი ფირცხალავები, ღვიძლი ძმები. ეკლესიას მგალობელთა გუნდი ჰყავდა. ყოველ კვირას და საეკლესიო დღესასწაულებზე იმართებოდა წირვა-ლოცვა, რაც 1924 წლამდე არ შეწყვეტილა. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბოლშევიკებმა ტაძრის დანგრევა გადაწყვიტეს. მთელი სოფელი შეიკრიბა „ოხვამეკარში“, როგორც მაშინ სოფლის ცენტრს ეძახდნენ. ხალხი შფოთავდა, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა. ღონისძიებას ხემძღვანელობდა ბოლშევიკი ძოკო მესხია. ეკლესიის გუმბათზე ავიდა სოფლის მტკიცე ბოლშევიკად წოდებული პოლიკარპე ჩაგანავა, ჯვარი მოგლიჯა და ძირს გადმოაგდო. ამის შემყურე ხალხი გაოგნდა, გაშეშდა, ზოგი მიწას განერთხა. გამხეცებული კომკავშირლები და მათგან წაქეზებული ზოგი გლეხის ბიჭი „ურას“ ძახილით შევარდა ტაძარში, გამოყარეს ჯვარ-ხატები, საეკლესიო წიგნები, ბაირაღები

---

[1] **ა. სიჭინავა**, ეკის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, თბ., 2016, გვ. 40.

[2] **ა. სიჭინავა**, დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, თბ., 2020, გვ. 63.

[3] **ი. კვესელავა**, XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, გვ. 82.

[4] **გ. სოსიაშვილი**, მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობანი შიდა ქართლში XX საუკუნის I მეოთხედში, თბ., 2014, გვ. 28.

[5] საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის არქივი, ფ. 3, აღწ. 1, საქმე 37, ფურც. 39; **გ. სოსიაშვილი**, მართლმადიდებელი ეკლესია ..., გვ. 29-34.

[6] **ა. მუჯირი**, ოცდაოთხი წლის აგვისტოს ცხელი დღეები, გაზ. ,,კომუნისტი“, 1990 წ. 26 აგვისტო.

[7] **ი. კვესელავა**, XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, გვ. 83, 87.

და ცეცხლი წაუკიდეს. მოსახლეობამ მხოლოდ ზოგიერთი ხატის გადარჩენა შეძლო. ტაძარი კლუბად გადააკეთრეს და აქ სოფლის კრებები იმართებოდა. 1933 წელს ტაძარი დაანგრიეს.[1] ეკლესიის ეზოში იდგა ჯარგვალი, სადაც მონაზვნები, ელისაბედ და თამარ ქობულიები ცხოვრობდნენ. მათ ხალხი სამადლოდ უგზავნიდა საჭმელს და ისინიც შემომწირველი გლეხების ოჯახებისთვის ლოცულობდნენ, საფლავებს უვლიდნენ. ეს მონაზვნები ეკლესიის დანგრევის შემდეგაც აქ ცხოვრობდნენ და კომუნისტები მათ არ ერჩოდნენ.[2]

ბოლშევიკების შემოსვლამდე კოდორის ეკლესიაში მღვდელმსახურებას ბარნაბა თადეოზის ძე ბზიავა ეწეოდა. იგი კოდორში 1886 წელს დაიბადა, მისი ბაბუა – სიმონ ბზიავაც მღვდელი იყო. ბარნაბა ბზიავას სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული. ეკლესია კეთილარის კოდორის სასაფლაოს შუაგულში იდგა. ეკლესია ბაზილიკური ტიპის იყო, ლურჯად შეღებილი, გარს აივნები უვლიდა. იქვე, ცაცხვის ხეებზე, ზარები ეკიდა. მერე ეკლესია დაშალეს და მისი მასალებით კოდორის ხის სკოლა ააშენეს. ამის შემდეგ ბარნაბა ბზიავა გულეკარის ეკლესიაში დადიოდა. მას აიძულებდნენ ანაფორა გაეხადა და ღმერთი დაეგმო, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად არაერთგზისი გაფრთხილებისა, იგი ჩუმად ეწეოდა ღვთისმსახურებას, სასიმინდეების ქვემოთ და ბოსლებში ნათლავდა ბავშვებს, ღამღამობით დაჰყავდათ მიცვალებულისთვის წესის ასაგებად. ადგილობრივ ბოლშევიკებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მღვდელი დააპატიმრეს და აწამეს, თუმცა შემდეგ გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ის იძულებული გახდა ოჯახით სხვაგან გადასახლებულიყო.[3] დევნიდნენ დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდელს დავით თოდუას და მედავითნე ავქსენტი ჟვანიას. აკრძალვის მიუხედავად დავით თოდუა ფარულად ეწეოდა მღვდელმსახურებას, ნათლავდა ბავშვებს.[4]

ანტირელიგიური კამპანია განსაკუთრებით 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ გაძლიერდა. მარტვილის მონასტერი დაარბიეს, სამრეკლოდან ზარები ჩამოაგდეს, დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის საფლავები შეურაცხყვეს; ფოთის საკათედრო ტაძარი დახურეს, ხოლო 1933 წელს თეატრად გადააკეთეს.[5] ჭოღის მთავარანგელოზის ეკლესია დაანგრიეს. ეკლესიის მღვდელმა არჩილ ხარებავამ მოახერხა რამდენიმე ხატის გადარჩენა, მათ შორის იყო მთავარანგელოზთა ხატი, რომელიც ქიაჩის ეკლესიიდან XVII ს. მეორე ნახევარში გადმოასვენეს. მრავალი წლის შემდეგ, არჩილ ხარებავას შვილმა, ჯემალ ხარებავამ მთავარანგელოზთა ხატი გერმანე შენგელიას ოჯახს გადასცა და დღემდე ამ ოჯახში ინახება. ანტირელიგიურ კამპანიას კოკის თემისა და დღვაბის ეკლესიებიც შეეწირა. დღვაბის ხის ეკლესია, აგებული XIX ს. 70-80-იან წლებში, 1924 წელს დაშალეს და მასალა სკოლის ასაშენებლად გამოიყენეს.[6] კოკის შუა საუკუნეების ეკლესია ასევე დაანგრიეს. 1924 წელს დაანგრიეს ნოჯიხევის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესია, უფალკარის წმ. გიორგის ხის ეკლესია. დევნას განიცდიდა სამღვდელოება. სასულიერო პირებს აიძულებდნენ დაეტოვებინათ ეკლესია-მონასტრები, ანაფორა გაეხადათ, ვინც ურჩობას გაბედავდა, მასზე პირდაპირ ძალადობდნენ, ძალით ხდიდნენ ანაფორას და კრეჭდნენ, ყოველმხრივ ავიწროებდნენ. დეკანოზი ტროფიმე ჯოხთაბერიძე (1873-1947) იძულებული გახდა 1923 წელს ანაფორა გაეხადა და პედაგოგიური საქმიანობა დაეწყო.[7] სეფიეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის დეკანოზი ანტონ ბოკუჩავა სოფლის ნამდვილი თავკაცი იყო. კომუნისტურმა ხელისუფლებამ მასაც დაუპირა ანაფორის გახდა და გაკრეჭა, მაგრამ მან მტკი-

---

[1] თეოდორე სარდიონის ძე თელიას (დაბ. 1917წ.) მოგონებანი, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 80-81.

[2] თეოდორე სარდიონის ძე თელიას (დაბ. 1917წ.) მოგონებანი, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 81-82.

[3] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა,** ,,ესე სოფელი კეთილ არს" (ისტორიული ალმანახი), გვ. 104-105.

[4] **ა. სიჭინავა**, დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, გვ. 64.

[5] **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 520.

[6] **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 309.

[7] გაზ. ,,საპატრიარქოს უწყებანი", 2017 წ. №18, გვ.

ცედ დაიცვა თავი. 1926 წელს ტაძარი დახურეს, მაგრამ იგი სახლში განაგრძობდა ღვთისმსახურებას და მრევლიც იქ აკითხავდა. ასე გაგრძელდა მის გარდაცვალებამდე.[1]

საბჭოთა ხელისუფლებამ საარჩევნო უფლება ჩამოართვა სამღვდელოებას, ყოფილ თავადაზნაურებს, ვაჭრებსა და მათი ოჯახის წევრებს, ასევე სულით ავადმყოფებს. შემორჩენილია კოკის სასოფლო საბჭოში საარჩევნო უფლებას მოკლებულთა სია, რომელიც 1928 წლის დეკემბერშია შედგენილი.[2]

საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სია

N	გვარი, სახელი, მამის სახელი	რომელი წლიდან არის წართმეული	მიზეზი წართმევის
	ს. დიდი კოკი		
1	ცხაკაია ნესტორი ეგნატეს ძე	1921	მღდელი
2	ცხაკაია აქვსენთი მათეს ძე	1921	დიაკონი
3	ფუფულო ისიდორეს ას	1926	დიაკონის ცოლი
4	გერგედავა უჯუ ანტოს ძე	-	ვაჭარი
5	პაპავა ვლადიმერი ალექსის ძე	-	-
6	ჟენია (???)		ვაჭრის ცოლი
7	ნარმანია კალისტრატე თათა ძე		ვაჭარი
8	(???) ესტატე სესის ძე		ვაჭარი
9	ნარმანია აკაკი ბეთოს ძე		ვაჭარი
10	გერგედავა ივლიტა ადამურის ას		ვაჭრის ცოლი
11	გერგედავა პიმე ანტოს ძე		ვაჭარი
12	კოდუა ვანო გიორგის ძე		ვაჭარი
13	კოდუა ვარლამი გიორგის ძე		ვაჭარი
14	ნარმანია გრაფი		ვაჭრის ცოლი
15	ნარმანია მინუშა		ვაჭრის ცოლი
16	გულუა ნადე		ვაჭრის ცოლი
17	ნარმანია აკაკი ფარნას ძე		ჭკუიდან შეშლილი
	სოფ. პატარა კოკი		
1	ჯგუშია თეუფანე ზოსიმეს ძე	1921	მღვდელი
2	ჯგუშია მანანა		მღვდელის ცოლი
3	ეხვაია სოგრატი მიხას ძე		ვაჭარი
4	ეხვაია ხუტა ტიტუას ძე		ვაჭარი
5	ეხვაია ფუფულო		ვაჭარი
6	გელენავა შამელი ბაზალას ძე		ბერი
7	გელენავა ხვახვალა გუძის ძე		ვაჭარი
8	შენგელია მიხა მიქეს ძე		ვაჭარი
9	გულაია შერემბო პახვალას ძე		ბერი
10	პერტაია მაქსიმე		ვაჭარი
11	ხუფაცარია ლავრენტი ბეგოს ძე		ვაჭარი
12	ხუფაცარია ნაზია ბეგლარის ას		ვაჭრის ცოლი

[1] **გ. მაჩურიშვილი, ლ. ტოგონიძე**, XVIII-XX საუკუნეებში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2012, გვ. 172.

[2] სრული სია ინახება ექსპედიციის არქივში.

ეკლესიების დახურვა და დანგრევა, სამღვდელოების დევნა არ ნიშნავდა მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და მისი წეს-ჩვეულებების აღმოფხვრას, რადგან რელიგიური ტრადიციები ხალხის შეგნებაში ღრმად იყო გამჯდარი.

ადმინისტრაციული დაყოფა და მოსახლეობის 1926 წლის აღწერა. საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წლიდან გააუქმა სათემო სისტემა და მომჭირნეობის მიზნით შექმნა მსხვილი სასოფლო საბჭოები და რაიონები, მაგრამ სასოფლო საბჭოები მოკლებული აღმოჩნდნენ ელემენტარულ უფლებებს. ყოველგვარი სამოქალაქო აქტის დამოწმებისათვის, კერძოდ, ქორწინების, დაბადების, გარდაცვალების რეგისტრაციისათვის გლეხებს რაიონულ ცენტრებში უხდებოდათ წასვლა. ასეთი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, 1924 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოფლების დაწვრილერთეულების შესახებ. 1925 წელს კვლავ აღადგინეს სათემო სისტემა.[1]

1926 წელს მთელი სსრ კავშირის მაშტაბით მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა ჩატარდა. აღწერის პროგრამა 14 მუხლს მოიცავდა: სქესი, ასაკი, ეროვნება, მშობლიური ენა, დაბადების ადგილი, ჩაწერის ადგილას ცხოვრების ხანგრძლივობა, ქორწინება, განათლება, ფიზიკური ნაკლი, ფსიქიკური მდგომარეობა, საქმიანობის სფერო (უმუშევართათვის – უწინდელი საქმიანობის სფერო და არსებობის საშუალება), ოჯახის შემადგენლობა, საცხოვრებელი პირობები. აღწერა დაიწყო 17 დეკემბერს და სოფლებში ორი კვირა გაგრძელდა, ქალაქებში – ერთი კვირა. აღწერის შედეგები 1927 წელს გამოქვეყნდა.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით 1926 წელს *გულეიკარ-კეთილარის სასოფლო საბჭო* სოფლებით გულეიკარი (სასოფლო საბჭოს ცენტრი), კეთილარი, კოდორი II, სენაკის მაზრის აბაშის რაიონში შედიოდა. გულეიკარ-კეთილარის სასოფლო საბჭოს მოსახლეობა შეადგენდა 324 კომლს, 1387 კაცი (ყველა ქართველი). *ხუნწის სასოფლო საბჭოში* (მარტვილის რაიონი) შედიოდა სოფლები: ლეციცხვაიე, სუხჩე, ხუნწი ზედა, ხუნწი ქვედა. ხუნწის სასოფლო საბჭოში ცხოვრობდა 639 კომლი, 2918 კაცი. მარტვილის სასოფლო საბჭოს სოფელ *ხუნწში* ცხოვრობდა 51 კომლი (270 კაცი), ყველა ქართველი. *ხორშის სასოფლო საბჭოში* (სენაკის რაიონი) შედიოდა სოფლები: ზემო კარი, საადანაიო, საგუგუნაო, სკურდი, ციზეთი, ხორში დიდი, ხორში შუა. ხორშის სასოფლო საბჭოში ცხოვრობდა 737 კომლი (3298 კაცი), მათ შორის: ქართველი - 3287, რუსი – 1, სომეხი – 5, სხვა ეროვნების – 5. *კოკის სასოფლო საბჭოში* (ზუგდიდის რაიონი) შედიოდა სოფლები: დიდი კოკი, პატარა კოკი, მანჩას კახათი (ახალი კახათი), ორსანტია, ოტობაია. თემში ცხოვრობდა 780 კომლი (3629 კაცი). ქართველი იყო 3623, ხოლო 4 – აფხაზი, 2 – სხვა ეროვნების. *ჭოღის სასოფლო საბჭოში* (ჩხოროწყუს რაიონი) შედიოდა სოფლები: ლექარჩე, ჭოღა I, ჭოღა II, ხანწკი. სასოფლო საბჭოს მოსახლეობის რაოდენობა ასეთი იყო: ლექარჩე – 89 კომლი (461 კაცი), ჭოღა I – 160 კომლი (727 კაცი), ჭოღა II – 199 კომლი (970 კაცი), ხანწკი - 36 კომლი (164 კაცი). თემის მთელი მოსახლეობა ქართული იყო. *ჯგალის სასოფლო საბჭოში* (წალენჯიხის რაიონი) შედიოდა სოფლები: ლარა (მედანის ნაწილი), ლეთოფურიე-კანთი, ლეკაკულე, ლესალე, მედანი, ჯგალი. სასოფლო საბჭოს მოსახლეობის რაოდენობა — 565 კომლი (2630 კაცი). თემის მთელი მოსახლეობა ქართული იყო, მხოლოდ სოფელ ჯგალში ცხოვრობდა ერთი აფხაზი.[2]

კოლექტიური მეურნეობების შექმნა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეძლებულ მეურნეობებს სიძნელეები შეექმნათ. შეძლებული გლეხები შავ სიებში შეჰყავდათ, ართმევდნენ ქონებას და სოფლიდან ასახლებდნენ.

ასეთი ვითარების გამო, კეთილარის თემში დიდიებისა და ჭილაიების ოჯახები მძიმე განსაცდელში ჩავარდნენ. მათი სახლები ააოხრეს. 1927 წლის 31 ივლისს კეთილარში, სოფლის თემის აღმასკომის პარტუჯრედისა და კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით, კრება ჩატარდა, რომელსაც აღმასკომის თავჯდომარე ბიქტორ ქაჩიბაია უძღვებოდა. კრება გულეკარელ აზნაურ ზინო ჭილაიას საკითხს მიეძღვნა. მოისმინეს სოფლის აქტიური კომუნისტის ივანე ჩაგანავას მოხსენება ზინო ჭილაიას თაობაზე. აზრი გამოთქვეს ვალიკო წულაიამ, სანდრო ჩიტეიშ-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. VII, გვ. 246.

[2] საქართველოს სსრ ადმინისტრატიულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 122-126, 141-147.

ვილმა და სხვებმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზინო ჭილაია კლასობრივი მტერია, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მამული და ქონება ჩამოერთვა, აქვს დიდი, კრამიტით გადახურული სახლი „დოხორე“ და ფლობს დიდძალ ქონებას. სხდომის დადგენილებით ზინო ჭილაია შავ სიაში შეიყვანეს. იმ დროს შავ სიაში შეტანილ ადამიანებს დიდ ცოდვად ეთვლებოდათ კრამიტით გადახურული სახლის ქონა. კრამიტი ძვირი ღირდა და ხალხი ძირითადად ისლით დახურულ ფაცხებსა და ჯარგვალებში ცხოვრობდა.[1] ამის შემდეგ ზინო ჭილაიას ოჯახს მრავალი სიმწარე აგემეს, რის გამოც ეს ოჯახი იძულებული გახდა სოფლიდან გადახვეწილიყო.[2]

საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მწვავედ იდგა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხი, რომელიც ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებას გულისხმობდა. სახალხო მეურნეობის აღდგენის ეტაპზე გაჩნდა გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების სხვადასხვა ფორმა: მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა, კომუნა, კოლმეურნეობა-არტელი. კოოპერაციის ყველაზე დაბალი სახე იყო მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა, სადაც გაერთიანებული იყო მიწათსარგებლობა და შრომა, ამასთანავე გლეხის განკარგულებაში რჩებოდა ცოცხალი გამწევი ძალა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; სასოფლო-სამეურნეო კომუნებში საერთო იყო წარმოება და განაწილება, განსაზოგადოებული იყო როგორც წარმოების საშუალებები, ისე კომუნის წევრთა პირადი მეურნეობაც. ამ ეტაპზე საბჭოთა ხელისუფლებამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა, რომ კომუნა გამხდარიყო სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა. კოლექტიური მეურნეობის მაღალი საფეხურია სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიც გარდა მიწათსარგებლობისა და შრომისა, გაერთიანებული იყო მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სამეურნეო ნაგებობანი და პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო; გლეხის პირად განკარგულებაში რჩებოდა საცხოვრებელი ნაგებობანი, პროდუქტიული პირუტყვის განსაზღვრული რაოდენობა, შინაური ფრინველი, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, რომელიც აუცილებელი იყო პირად საკუთრებაში დარჩენილი პირუტყვის მოვლა-შენახვისთვის, წვრილი ინვენტარი დამხმარე მეურნეობის წარმოებისათვის.[3] იმავდროულად, იქმნებოდა საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც სახალხო მამულებად იწოდებოდა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომელიც ნებაყოფლობის საფუძველზე წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების ახალ ტექნიკაზე დამყარებულ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლას გულისხმობდა, საქართველოში 1928 წლიდან დაიწყო. მას საფუძვლად დაედო 1927 წლის დეკემბერში საკ. კპ (ბ) XV ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კოლექტივიზაციის განხორციელების შესახებ. საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითად ფორმად სასოფლო-სამეურნეო არტელი იქნა მიჩნეული.[4] საქართველოს კპ (ბ) ცკ 1928 წლის თებერვლის პლენუმმა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის კონკრეტული ღონისძიებები დასახა. იმავე წლის 11 აგვისტოს პლენუმის დადგენილებით ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაევალა გაეძლიერებინა მუშაობა საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ტექნიკური კულტურების გავრცელებისათვის.[5]

სოფლის მეურნეობის კოოპერაციის მიზანი იყო სახელმწიფოს პური ჰქონოდა, რადგან საბჭოთა სახელმწიფო ვალუტის მოძიებას საზღვარგარეთ პურის გატანით ახერხებდა. 20-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებამ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარდა, მარცვლეულის თითქმის უფასოდ ჩაბარებაც დააწესა. დამატებითი გადასახადისაგან თავის

---

[1] თეოდორე სარდიონის ძე თელიას (დაბ. 1917წ.) მოგონებანი, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 79-80.

[2] თეოდორე სარდიონის ძე თელიას (დაბ. 1917წ.) მოგონებანი, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 79-80.

[3] **ა. ჩერქეზიშვილი**, საკოლმეურნეო მშენებლობის გარიჟრაჟზე, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“, №11, გვ. 40-41.

[4] **ე. ქვათაძე**, საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის, გვ. 34-35.

[5] **ა. ჩერქეზიშვილი**, საკოლმეურნეო მშენებლობის გარიჟრაჟზე, გვ. 40-41.

არიდების მიზნით, გლეხობამ მის ხელთ არსებული მარცვლეულის გადამალვა დაიწყო, შეამცირა მისი მოყვანაც, რაც ნეპის გაუქმებას ნიშნავდა და ქვეყანას კრახით ემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში, 1928 წელს საბჭოთა კავშირი აგრარულმა კრიზისმა მოიცვა. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა მოსახლეობის პურით მომარაგების მხრივ. არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლის მოსახლეობაც უპუროდ დარჩა. დაიწყო „პურის კრიზისი".[1] სასურსათო მდგომარეობა გამწვავდა საქართველოშიც, სადაც 1929 წელს შიმშილობა დაიწყო, მათ შორის სამეგრელოში. მთავრობა იძულებული გახდა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ფოთში პურის დიდი პარტია შემოეტანა. ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირის უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ისეთი აგრარული პოლიტიკა გაეტარებინა, რომელიც აგრარული პროდუქციის უზარმაზარ მასას სახელმწიფოს ხელში მოუყრიდა თავს. ასეთი სისტემის მთავარ ფორმად კოლექტიური მეურნეობა ჩაითვალა.[2]

დაიწყო სასოფლო-სამეურნეო არტელების შექმნა, რომლებსაც ტექნიკის მხრივ დახმარებას აღუთქვამდნენ. ამასთან, ეს ღონისძიება ზღუდავდა შეძლებულ გლეხთა, რომლებიც კულაკებად მონათლეს, მეურნეობების განვითარებას. თავდაპირველად, საკოლმეურნეო მოძრაობა სოფლად ნებაყოფლობითი პრინციპით მიმდინარეობდა. კოლექტიურ მეურნეობებში მეტწილად შედიოდნენ ღარიბი გლეხები და მოჯამაგირეები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ეს ნაბიჯი მათ დაქირავების მძიმე ტვირთისაგან იხსნიდა.[3]

იმავე ხანებში დაიწყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი ეკონომიკური გეგმების შემუშავება. 1929 წლის აპრილში საქართველოს სსრ საბჭოების V ყრილობამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების I ხუთწლიანი გეგმა (1928-1932) დაამტკიცა.

საქართველოს კპ (ბ) XV ყრილობამ 1929 წლის ივლისში საგანგებოდ იმსჯელა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნა წამყვანი დარგების ჩამორჩენა და დასახა სოფლისადმი სახელმწიფოს დახმარების გაძლიერების ღონისძიებები – კრედიტების გამოყოფა, საბჭოთა მეურნეობებში კაპიტალდაბანდებების გაზრდა.[4] საკოლმეურნეო მოძრაობის გაფართოებასთან დაკავშირებით მთელი ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღების საკითხი დადგა. 1928 წელს უკრაინაში შეიქმნა პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგური (მტს), რომელსაც კოლექტიური მეურნეობები მანქანა-იარაღებით უნდა მოემარაგებინა. 1929 წლის 5 ივლისს მიღებულ იქნა საკავშირო კანონი „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ორგანიზების შესახებ". ამ დროიდან მტს-ების მშენებლობამ ფართო ხასიათი მიიღო. იმავე წელს საქართველოში შეიქმნა სამი მანქანა-ტრაქტორთა სადგური, მათ შორის, ერთი დასავლეთ საქართველოში – აბაშაში. მაგრამ ის სრულიად ვერ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნებს, მეურნეობათა დიდი ნაწილი გლეხურ ინვენტარს ემყარებოდა.[5] იმავდროულად, მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში, სპეციალურ კურსებზე ამზადებდნენ ტრაქტორისტებს, მექანიზატორებს, ზეინკლებს, ელექტრიკოსებს; დაარსდა აგრონომიული და ვეტერინარული სასწავლო პუნქტები, რომლებიც საშუალო კვალიფიკაციის კადრებს ამზადებდნენ.[6]

შემოდგომიდან საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო მოძრაობა. ნებაყოფლობითობა ადმინისტრირებაში გადაიზარდა, დაიწყო გლეხურ მეურნეობათა იძულებით შერეკვა კოლმეურნეობებში. ხელისუფლებას იერიში მიჰქონდა გლეხთა საშუალო ფენაზე, რომელიც სოფლის მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდა.

---

[1] **ფ. ლომაშვილი**, პოლიტბიუროს საიდუმლო არქივიდან, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ,,მაცნე", ისტორიის ... სერია*, 2012, №2, გვ. 202.

[2] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 318-319.

[3] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 301.

[4] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 302.

[5] სინ, ტ. VII, გვ. 489; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 302.

[6] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 303.

ამ ნაბიჯს მოწესრიგებულ მეურნეობათა გაჩანაგება მოჰყვა. საკოლმეურნეო მოძრაობა აშკარა ძალადობად გადაიქცა, რასაც გლეხობის პროტესტი მოჰყვა.[1]

საკოლმეურნეო მოძრაობა სოფელში მტკივნეულად, მძაფრი სოციალური ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა. მასობრივად ხდებოდა კოლმეურნეობათა შექმნის ხელოვნურად დაჩქარება. ამ მიზნით იქმნებოდა წვრილი კოლმეურნეობები; კოლექტივიზაციის პროცესში არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივ ვითარებას; კოლექტიურ მეურნეობაში ყველა ერთბაშად შეჰყავდათ, იძულებით აერთიანებდნენ მათ უძრავ-მოძრავ ქონებას; გამრჯე, წელგამართული გლეხები შავ სიებში შეჰყავდათ და მათ სოფლიდან ერეკებოდნენ. სხვისი ნაშრომის დასაკუთრებას მიჩვეული სოფლის უსაქმური ელემენტები მშრომელ ხალხს უსწორებდნენ ანგარიშს, რომ მათ ქონებას დაპატრონებოდნენ. ამავე დროს, დიდი იყო აშკარა წინააღმდეგობა: კულაკები გამოსვლებს აწყობდნენ, კოლმეურნეთა ნათესებს ანადგურებდნენ, გლეხებს ურჩევდნენ დაეხოცათ მუშა-საქონელი, რათა კოლმეურნეობის საკუთრება არ გამხდარიყო, ზოგან აქტივისტებსაც ესხმოდნენ თავს.[2]

1930 წლის დამდეგიდან საკოლმეურნეო მოძრაობა მთლიან კოლექტივიზაციაში გადაიზარდა, რომელიც შეძლებული გლეხობის, ანუ როგორც მათ ეძახდნენ კულაკობის, როგორც სოციალური ფენის ლიკვიდაციას გულისხმობდა. ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის პირობებში კულაკობის ლიკვიდაცია უმტკივნეულოდ ჩაივლიდა, და თვით საკოლმეურნეო წყობილებასაც მყარ ეკონომიკურ ბაზას შეუქმნიდა.[3] ამ პროცესს შეძლებული გლეხების წინააღმდეგ რეპრესიები მოჰყვა. გაუქმდა კანონები იჯარისა და დაქირავებული შრომის შესახებ, რითაც ფაქტობრივად ნეპ-ი გაუქმდა; მოიხსნა განკულაკების აკრძალვა; კულაკობის, როგორც სოციალური ფენის ლიკვიდაციის პროცესში ერთმანეთში ურევდნენ კულაკსა და საშუალო გლეხს, რის გამოც ეს უკანასკნელიც განკულაკების მსხვერპლი ხდებოდა. განკულაკება ქონების ჩამორთმევას გულისხმობდა. ჩამორთმეული ქონება, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, კოლმეურნეობების საკუთრებაში გადადიოდა.[4]

1930 წლის 5 იანვარს საკ. კპ (ბ) ცკ-მა მიიღო დადგენილება „კოლექტივიზაციის ტემპისა და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის სახელმწიფოს დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“.[5] დადგენილების თანახმად კოლექტივიზაცია I ხუთწლედის (1928-1932) ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო. იმავდროულად, საქართველოს კპ ცკ 1930 წლის იანვრის პლენუმმა განიხილა საკითხი „კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ საქართველოში“. საკოლმეურნეო მშენებლობამ იმდენად მახინჯი ფორმები მიიღო, რომ პარტია იძულებული გახდა დაშვებული შეცდომები ეღიარებინა. იმავე წლის 14 მარტს საკ. კპ (ბ) ცკ მიიღო დადგენილება „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდებასთან ბრძოლის შესახებ“. დადგენილება მოითხოვდა საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესში დაშვებული შეცდომების აღმოფხვრას. როგორც აღინიშნა, შეცდომები დაკავშირებული იყო საშუალო გლეხობისადმი მიდგომასთან, საკოლმეურნეო მშენებლობაში ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევასთან, ადგილობრივ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობასთან, რასაც გლეხთა უკმაყოფილება მოჰყვა. აქვე, მხილებული იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის გვერდის ავლით პირდაპირ კომუნაზე ნაჩქარევად გადასვლა, საცხოვრებელ ნაგებობათა, წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის ძალდატანებითი განსაზოგადოება.[6] მარტის ბოლოს, კოლექტივიზაციის ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო კახეთში, იმერეთსა და სამეგრელოში გაემგზავრნენ საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის წარმომადგენლები: მიხეილ კახიანი (საქართველოს კპ ცკ I მდივანი), ფილიპე მახარაძე (სახკომსაბჭოს თავმჯდომარე), სახალხო კომისრები

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 264-265, 301.

[2] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 265-266, 302-303.

[3] **ფ. ლომაშვილი**, პოლიტბიუროს საიდუმლო არქივიდან, გვ. 200

[4] **История СССР,** эпоха социализма*, под редакцией С. А. Сераева,* გვ. 237-238; საქართველოს ისტორია, IV, გვ. 303; **ფ. ლომაშვილი**, პოლიტბიუროს საიდუმლო არქივიდან, გვ. 199.

[5] სინ, ტ. VII, გვ. 524; **ე. ქვათაძე**, საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის, გვ. 35.

[6] **ე. ქვათაძე**, საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიისათვის, გვ. 37-38; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 305.

და სხვ. დელეგაციას მწერლებიც ახლდნენ — კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სიმონ წვერავა. კოლექტივიზაციის მძიმე პროცესი შემდეგ მათ ნაწარმოებებში აისახა.[1] იმავე ხანებში გამოქვეყნდა სტალინის სტატიები „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“ და „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“, სადაც განმარტებული იყო შეცდომების მიზეზები და მათი დაძლევის გზები.[2] საკ. კპ (ბ) ცკ პოლიტ-ბიურომ 2 აპრილის დადგენილებით აღიარა „დაშვებული შეცდომები“, „გადახრები“ საკოლმეურ-ნეო მშენებლობაში, რის საფუძველზეც აღიარა ძალდატანების მეთოდის მასობრივი გამოყენება და თვით საშუალო გლეხთა განკულაკება მხოლოდ მათი „ქონების დანაწილების“ მიზნით, საკოლმე-ურნეო მშენებლობის ფორსირება, რამაც საშიში ხასიათი მიიღო. იმავდროულად, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საკოლმეურნეო მშენებლობას მხარს არ უჭერდა თვით „ღარიბი და საშუალო გლეხობის დიდი უმრავლესობა“; კოლექტივიზაციის გზას საშუალო და ღარიბ გლეხთა მხოლოდ უმცირესობა დაადგა. მიუხედავად ამ აღიარებისა, საკ. კპ (ბ) XVI ყრილობამ (1930 წლის ივნისი-ივ-ლისი) დასახა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ამოცანა. განახლდა საკოლმეურნეო მშენებლობის „საკონტროლო“ ციფრების ზემოდან დადგენა, რაც ადრე ხელისუფლებამ თვითონვე დაგმო.[3]

სოფლის კოლექტივიზაციის მიმართულებით დაშვებული უხეში შეცდომები საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც აღიარა. აღინიშნა, რომ ამის შედეგი იყო კოლმეურნეობები-დან გლეხების გამოსვლა. კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით სოფელში მოისპო მსხვილფეხა საქონელი; სოფლად ძალით, მუქარით ათესვინებდნენ ბამბას, ჩაის, სიმინდს და სხვ. გლეხები უარს ამბობდნენ აბრეშუმის ჭიის დასმაზე, რადგან მთავრობა ფუთ პარკს 25 მანეთად იბარებ-და, მაშინ როდესაც ერთი წყვილი გლეხური წაღა 40-50 მან ღირდა. იმავე ხანებში ფული გაუფა-სურდა, სასურსათო მაღაზიები დაცარიელდა, — ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, საპონი, მაღაზიებ-ში აღარ იშოვებოდა. გლეხს არ შეეძლო თავისუფლად გაეტანა ბაზარზე თავისი ნაწარმი. 1928 წელს დაწყებულმა სასურსათო კრიზისმა 1930-1931 წწ. უკიდურეს ზღვარს მიაღწია.[4]

1930 წლის მაისიდან რამდენადმე შეიცვალა კოლექტივიზაციის განხორციელების მეთო-დები, რის შედეგადაც კოლმეურნეობებიდან გლეხობის გასვლა შესუსტდა ან შეწყდა და ისინი კვლავ კოლმეურნეობებს უბრუნდებოდნენ. 1930 წლამდე კოლმეურნეთა უმრავლესობას შეად-გენდა უსაქონლო, უღარიბესი და ღარიბი გლეხობა, მაგრამ საშუალო გლეხობის კოლმეურნეო-ბისაკენ შემობრუნებამ განაპირობა მუშა-საქონლის რაოდენობის გაზრდა; საშუალო გლეხობის კოლმეურნეობაში გაერთიანების ზრდას ხელი შეუწყო სოფლის მომარაგებამ სასოფლო-სამე-ურნეო ტექნიკით. მტს-ების შექმნამ, რომლებიც მათთან დადებული ხელშეკრულებების საფუძ-ველზე კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევდნენ. ამდენად, აგრარული რეფორმა, რომელიც აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის გატარდა მემამულეთა მიწების კონფისკაციის სა-ხით, 30-იან წლებამდე გაგრძელდა. იმავდროულად, 1930 წლის განმავლობაში საქართველოში კულაკობა, ანუ სოფლის მეურნეობაში ჩაბმული ის ადამიანები და მათი ოჯახის წევრები, რომ-ლებიც სხვისი შრომის ექსპლუატაციას ეწეოდნენ, სხვებთან შედარებით მეტ მატერიალურ დოვლათს და აგრეთვე გამწევ საქონელს ფლობდნენ, როგორც სოციალური ფენა, ძირითადად ლიკვიდირებულ იქნა, თუმცა ამაში მათი ფიზიკური განადგურება არ იგულისხმებოდა.[5]

საქართველოში მასობრივი კოლექტივიზაცია 1931 წელს დაიწყო და მისი დამთავრება სა-კავშირო გეგმით 1933 წელს იყო ნავარაუდევი, მაგრამ რესპუბლიკის იმდროინდელმა ხელ-მძღვანელობამ დაარღვია საკ. კპ (ბ) ცკ-ის 1930 წლის 5 იანვრის დადგენილებით გათვალისწინე-

---

[1] **ს. წვერავა**, ჩემი ავტობიოგრაფია, წიგნ. მწერალთა ავტობიოგრაფიები, წ. II, თბ., 2013, გვ. 231.

[2] **ი. სტალინი**, თავბრუდახვევა წარმატებებისაგან. საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხებისათვის, გაზ. ,,კომუნისტი“, №51, 1930 წ. 4 მარტი; **ი. სტალინი**, პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს, გაზ. ,,კომუნისტი“, №76, 1930 წ. 4 აპრილი; სინ, ტ. VII, გვ. 527-529.

[3] **ფ. ლომაშვილი**, პოლიტბიუროს საიდუმლო არქივიდან, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ,,მაცნე“, ისტორიის ... სერია*, 2012, №2, გვ. 202.

[4] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 267.

[5] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 305-306.

ბული ვადა და კოლექტივიზაციის 1932 წლისთვის დამთავრება გადაწყვიტა. ამ მიზნით იგი კოლექტივიზაციის ხელოვნურად დაჩქარების გზას დაადგა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა საკოლმეურნეო მოძრაობაში მიმართეს შიშველი ადმინისტრირების, „შეჯიბრებების“ პრაქტიკას; დაშინებას, რაც შეძლებული გლეხების „შავ სიებში“ შეტანას, საარჩევნო უფლების ჩამორთმევასა და სხვა ღონისძიებებს გულისხმობდა.[1] რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს კოლექტივიზაციის წარსამართად მოქმედების მიზანდასახული პროგრამა არ გააჩნდათ. ხშირად თვლიდნენ, რომ მსხვილფეხა პირუტყვის გარდა წვრილფეხა პირუტყვი და ფრინველიც უნდა გაესაზოგადოებინათ. ხელმძღვანელი პირები თითქმის ვერაფერს ეუბნებოდნენ ადგილობრივ მუშაკებს მათ წინაშე წამოჭრილი საკითხების თაობაზე, რამაც კოლმეურნეობათა მშენებლობაში გაუგებრობები და გამწვავებები გამოიწვია. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საჭირო გახდა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება, მათ შორის საქართველოს კპ (ბ) ცკ ხელმძღვანელობის შეცვლა.[2]

* * *

პირველი კოლექტიური მეურნეობების შექმნა სამეგრელოში 1927-1928 წლებში მიწის დამმუშავებელი ამხანაგობების („სოზ“) ჩამოყალიბებით დაიწყო. ამხანაგობის წევრები მუშაობას იმით იწყებდნენ, რომ განაზოგადებდნენ მიწებს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს – კავს, ურემს, მუშა საქონელს, ძირითადად ხარებს. მიწების განზოგადებისა და ფართობის მოწყობის პერიოდში, მიწის მესაკუთრეებსა და გაერთიანების წევრებს შორის იყო წინააღმდეგობები, მაგრამ ზემდგომი ორგანოების ჩარევით ეს საკითხი არტელის წევრთა სასარგებლოდ დროულად გვარდებოდა. კოლმეურნეებმა თავიანთი საქმიანობა ჩაის პლანტაციების გაშენებით დაიწყეს. ჩაის გაშენება მაშინ, მთელ რესპუბლიკაში ახლად წამოწყებული საქმე იყო და გაშენების გეგმა არ იყო განსაზღვრული, შეიძლებოდა იმდენის გაშენება, რამდენსაც შეძლებდი, ნებადართული იყო აგრეთვე ჩაის ინდივიდუალურად გაშენება. მთავრობა ჩაის გასაშენებლად იძლეოდა კრედიტს, დაახლოებით 300 მანეთს ჰექტარზე, 7 წლის ვადით. ამასთან, აწარმოებდნენ დასაქონლებას, ე. ი. წარმოების მოცულობის შესაბამისად იძლეოდნენ ფართლეულს და ხორბალს, რომელსაც გაერთიანების წევრები თანაბრად ინაწილებდნენ სამუშაოზე გამოსული კაცდღეების მიხედვით. შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა მაღალ დონეზე იდგა. გაერთიანების ყველა წევრი შრომობდა მაქსიმალური დატვირთვით – დილის 8 საათიდან თითქმის დაღამებამდე. დახარჯული შრომის მეტნაკლებობას არავინ ანგარიშობდა. შესრულებულ სამუშაოზე თვის ბოლოს დგებოდა შესრულების აქტი, რის საფუძველზეც ბანკიდან იღებდნენ სესხს, რასაც ანაწილებდნენ კაცდღეების მიხედვით. ასეთი ერთსულოვანი და თავდადებული შრომის შედეგად შესაძლებელი გახდა აგროწესების დაცვით ჩაის დათესვა. სამუშაოები ხელით სრულდებოდა. კოლმეურნეები წმენდდნენ ეკალ-ბარდითა და ჯაგნარით დაფარულ ეწერ მიწებს, ბარავდნენ და ჩაის დასათესად ამზადებდნენ. იმ წლებში ათობით ჰექტარზე გაშენდა ჩაის პლანტაცია. პირველ ხანებში, კოლმეურნეებს აკლდათ გამოცდილება ჩაის გაშენების საქმეში, მაგრამ შემდეგ ცოდნაც შეიძინეს და გამოცდილებაც დააგროვეს. მოწინავე კოლმეურნეებისათვის ტარდებოდა მატერიალური წახალისების ღონისძიებები, ნაწილდებოდა სამრეწველო საქონელი, უმთავრესად ქსოვილი, ფეხსაცმელი, მარცვლეული, შაქარი და სხვ. ასეთი ღონისძიებები მშრომელებში დიდ ინტერესს იწვევდა. კოლმეურნეები უფრო მეტი მონდომებით ეკიდებოდნენ საქმეს, მკვეთრად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე შრომის ახალი ფორმების – სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის შემოღებამ. კოლმეურნეობებში, ფართოდ დაინერგა შრომის ეს ნოვატორული ფორმები.[3]

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 303-304.

[2] **კ. ჩარკვიანი**, განცდილი და ნააზრევი. 1906/1994. თბ., 2004, გვ. 71-75.

[3] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, თბ., 1979, გვ. 20-21

იმ ხანებში ხალხი სურსათისა და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, მთავრობა ზრუნავდა მდგომარეობის გამოსასწორებლად – შემოჰქონდათ სურსათი, სამრეწველო ნაწარმი, მაგრამ ხალხის მოთხოვნილებას ეს მინიმალურად ვერ აკმაყოფილებდა. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეები ბედნიერი მომავლის იმედით ყოველგვარ სიძნელეებს იტანდნენ, დღიურ გეგმა-დავალებებს გადაჭარბებით ასრულებდნენ. იმ დროს ყოველგვარი სამუშაო სრულდებოდა ხელით და პრიმიტიული სამუშაო იარაღით – თოხი, ბარი, წერაქვი, ცელი, ნამგალი, ცული, ნაჯახი, კავი და სხვა.[1]

კოლმეურნეობები კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ. თავმჯდომარეებად დაბალი განათლების მქონე, საკოლმეურნეო ორგანიზაციის საკითხებში გაურკვეველი ადამიანები ინიშნებოდნენ, ამიტომ ისინი ხშირად იცვლებოდნენ ან თვითონ ანებებდნენ თავს სამუშაოს.

კოლექტივიზაციას ზუგდიდის მაზრაში ხელმძღვანელობდა ისაკ ჟვანია, 1925-1930 წლებში სამაზრო კომიტეტის, ხოლო 1930-1937 წლებში – ზუგდიდის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი; ადგილებზე – ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის რაიონებში – პარტიის რაიკომები და რაისაბჭოს აღმასკომები, წალენჯიხის რაიონში – პარტიის რაიკომის მდივანი ევგენი უბირია და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ელიზბარ სარია; სენაკის მაზრაში – სამაზრო კომიტეტის, ხოლო შემდეგ სენაკის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი, ადგილებზე, აბაშის, მარტვილის რაიონებში – პარტიის რაიკომები და რაისაბჭოს აღმასკომები.

1928 წელს სამეგრელოს სოფლებში მიწის საზოგადოებრივად დამმუშავებული ამხანაგობების შესაქმნელად მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა დაიწყო. იმავე წლის შემოდგომაზე სოფელ ჯგალის ლეკაკულეს უბანში შეიქმნა „სოზი“, რომელსაც „ალი“ უწოდეს. მის თავმჯდომარედ აირჩიეს კომკავშირელი შურა ბარდღუს ასული კვარაცხელია. კოლმეურნეებმა დაიწყეს ჩაის კულტურის გაშენება. სოფელში ჩაი პირველმა თეიმურაზ მორგოშიამ გააშენა. მან ჯერ კიდევ ამხანაგობის შექმნამდე დაიწყო საკუთარ ნაკვეთზე ჩაის სათესი ნიადაგის მომზადება და ჩაის თესვა.[2] 1927-1928 წლებში თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე ჩაი გააშენეს აგრეთვე პეტრე და ნაუ სალიებმა, ლევან და ათანასე კვარაცხელიებმა. ახალგაზრდებმა გვიმრითა და ეკალბარდებით დახლართული ტახილ-ბელერის უკაცრიელი ადგილის დამუშავება გადაწყვიტეს, მაგრამ ამ მიწების ყოფილმა მეპატრონე გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ახალგაზრდებმა ამ შემთხვევაში დაუთმეს მოხუცებს და იქაურობას გაეცალნენ. როგორც ჩანდა, მიწებს მათი ყოფილი მეპატრონეები არ თმობდნენ. მაშინ, ახალგაზრდა გლეხმა კაპიტონ ახრუს ძე კვარაცხელიამ მამამისის ნამოსახლარი 10 ქცევამდე მიწა შესთავაზა ახალგაზრდებს ჩაის პლანტაციის გასაშენებლად. სულ მალე კოცონის ალში გაეხვია მთელი არე-მარე, იწვოდა გადამხმარი გვიმრა და ეკალ-ბარდი. გადიოდა დრო, ჰექტარს ჰექტარი ემატებოდა. მალე ჩაის პლანტაციებით დაიფარა ეს ადგილები, მაგრამ კოლმეურნეთა რიგები ჯერ კიდევ მცირე იყო.[3]

იმავე შემოდგომაზე სოფ. ჯგალის ქვემო ლეკაკულესა და ლეფიფიეს უბნებში დაარსდა „სოზი“, რომელსაც „ჩერგეზი“ ეწოდა. მის თავმჯდომარედ კაპიტონ ტაგუს ძე ფიფია აირჩიეს. ამხანაგობა შეუდგა ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის გაწმენდა-დამუშავებას, მაგრამ აქაც მიწის ყოფილ მეპატრონეთა მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდნენ, თუმცა ხელისუფლების ჩარევის შედეგად პრობლემა მოგვარდა. 1931 წლიდან „ჩერგეზს“ სახელად „დამკვრელი“ უწოდეს.[4] კოლმეურნეობის წევრები შეუდგნენ ჩაის თესვას. იმ წლებში ჩაის პლანტაცია ათობით ჰექტარზე გაშენდა.[5]

---

[1] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 17.
[2] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 11-12.
[3] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 12-15.
[4] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 16-17.
[5] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 17; **ა. კ. კვარაცხელია.** ნეკროლოგი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №10, 1975 წ. 23 იანვარი.

1930 წლის ზაფხულში სოფელში ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეთა კოოპერირების ორგანიზატორი იყო სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტარასი კვარაცხელია. იგი იწვევდა საუბნო კრებებს, არწმუნებდა მოსახლეობას კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში და კოლმეურნეობაში გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა. ამის შემდეგ უმრავლესობამ სურვილი გამოთქვა შესულიყვნენ კოლმეურნეობაში. მცირე ნაწილი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, მათ საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ, კოლმეურნეები გამხდარიყვნენ, თუ მამაპაპეულ კერძო, ერთპიროვნულ მეურნეებად დარჩენილიყვნენ. მოგვიანებით ისინი ნელ-ნელა შეუერთდნენ კოლმეურნეობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარეები მოვალეობის შესრულებასთან ერთად, ფიზიკურადაც შრომობდნენ და არავითარ დამატებით ანაზღაურებას არ იღებდნენ.[1]

იმავე ხანებში სოფელ ჯგალის ლეკაკულეს უბანში ზინაიდა ჯახაიას თაოსნობით კიდევ ერთი „სოზი“ ჩამოყალიბდა, რომელსაც „პირველი მაისი“ უწოდეს, რადგან კოლმეურნეობის დაარსება 1 მაისის დღესასწაულს დაემთხვა. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ სოფრომ მიქავა აირჩიეს. 1933 წელს კოლმეურნეობა ამავე უბნის უფრო მსხვილ კოლმეურნეობას „ჭითა ლეკაკულეს“ შეუერთდა. ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელსაც მოსე კვარაცხელიას სახელი ეწოდა. მოსე კვარაცხელიამ, რომელიც ამ უბანში, ღარიბი გლეხის მურზა კვარაცხელიას ოჯახში დაიბადა, ცარიზმის წლებში ბავშვობისა და ჭაბუკობის მეტად მძიმე გზა განვლო და ბოლშევიკ-რევოლუციონერად ჩამოყალიბდა; მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას თბილისში პასუხსაგები თანამდებობები ეკავა.[2]

1928 წლის გაზაფხულზე სოფელ ჯგალის ლესალეს უბანში ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა, — ერასტო, ივანე, ფილიპე, სარდიონ, ვიქტორ სალიებმა, — შექმნეს ახალგაზრდული ჯგუფი 6 კაცის შემადგენლობით. მათი მიზანი იყო დახმარებოდნენ ერთმანეთს, ე. ი. ერთ დღეს ექვსივე ახალგაზრდა მუშაობდა ერთ ოჯახში, მეორე დღეს – მეორე ოჯახში და ა. შ. ისვენებდნენ მხოლოდ კვირა დღეს. ამ ჯგუფის ბაზაზე 1929 წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა „სოზი“, რომელსაც სახელად „გამარჯვება“ უწოდეს. „გამარჯვების“ კოლმეურნეებმა თავიანთი საქმიანობა ჩაის პლანტაციის გაშენებით დაიწყეს. 1930 წლის გაზაფხულზე შეძლეს აგრონესების დაცვით ჩაის 7 ჰექტარზე დათესვა.[3] 1932 წლისთვის უბნის მთელი მოსახლეობა უკვე კოლმეურნეობის წევრი იყო.

1930 წლის ზამთარში საფუძველი ჩაეყარა სოფელ ჯგალის ლეხარჩილეს უბნის კოლმეურნეობას, მიწის საზოგადოებრივი შრომით დამმუშავებულ ამხანაგობას, რომელსაც ფილიპე მახარაძის სახელი ეწოდა. პირველ კოლმეურნეებს თანდათან ახალი წევრები უერთდებოდნენ და წლის დამლევისათვის უკვე უბნის თითქმის მთელი მოსახლეობა კოლმეურნეობაში იყო გაერთიანებული. იმავე წლის გაზაფხულზე კოლმეურნეებმა ბელერის ტერიტორიაზე გააშენეს ჩაის პლანტაცია.[4] საკოლმეურნეო მშენებლობაში, აგრეთვე ჩაის, ტუნგოსა და სხვა კულტურების გაშენებაში აქტიურად მონაწილეობდა ლევან ანდრიას ძე კვარაცხელია (1919-1989).[5]

მიწის დამმუშავებელი ამხანაგობების შექმნა მასობრივად დაიწყო. 1928 წლის შემოდგომაზე გაჭედილის თემის სოფელ სკურდში, 1918 წლის გამოსვლების ერთ-ერთმა მონაწილემ რაჟდენ წულაიამ შექმნა პირველი მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა „პირველი სხივი“, რომლის გამგეობასაც თავისი სახლი დაუთმო.[6] იმავე ხანებში სოფელ ნარაზენში დაარსდა სოზი „ალი“, რომელიც 23 ღარიბ გლეხს და მოჯამაგირეს აერთიანებდა. მათ 14 ჰექტარზე გააშენეს ჯერ თამბაქო, შემდეგ — ჩაი.[7]

---

[1] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 15.
[2] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 15-16.
[3] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 17-19.
[4] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 20-24.
[5] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №90, 1989 წ. 5 აგვისტო.
[6] **ც. თურქაძე**, თაობათა გადაძახილი, გაზ. ,,სოფლის ცხოვრება“, 1987 წ. 31 ოქტომბერი.
[7] **ბ. ბიგვავა**, ნარაზენი, თბ., 1976, გვ. 9.

ჭოღის სასოფლო საბჭოში 1928 წელს ჩამოყალიბდა მიწის საზოგადოებრივად დამმუშავებელი ამხანაგობები: პირველ ჭოღაში — „შონიათი“, „ეწერი“, „ხანწკი“; მეორე ჭოღაში — „ახალი ცხოვრება“, „კომუნიზმი“, „უგურთმაყალობა“. ისინი ორგანიზაციულად და მეურნეობრივად სუსტები იყვნენ. კოლმეურნეობების შექმნის საქმეში ჭოღელმა კომუნისტებმაც დაუშვეს შეცდომები. მათ გადაწყვიტეს მოვლენები დაეჩქარებინათ და 1932 წლისათვის სოფელში კოლექტივიზაცია მთლიანად დაემთავრებინათ. ამ მიზნით მათ 1930 წლის 6 თებერვალს სოფლის მოედანზე ჭოღის თემის ყრილობა მოიწვიეს. მაგრამ ყრილობა ჩაიშალა კარა პაპავას მეთაურობით თაიელ და ჭოღელ ქალთა კოლექტივიზაციის საწინააღმდეგო გამოსვლის შედეგად. ჭოღელებმა დაგმეს კოლექტივიზაცია გატარებაში „მემარცხენე“ ხასიათის ნახტომები.[1] კოლმეურნეობებს ძირითადად სიმინდი მოჰყავდათ. 1932 წელს პირველ და მეორე ჭოღაში არსებული ამხანაგობების ბაზაზე ორი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. ამის შემდეგ დაიწყო სოფელში ჩაის, ვენახის, ტუნგოს, თამბაქოს და სხვა კულტურების გაშენება, მეცხოველეობისა და მეაბრეშუმეობის განვითარება. ჭოღაში გაერთიანებული არტელის პირველი თავჯდომარე იყო არტემონ აბშილავა, რომელიც შემდეგ ოთარ შენგელიამ შეცვალა. შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ალექსი ქარჩავა.[2]

კოკის სასოფლო საბჭოში 1930 წელს რამდენიმე ამხანაგობა და არტელი ჩამოყალიბდა. კოლმეურნეობები ძირითადად მესიმინდეობაზე იყო ორიენტირებული. იმავდროულად დაიწყო ჩაის გაშენება. *ხუნწის სასოფლო საბჭოში* 1930 წელს ჩამოყალიბდა: ზედა ხუნწში — კოლმეურნეობა „პირველი ნაბიჯი“, ქვედა ხუნწში — მიხა ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა და კოლმეურნეობა „წითელი მეურნე“. შემდეგ ლეციცხვაიეში შეიქმნა შალვა ელიავას სახელობის კოლმეურნეობა.[3] *გულეიკარ-კეთილარში* კოლექტივიზაცია 1930 წლიდან დაიწყო. ამ დროს სოფელში ბევრი კრება იმართებოდა. გლეხები პირველად ყოყმანობდნენ, მაგრამ შემდეგ კოლექტივში გაერთიანდნენ. იყვნენ გამონაკლისებიც, რომლებსაც კულაკები ან შავსიელები ერქვათ. მათ ქონებას ართმევდნენ და ასახლებდნენ. სამივე სოფელში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობები, რომლებიც მესიმინდეობაზე იყო ორიენტირებული. 1931 წელს სოფელ კოდორში დაარსდა კოლმეურნეობა, რომელშიც 60-მდე კომლი გაერთიანდა. გულეკარის კოლმეურნეობას ერქვა „ჩვენი მიღწევა“, კეთილარისას – „ცხოვრება“, კოდორისას – „ოქტომბრის სხივი“.[4]

როდესაც კეთილარის თემში კოლექტივიზაცია დაიწყო და ხალხს ძალით ართმევდნენ პირუტყვსა და მიწებს, ამის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა კეთილარის მკვიდრმა კონსტანტინე საბულუამ. იგი განათლებული კაცი იყო, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მენშევიკურ პარტიაში გაწევრიანდა. კეთილარის თემში მისი თანამოაზრეები იყვნენ: ელიზბარ კაჭარავა, ბარდღა თელია, პანტელეიმონ გუგუშვილი, გარსევან საბულუა, პარმენ შელია, ანდრია ჩაგანავა და სხვები. კ. საბულუა ასე თუ ისე, შეურიგდა ახალ ხელისუფლებას, მაგრამ კოლექტივიზაციის პროცესი მისი სისასტიკის გამო გააპროტესტა. კ. საბულუა და მისი თანამოაზრეები დააპატიმრეს. გადასახლებიდან იგი ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა და 1945 წელს გარდაიცვალა.[5]

30-იან წლებში კეთილარის კოლმეურნეობების ვეტექიმები უჩიოდნენ აქაურ ნოტიო კლიმატს, რის გამოც პირუტყვი ავადდებოდა ციებით და წველას უკლებდა. ვეტექიმების განცხადებით საჭირო იყო პირუტყვის მაღალმთიანი ზონის საბალახოზე გარეკვა. ასეთ საბალახოდ მოიაზრებოდა ჩოხატაურის რაიონის მაღალმთიანი საბალახო „ულეველა“, ბახმაროს სიახლოვეს. ეს ადგილები ძალიან ნოყიერი იყო ბალახით და ჯანსაღი ჰაერით განთქმული. აქ ბალახი არასოდეს ილეოდა, ამიტომაც ეძახდნენ „ულეველას“. კეთილარის თემის სამივე სოფელს გამოეყო ჩოხატაურში მთის საძოვარი „ულეველა“, რის სანაცვლოდაც ჩოხატაურის რაიონმა მიიღო კეთილარის სასოფლო საბ-

---

[1] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 232.

[2] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 232.

[3] **შ. კაკულია**, ხუნწი — საგაზაფხულო თესვის ფრონტზე, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №14, 1933 წ. 24 აპრილი.

[4] პროკოფი არსენის ძე ჩაგანავას მოგონება, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 87.

[5] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 106-107.

ჭოს დაქვემდებარებაში არსებული მიწები, ძირითადად გულეკარის მასივები. კოლმეურნეობის მწყემსები ყოველ გაზაფხულზე მიერეკებოდნენ პირუტყვს „ულეველას“ საძოვრებზე.[1]

თორსასა და დღვაბაშიც კოლექტივიზაციის პროცესი 1929 წელს დაიწყო, როდესაც ალექსანდრე ბებურიას თაოსნობით მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა ჩამოყალიბდა. შემდეგში იგი კოლმეურნეობად გადაკეთდა. აქ დაიწყო ციტრუსების, ჩაის, დაფნის გაშენება. მოსახლეობა ძირითადად სიმინდის მოყვანას მისდევდა. საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ გამოსვლები იყო თორსაშიც, სადაც არტელების შექმნის წინააღმდეგ განსაკუთრებით ქალები აქტიურობდნენ.[2]

სოფელ ზანაში 1928 წელს დაიწყო მიწის დამმუშავებელი ამხანაგობების ჩამოყალიბება. გლეხებმა დაიწყეს ჩაის გაშენება.[3] მთავარი მაინც მესიმინდეობა იყო. 1930 წლიდან ზანაში იქმნება პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელები.[4] 1927-1928 წლებში *ხორშში* დაიწყო მიწის პირველი ამხანაგურად დამმუშავებელი ამხანაგობების ჩამოყალიბება. ისინი კოლექტიურად ამუშავებდნენ მანამდე გამოუყენებელ მიწებს ჩაის კულტურისთვის. „სოზის“ პირველი წევრები იყვნენ: თომა მიგინეიშვილი, ვლადიმერ გუგუნავა, სამსონ კაზარიანცი და სხვები, რომლებიც ვალიკო გუგუნავას ხელმძღვანელობით დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ ხორშის უბან როკონაში.[5] 1928 წლიდან ხორშის თემში დაიწყო ჩაის გაშენება. უწინ ეკალ-ბარდებით დაფარული ადგილები ამ უხვმოსავლიანი და რენტაბელური კულტურის ბუჩქებით დაიფარა.

1929 წელს ხორშში დაიწყო ეთერზეთოვანი კულტურის გერანის გაშენება. გერანის პირველი ნერგები ხორშის სასკოლო ნაკვეთის 2 ჰექტარზე გაშენდა. პირველმა მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა, სარეკორდო მოსავალი იქნა მიღებული, ათი ტონა თითო ჰექტარზე. გერანის მწვანე მასა სოფ. ნოსირში გადაამუშავეს. თითო ტონიდან 1200 გრ ნაცვლად 2200 გრ ზეთი მიიღეს.[6] მალე ხორშში სხვა ეთერზეთოვანი კულტურებიც გააშენეს: ყაზანლიყის ვარდი, ჟასმინი, ლავანდა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ხორშის ნიადაგს შეეგუა. 1929 წელს ხორშში დაარსდა გერანის (შემდეგში, ეთერზეთოვან კულტურათა) საბჭოთა მეურნეობა.[7] მის დირექტორად ვლადიმერ ბერაია, ხოლო მთავარ აგრონომად — ალექსანდრე კანკავა დაინიშნა.[8]

1930 წელს ხორშის თემში წვრილი გლეხური მეურნეობების გაერთიანებით კოლმეურნეობები შეიქმნა. თავდაპირველად ხორშის თემში 23 კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, მათ შორის: „ლენინის გზით“, „მერეხი“, „ჭითა ჩხორია“, „შარა კომუნაშა“, რომელთა თავმჯდომარეები იყვნენ ანდრონიკე კანკავა, პახული თუნთია, ძუკუ გვასალია, თეოფანე ადანაია, იაკობ კულუა და სხვ. კოლმეურნეობებში პირველები შევიდნენ: გუჯუ და იასონ კანკავები, ვასილ, ევგენი, ბაგრატ და ივანე გელანტიები, ლავრენტი, ვასილ, ანდრო, ფუხული, ტაია გვასალიები, ც. გოგენია, ვ. შურღულაია, ს. ტაბაღუა, ო. ღვამბერია, ი. ლორჩოშვილი და სხვები.[9]

სამეგრელოს სოფლებში პირველი ტრაქტორები გამოჩნდა. პირველი ტრაქტორი სოფელ ჩხოროწყუში 1930 წელს კალისტრატე წურწუმიამ ჩამოიყვანა.[10] 1931 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში პირველი ტრაქტორი ვანო წყაროზიამ შემოიყვანა. მან გაავლო მიწაზე პირველი ხნული ტრაქტორით. გაოცებული ხალხი ფეხდაფეხ მისდევდა ტრაქტორს და ვანო წყაროზიას ბედს შენატროდა.[11]

---

[1] თეოდორე სარდიონის ძე თელიას (დაბ. 1917წ.) მოგონებანი, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 78.

[2] **ბ. ჩხეიძე**, თორსადღვაბა, გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო“, №45, 1970 წ. 6 ნოემბერი.

[3] გაზ. ,,კოლხეთი“, №108, 1970 წ. 8 სექტემბერი.

[4] გაზ. ,,კოლხეთი“, №108, 1970 წ. 8 სექტემბერი.

[5] **ი. გვასალია, ე. გუგუნავა**, განახლებული ხორში, გაზ. ,,კოლხეთი“, №57, 1971 წ. 13 მაისი.

[6] **ა. ეჯიბია**, სოფლის მოამაგე, გაზ. ,,კოლხეთი“, №96, 1962 წ. 14 ოქტომბერი.

[7] **ი. გვასალია, ე. გუგუნავა**, განახლებული ხორში, გაზ. ,,კოლხეთი“, №57, 1971 წ. 13 მაისი.

[8] **ა. ეჯიბია**, სოფლის მოამაგე, გაზ. ,,კოლხეთი“, №96, 1962 წ. 14 ოქტომბერი.

[9] **ა. ეჯიბია**, ხორში, გაზ. ,,კოლხეთი“, №130, 1967 წ. 31 ოქტომბერი.

[10] **მ. კვირტია**, საინტერესო და მოსაგონარი, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №3, 1983 წ. 6 იანვარი.

[11] მექანიზატორთა ოჯახი, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1969 წ. №7, გვ. 7; **შ. შენგელი**, შამგონა დღეს, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1969 წ. №11, გვ. 11.

1926-1930 წლებში ტარდებოდა ღონისძიებები გლეხურ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების მიზნით. განვითარდა ცხრაწლედების ქსელი სასოფლო-სამეურნეო განხრით, დაარსდა დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლები, სადაც მოსწავლეები ელემენტარულ აგრონომიულ ცოდნას და მეურნეობაში მუშაობის წესებს ეუფლებოდნენ. მასობრივი პროფესიის კადრების მომზადებაში დიდი როლი შეასრულეს გლეხი ახალგაზრდობის სკოლებმა, ტრაქტორისტებს ამზადებდა მიწის სახალხო კომისარიატის თბილისის სახელოსნო, ხოლო ზოგიერთ რაიონში – მსხვილი საბჭოთა მეურნეობაც.[1]

საკოლმეურნეო მოძრაობამ გაამართლა ხელისუფლების მიზნები – სახელმწიფოს ხელში თავი მოიყარა იაფმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ, რომლის თავისუფალი განკარგვის უფლება მხოლოდ მას ჰქონდა.[2] ამასთანავე კოლექტივიზაციის არსი მდგომარეობდა სოფლად მიწის განსაზოგადოებაში, რაც ეწინააღმდეგებოდა საუკუნეების მანძილზე არსებული კერძო საკუთრებისა და ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ხასიათს და არ გამომდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ისტორიული კანონზომიერებიდან. საკოლმეურნეო წყობილება სოფლად იძულებით ამკვიდრებდა გათანაბრებას, რაც გლეხობის უნარისა და შესაძლებლობების რეალიზაციას ამუხრუჭებდა.[3]

1928-1929 წწ. ზუგდიდის მაზრაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ გაზეთ „კომუნისტში“ ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივნის ისაკ ჟვანიას ვრცელი წერილი გამოქვეყნდა. ისაკ ჟვანია სოფლის მეურნეობის მდგომარეობას ზოგადად ახასიათებდა. იგი წერდა, რომ მაზრაში მეურნეობის უმთავრესი დარგი მემინდვრეობა იყო, მთავარი კულტურა – სიმინდი. სიმინდის მოსავლიანობის გადიდების მიზნით, 1928 წლის 1 ოქტომბრიდან ზუგდიდის რაიონში გლეხურ მეურნეობებში მოეწყო საჩვენებელი ნაკვეთები. საჩვენებელი ნაკვეთები გლეხური მეურნეობებისაგან განსხვავდებოდა ნიადაგის კულტურულად დამუშავებით, გადარჩეული თესლის მოხმარებით, ადრე და მწკრივში დათესვით და სხვა მარტივი აგროღონისძიებებით. ასეთი წესით მოწყობილი ნაკვეთებიდან, გლეხების ნაკვეთებთან შედარებით, 90-100%-ით გადიდებული მოსავალი იქნა მიღებული. დაინერგა თესლბრუნვა, რომელშიც შედიოდა შემოდგომის ჭვავი. 1928 წელს სიმინდი დაითესა 41 ათას ჰექტარზე. მომდევნო წელს გათვალისწინებული იყო 46 ათას ჰექტარზე დათესვა, მაგრამ ხანგრძლივი ზამთრის, წვიმიანი გაზაფხულისა და მაის-ივნისში გვალვების გამო მხოლოდ 37 ათასი ჰექტარის მოხვნა მოხერხდა, დათესვით კი 26 ათას ჰექტარზე დაითესა. ხელისშემშლელი მიზეზი იყო აგრეთვე მაზრაში მუშა-საქონლისა და მანქანა-იარაღების მიწოდებაში სირთულე. გუთნები მარტში მიიღეს, თუმცა ადგილობრივი პირობებისთვის ნაკლებად გამოსადეგი აღმოჩნდა; სათესლედ მიღებული სიმინდიც უვარგისი აღმოჩნდა, რის გამოც ადგილზე 5500 ფუთი თესლი დამზადდა. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ზუგდიდის მაზრამ მოითხოვა 4 ტრაქტორი, 600 გუთანი, 300 ფარცხი, 129 სათესი, მაგრამ მიღებულ იქნა – 2 ტრაქტორი, 150 გუთანი, 30 ფარცხი, 45 სათესი. ყოველივე ამან პრობლემები შექმნა მარცვლეულის თესვისა და მოსავლიანობის გადიდების მხრივ.

მაზრაში შექმნილი იყო მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობა. 1929 წელს გათვალისწინებული იყო 700 ჰა თამბაქოს გაშენება, მაგრამ სათესლე მასალა და კრედიტი დროზე ვერ იქნა მიღებული, რის გამოც მხოლოდ 270 ჰექტარზე ჩატარდა კონტრაქცია. აქედან კოლექტივებს 170 ჰა ეკუთვნოდა. ი. ჟვანიას მიაჩნდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მეტი ყურადღება უნდა მიექცია ამ დარგისთვის, რადგან პროდუქციის ნახევარი ექსპორტზე გადიოდა. ი. ჟვანია აღნიშნავდა, რომ მაზრაში რამდენიმე მევენახეობის რაიონი იყო. 1928 წელს მაზრაში იყო 620 ჰა დამყნილი ვაზი. 1929 წელს გაშენდა 200 ჰა ვენახი, მაგრამ საქართველოს საგეგმო

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 413-414.
[2] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 344.
[3] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 306.

კომისიას მიაჩნდა, რომ სამეგრელოში მევენახეობას პერსპექტივა არ ჰქონდა და უარი უთხრა კრედიტზე.

ჩაის პლანტაციებს 1928-1929 წწ. დასაწყისში ეჭირა 375 ჰექტარი, მათ შორის კოლრქტივებში – 72 ჰექტარი. 1929 წელს გაშენდა 566 ჰექტარი, მათ შორის კოლექტივებში – 138,5 ჰექტარი. ყურადღება ექცეოდა ნიადაგის მომზადებას ჩაის კულტურისთვის, მაგრამ ი. ჟვანიას აზრით, მაზრაში მომუშავე 30 ცხენისძალის ტრაქტორები ამ მიზნით არ გამოდგებოდა, საჭირო იყო 50 ცხენისძალის ტრაქტორები. ხუთი წლის განმავლობაში მაზრას უნდა მიეღო 65 ასეთი ტრაქტორი, ამასთანავე მწვავედ იდგა კადრების საკითხი. საქართველოს კპ ცკ დადგენილებით ზუგდიდში უნდა გაეხსნათ სუბტროპიკული ტექნიკუმი, რაც დროულად უნდა შესრულებულიყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის მომშენებელი რაიონების პურით უზრუნველყოფას. თუ გლეხი ვერ დარწმუნდებოდა, რომ უზრუნველყოფილი იქნებოდა პურით, ის გაბედულად არ მოკიდებდა ხელს ჩაის გაშენებას. „ეს რაიონები უნდა უზრუნველვყოთ იაფი პურით და სიმინდით“, – წერდა ი. ჟვანია.

მაზრაში იყო 370 ათასი ფრთა შინაური ფრინველი. 1928 წელს საფუძველი ჩაეყარა ჯიშიანი ქათმების სანაშენეს, რომელსაც 1929 წელს 248 ჯიშიანი ფრინველი ჰყავდა. მესაქონლეობის განვითარების მიზნით საკვები მცენარეების საჩვენებელი ნაკვეთები მოეწყო. მაზრაში იყო 63 ათასი ადგილობრივი ჯიშის ღორი. მაზრიდან ყოველწლიურად 50 ათასი ფუთი ხორცი გადიოდა. 1927 წელს მოეწყო ჯიშიანი ღორების სანაშენე. ი. ჟვანია თვლიდა, რომ საჭირო იყო სახელმწიფოს დახმარება ამ დარგის განვითარებისათვის; მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა მეცხენეობას. ცხენი ერთ-ერთ მთავარ მუშა საქონელს წარმოადგენდა მთაგორიან ადგილებში, სადაც ტრაქტორი ვერ მოქმედებდა. ფართოდ იყო გავრცელებული მეაბრეშუმეობა. საშუალო წლიური მოსავალი 480 ათას კგ შეადგენდა. დარგის განვითარების მიზნით თუთის ხის სანერგეები მოეწყო ზუგდიდში, ჩხოროწყუში, ხობში, და 26 საინკუბაციო კამერა.

მაზრა სუსტად იყო მომარაგებული მანქანა-იარაღებით. 1928 წელს მაზრაში იყო 7 ტრაქტორი, 300 გუთანი, 88 ფარცხი, 77 სათესი მანქანა. მიწის დამუშავება დიდწილად ძველებურად კავით და სახნისით ხდებოდა.

1928 წელს მაზრაში იყო 49, ხოლო 1929 წლის 1 ივნისისთვის — 101 კოლმეურნეობა. მათში არ შედიოდა მიწის დამმუშავებელი ამხანაგობები. საკოლმეურნეო მშენებლობის თვალსაჩინო ხარვეზები იყო: მიწის მოუწყობლობა, მანქანა-იარაღების ნაკლებობა, ტექნიკური და აგრონომიული კადრების არყოლა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სუსტი მონაწილეობა კოლმშენებლობაში. მიუხედავად ამისა ღარიბ გლეხებს დიდი მისწრაფება ჰქონდათ კოლმეურნეობისაკენ. სოფ. გურიფულის კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო უკიდურესად ღარიბი გლეხობა. მათ არასოდეს ჰქონიათ საკუთარ მეურნეობაში 4 ქცევა სიმინდი, კოლექტივში კი თითო კომლზე მოდიოდა საუკეთესო დამუშავებული 11-12 ქცევა სიმინდი. ამ გარემოებამ გლეხობა წაახალისა. 1929 წელს მაზრაში დაითესა სიმინდი 44 ჰექტარზე, თუმცა 14 ათასი ჰა გვალვებმა გაანადგურა. ერთ ჰექტარზე მიღებულ იქნა 50 ფუთი სიმინდი, სულ კი – 1. 500 ათასი ფუთი. სულ, მაზრის გამოსაკვებად საჭირო იყო 2.200 ათასი ფუთი სიმინდი, მაგრამ 1929 წელს 700 ათასი ფუთი დააკლდა. მეტნაკლებად მოხერხდა მოსავლიანობის გადიდება, მიწის დამუშავება მანქანა-იარაღებით, მწკრივში თესვა, ადრე დათესვით და სხვა ღონისძიებებით, ამ საშუალებით მიღებულ იქნა 13 500 ფუთით მეტი.[1]

ჩაის პლანტაციების მასობრივად გაშენება სამეგრელოში 1928 წლიდან დაიწყო. ახალსენაკის მაზრაში 1927 წლამდე ჩაი 111,3 ჰექტარზე იყო გაშენებული. ჩაის ახალი პლანტაცია და მისი საერთო ფართობი 390 ჰა იყო. ამ დროს მაზრაში ჩამოყალიბებული იყო 27 სასოფლო-სამეურნეო არტელი, 49 ამხანაგობა და ერთი კომუნა, რომლებიც 1684 მეურნეს აერთიანებდნენ.[2] მაზრაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ჩაის გაშენება. მიწის დამუშავება ხელით ხდებოდა,

---

[1] **ი. ჟვანია**, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გზით, გაზ. ,,კომუნისტი“, 1929 წ. 23 ნოემბერი.

[2] გაზ. ,,კოლხეთი“, 1979 წ. 7 ივნისი.

ცოცხალი გამწევი ძალის დახმარებით. არ იყო ტექნიკა, მაგრამ დიდი იყო ენთუზიაზმი. იმავ-დროულად, ხდებოდა წახალისება. 1 ჰა მიწის დამუშავებისა და ჩაის დარგვისათვის ხელისუფ-ლება 70 ფუთამდე პურის მარცვალს, სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელს და 200 მანეთამ-დე ფულს იძლეოდა.[1]

ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის ელექტრიფიკაციას. 1923 წელს მდ.აბაშაზე, სოფელ ინჩხურში, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო. აბჰესის პირ-ველი აგრეგატი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1928 წლის 1 მაისს, ხოლო მეორე – 1929 წელს.[2] აბ-ჰესის ამოქმედებით დასაბამი მიეცა სოფლის ელექტრიფიკაციას საქართველოში. ეს იყო პირ-ველი ჰესი დასავლეთ საქართველოში. იგი ელექტროენერგიას აწვდიდა ქუთაისს, სამტრედიას, ფოთს და რაიონულ ცენტრებს – აბაშას, მარტვილს, სენაკს, ჩხოროწყუს. 30-იან წლებში, რიონ-ჰესის ექსპლოატაციაში შესვლისა და ზაჰესთან შეერთების შედეგად საქართველოს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემა ჩამოყალიბდა. დიდი ყურადღება ექცეოდა სარკინიგზო ქსე-ლის განვითარებას. 1926 წლიდან გაიშალა მუშაობა შავიზღვისპირა რკინიგზის მშენებლობის ახალსენაკი-ზუგდიდისა და ზუგდიდი-სოხუმის უბნებზე. მშენებლობაში ათასობით ადგილობ-რივი გლეხი ჩაერთო. ამ დროს ააგეს დიდი, რთული კონსტრუქციის ხიდი მდ. ცივზე. დიდი ფი-ნანსური და ტექნიკური სიძნელეების მიუხედავად, 1927 წლის 1 მაისიდან ამუშავდა ახალსენა-კი-ზუგდიდის რკინიგზის უბანი; დაჩქარდა ზუგდიდი-სოხუმის ხაზის მშენებლობა; ფართო ტემ-პით მიმდინარეობდა საავტომობილო გზების მშენებლობა.[3] ყოველივე ამას ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშენებლობა ორი ფორმით წარიმართა – კოლექ-ტიური მეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. 20-30-იან წლებში შეიქმნა პირველი საბჭოთა მეურნეობები.

სოფელ წალენჯიხის მახლობლად, ეწერ, ჭაობიან ადგილას, რომელსაც ზღვაიას ეძახ-დნენ, 1930 წლის შემოდგომაზე წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. თავდაპირველად მე-ურნეობას სიძნელეები ჰქონდა: ზუგდიდიდან წალენჯიხის მეურნეობამდე არ იყო გზა, არ იყო ელექტროენერგია, აბანო, საავადმყოფო. მეურნეობას თავდაპირველად 274 მუშა ჰყავდა, რაც არ კმაროდა და დიდი იყო მოთხოვნა მუშახელზე. მალე მეურნეობას 1450 ჰექტარზე გადაიჭიმა. 700 ჰექტარზე გაშენდა ჩაის პლანტაცია, შეიქმნა დასახლება ათასამდე მცხოვრებით: აშენდა ორსართულიანი ქვითკირის სახლები, საავადმყოფო, კლუბი, ელექტროსადგური, სარემონტო სახელოსნოები, გაიყვანეს მშვენიერი გზები. მეურნეობის მუშები ცდილობდნენ ჩაის პლანტა-ციაში სიმეჩხერე მოესპოთ; ნიადაგის გასანოყიერებლად იყენებდნენ ტორფს, რომელიც ზუგ-დიდის რაიონის სოფელ ანარიიდან მოჰქონდათ. ახალგაზრდა პლანტაცია ჯერ კიდევ სრულ მო-სავალს არ იძლეოდა. ჩაის კრეფის ნორმა 4 კგ იყო. მეურნეობის მუშა სერაფიმა ტალაველნიკო-ვა 12 კგ კრეფდა. მას სხვებივით კალათი ხელით კი არ დაჰქონდა, არამედ წელზე ჰქონდა მო-ხერხებულად მიმაგრებული და ჩაის ორივე ხელით კრეფდა. ის სხვებსაც ასწავლიდა ნაყოფიერ მუშაობას. მისმა მოწაფემ დარია ტკაჩენკომ ერთ დღეს 14 კგ ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მაგრამ ფოთოლი ნაწილობრივ უხარისხო აღმოჩნდა, ამიტომ სერაფიმა ტალაველნიკოვას რეკორდი, რეკორდად დარჩა.[4]

1930 წლის შემოდგომაზე შეიქმნა ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. მოეწყო ქარსა-ფარი ზოლები, გაშენდა კულტურული მცენარეები. მეურნეობის ტერიტორია 2152 ჰექტარს შე-ადგენდა, აქედან ჩაის პლანტაციას 1353 ჰექტარი ეკავა, სატყეო სანერგეს – 75 ჰექტარი, საბოს-

---

[1] გაზ. ,,კოლხეთი“, 1979 წ. 7 ივნისი; **ბ. ხაბურზანია**, უშაფათის ჩაის ფაბრიკა, თბ., 1984, გვ. 7.

[2] **ს. მამულია**, ჰიდრო-ელექტრონული სადგურის გაშენება მდ. აბაშის წყალვარდნილზე, გაზ. ,,კომუნისტი“, 1923 წ. 11 მარტი; **ს. მამულია**, როგორ შენდებოდა აბჰესი, გაზ. ,,კომუნისტი“, 1928 წ. 29 აპრილი; სინ, ტ. VII, გვ. 159, 352.

[3] სინ, ტ. VII, გვ. 366-367.

[4] **ა. ჭოჭუა**, ზღვაია, გაზ. ,,კომუნისტი“, 1936 წ. 2 თებერვალი; **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 32.

ტნეს – 20 ჰექტარი. მეურნეობა დაყოფილი იყო საწარმოო უბნებად, რომლებიც, თავის მხრივ, ქვეუბნებად იყოფოდა. უბნის ფართობი 150-200 ჰექტარს შეადგენდა, ქვეუბნის — 50-60 ჰექტარს. ჩაის პლანტაცია აგროწესების დაცვით იყო გაშენებული.[1] მეურნეობას არ ჰყავდა კვალიფიციური მუშახელი და არც ტექნიკა გააჩნდა, ყველა სამუშაო ხელით სრულდებოდა. მიუხედავად სიძნელეებისა, დიდი იყო ენთუზიაზმი. ხელით იქნა გადაბარული 100 ჰა მიწა ჩაის დასათესად.[2] მეურნეობაში გაიხსნა ჩაის ტექნიკუმი, რომელიც მეურნეობისთვის ბრიგადირებს, მებაღეებს, აგროტექნიკოსებს ამზადებდა. 1932 წელს ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის პირველი მოსავალი მიიღო.[3] 1932 წელს მეურნეობაში გაიხსნა საშუალო ტიპის სასწავლებელი სოვხოზუჩი, რომელიც ჩაის კულტურის მოშენება-მოვლისათვის საშუალო კვალიფიკაციის კადრებს ამზადებდა. სწავლის ვადა ორი წელი იყო და კურსდამთავრებულს საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოსის კვალიფიკაცია ენიჭებოდა. სოვხოზუჩში ღებულობდნენ შვიდწლიან სკოლადამთავრებულებს. მოსწავლეებს სტიპენდია ეძლეოდათ.[4] მეურნეობა რადიოფიცირებული იყო. რადიოგადაცემებს ზუგდიდის რადიოკვანძიდან იღებდნენ. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეების სახლებში რეპროდუქტორები იყო დამონტაჟებული. მუშა-მოსამსახურეები იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებნი – ქართველები და რუსები. მეურნეობაში გამოდიოდა კედლის გაზეთი, 1932 წლის მარტიდან გამოვიდა მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთი „ნარაზენიში ჩაი“ დეკადურად – მეგრულ, ქართულ, რუსულ ენებზე. მეურნეობას ჰქონდა კლუბი, სადაც კონცერტები, კინოსეანსები იმართებოდა. მეურნეობას ჰქონდა აგურის ქარხანა, სამჭედლო.[5]

1930 წელს სოფელ დიდ ჭყონში, ხოლო 1932 წელს სოფლებში ინგირსა და ლესიჭინეში ჩაის საბჭოთა მეურნეობები ჩამოყალიბდა.[6] ლელიანი და შამბნარი გადახნეს და მეურნეობების ტერიტორიაზე დაიწყო ჩაის და ტუნგის გაშენება, მოეწყო ქარსაფარი ზოლები ფიჭვის, სოჭის და სხვა მარადმწვანე მცენარეებისაგან. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისთვის აშენდა საცხოვრებელი სახლები, სკოლა, კლუბი, სარემონტო სახელოსნოები, გაიყვანეს გზები.

1931 წლის 31 ოქტომბერს საკ. კპ (ბ) ცკ მიიღო დადგენილება, რომელიც საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებისთვის კონკრეტულ ამოცანებს სახავდა. დადგენილება საქართველოში ჩაისა და ციტრუსების, ტექნიკური კულტურების უპირატეს განვითარებას მოითხოვდა. მასში ხაზგასმული იყო, რომ სსრ კავშირის მოთხოვნილება საკუთარი ჩაით ძირითადად საქართველოს უნდა დაეკმაყოფილებინა.[7] ამ დადგენილების შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობამ ორიენტაცია აიღო ტექნიკურ და სუბტროპიკულ კულტურებზე: ციტრუსები, ჩაი, ტუნგი, აბრეშუმის პარკი.[8]

სოფლის ეკონომიკური აღორძინებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭაობიანი ადგილების დაშრობასა და ათვისებას. 1926 წლიდან საბჭოთა მთავრობამ დიდი სამუშაოები წამოიწყო კოლხეთის დაბლობის მელიორაციის ხაზით. 1928 წლისთვის მხოლოდ სუფსა-ჭალადიდის უბანზე ამოშრობილ იქნა 6 ათასი დესეტინა ჭაობიანი ადგილი.[9] ჭაობიანი მიწების დაშრობისა და ათვისების მიზნით 1931 წელს ფოთში ჩამოყალიბდა სამშენებლო ორგანიზაცია „კოლხიდმშენი“, ხოლო კოლხეთის მიწების დაშრობა საერთო-საკავშირო მშენებლობად გამოცხადდა. დაშრობილ მიწებზე დაიწყო სუბტროპიკული კულტურების ჩაის, დაფნის, ტუნგის, ციტრუსების

---

[1] **ლ. ხუნტუა**, ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაცია, გაზ. ,,ნარაზენიში ჩაი“, №5, 1932 წ. 23 ივნისი; **ბ. ბიგვავა**, ნარაზენი, თბ., 1976, გვ. 10.

[2] **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 32.

[3] **ბ. ბიგვავა**, ნარაზენი, გვ. 12.

[4] ნარაზენის სოვხოზუჩი, გაზ. ,,ნარაზენიში ჩაი“, №10, 1932 წ. 27 აგვისტო; გაზ. ,,ნარაზენიში ჩაი“, №17, 1932 წ. 7 ნოემბერი.

[5] გაზ. ,,ნარაზენიში ჩაი“, №4, 1932 წ. 24 მაისი; გაზ. ,,ნარაზენიში ჩაი“, №17, 1932 წ. 7 ნოემბერი.

[6] **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 32.

[7] http://sovdoc.rusarchives.ru; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 338.

[8] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 343.

[9] სინ, ტ. VII, გვ. 385.

და სხვათა გაშენება. 1935 წლისათვის ამოშრობილი იყო: ფოთის რაიონში – 309 ჰა, ხობის რაიონში – 5538 ჰა, ცხაკაიას რაიონში – 6621 ჰა, აბაშის რაიონში – 1052 ჰა ფართობი.[1]

ჩაის მრეწველობის განვითარება საქართველოს აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება გახდა. მან ძირფესვიანად შეცვალა დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური სტრუქტურა. ჩაის პლანტაციების ზრდამ და საჰექტარო მოსავლიანობის გადიდებამ დღის წესრიგში ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი ფაბრიკების მშენებლობის საკითხი დააყენა. 30-იანი წლებიდან სამეგრელოში დაიწყო ჩაის ფაბრიკების მშენებლობა. 1932 წლის აგვისტოში სენაკის რაიონის სოფელ უშაფათში საფუძველი ჩაეყარა ჩაის ფაბრიკის მშენებლობას. ძირითადი კორპუსი უკვე 1933 წლის მაისში მზად იყო, პირველი პროდუქცია კი 1934 წელს გამოუშვა. უშაფათის ჩაის ფაბრიკა იმხანად ერთადერთი იყო რაიონში. ჩაის ფოთოლი აქ ყველა მეურნეობიდან და კოლმეურნეობიდან მოჰქონდათ. ნედლეულით დატვირთულ ურმებს 10-15 კმ გავლა უხდებოდათ.[2] 1933 წელს მწყობრში ჩადგა დიდი ჭყონის ჩაის ფაბრიკა, ხოლო 1935 წელს, რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი — ნარაზენის ჩაის ფაბრიკა, რომელმაც პროდუქცია 1936 წელს გამოუშვა.[3] ამდენად, სამეგრელოში ჩაის გადამამუშავებელი წარმოების მნიშვნელოვანი ბაზა შეიქმნა.

II ხუთწლედში (1933-1937) განისაზღვრა სამეურნეო და ორგანიზაციული პრინციპები, რომლის საფუძველზეც უნდა განვითარებულიყო კოლექტიური მეურნეობა. კოლმეურნეობებში დაწესდა საზოგადოებრივი შრომის აღრიცხვის ახალი ფორმა – შრომადღე. როგორც ხელისუფლება აღნიშნავდა, შრომადღის შემოღებამ გამორიცხა გათანაბრება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში; გამომუშავებული შრომადღის რაოდენობით განისაზღვრებოდა თითოეული კოლმეურნის შრომითი მონაწილეობა საზოგადოებრივ მეურნეობაში. ამასთანავე, ის იყო შრომის მიხედვით განაწილებისა და კოლმეურნეთა შრომის დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალება, რაც ნათლად აისახა შრომის სავალდებულო მინიმუმის შემოღებაში. იმავდროულად, შეიქმნა მუდმივი ბრიგადები, რომელიც განაპირობებდა კოლექტიურ პასუხისმგებლობას სამუშაო უბანზე.

ხელისუფლებამ კოლმეურნე გლეხობისთვის გარკვეული შეღავათებიც დააწესა: გამოიცა კანონი საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ. კოლმეურნეებს შეეძლოთ საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული ჭარბი პროდუქცია საკოლმეურნეო ბაზარზე გაეტანათ. 1932 წლიდან ქალაქებში საკოლმეურნეო ბაზრები მოეწყო. კოლმეურნეთა მიერ საკოლმეურნეო ვაჭრობით მიღებული შემოსავალი არ იბეგრებოდა სამეურნეო გადასახადით, მაშინ როდესაც ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საკოლმეურნეო ბაზრებიდან მიღებული შემოსავალი იბეგრებოდა არა უმეტეს 30%-ით. საკოლმეურნეო ვაჭრობამ გააფართოვა საქონელბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის, გააუმჯობესა მუშა-მოსამსახურეების სოფლის მეურნეობის პროდუქციით, ხოლო გლეხობის – სამრეწველო ნაწარმით მომარაგება. ამასთანავე, დაჩქარდა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება კოლმეურნეობაში და შეზღუდა გლეხების გასვლა კოლმეურნეობებიდან. საკოლმეურნეო ბაზრიდან მიღებული შემოსავალი კოლმეურნეთა ბიუჯეტზე მნიშვნელოვანი დანამატი იყო. გლეხი კოლმეურნეობაში იაფფასიან შრომას საკარმიდამო მიწიდან მიღებული შემოსავლით ავსებდა.[4]

საქართველოში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია II ხუთწლედში, ძირითადად, 1936 წლისთვის დასრულდა.[5] მაგრამ კოლმეურნეობები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ მძიმე დღეში იყო. კოლმეურნეობებს არ ჰყავდათ ტრაქტორები და სატვირთო მანქანები, ძირითადი გამწევი ძალა ხარი იყო, ხოლო სატრანსპორტო საშუალება – ურემი. 1933 წელს ხუნწის

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 343-344.

[2] **ბ. ხაბურზანია**, უშაფათის ჩაის ფაბრიკა, გვ. 15.

[3] **ბ. ბიგვავა**, ნარაზენი, თბ., 1976, გვ. 14.

[4] სინ, ტ. VII, გვ. 648; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 342-343.

[5] სინ, ტ. VII, გვ. 647.

თემში კოლმეურნეობა „პირველ ნაბიჯს“ ჰყავდა 23 უღელი მუშა ხარი, ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობას – 9 უღელი მუშა ხარი, „წითელ მეურნეს“ – 9 უღელი მუშა ხარი, ელიავას სახელობის კოლმეურნეობას – 34 მუშა ხარი. კოლმეურნეობები ძირითადად მესიმინდეობაზე იყო ორიენტირებული.[1] იმავდროულად მიმდინარეობდა ჩაის მასობრივად გაშენება. ხელისუფლება ცდილობდა კოლმეურნეობები ჯილდოებით წაეხალისებინა. 1936 წელს „წითელი მეურნის“ კოლმეურნეობა საკავშირო მიწის სახალხო კომისარიატმა 3 ათასი მანეთით დააჯილდოვა. 1935 წელს ცხაკაიაში მტს-ი შეიქმნა. მას ჰყავდა 19 ტრაქტორი, რომელიც მომსახურებას უწევდა 29 კოლმეურნეობას, ხოლო 1936 წელს – 31 კოლმეურნეობას.[2] II ხუთწლედში ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა მათ მოვლას, სასუქების შეტანას, რამაც მოსავლიანობის გაზრდას შეუწყო ხელი.[3]

რადგან თავდაპირველად წვრილი კოლმეურნეობები იქმნებოდა, კოლექტივიზაციის დასრულების შემდეგ მათი გაერთიანების პროცესი დაიწყო.

საკოლმეურნეო მშენებლობაში მიღწეული წარმატებები შეაჯამა 1934 წლის თებერვალში მოსკოვში გამართულმა დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო I ყრილობამ, რომელსაც 1500 კოლმეურნეობიდან 1500-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. 1935 წლის თებერვალში მოსკოვში გაიმართა დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო II ყრილობა, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო არტელის სამაგალითო წესდება მიიღო. ხელისუფლების შეფასებით, ეს იყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომი გამარჯვების აქტი.[4]

საბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შრომითი თაოსნობები: *სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა*, რომლებსაც საფუძველი I ხუთწლედში ჩაეყარა, საქართველოს სოფლებშიც გავრცელდა. *დამკვრელი* ერქვა სოციალისტურ შრომაში მოწინავე ადამიანს. შრომის ეს ნოვატორული ფორმები კოლმეურნეობებში ფართოდ დაინერგა. დამკვრელური შრომის ფორმა იყო *სტახანოვური მოძრაობა,* რომელსაც საფუძველი დონბასელმა მეშახტემ ალექსი სტახანოვმა ჩაუყარა. 1935 წლის აგვისტოში მან დღიურ საწარმოო გეგმას რამდენჯერმე გადააჭარბა და შრომის ახალი რეკორდი დაამყარა.[5] ამ დროიდან სტახანოვურ მოძრაობას მიმდევრები ყველგან გამოუჩნდა, მათ შორის საქართველოს სოფლებშიც. კოლმეურნეობები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საჰექტარო მოსავლიანობის გადიდებაში.[6] ინგირის ჩ/ს მეურნეობის სტახანოველი მეჩაიეები მგალობლიშვილი და სოროკოდუმოვა დღეში 18-18 კგ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფდნენ; ნარაზენის ჩ/ს მეურნეობის სტახანოველი მკრეფავი ლუბა კოკაია — 28 კილოგრამს.[7] ახალგაზრდა კოლმეურნეებმა თამარ ყუფუნიამ, ქიონია სარსანიამ, მანუჟა სიჭინავამ და სხვებმა სტახანოვური მეთოდებით დაიწყეს მუშაობა. მექანიზაციის დაბალი დონის პირობებში, საკუთარი დაოსტატების ხარჯზე, მათ მნიშვნელოვნად გაზარდეს ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა.[8]

სოციალისტური მშენებლობის მოწინავეთა წახალისების მიზნით სსრ კავშირში დაწესდა მთელი რიგი ორდენები და მედლები. 1928 წლის 7 სექტემბერს დაწესდა „შრომის წითელი დროშის ორდენი“; 1930 წლის აპრილში, უმაღლესი ჯილდო – ლენინის ორდენი.[9] 1936 წელს სოფელ

---

[1] **შ. კაკულია**, ხუნწი — საგაზაფხულო თესვის ფრონტზე, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №14, 1933 წ. 24 აპრილი.

[2] გაზ. ,,მთლიანი კოლექტივიზაცია“, №53, 1936 წ. 7 ნოემბერი.

[3] **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 43.

[4] **ა. სტეფანიშვილი**, ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში, თბ., 1961.

[5] **История СССР,** эпоха социализма*, под редакцией С. А. Сераева,* გვ. 228; სინ, ტ. VII, გვ. 636.

[6] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 342, 344.

[7] **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა რესპუბლიკაში ჩაის საბჭოთა მეურნეობების შექმნისა და განვითარებისათვის (1921-1970 წწ.), სოხუმი, 1970, გვ. 54.

[8] **ვ. საბახტარიშვილი, ა. დაუშვილი**, ქართველი სტახანოველები, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1985 წ. №9, გვ. 6-7; **ამ. სიჭინავა**, სოფლის ამაგდარი, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №75, 1981 წ. 23 აპრილი.

[9] **История СССР,** эпоха социализма, *под редакцией С. А. Сераева*, გვ. 218.

ორსანტიის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გური საჯაია დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო კოლმეურნე ლუბა შენგელია – ლენინის ორდენით. იმავდროულად, ლუბა შენგელიამ პირობა დადო ჩაის ფოთლის კრეფის დღიური ნორმა 50 კილოგრამამდე აეყვანა.[1]

ორსანტიის კოლმეურნეობის წარმატებაში დიდი იყო მისი ხელმძღვანელის გური ნიკოლოზის ძე საჯაიას წვლილი. იგი 1898 წელს დაიბადა სოფელ პატარა კოკში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1914-1916 წლებში მუშაობდა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობაზე, 1928 წელს შევიდა სოფ. ორსანტიის კოლმეურნეობაში, შემდეგ გახდა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე. კოლმეურნეობაში მუშაობის სანიმუშოდ ორგანიზებისათვის დაჯილდოვდა ამიერკავკასიის სფსრ ცაკის საპატიო სიგელით, იმავე წელს — შრომის წითელი დროშის ორდენით, აირჩიეს საქართველოს სსრ ცაკის წევრად.[2]

30-იან წლებში სამეგრელოს რაიონებში დიდი ყურადღება მიექცა ციტრუსოვანი, ეთერზეთოვანი და ტექნიკური კულტურების გაშენებას. საკ. კპ (ბ) ცკ-მა და სახკომსაბჭომ 1935 წლის 5 ნოემბერს მიიღეს დადგენილება „საქართველოს შავიზღვისპირეთში ციტრუსოვანი კულტურების ფართობების გაზრდის ხუთწლიანი გეგმის შესახებ (1936-1940წწ.)“. ამ დადგენილების შესაბამისად, ციტრუსოვანი კულტურები გაშენდა ზუგდიდის, ცხაკაიის, ხობის რაიონის სოფლებში. ციტრუსოვანმა კულტურებმა – ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, მნიშვნელოვანი შემოსავალი მოუტანა გლეხობას და ჩაის კულტურასთან ერთად შეძლებული ცხოვრების წყარო გახდა. 1937 წელს ხორშელმა კოლმეურნემ ილია გვასალიამ დამამზადებელ პუნქტს 11 ათასი ცალი მანდარინი ჩააბარა და 2 118 მანეთი მიიღო, ხოლო კოლმეურნე ილიკო გვასალიამ მის მიერ ჩაბარებული ციტრუსოვნებისთვის – 3750 მანეთი.[3]

მნიშვნელოვნად მოღონიერდა ხორშის გერანის მეურნეობა. მეურნეობას ჰქონდა 900 ჰა ფართობი, საიდანაც ათვისებული იყო 250 ჰექტარი. აქ გაშენებული იყო ეთერზეთოვანი კულტურები გერანი, ლავანდა, ყაზანლიყის ვარდი, ბიგარადია, ვერბენა. ეთერზეთები გამოიყენებოდა პარფიუმერიაში, ფარმაციაში, საკონდიტრო წარმოებაში. პროდუქცია იგზავნებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამიტომ კარგი შემოსავალი ჰქონდა. მეურნეობას ჰქონდა 3 ზეთსახდელი ქარხანა უბნების მიხედვით. მეურნეობაში იყო მუშათა საერთო საცხოვრებელი, სასადილო, ფურნე, მაღაზია, აბანო, სამრეცხაო. მეურნეობას მომსახურებას უწევდა ორი სატვირთო და ერთი მსუბუქი ავტომობილი, ორი ტრაქტორი, ათი კამეჩი, ათი ხარი. მეურნეობას ჰქონდა დამხმარე საწარმოები: წისქვილი, სახერხი და აგურის ქარხნები. 1935 წელს მეურნეობამ სახელმწიფოსათვის ზეთის ჩაბარების გეგმა 160%-ით შეასრულა. მეურნეობის დირექტორი იყო ბაგრატ გოგინავა, ხოლო აგრონომი – ალექსანდრე კანკავა; მეურნეობის სტახანოველი მუშები იყვნენ გიორგი ლოლუა, კოტე ფაჩულია, არისტრახო გუგუნავა, დარია კომარი. მეურნეობასთან არსებობდა ტექნიკუმი 120 მოსწავლით. გერანი გაშენებული იყო აგრეთვე ხორშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (ციზეთის უბანი) 19 ჰა ფართობზე. 1 ჰექტარზე 15 ტონა გერანი მოჰყავდათ. გაიზარდა მოსახლეობის კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობა. სოფელში იყო არასრული საშუალო სკოლა, გაიყვანეს საავტომობილო გზა.[4] ფართოდ გაშლილმა მშენებლობებმა განაპირობა სოფელ ნოსირში 1936 წელს აგურ-კრამიტის ქარხნის, ქ. ცხაკაიაში – კირის ქარხნის აგება.

30-იანი წლების დასაწყისში სოფლებში – თეკლათში, ნოქალაქევში, ნოსირში, გეჯეთში, ძველ სენაკში, კოლმეურნეობებში გაშენდა რამის პლანტაციები. რამი მრავალწლოვანი, ნაკლებშრომატევადი, მაგრამ მომგებიანი კულტურა იყო. წელიწადში ორი გათოხნით მოსავალს

---

[1] გაზ. ,,კომუნისტი“, №74, 1936 წ. 30 მარტი.

[2] გაზ. ,,კომუნისტი“, №119, 1938 წ. 27 მაისი.

[3] **ს. კუჭავა**, ნარინჯოვანთა წალკოტიდან, გაზ. ,,მთლიანი კოლექტივიზაცია“, №62, 1937 წ. 1 დეკემბერი.

[4] **ფ. დგებუაძე-ფულარია**, სურნელოვანი მეურნეობა, გაზ. ,,მთლიანი კოლექტივიზაცია“, №28, 1935 წ. 6 ივნისი; **გრ. გეგენავა**, მიწის წიაღიდან ,,ოქროს წვეთები“, გაზ. ,,მთლიანი კოლექტივიზაცია“, №56, 1935 წ. 20 ნოემბერი.

სამჯერ იძლეოდა. მისი პროდუქცია საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენდა საფეიქრო მრეწველობისთვის და მისი ქსოვილები ღირსებით, სიმკვრივით, გამძლეობით, აბრეშუმის პროდუქციას არაფრით ჩამოუვარდებოდა. რამი გააშენეს აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთებზე.[1] 1932 წელს სენაკის რაიონში რამის საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა[2], ხოლო 1933 წელს ქ. ახალსენაკში რამის ქარხანა დაარსდა.[3]

დიდი ყურადღება მიექცა დაფნის კულტურის გაშენებას. 1934 წლის 3 დეკემბერს საქართველოს კპ (ბ) ცკ ჩხოროწყუს რაიკომის ბიურომ მიიღო დადგენილება „რაიონში დაფნის პლანტაციის გაშენების ღონისძიებათა შესახებ“. მოსახლეობას მითითება მიეცა საკარმიდამო ნაკვეთებზე დაფნის გაშენების თაობაზე.[4]

იმავე ხანებში სამეგრელოს სოფლებში დაიწყო ტუნგის გაშენება.[5] ტუნგი რუსეთის იმპერიაში იაპონიიდან 1896 წელს პროფესორ ა. კრასნოვისა და აგრონომ ი. ლინგენის ექსპედიციამ შემოიტანა და ჩაქვის საუფლისწულო მამულში გააშენეს. ტუნგის ნაყოფიდან იღებდნენ ზეთს, რომელიც გამოიყენებოდა ელექტროტექნიკურ და საავიაციო მრეწველობაში; ლაქსაღებავი მასალების დასამზადებლად.

20-იან წლებში სამეგრელოში დაიწყო მეაბრეშუმეობის აღორძინება.[6] ამ მიზნით მიმდინარეობდა საკვები ბაზის, თუთის პლანტაციების გაშენება.

საქართველოს სსრ 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. 1929 წელს საქართველოში ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა გატარდა. ზუგდიდის თემში შემავალი სოფლები ზუგდიდის სასოფლო საბჭოში გააერთიანეს. ამ დროს ქალაქი ზუგდიდი და სოფელი ზუგდიდი ცალ-ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდა.[7] სენაკის თემში შემავალი სოფლები სენაკის სასოფლო საბჭოში გააერთიანეს. ქალაქი ახალსენაკი და სოფელი ახალსენაკი ცალ-ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდა.

ზუგდიდის მაზრაში ჩამოყალიბდა ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, ხოლო ახალსენაკის მაზრაში – ახალსენაკის, მარტვილის, აბაშის რაიონები. 1930 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში მაზრებად დაყოფა გაუქმდა და ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული რაიონი გახდა. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სამეგრელოს მხარეში აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონები ჩამოყალიბდა.

1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სოფელი ხუნწი მარტვილის რაიონის (ცენტრი სოფ. მარტვილი) მარტვილის ს/საბჭოში შედიოდა. იმავდროულად არსებობდა ხუნწის ს/საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფლები: ლეციცხვაიე, სუხჩე, ხუნწი ზედა, ხუნწი ქვედა.[8] შემდეგ სოფელი სუხჩე ხონის რაიონის მათხოჯის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს და მის სახელად სუხჩა დამკვიდრდა.[9] აღსანიშნავია, რომ ხუნწის თემში შემავალმა ლეციცხვაიემ, მდ. ცხენისწყალსა და მდ. ნოღელას შორის, სოფლის სტატუსი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მიიღო. ლეციცხვაიე უბანი იყო მდ. ნოღელის მარჯვენა ნაპირზე, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ციცხვაიები. ლეციცხვაიეზე უფრო დიდი ყოფილა ნატებერა, მდ. ნოღელის მარცხენა ნაპირზე. სასოფლო საბჭომაც დაადგინა, რომ სოფელს ნატებერა დარქმე-

---

[1] **გრ. გეგენავა**, რამი იპყრობს კოლხიდის დაბლობებს, გაზ. ,,მთლიანი კოლექტივიზაცია“, №54, 1935 წ. 7 ნოემბერი.
[2] **ა. შენგელია**, კოლხეთის დაფნის გვირგვინი, გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო“, №10, 1966 წ. 4 მარტი.
[3] **ვ. ნაროუშვილი**, როგორ გავიმარჯვეთ, გაზ. ,,მთლიანი კოლექტივიზაცია“, №4, 1937 წ. 21 იანვარი.
[4] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 59.
[5] გაზ. ,,მებრძოლი“, №267, 1938 წ. 22 ნოემბერი; **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 59.
[6] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 63.
[7] **აბ. ტუღუში**, ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ. 59.
[8] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 145.
[9] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი, გვ. 459.

ოდა, მაგრამ მაზრაში არ დაამტკიცეს. ამრიგად, უბნის სახელი ლეციცხვაიე მთელ სოფელზე გავრცელდა.[1] ამდენად, სოფლის სახელწოდებისათვის ამოსავალია გვარი ციცხვაია.

კოკის თემი ზუგდიდის რაიონში (ცენტრი ქ. ზუგდიდი) შედიოდა. კოკის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: დიდი კოკი, პატარა კოკი, მანჩას კახათი (ახალი კახათი), ორსანტია, ოტობაია.[2]

გასაბჭოების პირველ წლებში სოფლები კეთილარი, კოდორი II, გულეიკარი, ნაესაკუს სასოფლო საბჭოში შედიოდა. შემდეგ შეიქმნა გულეკარ-კეთილარის საბჭო.[3] საქართველოს სსრ 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით გულეიკარ-კეთილარის სასოფლო საბჭო სოფლებით –გულეიკარი (სასოფლო საბჭოს ცენტრი), კეთილარი, კოდორი II, – აბაშის რაიონის შემადგენლობაში შედიოდა.[4]

30-იან წლებში თორსამ და დღვაბამ სოფლის სტატუსი მიიღეს. მანამდე, 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, სოფელი თორსა-დღვაბა ხობის რაიონის ხეთის ს/საბჭოში შედიოდა.[5] მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მიხედვით სოფელ თორსა-დღვაბას მოსახლეობა ასეთი იყო: 179 კომლი, 796 სული. სოფლის მთელი მოსახლეობა ქართული იყო.[6] 30-იან წლებში შეიქმნა თორსა-დღვაბას სასოფლო საბჭო.

მარტვილი 1921 წლიდან სენაკის მაზრაში შედიოდა. 1929 წელს მარტვილის დამოუკიდებელი რაიონი შეიქმნა.

საბჭოთა ხელისუფლება იდეოლოგიზებული სახელების დამკვიდრებას ცდილობდა. 1935 წლის 17 ივნისს ქ. სენაკს ცნობილი რევოლუციონერის მიხა ცხაკაიას პატივსაცემად *ცხაკაია* ეწოდა, ხოლო სენაკის რაიონს – ცხაკაიას რაიონი.[7] 1936 წლის 3 აგვისტოს სოფელ მარტვილს ცნობილი რევოლუციონერის ალექსი გეგეჭკორის პატივსაცემად — გეგეჭკორი, ხოლო მარტვილის რაიონს – გეგეჭკორის რაიონი ეწოდა.[8] 20-30-იან წლებში მთელ რიგ სოფლებსაც შეეცვალა სახელები: სოფელ *ცაიშის კახათს* 1927 წელს *ოქტომბერი* დაარქვეს, სოფელ *ყულისკარს – ორჯონიკიძე*, სოფელ *ალერტკარს – გრიგოლიში*, ზუგდიდის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის, 1924 წლის აგვისტოში დაღუპული გრიგოლ როგავას პატივსაცემად; 1930 წელს სოფელ *ლედგებიეს — ოდიში*, ხოლო 1939 წელს სოფელ *ფუქს — მიქავა* უწოდეს 1856-1857 წწ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მეთაურის უტუ მიქავას პატივსაცემად.[9]

ახალი კონსტიტუცია. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დასრულების შემდეგ გამოცხადდა, რომ II ხუთწლედის მანძილზე საბოლოოდ მოისპო ექსპლუატატორული კლასები, მოისპო ის მიზეზები, რომლებიც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას წარმოშობდნენ. სოციალისტური წყობა განუხრელად გაბატონდა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში; შეიცვალა მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა: წარმოიშვა სოციალისტური მუშათა კლასი და გლეხობა, შეიქმნა სოციალისტური ინტელიგენცია. 1933-1936 წლებში სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებასთან ერთად ძირითადად დასრულდა სოციალისტური საზოგადოების აშენება, რაც ნიშნავდა, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვა. ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე უნდა ასახულიყო.[10]

---

[1] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V. მარტვილის რაიონი, გვ. 490.

[2] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930, გვ. 124.

[3] პროკოფი არსენის ძე ჩაგანავას მოგონება, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 86-87.

[4] საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930, გვ. 141.

[5] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 124.

[6] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 127.

[7] გაზ. ,,კომუნისტი", №141, 1935 წ. 18 ივნისი.

[8] გაზ. ,,კომუნისტი", №181, 1936 წ. 6 აგვისტო.

[9] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II. ზუგდიდის რაიონი, გვ. 43, 244, 285.

[10] **История СССР,** эпоха социализма, *под редакцией С. А. Сераева,* გვ. 260-265.

1936 წლის 5 დეკემბერს საკავშირო საბჭოების VIII ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), რომელსაც გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია უწოდეს. ახალმა კონსტიტუციამ ჩამოაყალიბა და დაამკვიდრა საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები. კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური საფუძველია მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება; მთელი ძალაუფლება ეკუთვნით მშრომელებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით. მანამდე საარჩევნო უფლება საყოველთაო არ იყო, საარჩევნო უფლება არ ჰქონდათ თავად-აზნაურებს, კულაკებს, რელიგიური კულტის მსახურთ. ახალი კონსტიტუციით ყველა მოქალაქეს მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება; არჩევნები იყო საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი. ყველა მოქალაქეს ეძლეოდა შრომის, დასვენების, განათლების უფლება; მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობის, ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.[1]

1937 წლის 13 თებერვალს საქართველოს სსრ საბჭოების VIII ყრილობამ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა.[2] ახალი კონსტიტუციის საფუძველზე 1938 წლის ივნისში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა.[3] საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრები გახდნენ სოფლის მეურნეობის მოწინავეები და ორგანიზატორები, მათ შორის, სამეგრელოს რაიონებიდან: *ივანე შამუგია*, ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი; *გრიგოლ ჩაჩიბაია*, ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი; *გიორგი ხარებავა*, სოფელ ხუნწის კოლმეურნეობა „წითელი მეურნის“ გამგეობის თავმჯდომარე; *მოსე* მურზას ძე *კვარაცხელია,* ყოფილი რევოლუციონერი, სოფელ ჯგალის მკვიდრი; *დავით ჯანჯღავა*, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; *გური საჯაია*, სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე; *ზინა ქვარაია*, ჭითაწყარის კოლმეურნეობის სტახანოველი მეჩაიე; *მანუჟა სიჭინავა*, სოფელ ლესიჭინის კოლმეურნეობა „ტემპის“ სტახანოველი მეჩაიე; *თამარ ძაძამია*, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის კოლმეურნეობის სტახანოველი მეჩაიე; მეჩაიეობის განვითარების პრიორიტეტზე მეტყველებდა საქჩაის მმართველის *გრიგოლ ქარჩავას* უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევა.[4]

30-იანი წლების რეპრესიები. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობა დასრულებულად გამოცხადდა, 30-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო. რეპრესიებს შეეწირა ინტელიგენციის, მუშა-მოსამსახურეებისა და გლეხობის, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერების მრავალი წარმომადგენელი. რეპრესიებს შეეწირნენ ყოფილი თავადაზნაურობისა და 1924 წლის აჯანყების მონაწილეები, რომლებიც მაშინ ოქტომბრის მანიფესტით გაათავისუფლეს.[5]

1937 წელს დახვრიტეს დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრები: სამსონ დადიანი და ბარნაბა ძველაია; პოლიტიკური მოღვაწე დიომიდე თოფურიძე; იურისტი, პუბლიცისტი, ლიტერატორი შოთა დადიანი.[6] ხორშის მკვიდრი კაპიტონ (გაგი) ძიძავა, რომელიც სულ ახალი დაბრუნებული იყო გადასახლებიდან, ისევ დააპატიმრეს. ამის შემდეგ მისი კვალი გაქრა.[7] ხორშის მკვიდრი კონსტანტინე (ჯუგუ) გრიგოლის ძე დადიანი, I მსოფლიო ომის მონაწილე, „ველური დივიზიის“ ოფიცერი, შუა აზიაში გადაასახლეს და 1943 წელს აქტიუბინსკის ციხეში გარდაიცვა-

---

[1] **История СССР,** эпоха социализма, *под редакцией С. А. Сераева,* გვ. 265-266; **Мерквиладзе В. Н**. Создание и укрепление советской государственности в Грузии (1921-1936 гг.), გვ. 86.

[2] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 128; სინ, ტ. VII, გვ. 686-687.

[3] სინ, ტ. VII, გვ. 690.

[4] საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია, გაზ. ,,კომუნისტი“, №136, 1938 წ. 15 ივნისი.

[5] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 38.

[6] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018, გვ. 107, 198, 515; გაზ. ..ლიტერატურული საქართველო“, 2007 წ. 2 მარტი.

[7] **ა. დადიანი**, მამულიშვილთა ნაკვალევზე, გაზ. ,,ერი“, 1992 წ. 7 თებერვალი.

ლა.[1] სოფრომ შენგელიას (1874-1937), რომელიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დროს ზუგდიდის მაზრის ერობის წევრი იყო, ჯერ ქონება ჩამოართვეს, ხოლო შემდეგ დააპატიმრეს და დახვრიტეს.[2] რეპრესიებს შეეწირნენ ასევე ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი ისაკ ჟვანია, ახალსენაკის სამაზრო კომიტეტის ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარე, 1930-1931 წწ. საქართველოს კპ ცკ პირველი მდივანი სამსონ მამულია და სხვ.

რეპრესიები განიცადეს სამღვდელოების წარმომადგენლებმა. სოფელ ჭოღის მკვიდრი, მღვდელი ტერენტი კვირკველია აწამეს; სოფელ ჯგალის მკვიდრი, მღვდელი ალექსი ქვარცხავა იძულებული გახდა სახლიდან არ გამოსულიყო და ჩუმად ნათლავდა ბავშვებს; სოფელ ახუთის მკვიდრი, მღვდელი არჩილ ხარებავა აიძულეს ანაფორა გაეხადა და ჩუმად ნათლავდა ბავშვებს. 1937 წელს დახვრიტეს სოფელ კურზუს მკვიდრი, მღვდელი სოფრომ ბერულავა. დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ყოფილი მედავითნე ავქსენტი ჟვანია კოლმეურნეობაშიც შევიდა, მაგრამ 1931 წელს ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს. 1937 წელს ის ხელმეორედ დააპატიმრეს და გადასახლებაში გარდაიცვალა.[3] ანტიკომუნისტური საქმიანობის ბრალდებით დახვრიტეს სოფელ ახუთის მკვიდრი, მღვდელი ანტონ პაპასკირი. მისი ქალიშვილი, ეკონომიკის დოქტორი ლიდია პაპასკირი (1898-1961), რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო, დააპატიმრეს, ბრალად მენშევიკებთან კავშირი წაუყენეს და ციმბირში გადაასახლეს.[4] კეთილარის კოდორის ეკლესიის უკანასკნელი მღვდელი ბარნაბა ბზიავა, რომელიც მანამდე იძულებული გახდა თავისი სოფლიდან სხვაგან გადახვეწილიყო, 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.[5]

სამეგრელოს სოფელი ომის წინა წლებში. 1938 წლიდან დაიწყო მესამე ხუთწლიანი გეგმის (1938-1942) განხორციელება. გეგმა ითვალისწინებდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ სწრაფ ზრდას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობას.

1937 წლის მიწურულიდან ლეციცხვაიეს კოლმეურნეობას, რომელიც მანამდე შალვა ელიავას სახელს ატარებდა, მისი დახვრეტის შემდეგ შმიდტის სახელი ეწოდა. 1939 წელს შმიდტის სახელობის კოლმეურნეობის *სტახანოველი მეჩაიეები* იყვნენ: ელისა მონიავა, ქრისტინე წირღვავა, ქსენია ძიძიგური, ნადია ციცხვაია; „წითელი მეურნის“ *სტახანოველი კოლმეურნეები* იყვნენ: გიორგი ხუროძე, გუგუ მანჩხავა, ელენა ხარებავა, მარიამ ფაილოძე, კონდრატე გადილია, ფაქიზო გახოკიძე.[6] 1939 წელს ხუნწის კოლმეურნეობა „წითელი მეურნეს“ გეგმით 40 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა და კოლმეურნეობამ სახელმწიფოს 41 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ჩააბარა.[7] „წითელი მეურნის“ კოლმეურნეობას 1937-1941 წლებში გიორგი ხარებავა ხელმძღვანელობდა. 1938 წელს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.[8] ლეციცხვაიეს კოლმეურნეობას დაარსებიდან 1940 წლამდე სათავეში ედგა სტეფანე ფარულავა. კოლმეურნეობა „პირველი ნაბიჯის“ გამგეობის თავმჯდომარე ევგენი ფაილოძე იყო.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შრომის მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეებმა ღია წერილით მიმართეს ოჩამჩირის რაიონის სტახანოველებს მათი გამოცდილების გაზიარების თხოვნით. ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარისა და სოფელ ჭლოუს, გალის რაიონის სოფელ ოქუმის კოლმეურნეობათა სტახანოველი კოლმეურნე-

---

[1] გაზ. ,,მახარია“, №12, 2001 წ.

[2] **ი. გობეჩია**, სიცოცხლე გრძელდება, გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, №137, 2004 წ. 16 ივნისი.

[3] **ა. სიჭინავა**, დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, გვ. 64.

[4] ლიდია პაპასკირი, გაზ. ,,ნაპერწკალი“, 1991 წ. 11 სექტემბერი.

[5] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა,** ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 104-105.

[6] **გრ. ჯელია**, უდანაკარგოდ ავიღოთ ჩაის მწვანე ფოთოლი, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №22, 1939 წ. 5 მაისი; **ერ. ხარებავა**, **რ. ხუროძე**, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა შეასრულეს, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №25, 1939 წ. 24 მაისი; **სპ. ბართაია**, გამოფენის კანდიდატები, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №29, 1939 წ. 18 ივნისი.

[7] **გ. ხარებავა**, ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებულია, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №41, 1939 წ. 3 სექტემბერი.

[8] **ერ. ხარებავა**, ხალხის ღირსეული დეპუტატი, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №28, 1939 წ. 12 ივნისი.

ები უშა ახუბა, ცაცა ქარდავა, დუშა ქვაჩახია გამოეხმაურნენ კოლმეურნეთა მიმართვას ჩასულიყვნენ რუხში და მათი გამოცდილება ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში გაეზიარებინათ.[1]

ლესიჭინის ჩ/ს მეურნეობამ 1939 წელს თითოეულ ჰექტარზე 4 100 კგ ჩაის ფოთოლი მიიღო.[2] წალენჯიხის ჩ/ს მეურნეობაში 1940 წელს 220 სტახანოველი იყო.[3] ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობაში წლითიწლობით იზრდებოდა კოლმეურნეობის შემოსავალი და კოლმეურნეთა შეძლების დონე. კოლმეურნეობის შემოსავლის ზრდისა და კოლმეურნეთა მატერიალური დონის ამაღლების ძირითად წყაროს ჩაის კულტურა წარმოადგენდა. 1940 წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 47 ტონა ჩაის ფოთოლი.[4]

1938 წელს ხორშში არსებობდა კოლმეურნეობები: სტალინის სახელობის, კაგანოვიჩის სახელობის, კუიბიშევის სახელობის, „ლენინის გზით“ და „მე-7 ყრილობა“. კოლმეურნეობებში ძირითადად მოჰყავდათ სიმინდი და ჩაი.[5] იმავე ხანებში ხორშში მიმდინარეობდა ევკალიპტის გაშენება. ევკალიპტი სწრაფმზარდი, მარადმწვანე, სინათლის მოყვარული ხეა. მისი ფოთოლი შეიცავს ეთერზეთს, რომელსაც იყენებენ მედიცინაში, პარფიუმერიაში, ტექნიკაში, მერქანს — გემთმშენებლობაში, ავეჯის წარმოებაში. სამეგრელოში, შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ზონაში მისი მასობრივად გაშენება 1931 წლიდან დაიწყო. ევკალიპტის გაშენების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ იგი ნიადაგიდან დიდი რაოდენობით ისრუტავს ტენს და კლიმატს აჯანსაღებს, მას აშენებდნენ ასევე ქარსაცავ ზოლებად და ეთერზეთების მისაღებად.[6]

30-იან წლებში ხორშში გააქტიურდა ეთერზეთოვანი კულტურების გაშენება. ხორშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გერანის კულტურის მოვლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ იპოლიტე სერგიას, მიხა გვასალიას, ავთანდილ ბახიას, ნ. გვასალიას ბრიგადები.[7] ხორშის გერანის ზეთსახდელმა ქარხანამ, რომელიც ხორშის საგუგუნაოს უბანში ააგეს, 1938 წლის 20 აგვისტოს გერანის მოსავალი პირველად გადაამუშავა. ამ დღეს ქარხანამ გადაამუშავა 700 კგ ნედლეული, საიდანაც მიღებულ იქნა 1600 გრ გერანის ზეთი. 1000 კგ გერანის ნედლეულს უნდა მოეცა 1 კგ ზეთი, მაგრამ ამ წელს 1 ტ გერანის ნედლი მასის გადამუშავებით მიღებულ იქნა 1800 გრ ზეთი, რაც წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტი იყო.[8] 1938 წელს გერანის საბჭოთა მეურნეობის მუშა-სტახანოველები იყვნენ ი. კოლიადა, დ. კომარი, ვ. მატვეევა, ჟ. ფაჩულია.[9] გერანის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობდა გერანის ჩითილების დამზადება; აქაურ სანერგეში ასევე გამოჰყავდათ მჟავე ფორთოხლის ნერგები, გაშენებული იყო აგრეთვე: ვერბენა, ბიგარადია, მანდარინი და სხვა კულტურები.[10]

ხორშის კოლმეურნეობებში მუშა და პროდუქტიული პირუტყვის სულადობა 1939 წლის 1 იანვრისთვის ასეთი იყო:[11]

---

[1] ,,სიამოვნებით ვღებულობთ თქვენს წინადადებას“, გაზ. ,,კომუნისტი“, №128, 1938 წ. 6 ივნისი.

[2] გაზ. ,,საბჭოთა სუბტროპიკები“, №14, 1940 წ. 14 თებერვალი.

[3] გაზ. ,,საბჭოთა სუბტროპიკები“, №51, 1940 წ. 4 ივნისი.

[4] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 112.

[5] გაზ. ,,ავანგარდი“, №38, 1938 წ. 2 ივლისი; გაზ. ,,ავანგარდი“, №39, 1938 წ. 7 ივლისი.

[6] **ნ. კეცხოველი**, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 257; **ვ. მირზაშვილი**, ევკალიპტი, ქსე, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 33.

[7] **ილ. ასათიანი**, გერანს კარგად უვლიან, გაზ. ,,ავანგარდი“, №45, 1938 წ. 12 აგვისტო.

[8] **მ. გუგუნავა**, ქარხანა ამუშავდა, გაზ. ,,ავანგარდი“, №47, 1938 წ. 24 აგვისტო.

[9] გაზ. ,,ავანგარდი“, №52, 1938 წ. 24 სექტემბერი.

[10] **ო. გუნია**, გეგმები უნდა შესრულდეს, გაზ. ,,ავანგარდი“, №53, 1938, 29 ოქტომბერი.

[11] გაზ. ,,ავანგარდი“, №49, 1938 წ. 6 სექტემბერი.

ხორშის ს/ს	ცხენი	ხარი და ხარკამეჩი	ძროხა და ფურკამეჩი	სულ მსხვილფ. რქოსანი პირუტ-ყვი	ცხვარი	თხა	ღორი
სტალინის სახ.	4	132	3	143	-	-	30
კაგანოვიჩის სახ.	-	48	-	50	-	-	2
კუიბიშევის სახ.	1	114	-	124	-	-	15
ლენინის გზით	2	60	-	64	-	-	2
მე-7 ყრილობის	1	66	2	78	-	-	5
სულ ს/საბჭოში	8	420	5	459	-	-	54

1939 წელს სოფელ ხორშში მოწინავე კოლმეურნეები იყვნენ: ქსენია ჩარტია, ლოლა გვასალია, დომნიკა გვასალია, მარ. გალდავა, ვას. ჭაავა (სტალინის სახ. კოლმეურნეობა), თ. აბშილავა, ლ. ხარბედია, ი. კანკავა, ე. აბშილავა (კაგანოვიჩის სახ. კოლმეურნეობა).[1] ხორშელი კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშები საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული. გერანის საბჭოთა მეურნეობის მუშა ნინა გუგუნავა 30-იან წლებში გაზეთ „ავანგარდის“ აქტიური კორესპონდენტი იყო.[2] იმავე ხანებში ხორშის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებს წერილი გამოუგზავნეს უკრაინის სსრ მოლდავეთის ასსრ იჩალკოვის საშუალო სკოლის VIII[ბ] კლასის მოსწავლეებმა და შესთავაზეს დაემყარებინათ ურთიერთობა, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ მიღწევები სწავლასა და შრომაში, რას სწავლობენ, როგორ სწავლობენ და სხვ. ხორშის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა საპასუხო წერილი გაუგზავნეს მოლდაველ თანატოლებს და ამ დროიდან მათ შორის მტკიცე მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი.[3] 1941 წლის სექტემბერში ხორშის ეთერზეთოვან კულტურათა საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დაინიშნა ალექსანდრე კანკავა, რომელმაც მეურნეობისა და სოფლის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა.[4]

სიძნელეების მიუხედავად მოსახლეობის თავდადებული შრომით რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო განვითარებას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში მიღწეული წარმატებები მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე აისახა.

გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად კოლმეურნეობები, საკოლმეურნეო ბრიგადები და რგოლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნამდე თბილისში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ცნობილი ისტორიკოსის სიმონ ჯანაშიას ბროშურა „საბჭოთა საქართველო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის“. მასში აღნიშნული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებები. ბროშურაში ნათქვამია, რომ საქართველო წარმოადგენს ერთადერთ რესპუბლიკას, სადაც სამრეწველო მასშტაბით იწარმოება ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, თამბაქო; მოჰყავთ ისეთი იშვიათი მცენარეები, როგორიცაა ტუნგი, კეთილშობილი დაფნა, ევკალიპტი და სხვ. 1939 წლის 1 იანვრისთვის ჩაის პლანტაციების ფართობი 44 977 ჰა შეადგენდა, მაშინ როდესაც 1932 წელს 25 550 ჰა იყო. გაიზარდა ჩაის პლანტაციების საჰექტარო მოსავლიანობა. 1932 წელს 1 ჰა სრულმოსავლიანი პლანტაციიდან იკრიფებოდა 701 კგ ჩაის ფოთოლი, ხოლო 1938 წელს, — საშუალოდ 2 186 კგ, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობაში 5-7 და 10 ათასი კილოგრამიც. საქართველო ერთადერთი

[1] გაზ. ,,ავანგარდი“, №24, 1939 წ. 24 მაისი; გაზ. ,,ავანგარდი“, №27, 1939 წ., 12 ივნისი.
[2] გაზ. ,,ავანგარდი“, №60, 1938 წ. 12 ნოემბერი.
[3] გაზ. ,,ავანგარდი“, №64, 1938 წ. 5 დეკემბერი.
[4] **ა. ეჯიბია**, სოფლის მოამაგე, გაზ. ,,კოლხეთი“, №96, 1962 წ. 14 ოქტომბერი.

ამარაგებდა მთელი სსრ კავშირის კვების მრეწველობას კეთილშობილი დაფნით; დაინერგა რამის კულტურა, ეთერზეთოვანი კულტურა გერანი; ფართოდ გავრცელდა ევკალიპტი, ტუნგი. შესანიშნავად შეეგუა აქაურ გარემოს სუბტროპიკული კულტურები — მუშმალა, ხურმა, ფეიხოა. განვითარდა მეაბრეშუმეობა. საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა მარცვლეულით და კარტოფილით საკუთარი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, ამიტომ გაიზარდა მარცვლეულისა და კარტოფილის ნათესები. მნიშვნელოვნად განვითარდა მესაქონლეობა, გაიზარდა თხის, ცხვრის, ღორის რაოდენობა. კოლხეთის ჭაობების დაშრობისა და ამ მიწების ათვისებით გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი. გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი, ბევრი კოლმეურნეობის შემოსავალმა მილიონს გადააჭარბა.[1]

1939 წლის 1 აგვისტოს მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს პავილიონი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხვავითა და ბარაქით.[2] გამოფენაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის მოწინავეები და ორგანიზატორები: გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწიდან კოლმეურნეობა „წითელი მეურნე“ და შმიდტის სახელობის კოლმეურნეობა; კოლმეურნეობა „წითელი მეურნის“ წევრები: მეაბრეშუმე ქრისტინე წირღვავა, მეჩაიე ელისაბედ მონიავა, ბრიგადირი იაკინთე მოსიძე; შმიდტის სახელობის კოლმეურნეობის წევრები: მეჩაიე ნადია ციცხვაია, ბრიგადირი რომანოზ ბაკურია.[3] გამოფენაში მონაწილეობდა ხორშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეაბრეშუმე ძუბა გაბელია, აგრეთვე ნორჩი ნატურალისტი — ხოთო გვასალია.[4] გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ასევე ლესიჭინის ჩ/ს მეურნეობა, ნარაზენის ჩ/ს მეურნეობა. გამოფენა გახდა ეკონომიკისა და კულტურის დარგში სოფლის მიღწევების დადასტურება. გამოფენაზე ეცნობოდნენ საუკეთესო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიღწევებს, წარმოების ნოვატორებს, რამაც დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისა და გაზიარების საქმეში.[5]

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე წარმოების მოწინავეები, მოწინავე მეურნეობები დააჯილდოვეს. მეჩაიე ქიონია სარსანია დაჯილდოვდა გამოფენის დიდი ოქროს მედლით; ორსანტიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გური საჯაია და ცნობილი მეცნიერი ტარასი კვარაცხელია — მცირე ოქროს მედლებით; ლესიჭინის ჩ/ს მეურნეობა მეურნეობის დირექტორი ნიკოლოზ ჯინჯოლავა, აგრონომი აპოლონ პაპასკირი, ბრიგადირი რაჟდენ სანაია — მცირე ვერცხლის მედლებით; ლესიჭინის ჩ/ს მეურნეობა — I ხარისხის დიპლომით, 10 ათასი მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით.[6]

1939-1940 წლებში სამეგრელოს სოფლებში კოლმეურნეობების გამსხვილება დაიწყო, რაც რესურსების გაერთიანებისა და ხარჯების შემცირებით იყო გამოწვეული. 1940 წელს ჭოღის თემის კოლმეურნეობები გააერთიანეს. ჩამოყალიბდა პირველი და მეორე ჭოღის კოლმეურნეობები.[7] იმავე წელს ხუნწის კოლმეურნეობებიც გააერთიანეს. გამსხვილებულ კოლმეურნეობას ვ. მოლოტოვის სახელი ეწოდა. მის თავმჯდომარედ აირჩიეს ვალიკო წირღვავა, ხოლო წითელ არმიაში მისი გაწვევის შემდეგ — ომია ხარებავა.[8] კოლმეურნეობა ძირითადად მეჩაიეო-

---

[1] **С. Н. Джанашиа**, Советская Грузия к всесоюзной сельскохозяйственной выставке, წიგნ. **ს. ჯანაშია**, შრომები, VI, თბ., 1988, გვ. 508-511.

[2] Грузинская ССР на всесоюзной сельскохозяйственной выставке 1939-40, М., 1940; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 344.

[3] გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №36, 1939 წ. 2 აგვისტო.

[4] გაზ. ,,ავანგარდი“, №35, 1939 წ. 27 ივლისი.

[5] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 21-22.

[6] **დ. ფანცხავა**, ჩაის მრეწველობის ამოცანები, გაზ. ,,საბჭოთა სუბტროპიკები“, №13, 1940 წ. 10 თებერვალი; **კ. დგებუაძე**, ლესიჭინის მეურნეობის კომუნისტები ავანგარდულ როლს ასრულებენ, გაზ. ,,საბჭოთა სუბტროპიკები“, №14, 1940 წ. 14 თებერვალი; გაზ. ,,საბჭოთა სუბტროპიკები“, №19, 1940 წ. 4 მარტი; გაზ. ,,საბჭოთა სუბტროპიკები“, №34, 1940 წ. 15 აპრილი.

[7] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 232.

[8] **ალ. კუკანია**, სპეტაკი პარტიელი, გაზ. ,,შრომის დროშა“, №131, 1987 წ. 31 ოქტომბერი.

ბაზე და მესიმინდეობაზე იყო ორიენტირებული და ერთ-ერთი მოწინავე იყო რაიონში. კოლმეურნეობის ნაკვეთებზე გავრცელებული იყო დაბლარი ვაზის ჯიშები ცოლიკაური და ოჯალეში ნამყენის სახით.[1] მიმდინარეობდა ჩაის, ციტრუსებისა და ტექნიკური კულტურების (ტუნგი) გაშენება. 1939 წელს ხუნწის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები ქვედა ხუნწი, ზედა ხუნწი და ლეციცხვაიე. ხუნწის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ილია თოფურია იყო.

1941 წლის სექტემბერში ხორშის ეთერზეთოვან კულტურათა საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დაინიშნა ალექსანდრე კანკავა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მეურნეობის განვითარებაში და სოფლის წინსვლაში.[2]

1939-1940 წლებში დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ჩასახლების პროცესი მიმდინარეობდა. აბაშის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონებიდან კოლმეურნეები ჩაასახლეს გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონების სოფლებში.[3] დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან აფხაზეთში კოლმეურნეთა ორგანიზებული ჩასახლება იყო საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური აუცილებლობით გამოწვეული ღონისძიება, რომელიც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების გადაწყვეტილებით ხორციელდებოდა. იგი მიზნად ისახავდა ქვეყნის შიგნით ჭარბი მოსახლეობის ქვეყნის მეორე კუთხეში ჩასახლებას და აფხაზეთის აუთვისებელი მიწების ათვისებას.[4]

1940 წლისთვის საქართველოში ჩაის, ციტრუსების, ვენახის, ხილისა და ტექნიკური კულტურების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა.[5] ჩაის წარმოების განვითარების ნათელი გამოხატულება იყო 1940 წელს საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის დირექტორის, გრიგოლ ქარჩავას, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედლით დაჯილდოვება.[6] 1940 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდნენ დიდი ჭყონის ჩ/ს მეურნეობა (ნ. კილასონია, რ. ჩეპილევა, პ. ლიზოგუბოვა), ნარაზენის ჩ/ს მეურნეობა (თ. არახამია, გ. ფარჯიკია), წალენჯიხის ჩ/ს მეურნეობა (ტ. დიდენკო), ჯოღეჯიანის ჩ/ს მეურნეობა (ვ. დგებუაძე, ა. ხარჩილავა, ვ. გეთია, ვ. გურალია, ვ. გვასალია, ვ. ჯღარკავა და სხვ.), ლესიჭინის ჩ/ს მეურნეობა (ნ. ჯინჯოლავა, მ. გვარჯალაძე, კ. ნიკიტინი, ი. კოტოვი, ა. ვეკუა, გ. სიჭინავა).[7]

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა ნარაზენის ჩ/ს მეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიე თამარ არახამია. იგი 1939 წელს სტახანოველი გახდა, 1938-1939 წლებში საშუალოდ დღეში 36,9 კგ ჩაის ფოთოლს კრეფდა. 1939 წელს სტუმრის სტატუსით იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, ხოლო 1940 წელს უკვე გამოფენაში მონაწილეობდა.[8]

1941 წლის მარტიდან ბოლო მოეღო გათანაბრებას კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაში, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის დიდ სტიმულს წარმოადგენდა.[9] შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით 1939 წლის იანვრიდან სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შემოიღეს შრომის წიგნაკები, რომელთა წარდგენა მუშაობის დაწყებისას აუცილებელი იყო.[10] ქვე-

---

[1] **ვ. დემეტრაძე**, მასალები დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის მრეწველობის დარაიონებისა და სტანდარტიზაციისათვის, ქუთაისი, 1936, გვ. 17.

[2] **ა. ეჯიბია**, სოფლის მოამაგე, გაზ. ,,კოლხეთი", №96, 1962 წ. 14 ოქტომბერი.

[3] Абхазия: документы свидетельствуют.1937-1953. Сборник материалов, Сборник материалов. *Отв. ред. Б. Е. Сагария*, Сухум, 1992, გვ. 75, 389-390.

[4] **ზ. პაპასქირი,** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II, თბ., 2007, გვ. 148-151.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 787.

[6] გაზ. ,,საბჭოთა აფხაზეთი", 1941 წ. 19 იანვარი.

[7] გაზ. ,,საბჭოთა სუბტროპიკები", №42, 1940 წ. 9 მაისი.

[8] გაზ. ,,საბჭოთა სუბტროპიკები", №18, 1940 წ. 25 თებერვალი; გაზ. ,,საბჭოთა სუბტროპიკები", №22, 1940 წ. 8 მარტი.

[9] სინ, ტ. VII, გვ. 807.

[10] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), თბ., 1982, გვ. 15.

ყანაში შემოიღეს შვიდსაათიანი სამუშაო დღე, მაგრამ ომის საფრთხის მოახლოებისა და ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების დაჩქარებული გაზრდის მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით, შემოღებულ იქნა რვა საათიანი სამუშაო დღე და შვიდდღიანი სამუშაო კვირა, აიკრძალა საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებურად წასვლა.[1] კოლმეურნეობების სამანქანო ტექნიკით მომსახურება ძირითადად მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მეშვეობით ხორციელდებოდა. თანდათან გაფართოვდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-საწარმოო ბაზა. გატარდა ღონისძიებები კოლმეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, კოლმეურნეობის მიწათსარგებლობის მოწესრიგებისათვის. საკ. კპ (ბ) ცკ და სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილების „კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებების“ შესაბამისად, კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ ის მიწები, რომლებიც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჰქონდათ აღებული. ჩატარდა ყველა საკარმიდამო ნაკვეთის აზომვა, რის შედეგადაც კოლმეურნეებსა და კერძო ერთპიროვნულ გლეხებს ჩამოერთვათ უკანონოდ მითვისებული მიწები. ამ მიწების ნაწილი საკოლმეურნეო მიწების საზოგადოებრივ ფონდს გადაეცა, ნაწილი კი — საკარმიდამო მიწების ფონდს ახალ საკოლმეურნეო მეკომურთათვის.[2] კოლმეურნეობებში განმტკიცდა შრომის დისციპლინა. თითოეული შრომისუნარიანი კოლმეურნისათვის დაწესდა შრომადღეთა სავალდებულო მინიმუმი (100-60), რომლის შეუსრულებლობასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა კოლმეურნეობიდან გარიცხვა. მოწესრიგდა შრომის აღრიცხვა და ანაზღაურება. შემოღებულ იქნა შრომის დამატებითი ანაზღაურება და დაჯილდოება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ამან გამოიწვია კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესება საზოგადოებრივი წარმოების ამაღლებისათვის, ხელი შეუწყო კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და შრომის ნაყოფიერების გაზრდას.[3] 1939 წელს გაუქმდა ხორცის სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების ადრინდელი სისტემა პირუტყვის სულადობის მიხედვით, რაც არ ქმნიდა მატერიალურ სტიმულს პირუტყვის სულადობის გასადიდებლად, ამის ნაცვლად დაწესდა კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობის თითოეული ჰექტარის მიხედვით. 1940 წლიდან დამზადების ეს პრინციპი მეცხოველეობის სხვა პროდუქტებზეც გავრცელდა.[4] იმავე 1940 წელს შემოიღეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადების ახალი სისტემა, რომლის თანახმადაც კოლმეურნეობებს სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მათზე მიმაგრებული სახნავის თითოეული ჰექტარიდან და არა ამ კულტურების ნათესი გეგმის მიხედვით, როგორც ეს წინათ იყო. ამ სისტემამ სტიმული მისცა კოლმეურნეობებში მრავალდარგოვანი მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას და კოლმეურნეობაზე მიმაგრებული მიწების რაც შეიძლება მიზანშეწონილად გამოყენებას. ამდენად, სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ინტერესები უფრო მეტად იყო შეხამებული.[5]

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში კოლმეურნეობებთან ერთად გარკვეული ადგილი საბჭოთა მეურნეობებს ეკავა, მაგრამ მათი რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო არტელებთან შედარებით მცირე იყო. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იზრდებოდა სოფლის მეურნეობის წარმოების მოწინავეთა რიცხვი, რომლებიც იბრძოდნენ მაღალი მოსავლისათვის, მოხერხებულად იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. იმავდროულად, ხელისუფლება ცდილობდა წაეხალისებინა წარმოების მიღწევები და მოწინავე მშრომელები. 1938 წლის 27 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სამეურნეო და კულტურუ-

---

[1] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 16.
[2] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 18.
[3] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 18-19.
[4] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 20-21.
[5] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 19.

ლი მშენებლობის დარგში განსაკუთრებული წარმატებისათვის, დააწესა სოციალისტური გმირის წოდება, შემოიღო მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.[1]

სიძნელეების მიუხედავად საკოლმეურნეო სისტემა განმტკიცდა. გაჩნდა მილიონერი კოლმეურნეობები, რომლებსაც დიდი შემოსავლები ჰქონდათ. პირველ რიგში ესენი იყვნენ დასავლეთ საქართველოს მეციტრუსეობისა და მეჩაიეობის კოლმეურნეობები.[2] სოფლის რადიკალურ ეკონომიკურ გარდაქმნას სოციალურ-კულტურული ცვლილებებიც მოჰყვა. 1934 წლის დეკემბერში მთელ სსრ კავშირში გაუქმდა საბარათო სისტემა, შემოღებულ იქნა ერთიანი ფასები პურსა და ფქვილზე. სამეგრელოს სოფლებში მიმდინარეობდა მალარიის და მისი გადამტანი კოღო ანოფელესის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიზნით მდინარეებსა და ღელეებში, წყალსატევებში თევზი გამბუზია გაავრცელეს; გამოიყენებოდა სხვა მეთოდებიც.[3] დაჭაობებული მიწების დაშრობის მიზნით ევკალიპტი ირგვებოდა; ევკალიპტისა და მარადმწვანე ხეებისაგან ქარსაფარი ზოლები გაშენდა. 1940 წლის ნოემბერში ქ. ცხაკაიაში დასრულდა ელექტროსადგურის მშენებლობა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგება.[4]

მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის კულტურა, გაიხსნა საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებები – სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, კლუბები; გაუმჯობესდა ჯანდაცვა: სოფლებში გაიხსნა სამედიცინო პუნქტები, საავადმყოფოები. თითქმის სრულიად მოისპო მალარიით დაავადება. ყურადღება მიექცა საკოლმეურნეო ვაჭრობას, საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობასა და კეთილმოწყობას, სოფლად გაფართოვდა სამომხმარებლო კოოპერაცია. გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი და ნატურალური შემოსავალი. შესაბამისად, გაიზარდა კოლმეურნე გლეხობის შემოსავალი.[5] სოფელ ხორშის მცხოვრებმა გრიგოლ გუგუნავამ 1938 წელს 390 შრომადღე გამოიმუშავა, რისთვისაც შრომადღეზე 5 მანეთი და დიდი რაოდენობით სიმინდი და სოია მიიღო; მისმა თანასოფლელმა სამსონ კაზარიანცმა, რომელიც 1930 წელს ერთ-ერთი პირველი შევიდა კოლმეურნეობაში და შემდეგ სტახანოველი გახდა, 400 შრომადღე გამოიმუშავა, რისთვისაც შრომადღეზე 5 მანეთი, 1000 კგ სიმინდი და დიდი რაოდენობით სოია მიიღო.[6] სოფელ ინგირის კოლმეურნეობის წევრმა ქიონია სარსანიამ ერთი ჰექტარიდან 10 ათას კგ-ზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, შრომადღეებზე 15 ათასი მანეთი და 60 ფუთი მარცვალი მიიღო.[7]

სასიამოვნოდ შეიცვალა სოფლების იერ-სახე. მოსახლეობის შემოსავლის გაზრდის შედეგად ძველებური ისლით დახურული ქოხები კოხტა ოდა-სახლებმა შეცვალა.[8] 20-30-იანი წლებიდან შეიცვალა დასახლების ტიპი. საკარმიდამო ფართობი შემცირდა. ძველად, საყანე ადგილები კარმიდამოს გარეთ იყო. მოგვიანებით, ბაღ-ბოსტანი და საყანე კარმიდამოში შევიდა. ერთ საკარმიდამოში იყო მოქცეული საცხოვრებელი სახლი, სამზადი სახლი, ბეღელი, სასიმინდე, მარანი, ოქართე, სათხე, საქათმე, საღორე. შეიცვალა საცხოვრებელი ნაგებობების სახეც. ფაცხა და ჯარგვალი ოდა-სახლებმა შეცვალა. ოდა-სახლის ფასადი გზისკენ იყო მიქცეული; სახლს წინ გამწვანებული ეზო ჰქონდა; კარმიდამო ვაშლის, მსხლის, კაკლის, ხურმის ნარგავებში იყო ჩაფლული. ვაზი ხეებზე იყო

---

[1] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 15-16.

[2] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 343.

[3] **ნ. გაგუა**, თევზი გამბუზია, გაზ. ,,ავანგარდი“, №45, 1938 წ. 12 აგვისტო; **ნ. გაგუა**, მოვსპოთ კოღო — ანოფელესი, გაზ. ,,ავანგარდი“, №24, 1939 წ. 24 მაისი.

[4] გაზ. ,,კომუნისტი“, 1940 წ. 22 ნოემბერი.

[5] სინ, ტ. VII, გვ. 684-685, 785, 807-813; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 344.

[6] **ჯ. დადიანი**, მათი ცხოვრება საამურია, გაზ. ,,ავანგარდი“, №59, 1938 წ. 7 ნოემბერი.

[7] **С. Н. Джанашиа**, Советская Грузия к всесоюзной сельскохозяйственной выставке, გვ. 511.

[8] **ი. გვასალია, ე. გუგუნავა**, განახლებული ხორში, გაზ. ,,კოლხეთი“, №57, 1971 წ. 13 მაისი.

მიშვებული. ეზო ძირითადად შემორაგული იყო ცოცხალი ღობით. კარმიდამოს აუცილებელი ელემენტი იყო ჭა, რომელიც რიყის ქვით იყო ამოკირული და გვიმი ჰქონდა დადგმული.[1]

პოეტი ტიციან ტაბიძე, რომელმაც 1931 წელს იმოგზაურა სამეგრელოში, ნარკვევში „რიონიდან ენგურამდე", წერდა: „აბაშიდან ზუგდიდამდე განუწყვეტელი კრიალა ეზოებია, აქ ბუნებას უფრო ემატება სილამაზე და სუბტროპიკული მცენარეულობა თვალსაჩინო ხდება. დგანან ცამდე ასული ხეები და უზარმაზარი ჭადრები".[2] ერთ-ერთი გლეხის ოჯახში სტუმრობაზე აღფრთოვანებული პოეტი წერს: „როგორი გულადი უნდა იყვეს კაცი, რომ ამ უდაბურ ტყეში იცხოვროს. გარშემო არც ერთი მოსახლე. ეზო და კარი კი იშვიათი მზრუნველობით არის მოვლილი".[3] მეორე ნარკვევში, ზუგდიდიდან ანაკლიისაკენ მიმავალ პოეტს კვლავ თვალს სტაცებს ეზოები და სახლები: „კოინდარით ამწვანებული მობიბინე ეზოები, ყველგან მაღალი ოდები, ზოგან ყავრითა და ზოგან კრამიტით დახურული ... უკვე მეგრული ნაქები ისლით დახურული ფაცხები აღარ არიან, აქ სულ ოდები აქვთ წამოჭიმული. ფაცხებში ახლა მხოლოდ მეჯოგეები ცხოვრობენ მთებში ... ეზოებში ყველგან თხილის ხეების ტყეებია. თხილიც საუკეთესოა, ეგრეთ წოდებული „ქალის თითები".[4] ზუგდიდიდან ანაკლიისაკენ მიმავალი გზა შესანიშნავადაა აღწერილი ლეო ქიაჩელის მოთხრობაში „თავადის ქალი მაია".

შედარებით მოწესრიგდა გზები და გაუმჯობესდა მიმოსვლა. 1930 წელს მაზრებში ჩამოყალიბდა მეურმეთა კავშირები. ჩხოროწყუში ჩამოყალიბებულ მეურმეთა კავშირში სოფლების – ჩხოროწყუს, ქვედა ჩხოროწყუს, ნაკიანის, ლეწურწუმეს, ახუთის 200-ზე მეტი მეურმე იყო გაერთიანებული. კავშირის პირველ თავმჯდომარედ რაჟდენ ახალაია აირჩიეს. 1931 წელს მეურმეთა კავშირები შეიქმნა ჭოღაში, ხაბუმეში, კირცხში, ლესიჭინეში. მეურმეთა კავშირს ახალსენაკიდან გადმოჰქონდა სურსათი, სამრეწველო საქონელი, ნავთი და პირველადი მოხმარების საგნები, მინერალური სასუქები და სხვ. მეურმეთა კავშირს გაჰყავდა გზები, აგებდა ხიდებსა და ბოგირებს. თავისი ფუნქციების ამუწურვის შემდეგ, 1934 წლიდან, მეურმეთა კავშირები დაიშალა. ურემი და ხარ-კამეჩი სოფლების მიხედვით ისევ სასოფლო-სამეურნეო არტელების კუთვნილებაში გადავიდა.[5] იმავე ხანებში რაიონული ცენტრი წალენჯიხა საურმე გზით დაუკავშირდა რაიონულ ცენტრებს ჩხოროწყუსა და ახალსენაკს. გააფართოვეს და შეაკეთეს ჯგალიდან საბელქანიოს, საჩანგელიოს, ლეთოფურე-კანთის გავლით გზა მუხურამდე. 1938 წელს ამ გზაზე პირველად გაიარა მსუბუქმა ავტომანქანამ „ემადინმა".[6] 1939 წელს გაიყვანეს 15 კმ-იანი ცხაკაია-ხორშის საავტომობილო გზა. იმ დროს რიონზე სანაოსნო მიმოსვლა იყო. სოფელ ქვიშანჭალადან (ყოფილი ორპირი, მარნის ს/ს) ფოთამდე დადიოდა სამდინარო თბომავალი, რომელსაც „კუკუშკას" და „პარახოდს" ეძახდნენ. კეთილარშიც ჰქონდა მას მისადგომი. მაშინ მრავალი კეთილარელი მგზავრობდა ამ თბომავლით. ფოთში მიჰქონდათ გასაყიდი საქონელი, ამ გზითვე შემოჰქონდათ ქალაქური ნაწარმი. ნაოსნობა რიონზე 1939 წელს შეწყდა.[7]

გაიზარდა მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე; წლითიწლობით უმჯობესდებოდა კვება, იზრდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება და მოსახლეობაზე მიყიდვა; იზრდებოდა სოციალური უზრუნველყოფის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების, სახალხო განათლების, ბინათმშენებლობის

---

[1] **ნ. თოფურია**, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი სამეგრელოში, *საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები*, თბ., 1968, გვ. 132; **გ. ჩიტაია**, შრომები ხუთ ტომად, IV, თბ., 2001, გვ. 172; **გ. ელიავა**, მხარეთმცოდნის თვალით, თბ., 1978, გვ. 66-103; **რ. თოფჩიშვილი**, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გვ. 261.

[2] **ტ. ტაბიძე**, რიონიდან ენგურამდე, წიგნ. **ტ. ტაბიძე**, წერილები. ნარკვევები. *წიგნი შეადგინა შალვა დემეტრაძემ*, თბ., 1957, გვ. 296.

[3] **ტ. ტაბიძე**, რიონიდან ენგურამდე, გვ. 299.

[4] **ტ. ტაბიძე**, ზღვის კურორტი ანაკლია, წიგნ. **ტ. ტაბიძე**, წერილები. ნარკვევები, გვ. 321.

[5] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 79.

[6] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით", №90, 1989 წ. 5 აგვისტო.

[7] თეოდორე სარდიონის ძე თელიას (დაბ. 1917წ.) მოგონებანი, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 77.

ხარჯები. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის, მისი კულტურული დონის ამაღლებას.[1]

30-იან წლებში გამოვიდა პირველი რაიონული გაზეთები, რომლებშიც ასახული იყო ის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ცვლილებები, რომლებიც სამეგრელოს სოფლებში მიმდინარეობდა: მარტვილის რაიონული გაზეთი „სოციალისტური სოფელი“ (1931-1962წწ.); აბაშის რაიონული გაზეთი „საბჭოთა სოფელი“ (1936-1962წწ.); ზუგდიდის რაიონული გაზეთი „კომუნარი“, შემდეგ „მებრძოლი“ (1938-1990წწ.); ცხაკაიას რაიონული გაზეთი „მთლიანი კოლექტივიზაცია“ (1935-1937წწ.), „ავანგარდი“ (1938-1962წწ.); ხობის რაიონული გაზეთი „სოციალიზმის მშენებელი; 1933 წლის თებერვალში გამოვიდა წალენჯიხის რაიონული გაზეთი „მოხანდეში ხონარი“, რომელიც შემდეგ გამოდიოდა სახელწოდებებით „სოციალისტური შარათ“, „სტალინელი“, ხოლო 1939 წლიდან — „კომუნიზმის დროშით“. 1933 წლის დეკემბერში გამოვიდა ჩხოროწყუს რაიონული გაზეთი „ტემპი“ (1933-1936წწ.). შემდეგ ის გამოდიოდა სახელწოდებით „ბოლშევიკური ტემპით“ (1936-1939წწ.), „სტალინის დროშით“ (1939-1961წწ.).[2]

საბჭოთა სკოლა. 1921 წლიდან დაიწყო განათლების ახალი, საბჭოთა სისტემის შექმნა. იმავე წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ. სკოლაში საღვთო სჯულის სწავლება გაუქმდა; ყველა ტიპის სკოლაში დაწესდა მშობლიურ ენაზე სავალდებულო სწავლება.[3] ხელისუფლებამ მასწავლებლებს ჯამაგირი დაუნიშნა.

ახალი ხელისუფლება ზრუნავდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის და ამ მხრივ ფართო კამპანიას ახორციელებდა სოფლებში – ბავშვებისთვის სკოლების, ხოლო უფროსებისთვის წერა-კითხვის შემსწავლელი წრეების ორგანიზებით და ქოხ-სამკითხველოების გახსნით. იმ ხანებში გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი სენაკის მაზრის სოფელ ბანძაში ქოხ-სამკითხველოს გახსნის შესახებ წერდა: „მცხოვრებლებმა გახსნეს ქოხ-სამკითხველო. ამ სამკითხველოს ყველა ხალისით ეკიდება, მას ისე უყურებენ, როგორც საკუთარ საქმეს და დიდი ნდობით ეკიდებიან. როდესაც ვეკითხები ერთ გლეხს, შეძლებთ თუ არა თქვენ სამკითხველოს დაარსებას და რით გინდათ დაფაროთ მასზე გაწეული ხარჯი-მეთქი, მან გადაჭრით მიპასუხა: უკანასკნელ ქათამს, კვერცხს გავყიდით მის სასარგებლოდ, ჩვენ დავიქირავებთ ერთ გამგეს, რომელსაც ეცოდინება წერა-კითხვა და როდესაც ყანის სამუშაოდან დავბრუნდებით, შევიყრით ერთად თავს, ხმამაღლა წავიკითხავთ და გავიგებთ ქვეყნის ავ-კარგს“.[4]

ახალი ხელისუფლება ცდილობდა სოფლებში სკოლები გაეხსნა, კულტურული ღონისძიებები მოეწყო. 1921 წელს ჭოღის სკოლა შრომის სკოლად გადაკეთდა და შვიდწლიანი შრომის სკოლა ეწოდა. 1923-1924 სასწავლო წელს სკოლას 217 მოსწავლე და 8 მასწავლებელი ჰყავდა.[5] რვაწლიანი შრომის სკოლები გაიხსნა ახუთში, კირცხში, ლესიჭინეში, ნაფიჩხოვოში.[6] 1922 წელს ხაბუმის სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა და ცხრაწლიანი შრომის სკოლა გახდა.[7] კოკის სკოლა შვიდწლიანი შრომის სკოლა გახა. მას კვლავ კალისტრატე ნესტორის ძე ცხაკაია ედგა სათავეში. კოკის სკოლის დირექტორად იგი 1932 წლის ბოლომდე მუშაობდა.[8] 1921 წელს ჯგალის სკოლა შვიდწლიანი გახდა. სკოლის გამგედ, ისევე როგორც 1917-1920 წლებში, პეტრე ნიკოს ძე ქვარცხავა მუშაობდა.[9] 1923 წელს ხუნწში ოთხკლასიანი შრომის სკოლა გაიხსნა.

---

[1] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 22.

[2] **შ. ფიფია**, განვლილი სახელოვანი გზა, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №76, 1966 წ. 9 ივლისი; **ტ. შელია**, ზოგი რამ წარსულიდან, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №58, 1981 წ. 15 მაისი.

[3] სინ, ტ. VII, გვ. 825.

[4] გაზ. ,,კომუნისტი“, 1923 წ. 5 დეკემბერი.

[5] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 233-234.

[6] **ვ. როდონაია**, გავლილი გზა, გაზ. ,,ნაპერწკალი“, 1982 წ. 28 აგვისტო.

[7] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 242.

[8] კალისტრატე ნესტორის ძე ცხაკაია, ავტობიოგრაფია. ხელნაწერი (ინახება ექსპედიციის არქივში).

[9] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №90, 1989 წ. 5 აგვისტო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გულეკარის თემის ყველა სოფელში შრომის სკოლები გაიხსნა.[1] 1921 წლის სექტემბერში კეთილარის სკოლა შვიდწლიანი გახდა. აქ მასწავლებლები იყვნენ ჯანაშია და ლიზა ცომაია (აბაშიდან). მაშინ სკოლას საკუთარი შენობა არ ჰქონდა და ივანე ჭაქვაძის სახლში იყო განთავსებული. მალე სოფლის ცენტრში აშენდა ათოთახიანი ხის სკოლა. 1921-1930 წლებში ამ სკოლის დირექტორი იყო შალვა ჩაგანავა, იგი სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის კურსდამთავრებულმა ლეონტი ჩაგანავამ, ხოლო ეს უკანასკნელი – პარმენ ჩაჩავამ შეცვალა. 1934 წელს სკოლის დირექტორად დაინიშნა ოცი წლის პროკოფი ჩაგანავა, რომელმაც სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი იმ წელს დაამთავრა.[2]

20-იანი წლების შუა ხანებში სოფელში პირველად უჩვენეს კინო, გაიყვანეს ტელეფონისა და რადიოს ხაზები. კეთილარში კინო პირველად 1925 წელს უჩვენეს, ტელეფონი 1927 წელს გაიყვანეს აბაშიდან, 1930 წელს სოფელში ხაზის რადიო შემოვიდა, გაიხსნა ქოხსამკითხველო.[3]

1921 წლის ბოლოს სენაკის მაზრაში იყო 5 ტექნიკუმი, 2 სამეურნეო სკოლა, 141 სრული შრომის სკოლა, 2 პროფესიული სასწავლებელი, 1 მუშათა კლუბი, 12 ბიბლიოთეკა, 157 ქოხ-სამკითხველო, 1 საბავშვო ბაღი.[4]

1921 წელს მწერალი ფუცუ დგებუაძე-ფულარია საცხოვრებლად გადავიდა მეუღლის მშობლიურ სოფელ ხორშში და საკუთარი სახსრებით დააარსა დაწყებითი სკოლა, სადაც თვითონ ასწავლიდა.[5] 1921-1922 წწ. ხორშის დაწყებითი სკოლის გამგე ალექსანდრე კანკავა იყო. 1922 წელს დაწყებითი სკოლა შვიდწლიანად გადაკეთდა. 1922-1927 წწ. შვიდწლიან სკოლას ისევ ალექსანდრე კანკავა ხელმძღვანელობდა.[6] 1926 წლის ოქტომბერში ხორშში გაიხსნა ახალი ტიპის სკოლა — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომლის დირექტორად ივანე ხოჭოლავა დაინიშნა. სკოლის გახსნაზე სიტყვით გამოვიდა სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სამსონ მამულია.[7] ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა სასოფლო-სამეურნეო მიმართულების სკოლების გახსნას. 1928 წელს სოფელ ხაბუმის სკოლის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო მიმართულების საშუალო სკოლა-ტექნიკუმი გაიხსნა. 1932 წელს ის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო ტექნიკუმად გადაკეთდა. 1940 წელს ტექნიკუმი ჩხოროწყუში გადაიტანეს და მას ჩაის ტექნოლოგიური ტექნიკუმი ეწოდა, ხოლო ხაბუმეში საშუალო სკოლა დარჩა.[8]

1934 წელს ფუცუ დგებუაძე-ფულარია კვლავ დაბრუნდა ხორშში, მის მიერ დაარსებულ სკოლაში, რომელიც მისი შუამდგომლობით განათლების სახალხო კომისარიატმა სატიტულო სიაში შეიტანა. ამის შედეგად სასწავლებელი კეთილმოეწყო. ხორშში ფუცუ დგებუაძე-ფულარია 1937 წლამდე დარჩა. ამ წელს ხორშის სკოლის კურსდამთავრებულთა პირველ გამოშვებას მწერალიც დაესწრო.[9] იმავე ხანებში, 1936 წელს, ჯგალის შვიდწლიანი სკოლა საშუალო სკოლად გადაკეთდა.[10] 30-იან წლებში სოფელ თორსაში არასრული საშუალო სკოლა გაიხსნა. ხუნწის ოთხკლასიანი შრომის სკოლა 1931 წელს შვიდწლიან სკოლად, ხოლო ეს უკანასკნელი 1935 წელს რვაწლიან სკოლად გადაკეთდა.

1930 წლისთვის ძირითადად დასრულდა განათლების ახალი, საბჭოთა სისტემის შექმნა. გაფართოვდა სკოლების ქსელი, რამაც შესაძლებელი გახადა 1930-1931 სასწავლო წლიდან სა-

---

[1] **სან კანი**, გულეკარის თემი (სამტ. რაიონი), გაზ. ,,კომუნისტი", 1921 წ. 12 ივლისი.

[2] პროკოფი ჩაგანავას მოგონება, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 85.

[3] პროკოფი ჩაგანავას მოგონება, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 86.

[4] გაზ. ,,კომუნისტი", №32, 1922 წ. 10 თებერვალი; **გ. საითიძე**, სამსონ მამულია. ბიოგრაფიული ნარკვევი, გვ. 51.

[5] **ლამარა გადელია**, მადლიანი კალმით ხალხის სამსახურში, გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი", №140, 1963 წ. 19 ოქტომბერი.

[6] გაზ. ,,კოლხეთი", №9, 1968 წ. 20 იანვარი.

[7] **ა. ეჯიბია**, სოფლის მოამაგე, გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი", №96, 1962 წ. 14 ოქტომბერი; გაზ. ,,კოლხეთი", №9, 1968 წ. 20 იანვარი.

[8] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 243.

[9] **ლ. გადელია**, მადლიანი კალმით ხალხის სამსახურში, გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი", №140, 1963 წ. 19 ოქტომბერი.

[10] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით", №90, 1989 წ. 5 აგვისტო.

ყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლების შემოღება. ამასთან ერთად დაიწყო საყოველთაო-სავალდებულო შვიდწლიან განათლებაზე გადასვლა. 1931 წლიდან დაინერგა ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, გამოიცა სტაბილური სახელმძღვანელოები, გაუმჯობესდა სწავლების მეთოდები. 1934 წლიდან მთელი სსრ კავშირის მასშტაბით დაწესდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საერთო ტიპები – დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო. 1940 წლისთვის საქართველოში სამი საფეხურის სკოლა იყო – ოთხწლედი, შვიდწლედი და ცხრაწლედი; განხორციელდა ბავშვთა სკოლამდელი განათლებაც, რაც მანამდე საერთოდ არ იყო, შეიქმნა საბავშვო ბაგა-ბაღები.[1]

1941-1945 წლების ომი. 1941 წლის 22 ივნისს სსრ კავშირ-გერმანიის ომი დაიწყო. ომის დაწყებისთანავე საქართველოში ჩატარდა მობილიზაცია, დაიწყო მოსახლეობის საყოველთაო-სამხედრო სწავლება, შეიქმნა საჰაერო-ქიმიური თავდაცვის წრეები, ქალაქებში, რაიონებში, სოფლებში იქმნებოდა გამანადგურებელი ბატალიონები; საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სახლმართველობებთან ჩამოყალიბდა თავდაცვის ჯგუფები; აიგო მრავალი თავშესაფარი, ბლინდაჟი, წყლის აუზი და სხვ. მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა.

საქართველოს სოფლის წინაშე დადგა ამოცანა შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა და მრეწველობის ნედლეულით დაკმაყოფილება. სურსათით – მარცვლეული, ჩაი, ღვინო, ხორცი, რძე, კვერცხი, ხილ-ბოსტნეული, ციტრუსები, აგრეთვე თამბაქო, და სხვა აუცილებლით ქვეყნის მომარაგების ამოცანა. ამ ამოცანის შესრულება სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან სოფლის მეურნეობაში მკვეთრად შემცირდა მუშახელის რაოდენობა, ფრონტზე იგზავნებოდა ავტოტრანსპორტი და ტრაქტორები, ცხენები და სხვა გამწევი ძალა.[2]

კავკასიის მისადგომებთან გერმანელი ფაშისტების მოახლოების გამო წალენჯიხის რაიონმა ფრონტისპირა რაიონის სტატუსი მიიღო.[3] 1941 წლის შემოდგომაზე და 1942 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში ჯგალელი კოლმეურნეები აქტიურად მონაწილეობდნენ თავდაცვითი ღონისძიების გატარებაში. კერძოდ, რაიონში აგებდნენ საცეცხლე წერტებსა და ძელმიწურებს, დიდ დახმარებას უწევდნენ ცხაკაიას, ფოთის და აგრეთვე სვანეთის მოსახლეობას თავდაცვითი ობიექტების მშენებლობაში. მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის ორმოცდაათამდე ხარ-ურემი აეროდრომის მშენებლობაზე იყო მობილიზებული.[4]

1942 წლის ზაფხულში გერმანიის ჯარები კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებს მოადგნენ და რამდენიმე უღელტეხილი დაიკავეს. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მტრის შემოჭრის რეალური საშიშროება შეიქმნა. სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა უშუალოდ საქართველოს საზღვრებთან. ასეთ ვითარებაში საქართველოს მოსახლეობამ უდიდესი დახმარება გაუწია საბჭოთა ჯარებს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში. ზუგდიდის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ცხაკაიას, ხობის, გეგეჭკორის რაიონების კოლმეურნეებმა 5 ათასი ხარ-ურემი შეაგროვეს და დიდი სიძნელეების გადალახვით სვანეთში 242-ე დივიზიის მთელი საჭურველი აზიდეს. იმავდროულად, გერმანელმა ნაცისტებმა დაიწყეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ზოგიერთი რაიონის დაბომბვა და საჰაერო-დივერსიული ჯგუფების გადმოსხმა. კერძოდ, საჰაერო დესანტის ერთი ასეთი ჯგუფი 21 სექტემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში გადმოსხდა, რომელიც მაშინათვე აღმოაჩინეს და გაანადგურეს.[5] პარაშუტისტების გადმოსხმა შემდეგადაც გრძელდებოდა.

ომის მრისხანე დღეებში საჭირო გახდა სიფხიზლის გაძლიერება. წალენჯიხის რაიონში ჩამოყალიბებულმა გამანადგურებელმა ბატალიონმა (რაიონული შტაბის უფროსი — პარტიის

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 356.

[2] **ი. ბაბალაშვილი**, საქართველოს წვლილი კავკასიის დაცვაში, თბ., 1975, გვ. 8; **ი. ბაბალაშვილი**, საქართველოს სსრ დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში, *სინ,* ტ. VIII, თბ., 1980, გვ. 130.

[3] **ა. რაფავა**, ფრონტისპირა რაიონი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით", №124, 1973 წ. 30 ოქტომბერი.

[4] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 44-45.

[5] **ი. ბაბალაშვილი**, საქართველოს წვლილი კავკასიის დაცვაში, გვ. 11.

რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე ათანასე რაფავა) და სოფლებში არსებულმა მისმა ქვედანაყოფებმა (სოფელ ჯგალში გამანადგურებელი ბატალიონის უფროსი იყო ჯერ შალვა წურწუმია, ხოლო შემდეგ – ტრიფონ კვარაცხელია) გააძლიერეს მუშაობა. გამანადგურებელი ბატალიონი ყოველ ღამე აწყობდა რეიდებს სქურის, ჩქვალერის, ჯვარის, ხუდონის და სხვა მიმართულებით. ერთ-ერთი რეიდის დროს, გამთენიისას, ჯგალის მახლობლად, თარზენის მთის კალთებზე ბატალიონის წევრმა დურუ ბელქანიამ და კოლმეურნე ლევან ჩანგელიამ შეიპყრეს საეჭვო პირი, რომელიც პარაშუტისტ-დივერსანტი, ემიგრანტი კანკავა აღმოჩნდა. მას აღმოაჩნდა საბრძოლო იარაღი, რუკა და დივერსანტისათვის საჭირო სხვა მოწყობილობა.[1] 1942 წელს გერმანელებმა დივერსანტები გადმოსხეს სოფ. ხუნწის ტერიტორიაზე, თუმცა შალვა გოგაიას ოჯახის დახმარებით, ისინი მეორე დღესვე შეიპყრეს.[2]

გეგეჭკორის რაიონიდან ფრონტზე 6878 მებრძოლი წავიდა. მათგან 3100 მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა.[3] ომში მონაწილეობდნენ ხუნწელები: ვლადიმერ ფაილოძე, გრიგოლ ფაილოძე, ვლადიმერ ბებია, სილიბისტრო გელენიძე, ოლია რევია და სხვ. ზემო ხუნწიდან ფრონტზე იბრძოდა 5 ძმა — სერაპიონ, ვალერიანე, ბაგრატ, გიორგი, ვლადიმერ ფაილოძეები. ოთხი მათგანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მშობლიურ კერას მხოლოდ ვლადიმერი დაუბრუნდა.[4] *გრიგოლ ფირცხალავამ* (1918-1984) 1941 წელს დაამთავრა ქ. ორჯონიკიძის სამხედრო სასწავლებელი და ფრონტზე წავიდა. იყო ასეულის მეთაური. 1943 წელს ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციისას 22 წლის კაპიტანი დაიჭრა და მეორე ჯგუფის ინვალიდი დაბრუნდა სოფელში; *გრიგოლ წირღვავა* (1907-1989) იბრძოდა 31-ე მსროლელ დივიზიაში; სოფ. ლეციცხვაიეს მკვიდრმა *მიხეილ თოფურიამ* (1904-1989) 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მონაწილეობდა ომში, შემდეგ მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაება. 1942 წელს ფრონტზე გაიწვიეს ხუნწის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი ნიკოლოზ გრიგოლის ძე ჩიქოვანი, რომელიც 1945 წელს დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაება.

კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში 392-ე ქართული დივიზიის შემადგენლობაში (დივიზიის მეთაური იყო ისიდორე სილაგაძე, ამ რაიონის მკვიდრი, გენერალ-მაიორი) მონაწილეობდნენ ხუნწელები, ძმები – *ბორის* და *მაკარი ბერიები*. ბორის ბერია ბალყარეთში, სოფელ პრავო ურვანსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა ბატალიონის მეთაურთან, კაპიტან მიხეილ ბუხაიძესთან ერთად. ბორისის ძმამ, მაკარმა, მიხეილ ბუხაიძისა და მისი ძმის ცხედარი ერთად გაახვია სუდარაში და ერთ სამარეში დაკრძალა. კავკასიისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ხუნწელებმა: *გრიგოლ რევიამ, ვალოდია მონიავამ, დიომიდე ჯღამაიამ.*[5] ლეციცხვაიელი პედაგოგი *აკაკი ჭილაია* მონაწილეობდა ქერჩის ბრძოლებში, 1945 წლის მაისში — პრაღის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.[6]

მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა 52 ხუნწელი ვაჟკაცი, მათ შორის: ილია მონიავა, დავით ფაილოძე, ტატო და სევერიან მოსიძეები, მუზა ჯიშკარიანი, გალაქტიონ სტვილია, აკაკი წირღვავა, მიტუშა ბორისოვი, ძმები გერა და ბართლომე ხუროძეები, შალვა რევია და სხვ. კურსკთან ბრძოლებში დაიღუპა დავით ფაილოძე. სოფელში არის შინმოუსვლელთა სტენდი ომში დაღუპულთა სურათებით, რომელთაც ხუნწელები პატივს მიაგებენ.[7]

ჩხოროწყუს რაიონიდან ფრონტზე 5700-ზე მეტი მებრძოლი გაიწვიეს. მათგან 3300 მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა. *ჭოღიდან* 275 ვაჟკაცი იქნა გაწვეული არმიის რიგებში. მათგან 124 ვერ დაბრუნდა. ეგნატე შენგელიამ (1923-1943) დაამთავრა ჭოღის საშუალო სკოლა, ომის დაწყების

---

[1] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 46-47.

[2] **რ. ძაძამია,** დიდი გამარჯვების ოცი წელი. *გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეხუთე სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავისადმი*, თბ., 1965, გვ. 22.

[3] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №124, 1987 წ. 9 მაისი.

[4] **გ. ფარულავა**, ხუთი ძმა ერთი ოჯახიდან, გაზ. ,,შრომის დროშა“, №96, 1975 წ. 12 აგვისტო.

[5] **რ. ძაძამია**, მათი სახელები უკვდავია, გაზ. ,,შრომის დროშა“, №22, 1966 წ. 22 თებერვალი.

[6] **ხ. ჩავლეიშვილი**, მშვიდობისათვის მებრძოლი, გაზ. ,,შრომის დროშა“, №72, 1966 წ. 23 ივნისი.

[7] **ნ. ფაილოძე**, რა მოაშუშებს ჭრილობებს..., გაზ. ,,ახალგაზრდა კომუნისტი“, №55, 1985 წ. 7 მაისი.

შემდეგ კი — ოფიცერთა კურსები. ჰქონდა ლეიტენანტის სამხედრო წოდება. მონაწილეობდა მოსკოვის დაცვაში, სტალინგრადისთვის ბრძოლებში. 1943 წლის 17 აგვისტოს დაიღუპა როსტოვის ოლქის სოფ. ბერესტოვოსთან.[1] ოთხ-ოთხი ვაჟკაცი დაკარგეს ფრონტზე ფილუ შენგელიასა და ნესტორ შენგელიას ოჯახებმა.[2] პირველი ჭოღის მკვიდრი მოსე ლაგვილავა გერმანელ ფაშისტებს ტყვედ ჩაუვარდა. იგი საფრანგეთის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდა, საიდანაც გაიქცა და საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას შეუერთდა.[3]

ომში მამაცური ბრძოლებით თავი გამოიჩინეს ჭოღელებმა: გრიგოლ შენგელიამ, ხუტა გაბელიამ, ბაგრატ, იასონ თოდუებმა, ილარიონ, შოთა, ნიკოლოზ, შალვა, დავით, ლეონიდე, დურუ, სერაპიონ, ვარლამ, ტარასი, კოლია შენგელიებმა, ვახტანგ დარსალიამ, კონსტანტინე, ვლადიმერ ჭეჟიებმა, გალაქტიონ ბერიამ, აკაკი ჯაგუნავამ, დურუ ჯაფარიძემ, ალექსანდრე, სამსონ, სევერიანე გაბელიებმა, მელიტონ, ჯოდო ფაცაციებმა, კირილე აფხაზავამ, შოთა ბერულავამ, ერა, დანიელ ცქვიტაიებმა და მრავალმა სხვამ. შინმოუსვლელთა და გამარჯვებულთა სახელები შეტანილია დიდების წიგნში; დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მოწყობილია სტენდები.[4]

ცხაკაიას რაიონიდან ფრონტზე 5996 მებრძოლი გაიწვიეს. მათგან 2834 მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა. ომში დაღუპულთა შორის არის 52 ხორშელი ვაჟკაცი. ომში მონაწილეობდნენ: ლავრენტი დადიანი, ნოე ღადუა, სოფრომ დადიანის ოჯახიდან ოთხი ძმა, მამა-შვილი ბათლომე და ვარდენ ჭითავები. მამა დაიღუპა, ხოლო შვილი დაუბრუნდა მშობლიურ კერას.[5] ვიქტორ ღვამბერიას მამაცობის შესახებ წერდა ჟურნალისტი ლ. პერვომაისკი.[6] ვიქტორ ღვამბერია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა გუჯა გუგუნავა.

ომში მონაწილეობდნენ *კეთილარის* მკვიდრნი: მიხეილ ჩაჩავა, სერგო ჩაჩავა, ჭიჭიკო და ვენედიქტე ჩაგანავები, ვლადიმერ ფანცაკია, მ. ლალიაშვილი. ვასილ კვარაცხელია იბრძოდა უკრაინაში, მონაწილეობდა ვენისა და ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით. დემობილიზაციის შემდეგ იყო აბაშის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.[7] მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა ბევრი კეთილარელი ვაჟკაცი. სოფელში არის შინმოუსვლელთა სტენდი ომში დაღუპულთა სურათებით, რომელთაც კეთილარის მცხოვრებნი პატივს მიაგებენ.

სოფელმა კოკმა ფრონტზე 170-ზე მეტი ვაჟკაცი გააცილა, მათი დიდი ნაწილი მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა. ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფელში მოწყობილია სტენდი.

ჯგალის თემიდან წითელ არმიაში 208 კაცი გაიწვიეს, მათ შორის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობიდან – 92, ხოლო კოლმეურნეობა „გამარჯვებიდან“ – 32. მათგან 113 მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა.[8] ომში მონაწილეობდნენ ჯგალელები: აკაკი კვარაცხელია (1914-1975), რომელიც დემობილიზაციის შემდეგ, 1943-1944 წლებში, ჯგალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.[9] ჯგალის მკვიდრი სოლომონ კვარაცხელია 1941 წელს მოხალისედ წავიდა ფრონტზე. 1942 წ. დაამთავრა სტალინგრადის საპარაშუტო-სადესანტო სასწავლებელი, მონაწილეობდა სტალინგრადის დაცვისათვის ბრძოლებში, 1943 წელს დაიჭრა და დემობილიზაციით მშობლიურ სოფელში დაბრუნდა. დემობილიზაციის შემდეგ ხელმძღვანელობდა საავიაციო ესკადრელიისა და სატანკო კოლონის შესაძენი ფულისა და წითელი არმიი-

---

[1] **ბ. მილიუტინი**, ჭოღა დაუმეგობრდა ბერესტოვოს, გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი“, №68, 1965 წ. 10 ივნისი.

[2] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 50.

[3] **გრ. შენგელია**, ერთი ფრანგული წერილის შესახებ, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №110, 1966 წ. 17 სექტემბერი.

[4] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 233.

[5] **მ. ჭითავა**, ხარობს ჭითავების ოჯახი, გაზ. ,,კოლხეთი“, №80, 1967 წ. 6 ივლისი.

[6] **ლ. პერვომაისკი**, მეშვიდე ღამე, გაზ. ,,კომუნისტი“, 1943 წ. 5 ოქტომბერი; **ლ. პერვომაისკი**, მეშვიდე ღამე, გაზ. ,,კოლხეთი“, №54, 1986 წ. 9 მაისი.

[7] **პ. ჩაგანავა**, ახარებს ჩვენი წარმატებები, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №55, 1989 წ. 16 მაისი.

[8] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №52, 1975 წ. 9 მაისი.

[9] ა. ვ. კვარაცხელია, ნეკროლოგი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №27, 1975 წ. 6 მარტი.

სათვის საჩუქრების შეგროვებას, ომის მონაწილეთა ოჯახების დახმარებას. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.[1]

ბრესტის დაცვისათვის ბრძოლებში დაიღუპა მამანტი მორგოშია; ბატალიონის მეთაური, კაპიტანი მამანტი კვარაცხელია 1944 წელს დაიღუპა ტამანის ნ/კუნძულზე გამართულ ბრძოლებში. იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა სამამულო ომის I ხარისხის ორდენით; ქერჩიდან ბერლინამდე გზა ბრძოლით გაიარა ვლადიმერ ხარჩილავამ, რომელიც ომის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიღუპა; სევასტოპოლისათვის ბრძოლაში დაეცა სევერიან კვარაცხელია; მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდნენ იონა კვარაცხელია, იასონ კვარაცხელია; უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ – ევგენი და იპოლიტე კვარაცხელიები, ძმები – იროდი და კოკი კვარაცხელიები, ბატალიონის კომისარი ნოე მიქავა; მზვერავი თარაშ ჩანგელია მშვიდობით დაუბრუნდა მშობლიურ კერას.[2] ომიდან ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა თადარიგის მაიორი, წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი ნიკოლოზ კაჭარავა, რომელიც შემდეგ ჯგალის საავადმყოფოს ექიმი იყო; ბიქტორ სალია – ინჟინერ-კაპიტანი, იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში; დიდი წვლილი მიუძღვის წალენჯიხაში ჩაის მანქანური კრეფის დანერგვაში, გახდა რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი (1961).[3]

სამამულო ომის წლებში შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები. გამანადგურებელი ბატალიონის წევრი იყო ავთანდილ კვარაცხელია, რომელიც დაჯილდოვდა მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.[4]

სოფელში მწვავედ იგრძნობოდა კვალიფიციური კადრების და, საერთოდ, მუშახელის ნაკლებობა. შრომისუნარიანი ადამიანები ფრონტზე წავიდნენ, სოფლებში ძირითადად მოხუცები, ქალები და ბავშვები დარჩნენ. მიუხედავად ამისა ისინი დღესა და ღამეს ასწორებდნენ კოლმეურნეობების ველ-მინდვრებში, ქმნიდნენ სახალხო დოვლათს. ლოზუნგი „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“ საყოველთაო ლოზუნგად იქცა. ამაღლდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გამრავლდა სტახანოველთა რიცხვი, რომლებმაც თავდადებული შრომით ორმაგად და სამმაგად გადააჭარბეს დაწესებულ ნორმებს. კოლმეურნეობებმა მუშაობა სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნეს. საკავშირო მთავრობის 1942 წლის 15 აპრილის დადგენილებით განისაზღვრა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი და მისი შეუსრულებლობისათვის დაწესდა პასუხისმგებლობა — შრომითი გამასწორებელი მუშაობა.

საკოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებით შრომობდნენ ხუნწელი სტახანოველი ქალები: ანეტა წირღვავა, გუგუ მანჩხავა, ელისა მონიავა, ანასტასია ციცხვაია, ვერა თოფურია, რომლებიც ყოველდღიურ გეგმას 200-250%-ით ასრულებდნენ.[5] 1941 წელს ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით (105%-ით) შეასრულა ჩაის ხარისხიანი მწვანე ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმა. მეცხოველეობის ყველა სახის სახელმწიფო გეგმა სრულად შესრულდა; აგრეთვე შესრულდა სხვა გეგმები და ამდენად, კოლმეურნეობამ სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა.[6] მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, კოლმეურნეები შეუძლებელს აკეთებდნენ დავალებების უმოკლეს ვადაში და გადაჭარბებით

---

[1] **კ. ლაშხი**, მოხალისენი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №28, 1975 წ. 8 მარტი; **ჯ. როგავა**, შრომით და ბრძოლით განვლილი დღენი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №42, 1989 წ. 10 აპრილი.

[2] **ჭ. კვარაცხელია**, ომის ქარცეცხლ გამოვლილებთან, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №59, 1973 წ. 26 მაისი; **კ. ლაშხი**, წიგნებად, ლეგენდად ქცეული, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №57, 1975 წ. 20 მაისი; **ზ. ფიფია**, მარად ცოცხალი სურათები, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №66, 1965 წ. 16 ივნისი; **ა. ვაშაძე**, გვიან გამხელილი მძიმე სათქმელი, გაზ. ,,სამშობლო“, №13, 1984 წ. ივნისი.

[3] **უ. მოლაშხია**, კაცურ კაცობის მადლით მოსილი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №55, 1989 წ. 16 მაისი.

[4] ა. კ. კვარაცხელია, ნეკროლოგი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №10, 1975 წ. 23 იანვარი.

[5] გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №33, 1941 წ. 28 სექტემბერი; **რ. ძაძამია,** დიდი გამარჯვების ოცი წელი, გვ. 21.

[6] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 45-46.

შესრულებისათვის. ჯგალის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ კოლმეურნეებს ქრისტინე, აფული, კეკუ, ვერა კვარაცხელიებს, თამარ ქურსუას, ივანე და ჭიჭიკო კვარაცხელიებს, რომლებიც ჩაის კრეფის დღიურ დავალებებს ორმაგი და სამმაგი გადაჭარბებით ასრულებდნენ, 1942 წლის 19 აგვისტოს სტახანოველთა საპატიო წოდება მიენიჭათ.[1] 1943 წელს ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობამ უზრუნველყო ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულება – გეგმით გათვალისწინებული 60 ათასი კგ ნაცვლად, მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 75 ათასი კგ ჩაის მწვანე ფოთოლი (გეგმის 125%). მიღწევებით დაამთავრა 1943 სამეურნეო წელი კოლმეურნეობა „გამარჯვებამაც“.[2] 1944 წელს მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობამ რთული და სერიოზული ამოცანები დაისახა, მოსავლიანობის გადიდება ყამირი და ნასვენი მიწების, მწირნიადაგიანი ფართობების ათვისების გზით.[3] 1945 წელს კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 33 ათასი კგ ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 41 ათასზე მეტი კგ ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 290 კგ აბრეშუმის პარკი. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ტუნგის ნაყოფის ჩაბარების გეგმა.[4] კოლმეურნეები, რომლებიც ზურგში აქტიურად შრომობდნენ, ხელისუფლებამ მედლებით დააჯილდოვა. პედაგოგი კოსტა კვარაცხელია და კოლმეურნე კოკოია კვარაცხელია დაჯილდოვდნენ მედლით „1941-1945 წწ. დიდი სამამულო ომის დროს ზურგში მამაცური შრომისათვის; ათანასა ჩანგელია – მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წწ. დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.[5]

ომის წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წითელარმიელთა ოჯახებს. მათ ეძლეოდათ სურსათი, გამწევი ძალა საკარმიდამო ნაკვეთების დასამუშავებლად, თესლი ნაკვეთების დასათესად.[6] დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პატრიოტულ კამპანიას – რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ წითელი არმიისათვის საჩუქრების, თბილი ტანსაცმლისა და სხვა საჭირო ნივთების შეგროვებასა და გაგზავნას.[7] ეს კამპანია დაიწყო 1941 წლის სექტემბერში და წარმატებით გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც. ამ კამპანიაში მონაწილეობდნენ აბაშის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, წალენჯიხის, ხობის რაიონების მშრომელები.

რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა მუშაობა სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის“ მშენებლობისათვის, რაშიც სამეგრელოს სოფლებიც მონაწილეობდნენ. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეებმა სატანკო კოლონის ასაგებად ორ დღეში, 1942 წლის 13-14 დეკემბერს, ორი მილიონი მანეთი შეაგროვეს.[8] ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა იოსებ ხაზალიამ, რომლის ორი ვაჟი, ვლადიმერი და კლიმენტი წითელი არმიის რიგებში იბრძოდა, მთელი თავისი პირადი დანაზოგი, 250 ათასი მანეთი, სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის“ მშენებლობის ფონდში შეიტანა; ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ჯიქიამ და სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრმა ვენერა ყუფუნიამ, რომლის მეუღლეც ფრონტზე იყო, – თითოეულმა 100 ათასი მანეთი.[9] წალენჯიხის რაიონის ახალგაზრდებმა ავიაესკადრილია „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად შეაგროვეს და შესაბამის ფონდში გადარიცხეს ნახევარი მილიონი მანეთი, რისთვისაც წალენჯიხელმა კომკავშირლებმა და კომკავშირის რაიკომის მდივანმა შალვა ქობალიამ უმაღ-

---

[1] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 47-48.

[2] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 52-53.

[3] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 54.

[4] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 58

[5] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №123, 1966 წ. 29 ოქტომბერი; გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №15, 1973 წ. 6 თებერვალი.

[6] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 52.

[7] **ი. ბაბალაშვილი**, საქართველოს წვლილი კავკასიის დაცვაში, გვ. 23-29; **ი. ბაბალაშვილი**, საქართველოს სსრ დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში, გვ. 110.

[8] გაზ. ,,კომუნისტი“, 1942 წ. 17 დეკემბერი; **ი. ჯანელიძე**, კოლმეურნე გლეხობის დახმარება ფრონტისადმი, ჟურნ. ,,განთიადი“, 1984 წ. №2, გვ. 178.

[9] გაზ. ,,კომუნისტი“, 1942 წ. 25 დეკემბერი; **ი. ჯანელიძე**, კოლმეურნე გლეხობის დახმარება ფრონტისადმი, გვ. 178; **ი. ბაბალაშვილი**, საქართველოს წვლილი კავკასიის დაცვაში, გვ. 29-33; **ი. ბაბალაშვილი**, საქართველოს სსრ დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში, გვ. 111.

ლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობა დაიმსახურა. ამ პატრიოტულ-ახალგაზრდულ მოძრაობაში ჯგალელმა ახალგაზრდებმაც მიიღეს მონაწილეობა, ნახევარმილიონიანი თანხიდან 30 ათასამდე მანეთი მათ შეიტანეს. ბავშვები აგროვებდნენ წაბლს, თხილს, ვაშლს, რასაც ფრონტზე საჩუქრად აგზავნიდნენ.[1] მშრომელები წითელ არმიას უგზავნიდნენ თბილ ტანსაცმელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს: ჩაის, ციტრუსებს, ხილს, ჩურჩხელებს, ჩირს, ტკბილეულს, ღვინოს, არაყს, თამბაქოს, ხორცს, ყველს, კვერცხს და სხვ. ქალები ბამბის, შალისა და მატყლისაგან ქსოვდნენ თბილ ხელთათმანებსა და წინდებს, ქუდებს, ნაბდებს; აგროვებდნენ საჩუქრებს ფრონტისათვის, თავდაცვის ფონდში, სატანკო კოლონისა და ესკადრილიის ასაგებ ფონდებში შეჰქონდათ ფულადი დანაზოგი.[2]

ომის წლებში სოფლის მატერიალური და შრომითი რესურსების სრული მობილიზაცია მოხდა, სოფელი ფრონტს მთელი შესაძლებლობით ეხმარებოდა. არმია და მოსახლეობა იღებდა საჭირო სურსათს, ხოლო მრეწველობა – ნედლეულს. სოფელმა გაუძლო ომის სიძნელეებს, რამაც მნიშვნელოვნად მოაახლოვა გამარჯვება.

სამეგრელოს სოფელი 40-80-იან წლებში. ომის შემდეგ ცხოვრება თანდათან ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. ომის მონაწილეების ერთი ნაწილი მშობლიურ კერას დაუბრუნდა და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უშუალოდ საომარი მოქმედების არენად არ ქცეულა, ომმა რესპუბლიკის ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა. მნიშვნელოვნად დაზარალდა სოფელი. ომის დროს მეტი ყურადღება ექცეოდა მარცვლეული კულტურების მოყვანას, ხოლო ტექნიკური, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურების სათესი ფართობები შემცირდა. შეჩერდა სოფლის მეურნეობის ისეთი ინტენსიური და შრომატევადი დარგების გაფართოება, როგორიცაა მეჩაიეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა. მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა მეცხოველეობამ; დაეცა მექანიზაციის დონე; სოფლის მეურნეობა მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდიდა.[3]

ხელისუფლებამ IV ხუთწლედი (1946-1950) სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების წლებად გამოაცხადა. 1947 წლის თებერვალში საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება „ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების ამოცანები. სამეგრელოს სოფლებში, კოლმეურნეობების მთავარი მიმართულება მეჩაიეობა და მესიმინდეობა იყო, მოჰყავდათ ასევე ლობიო, სოიო, მუხუდო. მეტი ყურადღება მიექცა ტექნიკური, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურების მოყვანას, მეცხოველეობის განვითარებას. კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმები რძისა და ხორცის წარმოებაზე იყო ორიენტირებული. ომისშემდგომ წლებში მოხერხდა სოფლებში სატვირთო ავტომანქანებისა და ტრაქტორების გაგზავნა, რაიონებში შეიქმნა მტს-ები, მათ შორის, 1949 წელს ჩხოროწყუში.[4]

ომის შემდგომ წლებში კოლმეურნე გლეხობა დიდ შრომით ენთუზიაზმს იჩენდა. ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობამ 1946 წელს სახელწიფოს 47 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა.[5] ფართოდ გახდა ცნობილი ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის მეჩაიე ქიონია სარსანიას შრომითი გმირობის ამბავი. ქიონია სარსანიამ პირველი ჩაის თესლი თავისი ხელით მიაბარა მიწას. იმ დღიდან ჩაი მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდა. 1940 წელს მან ჰექტარზე 11 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც 1945 წელს სა-

---

[1] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №52, 1975 წ. 9 მაისი.

[2] **ა. რაფავა**, ფრონტისპირა რაიონი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №124, 1973 წ. 30 ოქტომბერი; **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 42-43; **გ. ნადარეიშვილი**, ჩვენი რაიონი სამამულო ომის პერიოდში, გაზ. ,,განახლებული აბაშა“, №16, 1975 წ. 6 თებერვალი.

[3] **ნ. სტურუა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება ომის შემდგომ პერიოდში (1945-1952 წწ.), *სინ, ტ. VIII*, გვ. 336.

[4] **ნ. სტურუა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება..., გვ. 342; **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 67.

[5] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 87.

ხელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა; აირჩიეს სსრ კავშირის მეორე მოწვევის (1946-1950) უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1949 წელს ჩაის ბუჩქების დამუშავების ახალი მეთოდის დანერგვისა და სარეკორდო მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.[1] ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრს თამარ ყუფუნიას სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ანთიმოზ როგავას კოლმეურნეობის მიერ ყველა მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებისათვის 1948 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ.[2] ახალსოფლის კოლმეურნეობაში ჩაის საჰექტარო მოსავლიანობამ 6600 კგ შეადგინა, ხოლო სიმინდის მოსავლიანობამ — 40 ცენტნერი. ამ შედეგისთვის ანთიმოზ როგავას 1951 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მეორედ მიენიჭა.[3] იმავე წელს, მეჩაიეთა ბრიგადის ხელმძღვანელს თამარ ყუფუნიას, ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მეორედ მიენიჭა.

საყოველთაოდ გახდა ცნობილი ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრი გმირების ოჯახის შესახებ. პართენ ქადარია და მისი მეუღლე დომინიკა ქადარია 30-იანი წლებიდან ჩაებნენ საკოლმეურნეო მშენებლობაში, ჩაის კულტურის გაშენებაში. 1947 წელს დომინიკა ქადარიას რგოლმა ჰექტარიდან ათი ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიიღო. პირადად დ. ქადარიას გაპიროვნებული ჰქონდა 0,5 ჰექტარი ფართობი, საიდანაც 7 ტონა ჩაის ფოთოლი მიიღო. 1948 წელს მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იმავე წელს პართენ ქადარიას ბრიგადამ ჩაის საჰექტარო მოსავლიანობის გადიდების გზით 6 ჰექტარ ფართობზე 9,931 კგ ნედლეული მიიღო, რისთვისაც პ. ქადარიას 1949 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო მისი მეუღლე, დომინიკა ქადარია ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. 1950 წელს დომინიკა და პართენ ქადარიებმა მეორედ მიიღეს ლენინის ორდენი. მათმა ქალიშვილმა მინადორამ 1949 წელს 6400 კგ ჩაის ფოთოლი მოკრიფა, რისთვისაც 1950 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ომის დროს ქადარიებმა 12 წლის ობოლი გოგონა ვალია სრიგნოვა იშვილეს. 1950 წელს ვალიამ 0,5 ჰექტარი ფართობიდან 6204 კგ ჩაის ფოთოლი მოკრიფა და 1951 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.[4]

1949-1950 წწ. ზამთარში უჩვეულო ყინვამ დასავლეთ საქართველოში, მათ შორის სამეგრელოში, ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციებს დიდი ზიანი მიაყენა, თუმცა მალევე დაიწყო მათი აღდგენა.[5] სულ მალე, 50-იან წლებში, შეიქმნა ციტრუსოვანთა ყინვაგამძლე ჯიშები. ომის შემდგომ წლებში ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ზრდას. ჩაისა და ციტრუსების მოყვანის მეტად შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის მიზნით 1949 წელს შეიქმნა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო ჩაისა და ციტრუსების მეურნეობისათვის მანქანების შექმნის მიზნით. 1949-1953 წლებში საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა ჩაის ბუჩქის საკრეჭი და საფუმიგაციო, ჩაის პლანტაციის საკულტივაციო და სხვა სახის მანქანები. საკონსტრუქტორო ბიუროს დიდი მიღწევა იყო ჩაის საკრეფი მანქანის საცდელი ნიმუშის შექმნა.[6] 1952 წელს სამეგრელოს ზოგიერთი სოფლის ჩაის პლანტაციებში პირველად გამოჩნდა ჩაის საკრეფი მანქანები. ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მაშინ 24,4 ჰა ფართობზე მანქანებით 59,8 ტ ჩაის ფოთოლი მოიკრიფა.[7]

---

[1] **ნ. სტურუა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება..., გვ. 376; **ო. დადიანი**, დღე გუშინდელი, დღე დღევანდელი, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი", 1977 წ. №11, გვ. 11.

[2] **ე. უბილავა**, სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია (ნარკვევი), თბ., 1949; **ნ. სტურუა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება..., გვ. 376.

[3] **ა. შეროზია**, ჩვენი ანთიმოზი, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა", 1969 წ. №1, გვ. 29.

[4] **თ. ქადარია**, გმირთა ოჯახი, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი", 1980 წ. №2, გვ. 3-4.

[5] **ნ. სტურუა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება..., გვ. 347; **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 60.

[6] **ნ. სტურუა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება..., გვ. 348-350.

[7] **გრ. ჭოჭუა**, მეცნიერება, მექანიზაცია, რენტაბელობა, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა", 1969 წ. №11, გვ. 14.

ომის შემდგომ წლებში მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. განსაკუთრებით, ეს მუშა-მოსამსახურეებს შეეხო. გაიზარდა ხელფასები, აღდგა ომის დროს გაუქმებული რვასაათიანი სამუშაო დღე, შვებულებები და სხვ. 1947 წლის დეკემბერში გატარდა ფულის რეფორმა, რომელმაც შეამცირა ინფლაცია და განამტკიცა ფინანსური სისტემა. ფულის რეფორმასთან ერთად გაუქმდა საბარათო სისტემა. დაიწყო სასურსათო და სამრეწველო პროდუქციის ერთიანი სახელმწიფო ფასებით თავისუფალი გაყიდვა; 1948-1955 წლებში განხორციელდა ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონელზე საცალო ფასების შემცირება. იზრდებოდა მშრომელთა რეალური შემოსავალი, მატულობდა სოციალური უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები. გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო, კომუნალური და სამედიცინო მომსახურება; გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და მისი ხარისხი. 1948 წლიდან ხელფასები და პენსიები გაეზარდათ მასწავლებლებს; ხორციელდებოდა სოფლის ელექტროფიკაცია, რადიოფიკაცია.[1] სახელმწიფო უფრო მეტ სახსრებს გამოყოფდა სახალხო განათლებისათვის. ომის დამთავრებიდან სულ მალე შესაძლებელი გახდა არა მარტო ყველა ბავშვი ჩაბმულიყო სავალდებულო დაწყებით სწავლებაში, არამედ 40-იანი წლების დამლევსა და 50-იანი წლების დასაწყისში მთელ ქვეყანაში, ქალაქად და სოფლად, განხორციელდა გადასვლა საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიან განათლებაზე.[2] 1946 წლიდან საშუალო სკოლებში სწავლის ვადად დამტკიცდა 11 წელი, არასრულ საშუალო სკოლაში — 8 წელი; სულ უფრო ფართოვდებოდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, მოხდა სკოლების გამსხვილება, აიგო ახალი სკოლები, მათ შორის კოლმეურნეობების მიერ.[3]

1947-1949 წლებში დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ჩასახლების პროცესი განახლდა. იმავე ხანებში მაღალმთიანი სოფლებიდან მოსახლეობის ჩამოსახლების ორგანიზებული კამპანია დაიწყო. ასეთ ვითარებაში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით გაუქმდა ჩხოროწყუს რაიონის სოფლები ოცინდალე და ზინდა (თაიის ს/საბჭო), სოფ. ლუგელა (მუხურის ს/საბჭო).[4] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 11 ივნისის დადგენილებით მოსახლეობის სხვა ადგილას ჩასახლების გამო გაუქმდა ჩხოროწყუს რაიონის ჭოღის ს/საბჭოს სოფელი ლექობალე.[5] ჭოღიდან აფხაზეთში გადაასახლეს ქობალიები, ჯომიდავები.[6] 1949 წელს სოფელ განთიადში გადაასახლეს მთელი ზედა ხუნწი — ფაილოძეები, გაბეშიები, ძიძიგურები, გახოკიძეები, მოგელაძეები და სხვ. იმავე ხანებში აფხაზეთში, გაგრის რაიონის სოფელ ღესელიძეში ჩაასახლეს კოლმეურნეები გეგეჭკორის რაიონიდან.[7] 1951 წლის სექტემბერში მოსახლეობის სხვა ადგილას ჩასახლების გამო გაუქმდა აბაშის რაიონის ძველი აბაშის ს/საბჭოს სოფელი კადარი.[8]

აბაშის რაიონიდან მოსახლეობის სხვა ადგილას ჩასახლების თაობაზე კეთილარის მკვიდრი ნოდარ ქაჩიბაია იგონებს: ეს იყო, თუ არ ვცდები 1949 ან 1950 წელი. მაშინ აბაშის რაიკომში ვმუშაობდი. თბილისიდან რაიონის ხელმძღვანელობას დაავალეს აფხაზეთის ასსრ-ში ჩასასახლებლად ერთი სოფელი აეყარათ, თითქოს ნებაყოფლობით. კოლმეურნეობის დავთარების გადახედვის შემდეგ გასასახლებლად რაიონის ხელმძღვანელობამ არჩევანი შეაჩერა ძველი აბაშის სასოფლო საბჭოს სოფელ კადარსა და კეთილარის სასოფლო საბჭოს სოფელ გულეკარზე. ამ სოფლების კოლმეურნეობები წლიდან წლამდე ჩამორჩენილები იყვნენ. გულეკარელებმა ეს

---

[1] **ნ. სტურუა**, საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა (1946-1958 წწ.), *სინ, ტ. VIII*, გვ. 456-459, 483.

[2] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 188.

[3] **ნ. სტურუა**, საქართველოს მშრომელთა..., გვ. 518-521, 531.

[4] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1949, №10-11, გვ. 17.

[5] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1951, №4, გვ. 2.

[6] **გრ. შენგელია**, ჯომიდავების ისტორიის ერთი ფურცელი, გაზ. ,,ნაპერწკალი", 1983 წ. 8 ოქტომბერი.

[7] **დ. ჯვებენავა**, ზღვასთან, გაზ. ,,შრომის დროშა", №49, 1968 წ. 25 აპრილი.

[8] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1951, №5, გვ. 14.

რომ გაიგეს შეშფოთდნენ და რაიონის ხელმძღვანელობას ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის თხოვნით მიმართეს, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობამ თხოვნა არ შეისმინა. გულეკარის ბედი აბაშაში გადაწყვეტილი იყო. მაშინ ამ სოფლის ავტორიტეტული მცხოვრებნი სანდრო ჩიტეიშვილი, ალექსანდრე კეკელიძე, ილარიონ თოფურია, ნესტორ ჯანაშია და სხვები შეხვდნენ აბაშის რაიკომის პირველ მდივანს სევერიან ებრალიძეს და აუხსნეს, რომ გულეკარელებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი წინაპრების სოფელი არ დაეტოვებინათ. „თუკი ძალას იხმართ ჩვენზე, — უთქვამთ მათ, — არაფერი გამოგივათ, სანამ ჩვენს გადასასახლებლად გამოგზავნილი საბარგო მანქანები ჯაპანის ტალახიანი გზით გულეკარამდე მოაღწევენ, ყველა გულეკარელი თავს დავიხრჩობთ, არ დაივიწყოთ რიონი ახლოსაა“. სოფლის სიმტკიცემ და ერთპირიანობამ თავისი გაიტანა და მთავრობამ დათმო. კადარელები ერთ ღამეში გადაასახლეს და ჩაასახლეს აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის დრანდის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე, სადაც მათ ოროთახიანი პატარა სახლები დახვდათ; მალე მათ თავიანთი ცხოვრება მშვენივრად ააწყვეს.[1]

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1949 წლის ცნობარის თანახმად ხობის რაიონის თორსა-დღვაბას სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: თორსა (ს/საბჭოს ცენტრი), დღვაბა და საბუკიო. ცხაკაიას რაიონის ხორშის სასოფლო საბჭოში შედიოდა 5 სოფელი: შუა ხორში (ს/ს ცენტრი), ციზეთი, სკურია, საადანაიო, საგაბესკირიო; სოფლები — დიდი ხორში, საგუგუნაო და პატარა ზანა ახლადშექმნილ პირველი მაისის სასოფლო საბჭოში შედიოდა. აბაშის რაიონის კეთილარის სასოფლო საბჭოში 3 სოფელი შედიოდა: კეთილარი (ს/ს ცენტრი), გულეიკარი და გაღმა კოდორი; გეგეჭკორის რაიონის ხუნწის სასოფლო საბჭოში 3 სოფელი შედიოდა: ქვემო ხუნწი (ს/ს ცენტრი), ზემო ხუნწი და ლეციცხვაიე; ჩხოროწყუს რაიონის ჭოღის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები — პირველი ჭოღა (ს/ს ცენტრი) და მეორე ჭოღა. წალენჯიხის რაიონის ჯგალის სასოფლო საბჭოში 7 სოფელი შედიოდა: ჯგალი (ს/ს ცენტრი), ლარა, ლეთკანთი, ლეკაკულე, ლესალე, ლეხარჩილე და მედანი; ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები — კოკი (ს/ს ცენტრი) და ხურჩა.[2] 1952 წლის აპრილში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოს გამოეყო დასახლებული პუნქტი ხურჩა და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოს მიეკუთვნა. ერთი წლის შემდეგ, 1953 წლის აპრილში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, სოფელი ხურჩა ისევ კოკის სასოფლო საბჭოს შეუერთეს.[3] 1953 წლის აპრილში გეგმიური წესით მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო გაუქმდა წალენჯიხის რაიონში ქალაღალის ს/საბჭო და სოფელი ლანჯიში, ხოლო სოფელი ქალაღალი ფახულანის ს/საბჭოს მიეკუთვნა.[4]

ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების შედეგად ქალაქებსა და დაბებში მოსახლეობის გადასვლის გამო, სოფლების მოსახლეობა მცირდებოდა. ზოგიერთი სოფელი, განსაკუთრებით მთის სოფელი, სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების გეგმის განხორციელების შედეგად გაუქმდა; იმავე ხანებში მიმდინარეობდა სასოფლო საბჭოების გამსხვილება.[5] 1954 წლის ივნისში, *ზუგდიდის რაიონში*: კოკისა და ახალკახათის სასოფლო საბჭოები გააერთიანეს ერთ, კოკის სასოფლო საბჭოდ; *ჩხოროწყუს რაიონში*: თაიასა და მუხურის სასოფლო საბჭოები, ერთ, მუხურის სასოფლო საბჭოდ; *ცხაკაიას რაიონში*: ხორშისა და პირველი მაისის სასოფლო საბჭოები, ერთ, ხორშის სასოფლო საბჭოდ; ნოსირისა და ოქტომბრის სასოფლო საბჭოები, ერთ, ნოსირის სასოფლო საბჭოდ; გაუქმდა ბეთლემის სასოფლო საბჭო და სოფლები ბეთ-

---

[1] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, „ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 109.

[2] Грузинская ССР. Административно-территориальное деление на 1 сентября 1949 года, Тб., 1949, გვ. 13, 30, 46, 86, 89, 93, 101.

[3] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1952 წ. №2, გვ. 21; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ. №3, გვ. 5; **ბ. ხორავა, ნ. ჭანტურია**, აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში, თბ., 2019, გვ. 48.

[4] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ. №3, გვ. 4.

[5] **ნ. სტურუა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება..., გვ. 366.

ლემი და ზედა ნაქალაქევი მიეკუთვნა ლეძაძამეს სასოფლო საბჭოს, ხოლო სოფელი მეორე მოხაში — ფოცხოს სასოფლო საბჭოს.[1]

ომისშემდგომ წლებში მეჩაიეობის მიმართულების რამდენიმე საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა: 1949 წელს — ხიბულის, 1950 წელს — ონარიის, 1951 წელს — გეჯეთის.[2] იმავდროულად, 1950 წელს, ცხაკაიას რაიონში რამის საბჭოთა მეურნეობის რეორგანიზაცია განხორციელდა. იმის გამო, რომ ციტრუსოვანი კულტურები მოიყინა, გადაწყდა მეურნეობის პროფილის შეცვლა. მას ტეხურის დაფნისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა ეწოდა და უნარიანი ორგანიზატორი დოროთე შამათავა ჩაუდგა სათავეში. მეურნეობას 1300 ჰა ფართობი ეჭირა, სადაც გააშენეს დაფნა, ფეიჰოა, ხურმა, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, ლეღვი, კაკალი, თხილი და სხვ.[3] 1945-1950 წლებში კოლმეურნეობები განმტკიცდა. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის შედეგად მათი ფულადი შემოსავალი გაიზარდა.[4] აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირში წარმოებული ჩაისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის 95%-ზე მეტი საქართველოს წილად მოდიოდა.[5]

სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებები, ძირითადად, ხალხის დიდი შრომის, ტანჯვისა და წამების ფასად მიიღწეოდა. კოლმეურნეობები ვალდებული იყვნენ, მოსავლის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოსათვის მიეყიდათ. სახელმწიფო დამზადების გეგმები სულ უფრო იზრდებოდა. რეალურად, ეს იყო არა შესყიდვა, არამედ კოლმეურნეობების შემოსავლის დიდი ნაწილის უფასოდ მითვისება; კოლმეურნეებისათვის გასანაწილებლად კოლმეურნეობებს ფაქტობრივად არაფერი რჩებოდათ. ამიტომ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურება დაბალი იყო. კოლმეურნე გლეხი იძულებული იყო საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეული მოსავლით ერჩინა თავი. 1946 წლიდან გლეხს უნდა გადაეხადა ნატურალური გადასახადი, ე. ი. სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა პირადი მეურნეობიდან მიღებული მოსავლის ნაწილი. ნატურალური გადასახადის გარდა, გლეხს დაკისრებული ჰქონდა ფულადი გადასახადი, რომლის გადახდის შემდეგაც შეეძლო პროდუქტი საკოლმეურნეო ბაზარზე გაეტანა. გლეხი სოფელზე იურიდიულად იყო მიჯაჭვული ე. წ. საპასპორტო რეჟიმით. გლეხზე პასპორტი არ გაიცემოდა, ამიტომ მას არ შეეძლო კოლმეურნეობა თვითნებურად დაეტოვებინა და ქალაქში წასულიყო. კოლმეურნეთა შვილები 16 წლის შესრულებისას ავტომატურად ხდებოდნენ კოლმეურნეობის წევრები. სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებდა მეტისმეტი ცენტრალიზაცია, გეგმების დადგენისას არ იყო გათვალისწინებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობები, ადგილობრივი პირობები. ყოველივე ეს ხუთწლიანი გეგმების შეუსრულებლობას იწვევდა, გეგმების შესრულება მიწერებით ხდებოდა. IV ხუთწლედის ბოლოს, ზოგადად, კოლმეურნეობების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ ხელისუფლებამ კოლმეურნეობების გამსხვილება დაიწყო. საქართველოში კოლმეურნეობების გამსხვილება 50-იანი წლების დასაწყისში მოხდა. წარმოების მცირე მოცულობის მქონე კოლმეურნეობებს აერთიანებდნენ და მათ ბაზაზე მსხვილი, მრავალდარგოვანი კოლმეურნეობები იქმნებოდა.

კეთილარში სამი კოლმეურნეობა ფუნქციონირებდა: „ცხოვრება“ (თავმჯდომარე შ. თელია), „ჩვენი მიღწევა“ (თავმჯდომარე ვ. კეკელიძე), „ოქტომბრის სხივი“ (თავმჯდომარე კ. ჩაჩავა).[6] ამ კოლმეურნეობების შეერთებით ერთი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, რომელსაც ა. მიქოიანის სახელი მიეკუთვნა. კოლმეურნეობის მთავარი მიმართულება მესიმინდეობა და მეცხოველეობა იყო. მოჰყავდათ სიმინდი, აგრეთვე ბოსტნეული კულტურები, პარკოსანი კულტურები — ლობიო, მუხუდო, სოია. მუხუდო და სოია საქონლის გამოსაკვებად გამოიყენებოდა; ეთერზე-

---

[1] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1954 წ. №3, გვ. 21.

[2] **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა რესპუბლიკაში..., გვ. 82.

[3] **ა. შენგელია**, კოლხეთის დაფნის გვირგვინი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №10, 1966 წ. 4 მარტი.

[4] **ნ. სტურუა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება..., გვ. 378.

[5] **ნ. სტურუა**, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება..., გვ. 380.

[6] **ივ. თოფურია**, აღმოვფხვრათ შემჩნეული ნაკლოვანებები, *გაზ. „საბჭოთა სოფელი“*, №26, 1950 წ. 1 აპრილი.

თოვანი კულტურებიდან მოჰყავდათ რეჰანი. კოლმეურნეობას ჰქონდა მეძროხეობისა და მეღორეობის ფერმები; კოლმეურნეობა სახელმწიფოს აბარებდა ხორცსა და რძეს.[1]

ხუნწის თემში სამი კოლმეურნეობა იყო: „პირველი ნაბიჯის“, ვ. მოლოტოვის სახელობის და ვ. ბაქრაძის სახელობის. გამსხვილების შედეგად 1952 წელს შეიქმნა ვ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. მისი მთავარი მიმართულება მეჩაიეობა და მესიმინდეობა იყო, მოჰყავდათ ასევე სოია და მუხუდო.[2] კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეები იყვნენ: ეთერ სტვილია, ციალა ბირკაია, ნათელა დოჭვირი, ნათელა გიორხელიძე, ნათელა კირთაძე, ნაზიკო ძაძამია, კატუშა გვალია, ჟენია თოფურია და სხვ. სტახანოველი მეაბრეშუმე იყო ქრისტინე წირღვავა; ხუნწელი კოლმეურნეები სიმინდის უხვ მოსავალს იღებდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ერასტი ფაილოძე, ვანო ჯანაშია, ლავრენტი ძიძიგური, აკაკი ჩიქოვანი, საშა გვალია. საკოლმეურნეო შრომაში აქტიურად მონაწილეობდნენ მოხუცი კოლმეურნეები: ილარიონ წოწორია, დომენტი წოწორია, სტეფანე ფარულავა. კოლმეურნეობამ 1953 წელს სახელმწიფოს ჩააბარა 23 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო 1954 წელს — 30 ტონა. იმავდროულად, ხუნწის კოლმეურნეობაში მიმდინარეობდა ხორცის, კვერცხის, რძის, მატყლის, აბრეშუმის დამზადება; გაშენებული იყო ტუნგი, დაფნა. 1954 წელს კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ჰყავდათ 193 სული მსხვილფეხა საქონელი. სასიამოვნოდ შეიცვალა სოფლის იერსახე. 1954 წელს მწყობრში ჩადგა კოლმეურნეობის ახალი ორსართულიანი კანტორა, რომლის პირველ სართულზე კლუბი იყო განთავსებული; სოფელში იყო სასურსათო და სამეურნეო მაღაზიები, სასადილო-პურსაცხობი, ორი ახალი წისქვილი.[3] 1950 წელს სოფელი ზედა ხუნწი პირდაპირი გზით დაუკავშირდა რაიონულ ცენტრს. ამისათვის გააფართოვეს ძველი გზა 600 მ სიგრძეზე და გაიყვანეს 330 მ სიგრძის ახალი გზა, ამასთანავე გზა მოიხრეშა.[4]

1951 წელს მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოვდნენ ვ. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ჟენია მონიავა და თამარ მონიავა.[5] კოლმეურნეთა შემოსავალი გაიზარდა. კოლმეურნეები მეტ დროს უთმობდნენ განათლებასა და კულტურას, ამაღლდა ცხოვრების დონე.

ხელისუფლება ზრუნავდა დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე და მრავალშვილიანობას ყოველნაირად ახალისებდა. 1948 წელს „დედობის მედლის“ პირველი ხარისხის მედლით, 6 შვილის გაზრდისათვის, დაჯილდოვდნენ სოფ. ხორშის კოლმეურნეები ნინო (ნუცა) მაშავა, პისტი გვასალია, მარიამ გაგუა, ხუტუ ჯაიანი; „დედობის მედლის“ მეორე ხარისხის მედლით, 5 შვილის გაზრდისათვის, დაჯილდოვდნენ: ბაბილინა აბშილავა, ნადეჟდა გვასალია, ოლღა გვასალია.[6] 1948 წელს სენაკის რაიონის სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ზინაიდა მელიტონის ასული შურღაია დაჯილდოვდა „დედობის მედლის“ მეორე ხარისხის მედლით, 5 შვილის გაზრდისათვის.[7] 1950 წელს „დედობის მედლის“ პირველი ხარისხის მედლით, 6 შვილის გაზრდისათვის, დაჯილდოვდნენ სოფ. კეთილარის კოლმეურნეობის წევრები: გოგუცა სიმონია, ალექსანდრა ლალიაშვილი, ქსენია ზაქრაძე; „დედობის მედლის“ მეორე ხარისხის მედლით, 5 შვილის გაზრდისათვის, დაჯილდოვდნენ: აგრაფინა კირცხალია და პოლინა ხუნდაძე.[8] 1951 წელს „დედობის მედლის“ პირველი ხარისხის მედლით, 6 შვილის გაზრდისათვის,

---

[1] **ჟ. კუცია, ივ. თოფურია**, კეთილარის კოლმეურნეობა ამ დღეებში, *გაზ. ,,საბჭოთა სოფელი“*, №42, 1955 წ. 26 მაისი.

[2] **ბ. ხორავა, დ. ჭითანავა**, ხუნწის თემის ისტორიიდან, *კრებ. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის*, ტ. 1, თბ., 2019, გვ. 172.

[3] გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №81, 1953 წ. 1 ოქტომბერი; სოფელ ხუნწში, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №104, 1954 წ. 31 დეკემბერი; **დ. სურმავა**, ხუნწელი კოლმეურნეები სიმინდის უხვ მოსავალს ღებულობენ, *გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“*, №128, 1956 წ. 28 ოქტომბერი.

[4] გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №70, 1950 წ. 29 აგვისტო.

[5] გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №79, 1951 წ. 2 ოქტომბერი.

[6] გაზ. ,,ავანგარდი“, №122, 1948 წ. 18 ნოემბერი.

[7] გაზ. ,,ავანგარდი“, №122, 1948 წ. 18 ნოემბერი.

[8] გაზ. ,,საბჭოთა სოფელი“, №63, 1950 წ. 15 აგვისტო; გაზ. ,,საბჭოთა სოფელი“, №68, 1950 წ. 2 სექტემბერი.

დაჯილდოვდნენ სოფ. ხუნწის კოლმეურნეები: თებრონე ბჟალავა, პარასკევა ხაჟომია; „დედობის მედლის“ მეორე ხარისხის მედლით, 5 შვილის გაზრდისათვის, დაჯილდოვდნენ: ანა ძიძიგური, ლუბა წოწორია.[1] 1954-1955 წლებში „დედობის მედლის“ პირველი ხარისხის მედლით, 6 შვილის გაზრდისათვის, დაჯილდოვდნენ: ხუნწელი კოლმეურნეები ანა ძიძიგური, ლუბა წოწორია, გუგუ ჯალაღონია; „დედობის მედლის“ მეორე ხარისხის მედლით, 5 შვილის გაზრდისათვის, — ბაბუცა ხვინგია; „სახელოვანი დედის“ პირველი ხარისხის ორდენით, 9 შვილის გაზრდისათვის, — ლიდა ფაილოძე.[2] 1954 წელს კოლმეურნე მარგო ჩიქვანაიას 11 შვილის გაზრდისათვის გმირი დედის წოდება მიენიჭა. ამასთანავე, ის ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი, მესიმინდე და მეაბრეშუმეც იყო; აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.[3]

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, საქართველოშიც სოფლის მეურნეობის განვითარება მრეწველობის განვითარებას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოება მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას სურსათით, ხოლო მსუბუქ და კვების მრეწველობას — ნედლეულით. სკკპ ცკ 1953 წლის სექტემბრის პლენუმმა განიხილა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის მიზნით კონკრეტული ღონისძიებები დასახა. აღნიშნული საკითხი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმაც განიხილა.

საქართველოს კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 1945 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად იყო შემცირებული; სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ჩაის, ციტრუსების, ხეხილის, ვენახების, სიმინდისა და სხვა კულტურების განვითარებას, მოწინავეთა მიღწევების ფართოდ დანერგვას. ჩამორჩენა იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დარგში; კოლმეურნეობებში ირღვეოდა შრომის დისციპლინა, ნიავდებოდა საზოგადოებრივი ქონება. ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დაისახა კონკრეტული ღონისძიებები: ჩაის პლანტაციების, ციტრუსების, ხეხილის, ვენახის ფართობის გადიდება, არსებულის წესრიგში მუყვანა, მინერალური და ორგანული სასუქების რაციონალური გამოყენება; ჩაის ფოთლის, ხილისა და ყურძნის დამზადებისა და გადამუშავების შემდგომი გაუმჯობესება; სიმინდის, პარკოსანი კულტურების და ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდება; შრომატევად სამუშაოთა ფართო მექანიზაცია. ამ ამოცანების განხორციელების მიზნით საჭიროდ ჩაითვალა: მტს-ების საჭირო კადრებით, მანქანა-იარაღებითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავეთა გამოცდილების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვა.[4] გატარებული ღონისძიებების შედეგად, 1953 წელს უკვე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ხეხილის, ყურძნის მაღალი მოსავალი; გაიზარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1953 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, ვიდრე 1952 წელს. ჩამორჩენილი კოლმეურნეობების კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, 1953-1955 წლებში, მტს-ებიდან კოლმეურნეობებში გადაიყვანეს აგრონომები, ზოოტექნიკოსები.[5]

50-იან წლების შუა ხანებში ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება მოთხოვნას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. ამიტომ გარკვეული ცვლილებები მოხდა საბჭოთა სახელმწიფოს აგრარულ პოლიტიკაში. ახალი ტექნიკის მიწოდებით სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განმტკიცდა; მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია. 1954 წლიდან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მანქანა-ტრაქტორთა სადგუ-

---

[1] გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №75, 1951 წ. 18 სექტემბერი.

[2] **ბ. ხორავა, დ. ჭითანავა**, ხუნწის თემის ისტორიიდან, გვ. 173.

[3] **ე. ბართაია**, ადამიანები და საქმეები, თბ., 1963, გვ. 94-96; **ნ. ჯანჯღავა**, გმირი დედა! *გაზ. ,,კომუნისტი“*, 1972 წ. 5 ნოემბერი.

[4] **გ. ბრეგაძე**, საქართველო საბჭოთა კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდში (1952-1958 წწ.), *სინ, ტ. VIII*, გვ. 400-403.

[5] **გ. ბრეგაძე**, საქართველო..., გვ. 403-404.

რები სახელმწიფო ენერგეტიკულ სისტემაში ჩაერთო; მეტი ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის კადრებით უზრუნველყოფას. განმტკიცდა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრები; გაიზარდა კაპიტალური დაბანდებები სოფლის მეურნეობაში; განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები საკოლმეურნეო წარმოების ზრდით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებისათვის. გაიზარდა სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიწოდების წესით ჩასაბარებელი პროდუქტების დამზადების ფასები, რამაც კოლმეურნეობათა რენტაბელობა აამაღლა; შემოიღეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის ახალი წესი, რომლითაც კოლმეურნეობები თვითონ განსაზღვრავდნენ კულტურების სათესი ფართობების ოდენობას, მეცხოველეობის პროდუქტიულობასა და სხვადასხვა პირუტყვის რაოდენობას; შეიცვალა კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების სისტემა — ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად კოლმეურნეებს აძლევდნენ ავანსს გამომუშავებული შრომადღეებისათვის, რისთვისაც კოლმეურნეობებში გარდამავალი ფულადი და სასურსათო ფონდები იქმნებოდა.[1] გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, საზოგადოებრივი მეურნეობიდან კოლმეურნეთა შემოსავალი არსებითად არ გადიდებულა; წარმოების საბოლოო შედეგებით გლეხის დაინტერესება არ გაზრდილა. კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურება დაბალი იყო. კოლმეურნეობები ვალდებული იყვნენ მოსავლის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოსთვის მტკიცე ფასებში მიეყიდათ. სახელმწიფო შესყიდვის, დამზადების, გეგმები სულ უფრო იზრდებოდა. წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაწილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იგზავნებოდა, მაგრამ შემოსავალი საერთო-საკავშირო მოხმარებას ექვემდებარებოდა, რომლიდანაც საქართველოს უმნიშვნელო წილი ერგებოდა. კოლმეურნე გლეხისთვის სახელმწიფო საკუთრება და საზოგადოებრივი წარმოება უცხოდ რჩებოდა. მთელი ყურადღება მას საკარმიდამო ნაკვეთსა და გარე სამუშაოზე ჰქონდა გადატანილი, რამაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების კრიზისი და სასურსათო პრობლემის გამწვავება გამოიწვია. წარმატებები მიიღწეოდა ახალი სახნავ-სათესი ფართობების ათვისებით, ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებით.

კოლმეურნეობების განმტკიცებასთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის გაუმჯობესების, მათი წარმოების გაფართოებისა და რენტაბელობის გაზრდის მიზნით. მეურნეობებში დიდი რაოდენობით გააგზავნეს სპეციალისტები, გადაახალისეს ხელმძღვანელი კადრები. ფართოდ ხორციელდებოდა საბჭოთა მეურნეობების მექანიზაცია და ელექტროფიკაცია. იმავდროულად, გაიშალა ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა.[2]

საბჭოთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ, 50-იანი წლების შუა ხანებში, მარცვლეულის პრობლემის მოგვარებისა და მესაქონლეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით ახალი კამპანია წამოიწყო — ყაზახეთისა და შუა აზიის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. 1954 წლის თებერვალ-მარტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება „ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“. ხელისუფლება სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების, ჩამორჩენის უმოკლეს დროში დაძლევის გზას, უპირველეს ყოვლისა, მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებაში ხედავდა. მარცვლეულის წარმოების გადიდება მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა, მეცხოველეობისა და მეფრინველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა, ეს კი ამ დარგების განვითარებას, შესაბამისად, მოსახლეობის ხორცისა და რძის პროდუქტებით უზრუნველყოფას განაპირობებდა. ამდენად, პლენუმმა მარცვლეულის წარმოების გადიდების ახალი გზა დასახა — ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება.[3]

---

[1] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 177-182.

[2] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 182.

[3] **ვ. ქარუმიძე**, საქართველოს ახალგაზრდობა ყამირზე, თბ., 1983, გვ. 3-4.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში ქართველმა ახალგაზრდობამაც შეიტანა წვლილი. 1954 წლის მარტში ყამირი და ნასვენი მიწების რაიონებში გაემგზავრა საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ჯგუფი, ხოლო იმავე წლის ივნისიდან ათასობით მუშახელი, მექანიზატორები, ელექტრიკოსები, მშენებლები და სხვა პროფესიის ახალგაზრდები წავიდნენ, გაიგზავნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. საქართველოდან ყამირზე იგზავნებოდა დიდძალი რაოდენობით საჩუქრები: ხილი, ჩაი, ჩურჩხელები, თბილი ტანსაცმელი და სხვ.[1] ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მიზნით საქართველოდან დიდი რაოდენობით მუშახელისა და სპეციალისტების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითად აისახებოდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ საქართველოშიც გამონახა ყამირი მიწები, მეტწილად, ტრადიციული საძოვრები, და მათი ათვისება დაიწყო. ამ მიწების მოხვნით მცირდებოდა საძოვრები, რაც მესაქონლეობის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებდა. სოფლის მეურნეობის წინაშე უმთავრეს ამოცანად დაისახა სიმინდის ნათესების გაზრდა, თუმცა ეს საძოვრების ათვისებისა და ტყეების გაჩეხვის ხარჯზე ხორციელდებოდა. სამეგრელოს სოფლებში სათიბ-საძოვრები გადახნეს და სიმინდი დათესეს, რამაც პირუტყვის სულადობის შემცირება გამოიწვია.[2]

იმავე ხანებში, 1956 წლის 6 მარტს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელიც კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში გადაცემული საკარმიდამო ნაკვეთებისა და მათ საკუთრებაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის შემცირებას ითვალისწინებდა. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სოფელში დაიწყო კოლმეურნეთა პირადი საკარმიდამო ნაკვეთების ფართობისა და კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის რაოდენობის შემცირება. ამ ღონისძიებამ უაღრესად ნეგატიური შედეგები გამოიღო: საკოლმეურნეო კომლის პირადი მეურნეობიდან ჩამოჭრილ ნაკვეთზე ძირითადად მრავალწლიანი ნარგავები იყო გაშენებული, ხოლო კოლმეურნეობას არ ჰქონდა შესაძლებლობა სათანადოდ მოევლო ამ ნაკვეთებისთვის; პირუტყვის ძირითადი ნაწილი იკვლებოდა, რითაც მცირდებოდა კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობა, რომელიც არა მარტო ქალაქების ხორცით მომარაგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზა იყო, არამედ ზოგ შემთხვევაში კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის შენარჩუნების წყაროც.[3]

იმავდროულად, ხელისუფლება კოლმეურნეობების ეკონომიკურ განმტკიცებას ცდილობდა. 1954 წლიდან საქართველოში სოფლის მოსახლეობა ენერგოსისტემის ქსელებსა და ქვესადგურებში ჩაირთო. ელექტროენერგიამ ფართო გამოყენება ჰპოვა არა მარტო ყოფაცხოვრებაში, არამედ სოფლის მეურნეობის შრომატევად პროცესებში. მოხდა მეფრინველეობის და მეცხოველეობის ფერმების ელექტროფიცირება. სოფლებში მოეწყო გარე განათებები.[4] 1958 წელს მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, განხორციელდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. მათი ტექნიკა კოლმეურნეობებს მიეყიდა, მექანიზატორები და სხვა სპეციალისტებიც კოლმეურნეობებში გადავიდნენ. ამან ხელი შეუწყო საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას, შექმნა შესაძლებლობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უფრო რაციონალურად და სრულყოფილად გამოყენებისათვის.[5] იმავდროულად, განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით სავალდებულო მომარაგების სისტემიდან სახელმწიფო შესყიდვაზე გადასვლა, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებისაკენ იყო მიმართული. შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების წესები და პირობები. ეკო-

---

[1] **ვ. ქარუმიძე**, საქართველოს ახალგაზრდობა ყამირზე, გვ. 7-28.

[2] **კ. ლორთქიფანიძე**, ქართული სოფლის ქრონიკები. რა მოხდა აბაშაში, თბ., 1977, გვ. 136-137.

[3] საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება შვიდწლედში (1959-1965 წწ.), *სინ, ტ. VIII*, გვ. 656.

[4] სახე უცვალა სოფელს, გაზ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა", 1969 წ. №1, გვ. 21.

[5] **გ. ბრეგაძე**, საქართველო..., გვ. 407; **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 184; **История СССР,** эпоха социализма, გვ. 403-405.

ნომიკურად სუსტ კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ წინა წლების სავალდებულო მიწოდების წესით ჩასაბარებელი პროდუქტების დამზადების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის ნატურით ანაზღაურების დავალიანებები. დავალიანებების ჩამოწერამ ხელი შეუწყო ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობების გაძლიერებას, კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლებას.[1] 1957 წლიდან საქართველოს ხელისუფლება შეუდგა არარენტაბელურ კოლმეურნეობათა ბაზაზე ახალი საბჭოთა მეურნეობების შექმნას და არსებულთა გაფართოებას.[2]

50-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში ჩაის წარმოება გარკვეულწილად ჩამორჩებოდა. 1956-1957 წწ. ჩაის წარმოება დაახლოებით 1953 წლის დონეზე დარჩა, 107 ათასი ტონა.[3] იმავდროულად მდგომარეობის გამოსწორებისთვის ზრუნვა დაიწყო. გაშენდა ცნობილი სელექციონერის, აკადემიკოს ქსენია ბახტაძის (1899-1978) მიერ გამოყვანილი ჩაის ჯიშები, რომლებსაც მაღალი საგემოვნო თვისებები ახასიათებდა და უხვმოსავლიანი იყო.[4] სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარების, რენტაბელური მუშაობის კარგ მაგალითს იძლეოდნენ მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. 1957 წელს ხუნწის კოლმეურნეობის წევრი 583 კაცი იყო. კოლმეურნეობაში გაიზარდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. სოფელმა არსებითად სახე იცვალა. მისი სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი ჩაის პლანტაციებმა დაფარა. ჩაი გაშენებული იყო 120 ჰა ფართობზე. სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების დანერგვამ წინ წასწია კოლმეურნეობა. ტუნგი გაშენებული იყო 19 ჰა ფართობზე, სიმინდი ითესებოდა 400 ჰა ფართობზე, საკოლმეურნეო ფერმაში ჰყავდათ 400 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 100 ღორი, 300 ფრთა ფრინველი და ფუტკრის 40 ოჯახი. 1957 წელს დასრულდა სოფლის სრული ელექტროფიკაცია; სოფელი კეთილმოეწყო, გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი.[5] კოლმეურნეობა ვ. მოლოტოვის სახელს 1957 წლის მეორე ნახევრამდე ატარებდა, 60-იანი წლებიდან მას მიხა ცხაკაიას სახელი ეწოდა. ამ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა ჩაის პლანტაციების ფართობი. ჩაი გაშენებული იყო 85 ჰა ფართობზე.[6] 1959 წელს კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის და სიმინდის მოსავლის აღების წლიური გეგმა. კოლმეურნეებმა შრომადღეზე ავანსის სახით 5 კგ სიმინდი მიიღეს: მოწინავე კოლმეურნეების გ. ძიძიგურის, ს. ჩიქოვანის, ბ. თოფურიას ოჯახებმა — 3,5 - 3,8 ტონა სიმინდი.[7] კოლმეურნეობას 1953-1963 წლებში სათავეში ედგა ნიკოლოზ ჩიქოვანი. 1961 წელს მას საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის წოდება მიენიჭა.

1960 წლის იანვარში ცხაკაიას რაიონის სოფ. ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრებმა გამოაქვეყნეს მიმართვა „ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ხუთ წელიწადში შესრულებისათვის“! რომლითაც რაიონის ყველა კოლმეურნეს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და ყველა მუშაკს მიმართეს.[8] ცხაკაიას რაიონის ტეხურის სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობაში წამყვანი კულტურა იყო დაფნა. დიდი ადგილი ეკავა აგრეთვე სუბტროპიკულ ხურმას, ბამბუკს, ფეიხოას, ხეხილს, ბოსტნეულ და მარცვლეულ კულტურებს. აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის მაღალ დონეზე ჩატარებით, მეცნიერული მიღწევების ფართოდ გამოყენებით და შრომის კარგი ორგანიზაციით ტეხურელები ყოველწლიურად ზრდიდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას და ამცირებდნენ მის თვითღირებულებას. 1958 წელს მეურნეობამ 11 ცენტნერი დაფნის ფოთოლი მიიღო, ამასთან თითოეული ცენტნერის წარმოება 423 მანეთი დაჯდა, 1965 წელს მეურნეობამ 316 ცენტნერი დაფნის

---

[1] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 185; **История СССР,** эпоха социализма, გვ. 405; **გ. ბრეგაძე**, საქართველო..., გვ. 407.

[2] **გ. ბრეგაძე**, საქართველო..., გვ. 405.

[3] **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 90.

[4] **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 97.

[5] ახალი წარმატებებისათვის, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №23, 1957 წ. 24 თებერვალი.

[6] **სპ. ბართაია**, აზღვავდა ხუნწი, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №76, 1960 წ. 24 ივნისი.

[7] ხუნწელთა ხმა, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №128, 1959 წ. 25 ოქტომბერი.

[8] გაზ. ,,ავანგარდი“, 1960 წ. 13 იანვარი.

ფოთოლი მიიღო და ცენტნერის წარმოებაზე 247 მანეთი დაიხარჯა. 1960 წელს მეურნეობამ რესპუბლიკას მისცა 26 033 მანეთის, ხოლო 1965 წელს — 166 ათასი მანეთის მოგება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდასთან ერთად აქ დიდად ზრუნავდნენ მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, მეურნეობის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე. სოფელში აიგო კოხტა საცხოვრებელი სახლები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, გზები მოაასფალტეს, გზისპირები მწვანე ნარგავებით დაამშვენეს.[1]

ჩაის მოსავლიანობის გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუშახელის საოჯახო საქმიდან გათავისუფლებამ, რაც 60-იანი წლების დასაწყისში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბავშვო ბაგა-ბაღების გახსნით განხორციელდა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ბაგა-ბაღებს რძით უფასოდ ამარაგებდნენ. ერთ-ერთი პირველი, სადაც საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა, დიდიჭყონის კოლმეურნეობა იყო. ამის შედეგად კოლმეურნეობის ყველა მეჩაიე ქალი საკოლმეურნეო შრომაში იყო ჩაბმული. ამიტომ ჩაის კრეფის გეგმა კოლმეურნეობაში 1962 წელს 132%-ით შესრულდა.[2] სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ტატიანა ტყეებუჩავა სახელგანთქმულ ჩინელ მეჩაიეს ჯან ცი ხესის ეჯიბრებოდა.[3] 1960 წელს მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ჩაის მოსავლიანობის გაზრდის საქმეში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ხუნწის, თამაკონის, დიდიჭყონის, ნაგვაზაოს, სალხინოს კოლმეურნეობებმა. იმავდროულად, ხუნწის, ინჩხურის, სალხინოს, ნახუნაოს კოლმეურნეობებში დაიწყო დაფნისა და ტუნგის გაშენება; სულ უფრო იზრდებოდა ხეხილისა და ვაზის ფართობები. ოჯალეშის ჯიშის ვაზი გააშენეს სალხინოში, ბანძაში; მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა მეაბრეშუმეობა.[4]

მეტი ყურადღება მიექცა გადამამუშავებელ წარმოებას. 1953 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში გაიხსნა ჩაის ფაბრიკა; განხორციელდა უშაფათის ჩაის ფაბრიკის ტექნიკური რეკონსტრუქცია.[5] ხორცისა და რძის წარმოების გადიდების მიზნით 1954 წელს გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის კოლმეურნეობაში შემოიყვანეს 10 სული ესტონური ჯიშის დეკეული. მათ მაღალი პროდუქტიულობა ახასიათებდა, გამოირჩეოდნენ წველადობით. ისინი კარგად შეეგუვნენ ადგილობრივ პირობებს.[6]

მიუხედავად იმისა, რომ 50-იან წლებში სოფლის მეურნეობაში ადგილი ჰქონდა რიგ ნაკლოვანებებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ენერგიული შრომის შედეგად კარგი შედეგები იქნა მიღწეულ სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარებაში, ჩაის, ციტრუსების, ხილის, ხორცის, რძის, კვერცხის სახელმწიფოსათვის ჩაბარების საქმეში.[7] შესაბამისად, გაძლიერდა კოლმეურნეობების ეკონომიკა, გაიზარდა მათი ფულადი შემოსავალი, ამაღლდა საზოგადოებრივი ცხოვრების დონე. განვითარდა საბინაო მშენებლობა, შემცირდა სამუშაო დღე, მოწესრიგდა საპენსიო უზრუნველყოფა, მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს დახმარებები ეძლეოდათ, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაზღვევა გაუმჯობესდა, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გადასახადი გაუქმდა. გაიზარდა მშრომელთა შემოსავალი, მნიშვნელოვნად მოიმატა საქონელბრუნვამ სოფელში, მათ შორის კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის: საკერავი მანქანების, ველოსიპედების, სარეცხი მანქანების, მაცივრების, რადიომიმღებების, საათების და სხვ. ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობე-

---

[1] **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 180-181.
[2] **ე. ბართაია**, ადამიანები და საქმეები, გვ. 49.
[3] **ს. კუჭავა**, იგი კვლავ მწყობრშია, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1985, №6, გვ. 11.
[4] **ე. ბართაია**, ადამიანები და საქმეები, გვ. 53, 60-64.
[5] **ბ. ხაბურზანია**, უშაფათის ჩაის ფაბრიკა, გვ. 21-27.
[6] **ს. ჯგერენაია**, მოვაშენოთ ესტონური ჯიშის ძროხები, გაზ. ,,სოციალისტური სოფელი“, №3, 1954 წ. 6 იანვარი.
[7] **გ. ბრეგაძე**, საქართველო..., გვ. 419, 441-443.

სების შედეგად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.[1] 1958 წლის დეკემბერში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც შვიდწლიანი განათლების ნაცვლად შემოიღეს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლება.[2] დიდი სამუშაოები ჩატარდა სპეციალისტთა მომზადების, განაწილებისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით. 1957 წელს შეიცვალა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პირობები: მიღების უპირატესი უფლება მიენიჭათ მათ, ვისაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჰქონდათ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, აგრეთვე საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულ ახალგაზრდებს. მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებლად მათთვის შეიქმნა მოსამზადებელი კურსების ქსელი; 1956 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმდა სწავლის ქირა; სტუდენტები იღებდნენ სტიპენდიებს, ცხოვრობდნენ სახელმწიფო საერთო საცხოვრებლებში.[3] ყოველივე ეს ხელს უწყობდა სოფლის კადრებით უზრუნველყოფას, კულტურული დონის ამაღლებას.

იმავე ხანებში მნიშვნელოვნად შეიცვალა რაიონული ცენტრებისა და სოფლების იერსახე. 1956 წელს სოფელი გეგეჭკორი, ხოლო 1957 წელს სოფელი წალენჯიხა, 1959 წელს სოფელი ჩხოროწყუ, 1961 წელს სოფელი ხობი ქალაქის ტიპის დასახლებად, დაბად, გარდაიქმნა. მიმდინარეობდა გზების კეთილმოწყობა, სოფლების ელექტროფიკაცია, რადიოფიცირება.

50-60-იან წლებში მეტი ყურადღება მიექცა მელიორაციას, ელექტროფიკაციას. მეჩაიეობის რაიონებში ზაფხულობით გვალვები დიდ ზიანს აყენებდა ჩაის ფოთლის წარმოების საქმეს. ამიტომ, 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში დიდი სამუშაოები ჩატარდა ჩაის პლანტაციების მორწყვის უზრუნველყოფის მიზნით. სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა ჭაობების ამოშრობასა და ამოშრობილი მიწების ათვისებას.[4] საქართველოს კპ ცკ-სა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის დადგენილებით დაისახა კოლხეთის ჭაობების ინტენსიური დაშრობისა და ათვისების რადიკალური ღონისძიებები.[5] 1961 წელს რაიონებში საქსოფლტექნიკის განყოფილებები ჩამოყალიბდა, რამაც დადებითი როლი შეასრულა სოფლის ტექნიკით უზრუნველყოფის საქმეში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენდა მინერალური სასუქების გამოყენება. საგრძნობლად გაუმჯობესდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მინერალური სასუქების მიწოდება. 1959-1965 წწ. მძლავრად განვითარდა სოფლის ელექტროფიკაცია. 1965 წლისთვის ელექტროფიცირებული იყო საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დიდი ნაწილი.[6] 1956 წელს დ. ჩხოროწყუში, მდ. ხობისწყალზე დაიწყო ჰესის მშენებლობა, რომელიც შემდეგ შეწყდა. 60-იან წლებში კვლავ განახლდა ჩხოროწყუჰესის მშენებლობა. 1967 წელს ამუშავდა მისი პირველი, ხოლო 1968 წელს — მეორე აგრეგატი. ჰესის სიმძლავრემ 7,5 მეგავატი შეადგინა.[7]

მიუხედავად ამისა, სახალხო მეურნეობის განვითარებაში მრავალი სიძნელე იყო. სოფლის მეურნეობა ნელა ვითარდებოდა, რისი მიზეზიც იყო დაგეგმვის, ფასთწარმოქმნის სისტემის, ფინანსირებისა და დაკრედიტების მანკიერი ხასიათი. სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო გეგმები მისი განვითარების რეალურ შესაძლებლობებს არ ემყარებოდა. სხვა კულტურების ხარჯზე მიმდინარეობდა ჩაისა და ციტრუსების ფართობების გაზრდა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით სოფლის მეურნეობის დარგები აღმავლობას განიცდიდა, მაგრამ რეალური ვითარება სულ სხვა

---

[1] **გ. ბრეგაძე**, საქართველო..., გვ. 407; **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 185-186; **История СССР,** эпоха социализма, გვ. 407-409.

[2] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 189.

[3] **ი. ბერხინი**, სსრკ ისტორია (1917-1977), ნაწილი მეორე (1938-1958), გვ. 191.

[4] **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 181-182.

[5] **დ. მუმლაძე**, კოლხეთი და მისი კლიმატი, *ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“*, 1980 წ. №6, გვ. 9.

[6] სახე უცვალა სოფელს, გაზ. „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1969 წ. №1, გვ. 22; **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის (1959-1965 წწ.), გვ. 179; **გ. ბრეგაძე**, საქართველო..., გვ. 418.

[7] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 76-77.

იყო. რადგან გეგმები ვერ სრულდებოდა, დაიწყო მათი კორექტირება, კოლმეურნეობების გაერთიანება, რასაც რაიონების გაერთიანება მოჰყვა. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 1963 წლის გვალვამ და მოუსავლიანობამ, რის გამოც მთელ სსრ კავშირში მარცვლეულის მოსავალი გაცილებით ნაკლები აიღეს, ვიდრე წინა წელს. საკვების უკმარისობა მეცხოველეობასაც დაეტყო. შეიზღუდა პურის თავისუფალი გაყიდვა, პურზე რიგები გაჩნდა, პურის კრიზისი საქართველოშიც იგრძნობოდა.[1]

1962-1963 წლებში საქართველოში, ისევე როგორც მთელ სსრ კავშირში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა გატარდა, რომელიც რაიონების გაერთიანების გზით მათ გამსხვილებას ისახავდა მიზნად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 2 იანვრის ბრძანებულებით აბაშისა და გეგეჭკორის რაიონები გააერთიანეს ერთ გეგეჭკორის რაიონად, ცენტრით დაბა გეგეჭკორში. იმავდროულად, აბაშის რაიონის კეთილარის სასოფლო საბჭოს ტერიტორია ლანჩხუთის რაიონს მიეკუთვნა.[2] იმავე ბრძანებულებით, წალენჯიხისა და ხობის რაიონები ზუგდიდის რაიონს მიუერთეს, ხოლო ჩხოროწყუს რაიონი — ცხაკაიას რაიონს.[3]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 იანვრის ბრძანებულებით გეგეჭკორის რაიონის დაბა აბაშა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად, ხოლო აბაშის სადაბო საბჭო აბაშის საქალაქო საბჭოდ გარდაიქმნა.[4] 1965 წელს აბაშის რაიონი ორ ნაწილად, რიონის გაღმა და გამოღმა ნაწილებად გაიყო. დაბა აბაშა და მასთან ერთად რიონის გაღმა, კეთილარის სასოფლო საბჭო და ანჯელის მასივი მთლიანად ლანჩხუთის რაიონს დაექვემდებარა, თუმცა ასეთმა დარაიონებამ მხოლოდ წელიწადნახევარი იარსება.[5] იმავდროულად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1964 წლის იანვარში გაუქმდა ნოღახაშის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები ნოღახაში და კაპანა ქალაქ აბაშასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.[6] იმავე იანვარში გაუქმდა ცხაკაიას რაიონის სოფელ შხეფის სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები — შხეფი და საკინწურაშვილო შეუერთდა ქ. ცხაკაიას მასთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.[7]

რაიონების გაერთიანებამ არ გაამართლა, ამიტომ გაუქმებული რაიონები აღადგინეს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით ცხაკაიას რაიონს გამოეყო ჩხოროწყუს სადაბო საბჭოს ტერიტორია, ახუთის, კირცხის, ლესიჭინის, ლეწურწუმის, მუხურის, ნაკიანის, ნაფიჩხოვოს, ჭოღას, ხაბუმის, ზუმის, ქვედა ჩხოროწყუს სასოფლო საბჭოების ტერიტორია და მათგან შეიქმნა ჩხოროწყუს რაიონი ცენტრით დაბა ჩხოროწყუში.[8] იმავე წელს წალენჯიხის რაიონი, ხოლო 1965 წელს ხობის რაიონიც აღადგინეს. თორსა-დღვაბას სასოფლო საბჭო ხობის რაიონში შედიოდა. თორსა-დღვაბას სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: თორსა (ს/ს ცენტრი), დღვაბა და საბუკიო.[9] 1966 წელს აბაშის რაიონი აღადგინეს და კეთილარის სასოფლო საბჭოს ტერიტორია ანჯელის მასივის ჩათვლით მას შეუერთეს.[10] კეთილარის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: კეთილარი (ს/ს ცენტრი), გულეიკარი, გაღმა კოდორი.[11]

ომის შემდგომ წლებში *კეთილარში* დაიწყო ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოტანა და გაშენება. კეთილარელმა მაკარო ლორიამ რამის გადამამუშავებელი საამქრო გამართა, სადაც რამს ამუშავებდნენ და მისგან თოკებს გრეხდნენ. ჯერ კიდევ ომამდე მოწყობილი

---

[1] **История СССР,** эпоха социализма, გვ. 429-430.

[2] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1963 წ. №1, გვ. 10.

[3] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1963 წ. №1, გვ. 10.

[4] გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი“, 1964 წელი, 25 იანვარი, №11.

[5] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 109-110.

[6] გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი“, 1964 წელი, 25 იანვარი, №11.

[7] გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი“, 1964 წელი, 3 მარტი, №27.

[8] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ. № 36.

[9] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, თბ., 1966, გვ. 106.

[10] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 111.

[11] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, თბ., 1966, გვ. 15.

იყო რკინის სამჭედლო, სადაც ნალებს, ნამგლებს, ნაჭებსა და რკინის სხვა ნაკეთობებს ამზადებდნენ. აქ მჭედლებად აბაშიდან მოსული ბოშები, გვარად სტავრატები მუშაობდნენ. 60-იან წლებში უკრაინიდან გადმოსახლებულმა გრიშა სიტნიკმა და მისმა ძმამ მოაწყვეს წისქვილი, რომელიც ორთქლის ძრავიანი დგუშებით მუშაობდა და საწვავად როგორც შეშას, ისე ქვანახშირს იყენებდა. კეთილარის თემს წყლის წისქვილი არ ჰქონდა, რადგან რიონზე წისქვილის აგება შეუძლებელი იყო, სხვა მდინარე კი ახლომახლო არ იყო. რაც შეეხება ფიჩორს, ეს მდინარე სეზონურია, ხან იმატებს, ხან იკლებს წყალი და ამიტომ სამივე სოფლის გლეხებს საფქვავი ნაესაკავოში ან სუჯუნაში ურმებით მიჰქონდათ. ადრე ბორანი იყო და არ ჭირდა მეზობელ სოფლებში წასვლა-წამოსვლა. 60-იანი წლებიდან კეთილარში მოქმედებდა პურის საცხობი. 1965 წელს დასრულდა სოფლის ელექტროფიკაცია.[1]

ხუნწის თემი უწინდებურად გეგეჭკორის რაიონში შედიოდა. ხუნწის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: ქვემო ხუნწი (ს/ს ცენტრი), ზემო ხუნწი, ლეციცხვაიე.[2]

60-იან წლებში სოფელ ჯგალში სამი კოლმეურნეობა ფუნქციონირებდა: კვარაცხელიას სახელობის (თავმჯდომარე შ. გუჩუა), სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ლ. ფიფია) და რუსთაველის სახელობის (თავმჯდომარე ი. კვარაცხელია). კოლმეურნეობები ძირითადად ორიენტირებული იყვნენ მეჩაიეობასა და მესიმინდეობაზე. ჯგალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირები იყვნენ ლენინის ორდენის კავალრები ბუბუ ქარაია და ნესტორ მიქავა; მოწინავე მეჩაიეები — ციალა სალია, ფენია ძაძამია, შურა მიქავა, გოგო ბოხუა, მზია ჭანტურია, ტატული ფიფია და სხვ. მოწინავე მესიმინდეები — სოციალისტური შრომის გმირი ვასილ მიქავა, ვალოდია ჭიჭაღუა, ალიოშა ძაძამია, ღოდო მიქავა, ქიშვარდი მიქავა და სხვ. მეცხოველეები — ღუდა ფიფია, უშანგი მიქავა, იროდი ფიფია. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეები იყვნენ — თალიკო ხარჩილავა, ვერა ხარჩილავა, თინა ხარჩილავა, ზაირა ხარჩილავა, ციალა ხარჩილავა, ფენია ხარჩილავა. გარდა მეჩაიეობისა და მესიმინდეობისა, განვითარებული იყო მეაბრეშუმეობა; კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებდნენ ხორცს, რძეს, კვერცხს. სოფელი მთლიანად იყო ელექტროფიცირებული, წისქვილი და ტრანსპორტი უფასოდ ემსახურებოდა მოსახლეობას, ასევე უფასო იყო ბაგა-ბაღი, ყველა ოჯახში იყო რადიო.[3]

ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე *ნ. კოდუა*) ასევე ძირითადად მეჩაიეობასა და მესიმენდეობაზე იყო ორიენტირებული. ჩაისა და სიმინდის გარდა კოლმეურნეობა სახელმწიფოს აბარებდა ხორცს, რძეს, კვერცხს.[4] ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი *ვარლამ ხორავა*) გაშენებული იყო: დაფნა, მანდარინი, ლიმონი, ზეთისხილი.[5]

ხორშის თემის კოლმეურნეობები ძირითადად მეჩაიეობასა და მესიმინდეობაზე იყო ორიენტირებული. ჩაი გაშენებული იყო 116 ჰექტარზე. გარდა ჩაისა, გაშენებული იყო ვენახი, ხეხილი, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურები. ეთერზეთების ქარხანა-მეურნეობაში (დირექტორი *ალექსანდრე კანკავა*) მოჰყავდათ და ამუშავებდნენ გერანს, რეჰანს და სხვა კულტურებს. სოფელში აიგო ლამაზი თანამედროვე კაპიტალური საცხოვრებელი სახლები. სოფელში იყო ერთი საშუალო, ორი რვაწლიანი და დაწყებითი სკოლები, სასურსათო და სამეურნეო მაღაზიები, ბიბლიოთეკა, ელექტროწისქვილები, დამკვიდრდა რადიო, ტელევიზია.

ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ ფართობებზე სიმინდის გარდა ითესებოდა სოია, ლობიო, მოჰყავდათ აბრეშუმის პარკი. ჩაის პლანტაციები 161 ჰა ფართობზე იყო გაშლილი. გაიზარდა ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა. 1965 წელს კოლმეურნეობაში მოიკრიფა 508 ტონა (ჰექტარზე — 3608 კგ) ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 1966 წელს — 672 ტონა (ჰექტარზე — 4427 კგ).

---

[1] ნოდარ ქაჩიბაიას მოგონება, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 109-110.

[2] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, თბ., 1966, გვ. 34.

[3] **შ. პლატონიძე, დ. აბრალავა**, დიადი მიზნის შუქნათელ გზაზე, გაზ. ,,მებრძოლი“, №28, 1962 წ. 17 ივნისი; გაზ. ,,მებრძოლი“, №32, 1962 წ. 24 ივნისი.

[4] გაზ. ,,მებრძოლი“, №16, 1962 წ. 27 მაისი.

[5] **შ. შენგელი**, ,,ედემის“ მიდამოებში, გაზ. ,,მებრძოლი“, №24, 1962 წ. 10 ივნისი.

კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მოწინავე მეჩაიეები იყვნენ კლარა ბუკია — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გოგუცა გუგუნავა, ნინა კაზარიანი, ლიდა პარკაია და სხვ. მიღწეული წარმატებებისთვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ალექსანდრე გვასალია „ლენინის ორდენით“ დაჯილდოვდა. ჩაი შეძლებული ცხოვრების წყარო გახდა. გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი. კოლმეურნეობაში დაინერგა შრომის გარანტირებული ანაზღაურება. კოლმეურნეობას ჰქონდა მეცხოველეობის ფერმა და აწარმოებდა ხორცსა და რძეს. 60-იან წლებში მიმდინარეობდა სოფლის ელექტროფიკაცია.[1]

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობაში ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია სამი ათეული წელი უნარიანად ხელმძღვანელობდა ბრიგადას და ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა. 1959-1965 წწ. ბრიგადას გეგმით უნდა გაეშენებინა 2 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია, ფაქტობრივად კი 3 ჰექტარი გააშენა. 1965 წლისთვის ჩაის პლანტაციების ფართობი აქ 17 ჰექტარს უდრიდა, აქედან სრულმოსავლიანი 14 ჰექტარი იყო. გეგმა ითვალისწინებდა 1965 წელს თითოეული სრულმოსავლიანი ჰექტარიდან 7850 კგ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღებას, ფაქტობრივად 10 400 კგ მიიღეს. ბრიგადას წარმატებები ჰქონდა აგრეთვე სიმინდის, აბრეშუმის პარკის, ტუნგისა და სხვა კულტურების წარმოებაში. თამარ ყუფუნია დაუცხრომლად ზრუნავდა ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დროულად, აგროტექნიკის მოთხოვნათა ზუსტი დაცვით ჩატარებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის სწორი ორგანიზაციისათვის.[2] 1965 წელს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მაღალი მოსავალი მოიყვანეს სოციალისტური შრომის გმირებმა ტატიანა ტყებუჩავამ (ცხაკაიას რაიონი, სოფ. ზანა), ვინარი სხულუხიამ (ზუგდიდის რაიონი, სოფ. ახალი აბასთუმანი).[3]

სამეგრელოს სოფლებში 50-იანი წლების ჩათვლით საკარმიდამო ნაკვეთებზე ითესებოდა ღომი, ფეტვი, ჭვავი. ღომისა და ფეტვის თესვა იწყებოდა აპრილის შუა რიცხვებში და თვის ბოლომდე გრძელდებოდა. ჭვავს შემოდგომაზე თესავდნენ და მოსავალს ივნისში იღებდნენ. სოფ. ხორშის მცხოვრების, გ. კანკავას, ცნობით, ეს მარცვლეული კულტურები მათი ძირითადი საკვები იყო. ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავდათ ბამბა, სელი, კანაფი, რამი. ბამბის ძაფს ართავდნენ და ქსოვდნენ ტანსაცმელს, კერავდნენ საბნებსა და ლეიბებს. სელისა და კანაფის თესლის ნაცხობს იყენებდნენ, მათგან ძაფსაც ართავდნენ და ქსოვილებს, თოკს, ბადეს ამზადებდნენ; მოჰყავდათ ბარდა და ცერცვი. ხუნწში ხორბლის ჯიშებიდან ითესებოდა მახა თვით 80-იან წლებამდე. აბაშის სოფლებში მდ. ნოღელას ნაპირებზე, რიონის ჭენჭყობიან ჭალებში ითესებოდა ბრინჯი. ადრე ამ კულტურების ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს სამეგრელოს სოფლებში შემორჩენილი ადგილის სახელწოდებები: ნაღუმუ (ღუმუ, მეგრ. ღომი), ნაჭკიდუ (ჭკიდი, მეგრ. მჭდი, ფეტვი), ნაბამბუ (ბამბე, მეგრ. ბამბა), ნაქობალუ (ქობალი, მეგრ. ხორბალი), ნაჭვუ (ჭვე, მეგრ. ჭვავი), ნაესუ, ნასელუ (სუ, მეგრ. სელი), ნაკიფუ (კიფი, მეგრ. კანაფი). კოლმეურნეობების ფართობებზე, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით ითესებოდა ჭარხალი, ბარდა, რომლის მწვანე მასას საქონლის საკვებად იყენებდნენ.[4] მისდევდნენ მეაბრეშუმეობას. აბრეშუმის ჭიას ჩელტებზე გაშლიდნენ და თუთის ხის ფოთლებით კვებავდნენ. ივნისის დასაწყისში ჭია ახვევას იწყებდა.[5]

ზოგიერთი მეურნეობის დაფნასა და სუბტროპიკულ მეხილეობაზე ორიენტაციის აღებამ კარგი შედეგი გამოიღო. ტეხურის დაფნისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობამ 1965 წელს სახელმწიფოს 300 ათასი მანეთის შემოსავალი მისცა. გარდა დაფნისა და სუბტროპიკული მეხილეობისა, მეურნეობა 130 ცენტნერ თაფლს ამზადებდა.[6] მეფუტკრეობა კარგად იყო

---

[1] გაზ. ,,კოლხეთი“, №81, 1966 წ. 12 ივლისი; გაზ. ,,კოლხეთი“, №119, 1966 წ. 8 ოქტომბერი; **ა. გვასალია**, შრომა სიკეთის დედაა, გაზ. ,,კოლხეთი“, №75, 1967 წ. 24 ივნისი.

[2] **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის (1959-1965 წწ.), თბ., 1970, გვ. 152-153.

[3] **გ. ფირცხალავა**, საქართველოს..., გვ. 152-153.

[4] **მ. ნაჭყებია, ბ. ჩომახიძე**, ბარდას მიირთმევს პირუტყვი, გაზ. ,,მებრძოლი“, №15, 1962 წ. 25 მაისი.

[5] **შ. არდია**, წლიური გეგმა პირველი გამოკვებით, გაზ. ,,მებრძოლი“, №14, 1962 წ. 24 მაისი.

[6] **ა. შენგელია**, კოლხეთის დაფნის გვირგვინი, გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო“, №10, 1966 წ. 4 მარტი.

განვითარებული ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებში. ამ მხარეში უძველესი დროიდან მისდევდნენ მეფუტკრეობას. ხობისწყლის ზემო წელი — მუხური, ლუგელა, ძალზე ხელსაყრელია ქართული რუხი ფუტკრის მოშენებისათვის. 1961 წელს გერმანიის ქალაქ ერფუტში, მეფუტკრეობის საერთაშორისო გამოფენაზე მუხურიდან გაგზავნილმა ფუტკრის ორმა ოჯახმა, თითოეულმა 97 კგ თაფლი მიიღო, როდესაც სხვა ჯიშის ფუტკრების პროდუქტიულობა 35-40 კგ-ს არ გასცილებია. საერთაშორისო გამოფენაზე მუხურის ფუტკარმა დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა.[1]

კოკის ნ. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის ძირითადი დარგები მეჩაიეობა და მესიმინდეობა იყო. გარდა ამისა, კოლმეურნეობა სახელმწიფოს აბარებდა რძეს, ხორცს, კვერცხს. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1962 წლამდე კოლმეურნეობას სათავეში ი. ჯიქია ედგა.[2] კოლმეურნეობა ჩამორჩენილად ითვლებოდა. ჩამორჩენა იყო როგორც მეჩაიეობაში, ასევე მესიმინდეობაში. კოლმეურნეობის მთელი შემოსავლის 60% ჩაის კულტურაზე მოდიოდა. ჩაი გაშენებული იყო 40 ჰა ფართობზე, აქედან 14 ჰა იყო სრულმოსავლიანი, 26 ჰა — ახალგაზრდა. 1962 წელს გეგმით გათვალისწინებული 5 508 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად, კოლმეურნეობამ 2 297 ცენტნერი მოიწია. ჩამორჩებოდა მეცხოველეობაც. კოლმეურნეობის ფერმაში ჰყავდათ როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ასევე ღორები. 1962 წელს ხორცის, რძის, კვერცხის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა ვერ შესრულდა. კარგი პერსპექტივა ჰქონდა დაფნის გაშენებას და ამ მიმართულებით სამუშაოები კიდევაც მიმდინარეობდა. კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზად შრომის არასათანადო ორგანიზება ჩაითვალა, ამიტომ გამოსავლად ხელმძღვანელობის შეცვლა მიიჩნიეს. 1963 წელს კოლმეურნეობას სათავეში სილოვან ჯიქია ჩაუდგა.[3] იმავე წლის ზაფხულში იგი კ. ფაჟავამ შეცვალა.

მალე, მდგომარეობა გამოსწორდა და კოლმეურნეობა დაწინაურდა. კოკის ნ. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობამ 1970 წელს ჩაის კრეფის გეგმა 145%-ით შეასრულა, მოსავლის 71,1% პირველი ხარისხის იყო.[4] 1971 წლის მაისში კოკის ნ. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი თადეოზ შამათავა შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო კოლმეურნე დუშა გაბისონია — საპატიო ნიშნის ორდენით.[5] 1971 წლის ივლისში გეგმით გათვალისწინებული 23 ტონის ნაცვლად მოიკრიფა 46,4 ტონა ჩაის ფოთოლი, რომლის 83,7% პირველი ხარისხის იყო; აგვისტოში, ნაცვლად 21 ტონისა — 36,6 ტონა ჩაის ფოთოლი. მოწინავე მეჩაიეები იყვნენ: ვ. ნარმანია, ნ. კუტალია, ნ. ხასაია.[6]

1961 წელს ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მშრომელებმა სახელმწიფოს მიყიდეს: 314 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 64 ტონა სიმინდი, 57,4 ტონა ყველი, 12,7 ტონა ხორცი, 4,34 ტონა აბრეშუმის პარკი, 11 ტონა ტუნგი. თავი გამოიჩინეს მოწინავე მეჩაიეებმა — გოგუცა გუგუნავამ, ნინო კაზარიანმა, სულიკო ბუკიამ, მესიმინდე — კლიმენტი შამათავამ, მეცხოველეებმა — მირო ჩიქოვანმა, მირო ცხომარიამ, დავით კაშიბაძემ, ალექსანდრე მირცხულავამ, მეაბრეშუმეებმა — ვალია სანაიამ, ნატაშა კანკავამ, და სხვ.[7]

1964 წელს კოლმეურნეობათა გაერთიანებით *ხორშის თემში* შეიქმნა კოლმეურნეობა „გამარჯვება“. კოლმეურნეობა იყო მსხვილი და მრავალდარგოვანი, მას ჰქონდა 148 ჰა მოსავლიანი ჩაის პლანტაცია. კოლმეურნეობა სახელმწიფოს აბარებდა სიმინდს, სოიას, ლობიოს, ხორცს, რძეს, აბრეშუმის პარკს, ეთერზეთოვან კულტურებს, ტუნგს. კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა სოფლის მკვიდრი ალექსანდრე გვასალია. მოწინავე კოლმეურნეები იყვნენ: ციალა და ეთერ გვასალიე-

---

[1] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 207.

[2] გაზ. ,,მებრძოლი“, №16, 1962 წ. 27 მაისი.

[3] **შ. ფიფია**, რატომ ჩამორჩა კოკი, გაზ. ,,მებრძოლი“, №12, 1963 წ. 20 იანვარი.

[4] გაზ. ,,მებრძოლი“, №21, 1971 წ. 20 თებერვალი.

[5] გაზ. ,,მებრძოლი“, №61, 1971 წ. 27 მაისი; გაზ. ,,მებრძოლი“, №62, 1971 წ. 29 მაისი.

[6] გაზ. ,,მებრძოლი“, №95, 1971 წ. 14 აგვისტო; გაზ. ,,მებრძოლი“, №111, 1971 წ. 21 სექტემბერი; გაზ. ,,მებრძოლი“, №84, 1971 წ. 20 ივლისი.

[7] გაზ. ,,ავანგარდი“, №8, 1962 წ., 18 იანვარი.

ბი, ნანული ჭანტურია, ლუნა ჯაიანი და სხვ.[1] მიღწეული შედეგებისათვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ალექსანდრე გვასალია 1966 წელს ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. 1968 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 72 ცენტნერი ხორცი და 200 ცენტნერამდე რძე. მეცხოველეობის ფერმას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ავთანდილ პარკაია. მოწინავე მეცხოველეები იყვნენ: მირო და ღუღუნი ცხომარიები, ვასო რეკვავა, პარმენ ფაჩულია, ვახტანგ მესხია, ვალიკო დარსალია, კარლო გვასალია, ჯოდო ჭანტურია.[2]

კოლმეურნეობის მთავარი დარგი იყო მეჩაიეობა. 1964 წელს კოლმეურნეობამ აწარმოა 438 ტონა ჩაის ფოთოლი, 1965 წელს — 514 ტონა, 1966 წელს — 669 ტონა, ხოლო 1967 წელს — 674 ტონა. 60-70-იან წლებში კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მოწინავე მეჩაიეები იყვნენ: გოგუცა გუგუნავა, კლარა დადიანი, კლარა ბუკია, ნინა ნინუა, მერი მირცხულავა, ვალია სანაია, ვენერა პაჭკორია, ბუჟღუ გუნავა, შურა მიგინეიშვილი, ნაზი ბახია, ლენა ბაკურაძე, ნათელა შარტავა, ნანული ჩიქოვანი, ლეილა ბერაია, მარგო ბუკია, ძაბული გუგუნავა, ლუარა ჩიქოვანი, გურამ გვასალია, ზოია ჭანტურია, ნათელა ჯელია, ზინა ხარბედია, ლუბა გუგუნავა, ციალა და ეთერ გვასალიები, ნანული ჭანტურია, ლუნა ჯაიანი და სხვები. ჩაის პლანტაციების ნაწილი მექანიზებულად ისხვლებოდა. მეჩაიეობის შემდეგ წამყვანი დარგი იყო მესიმინდეობა. 1967 წელს კოლმეურნეობამ 2054 ცენტნერი სიმინდი მოიწია. კოლმეურნეობა აწარმოებდა ხილს, ყურძენს, ტუნგს, აბრეშუმის პარკს, ხორცს, რძეს, ეთერზეთოვან კულტურებს. 1967 წელს კოლმეურნეობას ჰქონდა 148 ჰა მოსავლიანი ჩაის პლანტაცია, სიმინდი 260 ჰექტარზე ითესებოდა.[3]

60-იან წლებში ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობაში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების მიზნით ტარდებოდა სხვადასხვა აგროღონისძიებები, რის შედეგადაც სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა თანდათანობით გაიზარდა. 1962 წლის იანვრიდან კოლმეურნეობა ყოველთვიურ გარანტირებულ ფულად ანაზღაურებაზე გადავიდა, რამაც დადებითად იმოქმედა კოლმეურნეთა შრომით დაინტერესებაზე.[4] 1965 წლის მარტში შ. გუჩუა სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით გათავისუფლდა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან და მას სათავეში გიორგი კვარაცხელია ჩაუდგა. 1965 წელს კოლმეურნეობამ ძლივს შეასრულა ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის გეგმა, მოიკრიფა და სახელმწიფოს 508 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მიეყიდა. მაგრამ 1966 წელს გეგმით გათვალისწინებული 528 ტონის ნაცვლად მოიკრიფა და სახელმწიფოს 610 ტონა ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთოლი მიეყიდა. წარმატებით შესრულდა მრავალწლიანი კულტურების გაშენების გეგმა. გაშენდა 2 ჰა ჩაის პლანტაცია, 2 ჰა ვენახი; თუთა, ხეხილი და დაფნა თითო ჰექტარზე. დიდი ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავებას; დაფნის, ხეხილისა და თუთის ნარგავებს. შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღებამ კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება გამოიწვია, რის გამოც 1967 წელს კოლმეურნეთა შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.[5]

1961 წლის იანვრიდან გატარდა ფულის რეფორმა; გაიზარდა საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი, განათლების მუშაკთა ხელფასი. მოსახლეობის მთელ რიგ ჯგუფებს გაუუქმდათ ან შეუმცირდათ საშემოსავლო გადასახადი; სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების შედეგად ამაღლდა სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. ფართო მოხმარების საქონლის ფასები შემცირდა, მათ შორის: შალის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილებზე, ცალკეული სახეობის ტანსაცმელზე, საბავშვო ასორტიმენტის შეკერილ ნაწარმზე, საათებზე, ველოსიპედებზე, ფოტოაპარატებზე, მედიკამენტებსა და მასობრივი მოხმარების ზოგიერთ სხვა საქონელზე.

---

[1] **ა. ეჯიბია**, ხორში, გაზ. ,,კოლხეთი“, №130, 1967 წ., 31 ოქტომბერი.

[2] **ა. სალაყაია**, მეცხოველეთა მიზანი, გაზ. ,,კოლხეთი“, №42, 1969 წ. 10 აპრილი.

[3] **ა. ეჯიბია**, ხორში, გაზ. ,,კოლხეთი“, №130, 1967 წ. 31 ოქტომბერი; **ს. კუჭავა**, სამი დროშის მფლობელი, გაზ. ,,კოლხეთი“, №11, 1968 წ. 25 იანვარი.

[4] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 76, 77.

[5] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 78, 81-84.

გაუმჯობესდა საბინაო პირობები. გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები სოციალურ დაზღვევაზე, პენსიებზე, სტიპენდიებზე, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის შენახვასა და გაფართოებაზე, უფასო განათლებასა და სამედიცინო მომსახურებაზე, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარებაზე და სხვ. 1964 წლის 1 ოქტომბრიდან შემოღებულ იქნა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მექანიზატორებისა და სპეციალისტების სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა, ხოლო 1965 წლის 1 იანვრიდან — საპენსიო უზრუნველყოფა მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში კოლმეურნეობის ყველა წევრისათვის. 1966 წლიდან კოლმეურნეთა საპენსიო ასაკი შემცირდა: მამაკაცებისათვის 65 წლიდან 60 წლამდე, ხოლო ქალებისათვის — 60 წლიდან 55 წლამდე. დიდი ყურადღება მიექცა ჯანმრთელობის დაცვას, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. გაფართოვდა სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი, გაიზარდა სამედიცინო მუშაკთა რაოდენობა. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება უფასო იყო. დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და დასვენებას. გაიზარდა საბავშვო ბაგა-ბაღების, ბავშვთა დასასვენებელი სახლებისა და ბანაკების რაოდენობა, კურორტების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების რიცხვი, სადაც მშრომელები საგზურებით ისვენებდნენ. გაფართოვდა სახალხო განათლების ქსელი, ამაღლდა სწავლების ხარისხი. გაუმჯობესდა ფართო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მომარაგება; გაფართოვდა სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების რიცხვი.[1] ძველი სოფელი სიღატაკით, სიბნელით, ქოხმახებით, უვარგისი გზებით, ათასგვარი ავადმყოფობებით წარსულს ჩაბარდა. მის ნაცვლად გაჩნდა ახალი სოფელი კოხტა საცხოვრებელი სახლებით, სკოლებით, კლუბებით, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით, მოასფალტებული გზებით.[2]

1963-1964 წლებში ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობაში შემავალ ლესალეს უბანში აშენდა დაწყებითი სკოლის კაპიტალური შენობა, კურორტ სქურში — ორსართულიანი დასასვენებელი სახლი; 1966 წელს ჯგალის ცენტრში დასრულდა სოფლის კულტურის სახლის, ბიბლიოთეკისა და სამედიცინო პუნქტის მშენებლობა. გაყვანილ იქნა და კეთილმოეწყო შიდა გზები. კოლმეურნეობის გამგეობის ეზო ლამპიონებით განათდა. კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კულტურის სახლის, აფთიაქისა და ფოსტის, ლესალეს დაწყებითი სკოლის მშენებლობაში.[3] 1971 წელს დასრულდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისა და სასურსათო მაღაზიის მშენებლობა, აიგო 160 ტონა ტევადობის ტიპური სასიმინდე, დაიწყო წყალსადენის მშენებლობა.[4] ასე, დღითიდღე ლამაზდებოდა და კეთილმოწყობილი ხდებოდა სოფლები. მოპოვებულმა წარმატებებმა კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდა განაპირობა. მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებს, რომლებიც ადრე მიწურ ქოხმახებში, უკიდურესად გაჭირვებულნი ცხოვრობდნენ, შესაძლებლობა მიეცათ საკარმიდამო ნაკვეთებზე აეშენებინათ ორსართულიანი დიდი და ლამაზი ოდა სახლები, თითქმის ყველა კოლმეურნის ოჯახში ჰქონდათ ტელევიზორი, რადიომიმღები, მაცივარი, სარეცხი მანქანა, ბევრს მსუბუქი ავტომანქანაც ჰყავდა.[5]

ხორშის თემის წინსვლისა და განვითარებისათვის ზრუნავდნენ ხორშის სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები. წლების განმავლობაში ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვებას“ ხელმძღვანელობდნენ: ლავრენტი ბუკია, ნოე ღადუა, ალექსანდრე გვასალია; ხორშის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობას — ალექსანდრე ბერაია, ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანას — ალექსანდრე კანკავა; ხორშის სასოფლო საბჭოს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩერქეზ პარკაია.

---

[1] **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 202-208; საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება შვიდწლედში (1959-1965 წწ.), გვ. 704-736.

[2] **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 209, 211.

[3] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 83-84.

[4] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 90-91, 108.

[5] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 112-113.

სოფელ შამგონის კოლმეურნეობას 1968 წლიდან სათავეში ედგა ჯოტო გუგუჩია. მისი უნარიანი ხელმძღვანელობით, მალე კოლმეურნეობა მოწინავე გახდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი. სოფელმაც სახე იცვალა. დამშვენდა ახალი, ორსართულიანი კაპიტალური სახლებით. კეთილმოეწყო სოფლის ცენტრი, დაიგო ასფალტის საფარი, გამწვანდა მიდამო, აიგო საექიმო პუნქტი, გაიყვანეს ტელეფონის ხაზი.[1] 1962 წელს ზემო ხუნწში, სადაც ადრე პური რაიონული ცენტრიდან შემოჰქონდათ, პურსაცხობი აშენდა.[2]

60-იან წლებში განხორციელდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. 1965 წელს სოფელ ლეციცხვაიეში გაიხსნა საშუალო სკოლა. თემის სოფლებში ქვემო ხუნწსა და ზემო ხუნწში არსებობდა რვაწლიანი სკოლები, ხოლო ლეციცხვაიეში — საშუალო სკოლა. ლეციცხვაიეს საშუალო სკოლას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ: მიხეილ თოფურია, დ. ქავჟარაძე (50-60-იან წლებში), საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი. სოფ. ლეციცხვაიეს მკვიდრმა მიხეილ თოფურიამ (1904-1989 წწ.) 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მონაწილეობდა სსრ კავშირ-გერმანიის 1941-1945 წწ. ომში. დემობილიზაციის შემდეგ იყო ლეციცხვაიეს საშუალო სკოლის დირექტორი, ხუნწის ს/ს აღმასკომის თავმჯდომარე, ხუნწის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ხუნწის სკოლაში წლების განმავლობაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მართა ჩიქოვანი (1902-1964 წწ.), საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენის კავალერი. იგი სოფ. ხუნწში დაიბადა. დაამთავრა ხონის პროგიმნაზია, მარტვილის უმაღლესი დაწყებითი სკოლა 1917 წელს და ამ დროიდან მუშაობდა ხუნწის სკოლაში მასწავლებლად. 1935 წელს დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ომის მძიმე წლებში, 1940-1942 წწ. იყო გეგეჭკორის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, 1942 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას დაუბრუნდა.

დიდი ყურადღება ექცეოდა მშრომელთა თვითშემოქმედებას. ჯგალის კულტურის სახლთან შეიქმნა აგიტმხატვრული ბრიგადა ომარ ხარჩილავას, ვალტერ კვარაცხელიას, ბაჩიკო ხარჩილავას, ორდენ კვარაცხელიას, ეთერ ხარჩილავას შემადგენლობით; ასევე, ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი, რომელიც დააარსა ქართული სიმღერის დაუცხრომელმა მოამაგემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა აგრონომმა ვლადიმერ სალიამ. გუნდი შესანიშნავად ასრულებდა მეგრულ ხალხურ სიმღერებს, მონაწილეობდა ხალხური თვითშემოქმედების კოლექტივების რაიონულ ოლიმპიადებში.[3] 1967 წელს რაიონებში ჩატარდა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კოლექტივების რაიონული ფესტივალები. ჩხოროწყუს რაიონში ფესტივალში მონაწილეობდნენ ახუთის, ზუმის, თაიის, კირცხის, ლესიჭინის, მუხურის, ნაფიჩხოვოს, ქვედა ჩხოროწყუს, ჩხოროწყუს, ჭოღის, ხაბუმის კოლექტივები. ფესტივალის გამარჯვებული გახდა სარაიონო კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ლესიჭინის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (ხელმძღვანელი — შ. ქებურია; ქორეოგრაფები — ი. ჟორჟოლიანი, ჯ. ჟვანია) პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა. იმავე წელს თბილისში გამართულ მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკურ ფესტივალზე ჩხოროწყუს სარაიონო კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ორდე ლეთანძე, ქორეოგრაფები — გივი ოდიკაძე, მურთაზ ჩახავა) პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა აგრეთვე ჩხოროწყუს სარაიონო კულტურის სახლის საგუნდო ჯგუფი — თალიკო და როდიონ პაპავების ოჯახი სოფელ კირცხიდან.[4] ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკარში 1969 წელს ექსპლოატაციაში შევიდა საშუალო სკოლის ახალი შენობა. სოფელში იყო კლუბი, ბიბლიოთეკა. კლუბთან არსებობდა მომღერალთა გუნდი, რომელსაც ცნობილი ლოტბა-

---

[1] **შ. შენგელი**, შამგონა დღეს, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა", 1969 წ. №11, გვ. 11.

[2] **დ. ჯვებენავა,** ზემოხუნწელთა თაოსნობა, გაზ. ,,კოლხეთის ცისკარი", №103, 1962 წ. 26 ოქტომბერი.

[3] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით", №22, 1965 წ. 21 აგვისტო; **ლ. გეგეჭკორი**, ქართული სიმღერის ოსტატები. ვალოდია სალია, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით", №35, 1965 წ. 23 სექტემბერი.

[4] გაზ. ,,ნაპერწკალი", №25, 1968 წ. 27 თებერვალი.

რი პოლიკარპე ხუბულავა ხელმძღვანელობდა.[1]

რაიონების გაერთიანების დროს გამოდიოდა სარაიონო გაზეთები „კოლხეთის ცისკარი“ (ცხაკაია) და „მებრძოლი“ (ზუგდიდი). 1965-1966 წლებში შეწყვეტილი რაიონული გაზეთების გამოცემა განახლდა. წალენჯიხის რაიონული გაზეთი „კომუნიზმის გზით“, ჩხოროწყუს რაიონული გაზეთი „ნაპერწკალი“, გეგეჭკორის რაიონული გაზეთი „შრომის დროშა“, ხობის რაიონული გაზეთი „სოციალიზმის მშენებელი“, აბაშის რაიონული გაზეთი „საბჭოთა სოფელი“, ზუგდიდის რაიონული გაზეთი „მებრძოლი“, ცხაკაიას რაიონული გაზეთი „კოლხეთი“, სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარებას ასახავდა.

ისევე, როგორც მთელ საქართველოში, სამეგრელოს რაიონებშიც დიდი ზეიმით აღინიშნა 1966 წელს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავი, 1968 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლისთავი. თბილისიდან რაიონებში ჩავიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რაიონებში ამ საიუბილეო ღონისძიებების აღნიშვნაში. რაიონებში მოეწყო საზეიმო კრებები, რომლებიც გაფორმებული იყო ადგილობრივი ფოლკლორული კოლექტივების გამოსვლით. 1968 წლის 27 ივლისს ჩხოროწყუს სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ილია ვეკუა, პროფესორები: სერგო ჯორბენაძე, შოთა მესხია, გიორგი ჭანუყვაძე, აკადემიკოსი ნიკოლოზ ვეკუა და სხვები.[2]

მიუხედავად ცალკეული მიღწევებისა, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა სიძნელეებს თავს ვერ ართმევდა. ეკონომიკის მართვის სისტემა ნაკლებად ეფექტიანი იყო, საგრძნობლად შენელდა შრომის ნაყოფიერება, ეკონომიკის დაგეგმვის დროს ხშირი იყო შეცდომები, წარმოებული პროდუქცია დაბალი ხარისხის იყო. თანდათან აშკარა გახდა სოფლად აგრარული ურთიერთობების მახინჯი ხასიათი: დაბალი პროდუქტიულობა, უპასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი ქონების დატაცება.[3] მძიმე მდგომარეობა იყო საქართველოს სოფლის მეურნეობაში. სუბიექტური მიზეზების გარდა, სოფლის მეურნეობის განვითარებას ასევე აფერხებდა ობიექტური პროცესები: სოფლის მოსახლეობის შემცირება, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, 1941-1945 წწ. სსრ კავშირ-გერმანიის ომის მძიმე შედეგებით, მეორე მხრივ, სოფლის მოსახლეობის ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში დენადობით. უმაღლესი განათლების მიღების სურვილი, სოფლის მოსახლეობის დაბალი ეკონომიკური შემოსავალი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, ახალგაზრდობას აიძულებდა არსებობის საშუალება რესპუბლიკის დედაქალაქში თუ სხვა ქალაქებში ეძებნა. საქალაქო მეურნეობის, ტრანსპორტის, მრეწველობის განვითარება სოფლიდან ქალაქებში მიგრაციას განაპირობებდა, რომელიც განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან გააქტიურდა.[4]

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ძირითადი ნაწილი საკოლმეურნეო შრომაში იყო ჩაბმული. თვალსაჩინო გახდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაცის მანკიერი ხასითი. გეგმები შეუსაბამო იყო, შრომის ანაზღაურება გაწეულ შრომას არ შეესაბამებოდა. შესაბამისად, შემცირდა ჩაისა და სიმინდის მოსავლიანობა, რძისა და ხორცის წარმოება. ცხოვრების შედარებითი ლიბერალიზაციის, დისციპლინის მოშლის, იძულების მექანიზმის შესუსტების პირობებში, როდესაც გლეხი შესაბამის ანაზღაურებას ვერ იღებდა, იგი თავს არიდებდა საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობას და მთელი ყურადღება საკარმიდამო ნაკვეთზე გადაჰქონდა. შემოსავალი, რომელსაც კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშები საზოგადოებ-

---

[1] ლამაზი და ძლიერი სოფელი, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა, 1969 წ. №11, გვ. 16.

[2] **შ. შენგელი**, მათი მისამართია: წალენჯიხა, ჯგალი, რუსთაველი, გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ. 22 ივლისი; **შ. შენგელი**, მათი მისამართია: წალენჯიხა, ჯგალი, რუსთაველი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, 1966 წ. 9 აგვისტო; გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №103, 1966 წ. 24 სექტემბერი; გაზ. ,,შრომის დროშა“, №114, 1966 წ. 29 სექტემბერი; გაზ. ,,ნაპერწკალი“, №89, 1968 წ. 30 ივლისი; **ლ. პაპასკირი**, ქართული მეცნიერების ზეიმი ჩხოროწყუში, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №101, 1968 წ. 27 აგვისტო.

[3] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 465, 467.

[4] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 469-470.

რივი მეურნეობებიდან იღებდნენ, მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფდა მათი ოჯახის საარსებო ბიუჯეტს. კოლხეთის დაბლობზე, სადაც ძალზე დაბალი იყო მექანიზაციის როლი სიმინდის წარმოებაში, ნათესების დამუშავება მთლიანად ხელით წარმოებდა. ეს რთული და შრომატევადი საქმე იყო, ანაზღაურება კი ძალიან დაბალი. კოლმეურნეს შრომადღეებზე სამყოფი სიმინდი ვერ შეჰქონდა სახლში, ამიტომ მიწაზე მუშაობას გულს ვერ უდებდა. აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში იყო შემთხვევები, როდესაც კოლმეურნე 1100 შრომადღეს გამოიმუშავებდა, მაგრამ ანაზღაურებად, შრომადღეზე 200 გრ სიმინდს იღებდა. იმავე აბაშის რაიონში, სადაც მესიმინდეობა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი იყო, არსებითად არ იცვლებოდა სიმინდის წარმოებისა და დამზადების მოცულობა; ხელმძღვანელობა არადამაკმაყოფილებლად ზრუნავდა მოსავლიანობის გადიდებაზე და წლების განმავლობაში მეტად დაბალ მოსავალს იღებდნენ — 5-6 ცენტნერს ჰექტარზე. ასე იყო 1965-1970 წლებში. შრომის ანაზღაურების წესში რაღაც უნდა შეცვლილიყო, კოლმეურნეების მეტი დაინტერესება იყო საჭირო. შესუსტდა სოფლის მშრომელთა ინტერესი საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისადმი, მშრომელებმა თანდათან დაიწყეს მეურნეობებისა და კოლმეურნეობებში მუშაობის მიტოვება. უმადურმა შრომამ გლეხს გული გაუტეხა, ასეთ პირობებში საზოგადოებრივი ფართობები უხარისხოდ მუშავდებოდა, რადგან გლეხმა იცოდა, რომ გაბერილ გეგმას ვერ შეასრულებდა. ხელმძღვანელები არსებითად შერიგებულნი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უხარისხოდ შესრულებას, დაბალ მოსავალს. ასე შეიკრა მანკიერი წრე, რომლის გარღვევა მხოლოდ რადიკალურ ღონისძიებებს შეეძლო.[1]

კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარ წყარო პირადი დამხმარე მეურნეობა იყო, თუმცა საბჭოთა ხელისუფლება მას მტრულად უყურებდა. მიუხედავად იმისა, რომ საკარმიდამო ნაკვეთზე მიღებული პროდუქცია პატიოსანი, კანონიერი შრომით მიიღებოდა, იგი მაინც იოლი გამდიდრების გზად და კაპიტალიზმის გადმონაშთად მიიჩნეოდა. იმავდროულად, პირადი დამხმარე მეურნეობის ადგილი და მნიშვნელობა გლეხის ცხოვრებაში ყოველწლიურად იზრდებოდა. გლეხები საკუთარ კარმიდამოს კარგად უვლიდნენ და საუკეთესოდ მოვლილი, დროულად დამუშავებული კერძო ნაკვეთები საჰექტარო მოსავლიანობით ბევრად სჭარბობდა საზოგადოებრივ მეურნეობებს; პირად სარგებლობაში არსებული საქონელიც უფრო მოვლილი და პროდუქტიული იყო, ვიდრე საზოგადოებრივ ფერმებში. მაგრამ, ხელისუფლებაში ჯეროვნად ვერ აფასებდნენ საკარმიდამო მეურნეობის მნიშვნელობას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების გზაზე. ითვლებოდა, რომ თუ გლეხს ნაკლები პირუტყვი და შინაური ფრინველი ეყოლებოდა, რაც უფრო პატარა ბაღ-ბოსტანი ექნებოდა, მით უფრო ნაყოფიერად იმუშავებდა კოლმეურნეობაში, მეტი დრო დარჩებოდა საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომისთვის; თუ ხელს საერთოდ აიღებდა საკარმიდამო ნაკვეთზე, ამას მით უფრო მიესალმებოდნენ. საკარმიდამო ნაკვეთებს ავიწროებდნენ იმ მოსაზრებით, თითქოს პირადი მეურნეობა გლეხებში კერძომესაკუთრულ ინსტინქტებს აღვიძებდა, რაც მიუღებლად იყო მიჩნეული.[2] თუმცა ოჯახის სარჩენად პირადი მეურნეობა საკმარისი არ იყო. ამის გამო იცლებოდა სოფლები, მთიანი სოფლების დაცლა და მოსახლეობის ბარში ჩამოსახლება წახალისებულიც იყო.[3]

60-იანი წლების დამდეგს საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, შენელდა სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი. ნელა იზრდებოდა წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება, რაც სიძნელეებს ქმნიდა ეკონომიკის განვითარებაში, მოსახლეობის მატერიალურ უზრუნველყოფაში.[4]

1965 წლის მარტში სკკპ ცკ პლენუმმა საგანგებოდ განიხილა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის საკითხი და მისი ჩამორჩენის დაძლევის გზები დასახა. სათავე დაედო აგრარული პოლიტიკის ახალ კურსს, რომელიც ითვალისწინებდა: სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა გა-

---

[1] **კ. ლორთქიფანიძე**, რა მოხდა აბაშაში, გვ. 26, 29; **გ. მგელაძე**, ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა, გვ. 24-25.
[2] **კ. ლორთქიფანიძე**, რა მოხდა აბაშაში, გვ. 160.
[3] **კ. ლორთქიფანიძე**, რა მოხდა აბაშაში, გვ. 160.
[4] **მ. ჯიჯეიშვილი**, საქართველო..., გვ. 769.

დიდებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის სისტემის გაუმჯობესებას; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას მარცვლეულის, ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის თვალსაზრისით; სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის განვითარების, მინერალური სასუქების წარმოების გადიდების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოშვების გაზრდის, მისი ხარისხის ამაღლების, რწყვისა და მელიორაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებებს; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, მიწათსარგებლობაში წესრიგის დამყარებისა და სხვა ღონისძიებებს; სოფლის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას.[1]

დღის წესრიგში დადგა კოლმეურნეობათა გამსხვილების საკითხი; ეკონომიკურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ბაზაზე ახალი საბჭოთა მეურნეობები იქმნებოდა. 1964-1965 წლებში კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დავალიანება, რაც შეძენილი ტექნიკის, შენობებისა და მოწყობილობების თანხების გადაუხდელობის გამო ჰქონდათ. უარყოფილ იქნა საკარმიდამო ნაკვეთებისა და პირად საკუთრებაში არსებული პირუტყვის რაოდენობის შემცირების მანკიერი პრაქტიკა. ამის შედეგად კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და მოსახლეობის სხვა ჯგუფების მიერ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებული მთლიანი პროდუქციის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.[2] კოლმეურნეობების ეკონომიკურმა განმტკიცებამ გამოიწვია 1966 წლიდან შრომადღის გამოყენების გარეშე შრომის ყოველთვიურ გარანტირებულ ფულად ანაზღაურებაზე გადასვლა. ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობაში შრომის შედეგებით მატერიალური დაინტერესების გაზრდას, დაგეგმვის სისტემის სრულყოფას; სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგებას, მინერალური სასუქების შეტანას. საქართველოში კვლავ პრიორიტეტი ენიჭებოდა მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის განვითარებას.[3] გაიზარდა ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების ფართობი, ყურადღება მიექცა მევენახეობის განვითარებას.

მეჩაიეობის განვითარება მოითხოვდა დიდი რაოდენობით მუშახელს, განსაკუთრებით კრეფის სეზონში. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება სულ უფრო ძნელდებოდა ჩაის პლანტაციების ფართობების სწრაფი ზრდის გამო. ამასთან, ჩაის ფოთლის ხელით კრეფა რთული და მძიმე პროცესი იყო. ქართველმა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, სპეციალისტებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რომლის სერიული გამოშვება 1963 წლიდან დაიწყო. მას იყენებდნენ ჩაის შპალერებიდან ნაზი დუყების საკრეფად, ჩაის ბუჩქების მსუბუქი ფორმირებისა და ლაო-ჩაის საკრეფად.[4] 1963 წელს პირველად ინგირის ჩ/ს მეურნეობაში შეიქმნა კომპლექსური მექანიზაციის რგოლი. ამის შედეგად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. რგოლის წევრებმა, თითოეულმა 6 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, როცა ერთი მუშა საშუალოდ მხოლოდ 3 ტონას აწარმოებდა. ჩაის სამუშაოთა მექანიზაცია განუწყვეტლივ ვითარდებოდა.[5] ჩაის საკრეფმა მანქანებმა მეჩაიეები მძიმე შრომისაგან გაათავისუფლა. ერთი ჩაის საკრეფი მანქანა, რომელიც 10-15 ჰა პლანტაციას ემსახურებოდა, ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, 400 კაცდღის ეკონომიას იძლეოდა. მისი შექმნისათვის ავტორთა ჯგუფს 1967 წელს ლენინური პრემია მიენიჭა.[6] ამ ხანებში შეიქმნა მთელი რიგი მანქა-

---

[1] **История СССР,** эпоха социализма, გვ. 430-432; **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 196-197; საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება შვიდწლედში (1959-1965 წწ.), გვ. 651-652; **ე. შევარდნაძე**, სასურსათო პროგრამა საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა! *მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე 1982 წლის 15 ივნისს*, თბ., 1982, გვ. 6.

[2] საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება შვიდწლედში (1959-1965 წწ.), გვ. 649-657.

[3] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 467.

[4] **ჟ. შხვაცაბაია, გ. ბეჟანიშვილი**, სოფლის მეურნეობის მანქანები, ნაწ. 2, თბ., 1982.

[5] **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 116.

[6] **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 178; საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება შვიდწლედში (1959-1965 წწ.), გვ. 650.

ნა-იარაღები, რომლებიც გამოიყენებოდა ჩაის ბუჩქის გასხვლის, სასუქების შეტანის და სხვა სამუშაოთა შესასრულებლად; თვითმავალი შასი „სშ-მგ“, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საშუალებას აძლევდა განეხორციელებინათ ისეთი შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია, როგორიცაა მწკრივთაშორისი და ბუჩქთაშორისი ნიადაგის დამუშავება. სერიოზული მიღწევა იყო ჩაის პლანტაციების დასაწვიმებელი აგრეგატის შექმნა. აგრეგატი, რომელსაც ფოთის ჰიდროტექნიკური ქარხანა სერიულად უშვებდა, ორ საათში ერთ ჰექტარ ფართობს რწყავდა, ამასთან, იმის ნახევარ წყალს ხარჯავდა, რაც ჩვეულებრივი მორწყვის დროს მოიხმარებოდა.[1]

ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი *შოთა ლემონჯავა*) მოეწყო წყალგაყვანილობა და ჩაის პლანტაციები დაწვიმების მეთოდით ირწყვებოდა. მეურნეობას ჰქონდა საბავშვო ბაგა-ბაღი, საშუალო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, მუშა-მოსამსახურეებისათვის — ორსართულიანი კაპიტალური საერთო საცხოვრებლები, აბანო, სასადილო, სურსათის მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი. 1966 წელს სოფელ ბანძაში შეიქმნა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ოჯალეშის ჯიშის ვაზზე იყო ორიენტირებული. იმავე წელს სოფელ ლესიჭინეში შოთა რუსთაველის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. მეურნეობის ტერიტორიაზე გაშენდა ჩაის პლანტაციები, დაფნა, ტუნგი. იმავე წელსვე თორსადღვაბას ტერიტორიაზე შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა „განთიადი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სოფლის მეურნეობის უნარიანი მუშაკი ალფეზ ლატარია.

იმხანად, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჟურნალისტ ბორის ჩხეიძის ნარკვევი თორსა-დღვაბაზე. ავტორი წერდა: „იმ ერთი დაწუნებული ადგილის სახელი ვის არ გაუგონია კოლხიდაში. სასტიკი აუგი მარტო იქ კი არა, ნაქერალის, სვანეთ-ლეჩხუმის მთებს, გურიას, აჭარა-ქობულეთს აღწევდა. ნაძრახი სახელი ჰქონდა იმ სოფელს არც თუ ისე ძველად. ეს იყო სულ აგერ ოცდაათიოდე წლის წინათ. ოდიშში გაჯავრებული მამა გასათხოვარ ქალიშვილს, რაიმე გამოხდომისათვის, დასჯით რომ დაემუქრებოდა, თითის დაქნევით ეტყოდა: გონებას მოეგე, ძღაბი, თორემ მე ვიცი, მე შენ!.. თორსადღაბაში ჩაგაგდებო. არც თუ შორეულ წარსულში გასათხოვარ ქალებს კი არა, ლაღ დადიანებს, აფაქიებს, ჯაიანებს, კედიებს და ჩიჩუებსაც შეჩვენებულ ადგილად ეგულებოდათ თორსადღვაბა.

აბა ჰკითხეთ ოთხმოცდათხუთმეტი წლის მოხუც, ალექსანდრე ბებურიას, თუ ასე არ იყო? ეს კაცი, მაშინ ახალგაზრდა, აკი ზედ რევოლუციის წლების დამდეგს გაექცა გრიგოლ დადიანს მთიან სამეგრელოდან, თორსადღვაბაში დაესახლა, რა არის, ნაბატონარმა ჩემი კვალიც ვეღარ მონახოსო.

ორ ერთმანეთის მოსაზღვრე არემარეს თორსას და ღვაბას გარშემო კოლხიდის გაუვალი ბაძაძგნარი, პამპალა, საფლობი ჭაობები ნაწვიმარი წყლისაგან დაყენებული გუბეები, ბაყაყის ბუდეებიანი ტბორა ღელღულები ეკრა გარშემო. ზემოდანაც სოფელს ცას უბნელებდა ამ ადგილისათვის დამახასიათებელი ჩაგუდული, სითბოსაგან აბოლებული ოხშივრის ნისლ-ბურუსი. იყო თვეები, უმთავრესად გაზაფხულობით, როცა სოფელი გარე სამყაროს სულაც წყდებოდა. მოვიდოდა ძლიერი წვიმა? მაშინვე დაემწყვდეოდა წყლების გარემოცვაში სოფელი. დაიწყებდა გორებზე დნობას თოვლი? თორსადღვაბაში ვეღარავინ მივიდოდა.

ბუნებრივად პატარ-პატარა მშრალებზე გლეხები სიმინდს თესავდნენ, აშენებდნენ კვარაცხელიას ან ჯაბუას ჯიშის ძროხებს. ეს ძროხები, ტანად მომცრო, დადიოდნენ ჭაობებში, ჭაობის უყუათო საკვებსაც კარგად ეწყობოდნენ. როცა განუწყვეტელი წვიმების შემდეგ ბალახი წყალში მოექცეოდა, მაშინ ტყის ნოშოთი საზრდოობდნენ“.[2]

მეურნეობის ტერიტორიაზე იყო ჭაობები, რომელიც დააშრეს და მიიღეს სწორი, გუთნითა და დიდი მექანიზმებით ადვილად დასამუშავებელი 1876 ჰა ნოყიერი ვაკე. დაშრობილ მიწებზე გააშენეს: 150 ჰა ჩაის პლანტაცია, 25 ჰა ხილის ბაღი, 48 ჰა დაფნა, 18 ჰა ევკალიპტი, ბამბუკი, ასევე — პარკ-ხეივანი, ქარსაფრები. მარცვლეულიდან ითესებოდა სიმინდი. ნაჭაობარზე პირველ ორ

---

[1] **გ. ფირცხალავა**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 177-179; საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება შვიდწლედში (1959-1965 წწ.), გვ. 650.

[2] **ბ. ჩხეიძე**, თორსადღვაბა, გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო“, №45, 1970 წ. 6 ნოემბერი.

წელიწადს სიმინდი მისწრება აღმოჩნდა. „განთიადის“ ტერიტორიაზე გაიყვანეს ჭაობების საწრეტი არხები, სფერული კვლები. ამის შედეგად წყალი მიწაზე ვერ დგებოდა და საწრეტი თხრილისაკენ მიდიოდა, ამიტომ ნიადაგი მუდამ მშრალი იყო. მხოლოდ ასეთი მიწა იძლეოდა კარგ მოსავალს. მეურნეობაში აშენდა მშვენიერი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი ბინები.[1]

თორსა-დღვაბის საბჭოთა მეურნეობა „განთიადის“ მოწინავე მუშები იყვნენ: ბ. ლატარია, ვ. ანთია, ა. ლატარია, კ. ბერიშვილი, ნ. ხასია, ტ. კორტავა და სხვ. 60-იან წლებში განხორციელდა თემის სრული რადიოფიცირება. თორსა-დღვაბის მიმართულებით რაიონული ცენტრიდან რეგულარულად დადიოდა ავტობუსი.

ხობის რაიონის სოფელ ხიბულის კოლმეურნეობამ, რომლის თავმჯდომარე იყო ლენინის ორდენოსანი შალვა კემულარია, 1968 წელი მიღწევებით დაასრულა. გეგმით გათვალისწინებული 730 ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად 740 ტონა ჩააბარა სახელმწიფოს. აუთვისებელი და ნასვენი მიწების ხარჯზე გაიზარდა ჩაის პლანტაციები. გაკეთდა დიდი ტევადობის აუზი დაწვიმებით ჩაის პლანტაციების მორწყვისათვის. კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცეოდა მესიმინდეობას. კოლმეურნეობამ 540 ტონა სიმინდი მოიწია, ჰექტარზე 32-35 ცენტნერი. დიდი ყურადღება ექცეოდა მეცხოველეობის განვითარებას. აშენდა ახალი ფერმები, გაიზარდა პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ფერმაში 400 სული პირუტყვი ჰყავდათ, აქედან 90 სული — მეწველი ძროხა და კამეჩი. კოლმეურნეობამ 80 ტონა რძე ჩააბარა სახელმწიფოს, ასევე დიდი რაოდენობით ხორცი. ფერმაში დაინერგა ტექნიკის მიღწევები და მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება. მექანიზებული იყო ნაკელის გატანა, დარწყულება, საკვების დამუშავება, რამაც გააიოლა შრომა და აამაღლა შრომის ნაყოფიერება. კარგი მაჩვენებლები იყო აბრეშუმის პარკის დამზადებაშიც. სახელმწიფოს ჩაბარდა 8800 კგ აბრეშუმის პარკი. გაძლიერდა და განმტკიცდა კოლმეურნეობის ეკონომიკა. კოლმეურნეობამ 720 ათასი მანეთის შემოსავალი მიიღო. კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით ააშენა კლუბი, საავადმყოფო, აფთიაქი, ორი საშუალო სკოლა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, პურის საცხობი, სასოფლო საბჭოს შენობა, აბანო, კულტურის სახლი.[2]

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“ (თავმჯდომარე *ალექსანდრე კუტალია*) ერთ-ერთი მსხვილი მრავალდარგოვანი, ეკონომიკურად ძლიერი მეურნეობა იყო. კოლმეურნეობის სიძლიერის წყარო იყო ჩაის კულტურა; მრავალწლიანი კულტურებიდან წარმოდგენილი იყო ვენახი, ხეხილი, ტუნგო, დაფნა, კარგად იყო განვითარებული მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა. მეჩაიეებს დიდ დახმარებას უწევდნენ მექანიზატორები. ჩაის საკრეფად გამოიყენებოდა მანქანა „საქართველო“. სოციალისტური შრომის გმირების ადელინა ფარცვანიასა და შურა ბახტაძის ტრადიციებზე აღიზარდნენ მოწინავე მეჩაიეები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შინო ფარცვანია, ნუცა ფიფია, ნათელა შენგელია, ზაირა ნანავა, ეთერ გერხელია, ნარგიზა მეძველია, აგნიცა გეგია, ზაირა თოლორაია და სხვები. მეაბრეშუმეებმა ტატიანა ფირცხალავამ, ნორა ჯანაშიამ, ჟუნა თოდუამ, ვალენტინა გულორდავამ ას-ასი კილოგრამი და მეტი პარკი ჩააბარეს სახელმწიფოს. 1969 წელს კოლმეურნეობამ სიმინდის, სოიას, ლობიოს, ყურძნის კარგი მოსავალი მიიღო; შესრულდა რძისა და ხორცის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმები. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა პირველად გადააჭარბა 2 მლნ მანეთს. ბოლო ათი წლის მანძილზე კოლმეურნეობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის უცვლელი მონაწილე იყო, ზედიზედ ორი წელი შეინარჩუნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.[3]

1969 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონას კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე *ჯოტო გუგუჩია*) ერთადერთი მანქანა „საქართველო“ მუშაობდა, რომელსაც ამ სოფელში პირველი ტრაქ-

---

[1] **ბ. ჩხეიძე**, თორსადღვაბა, გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო“, №45, 1970 წ. 6 ნოემბერი.

[2] **ე. ასლამაზიშვილი**, სოფელი ხარაჩოებში, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1969 წ. №7, გვ. 18.

[3] კოლმეურნეობის ძლიერების წყარო, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1969 წ. №11, გვ. 12-13.

ტორისტის ივანე წყაროზიას ქალიშვილი, ლუიზა მართავდა. ნიშანდობლივია, რომ ივანე და ლიზა წყაროზიებმა 9 შვილი გაზარდეს და ყველანი საკოლმეურნეო შრომის ფერხულში იყვნენ ჩამდგარი.[1]

მანქანებით კრეფამ პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა. ჩაის კრეფის გარდა, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები პლანტაციებში მთელ რიგ სამუშაოებს ასრულებდნენ — ბუჩქების გასხვლა, სასუქების შეტანა, სარეველებისაგან პლანტაციების გაწმენდა. სამუშაო დღე, ჩვეულებრივ რვა საათი გრძელდებოდა, მაგრამ, როცა ფოთოლი უხვად იყო შემოსული და მოსავლიანობის ბედს მისი დროულად აღება წყვეტდა, სამუშაო დღე განთიადიდან გვიან ღამემდე გრძელდებოდა.[2]

ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ჩ/ს მეურნეობაში ჩაის პლანტაცია 500 ჰექტარზე იყო გადაჭიმული. მეტ ნაწილს ჩაის მანქანით კრეფდნენ. მეურნეობის თითქმის მთელ ტერიტორიას გარს უვლიდა მდ. ენგურიდან გამოყვანილი არხი, რომლითაც ხდებოდა ჩაის პლანტაციების მორწყვა, დაწვიმება და სხვ.[3] მიღწეული წარმატებებისათვის ინგირის ჩ/ს მეურნეობა დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, გადაეცა საიუბილეო სამახსოვრო დროშა, 1968 წელს მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდება.[4]

1969 წლის ნოემბერში მოსკოვში გაიმართა კოლმეურნეთა III ყრილობა, რომელსაც საქართველოდან 142 დელეგატი დაესწრო. ყრილობამ მიიღო კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება. წესდებაში აღნიშნული იყო, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოების ერთ-ერთ საშუალებას მიწა წარმოადგენს. მიწა სახელმწიფო საკუთრებაა და არ შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. კოლმეურნეობებს მიწა უსასყიდლო და უვადო სარგებლობაში გადაეცემა. კოლმეურნეობაზე მიმაგრებული მიწის მასივის ძირითადი ნაწილი საზოგადოებრივი სარგებლობის ფართობს წარმოადგენს. ამას გარდა, კომლის დამხმარე მეურნეობისათვის გამოიყოფა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. კოლმეურნეობის კუთვნილი საწარმოები, შენობა-ნაგებობები, მანქანა-ტრაქტორები და სხვა ტექნიკა, ნარგავები, სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობები, წარმოებული პროდუქცია, ფულადი სახსრები და სხვა ქონება სოციალისტური საკუთრებაა. შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობაში წარმოებს თითოეული კოლმეურნის მიერ საზოგადოებრივ მეურნეობაში გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.[5]

60-იანი წლების შუახანებიდან შეზღუდვები კერძო საქონლის ყოლაზე გაუქმდა.[6] 1966 წლის 1 ივნისიდან რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობაში შემოღებულ იქნა კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება.[7]

1967 წელს ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის ხარისხოვანი მწვანე ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 532 ტონის ნაცვლად 545 ტონა (102%) მოიკრიფა. 1970 წელს გეგმით გათვალისწინებული 592 ტონის ნაცვლად მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 650 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. თავი გამოიჩინეს და ნოვატორ მეჩაიეთა რიგებში ჩადგნენ: მზია, ნათელა და თალიკო ხარჩილავები, ვენერა, ხიტუ, ნუცა, თალიკო, ელენე, იმედა, ლუარა, ანტისა, ზინა, ეთერი კვარაცხელიები, ვარო, ვალენტინა და ძოძო მიქავები, თალიკო ოთხოზორია, მარგარიტა, ზინა და ცაცა სალიები. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის წარმოების გეგმა, გაცილებით გაუმჯობესდა მუშაობა მეცხოველეობის დარგში – შესრულდა მეცხოველეობის სულადობის გეგმა, რძის წარმოების გეგმა, სახელმწიფოს ჩაბარდა გეგმის შესაბამისად რძე, ხორცი, ყურძენი, ხილი და სხვა.[8] 70-იან წლებში კოლმეურნეობამ

---

[1] მექანიზატორთა ოჯახი, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1969 წ. №7, გვ. 7

[2] **გრ. ჭოჭუა**, მეცნიერება, მექანიზაცია, რენტაბელობა, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1969 წ. №11, გვ. 14.

[3] პლანტაციების მორწყვა, დაწვიმება, ჟურნ. ,,საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1969 წ. №7, გვ. 3.

[4] **გრ. ჭოჭუა**, მეცნიერება, მექანიზაცია, რენტაბელობა, გვ. 14-15.

[5] **История СССР,** эпоха социализма, გვ. 466-467; **მ. ჯიჯეიშვილი**, საქართველო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ახალ ეტაპზე (1966-1970 წწ.), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, გვ. 773-776.

[6] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 468.

[7] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 81.

[8] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 85-87.

შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების შედეგად მეურნეობის განვითარების საქმეში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, რასაც შედეგად მისი ეკონომიკური ძლიერების ამაღლება მოჰყვა.[1]

ჩაის წარმოების საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჩ/ს მეურნეობებმა. ინგირის ჩ/ს მეურნეობამ 1969 წელს სახელმწიფოს ჩააბარა 2898 ტონა ჩაის ფოთოლი (2500 ტონის ნაცვლად), წალენჯიხის ჩ/ს მეურნეობამ — 3251 ტონა (2700 ტონის ნაცვლად). 1970 წელს ინგირის ჩ/ს მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 3309 ტონა ჩაის ფოთოლი (2600 ტონის ნაცვლად), წალენჯიხის ჩ/ს მეურნეობამ — 3599 ტონა (2750 ტონის ნაცვლად).[2]

ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ" 1970 წელს სახელმწიფოს 703 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა. ჩაის პლანტაციას აქ 161 ჰა ფართობი ეჭირა. სიმინდი სამარცვლედ დაითესა 341 ჰა ფართობზე, და სახელმწიფოს 4698 ცენტნერი სიმინდი ჩააბარა. გაიზარდა პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. სახელმწიფოს 162 ცენტნერი ხორცი და 919 ცენტნერი რძე მიეყიდა; ასევე, — 21,3 ტონა ეთერზეთოვან კულტურათა ნედლეული.[3] ხორშის ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობა-ქარხანამ 1969 წელს დაამზადა 186 ტონა ეთერზეთოვანი ნედლეული, მათ შორის: ყაზანლიყის ვარდი, რეჰანი, ზაფრანა, ქაფურის დაფნა, ჟასმინი, გერანი. მეურნეობაში 45 ჰექტარზე იყო გაშენებული ვარდის პლანტაცია, 13 ჰექტარზე — გერანი. მეურნეობა-ქარხანა კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან იღებდა ეთერზეთოვან ნედლეულს.[4] 1970 წელს დაამზადა 236 ტონა ნედლეული, მიღებულ იქნა 1640 კგ ეთეროვანი ზეთი.[5] 1971 წელს დაამზადა 190,7 ტონა ნედლეული; კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მიიღო 350 ტონა ნედლეული, წარმოებულ იქნა 1112,6 კგ ეთეროვანი ზეთი.[6] წლების განმავლობაში ხორშის ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობას სათავეში ედგა ალექსანდრე კანკავა, თავისი საქმის კარგი სპეციალისტი, სოფლის დიდი მოამაგე. დიდია მისი დამსახურება სოფელში ეკონომიკის, კულტურის, განათლების განვითარების საქმეში. 1971 წელს სოფელში იყო ერთი საშუალო, ორი რვაწლიანი და სამი დაწყებითი სკოლა, საექიმო პუნქტი და საექიმო ამბულატორია, კლუბი, ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით.[7]

1971 წელს ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის ხორშის სასოფლო თემიდან სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებები მიენიჭათ გოგუცა გუგუნავას (კოლმ. „გამარჯვებას" კოლმეურნე) და ანასტასია კარბანოვას (ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობა-ქარხნის მუშა).[8] კოლმეურნეობა „გამარჯვების" მოწინავე მეჩაიე მარგო ბუკია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

მიუხედავად ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებებისა, სოფლის მეურნეობა კრიზისს თავს ვერ აღწევდა, რაც სასურსათო პრობლემას ამწვავებდა. ეკონომიკური რეფორმა სოფლის მეურნეობაში სრული არ იყო, რისი მიზეზიც იყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაცია. ხელისუფლების პირველი პირების მხარდაჭერით, ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი ცდილობდა სოფლის მეურნეობის მართვის ეფექტური, რაციონალური ფორმები მოეძიებინა. ასეთი ძიებით იყო ნაკარნახევი „აბაშის ექსპერიმენტი".

1973 წლიდან აბაშის რაიონში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. რაიონის ხელმძღვანელად გურამ მგელაძის დანიშვნის შემდეგ დაიწყო „აბაშის ექსპერიმენტის" განხორციელება, რაც სოფლის მეურნეობის უფრო რაციონალური ფორმების, შრომის საბოლოო შედეგით გლე-

---

[1] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 87.

[2] **ი. წურწუმია**, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა..., გვ. 110-112.

[3] გაზ. ,,კოლხეთი", №112, 1970 წ. 22 სექტემბერი; **ს. კუჭავა**, წარმოების მთავარი საზომი — რენტაბელობა, გაზ. ,,კოლხეთი", №16, 1971 წ. 6 თებერვალი.

[4] **ლ. კუპრეიშვილი**, გავადიდოთ ეთერზეთოვანი კულტურების მოსავალი, გაზ. ,,კოლხეთი", №49, 1970 წ. 28 აპრილი.

[5] **ლ. კუპრეიშვილი**, ეთერზეთოვანთა მეტი ნედლეული — სამშობლოს, გაზ. ,,კოლხეთი", №48, 1971 წ. 22 აპრილი.

[6] **ლ. კუპრეიშვილი**, სურნელოვანი ტონები, გაზ. ,,კოლხეთი", №144, 1971 წ. 4 დეკემბერი.

[7] **ი. გვასალია, ე, გუგუნავა**, განახლებული ხორში, გაზ. ,,კოლხეთი", №57, 1971 წ. 13 მაისი.

[8] გაზ. ,,კოლხეთი", №95, 1971 წ. 10 აგვისტო.

ხის დაინტერესებას ითვალისწინებდა. „აბაშის ექსპერიმენტი“ გულისხმობდა კომპლექსურ მექანიზაციას, მატერიალურ სტიმულირებასა და ადამიანებთან ურთიერთობის ახალ ფორმებს. ექსპერიმენტის ფარგლებში შემოღებულ იქნა შრომის ანაზღაურების ახალი წესი — გეგმის შესრულებაზე პრემიალური სისტემა; ანაზღაურების მოცულობა პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს დაუკავშირდა; დაინერგა მართვის ახალი სისტემა, რაც გადაწყვეტილებების ოპერატიულად შესრულებას უწყობდა ხელს. „აბაშის ექსპერიმენტის“ განხორციელებისას მოიმატა სიმინდის საჰექტარო მოსავლიანობამ, გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოება. შრომის ანაზღაურების ახალი წესის დანერგვის შემდეგ წელში გაიმართა კეთილარი და აბაშის რაიონის სხვა სოფლები. კეთილარის კოლმეურნეობებში გარდა სიმინდისა, მოჰყავდათ ბოსტნეული კულტურები: კიტრი, პამიდორი, ხახვი, კომბოსტო და სხვ. ნივთიერი წახალისების წესი მეჩაიეობაშიც დაინერგა.[1] ექსპერიმენტი სხვა რაიონებშიც გავრცელდა, რასაც ხელი შეუწყო მისმა წარმატებამ და მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევმა „რა მოხდა აბაშაში“.[2]

დაინერგა მატერიალური წახალისების ახალი ფორმები, რის შემდეგაც გაძლიერდა მომთხოვნელობა და კონტროლი, ამაღლდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში, ძირეული გარდატეხა მოხდა გლეხის ფსიქოლოგიაში. მატერიალური სტიმულირების აბაშური მეთოდის პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა საზოგადოებრივ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და დამზადება; სიმინდის მოვლა-მოყვანის სამსახურში ჩადგა კომპლექსური მექანიზაცია; მთელი სიმინდის ნათესის 80-90% ახალი ინდუსტრიული ტექნოლოგიის მეთოდით მუშავდებოდა.[3] 70-იანი წლებიდან აბაშაში საძოვრები აღადგინეს; გურამ მგელაძემ მიიჩნია, რომ საკარმიდამო მეურნეობას დიდი წილი უდევს სახალხო დოვლათის შექმნაში, არ შეიძლებოდა საკარმიდამო და საზოგადო მეურნეობების დაპირისპირება, ისინი კი არ ეწინააღმდეგებოდნენ, არამედ ავსებდნენ ერთმანეთს.[4]

70-იანი წლებიდან საქართველოს სახალხო მეურნეობა შედარებით სტაბილურად ვითარდებოდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა ეკონომიკური რეფორმების რეალიზაცია, მატერიალური სტიმულირების შედარებით ეფექტური სისტემა, დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესება, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის: გაიზარდა კოლმეურნეობების დაკრედიტება, კაპიტალდაბანდებები სოფლად, განვითარდა შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. შრომის სოციალისტური ფორმები განმსაზღვრელი იყო. სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარ ბერკეტად მიიჩნეოდა.[5]

განუხრელად იზრდებოდა ჩაის პლანტაციების ფართობი. ჩაის საკრეფად სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა მანქანა „საქართველო“. 70-იანი წლების შუა ხანებში დაინერგა სოფელ მუხურის მკვიდრის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ანზორ ჩიქოვანის მიერ შექმნილი ჩაის ხელით საკრეფი აპარატი.[6] მოგვიანებით, ისინი იაპონიიდან შემოტანილი დენზე მომუშავე ჩაის საკრეფი აპარატებით შეიცვალა. მცირე მექანიზაციის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. სანედლეულო ბაზის გადიდებამ გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეების გაზრდა გამოიწვია. ფაბრიკები გადავიდნენ ჩაის კომბინირებულ გადამუშავებაზე, რისთვისაც 1966-1975 წლებში ლესიჭინის, ხაბუმისა და ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკებს მიუშენდა კორპუსები. ამის შედეგად ფაბრიკების სიმძლავრე 6 ათასი ტონით გაიზარდა და განხორციელდა სპეციალიზაცია შავი და მწვანე ჩაის გადამუშავებაში. 70-იანი წლებიდან პრაქტიკაში შემოვიდა ჩაის მიკროფაბრიკების მშენებლობა. ექსპლუატაციაში შევიდა ლესიჭინის

---

[1] **გ. მგელაძე**, ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა (რაიკომის მდივნის ჩანაწერები), თბ., 1982; **კ. ლორთქიფანიძე**, რა მოხდა აბაშაში, გვ. 26, 29.

[2] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 475.

[3] **გ. მგელაძე**, ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა, გვ. 26-29.

[4] **კ. ლორთქიფანიძე**, რა მოხდა აბაშაში, გვ. 150-151.

[5] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 475.

[6] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 65-66.

რუსთაველის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობის მიკროფაბრიკები, ხოლო 80-იან წლებში ჩაის მიკროფაბრიკა სოფელ მოიდანახეში აშენდა.[1]

1971 წელს ჯგალის კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის, სიმინდის, ხორცის, რძის, აბრეშუმის პარკის, ტუნგის სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმა. ჩაის ფოთლის წარმოება 635 ტონამდე ავიდა. მეაბრეშუმეებმა, როგორც წინა წლებში, ამჯერადაც გადაჭარბებით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა და 7600 კგ ნაცვლად სახელმწიფოს 10 800 კგ (141%) ჩააბარეს.[2] მეცხრე ხუთწლედში (1971-1975 წწ.) კოლმეურნეობას უნდა ჩაებარებინა 170 ტონა ხილი, ფაქტობრივად კი დამზადდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 330 ტონა (134%); ტუნგის ნაყოფი უნდა ჩაებარებინა 470 ტონა, ჩაბარდა 530 ტონა; აბრეშუმის პარკი 18 ტონის ნაცვლად, — 19 ტონა. მხოლოდ ხუხა კვარაცხელიას ოჯახმა 1975 წელს 133 კგ აბრეშუმის პარკი მოიწია. ხუთწლედში რძის წარმოებისა და დამზადების გეგმა მხოლოდ 1971 და 1975 წლებში შესრულდა. 1975 წელს 1971 წელთან შედარებით წარმოებულ იქნა 214 ცენტნერით მეტი რძე, რაც მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და კერძოდ რძის წარმოების ზრდაზე მეტყველებდა. ხორცის სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმა-ვალდებულება 105%-ით შესრულდა. ჩამორჩენა მხოლოდ ყურძნის წარმოებაში იყო. სულ, ხუთწლედში, კოლმეურნეობას უნდა ეწარმოებინა 64 ტონა ყურძენი, აწარმოა 30,3 ტონა, ე.ი. გეგმაზე 33,7 ტონით ნაკლები.[3]

ჯგალის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში მთავარი დარგი ასევე მეჩაიეობა იყო. ჩაის კულტურას 75 ჰა ფართობი ეკავა. 1974 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 547 ტონა ჩაის ფოთოლი. მეორე მნიშვნელოვანი დარგი იყო მესიმინდეობა. კოლმეურნეობაში მიმდინარეობდა ასევე ტუნგის დამზადება. 1974 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 32 ტონა ტუნგის ნაყოფი. მოწინავე კოლმეურნეებმა ნათელა და ვერა ხუბულიებმა, ქვათა კვარაცხელიამ, სახელმწიფოს 3-3,5 ტონა ტუნგის ნაყოფი ჩააბარეს.[4]

1975 წელს მოწინავე კოლმეურნეები ჯგალის თემიდან ორდენებით დაჯილდოვდნენ: ილარიონ ზოსიმეს ძე კვარაცხელია, კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი — ლენინის ორდენით, ვალია თომას ასული ბაძაღუა, რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე — „შრომის დიდების“ III ხარისხის ორდენით.[5]

სოფელ ნარაზენში ფუნქციონირებდა ორი საბჭოთა მეურნეობა — ნარაზენის და ხეცერის, და ერთი კოლმეურნეობა. ნარაზენელებმა 1973 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 1200 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 6,5 ტონა შეადგინა. წარმატებით შესრულდა სიმინდის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმები. სოფლის 100-მდე მცხოვრები დაჯილდოებული იყო ორდენებით. ნარაზენისა და ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობების ნოვატორ მეჩაიეებს მოტია ბაგრინცოვასა და ქსენია ბიგვავას სოციალისტური შრომის გმირის წოდება ჰქონდათ, ნარაზენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გალაკტიონ ნანავა დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით. სოფელში იყო ორი საშუალო სკოლა, კლუბი, საავადმყოფო, გაყვანილი იყო წყალსადენი.[6]

მეათე ხუთწლედი (1976-1980 წწ.) ითვალისწინებდა მოკრეფილი ჩაის რაოდენობისა და ხარისხის მკვეთრ ამაღლებას. დიდი ამოცანები დაისახა მეცხოველეობის პროდუქტულობის ამაღლებისა და მეურნეობის სხვა დარგების განვითარების მიმართულებით. ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა დაიწყეს ზრუნვა სანაშენე, ადგილობრივ

---

[1] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 71-72.

[2] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 89-90.

[3] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 98-99.

[4] **ს. კვარაცხელია**, ახალი ამოცანების წინაშე, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №20, 1975 წ. 15 თებერვალი; ტუნგო გეგმის ზევით, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №20, 1975 წ. 15 თებერვალი.

[5] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №39, 1975 წ. 3 აპრილი.

[6] **ბ. ბიგვავა**, ნარაზენი, გვ. 21-23.

პირობებს შეჩვეული, მომთაბარე, მეხორცულ-მერძეული, ე.ი. მეგრული ჯიშის პირუტყვის აღსადგენად. 1978 წლიდან ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის ფერმა გარდაიქმნა სანაშენე ხბორებისა და მოზარდეულის გამოსაზრდელად, რომელიც ყოველწლიურად რაიონის კოლმეურნეობებს ასამდე მაღალპროდუქტიულ ფურს მიყიდიდა.[1]

1976 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობაში 7 ჰა ჩაის ახალი პლანტაცია გაშენდა და ამ კულტურის საერთო ფართობმა 132,4 ჰა შეადგინა, საიდანაც 115,7 ჰა სრულმოსავლიანი იყო. ჩაის პლანტაციები სათანადოდ იყო მოვლილი და დამუშავებული, თუმცა რელიეფური პირობების გამო მექანიზაციის გამოყენება შეუძლებელი იყო. კოლმეურნეობაში წლითიწლობით იზრდებოდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება. თუ 1975 წელს დამზადდა 934 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 1976 წელს ეს ციფრი 962 ტონამდე გაიზარდა. წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა სოიასა და ლობიოს თესვისა და მოყვანის საქმე. კოლმეურნეობას ერიცხებოდა 9,16 ჰა ხეხილი, მათ შორის 2,16 ჰა — მოსავლიანი; 5,42 ჰა ვენახი, მათ შორის 2 ჰა მოსავლიანი. გეგმით კოლმეურნეობას სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 11 ტონა ხილი, ფაქტობრივად 12,2 ტონა ჩააბარა. აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა ითვალისწინებდა 750 კილოგრამს, ჩაბარებულ იქნა 760 კილოგრამი. კოლმეურნეობას პირველად 1976 წელს დაეგეგმა ბოსტნეულის დამზადება. 1 ჰა-ზე დაითესა პამიდორი და კიტრი. გეგმით გათვალისწინებული 10 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 11 ტონა ბოსტნეული ჩაბარდა. მკვეთრად გაიზარდა მეცხოველეობის შემოსავალი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არარენტაბელურ დარგად რჩებოდა; მეცხოველეობიდან მიღებული შემოსავალი გასავალს ვერ ფარავდა.[2]

1977 წელს ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობაში მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 1002,8 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და წლიური გეგმა 133%-ით შესრულდა. ჩაის კრეფის ნოვატორთა საპატიო სახელები დაიმკვიდრეს წლების მანძილზე სახელმოხვეჭილმა მეჩაიე ქალებმა – მერი ჩიქობავამ, ნუნუ ღვინჯილიამ, სირმა, ნონა, თალიკო, ჟუჟუნა, მზია და ნაზი ხარჩილავებმა, ჭუტა ფიფიამ, გული ჩანგელიამ, ბაბუცა, ნესტან, ლამარა, ნელი, ხუტა, ვენერა, ნუცა, საშა, მზისადარი, თინათინ, გული, იმედა, ეთერ, ლამარა, ვენერა კვარაცხელიებმა; ფაუსტა, ვალენტინა და მარგარიტა მიქავებმა, პეუშა და თალიკო ოთხოზორიებმა, აველინა კვირკველიამ, ნარგიზა ჭკადუამ, ზინა, მერი და სულიკო სალიებმა და სხვ. დიდი ყურადღება ექცეოდა მარცვლეულისა და, კერძოდ, ძვირფასი სასურსათო და სასაქონლო კულტურის სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეს. მესიმინდეებმა გადაჭარბებით შეასრულეს საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის გეგმა. თითოეულ ჰექტარზე მოიყვანეს 22 ცენტნერი სიმინდი. სიმინდის ნათესებს გულმოდგინედ მოუარეს და სარეკორდო მოსავალი, ჰექტარზე 40-50 ცენტნერი და მეტიც, მოიყვანეს. კარგ მაჩვენებლებს მიაღწია კოლმეურნეობამ მეცხოველეობის დარგშიც. გადაჭარბებით შესრულდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის გამოზრდის, რძისა და ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმები. კოლმეურნეობას ჰყავდა 444 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 80 ძროხა. კოლმეურნეობამ შეასრულა მრავალწლიანი კულტურების გაშენების გეგმები: ჩაის პლანტაცია 3 ჰექტარზე გაშენდა, ვენახი – 0,5 ჰექტარზე, ტუნგი, თუთა და ხეხილი 2-2 ჰექტარზე. გადაჭარბებით შესრულდა ხილისა და ბოსტნეულის დამზადების გეგმები.[3]

წლითიწლობით იზრდებოდა მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. კეთილდღეობის ძირითად წყაროს ჩაის კულტურა წარმოადგენდა. 1965 წელს მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 610 ტონა, ხოლო 1977 წელს — 1000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.[4] მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა გადაიქცა ერთ-ერთ მსხვილ მოწინავე კოლმეურნეობად, რომლის განკარგულე-

---

[1] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 102.
[2] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 103-106.
[3] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 110-111.
[4] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 112.

ბაშიც იყო ჩაის პლანტაციები, ერთწლიანი მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების – სიმინდის, ლობიოს, სოიას ნათესები, ვენახის ზვრები, ბაღჩა-ბოსტნები და მეცხოველეობის ფერმები. მრავალწლიანი კულტურებიდან ფართობით პირველი ადგილი ჩაის პლანტაციებს ეჭირა. მისი ფართობი 130-მდე ჰექტარს შეადგენდა, საიდანაც 115 ჰა სრულმოსავლიანი, ხოლო 15 ჰა ახალგაზრდა პლანტაცია იყო. ჩაის პლანტაციები საიმედოდ იყო დაცული და მოვლილი. კოლმეურნეობას ჰქონდა ტუნგის შესანიშნავი პლანტაციები, რომლის ფართობი 19 ჰა შეადგენდა; აგრეთვე ხეხილისა (9,7 ჰა) და თუთის (5 ჰა) ნარგავები. 120-მდე ჰექტარზე იყო დათესილი ერთწლიანი მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები – სიმინდი, ლობიო, სოია, რომელთა მოსავლიანობის გეგმები კოლმეურნეობამ 1975-1977 წლებში გადაჭარბებით შეასრულა.[1]

მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობას ჰქონდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო კვარაცხელიას ჯიშის წითელი ძროხებით. 1976 წლის დამლევისათვის ფერმას ჰყავდა 450 სული მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის 81 ძროხა. კოლმეურნეობას ჰქონდა ასევე მეღორეობის ფერმა 152 სულის რაოდენობით. დიდ შრომას ეწეოდნენ კოლმეურნეობის მწყემსები: კოკი სამსონის ძე, ვალერიან ქუზუს ძე, სანდრო ნიკოს ძე, შიო ლევას ძე, ვალერიან იოსების ძე, ბოჩო ალექსის ძე, ჯემალ ავქსენტის ძე კვარაცხელიები, ვეღოდი გრიგოლის ძე და ზაურ აკაკის ძე ხარჩილავები, ვენე სოფრომის ძე და არჩილ ალექსანდრეს ძე მიქავები, ალექსანდრე სიმონის ძე ჩანგელია და სხვ. მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების საქმეს სათავეში ედგა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე, საკვებმომპოვებელი ბრიგადის ბრიგადირი, ამ კოლმეურნეობის ერთ-ერთი ყოფილი პირველი თავმჯდომარე, ვეტერანი კოლმეურნე, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი მოსე ზოსიმეს ძე კვარაცხელია.[2] მეაბრეშუმეობა ჯგალის თემში საკმაოდ მნიშვნელოვანი დარგი იყო. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობას ბევრი სახელოვანი მეაბრეშუმე ჰყავდა. მაშო კვარაცხელიამ სახელმწიფოს 1976 წელს 16 გრამი მურიდან 100 კგ პარკი ჩააბარა.[3]

1974 წლის ივლისიდან კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა სოფლის მკვიდრი, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი ადამიანი რაჟდენ კვარაცხელია, ამ კოლმეურნეობის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორის ერმინე კვარაცხელიას შვილი.[4] 1975 წელს კოლმეურნეობა მილიონერი გახდა. შრომაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით დაჯილდოვდნენ: მოსე ზოსიმეს ძე კვარაცხელია – ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით; ვლადიმერ ვასილის ძე ხარჩილავა, შალვა მოსეს ძე კვარაცხელია და შინო სოფრომის ასული მიქავა – ლენინის ორდენებით, აბრამ ანდრიას ძე ხარჩილავა – შრომის წითელი დროშის ორდენით.[5]

რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ფულადმა შემოსავალმა 1975 წელს 2 მლნ მანეთს გადააჭარბა, 1980 წელს კი 4,5 მლნ მანეთს მიაღწია. 1980 წელს ჩაის პროდუქციის 70% პირველი ხარისხის იყო. კოლმეურნეობაში 26 ჩაის საკრეფი მანქანა მუშაობდა. ყოველწლიურად 14-15 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფდნენ ნელი ალექსანდრია, თამარ გელოვანი, ადელინა ფარცვანია, ნატო ღურწკაია, აველინა ჭკადუა. კოლმეურნეობას ხუთი სოციალისტური შრომის გმირი ჰყავდა. სოფელს ფართო ქუჩები, ლამაზი სახლები, სანიმუშოდ მოვლილი ბაღები და სკვერები, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და სამედიცინო დაწესებულებები ამშვენებდა.[6] ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე — ორგზის სოციალისტური შრომის გმირი *ანთიმოზ როგავა*) 1981 წელს 50-ზე მეტი შრომის გმირი ჰყავდა, მათ შორის ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია.

---

[1] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 113-114.
[2] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 116.
[3] **რ. კვარაცხელია**, ჯგალის საკოლმეურნეო მინდვრებზე, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, 1966 წ. 2 ივლისი, №73.
[4] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 94.
[5] **ს. კვარაცხელია**, ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 117, 119.
[6] **გ. გიგაური**, მზე რუხის ციხეზე, ჟურნ. ,,დროშა“, 1981 წ. №9, გვ. 4.

70-იან წლებში არსებითად გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. გაიზარდა ახალი საცხოვრებელი სახლების, კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, სკოლებისა და სკლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოების ქსელი.[1] ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის სიძლიერის წყალობით სოფელში იყო საშუალო სკოლა, მუსიკალური სკოლა და ქორეოგრაფიული სტუდია, კლუბი, ოთხი ბიბლიოთეკა, პოლიკლინიკა, აფთიაქი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, 300 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური; ყველა ოჯახში იყო გაზი, ტელევიზორი. კოლმეურნეებისათვის უფასო იყო წისქვილი, აბანო, ელექტროენერგია. 1979 წელს კოლმეურნეობაში კაცდღეზე ანაზღაურება 9 მანეთი იყო. თენრიკო გეთიას ოჯახმა 10 ათასი მანეთი გამოიმუშავა, ხოლო ლამზირა და დავით დარასელიებმა 8-10 ათასი მანეთი.[2]

60-70-იან წლებში ხუნწის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე კოლმეურნეები იყვნენ, მეჩაიეები: ნანული ფირცხალავა, ნანული ციცხვაია, იზოლდა კირთაძე, ნათელა კირთაძე, ოლია კირთაძე, ეთერ რევია, ჯულიეტა ჯღამაია, თინა მოსიავა, ნათელა მოსიძე, ცუცა ფირცხალავა, ლუსია ჯიქია, ოლღა ღაჭავა, თინა მონიავა, ბაბუცა ხუნწარია, მავრა ციცხვაია, ბაბილინა მონიავა, თათუშა ბაკურია, ციცო დანაჩევი; ნოვატორი მეჩაიე, მოწინავე მეაბრეშუმე — ბაბუცა კირთაძე; მეაბრეშუმე — მარო ძიძიგური; მესიმინდეები: ევგენი ჩაგუნავა, გიორგი ძიძიგური, კოტე ფაილოძე, შალვა ფაილოძე, გიორგი მოსიძე; მეცხოველე — სოსო ბჟალავა, მექანიზატორი — გ. ძიძიგური. მოწინავე მეჩაიე ნელი გეგეჭკორი 1981 წელს შრომის დიდების III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.[3] 70-80-იან წლებში ხუნწში გამოვლინდა სააგურე თიხები, ამის საფუძველზე ქვემო ხუნწში აგურის საწარმო გაიხსნა.[4]

კეთილარის კოლმეურნეობის მთავარი დარგი მესიმინდეობა იყო. კოლმეურნეობა აწარმოებდა რძეს და ხორცს, ჰქონდა ეთერზეთოვანი კულტურის რეჰანის პლანტაცია; განვითარებული იყო მებოსტნეობა: მოჰყავდათ კიტრი, პამიდორი, კომბოსტო. 1975 წელს კოლმეურნეობამ სიმინდის, ეთერზეთების, ბოსტნეულის მაღალი მოსავალი მიიღო. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვალერიან ესაკია და კოლმეურნე ომარ ჩაჩავა „საპატიო ნიშნის“ ორდენებით დაჯილდოვდნენ, ხოლო კოლმეურნე კატუშა ბოღაშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.[5] 1979 წელს კეთილარის კოლმეურნეობასთან შეიქმნა მეცხოველეობის კომპლექსი, რომლის მშენებლობა 3 მლნ მანეთი დაჯდა. ეს უმსხვილესი ობიექტი ფლობდა 1830 ჰა მიწას კეთილარის საბჭოს მიწების ჩათვლით. კომპლექსს ჰყავდა 4000 რქოსანი პირუტყვი და 12 დიდ ფერმას აერთიანებდა თავისი სანიტარული ობიექტებით და საკვებშემამზადებელი საამქროთი. კომპლექსი წლიურად აწარმოებოდა 3 ათას ტონა რძეს, 12 ათას ტონა ხორცს, კეთილარის მოსახლეობის ნაწარმის ჩათვლით. თავიდან ეს ობიექტი გათვლილი იყო, როგორც არამომგებიანი საწარმო, ამიტომ დოტაციაზე იმყოფებოდა. პირუტყვის საკვებს (თივას, ნამჯას, ჩალას და სხვ.) აბაშიდან, სამტრედიიდან, გორიდან, ნინოწმინდიდან (ბოგდანოვკა), ოზურგეთიდან და ფოთიდან ღებულობდა, ადგილობრივი ფართობებიდანაც მარაგდებოდა. ყოველდღიურად რძე აბაშაში, სამტრედიასა და ქუთაისში იგზავნებოდა. კომპლექსში 250 მუშა-მოსამსახურე იყო დასაქმებული, როგორც კეთილარელები, ისე რაიონიდან ჩამოსულები. კომპლექსში იყო საცხოვრებელი ბინები რაიონიდან ჩამოსული თანამშრომლებისთვის.[6] ეს იყო მეცხოველეობის სამრეწველო, ინდუსტრიულ საფუძველზე განვითარების ცდა.[7] სოფელ კოდორში 80-იან წლებში ფუნქციონი-

---

[1] **ა. კოჭლავაშვილი**, საქართველოს მშრომელების ბრძოლა მეცხრე ხუთწლედის შესრულებისათვის (1971-1975 წწ.), *სინ, ტ. VIII*, გვ. 902.

[2] **ლ. მოწერელია**, რა კარგია ჩემი სოფელი, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1979 წ. №12, გვ. 9-11.

[3] ბრძანებულება, გაზ. ,,კომუნისტი“, 1981 წ. 15 მარტი.

[4] **ი. მარკოზია**, გეგეჭკორის რაიონის ბუნებრივი სიმდიდრეების შესწავლისა და ათვისების ზოგიერთი პერსპექტივა, გაზ. ,,შრომის დროშა“, №2, 1987 წ. 5 იანვარი.

[5] **ივ. თოფურია, პ. ჩაგანავა**, კეთილარელთა შრომითი საქმეები, გაზ. ,,განახლებული აბაშა“, №48, 1975 წ. 22 აპრილი.

[6] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 113.

[7] **გ. მგელაძე**, ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა, გვ. 103.

რებდა ეთერზეთების მიკროქარხანა, რომელიც მთლიანად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა. ტექნიკურ ზეთს ბაზელისგან ხდიდნენ. ბაზელის გაშენებამ მოსახლეობას საკმაო შემოსავალი მისცა.[1]

„აბაშის ექსპერიმენტის" დანერგვის შემდეგ, აბაშის რაიონში 1980 წელს 1972 წელთან შედარებით სიმინდის მოსავლიანობა გაიზარდა 3,7-ჯერ, ბოსტნეულის — 17-ჯერ, სოიის — 2,4-ჯერ, მეცხოველეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება — 2,5-ჯერ.[2] სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მაღალმა დონემ თავის მხრივ, მკვეთრად აამაღლა მუშაკთა შრომის ანაზღაურება; ამაღლდა შრომის ნაყოფიერების დონე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სრულყოფის განხორციელებამ, მატერიალური სტიმულირების გონივრულად გამოყენებამ, ხელი შეუწყო მეცხოველეობის აღმავლობასა და განვითარებას. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის (რძე, ხორცი) წარმოება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდებოდა, მათ შორის სიმინდის წარმოება.[3]

კეთილარის თემში 70-80-იან წლებში ხალხი საკმაოდ წელგამართულად ცხოვრობდა. თითქმის მთელი სოფელი დასაქმებული იყო აგრარულ სექტორში. სოფლები კიდევ უფრო დამშვენდა. განხორციელდა სრული ელექტროფიკაცია, თითქმის ყოველ კომლს ჰქონდა გაზის ქურები, შემოჰქონდათ თხევადი გაზი. კოდორში ფუნქციონირებდა კინო-დანადგარი. კეთილარში, კოდორსა და გულეკარში იყო სასურსათო და სამეურნეო მაღაზიები; სოფელს ჰქონდა ამბულატორია, საავადმყოფო 10 ადგილით.[4] 80-იანი წლების მეორე ნახევარში კეთილარის თემში აჭარელი ეკომიგრანტები ჩაასახლეს.[5] ისინი აგრარულ სექტორში დასაქმდნენ და ადგილობრივ პირობებს შესანიშნავად შეეგუვნენ. შეკეთდა გზები. 70-იანი წლების მიწურულს მდ. რიონზე ააგეს ხიდი, მაგრამ ხიდი გაკეთდა არა იქ, სადაც საჭირო იყო, ანუ გაღმა და გამოღმა კოდორს შორის, არამედ დასახლებული პუნქტებიდან 15-20 კმ მოშორებით, უკაცრიელ ადგილას. მაშინ ტრანსპორტი და საწვავი არ ჭირდა და არც 28 კმ-იანი გზა იყო სახიფათო, მაგრამ მოგვიანებით, ეს ხიდი ფაქტობრივად კეთილარელებისათვის გამოუყენებელი გახდა. ხიდის აგების შემდეგ რიონზე ყველა ბორანი მოისპო.[6]

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა გაყიდული ძვირადღირებული საქონლის: ტელევიზორების, პიანინოების, ავეჯის, ავტომობილების და სხვა საგნების რაოდენობრივი მაჩვენებელი. საკავშირო საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოში ცხოვრების დონე მაღალი იყო.[7]

სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები პერიოდულად თავს ახსენებდა ხელისუფლებას. სკკპ ცკ-ის 1978 წლის ივლისის პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის საკითხი და მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ". მასში დასახული იყო გზები და კონკრეტული საშუალებები სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. დადგენილება ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ეფექტურობის მნიშვნელოვან ზრდას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ზრდას მექანიზაციის, ელექტროფიკაციის, ქიმიზაციისა და მიწების მელიორაციის გზით; მეცხოველეობის განვითა-

---

[1] თეოდორე სარდიონის ძე თელიას (დაბ. 1917წ.) მოგონებანი, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 86.

[2] **გ. მგელაძე**, ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა, გვ. 136.

[3] **გ. მგელაძე**, ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა, გვ. 136-145.

[4] **ივ. თოფურია, პ. ჩაგანავა**, კეთილარელთა შრომითი საქმეები, გაზ. ,,განახლებული აბაშა", 1975 წ. 22 აპრილი, №48; თეოდორე სარდიონის ძე თელიას (დაბ. 1917წ.) მოგონებანი, იხ. წიგნ.: **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 86.

[5] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 114.

[6] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 112.

[7] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 471.

რებას და მისი მტკიცე საკვები ბაზით უზრუნველყოფას; სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირებას; რძის, მატყლის, ხორცის შესასყიდი ფასების ზრდას; მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვნად ამაღლებას, სოფლის სრულიად გარდაქმნას საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების გზით.[1] სკკპ ცკ-მა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 27 სექტემბერს მიიღო დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილება ითვალისწინებდა საქართველოში ჩაის ფოთლის წარმოების გაზრდას 700 ათას ტონამდე, ხოლო მისი გადამუშავებისათვის დამატებით 11 ჩაის ფაბრიკის აშენებას.[2]

გეგმები, რომელსაც სსრ კავშირის ხელმძღვანელობა სახავდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, არარეალური იყო, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელმძღვანელი კადრების ორგანიზატორულ ნიჭს და უნარიან ხელმძღვანელობას. ოფიციალური სტატისტიკით, 70-იანი წლების მეორე ნახევარი და 80-იანი წლების დასაწყისი საქართველოში ეკონომიკური წინსვლის პერიოდი იყო, რის გამოც საქართველო მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებებში და გარდამავალ წითელ დროშებს იღებდა.[3] მაგრამ 60-80-იან წლებში გეგმის გადაჭარბებით შესრულება უმრავლეს შემთხვევაში ე. წ. მიწერებით ხორციელდებოდა; რაოდენობისადმი გამოდევნება პროდუქციის ხარისხზე უარყოფითად აისახებოდა.[4]

70-იან წლებში ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ბაზაზე სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები იქმნებოდა. 1975 წლის თებერვალში მეორე ჭოღის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა სპეციალიზებული ჭოღა-ნაკიანის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა. 1977 წელს ნაკიანი გამოეყო ტუნგის საბჭოთა მეურნეობას და შეიქმნა ნაკიანის მეთხეობის მიმართულების სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა. ეს იყო რესპუბლიკაში ასეთი პროფილის პირველი მეურნეობა 5 ათასი თხისთვის. თუმცა მალე აღმოჩნდა, რომ ნაკიანის ტერიტორია 500-ზე მეტ თხას ვერ დააკმაყოფილებდა. მეურნეობაში ჰყავდათ როგორც თხები, ასევე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ღორები.[5] წლების განმავლობაში ნაკიანის მეთხეობის საბჭოთა მეურნეობას უნარიანად ხელმძღვანელობდნენ გიგლა ჯიქია, გურამ ლემონჯავა, ღუღუნი ჯალაღონია, ჯუმბერ პაპასკირი, შუქური თოლორაია, ბორის ვეკუა.[6] მარტვილის რაიონის სოფელ ონოღიაში 1979 წელს ჩამოყალიბდა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობაში განვითარებული იყო მეღორეობა, მეძროხეობა, მებოცვრეობა. ბანძაში არსებობდა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობაში ძირითადად გაშენებული იყო ოჯალეში 400 ჰექტარზე. ოჯალეშს არ ეშინია სეტყვისა და ყინვის, მწიფდება გვიან, როცა მუშახელი შედარებით თავისუფალია, თუმცა მოსავლელად რთულია — ზედმიწევნით უნდა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება.[7] 80-იანი წლების დასაწყისში სოფელ თორსადღვაბაში შეიქმნა ახალი საბჭოთა მეურნეობა „ოქროს საწმისი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ნოდარ კარტოზია. სოფელ სერგიეთში ჩამოყალიბდა მეცხოველეობა-მერძევეობის კომპლექსი, სადაც 1983 წელს 800 სული საქონელი ჰყავდათ, მათ შორის 250 სული მეწველი. აქ, დღეში 1800 კგ რძეს წველიდნენ; ლეხაინდრაოს კოლმეურნეობაში ლატვიიდან ჩამოიყვანეს 100 სული წაბლა დეკეული და წინა წლებთან შედარებით რძის წარმოება ოთხჯერ გაიზარდა. დიდი ყურადღება ექცეოდა ჩაის წარმოებასა და გადამუშავებას. სოფელ სალხინოში ამუშავდა ჩაის მიკროფაბრიკა, გეგეჭკორში 1982 წელს მწყობრში ჩადგა ჩაის საწონი ფაბრიკა, სადაც ხდებოდა ჩაის დაფასოება. ფაბრიკის კოლექტივი მთლიანად ახალგაზრდული იყო.[8] ჩხო-

---

[1] журн. «Огонёк», 1978 г. №8, стр. 2-4.

[2] გაზ. ,,კომუნისტი“, 1979 წ. 28 სექტემბერი; docs.cntd.ru/document/765703167

[3] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 475.

[4] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 300.

[5] **ლ. ქარჩავა**, ქართული სოფელი და გარდაქმნა, ჟურნ. ,,ეკონომისტი“, 1990 წ. №4, გვ. 70.

[6] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 211.

[7] **ჯ. ქირია**, მარტვილის გაზაფხული, ჟურნ. ,,დროშა“, 1982, №5, გვ. 21.

[8] **ა. არაბული, რ. დანელია**, კაცი გულიდან იწყება, ჟურნ. ,,დროშა“, 1983 წ. №6, გვ. 10-11.

როწყუს რაიონში ექსპლოატაციაში შევიდა კირცხის მეცხოველეობის კომპლექსი 600 ფურისთვის. მალე კომპლექსი რესპუბლიკაში ერთ-ერთი სანიმუშო მეურნეობა გახდა. ხორცის წარმოების გადიდებისათვის ფართო ხასიათი მიიღო მოსახლეობასთან კოოპერირებამ; 1982 წელს ჩხოროწყუში გაიხსნა საკონსერვო ქარხანა, რომელიც მთლიანად ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა და ათი სახის პროდუქციას, მათ შორის ხილის კომპოტებს, ხილის, ციტრუსებისა და ყურძნის წვენებს, ჩაის კონცენტრატს უშვებდა.[1]

1979 წლის დეკემბერში ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის ჩამორჩენილ კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგა მიხეილ ლომაია. სულ მალე კოლმეურნეობა ფეხზე დადგა. 2-3 წელიწადში ფერმაში საქონლის სულადობამ 400-ს გადააჭარბა, შემდეგ კი 600-მდე ავიდა. კოლმეურნეობა სახელმწიფოს აბარებდა რძეს, ხორცს. 1988 წელს კოლმეურნეობამ ყველა სახის გეგმა წარმატებით შეასრულა: აღებულ იქნა 1400 ტონა სიმინდი, მოიკრიფა 2881 ტონა ჩაის ფოთოლი, მიიღეს 398 ტონა რძე, 1300 კგ აბრეშუმი, 140 ტონა ბოსტნეული, 300 ტონაზე მეტი ციტრუსი. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი, რომელმაც 5 მლნ მანეთს გადააჭარბა, შესაბამისად გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი, სახე იცვალა სოფელმა. ნარაზენში აშენდა სკოლა, სამი საბავშვო ბაგა-ბაღი, კლუბი, სავაჭრო ცენტრი, აფთიაქი, სამი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მექანიზატორებისათვის. მეცხოველეობის ფერმას ჰქონდა საკუთარი აბანო, უფასოდ ემსახურებოდა სასადილო, თანამშრომლები გადაჰყავდათ სპეციალური ავტობუსით, ფერმაში ჰქონდათ დასასვენებელი ოთახი ტელევიზორით, ჟურნალ-გაზეთებით; მეცხოველეები საგზურებით ისვენებდნენ კურორტებზე, მოგზაურობენ, მათ შორის სოციალისტურ ქვეყნებში.[2]

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 1980 წელს 4500 ტონის ნაცვლად 5345 ტონა ჩაის ფოთოლი მიჰყიდა სახელმწიფოს. აქედან, მობილური მანქანებით მოიკრიფა 2866 ტონა, მცირე მექანიზაციით — 1520 ტონა, ხელით — 952 ტონა. მექანიზაციამ შეამსუბუქა ქალის შრომა. მთლიანი ნედლეულის 82,7% მისი დახმარებით მოიკრიფა. მეჩაიეებს ჩაის პლანტაციებში აკითხავდნენ სურსათითა და აუცილებელი მოხმარების საქონლით დატვირთული მანქანები, და პირდაპირ პლანტაციებში იძენდნენ ოჯახისთვის აუცილებელ საქონელს.[3] 1980 წელს წალენჯიხის მეურნეობის მექანიზატორს, გალუშა სახოკიას, დიდი შრომითი მიღწევებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

დიდი ყურადღება ექცეოდა ჩაის ფოთლის მექანიზებულ კრეფას. მექანიზატორთა შორის ქალებიც იყვნენ. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის მექანიზატორმა მზიური ქარდავამ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოზე“ მუშაობა 1972 წელს დაიწყო. პირველ წელს მან 3,5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, 1973 წელს — 38,5 ტონა, 1975 წელს — 44,4 ტონა; IX ხუთწლედში (1971-1975 წწ.) სულ მოკრიფა 417,6 ტონა ჩაის ფოთოლი, რისთვისაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ასევე პრესტიჟული მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“ გაზ-24 უსასყიდლოდ გადაეცა.[4] ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში პირველი მექანიზატორი ქალი იყო ნონა სიჭინავა, რუსთაველის სახელობის მეურნეობის მუშა, რომელიც ჩაის საკრეფი მანქანის საჭეს 70-იანი წლების მიწურულს მიუჯდა. ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონის კოლმეურნეობის წევრმა, კოლმეურნეობის პირველი ტრაქტორისტის ივანე წყაროზიას ქალიშვილმა ლუიზა წყაროზიამ პირველ წელს 34 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მეორე წელს, 42 ტონის ნაცვლად — 51 ტონა, რისთვისაც ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, შემდეგ 49 ტონის ნაცვლად — 60 ტონა, და შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა. როდესაც შამგონის კოლმეურნეობამ მეორე ჩაის საკრეფი მანქანა მიიღო, ის ლუიზას ძმას იბრაგიმს ჩააბარეს. ბრიგადამ, რომელშიც და-ძმა წყაროზიები იყვნენ, 1982 წელს 39 ჰექტარზე გეგმით გათ-

---

[1] **კ. ქაჯაია**, წინსვლისა და აღმშენებლობის გზით, ჟურნ. ,,დროშა“, 1981 წ. №11, გვ. 5; **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 73.

[2] **ა. მათიაშვილი**, ფუძე ძლიერი, ჟურნ. ,,დროშა“, 1989 წ., №1, გვ. 4-5.

[3] **შ. კოტრიკაძე**, როცა დედა პლანტაციაშია, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1981 წ. №1, გვ. 19.

[4] **ე. სახვაძე**, მზიური ქარდავა, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1982 წ., №8, გვ. 16-18.

ვალისწინებული 300 ტონის ნაცვლად 390 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ასეთი შედეგის მიღებას წინ უძღოდა აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელება — ჩაის ბუჩქების დროული გასხვლა, დაბარვა, სასუქების შეტანა. ბრიგადის წევრებმა 350-450 მანეთი გამოიმუშავეს, ხოლო ლუიზა წყაროზიას თავდადებული შრომისათვის უსასყიდლოდ გადაეცა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.[1] ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კოლმეურნეობის მეჩაიეს, შრომის დიდების ორდენის სრულ კავალერს, ლენინის ორდენოსან ეთერ ცირამუას 0, 7 ჰექტარ ფართობზე X ხუთწლედში (1976-1980 წწ.) უნდა მოეკრიფა 27,1 ტონა ჩაის ფოთოლი, თუმცა 1980 წელს მოკრეფილი ჰქონდა 65 ტონა, აქედან თითქმის 80% პირველი ხარისხის იყო.[2] 1981 წელს ჭოღელებმა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მოკრიფეს 999,2 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 980 ტონისა. რძის წარმოების გეგმაც გადაჭარბებით შესრულდა. ნაცვლად 105 ტონისა, სახელმწიფოს ჩააბარეს 105, 5 ტონა.[3]

ხელისუფლება ზრუნავდა დაცლილი სოფლების აღდგენაზე, დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 მარტის დადგენილებით აღდგენილ იქნა გაუქმებული სოფელი ლექობალე, რომელიც ადმინისტრაციულად ჭოღის სასოფლო საბჭოს დაექვემდებარა.

70-იან წლებში სასიამოვნოდ შეიცვალა სოფლების იერსახე, გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები. სოფლებში დიდი ყურადღება ექცეოდა მხატვრულ თვითშემოქმედებას. ჯგალში 1971 წლის იანვარში დასრულდა სოფლის ცენტრში შინმოუსვლელთა ობელისკის მშენებლობა. სოფელში იყო კულტურის სახლი, საავადმყოფო, სამრეწველო და სამეურნეო მაღაზიები, საბავშვო ბაღი, სკოლა. სოფლის ცენტრის გამწვანების მიზნით დაირგო კედრები, გზისპირებზე — ხეხილი და მარადმწვანე მცენარეები. სოფელში გაიყვანეს წყალსადენი.[4] კურორტ სქურის კეთილმოწყობაზე განსაკუთრებით ზრუნავდა კურორტის დირექტორი 1980-1989 წლებში არველოდ კვარაცხელია.[5] დიდი ყურადღება ექცეოდა მხატვრულ თვითშემოქმედებას. ჯგალის კულტურის სახლთან არსებობდა ვოკალური ჯგუფი (ხელმძღვანელი ა. კვარაცხელია), რომელიც შესანიშნავად ასრულებდა მეგრულ ხალხურ სიმღერებს, მონაწილეობდა ხალხური თვითშემოქმედების კოლექტივების რაიონულ ოლიმპიადებში.[6] 1976 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში ექსპლოატაციაში შევიდა ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის ახალი შენობა. სოფელში იყო ორი საშუალო სკოლა, კულტურის სახლი, კლუბები, ბიბლიოთეკები, აფთიაქი, პოლიკლინიკა, საავადმყოფო. კულტურის სახლთან არსებობდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ლოტბარი ვახტანგ მიმინოშვილი და ქორეოგრაფი ჯემალ ჟვანია; სოფელ მუხურის სასოფლო კლუბთან არსებობდა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი (ხელმძღვანელი ორდე ლეთანძე), ჭოღაში — კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის გაერთიანებული ფოლკლორული ანსამბლი.[7] ყოველწლიურად ეწყობოდა მშრომელთა თვითშემოქმედების რაიონული დათვალიერებები, რესპუბლიკური ფესტივალები. 1981 წელს ლესიჭინის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მშრომელთა თვითშემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა.

კულტურის სახლებსა და კლუბებში იმართებოდა ადგილობრივი ფოლკლორული კოლექტივებისა და საგასტროლოდ ჩამოსული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების კონცერტები, წარმოდგენები, კინოსეანსები, შეხვედრები ომის ვეტერანებთან, შრომის მოწინავეებთან და სხვა ღონისძიებები; ბიბლიოთეკებში იმართებოდა წიგნების განხილვა, შეხვედრები მწერლებთან და სხვა საინტერესო ადამიანებთან.

---

[1] **გ. ფეტელავა**, ბრიგადაში წყაროზიები არიან, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1983 წ. №9, გვ. 7-8.

[2] **დ. ბიწაძე**, როცა ფოთოლს კრეფს..., ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1983 წ. №4, გვ. 6-7.

[3] **მ. გაბედავა**, ვიკისრეთ, შევასრულეთ, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №122, 1981 წ. 10 ოქტომბერი.

[4] **ბ. ზარანდია**, კეთილეწყობა სოფელი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №8, 1971 წ. 19 იანვარი; **გ. მოლაშხია**, ჯგალი, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №118, 1989 წ. 12 ოქტომბერი.

[5] გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №39, 1989 წ. 1 აპრილი.

[6] **ლ. სიჭინავა**, სულიერი კულტურის ფესვები, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №8, 1989 წ. 19 იანვარი.

[7] **ო. ვეკუა**, ხალხური შემოქმედების ზეიმი, გაზ. ,,ნაპერწკალი“, №47, 1981 წ. 18 აპრილი.

1971 წელს კოკის თემში, ნალიმაში მდგარი ობელისკის გარშემო, 2 ჰა ფართობზე გაშენდა მეგობრობის პარკი. ტერიტორია შემოაკავეს, მოასწორეს და ხეები დარგეს. სამუშაოებს ასრულებდა წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველო, რომლის ხელმძღვანელი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ბაღიშვილი იყო. მეგობრობის პარკის გაშენების ინიციატივა საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომისა და გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციას ეკუთვნოდა. წამოწყებას მხარი დაუჭირა ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა. პარკისათვის ნერგები საზოგადოება „ტყის მეგობარმა“ გაიღო. პარკის გაშენებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კოკის საშუალო სკოლის, ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის, ინგირის კვების ტექნიკუმის მოსწავლეებმა. პარკი მრავალწლიანი ნერგებით დაამშვენეს კოკის ნ. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კ. ნარმანია), ახალსოფლისა და კახათის კოლმეურნეობებმა. ობელისკის გარშემო მოეწყო ყვავილნარი, პარკის გვერდით ერთ კმ-ზე საგზაო საწარმოო უბანმა (უფროსი ს. ნადარეიშვილი) დააგო ასფალტი, სოფ. ორჯონიკიძის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ს. ებრალიძე) უზრუნველყო ობელისკის რესტავრაცია, ხოლო წყალთა მეურნეობის სამმართველომ — პარკის შესასვლელის მოწყობა და წყაროს გამოყვანა.[1]

ხელისუფლება მრავალშვილიანობის წახალისებას ცდილობდა. ხორშის მკვიდრმა კოლმეურნეებმა ვარდენ და შურა ჭითავებმა 15 შვილი გაუზარდეს სამშობლოს. შურა ზარანდია-ჭითავას 1966 წელს „გმირი დედის“ წოდება მიენიჭა.[2] სოფელ ჯგალის მკვიდრი ორესტი და შურა კვარაცხელიები 11 შვილს ზრდიდნენ.[3] ხორშის ციზეთის უბნის მკვიდრი ვენია და ნელი ღვამბერიები ათ შვილს ზრდიდნენ. ისინი ორთვლიან, მამაპაპეულ სახლში ცხოვრობდნენ, მუშაობდნენ კოლმეურნეობაში: კრეფდნენ ჩაის, მოჰყავდათ სიმინდი, ამზადებდნენ აბრეშუმის პარკს, მაგრამ ოჯახს მაინც უჭირდა. 1980 წელს მწერალმა კიტა ბუაჩიძემ საავტორო ჰონორარიდან დანაზოგი თანხა 3 ათასი მანეთი მრავალშვილიან ოჯახს სახლის ასაშენებლად გადასცა. რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით ღვამბერიებმა მშვენიერი ორსართულიანი სახლი ააშენეს. მეთერთმეტე შვილს, მწერლის პატივსაცემად მათ კიტა დაარქვეს. ამის შემდეგ ღვამბერიებს კიდევ ორი შვილი შეეძინათ და 13 შვილს უზრდიდნენ სამშობლოს.[4]

ყურადღების მიღმა არ იყო დარჩერნილი იდეოლოგიური მუშაობა. ხელისუფლება ტრადიციული და რელიგიური დღესასწაულების ახალი საბჭოთა დღესასწაულებით ჩანაცვლებას ცდილობდა. 1975 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს კპ ცკ-მა მიიღო დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამია: „ჩვენი ცხოვრების წესს მომეტებულად ეწინააღმდეგება რელიგიური დღეობები, წმინდანების დღეობები“; ადამიანთა ცხოვრების ძირიადი ეტაპების — დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ ტრადიციული რელიგიური ფორმებით. დადგენილებაში უარყოფითად იყო შეფასებული გადამეტებული ქორწილების, დღეობების, დატირების, საფლავების გაფორმების პრაქტიკა. ხელისუფლება „ქართული ეროვნული, განსაკუთრებით რელიგიური ტრადიციების შესრულების ნაცვლად“, მოსახლეობაც სთავაზობდა აღენიშნათ „ტრადიციული შრომითი დღესასწაულები, კომუნისტური შაბათობანი, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, მუშად და კოლმეურნედ კურთხევა“ და სხვ.[5] საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდმივად ამახვილებდა ამ საკითხებზე ყურადღებას. საქართველოს კპ ცკ-ის წერილი „თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ წარსუ-

---

[1] **გ. ლომიძე**, მეგობრობის პარკი, გაზ. ,,მებრძოლი“, №76, 1971 წ. 1 ივლისი.

[2] **ა. კვირკველია, ნ. მანჯგალაძე**, ბედნიერი ოჯახი, გაზ. ,,კოლხეთი“, №123, 1971 წ. 14 ოქტომბერი; **მ. ჭითავა**, ხარობს ჭითავების ოჯახი, გაზ. ,,კოლხეთი“, №80, 1967 წ. 6 ივლისი.

[3] ხარობს 11 შვილის დედ-მამა, გაზ. ,,კომუნიზმის დროშით“, №21, 1973 წ. 20 თებერვალი.

[4] **ბ. შენგელია,** ბალავარი, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1981 წ. №1, გვ. 18.

[5] იდეოლოგიური მუშაობის საკითხები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტებში (1972-1983 წწ.), თბ., 1983, გვ. 164-180; საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 473.

ლის მავნე გადმონაშთებისა და სხვა ანომალიების წინააღმდეგ ბრძოლა“, კვლავ შეეხებოდა ხალხმრავალი ქორწილებისა და სამგლოვიარო რიტუალების, ქელეხების გამართვას.[1]

დადგენილებებში სამართლიანად იყო ყურადღება გამახვილებული ხალხმრავალი ქორწილების, დღეობების, სამგლოვიარო რიტუალების, ქელეხების მოწყობაზე, საფლავების გადამეტებულ გაფორმებაზე და სხვ. ამასთანავე, „წარსულის მავნე გადმონაშთების, დრომოჭმული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ... თანდათან ახალი სოციალისტური ტრადიციებითა და წეს-ჩვეულებებით დაძლევის“ სურვილით იყო ნაკარნახევი ახალი მასობრივი ღონისძიებებისა და დღესასწაულების დამკვიდრება, რომლებსაც „აღმზრდელობითი და პოლიტიკური მნიშვნელობა“ ჰქონდა. როგორც საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე აღნიშნავდა, შრომის დღესასწაულში მკაფიოდ იყო ასახული ეროვნული და ინტერნაციონალური ტრადიციები, ისტორია და თანამედროვეობა, ძველი და ახალი, — შერწყმული. ასეთი დღესასწაულები იყო: *შრომის ზეიმი*, რომელიც წალენჯიხაში 1979 წლიდან ტარდებოდა მარტის თვეში. იგი წარმოჩენილი იყო როგორც სოფლის მეურნეობის მშრომელთა და მეცნიერთა თანამეგობრობის დღესასწაული, რომელიც გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ტარასი კვარაცხელიას (1889-1951) ხსოვნას ეძღვნებოდა; სალხინოში 1977 წლიდან აპრილში ტარდებოდა ასევე *შრომის ზეიმი*, რომელიც საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებას ეძღვნებოდა; 1983 წლიდან ზუგდიდის რაიონში მაისში ტარდებოდა „დედის დღე“, რომელიც ეძღვნებოდა ზუგდიდის რაიონის გმირ და მრავალშვილიან დედებს.

მთელი რიგი დღესასწაულები მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, ისტორიულ მოვლენებსა ეძღვნებოდა. 1974 წლიდან ცხაკაიაში მაისში ტარდებოდა *პოეზიისა და დრამატურგიის დღე*. იგი ეძღვნებოდა სახალხო არტისტებს შალვა დადიანს (1874-1957), აკაკი ხორავას (1895-1972) და ვალერიან გუნიას (1862-1938); 1983 წლიდან აბაშაში მაისში ტარდებოდა *კონსტანტინეობა,* რომელიც ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას (1893-1975) ხსოვნას ეძღვნებოდა; 1983 წლიდან ცაიშში ივნისში ტარდებოდა *იონობა*, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას (1852-1919) ხსოვნას ეძღვნებოდა.

1979 წლის სექტემბრიდან რუხში ტრადიციად იქცა ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის ზეიმის გამართვა, რომელიც 1855 წლის 25 ოქტომბრის ენგურის ნაპირებთან ბრძოლის დროს დაცემულ ქართველთა და აფხაზთა ხსოვნას ეძღვნებოდა. დღესასწაულის აღნიშვნა ნალიმაში იღებდა სათავეს და რუხში გრძელდებოდა. კოკში, ადგილ ნალიმაში, საძმო საფლავია, სადაც 1913 წელს აღმართულ ობელისკზე გაკეთებულია წარწერა: „ობელისკი აღიმართა გმირ წინაპართა სახელების უკვდავსაყოფად, რომლებიც დაეცნენ თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში მდინარე ენგურის ნაპირზე 1855 წლის 25 ოქტომბერს“. 1979 წელს რუხში, ენგურისპირას გაშენდა მეგობრობის პარკი, სადაც მეგობრობის მემორიალთან იმავე წლის სექტემბერში საფუძველი ჩაეყარა რუხის კოლმეურნეობა „საქართველოსა“ და გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას შორის სოციალისტურ შეჯიბრებას. ამ დროიდან რუხში ყოველწლიურად იმართებოდა მეგობრობის ზეიმი ქართველი და აფხაზი კოლმეურნეების მონაწილეობით.[2]

1979 წლიდან ჩხოროწყუში ნოემბერში ტარდებოდა *შრომისა და სიმღერის ზეიმი*, რომელიც ეძღვნებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრებას; 1976 წლიდან ხობში დეკემბერში იმართებოდა *მოსავლის ზეიმი.* დღესასწაულის მიზანი იყო სამეურნეო წლის მანძილზე შრომითი კოლექტივებისა და მოწინავე ადამიანებისადმი პატივისცემისა და სათანადო დაფასების გამოხატვა; 1977 წლიდან გეგეჭკორში დეკემბერში იმართებოდა *შრომის ზეიმი*, რომელიც სამეურნეო წლის დამთავრებას და შრომითი შედეგების შეჯამებას ეძღვნებოდა.[3]

ხობის რაიონში 5 სექტემბერს აღინიშნებოდა „სწავლისა და შრომის ზეიმი“; 1976 წლიდან, ოქტომბრის მიწურულს იმართებოდა სახალხო ზეიმი „ცოტნეობა“, რომელიც ცოტნე და-

---

[1] იდეოლოგიური მუშაობის საკითხები..., გვ. 424-436.

[2] **გ. გიგაური**, მზე რუხის ციხეზე, ჟურნ. „დროშა“, 1981 წ. №9, გვ. 3-4; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1983 წ. 8 სექტემბერი.

[3] სახალხო დღესასწაულები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1983, გვ. 9-31.

დიანს ეძღვნებოდა და მიზნად ისახავდა ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, გმირ წინაპართა სახელების უკვდავყოფას, კულტურის ძეგლთა დაცვას; 9 მაისს ფართოდ აღინიშნებოდა შინმოუსვლელის ხსოვნის დღე. სოფელ ხამისქურში საფუძველი ჩაეყარა პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმს, სოფელ ხორგაში აშენდა საშუალო სკოლის შენობა, რომელსაც ალიო მირცხულავას სახელი მიენიჭა; სოფელ ხეთაში გაიხსნა „შინმოუსვლელის სახლი“ 1941-1945 წწ. სსრ კავშირ-გერმანიის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად.[1]

აღდგომას სასაფლაოებზე გასვლის ტრადიციიდან რელიგიური საფარველის ჩამოშორებისაკენ იყო მიმართული საქართველოს კპ ცკ-ის 1983 წლის 9 მარტის დადგენილება „ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღის ჩატარების შესახებ“. დაწესდა ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის ერთიანი დღე — ყოველწლიურად აპრილის მესამე კვირის შაბათ-კვირა. დადგენილების თანახმად ამ დღეებში ნათესავ-ახლობლები მივიდოდნენ სასაფლაოებზე, დაასუფთავებდნენ და მოუვლიდნენ.[2]

სამეგრელოში მაშინ სულ რამდენიმე ეკლესია იყო მოქმედი: მარტვილის, ალერტის, მენჯის, სენაკის. ხელისუფლების წარმომადგენლები მკაცრად აკონტროლებდნენ რელიგიურ დღესასწაულებზე ეკლესიებში მლოცველების დასწრებას. ხშირად, სამეგრელოდან ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში მიდიოდნენ ნათლობაზე ან გიორგობის თუ სხვა დღესასწაულებზე. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერც ერთი ტრადიციული წეს-ჩვეულება, რომლის წინააღმდეგაც დადგენილება იყო მიმართული, ხელისუფლებამ ვერ აღმოფხვრა.[3]

ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი იყო, მაგრამ წამყვან დარგს მაინც მეჩაიეობა წარმოადგენდა. 1983 წელს მეჩაიე კაცდღეზე ანაზღაურებას 18 მან და 20 კაპიკს იღებდა, მაშინ როდესაც 1971 წელს ეს თანხა 4 მან და 15 კაპიკს შეადგენდა. ამდენად, ანაზღაურება სამჯერ გაიზარდა. კოლმეურნეობას უნარიანად ხელმძღვანელობდა ჯოტო გუგუჩია, რომელმაც მალე ის მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. სოფელში 5 ათასამდე მცხოვრები იყო, აქედან 2700 კოლმეურნეობაში მუშაობდა. კოლმეურნეობის შემოსავლის გაზრდამ მის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა, სასოფლო რაიონებს შორის საქართველოში პირველად, საშუალო სწავლების ორი გახანგრძლივებული სკოლა უფასო კვებაზე გადაეყვანა; რიგიანად მოეწყო მოსწავლეთა საძინებელი ოთახები, აბანო; სკოლას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, საკუთარი სტუდია. სოფელს ჰქონდა სპორტული მოედანი, იპოდრომი. კოლმეურნეობა სწავლის მოსურნე ახალგაზრდებს ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აგზავნიდა, უნიშნავდა სტიპენდიას. ისინი შემდეგ სოფელს მექანიზატორის, ზოოვეტერინარის, ტექნოლოგის, აგრონომის პროფესიით უბრუნდებოდნენ. თუ გინდა გლეხკაცმა იმუშაოს, პირობებიც უნდა შეუქმნა, ამბობდა ჯოტო გუგუჩია. მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით კოლმეურნეობამ მდ. ჭურიის ნაპირებზე ბალახის თიბვა და შენახვა დაიწყო, რამაც მნიშვნელოვანი მოგება მოიტანა. წლების განმავლობაში ჭირდა მოკრეფილი ჩაის გადამუშავება. ჩაის ფაბრიკები ვერ აუდიოდნენ დიდი რაოდენობის ნედლეულის გადამუშავებას, ამიტომ იკარგებოდა ხარისხი. კოლმეურნეობის ხელმნძღვანელობამ გადაწყვიტა მოსაკრეფ და მოკრეფილ ჩაის ერთი პატრონი ჰყოლოდა, რომელიც ჩაის პლანტაციასაც მოუვლიდა და მოკრეფილ ფოთოლსაც გადაამუშავებდა. ამ მიზნით 1980 წელს აშენდა ჩაის ექსპერიმენტული მიკროფაბრიკა, სადაც დაგვიანების გარეშე მიმდინარეობდა ნედლეულის გადამუშავება. ჩაის ფაბრიკა ყოველდღიურად 15-16 ტონა ნედლეულს ამუშავებდა. გაიზარდა კოლმეურნეობის შემოსავალიც.[4] კახათიც დამშვენდა. გზები მოასფალტებული იყო, გზისპირები — გამწვანებული. სოფელში იყო ორი საშუალო სკოლა, ორი სამუსიკო სკოლა, სამი საბავშვო ბაღი, სამი ბიბლიოთეკა, კლუბი, პოლიკლინი-

---

[1] **გრ. რუხაია**, ხობისწყლის პირას, ჟურნ. ,,დროშა“, 1983 წ. №1, გვ. 10.

[2] იდეოლოგიური მუშაობის საკითხები..., გვ. 476-479.

[3] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 474.

[4] **ვ. გვეტაძე**, ადრე თენდება კახათში, ჟურნ. ,,დროშა“, 1984 წ. №7, გვ. 12-14.

კა, აფთიაქი, ჩაის ფაბრიკა. კოლმეურნეობის უნარიანმა ხელმძღვანელმა ჯოტო გუგუჩიამ 1984 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო.

1980 წელს ხორშის ეთერზეთების ს/მეურნეობა-ქარხნის მეჩაიე ვენერა პაჭკორია შრომის დიდების III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.[1] 1986 წელს ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების" ბრიგადირი როინ ბუკია — *შრომის დიდების* III ხარისხის ორდენით; მოწინავე მეჩაიე ლუბა გუგუნავა — მედლით *„შრომითი მამაცობისათვის"*, ფერმის გამგე ომარ გარუჩავა — მედლით *„შრომითი წარჩინებისათვის"*.[2] კოლმეურნეობა „გამარჯვების" ნოვატორმა მეჩაიემ ეთერ დადიანმა 1979 წელს 20 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ასეთი შედეგი ჩაის პლანტაციაზე მუდმივი ზრუნვის შედეგად დადგა. მან მრავალჯერ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებებში, დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებით, მიენიჭა სახელმწიფო პრემია, არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.[3] 1986 წლის დეკემბერში ეთერ დადიანი მოსკოვში კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა საკავშირო შეკრებაში მონაწილეობდა.

80-იან წლებში *კოკის თემში* იყო საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბიბლიოთეკა, ამბულატორია, აფთიაქი, კავშირგაბმულობის განყოფილება; ფუნქციონირებდა ნ. ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის ძირითადი მიმართულება მეჩაიეობა და მესიმინდეობა იყო. *ხუნწის თემში* (ქვემო ხუნწი, ზემო ხუნწი, ლეციცხვაიე) ფუნქციონირებდა ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა, რომლის მთავარი მიმართულება იყო მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა. სოფელში მოეწყო აგურის საწარმო. თემში იყო რვაწლიანი სკოლები ქვემო ხუნწსა და ზემო ხუნწში, საშუალო სკოლა — ლეციცხვაიეში. *კეთილარის თემში* სამი სოფელი შედიოდა: კეთილარი (თემის ცენტრი), გულეიკარი და გაღმა კოდორი. კეთილარის კოლმეურნეობის ძირითადი მიმართულება მესიმინდეობა, მეცხოველეობა და მებოსტნეობა იყო. კოლმეურნეობასთან არსებობდა მეცხოველეობის კომპლექსი. კეთილარში იყო საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმულობის განყოფილება; გულეიკარსა და გაღმა კოდორში — დაწყებითი სკოლები. *თორსა-დღვაბას თემში* ფუნქციონირებდა სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „ოქროს საწმისი" და საბჭოთა მეურნეობა „განთიადი". მათი ძირითადი მიმართულება სუბტროპიკული კულტურები და მესიმინდეობა იყო. თორსაში იყო საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბიბლიოთეკა, მედპუნქტი, კავშირგაბმულობის განყოფილება; დღვაბაში — დაწყებითი სკოლა, საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა. *ჭოღის თემში* (პირველი ჭოღა, მეორე ჭოღა, ლექობალე) ფუნქციონირებდა კოლმეურნეობა და ტუნგის საბჭოთა მეურნეობა. მათი ძირითადი მიმართულება მეჩაიეობა, მესიმინდეობა და ტუნგის მოყვანა იყო. თემში ფუნქციონირებდა საშუალო სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, ბიბლიოთეკა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმულობის განყოფილება; *ჯგალის თემში* ფუნქციონირებდა შოთა რუსთაველისა და მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობები, რომელთა მთავარი მიმართულება იყო მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა. თემში იყო რვაწლიანი და საშუალო სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღი, ორი ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულატორია, ორი მედპუნქტი, აფთიაქი, დასასვენებელი სახლი, კავშირგაბმულობის განყოფილება.

70-80-იან წლებში განსაკუთრებით დამშვენდა რაიონული ცენტრები აბაშა, გეგეჭკორი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, ცხაკაია, წალენჯიხა, ხობი. რაიონის ცენტრებში აიგო კოხტა ადმინისტრაციული შენობები, მოწესრიგდა გზები. ჩხოროწყუში აშენდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი შენობა, აღიმართა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული კომპოზიცია „ბოროტსა სძლია კეთილმან". აბაშა დაამშვენა ზურაბ წერეთლის ნამუშევრებმა. ცხაკაიაში გაიხსნა სამხატვრო გალერეა. ხობში აიგო კულტურის სასახლე, რომლის წინ მოეწყო დეკორატიული შადრევნიანი აუზი, ხოლო მის ცენტრში აღიმართა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის მიერ შესრულებული ქანდაკება „მარადისობის ხე". კულტურის სასახლე დაამშვენა ზურაბ წერეთლის

---

[1] გაზ. ,,კომუნისტი", 1980 წ. 26 მარტი.

[2] გაზ. ,,კოლხეთი", №97, 1986 წ. 19 აგვისტო.

[3] **ლ. ესართია**, ბროლის ლარნაკი, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი", 1980 წ. №9, გვ. 3-4.

ორმა მაღალმხატვრულმა პანომ. სასახლეში განთავსდა სამუსიკო სკოლა, საბავშვო ბიბლიოთეკა, ქორეოგრაფიული სტუდია და სხვ. სასახლესთან არსებობდა დრამატული დასი, საესტრადო ვოკალურ-საკრავიერი და ხალხურ საკრავთა ანსამბლები. აშენდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელშიც შედიოდა 4 აუზი, ფინური აბანო, საშხაპეები, კაფე, სასტუმრო.[1] სასოფლო თემებისა და რაიონების ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებაში დიდი იყო რაიონების ხელმძღვანელების *ოთარ ჭითანავას, ნოდარ ჭითანავას, დამიანე ჯიჯელავას*, *ვახტანგ ესვანჯიას*, *ნუგზარ ნადარაიას*, *გურამ მგელაძის*, *კარლო ქაჯაიას*, *არნოლდ ჟვანიას*, *ბონდო ჯიქიას* და სხვათა წვლილი.

80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური კრიზისი აშკარად ჩანდა: მაღაზიების თაროები დაცარიელდა, ხელფასების დასაქონლება ვეღარ ხდებოდა; აშკარა იყო სურსათის ნაკლებობა. 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იან წლებში მთელი სიმწვავით დადგა ქართული ჩაის ხარისხის პრობლემა, რასაც მრავალი მიზეზი ჰქონდა. ჩაის პლანტაციების თითქმის 45% ამორტიზებული იყო და განახლებას საჭიროებდა. პლანტაციების დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში არ ტარდებოდა ისეთი აუცილებელი ღონისძიებები, როგორიც იყო ბუჩქების ნახევრად მძიმე და მძიმე გასხვლა; ჩაის პროდუქტიულობასა და ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენდა ბუჩქების ბიოლოგიური ხანდაზმულობა. 1981 წლის თებერვალში ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრმა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ ღია წერილი გამოაქვეყნა, სადაც ქართული ჩაის ხარისხის დაკნინებასთან დაკავშირებით დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა.[2]

სკკპ ცკ-ის 1982 წლის მაისის პლენუმზე აღინიშნა, რომ სასურსათო პრობლემა ჯერ კიდევ არ იყო მოხსნილი დღის წესრიგიდან. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით მიღებულ იქნა სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა. ხელისუფლების აზრით, მის განხორციელებას უნდა უზრუნველეყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება. საქართველოს ხელისუფლება აღიარებდა, რომ ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში, რესპუბლიკაშიც არ კმაყოფილდებოდა მოთხოვნილება ხორცისა და რძის ნაწარმზე, ბოსტნეულზე. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევდა ძირითად სასურსათო საქონელზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამაღლებას. სასურსათო პროგრამა ითვალისწინებდა: ჩაის ფოთლის წლიური წარმოების 1990 წლისთვის 45%-ით, ყურძნის – 95%-ით, ხილისა და ციტრუსების – 45%-ით, ბოსტნეულის – 60%-ით, ხორცის – 57%-ით, რძის – 37%-ით გადიდებას. ამ მაჩვენებლებისთვის უნდა მიეღწიათ პრაქტიკულად ფართობისა და სულადობის გადიდების გარეშე, ამასთანავე სოფლად მუშახელის რაოდენობის შემცირების პირობებში, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გაძლიერების გზით. XII ხუთწლედში (1986-1990 წწ.) რესპუბლიკას საშუალოდ წელიწადში უნდა ეწარმოებინა: 750-780 ათასი ტონა მარცვლეული, დაახლ. 900 ათასი ტონა ბოსტნეული და ბაღჩეული, 1400 ათასი ტონა ყურძენი, სულ ცოტა 635 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 1440 ათასი ტონა ხილი და ციტრუსი, 750 ათასი ტონა კარტოფილი.[3]

სასურსათო პროგრამის განხორციელება იმდროინდელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში შეუძლებელი იყო, ამიტომ გეგმების შესრულება კვლავ მიწერებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის დაკნინების ფონზე ხდებოდა. 80-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დაძლევის გზების ძიება. სსრ კავშირში ეკონომიკური რეფორმების გეგმები ჯერ კიდევ 1983-1984 წწ. მუშავდებოდა. 1985 წლის აპრილში სკკპ ცკ პლენუმზე პარტიის ახალმა გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა გამოაცხადა არსებული ეკონომიკური სისტემის სრულყოფის აუცილებლობა, ე. წ. დაჩქარება. 1987 წლის იანვრის პლენუმზე სკკპ ცკ-მა გამოაცხადა საბჭოთა სახელმწიფოს გარ-

---

[1] **გრ. რუხაია**, ხობისწყლის პირას, ჟურნ. ,,დროშა", 1983 წ. №1, გვ. 10.

[2] **ვ. ჯაყელი**, ქართული ჩაის ღირსებისათვის, ჟურნ. ,,დროშა", 1988 წ. №1, გვ. 9.

[3] **ე. შევარდნაძე**, სასურსათო პროგრამა საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე 1982 წლის 15 ივნისს, თბ., 1982, გვ. 6-9.

დაქმნის კურსი, რომელიც მოიცავდა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ღონისძიებების კომპლექსს, რომელსაც რადიკალურად უნდა შეეცვალა სსრ კავშირში არსებული ვითარება. რეფორმის მიზანი იყო სსრ კავშირში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის ყოველმხრივი დემოკრატიზაცია. პირველ რიგში განახლება სწორედ ეკონომიკას სჭირდებოდა, მაგრამ ღონისძიებები ამ სფეროში ძირითადად ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებდა. ხელისუფლების მიერ აღებული კურსი კომპლექსურ ღონისძიებებს ითვალისწინებდა.

1985 წლის ზაფხულში სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და გამოყენების შეზღუდვას, ქვეყანაში „ჯანსაღი ცხოვრების“ წესის დამკვიდრებას. ხელისუფლებამ საზოგადოებას შესთავაზა უალკოჰოლო დღეობები, ქორწილები. დადგენილებამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგს, შემცირდა ღვინის დამზადების მოცულობა.[1] სამეგრელოს სოფლებში, კოლმეურნეობებში, დაიწყეს ვენახების გაჩეხვა და გათავისუფლებულ ფართობებზე სიმინდისა და სხვა კულტურების მოყვანა. ასე მოხდა სოფ. ჯიხასკარში, სადაც მდ. ჭანისწყლისპირა მინდვრებზე ვენახი აჩეხეს და სიმინდი დათესეს. სოფლებში ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ფარგლებში ბრძოლა გამოუცხადეს ქორწილებსა და ქელეხებს, აიკრძალა არყის ტრადიციული წესით გამოხდა.

როგორც ბევრმა გაუაზრებელმა ნორმამ, ვერც ამ დადგენილებამ იმუშავა. ამიტომ 1988 წლის 6 დეკემბერს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 4 ივნისს მიიღეს დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით ნებადართული გახდა ღვინო-არყის ნაწარმისა და ლუდის გაყიდვა დიდ სასურსათო მაღაზიებსა და უნივერსალური მაღაზიებში; ყველა რესტორანში; შამპანურის, მშრალი ღვინოებისა და ლუდის გაყიდვა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში; დაშვებულ იქნა ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა, მშრომელთა დასვენების ადგილებში და ტრანსპორტზე.[2] ღვინო-არყის წარმოება დაშვებულ იქნა, თუმცა გაჩეხილ ვენახებს უკვე არაფერი შველოდა.

გარდაქმნის კურსის გამოცხადების შემდეგ კოლმეურნეობები თავისუფლდებოდნენ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული დიქტატისაგან, ღებულობდნენ დამოუკიდებლობას, გლეხობის თვითმოქმედებასა და ინიციატივას საფუძვლად ედებოდა კოლექტიური და საოჯახო იჯარა, შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების სხვა ფორმები, წახალისებული იყო საკუთრებისა და მეურნეობის ფორმათა გამრავალფეროვნება, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პარალელურად თავისუფალი გლეხური და ფერმერული მეურნეობების შექმნა, რომლებსაც მაშინ კოოპერატივებს უწოდებდნენ. გარდაქმნის სტრატეგიის მიზანი იყო უშუალო მწარმოებელ მასას მიწისა და წარმოების საშუალებებზე ბატონ-პატრონობის გრძნობა დაბრუნებოდა, კოლმეურნე გლეხობის სოციალური აქტიურობა მაქსიმალურად ამაღლებულიყო. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ კოლმეურნე გლეხობის ენთუზიაზმს გააცოცხლებდნენ, მაგრამ უამრავი დაპირებითა და ფუჭი სიტყვებით გაბეზრებული საბჭოთა მოქალაქე ინერტულობას იჩენდა.[3]

1987 წლის სექტემბერში სკკპ ცკ პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა წინადადებები ჩაის პლანტაციების აღდგენისა და ჩაის ხარისხის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე მიღებული დადგენილებით გათვალისწინებული იყო არსებული ჩაის პლანტაციების აღდგენა და უახლოეს მომავალში მათი ფართობის გაზრდა, დარგის აღჭურვა ჩაის მოვლა-მოყვანისა და კრეფისათვის საჭირო მანქანების კომპლექსით, გადამამუშავებელი საწარმოების სიმძლავრეების გადიდება და მათი ტექნიკური განახლება. ამავე დადგენილებით

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 492-493.

[2] საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, №6, თბ., 1988, გვ. 19-20.

[3] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 474.

განისაზღვრა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების ეკონომიკური სტიმულირების ღონისძიებები.[1]

სტატისტიკური მონაცემებით, 1987 წელს, ჩხოროწყუს რაიონში მოიკრიფა 29 085 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, სახელმწიფოს ჩაბარდა: 803 ტონა სიმინდი, 181 ტონა სოიო, 9,2 ტონა ლობიო, 869 ტონა ხორცი, 175 ტონა აბრეშუმის პარკი.[2]

ჭოღის თემში ფუნქციონირებდა პირველი ჭოღის კოლმეურნეობა და ჭოღის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობის ძირითადი დარგები მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო, პრივილეგირებული კულტურა — ჩაი და სიმინდი. 1986 წელს ჭოღელებმა აწარმოეს 3143 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მათ შორის, პირველი ჭოღის კოლმეურნეობამ – 1113 ტონა, ხოლო ტუნგის საბჭოთა მეურნეობამ – 1030 ტონა. იმავე წელს ჩაის ფოთლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ ჭოღის კოლმეურნეობაში 9772 კგ, ხოლო ტუნგის მეურნეობაში 8142 კგ შეადგინა. 1974 წლიდან 1989 წლამდე ჭოღის ტუნგის მეურნეობამ სახელმწიფოს 2800 ტონა ტუნგის ნაყოფი ჩააბარა.[3] ჭოღის ტუნგის საბჭოთა მეურნეობას წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდნენ გიგლა ჯიქია, გურამ ლემონჯავა, ჯუმბერ შოგირაძე, ჟორჟი გოგუა, ენვერ მალანია, კარლო გერსამია, ვახტანგ შენგელია.[4]

კვლავაც დიდი ყურადღება ექცეოდა კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული მიწების ათვისებას. ჩაისა და ციტრუსოვნების, მარცვლეული კულტურების (სიმინდის), პარკოსნების მოყვანას. 1984 წელს თორსა-დღვაბას საბჭოთა მეურნეობა „განთიადში“ თითო ჰექტარზე 14,3 ცენტნერი სოიის მარცვალი მიიღეს, როდესაც მეზობელ ხამისქურის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში, ისეთსავე ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში სოიის საშუალო მოსავლიანობამ 2,9 ცენტნერი შეადგინა.[5] სოიის მოყვანას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის თვალსაზრისით.

იმავდროულად, იყო ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული სიძნელეებიც. 1986 წლის აპრილში უკრაინაში, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარია გარკვეულწილად საქართველოზეც აისახა. დასავლეთ საქართველოში, მათ შორის სამეგრელოში, რადიოაქტიური ღრუბლების გავრცელების შედეგად დაბინძურდა ნიადაგი, ჰაერი. რამდენიმე წლის განმავლობაში სამეგრელოში რადიაციის გავრცელებით გამოწვეული უარყოფითი გავლენა თვალსაჩინო იყო. რადიოაქტიურად დაბინძურდა ჩაი, საძოვრები, მთელი რიგი ბოსტნეული კულტურები, მაგალითად კიტრი არ ხარობდა. ბუნებრივია, ეს შინაური ცხოველებისა და ფრინველების, ასევე ადამიანების დაავადებებს გამოიწვევდა, თუმცა ამისთვის მაშინ ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ.

1987 წლის ზამთარი უხვთოვლიანი იყო. გაზაფხულზე რიონის ადიდების შედეგად დაიტბორა მდინარისპირა სოფლები, ადიდებულმა წყალმა წალეკა ნათესები, მოსახლეობას დაეხოცა შინაური ფრინველი და საქონელი. 1989 ივლისში სამეგრელოს ამინდი არ ანებივრებდა. ხშირი იყო ძლიერი ქარი და კოკისპირული წვიმები. 31 ივლისს ღამით თქეში მოვიდა, რის შედეგადაც ადიდდა მდ. ჭანისწყალი. დაზიანდა სანაპირო ნათესები, გზები და ხიდები. სტიქიამ განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა სოფლებში ჯგალში, მიქავაში, ობუჯში და სხვაგან. დაიტბორა წალენჯიხის ქუჩები. წყალდიდობამ ზიანი მიაყენა ჩხოროწყუს რაიონის მეურნეობას. პრაქტიკულად განადგურდა მთელი ჭალის ნათესები, დაახლ. 500 ჰექტარზე. გადაირეცხა გზები, დაინგრა ხიდები. საერთო ზარალმა ჩხოროწყუს რაიონში 1,5 მლნ მანეთს მიაღწია. მოსახლეობისთვის დახმარების გასაწევად და ზარალის აღმოსაფხვრელად ხელისუფლებამ გარკვეული ზომები მიიღო.[6]

---

[1] **ვ. ჯაყელი**, ქართული ჩაის ღირსებისათვის, ჟურნ. ,,დროშა“, 1988 წ. №1, გვ. 8.
[2] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 55-63.
[3] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 233.
[4] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 233.
[5] **გ. ფანჯიკიძე**, ხუთწლედის გადასახედიდან, თბ., 1985, გვ. 35.
[6] საქართველოს კარდიოგრამა, გაზ. ,,სამშობლო“, №19, 1989 წ. 8 აგვისტო.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იჯარულ ფორმაზე გადავიდნენ. კერძო პირებს, რგოლებს თუ ბრიგადებს იჯარით გადაეცემოდა სახნავი მიწები, პირუტყვი და სხვ. აბაშის რაიონის სოფელ ნორიოში გვარამიების ოჯახმა 100 სული სახორცე საქონელი გაიპიროვნა. ხელშეკრულების თანახმად, 120-150 კილოგრამიანი 6 თვის ხბორების წონას 350-370 კგ უნდა მიეღწია. ფაქტობრივად, ცენტნერი ხორცის წარმოებაზე მათ 38 მან ერიცხებოდათ, საშუალო თვიური ხელფასი 700-750 მანეთს შეადგენდა. გეგმის გადამეტებით წარმოებული პროდუქციის 20%-ს პრემიის სახით მიიღებდნენ, ეს თანხა კი წელიწადში 1400-1500 მანეთს აღწევდა.[1] ამ პერიოდში მიიჩნეოდა, რომ სოფლის მეურნეობის პრობლემები გადაიჭრებოდა ფერმერული მეურნეობების დამკვიდრებით. 1988 წლის თებერვლიდან ნაკიანის მეთხეობის საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მეღორეობის ფერმის იჯარით მომუშავეთა რგოლი.[2]

1989-1990 წლებში საქართველოს უმაღლესმა საბჭომ რამდენიმე პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო საბაზრო პრინციპების დამკვიდრების დაჩქარების შესახებ. მთავრობამ მიიღო ნორმატიული აქტები კოოპერატივების, გლეხებისათვის მიწის დამატებითი ფართობების გამოყოფის, საიჯარო ურთიერთობების განვითარების თაობაზე.[3]

80-იანი წლების მიწურულს საქართველოში გააქტიურდა ეროვნული მოძრაობა, რომლის უმთავრესი მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. ასეთ ვითარებაში, 1989 წლის ივლისში დ. გეგეჭკორს დაუბრუნდა სახელი მარტვილი, გეგეჭკორის რაიონს მარტვილის რაიონი ეწოდა; იმავდროულად, ქ. ცხაკაიას ეწოდა სენაკი, ხოლო ცხაკაიას რაიონს — სენაკის რაიონი.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა ეროვნული მოძრაობის ერთმა ფრთამ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, რომელსაც ზვიად გამსახურდია ედგა სათავეში. ახლადარჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკაში გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადებულიყო სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

80-იანი წლების ბოლოს სამეგრელო შვიდი რაიონით — აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, და ქალაქებით — ზუგდიდი და ფოთი, იყო წარმოდგენილი. აბაშის რაიონში შედიოდა 14 თემი (42 სოფელი), ზუგდიდის რაიონში — 28 თემი (58 სოფელი), მარტვილის რაიონში — 20 თემი (78 სოფელი), სენაკის რაიონში — 14 თემი (63 სოფელი), ჩხოროწყუს რაიონში 12 თემი (29 სოფელი), წალენჯიხის რაიონში — 12 თემი (34 სოფელი), ხობის რაიონში — 18 თემი (56 სოფელი).

ეკონომიკაში მთავარი ადგილი სოფლის მეურნეობას და მასზე დამყარებულ გადამამუშავებელ მრეწველობას ეკავა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მებაღეობა-მებაღჩეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, სარძევე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, ტექნიკური კულტურების — სოია, ტუნგი, ეთერზეთოვანი კულტურები, — მოყვანა. კვების მრეწველობაში წამყვანი ადგილი ეკავა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის — ჩაის, ხილისა და ციტრუსების, ეთერზეთოვანი კულტურების გადამამუშავებელი მრეწველობას. მრეწველობის მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენდა სენაკის ხალიჩების კომბინატი, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა, ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, აბრეშუმსაქსოვი და ავეჯის ფაბრიკები. საკურორტო მეურნეობა წარმოდგენილი იყო სქურის, მენჯის, ცაიშის ბალნეოლოგიური კურორტებით, მუხურის ბავშვთა კურორტით; ხორციელდებოდა სქურისა და ლუგელას მინერალური წყლების ჩამოსხმა.

---

[1] **ნ. კუპრეიშვილი**, გვარამიების ოჯახური იჯარა, ჟურნ. ,,საქართველოს ქალი“, 1988, №12, გვ. 6-7.

[2] **ლ. ქარჩავა**, ქართული სოფელი და გარდაქმნა, ჟურნ. ,,ეკონომისტი“, 1990, №4, გვ. 71-72.

[3] **ნ. ჭითანავა**, საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია, თბ., 2018, გვ. 31.

სამეგრელოს შვიდ რაიონში წარმოდგენილი იყო:

აბაშის რაიონში: 14 კოლმეურნეობა, 5 საბჭოთა მეურნეობა, მათ შორის ეთერზეთების მეურნეობა-ქარხანა. 9 კოლმეურნეობა და 2 საბჭოთა მეურნეობა სპეციალიზებული იყო მეჩაიეობაზე. რაიონში იყო ჩაის ფაბრიკა, სახერხი, ავეჯის და აგურის კომბინატები, ბამბეულის საქსოვი და რეზინის ფეხსაცმლის საწარმოები, ინერტული სამშენებლო მასალებისა და მექანიკური ქარხნები. აღსანიშნავია, რომ ეთერზეთების ქარხნის პროდუქცია მთელი სსრ კავშირის მასშტაბით და საზღვარგარეთ იგზავნებოდა.

ზუგდიდის რაიონში: 7 საბჭოთა მეურნეობა, მათ შორის 6 ჩაის წარმოებაზე სპეციალიზებული — ონარიის, ზედა ეწერის, ხეცერის, ნარაზენის, ინგირის, რუხის; 8 ჩაის ფაბრიკა — 2 ზუგდიდის, ზედა ეწერის, ინგირის, კახათის, ნარაზენის, ცაიშის, ყულისკარის; სახელმწიფო სანერგე მეურნეობა, სადაც ხეხილის მაღალხარისხოვანი ჯიშები გამოჰყავდათ. რაიონში მოყავდათ სიმინდი (6390 ჰა), ციტრუსები (310 ჰა), დაფნა (466 ჰა), ტუნგი (933 ჰა).

მარტვილის რაიონში: 4 საბჭოთა მეურნეობა — დიდი ჭყონის და ვედიდკარის მეჩაიეობის, მარტვილის ტუნგის, ბანძის მევენახეობის; 21 კოლმეურნეობა და 2 საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა და მეღორეობის სასუქი პუნქტი; 4 ჩაის ფაბრიკა — 2 დიდი ჭყონის, მარტვილის, ბანძის; მარტვილის ღვინის, საკონსერვო, ყველკარაქის, ხე-ტყის სახერხი, აგურისა და კირის ქარხნები, ავეჯის ფაბრიკა.

სენაკის რაიონში: 12 საბჭოთა მეურნეობა, სპეციალიზებული უმთავრესად სუბტროპიკულ კულტურებზე, 7 კოლმეურნეობა, მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სამეურნეობათაშორისო გაერთიანება; ნოსირის მეფრინველეობის ფაბრიკა, ძველი სენაკის მეღორეობის სასუქი პუნქტი; ჭალადიდისა და ხორშის ეთერზეთების ქარხნები; ჩაის ფაბრიკები — 2 სენაკში, უშაფათსა და ზანაში; სენაკის ჩაის, პურის, კომბინირებული საკვების, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატები, ღვინის, ყველკარაქის, ხილის წვენების, საკონსერვო ქარხნები.

ჩხოროწყუს რაიონში: 14 კოლმეურნეობა, 4 საბჭოთა მეურნეობა — 2 ჩაის საბჭოთა მეურნეობა ლესიჭინეში, ჭოღის ტუნგის საბჭოთა მეურნეობა, ნაკიანის მეთხეობის საბჭოთა მეურნეობა; 2 სატყეო და 2 მეფუტკრეობის მეურნეობა, 2 სამეურნეობათაშორისო გაერთიანება. მუხურის ქართული ფუტკრის საშენ სახელმწიფო საჯიშე მეურნეობაში გამოჰყავდათ ქართული რუხი დედაფუტკრები, რომლებიც მსოფლიოს 57 ქვეყანაში იგზავნებოდა; 7 ჩაის ფაბრიკა — 2 ჩხოროწყუს, 2 ლესიჭინის, ხაბუმის, მოიდანახის, ნაფიჩხოვოს; ქვედა ჩხოროწყუს მეფრინველეობის ფაბრიკა, ჩხოროწყუს საკონსერვო, ყველკარაქის, ლიმონათის ქარხნები, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, რომელიც ფართო მოხმარების საგნებს ამზადებდა; აგურის და ინერტული მასალების ქარხნები.

წალენჯიხის რაიონში: 19 კოლმეურნეობა, მათ შორის 3 წალენჯიხაში — მეჩაიეობის, მესიმინდეობის, მეცხოველეობის მიმართულების; წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობა, 3 სამეურნეობათაშორისო საწარმო — მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, საკვებმომპოვებელი, და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სამეურნეობათაშორისო გაერთიანება; მეფრინველეობის ფაბრიკა, 4 ჩაის ფაბრიკა — წალენჯიხაში, ჯვარში, ჭალა-ფახულანსა და ნაკიფუში; ჩაის კონცენტრატებისა და ნატურალური სასმელების, ლიმონათის, ღვინის ქარხნები წალენჯიხაში.

ხობის რაიონში: 8 კოლმეურნეობა და 14 საბჭოთა მეურნეობა, სპეციალიზებული უპირატესად სუბტროპიკულ კულტურებსა და მეცხოველეობაზე, მათ შორის: ორი საბჭოთა მეურნეობა თორსა-დღვაბაში; შუა ხორგის სამკურნალო კულტურების (ალოე) მეურნეობა, პატარა ფოთის მეთევზეობის მეურნეობა; 2 ჩაის ფაბრიკა ხობსა და საჯიჯაოში, 2 საკონსერვო ქარხანა ხობსა და ზენში, ღვინისა და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატები ხობში.

ამდენად, სამეგრელოს მხარეს სოფლის მეურნეობისა და მისი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის, საკურორტო მეურნეობის განვითარების მხრივ მნიშვნელოვანი პოტენციალი ჰქონდა.

თავი VI.

სამეგრელოს სოფელი XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დამდეგს

დამოუკიდებლობის პირველ წლებში სირთულეებმა იჩინა თავი. 1991 წლის დეკემბერში სსრ კავშირი დაიშალა. 1991 წლის დეკემბერ - 1992 წლის იანვრის სახელმწიფო გადატრიალებამ საქართველოში და შემდეგ დაწყებულმა ანარქიამ ვითარება უფრო დაამძიმა. შექმნილი რთული ვითარება სამეგრელოს სოფლებზეც სავალალოდ აისახა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაიშალა. მათი კუთვნილი მიწები კერძო პირებმა გაიპიროვნეს. საკონსერვო ქარხნები და ჩაის ფაბრიკები დაიხურა, შემდეგ მათი უმრავლესობა გაიძარცვა და სავსებით განადგურდა. კოლმეურნეობები იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობდა, ვერ იარსებებდა, მაგრამ საბჭოთა მეურნეობების არსებობა შრომის სწორი ორგანიზაციისა და ეფექტური მართვის პირობებში სავსებით შესაძლებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, მათი ქონებისა და მიწების შენარჩუნება აუცილებელი იყო, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. რადგან ქვეყანაში ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკები არ მუშაობდა, მოსახლეობამ ჩაის პლანტაციები თანდათან გაჩეხა და სიმინდის მოყვანას ან თხილის გაშენებას მიჰყო ხელი.

სოფლებში განადგურდა კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები; გაუქმდა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სასადილოები, კავშირგაბმულობის განყოფილებები, საავადმყოფოები და ამბულატორიები.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ მოსახლეობის რაოდენობის შემცირება გამოიწვია. სოფლის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, ახალგაზრდა და საშუალო ასაკის ქალებმა და მამაკაცებმა სეზონური ან მუდმივი სამუშაოს ძიებაში დატოვეს თემები და თბილისსა და სხვა ქალაქებში გადავიდნენ, გაიზარდა შრომითი მიგრაცია მეზობელ (რუსეთი, თურქეთი) თუ სხვა ქვეყნებში; განვითარდა შიდამიგრაციული პროცესებიც. საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, კოლმეურნეობების ლიკვიდაციამ და მასობრივმა უმუშევრობამ კეთილარის თემში ჩასახლებული აჭარელი ეკომიგრანტები აიძულა მშობლიურ კუთხეში დაბრუნებულიყვნენ. კეთილარის თემში აჭარელ ეკომიგრანტთა სულ რამდენიმე ოჯახი დარჩა.[1] სოფელ ლესიჭინეში ჩასახლებული აჭარელი ეკომიგრანტების ნაწილიც აჭარაში დაბრუნდა; სოფელი დატოვეს აგრეთვე აქ ჩასახლებულმა ე. წ. თურქმა მესხებმა; აჭარელი ეკომიგრანტების ერთი ნაწილი დარჩა ასევე თორსა-დღვაბაში. 1992-1993 წწ. ომის დროს აფხაზეთიდან ათასობით დევნილმა სამეგრელოს შეაფარა თავი.

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსეთის ჯარის ნაწილებმა სენაკი და ფოთი დაბომბეს. 12-18 აგვისტოს ოკუპანტები შევიდნენ ქ. ფოთში, ზუგდიდის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებში. ამ მუნიციპალიტეტებში, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრიდან 40 კმ-იან ზოლში, „უსაფრთხოების ბუფერული ზონები“, „უსაფრთხოების დერეფნები“ შეიქმნა. ამ ზოლში შემავალ სოფლებში, მათ შორის განმუხურში, ხურჩაში, ფახულანში, მუჟავაში, კანთში, ურთაში, ქვედა ჩხოროწყუში შეიქმნა ბლოკ-საგუშაგოები ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის დისლოკაციით, სანგრებითა და სხვა სამხედრო-საინჟინრო ზღუდეებით. მხოლოდ სექტემბრის შუა რიცხვებსა და ოქტომბრის დასაწყისში საოკუპაციო ჯარის ნაწილებმა განახორციელეს ბლოკ-საგუშაგოებისა და სამხედრო-საინჟინრო ზღუდეების დემონტაჟი და ოკუპირებული ტერიტორია დატოვეს.[2]

საბჭოთა იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საბაზრო ურთიერთობათა თანდათანობით ჩამოყალიბებისა და კერძო საკუთრების განვითარების

---

[1] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 114.

[2] **დ. ჯოჯუა**, რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები, თბ., 2010, გვ. 226-244, 253-266.

პირობებში, დღევანდელი ქართული სოფლის ახალ სახეს ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს. თუ ადრე სოფლად მეურნე კაცი გლეხად მოიხსენიებოდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შინაარსობრივი ინტერპრეტაციით იგი ფერმერად, მესაკუთრედ იწოდება. გლეხი თუ ისტორიულად სოციალურ კატეგორიას წარმოადგენდა, ფერმერი მისგან განსხვავებით, ეკონომიკურ კატეგორიას წარმოადგენს. ფერმერი ახლებური ტიპის სამეწარმეო მოტივაციებზე მორგებული სოფლის მეურნეა, რომლის საქმიანობაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეფუძნება. რაც შეეხება სოფლის მცხოვრებთა სამოსახლოსთან მდებარე პატარა ნაკვეთებზე გაშლილ მეურნეობას, იგი იწოდება საკარმიდამო მეურნეობად, რომლის პროდუქციასაც ძირითადად ოჯახში მოიხმარს და რეალიზაციის პროცესს ნაკლებად ექვემდებარება.[1]

საქართველოში ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის რეფორმის განხორციელებას, რომელიც 1995 წელს დაიწყო. რეფორმის შედეგად საქართველოს მოქალაქეებს მიწა კერძო საკუთრებაში გადაეცა. მიჩნეულ იქნა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მიწაზე კერძო საკუთრების გარეშე შეუძლებელია. ამ ვითარების შეცვლაზე ზრუნვა 1992 წლიდან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმით დაიწყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიწა მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში შეიძლებოდა ყოფილიყო. კანონმა მიწის ნაკვეთები, რომლებზეც მოქალაქეების ე. წ. „კერძო სახლები“ იყო განთავსებული, მათ საკუთრებად გამოაცხადა. 1997 წლის ივლისში მიღებულ იქნა კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“; 1998 წელს მიღებულ იქნა კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“, რომელმაც მოქალაქეების მართლზომიერ სარგებლობაში არსებული მიწები მათ საკუთრებად გამოაცხადა. 1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მიწის რეგისტრაციის შესახებ“, რომელმაც მიწის რეგისტრაციის პროცედურები და საფასური განსაზღვრა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შექმნასა და ინსტიტუციურ რეფორმასთან ერთად რეგისტრაციის პროცედურის მომწესრიგებელი, უნიფიცირებული საკანონმდებლო აქტი — „უძრავი ნივთების უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი იქნა მიღებული, რომელმაც მოაწესრიგა სარეგისტრაციო პროცედურები და გაამარტივა ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოქალაქეებს შორის არსებული ურთიერთობები.[2] 2016 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა კანონი, რომელმაც მიწის რეგისტრაცია გაამარტივა და მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადა. საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი იყო იმ სირთულეების აღმოფხვრა, რომელთაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებოდნენ. კანონის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა; მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა. ახალი კანონი უძრავი ქონების რეგისტრაციის გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზე იყო ორიენტირებული.[3]

უკანასკნელ ხანს საქართველოში მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით.

საბჭოთა ბაზარზე ჩაისა და ციტრუსების მონოპოლიური მიმწოდებელი საქართველო იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს ბაზარი დაიკარგა, რამაც საქართველოს სოფლის მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.[4] ჩაის პლანტაციების ერთი ნაწილი გაველურდა, ნაწილი გაიჩეხა და მათ ადგილზე სიმინდის ან თხილის მოყვანას მიჰყვეს ხელი. ნედლეულის უქონლობის გამო გაჩერდა ჩაის ფაბრიკები. ამჟამად ჩაის მზა პროდუქცია საქართველოში ძირითადად უცხოეთიდან შემოდის. უკანასკნელ ხანს სამეგრელოში სულ რამდენიმე ჩაის ფაბრიკა ფუნქცი-

---

[1] **ა. ბენდიანიშვილი, დ. გოგოლაძე, ო. ქეშელაშვილი**, გლეხობა, *ენციკლოპედია „საქართველო“*, ტ. 2, თბ., 2012, გვ. 44.

[2] https://napr.gov.ge/p/273

[3] https://napr.gov.ge/p/1465

[4] საქართველოს ისტორია, ტ. IV, გვ. 343.

ონირებს — რუხში, წალენჯიხასა და მარტვილში. საქართველოს თავად შეუძლია აწარმოოს ჩაის პროდუქცია, საკუთარი მოთხოვნილებაც დაიკმაყოფილოს და საერთაშორისო ბაზარზეც გავიდეს. ბოლო წლებში სამეგრელოში ჩაის წარმოების მაჩვენებლები ასეთია: 1.2 ათასი ტონა (2014), 0.8 ათასი ტონა (2015), 1.1 ათასი ტონა (2016, 2017).[1]

2016 წელს საქართველოში დაიწყო ქართული ჩაის რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება. დღეს მსოფლიო ბაზარზე ხარისხოვანი ჩაის ფასი საკმაოდ მაღალია. ქართულმა ჩაიმ შეიძლება დაიკავოს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის ნიშა, რომელზეც განვითარებულ ბაზრებზე დიდი მოთხოვნაა. ამასთანავე, თვით ადგილობრივი ბაზარია ასათვისებელი. საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ჩაის მწარმოებელი ქვეყანა მსოფლიოში. გრილი კლიმატი ღამით და ზამთრის თვეებში, დაავადებებისაგან იცავს ჩაის, რაც პესტიციდების გამოყენების აუცილებლობას ამცირებს. დღესდღეობით ქართული ჩაი არის ეკოლოგიურად სუფთა, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველი ფერმერები იშვიათად იყენებენ მათთვის ძვირ და ძნელად ხელმისაწვდომ ჰერბიციდებს. ამასთანავე, გრილი კლიმატი და მჟავე ნიადაგი უზრუნველყოფს ქართული ჩაის უნიკალურ ქიმიურ შემადგენლობას. ამ პირობების გამო, ჩაის ფოთოლი შედარებით ნელა იზრდება, რის გამოც ჩაი მწარე გემოს კარგავს. ბუნებრივ-კლიმატური პირობები განსაკუთრებით კარგია მწვანე ჩაისთვის. საქართველო აწარმოებს მაღალი ხარისხის ჩაის, რომელიც ექსპორტზე გადის გერმანიაში, მაგრამ წარმოების ამჟამინდელი მოცულობა ექსპორტის გაზრდისთვის საკმარისი არ არის. მეჩაიეობის აღორძინებით სავსებით შესაძლებელია არა მარტო საქართველოს მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება, არამედ წარმოებული პროდუქციის ევროკავშირის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის, შუა აზიის, აფრიკის ქვეყნების ბაზარზე გატანა. ნიშანდობლივია, რომ სამეგრელოში არსებობს საკმარისი რესურსი ჩაის წარმოების გადიდებისათვის, როგორც ინტელექტუალური და შრომითი, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სახით, თუმცა, რა თქმა უნდა, საჭირო იქნება ამ უკანასკნელის თანდათან განახლება.

ჩაის პლანტაციების გაჩეხვისა და ამ ფართობებზე სიმინდის მოყვანის ან თხილის გაშენებასთან ერთად, მოსახლეობა ტრადიციულ კულტურებსაც მიუბრუნდა. ხუნწში, გაბეშიების ოჯახში დაფიქსირდა ისეთი ტრადიციული კულტურის მოყვანის ფაქტი, როგორიცაა ღომი. სხვა სოფლებშიც არის ტრადიციული კულტურებისადმი ინტერესი, თუმცა ეს მაინც ერთეული შემთხვევებია. მოსახლეობა მიუბრუნდა ისეთი პარკოსანი კულტურების მოყვანას, როგორიცაა ბარდა და ცერცვი; კვლავინდებურად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლობიოსა და სოიას მოყვანას. სენაკში, ადგილობრივი ენთუზიასტის მიხეილ (კახა) კვირკველიას ინიციატივით, საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობა“ (ხელმძღვანელები *ლევან ფრუიძე, ვაჟა ნადირაშვილი*) მხარდაჭერით, დაიწყო მივიწყებული ქართული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა. ამ მიზნით, 2020 წელს დაითესა ცერცვი და ბარდა, ქართული ხორბალი დიკა. ამ კულტურების მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. დიკას მარცვლის ნაწილი დაიფქვა და გამოცხვა პური, რომელიც ადგილობრივ ეკლესიებში დარიგდა; 2021 წლის გაზაფხულზე დაირგო კოლხური ვაზის ჯიშები — კოლოში და კოლხური საფერავი; უფრო დიდ ფართობზე დაითესა დიკა, ცერცვი და ბარდა.

მევენახეობის განვითარებისათვის შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია სოფლებში — ახუთში, ბანძაში, თამაკონში, თარგამეულში, კორცხელში, მუხურში, სალხინოში, ფოცხოში, უშაფათში, ჭკადუაშში, ჯიხასკარში და სხვ. შესაძლებელია ვაზის ტრადიციული ჯიშების ჭვიტილური, კოლოში, ჩეჭიფეში, ტოროკუჩხი, ჩეში, ჩერგვალი და სხვათა აღორძინება და ოჯალეშთან ერთად, თუნდაც მცირე მოცულობით, ღვინის ჩამოსხმა და ექსპორტზე გატანა.

სამეგრელოში ძირითად მარცვლეულ კულტურად მაინც სიმინდი რჩება. თუმცა, ბოლო წლებში, სიმინდის წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა. მესიმინდეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ამერიკულმა პეპელამ და აზიურმა ხოჭომ, ფაროსანამ. სამარცვლე სიმინდის მოსავ-

[1] საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2018, გვ. 66.

ლი სამეგრელოში წლების მიხედვით ასეთია: 88.2 ათასი ტონა (2014), 54.2 ათასი ტონა (2015), 52.1 ათასი ტონა (2016), 25.5 ათასი ტონა (2017).[1] მესიმინდეობის განვითარებასთან ერთად, სასურველია, თუნდაც მცირე რაოდენობით, ტრადიციული ერთწლიანი მარცვლეული კულტურების — ღომის, ფეტვის, ხორბლის (დიკა), ქერის, შვრიის, ჭვავის მოყვანის აღორძინება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერა და ფერმერების დაკრედიტება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის მიზნით.

სამეგრელოში კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია სუბტროპიკული მეხილეობის განვითარებისათვის: ციტრუსოვნების — მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიფრუტი, აგრეთვე ხურმის, ზღმარტლის, კივის, ფეიჰოას, პეკანის, თხილის მოყვანისათვის.

90-იანი წლებიდან სამეგრელოს სოფლებში განსაკუთრებით განვითარდა თხილის წარმოება, რამაც მოსახლეობას მნიშვნელოვანი შემოსავალი მისცა. ქართული თხილი გავიდა ევროპის ბაზარზეც, სადაც მასზე დიდი მოთხოვნილებაა. 2013 წლისთვის თხილის უმსხვილეს მწარმოებელ ქვეყნებს შორის საქართველომ მეოთხე ადგილი დაიკავა თურქეთის, იტალიისა და აშშ შემდეგ. საქართველო დაწინაურდა ასევე მსოფლიო ბაზარზე თხილის ექსპორტის კუთხით. თხილის მოსავალი სამეგრელოში წლების მიხედვით ასეთი იყო: 13.5 ათასი ტონა (2006), 12 ათასი ტონა (2007), 15.2 ათასი ტონა (2008), 15.8 ათასი ტონა (2009), 15.2 ათასი ტონა (2010), 18.6 ათასი ტონა (2011), 17.2 ათასი ტონა (2012), 21.2 ათასი ტონა (2013), 20.7 ათასი ტონა (2014), 18.8 ათასი ტონა (2015), 15.3 ათასი ტონა (2016), 7.3 ათასი ტონა (2017).[2]

თხილის მოყვანას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა 2000-იანი წლების დასაწყისში ამერიკულმა პეპელამ, ხოლო 2016 წლიდან აზიურმა ხოჭომ, ფაროსანამ. აზიური ხოჭოს მიერ მიყენებული ზარალის გამო სოფელ კოკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დაბალი ზონის სხვა სოფლების მოსახლეობამ 2017 წლის ზაფხულში აქცია გამართა. მოსახლეობა აცხადებდა, რომ ხელისუფლებამ დაგვიანებით ჩაატარა შეწამვლითი სამუშაოები, ამიტომ არაეფექტური აღმოჩნდა და აზიურმა ხოჭომ თხილის მოსავალი სრულად გაანადგურა.[3] მოსახლეობა ხელისუფლების მხრიდან დახმარებას ითხოვდა. 2017-2019 წწ. ხელისუფლებამ სამეგრელოს რეგიონში საგანგებო ზომები მიიღო აზიური ხოჭოს წინააღმდეგ, რამდენჯერმე განხორციელდა თხილისა და სხვა ნარგავების ფართობების შეწამვლა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა ფაროსანას გავრცელება. 2019 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელშეწყობით ოკუპირებული ტერიტორიის გამყოფი ადმინისტრაციული ხაზის სიახლოვეს, სოფელ კოკში, თხილის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა. საწარმო დაახლოებით 300 ადგილობრივ ფერმერს მოემსახურება. პროექტი განხორციელდა USAID/Georgia, AgriGeorgia/Ferrero-სა და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ.[4]

ბოლო წლებში დიდი ფართობი დაიკავა თხილის პლანტაციებმა, თუმცა ავადმყოფობებმა და სხვა ფაქტორებმა (ამერიკული პეპელა, აზიური ხოჭო) მისი მოსავლიანობა ძალიან შეამცირა. თხილის მოყვანა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, მითუმეტეს, სამეგრელოში კარგი ნიადაგ-კლიმატური პირობებია ამ კულტურის განვითარებისათვის, თუმცა, მეურნეობა არ უნდა იყოს მონოკულტურული. თხილის წარმოებასთან ერთად უნდა განვითარდეს სხვა კულტურების წარმოებაც.

სამეგრელოში ძალიან შემცირდა ციტრუსოვანი კულტურების წარმოება. ბოლო წლებში ციტრუსოვნების (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი) წარმოების მაჩვენებლები ასეთია: 3.6 ათასი ტონა (2014), 3.5 ათასი ტონა (2015), 3.1 ათასი ტონა (2016), 1.0 ათასი ტონა (2017).[5] უკანას-

---

[1] საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017. სტატისტიკური პუბლიკაცია, გვ. 41.

[2] **ნ. მიროტაძე**, **მ. მიროტაძე**, **ნ. ხარხელაური**, **ნ. მიქაძე**, **შ. კვეზერელი**, **შ. გონგლაძე**, თხილი, თბ., 2016; საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017. სტატისტიკური პუბლიკაცია, გვ. 66.

[3] http://newsportal.ge/dazaralebuli-mosaxleoba-kompensaciebs-archevnebamde-tu-ar-mogvcemen-yvela-saarchevno-ubnis-kars-avchedavt/

[4] https://netgazeti.ge/news/393721/

[5] საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017. სტატისტიკური პუბლიკაცია, გვ. 68.

კნელ ხანს საკარმიდამო ნაკვეთებზე გავრცელდა ჩინური წარმომავლობის ციტრუსი კუმკვატი (კინკანი), რომელსაც მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის შერეული გემო აქვს. მისი ფასი ადგილობრივ ბაზარზე საკმაოდ დიდია და მასზე მოთხოვნილება ნელ-ნელა იზრდება.

უკანასკნელმა წლებმა აჩვენა, რომ სამეგრელოში დიდი პერსპექტივა აქვს კენკროვანი კულტურის ლურჯი მოცვის მოყვანას. მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა სახით — ნედლი, გაყინული ან ჩირის სახით. იგი გამოიყენება სამკურნალოდ, მისი გადამუშავებით ამზადებენ მურაბას, ჯემს, კომპოტს, სასმელებს, მარმელადსა და სხვ. ამ კენკროვანი კულტურის გაშენებისათვის სამეგრელოში შესანიშნავი პირობებია. ლურჯი მოცვი საქართველოშიც საკმაოდ მოთხოვნადი პროდუქტია, მაგრამ მისი უნიკალური თვისებების გამო ის ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს. „დანერგე მომავლის“ პროგრამის ფარგლებში სამეგრელოში 250-მა ფერმერმა 470 ჰექტარზე ლურჯი მოცვი გააშენა. როგორც ნერგები, ასევე სარწყავი სისტემა, ფერმერებმა უსასყიდლოდ მიიღეს. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ ნახევარ ჰექტარამდე ბაღების გაშენებისათვის საჭირო ნერგები და წვეთოვანი სარწყავი სისტემა 100%-ით დააფინანსა.[1] 2018 წლის ოქტომბრისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოცვის პლანტაცია გაშენებული იყო 43,7 ჰა-ზე. მისი მოყვანა იგეგმება 48 ჰა-ზე, რისთვისაც მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. სოფელ ნაწულუკუში შემოსავლიანი პლანტაცია 5,7 ჰა-ზეა გაშენებული; ნარაზენში — 18 ჰა-ზე, ყულისკარში — 5 ჰა-ზე, რიყეში — 5 ჰა-ზე, ინგირში — 10 ჰა-ზე, ოირემეში — 3 ჰა-ზე.[2] 2020 წელს ფერმერმა აბესალომ გარმელიამ სოფელ ნარაზენში 3 ჰექტარზე ლურჯი მოცვის პლანტაცია გააშენა. მასვე გაშენებული აქვს მოცვის სხვადასხვა ჯიშის პლანტაცია 9 ჰექტარზე. ფერმერი 10 ტონა ლურჯი მოცვის მოსავალს ელოდება. სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს გათვლებით სამეგრელოში 2021 წლისთვის ლურჯი მოცვის პლანტაციის ფართობი 1000 ჰექტარს მიაღწევს.[3]

მარტვილისა და აბაშის მუნიციპალიტეტების სოფლებში მნიშვნელოვანი დატვირთვა მიიღო მეხილეობამ, განსაკუთრებით ხურმის მოყვანამ, ხურმის ჩირის დამზადებამ და ბაზარზე გატანამ. 90-იანი წლების მეორე ნახევარსა და 2000-იანი წლების დასაწყისში სამეგრელოდან ხურმის ჩირი რუსეთისა და უკრაინის ბაზარზე ინტენსიურად გაჰქონდათ. სასურველია, არამარტო ხურმის, არამედ სხვა სუბტროპიკული ხილისაგან ჩირის წარმოება მისი ექსპორტის მიზნით. თორსა-დღვაბას თემში, რომელსაც გარს აკრავს კოლხური ტყეები, მოსახლეობა ტრადიციულად მისდევს მესაქონლეობას, მესიმინდეობას. აქაურ მიწებზე კარგად ხარობს სუბტროპიკული კულტურები: ჩაი, დაფნა, კივი, თხილი, ფეიჰოა.

80-90-იანი წლების მიჯნაზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მათ შორის სპეციალიზებული მეცხოველეობის მეურნეობების დაშლამ, მძიმე დღეში ჩააგდო მეცხოველეობა. 90-იან წლებში ნაკიანის მეთხეობის საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე მეგრული თხის ჯიშსაშენი შეიქმნა.[4] ფერმერული მეურნეობები შეიქმნა სხვა სოფლებშიც, სადაც სულ უფრო იზრდება პირუტყვის სულადობა. მაშინ, როდესაც მხოლოდ კეთილარის მეცხოველეობის კომპლექსი წლიურად აწარმოებდა 12 ათას ტონა ხორცსა და 3 ათას ტონა რძეს, 2017 წელს საქართველოში ხორცის წარმოებამ 66.2 ათასი ტონა შეადგინა.[5] ადგილობრივი ბაზრისთვის ფერმერები მცირე რაოდენობით რძესა და რძის ნაწარმსაც აწარმოებენ, თუმცა საქართველოში წარმოებული რძე ადგილობრივ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ბაზარზე ნედლი რძის დეფიციტია, რაც მის სიძვი-

---

[1] **თ. გელანტია**, სამეგრელოში 250-მა ფერმერმა 470 ჰექტარზე ლურჯი მოცვი გააშენა. https://bm.ge/ka/article/samegreloshi-250-ma-fermerma-470-heqtarze-lurji-mocvi-gaashena/56576

[2] ლურჯი მოცვის წარმოების პერსპექტივა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. https://www.radioatinati.ge/arqivi/article/28/65766-lurjimocvistsarmoebisperspeqtivazugdidismunicipalitetshi.htm

[3] **თ. გელანტია**, სამეგრელოში 250-მა ფერმერმა 470 ჰექტარზე ლურჯი მოცვი გააშენა. https://bm.ge/ka/article/samegreloshi-250-ma-fermerma-470-heqtarze-lurji-mocvi-gaashena/56576

[4] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 211.

[5] საქართველოს სოფლის მეურნეობა 2017. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2018, გვ. 79.

რეს იწვევს. რძის წარმოების სექტორში ძირითადად მცირე მეწარმეები ოპერირებენ, რომელთაც საწარმოებში დაბალპროდუქტიული საქონელი ჰყავთ და მოძველებული დანადგარები და ჰიგიენის დაბალი სტანდარტები აქვთ.

1989 წლიდან სამეგრელოში დაიწყო აბრეშუმის პარკის წარმოების შემცირება, რომელიც შემდეგ საერთოდ შეწყდა. 2000-იანი წლებიდან გარკვეული ზომები გატარდა მეაბრეშუმეობის დარგის აღორძინებისათვის.[1] დიდი პერსპექტივა აქვს აბრეშუმის წარმოების აღორძინებას, რისთვისაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ადამიანური რესურსებისა და აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის მეტნაკლებად შენარჩუნება. ასევე, შეიძლება აღდგეს ტუნგის კულტურის სამრეწველო გამოყენება, მითუმეტეს, მისი ნარგავები ჯერ კიდევ არის შემორჩენილი.

მეფუტკრეობის აღორძინების მიზნით, 2017 წლის ოქტომბერში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურში „სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეფუტკრეობის ექსპერიმენტული ბაზა“ გაიხსნა, რაც დარგის განვითარების ხელშეწყობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მხარეში უძველესი დროიდან მისდევდნენ მეფუტკრეობას. ხობისწყლის ზემო წელი — მუხური, ლუგელა, ძალზე ხელსაყრელია ქართული რუხი ფუტკრის მოშენებისათვის. ამ ფუტკრის სამშობლოდ სწორედ ეს მხარე ითვლება. მუხურის მეფუტკრეობის ექსპერიმენტული ბაზა ორი ლაბორატორიის, საოფისე და დამხმარე შენობა-ნაგებობებისაგან შედგება. ბაზაზე განთავსებულია სასელექციო და სანაშენე მეურნეობა, სადაც მოხდება ქართული ფუტკრის მოშენება. ეს უნიკალური გენოფონდი დაკარგვის პირას იყო, გატარებული ღონისძიება კი ხელს შეუწყობს მის გადარჩენასა და გამრავლებას. მუხურის მეფუტკრეობის სახელმწიფო სანაშენე მეურნეობის აღდგენა დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუხურის ბაზაზე სწავლებას გაივლიან როგორც ფერმერები, ასევე მეფუტკრეობით დაინტერესებული პირები ფუტკრის ოჯახების მოვლა-მოშენებისა და დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარების თაობაზე, გაეცნობიან თანამედროვე ტექნოლოგიებს ჯანსაღი პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით.[2]

სამეგრელოში თაფლის წარმოების განვითარებისათვის კარგი პირობებია. თაფლი ერთ-ერთი სტრატეგიული პროდუქტია, რომელსაც თხილისა და ღვინის კვალდაკვალ ევროკავშირის ბაზარზე შესვლის რეალური პერსპექტივა აქვს.

2000-იან წლებში სამეგრელოს სოფლებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. 2004-2006 წლებში შეკეთდა აბაშა-მარტვილი-სენაკი-ჩხოროწყუ-წალენჯიხა-ზუგდიდი-ხობის დამაკავშირებელი გზები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასოფლო გზების ცალკეულ მონაკვეთებსაც. 2017-2019 წწ. განხორციელდა ზუგდიდი-ხიბულა-ლესიჭინის, ხობი-ხიბულა-ლესიჭინის, ზუგდიდი-ჯიხასკარი-კირცხი-ლესიჭინის, ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. ამ პროექტის ფარგლებში კაპიტალური ხიდები აიგო მდინარეებზე — ოჩხომური, ხობისწყალი, ჭანისწყალი. სოფლების დიდი ნაწილი მუნიციპალიტეტების ცენტრებთან დაკავშირებულია ასფალტის საფარიანი გზებით.

აფხაზეთის 1992-1993 წლების ომის დროს *კოკის თემი* საომარი მოქმედებების უშუალო სიახლოვეს აღმოჩნდა, ხოლო თემში შემავალი სოფელი ხურჩა საომარი მოქმედებების ასპარეზად იქცა. ხურჩას და კოკს მრავალმა დევნილმა შეაფარა თავი. ამ დროს მდ. ენგურზე კოკი-ხურჩას დამაკავშირებელი საცალფეხო ხიდი გაიდო, რომელმაც დასაბამი მისცა მდ. ენგურზე რკინის 150 მეტრიანი ხიდის დამონტაჟებას. 2000-იანი წლების დასაწყისში რეაბილიტაცია ჩაუტარდა კოკი-ორსანტიის საავტომობილო გზას, კაპიტალურად შეკეთდა კოკის საჯარო სკოლა, აშენდა თანამედროვე სტილის საბავშვო ბაღი, სპორტული მინი მოედანი სოფლის ცენტრში, ხურჩაში — მინი სპორტული მოედანი, შეკეთდა ამბულატორია და ბიბლიოთეკა, სოფელში გაიხსნა ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმო. სოფელ კოკის ცენტრში, დღევანდელი საჯარო

---

[1] **ვ. ახალაია**, ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 64.

[2] http://newsportal.ge/chxorowyushi-muxuris-mefutkreobis-samecniero-kvleviti-baza-gaixsna/

სკოლის ეზოში, დღესაც დგას ორასწლოვანი თუთის ხეები, სადაც ძველად თემის წარმომადგენლები იკრიბებოდნენ და საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ.

აფხაზეთის ომის დასრულებიდან დიდი ხნის შემდეგაც სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან სიმშვიდე მაინც არ არის. 2016 წლის 19 მაისს სოფელ ხურჩაში, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, აფხაზმა მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორია მოკლეს. ორი აფხაზი სამხედრო მოსამსახურე მას ჯერ ფიზიკურად გაუსწორდა, ხოლო შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. აფხაზეთიდან დევნილ 31 წლის გიგა ოთხოზორიას მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.[1]

სამეგრელოს სოფლებში სრულად განხორციელდა ენერგოგადამცემი ხაზების განახლება, მოსახლეობის ხელახალი გამრიცხველიანება. მუნიციპალიტეტებისა და ზოგიერთი სასოფლო თემის ცენტრში მოეწყო გარე განათება. 2020 წელს სოფლებში გაიყვანეს ინტერნეტის ოპტიკურბოჭკოვანი სადენი, რითაც ინტერნეტზე წვდომა გაუმჯობესდა. მუნიციპალიტეტების ტერიტორიების დასუფთავება და ნაგვის გატანა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ხორციელდება.

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს გაზიფიცირების პროგრამა. 2018-2020 წლებში განხორციელდა ზუგდიდი-ჩხოროწყუს მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა, ამ მაგისტრალის გასწვრივ მდებარე სოფლების დაქსელვა. ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების გაზიფიცირების სახელმწიფო პროექტის ფარგლებში 2014 წელს დაიწყო და 2015 წელს დასრულდა კოკისა და ორსანტიის თემების გაზიფიცირება; მოხდა სოფლების დაქსელვა, თითოეულ ოჯახში დამონტაჟდა ბუნებრივი აირის აღრიცხვის კვანძი, რის შედეგადაც ამ თემების 1143 ოჯახს ბუნებრივი აირი მიეწოდება. გაზიფიცირების სამუშაოები „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ შეასრულა. პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისათვის სახლში გაზის შეყვანა და ერთი წერტილის მიერთება უფასოდ განხორციელდა.[2]

ზოგიერთ სოფლში განხორციელდა წყალსადენის მშენებლობა. 2010-2015 წწ. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ან ახლად მოეწყო ცენტრალური მაგისტრალი და შიდა ქსელი. სოფელ მუხურში განხორციელდა წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, რომელიც 1000-მდე ოჯახს ემსახურება. 2006-2020 წლებში სოფლებში განხორციელდა სკოლებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით 2020 წლის ოქტომბერში ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ხიბულაში აიგო ახალი საბავშვო ბაღის შენობა, რომელიც 300 ბავშვზეა გათვალისწინებული და თანამედროვე მოთხოვნებს სრულად შეესაბამება; *ჯგალის თემის სოფელ კანთში* აიგო ახალი სკოლა, რომელიც თანამედროვე ტექნიკით სრულად აღიჭურვა და სხვ.

2012 წლის ივნისში საქართველოში კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაიწყო პროექტი, რომელიც სოფლებში ცოდნის ცენტრების გახსნას ითვალისწინებდა. პროექტის მიზანი იყო კომპიუტერული ცოდნის გავრცელება და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, შესაბამისად, საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.[3] 2012-2015 წწ. ცოდნის ცენტრები გაიხსნა სამეგრელოს ყველა მუნიციპალიტეტის თითო თემში, მათ შორის ჯგალში და თორსადღვაბაში.[4] ჯგალის ცოდნის ცენტრის მენეჯერი თამუნა მორგოშია ორი წლის განმავლობაში კონსულტაციას უწევდა საბერძნეთში და თურქეთში წამსვლელებს, აცნობდა ამ ქვეყნებში არსებულ ვაკანსიებს და მიმართულებას აძლევდა რა გზით წასულიყვნენ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლნი არ გამხდარიყვნენ. პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო მიგრანტების სტაჟირება,

---

[1]https://jam-news.net/ge/%E1%83%92%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91/

[2] https://ipress.ge/new/orsantias-da-kokis-mosakh/

[3] სამი წლის მიღწევები და ახალი შესაძლებლობები. 2012-2015. *მთავარი რედაქტორი ნათია გაბრიჩიძე*, თბ., 2015, გვ. 17.

[4] სამი წლის მიღწევები და ახალი შესაძლებლობები. 2012-2015, გვ. 25-26.

რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა სამკერვალო სალონი (მკერავი *ნონა კვარაცხელია*), სადაც 7 ახალგაზრდა ქრა-კერვას სრულიად უფასოდ დაეუფლა.[1]

90-იანი წლებიდან სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, დაიწყო ეკლესიების აღდგენა-რესტავრაცია, ახალი ეკლესიების მშენებლობა, რაც მოსახლეობაში ქრისტიანული რწმენის განმტკიცების გამოვლინებაა. სამშენებლო კომპანია „ივერმშენმა" (ხელმძღვანელი *ედიშერ ჯანჯულია*), აღადგინა სქურის ფერისცვალების, ჭოღის მთავარანგელოზთა, ოცინდალეს წმ. გიორგის, კვაუთის მთავარანგელოზის ეკლესიები. იმავდროულად, ადგილობრივ მკვიდრთა ძალისხმევით აღდგენილ იქნა კოკის წმ. გიორგის, ეკის იოანე ნათლისმცემლის, ოჩხომურის წმ. ბარბარეს, ძველი სენაკის მაცხოვრის შობის ეკლესიები; ძველ ნაეკლესიარებზე აიგო დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის, ქვედაჩხოროწყუს წმ. გიორგის, ზანის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები და სხვ.[2]

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერა 1989 წელს ჩატარდა. აღწერის თანახმად, საქართველოს მოსახლეობა 5,4 მილიონი იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პრივატიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებით, 1996 წელს შედგა მოსახლეობის სიები. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა ქვეყანაში 2002 წელს ჩატარდა. აღწერა არ ჩატარებულა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა (გარდა კოდორის ხეობის ზემო წელისა) და ცხინვალის რეგიონში (გარდა ახალგორის რაიონისა). შესაბამისად, 2002 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობამ 4 355 673 ათასი შეადგინა, სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა 463 198 იყო.[3]

მოსახლეობის მორიგი საყოველთაო აღწერა საქართველოში 2014 წელს ჩატარდა. აღწერამ ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 87% მოიცვა. მასში არ შევიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის მონაცემები. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, საქართველოში 3 713 804 ადამიანი ცხოვრობს. ამდენად, 1989 წლიდან 2014 წლამდე საქართველოს მოსახლეობა 1 687 037 კაცით შემცირდა.[4] ამ წლების განმავლობაში სამეგრელოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა.

2002 წლისა და 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, თორსა-დღვაბას, კეთილარის, კოკის, ჭოღის, ხორშის, ხუნწის, ჯგალის თემების მოსახლეობა ასეთი იყო:[5]

თემები	2002 წ.	2014 წ.
თორსა-დღვაბას თემი	1367	958
კეთილარის თემი	1203	957
კოკის თემი	2926	1422
ჭოღის თემი	1886	1461
ხორშის თემი	1553	1097
ხუნწის თემი	1695	1256
ჯგალის თემი	2673	2039

ამდენად, 12 წლის განმავლობაში *თორსა-დღვაბას თემის* მოსახლეობა — 409 კაცით შემ-

[1] სამი წლის მიღწევები და ახალი შესაძლებლობები. 2012-2015, გვ. 43.

[2] **დ. ჭითანავა**, ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 159-160, 428-429, 467, 470; **ა. სიჭინავა**, ეკის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, გვ. 44-45; **ა. სიჭინავა**, დოშაყეს იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, გვ. 67-72; **ნ. კორსანტია**, აწყურის ტაძარი ძველ დიდებულებას იბრუნებს, გაზ. ,,ჩემი აფხაზეთი", №50, 2020 წ. აგვისტო.

[3] გვარსახელები საქართველოში, თბ., 2018, გვ. 4.

[4] გვარსახელები საქართველოში, გვ. 4.

[5] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003, გვ. 154, 157-158, 163, 171, 173, 175, 177; საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, თბ., 2018, გვ. 241, 246, 253, 265, 269, 278.

ცირდა; *კეთილარის თემის* მოსახლეობა — 246 კაცით; *კოკის თემის* მოსახლეობა — ნახევარზე მეტით, 1504 კაცით; *ჭოღის თემის* მოსახლეობა — 425 კაცით; *ხორშის თემის* მოსახლეობა — 456 კაცით; *ხუნწის თემის* მოსახლეობა — 439 კაცით; *ჯგალის თემის* მოსახლეობა — 634 კაცით. სამეგრელოს შვიდი სასოფლო თემის მოსახლეობა 2002 წელს 13 303, ხოლო 2014 წელს 9 190 იყო, ანუ 4 113 კაცით ნაკლები. სენაკის მუნიციპალიტეტში 2016 წელს 563 ბავშვი დაიბადა, გარდაიცვალა 663 ადამიანი; წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 354 ბავშვი დაიბადა, გარდაიცვალა — 462 ადამიანი. ასეთივე ვითარება გვაქვს მთელ სამეგრელოში. მოსახლეობის რაოდენობა ამ მხარეში 2002 წელს 466 ათასი, ხოლო 2017 წელს 328 ათასი იყო.

* * *

ჩვენ მიერ შესწავლილი თორსადღვაბას, კეთილარის, კოკის, ჭოღის, ხორშის, ხუნწის, ჯგალის თემებში მრავალი გამოჩენილი მოღვაწე აღიზარდა. მათ შორის არიან საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერები, განათლების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის სფეროს წარმომადგენლები.

ჭოღის თემის მკვიდრნი იყვნენ: ეროვნული მოღვაწე, ქველმოქმედი სოფრომ შენგელია, პოეტები ალეკო შენგელია და ილია შენგელია; ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ შენგელია; პოეტი ღუღუნი წახნაგია; პროფესორები: პარმენ ცქვიტარია, კარლო ფაცაცია, ვაჟა შენგელია; ლიტერატურათმცოდნე და პედაგოგი გრიგოლ შენგელია; ჟურნალისტი მოსე ქარჩავა და მრავალი სხვა.

სოფრომ შენგელია (1874-1937), ეროვნული მოღვაწე, ქველმოქმედი. იმ დროისათვის კარგი განათლება მიიღო და ვაჭრობას მიჰყო ხელი. აგებდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, 1918-1921 წწ. ზუგდიდის ერობის წევრი იყო. მისი მეუღლე იყო სალხინოელი აზნაურის ასული დომნიკა გეგელია. ჰყავდა ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. მისი შვილები იყვნენ პოეტები ალეკო და ილია შენგელიები, პროფესორი მიხეილ შენგელია. საბჭოთა ხელისუფლებამ სოფრომ შენგელიას მთელი ქონება ჩამოართვა, 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.[1]

ალეკო შენგელია (1914-1975), პოეტი და პუბლიცისტი. 1930-1933 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პირველი ლექსი 1938 წელს გამოაქვეყნა ჟურნ. „ჩვენი თაობა“; პირველი წიგნი „ლექსები“ 1940 წელს გამოსცა. მას ეკუთვნის ლექსებისა და პოემების კრებულები: „გაზაფხულის სიმღერა“ (1944), „მე მიყვარს“ (1950), „ლექსები“ (1953), „ოცნებები და ნაფეხურები“ (1973). მისი რამდენიმე კრებული გამოცემულია რუსულ ენაზე. აღსანიშნავია, რომ იური გაგარინს კოსმოსში გაფრენისას ალექსანდრე პუშკინის და ალეკო შენგელიას კრებულები მიჰქონდა.

მიხეილ შენგელია (1915-1999), ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე. სწავლობდა ქართული მედიცინის ისტორიას. მისი შვილები — გიორგი და რამაზი მამის გზას ღირსეულად აგრძელებენ.

ილია შენგელია (1918-1945), პოეტი და პუბლიცისტი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუშაობდა მასწავლებლად. მის გამოკვლევას ქართული სიმბოლიზმის შესახებ მაღალ შეფასებას აძლევდა მწერალი გრიგოლ რობაქიძე. წერდა მშვენიერ ლირიკულ ლექსებს. მონაწილეობდა სსრ კავშირ-გერმანიის 1941-1945 წწ. ომში. როსტოვთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა და იტალიის ტყვეთა ბანაკში მოხვდა, საიდანაც გაიქცა და პარტიზანებს შეუერთდა. დაიღუპა 1945 წელს.[2]

გრიგოლ შენგელია (1910-1945), პედაგოგი, მეთოდისტი, ლიტერატურათმცოდნე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის განყოფილება (1930),

---

[1] **ი. გობეჩია**, სიცოცხლე გრძელდება, გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა“, 2004 წ. 16 ივნისი.

[2] **ა. სურგულაძე**, ,,თუ აქ დავეცი დაუტირელი“, გაზ. ,,კომუნისტი“, 1990 წ. 2 სექტემბერი.

მუშაობდა სხვადასხვა სკოლაში დირექტორად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად. აქვს ნაშრომები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკისა და ლიტერატურის თეორიაში, მათ შორის აღსანიშნავია „ქართული ენის მეთოდიკა“ (1939, თანაავტორი გ. გაბედავა) და „ლიტერატურის თეორია“ (1941, თანაავტორი პ. ხუბუტია).

ვაჟა შენგელია (დ. 1940 წ. 4 ოქტომბერს), ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2009). არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემიის ლაურეატი (2009). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება (1963). ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (1968). ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1969-1972), სწავლული მდივანი (1972-1975), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1975-1986), წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1986-1987), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1987-2006); 2006 წლიდან — ამავე ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი; 2002 წლიდან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. იკვლევს ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს, სახელდობრ, აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს.

ჯგალის თემის მკვიდრნი არიან: ისტორიკოსი, ქართველოლოგი კალისტრატე სალია; სახალხო მასწავლებელი პეტრე ქვარცხავა; გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თომა ხარჩილავა; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თორნიკე აფაქიძე; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანზორ კვარაცხელია და სხვ.

კალისტრატე სალია (1901-1986), ისტორიკოსი, უცხოეთში მცხოვრები ქართველოლოგი; ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (1965), ხმელთაშუაზღვეთის აკადემიის წევრი (1968), საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო უცხოელი წევრი (1977), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1983). 1920 წლიდან სწავლობდა თსუ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1921 წლის დამლევს უცხოეთში გაემგზავრა. დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული გერმანული ენის ინსტიტუტი. 1924 წელს საფრანგეთში გადასახლდა და დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის ისტორია-ლიტერატურის ფაკულტეტი (1927). 1948 წლიდან მეუღლესთან, ნინო სალიასთან ერთად გამოსცემდა ჟურნალს „ბედი ქართლისა“. იკვლევდა საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს; უცხოურ ენციკლოპედიებში ბეჭდავდა ქართული სინამდვილის ამსახველ წერილებს; მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ახალგაზრდა უცხოელ ქართველოლოგებს. იგი იყო სააზიო, ლინგვისტური, ისტორიის, ბიზანტინისტიკის და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა წევრი, მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1964). მის ნაშრომს „ქართველი ერის ისტორია“ (ფრანგულ ენაზე), საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მიენიჭა.[1]

თორნიკე აფაქიძე (დ. 1953 წ.), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (1999). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1978). ერთხანს მუშაობდა საქართველოს შსს ორგანოებში. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004).[2]

ანზორ კვარაცხელია (დ. 1945 წ.), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2002). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1969). 1963 წლიდან მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004).[3]

---

[1] **ი. მეგრელიძე**, კალისტრატე სალია, გაზ. ,,სამშობლო“, 1971 წ. 13 აგვისტო; **ნ. ჯანაშია**, ძვირფასი საჩუქარი, გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო“, 1977 წ. 27 მაისი; **ს. თურნავა**, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1978.

[2] საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატები 1993-2004 წწ., თბ., 2012, გვ. 198; **ნ. მახვილაძე**, საქართველოს მათემატიკოსები და მექანიკოსები: ბიოგრაფიული ცნობარი, თბ., 2016, გვ. 181-182.

[3] **ნ. მახვილაძე**, საქართველოს მათემატიკოსები და მექანიკოსები: ბიოგრაფიული ცნობარი, თბ., 2016, გვ. 234.

კეთილარის თემის მკვიდრია საზოგადოების ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მათ შორის: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი; პედაგოგი, ჟურნალისტი პროკოფი ჩაგანავა; პუბლიცისტი მიხეილ სიმონია; საბჭოთა ფუნქციონერი კონსტანტინე ბზიავა და სხვ.

პაატა გუგუშვილი (1905-1987), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა სოფელ კოდორში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით (1927). 1930 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციების კურსებს სახალხო მეურნეობის ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიასა და სოციოლოგიაში. მისი ნაშრომები ეხება საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის ისტორიის, სახალხო მეურნეობის განვითარების, დაგეგმვის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ამიერკავკასიისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და სხვა საკითხებს. დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში, ეკონომიკური წყაროების მეცნიერული პუბლიკაციის საქმეში. იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი და მისი ეკონომიკური სექციის თავმჯდომარე.

პროკოფი ჩაგანავა (1814-1960), პედაგოგი, ჟურნალისტი. დაიბადა სოფელ კეთილარში. სწავლობდა კეთილარის შვიდწლიან საშუალო სკოლაში, 1934 წელს დაამთავრა სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი. იმავე წელს დაინიშნა კეთილარის სკოლის დირექტორად, სადაც 1937 წლამდე იმუშავა. სხვადასხვა დროს იყო აბაშის რაიონული გაზეთის ლიტმუშაკი, პასუხისმგებელი მდივანი, რედაქტორი, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის აბაშის რაიკომის თავჯდომარე, საქართველოს კპ აბაშის რაიკომის განყოფილების გამგე. დაჯილდოებული იყო რამდენიმე მედლით და სტალინის პირადი მადლობის სიგელით. მოხუცებულობის ჟამს დაწერა მოგონებები კეთილარზე, 1921-1937 წწ. პერიოდზე.[1]

მიხეილ სიმონია, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი. ავტორია ნარკვევისა აბაშის რაიონის სკოლების ისტორიაზე, რომელიც გაზეთ „განახლებულ აბაშაში“ 1970 წლის ნოემბერში დაიბეჭდა.

კონსტანტინე ბზიავა (1905-1972), ქართველი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა სენაკის მაზრის სოფ. კოდორში. საკ. კპ (ბ) წევრი 1928 წლიდან. 1927 წლიდან მუშაობდა საბჭოთა დაზვერვის ორგანოებში. 1940-1943 წწ. იყო აჭარის ასსრ შს სახალხო კომისარი, შემდეგ აფხაზეთის ასსრ შს სახალხო კომისარი; 1943-1946 წწ. ყაბარდოს ასსრ შს სახკომი. სახელმწიფო უშიშროების კომისარი (1943), გენერალ-მაიორი (1945). დიდი სამამულო ომის წლებში მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში. 1946-1951 წწ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსი, საქართველოს სსრ შს მინისტრის მოადგილე. 1951-1953 წწ. დაპატიმრებული იყო „მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფის“ საქმესთან დაკავშირებით. რეაბილიტირებულია. დაჯილდოებულია 6 ორდენით (სამი წითელი დროშის და სამი წითელი ვარსკვლავის) და 7 მედლით.[2]

ხორშის თემის მკვიდრნი არიან: საზოგადო მოღვაწე, სახალხო განათლების თვალსაჩინო წარმომადგენელი სპირიდონ ნორაკიძე; მწერლები მარიამ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია და მოსე გვასალია; ჟურნალისტი და პუბლიცისტი რაჟდენ გაბეჩავა; სამეურნეო მუშაკი ალექსანდრე კანკავა და სხვ.

სპირიდონ ნორაკიძე (1847-1909), საზოგადო მოღვაწე, სახალხო განათლების თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაიბადა ზუგდიდის მაზრის სოფელი ხორშში. დაწყებითი განათლება სოფლის ორკლასიან სკოლაში მიიღო. 1884 წელს დანიშნეს სოხუმის ოლქის სოფელ გინძე-ეწერის გ. შარვაშიძის მამულების გამგედ. ამ მამულების ხე-ტყის წარმოებამ მისი ხელმძღვანელობით დიდ წარმატებას მიაღწია. 1885 წელს მისი ინიციატივითა და მის მიერ გამონახული სახსრებით ზუგდიდში, ფოთსა და ხობში ბიბლიოთეკა-სამკითხველოები დაარსდა. ამ საქმეს იგი საკმაო

---

[1] **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, „ესე სოფელი კეთილ არს“, გვ. 84.

[2] **ბ. ხორავა**, მასალები XX საუკუნის აფხაზეთის ისტორიისათვის, *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო შრომები, მაცნე, I,* თბ., 2007, გვ. 178-179.

თანხებს ახმარდა საკუთარი შემოსავლიდან. მისი სახსრებითა და ხელშეწყობით ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება. იგი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ (1879) დამფუძნებელი წევრი. დიდი წვლილი შეიტანა ქშნკგს ფონდის გაძლიერების, განმტკიცებისა და მუშაობის ფართოდ გაშლის საქმეში. 1895 წელს დააარსა მუშათა არტელი „რიონის მშრომელთა ამხანაგობა“, მაგრამ მეფის ხელისუფლებამ ეს არტელი მალე დახურა. სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად იბრძოდა სოხუმის ოლქის რუსიფიკაციის წინააღმდეგ, ამიტომ ცენტრალურ რუსეთში გადაასახლეს. 1906 წელს ამნისტიის შედეგად სოხუმში დაბრუნდა და თავისი საქმიანობა განაახლა. 1909 წელს ცარიზმის აგენტებმა მოკლეს საკუთარი სახლის კარებთან. საქართველოს სახალხო განთლების ისტორიაში მისი სახელი დარჩა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და სახალხო განთლების გავრცელებისათვის უშიშარი მებრძოლი. დაკრძალულია სოფ. ხორშში.

მარიამ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია [15. (27). VIII. 1887, სოფ. ჩუნეში, ახლანდელი წყალტუბოს მუნიციპ. — 23. VII. 1969, თბილისი], მწერალი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია (1906). მასწავლებლად მუშაობდა ბაქოში, თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში. 1921 წელს საცხოვრებლად გადავიდა მეუღლის მშობლიურ სოფელში ხორშში. აქ მან საკუთარი სახსრებით დააარსა დაწყებითი სკოლა, სადაც თვითონ ასწავლიდა. შემდეგ ცხოვრობდა ქუთაისში, თბილისში. 1934 წელს დაბრუნდა ხორშში, მის მიერ დაარსებულ სკოლაში, რომელიც მისი შუამდგომლობით განათლების სახალხო კომისარიატმა სატიტულო სიაში შეიტანა. სამწერლო ასპარეზზე ლექსებით გამოჩნდა. მისი პირველი მოთხრობა 1907 წ. გამოქვეყნდა, 1927 წ. ცალკე წიგნად გამოიცა ვრცელი მოთხრობა „გრძნობათა ნანგრევებზე“, 1951 წ. გამოსცა პირველი კრებული — „მოთხრობები“. მწერლის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია პოპულარული რომანი „ოქროს ბეჭედი“ (1952), რომელშიც ასახულია სამეგრელოს წარსული. მას ეკუთვნის ნარკვევი „მოღვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში“ (1957) და მოგონებები ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებზე („მოგონებები“, 1959). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

მოსე გვასალია (1910-1985), მწერალი. დაიბადა სოფელ ხორშში, დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი (1931 წ.). პირველი მოთხრობა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1929 წელს გამოაქვეყნა, ხოლო 1931 წელს — მოთხრობების პირველი კრებული „ჩამქრალი კერა“. ავტორია რომანებისა: „სურამი“ (1935, მეორე რედაქცია — 1958), „ქალიშვილის დღიურიდან“ (1964), „ობლის კვერი“ (1970); მოთხრობების კრებულებისა: „არჩვების ბილიკზე“ (1957), „ენგურის ჭალებში“ (1960), „მოთხრობები“ (1966), „თარჩია“ (1967), „მამის სახლი“ (1975); ნარკვევების კრებულისა „ენგურზე“ (1967) და სხვ. მისი ნაწარმოებები ძირითადად საკოლმეურნეო თემისადმია მიძღვნილი და სოფლად მომხდარ ძვრებს ეხება; ინდუსტრიულ თემაზეა შექმნილი „სურამი“, ავტობიოგრაფიული რომანია „ობლის კვერი“, სადაც მწერალი მოგვითხრობს იმაზე, რაც უნახავს და განუცდია.[1]

რაჟდენ გაბეჩავა (1912-1970), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი. დაიბადა სოფელ ხორშში. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი (1947). აქტიურად მონაწილეობდა მთელი რიგი რაიონული გაზეთების ჩამოყალიბებაში. 1930-1932 წწ. მუშაობდა ახალი სენაკის და მარტვილის რაიონული გაზეთების, „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციებში. მისი ცხოვრება და ჟურნალისტური საქმიანობა უმთავრესად დაკავშირებულია ქ. ქუთაისთან. 1935-1937წწ. იყო გაზ. „სტალინელის“ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე, პ/მგ მდივანი, 1954 წლიდან გაზ. „Кутаисская правда“-ს, ხოლო 1966-1970წწ. გაზ. „ქუთაისის“ თანამშრომელი. იგი იყო საგაზეთო საქმის კარგი მცოდნე, ნიჭიერი პუბლიცისტი, საინტერესო ნარკვევების ავტორი, მთარგმნელი. ავტორია საინტერესო ნარკვევებისა: „პეტერბურგის უნივერსიტეტი — ქართველოლოგიის აკვანი“, „ქართული კულტურის დიდი მოამაგე პროფ. დ. ი. ჩუბინაშვილი“; „ალექსანდრე ცაგარელის ცნობები გ. ავალიშვილის იერუსალიმს მოგზაურობის შესახებ“ და სხვ.

---

[1] **შ. აკობია**, მწერლის სახელოვანი გზა, ლიტერატურული კრებული „რიწა“, 1980 წ. გვ. 167-169.

ალექსანდრე კანკავა (1896-1968), ეთერზეთოვან კულტურათა ხორშის საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი. დაიბადა სოფ. ხორშში. 1911 წელს დაამთავრა ახალსენაკის სასწავლებელი, 1918 წელს — ფოთის გიმნაზია. 1918-1921წწ. სოფ. ხორშში ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო სკოლის მშენებლობას, 1921-1922წწ. ამავე სოფლის დაწყებითი სკოლის, ხოლო 1922-1927წწ. შვიდწლიანი სკოლის გამგე. 1930 წელს დაამთავრა თბილისის საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტი. 1930-1941წწ. იყო ხორშის ეთერზეთოვან კულტურათა საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი, ხოლო 1941-1968 წწ. — მეურნეობის დირექტორი. დიდად ზრუნავდა ეთერზეთოვან კულტურათა დანერგვისა და განვითარებისათვის, სოფლის წინსვლისათვის.

კოკის თემში მრავალი გამოჩენილი მოღვაწე აღიზარდა. მათ შორის ცნობილი მეცნიერები: ლეო ჩიქავა, ალექსანდრე ცხაკაია, სერგი ცხაკაია და სხვ.

ლეო ჩიქავა (1928-2014), ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (1968), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა სოფელ კოკში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1950). 1955-1960წწ. იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი; უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე (1969-1974), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე (1974-1983), ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (1983-1990), დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი (1990-2006).

ალექსანდრე ცხაკაია [9 (22) X. 1902 - 21. XII. 1970], გეოფიზიკოსი, სეისმოლოგი. დაიბადა სოფელ კოკში. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1933 წლიდან მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტში. 1951 წლიდან რეგიონული სეისმოლოგიის განყოფილების გამგეა, სსრ კავშირის სეისმურ დაკვირვებათა სისტემის კავკასიის ზონალური ცენტრის უფროსი. იგი არის საქართველოში თანამედროვე სეისმოლოგიური კვლევისა და სეისმოლოგიური სამსახურის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოში რეგიონული სეისმოლოგიური სადგურების ქსელი.

სერგი ცხაკაია [22. III. (4. IV) 1880 – 20. XI. 1966], გეოგრაფი-კარტოგრაფი. დაიბადა სოფელ კოკში. 1904 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-ტოპოგრაფიული სასწავლებელი. გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი (1949), დოცენტი (1950). იგი თანამედროვე ქართული ტოპოგრაფიის ფუძემდებელია. 1936 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის კათედრის გამგე; 1945-1949 წლებში ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი. მისი ნაშრომები ეხება გეოდეზიის, ტოპოგრაფიისა და კარტოგრაფიის საკითხებს.

ვახუშტი ცხაკაია (გარდ. 1988 წ.), ფიზიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი (1969). დაიბადა სოფელ კოკში. დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1948). 1948 წლიდან მუშაობდა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში. იგი ასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

დავით ნარმანია — დაიბადა 1979 წლის 7 მარტს სოფელ კოკში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2001-2003წწ. მუშაობდა საქართველოს საგადასახადო და ფინანსთა სამინისტროებში; 2003-2012წწ. კითხულობდა ლექციებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; 2012-2014წწ. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრია; 2014-2018წწ. — ქ. თბილისის მერი.

ხუნწის დიდი მოამაგე იყო თავადი კონსტანტინე გიორგის ძე ჩიქოვანი. იგი იყო ნიკოლოზ დავითის ძე დადიანის, სამეგრელოს სამთავროს ტახტის ყოფილი მემკვიდრის, მამულების მოურავი. ნიკო დადიანის გარდაცვალების შემდეგ ხუნწში დამკვიდრდა. იგი შეძლებული, გონიერი და განათლებული პიროვნება იყო. ხელმძღვანელობდა სამეგრელოში გზების გაყვანას, ცხენისწყალზე ბორანი მოაწყო; განათლებაში ხედავდა გაჭირვებიდან თავის დახსნის საშველს და სურდა ქვეყანას მეტი განათლებული ადამიანი ჰყოლოდა, ამიტომ სათავეში ჩაუდგა ხუნწში

სკოლის მშენებლობას. ჰყავდა ერთი ვაჟი — ალექსანდრე, და ექვსი შვილიშვილი. შვილიშვილებმა ქუთაისის გიმნაზია დაამთავრეს, ორმა მათგან — გუძამ და სიმონმა, პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. შემდეგ, სიმონი სამშობლოში დაბრუნდა და ქუთაისში ფიზიოთერაპიული საავადმყოფო დააარსა. გუძა, რომელიც მედიცინის დოქტორი გახდა, სრულიად ახალგაზრდა, 30 წლის ასაკში, როსტოვში გარდაიცვალა.[1]

ხუნწის მკვიდრია XIX საუკუნის I ნახევრის შესანიშნავი მოღვაწე, იმდროინდელი დაბალი ფენიდან გამოსული მწიგნობარი ბასილი სიმონის ძე ცხაკაია. ბასილი ცხაკაია ჯერ დიაკვნად მსახურობდა, ხოლო შემდეგ მღვდლად ეკურთხა. მას გადაუწერია რამდენიმე ხელნაწერი, მათ შორის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Q-737). ხელნაწერს აქვს ანდერძი: „სრულ იქმნა წიგნი ესე ხმობილი „ვეფხისტყაოსნად“ დიაჩოქის ბასილ სიმონის ძე ცხაკაიას მიერ“. ბასილი ცხაკაიას მიერ გადაწერილი კიდევ ერთი ხელნაწერი ინახება ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. ესაა ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“, რომელსაც აქვს ანდერძი: „გადამწერი ბასილი ცხაკაია, 1854 წელი, ადგილი გორდი“.[2]

ხუნწიდანაა წარმოშობით, ცნობილი რევოლუციონერი და საბჭოთა ფუნქციონერი მიხეილ (მიხა) ცხაკაია (1865-1950). იგი დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფ. ხუნწში. დაამთავრა სამეგრელოს (მარტვილის) სასულიერო სასწავლებელი. ის იყო საქართველოსა და კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი, საქართველოში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ ერთ-ერთი დამაარსებელი 1893 წელს. 1921-1922წწ. იყო საქართველოს სსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი რუსეთის სფსრ მთავრობაში, 1923-1930წწ. — ამიერკავკასიის ცაკ-ის პრეზიდიუმის ერთ-ერთი თავმჯდომარე; 1923-1924 და 1929-1930 წლებში — საქართველოს სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრკ ცაკ-ის პრეზიდიუმის წევრი.

ლიდა სტვილია, პოეტი. დაიბადა 1938 წლის 1 მაისს სოფელ ქვედა ხუნწში. დაამთავრა ლეციცხვაიეს საშუალო სკოლა. მისი პოეტური დებიუტი შედგა 1955 წელს, როდესაც პირველი ლექსი „ძირს რა დახრის“ რაიონულ გაზეთ „სოციალისტური სოფლის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. 1959 წელს სოხუმში გამოიცა მისი პირველი პოეტური კრებული „დილა ვენახში“. 1962 წლიდან თბილისში ცხოვრობს. 1968-1971წწ. მუშაობდა წიგნის პალატაში, 1971-1974წწ. იყო გამომცემლობა „ნაკადულის“ მხატვრული განყოფილების რედაქტორი. ავტორია ლირიკული და საბავშვო ლექსების რამდენიმე კრებულის. მისი ლირიკა გამთბარია ფაქიზი გრძნობებით, სიცოცხლისადმი, მამულისადმი, მშობლიური მიწა-წყლისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ქართულად თარგმნა აფხაზური, ოსური, და ბალყარული პოეზიის ცალკეული ნიმუშები.[3] ლიდა სტვილიას მეუღლე იყო საბავშვო პოეტი გიორგი წერეთელი, რომელმაც ხუნწს რამდენიმე ლექსი უძღვნა.

* * *

ამდენად, ჩვენ მიერ შესწავლილ თემებში დადგინდა სოფლის მეურნეობის დარგების — მეჩაიეობის, მესიმინდეობის, მეაბრეშუმეობის, მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის განვითარება; ტრადიციული კულტურების: ღომის, ფეტვის, ქერის, ჭვავის, ბარდისა და ცერცვის, სელის, ვაზის მთელი რიგი ტრადიციული ჯიშების, ხილის ტრადიციული ჯიშების მოყვანა სულ ახლო წარსულში. სათანადო ხელშეწყობის პირობებში შესაძლებელია მთელი რიგი მივიწყებული კულტურების მოყვანა, რაც დიდად წაადგებოდა მოსახლეობასაც და ქვეყანასაც.

სამეგრელოში კარგი ნიადაგ-კლიმატური პირობებია ჩაის, ციტრუსების (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, გრეიფრუტი), ვაზის, სუბტროპიკული მეხილეობის (ხურმა, კივი, ფეიჰოა,

---

[1] **ე. ერაძე,** მძიმე ეპოქის შვილები, გაზ. ,,კვირის პალიტრა“, 2019 წ. 5-11 აგვისტო.

[2] **ვ. ზუხბაია**, მწიგნობარი ხუნწიდან, გაზ. ,,შრომის დროშა“, №52, 1968 წ. 4 მაისი; **ვ. ზუხბაია**, უცნობი მწიგნობარი, კრებ. ,,ეგრისი“, 1988, გვ. 290.

[3] **მ. გოგოლაძე-გაბუნია,** მწერალთა ბიოგრაფიები. შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 2005, გვ. 233.

კაკალი, თხილი), კენკროვნების (მოცვი, ჟოლო), ბოსტნეული კულტურების (მათ შორის, ბარდა, ცერცვი, სატაცური), ტექნიკური კულტურების — დაფნა, ტუნგი, ეთერზეთოვანი კულტურების (ლავანდა, გერანი, ვარდი) მოყვანისათვის.

კვლევამ გვიჩვენა, რომ სამეგრელოში სავსებით შესაძლებელია სოფლის მეურნეობის დარგების: მესიმინდეობის, მეჩაიეობის, მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მეაბრეშუმეობის, სარძევე-სახორცე მიმართულების მეცხოველეობის განვითარება; ჩაისა და ხილის, ეთერზეთოვანი კულტურების გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენა. ასევე, სავსებით რეალურია ტორფის, როგორც ორგანული სასუქისა და სათბობის, თიხის, კირქვების, ცარცის, თაბაშირის, ანდეზიტის, ბარიტის, დოლომიტის საბადოების ათვისება და მათი საწარმოო გამოყენება; დიდი პოტენციალი აქვს ჰელიო, ქარის, ჰიდრო ენერგეტიკულ რესურსებს.[1]

სამეგრელოს დიდი საკურორტო (რეკრეაციული) და ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ზღვისპირა კურორტები ანაკლია და განმუხური შესანიშნავი საკურორტო-რეკრეაციული ადგილებია. ანაკლია-განმუხურისათვის დამახასიათებელი ტემპერატურულ-კლიმატური პირობები — ზღვიური სუბტროპიკული კლიმატი, მზის ნათების საკმაოდ დიდი ხანგრძლივობა, მაღალი ატმოსფერული წნევა, ჰაერის შედარებით თანაბარი ტემპერატურა, მზის მნიშვნელოვანი რადიაცია, ჰაერის სისუფთავე და მუდმივი სანაპირო ქარები (ბრიზები) ამ კურორტებს დამსვენებლებისთვის კომფორტულს ხდის. მხარე მდიდარია მინერალური და თერმული წყლებით, რომელთა უმრავლესობა გამოუყენებელია. ბალნეოლოგიურ კურორტებს — სქური, მენჯი, ცაიში, სადაც უმთავრესად სუსტად მინერალიზებული ცივი და თბილი სამკურნალო მინერალური წყლებია, კლიმატოთერაპიული მნიშვნელობაც აქვთ. კურორტ სქურში 80-იანი წლების ჩათვლით მიმდინარეობდა სამკურნალო წყლის ჩამოსხმა, რომელიც სსრ კავშირის ბაზარზე გადიოდა; სქური, მენჯი და ცაიში ჯანდაცვის მნიშვნელოვანი კერები იყო, რომელთა აღორძინება დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოიტანდა. ეს კურორტები უმთავრესად ფტიზიატრიული, ნევროლოგიური და ნეფროლოგიური პროფილისაა. აქ შესაძლებელია ძვალ-სახსრის ტუბერკულოზითა და ცენტრალური ნერვული სისტემით დაავადებულთა მკურნალობა; კლიმატურ კურორტ ლებარდეს დადებითი ჩვენება აქვს სასუნთქი ორგანოების დაავადებათა სამკურნალოდ. დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოიტანდა კლიმატური კურორტების ლებარდეს, ლუგელას, მუხურის, ურთის, წალენჯიხის, ოხაჩქუეს; ბალნეოლოგიური საკურორტო ადგილების — ქვალონის, ხორგის, ნოქალაქევი, ბიას; კომპლექსური პროფილის — ყულევის, ჭკადუაშის განვითარება.[2] ამდენად, სამეგრელოში შესაძლებელია ფართო საკურორტო ქსელის შექმნა.

სამეგრელო საინტერესოა ტურისტული თვალსაზრისით. აქ შეიძლება განვითარდეს აგრო (*სასოფლო*), გასტრონომიული, კულტურული, ეკოლოგიური, სამედიცინო, რელიგიური, ექსტრემალური ტურიზმი. საინტერესო ტურისტულ ობიექტებად შეიძლება იქცეს ბუნებისა და ისტორიული ძეგლები, როგორიცაა ტობავარჩხილის ტბათა ჯგუფი ეგრისის ქედზე; ყვირას მასივის ბუნების ძეგლები; ურთის, შურუბუმუს, გარახის, კორცხელის, ნაზოდელავოს, სავეკუოს მღვიმეები, ყალიჩონას მღვიმე ქვის ხანის ძეგლებით; მარტვილის კანიონი, პალიასტომის ტბა და კოლხეთის ეროვნული პარკი; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: მარტვილის, წალენჯიხის, ხობის, ფოთის, ზუგდიდის, ცაიშის, კორცხელის, სქურის, ეკის და სხვა ტაძრები, დადიანების სასახლეები ზუგდიდსა და სალხინოში; ნოქალაქევის კომპლექსი, რუხის, შხეფის, ხეთის, ჯიხასკარის ციხეები; ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები კოლხეთის დაბლობზე, გვინბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქურასახელოსნოები მდ. ოჩხომურის გაყოლებაზე — ჭოღასა და ოჩხომურში.

ამდენად, სამეგრელოს სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, რომლის გამოყენება ქვეყნის განვითარებას დიდად წაადგება.

---

[1] **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 139-144, 127-139, 163-170.

[2] **კ. კორსანტია**, სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი, გვ. 145-149, 189-192.

თავი VII.

დასახლების ფორმა და საცხოვრებელი ნაგებობები

§ 1. დასახლების ტოპოგრაფია

გაშლილ-გაფანტული დასახლების სისტემის ჩამოყალიბება. განსახილველი საკითხის — დასახლების ფორმის ქვეშ იგულისხმება მისი ტოპოგრაფიისა და სხვა გარეგანი ნიშნების თავისებურებანი, ხოლო ტიპის ქვეშ — დასახლების ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური სხვაობანი.

აკად. გ. ჩიტაიას განმარტებით: „ცნება დასახლება ვარაუდობს ადამიანთა საცხოვრებლისა და შრომის ადგილის ერთიანობას“.[1] ალ. რობაქიძის ინტერპრეტაციით: „დასახლების ერთეული, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, წარმოადგენს გარკვეულ ერთობლიობას, რომელსაც ახასიათებს მოსახლეობის ძირითადი ბირთვის ეთნიკური ერთგვაროვნება და საერთო ენა, სამეურნეო ინტერესების თანხვედრილობა, ტერიტორიის ერთიანობა, კოლექტიური დაცვის აუცილებლობა. ეს ერთობლიობა გარკვეულ ასახვას პოულობს იდეოლოგიის ზოგ სფეროშიც, საკუთრივ დღეობა-დღესასწაულებში, რწმენა-წარმოდგენებში, წეს-ჩვეულებებში, ხატ-სალოცავებში“.[2]

საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეების მაგალითზე, როგორც დასახლება, ასევე საცხოვრებელი ნაგებობები, შეესაბამება მხარის კულტურულ, ეკონომიკურ და კლიმატურ პირობებს. ეს ფაქტორებიც თავისებურ ელფერს ანიჭებს და აყალიბებს მოსახლეობის ცხოვრების წესს.

ძვ. წ. III ათასწლეულიდან მოყოლებული სამეგრელოსა და მთლიანად კოლხეთში დასახლება წარმოდგენილია ბუნებრივი თუ ხელოვნური (დიხა-გუძუბა) სამოსახლოების სახით, რომელიც ჭარბად ტენიან კლიმატთან ბრძოლის და თავდაცვითი ფუნქციის წინა პლანზე წამოწევით იყო ნაკარნახევი. კოლხური „დიხა-გუძუბების“ ტიპის დასახლების ტრადიცია, სავარაუდოდ, ნაწილობრივ გრძელდება ჩვენი ერის V საუკუნემდე, რაზეც წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ. V საუკუნის შემდეგ, ვიდრე XVII საუკუნემდე, ძნელია ზუსტად მსჯელობა სამეგრელოს და საერთოდ კოლხეთის დასახლების სისტემაზე, რამდენადაც წერილობითი წყაროები ამაზე დანამდვილებით არაფერს გვეუბნება; მეორე მხრივ, არქეოლოგიურადაც სამეგრელო და მთლიანად დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ხანა სუსტადაა შესწავლილი. სავარაუდოდ, სწორედ ადრეფეოდალური ეპოქიდან მოყოლებული სამეგრელოში და მთლიანად დასავლეთ საქართველოში უნდა წარმოქმნილიყო დასახლების ახალი ფორმა, რომელიც დღევანდელი ყოფისთვისაც არის დამახასიათებელი, კერძოდ, გაშლილ-გაფანტულად დასახლების ტრადიცია — ე. წ. „კარ-მიდამოების“ სისტემა.

IV-V საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურა პრინციპულად ახალი, განსაკუთრებული მოვლენებით არ ხასიათდება. როგორც ქალაქების, ისე სასოფლო რაიონების კულტურის განვითარება წინა ეპოქის გზით მიდის: ადგილობრივ, ჯერ კიდევ ძველი კოლხეთის კულტურაზე დამყარებული ტრადიციები ორგანულად ერწყმის დასავლურ, რომაულ-ბიზანტიური კულტურის ფეოდალურ ელემენტებს.[3] ქალაქის მეურნეობის ნატურალიზაცია, მიწათმოქმედების, განსაკუთრებით კი საეკლესიო მეურნეობის ხვედრითი წონა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ლაზეთის (ეგრისის) სამეფოში მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესთან.[4] ეს ჩანს ამ პერიოდის კოლხეთის ქალაქების არქეოლოგიური მასალით, სადაც მოსახლეობის შეძლებულ ფენათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდათ მსხვილ მიწათმფლობელებ-

---

[1] **გ. ჩიტაია,** დასახლების ტიპი მთიულეთში// მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. V, თბ., 1953, გვ. 201.

[2] **რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე**, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 5.

[3] **ნ. ლომოური,** დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში, წიგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 181.

[4] **ნ. ლომოური,** დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში, გვ. 181.

საც, ხოლო IV საუკუნიდან ასეთად უკვე ქრისტიანული ეკლესია გვევლინება.[1]

დასავლეთ საქართველოს სამარხეული მასალების მიხედვით, ბიზანტიური კულტურის გავლენა უფრო მეტად ჩანს მაღალი არისტოკრატიული ფენების ყოფაში, წეს-ჩვეულებებსა და ტანსაცმელ-მორთულობაში. იმპორტული კერამიკის, კერძოდ წითელლაკიანი კერამიკისა და ამფორების აღმოჩენა ეგრისის ზღვისპირა ქალაქებში ცხადყოფს, რომ ეს უცხოური ჭურჭელი აქ ხმარებაში იყო პირველ რიგში მაღალი წოდების ოჯახებში. იგივეზე მიუთითებს აგრეთვე მინის ჭურჭელი. აღსანიშნავია ისიც, რომ იმპორტული კერამიკა მარტო ზღვისპირა რეგიონებში არ იხმარებოდა, არამედ მას ვხვდებით შიდა რეგიონებშიც (წებელდა, ფარნალის გორა ქუთაისთან).[2]

დასავლეთ საქართველოს V-VI საუკუნეების ციხე-სიმაგრეები (ისევე როგორც კონკრეტულად სამეგრელოში, - დ. ჭ.) უმთავრესად ბიზანტიურ ყაიდაზე იგება. ასეთებია: შორაპანი, სკანდე, ვარდციხე, ტოლები და სხვ.[3]

IV-V საუკუნეების დასავლეთ საქართველოში გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს ძველისძველი ტიპის ორმოსამარხები (თვით უმდიდრეს, საზოგადოებრივ დაწინაურებულ პირთა სამარხებშიც კი). ამასთანავე, საკმაოდ ხშირი ჩანს თიხის სარკოფაგები, მიცვალებულის კრემაციის ნაშთების თიხის დერგებით ან სხვა მოზრდილი ჭურჭლით დაფლვა. იშვიათი გამონაკლისია ფილაქვებით ნაგები სამარხები ვაშნარში და ღების ერთ-ერთ სამაროვანზე. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში წინამორბედ ანტიკურ ხანაშიც უაღრესად იშვიათია ფილაქვის სამარხები. სამარხების სიჭრელეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ახალი სარწმუნოების — ქრისტიანობის დანერგვა-გაბატონებას. ამ პერიოდის წებელდის სამაროვნები მიუთითებს, რომ შესაძლო ყოფილა ინჰუმაციისა და კრემაციის სრული უმტკივნეულოდ თანაარსებობა-მეზობლობა ისე, რომ აღარ ხდება აუცილებელი სათანადო ნაირ-ნაირი სამარხების მიკუთვნება ძლიერ განსხვავებული მოდგმისა თუ რჯულის ადამიანთათვის. შემდგომში კი დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის მტკიცედ დამტკიცების შედეგად დაკრძალვის წესის ასეთი სიჭრელეც აღიკვეთა.[4]

დაკრძალვის წესიცა (საოჯახო აკლდამების გაჩენა, ხის კუბოების შემოღება, მიცვალებულის დაკრძალვა თავით დასავლეთისკენ და პირისახით აღმოსავლეთისკენ) და ინვენტარიც სწორედ IV საუკუნიდან, მიგვანიშნებს მკაფიო გარდატეხაზე. ეს უკანასკნელი, უმთავრესად სწორედ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის თანდათან დამკვიდრებას, ქრისტიანულ სარწმუნოებას უნდა უკავშირდებოდეს.[5]

სამეგრელოს დასახლების ფორმაზე უკვე XVII საუკუნიდან წერილობით წყაროებში გვაქვს უტყუარი ცნობები, და თუ არ ჩავთვლით XIX საუკუნიდან თანდათანობით თანამედროვე გზისპირული დასახლებისკენ გადასვლის ტენდენციას, ის მთლიანად გაშლილ-გაფანტული და დღევანდელი კარმიდამოს ფორმით იყო წარმოდგენილი:

ა. ლამბერტის ცნობით, მეგრელები, „...ადვილად და მცირე ხარჯით იშენებენ ნაირ-ნაირ სახლებს, ცალ-ცალკე, სოფლად ვისაც სად ურჩევნია. არა აქვთ მათ არც ქალაქი და არც დაბა, რომ შეჯგუფულად ცხოვრობდნენ. ზოგი იშენებს სახლს გორაზე, ზოგი ვაკეზე, ზოგი პატარა ტყეში და ზოგიც წყლის პირად“.[6] კასტელის ცნობით, „მეგრელებს სახლები არ უდგათ ახლო-ახ-

---

[1] **მ. ინაძე,** ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია-სებასტოპოლისი, ბიჭვინთა)// საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 4, თბ., 1963, გვ. 148.

[2] **З. В. Анчабадзе**, История и культура древней Абхазии, გვ. 218-219.

[3] **გ. ლომთათიძე,** წინაპართა ნაკვალევი, თბ., 1952, გვ. 206. სამეგრელოს ციხე-სიმაგრეების შესახებ, იხ. **დ. ჭითანავა,** ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.

[4] **თ. პაპუაშვილი,** ყოფა-კულტურის ზოგიერთი მონახაზი, წიგნ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 215-216.

[5] საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 345-347.

[6] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა. *გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ი. ანთელავამ, იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ*, თბ., 1990, გვ. 37.

ლო, ეს ხალხი აქეთ-იქით მოსიარულე არ არის, ბინადარია“.[1] შარდენის მიხედვით, „სამეგრელოში არ არის არც ქალაქები, არც დაბები, მხოლოდ ორი სოფელია ზღვისპირას, სახლები მიმოფანტულია აქა-იქ მთელს მხარეში, ათასიოდე ნაბიჯს ვერ გაივლი ისე, რომ ერთიმეორესთან ახლოს მდგარ სამ-ოთხ სახლს ვერ შეხვდე“.[2]

XIX საუკუნეში კ. ბოროზდინი მეგრულ სოფელს ასე ახასიათებს: „სამეგრელოს სოფლებში ძნელი იყო გზა-კვალის გაგნება. ამ სოფლებს საერთო არაფერი აქვთ ველიკორუსულ სოფლებთან: აქ არ არის მთლიანი მოსახლეობა და აღარც საერთო მფლობელობა მიწისა. თითოეული მოსახლეობა თავისთვის ეწევა მეურნეობას. ყოველი მოსახლე გაცალკევებით ცხოვრობს და ეზოყურეებისათვის მაღალი ღობე უვლია, ეკლით შემობლანდული და ყოველივე ეს ჩაფლულია ბუჩქნარებში და ხეებში, რომელზედაც გადახლართულია ვაზები. სოფელი უზარმაზარ სივრცეზეა გაშლილი და მის ურიცხვ ბილიკებზე მხოლოდ აქაურ მკვიდრს არ ექცევა მხარი. მებატონეთა საცხოვრებელი გლეხების საცხოვრებელშია არეული და იმ დროს გარეგნობით ერთმანეთისაგან ვეღარც კი გაარჩევდა კაცი-ყველა ესენი უბრალო ფაცხები იყვნენ“.[3]

მეგრულ სოფელში XX საუკუნის პირველ ნახევარშიც (და ნაწილობრივ მის შემდგომაც), იგივე მდგომარეობა ჩანს, რომელზეც თ. სახოკია, სამურზაყანოს სოფლების მაგალითზე ამგვარად შენიშნავს: „თავისებურია სამურზაყანოს სოფელი, ძირეული განსხვავებაა აქაურსა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებს შორის და იმ დროს როცა ქართლის ერთმანეთზე მიყრილ სახლებს სულ მეოთხედი საათის განმავლობაში შემოუვლის კაცი, აქ სამურზაყანოში მთელი ორი საათია საჭირო, რომ სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში გაატანოთ. უჩვევი კაცი თუ აქ ჩავარდა ვეღარც კი იფიქრებს თუ სოფელშია, წინ ტყეა, უკან კიდევ ტყე, ორივე მხარეზე კიდევ ტყე გარტყიათ“.[4]

ზოგადად, ამა თუ იმ რეგიონის დასახლების იერსახეზე გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები, რაც განსაზღვრავს მის კულტურულ და ეკონომიკურ თავისებურებებს. ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა როგორც სამეგრელოს, ასევე მთლიანად კოლხეთის დაბლობის დასახლების ფორმაზე, მისი გაშლილ-გაფანტულად ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ტრადიციულ მეგრულ სოფელში, როგორც გ. გეგეჭკორი აღნიშნავს, „ერთი მხრივ მთის ფერდობსა და ზეგნებზე უგეგმოდ-უწესრიგოდ განლაგებული საკარმიდამო ნაკვეთები, და მეორე მხრივ გზისპირას განლაგებულ სოფლებში, ყოველი ოჯახი თავისი კარ-მიდამოთი ესაზღვრება ამგვარივე კარ-მიდამოს“.[5]

კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული რელიეფის გამო აქ მცხოვრებ ადამიანს საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა ბრძოლა. აქედან გამომდინარე, სამოსახლოდ მას უნდა აერჩია ისეთი მიკროგარემო, რომელიც ცხოვრების უზრუნველსაყოფად უფრო ხელსაყრელი იყო. როგორც ჩვენი მთხრობლები აღნიშნავენ, ადამიანი პირველ რიგში სამოსახლოდ ირჩევდა ისეთ ადგილს, სადაც ნაკლები იყო ნესტი და სასმელი წყალიც ახლოს ჰქონდა. ასევე განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტყის და ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთის სამოსახლოსთან სიახლოვეს; ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი ეს პირობები, თუნდაც ვიწროდ აღებული ერთი სოფლის არეალში, ერთნაირად ხელსაყრელი არ იყო, რაც საერთოდ დამახასიათებელია კოლხეთის დაბლობის ნიადაგებისა და ზოგადად კლიმატისათვის. შესაძლოა ამ მიზეზითაც, ძველი კოლხური დასახლების სიტემის (ხელოვნური და ბუნებრივი დიხა-გუძუბები) მოშლის შემდგომ (როდესაც ეს მოსახლეობა სავარაუდოდ ინაცვლებს სამეგრელოს პლატოსა და მთისწინეთში) ჩნდება დასახლების გაშლილ-გაფანტული სისტემა.

---

[1] **დონ კრისტოფორო დე კასტელი,** ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. *ტექსტი გაშიფრა და გამოკვლევა დაურთო ბ. გიორგაძემ*, თბ., 1976, გვ. 54.

[2] **ჟან შარდენის** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (1672-1673 წწ). თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **მ. მგალობლიშვილმა**, თბ., 1975, გვ. 115.

[3] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი, მოგონებანი 1854-1861. *თ. სახოკიას თარგმანი*, თბ., 1934, გვ. 145-146.

[4] **თ. სახოკია,** მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 336-337.

[5] **გ. გეგეჭკორი,** დასახლების ფორმა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1997, გვ. 5.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასახლების გაშლილ-გაფანტული იერსახე ნათლად ჩანს როგორც სამეგრელოს პლატოს (ზუგდიდის, ხობის, სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ნაწილი), ისე, აფხაზეთის, იმერეთის და გურიის სოფლებში. სამეგრელოს მთისწინეთის სოფლების უმრავლესობა ამ მხრივ თითქმის მაქსიმალურ სიმჭიდროვეს აღწევს (მაგ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სოფ. ლია, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში: მუხური, ლესიჭინე, ხაბუმე), რაც XIX საუკუნიდან გზისპირული დასახლების გაჩენასთან ერთად უმეტესად „ლაკადის“ მთის ძირში, მის მთლიან გაყოლებაზე (დაახლ. 30 კმ-იანი ზოლი) მდებარე სოფლებიდან მოსახლეობის ჩამოსახლებით იყო გამოწვეული. ამ ყოველივეს გზისპირულ დასახლებებში სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამაც შეუწყო ხელი. აქვე შევნიშნავთ, რომ სამეგრელოს მაგალითზე დასახლების ფორმისა და ტიპის, და მასთან ერთად ვერტიკალური ზონალობის საკითხები (რაც პირველ რიგში ტერმინების „მთის“, „ზეგნის“ და „ბარის“ გამიჯვნაში მდგომარეობს) ჯერჯერობით შესწავლილი არ არის.

მაშასადამე, XIX ს. დასასრულამდე და XX ს. 30-იან, ზოგან 60-იან წლებამდე სამეგრელოს მოსახლეობა ძირითადად თავმოყრილი იყო ეგრისის ქედის კალთებზე და მდინარეთა ხეობების გასწვრივ — „ლაკადის“ ზონაში, სადაც უამრავი ლე- პრეფიქსით ნაწარმოები მონოგენურად დასახლებული სოფლები იყო. ამ ფაქტზე, სავსებით მართებულადაა შენიშნული, რომ საბჭოთა წყობილების პერიოდში სურათი საგრძნობლად შეიცვალა: ეგრისის ქედის წინამხრის კალთებიდან და ხეობებიდან მოსახლეობამ მასობრივად გადმოინაცვლა მთისძირებსა და კოლხეთის ბარში. თვით ბარშიც დააცარიელეს მივარდნილი და უშარაგზო უბნები და დასახლდნენ გზისპირებსა და სოფლის ცენტრის ახლომახლო, ქალაქების გარეუბნებში, საბჭოთა მეურნეობებში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. ამ მიზეზით ენგურის, მაგანის, ხობისწყლისა და ტეხურის ხეობები, ასევე ერისწყალსა და ოლორს შუა, ზანისა და ცივის, ნოღაიასა და ჩხოუშის სათავეებში მდებარე სერებსა და გორაკებზე აღარავინ დარჩა. სამაგიეროდ, ბარის და, საერთოდ, გზისპირა სოფლები მჭიდრო და მრავალრიცხოვანი, ხოლო უბნები მრავალგვარიანი გახდა.[1]

ამ გარემოებათა შედეგად ჩამოყალიბდა ჩვენს მიერ უშუალოდ წინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილი მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის თემის ზოგიერთი უბანი, კერძოდ, ხუნწის თემის უბნების გზისპირული დასახლება XIX საუკუნეში წარმოიქმნა, მანამდე მოსახლეობა ზემოთ გორაკ-ბორცვიან ადგილებში ცხოვრობდა, რომელსაც დღეს ზედა ხუნწი და ქვაითი ეწოდება; ხოლო მდ. ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე ხუნწის დაბლობ ადგილებში, სადაც მანამდე გაუვალი ტყე იყო, დასახლება XX ს. დასაწყისში გაჩნდა, სადაც მოსახლეობა მიმდებარე მაღლობებიდან გადმოსახლდა.

დღევანდელი მეგრული სოფლის დასახლების ფორმა ძირითადად გზისპირულ ტენდენციებზეა აწყობილი, ეს პროცესი ბოლო ასი წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობს. ყველა ცდილობს ახლოს დასახლდეს ცენტრალურ საავტომობილო გზასთან. გზისპირულ დასახლებას თავის დროზე შესაძლოა ჰქონდა გარკვეული დადებითი მხარეც, რითაც იქ მოსახლე ადამიანებს უადვილდებოდათ მიმოსვლა, პოტენციურად ეს ვაჭრობის განვითარებასაც უწყობდა ხელს (მაგ. XIX ს. ბოლო მეოთხედში ასეთი ადგილი იყო სოფ. ხაბუმეს — ჩხოროწყუს მუნიციპ. სოფ. ჯგალი — წალენჯიხის მუნიციპ.), თუმცა, დღევანდელ ვითარებაში სამეგრელოს სოფლებში სავაჭრო ადგილების განვითარება თითქმის წარმოუდგენელია, და რომც განვითარდეს ვაჭრობა, გზისპირული დასახლებისკენ მიდრეკილებას აქვს უფრო მეტი უარყოფითი შედეგები, ვიდრე დადებითი. კერძოდ, გზისპირა დასახლებაში მიწის ნაკვეთების ნაკლებობის გამო შეუძლებელია რაიმე დიდი მეურნეობის გამართვა, მესაქონელეობის განვითარება და სხვ. აქედან გამომდინარე, ოჯახებს უჭირთ თავის შენახვა. არიან ოჯახები, რომლებიც არ წყვეტენ ურთიერთობას წინაპრების ძირძველ საცხოვრისთან, მაგრამ მეურნეობის ფორმებიდან გამომდინარე, ეს მაინც სეზონურ ხასიათს ატარებს, რასაც თან ერთვის უგზოობის პრობლემა. გზისპირული დასახლებისკენ მოსახლეობის მიდრეკილება თანამედროვე ვითარებაში, ვფიქრობთ, პირველ რიგში გამოწვეულია შიდა სასოფლო გზების მოუწეს-

[1] **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 40.

რიგებლობით, აქ არ არის საუბარი ყველგან მოასფალტებული გზების მოთხოვნაზე, არამედ ჩვეულებრივი გრუნტის გზებიც კი სავალალო დღეშია, რიგ სოფლებში ფაქტიურად მძიმე ტექნიკის გარეშე შეუძლებელია მიმოსვლა და ამ პრობლემის გადაწყვეტა რატომღაც მეორეხარისხოვანად არის მიჩნეული. მეორე მხრივ, არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემაც, და მოსახლეობას უჭირს გადაადგილება არა თუ რაიონულ ცენტრებთან, არამედ თვით თემის ცენტრამდეც კი (ზოგ შემთხვევაში შედარებით კარგი გზების არსებობის პირობებშიც). საკუთარი მანქანის შეძენის შესაძლებლობა კი სოფლის მცხოვრებთა 95%-ს არა აქვს. თემის ცენტრების უმრავლესობაში ელემენტარული საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზიებიც არ არის და თუ სადმე არის, მუნიციპალიტეტის ცენტრთან შედარებით ორმაგ და ზოგ შემთხვევაში სამმაგ ფასებში ხდება საქონლის რეალიზაცია. ყოველივე ამის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მხრიდან ელემენტარული ნების გამოჩენაა საჭირო სოფელში მცირეოდენი კაპიტალის მიმართვით, რაც სულ მცირე ხანში თვით სახელმწიფო ბიუჯეტს დიდ მოგებას მისცემს. კერძოდ, სოფლის ამ პრობლემის გადაწყვეტით, მოსახლეობა დამაგრდება წინაპრების ძირძველ საცხოვრისზე, გაძლიერდება მათი ინდივიდუალური ეკონომიკური შესაძლებლობები, რაც საბოლოო ჯამში გახდება სოფლის თემის და მთლიანად მუნიციპალიტეტის ეკონომიკის საფუძველი და ამ გზით შესაძლოა ადგილობრივი (ვგულისხმობთ სოფლის თემს) ბიუჯეტის შექმნაზეც ფიქრი.

მეგრული „ოხორუ“ — კარ-მიდამოს სისტემა სამეგრელოში დასახლების ერთეულს კარ-მიდამო ანუ, როგორც მას აქ უწოდებენ, „ოხორუ“ წარმოადგენს, რომლის შიგნით გაფანტულად, მაგრამ გარკვეული ნორმების დაცვით, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ერთობლიობაა მოცემული.

ტერმინი „ოხორუ“, უძველესი წარმომავლობის ლექსიკური ერთეულია, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში მოხსენიებულია ქსენოფონტეს „ანაბასისში“, როგორც გარკვეული სახის დასახლების აღმნიშვნელი ძველ კოლხეთში; კერძოდ, ამ პერიოდში აღწერილი კოლხური „ოხორუ“, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათაგან შემდგარ ერთიან კომპლექსს ქმნიდა, რომელსაც გარშემო შემოვლებული ჰქონდა განიერი თხრილი, ხოლო ზემოდან მესრებით იყო შემოზღუდული. ამ სახის დასახლების სისტემის შექმნის აუცილებლობა ბუნებრივი პირობებით (წვიმის წყლისა და ნესტისგან თავის დაცვა) და თავდაცვითი სისტემის (მტერთა თუ ნადირთა) წინა პლანზე წამოწევით იყო ნაკარნახევი. ოხორუებიც ალბათ ცალკეულ გვართა თუ გვაროვნულ დასახლებებს წარმოადგენდნენ. სწორედ „ოხორუ“ უნდა ყოფილიყო ამ ხელოვნური ბორცვ-სამოსახლოების ე. წ. „დიხა-გუძუბების“ ადგილობრივი სახელწოდება (იხ. ზემოთ). მთელი ფეოდალური ხანის მანძილზე კარ-მიდამოები ანუ „ოხორუები“ ქმნიდნენ დასახლებას, სოფელს (ტოპოგრაფიული თვალსაზრისით). „ოხორუები“, თანამედროვე კარ-მიდამოს გაგებით, გზისპირული დასახლების გაჩენამდე ერთმანეთის მიმართ შორიშორს მდებარეობდნენ და შესაბამისად სოფელსაც გაშლილ-გაფანტული დასახლების სახე ჰქონდა.

მთხრობელთა გადმოცემით, კარ-მიდამოდ, ანუ „ოხორუდ“ შერჩეულია მზიანი, მეწყრისა და ნიაღვრისაგან დაცული ტყის პირი ადგილი, სადაც ახლოს არის მდინარე და წყაროს წყალი („წყურგილი“). ადგილის „ოხორუ“-დ ასარჩევად სხვადასხვა წეს-ქმედებებს მიმართავდნენ: „ის ადგილი, სადაც ანწლი (მეგრ. ინჭირია) ხარობდა, ოხორუდ ვარგისად ითვლებოდა. „ოხორუდ“ ასარჩევი ადგილიდან მიწა მიჰქონდათ მკითხავთან, რჩევის საკითხავად, იქ დასახლებულიყვნენ თუ არა“.

„ხარს ყურს მოაჭრიდნენ და გაუშვებდნენ: იქ, სადაც ეს „გამწარებული“ ხარი დაწვებოდა, ოხორუდ ვარგისად ითვლებოდა“.

ჯგალის თემში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სამოსახლოდ ყოველთვის მზიან და მშრალ ადგილს ირჩევდნენ. სამოსახლოდ ადგილის ასარჩევად მნიშვნელობა ენიჭებოდა სასმელად ვარგისი წყლის (წყარო, მეგრ. „წყურგილი“ და სხვ.) სიახლოვეს. ასევე უპირატესი იყო ტყის და გზის სიახლოვე. სამოსახლოდ ასარჩევ ადგილას გობს დადგამდნენ, თუ მას მეორე დილით ნამი მოეკიდებოდა ადგილი სამოსახლოდ ვარგისად ითვლებოდა. იყო ასეთი წესიც: სამოსახლოდ ასარჩევ ადგილზე ქვას გადააბრუნებდნენ. თუ მის ქვემოთ ჭიანჭველები იყო, იტყოდნენ სამოსახლოდ კარგი იქნებაო; თუ ჭიას ნახავდნენ, იქ არ დასახლდებოდ-

ნენ. სახნავ-სათესი მიწა ეზოს შიგნით ჰქონდათ, მაგრამ თუ ეს საკმარისი არ იყო, ახლო-მახლო მდებარე ადგილებს ახოს აღებით („ჭვარუა“) შემოღობავდნენ და ამუშავებდნენ.

ნ. თოფურიას მასალების მიხედვით, ზუგდიდის რაიონის სოფლებში, ოხორუდ ადგილის არჩევისას სხვა წეს-ჩვეულებებიც სცოდნიათ: „სახლის დასადგმელი ნიადაგის შერჩევისას, შუა ადგილას ღამით სავსე ჭიქა წყალს დადგამდნენ, ჭიქას თუ წყალი დააკლდებოდა, იტყოდნენ — ბედნიერი სამოსახლო არისო“; „სამოსახლოს შუა ადგილიდან მიწას აიღებდნენ, დაფშვნიდნენ და კრუხს შეუყრიდნენ. თუ ბედნიერი სამოსახლო იქნებოდა, ყველა წიწილა გამოიჩეკებოდა“; „ბედნიერ ადგილს ძროხა ამოირჩევსო, სადაც ძროხები ჯგუფად დაწვებოდნენ, იტყოდნენ, კარგი სამოსახლო ადგილიაო“; „სამოსახლო მიწაზე დასახლდებოდნენ და ძაღლს „დაიბარებდნენ“, თუ ძაღლი დაწვებოდა, მაშინ სამოსახლოდ საიმედო ადგილი იქნებოდა“.[1]

„ოხორუ“ შემოღობილი იყო ბუნებრივი „ეკალ-ბარდით“, რომელსაც „ნორტყს“[2] უწოდებდნენ. „ეზოს“[3] წინა მხრიდან, ჭიშკრის გაყოლებაზე მარჯვნივ და მარცხნივ წნელისაგან („ჭინუ“) მოწნულ („ღობილი“) ღობეს („ღობერი“) შემოავლებდნენ.[4] როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, XX ს-ის 30-იანი წლებიდან აქ შემოდის „ტრიფოლიატი“-ს[5] ღობეებიც. ღობეს აკეთებდნენ აგრეთვე აკაციის (მეგრ. „ლაკაცია“) ან მუხის (მეგრ. „ჭყონი“) შუაზე გაპობილი ხეებისგანაც, რომელთა ერთმანეთზე დაწყობით და დამხმარე სარების (მეგრ. „მასარი“) საშუალებით ამოყავდათ კედლის მსგავსად, მას „ხარხი“ ეწოდებოდა.

ეზოს ანუ „ოხორუ“-ს შუაში იდგა ოდა სახლი (ოდა სახლის შემოსვლამდე ფაცხა, ჯარგვალი ან პიტაფიცარა, იგივე განის სახლი), რომლის უკან იდგა შუაცეცხლიანი „ჯარგვალი“ ან ფიცრული (პიტაფიცარა) ერთოთახიანი პატარა სამზადი სახლი.[6] სამზადი სახლის გვერდით ან უკან იდგა სასიმინდე (მეგრ. „მაღაზა“), რომელიც ოთხ ბოძზე („ბარჯგზე“) იყო შეყენებული დაახლოებით 2 მ სიმაღლეზე, ზემოთ კი წნელისაგან იყო მოწნული („ღობილი“). სცოდნიათ ორსართულიანი ჯარგვალური ნაგებობაც, რომლის პირველი სართული საქათმედ ან საძროხედ იყო გამოყენებული, ხოლო მეორე — სასიმინდედ. „მაღაზასთან“ ერთად ეზოში იდგა „ბაღ“ (ნანია, ნალია)[7], რომელიც წაბლის („ჭუბური“) ან მუხის („ჭყონი“) ფიცრებისგან იყო ნაგები ისე, რომ მასში თაგვიც ვერ შეაღწევდა. ის გამოიყენებოდა „ღომის-ღომის“ („ღუმუშ-ღუმუ“) და სხვადასხვა სახის ხილეულის შესანახად. საცხოვრებელი სახლის უკან, ცოტა მოშორებით იდგა საქათმე („ოკარიე“)[8], სახლიდან მოშორებით, ეზოს ბოლოში, უკანა მხარეს იდგა „ქუფე“.[9] ის ისლით („ისირი“) გადახურულ, წნელისაგან მოწნულ ნაგებობას წარმოადგენდა და თხების სადგომად გამოიყენებოდა, რომელიც „აგვარა“-ს შიგნით იყო გამართული. „აგვარა“[10] საქონლის გასაშვებ, ღია ცის ქვეშ შემოკავებული ადგილი იყო, რომელიც მდებარეობდა ეზოს ბოლოში, უკანა, განაპირა მხარეს, სადაც ქუფესთან ერთად იდგა ჯარგვალურად ნაშენი საძროხე („ოჩხოულე“). ოხორუდან ცოტა მოშორებით, წინ ან უკანა მხარეს იდგა საღორე („ოსკუ“), რომელიც ასევე ჯარგვალურად ნაგებ, ისლით გადახურულ ნაგებობას წარმოადგენდა და ღორების სადგომად გამოიყენებოდა. ოხორუს შიგნით მდგარ თითქმის ყველა ნაგებობასთან მიდიოდა საცალფეხო ბილიკი „შარა“, რომელიც ეზოს უკან ან გვერდითა მხარეებში გამართულ გადასასვლელებს უკავ-

---

[1] **ნ. თოფურია,** ახალი საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში// საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 133.

[2] **„ნორტყი“** სიტყვასიტყვით ნიშნავს „გარშემორტყმას“, „შემოხვევას“, „დახვევას“; ეკალი და სხვა მცენარეები ანუ ერთად აღებული „ბარდი“ გარს შემოერტყმოდა იმ ხეებს, რომლებიც ეზოს გაყოლებაზე იდგა და ბუნებრივი ღობე იქმნებოდა.

[3] **„ეზო“** ეწოდებოდა არა მარტო იმ ტერიტორიას, რომელიც უშუალოდ საცხოვრებელი სახლის წინ მდებარეობდა, არამედ მთლიანად „ოხორუ“-ს, ე. ი. იმ ფართობს, რომელიც ერთი კარ-მიდამოს ფარგლებში იყო მოქცეული.

[4] **„ღობეს“** ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფლებში „ღანდა“-საც უწოდებდნენ.

[5] **„ტრიფოლიატი“** — მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე.

[6] **ოდა** და **პიტაფიცარა** ანუ **განის სახლი** ძველად აქ მხოლოდ თითო-ოროლა შეძლებულ ოჯახს თუ ედგა. გლეხის საცხოვრებელს **ფაცხა** ან **ჯარგვალი** წარმოადგენდა.

[7] **„ბაღ“** ყველას არ ედგა.

[8] **„ოკარიე“** ყველას არ ედგა, ვინაიდან ქათმები ღამით ხეზეც ადიოდნენ.

[9] **„ქუფე“**-ს აქ „მარაკა“-საც ეძახდნენ.

[10] **„აგვარა“** — აქ „გოჭოფილი“-ს (შემოკავებული) სახელწოდებითაც არის ცნობილი.

შირდბოდა, რომელსაც „ოლაგე“[1] ეწოდებოდა. ოხორუს წინა ეზოში იდგა დიდი მრავალწლიანი ხეები, რომელსაც ქარსაფარის და საჩრდილობლის დანიშნულება ჰქონდა.

ოხორუს შიგნითა ტერიტორია ძირითადად დაკავებული ჰქონდა ხეხილს და საბოსტნე („საორტვინე“) ადგილს, ხოლო სახნავ-სათესი ფართობი ეზოს შიგნით მცირე რაოდენობით ან საერთოდ არ ჰქონდათ; ის მდინარის პირას, ვაკე სამეგრელოს ტერმინით „რზენ“ (ვაკე), ხოლო მთისწინეთის ტერმინით „ჭალე“ (ჭალა) ადგილებში იყო გამართული. ბოსტანი („ორტვინი“) ეზოს შიგნით ცალკე შემოღობილი ადგილი იყო, მდებარეობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ოღონდ ნაყოფიერი მიწა ყოფილიყო. ოხორუს შიგნით დარგულ თითქმის ყველა ხეზე აშვებული იყო სხვადასხვა ადგილობრივი ჯიშის ვაზი.

ოხორუს უკან, წინ ან გვერდით, პლატო და მთისწინა სამეგრელოში თითქმის ყველა ოჯახს აქვს საკუთარი მამაპაპეული ტყის ნაკვეთი („ტყა“), რომელიც ერთმანეთისაგან ხელოვნურად გაკეთებული განიერი თხრილით არის გამოყოფილი, სადაც თითქმის ყველგან სანიშნედ ნახშირია ჩამარხული.

დღევანდელი სამეგრელოს სოფლის დასახლებაც დაახლოებით ამგვარი კარმიდამოების სისტემით არის წარმოდგენილი, თუმცა ბევრი რამ აქაც შეიცვალა. დღეს ადგილის სამოსახლოდ არჩევისას აღარავინ აქცევს ყურადღებას ზემოთ წარმოდგენილ ხალხურ ემპირიულ ცოდნას თუ რწმენა-წარმოდგენებს, დაირღვა გარკვეული წესრიგი კარმიდამოს მოწყობის მხრივ, ძირეულად შეიცვალა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ფორმები, რაც ალბათ უმნიშვნელო რამეა და შესაძლოა ზემოთ აღწერილი ძველი წესი მხოლოდ ტურისტული თვალსაზრისით იყოს საინტერესო, მაგრამ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოსახლეობას ურჩევნია კარმიდამო გამართოს გზისპირას და არ აქცევს ყურადღებას არც სასმელი წყლის, არც ტყის და არც კარმიდამოს შიგნით ნაყოფიერი მიწის არსებობას, რაც ასუსტებს ოჯახის ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

საცხოვრებელი ნაგებობები (ფაცხა, ჯარგვალი, პიტაფიცარა, განის ანუ ბოყვის სახლი, ოდა, ათაბოგი). კოლხური საცხოვრებელი, როგორც ამას საკმაოდ ვრცელი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ, ტრადიციულად ხის არქიტექტურით იყო წარმოდგენილი. ტრადიციული საცხოვრებლები, „ფაცხა“ იქნებოდა ეს თუ „ჯარგვალი“, შეესაბამებოდა ამ მხარის კულტურულ, ეკონომიკურ და კლიმატურ პირობებს. წერილობით წაყაროებში დადასტურებული უძველესი ცნობა კოლხურ საცხოვრებელზე აქვს ძველ ბერძენ სარდალსა და ისტორიკოსს ქსენოფონტეს (ძვ. წ. V-IV სს.). მისი ცნობების თანახმად, კოლხური საცხოვრებელი სახლი ძირითადად წარმოადგენდა ჯარგვალურ ნაგებობას, რომელიც მიწის მოზვინვის შემდეგ, ხელოვნურ თუ ბუნებრივ დიხა-გუძუბებზე შენდებოდა.

კოლხურ საცხოვრებელზე ამასვე ადასტურებს ბერძენი ექიმი ჰიპოკრატე (ძვ. წ. V-IV სს.), რომელიც აღნიშნავს: „...ხოლო ვინც ფაზისში ცხოვრობს, მათ შესახებ [შემდეგი მაქვს სათქმელი]: ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და [მათი] ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავთსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია“.[2] ჰიპოკრატეს მიერ დახასიათებული კოლხთა ცხოვრების წესი, გეოგრაფიული გარემო და საცხოვრებელი ამ კუთხის ცხოვრების რეალურ სურათს ასახავს. ჰიპოკრატეს მიერ ნახსენები ხისა და ლერწმის სახლები ჭაობში სხვა არაფერია თუ არა ხელოვნურ ბორცვებზე დასახლება, ხოლო მეორე მხრივ არ არის გამორიცხული ლერწმის სახლების სახით საქმე გვქონდეს კოლხეთის დაბლობში ეთნოგრაფიულადაც ფიქსირებულ ისეთ საცხოვრებელ ნაგებობასთან, რომელსაც „ათაბოგი“ ეწოდება და რომელიც ყოველგვარი მიწის მოზვინვის გარეშეც ინდივიდუალურად ეწყობოდა ჭაობში.

ძველი და ახალი წელთააღრიცხვების მიჯნაზე კოლხური საცხოვრებლის საკმაოდ დეტალური არქიტექტურული აღწერილობა დაგვიტოვა რომაელმა არქიტექტორმა ვიტრუვიუსმა. იგი წერდა:

---

[1] **„ოლაგე“** — ღობეზე გაკეთებული პატარა კიბე, რომელზეც შესაძლებელი იყო გადასვლა.

[2] **თ. ყაუხჩიშვილი,** ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 45.

„კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით. მათ ზემოთ კი თავსა და ბოლოს გარდიგარდმო გასდებენ სხვა ძელებს, რომელიც ამგვარად ზღუდავენ ბინის შინაგან სივრცეს. შემდეგ ოთხივე მხარეს კუთხეებში შეუღლებული ხეების თანდათანობით წყობით ამოყავთ რა ძირითა ძელების შვეულად ხის კედლები, აგებენ კოშკებს და შუალედებს, რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი სისქის გამო, ამოავსებენ ფათხებითა და თიხით. ასევე (აგებენ) სახურავებსაც: გასდებენ რა ნაპირიდან დაცილებით გასაყარებს, რომლებიც ზევითკენ თანდათანობით მოკლდება, ოთხივე მხრიდან შუისკენ ამოჰყავთ პირამიდები, რომლებიც ფოთლებითა და თიხით დახურულნი წარმოადგენენ ბარბაროსთათვის ჩვეულებრივ კუს მაგვარ კოშკურ სახურავებს“.[1]

ისტორიკოსი, არქეოლოგი დ. ხახუტაიშვილი მიიჩნევს, რომ ვიტრუვიუსისეული კოლხური საცხოვრებელი ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ჩვენს დრომდე შემორჩა, ხოლო მისი ფესვები ძვ. წ. III-II ათასწლეულის სიღრმეში იკარგება. მისი აზრით, ვიტრუვიუსი სრულებითაც არ აღწერს ისეთ ნაგებობას, როგორიც ლ. სუმბაძეს და დ. მშვენიერაძეს აქვს მოცემული. ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის კოლხებს მშენებლობის ის პრიმიტიული საფეხური, კედლების ამოყვანაში, რომელიც მათ აქვთ მოცემული, თითქოს ვიტრუვიუსის მიხედვით, უკვე დიდი ხნის გავლილი აქვთ.[2] ავტორი აქ იშველიებს მუხურჩა-ნოსირის სამოსახლოს ბორცვებზე აღმოჩენილ ნაგებობათა ნაშთებს, რომელიც ჩვეულებრივად ორი ძირითადი ტიპის ყოფილა: ჯარგვალისებური წყობის, სქელი მორებით ან შედარებით ვიწრო ძელებით ამოყვანილი კედლებითა და წნულკედლიანი. ორივე ტიპის კედლები გარედან თიხით იყო შელესილი. არქეოლოგ ე. გოგაძის აზრით, ამ მონაცემების მიხედვით, კოლხური ხის ნაგებობები შელესილობით განსხვავდება „ვიტრუვიუსის კოლხური სახლისაგან“, რომლისთვისაც ვიტრუვიუსის მიერ არ არის მითითებული კედლის შელესილობა, არამედ აღნიშნულია, რომ ჯარგვალური წყობის ხეებს შორის სიცარიელე არის თიხითა და ნაფოტებით, თუ ფათხებით ანუ ძალაკებით, შევსებული. მისივე აზრით, ჭდობით ძელების დაკავშირებასთან ერთად უნდა არსებულიყო მრგვალი ხეების წყობის არსებობა ყოველგვარი ჭდობის გარეშე.[3]

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს, პირველ რიგში იმის გამო, რომ შეუძლებელია ჭდობის გარეშე ჯარგვალური ტიპის ნაგებობის მშენებლობა. მართალია ვიტრუვიუსთან არ ჩანს თუ როგორ კრავდნენ ამ მრგვალ ხეებს, ანუ რისი საშუალებით აკავშირებდნენ მათ ერთმანეთთან, მაგრამ მარტივად რომ ვთქვათ, ჭდობის გარეშე ასე ამოყვანილი მრგვალი ხეების კედელი, ანუ ჯარგვალურად აშენებული სახლი, გარედან ყოველგვარი დიდი ზემოქმედების გარეშეც (ქარი, წყალდიდობა და სხვ.) წაიქცეოდა ან მალევე მიიღებდა დეფორმაციას. ამგვარი მშენებლობის პრაქტიკა არსად ფიქსირდება. ჩვენი აზრით, ვიტრუვიუსმა უბრალოდ არ ჩათვალა საჭიროდ ხაზი გაესვა ძელების ჭდობის ტექნიკისათვის, რამდენადაც ეს საყოველთაო და უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი სამშენებლო პრაქტიკა იყო. ამ მიმართულებით ყველაზე უფრო მართებულად მიგვაჩნია ლ. სუმბაძის მოსაზრება, თუმცა კოლხეთში დარბაზის ტიპის სახლის არსებობის ნაწილში ის სადაოა, თუ არ ჩავთვლით გადახურვის თავისებურებას, რომელიც მართლაც ჰგავს დარბაზის პროტოტიპს.[4]

ვიტრუვიუსიდან ჩვიდმეტი საუკუნის შემდეგ არქანჯელო ლამბერტი აღწერს რა კოლხურ საცხოვრებელს, აღნიშნავს, რომ „მეგრელები ჩვენი ხუროთმოძღვრების კანონებს სრულიად არ

---

[1] ვიტრუვუსის „კოლხური სახლის“ ლ. სუმბაძისეული თარგმანი, იხ. **Л. З. Сумбадзе,** Колхидское жилище по Витрувию, Тб., 1960, გვ. 48. არსებობს ამ ტექსტის სხვა თარგმანებიც. სახლის ტიპოლოგიის შესახებ მეცნიერებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული (ლ. სუმბაძე, ვ. გაგოშიძე, თ. ჩიქოვანი, შ. ამირანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი), რაც ამჯერად ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებს სცილდება.

[2] **დ. ხახუტაიშვილი,** შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ-ლათინთა ცნობებით, თბ., 2009, გვ. 83.

[3] **ე. გოგაძე,** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა (ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით), თბ., 1982, გვ. 77-79.

[4] **ლ. სუმბაძე,** კოლხური საცხოვრებელი სახლი ვიტრუვიუსის მიხედვით// საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №6, თბ., 1945, გვ. 493-497.

მისდევენ და მათი სახლები არც დასატევია, არც მაგარი და არც მშვენიერი. პირველად ყოვლისა მეგრელის სახლში კაცი ვერ მოთავსდება კარგად, რადგან სახლი წარმოადგენს მხოლოდ ერთს ოთახს, სადაც ბატონებიც, მოსამსახურეებიც, კაცებიც და ქალებიც ერთად შემწყვდეულან. ამ ოთახის შუაგულში ზამთრობით მუდამ ცეცხლია გაჩაღებული და ლაპარაკის და ერთმანეთში ბაასის გამო ისეთი ხმაურობაა, რომ შეუძლებელია კაცმა აქ მოისვენოს..., რაც შეეხება სახლების სიმაგრეს, ამის თაობაზე საკმაოა ვთქვათ, რომ სახლები სულ ხისგან შენდება და ისლით ჰხურავენ. აქ არავინ არ არის დარწმუნებული, რომ მისი სახლი საღამომდე მთელი იქნება, რადგან ქარი რომ ამოვარდება, გადააგლეჯს ისლს და სახლი დარჩება უსახურავოდ, ან და შემთხვევით ნაპერწკალი მოხვდება და სახლი ერთიანად გადაიწვის. სიმშვენიერეს ხომ სრულიად მოკლებულია მათი სახლები, რადგან ფანჯრები არ აქვთ და სინათლე შედის მხოლოდ კარის შემწეობით და რადგანაც კარი პატარაა, სინათლეც სულ ცოტა შედის სახლში. არამც თუ არავითარი მხატვრობა არა აქვს სახლს, არამედ გამუდმებული კვამლის გამო ისე გაჭვარტლული და გაშავებულია სახლი, რომ იფიქრებთ, ბუხარში ვარო და არა პატიოსან სადგომში“.[1]

არქ. ლამბერტის თხზულებაში საინტერესოა მეგრელთა ცხოვრების წესის დასახლების ფორმისა და საცხოვრებელი ნაგებობების გამართვის თავისებურებების გეოგრაფიულ გარემოსთან მიმართებაში აღწერა: „ხოლო რამდენად მოკლებულნი არიან მეგრელები ხელოვნებას სახლების აშენებაში, იმდენად ბუნებას უხვად დაუბერტყია სამეგრელოსათვის თავისი კალთა და მიუცია მოხერხებული და მშვენიერი მდებარეობა. სამეგრელო მდიდარია ამწვანებულის გორაკებით, ვრცელის ველებით, კეკლუცის ჭალაკებით, მდინარეებით, ღელეებით და წყაროებით, რომელიც ყოველის მხრით ჩამოუდის. ვფიქრობთ, რომ ამ ბუნების სიმშვენიერეა მიზეზი, რომ მეგრელები არ ცდილობენ მაგარი და მშვენიერი სახლები ააგონ, რადგან ჰსურთ დროს შესაფერად სხვადასხვა ადგილას გადავიდნენ და ყველგან შესაფერის სიამოვნებით დასტკბენ. კარგად და მდიდრულად აშენებული სახლი ხომ ერთს ადგილას იჭერს კაცს. მეგრელები, რათა ყოველივე ადგილის სიამოვნება იგემონ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან. ამიტომ ადვილად და მცირე ხარჯით იშენებენ ნაირ-ნაირ სახლებს, ცალცალკე, სოფლად, ვისაც სად ურჩევნია; არა აქვთ მათ არც ქალაქი და არც დაბა, რომ შეჯგუფულად სცხოვრობდნენ. ზოგი იშენებს სახლს გორაზე, ზოგი ვაკეზე, ზოგი პატარა ტყეში და ზოგიც წყლის პირად. ვინც კი უფრო შეძლებულია, ყოველგან თითო სახლი აქვს, რათა დროს შესაფერისად შეძლოს ხან ერთ ადგილზე და ხან მეორეზე იცხოვროს. ზამთარში თავს აფარებს ტყეში, სადაც შეშას ბლომად შოულობს და ცეცხლს განუწყვეტლივ ანთებს სახლში; თან ხშირი ხეები ქარისაგან იფარავს და თან გარეული ღორისა და ირმის სიმრავლისა გამო ნადირობასაც მუდამ შეექცევა. აქ გადმოჰყავთ თავიანთი წვრილფეხი და მსხვილფეხი საქონელი, რომელიც აქ სიცივისაგან თავს იფარავს და მშვენიერ საბალახოსაც ჰპოულობს.

ზაფხულობით კი მეგრელები მიდიან სადგომად მთა ადგილებზე, სადაც მრავალნაირი ხილია და მახლობლად ანკარა წყაროები ჩამოჩუხჩუხებენ; მერე რამდენი საჩრდილობელი ხეებია იქ, რომელთა ქვეშაც შეუძლიანთ განცხრომას მიეცნენ და დასტკბენ გრილის ნიავით. გაზაფხულსაც და შემოდგომასაც შესაფერ ადგილებს არჩევენ. მხოლოდ ზღვის პირას არა აქვთ სახლები, როგორც ცუდის ჰაერის მიზეზით, ისე მეზობელ ბარბაროსების თავს-დაცემის შიშით“.[2]

ლამბერტის აღწერილობიდან ფაქტობრივად ისე გამოდის, რომ მეგრელები თითქოს მომთაბარეობას ეწევიან, თუმცა მისი ეს დაკვირვება მართებული არ არის. ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის მიზეზი უნდა ყოფილიყო მეურნეობის ფორმა და სამოსახლო ადგილის ვარგისიანობა. ამის მიზეზი შესაძლოა აქ ბატონყმურ ურთიერთობათა ფორმებში ვეძებოთ, რამდენადაც ამა თუ იმ მებატონისგან შესაძლოა გლეხები სხვა ადგილას გარბოდნენ და ახალი ბატონის მფარველობაში ან „უბატონო“ ადგილას სახლდებოდნენ. ასევე, აქ საქმე უნდა გვქონდეს გადარეკვითი მესაქონლეობის ფორმებთან, როდესაც საქონლის გამოსაკვებად ზამთრის და საზაფხულო საძოვრებზე მუდმივ გადაადგილებას აქვს ადგილი. ამ მიზნით ისინი სხვადასხვა ადგი-

[1] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 36-37.

[2] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 37-38.

ლებში იშენებდნენ დამხმარე სამეურნეო ბაზებს, ე. წ. „კარეს“ (კარავი), რომელიც სამეგრელოს ეთნოგრაფიულმა ყოფამ დღემდე შემოინახა.

ლამბერტიდან ორი საუკუნის შემდეგაც (XIX ს.), როდესაც უკვე ქართულ სოფელშიც გარკვეულწილად კაპიტალისტურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ცხოვრების ახალი წესი შემოდის, მეგრული საცხოვრებელი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ზემოთ აღწერილ ფორმებს ინარჩუნებს. ამის დამადასტურებელი უამრავი მასალა არსებობს. საილუსტრაციოდ კ. ბოროზდინის აღწერილობაც საკმარისია: „აქაურები ცხოვრობენ ყავრით გადახურულ ჯარგვლებში, რომელთაც ორი კარი ჰქონდა წინა და უკანა, ანდა წნელისაგან მოწნულ, ისლით გადახურულ ფაცხებში, ამ ფარღალალა საცხოვრებელ ბინებს კარგად დატკეპნილი მიწური იატაკი ჰქონდა, რომლის შუა გულში მუდმივად ენთო ცეცხლი, ხოლო კედლების გასწვრივ განიერი ტახტები იდგა, ქეჩებ ან ჭილობ გადაფარებული. ამ ტახტებზე იდგა ზანდუკი, რომელშიც ელაგა შინაური რამე-რუმე და დაკეტილი ლოგინი. აი ასე ღარიბულად იყო მორთული სახლი გლეხისაც და თავადისაც“.[1]

როგორც ვხედავთ, ეს ტრადიციული, კოლხური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სახე ათასწლეულებში იკარგება და თითქმის უცვლელად ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ დრომდე ნარჩუნდება. ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, საცხოვრებელ ნაგებობათა ადრეულ ფორმებს წარმოადგენდა „ფაცხა“ და „ჯარგვალი“ სახლი, ხოლო შემდეგ შემოვიდა „პიტაფიცარა“, იგივე „ბოყვის“, ანუ „განის სახლი“. მის განვითარებულ ფორმას, როგორც ჩანს, წარმოდგენდა „ოდა“ სახლი, რომელიც ბოლო დრომდე შენარჩუნებულია და საცხოვრებლად დღესაც გამოიყენება. ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე დასტურდება, რომ ხის ოსტატობით ცნობილი ადამიანები თითქმის ყველა სოფელში იყვნენ. მაგალითად, ხუნწის თემში ჩვენი მთხრობლის სერგო ხუნწელიას (სოფ. ლეხუნწელიე-ქვაითი) თქმით, მისი წინაპრები ხის ოსტატები იყვნენ. ჭოღის თემში ხის ოსტატები იყვნენ ბარდღა, ბერა, შოთა და ნიკოლოზ შენგელიები. სამეგრელოში ოდა სახლების ასაშენებლად ლაზი და რაჭველი ოსტატებიც დადიოდნენ. როგორც ნ. თოფურია აღნიშნავს, „მეგრელი ხის ოსტატი ძირითადად ხუროობით არ იყო შემოფარგლული, ის ამავე დროს მეურნეც იყო. ხუროები სამეგრელოს ზოგიერთი რაიონიდან სეზონურად გადიოდნენ სამუშაოდ აფხაზეთში. სამუშაოდ გასვლის დროც მტკიცედ ჰქონდათ დადგენილი. ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრები ხის ოსტატის დოდო გაძას ძე ჯოჯუას გადმოცემით, „აპრილი რომ დადგებოდა, ხის საქმიანობას მივატოვებდით, ნოემბრიდან კი ხის სამუშაოდ გავდიოდით აპრილამდეო“.[2]

ხის საშენი მასალით მეტად მდიდარი იყო დასავლეთ საქართველო. ჯერ კიდევ ბერძენ-ლათინი ავტორებიც დიდად აქებენ კოლხეთის სატყეო მეურნეობას და აღნიშნავენ მისი პროდუქციის მნიშვნელობას სხვა ქვეყნების მეურნეობისათვის.[3] ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, აქ თითქმის ყველა ოჯახს თავისი მამაპაპისეული ტყე აქვს. საშენ მასალად ძირითადად გამოიყენებოდა თხმელის („თხუმუ“), მუხის („ჭყონი“), ლანჯის („იაფანი“, „კოპიტი“) და წაბლის („ჭუბური“) ხეები იმის მიხედვით, თუ რა ტიპის საცხოვრებელი ნაგებობა შენდებოდა. ხის მოჭრის შემდეგ საშენი მასალის დამზადება ადგილზე ხდებოდა. შემდეგ ურმებით, და თუ ახლოს იყო ხელითაც გამოჰქონდათ ტყიდან. თუ ფიცრებს ადგილზე არ დაამზადებდნენ, მოჭრილი დიდი მორები ტყიდან „ნჯოლით“[4] გამოჰქონდათ. სამასალე ხის მოჭრას განსაზღვრული დრო ჰქონდა. ის აუცილებლად სავსე მთვარეზე უნდა მოჭრილიყო. საშენ მასალად გამოსაყენებელი ხის მოჭრის ფაზები იყო: 15 აგვისტოდან 15-20 იანვრამდე, ან ადრე გაზაფხულზე — 15 მარტიდან 25-27 მარტამდე. ასეთ დროს მოჭრილ ხეს, როგორც ჩვენი მთხრობლები გადმოგვცემენ, „კიტიტი“[5] არ უჩნდებოდა. სახლის ასაშენებელი მასალის დამზადების და სახლის აგების დროს ახლო

---

[1] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი, გვ. 100.

[2] **ნ. თოფურია,** ახალი საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 132.

[3] **დ. ხახუტაიშვილი,** შავიზღვისპირეთის ქართველური ტომები ბეძენ-ლათინთა ცნობებით, გვ. 81.

[4] **ნჯოლა** — ხარების დახმარებით, მათ უღელზე ხის მიბმით, ტყიდან მრგვალი მორების თრევით გამოტანა.

[5] **კიტიტი** — ერთგვარი ჭია („ჩრჩილი“), რომელიც ასეთ ხეს უჩნდებოდა და მის ზედაპირზე ნახვრეტებს აჩენდა.

მეზობლებმა (გვარს მნიშვნელობა არ ჰქონდა) ურთიერთდახმარება იცოდნენ, რაც მეზობლებს შორის სამაგიეროს გადახდაზე არ იყო დაფუძნებული.

ოჯახის გაყოფის შემთხვევაში იყოფდნენ ტყესაც, რომელიც აქ თითქმის ყველა ოჯახს საკუთრად გააჩნდა. რა თქმა უნდა, აქ არ არის ტყის დიდ მასივებზე საუბარი, არამედ ისეთ ტყის ნაკვეთებზე, რომელსაც ოჯახი უვლიდა და აშენებდა სპეციალურად. აღსანიშნავია, რომ თხმელას მოსაშენებლად შემოკავება არ სჭირდებოდა, პირველ ეტაპზე, სანამ ტანს არ აიყრიდა საჭირო იყო შემოკავება რცხილის ტყის ნაკვეთის, რამდენადაც მას საქონელი არ გაუშვებდა. დღეს, სამეგრელოში, ამგვარი მამაპაპისეული, თავისი შრომით გაშენებული ტყის ნაკვეთები ოფიციალურად არც ერთ ოჯახს არა აქვს საკუთრებაში, ამის მიზეზი კანონმდებლობაა და სრულიად გაუგებარია, რატომ არ აძლევენ მოსახლეობას საკუთრებაში თავისი შრომით გაშენებულ ტყის იმ მცირე ნაკვეთებს, რომელიც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დღევანდელ ვითარებაში სამეგრელოში უმთავრესად შენდება რკინაბეტონის და ე. წ. „ბლოკის“ სახლები და, შესაბამისად, სახლის მშენებლობაში ურთიერთდახმარების ფორმები მეზობლებს შორის იშვიათად გვხვდება. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ამგავარი სახლების აშენება მეზობლების ოსტატობით შეუძლებელია, და თუ ვინმე არის ამის ოსტატი, რა თქმა უნდა, გარკვეული შეღავათების გაწევით, ფულად ანაზღაურებაზეა დამყარებული.

ყველაზე მარტივი საცხოვრებელი ნაგებობა სამეგრელოში **„ფაცხა“** იყო. როგორც საცხოვრებელი ნაგებობა, „ფაცხა“ დღესდღეობით ამ რეგიონის, და არც დასავლეთ საქართველოს, ეთნოგრაფიულ ყოფაში არ ფიქსირდება. ეთნოგრაფიული მასალით დგინდება, რომ სოფლის ღარიბი გლეხობის საცხოვრებლად XIX საუკუნეში და რიგ შემთხვევაში XX საუკუნის 30-50-იან წლებამდეც კი იყო გამოყენებული. ფაცხა სამეგრელოში და, ასევე, თითქმის მთლიანად დასავლეთ საქართველოში, საცხოვრებელი ნაგებობის ერთ-ერთ ყველაზე უძველეს სახეობას წარმოადგენდა. დასტურდება, რომ წრიული მოხაზულობის წნული საცხოვრებლები ნეოლითური ხანისა და ბრინჯაოს ხანის მიჯნაზე უნდა იყოს წარმოშობილი. მათი მემკვიდრეობის გადმონაშთებს წარმოადგენს კოლხური ფაცხების განვითარების ტიპური სახეები.[1] „ფაცხა“ სახლის ადრეული ფორმები გაუსხეპავი წნელით — ფარჩხით იგებოდა. მას შემდეგ, რაც ამ ტიპის საცხოვრებლის შენება გასხეპილი, გათლილი წნელით დაიწყეს, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში „წნული“ თუ „წნური“ სახლი, უფრო გვიან კი, კედლების ტალახით შელესვის გამო „ქოხი“ ეწოდა.[2]

ს. მაკალათიას მიხედვით, სამეგრელოში „ფაცხა“ სახლის ორი სახეობა შემორჩა, რომელიც „ამხარა“-ს და „კუნჭულა“-ს სახელწოდებით იყო ცნობილი. მათ შორის ის განსხვავება იყო, რომ კუნჭულა ფაცხას ჰქონდა მრგვალი და წოპიანი სახურავი და გადახურული იყო გვიმრით, ხოლო „ამხარა“-ს სახურავი უფრო დაბალი ჰქონდა და მას ისლით ხურავდნენ“.[3] როგორც ნ. თოფურია აღნიშნავს, „მართალია ამხარა ზოგჯერ ფაცხა იყო, მაგრამ იგი საწესო ნაგებობაა და არა ფაცხის სახეობა“.[4] ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ფაცხა სახლის ასაშენებლად გამოიყენებოდა თხილისა და იელის („იბლი“) გაუსხეპავი წნელი („ჭინუ“), რომელიც ტყეში უხვად ხარობდა. ფაცხის აშენებას ოსტატი არ სჭირდებოდა, მისი კედლის ამოყვანა ყველას შეეძლო. ჯერ შეარჩევდნენ ოთხკუთხედი ან წრიული ფორმის საფაცხე ადგილს, რომლის ფართობი წინასწარი ზომებით ზედმიწევნით განსაზღვრული არ იყო და თვითონ ადამიანის გემოვნებაზე იყო დამოკიდებული. მიწას კარგად დატკეპნიდნენ, გაამზადებდნენ; შემდეგ ჩასვამდნენ აკაციის სარებს პირდაპირ მიწაში, ყოველგვარი საძირკვლის გარეშე[5] და ირგვლივ წნელით შემოღობავდნენ. ამგვარად, წნული კედლების

---

[1] **ი. ადამია,** ქართული ხალხური ხეროთმოძღვრება. აფხაზეთი, II, თბ., 1968, გვ. 16.

[2] **გ. გეგეჭკორი,** საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი სახეობა სამეგრელოში („ფაცხა“), *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, I, თბ., 2000, გვ. 35.

[3] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 245.

[4] **ნ. თოფურია,** ახალი საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 135.

[5] ფაცხისთვის ასევე სცოდნიათ საძირკვლის (ოსხირი) გადება, რომელიც ალბათ უფრო გვიანდელი მოვლენაა, იხ. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1971, გვ. 385.

ამოყვანის შემდეგ, ზემოთ „ორტყაფუებს“ (სარტყლები) დაადებდნენ. წინა და უკანა კედელზე „სანთა“-ს (თავხე) გასდებდნენ, მას „ომპა“-საც ეძახდნენ. სანთაზე „ციგს“ (ძელი, რომელიც სახურავს ვერტიკალურად ედება სახლის ცენტრში) აღმართავდნენ, რომელზედაც „ქუდს“ წამოაცმევდნენ, მასზე „კაკუტებს“ გააწყობდნენ. კაკუტებს „ჭოკებით“ დასერავდნენ, შემდეგ კი ისლით („ისირი“) გადახურავდნენ. ფაცხას ხურავდნენ ასევე ერთგვარი მცენარით, რომელსაც „წალამი“ ერქვა. სცოდნიათ გვიმრით („გვიმარა“) და სიმინდის ჩალით („ჭა“) გადახურვაც. ზამთარში ფაცხას გარედან ჩალაშეზავებული ან გვიმრაშეზავებული ტალახით გალესავდნენ („გოსიროტუა“), რომ იქ მცხოვრებნი სიცივისაგან დაეცვა.[1] ამგვარად შელესილ თუ შეფუთულ ფაცხას გ. გეგეჭკორის მიხედვით, „სატიბა“ (მეგრ. „დათბუნული“) ფაცხა ეწოდებოდა.[2]

ფაცხის შუა ადგილას გამართავდნენ კერას („ყებური“), რომლის თავზე დადებდნენ „ბუკ“-ს (თავხეჯირკვი), რომელსაც „ოდუდალე ბუკს“ (სიტყვასიტყვით „სათავო ბუკი“) ეძახდნენ. კერიდან ასული კვამლი ფაცხის სახურავის წვერზე დატანებული ხვრელიდან გადიოდა, რომელსაც „ოფურკე“-ს (სიტყვასიტყვით „საბოლე“) ან „საკუმა“-ს (სიტყვასიტყვით „საკვამლე“) ეძახდნენ. ეს საკუმა//ოფურკე ისე იყო გაკეთებული, რომ წვიმის დროს იქიდან წყალი შიგნით ვერ აღწევდა. კერის თავზე ეკიდა საკიდელის ჯაჭვი („ლანჭა“). ფაცხის კედლებზე მიწნული („მიკოღობილი“) იყო საწოლები, რომელსაც „ლოგინს“ უწოდებდნენ. მასზე ოჯახში ნაქსოვ აბრეშუმის ქსოვილს დააფენდნენ, უფრო ადრე — ღომის-ღომის ჩალას („წუ“), და მასზე წვებოდნენ.

ფაცხასთან ერთად **„ჯარგვალი“** სახლიც კოლხური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უძველესი ნაგებობაა, რომლის ადრეული ფორმები ნეოლითის დროიდანაა ცნობილი.[3] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ჯარგუალი“ — „ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამ-ოთხ კუთხედ მაღალი, ვიეთნი კიდობანად სახელ-სდებენ“.[4] ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ტერმინი „ჯარგვალი“, როგორც საცხოვრებლის აღმნიშვნელი, გავრცელებული ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოშიც, კერძოდ კი ქიზიყში, დასავლეთ საქართველოში — ქვემო იმერეთში, ქვემო რაჭაში, გურიაში და აჭარაშიც, ხოლო სამეგრელოში ჩვეულებრივი ტერმინი იყო. „ჯარგვალი“ ზემო სამეგრელოში მრგვალი ხეებისაგან შეკრული, „ისლით“, „ხაიათი“ ანდა „ლაქაშით“ დახურული სახლია, ანუ დოშაკ (ე. ი. მრგვალი) ხეებისაგან აგებული შენობა. ზემო სამეგრელოში ჯარგვლის ბოყვებით აგებაც იცოდნენ, ხოლო ქვემო იმერული გაგებით, ჯარგვალი ყურებიანი სახლი იყო და ისლითა და ბურულით იხურებოდა. გურული ცნობით კი მრგვალი ან შუაზე გაპობილი ღოჯებ-ამოჭრილი შეკრული ნაგებობაა.[5] ნ. თოფურიას დაკვირვებით, „ჯარგვალი მრგვალი ხეებისაგან ოთხკუთხედად აგებული სახლია, რომელიც დახურულია ისლით ან „ხაიათი“. იცოდნენ აგრეთვე სახლის ლასტურად აგება, ასეთი სახლი შიგნით ფიცრულია, ხოლო გარედან თითოეულ ხეს ნაპირები აქვს ჩამოთლილი, შუაში კი სუკია დატოვებული“.[6] ნ. ხოშტარია, სახელწოდება „ჯარგვალ“-ს „ხე მრგვალისაგან“ წარმოშობილად მიიჩნევს.[7] გ. ელიავასთან „ჯარგვალი“ განმარტებულია, როგორც „ძელური“ სახლის ასაშენებელი მრგვალი ხეები“.[8] ს. მაკალათიას აზრით, „ჯარგვალი“ სახლი ფაცხისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მისი კედლები ნაგები იყო გაჩორკნილი გრძელი მორებით. ჯარგვალი მიწური იყო, ზომით პატარა და

---

[1] ქვემო სამეგრელოში კედლების გალესვა ტალახში აზელილი ქატოთიც სცოდნიათ, რაც უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, იხ. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. I, გვ. 392.

[2] **გ. გეგეჭკორი,** ჯარგვალი, კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 2000, გვ. 31.

[3] **გ. ნიორაძე,** არქეოლოგიური გათხრები კოლხეთში// ენიმკის მოამბე, XI, თბ., 1941, გვ. 335.

[4] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, ტ. II. *ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ*, თბ., 1993, გვ. 452.

[5] **ივ. ჯავახიშვილი,** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 163.

[6] **ნ. თოფურია,** ახალი საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 135.

[7] **ნ. ხოშტარია,** დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა// საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, ტ. V, №2, თბ., 1933, გვ. 210.

[8] **გ. ელიავა,** მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997, გვ. 393.

ოთხკუთხედი ფორმის; სახურავი ოთხფარდულიანი ჰქონდა და ისლით იყო გადახურული. ჯარგვლის აგება ფაცხასთან შედარებით მეტ შრომას და ცოდნას მოითხოვდა.[1]

ტერმინ „ჯარგვალის“ სრულიად განსხვავებულ ეტიმოლოგიას გვთავაზობს აკად. გ. ჩიტაია. იგი „ჯარგვალს“ არ მიიჩნევს „ჯა“ და „მრგვალისაგან“ შემდგარ სიტყვად. მისი აზრით, ამ ტერმინში მოცემულია სიტყვა „ჯარ“, რაც წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვა „ჯალ“ (ჯა — ჯალ-ეფი) და აღნიშნავს ხეს, ხოლო მეორე ნაწილი „გვალ“, სვანურში დღემდეა შემონახული. ასე ეწოდება სახლის, სვანური ქორის ქვემო სართულს, მაჩუბის იმ ნაწილს, სადაც საქონელია მოთავსებული, ხოლო იმ ადგილს, სადაც კერა და ადამიანის სადგომია, „სგირშინა“ ეწოდება. სვანურ „გვალ“-ს შესატყვისები მოეპოვება ქართული გომისა, გომურისა და სომხური გონ-ის სახით. ქართულში გომური საქონლის ბაკია, სომხურში — შემორაგული საქონლისათვის, საცხვარე. ამგვარად, ასკვნის ავტორი, „ჯარგვალი“ აღნიშნავს ხის ნაგებობას, ისევე, როგორც იმავე სვანურში ჩვენ გვაქვს ხე-ჭრა ხის ქორ“.[2]

„ჯარგვალი“-ს ეტიმოლოგიისას ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ სიტყვა „ჯარგვალი“ შედგება ორი დამოუკიდებელი სიტყვისგან „ჯა“ (ხე) და „მრგვალი“, „რგვალისაგან“, რომელიც მრგვალი ხეებისგან ნაგები საცხოვრებლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. „ჯა“ თუ „ჯი“ ძელის შესატყვისს წარმოადგენდა, ამ „ჯი“-დან, გ. გეგეჭკორის მოსაზრებით, უნდა წარმომდგარიყო ისეთ თავდაცვით და საცხოვრებელ ნაგებობათა სახელწოდებები, როგორიცაა „ჯიხა“ და „ჯიხური“.[3] იმავე ავტორის მასალებით, სამეგრელოში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობის ჭაობიან დასახლებებში, ჯარგვალის ადრეულ ფორმას წარმოადგენდა „დღვარკალით“ თუ „ჯღვარკალით“, წვრილი ძელებისგან აგებული სახლი. ეს ტერმინი დღეს თითქმის მივიწყებულია. დღვარკალი ეწოდება სამესრეზე ოდნავ მსხვილ ხის ტანს და ამდენად, „დღვარკალი“, ისევე, როგორც „ჯარგვალი“, საკედლე მასალის ასაკისა და ზომის აღმნიშვნელი ტერმინია, რის გამოც ნაგებობამაც, ისევე, როგორც ფაცხამ და შემდეგ ჯარგვალმა, მიიღო სახელწოდება „დღვარკალ-დღვარკალიშ Ქუდე“ (დღვარკალის სახლი).[4]

საცხოვრებელ ნაგებობათა განვითარების ეტაპების მიხედვით, ჯღვარკალის სამშენებლო მასალის სახეობა, მისი დამუშავების სიმარტივე, სახლის ზომები და სხვა ფაქტორები გ. გეგეჭკორს აფიქრებინებს, რომ „ჯღვარკალი“ თუ „დღვარკალი“ უნდა მოექცეს ფაცხა-სახლის მომდევნო საფეხურზე, რომლის შემდეგაც უკვე ჯარგვალის ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი ჩნდება.[5] მისივე აზრით, ჯარგვალური სახლის შემდეგი ფორმა არის ძელური, ერთოთახიანი, უაივნო, ერთი შესასვლელის მქონე, რომელიც ორქანობიანი სახურავით ხასიათდება. მესამე სახეობა, რომელიც ასევე ჯარგვალის განვითარებულ ფორმას ქმნის, ვიწროაივნიანია. მას უკანა კედელზე უჩნდება კარები სამეურნეო ეზოში გასასვლელად, სადაც გლეხს, გარდა ყანისა, ედგა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის საჭირო ისეთი ნაგებობანი, როგორიცაა ნალია, ბოსელი, საღორე, სათხე თუ საცხვარე და სხვა. მეოთხე სახეობა გვიანდელი წარმონაქმნია და არის ბოყვებიანი ჯარგვალი, რომელიც უკვე აივნიანია და შეიძლება ასევე ჰქონდეს სათვალთვალო ხვრელი. მეხუთე სახეობად შეიძლება ჩაითვალოს გვირგვინიანი ჯარგვალი. მეექვსე სახეობა კი არის დაკუთხული ძელებისაგან შეკრული სახლი, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ერთოთახიანი, ასევე ორიანი, აივნიანი, ვიწრო სარკმლიანი, სამკარიანი (ორი წინ და ერთი უკან), ისლით გადახურული ნაგებობა.[6]

თ. სახოკია მეტად ხატოვნად და ნათლად აგვიწერს მის დროს ჯერ კიდევ ოჯახის საცხოვრებლად მასიურად გამოყენებულ მეგრულ ჯარგვალს. ეს აღწერილობა, შეიძლება ითქვას, ყველაზე რეალური და უნიკალურია.[7]

---

[1] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 245-246.

[2] **გ. ჩიტაია,** ლაზური სახლი, ხელნაწერი, გვ. 61-69. ციტატა მითითებულია წიგნიდან: **ნ. თოფურია,** ახალი საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 136-137.

[3] **გ. გეგეჭკორი,** ჯარგვალი, გვ. 30.

[4] **გ. გეგეჭკორი,** ჯარგვალი, გვ. 32.

[5] **გ. გეგეჭკორი,** ჯარგვალი, გვ. 35.

[6] **გ. გეგეჭკორი,** ჯარგვალი, გვ. 40-41.

[7] „სახლი მრგვალი ძელებისაგან იყო შეკრული და ისლით გადახურული. ფანჯრების საშუალებით მზის სინათლის შეშვება იმდროინდელ ხუროთმოძღვრებს ადამიანის სადგომის არსებით საჭიროებად ჯერ არ მიაჩნდათ. შიგ შესასვლელად ამ ორთვალა სახლში კარი იყო საჭირო და ეს კარი ერთის მაგიერ ორი ჰქონდა: ერთი წინიდან და მეორე უკნიდან, პირველის პირდა-

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ჯარგვალის ასაშენებლად უმეტესად თხმელას („თხუმუ“) ხე გამოიყენებოდა. სამშენებლო მასალის დამზადება იქვე ხდებოდა, სადაც ხეს ჭრიდნენ. სასაძირკველად („საოსხირედ“) იყენებდნენ აკაციის („ლაკაცია“) ან მუხის („ჭყონი“) ხეებს. თუ ხე ძალიან მსხვილი იყო, შუაზე გააპობდნენ და ოთხკუთხედად გათლიდნენ. სახლის ასაგებად ანუ კედლების ამოსაყვანად საჭირო მრგვალ ხეებს თავებს ჩაუჭრიდნენ, რომელსაც „ინოხინტკუას“ ეძახდნენ. შემდეგ, ჩაჭრილ თავებს გახვრეტდნენ, ხეებს ჩაჭრილი ადგილებით ერთმანეთში ჩააჭდობდნენ, სიმაგრისთვის ამ ხვრელში ხისგან გამოთლილ „კონჭებს“ ჩაარჭობდნენ და ასე ამოიყვანდნენ კედელს. კედლის ამოყვანის შემდეგ ზემოთ სარტყელებს („ორტყაფუ“) დაადებდნენ ოთხივე მხარეს. სცოდნიათ შიგნითა კედლის ოდნავი გათლაც, რადგანაც სახლს შიგნით ბრტყელი, ანუ ფიცრის ფორმა ჰქონოდა მიცემული. სარტყელს შუაზე თავხე ძელს („სანთა“) გასდებდნენ, სანთაზე კიდევ სახურავს შორის საბჯენს („ციკს“) დაამაგრებდნენ, რომელსაც „ქუდს“ წამოაცმევდნენ და მასზე „კაკუტებს“ ანუ „ღულერებს“ გააწყობდნენ. კაკუტებზე ანუ ღულერებზე „ლარტყა“-ს დაადებდნენ და ამის შემდეგ ისლით ხურავდნენ. ლარტყას კაკუტებზე იელის წნელით („წკულეტით“) აკრავდნენ, სახურავი ორფერდა ჰქონდა. ისლით გადახურვის შემდეგ დააკრავდნენ თუთის („ჯამპი“) ან იელის („იბლი“) ან კიდევ თხილის („თხირი“) გრძელ წნელებს, რომ ისლი ქარისგან დაეცვა, მას „ოგაშა“-ს ეძახდნენ. ასეთ სახლს უმეტესად წინიდან ერთ კარს უკეთებდნენ. კარი უკანა მხრიდანაც შეიძლებოდა გაეჭრათ. კარებს ფიცრისაგან კრავდნენ, მას საკეტიც უკეთდებოდა, რომელსაც „ლირე“-ს ეძახდნენ. ჯარგვალი სახლი უმეტესად ერთოთახიანი იყო, მაგრამ შემდეგ შემოვიდა ოროთახიანი ჯარგვლებიც, რომლის ასაშენებლად ხეების ერთმანეთში დაკავშირება უკვე „ბოყვების“ საშუალებით ხდებოდა. ასეთ სახლს შიგნითა კედლები ფიცრის ფორმაზე ჰქონდა გათლილი.

ჯარგვალი მიწური იყო და შუაში გამართული ჰქონდა კერა, კედლებზე კი საწოლები იყო მიჭედებული ან მიკრული, რომელზეც სახლში ნაქსოვ აბრეშუმის ქსოვილს ან ღომის ჩალას დააფენდნენ და მასზე წვებოდნენ. ზამთრობით, ერთოთახიან ჯარგვალში, ადამიანთან ერთად საქონელიც თავსდებოდა. მისი აშენება თითქმის ყველას შეეძლო და ამისთვის ოსტატიც არ იყო საჭირო.

სამეგრელოს დღევანდელ ყოფაში ჯარგვალური ნაგებობა საცხოვრებლად არ გამოიყენება. მსგავი ტექნიკით ძირითადად აშენებენ დამხმარე სამეურნეო ნაგებობებს — საქონლის სადგომს, ჩალის შესანახ და სხვა სახის სამეურნეო ნაგებობებს.

ჯარგვალთან შედარებით საცხოვრებელი სახლის უფრო განვითარებულ სახეობას წარმოადგენდა **„პიტაფიცარა“, „განის“ ანუ „ბოყვის“** სახლი, რომელიც ფართოდ ვრცელდება XIX საუკუნის დასაწყისიდან და თანაარსებობს ჯარგვალ და ფაცხა სახლებთან ერთად.

ამ სახლის ასაგები ფიცრების სახელწოდებაა „პიტა ფიცრები“, მას ასევე „ბოყვის“ სახლსაც უწოდებენ. ბოყვი (ამ სახლის კონსტრუქციაში) იყო გვერდებზე ამოღარული სქელი ფიცარი, რომელ-

---

პირ. ამ კარებს თავისი ხის ყურები ჰქონდა ჩარჩოებში ჩამჯდარი და ხისავე ურდულით იკეტებოდა. მთელი სახლი ისე იყო გაკეთებული, რომ ერთ ლურსმანს ვერ იპოვნიდით. სადაც ლურსმანი იყო საჭირო, იქ ეხმარათ გარეული თხილის ჩირჩალი. სახლის აქეთ-იქით კედლების გასწვრივ ტახტები გაეკეთებინათ, ზედ ეფინა ჭილობები და აკეცილი იყო საბან-გობანი. თავთით იდგა ჭვარტლისაგან გაშავებული ზანდუკი ხისა და შიგ ელაგა რაც რამ ძვირფასი ებადა ბიძაჩემს. ერთ კუთხეში თაროდ ფიცარი შეერჭოთ კედელში და ზედ ელაგა ჯამები და ხისავე კოვზები. მიწურზევე იდგა: ერთი კოკა, ლიტრა, კედელზე აყუდებული იყო ბარქაში (პატარა თაბაზი) მჭადის მოსაზელად და თუჯის ქვაბი ღომის მოსახარშავად.

ამ სახლს, ჯარგვალი ერქვა, ე. ი. მრგვალი ხეებისაგან შეკრული სახლი. ჯარგვალს, შუაგულ ალაგას კერა ჰქონდა, ადგილი წითელი მიწით იყო ამოვსებული და ზედ გათლილი ძელი იდო, წვრილი, შეშის თავების ჩამოსადებად რომ ცალი მხარე შეშას ამაღლებული ჰქონოდა, ქვეშიდან ჰაერს ემუშავნა და წვა კარგად წარმოებულიყო. კვამლი, როცა გარეთ ქარი არ იყო, მაღლა ამოდიოდა, ნელ-ნელა გადიოდა ისლსა და ხვრელებში, რომლებიც ასე უხვად ჰქონდა ჯარგვალს დატანებული ძელსა და ძელს შუა. ასე რომ, სახლს საგანგებო საკვამლე, კვამლის ადვილად და სწრაფად ასასვლელად არ ჰქონდა.

კვამლის კვალი აშკარად ეტყობოდა სახლის ყოველ ავეჯს, ყოველ კუთხეს, მთელ სახლს, რა თქმა უნდა მაღალი ჭერი არ ჰქონდა და სახურავი პირდაპირ უშუალოდ დასცქეროდა მიწურ იატაკს და მასზე მცხოვრებთ. სახლის სახურავს დედაბოძზე დაყრდნობილი კავები იჭერდა. სახურავის ისლიდან მოკიდებული თვით საკიდლამდე ყველაფერს ჭვარტლი ჩამოჰკიდებოდა მატყლის ფთილებივით, განსაკუთრებით კერიას გასწვრივ. რკინის საკიდელა დედაბოძზე ჩამოკიდებული და კერაზე დაშვებული მთლად ჭვარტლში იყო ამოვლებული და ყორნის ფრთისებრ ბზინავდა. მჭვარტლისაგან შავად ლაპლაპებდა ძიძის ზანდუკიც, გეგონებოდათ ტუშით შეუღებავთ ან ებენის ხისაო. აღარც საბან-გობანს ედგა კარგი დღე, ასე რომ, ოდესღაც თეთრი ფერის რაიმე საგანს ბოლომდე ეს ფერი საეჭვოა შერჩენოდა“ (**თ. სახოკია,** როგორ ვიზრდებოდით ძველად, თბ., 1955, გვ. 4-5).

შიც თავებით პიტა ფიცრები ჯდებოდა. მას ასევე „განის“ სახლსაც ეძახიან. „განი“ მეგრულად „გვერდს“ ნიშნავს და ჩვენი აზრით, ამ სახლს იმიტომ შეერქვა განის სახლი, რომ მისი გვერდითი კედელი ყოველთვის უფრო გრძელი იყო, ვიდრე წინა მხარე. ის, ამგვარი სახელწოდებით, საქართველოს სხვა კუთხეებში არ დასტურდება. „ბოყვი“-ის ამ სახლის სახელწოდებითის საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის ცნობილი. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, „იმერული განმარტებით, ბოყვი სქელი ფიცარია, რომელიც ნაპირებში ღრმად იყო ამოღარული. ზემო რაჭული და ლეჩხუმური გაგებით კი ბოყვი მხოლოდ ერთი მხრით ამოღარული სქელი ფიცარია, რომელშიც ფიცრის თავებია ჩამჯდარი და ამავე დროს ეს სიტყვა კახეთშიც და ქართლშიც ყოფილა ცნობილი“.[1] ბოყვის სახლს „აფრის“ სახლსაც ეძახდნენ. აფრას ქვემოიმერულ მეტყველებაში ძველად ბოყვი რქმევია, ხოლო ზემო სამეგრელოში „აფრას“ სახლის შუაში დასაყენებელ ყველაზე უფრო მაღალ ბოყვებს ეძახდნენ.[2]

ს. მაკალათიას მიხედვით, „გოდორი“ ანუ პიტაფიცარა სახლს კედლები ნაშენი აქვს გათლილი და მოკლე ფიცრით. უმეტეს შემთხვევაში მასალა მუხისაა და ფიცრები მწყობრად არის ერთმანეთზე მიყენებული. „გოდორი“ წარმოადგენს ერთ მოზრდილ ოთახს და ჯარგვალთან შედარებით უფრო გაუმჯობესებული სადგომია. ამ სახლსაც იატაკი აქვს მიწური, გადახურულია ისლით, ზოგჯერ ყავრითაც, მაგრამ არა აქვს ბუხარი და ფანჯარა. რაც შეეხება სახლის შიდამოწყობილობას, შეიძლება ითქვას, რომ იგი თითქმის ცარიელი იყო. სახლის ერთ კუთხეში ფიცრის ლასტის ტახტი იყო გამართული, რომელზეც ჭილობი ან ქეჩა ეფარა. ლოგინი წინათ ყველას არ ჰქონია, წვებოდნენ ჩალაზე კერის მახლობლად, იქვე იდგა სამფეხა, რომელზეც ანთებულ „ჭრაქს“ ათავსებდნენ.[3] ამ ტიპის სადგომები თითქმის ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო გურიაში და „დოლა-სახლის“, „პიტა-სახლის“ სახელწოდებით იყო ცნობილი[4]. ნ. თოფურიას მასალებით, „განის ანუ დოლის სახლი პიტაფიცრულბოყვიანი სახლიდან ოდა სახლამდე გარდამავალ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს. განის სახლის კედლის ფიცრები ჩახერხილია. ფიცრების დამაგრება კუთხეებში ჯერ კიდევ ბოყვების საშუალებით ხდება, შემდეგ კი განის სახლში ფიცრების დამაგრება გადასკვნის საშუალებით სრულდება. ასეთი სახლის სიგანე 10-12 ალაბია, ხოლო სიგრძე 9-10 ალაბი. კედლის შუაში ვერტიკალურად ბოყვი იდგმება, რომელშიც აქეთ-იქით ეჭდობიან კედლის ფიცრები. ფართო აივნის გასწვრივ განლაგებულია ორი ოთახი. ერთ-ერთი მიწური ოთახი ხის იატაკით შეიცვალა. ოთახის ჭერი ფიცრებითაა გაწყობილი. სახლს სინათლისათვის მცირე ზომის ფანჯარა გაუჩნდა. საცხოვრებლად სადგომს საქონელი ჩამოშორდა. სახურავის მასალად უპირატესად ყავარია გამოყენებული. განის სახლი, ავტორის აზრით, დაბალი მდებარეობის გამო, დაბალ ოდებს ეკუთვნის“.[5] ი. ადამიას აზრით, „ოროთახიანი ტიპის საცხოვრებელი სახლი, შედარებით წინამორბედ ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს. იგი წარმოადგენს გარდამავალ ტიპს, რომლის შემდგომი განვითარება იძლევა მომდევნო ახალ ეტაპზე გადასვლას. საცხოვრებელი სახლის ამ ტიპში, პირველად ვხედავთ ოდის, როგორც სასტუმრო სახლის იდეურ ჩანასახს“.[6]

ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, პიტაფიცარას, განის ანუ ბოყვის სახლის ასაშენებლად საჭირო მასალა ძირითადად მუხის და წაბლის ხისაგან მზადდებოდა. მასალის დამზადება იქვე ხდებოდა, სადაც ხეს ჭრიდნენ, ან თუ ახლო იყო „ნჯოლით“ გამოჰქონდათ. მოჭრილ დიდ მორს ზომაზე გადაჭრიდნენ, დაახლოებით 1,5-2 მ-მდე, რომელსაც შემდეგ ნაჯახით რამდენიმე ნაწილად შუაზე გააპობდნენ („ნწკირუა“), გაპობილ ნაწილებს ნაჯახით გათლიდნენ და ფიცრის ფორმას მისცემდნენ. გათლილი ფიცარი სიგანეში ზოგჯერ ერთ მეტრამდეც აღწევდა (ხის მორის ზომაზე იყო დამოკიდებული) და ზოგჯერ ფიცარს სიგრძეზე მეტი სიგანე ჰქონდა. ამის შემდეგ შეუდგებოდნენ საძირკვლის („ოსხირების“) და სარტყელების („ორტყაფუ“) გათლას, რომელიც მუხის ან აკაციის

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი,** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 166.

[2] **ივ. ჯავახიშვილი,** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 166; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. I, გვ. 379.

[3] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 247.

[4] **გ. ცეცხლაძე,** გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991, გვ. 27.

[5] **ნ. თოფურია,** ახალი საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 139.

[6] **ი. ადამია,** ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აფხაზეთი, II, გვ. 74.

ხის იყო. შემდეგ თლიდნენ „ბოყვებს“. ის უფრო სქელი ფიცარი იყო, მას გვერდებს ორივე მხარიდან ამოუღარავდნენ („ეშარღამუა“) ხელსაწყოთი, რომელსაც „შქუნთს“ ეძახდნენ. ამ სახის სამუშაოს ჩატარება პატარა ნაჯახითაც („კვაღა“) იყო შესაძლებელი.

პიტაფიცრები, როგორც აღვნიშნეთ, სიგრძით პატარა ზომის იყო, ბოყვებს კი ბევრს უკეთებდნენ, რომ ქარს არ ევნო და სახლი უფრო მყარი ყოფილიყო. გარშემო ოთხივე კედელს შეიძლებოდა ჰქონოდა 20-30 ბოყვიც. იმ ადგილს, სადაც ბოყვი იყო ჩასასმელი, საძირკვლებს (სახსარი, „ოსხირი“) თავებს „ამოუღებდნენ“ („ეშახინტკუა“), მას თავებით ჩასვამდნენ, ბოყვის გვერდზე ამოღარულში ამ პიტაფიცრების თავებს ჩასვამდნენ და ასე ამოყავდათ კედელი. კედლის ამოყვანის შემდეგ ზემოთ დაადებდნენ მუხის ან წაბლის სარტყელებს („ორტყაფუ“), რომელზეც შუაში გადებდნენ გრძელ ხეს, მასზე დადებდნენ „სანთას“ ანუ „ომპას“. სანთა სიმაგრისათვის შეიძლებოდა ორი-სამი დაეყენებინათ. შემდეგ დაადებდნენ ორ „ციკს“, რომელზეც კაკუტებს გააწყობდნენ. ძველად ლურსმანი არ იყო და კაკუტებს ერთმანეთში „ჩაკონჭვით“ აკავშირებდნენ. კაკუტებს, „კონკში“ (სვეტზე) სანთის იქითა და აქეთა მხარეზე „მუმული“ (მამალი) და „დადული“ (დედალი) თავები ჰქონდა ამოჭრილი; მათ სანთაზე ერთმანეთში შედებდნენ, ერთი კაკუტის მამალ გათლილ თავს მეორე, მოპირდაპირე მხარეს კაკუტის დედალ, ამოჭრილ თავს გაუყრიდნენ და გადააბრუნებდნენ. კაკუტს „ღულერსაც“ ეძახდნენ. ამის შემდეგ კაკუტებზე დააკრავდნენ „ლარტყას“ „წკულეტით“, რომელიც იელის წნელის იყო. ძველად ლარტყის გათლა არ სცოდნიათ და კაკუტებზე ლარტყის ნაცვლად გრძელ-გრძელ მრგვალ „ჭოკებს“ გააწყობდნენ. ამ ჭოკებს „რჩხინას“ ეძახდნენ. კაკუტებზე რჩხინას, წკნელით ამაგრებდნენ („გეკირუა“). რჩხინის კაკუტებზე დასამაგრებელ წკნელს „კვეცა“ ეწოდებოდა. ამის შემდეგ სახლს ისლით გადახურავდნენ. ისლს ზემოდან დააკრავდნენ თუთის („ჯამპი“) ან თხილის („თხირი“) წნელებს, ჭოკებს, რომ ისლი ქარს არ გადაეგდო და მას „ოგაშას“ ეძახდნენ. ეს ნაგებობა ერთი ან ოროთახიანი იყო. მას არც ფანჯარა ჰქონდა და არც ჭერი. სახლს ორი კარი ჰქონდა წინ და უკან. ეს კარები ხის ქუსლებით („ქური“) ოსხირებზე იჯდა და დასაკეტად „კონჭს“ ან „ლირეს“ უკეთებდნენ. შუაში გამართავდნენ კერას („ყებური“) კედლებზე კი მიაჭედებდნენ სქელ, ასევე ხელით ნათალ ფიცარს, რომელსაც „ნარს“ ეძახდნენ და საწოლად იყო განკუთვნილი. ასევე, კერასთან იდგა გრძელი სკამი, რომელსაც „გუა“ ეწოდებოდა. სახლის მარჯვენა კუთხე, აღმოსავლეთი მხარე, საწმინდაო ადგილად ითვლებოდა, სადაც გარკვეული რიტუალი („ხვამა“//ლოცვა) სრულდებოდა. სახლის ერთ-ერთი კუთხე კი საქონლის სადგომს წარმოადგენდა.

ასეთ სახლს წინ აივანს („აბარწა“) გამოუწევდნენ, სახურავს გააგრძელებდნენ და მიწაში ჩასმულ ხის ბოძებზე („ძეკვენი“) ამაგრებდნენ. აივანს ზემოთ ჭერი ჰქონდა, რომელსაც „ცხვენს“ ეძახდნენ. იგი ხილისა და სხვა პროდუქტის შესანახად გამოიყენებოდა. სახლის გვერდითა ადგილებს „ლაფარა“-ს ან „ოლაჭვათირე“-ს ეძახდნენ. ეს ის ადგილია, სადაც სახლის საძირკველი იყო მოთავსებული და წვიმის წყალს რომ არ გაეფუჭებინა, სახურავს გადაზიდავდნენ, გადაწევდნენ დაახლ. 70-100 სმ-ზე, რომელსაც „გინოფუთუა“-ს უწოდებდნენ. ივ. ჯავახიშვილის ცნობით, გურიაში მას ლაფაროსათვის „დაშობას“ ეძახიან, ხოლო ლეჩხუმში კი არსებობდა „ლაფარო“, რომელიც გვერდების სამშრალობელია ყავარ ქვეშ.[1] ასეთი სახლების აშენება ოსტატის ცოდნას მოითხოვდა, მაგრამ როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, მისი აშენება მეზობლების დახმარებით უმეტესობას შეეძლო. რაც შეეხება „ორტყაფუების“ (სარტყელი) და „ოსხირების“ (საძირკველი) გათლა, კაკუტების გაწყობა და გადახურვა, ყველას არ შეეძლო. ეს მეტ გამოცდილებას მოითხოვდა და შრომატევადი სამუშაოც იყო. ასეთი სახლის აშენებას ოჯახი მეზობლების დახმარებით 4-5 თვეს უნდებოდა.

ნ. თოფურიას და გ. გეგეჭკორის მასალებით, პიტაფიცარა ანუ ბოყვიანი სახლი, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს დიდი ოჯახის არსებობასთან, რამდენადაც ის მრავალ ოჯახს იტევდა. ოჯახე-

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი,** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 171.

ბი გაუყოფლად ცხოვრობდნენ და კერის გარშემო ოჯახის წევრები იყრიდნენ თავს.[1] პიტაფიცარა, ბოყვის, ანუ განის სახლი დღეს სამეგრელოში საცხოვრებლად არ გამოიყენება. მოსახლეობის დიდ ნაწილში ის სულ რაღაც 100 წლის წინ ჯერ კიდევ მთავარი საცხოვრებელი ნაგებობა იყო. XX ს. 70-იანი წლების ჩათვლითაც ზოგიერთი ოჯახი ასეთ სახლში ცხოვრობდა. დღეს მსგვასი ნაგებობები სამეგრელოში სახეცვლილი და ძლიერ გადაკეთებული ფორმით გვხვდება, როგორც დამხმარე სამეურნეო ნაგეგობა (უმეტესად საქონლის სადგომად და სხვ.).

კოლხური არქიტექტურის ყველაზე განვითარებული სახეობაა **„ოდა“** სახლი. ის ამ მხარის გეოკლიმატური გარემოს შესაფერისი ნაგებობაა, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი მისი სიმაღლე-ბოძებზე შეყენება იყო. ეს ნაგებობა აქ მასიურად XIX ს. მეორე ნახევრიდან ვრცელდება.

საცხოვრებელი ნაგებობის ბოძებზე („ძეკვენი“) შეყენება ძველი კოლხური არქიტექტურისთვის მანამდეც არ იყო უცნობი მოვლენა, რაც ნათლად ჩანს ჰიპოკრატეს ცნობიდან: „კოლხეთში ადამიანებს საცხოვრებლები ჭაობში აქვთ და ხისა და ლერწმის სახლები წყალზე აქვთ გამართული“.[2] იგივე სურათი ჩანს სამეგრელოში XVII საუკუნეში კასტელის ჩანახატების მიხედვითაც და, როგორც გ. გეგეჭკორი აღნიშნავს, ამგვარი სახლის სახელწოდებად აქ რელიქტის სახით **„ათაბოგი“** იყო შემორჩენილი. ეს ნაგებობაც მაღალ ბოძებზე შეყენებული, გვიმრით ან ხაიათი გადახურული სახლი იყო, მეორე სართულის კედლები შეიძლება ყოფილიყო როგორც წნული, ასევე ძელური. ავტორის აზრით, სიტყვა „ათაბოგი“ ორი ნაწილისაგან შედგება — „ათა“ და „ბოგი“. „ათა“ აწეულს, მიწის დონიდან აცილებულს, ზედას ნიშნავს, ხოლო „ბოგი“, „ბოგა“, „ბოგილი“ გადებული ძელი, ძელური იატაკის, ამ შემთხვევაში აწეული იატაკის აღმნიშვნელი ტერმინია.[3] ასეთი სახლი შენდებოდა ჭაობიანი, კოღოებიანი კარმიდამოს ცენტრში, სადაც ღამით ისვენებდა ოჯახი, კოღოებისაგან დაცვის მიზნით.[4]

ვფიქრობთ, სწორედ, რომ კოლხეთის დაბლობის გეოკლიმატური პირობების შესაბამისად „ათაბოგი“-ს განვითარებულ სახეს უნდა წარმოადგენდეს XIX ს. მეორე ნახევრიდან კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ოდა სახლი, რომლის მშენებლობის ტექნიკის ძირითადი მხარე ამ კუთხის გეოკლიმატური პირობების შესაბამის პრინციპებზე იყო დაფუძნებული, რაც პირველ რიგში მის ბოძებზე შეყენებაში გამოიხატებოდა და ნესტისა და ჭარბი წვიმის წყლისაგან იცავდა იქ მცხოვრებთ. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ტერმინი ოდა XVIII საუკუნიდან ჩნდება და ზოგადად ოთახს ნიშნავს.[5] ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „ოდა თურქთა ენაა, სენაკსა ჰქვიან“.[6]

ამჯერად, ტერმინ ოდას წარმომავლობაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, რადგან ვრცელი მასალის მოშველიებაა საჭირო. რაც შეეხება თვით ნაგებობას, ი. ადამიას დასკვნით, „თანამედროვე ტიპიური ოდა სახლის იდენტური გეგმის საცხოვრებლის ზოგიერთი სახე კოლხეთის მიწა-წყალზე გავრცელებული იყო ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნიდან და უფრო ადრეც. ავტორი ამ მოსაზრებას ავითარებს სოხუმთან ახლოს, ბესლეთში აღმოჩენილი სასახლის ნანგრევებზე დაყრდნობით.[7] ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ოდა სახლი ზოგჯერ ფიცრების თავების ერთმანეთთან დაკავშირების თავისებურებიდან გამომდინარე, „ქილიკის“ სახლის სახელწოდებითაც იყო ცნობილი. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „ქილიკი“ არის „ფიცარი დაჭდობილი ერთმა-

---

[1] **ნ. თოფურია,** ახალი საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში, გვ. 139, **გ. გეგეჭკორი,** პიტაფიცარა სახლი (ადრეული ფორმები), კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, III, თბ., 2001, გვ. 133-134.

[2] **თ. ყაუხჩიშვილი,** ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965, გვ. 45.

[3] **გ. გეგეჭკორი,** საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი სახეობა სამეგრელოში (ფაცხა), *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, I, 2000, გვ. 43-44.

[4] **გ. ელიავა,** მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

[5] **ივ. ჯავახიშვილი,** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 19.

[6] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, I. *ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ*, თბ., 1991, გვ. 600.

[7] **ი. ადამია,** ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აფხაზეთი, გვ. 88.

ნეთში გასაწყობად“.[1]

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „შიგნით-კახური“ თანამედროვე განმარტებით, „ქილიქი“ ფიცრის დაჭრილი ნაწილია, რომლითაც ის მეორე ფიცარში ჯდება. ავტორის მიხედვით, ქვემო რაჭულად ქილიქის გაკეთებას ქილიქის ჩაჭრა ეწოდება, იმავე ქვემო რაჭული ტერმინოლოგიით, ქილიქის გადაღმა და გადმოღმა არსებობს. დაქილიქების დამთავრების შემდეგ უკვე ქილიქის ერთი მეორეში დაჯენა, ე. ი. ჩასმა იწყება.[2] გ. გეგეჭკორის მიხედვით, „ქილიკი-ქილუქი“ ფიცრის ის ყელჩაჭრილი ნაწილია, რომლითაც ის მეორე, ქვედა ფიცრის ყელში ჯდება.[3]

ს. მაკალათიას ცნობით, სამეგრელოში გავრცელებულ ოდებს „საღდარსაც“ უწოდებდნენ.[4]

ი. ადამიას აზრით, „პირველი ოდა უნდა ყოფილიყო ცალკე მდგომი ერთოთახიანი ნაგებობა ანუ სასტუმრო სენაკი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა დერეფანი. ავტორის აზრით, საცხოვრებელ სახლში პირველი დერეფანი ჩაისახა „გრძელი სახლის“ სისტემაში, ორი ცალკე მდგომი ნაგებობა გაერთიანდა ერთ სახურავქვეშ, რომელიც აკავშირებდა სასტუმრო ოთახს ოხარისთან (საჯალაბოსთან). ეს არის ოდა სახლთან დერეფნის (ღია ფარდულის) ე. წ. „აშაპას“ (აფხაზ.) (შდრ. მგრ. „აბარწა“, - დ. ჭ.) დაკავშირების პირველი ჩანასახი. აშაპაც ადგილობრივი გეოკლიმატური პირობებისა და ზოგიერთი ეთნიკური, მაგ. სტუმართმოყვარეობის, ტრადიციების ზეგავლენით ჩაისახა.[5]

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, თავდაპირველად ერთოთახიანი ოდების აშენება სცოდნიათ. საერთოდ, ოდა სახლის მშენებლობა მას შემდეგ დაუწყიათ, რაც შემოსულა „ეშეგიმეიანი“ (სიტყვასიტყვით „ზევით-ქვევით“) ხერხი, რითაც ოდა სახლის ასაგებად საჭირო მასალას — ფიცრებს, ხელით ორი კაცი ხერხავდა. ოდა სახლის ასაშენებლად ძირითადად გამოყენებული იყო წაბლის და მუხის ხის ფიცრები. ერთ-ერთ ყველაზე მაღალი ღირსების ოდა სახლად ითვლებოდა კოპიტის („ლანჯი“) ფიცრებისაგან აგებული. ოდას დაახლოებით ერთი-ერთნახევარი მეტრის სიმაღლეზე დააყენებდნენ ხის ბოძებზე („ძეკვენები“), რომელიც მუხის ან უფრო მეტად აკაციის მსხვილ მორებს წარმოადგენდა. მათზე „ჩახინტკვით“ ზემოდან ოსხირებს გააწყობდნენ ოთხივე მხარეს. ოსხირიც ასევე მუხის ან აკაციის ხისგან მზადდებოდა. თუ ოდა ერთოთახიანი იყო, მაშინ მას შუაში ბოყვები არ სჭირდებოდა. ფიცრების თავებს ოთხივე მხრიდან ერთმანეთში „ქილიქით“ აკავშირებდნენ. „ქილიქი“-თ ჩაჭრილი ფიცრის თავებს გახვრეტდნენ და სიმაგრისთვის ყველა ფიცარს ხის „კონჭებს“ სათითაოდ ჩაარჭობდნენ, რომლითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდა და მას „სქუალა“-ს (გაფსკვნა, გადაფსკვნა) უწოდებდნენ. თუ სახლი ორი ან მეტოთახიანი იყო, მაშინ ყოველი ოთახის გადაკვეთაზე ფიცრები ერთმანეთთან ბოყვების საშუალებით ებმებოდა. მშენებლობის ტექნიკა ისეთივე იყო, რაც პიტაფიცარა ანუ განის სახლისთვის იყო საჭირო, თუმცა განსხვავება ის არის, რომ ოდა სახლს ფიცრებისგან გაწყობილი ჭერი ჰქონდა, რომელსაც „სხვენს“ უწოდებდნენ. ოდა სახლი უმეტესად ყავრით იხურებოდა, რომელსაც ასევე ადგილზე ამზადებდნენ. სამასალედ აკაციის ხე გამოიყენებოდა და მას „ბასკას“, იგივე „ბასქას“ (ოთხწახნაგა ხის მასალა) ყავარს („ყამბარი“) უწოდებდნენ. ოდა სახლს წინა მხარეს ერთ მთლიან კომპლექსში გამოყვანილი ჰქონდა აივანი („აბარწა“), რომელზეც გაწყობილი იყო მოჩუქურთმებული რიკულები („ბირკული“). ოდას თითქმის ყველა ოთახში ბუხარი იყო გამართული. სახლის სახურავი 70-80 სმ-ით კედლების გასწვრივ გარეთ იყო გადაწეული, რომ წვიმის წყალს კედელი არ გაეფუჭებინა, რასაც „გინოფუთუას“ უწოდებდნენ.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სამეგრელოში შემოვიდა ორსართულიანი ოდები, რომელიც საცხოვრებლად დღესაც ფართოდ გამოიყენება. მისი პირველი სართული ჩვეულებრივ სხვადასხვა სახეობის ქვის ან ე. წ. „ბლოკის“ ნაგებობას წარმოადგენს კირის ან ბეტონის დუღაბზე. ასეთ სახლს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „პალატიანი სახლი“. ამგვარ საცხოვრებელ ნაგებობებში ცხოვრობს დღე-

---

[1] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, II, გვ. 226.

[2] **ივ. ჯავახიშვილი,** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 166.

[3] **გ. გეგეჭკორი,** პიტაფიცარა სახლი (ადრეული ფორმები), *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, III, თბ., 2001, გვ. 135.

[4] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 247.

[5] **ი. ადამია,** ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აფხაზეთი, გვ. 91.

ვანდელ სამეგრელოში მოსახლეობის თითქმის 50%. თანამედროვე ვითარებაში კი უპირატესობა ენიჭება ორსართულიან ე. წ. „ბლოკი“-ს და რკინაბეტონის სახლებს, რომელსაც ეკოლოგიურად სამეგრელოს კლიმატის თავისებურებათა გამო (წვიმის წყალი, ნესტი, ზამთარში თბილი კლიმატი), ვფიქრობთ, არ უნდა მიეცეს უპირატესობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მოსახლეს დიდი სურვილი აქვს აიშენოს ხის სახლი, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, რადგან ხის მასალა ძალიან ძვირია; მეორე მხრივ, გლეხს არა აქვს უფლება, არსებული კანონმდებლობით, მოჭრას წინაპრების საგვარეულო ტყის ნაკვეთში სამასალე ხე და დაამუშავოს. ამ კანონის არსი ჩვენთვის სრულიად გაუგებარია: რისთვის სჭირდება სახელმწიფოს უსახლკარო ადამიანისთვის თავისი საცხოვრებლის საკუთარი ძალებით მოწყობის სურვილის ბლოკირება, როცა თვითონ ამ მიმართულებით არაფრით ეხმარება. ამას ჩვენ ვერ შევფუთავთ გარემოს დაცვითი ღონისძიების აუცილებლობით.

ვერტიკალური ზონალობის პანორამა. ვერტიკალური ზონალობის საკითხებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ ერთადერთი, ვახტანგ ითონიშვილის ნაშრომი არსებობს, თუმცა ის არ ასახავს მთლიანად საქართველოს სპეციფიკას.[1] ამიტომ, ვფიქრობთ, საქართველოს მთლიანი სურათის წარმოჩენა საკითხის ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მიხედვით ღრმად შესწავლის შემდგომ იქნება შესაძლებელი. პრობლემის ამ კუთხით დასმა მნიშვნელოვანია ბიოგეოგრაფიული გარემოს, ამ გარემოში მცხოვრები მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული საქმიანობის, დემოგრაფიული ვითარების და, საერთოდ, ცხოვრების წესის შესასწავლად.

კვლევის ამ მიმართულებას თითქოს უფრო მეტი ადგილი უნდა დათმობოდა ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებში, რამდენადაც საქართველოში ამ დარგის განვითარების საწყის ეტაპს, რომელიც შემდგომ გაქვავდა, საფუძველი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩაეყარა. მხედველობაში გვაქვს გამოჩენილი ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, გეოგრაფისა და კარტოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლი. როგორც აღნიშნულია, მან მთისა და ბარის გამიჯვნა კონკრეტული ლანდშაფტური და კლიმატური თავისებურებების, ფიტოგეოგრაფიის, ნიადაგის ნაყოფიერება-მოსავლიანობის ფაქტორის, სამეურნეო სავარგულების ხარისხის და მოცულობის, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის არეების, აგრეთვე განაშენიანების ხასიათისა და მასაშტაბების მიხედვით განსაზღვრა.[2]

სამეგრელო გეოგრაფიულად მაღალი, საშუალო და დაბალი მთების, ზეგნებისა და ვაკეების ერთობლიობით არის წარმოდგენილი. აქ სამეურნეო-კულტურული ტრადიცია სწორედ ამ გარემოსთან შეხამებით იყო შემუშავებული უძველესი დროიდან. არა მარტო სამეურნეო-კულტურული შეხამებას, არამედ ამა თუ იმ ლანდშაფტში ცხოვრების შესაბამისად ჩამოყალიბდა ტერმინები: ბარის მცხოვრების აღსანიშნავად „რზენალი‘‘ ან „დაბალი ზონაშე‘‘ (დაბალ ზონაში, ანუ დაბლობში მცხოვრები) და „გვალარი‘‘ (მთაში მცხოვრები), ან „ლაკადარი‘‘ (მაღლობში მცხოვრები).

ლაკადას და ლაკადაში მცხოვრებლებს დაბლობში მცხოვრები მეგრელები ლაკადარებს ან ზოგადად „მთის‘‘ ხალხს უწოდებენ, თუმცა თუ ავიღებთ მთა მცნებას გეოგრაფიული და სამეურნეო თვალსაზრისით, „ლაკადარი‘‘ მთის ზონის მცხოვრებად შეიძლება არც ჩაითვალოს. საქმე იმაშია, რომ ლაკადის მთის პირას, რომელიც იწყება ჯვარიდან და მთავრდება მარტვილის რაიონში, არ ხასიათდება ძალიან მკაცრი კლიმატით და აქ სამეგრელოს სხვა დაბლობი ადგილებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურაა გავრცელებული, მათ შორის ვაზიც. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, მაგალითად ვაზის, სიმინდის, თხილის თუ სხვა კულტურების აქ მოყვანა, ამ დარგების განვითარებას, ანუ ენიჭება თუ არა მათ საბაზრო მნიშვნელობა, როგორც დაბლობში, თუ ის ოჯახის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ამ ნიშნით კლასიფიკაცია დასაშვებია. მაგალითად, სამეგრელოს ლაკადის ზონაში უმთავრესად შემოსავლის ძირითადი

---

[1] **ვ. ითონიშვილი,** ვერტიკალური ზონალობის პანორამა და დემოგრაფიული პროცესები საქართველოში, თბ., 2003.
[2] **ვ. ითონიშვილი,** ვერტიკალური ზონალობის პანორამა..., გვ. 21-22.

წყაროა მესაქონლეობა, ხოლო მემინდვრეობა და მევენახეობა მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის მოთხოვნილებებს აყმაყოფილებს. მევენახეობა აქ უმეტესად მაღლარი ვაზით შემოიფარგლება.

ამდენად, სწორია მოსაზრება, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომშია დაფიქსირებული, იმის შესახებ, რომ ცალკეული ხეობების მიხედვით საქართველოს მიწა-წყლის აღწერა და მათ ფარგლებში მთის და ბარის გამიჯვნა მეტად მომგებიანია, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნების უმრავლესობა სწორედ სხვადასხვა მოცულობის ხეობების კრებულს ან ერთ განსაზღვრულ ხეობაში ლოკალიზებულ მხარეებს წარმოადგენს.[1] მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ჩვენ აქსიომად მივიჩნევთ იმას, რომ უვენახო, უხილო რაიონები მივიჩნიოთ მთად, მეორეს მხრივ, მევენახეობა-მეხილეობის რეგიონები — ბარად, სამეგრელოს მაგალითზე ვერ გამოდგება. საქმე იმაშია, რომ სამეგრელოს ზღვისპირა ზოლის დაახლოებით 15 კილომეტრიან სიღრმეში მევენახეობა თითქმის არ არის ცნობილი, ხოლო მთისწინეთში ვენახიც კარგად ხარობს (უმთავრესად მაღლარი).

საყურადღებოა სახელწოდება თარზენი, რომელიც სამეგრელოში ლაკადის მთის გარკვეულ მონაკვეთზე ჯგალის თემის კანთის უბნის ზემოთ მდებარე ადგილებს ეწოდება. ჩვენი აზრით, ეტიმოლოგიურად ის შედგება ორი დამოუკიდებელი სიტყვისაგან „თა'' — მთა და „რზენი'' — ვაკე. მისი იდენტური შესაძლოა იყოს ქართული ზეგანი, რომელიც მთასა და პლატოს შორის რაღაც შუალედურ რგოლს წარმოადგენს და ვახტანგ ითონიშვილის მართებული დაკვირვებით, ზეგანი ბარიდან მთისკენ გარდამავალ ლანდშაფტურ-კლიმატურ რეგიონს შეეფარდება, რომელიც „შეზავებული'' ჰაერით გამოირჩევა და გაშლილ, ვაკე ადგილს წარმოადგენს.[2]

ამდენად, მეგრული რზენი, ჩვენი აზრით, თვით ბარის საპირისპიროა. რზენი დღეს მეგრულში აღნიშნავს არა ბარს, ვაკეს, არამედ მდინარის პირას მდებარე დავაკებას, რომელიც ნოყიერი სახნავ-სათესი ნიადაგია. ბარი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეგრულში არ გამოიყენება დავაკების სინონიმად და ზღვისპირა კოლხეთის დაბლობის აღსანიშნავად გვაქვს ტერმინი „დაბალი ზონა''. ისიც აღსანიშნავია, რომ რზენი და ზეგანი ეტიმოლოგიურად ერთი ძირიდან მომდინარე სიტყვებია, თუმცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს განვითარებული, მაგრამ თითქმის მსგავსი სემანტიკით.

მთისწინეთი ნიშნავს მთის ძირას გამართულ დასახლებას, მაგრამ სამეგრელოს მაგალითზე ეს მხოლოდ ითქმის ლაკადის დასახლებებზე და არა ნებისმიერ მთისწინა დასახლებაზე. შესაძლოა ვაკეშიც იყოს შეჭრილი მთა, მაგალითად, სამეგრელოში ასეთია ურთას მთა, რომელიც „ვაკეში შეჭრილი მთაა'', მაგრამ მის ქვემოთ და მის ძირში გაშლილ დასახლებას მთისწინა დასახლებას ვერ ვუწოდებთ (მაგ. სოფ. ხამისქური, ხეთა). ამავე დროს, სახეზე გვაქვს სამეგრელოს პლატოს სოფლები — უმთავრესად ზუგდიდის და სენაკის რაიონის მაგალითზე, რომლებიც ზღვის დონიდან 100-დან 300 მეტრამდე ან კიდევ ცოტა უფრო მეტ სიმაღლეზე მდებარეობენ (ყულიშკარი, ნარაზენი, აბასთუმანი, ჭაქვინჯი, ჯიხაშკარი, კორცხელი, ხორში, ფოცხო და სხვ.), რომელთაც ასევე ვერ ვუწოდებთ მთისწინა დასახლებებს. რელიეფური თავისებურებებით ისინი ზეგნის ტიპის დასახლებებში თავსდება. სწორედ ამავე ნიშნით, მათ აღსანიშნავად ტერმინ „რზენი''-ს ან „რზენალი''-ს გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. ეს არის სწორედ ლაკადას ქვედა შუალედური რგოლი სამეგრელოს დაბლობისკენ, ანუ ზღვისპირა, დაახლოებით 30 კმ-იანი სიგანის დასახლებების ზოლამდე გარდამავალი ვაკე სამეგრელო. თვით ეს გარდამავალი გეოგრაფიული არეალი პლატოს დასახლებებით, მდებარეობს ლაკადამდე სიღრმეში დაახლოებით 40-50 კმ-იანი ზოლის ფარგლებში. მაგრამ ისმის კითხვა, მხოლოდ გეოგრაფიულ-კლიმატური განსხვავებით უნდა მოხდეს ამ სამი ზოლის — ბარის ანუ დაბლობის, პლატოსი და მთისწინის ანუ იგივე ლაკადისპირა დასახლების კლასიფიკაცია, თუ რაიმე მეურნეობრივი ფორმების თავისებურებებით ხასიათდებიან ისინი?

---

[1] **ვ. ითონიშვილი,** ვერტიკალური ზონალობის პანორამა..., გვ. 38.

[2] **ვ. ითონიშვილი,** ვერტიკალური ზონალობის პანორამა..., გვ. 50.

ზღვისპირა ხმელეთის სიღრმეში 30 კილომეტრიანი მონაკვეთი ხასიათდება რბილი და თბილი ნოტიო ზღვის ჰავით, დაჭაობებული ნიადაგით, სადაც ვერ ვიტყვით, რომ ყველგან ერთნაირად მოდის უხვი ნალექი (მაგ. ანაკლია არ გამოირჩევა უხვნალექიანობით და არის რაღაც მიკლოკლიმატი ამ მხრივ), მაგრამ ძირითადად ტენიანობის დონე მაღალია. მეორე მხრივ, აქ პლატოსაგან განსხვავებით არ მოდის ციტრუსი და დაბლარი ვენახი, ზოგ სოფლებში კი მაღლარიც ხეირიანად არ ხარობს (მაგალითად, სოფ. ერგეტა), თუმცა გამოირჩევა სიმინდის და თხილის მაღალი მოსავლიანობით, ასევე, განვითარებულია მესაქონლეობა.

სამეგრელოს პლატოს დაახლოებით 20-30 კმ-იან მონაკვეთში ყველაზე ხელსაყრელი ნიადაგი და შესაფერისი კლიმატური გარემოა მევენახეობის, მეჩაიეობის, ტუნგის, მეციტრუსეობის, მესიმინდეობის განვითარებისთვის; ასევე, განვითარებულია მესაქონლეობა, თუმცა მისი ხვედრითი წილი ოჯახის ეკონომიკაში ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს არის ზღვისპირა დაბალი ზონის და მთისწინა სამეგრელოს სოფლებში.

ლაკადას მონაკვეთში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კულტურა ხარობს, გარდა ციტრუსებისა და, რიგ ადგილებში, დაბლარი ვენახისა, თუმცა სხვა ადგილობრივი თუ შემოტანილი ჯიშის მაღლარი ვენახი აქ კარგად მოდის და საკმაოდ კარგი თვისების ღვინოც დგება, მაგრამ დაბალი ზონის და პლატო სამეგრელოს ზემოთ ჩამოთვლილი დარგებიდან მას არ ენიჭება ფართო საბაზრო მნიშვნელობა და მხოლოდ ოჯახის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. გამონაკლისია მესაქონლეობა, რომელიც ლაკადის ზონაში კარგად არის განვითარებული და აქაური რძის პროდუქტები (განსაკუთრებით სულუგუნი) კარგი თვისებებით არის გამორჩეული, რძის მაღალი ცხიმიანობისა და საკვები ბალახის თავისებურებათა გამო.

ლაკადის ზოლი მოიცავდა ისეთ სოფლებს, როგორიცაა ნაფიჩხოვო, მუხურის ზედა ნაწილი, ჯგალი, კურზუ და სხვა, სადაც ახლა იშვითად ნახავთ დასახლებას, რამდენადაც საბჭოთა დროს გზისპირული დასახლების გაჩენის შემდგომ მოხდა მოსახლეობის ცოტა ქვემოთ გადმოწევა და ბევრ შემთხვევებში XIX საუკუნეში და XX საუკუნის 30-იან წლებამდე მასიური მიგრაცია სამეგრელოს დაბალი ზონის სოფლებისკენ მესაქონლეობის მიზნით, სადაც მათ ვრცელი საძოვრები ხვდებოდათ.

ჩვენ სწორედ გეოგრაფიული მახასიათებლის მიხედვით წარმოქმნილი ტერმინი გვგონია მეგრელთა აღსანიშნავად სვანების მიერ გამოყენებული ეთნონიმი „მგზან‘‘, იგივე ზანი, რომელიც შესაძლოა ნიშნავდეს დაბლობში, ვაკეში მცხოვრებს, ანუ რზენალს (რზენი მეგრულში არის მდინარისპირას მდებარე დაბლობი). არ არის გამორიცხული, აქედან მომდინარეობდეს კოლხური ენდემური ხორბლის სახელწოდება ზანდური. ასევე, საფიქრებელია, რომ ზანური წარმომავლობისაა ენდემური ხორბლის ერთ-ერთი სახეობის სახელწოდება დიკა, რომელიც ბარში დასათესს, ანუ ისეთ გეოგრაფიულ გარემოში დასათეს ხორბალს ნიშნავს, რომელიც მდებარეობს დაბლა, მეგრ. დიკე, დაბლობი, შდრ. მეგრ. დიკოხონი-დაღმართი. მეგრულში სიყვა ბარის შესატყვისი არის დაბალი ადგილი, და თითქოს მისი პარალელი არა გვაქვს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მიწის დასამუშავებელ ბასრ იარაღს მეგრულში ეწოდება ბარი, ხოლო ამ ქმედებას ბარუა (დაბარვა).

ტერმინ მთა-ს მიღმა ამოიცნობა მარტოოდენ ფიზიკურ-გეოგრაფიული მაღლობის განსაზღვრულ ნაწილზე განფენილი ანალოგიური კომპლექსების აღმნიშვნელი ტერმინი. ამდენად, ბარის პარალელურად გამოყენებული ტერმინი „მთა‘‘ დამოუკიდებელი ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ზონის აღმნიშვნელი ცნების სახით ძველთაგანვე შედარებით უფრო შეზღუდული სივრცობრივი პარამეტრებით ჩანს ხმარებაში, ვიდრე მისი ანტონიმური „ბარი‘‘. ეს გასათვალისწინებელია „მთასა‘‘ და „ბარს‘‘ შორის მდებარე მედიანური ზონის, ე. წ. მთისწინეთად და ზეგნად სახელდებული ზონების დაზუსტებისას.[1]

სამეგრელოს ე. წ. „დაბალი ზონის‘‘ ზღვისპირა ხმელეთის სიღრმეში დაახლოებით 30 კმ-ია-

[1] **ვ. ითონიშვილი,** ვერტიკალური ზონალობის პანორამა..., გვ. 19-20.

ნი ზოლის სოფლების ჩამოყალიბება დაიწყო XVII-XVIII საუკუნეებიდან. აქ შუა ჭაობში სახლდებოდნენ მებატონისაგან გამოქცეული გლეხები, დამნაშავეები, და რაც მთავარია სამეგრელოს მთის (ამ პერიოდში ჯერ კიდევ არსებობდა სამეგრელოში მთის დასახლებები) და მთისწინეთიდან ჩამოსახლებული მესაქონლეები, რომლებიც თავდაპირველად ზამთრის საძოვრებზე მოერეკებოდნენ საქონელს, იჩენდნენ დამხმარე სამეურნეო ბაზას („კარე"), საბოლოოდ კი ადგილზე სახლდებოდნენ, თუმცა თავიანთ ადრინდელ საცხოვრისთან მომდევნო სამი-ოთხი თაობის შთამომავლებსაც არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა. ასე ჩამოყალიბდა ისეთი დიდი სასოფლო დასახლებები, როგორიცაა ერგეტა, დარჩელი, კოკი, ორსანტია, კახათი (ზუგდიდის მუნიციპ.) და თანამედროვე ხობის მუნიციპალიტეტის ზღვისპირა სოფლები. მაგალითად, ჩვენს მიერ ამ კვლევის ფარგლებში შესწავლილი სოფელი თორსა-დღვაბაც ასე დაარსდა. კერძოდ, სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე დატანილია სოფელი ხეთა, მაგრამ მდ. ჭურიის ქვემო წელი სრულიად დაუსახლებელია. ამდენად, 1861 წლისათვის სოფლები თორსა, დღვაბა, საბუკიო ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. მაგალითისთვის XIX ს. შუა ხანებში სოფელ ჭოღიდან თორსა-დღვაბაში ჩამოსახლდნენ გლეხები: შელიები, წულაიები, ქადარიები, სორდიები. მოსახლეობა ძირითადად სოფელზე გამავალი ღელის თოლისკურის ნაპირებზე სახლობდა და მესაქონლეობას მისდევდა. აქ თავდაპირველად ორი გვარის — შელიებისა და წულაიების წარმომადგენლები ჩამოსახლდნენ, შემდეგ მათ სხვა გვარის წარმომადგენლებიც შეემატნენ. მათ მესაქონლეობასთან ერთად მიწათმოქმედებასაც მიჰყვეს ხელი, უპირველეს ყოვლისა, დაიწყეს ჭაობიან ადგილებში არხების გაყვანა.

სოფლის გზები და ინფრასტრუქტურა. ყოველ ცივილიზებულ ეპოქაში ყველაზე დიდი მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვა სხვადასხვა სახის გზებს აქვს. XXI საუკუნეში წესით არ უნდა გვიწევდეს საუბარი ამ პრობლემაზე, მითუმეტეს ისეთი მცირე მასშტაბის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ამ მხრივ სამეგრელოს სოფლების უმრავლესობაში მძიმე ვითარებაა, ეს იმ პირობებში, როცა ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში გარკვეული სამუშაები ჩატარდა სახელმწიფოს მიერ და შიდარეგიონული ცენტრალური გზების დიდი ნაწილი მოწესრიგდა.

სამეგრელოში, განსაკუთრებით ისეთ სოფლებში, რომლებიც ცენტრალური საავტომობილო, ე. წ. „სამხედრო" გზებიდან მოშორებით მდებარეობენ, საგზაო ინფრასტრუქტურის მხრივ სავალალო მდგომარეობაა. უმეტეს ადგილებში მოშლილია ის გრუნტის გზებიც, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში „მოხრეშილი" იყო. ასეთი ვითარება ართულებს მუნიციპალიტეტის ცენტრებთან მოსახლეობის კავშირს. ცუდი გზების გამო არ მოძრაობს არა თუ მუნიციპალური, არამედ კერძო ტრანსპორტიც. ეს შეუძლებელს ხდის გლეხის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარში გატანას. მეორე მხრივ, ასეთ სოფლებში გაძნელებულია სკოლის მოსწავლეთა გადაადგილება და ამ მიზეზით აკადემიური მოსწრება ძალიან დაბალია. მათ უჭირთ კილომეტრობით ასეთ გზებზე, მით უმეტეს ზამთარში, ქვეითად სიარული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამეგრელოს გზების უდიდესი ნაწილი არ იყო მოასფალტებული იმაზე მეტად, რაც დღეს არის და როგორც აღინიშნა ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, მაგრამ ეს მხოლოდდამხოლოდ ცენტრალურ გზებზე ითქმის, სადაც, შესაბამისად, ტრანსპორტის პრობლემაც არ არის. საბჭოთა ხელისუფლების წლებთან დღევანდელი მდგომარეობის განსხვავება ამ მიმართულებით ის არის, რომ შიდა სასოფლო გრუნტის გზები მუდმივად წესრიგდებოდა, ხდებოდა მოხრეშვა და ნებისმიერ სოფელში სახელმწიფო ტრანსპორტი, უმეტესად ავტობუსები, რეგულარულად მოძრაობდა. დღეს ეს ასე არ არის. სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთარი ავტომობილის ყიდვის საშუალება არა აქვს, ის ასეთ დანაზოგს ვერ აკეთებს. ეს ყოველივე არის პირველი რიგის მოსაგვარებელი პრობლემა, რამდენადაც მოსახლეობის მიგრაციის და სოფლების დაცლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ უგზოობაა. ამ მხრივ ურთულეს ვითარებას წავაწყდით ხორშის თემში.

თანამედროვე სოფლის ყოფაში კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების მხრივაც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ყველაფერი მოიშალა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყველა სოფელში იყო ბიბლიოთეკა, სტადიონი, საცურაო აუზი, კლუბი, ზოგან — კულტურის სახ-

ლი, კაფე-სასადილო, სხვადასხვა სახის მაღაზიები, მათ შორის, უნივერმაღები. ყველა თემში იყო ფოლკლორული კოლექტივები, სპორტული წრეები. ყოველივე ეს დავიწყებას მიეცა და დარჩა (ისიც ნაწილობრივ) მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრებში, სადაც ფართო მასშტაბის კულტურული ღონისძიებები იშვიათად ტარდება, და ეს იშვიათობაც სოფლის მოსახლეობისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომია.

სამეგრელოს სოფლებში ასევე მოიშალა საავადმყოფოები და ამბულატორიები. რასაკვირველია, სოფელს ჰყავს ექიმი, მაგრამ ყოველგვარი ამბულატორიული ინფრასტრუქტურა მოშლილია და ის დარჩა ფორმალურად, როგორც ე. წ. „მიმართვის“ გამომწერი მუნიციპალიტეტში მდებარე ამა თუ იმ პროფილის სამედიცინო დაწესებულებასთან. ამდენად, სოფლის პირველადი ჯანდაცვა არ არსებობს და გაუგებარია, თუ რა საჭიროა სოფელში იჯდეს მხოლოდ და მხოლოდ სხვა სამედიცინო დაწესებულებასთან გადამმისამართებელი სოფლის ექიმი. ამით არ ვამბობთ იმას, რომ სოფელში ექიმი არ უნდა იყოს, არამედ საჭიროა ადგილებზე მოეწყოს სამედიცინო ინფრასტრუქტურა ისე, რომ არ მოუწიოთ გრძელ რიგებში დგომა აუცილებელი, მაგრამ უმნიშვნელო სამედიცინო ჩარევის საჭიროების მქონე ადამიანებს. ამ ყოველივეს ერთი ექოსკოპიის და ერთი კარდიო აპარატი სჭირდება და პრობლემაც სხვა უფრო მაღალ ტექნოლოგიებზე ფიქრამდე დროებით გადაწყდება. ვფიქრობთ, ამის გაკეთება არ უნდა იყოს დიდი ტვირთი საქართველოს ბიუჯეტისთვის და შესაძლოა გარკვეული მენეჯმენტით ზოგიერთ დიდ დასახლებაში სახელმწიფოს შეუძლია კერძო სტრუქტურების ჩართვაც სათანადო პირობების შექმნით და დაინტერესებით.

§ 2. დასახლების მორფოლოგია

სოფლის თემის მმართველობა, სტატისტიკური აღწერილობის მასალები და დემოგრაფიული მდგომარეობა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე. სამეგრელოს სოფელი და სათემო დასახლებები საინტერესო სტრუქტურის მქონე სოციალური ერთეულია. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ცნება „სოფელი“ სამეგრელოში, ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებით, ერთი გვარით დასახლებულ ერთეულს გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის პირვანდელი მონოგენურობა დარღვეულია, საგვარეულოებად განსახლების პრინციპი დღესაც მკაფიოდ ჩანს. რუსული მმართველობის შემოსვლის შემდეგ კი ნათლად გამოიკვეთა სამეგრელოს თემებად დაყოფის სურათი.

წინამდებარე ნაშრომში, როგორც შესავალში აღინიშნა, ზოგადად რეგიონის ყოფისა და კულტურის გასააზრებლად და ძირითადად კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენებით საველეეთნოგრაფიული სამუშაოების ორიენტირად თითოეული მუნიციპალიტეტიდან შეირჩა თითო დიდი დასახლებული ერთეული — სოფლის თემი გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით. ესენია: 1. მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის თემი (ლეციცხვაიე, ზემო ხუნწი, ქვემო ხუნწი); 2. აბაშის მუნიციპალიტეტის კეთილარის თემი (კეთილარი, გამოღმა კოდორი, გულეიკარი); 3. სენაკის მუნიციპალიტეტის ხორშის თემი (პატარა ზანა, დიდი ხორში, საგუგუნაო, შუა ხორში, ციზეთი); 4. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი ჭოღის თემი (პირველი ჭოღა, მეორე ჭოღა); 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემი (ლეთკანთი, ლეკაკულე, ლესალე, ლეხარჩილე); 6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კოკის თემი (კოკი, პატარა კოკი, ორსანტია); 7. ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბას თემი (თორსა, დღვაბა, საბუკიო).

ამ დასახლებათა შერჩევა გარკვეული სპეციფიური მახასიათებლებით, გამომდინარეობს სამეგრელოს მთისა და ბარის როგორც ძველი, ისე თანამედროვე დასახლების ფორმისა (ტოპოგრაფია და სხვა გარეგანი ნიშნები) და ტიპის (დასახლების სოციალურ-ეკონიმიკური სხვაობანი) თავისებურებებში.

1867 წელს სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა და ეს მხარე ზუგდიდისა და სენაკის მაზრების სახით შევიდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. ამ დროიდან ხდება სოფლის თემების გაერ-

თიანება და სასოფლო საზოგადოებების სახით ჩამოყალიბება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საკვლევ თემასთან მიმართებაში ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების მაგალითზე არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დროს ამ საზოგადოებებში შემავალი სოფლების რაოდენობის, სოციალური ფენების, დემოგრაფიული ვითარების, კონფესიური და ეთნიკური შემადგენლობის, მიწათმფლობელობის (სახელმწიფო, სახაზინო, კერძო) და სხვა ნიუანსების წარმოსაჩენად.

1886 წლის აღწერილობით[1] **კოკის** სოფლის საზოგადოებაში ექვსი სოფელი შედიოდა:

დიდი კოკი: 180 კომლი, 856 სული (მამაკაცი 439, ქალი 417); ყველა მეგრელი, სარწმუნოებით ყველა მართლმადიდებელი; აზნაურთა წოდების — 54 ქალი, 59 მამაკაცი. სასულიერონი — 5 მამაკაცი, 6 ქალი; ქალაქური წოდების — 37 მამაკაცი, 37 ქალი; სამთავრო მიწებზე სახლობდა 106 კომლი, საკუთარ მიწაზე — 18 კომლი, ხიზნები — 16 კომლი.

პატარა კოკი: 132 კომლი, 643 სული (მამაკაცი 331, ქალი 312); ყველა მეგრელი, სარწმუნოებით ყველა მართლმადიდებელი; თავადთა წოდებას ეკუთვნოდა 5 მამაკაცი, 3 ქალი; აზნაურთა წოდებას — 16 ქალი, 19 მამაკაცი; ქალაქურ წოდებას — 57 მამაკაცი, 37 ქალი; სამთავრო მიწებზე სახლობდა 43 კომლი, საკუთარ მიწებზე — 28 კომლი, ხიზნები — 51 კომლი.

მანუჩარის კახათი: 75 კომლი (მამაკაცი 192, ქალი 193); ყველა მეგრელი, სარწმუნოებით ყველა მართლმადიდებელი. თავადები — 2 მამაკაცი, 1 ქალი; აზნაურები — 6 ქალი, 15 მამაკაცი; სასულიერონი — 3 მამაკაცი, 5 ქალი; სახელმწიფო მიწებზე სახლობდა 9 კომლი, საკუთარ მიწაზე — 53 კომლი; ხიზანები — 8 კომლი.

სოფელი ორსანტია: 135 კომლი (მამაკაცი 380, ქალი 349); ყველა მეგრელი, სარწმუნოებით ყველა მართლმადიდებელი. აზნაურები — 46 ქალი, 40 მამაკაცი; სასულიერო წოდების — 7 მამაკაცი, 8 ქალი; სახელმწიფო მიწებზე ცხოვრობდა — 27 კომლი, საკუთარ მიწებზე — 66 კომლი; ხიზნები — 26 კომლი.

ოტობაია: 38 კომლი (მამაკაცი 89, ქალი 91); ყველა მეგრელი, სარწმუნოებით ყველა მართლმადიდებელი. თავადები — 2 მამაკაცი, 2 ქალი; სახელმწიფო მიწებზე ცხოვრობდა — 21 კომლი, საკუთარ მიწებზე — 4; ხიზნები — 12 კომლი.

შამგონა: 122 კომლი (მამაკაცი 317, ქალი 310); ყველა მეგრელი, სარწმუნოებით ყველა მართლმადიდებელი; თავადები — 4 მამაკაცი, 2 ქალი; აზნაურები — 48 ქალი, 47 მამაკაცი; სასულიერონი — 5 მამაკაცი, 5 ქალი; სახელმწიფო მიწებზე ცხოვრობდა — 33 კომლი, საკუთარ მიწებზე — 19; ხიზნები — 48 კომლი.

მთლიანობაში, კოკის სოფლის საზოგადოების მოსახლეობა შეადგენდა: 682 კომლს, 3420 სულს (მამაკაცი 1748, ქალი 1672); უკლებლივ ყველა მეგრელი, სარწმუნოებით ყველა მართლმადიდებელი; თავადები — 13, აზნაურები — 350, სასულიერონი — 25; ქალაქური წოდების — 94 (მხოლოდ დიდ კოკში იყვნენ); სახელმწიფო მიწებზე ცხოვრობდა 239 კომლი, 1213 სული; საკუთარ მიწებზე — 188 კომლი 894 სული; ხიზნები — 161 კომლი, 803 სული.

1900 წლის მონაცემებით ზუგდიდის მაზრაში 37 ადმინისტრაციული ერთეული შედიოდა, მათ შორის კოკის თემი.[2] ზუგდიდის მაზრის ზუგდიდის უბნის კოკის თემში 6 დასახლებული პუნქტი შედიოდა. თემის მოსახლეობა 731 კომლს, 4549 სულს (მამაკაცი 2308, ქალი 2241) შეადგენდა.[3]

XX საუკუნის დასაწყისში კოკის სასოფლო საზოგადოებაში ორი სოფელი შედიოდა: დიდი კოკი და პატარა კოკი. ქუთაისის გუბერნიის სტატისტიკის კომიტეტის მიერ 1905 წლის 24 მაისიდან 1906 წლის 25 ოქტომბრამდე შეკრებილი მასალის მიხედვით, 1905-1906 წწ. ზუგდიდის მაზრის ზუგდიდის საპოლიციო უბანში შედიოდა კოკის სასოფლო საზოგადოება. თემის მმარ-

---

[1] Свод статистических данных о населении закавказского края, извлеченных из посемейных списков, 1886 г. Тифлис, 1896.

[2] **Сборник** статистических сведений по Закавказскому краю. *Составлен по постановлению Закавказскаго Статистическаго комитета, состоящим при нем отделом, под редакцией старшего редактора отдела* ***Е. Кондратенко,*** ч. 1, Тифлис, 1902, გვ. 270.

[3] **Сборник** статистических сведений по Закавказскому краю, ч. 1, გვ. 270.

თველობა სოფ. კოკში იყო. თემში ექვსი სოფელი შედიოდა: *დიდი კოკი* — 195 კომლი, 932 სული (მამაკაცი 494, ქალი 438); *პატარა კოკი* — 142 კომლი, 795 სული (მამაკაცი 438, ქალი 357); *მანუჩარის კახათი* — 90 კომლი, 547 სული (მამაკაცი 287, ქალი 260); *შამგონა* — 135 კომლი, 805 სული (მამაკაცი 415, ქალი 390); *ოტობაია* — 45 კომლი, 264 სული, (მამაკაცი 138, ქალი 126); *ორსანტია* — 142 კომლი, 849 სული (მამაკაცი 453, ქალი 396). მთლიანობაში, კოკის სასოფლო საზოგადოებაში ცხოვრობდა 337 კომლი, 1 727 სული (მამაკაცი 932, ქალი 795).[1]

1923 წელს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აღწერა ჩატარდა. სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით კოკის თემში ხუთი სოფელი შედიოდა. თემის მოსახლეობა შეადგენდა 3489 სულს (1810 მამაკაცი, 1679 ქალი), ჯარში — 7; მეურნეობის საერთო რიცხვი 768 იყო.[2] მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მიხედვით კოკის ს/საბჭოს მოსახლეობა ასეთი იყო: 780 კომლი, 3629 სული. მათგან, 3623 ქართველი, 4 აფხაზი, 2 სხვა ეროვნების. *დიდი კოკი* — 217 კომლი, 995 სული; ყველა ქართველი; *პატარა კოკი* — 168 კომლი, 820 სული; მათგან, 818 იყო ქართველი, ხოლო 2 — სხვა ეროვნების; *მანჩას კახათი (ახალი კახათი)* — 125 კომლი, 559 სული; ყველა ქართველი; *ორსანტია* — 205 კომლი, 950 სული; მათგან, 946 იყო ქართველი, ხოლო 4 — აფხაზი; *ოტობაია* — 65 კომლი, 305 სული; ყველა ქართველი.[3]

1930 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში მაზრებად დაყოფა გაუქმდა და ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული რაიონი გახდა. 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კოკის თემი ზუგდიდის რაიონში შედიოდა. კოკის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: დიდი კოკი, პატარა კოკი, მანჩას კახათი (ახალი კახათი), ორსანტია, ოტობაია.[4] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1949 წლის ცნობარის თანახმად, კოკის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: კოკი (ს/საბჭოს ცენტრი) და ხურჩა.[5] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1960 წლის ცნობარის თანახმად, კოკის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: კოკი (ს/საბჭოს ცენტრი), ხურჩა და ახალკახათი.[6] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1961 წლის ცნობარის თანახმად, კოკის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: კოკი (ს/ს ცენტრი), ხურჩა, ახალკახათი.[7] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1966 წლის ცნობარის თანახმად, კოკის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: კოკი (ს/ს ცენტრი) და ხურჩა.[8] საქართველოს სსრ 1977 და 1987 წლების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარების თანახმად ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: კოკი (ცენტრი) და ხურჩა.[9]

1859-1860 წლების კამერალური აღწერის მიხედვით **ჭოღის თემში** (დღევანდელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი) დათვლილია 299 კომლი 1607 მცხოვრებით, მათ შორის — 952 მამაკაცი, 755 ქალი.[10] 1886 წელს ჭოღა შედიოდა სენაკის მაზრის მარტვილის უბნის ნაფიჩხოვოს თემში (329 კომლი, 2159 სული). ცენტრი იყო დღევანდელი მეორე ჭოღის ტერიტორიაზე, მთავარანგელოზის ეკლესიასთან. შემდგომში ცენტრი გადმოვიდა დღევანდელ პირველ ჭოღაში, ჩხოროწყუ-ნაფიჩხოვო-კურზუს მთავარ გზაზე.[11]

---

[1] Список населённым местам Кутаисской губернии, Кутаис, 1907, გვ. 32.

[2] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნაწ. I. სათემო ჯამები, ტფ., 1925, გვ. 38.

[3] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 122.

[4] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930, გვ. 124.

[5] Грузинская ССР. Административно-территориальное деление на 1 сентября 1949 года, Тб., 1949, გვ. 46.

[6] Грузинская ССР. Административно-территориальное деление на 1 мая 1960 года, Тб., 1960, გვ. 50.

[7] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, თბ., 1961, გვ. 47.

[8] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, თბ., 1966, გვ. 50.

[9] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისთვის, თბ., 1977, გვ. 57; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბ., 1987, გვ. 41.

[10] **ვ. ახალაია,** ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 230.

[11] **ვ. ახალაია,** ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 230.

1886 წლის აღწერილობის მიხედვით ჭოღის თემში, რომელიც იმ დროს წალენჯიხის საპოლიციო უბანში ერთიანდებოდა, სამი სოფელი შედიოდა: ლექარჩე, ხანწკი და ჭოღა. მოსახლეობა შეადგენდა 537 კომლს 3519 სულით (მამაკაცი 1863, ქალი 1656); უკლებლივ ყველა მეგრელი, სარწმუნოებით ყველა მართლმადიდებელი; თავადები — 7, აქედან მამაკაცი 2, ქალი 5; აზნაურები — მამაკაცი 59, ქალი 47; სასულიერონი — 38 (მამაკაცი 21, ქალი 17); სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა 35 კომლი (მამაკაცი 110, ქალი 100); სამთავრო მიწებზე — 326 კომლი (მამაკაცი 1088, ქალი 1019); მიწის მესაკუთრე იყო 143 კომლი (მამაკაცი 570, ქალი 457); ხიზანი — 4 კომლი (მამაკაცი 12, ქალი 12).

თითოეული სოფლის მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს: სოფელი *ლექარჩე* — 83 კომლი, 554 სული (მამაკაცი 279, ქალი 275); საულიერო წოდების — მამაკაცი 3, ქალი — 3; სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა 24 კომლი; სამთავრო მიწებზე — 44 კომლი; საკუთარ მიწაზე — 14 კომლი; სოფელი *ხანწკი* — 125 კომლი, 806 სული (მამაკაცი 422, ქალი 384); თავადები — მამაკაცი 1, ქალი 3; აზნაურები — 40 მამაკაცი, 36 ქალი; სასულიერონი — მამაკაცი 6, ქალი — 2; სამთავრო მიწებზე ცხოვრობდა 86 კომლი, საკუთარ მიწაზე — 19; ხიზანი — 3 კომლი; სოფელი *ჭოღა* — 329 კომლი, 2159 სული (1162 მამაკაცი, 997 ქალი); თავადები — 1 მამაკაცი, 2 ქალი; აზნაურები — 19 მამაკაცი, 11 ქალი; საულიერონი — 12 მამაკაცი, 12 ქალი; სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა — 11 კომლი, სამთავრო მიწებზე — 196 კომლი, საკუთარ მიწაზე — 110 კომლი; ხიზანი — 1 კომლი.[1]

1905 წლის აღწერილობით, ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის საპოლიციო უბნის ჭოღის სოფლის საზოგადოებაში გაერთიანებულია ხუთი სოფელი: *ჭოღა* — 402 კომლი, 2360 სული (მამაკაცი 1240, ქალი 1120); *ლექარჩე* — 71 კომლი, 429 სული (219 მამაკაცი, 210 ქალი); *ხანწკი* — 148 კომლი, 901 სული (მამაკაცი 476, 425 ქალი); ნაფიჩხოვო — 260 კომლი, 1600 სული (833 მამაკაცი, 767 ქალი); *ზემო ჭოღა* — 12 კომლი, 69 სული (36 მამაკაცი, 33 ქალი).[2]

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით ჭოღის თემში ოთხი სოფელი შედიოდა. თემის მოსახლეობა შეადგენდა 2185 სულს (1165 მამაკაცი, 1020 ქალი), მეურნეობის საერთო რიცხვი 470 იყო.[3] მოსახლეობის 1926 წლის აღწერი ჭოღის ს/საბჭოს მოსახლეობა ასეთი იყო: *ლექარჩე* — 89 კომლი, 461 სული, *ჭოღა I* — 160 კომლი, 727 სული; *ჭოღა II* — 199 კომლი, 970 სული; *ხანწკი* — 36 კომლი, 164 სული. თემის მთელი მოსახლეობა ქართული იყო.[4]

1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, ჭოღის თემი ჩხოროწყუს რაიონში (ცენტრი სოფ. ჩხოროწყუ) შედიოდა. ჭოღის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: *ლექარჩე*, *ჭოღა I*, *ჭოღა II*, *ხანწკი*.[5] 1961 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ჭოღის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: პირველი ჭოღა (ს/ს ცენტრი) და მეორე ჭოღა.[6] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 მარტის დადგენილებით აღდგენილ იქნა წინათ გაუქმებული სოფელი ლექობალე და ადმინისტრაციულად ჭოღის სასოფლო საბჭოს დაექვემდებარა.

1999 წლის ბოლოსათვის ჭოღის თემში აღრიცხულია 570 კომლი 2021 მცხოვრებით.[7] 2002 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, *პირველ ჭოღაში* 1018 მცხოვრები იყო (487 მამაკაცი, 531 ქალი); *მეორე ჭოღაში* — 785 მცხოვრები (382 მამაკაცი, 403 ქალი).[8] 2014 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, *პირველ ჭოღაში* ცხოვრობდა 724 კაცი (367 მამაკაცი, 357-ქალი); *მეორე ჭოღაში* — 661 კაცი (343 კაცი, 318 ქალი).[9]

1886 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებით **ხორშის** სოფლის საზოგადოებაში ერთიანდებოდა ორი სოფელი — ხორში და ციზეთი, სადაც ცხოვრობდა 638 კომლი, 3811 სული (2028 მამაკაცი,

---

[1] Свод статистических данных о населении закавказского края, извлеченных из посемейных списков, 1886 г. Тифлис, 1896.

[2] Список населённым местам Кутаисской губернии, გვ. 34.

[3] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნაწ. I. სათემო ჯამები, გვ. 38.

[4] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930, გვ. 125.

[5] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930, გვ. 124.

[6] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, გვ. 30.

[7] ჭოღა, გაზ. ჩხოროწყუ“, 2000 წ. 8 დეკემბერი.

[8] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, ტ. II.

[9] მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ნოემბერი 2014).

1783 ქალი); ყველა მეგრელი; ყველა მართლმადიდებელი; თავადები — 36 (18 მამაკაცი, 18 ქალი); აზნაურები — 715 (391 მამაკაცი, 324 ქალი); საულიერონი — 69 (42 მამაკაცი, 27 ქალი); სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა 5 კომლი, 14 სული; სამთავრო მიწებზე — 364 კომლი, საკუთარ მიწაზე — 122 კომლი; იჯარით აღებული მიწა ჰქონდა 2 კომლს, ხიზანი იყო 7 კომლი, 31 სული.

ცალკეული სოფლების მიხედვით 1886 წლისთვის ასეთი სურათი გვაქვს: სოფელი *ხორში* — 584 კომლი, 3484 სული (მამაკაცი 1867, ქალი 1617); თავადები — 36 (18 მამაკაცი, 18 ქალი); აზნაურები — 715 (391 მამაკაცი, 324 ქალი); სასულიერონი — 52 (32 მამაკაცი, 20 ქალი); სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა 2 კომლი, 10 სული; სამთავრო მიწებზე — 318 კომლი, საკუთარ მიწაზე — 121 კომლი, მოიჯარე — 2 კომლი, ხიზანი — 6 კომლი; სოფელი *ციზეთი* — 54 კომლი, 327 სული (161 მამაკაცი, 166 ქალი); სასულიერონი — 17 სული (10 მამაკაცი, 7 ქალი); სახაზინო მიწებზე ცხოვრობდა 3 კომლი, 11 სული; სამთავრო მიწებზე — 46 კომლი; საკუთარ მიწაზე — 1 კომლი, 21 სული; ხიზანი — 1 კომლი.[1]

1905 წლის აღწერით, ზუგდიდის მაზრის რედუტ-კალეს საპოლიციო უბნის ხორშის სოფლის საზოგადოებაში შედიოდა ორი სოფელი: *ხორში* — 638 კომლი 3449 მცხოვრებით (მამაკაცი 1820, ქალი 1629); *ციზეთი* — 54 კომლი, 266 მცხოვრებით (135 მამაკაცი, 131 ქალი).[2]

1905-1906 წწ. ზუგდიდის მაზრის რედუტ-კალეს საპოლიციო უბანში შედიოდა ხორშის სასოფლო თემი. თემის მმართველობა იყო სოფ. ხორშში. თემში შედიოდა სოფლები: *ხორში* და *ციზეთი*. ხორშის თემში ცხოვრობდა 692 კომლი, 3715 სული (1 955 მამაკაცი, 1 760 ქალი), მათ შორის: *ხორშში* — 638 კომლი, 3449 სული (1 820 მამაკაცი, 1 629 ქალი); ციზეთში – 54 კომლი, 266 სული (135 მამაკაცი, 131 ქალი).[3]

1921 წლის დასაწყისში ხორშის თემი ზუგდიდის მაზრაში შედიოდა. გაზაფხულზე ხორშის თემი ზუგდიდის მაზრიდან გამოყვეს ტერიტორიული სიშორის გამო და სენაკის მაზრას შეუერთეს. 1926 წლის აღწერით სენაკის რაიონის ხორშის სასოფლო საბჭოში ცხოვრობდა 737 კომლი (3298 სული), მათ შორის: 3287 ქართველი, 1 რუსი, 5 სომეხი, 5 სხვა ეროვნების. სოფლების მიხედვით: სოფელ *ზემო ხორშში* — 47 კომლი (200 სული, ყველა ქართველი), *საადანაიოში* — 91 კომლი (405 კომლი, ყველა ქართველი), საგუგუნაოში — 137 კომლი (633 კაცი, მათ შორის 626 ქართველი, 5 სომეხი, 2 სხვა ეროვნების), *სკურდში* — 94 კომლი (413 კაცი, ყველა ქართველი), *ციზეთში* — 138 კომლი (589 კაცი, ყველა ქართველი), *დიდ ხორშში* — 89 კომლი (438 კაცი, მათ შორის 434 ქართველი, 1 რუსი, 3 სხვა ეროვნების), *შუა ხორშში* — 141 კომლი (620 კაცი, ყველა ქართველი).[4]

1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სენაკის რაიონში შედიოდა ხორშის ს/საბჭო სოფლებით: *ზემო კარი*, *საადანაიო*, *საგუგუნაო*, *სკურდი*, *ციზეთი*, *ხორში დიდი*, *ხორში შუა*.[5] 1949 წლისათვის ხორშის ს/საბჭოში შედიოდა 5 სოფელი (*შუა ხორში*, *ციზეთი*, *სკურია*, *საადანაიო*, *საგაბესკირიო*), ხოლო *დიდი ხორში* (აგრეთვე, *საგუგუნაო* და *პატარა ზანა*) გაერთიანებულია ახლადშექმნილ *პირველი მაისის* ს/საბჭოში. 1961 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ხორშის თემი შედიოდა ცხაკაიას რაიონში. ხორშის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: *შუა ხორში* (ს/ს ცენტრი), *ციზეთი*, *სკურია*, *საგებესკირიო*, *საადანაიო*, *პატარა ზანა*, *საგუგუნაო*, *დიდი ხორში*.[6] 1966 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ხორშის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: *შუა ხორში* (ს/ს ცენტრი), *ციზეთი*, *საადანაიო*, *პატარა ზანა*, *საგუგუნაო*, *დიდი ხორში*.[7] სოფლები, *სკურია* და *საგებესკირიო*, რომლებიც ადრე ხორშის თემში შედიოდა, მენჯის ს/საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს.

---

[1] Свод статистических данных о населении закавказского края, извлеченных из посемейных списков, 1886 г. Тифлис, 1896.

[2] Список населённым местам Кутаисской губернии, გვ. 35.

[3] Список населённым местам Кутаисской губернии, გვ. 35.

[4] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930, გვ. 147.

[5] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930, გვ. 147.

[6] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, თბ., 1961, გვ. 96.

[7] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, თბ., 1966, გვ. 96.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარის თანახმად, *ზანა დიდი* (447 კომლი, 2031 სული) და *ზანა პატარა* (98 კომლი, 444 სული) სენაკის რაიონის ზანის სასოფლო საბჭოშია გაერთიანებული. 1949 წელს ზანის ს/საბჭოში 5 სოფელი შედიოდა: *ზანა* (ს/ს ცენტრი), *საესებუო*, *სატყებუჩავო*, *საშურღაიო*, *ეწერი*, ხოლო *პატარა ზანა* (საგუგუნავოსა და დიდ ხორშთან ერთად) პირველი მაისის ს/საბჭოშია გაერთიანებული. 1987 წლისათვის პატარა ზანა ხორშის ს/საბჭოში შეიყვანეს. 1996 წელს პატარა ზანაში ცხოვრობდა 15 გვარის მატარებელი 49 კომლი; 2002 წელს — 223 კაცი (118 მამაკაცი, 105 ქალი), 2002 წელს აღინუსხა 223 მუდმივი მოსახლე (118 მამაკაცი, 105 ქალი).[1]

საადანაიო საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარის მიხედვით, სენაკის რაიონის ხორშის ს/საბჭოში შედიოდა და მისი მოსახლეობა 91 კომლს (405 კაცი) შეადგენდა. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში სოფელი თითქმის დაცარიელდა. 1996 წელს სოფელში მკვიდრობდა 6 გვარის მატარებელი 9 კომლი, მათ შორის: ადანაია — 3 კომლი, შამათავა — 2 კომლი, ხოლო დანარჩენი გვარები წარმოადგენილია თითო-თითო კომლით. 2002 წლისათვის საადანაიოში 25 მუდმივი მოსახლე დაფიქსირდა.

1996 წელს *საგუგუნავოში* ცხოვრობდა 11 გვარის მატარებელი 40 კომლი, მათ შორის: გუგუნავა — 11 კომლი, კაშიბაძე — 5 კომლი, მიგინეიშვილი — 4 კომლი. 2002 წელს აღირიცხა 99 მუდმივი მოსახლე (მამაკაცი 49, ქალი 50).[2]

1996 წელს დიდ ხორშში ცხოვრობდა 18 გვარის მატარებელი 78 კომლი, ხოლო 2002 წელს — 342 კაცი (169 მამაკაცი, 173 ქალი).[3]

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარის მიხედვით, ციზეთი (138 კომლი, 589 სული) ხორშის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია.[4] 1996 წელს სოფ. ციზეთში აღირიცხა 34 გვარის მატარებელი 99 კომლი, მათ შორის: გვასალია 17 კომლი, ძიძავა და ჩარტია 9-9 კომლი, გაგუა და გრიგოლია 6-6 კომლი, ბერაია 5 კომლი. გვართა უმრავლესობა თითო-ორი კომლითაა წარმოდგენილი.[5] 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო ეროვნული აღწერის მიხედვით, სოფ. ციზეთში ცხოვრობდა 339 მუდმივი მოსახლე (155 მამაკაცი, 184 ქალი).[6]

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, ხორშის თემში 1553 მუდმივი მოსახლე იყო, თემში შემავალი 6 სოფლის მოსახლეობის რაოდენობა ასეთი იყო: *შუა ხორში* — 525 კაცი, *დიდი ხორში* — 342 კაცი, *პატარა ზანა* — 223 კაცი, *საადანაიო* — 25 კაცი, *საგუგუნავო* — 99 კაცი, *ციზეთი* — 339 კაცი. როგორც ვხედავთ, ხორშის თემის საკრებულოში 2002 წელს.[7]

1862-1872 წლებში **ჯგალის თემში** სამი სოფელი შედიოდა: ჯგალი, საჩინო, ნაგურუ. თემის მოსახლეობა 215 კომლი იყო.[8] 1879 წლის ცნობარის თანახმად, სოფელ ნაგურუში სახლობდა 581 კომლი, 413 კაცი (220 მამაკაცი, 193 ქალი); სოფელ საჩინოში — 150 კომლი, 986 სული (520 მამაკაცი, 466 ქალი). მიწის მესაკუთრე იყო 5 კომლი, სახელმწიფო მიწებზე სახლობდა 4 კომლი. საკუთრივ ჯგალში ცხოვრობდა 282 კომლი (1105 მამაკაცი, 973 ქალი). კერძო მფლობელები არ არის აღრიცხული, ხოლო სახაზინო მიწებზე 3 კომლი ცხოვრობდა.[9] 1886 წლის აღწერილობით სოფელ ჯგალში ცხოვრობდა 284 კომლი, 2219 სული (1197 მამაკაცი, 1022 ქალი); სოფელ ნაგურუში — 68

---

[1] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 127.
[2] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 129-130.
[3] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 126.
[4] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 135.
[5] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 131.
[6] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 131.
[7] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VII. სენაკის რაიონი, გვ. 122.
[8] Документы по истории Грузии, Серия II, т. I. Грузия в период буржуазных реформ (1862-1872), ч. 2, под ред. Проф. **Ш. К. Чхетия,** Тб. 1954, გვ. 835.
[9] Список населенных мест Кавказского края// Сборник сведения о Кавказе, т. V, Тифлис, 1879.

კომლი, 469 სული (244 მამაკაცი, 225 ქალი); სოფელ საჩინოში — 179 კომლი, 1182 სული (638 მამაკაცი და 544 ქალი). მთლიანად, სამივე სოფელში, ანუ ჯგალის თემში ცხოვრობდა 531 კომლი, 3870 მამაკაცი (2079 მამაკაცი, 1781 ქალი). საჩინოში ცხოვრობდა ბერძენი ეროვნების ერთი კომლი — 6 სული (4 მამაკაცი, 2 ქალი), დანარჩენი, ადგილობრივი ქართული (მეგრული) მოსახლეობაა; სარწმუნოებით, მართლმადიდებელი ქრისტიანი. ჯგალის თემში აღნუსხულია 88 თავადი (41 მამაკაცი, 47 ქალი). აქედან, საკუთრივ ჯგალში: 4 კაცი (1 მამაკაცი, 3 ქალი), ნაგურუში — 26 (13 მამაკაცი, 13 ქალი), საჩინოში — 58 კაცი (27 მამაკაცი, 31 ქალი); 19 აზნაური (12 მამაკაცი, 7 ქალი). აქედან, ჯგალში და ნაგურუში — არცერთი. აზნაურობი უმთავრესად სოფელ საჩინოში ცხოვრობდნენ; სასულიერონი — 43 (25 მამაკაცი, 18 ქალი); აქედან, ჯგალში 28 (მამაკაცი 17, საჩინოში — 11); ნაგურუში არცერთი; საჩინოში 15 (აქედან 8 მამაკაცი, 7 ქალი). ქალაქური წოდების — 15 კაცი (მამაკაცი 7, ქალი 8). ყველა მათგანი ცხოვრობდა საკუთრივ ჯგალში და აღნიშნულნი არიან როგორც აზნაურობის მაძიებელნი. გლეხები: სახაზინო ან სახელმწიფო მიწებზე ამ დროს არავინ არ არის განსახლებული; სამფლობელო (თავადის) მიწებზე ცხოვრობდა 391 კომლი (1409 მამაკაცი, 1251 ქალი). მიწის მესაკუთრეები არიან 87 კომლი (მამაკაცი 470, ქალი 416); მოიჯარე — 2 კომლი (6 მამაკაცი, 4 ქალი); ხიზანი — 19 კომლი (109 მამაკაცი და 40 სული ქალი).[1]

1902 წლის სტატისტიკური მასალების მიხედვით, ჯგალის თემში სამი სოფელი შედიოდა, სადაც ცხოვრობდა 551 კომლი, 4478 სული (მამაკაცი 2311, ქალი 2167). ყველა ქართველი.[2]1905-1906 წლების აღწერით, ჯგალის სოფლის თემში სამი სოფელი შედიოდა: ჯგალი, საჩინო და ნაგურუ. *ჯგალში* ცხოვრობდა 405 კომლი, 2176 კაცი (მამაკაცი 1087, ქალი 1089); *საჩინოში* — 218 კომლი, 1202 კაცი (627 მამაკაცი, 575 ქალი); სოფელ *ნაგურუში* — 89 კომლი (1627 მამაკაცი, 256 ქალი). მაშასადამე ჯგალის თემში (ჯგალი, ნაგურუ, საჩინო) 1905-1906 წწ. ცხოვრობდა 712 კომლი, 3907 კაცი (მამაკაცი 1987, ქალი 1920).[3]

1920 წელს ჯგალის თემს გამოეყო 400 კომლიანი სოფელი საჩინო. 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, ჯგალის თემში ხუთი სოფელი შედიოდა. თემის მოსახლეობა 2458 კაცს შეადგენდა (1283 მამაკაცი, მათგან ერთი ჯარში იყო გაწვეული; 1175 ქალი); მეურნეობის საერთო რიცხვი 505 იყო.[4]

1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, ჯგალის თემი წალენჯიხის რაიონში (ცენტრი სოფ. წალენჯიხა) შედიოდა. ჯგალის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: ლარა (მედანის ნაწილი), ლეთოფურიე-კანთი, ლეკაკულე, ლესალე, მედანი, ჯგალი.[5] ჯგალის ს/საბჭოს მოსახლეობის რაოდენობა იყო 565 კომლი, 2630 სული, მათ შორის: *ლარა* (მედანის ნაწილი) — 84 კომლი, 361 სული; *ლეთოფურიე-კანთი* — 69 კომლი, 295 სული; *ლეკაკულე* — 112 კომლი, 559 სული; *ლესალე* — 84 კომლი, 390 სული; *მედანი* — 68 კომლი, 313 სული; *ჯგალი* — 148 კომლი, 712 სული. თემის მთელი მოსახლეობა ქართული იყო, მხოლოდ სოფელ ჯგალში ცხოვრობდა ერთი აფხაზი.[6] 1961 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, ჯგალის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: ჯგალი (ს/საბჭოს ცენტრი), ლარა, ლეთკანთი, ლეკაკულე, ლესალე, ლეხარჩილე, მედანი.[7] 1966 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, ჯგალის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: ჯგალი (ს/საბჭოს ცენტრი), ლარა, ლეთკანთი, ლეკაკულე, ლესალე, ლეხარჩილე, მედანი.[8] 1987 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, ჯგალის ს/სობჭოში შედიოდა სოფლები:

---

[1] Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков, 1886 г. Тифлис, 1893.

[2] Сборник статистических сведении по Закавказскому краю ч. I, Тифлис, 1902.

[3] Список населённым местам Кутаисской губернии, გვ.

[4] საქართველოს 1923 წ. სასოფლო—სამეურნეო აღწერა, ნაწ. I. სათემო ჯამები, ტფ., 1925, გვ. 42.

[5] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930, გვ. 126.

[6] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 126.

[7] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, გვ. 93.

[8] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, გვ. 98.

ჯგალი (ს/საბჭოს ცენტრი), ლეთკანთი, ლეკაკულე, ლესალე, ლეხარჩილე.

1886 წელს ჩატარებული კომლობრივი აღწერის მონაცემებით **კეთილარი** (კეთილა) სოფელია ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის აბაშის უბნის გულიკარის სასოფლო თემში. გულიკარის თემში შედიოდა სოფლები: გულიკარი, კეთილა, ქორეის-უბანი, ტყვირი, ტოლეფი.[1] გულიკარის თემში ცხოვრობდა 374 კომლი, 1956 სული (1001 მამაკაცი, 955 ქალი); ყველა ქართველი (მეგრელი); ყველა მართლმადიდებელი; სოციალური წოდებების მიხედვით: აზნაური — 20 კაცი, 17 ქალი; სამღვდელოება — 3 მამაკაცი, 3 ქალი; ვაჭრები — 9 მამაკაცი, 4 ქალი; გლეხები, სახელმწიფო მიწებზე ცხოვრობდა 67 კომლი (127 კაცი, 123 ქალი), მემამულეთა მიწებზე — 160 კომლი (460 მამაკაცი, 445 ქალი), მესაკუთრენი — 81 კომლი (257 კაცი, 254 ქალი), ხიზნები — 53 კომლი (125 კაცი, 109 ქალი).

სოფლების მიხედვით: *გულიკარში* — 104 კომლი, 451 სული (232 მამაკაცი, 219 ქალი); ყველა ქართველი (მეგრელი); ყველა მართლმადიდებელი; სოციალური წოდების მიხედვით: აზნაური — 3 კაცი, 1 ქალი; სამღვდელოება — 1 მამაკაცი; ვაჭრები — 1 მამაკაცი, 2 ქალი; გლეხები, სახელმწიფო მიწებზე არავინ ცხოვრობდა, მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდა 62 კომლი (143 კაცი, 144 ქალი), მესაკუთრენი — 15 კომლი (43 კაცი, 34 ქალი), ხიზნები — 23 კომლი (41 კაცი, 38 ქალი); *კეთილაში* — 100 კომლი, 623 სული (318 მამაკაცი, 305 ქალი); ყველა ქართველი (მეგრელი); ყველა მართლმადიდებელი; სოციალური წოდების მიხედვით: არცერთი თავადი, აზნაური — 17 კაცი და 16 ქალი; სამღვდელოება — 2 მამაკაცი და 3 ქალი; ვაჭრები — 8 მამაკაცი, 2 ქალი; გლეხები: სახელმწიფო მიწებზე არავინ ცხოვრობდა, მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდა 13 კომლი (41 კაცი, 39 ქალი), მესაკუთრენი — 63 კომლი (201 კაცი, 208 ქალი), ხიზნები — 15 კომლი (42 კაცი, 37 ქალი); *ქორეის-უბანში* — 69 კომლი, 254 სული (136 მამაკაცი, 118 ქალი); ყველა ქართველი (მეგრელი); ყველა მართლმადიდებელი; სოციალური წოდების მიხედვით: თავადი — არცერთი, აზნაური — არცერთი, სამღვდელოება — არცერთი, ვაჭრები — არცერთი; გლეხები: სახელმწიფო მიწებზე ცხოვრობდა 61 კომლი (118 კაცი, 103 ქალი), მემამულეთა მიწებზე არავინ ცხოვრობდა, მესაკუთრენი — არცერთი, ხიზნები — 8 კომლი (18 კაცი, 15 ქალი); *ტყვირში* — 70 კომლი, 368 სული (192 მამაკაცი, 176 ქალი); ყველა ქართველი (მეგრელი); ყველა მართლმადიდებელი; სოციალური წოდებების მიხედვით: თავადი — არცერთი, აზნაური — არცერთი, სამღვდელოება — არცერთი, ვაჭრები — არცერთი; გლეხები: სახელმწიფო მიწებზე ცხოვრობდა 6 კომლი (9 კაცი, 20 ქალი), მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდა 57 კომლი (166 კაცი, 137 ქალი), მესაკუთრენი — არცერთი, ხიზნები — 7 კომლი (17 კაცი, 19 ქალი); *ტოლეფში* — 31 კომლი, 260 სული (123 მამაკაცი, 137 ქალი); ყველა ქართველი (მეგრელი); ყველა მართლმადიდებელი; სოციალური წოდებების მიხედვით: თავადი — არცერთი, აზნაური — არცერთი, სამღვდელოება — არცერთი, ვაჭრები — არცერთი; გლეხები: სახელმწიფო მიწებზე არავინ ცხოვრობდა, მემამულეთა მიწებზე ცხოვრობდა 28 კომლი (110 კაცი, 125 ქალი), მესაკუთრენი — 3 კომლი (13 კაცი, 12 ქალი), ხიზნები — არცერთი.[2]

1905-1906წწ. სენაკის მაზრის აბაშის საპოლიციო უბანში შედიოდა გულიკარის სასოფლო თემი. თემში, რომლის მმართველობა სოფ. გულიკარში იყო, ხუთი სოფელი შედიოდა: *გულეიკარი* — 71 კომლი, 320 კაცი (186 მამაკაცი, 134 ქალი); *კოდორი* — 84 კომლი 394 კაცი (217 მამაკაცი, 177 ქალი); *კეთილარი* — 87 კომლი, 514 სული (275 მამაკაცი, 239 ქალი); *ქორეისუბანი* — 52 კომლი, 256 კაცი (137 მამაკაცი, 119 ქალი); *ტოლები* — 29 კომლი, 217 კაცი (101 მამაკაცი, 116 ქალი).[3] ამდენად, თემში ცხოვრობდა 323 კომლი, 1701 სული (მამაკაცი 916, ქალი 785).

1961 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, კეთილარის თემი შედიოდა აბაშის რაიონში. კეთილარის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: კეთილარი (ს/საბჭოს ცენტრი), გულეიკარი, გაღმა კოდორი.[4] 1966 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და-

---

[1] Свод статистических данных о Кавказе, 1897.

[2] Свод статистических данных о Кавказе, 1897.

[3] Список населённым местам Кутаисской губернии, გვ. 26.

[4] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, გვ. 30.

ყოფით კეთილარის თემი შედიოდა აბაშის რაიონში. კეთილარის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: კეთილარი (ს/საბჭოს ცენტრი), გულეიკარი, გაღმა კოდორი.[1]

სოფელი **ხუნწი** 1905 წლის აღწერილობის მასალებით, გაერთიანებულია სენაკის მაზრის მარტვილის საპოლიციო უბანში შემავალ ნაგვაზავოს სოფლის საზოგადოებაში, რომელშიც ოთხი სოფელი შედიოდა: *ნაგვა ზავო* — 225 კომლი, 2005 სული (1039 მამაკაცი, 966 ქალი); *ნოჯიხევი* — 43 კომლი, 316 სული (169 მამაკაცი, 147 ქალი); *სუხჩე* — 84 კომლი, 645 სული (349 მამაკაცი, 296 ქალი); *ხუნწი* — 326 კომლი, 2393 სული (1261 მამაკაცი, 1326 ქალი).[2]

მოსახლეობის 1926 წლის აღწერის მიხედვით მარტვილის სასოფლო საბჭოს სოფელ ხუნწში ცხოვრობდა 51 კომლი (270 კაცი); ყველა ქართველი.[3] იმავდროულად, არსებობდა ხუნწის ს/საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფლები: ლეციცხვაიე, სუხჩე, ხუნწი ზედა, ხუნწი ქვედა. *ლეციცხვაიეში* ცხოვრობდა 171 კომლი, 813 სული (მათ შორის: 812 ქართველი, ერთი პოლონელი); *სუხჩეში* — 115 კომლი, 513 სული; *ხუნწი ზედა* — 179 კომლი, 825 სული; *ხუნწი ქვედა* — 174 კომლი, 767 სული (მათ შორის, 767 ქართველი და ერთი რუსი). სულ, ხუნწის ს/საბჭოში ცხოვრობდა 639 კომლი, 2918 სული.[4]

1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, სოფელი ხუნწი მარტვილის რაიონის (ცენტრი სოფ. მარტვილი) მარტვილის ს/საბჭოში შედიოდა. იმავდროულად არსებობდა ხუნწის ს/საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფლები: ლეციცხვაიე, სუხჩე, ხუნწი ზედა, ხუნწი ქვედა.[5] შემდეგ, სოფელი სუხჩე ხონის რაიონის მათხოჯის ს/საბჭოს შემადგენლობაში შევიდა სუხჩა-ს ფორმით.[6] 1961 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, ხუნწის თემი შედიოდა მარტვილის რაიონში. ხუნწის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: ქვემო ხუნწი (ს/ს ცენტრი), ზემო ხუნწი, ლეციცხვაიე.[7] 1966 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, ხუნწის ს/საბჭოში შედიოდა სოფლები: ქვემო ხუნწი (ს/საბჭოს ცენტრი), ზემო ხუნწი, ლეციცხვაიე.[8]

1886 წელს ზუგდიდის მაზრის რედუტ-კალეს უბანში შედიოდა **ხეთის თემი** სოფლით — ხეთა.[9] სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე დატანილია სოფელი ხეთა, მაგრამ მდ. ჭურიის ქვემო წელი სრულიად დაუსახლებელია. ამდენად, 1861 წლისათვის სოფლები **თორსა, დღვაბა, საბუკიო**, — ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში აქ მოსახლეობა დამკვიდრდა, 1905-1906 წლებშიც თორსასა და დღვაბას სოფლის სტატუსი არ ჰქონდათ. თორსა-დღვაბა 1905 წელს გაერთიანებულია ზუგდიდის მაზრის რედუტ-კალეს საპოლიციო უბნის ხეთის სოფლის საზოგადოებაში, სადაც ამ დროს ცხოვრობდა 968 კომლი, 3449 კაცი (2432 მამაკაცი, 2141 ქალი).[10]

1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, სოფელი თორსა-დღვაბა ხობის რაიონის ხეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა.[11] მოსახლეობის 1926 წლის აღწერის თანახმად, სოფელ თორსა-დღვაბაში ცხოვრობდა 179 კომლი, 796 სული. სოფლის მთელი მოსახლეობა ქართული იყო.[12] 1996 წლის მონაცემებით, სოფელ თორსაში მკვიდრობდა 38

---

[1] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, გვ. 15.

[2] Список населённым местам Кутаисской губернии, გვ. 29.

[3] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930. გვ. 144.

[4] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930. გვ. 145

[5] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, გვ. 145.

[6] **პ. ცხადაია** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2010, გვ. 459.

[7] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930. გვ. 30.

[8] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, გვ. 34.

[9] Свод статистических данных о Кавказе, 1897.

[10] Список населённым местам Кутаисской губернии, გვ. 34.

[11] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფ. 1930, გვ. 124.

[12] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, გვ. 127.

გვარის 133 კომლი.[1] 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, თორსა-დღვაბას თემის საკრებულოში 1367 მცხოვრები იყო (666 მამაკაცი, 701 ქალი). სოფლების მიხედვით ასეთი სურათი იყო: *თორსა* — 541 სული (266 მამაკაცი, 275 ქალი); *დღვაბა* — 382 სული (184 მამაკაცი, 198 ქალი); *საბუკიო* — 444 სული (216 მამაკაცი, 228 ქალი).[2] 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, თორსა-დღვაბას თემის საკრებულოში 958 მცხოვრებია, მათ შორის: 486 მამაკაცი და 472 ქალი). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია: *თორსა* — 535 მცხოვრები (279 მამაკაცი, 256 ქალი); *დღვაბა* — 237 მცხოვრები (121 მამაკაცი, 116 ქალი), *საბუკიო* — 186 მცხოვრები (86 მამაკაცი, 100 ქალი).[3] ამდენად, სულ რაღაც 12 წლის განმავლობაში თორსა-დღვაბას თემის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

სათემო (პოლიგენური) დასახლების სტრუქტურა. სამეგრელოს სოფლის თემის შემადგენლობაში რამდენიმე მონოგენური ან პოლიგენური სოფელი შედიოდა. პირველ შემთხვევაში, თემში შემავალი სოფლების სახელწოდებას საფუძვლად უდევს *-ლე* (მთისწინეთში) და *-სა* (პლატოს უმრავლესობის და ბარის) პრეფიქსით ნაწარმოები გვარსახელი, რომელიც აქ უმრავლესობაშია ან ძველი დროიდან უცხოვრია, ხოლო მეორე შემთხვევაში (პოლიგენურში), ადგილის სახელწოდებები (ოიკონიმები). მაგალითად, *-ლე* პრეფიქსით ნაწარმოები სოფლების სახელწოდებებია მთისწინა სამეგრელოში: ლესიჭინე, ლეგერსამე, ლედგებიე, ლედარსალე, ლეგახარე, ლებერიე, ლუწურწუმე, ლექარდე, ლესალე, ლესხულუხე და სხვა, ხოლო მთლიანად ბარის და მასთან უშუალო მოსაზღვრე პლატო სამეგრელოს ერთი გვარით დასახლებული სოფლები თუ უბნები თითქმის მთლიანად ნაწარმოებია *-სა* პრეფიქსით.

აფხაზეთის კონფლიქტამდე სამურზაყანოშიც გვქონდა -სა პრეფიქსიანი უბნური დასახლებები, მაგალითად: სოფელ აჩიგვარაში — სატორუო, საქობალიო, საშაკაიო; სოფელ II ბედიაში — საქუთელიო, საჭოლარიო, სამატკო, საბიგუო; სოფელ გაგიდაში — სამებონიო, საშონიო, სახურციო; სოფელ განახლებაში — საკახიანო, სამინჯორაიო, საცქვიტარიო; სოფელ დიხაზურგაში — საგამსახურდიო, საგვაგვალიო, საეთერიო, საკვირკველიო, სალამანძიო, საძიგუო; სოფელ თაგილონში — საანჯაფარიო, საბენდელო, სარუხაიო, სასარიო; სოფელ რეფში — სათურქიო, საინალისკუო, სამესხიო, სანანო, საყოლბაიო, საქვაცაბაიო, საჭითანო; სოფელ წარჩეში — საგერზაიო, საელიო, საკენჯიო, საკობახიო, საჩხეტიო.[4]

პ. ცხადაიას კვლევით, სამეგრელოში 400-მდე *-ლე* პრეფიქსიანი ანთროპოოიკონიმია. მათი გავრცელების არეალია მხოლოდ ოდიშის პლატო, ანუ კოლხეთის დაბლობის გორაკ-ბორცვიანი ნაწილი. ადმინისტრაციულად, ესაა წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონები, აგრეთვე ზუგდიდის, ხობის და სენაკის რაიონების აღმოსავლეთი ნაწილი. ზღვისპირა ბარში *-ლე* პრეფიქსი ადგილს უთმობს *-სა* პრეფიქსს. ავტორის აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ მთიანი სამეგრელო სვანური სუბსტრატის ზონაა. როგორც ჩანს, სვანები ქრისტეს შემდგომაც რამდენიმე საუკუნე მოსახლეობდნენ (მეგრელებთან ერთად) ეგრისის ქედის წინამხარში და მხოლოდ მოგვიანებით გადაინაცვლეს ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებისაკენ.[5] უფრო ადრინდელ ნაშრომში პ. ცხადაიამ სამეცნიერო ლიტერატურაში სვანური წარმოშობის ტერმინად მიჩნეული *-ლე* პრეფიქსი აღადგინა საერთოქართველურ დონეზე, ხოლო *-სა* პრეფიქსი მეგრულში იმერულისა და გურულის გზით შემოსულად მიიჩნია.[6] ჩვენ სწორედ ამ მოსაზრებას ვიზიარებთ და მიგვაჩნია, რომ ამის მიზეზი სამეგრელოს დასახლების თავისებურებაში უნდა ვეძებოთ. საქმე იმაშია, რომ დღეს არსებული *-სა* პრეფიქსიანი მონოგენური და-

---

[1] **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007.

[2] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003, გვ. 177.

[3] საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, თბ., 2018, გვ. 278.

[4] **ი. კვაშილავა**, ისტორიულ-ეთნოლოგიური სამურზაყანო, თბ., 2017, გვ. 124.

[5] **პ. ცხადაია**, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, გვ. 40.

[6] **პ. ცხადაია**, -ლე და -სა პრეფიქსების ლოკალიზაცია და მათი წარმოშობა, კრებ. ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 384.

სახლებები შედარებით გვიანდელი წარმოქმნილი ჩანს და ისინი აქ ვერ ქმნიან ისეთ მონოგენურ სოფლებს თურის გაგებით, როგორც ეს მთიანი სამეგრელოს *-ლე* პრეფიქსიან ზონაში შეიმჩნევა. *-ლე* პრეფიქსი სამეგრელოში უპირობოდ ნიშნავს ერთი გვარით დასახლებულ მონოგენურ სოფელს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს უმრავლეს შემთხვევაში ეს მონოგენურობა დარღვეულია და შესაძლოა *-ლე* სუფიქსით ნაწარმოები სოფლის სახელწოდების გვარი უმცირესობაში იყოს, ის მაინც ინარჩუნებს ძირძველ სახელწოდებას (მაგ. *ლეშერო ზიე*, *ლეშამუგე* და სხვა).

-ლე პრეფიქსთან მიმართებაში გარკვეული შორეული პარალელების გავლებაც არის შესაძლებელი. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება (ი. მ. დუნაევსკაია, ი. მ. დიაკონოვი), რომ ზოგიერთი ხათური მორფემა ანალოგიას იჩენს სწორედ ქართველურ ენებს შორის, ასევე ხათურის მესამე პირის მაჩვენებელი არის –ჰ-, -ჰ-, -ს-, ისევე, როგორც ესაა ქართველურში; ამ უკანასკნელშიც გავრცელებულია ხათურში კარგად ცნობილი სიტყვათწარმოების სუფიქსი კუთვნილების და წარმომავლობისა -ელ; სვანურში არსებობს განყენებული სახელების პრეფიქსი ლი- და მრავლობითი რიცხვის ლა- პრეფიქსი, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ხათურ ლე- პრეფიქსთან.[1] *-ლე* პრეფიქსი პროტოხეთურად არის მიჩნეული უფრო ადრინდელ ნაშრომებშიც.[2]

პირველ რიგში, მოვიყვანთ სამეგრელოს იმ სათემო დასახლებათა მაგალითებს, რომელთა შესწავლა უშუალოდ წინამდებარე კვლევაში იყო დაგეგმილი, რამდენადაც აქ გათვალისწინებულია სამეგრელოს მთისწინეთის, პლატოს და ბარის დასახლებათა თავისებურებები.

ჯგალის თემში შემავალი მონოგენური დასახლებებია: *ლეკვარაცხელე*, *ლეჩანგელიე*, *ლებელქანიე*, *ლეხარჩილე*, *ლესალე*, *ლეხუბულე*, *ლეთოფურე* (თოფურიები იქ დღეს არ ცხოვრობენ), *ლეკაკულე* (კაკულიები იქ დღეს არ ცხოვრობენ). სხვა უბნური დასახლებებია: *კანთი*, ანუ *ლეთ-კანთი* (ლეთოფურე და კანთი), *სქური*, და თემში ადრე შემავალი *ლარა* და *მედანი* (ლარა-მედანი).

ჭოლის თემში შედის სამი პოლიგენური სოფელი: *ლექობალე*, *პირველი ჭოლა* და *მეორე ჭოლა*. თავის მხრივ მასში შედის უამრავი ლე- პრეფიქსიანი მონოგენური უბნები. პირველ ჭოლაში: *ლეშენგელიე*, *ლეჯომიდე*, *ლეთოდუე*, *ლედიხამინჯიე*, *ლეჭეჟიე*, *ლეაფშილე*, *ლეხობელე*, *ლექობალე*, *ლეფაცაცე*, *ლეჯაგუნე*, *ლეთოდუე*, *ლეპატარე*, *ლეჯვატე*. ზოგიერთ უბანს სახელწოდება ძველად აქ მოსახლე გვარების მიხედვით შემორჩა, მაგ. ბაკურეთის ნაწილი, რომელიც იგივე ლეხობელეა, სადაც შენგელიები ცხოვრობენ და შონიათი (უმეტესად ცხოვრობენ შენგელიები და ფაცაციები). ასევე არის უბნების სახელწოდებები: ხანწკი, რომელშიც შედის ლელაგვილე, ჟუღუ-ენწერი, სადაც ადრე შენგელიები ცხოვრობდნენ. მეორე ჭოლაში: *ლეშეგელიე, ლეგაბელე, ლეახალე, ლექარჩე, ლეგვარამე, ლემარკოზე, ლებერულე, ლეწახნაგე*. ასევე, ადგილის სახელწოდებების მიხედვით არის ნაწარმოები უბნების სახელები: გა (ძველად შენგელიები ცხოვრობდნენ), სადაც დასახლება გვიანდელი ჩამოსული ხალხისგან შედგება და პოლიგენურია, ასევე, ნაკარუ I და ნაკარუ II.

ხუნწის თემში შედის სამი პოლიგენური სოფელი: ლეციცხვაიე, ანუ ნატებერა, ზედა ხუნწი და ქვედა ხუნწი. ადრე შედიოდა ქვაითი, ანუ გაღმა ხუნწიც. თავის მხრივ მათში შედის მონოგენური უბნები. ქვედა ხუნწში შედის უბნური დასახლებები: *სარევიო (რევიების), ეხაჟომიე (ხაჟომიების), ეხურეიე (ხუროძეების), ემონიე (მონიავების), ეგოგაიე (გოგაიების), ეთოფურიე (თოფურიების), ეწოწორიე (წოწორიების), ეჯღამაიაე (ჯღამაიების), ეძაძამიე (ძაძამიების), ძიძიგურების უბანი, გახოკიძეების უბანი*; ნატებერაში უმეტესად ცხოვრობენ ციცხვაიები და უბნის სახლეწოდებაა ეციცხვაიე, ლეხუნწელიე (ხუნწელიების), ლეკოკაიე (კოკაიების), ასევე არის სახელწოდებით — ფირცხალავების, ბერიების, ჩიქვანაიების, ძიძიგურების, გახოკიძეების უბნები.

ხორშის თემში შედის ხუთი სოფელი: შუა ხორში, დიდი ხორში, პატარა ზანა, საადანაიო, საგუგუნავო. თავის მხრივ უბნებში მრავალი მონოგენური უბანი შედის: ოღურეის უბანში — *საგვასალიო, საღვამბერიო; ციზეთის უბანში — სკურია-საგაბელიო, საპაჭკორიო, სანარაკიო, საანთიო, საგვათუო, სააფშილო, საგვასალიო, საქადარიო, სამარშანიო, საბერაიო, საჩარტიო.*

---

[1] **გ. გიორგაძე**, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 89. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

[2] **П. Н. Ушаков**, Древнейшее население Малой Азии, Кавказа и Эгеиды// *Вестник древней истории*, М., 4 (9), 1939, გვ. 55.

ყველაზე ძველი გვარია ჩარტია, ამიტომ ამ სოფელს საჩარტიოს ეძახდნენ. აქ ძველად სხვა უბნებიც ყოფილა: *საჯორჯიკიო, საშელიო, სააფშილა, სახვიჩიო, საკვიკვინიო*; პირველი მაისის უბანში: საბუკიო, სადაც ასევე იყო მცირე უბნური მონოგენური დასახლებები — *საპარკაიო, საბებიო, საფაჩულიო, სარეკვავო, საცხომარიო, საჩიქოვანო, საბაკურაძო, საგაბეჩა;* პატარა ზანაში — *საჭითავო, სამატახერიო, საგვათუო, საჭანტურიო, საფაჩულიო, სასახეიშვილო, საადანაიო, საგაბესკირიო, სახუნჯუო, ადრე იყო სანორაკიძეო*; ძველად, მონოგენური სოფელი იყო საგუგუნავო, რომლის გარშემოც თანდათან წარმოიქმნა სხადასხვა გვარის მცირე მონოგენური დასახლებები — *საკანკავო, სასახეიშვილო, საადანაიო, საგაბესკირიო, სააბშილავო*; მონოგენური სოფელი იყო საადანაიოც, სადაც ასევე შეიქმნა სხვა მცირე მონოგენური უბნური დასახლებები — *სამიგინეიშვილო, საშარტავო, საპარკაიო, საგოგიო, საშამათავო, სანადარაიო, საჟორდანიო, საჩიჩუო, საბუკიო, საპარკაიო, სამირცხულა, სადადიანო, საგიგინეიშვილო, საგაბეჩავო, საცხომარიო; ჯვარკარის* სასაფლაოს უბანში შედიოდა — *სადადიანო, სამირცხულო, სასახესკუო, საკანკა, საადანაიო, საპარკაიო, საგუგუნავო.*

კეთილარის თემი სამ სოფელს აერთიანებს: კეთილარს, გულეიკარს და გაღმაკოდორს. ადრე, ცენტრი იყო გულეიკარი, სადაც ასევე სხვადასხვა დროს შედიოდა სოფლები: ტყვირი, კეთილარი, კოდორი, ტოლები და ვაზისუბანი (ცივწყალა), ქორეისუბანი, ქვიშანჭალა. გულეიკარი იყოფა უბნებად: *დუქნის კარი, ჭალის კუთხე, ნარმენე კუთხე.* ძველად, *კოდორი* ერთი სოფელი იყო, მთხრობელთა აღნიშვნით, მდინარე რიონზე ცხენით გადახტომა შეიძლებოდაო, მერე კი მდინარემ სოფელი შუაზე გაყო და მივიღეთ გაღმა და გამოღმა კოდორი. აქ, ძველი გვარია შელია. უბანს საშელიოს ეძახდნენ, აქვე იყო საქობულიოც. კეთილარის თემში მონოგენურად დასახლებული *-სა* პრეფიქსიანი უბნები ცოტაა, რისი მიზეზიც ის არის, რომ აქ შედარებით გვიანდელ დასახლებასთან გვაქვს საქმე, რამაც განსაზღვრა მისი პოლიგენური სახე, რომელიც ბარის სამეგრელოს უმრავლესობისათვის არის დამახასიათებელი. აქ გვარებად დასახლებული *-სა* პრეფიქსიანი უბნებია: *საქობულიო (კოდორი), საჩაგანავო (კეთილარი).*

პოლიგენურია *თორსა-დღვაბას თემი*, რომელიც უფრო გვიანდელი დასახლებაა, ვიდრე კეთილარის თემი. თორსა-დღვაბას თემის შემადგენლობაში შედის სოფლები: თორსა, დღვაბა და საბუკიო. აქ, მონოგენური უბნების სახელწოდებებია: *საწულაიო, საშელიო, სალატარიო* (იგივე ე. წ. „ნაზავოდუს“ უბანი), და *საბუკიო*, რომლის გარკვეული ნაწილი ხეთის თემის შემადგენლობაში შედის. XIX საუკუნის შუა ხანებში თორსა-დღვაბაში ჩამოსახლდნენ გლეხები: შელიები, წულაიები, ქადარიები, სორდიები სოფელ ჭოღიდან. მოსახლეობა ძირითადად სოფელზე გამავალი ღელის თოლისკურის ნაპირებზე სახლობდა და მესაქონლეობას მისდევდა. თავდაპირველად აქ ორი გვარის — შელიებისა და წულაიების წარმომადგენლები ჩამოსახლდნენ, შემდეგ მათ სხვა გვარის წარმომადგენლებიც შეემატნენ. მესაქონლეობასთან ერთად მათ ჭაობიან ადგილებში არხების გაყვანა დაიწყეს და მიწათმოქმედებასაც მიჰყვეს ხელი.

კოკის თემში ორი სოფელი შედის: *კოკი* და *ხურჩა.* კოკის თემიც ბარის დასახლებათა რიგს მიეკუთვნება, სადაც უმთავრესად სამეგრელოს სხვადასხვა მხარიდან და აფხაზეთიდან, ძირითადად მესაქონლეობის მიზნით ჩამოსული ხალხია დასახლებული. თუმცა, აქ მაინც იქმნება გარკვეული საგვარეულო უბნები: *საბერაიო, საგამსონიო, სანარმანიო, საქორთუო, საშეგელიო, საჩიქაო, სახვარა, სახუბუო, სახუნჯგურუო.*

სამეგრელოში, ტერიტორიული ანუ სამეზობლო თემი, რომელიც ეთნოგრაფიული მასალით ხელმისაწვდომი პერიოდისათვის და, ალბათ, გაცილებით უფრო ადრეც, ძირითად ეთნოგეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენდა, რამდენიმე სახესხვაობით გვხვდება, რაც სამეგრელოს მთისა და ბარის დასახლების თავისებურებებში პოულობს გამოხატულებას. ამ საკითხზე ჩვენ სხვა ნაშრომში უფრო ვრცლად გვაქვს საუბარი[1], თუმცა აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეგრელოს ზღვისპირა სოფ-

[1] **დ. ჭითანავა,** ტერიტორიული თემი სამეგრელოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, კრებ. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, ტ. VIII, თბ., 2004, გვ. 190-218; **დ. ჭითანავა,** სამეზობლო თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში („სამოხიო“), *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, ტ. V, თბ., 2003, გვ. 400-414.

ლებში, ანუ ე. წ. „დაბალი ზონის“ სოფლებში, რომელიც ზღვის გაყოლებით ხმელეთის სიღრმეში დაახლოებით 20-30 კმ-იან ზოლს მოიცავს (უმთავრესად ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტები), ტიპური სათემო დასახლებები არ დასტურდება. მიზეზი გახლავთ ის, რომ ისეთი სოფლები, როგორიცაა *თორსა-დღვაბას თემი* და ნაწილობრივ *კოკის თემი*, შედარებით გვიანდელი წარმოქმნილია. ისინი, როგორც სოფლები, ძირითადად გასაბჭოების შემდეგ ჩამოყალიბდნენ და XIX ს. 50-იან წლებამდე აქ მოსახლეობა ძალზე მეჩხერი იყო. ეს ადგილები ძირითადად დასახლდა და მაქსიმალურ სიმჭიდროვეს მიაღწია მთიანი სამეგრელოდან ჩამოსულ მეჯოგეთა ხარჯზე, რომელთაც ზღვისპირას არსებულ ზამთრის საძოვრებზე დამხმარე სამეურნეო ბაზები ჰქონდათ გამართული, მოგვიანებით კი ზოგიერთი მათგანი აქ მუდმივად დარჩა. ამ ადგილებში ასევე სახლდებოდნენ მებატონისაგან გამოქცეული გლეხები თუ დამნაშავე პირები, რომლებიც მიუვალ ჭაობებში ეძებდნენ თავშესაფარს. ამდენად, ამ რეგიონში, რაიმე ერთიანი დასახლების სისტემა არ არსებობდა. თანამედროვე სოფლების მაღალი სიმჭიდროვის მიუხედავად, დღესაც თითქმის არ იქმნება ცალკეული დიდი მონოგენური უბნები.

პლატო სამეგრელოში, როგორც ეს ზემოთაც გამოჩნდა (მაგ. ხორშის თემი), სოფლის თემი იქმნება რამდენიმე პოლიგენური სოფლისაგან, რომელთა შემადგენლობაში უამრავი მონოგენური უბნური ან სოფლის ტიპის დასახლება შედის. თემის შიგნით, ერთი გვარით დასახლებულ უბნებს, ცალკე სოფლის ტიპის დასახლებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნები გააჩნდა, რომელიც გარკვეული მმართველობის სისტემის, სოფლის ანუ გვარის უხუცესი ადამიანის, გვარის, ანუ იგივე სოფლის შესაკრები ადგილის და საგვარეულო სალოცავის არსებობის ფაქტში გამოიხატებოდა.

სოფლების გარკვეულ ნაწილს გააჩნდა თავისი სასოფლო ეკლესია-სალოცავები და სასაფლაოები, მაგრამ მიუხედავად ამისა, საერთო სათემო სალოცავი და სასაფლაოც არსებობდა, მათი უმრავლესობა დღეს უკვე დახურულია, თუმცა ადრე მთელი თემი იქ ასაფლავებდა მიცვალებულს. ეს მიუთითებს სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაზე XX საუკუნის დასაწყისიდან, რამაც თანდათანობით ახალი სასაფლაოების გაჩენა და, რიგ შემთხვევებში ახალი ეკლესიების მშენებლობაც გამოიწვია. ასეთივე ხასიათის გაერთიანებებთან გვაქვს საქმე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პლატოს სოფლების მაგალითზეც. მაგალითად, აბასთუმნის თემში ერთიანდებოდა სამი სოფელი: ხეცერა, აბასთუმანი და ნარაზენი. თითოეული ამ სოფლის შიგნით კი უამრავი მონოგენური უბნები შედიოდა.[1]

კოკის თემში, ორსანტიას საავტომობილო გზაზე მდებარეობს სოფელ კოკის ორი სასაფლაო. სოფლის ძველი სასაფლაო გადატვირთული იყო. ზოგჯერ, საგვარეულო სასაფლაოზე, ერთ საძვალეში ზემოდან ორჯერ ან სამჯერ დასაფლავების ფაქტებიც იყო. მოსახლეობის ნაწილს „ნაჭვ კახათში“ (დღევანდელი სოფ. ახალკახათი) და შქაშ კოკში ჰქონდა საგვარეულო სასაფლაო. სამოსახლო ადგილიდან სასაფლაო ტერიტორიულად ძალიან შორს იყო, ამიტომ სოფელმა ხელისუფლებას თხოვნით მიმართა, რომ გაეხსნათ სოფლის ტერიტორიაზე ახალი სასაფლაო, რომელიც ნალიმის ობელისკის გვერდით მდებარეობს. ამავე დროს, მოქმედია სოფლის ძველი სასაფლაო. აქაც ყველა გვარს საკუთარი კუთხე აქვს გამოყოფილი. მაგალითად, ნარმანიების სავარეულო სასაფლაოს გვერდით არის ჟვანიების საგვარეულო სასაფლაო, რომელიც მანამდე დვალიშვილებისა იყო. ასევე საკუთარი საგვარეულო კუთხეები აქვთ შონიებს, ჩიქავებს, ცხაკაიებს, ხუბუებს და სხვა გვარებს.

კოკის თემის ტერიტორიაზე ხურჩის უბნის მოსახლეობამ მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს გახსნა უბნის სასაფლაო. მანამდე ხურჩის მოსახლეობა მიცვალებულებს შქაშ კოკის ან ნაბაკევის სასაფლაოზე ასაფლავებდა. იქ იყო მათი საოჯახო ან საგვარეულო სასაფლაო.

თორსა-დღვაბას თემში არის სამი სასაფლაო. ამათგან, ძველია თორსა-დღვაბას სასაფლაო, იქ, სადაც ეკლესია იდგა, და საბუკიოსი, მესამე კი ახალი გახსნილია, სადაც ძირითადად

[1] იხ. **დ. ჭითანავა,** ტერიტორიული თემი სამეგრელოში, გვ. 190-218.

შელიების გვარი ასაფლავებდა მიცვალებულებს.

ხუნწის თემში, ერთ-ერთ გორაკზე არის სასაფლაო, რომელსაც კეხის სასაფლაოს ეძახიან. იქ ადრე ხის ეკლესია მდგარა, რომელიც ახლა ქვაითის შემადგენლობაში შედის. იქ მიცვალებულს ასაფლავებენ ჭოჭუები, თაფლაძეები, ქვარაიები, ციცხცვაიები და სხვა გვარები. მეორე სასაფლაო არის ცენტრალური საავტომობილო გზის პირას, ეს არის ძველი სასაფლაო, სადაც იდგა ეკლესია. იქ უმეტესად ცხაკაიები და გვილავები ასაფლავებენ თავიანთ მიცვალებულს. კიდევ ერთი სასაფლაო მდებარეობს ქვაითის რვაწლიან სკოლასთან, სადაც თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებენ — ცხაკაიები, ხვინგიები, გვილავები, დღვილავები, რუხაიები. ზედა ხუნწში მდებარე სასაფლაოზე, სადაც ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევებია, თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებენ გახოკიძეები, გაბეშიები, ძიძიგურები, ფაილოძეები, ბერიები, რომლებსაც თავ-თავიანთი კუთხე აქვთ გამოყოფილი. თემის ყველაზე ძველი სასაფლაო იყო ლეციცხვაიეს სასაფლაოს ზემოთ, დობერად წოდებულ ადგილას. იქ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ ციცხვაიები, თოფურიები, გვალიები.

ხორშის თემში საგვარეულო უბნების მიხედვით 12 სასაფლაოა. ბევრ მათგანში მოსახლეობის სიმცირის გამო მიცვალებული დღეს თითქმის არ საფლავდება. ესენია: მაცხოვრის ნაეკლესიარის სასაფლაო, სადაც მიცვალებულებს ასაფლავებენ სერგიები, გაგუები, ჭაავები, სიგუები, გუნავები, ჟვანიები, მატახერიები; დადიანების ციზეთში (ძველი) -დადიანები, თუნთიები, პაჭკორიები, გრიგოლიები, ქაჯაია, გვასალიები, ბახიები; ციზეთში (ახალი) — გრიგოლიები, თუნთიები; შუა ხორშის ცენტრთან, დაახლ. XX ს. 30-იან წლებში გახსნილი სამატახერიო-საგვასალიოს სასაფლაოს შევსების შემდეგ — საგვასალიოს სასაფლაო, სადაც პირველად დაუსაფლავებიათ აფშილავა. აქ თავიანთ მიცვალებულებს ძირითადად ასაფლავებენ გვასალიები, ნორაკიძეები, თუნთიები, გოგენიები, ნაკაშიები, აბაკელიები, მატახერიები, ტყებუჩავები, ლოლუები, ტაბაღუები; სამატახერიო-საგვასალიოს სასაფლაოში — რეკვავები, ძირითადი გვარია ლორჩოშვილები. დანარჩენები იქ არის დასაფლავებული ყველა იმ საგვარეულოს წარმომადგენლები, რომლებიც შუა ხორშის სასაფლაოზე აღვნიშნეთ; ოღუეში — ძველი სასაფლაო, სადაც ხის ეკლესიაც მდგარა. აქ მღვდლად ერთხანს ყოფილა პავლე გვასალია (სქურიეს უბანი). აქ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ გვასალიები, ჭანტურიები, ღვამბერიები; სააბშილაოს პატარა სასაფლაო (ძველი, დაკეტილა). დღეს იქ არავინ ცხოვრობს, გარდა ერთი ჩარტიასი, მაგრამ ადრე თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ აფშილავები, ჩარტიები; ნიშიას სასაფლაო ციზეთის ბოლოს, ხობისწყლის ნაპირთან ახლოს, სადაც თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ გვათუები, გვარამიები, ჩარტიები, გრიგოლიები; შუა ხორშის (ძველი — ჯვარკარის), სადაც იდგა ეკლესია, რომლის მღვდლები იყვნენ გვათუები. აქ თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ გუგუნავები, ჩიქოვანები, კაშიბაძეები, დადიანები, მირცხულავები, კანკავები, მირგატიები, ხარბედიები, სახეიშვილები, მიგინეიშვილები, ჭითავები, ავალიანები, გაბელიები, ბულიავები, ხოჭოლავები, ხუნჯუები, კვარაცხელიები, ხვიჩიები. აქვე ცხოვრობდა გუგუნავაზე ჩასიძებული კაზარიანი, გვასალიაზე ჩასიძებული ბალაევი; საფაჩულიოს (საფაჩულიო, დიდი ხორში), სადაც თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებდნენ ფაჩულიები, პარკაიები, ბუკიები, ცხომარიები; სააადანაიოს სასაფლაოზე გერმანელებიც არიან დასაფლავებული, რომლებიც აქ მეორე მსოფლიო ომის დროს დესანტით გადმოსხეს და გამანადგურებელმა რაზმმა დახვრიტა. ასევე არის ცალკე სასაფლაო ხორშის თემის სოფელ პატარა ზანაში, სადაც თავიანთ მიცვალებულებს ასაფლავებენ შარტავები, ბულიავები, ჭითავები, შურღაიები.

კეთილარის თემში ყველაზე ძველი ხატკარის სასაფლაო იყო, თუმცა იქ დღეს არავინ ასაფლავებს მიცვალებულს. არის სხვა სამი სასაფლაო თემში შემავალი სოფლების მიხედვით, სადაც ასევე ყველა გვარს თავისი კუთხე აქვს გამოყოფილი. ესენია: კეთილარის და კოდორის, სადაც ადრე ხის ეკლესიები იდგა, და გულეიკარის, სადაც ქვის მოქმედი ტაძარი დგას.

მაშასადამე, ბარის სამეგრელოში, ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზეც, ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებების ზოგადი სტრუქტურული სურათის აღდგენა შესაძლებელია, კერძოდ, ზუგდიდის, ხობის, აბაშის და სენაკის მუნიციპალიტეტების გარკვეული მონაკვეთის პლატოს სოფლებში (ზღვისპირა ზოლის სოფლების გამოკლებით, სადაც ტერიტორიული

თემი არ იქმნებოდა) ტერიტორიული თემი იქმნება პოლიგენური სოფლების გაერთიანების შედეგად, რომელთა შიგნით საკმაოდ კომპაქტური პატრონიმიული და დიდი მონოგენური დასახლებები შედის. ისინი ერთიანდებიან საერთო სათემო სალოცავის გარშემო, გააჩნიათ გარკვეული მმართველობის სისტემა, თემის მამასახლისის და თემის უხუცესთა ყრილობის სახით, რომელსაც საჭიროებისამებრ იწვევდნენ, ასევე საერთო შესაკრები ადგილი და საერთო სათემო სასაფლაო. მონოგენური უბნური დასახლებები თემის შიგნით უმრავლეს შემთხვევაში ბარის სამეგრელოს მაგალითზე *-სა* პრეფიქსით არის ნაწარმოები. მცირედით განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე მარტვილის მუნიციპალიტეტის ბარის ზოგიერთი სოფლის მაგალითზე, სადაც თემის გაერთიანება ხდება არა მარტო პოლიგენური სოფლებისაგან, არამედ მონოგენური *-ლე* პრეფიქსით ნაწარმოები (მაგ. ლეფოჩხუე) სოფლებისაგანაც. თემის გაერთიანების ამ სახის სტრუქტურა უფრო ნათლად მთის სამეგრელოს მაგალითზე ჩანს.

თემის გაერთიანების სტრუქტურიდან გამომდინარე, გარკვეული ლოკალური თავისებურებები შეინიშნება. სახელდობრ, მთისწინა სამეგრელოში უმრავლეს შემთხვევაში სოფელი იქმნება ერთი მონოგენური დასახლებისაგან, ხოლო თემი ამ მონოგენური დასახლებების გაერთიანების შედეგად. პლატოს სამეგრელოს (უპირატესად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გორაკ-ბორცვიანი რელიეფის სოფლები — ყულიშკარი, ჭაქვინჯი, აბასთუმანი და სხვ.) მონოგენური დასახლება თემის შიგნით ქმნის არა სოფელს, არამედ უბნურ დასახლებას, პატრონიმიულ უბანს, რომელთა გაერთიანების შედეგად იქმნება პოლიგენური სოფელი, ხოლო ორ და სამ ამგვარ პოლიგენურ დასახლებათა გაერთიანების შედეგად თემი. ეს გარემოებები, კერძოდ კი ის, რომ ცნება „სოფელი“ სამეგრელოში, განვითარების გარკვეულ საფეხურზე მხოლოდ და მხოლოდ ერთი გვარის დასახლებულ ერთეულს გულისხმობდა, გვაფიქრებინებს, რომ დღეს ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული და სამეგრელოს ბარის სხვა დასახლებები, უფრო გვიანდელ წარმოქმნილად მივიჩნიოთ, რასაც პირველ რიგში ამ რეგიონში (ბარის სამეგრელო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) გვართა შიდამიგრაციული პროცესების შესწავლა ჰფენს ნათელს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზუგდიდის, ხობის, სენაკის და აბაშის მუნიციპალიტეტების ბარის სოფლებში მცხოვრებ გვართა უმრავლესობა, რომლებიც ამ მონოგენურ უბნებს ქმნიან და სადაც უმრავლეს შემთხვევაში (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) პატრონიმიის დაშლის არც თუ ისე შორსწასული ნიშნები შეინიშნება, აცხადებს, რომ მათი წინაპრები მთიანი სამეგრელოს სოფლებიდან არიან ჩამოსულები (იგულისხმება წალენჯიხის, ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონები) და ყველას ახსოვს, თუ სად იყო მათი ადრინდელი სოფელი, სადაც მათ წინაპრებს საგვარეულო სალოცავში უვლია. ბარის სამეგრელოს დასახლებათა გვიანდელობაზე სხვა გარემოებაც მიუთითებს. კერძოდ, აქ მონოგენური უბნების საწარმოებლად უმრავლეს შემთხვევაში *-სა* პრეფიქსია წარმოდგენილი, ხოლო მთის სამეგრელოში არა უბნების, არამედ მონოგენური სოფლების საწარმოებლად უმეტესად *-ლე* პრეფიქსი გვხვდება.

ყოველივე ზემოთ თქმული გვაფიქრებინებს, რომ ზღვისპირა სამეგრელოს ხმელეთის სიღრმეში დაახლოებით 30 კმ-იანი ზოლის დასახლებების უმრავლესობა დროის დიდ მონაკვეთში, ანუ დაახლოებით IV-VI საუკუნეებიდან ვიდრე XV საუკუნემდე შუალედში, დიხა გუძუბების დასახლების სისტემის მოშლის პერიოდიდან, არ უნდა არსებულიყო. სწორედ XV საუკუნიდან იწყება თანდათანობით აქ მოსახლეობის გაჩენა, რაც პირველ რიგში დამნაშავეებისა და მებატონეებისაგან გამოქცეული გლეხობის ხარჯზე ხდებოდა, ხოლო მოგვიანებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მესაქონლეობის მიზნით ჩამოსული ადამიანების დამკვიდრებით.

XIX საუკუნეში სამეგრელოში თემის მეთაურს მამასახლისი ერქვა. თემის მეთაურის აღმნიშვნელი მეგრული ტერმინია „დუდკოჩი“ (სიტყვა-სიტყვით „თავკაცი“), „მანჯღვერი“ (სიტყვა-სიტყვით „წინამძღოლი“). თემის მეთაურად, თემის შიგნით შემავალი გვარებიდან უხუცეს ადამიანს ირჩევდნენ დამსახურების და პირადი თვისებების გათვალისწინებით. ის უნდა ყოფილიყო პატიოსნებით და სამართლიანობით გამორჩეული ადამიანი. თემის სრულფასოვან წევრად ითვლებოდა ყველა აქ მცხოვრები ადამიანი, სოციალური ფენის განურჩევლად. სათემო

ყრილობებს, რომელიც საჭიროების მიხედვით ეწყობოდა, ესწრებოდნენ თითოეული უბნის თუ დიდი ოჯახის უფროსი მამაკაცები (ქალები სათემო შეკრებას არ ესწრებოდნენ), რომლებიც ხმათა უმრავლესობით წყვეტდნენ თემის შიგნით არსებულ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებს; აქ ხდებოდა დამნაშავეთა დასჯა თუ მოჩხუბართა შერიგება; გადასახადების მოწესრიგება თუ თემის თითოეული წევრის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა და სხვა. თემის თითოეულ წევრს რიგ-რიგობით ევალებოდა თემის თავდაცვა, თემს ასევე ჰქონდა ერთი ან ორი მთავარი გზა, რომელსაც „თემშარა“ (სათემო გზა) ერქვა, მისი დაცვა და მოვლა თემის წევრთა უფლება-მოვალეობებში შედიოდა. თემის წევრები ასევე ვალდებული იყვნენ დახმარება გაეწიათ უმწეო ოჯახებისათვის; დიდი სათემო თუ საეკლესიო დღესასწაულების დღეს ვალდებული იყვნენ საერთო ხარჯით გაეღოთ შესაწირი საკლავი თუ ღვინო.

თ. ბერაძე, იმერეთის სასოფლო თემების მაგალითზე მიუთითებს, რომ გვიანფეოდალური თემი განსხვავდებოდა შუაფეოდალური თემი-ხევისაგან, რომელშიც რიგით მეთემეთა გარდა აზნაურებიც შედიოდნენ.[1] ამგვარი სურათი ჩანს გვიანფეოდალურ სამეგრელოშიც, სადაც თითოეული სოფლის თემი თავადთა თუ აზნაურთა მფლობელობაში იყო. თუმცა ისინი სათემო ყრილობის საქმეებში და ცალკეული სათემო საკითხების გადაწყვეტაში უხეშად არ ერეოდნენ. სოფლის თუ თემის ხალხური მმართველობის ძველი ტრადიციული ინსტიტუტი სამეგრელოს მაგალითზე, გ. ელიავას საკმაოდ საინტერესოდ აქვს აღდგენილი.[2] აქ ცალკეულ გვართა მიერ შერჩეულ ადგილზე შეკრებას „ჯარალუა“ (ჯარობა) ეწოდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, სხვადასხვა დროს უბნის უხუცეს ადამიანთა, მამასახლისთა ანუ „ჯარალუას“ ხელმძღვანელ ადამიანთა სახელებიც არის შემორჩენილი. მაგალითად, კოკის სოფლის მამასახლისი ყოფილა ადამურ ნარმანია, რომელიც 1953 წელს გარდაცვლილა. ჯგალის თემში, საარქივო მასალების მიხედვით, 1903 წელს მამასახლისად იხსენიება გუჯუ წულაია, რომლის ოპონენტი არჩევნებში ქუთელია კვარაცხელია ყოფილა.[3] სოფელ დღვაბაში 1900 წელს მამასახლისად იხსენიება იესე ჯგერენაია.[4]

---

[1] **თ. ბერაძე,** სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში// *საქართველოს მეცნიერებათა აკადემის „მოამბე“*, ტ. 81, №1, თბ., 1976, გვ. 225.

[2] „იყო საკანონმდებლო ორგანო, ხალხის ზარის დარისხვით, ან ოჯეს-სათემო საყვირის მოწოდებაზე თავს იყრიდა სოფლის მოედანზე. ასეთ თავშეყრას „ჯარალუა“ ან „კათუა“ ერქვა. კათუა ირჩევდა მოწესეს „დუდკოს“ თავკაცს. თავკაცი კათუას ხსნიდა და აცნობდა ხალხს საერთო სატკივარს, გასაჭირს თუ გასახარს. იწყებოდა მისი საერთო განხილვაც, ყველაზე „მენცარი“, გამოცდილი, საკმაოდ ხანსრული, ცხოვრება ნანახი და დაბრძენებული ხალხი მსჯელობდა საერთო გასაჭირზე. შემდეგ „დუდკოჩი“ აკეთებდა დასკვნას, აყალიბებდა საერთო სურვილს შესაბამისი გადაწყვეტილების ფორმულას, რასაც კათუა ან მიიღებდა საერთო მოწოდებით ან უარყოფდა, თუ უარყოფდა მაშინ ისევ ხელახლა ყალიბდებოდა ახალი ფორმულა, ახალი რედაქცია გადაწყვეტილებისა. ახლა იგი განიხილებოდა სათანადო წესით, მიღებული გადაწყვეტილება საერთო-სათემო განაწესი იყო, რომელსაც თითოეული მონაწილე თავს ანაცვლებდა. იგი ვალდებული იყო თავი გაეწირა, მისი შესრულებისათვის. ამიტომ იყო, რომ მისი შესრულებისათვის ბრძოლის მსხვერპლი ხშირად წმინდანადაც კი ითვლებოდა დავითისა და კონსტანტინეს მსგავსად... ყველაზე ბოროტს თემი ქოლავდა, ქვების გორს აყენებდა მის სხეულზე, ასეთ ადგილს „ნაქოლა“, „ქოდირი“, „ქოლობანი“ ჰქვია დღესაც ტოპონიმის სახით. თუ იგი მსხვერპლს არ მოითხოვდა, თუ ლაჩრულად უკან დაიხევდა და საიდუმლოს ვერ გასცემდა, მაშინ ხალხი ცოცხლად მარხავდა დამნაშავეს. თავზე ლაფს დაასხამდა, შეურაცხყოფილს ამოთხრიდა და თემიდან ამოჰკვეთდა. ასე ხდებოდა ეს სქურში-„გითოლთან“, კურზუში-„გოკირილთან“, ბიაში-„ბჟეთაში“ და ა. შ. ეს ტრადიცია იცავდა მიღებულ გადაწყვეტილებას... ერთგულებას ჩააგონებდა კათუას ყველა წევრს.

კათუას დღის წესრიგის მეორე საკითხი იყო ვისთვის მიენდო ხალხს ნაკაზის შესრულება. თუ იგი ერთპიროვნულ ხელისუფლებას ითხოვდა (მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, თემის ღალატის დადგენა და სხვა.) მაშინ ირჩევდა „დუდკოს“ (თავკაცს) აღმასრულებელ პიროვნებას. თუ უფრო თავისუფალი და საჭირო საქმე იყო და ერთი პიროვნება ვერ შეძლებდა ნაკაზის შესრულებას, ირჩევდნენ „სხუნუს“-ნარჩევს საბჭოს. სხუნუ კი დუდკოს ირჩევდა თავის შემადგენლობიდან. ეს იყო აღმასრულებელი სახელისუფლო ორგანო, სხუნუში ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა. „დუდ კოჩიში“-თავკაცის „ალმარინს“, გვერდში მდგომებს ეძახდნენ მათ. თითოეული ეს წევრი განაგებდა ხელისუფლების შესაბამის დარგობრივ უწყებას. იგი ძალიან პრიმიტიული, მაგრამ საკმაოდ ფუნქციონირებული ერთეული იყო. „მახვამური“-მოწესე იყო, სარიტუალო წესის გამგე. „მენცარი“ ბრძენკაცია, ადათ-წესის მრჩეველი იყო, მას „მენამუსესაც“ ეტყვიან. მენამუსე-მონამუსეა, ნამუსის შემნახველი, დამცველი. „ოშიშდუდი“ ასისთავია, შეიარაღებული რაზმის გამგე, ხოლო „მაჯინე“ მზირია, მეთვალყურე, მზვერავი, შინაგან საქმეთა გამგებელი“ (**გ. ელიავა,** ეთნოგრაფიული სამეგრელო. ალბომი. მარტვილი, 1989, გვ. 42-44).

[3] სსცსა, საეკლესიო მეტრიკული წიგნები, ჯგალის წმინდა გიორგის ეკლესია, 1903 წ. ფ. 489.

[4] სსცსა, საეკლესიო მეტრიკული წიგნები, დღვაბას მთავარანგელოზის ეკლესია, 1900 წ. ფ. 489.

ხუნწის თემის მეტრიკულ ჩანაწერებში 1871 წელს მამასახლისებია: სიმონ გახოკიძე, ივანე ფაილოძე, გიორგი გახოკიძე, ნიკო გახოკიძე, დიმიტრი გახოკიძე. 1874 წელს მამასახლისებად იხსენიებიან სიმონ სიმონის ძე გახოკიძე და დათო გახოკიძე, იმავე თემში 1875 წელს მამასახლისებად იხსენიებიან იგივე სიმონ სიმონის ძე გახოკიძე, დიმიტრი სიმონის ძე სულაბერიძე და გაბო გლახუას ძე სულაბერიძე. 1876 წელს აქ მამასახლისად გაბი ბერია იყო.[1]

„ჯარალუა" დღეს მთელი უბანი იკრიბებოდა, იმართებოდა ცეკვა-თამაში, მარულა, ქალის ამორჩევა, მოსისხლეთა შერიგება, გვარებსა და ცალკეულ პიროვნებებს შორის დავის გადაწყვეტა. სოფლის ამგვარ შესაკრებ ადგილს, სამეგრელოს მაგალითზე, თავის ბავშვობის მოგონებებში თედო სახოკია მეტად ხატოვნად და რეალისტურად აღწერს.[2]

---

[1] სსცსა, საეკლესიო მეტრიკული წიგნები, ხუნწის ღვთისმშობლის ეკლესია, 1971, 1874, 1875, 1876 წწ. ფ. 489.

[2] ,,სოფლის შუაგულში დაუსახლებელი იყო ასე ხუთიოდე ქცევა მიწა, სადაც აქა-იქ კიდევ დარჩენილიყო ბუჩქნარი და თითოოროლა წიფლისა და რცხილის ხე. მინდორი თავისუფლად იყო გაშვებული ბატებისა და ღორებისათვის, მაგრამ მთელი მინდვრის საჩინო ადგილას, სწორ სამკუთხედ მიწაზე წამოზიდული იყო უხსოვარი დროის კაკლის ხე. გარშემო ორი კაცი ვერ შემოუწვდენდა ხელს. განიერი ტოტები ირგვლივ ოცდაათი მეტრის მანძილსა ჰფარავდა. ზოგი ფესვი მიწის ზემოდან ამოშვერილიყო და სოფლელნი ჩამოსაჯდომად ხმარობდნენ. ზაფხულში, რაც უნდა დიდი სიცხე ყოფილიყო, ამ კაკლის ძირას მუდამ მაგრილებელი ნიავი ჰქროდა და სმენის დამატკბობელი შრიალი გაუდიოდა მის იოდისსუნიან ფოთლებს.

ეს მინდორი და კაკლის ძირი კვირაობით სოფლელთა შესაკრები და დროსსატარებელი ადგილი იყო. მის ძირს თავს იყრიდა მთელი სოფელი: ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუცნი კაკლის ფესვებზე ან იქავე მწვანეზე მოიკალათებდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს. ეს მოხუცები ზოგჯერ მოსამართლეთა ფუნქციებსაც კი ასრულებდნენ, მათი გასარჩევი საქმე იქნებოდა: სამეზობლო დავა საადგილმამულო ხასიათისა, თუ სხვადასხვა მეზობლური გაუგებრობანი. მათ მიერ გამოტანილ განაჩენს მომჩივარ-მოპასუხენი სიტყვაშეუბრუნებლად, უაპელაციოდ ემორჩილებდონენ. იშვიათი ყოფილა, რომ მოხუც მოსამართლეებს შენ-ჩემობით, მიკერძვით რაიმე გადაეწყვიტათ. პირუთვნელი მოსამართლეობა წმინდა საქმედ მიაჩნდათ და თავიანთ მოვალეობად სთვლიდნენ შორს დაეჭირათ თავი ნათლი-მამობისა და მექრთამეობისაგან.

აქვე, კაკლის ხის ძირს ნახავდით სოფლის საუკეთესო მეჩონგურეთ. ჩონგურის ხმაზე ცეკვავდნენ სოფლის ქალ-ვაჟნი და მეზობლებს აჩვენებდნენ, როგორც თავიანთ ხელოვნებას, ისე თავიანთ ტანისამოსს. ამ ქალ-ვაჟთა გამოფენაზე ხდებოდა გასინჯვა საცოლე ბიჭებისა და გასათხოვარი ქალებისა. აქვე ხდებოდა მაჭანკლების მიერ საქორწინო საქმეების გაჩარხვა.

ქალ-ვაჟნი ჯერ წყვილ-წყვილად ცეკვავდნენ. მზე კარგად რომ გადაიხრებოდა, დაიწყებოდა „მხიარული" თამაშობა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი, ისე ხანშიშესულები. ყველანი ახოვანნი იყვნენ, ჯანსაღები, წარმოსადეგნი და ლამაზები. ჩიას, ჩაგვერას, დასაშლებულს იშვიათად ნახავდით, ან თუ იყო, ასეთი ვინმე სოფელში ერიდებოდა „ჯარში", „შეყრილობაში" „კაკლის ხის ძირს" გამოჩენას.

„მხიარულის" მოცეკვავენი ჩაჰკიდებდნენ ერთიმეორეს ხელებს და გააკეთებდნენ ოცდაათ ქალ-ვაჟისაგან შემდგარ წრეს. წრის ორპირად გაიმართებოდა შაირების თქმა. მოშაირეთ, სიმღერით, შეწონილად ბანს აძლევდნენ და სიმღერას რითმულად ააყოლებდნენ ფეხებს. მოშაირენი მარჯვენა მხრით გარშემო წრეს ავლებდნენ, კარგა ხნის ასეთი თამაშის შემდეგ ქალები გამოეცლებოდნენ წრეს, ხოლო მამაკაცები აქეთ-იქით ერთიმეორეს მხრებზე გაშლილ ხელებს დაადებდნენ (აქედან სახელი თამაშობისა „მხიარული") და ამავე სიმღერით განაგრძობდნენ წრის შემოვლას, მხოლოდ სიმღერას და ფეხების გადაბუკების ტემპს უმატებდნენ. ეს სისწრაფე გადადიოდა მაღალ შეხტომაზე იმდენად, რომ მოთამაშენი თითქმის ერთ ადგილას სიმაღლეზე ასცდებოდნენ დედამიწას. ამ სახით რამდენჯერმე შემოუვლიდნენ წრეს და თამაშობაც გათავდებოდა.

ცეკვის ამ სახეს 1890 წლამდე სამეგრელოში კიდევ შეხვდებოდა კაცი. შემდეგ კი თანდათან აიღეს მასზე ხელი და დღეს მოხუცებულთ თუღა ახსოვთ, თუ როგორ თამაშობდნენ მათი წინაპარნი ერთ დროს.

ფერხულს მცირე შესვენების შემდეგ მოჰყვებოდა შეჯიბრი სირბილში. გადასარბენად დანიშნული იყო ასე ნახევარი კილომეტრის მანძილი. ამაში მონაწილეობას ღებულობდნენ ახალგაზრდები, 12-15 წლის ბიჭები. გამარჯვებულთათვის საჩუქარი არსებობდა, მისი ჯილდო იყო — სახელი, რომელსაც მოიხვეჭდა თავისი სიმარჯვით ტოლებისა და დიდების თვალში.

სირბილს მიაყოლებდნენ ბურთაობას, მობურთალნი ორ მოპირდაპირე ჯგუფებად დაიყოფოდნენ, გამარჯვებულად ითვლებოდა ის ჯგუფი, რომელიც თავის ღელოში გაიტანდა ბურთს.

რიგი ბიჭებისა ჩოგანის თამაშობას გამართავდა. მეტრიანი ჯოხი ძირში ბრტყლად მოკაუჭებული იყო ბურთის საცემად. „არჩევანი მე, არადანი შენ"-ის ძახილით, მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ და თითოეული ჯგუფი ცდილობდა „ჩოგანის" ცემით ბურთი ლელოზე გაეტანა. ამ თამაშობაში ღონე იმდენად არ იყო საჭირო, რამდენადაც სიმარდე და გამჭრიახობა.

ყოველივე ეს დასრულდებოდა იმით, რომ მედღეობენი, დიდი თუ პატარა, კაკლის ხის ძირას მოიყრიდნენ თავს და გაიმართებოდა ჭიდაობა დიდებისა და ცალ-ცალკე, პატარებისა ცალკე. ჭიდაობაში გამარჯვებულნი, როგორც მორბენალნი, სჯერდებოდნენ მაყურებელთა ქებას და მათ შორის სახელის გავარდნას. ჭიდაობაში ფიზიკური ღონის გვერდით ხერხი ჭირდებოდა, რომლის საშუალებით მოპირდაპირეს სჯობნიდა მოჭიდავე. ასეთი ხერხები იყო: მოგვერდო, კისრული, ფეხის გამოდება და სხვა.

ამასობაში დასაღამოვდებოდა კიდეც. უნდა გაეკავებინათ დროსტარება, ოჯახები მიხედვას თხოულობდა. პირველად დიასახლისები და სახლის უფროსები მიატოვებდნენ აქაურობას და მიაშურებდნენ თავ-თავიანთ სახლ-კარს. ცოტა ხანს უკან

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებითაც, თემის შესაკრებად გამოყენებულ საყვირს „ოცე“ ეწოდებოდა. ის ეკლესიაში ინახებოდა და მასზე ხელი მიუწვდებოდა ეკლესიის მედავითნეს ან მამასახლისს. სამეგრელოში, „ოცედ“ წოდებული საყვირი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში, ჟან შარდენს აქვს მოხსენიებული და მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: „საყვირს მხოლოდ მაშინ ააყვირებდნენ, როცა ხალხს მოუხმობდნენ ლიტანიაზე, თავყრილობებსა და სამრევლო საქმეებზე, მსგავსად ებრაელებისა. ზოგჯერ ძალიან ძლიერად აახმაურებენ ხოლმე საყვირს, რათა, როგორც ისინი ამბობენ, მისმა ხმამ ქურდი შეაშინოს, თითქოს იგი უფლის ხმა იყოს, რომელიც მათში სინდისის ქეჯნას და ხატის სამსჯავროს შიშს გამოიწვევს“.[1] იმავე შარდენის ცნობით, უფრო ადრე, როდესაც ეკლესიაში ზარი და ოცე არ ჰქონდათ, ხალხის შესაკრებად უნდა გამოეყენებინათ ხის ძელი, რომელსაც ის „წმ. ძელს უწოდებს“.[2]

საქართველოს ცალკეული კუთხეების მაგალითზე სოფლის თემის გაერთიანებას სხვადასხვა მიზეზები ედო საფუძვლად, მაგალითად ხევსურული თემის გაერთიანების დამახასიათებელ ნიშანს შეადგენდა ის, რომ თემის ცენტრში მოთავსებული იყო ჯვარი, სათემო ღვთაების საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა სახით, რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლების თავყრილობის ადგილს შეადგენდა.[3] თითქმის იმავე ნიშნებით ხასიათდება სვანურ თემთა კავშირები — ბალსზემოსვანურ „ლაკრანთან“, ბალსქვემოურ „სიკვობთან“ და ქვემოსვანურ „ლაასკართან“. ის უფრო ნათელია სვანური ლაკრანის მაგალითზე, სადაც „ლაკრანის თითოეულ წევრს „მგკრანი“-ი ეწოდებოდა, ამ და მის სახელწოდებას ადგილობრივი მოსახლეობა რელიგიური დღესასწაულების დროს მომხდარ გაერთიანებას უკავშირებს. ამაზე მიუთითებს სიტყვა „ლაკრანი“, რომელიც სვანურად ფქვილის საწყაოს ნიშნავს. ლაკრანში შემავალი სოფლები, ერთად იძენდნენ საეკლესიო დღესასწაულებისათვის განკუთვნილ შესაწირ საკლავს- „ყვიუს“, რომლის საფასურადაც თითო კომლზე თითო კარნ ფქვილს აგროვებდნენ და აქედან ამ გაერთიანებასაც ეწოდა ლაკრანი;[4] მთელი ერთობილი სვანეთის ჭეუ-ს ფიცის დასადებ გამაერთიანებელ ცენტრად კი მიჩნეული იყო კალის თემის „ლაგურკას“ ეკლესია. თვითონ სოფელ „ჭე“, სადაც ეს ეკლესია მდებარეობს, ისევე, როგორც იმავე თემში შემავალი სოფელი „ლალხორი“, წარმოადგენდა „სახეო“ შესაკრებ ადგილს, რის გამოც ეს სოფლები დღესაც ატარებენ „ჭე“-სა და „ლალხორის“ სახელწოდებას“.[5]

როგორც რ. ხარაძის გამოკვლევიდან ჩანს, ერთობილი სვანეთის ჭე-ის ანუ ბედნიერის სახელით ცნობილი თემთა კავშირი ტომობრივი ხასიათის გაერთიანებას უნდა გულისხმობდეს, რომელიც დადეშქელიანების გაბატონებამდე ბალზემო და ბალსქვემო სვანეთს აერთიანებდა.[6]

რა თქმა უნდა, სამეგრელოს სოფლის თემების ანუ სასოფლო საზოგადოებების მაგალითზე რაიმე მსგავს, დიდ ტომობრივ გაერთიანებასთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ ზემოთ მოყვანილი სვანეთის ტერიტორიული ერთეულების მაგალითიდან ჩვენთვის საყურადღებოა ის, რომ სამეგრელოს გარკვეულ სოფლის თემების წარმოქმნას განვითარების გარკვეულ საფეხურზე საფუძვლად ედო იდეოლოგიური ერთიანობის ფაქტორი, რაც აქ ძლიერი ხატ-სალოცავის არსებობაში გამოიხატებოდა. ეს ადგილი წარმოადგენდა ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობისთვის არა მარტო სალოცავს, არამედ აქ ეწყობოდა საერთო სასამართლო, იყო საერთო სათემო სასაფლაო, ტარდებოდა სათემო თავყრილობა და სხვა. მსგავსი ნიშნებით და ფუნქციით იყო მოწყობილი საქართველოს სხვა კუთხეების სათემო შესაკრები ადგილები, მაგალითად, ასეთია შატილის საფეხნო, სადაც საჭიროებისამებრ იმართებოდა

ყმაწვილებიც გაჰყვებოდნენ მათ და ნასადილევიდან ახმაურებული „კაკლის ძირას“ ისევ გამეფდებოდა სიჩუმე და მყუდროება“ (**თ. სახოკია,** როგორ ვიზრდებოდით ძველად, გვ. 11-13).

[1] **ჟან შარდენის** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 151-152.

[2] **ჟან შარდენის** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 151.

[3] **ვ. ბარდაველიძე,** ხევსურული თემი, სტრუქტურა და ჯვარყმობის ინსტიტუტი// *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“*, ტ. XIII, №8, თბ., 1952, გვ. 497.

[4] **რ. ხარაძე,** ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებანი სვანეთში// *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, ტ. XII-XIII, თბ., 1963, გვ. 390-391.

[5] **რ. ხარაძე,** ხალხური მმართველობის სისტემა სვანეთში// *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, ტ. VI, თბ., 1953, გვ. 170.

[6] **რ. ხარაძე,** ხალხური მმართველობის სისტემა სვანეთში, გვ. 170.

სოფლის სრულწლოვან მამაკაცთა ყრილობა ანუ „ფეხონი“ და ის უმთავრესად სოფლის შინაგანი ცხოვრების ზოგიერთ საკითხებს აწესრიგებდა.[1]

თემის სტრუქტურის საკითხებზე საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, თუმცა ჩვენ ამჯერად ზემოთ წარმოდგენილი მასალით შემოვიფარგლებით; აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კლასობრივი საზოგადოების სამეზობლო თემის განხილვა, როგორც პირველყოფილი საზოგადოების უშუალო გადმონაშთისა, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რამდენადაც მასში ორივე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები უნდა ვეძიოთ და ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგადად ანგარიშგასაწევად მიგვაჩნია ი. სემიონოვის მოსაზრება: „კლასობრივი საზოგადოების სამეზობლო თემი, ჩვენ არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც პირველყოფილი წყობილების გადმონაშთი, არამედ უფრო მიზანშეწონილი იქნება ის მივიჩნიოთ ისეთ სოციალურ ორგანიზმად, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლის მიჯნაზე იქმნება და რომელიც მის წიაღში არსებობს როგორც სოციალური სტრუქტურის აუცილებელი ელემენტი მის სხვადასხვა ისტორიულ ფორმებში“.[2]

დავით დადიანმა (1840-1853) სამეგრელოს სამთავროში ყველა მიმართულებით რეფორმების ჩატარება გადაწყვიტა. რეფორმა შეეხო სამეგრელოს სამთავროს ადმინისტრაციულ მოწყობასაც. ევროპისა და რუსეთის მიბაძვით მან შემოიღო მმართველობის ახალი სისტემა. მართვა-გამგეობის მხრივ დავითმა სამთავრო დაყო რამდენიმე ოლქად და თითოეული ოლქის სათავეში დააყენა მდივანბეგი, რომელიც სასამართლო და საპოლიციო საქმეებს განაგებდა.[3]

1857 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავროს ავტონომია ფაქტობრივად გააუქმა და რუსული მმართველობა შემოიღო. ამ დროიდან სამეგრელო დაყოფილი იყო ზუგდი-

---

[1] **გ. ჩაჩაშვილი,** ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში (შატილის საფეხნო)// *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, №7, 1955, გვ. 257-258.

[2] **Ю. И. Семенов,** О структуре стратифицированной сельской обшины и ее роли докапиталистических классовых обшеств (в связы с книгой Л. Б. Абаева „Сельская обшина в северной индии“, М. 1981)// *Советская этнография*, №6, 1982, გვ. 114.

[3] ,,დავით დადიანმა ოდიშ-ლეჩხუმი დაჰყო რვა მაზრად:

ზუგდიდის მაზრა სოფლებით: ზუგდიდი, ცაიში, ხობი, ნოჯიხევი, ბია, ხორგა, აბასთუმანი, ლედგებიე, კორცხელი, ახალდაბა, ყულისკარი, ხუბულა, კირცხი, ოჩხომური, ჭაქვინჯი, შამგონა, დიდი—კოკი, კახათი, დარჩელი, ჭითაწყარი, განარჯიას მუხური, ორსანტია, პატარა კოკი, ანაკლია.

ჯვარის მაზრა სოფლებით: ჯვარი, ხუდონი, ლია, ნაგუროუ, კუხეში, საჩინო, ჯგალი, წალენჯიხა, ობუჯი, ზუბი, ჯუმითი, ლეწურწუმე, ალერტი, გურძემი, ნამიკოლაუ, თამაკონი, ჟინოთა, ლეცავე, წაჩხური, ლკურზუ, ხანწკი, ოცინდალე, ჭოღა, მუხური, ლექარჩე, ნაკიკიანო, ნაჯაგოუ, ახუთი, სავეკუო, ლეგერსამე, დოშაკი, კიწია, მოიდანახე, ნოღა.

ზუბის მაზრა სოფლებით: ზუბი, ზენი, ქვალონი, საგვასალიო, ხორში, საგაბესკირიო, ახალ-დოხორე, ციზეთი, მეორე ხორში, მაცხოვრის კარი, საჩიჯავო, ზანა, საწულეისკირო, ეკი, იმანიერი, საფაღავო, უფალ-კარი, უშაფათი, ლეძაძამე, ნასაჯოგუ, ფოცხო, მოხაში, ლესიჭინე, ოჩხომურის-პირი, საიფაქიო ზანა.

სუჯუნის მაზრა სოფლებით: სუჯუნა, ეწერი, ესაკეთი, ზანათი, მთავარ-ანგელოზი, მაცხოვარ-კარი ანუ კაპანა, რობა, ონტოფო, სეფიეთი, კადარი, აბაშა, გულუხეთი, სამიქაო, ონოღია, ნაგიბეროუ, ბანძა, ორქა, ჯოლევი, კვაუთი, ნოქალაქევი, კოტიანეთი, სორტა, სენაკი, გეჯეთი, წყემი, ნოსირი, შხეფი, თეკლათი, სახარბედიო.

საჭილაოს მაზრის სოფლები: ილორი, ნაფაღოური, სანავარდო, ნაჩხიტური, ქვიშანჭალა, ქორეისუბანი, ტოლები, ეკალე, გულეკარი, კეთილარი, ნაფარცხევი, ტყვირი, ცილორი, კოდორი, შვაქალაქი, კვათანა, წალიკარი, სარიაჩქონი, საქოჩაქიძეო, წყარიძგა, მუხური, საღვამიჩაო, ჭალადიდი, პატარა-ფოთი.

მარტვილის მაზრა სოფლებით: მარტვილი, გორდი, ინჩხური, ხუნწი, ჟუშქი, კინჩხა, დიდღვაბუნა, ბალდა, საელიავო, ქვაითი, სუხჩე, საწისქვილო, რონდიში, ღვედი, ბომბოთი, ნალეფსოუ, I ნახუნოუ, II ნახუნოუ, III ნახუნოუ, აბედათი, ნაჯავახოუ, I ნაგვაზოუ, II ნაგვაზოუ.

მაზრების უფროსებად იყვნენ დანიშნული მაზრის მდივანბეგები, ან მეორე ხარისხის მდივანბეგნი. სხვადასხვა დროს მაზრის მდივანბეგებად იყვნენ: ზუგდიდს — თეიმურაზ აგიაშვილი, კაცია ჩიჩუა, დუტუ დადიანი; სუჯუნას — ალექსი ბატონიშვილი, ტაია (ტარიელ) ბატონიშვილი; მარტვილს — ანტონ ახვლედიანი, მაქსიმე ქოჩაქიძე; საჭილაოს — გიგო ფაღავა; ზუბს — ანტონ ჩიქოვანი.

თითოეული მაზრა იყო დაყოფილი რამდენიმე სამოურაოდ. ბროსეს მიხედვით ყოფილა 12 სამოურაო, თუმცა მათი რიცხვი მეტი ყოფილა. თითოეულ დიდ სოფელს და რამდენიმე წვრილს თითო მოურავი ყავდა. მოურავები საქართველოს მიმსგავსებით ნაცვლები, სამოურაოში იცავდნენ წესიერებას და ასრულებდნენ უმაღლესის მთავრობის მოწერილობას...“ **(ი. მეუნარგია,** სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, გვ. 112-114).

დის, სენაკის, ლეჩხუმის ოკრუგებად, რომელთაც სათავეში ოკრუგების უფროსები იდგნენ.[1] მათ ქუთაისის გუბერნიის მაზრის უფროსების უფლებები ჰქონდათ. ე. ი. ყოფილი საოლქო მდივან-ბეგები ოკრუგების უფროსებით შეიცვალა. 1867 წლის 4 იანვარს ალექსანდრე II-ის ბრძანებით სამეგრელოს სამთავრო ფორმალურადაც გაუქმდა. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში სამეგრელოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შეიცვალა. მისი ტერიტორია დანაწილდა ქუთაისის გუბერნიის ორ-სენაკისა და ზუგდიდის მაზრაში. მაზრები საპოლიციო უბნებად, საბოქაულოებად იყოფოდა, საპოლიციო უბნების სათავეში ბოქაულები იდგნენ.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, XIX ს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში დაწესდა სასოფლო მმართველობა. 1865 წლის 11 აპრილის დებულების თანახმად საქართველოში დაარსებული სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა იყო გლეხთა წოდებრივი დაწესებულება; სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები მის საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ. დებულება სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოდ ასახელებდა სოფლის ყრილობას, რომელსაც იწვევდა მამასახლისი. სოფლის ყრილობის ფუნქციებში შედიოდა: სოფლის თანამდებობის პირთა არჩევა, დადგენილების მიღება სოფლიდან მავნე პირთა გადასახლების თაობაზე, ობლად დარჩენილ მცირეწლოვანთათვის მზრუნველობის დანიშვნა, ოჯახის გაყოფაზე ნებართვის მიცემა. სოფლის საზოგადოების საერთო მიწების (დაუმუშავებელი ნაკვეთები, საძოვრები და სხვა) გამგებლობა. თათბირი და შუამდგომლობის აღძვრა საზოგადოებრივ საჭიროებებზე. საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოსაღებთა დაწესება, სახაზინო და საერობო გადასახადების კომლთა შორის განაწილება; თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლი და მათთვის ჯამაგირის დანიშვნა. სოფლის სათადარიგო პურის მაღაზიებიდან სესხების გაცემა და სხვა. სოფლის ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება ოჯახის ყველა უფროსს ჰქონდა. სოფლის ყრილობის დადგენილება კანონიერად ითვლებოდა, თუ მას მამასახლისი და ოჯახის უფროსთა ნახევარი მაინც ესწრებოდა. მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად ხმების 2/3 იყო საჭირო; სხვა საკითხები კი ხმათა უბრალო უმრავლესობით წყდებოდა. სასოფლო საზოგადოების ყრილობა თავისი დადგენილების სისრულეში მოყვანას ანდობდა მამასახლისს, მის მოადგილეს, ნაცვალს, და გადასახადის ამკრეფს. სოფლის თანამდებობის პირებს (მამასახლისი, ნაცვალი და სხვა) ირჩევდნენ სამი წლის ვადით. არჩევნების შედეგებს გუბერნატორი ამტკიცებდა. თანამდებობის პირები ფიცს დებდნენ მაზრის უფროსის წინაშე და სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება მამასახლისს ეძლეოდა. თუ მამასახლისი არ იმოქმედებდა მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის ბრძანებაკარნახით, გუბერნატორი მას სასოფლო საზოგადოების დაუკითხავად გადააყენებდა.[2]

1865 წელს შემოღებული ამგვარი სოფლის მმართველობა ანუ მამასახლისობის ინსტიტუტი რუსული მმართველობის შედეგი იყო, მაგრამ ბევრი ნიშანი, რაც მას ახასიათებდა, სწორედ ძველი მმართველობის სისტემიდან იღებდა სათავეს, რომელიც ტრადიციულ ქართულ სოფელში არსებობდა და ადათით იყო შემუშავებული. სამეგრელოს მაგალითზე თემის მეთაურის სახელწოდებად ტერმინ მამასახლისის გაბატონება სწორედ ამ პერიოდიდან უნდა ვივარაუდოთ.[3]

დღევანდელ რეალობაში სათემო ცხოვრების წესი სრულიად შეიცვალა. რასაკვირველია, ის ზემოთ აღწერილის მსგავსად ვერ დარჩებოდა ამ ორი საუკუნის განმავლობაში, მით უმეტეს გავიარეთ საბჭოთა კოლმეურნეობის სისტემაც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უფრო ვიწრო სამეზობლოების ფორმით ტრადიციული ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი ნიშნები ამ 30-50 წლის უკან ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული. ეს გამოიხატებოდა გვარის და სოფლის უხუცესი ადამიანების მიმართ პატივისცემაში ვიწროდ უბნების შიგნით, რაც უმეტესად ხდებოდა მეზობლებს შორის გარკვეული დავების და მედიატორული საკითხების გადაწყვეტის, უმთავრესად, მიწის თაობაზე დავის თუ საოჯახო ქონების გაყოფის დროს. დღევანდელ ვითარებაში კი ურთი-

---

[1] **В. Н. Иваненко**, Гражданское управление Закавказьем, Тифлис, 1901, გვ. 500, 509.

[2] **კ. ანთაძე,** საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბ., 1998, გვ. 181-182.

[3] იხ. **დ. ჭითანავა,** ტერიტორიული თემი სამეგრელოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, ტ. VIII, თბ., 2004; მისივე, კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, თბ., 2020, გვ. 102-120.

ერთობათა ეს ფორმაც დაიკარგა, რაც თაობათა ცვლის პარალელურად მოხდა და თანამედროვე ახალგაზრდობა ძველ ადათ-წესებს და უფროს-უმცროსობის ტრადიციას იშვიათი გამონაკლისის გარდა, რბილად რომ ვთქვათ, ზერელედ უყურებს.

„სამოხიო“. სამეგრელოში სოფლის თემის, თუ სოფლის შიგნით, იქმნება წვრილი მეზობლური გაერთიანებები, რომელიც „სამოხიო“-ს სახელწოდებით არის ცნობილი. მასზე ჩვენ ვრცლად სხვა ნაშრომებშიც გვაქვს საუბარი და ამდენად აქ საკითხის განხილვას ზოგად ჭრილში, უფრო თანამედროვე ვითარების ხაზგასმის მიზნით მოკლედ შემოგთავაზებთ.[1]

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „სამოხიო“ არის ტერიტორიულად ახლო მცხოვრები ოჯახების გაერთიანება, რომელთაც ერთმანეთის მიმართ ევალებათ ურთიერთდახმარება ჭირსა და ლხინში. „სამოხიო“-ში სხვადასხვა გვარის ხალხი შედის და არ არის აუცილებელი, რომ ერთი გვარისაგან ანუ მონოგენური დასახლების ხარჯზე იყოს შექმნილი. სამოხიოში შემავალი ოჯახების რაოდენობა ყველგან ერთნაირი არ არის. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების მაგალითზე, სამოხიოში მეტწილად 40-დან 60-მდე ოჯახი შედის, იმის მიხედვით, თუ რამდენი ოჯახი ცხოვრობს ახლო-მახლო ტერიტორიაზე; მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებში არის 80-დან 120-მდე ოჯახისაგან შემგარი სამოხიოებიც, რომელსაც აქ ანაცვლებს ტერმინი „საოშო“, სიტყვასიტყვით „საასო“. ეს უკანასკნელი, უფრო საბჭოთა ეპოქაში წარმოქმნილი ტერმინი ჩანს. მარტვილის მუნიციპალიტეტის მუხურჩას თემში ფიქსირებულ სამოხიოებში ასამდე ოჯახი შედის.

მიუხედავად იმისა, რომ „სამოხიო“ ყველგან პოლიგენურია, მათი წევრები ერთმანეთში არ ქორწინდებიან, ე. ი. ის ეკზოგამიურია. ისინი ერთმანეთის მიმართ ვალდებულებას იჩენენ ურთიერთდახმარების ისეთი ფორმის დროს, რომელიც „ნოდი“-ს (ნადი) სახელწოდებით არის ცნობილი. რაც მთავარია, ისინი ურთიერთვალდებულნი არიან დახმარების ხელი გაუწოდონ თავიანთ წევრებს მიცვალებულის გასვენების დროს, რაც პირველ რიგში სამძიმარში მოსული სტუმრების გამასპინძლებას გულისხმობს; ამ დროს სამოხიოს ყველა წევრის მოვალეობა იყო თავისი ოჯახიდან გაეღო 2 კგ ლობიო და 4 კგ სიმინდი ან ღომი და ღვინო. სამოხიოს წევრებს, მიცვალებულის გასვენების დროს შეტყობინება, მეგრ. „გინაფა“ არ სჭირდებათ, ხოლო ქორწილის დროს მათ წევრებს შორის შეტყობინება, „დაპატიჟება“, აუცილებელია. თუ ეს ასე არ მოხდა და ვინმემ ეს წესი დაარღვია, წყენას ექნება ადგილი.

ერთ სამოხიოში შესაძლოა რამდენიმე მონოგენური უბანიც შედიოდეს. მაგალითად, ერთ სამოხიოში ერთიანდებოდნენ ესვანჯიები, მინდილაიები, რუსიები, გახოკიები (სოფელი მუხურჩა); ასეთივეა ფიფიების, აფსავების, ხარებავების, ნანავების და მირცხულავების სამოხიო, რომელთაც სასაფლაოც ერთი აქვთ და მათში შემავალი ოჯახები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაეხმარონ ჭირსა და ლხინში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ყულიშკარის თემი).

სამოხიოები იქმნება ასევე მონოგენური უბნების შიგნითაც, იქ, სადაც გვართა არევა მინიმალურია. მაგალითად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლესიჭინეს თემში — სიჭინავების, ჭოღის თემში — შენგელიების, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემში — კვარაცხელიების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის თემში — როგავების, რომლებიც ორ, სამ და მეტ სამოხიოებადაც კი იყოფიან.

თორსა-დღვაბას თემში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, ძველად აქ სამოხიოში შედიოდა დაახლ. 30 ოჯახი, რომელთაც მიცვალებულის გასვენების დროს რიგრიგობით (ყოველ დღე სამ-ოთხ ოჯახს) მოჰქონდა საჭმელი — მოხარშული ლობიო, მწნილი, მჭადი. ამ ფაქტს მოსწრებიან დაახლოებით 70-80 წლის ასაკის ჩვენი მთხრობლები. ახლა არის ფულით შემწეობა, ვისაც როგორც შეუძლია. ეს სიები ინახება ოჯახებში იმისთვის, რომ იცოდნენ ვინ რამდენით დაეხმარა, რადგან სამაგიეროს „გადასაფარი“ („გინაფორალი“) ამ პრინცი-

[1] **დ. ჭითანავა**, ტერიტორიული თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში („სამოხიო“), *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, ტ. V, თბ., 2003, გვ. 400-414; **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, თბ., 2020, გვ. 102-120.

პით ხდება ჭირსა თუ ლხინში.

სოფელ *დღვაბაში* ადრე სამოხიოს ფორმით იყო საოშო (საასო), რომელშიც შედიოდა უბნები — თხირიში, სუჯუნათი, ტაბუჩა; სოფელ *თორსაში* — საშელიო, სალატარიო და სოფლის ცენტრში მცხოვრებნი, ერთ სამოხიოს, ანუ საოშოს შეადგენდნენ. საოშო მას პირობითად ეწოდებოდა, რადგან სამოხიოში 50-60 ოჯახი შედიოდა. დღეს, სოფელ დღვაბაში მცხოვრები 67 ოჯახი ერთ სამოხიოს შეადგენს.

ხუნწის თემში ფიქსირებული მასალების მიხედვით, სამოხიოში ადრე 100-დან 150-მდე ოჯახი შედიოდა, ახლა კი 48 ოჯახი ერთიანდება. ასეთი აქ 3 სამოხიოა. ქორწილის დროს იმ ძველი, დიდი სამოხიოს წევრების დაპატიჟება არ იყო აუცილებელი. დაუპატიჟებლად ურთიერთადახმარება და ურთიერთვალდებულება მხოლოდ მიცვალებულის გასვენების დროს იყო აუცილებელი.

კეთილარის თემში სამოხიოში 100 კაცამდე შედის. მიცვალებულის გასვენების დროს სამოხიოს წევრები თანაბარი რაოდენობის შესაწირავ ფულს აგროვებენ.

ის ფაქტი, რომ სამოხიო შეიძლება შეიქმნას მონოგენური უბნის თუ სოფლის შიგნით, მიუთითებს იმაზე, რომ ის წარმოქმნილია იმ დროს, როდესაც გვარის პატრონიმიული ერთობა დარღვეულია, ის სახლობს დიდ ტერიტორიაზე, ურთიერთვალდებულებები შესუსტებულია, ხოლო შემდგომში კი ამ ტერიტორიაზე, ანუ ერთი გვარით დასახლებულ ტერიტორიაზე მეზობლად ან მის შიგნით (ჩასიძების წესით და ა. შ.) სხვა გვართა ჩამოსახლების შედეგად მათ შორის იქმნება მტკიცე მეზობლური ურთიერთობები, რომელიც ტერიტორიულ სიახლოვეში ვლინდება. ამის შედეგად მტკიცდება ეგზოგამიის წესი და საბოლოოდ ფორმდება ერთ მთლიან ორგანიზმად, რომელიც სამეზობლო თემის ნიშნებს ატარებს. მართებულად არის დანახული, რომ სამოხიოს წარმოქმნა ხდება მაშინ, როდესაც ირღვევა „თური“-ს (გვარის) ერთიანობა ერთი დასახლების შიგნით[1], მაგრამ ასევე ჩნდება კითხვები: დაახლოებით როდის, რა პერიოდში ხდება სოფლის მონოგენურობის რღვევა და შესაბამისად (თუ ჩვენ სამოხიოს ამ მოვლენის შედეგად წარმოქმნილად მივიჩნევთ) სამოხიოს, როგორც სოციალური ორგანიზმის ტერიტორიულ ერთობად ჩამოყალიბება და თვითონ ამგვარი სახელწოდების დასახლების ერთეულის წარმოქმნა? და მეორე, წარმოადგენდა თუ არა სამოხიო, განვითარების გარკვეულ საფეხურზე უფრო ფართო დასახლების აღმნიშვნელ ერთეულს სამეგრელოს მაგალითზე, თუ ის ყოველთვის დღევანდელ დღეს ფიქსირებულის მსგავსი ვიწრო უბნური დასახლების აღმნიშვნელი იყო?

მეგრული „სამოხიო“-ს მაგალითზე, საფიქრებელია, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს „პირველყოფილ კოლექტივიზმთან“. სამოხიო არ წარმოადგენს იმ სახის რთულ სოციალურ ინსტიტუტს, როგორიც დადასტურებულია საქართველოს მთიანეთში არსებული ტერიტორიული თემების მაგალითზე, ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდისათვის, როცა ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი ეთნოგრაფიული მასალით შეიძლება აღდგეს. მეგრული „სამოხიო“, როგორც თავისი სოციალური მნიშვნელობით და დანიშნულებით, ასევე ფონეტიკური სახესხვაობით, კავშირს ამჟღავნებს გურიაში სოფლის შიგნით არსებულ მეზობლურ ერთეულთან, რომელიც სახევისკაცო//სახეისკაცოს სახელით არის ცნობილი. გურიაში ერთი უბანი ერთ „სახევისკაცოს“ შეადგენდა, ხოლო „ხევისკაცი“ ხევის ცალკეულ წევრს ნიშნავდა.[2] ვფიქრობთ, ამის მსგავსია იმერეთის მაგალითზე ცნობილი „მეხევე“, რომელსაც ვ. ბერიძე ამგვარად განმარტავს: „სატირალში მოსულნი ჭირისუფლის ნათესავთა და მოყვარეთა გარდა სხვა მცხოვრებნი იმა სოფლისა, მეხევენი „გადასახურავს“ იხდიან მხოლოდ ათ შაურს“.[3] ამ საკითხთან მიმართებაში, ასევე საინტერესოა ოკრიბაში ფიქსირებული ტერმინი „ხეიბარი“, რომელიც, გ. გოცირიძის აღნიშვნით, ხევის უფროსს, წინამძღოლს ნიშნავს, ხოლო ტერმინი ხევი „მათი სოფლის ერთობას“.[4]

---

[1] **გ. ელიავა**, ეთნოგრაფიული სამეგრელო (ალბომი), გვ. 114; **ო. ქაჯაია**, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002, გვ. 574.

[2] **გ. ცეცხლაძე**, გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბ., 1991, გვ. 65-66.

[3] **ვ. ბერიძე**, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПБ. 1912, გვ. 80-81.

[4] **გ. გოცირიძე**, რელიგიური დღესასწაული ჯვარობა ოკრიბაში, *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, ტ. II, თბ., 1985, გვ. 183.

„სამოხიო“, თავისი შინაარსით, ახლოს დგას ქართულ „ხევ“-თან და სვანურ „ჴეუ̂“- სთან. ზოგი მოსაზრებით, „ჴეუ̂“ ქართულიდან არის შესული სვანურში არა უგვიანეს X-XI საუკუნეებისა იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ქართულში ჰქონდა[1], ხოლო საერთოდ ფეოდალიზმის მთელ მანძილზე საქართველოში „ჴევი“ ადმინისტრაციულ-საგამგებლო ერთეული იყო.[2]

ტერმინში „სამოხიო“ გამოიყოფა *-სა* პრეფიქსი (რომელიც გეოგრაფიულ სახელწოდებათა და გვარების მაწარმოებელია), და *-მო* ზმნისწინი, საიდანაც გვრჩება ძირეული „ხ“, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს ქართულ ხ-ევ-თან, გურულ სა-ხ-ევისკაცო//სა-ხ-ეისკაცოსთან და იმერულ მე-ხ-ევე-სთან. ამდენად, ვფიქრობთ, რომ „სამოხიო“ შეიძლება „სამოხევოს“, „სახეოს“ მნიშვნელობით აღდგეს, რომელიც გარკვეულ „მტკიცედ განსაზღვრულ, დასახლებულ ტერიტორიას უნდა ნიშნავდეს“, ხოლო რაც შეეხება სიტყვა „სამოხიო“-ში ძირეულ „ხ“-ს ანუ „ხი“-ს გამოყოფის ფაქტს (ამ სახით მის ხევთან კავშირს), ვფიქრობთ, უფრო შორეულ ეპოქაში მივყავართ, რომელიც ქართულ ეთნოტოპონიმიკურ მაწარმოებლებშიც აისახა, და ის გვარის აღმნიშვნელ ერთ-ერთ უძველეს ქართველურ ტერმინად მიგვაჩნია.[3] მაშასადამე, „სამოხიო“, სამეგრელოს მაგალითზე, მონოგენურად დასახლებული სოფლის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო. მორფოლოგიურად ის ჴევ-ის იდენტურად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა შენიშნულია ისიც, რომ გვიანფეოდალურ ხანაში, კერძოდ კი XVIII საუკუნის დასაწყისისათვის, იმერეთის სამეფოში „ხევი“ თითქოს ხმარებიდან გამოდის და მას სიტყვა „თემი“ საბოლოოდ ცვლის.[4] ეს იმაზე მიანიშნებს, რომ „სამოხიო“-ს მნიშვნელობა და ფუნქცია თანდათანობით ვიწროვდებოდა, რაც ვიწრო სამეზობლოების სახით ამ ბოლო დრომდეც შემორჩა სამეგრელოში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჴევის, სამოხიოს და მის მსგავს სხვა დასახლების ერთეულთა სახით, უძველეს ტერმინებთან გვაქვს საქმე, რომელთა სოციალური მნიშვნელობის შესწავლას გვაროვნულ ეპოქამდე მივყავართ.[5] მეორე მხრივ, როგორც სამოხიო, ისე თემი, თავდაპირველი მნიშვნელობით მონოგენური დასახლების აღმნიშვნელი ტერმინები იყო და მათი ფუნქციები სწორედ გვიანფეოდალური ხანიდან უნდა შეცვლილიყო. ამ დროს ისინი ერთიმეორეს კი არ ცვლიან, არამედ სხვადასხვა მნიშვნელობებს იძენენ, რაც კოლხურ გვარსახელთა უძველეს ფენას ბოლო დრომდე შემორჩა.[6]

ამდენად, ვფიქრობთ, რომ „სამოხიო“ სამოხევო//სახეოს მნიშვნელობით შეიძლება აღდგეს, რომელიც გარკვეულ მტკიცედ ლოკალიზებულ დასახლებულ ტერიტორიას უნდა ნიშნავდეს და მის კავშირს ოხორუ//სახლი//მუხური//მხარე სიტყვებთან გვავარაუდებინებს, როგორც ძირეული -ხ მორფემა, ასევე მათი აზრობრივ მნიშვნელობათა იდენტურობა, კერძოდ „მოსახლეობა“, „სიმრავლე“, „წყალი“ რესპ. „მიწა-წყალი“, „ხმელეთი“, „დედამიწა“, „ტერიტორია“, და ა. შ.

მორფოლოგიური და სემანტიკური იდენტობების თვალსაზრისით საინტერესოა ადიღური хьабл, და ყაბარდოულ-ჩერქეზული хьэблэ, „სოფლის“ და „აულის უბნის“ მნიშვნელობით. ეს სიტყვები ანთროპონიმებსაც დაერთვის, ადიღეური Бэрэдзжхъабл და ყაბარდოული Батэхьэблэ-ს სახით.[7] ასეთივე უნდა იყოს ჩაჩნურ-ინგუშური „დასახლების“ და „სოფლის“ აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი **pḫaa** და ბაცბური **pḫae** (რომელიც ბაცბურში დღესაც არის შენარჩუნებული) და როგორც ენათმეცნიერი კ. ჩოკოვი აღნიშნავს, ეს ტერმინი, „გვაროვნული ურთიერთობების დროინდელი უნდა იყოს“.[8]

---

[1] **რ. ხარაძე, ალ, რობაქიძე**, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 71.

[2] **დ. გოგოლაძე**, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.), თბ., 1992, გვ. 8.

[3] ამ საკითხზე და დასახლების აღმნიშვნელ სხვა მსგავს უძველეს ქართველურ ტერმინთა შესახებ, იხ. **დ. ჭითანავა,** დასახლების აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, ტ. VIII, თბ., 2004, გვ. 178-209.

[4] **თ. ბერაძე**, სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში// საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. 81, №1, თბ., 1976, გვ. 225.

[5] **დ. ჭითანავა,** დასახლების აღნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, გვ. 178-209.

[6] **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 110-115

[7] **Дж. Н. Коков**, Адыгская (черкезская) топонимика, Нальчик, 1974, გვ. 37.

[8] **К. З. Чоков**, Строительная лексика в вайнахских языках// *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული*, ტ. II, თბ., 1975, გვ. 172.

სამოხიოსა და ხევთან კავშირში მყოფ გვარის აღმნიშვნელ უძველეს ტერმინზე უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სვანური სამხუბ//ლამხუბი.[1]ქართველურ ტომებში გვარის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი სწორედ სვანურს უნდა შემოენახა ლამხუბ//სამხუბის ფორმით. სვანეთში ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, სამხუბი წარმოადგენს არა თუ ე. წ. პატრონიმიულ ერთეულს, არამედ უფრო ვრცელ სოციალურ უჯრედს, გვარს. იგივეა ლამხუბი, რომელიც ტერმინ სამხუბის ქვემოსვანური დიალექტური სახესხვაობაა (ლა=სა).

ვფიქრობთ, სვანური სამხუბის სტრუქტურა თავის დროზე არასწორად იყო გაგებული, როდესაც მასში დანახულ იქნა არა გვარი, არამედ ერთი გარკვეული გენეალოგიურ ჯგუფი, ანუ პატრონიმია[2], რომლებიც, გვარის შიგნით შესაძლოა იყოს რამოდენიმე, ან ერთი (ერთსამხუბიანი და მრავალსამხუბიანი). სამხუბის გვარის დანაყოფებთან, ანუ პატრონიმიულ ერთეულთან გაიგივება არ მიგვაჩნია მართებულად და ის, ჩვენი აზრით, უფრო დიდ სოციალურ ერთეულს, გვარს ნიშნავდა. ჩვენს მიერ სვანეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, საგვარეულოს (სამხუბის) შიგნით არსებულ ცალკეულ დანაყოფებს, რომელიც აერთიანებს 4-5 და 6-7 თაობის შთამომავლებს, და რომლებიც საერთო წინაპრის საკუთარი სახელის (შესაძლოა სახელწოდება ადგილის მიხედვითაც დარქმეოდა) მიხედვით განირჩევიან სხვა თავიანთი თანამოგვარეებისგან, ეწოდება „თემი“. მაგალითად, სუბელიანების სამხუბი იყოფა შემდეგ თემებად: ბაყთეშერები, სანთიშერები და გუაშერები. ბაყთეშერების მომდევნო დანაყოფი მესამე თაობის წინაპრის მიხედვით უკვე იწოდებიან რომანოზებად. მათ შორის ქორწინება დაუშვებელი იყო. ტერმინი „თემი“ ამ სახის გენეალოგიური ერთეულის აღმნიშვნელად საქართველოს მაგალითზე არ დასტურდება და ის დიდ ტერიტორიულ-მეზობლურ, ანუ პოლიგამიურ ერთეულს აღნიშნავს, თუმცა მისი თავდაპირველი მნიშვნელობით უნდა მომდინარეობდეს მეგრულში დიდი ოჯახის აღმნიშვნელი, რელიქტის სახით შემორჩენილი „თი“ ლექსიკური ერთეულიდან, რომლისგანაც ნაწარმოებია მეგრულში გვარის აღმნიშვნელი ტერმინი „თური“.[3] სწორედ ამ სახის დანაყოფებთან უნდა გვქონდეს საქმე სვანური თემების სახით, რომელიც სვანური სამხუბის შიგნით გენეალოგიური ჯგუფების აღმნიშვნელია და უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა, ვიდრე სამხუბი, ანუ გვარი. მისი იდენტური უნდა იყოს ადიღურად ტამ-ე (თამ) რომელიც იქ „აულის ნაწილს“, „უბანს“ ნიშნავს.[4]

ამდენად, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ უძველეს ქართულ ლექსიკაში გვარის აღმნიშვნელი ტერმინი იყო „სახლი“. მისი შესატყვისია მეგრული „ოხორე“, სადაც გამოიყოფა ძირეული -ხ ელემენტი, რომელიც გვაქვს დასახლების აღმნიშვნელ ისეთი დიდი ტერიტორიულ-სამეზობლო ერთეულების სახელწოდებად, როგორიცაა მეგრული სამოხიო[5], გურული სახევისკაცო//სახეისკაცო, იმერული მეხევე, სვანური „ჭეუ“ და ქართული ხევი. იმავე ძირისაა მეგრული „მუხური“, მხარე. ამ ლექსემების ძირეული -ხ ელემენტი უნდა გვქონდეს ქართველურ, საერთოდ იბერიულ-კავკასიურ და მათთან მონათესავე (ხური-ურარტულ) ეთნოტოპონიმიკური მაწარმოებელი ხი-ს (ხი, ხა) სახით, რომელიც არა მარტო მრავლობითობის და კუთვნილების მნიშვნელობის სუფიქსია, არამედ როგორც ცალკე მდგომი გვაროვნული ეპოქის დროინდელი ლექსიკური ერთეული, რომელიც აღნიშნავდა გვარს, ტომს, ხალხს, ქვეყანას, მიწა-წყალს, მხარეს. მისი შესატყვისები იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკაში, როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური მნიშვნელობებით საკმაოდ ბევრია. *-ხი* სუფიქსი ასევე აწარმოებს ქართულ გვარსახელთა გარკვეულ ნაწილსაც და ის მატრიარქატიდან მომდინარე ტერმინია, რომელიც მდედრო-

---

[1] **Д. Читанава**, Для значений Сванского Самхуб-Ламхуба// *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. XVI, თბ., 2014, გვ. 183-190.

[2] **რ. ხარაძე**, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1935, გვ. 17—18.

[3] საკითხთან დაკავშირებით ვრცლად, იხ. **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 120-148; **დ. ჭითანავა,** პატრონიმია და გვარი სამეგრელოში, *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, ტ. V, თბ., 2002, გვ. 322-344. **დ. ჭითანავა,** სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, ტ.VII, გვ. 287-333.

[4] **Г. В. Рогава**, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тб. 1956, გვ. 4.

[5] **დ. ჭითანავა**, ტერიტორიული თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში (,,სამოხიო“), გვ. 400-414.

ბითი სქესის სუფიქსად (-ხე) შემორჩა კოლხურ გვარსახელებს (მაგალითად, ჯაბუას ქალი — ჯაბხე//ჯაბუხე, შენგელიას ქალი — შენგელხე//შეგელხე და სხვ.).[1]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გვარის აღმნიშვნელი უძველესი ძირეული -ხ ელემენტი გვაქვს სვანურ სა-მ-ხ-უბ//ლა-მ-ხ-უბ-ში, რომელიც კონკრეტულად გვარის აღმნიშვნელად (და არა პოლიგენური დასახლების) აქ შემოინახა დღესაც ცოცხალი სიტყვის ფორმით. სწორედ ამ საგვარეულო ერთეულში, გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებათა გამო, ერთიანდებოდნენ სხვადასხვა მცირე გვარები „ძლიერი“ გვარის მფარველობის ქვეშ, რაც, რიგ შემთხვევაში, მის ეგზოგამიურობას არღვევდა. ისეთი გვარის (სამხუბის) შიგნით კი, სადაც მისი ცალკეული დანაყოფები (თემები, გენეალოგიური ჯგუფები) აღიარებენ საერთო წარმომავლობას, ქორწინება აკრძალული იყო. სამხუბ//ლამხუბი, ისევე, როგორც სამოხიო//სახევისკაცო, თავის დროზე ეკზოგამიური ერთეული უნდა ყოფილიყო. ეკზოგამიურობა სვანეთში პერიოდულად ხშირად ირღვეოდა ერთი გვარის შიგნით სხვადასხვა გვარის შეკედლების მიზეზით, რასაც მათი ისტორიული მეხსიერება განაპირობებდა. თუმცა, ამ ფაქტს ეკზოგამიის დარღვევასაც ვერ დავარქმევთ, რამდენადაც ისინი მიუხედავად სამართლებლივ დოკუმენტებში თანამოგვარეებად ფიქსირებისა, თავის დროზე სხვადასხვა გვარისანი (სხვადასხვა თემის) იყვნენ. სამეგრელოში კი სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა მონოგენურ უბანში უცხო გვარის ჩამოსვლით გვარის შეცვლა, ანუ დამხვდურთან შეკედლება არ ხდებოდა. ამავე დროს, მიუხედავად სოფლის პოლიგენურობისა, რაც გვიანდელი მოვლენაა, სამოხიო მაინც ეკზოგამიური დარჩა.

თანამედროვე რეალობაში, სამოხიოს ეკზოგამიურობა თანდათანობით ირღვევა, მისი ახალი თაობის წარმომადგენლები სამოხიოს წევრობას ქორწინების ამკრძალავ გარემოებად არ მიიჩნევენ. რა თქმა უნდა, მსგავსი ქორწინებები სამოხიოს შიგნით არ ხდება სისხლით ნათესავებს, მოყვრობით და ხელოვნურად დანათესავებულ წევრებს შორის და ამით სისხლის აღრევას არა აქვს ადგილი. მიუხედავად ამისა, სამოხიოს უხუცესი წევრები მის შიგნით ქორწინებას არ მიიჩნევენ მიზანშეწონილად, რამდენადაც ამ ქორწინებებით ირღვევა გარკვეული ტრადიციულ-მორალური პრინციპები. მეორე მხრივ, უფრო დასანანია ის, რომ სამოხიოს წევრებს შორის თანდათანობით უკანა პლანზე იწევს ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმები (ნადი და სხვ.). მიცვალებულის გასვენების დროს შემწეობა ფულადი სახით ხდება და ისიც ბევრს დიდ ვალდებულებად არ მიჩნია. ეს ყოველივე, ზოგადად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და მიგრაციული პროცესებით არის გამოწვეული.

პატრონიმია და გვარი. სამეგრელოში სოფლის თემის შიგნით, დასახლების ტიპს სამოხიოსთან ერთად მონოგენური სოფელი ქმნის. სამეგრელოში დიდი ოჯახის აღმნიშვნელი იყო რელიქტის სახით შემორჩენილი ტერმინი „თი“[2], რომელზეც, როგორც ეთნოტოპონიმიკურ, საერთოდ ტოპონიმიკურ მაწარმოებელზე და ლექსიკურ ერთეულზე, სამეცნიერო ლიტერატურაში უამრავი მოსაზრება არსებობს. მისგან მიღებული უფრო დიდი სოციალური ერთეული, გვარი და პატრონიმია აღინიშნება ტერმინით „თური“.[3]

-თი ტერმინი იმდენად ძველია, რომ ის ქართველური ენების ერთიანობის დროისად და ჩვენი ეთნოსის საერთოეთნიკური (გარკვეულ ეტაპზე „საერთოგვაროვნული“) სამეტყველო ენის კუთ-

---

[1] **დ. ჭითანავა**, დასახლების აღმნიშვნელ ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, გვ. 178-209; **დ. ჭითანავა**, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, გვ. 287-326.

[2] **ი. ყიფშიძე**, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბ., 1994, გვ. 446; **მ. ხუბუა**, მეგრული ტექსტები, თბ., 1937, გვ. 1; **ს. მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 298; **გ. ელიავა**, სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ// *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის ... სერია*, №3, თბ., 1972, გვ. 177-178; **გ. ელიავა**, პატრიარქატიდან მომდინარე გვართა ამოსავალი ძირების ალბომი, *ჟურნ. „აია“*, №1, თბ., 1998, გვ. 27-28.

[3] მეგრული პატრონიმიისა და გვარის სტრუქტურის საკითხები ვრცლად განხილულია ნაშრომში: **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 120-148. იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

ვნილებად უნდა ჩაითვალოს. ამას მისი პატრონიმისტიკული დაბოლოებების გავრცელების არეალი და მეგრულ გვარსახელებში თურის ცოცხალ მეტყველებაში და თი-ს, როგორც ოჯახის აღმნიშვნელად რელიქტის სახით შემორჩენაც ადასტურებს.

პატრონიმიის აღმნიშვნელად სამეგრელოში გვაქვს ტერმინი *დინო*, რომელსაც როგორც გვარის, საგვარეულო დასახლების და მის შიგნით არსებული პატრონიმიული ერთეულის აღსანიშნავად უდავოდ წინ უსწრებდა ტერმინი „თური“, რამდენადაც მეგრული დიდი პატრიარქალური ოჯახის -თი-ს დაშლის შედეგად პირდაპირ უნდა მიგვეღო „თური“ ანუ „თი“-ს წარმომადგენელი, „თი-ს შთამომავალი“.

თი-ს დაშლა და მისგან საბოლოოდ „ფამილიის“ მიღება სამეგრელოში, საკმაოდ ადრე უნდა მომხდარიყო, რამდენადაც ეთნოგრაფიულად ჩვენთვის ხელმისაწვდომი პერიოდისათვის დიდი ოჯახის დაშლის შედეგად მიღებული განაყრები თავისი უახლოესი წინაპრის მიხედვით ახალ გვარ-სახელს არ ირქმევენ, არამედ იგივე გვარისანი რჩებიან, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს სხვა კუთხეების მაგალითზე, სადაც დედა-გვარიდან გამოსული ახალი მამიშვილობათა სახელები თავისი უახლოესი წინაპრის ეპონიმიდან ნაწარმოებ ახალ გვარსახელებად იქცნენ. ამგვარი ფაქტები შენიშნულია ფშავის, ხევის, სოფელ მარტყოფის და რაჭის მაგალითზე.[1]

მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხური გვარსახელების წარმოქმნა (იმ გვარსახელებისა, რომელთაც უშუალო წინაპრის საკუთარი სახელი უდევთ საფუძვლად) დიდი პატრიარქალური ოჯახის, თი-ს დაშლის ეპოქაზე მოდის და იგი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული ადრინდელი კლასობრივი საზოგადოების პერიოდს შეიძლება დავუკავშიროთ, რომელსაც, ალბათ, შემდგომში — ადრეფეოდალურ თუ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (ერთი წინაპრის შთამომავალთა მემკვიდრეობით სახელები), უკვე საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული.

სამეგრელოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, მთისწინა დასახლებებში (ჩხოროწყუს, წალენჯიხის და მარტვილის რაიონები) 4-7 თაობის ერთი წინაპრიდან მომდინარე შთამომავალთა აღსანიშნავად გვაქვს „თურ“ ტერმინით დაბოლოებული დანაყოფები, რომელთა უმრავლესობის სახელწოდებების ფუძეს საფუძვლად უდევს მათი წინაპრის საკუთარი სახელი, თუმცა არის ისეთებიც, სადაც თურ დანაყოფებიანი სახელწოდებები ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის სახელის, ზოგიერთი კონკრეტული გენეალოგიური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ხასიათის, უნარ-ჩვევების, კანის ფერის, გარკვეული ფსიქოლოგიური მახასიათებლების და სხვა ნიშნების მიხედვით. მთიან სამეგრელოში ფიქსირებულია 70-ზე მეტი -თი ბოლოკიდურიანი ტოპონიმი. მათი სიხშირე კლებულობს ცხენისწყლის ნაპირებიდან ენგურის ნაპირებისკენ (მარტვილის რაიონში 50-ზე მეტი, ჩხოროწყუს რაიონში 20-მდე და წალენჯიხაში — ერთადერთი).[2] აქვე შევნიშნავთ, რომ პ. ცხადაია უარყოფს გ. ელიავას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ -თი მიიჩნეულია მხოლოდ გვარების მიხედვით წარმოშობილად.[3]

-თი-ს იდენტური ლექსიკური ერთეულები „თი“, ეთ//თა და „ტი“ სუფიქსების სახით უმრავლეს შემთხვევაში საკუთარი სახელიდან მომდინარე არა მარტო სამეგრელოს, არამედ საქართველოს (უმეტესად, დასავლეთ საქართველოს) სხვა კუთხეების ტოპონიმიკურ მასალაში უხვად არის შემორჩენილი.[4]

სამეგრელოს მაგალითზე საკუთარ სახელისაგან ნაწარმოები გვარები -თი//თა სუფიქსით ან მისგან მომდინარე „თურ“ სიტყვით იშვიათად იწარმოება (გამონაკლისებია — ბაღათურია, აბლოთია და სხვ.); შესაძლოა ეს გამოწვეულია იმითაც, რომ -თი ჯერ კიდევ მთელი თავისი სოციალური დატვირთვით არსებული ცოცხალი ლექსიკური ერთეული იყო და სალიტერატურო

---

[1] **რ. თოფჩიშვილი**, ქართული მემკვიდრეობითი სახელებისათვის// *„ქართველური მემკვიდრეობა“*, I, ქუთაისი, 1992, გვ. 95; **მ. ილურიძე**, გვარები და ბუდობები სოფელ მარტყოფში, თბ., 1998, გვ. 5.

[2] **პ. ცხადაია**, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ., 1985, გვ. 86.

[3] **პ. ცხადაია**, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, გვ. 87.

[4] იხ. **დ. ჭითანავა**, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, ტ. VII, თბ., 2005.

ენამაც მას გვერდი აუარა. ამავე დროს, ის იმდენად ძველი ლექსიკური ერთეულია, რომ *-იან*-ის მსგავსად მასიურად ვერ მოასწრო გვარსახლების (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ე. წ. „ფამილია“-ს) ფორმირებაში მონაწილეობის მიღება და უმრავლეს შემთხვევაში პატრონიმისტიკული მაწარმოებლის ფუნქციაზე დარჩა.

-თი//თა სუფიქსები საკუთარ სახელთა და ტომობრივ მაწარმოებლად ქართველურ ტომებში უძველესი დროიდან ფიქსირდება, კერძოდ, -თა სუფიქსი ჩანს სარგონ II-ის ანალებში მუშქების მეფე მითა-ს პირსახელში. იმავე მეფის სხვა წარწერაში, რომელიც ძვ. წ. X-IX სს. მიჯნით თარიღდება, მოხსენიებულია ვინმე ხარ-თა-ფი.[1] -თი სუფიქსიანი დიაუხის ერთ-ერთი ქვეყნის სახელწოდება *შეშეთი* მოხსენიებულია ურარტუს მეფე მენუას (ძვ. წ. IX- VIII სს.) წარწერაში.[2] -თა/-თი სუფიქსთან მიმართებაში საინტერესოა ხეთური წყაროების ქასქების ტომის ერთ-ერთი დიდი გაერთიანების სახელწოდება *დურმითა* (durmitta), რომლის ტერიტორია „ზემო ზღვის ქვეყანაში“ შედიოდა.[3]

დღეს, სამეგრელოში, ოჯახის სახელწოდება *-თი*-ს დაშლის შედეგად მიღებული სოციალური ერთეული „თური“ არის ერთი წინაპრიდან განაყართა გენეალოგიური ჯგუფის სახელწოდება პატრონიმიის სახით. განვითარების გარკვეულ საფეხურზე „თი“-ს (დიდი ოჯახი, საოჯახო თემი) დაშლის დროისათვის, ანუ ერთი გარკვეული სისხლნათესაური ერთობის ჩამოყალიბების დროს, *თი*-სგან უნდა მიგვეღო „თური“, ანუ გვარი, შემდგომ სამართლებრივი სტატუსის მქონე ე. წ. „ფამილია“, მაგრამ დღესდღეობით, როდესაც უკვე აღარ არსებობს *თი*-ს ფორმის და სახელწოდების ოჯახი, მეგრული პატრონიმიის აღმნიშვნელად „თურ“-თან ერთად გვაქვს ტერმინი „დინო“, რომელიც უფრო ვიწრო სოციალური ერთეულია, ვიდრე „თური“. თუმცა, განვითარების გარკვეულ საფეხურზე, თური ჯერ დიდი საოჯახო თემის, ხოლო შემდეგ მისგან განაყარი 4-5 თაობის და იშვიათად 6-7 თაობის გენეალოგიური ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო. ეს ნათლად ფიქსირდება სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ზოგიერთ გვარსახელთა პატრონიმიულ დანაყოფებში. დღევანდელი გაგებით, ანუ მეგრულ ენაში „თური“ მთლიანად გვარს, საგვარეულოს (მოგვარეს), ე. წ. ფამილიას (იგულისხმება სამართლებრივი სტატუსის მქონე გვარი) ნიშნავს. მაშასადამე, „თური“ მეგრულში „გვარის“ აღმნიშვნელი ტერმინია და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ მეგრული სოფელი ერთი გვარით დასახლებულ ერთეულს წარმოადგენდა, რაც დღესაც ნათლად ჩანს, მაშინ „თური“ „სოფლის“ ცნების აღმნიშვნელი ტერმინიც უნდა ყოფილიყო (შდრ. თემი).

დაბლობის და პლატოს სამეგრელოს მონოგენური უბნების მაგალითზე ნათელია, რომ ძველი, პირვანდელი დინოსაგან ნაწიწილევი ხალხით შექმნილია რამდენიმე ახალი დინო, რომელთა შორის სუსტდება ნათესაური ურთიერთვალდებულებები, თუმცა დღესაც აღიარებენ, რომ ერთი წინაპრის შთამომავლები არიან. სწორედ ამ ძველ და ახალ დინოთა შემდგომი გაზრდის შედეგად მეგრული სოფლის თემის შიგნით იქმნება უფრო დიდი სოციალური ერთეული მონოგენური დასახლებით, რომელიც აქ, როგორც მთლიანად სამეგრელოში, „თური“-ს სახელწოდებით არის ცნობილი. დღესდღეობით, რიცხობრივად გაზრდილი თურის წევრთა (გვარის, მონოგენური სოფლის) შიგნით ურთიერთობები შენარჩუნებულია დინოს შიგნით, ანუ 4-5 და იშვიათად 6-7 თაობის შთამომავალთა შორის.

სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებში ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით „თური“-ს სახელწოდების პატრონიმიული დანაყოფები არ არის დამახასიათებელი ვაკე სამეგრელოს სოფლებისათვის, ნაწილობრივ გავრცელებულია პლატო სამეგრელოს ზოგიერთ სოფლებში[4], ხოლო მთისწინეთში უფრო მეტი სიხშირით გვხვდება. ამ მხრივ გამორჩეულია ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონების გვარსახელები. მაგალითად, ჭოღის თემში მცხოვრები შენგელიების გვარის დანაყოფებია: მეღვინეთური, პაპათური და კუროთური. XIX საუკუნეში ჭოღიდან

---

[1] საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 13, 18.

[2] საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, გვ. 21.

[3] **გ. გიორგაძე**, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, გვ. 144.

[4] იხ. **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 135-141.

გარკვეული ნაწილი გადასახლდა მეზობელ სოფელ ხაბუმეში, და მათ შთამომავლებს დღესაც ახსოვთ მათი ძველი თურები, მაგრამ აქ შედარებით ახალი დანაყოფები აქვთ, რომლებიც უკვე „გამნარყებად“ იწოდება, ასეთებია: ხუხულიაშ, ქორსიაშ, ვაწაიაშ, ჭეჭუათიშ, კვატაიათიშ.

თურ დანაყოფიანი გვარსახელები ფიქსირდება ხორშის თემში მცხოვრები გვასალიების გვარში: მიშველიათური, ზირთური, ჟოლათური, ძღირთური.

ჩვენს მიერ საველე-ეთნოგრაფიულად შესწავლილ სხვა სათემო დასახლებების მონოგენურ უბნებში: *კეთილარი*, *თორსა-დღვაბა*, *კოკი*, რომელიც ბარის სამეგრელოს სათემო დასახლებებს წარმოადგენენ, *თურ* ტერმინი გვარის დანაყოფებში არ ფიქსირდება, თუმცა დღესაც იციან, რომ ტერმინი *თური* („ჩქიმი თური“, ჩემი თური) გვარს და მოგვარეს ნიშნავს, ანუ მისი თურის სხვა გვარი არ შეიძლება იყოს. მიუხედავად იმისა, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლები გეოგრაფიულად ბარის სამეგრელოს დასახლებებს მიეკუთვნება, აქაც ზოგ ადგილას დაფიქსირდა თურ დანაყოფებიანი გვარსახელი, მაგალითად სოფელ ნორიოში მცხოვრები გვაზავების სამი ძმა ჩამოსულა ნაგავაზავოდან. მათი გვარი იყოფა სამ შტოდ: მათეთური, ტატუნათური და ბოროთური. ასეთივე სურათი დაფიქსირდა მარტვილის მუნიციპალიტეტის ბარის სოფლებში. მაგალითად: ვედიდკარის თემში მცხოვრები ფოჩხუების დანაყოფებია: მოგელიათური, უჩანიათური, ხუხუნიათური, მამუკიათური. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ზღვისპირა სამეგრელოს დაახლოებით 30-40 კმ-იანი ზოლის დასახლებები, სადაც თურ დანაყოფებიანი საგვარეულო დასახლებები არ ფიქსირდება. რაც შეეხება *ჯგალის თემს*, სადაც მკვეთრად გამოყოფილი მონოგენური დასახლებები გვაქვს და ის გეოგრაფიულად მთისწინა სამეგრელოს ზონაშია, *თურ* სუფიქსიანი გვარსახელთა დანაყოფები არ ფიქსირდება, რომელსაც ვერ ვიტყვით მის მეზობლად მდებარე მუხურის და ზუმის თემის ზოგიერთი მონოგენური დასახლების მაგალითზე. სოფელ ზუმში ოდესღაც სვანეთიდან ჩამოსული ლემონჯავების გვარი ორ შტოდ იყოფა: ქუთათური და კოჩათური.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გვარი, სამეგრელოს სათემო დასახლებების შიგნით საკმაოდ კომპაქტურად არის განსახლებული და ესა თუ ის უბანი შესაბამისად ამავე გვარის სახელს ატარებს, პატრონიმიის რღვევის საკმაოდ შორსწასული ნიშნები შეიმჩნევა (სადაც ერთი გვარით დასახლებული უბანი შექმნილია რამდენიმე ამავე გვარის დინოსაგან), რომელთა გაერთიანების შედეგად, ე. ი. დინოების — პატრონიმიების გაერთიანების შედეგად, აქ უნდა გვქონოდა „თური“, „სოფლის გაგებითაც“. მთხრობელი პირდაპირ ასე ამბობს: „ჩვენი დინო აქ არის, ხოლო თური (სოფელი, გვარი) იქ არის, საიდანაც ჩვენ ჩამოვედით“. ე. ი. „გვარი ანუ თური“ ზოგიერთი მონოგენური უბნის მაგალითზე ცალკე სოფლად ვერ ჩამოყალიბდა და ერთი მხრივ, „თური“ ისეთი სოფლის აღმნიშვნელ სიტყვად გვევლინება, სადაც ამა თუ იმ გვარის პირველსაცხოვრისი ადგილია „ჯინჯი“ (ძირი) ხატი, ძირი თური (გვარი, სოფელი). თემის შიგნით შემავალ ზოგიერთ უბნურ დასახლებებს ერთი გვარით დასახლებული ცალკე სოფლისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნები გააჩნდა, რომელიც გარკვეული მმართველობის სისტემის-სოფლის, გვარის უხუცესი ადამიანის, გვარის შესაკრები ადგილის და იდეოლოგიის სფეროში გვარის სალოცავის არსებაში გამოიხატებოდა.

ტერმინ „თურ“-თან მიმართებაში საინტერესოა უძველესი ქართული სოციალური ტერმინი „თჳსი“, რომელიც ისტორიკოს გურამ მამულიას აზრით, თავთან არის დაკავშირებული; „თჳსი“, აღნიშნავს ავტორი, ის არის, ვინც თავს ეკუთვნის, ვინც თავ-ის-(ა) არის. თჳსი, ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის დროის ტერმინია, რომლის სოციალურ ბუნებაზე ზანური *თი* და *თური* მიუთითიებენ. „თი“ ზანურად თავს ნიშნავს, მეგრულში კი თავის გარდა *თი* ოჯახის, სახლის, ეზოს, გვარის მნიშვნელობით იხმარება, ხოლო *თური* სახლიშვილის, მოგვარის მნიშვნელობით“. ავტორი ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „თჳსი ფარნავაზამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა და ის ბრინჯაოს ხანას მოიცავს, მაშინ, როდესაც, ქართველ ტომებში პატრიარქალური ურთიერთობანი მაქსიმალურ განვითარებას აღწევენ“.[1]

---

[1] **გ. მამულია**, აგნატური ჯგუფები ძველ ქართულში და მათი გენეზისი// *ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული*, თბ., 1976, გვ. 121-128.

„თური“-ს „გვარის“, „სახლის“ მნიშვნელობის გაგებასთან მიმართებაში საინტერესოა ერთ საარქივო საბუთში დაცული ცნობა. კერძოდ, 1828 წელს სარდალ-ბოქაულთუხუცესი ნიკო დადიანი (ნიკო მეორე), აზნაურ ხოფერიებისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში აღნიშნავს: „ოდეს სწვიდეს ურთიერთსა... დაიწვი სახლსა შინა თურით შენით და ესრე ხსენებული წიგნები... დამწვარ იქნა“.[1]ვფიქრობთ, ნათელია, რომ თი (თური) მეგრულში „სახლი“-ს ანუ „გვარის“ აღმნიშვნელი ტერმინია. ის იგივე მნიშვნელობით უნდა არსებულიყო სხვა ქართველურ ტომებში, რასაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შემორჩენილი ეთ//თი//თა პატრონიმიული სუფიქსური დანაყოფების არსებობა ადასტურებს. სიტყვა თი-მ, ეთი//თი//თა სუფიქსების სახით, ადრინდელი მნიშვნელობა სამეგრელოსაგან განსხვავებით საქართველოს სხვა კუთხეებში დაკარგა და სამეტყველო ენაში არ შემორჩა როგორც ცოცხალი ლექსიკური ერთეული. ის აქ შეუსისხლხორცდა ადამიანის საკუთარ სახელს, რომლითაც იწარმოება ერთი სისხლნათესაური ერთობა, ჯერ უფრო წვრილი გენეალოგიური ერთეული, შემდგომ კი მთლიანად გვარი, დიდი საგვარეულო ერთეული.[2]

მაშასადამე, „სახლი“ ნიშნავდა არა მარტო ნაგებობას, არამედ იქ მცხოვრებ მოსახლეობასაც, ანუ გვარს. ასეთივე მნიშვნელობის ტერმინი უნდა ყოფილიყო „თი“ და „თური“. „თი“-დან ნაწარმოები „თური“ მეგრულმა დღესაც ცოცხლად შემოინახა „თანამოგვარეთა“ აღმნიშვნელად, ხოლო „ოხორუ“, სიტყვა „მახორობას“, ანუ ოჯახის მნიშვნელობით დარჩა დღემდე. „თური“ ერთი სისხლნათესაური ერთობის აღმნიშვნელი იყო და არის; დღევანდელ ვითარებაში კი სამართლებრივი სტატუსის მქონე ერთობის ანუ ფამილიის, იგივე მოგვარეების აღსანიშნავადაც იხმარება. ის დღევანდელ ტერმინ „გვარი“-ს და უწინდელი „სახლი//ოხორი//ქორ“-ის იდენტურია. „თური“-ს იდენტურია ასევე ქართული „თჳსი“, რომელიც, როგორც გაირკვა, უძველესი ტერმინია და ქართულ-ზანური ერთიანობის დროისად არის მიჩნეული (გ. მამულია). „თჳსი“ პირდაპირ „თავისიანს“ რესპ. „ჩემიანს“ „თავისი სისხლით ნათესავს“ აღნიშნავს. შემდგომ „თი“-ს განვითარება მოხდა არა მარტო ვიწროდ „გვარის“, არამედ ზოგადად „ქვეყნის“, „მიწა-წყლის“ „ტომის“ აღმნიშვნელ სიტყვამდე. ამას მოწმობს ისეთი გვიანდელი წარმოებები, როგორიცაა: იმერე-თი, კახე-თი, კოლხ-ეთი, ჯავახ-ეთი, რუს-ეთი, ჩინ-ეთი, თურქ-ეთი და სხვა.[3]

არის კიდევ ერთი ნიუანსი. თუ „თი“-ს მივიჩნევთ „სახლის, „გვარის“ „მიწა-წყლის“, „ქვეყნის“, ასევე პატრონიმისტიკული სახელწოდებების და გვართა მაწარმოებლად, მაშინ რატომ ერთვის ის ისეთ ტოპონიმიკურ ფუძეებს, რომელსაც ამ სახის სოციალურ ერთეულებთან სემანტიკურად არავითარი კავშირი არა აქვს. მხედველობაში გვაქვს ისეთი სახელწოდებები, როგორიც არის „წკნელეთი“, „შაბუთი“, „ნიგოზეთი“, „ბჟოლეთი“, „მშველეთი“, „გველეთი“, „ჟინოთა“, „ჭუბურთა“, „ქურთა“, „ხორანთა“ და სხვა. ვფიქრობთ, აქ საქმე უნდა გვქონდეს იმ გარემოებასთან, რომ ეს ტოპონიმები იმ პერიოდში ჩნდება, როცა თი//თა-მ დამოუკიდებელი სიტყვის მნიშვნელობა დაკარგა და ის უბრალოდ მაწარმოებელ ან მრავლობითობის მაწარმოებელ სუფიქსად გადაიქცა (შდრ. -ონ სუფიქსი მეგრულში). გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ეს ტოპონიმები, ყოველ შემთხვევაში მათი გარკვეული ნაწილი, ჯერ კიდევ ფუძისეულად საკვლევია. მაგალითად, „გველეთი“ შეიძლება იყოს საკუთარი სახელისაგან ნაწარმოები, რადგან არსებობს გვარსახელი „გველესიანი“, ხოლო ზოგიერთი შესაძლოა ეთნოტოპონიმიც იყოს („ქურთა“, „ხორანთა“).[4]

ტერმინ თი-ს ისევე, როგორც „სახლს“, რომლის შესატყვისია მეგრული ოხორი//ხორი და სვანური „ქორი“, ცალკე ვერც ერთი ქართველური ტომის კუთვნილებად ვერ ჩავთვლით, ის საერთოქართველური (და შესაძლოა საერთო იბერიულ-კავკასიური ერთობის დროინდელი) ტერმინია, რაც, ნათლად ჩანს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ტოპონიმიკასა და პატრონიმისტიკულ სტრუქტურაში.[5]

---

[1] ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის მასალები, საბ. №1184.

[2] იხ. **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 141.

[3] იხ. **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 141-142

[4] იხ. **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 142.

[5] იხ. **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 143.

„თურ“ ტერმინი საინტერესოდაა შემორჩენილი აჭარაში. დიდი ოჯახის მმართველად აჭარაში ქალი ჩანს, ხოლო პატრონიმიული გაერთიანება ნეგრო-ყოფილი დიდი ოჯახის წინამძღოლი ქალის სახელს ატარებდა. კერძოდ, სოფელი სხალთურიენთი წარმოდგა ოჯახის ყოფილი წინამძღოლი ქალის სადაურობის გამომხატველი სახელწოდებიდან „სხალთურა“, რაც სხალთელს ნიშნავს. ამგვარი მეტსახელის შერქმევა მიჩნეულია აჭარულ ოჯახში დამკვიდრებული განრიდების წესის ნიშნად.[1] მაშასადამე, თური აქ ოდესღაც უნდა ყოფილიყო როგორც სოფლის, ისე გვარის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელსაც სადაურობის *-ურ* სუფიქსი დაერთვის და *-თი* ლექსემა, როგორც ოჯახის და გვარის აღმნიშვნელი სავსებით იდენტურია ზანურ მასალასთან.

„თურ“ და „თემ“ ტერმინებთან მიმართებაში, რომელიც მეგრულსა და სვანურში აღნიშნავს გვარის გენეალოგიურ ჯგუფს და ოჯახს, მიესადაგება აბაზებში ერთი აულის ფარგლებში მცხოვრები საოჯახო-ნათესაური ჯგუფების აღმნიშვნელი ტერმინი „თუხუმი“.[2] ადიღურ ენაში გვხვდება სიტყვა ტამ(ე)//თამ(ე) там(э), რომელიც ნიშნავს „უბანს“, „აულის ნაწილს“. სპეციალურ ლიტერატურაში ის მიჩნეულია ქართული სიტყვა „თემი“-დან შეთვისებულად.[3]

თურ სიტყვის წარმომავლობა უფრო ძველი ჩანს, ვიდრე ამის წარმოდგენა იყო შესაძლებელი. ამ მხრივ საინტერესო პარალელად მიგვაჩნია შუმერული მასალა. შუმერულში „საშოსთვის“ და „ბოსლის“ აღმნიშვნელად გვაქვს შუმერული თურ სიტყვიდან მომდინარე შაგ-თურ ან შა-თურ (აქად. შათურრუ, შასსურრუ), რომელიც განიმარტება, როგორც „ბოსლის წიაღი“ და კიდევ სხვა პიქტოგრამა „ბოსელში მყოფი დიაცი“, რომელიც იკითხება როგორც არხუშ და წარმოადგენს ზემონახსენები პიქტოგრამის „სახლში ჩახატული დიაცი“, სახესხვაობას.[4] მაშასადამე, *თუ* და *თური* აქაც ნიშნავს შობას, იგივე ჩვილს, რომელიც „საშო“ სიტყვიდან მომდინარე ტერმინი ჩანს და ის სწორედ ამ ცენტრის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, როგორც სიცოცხლის გამჩენის, რაც უნდა გამხდარიყო ოჯახის, ხოლო შემდგომ გვარის აღმნიშვნელ სიტყვად დამკვიდრების საფუძველი, მოგვიანებით კი, პატრონიმიის, ანუ ერთი სისხლნათესაური ერთობის. ის ასევე, გვარსახელების მაწარმოებელ, ტომის და ქვეყნის მრავლობითობის აღმნიშვნელ სუფიქსად უნდა გაფორმებულიყო. ამდენად, თი//თური თავდაპირველად დამოუკიდებელი სიტყვა იყო, რომელსაც საშოს მნიშვნელობასთან, ანუ სიცოცხლის საწყისის გააზრებასთან მივყავართ.

მაშასადამე, „გვარის“, „მოსახლეობის“, „მიწა-წყლის“, „ტომის“, „ქვეყნის“ აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო ეთნოტოპონიმიკური მაწარმოებელი -ხი ლექსიკური ერთეული და მისგან ნაწარმოები სახლი//ოხორუ//ქორი. ვფიქრობთ, აქ საქმე უნდა გვქონდეს შემდეგ გარემოებებთან: -ხი ელემენტი და მისგან ნაწარმოები სახლი//ოხორუ//ქორი, რომელიც „ხალხს“, „ქვეყანას“, „ტომს“, „მიწა-წყალს“, „გვარს“ ნიშნავს ქართველურ, იბერიულ-კავკასიურ და ძველაღმოსავლურ ლექსიკაში. იმ დროისათვის, როდესაც ის ფუძეს ერთვის (მაგ. კულ-ხა//კოლ-ხი ძვ. წ. VIII-VI სს.), ხი-ს (სახლის, გვარის, ტომის) ჩამოყალიბების პროცესი უკვე დასრულებული ჩანს. „ხი“ ამ პერიოდისათვის თითქოს კარგავს თავის ნამდვილ მნიშვნელობას და იქცევა უბრალო მაწარმოებელ სუფიქსად, რომლის მნიშვნელობა უკვე გარკვეული პერიოდის შემდეგ სახლი//ოხორუ (-სა და -ო პრეფიქსის დამკვიდრების შემდეგ) ჩაანაცვლა. ასეთივე სურათი გვაქვს თი-ს განვითარებასთან, რომელიც ხი-ზე (სახლი//ოხორი) უფრო გვიანდელი წარმოქმნილია, ანუ იმ ეპოქაში, როცა -ხი უკვე ჩვეულებრივ სუფიქსად იქცა. მაშასადამე -ხი განვითარდა უმაღლეს პოლიტარქიად. მან უკვე „სახლის“, ანუ ვიწრო საგვარეულო ერთეულის მნიშვნელობა დაკარგა და უფრო ფართო „სატომო“ და „ქვეყნის“ (კოლ-ხი, დიაო-ხი და სხვ.) მნიშვნელობა შეიძინა. ეს ფაქტი იგივე იყო -თი ერთეულისთვისაც, რომელმაც ასევე დაკარგა „სახლის“ მნიშვნელობა და თანამედროვე რეალობაში შემოგვრჩა გვარის დანაყოფების სუფიქსურ მაწარმოებლად; ის „ქვეყნების“, „ტომის“, „ხალხის“ სა-

---

[1] **თ. აჩუგბა**, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ., 1990, გვ. 79.

[2] **Е. Н. Данилова,** Семья и патронимия в системе сельской общины Абазин во второй половине XIX века// *Советская этнография*, №5, 1973, გვ. 84-85.

[3] **Г. В. Рогава,** К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, გვ. 4, 120.

[4] **ზ. კიკნაძე**, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976.

ხელწოდებების მრავლობითობის მაწარმოებლად იქცა. -ხი-დან ასევე განვითარდა მეგრული „სამოხიო“, გურული სახევისკაცო//სახეისკაცო, იმერული „მეხევე“, ქართული „ხევი“, სვანური სამხუბ//ლამხუბი. ამრიგად, ქართველური სახლი//ოხორუ//ქორი განვითარდა სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ, გარკვეული ტერიტორიული ერთობების აღმნიშვნელ ტერმინებად, უმაღლეს ადმინისტრაციულ პოლიტარქიებად. მის პარალელურად არსებობს ტერმინი „თემი“, რომელიც უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულს აღნიშნავდა.[1] ეთნოგრაფიულად ჩვენთვის ხელმისაწვდომი პერიოდისათვის და ალბათ უფრო ადრეც, ტერმინები სახლი//ოხორუ//ქორი, გვარის და გარკვეული სისხლნათესაური ერთობის მნიშვნელობით უკვე აღარ იხმარება. ის უბრალოდ საცხოვრებელი ნაგებობის მნიშვნელობით ვიცით, რასაც ვერ ვიტყვით მეგრულ თი//თურ-სა და ქართულ „თჷსი“-ზე, რომელიც „გვარს“ და ოჯახს ნიშნავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების სახელწოდებებში ხი//თი დღესაც თანაბარი მნიშვნელობით გვხვდება ორმაგი წარმოებებით (მაგ. ჯავახეთი, კახეთი და სხვ.), როგორც ჩანს, ეს იმ დროის მოვლენაა, როცა ხი-მ დაკარგა ადრინდელი, ნამდვილი და რეალური მნიშვნელობა; მან ადგილი დაუთმო ცოცხალ ლექსიკურ ერთეულ თი-ს, რომელიც შემდგომში ბევრ ქართველურ ტომში (მეგრულის გარდა) იმავე ბედს იზიარებს და მარტო ანთროპო და ტოპომაწარმოებლის როლში გვევლინება. იგივე სურათი გვაქვს ქართულ გვარსახელებში. თი- ოფიციალური სამართლებრივი სტატუსის მქონე გვარსახელებს იშვიათად აწარმოებს, თუმცა ხი-ს შერჩა ეს ფუნქცია. საფიქრებელია, რომ თი-მ ვერ მოასწრო ამ ფუნქციის შეთავსება, რადგან ის დაფარა ძე-მ და შვილ-მა. მაგალითად, კობახი-ძე-ში, თი-ს რომ მოესწრო, უნდა გვქონოდა კობა-ხი-თი, მაგრამ უკვე „ძე“ ჭარბობს, რაც გვიანდელი მოვლენაა. კობახიძის თავდაპირველი ფორმა იქნებოდა „კობახი“, რომლის შედარება შეიძლება ეთნოგრაფიულად ფიქსირებულ პატრონიმიულ დანაყოფთან „კობაითი“ (აქ ზოგად ტენდენციებზე გვაქვს საუბარი და არა კონკრეტულ შემთხვევებზე). კობათი, კობათური — კობას ოჯახს, სახლს, გვარს ნიშნავს. ამ შემთხვევაში კობა-ხი-ძე-ში და პატრონიმისტიკულ „კობაი-თი“-ში -თი და -ხი, ერთი და იმავე ფუნქციაზე მიუთითებს.

სამეგრელოში დასახლების ტიპს ქმნიდა, და ნაწილობრივ დღესაც ნარჩუნდება, მონოგენური სოფელი. სწორედ ამ მონოგენური დასახლების შიგნით, ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, პატრონიმიის აღმნიშვნელ ტერმინად თურ-თან ერთად გვხვდება ტერმინი **„დინო“** და რიგ შემთხვევებში „გამნარყი“.[2] ამ სახის სოციალური ინსტიტუტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი: „მამანი“ — ხევსურეთში, „ბაბუაშვილობა“ — მთიულეთ-გუდამაყარში, „კომობა“ და „ბუდობა“ — მთიულეთში, „ერთი ცეცხლის პირზე გაყრილები“ — ქართლში, „ბაბუაშვილობა“ და „სახლიშვილობა“ — რაჭაში, „გამრიგვი“და „ნოგრო“-აჭარაში, „სამხუბ//ლამხუბი“ (თემი-დ.ჭ.) — სვანეთში, „აბიფარა“ — აფხაზეთში, „ბუდობა“ — მარტყოფში, „გვარზედმეტი“, „განაყოფი“, „ნიკიანი“ — ოკრიბაში.[3]

ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ საქართველოში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე (და უფრო გვიანაც, - დ. ჭ.) არსებობას ინარჩუნებს მრავალთაობიანი და მრავალსულიანი დიდი ოჯახი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი: „ერთიანობის სახლი“, „განუყოფელი სახლობა“, „ჯალაფი ოჯახი“, „საძმო სახლი“ და „ჯარისეული ოჯახი“ — აჭარაში; „ჯალაბი ოჯახი“ — იმერეთში; „დიდი ოჯახი“, „დიდი კო-

---

[1] იხ. **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 146-147.

[2] იხ. **დ. ჭითანავა**, პატრონიმია და გვარი სამეგრელოში, *კრებ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, ტ. V, თბ., 2002, გვ. 322-344.

[3] **რ. ხარაძე**, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, გვ. 20; **Р. Харадзе,** Грузинская семейная обшина, т. I, Тб., 1960, გვ. 52, 78; **ალ. რობაქიძე**, მთიულეთის კომობის ზოგიერთი მხარე// კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტ. III, თბ., 1971, გვ. 66-68; **ალ. რობაქიძე**, მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში// *კრებ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა“*, II, თბ., 1974, გვ. 31; **ვალ. ითონიშვილი**, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974, გვ. 20; **С. Бахиа**, Абхазская «абипара» - патронимия, Тб., 1986, с. 5; **ნ. მგელაძე**, ნოგროს წევრთა ქონებრივ-უფლებრივი წესები აჭარაში// *კრებ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა“*, ტ. III, თბ., 1978, გვ. 74; **რ. ხარაძე**, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“// *„მიმომხილველი“*, I, თბ., 1949, გვ. 187; **მ. ილურიძე**, გვარები და ბუდობები სოფელ მარტყოფში, თბ., 1998; **დ. შავიანიძე**, ოკრიბული გვარსახელები, ქუთაისი, 2002.

მი“, „დიდი ჯალაბი“, „დიდი ჯალაბობა“, “გაუყრელი ოჯახი“, „ერთიანობის ოჯახი“, „ერთობის სახლი“, ან „ჯალაფი“ — მთიულეთ-გუდამაყარში.[1] მათ სახელწოდებაში „სიდიდე“ („დიდი“), ვალერიან ითონიშვილის დაკვირვებით, ოჯახის გაუყრელობის ფაქტს, მის მრავალრიცხოვნობას“ აღნიშნავს.[2]

ოჯახის ამ სახელწოდებებში ტერმინი „სახლიც“ ფიგურირებს, მაგრამ ზოგჯერ მას ენაცვლება უცხო წარმომავლობის და გვიანდელი ტერმინები „კომი“ და „ოჯახი“. ტერმინ „სახლთან“ ერთად ოჯახის აღმნიშვნელად სიტყვების — „განუყოფელი“, „ერთიანობის“, „დიდი“-ს გაჩენა, ჩვენი აზრით, გვიანდელი მოვლენაა, როცა „სახლმა“ სოციალური მნიშვნელობა დაკარგა. „სახლი“ ადრინდელ ეპოქაში, ალბათ, თავისთავად გულისხმობდა „განუყოფელობას“, „მრავალრიცხოვნობას“ და „სიდიდესაც“. „სახლმა“, ანუ ამ შემთხვევაში კონკრეტულად დიდმა ოჯახმა, მეტყველებაშიც დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, ხოლო სოციალური თვალსაზრისით ის ინდივიდუალურობისაკენ და დაშლისაკენ მიმართული ტენდენციით წავიდა, რაც ალბათ მისი არსებობის ყველა ეპოქაში ხდებოდა, მაგრამ XIX საუკუნემ მას საბოლოო წერტილი დაუსვა.

სამეგრელოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, XIX საუკუნის დასასრულამდე აქ ნაწილობრივ შემორჩენილი იყო დიდ ოჯახებად ცხოვრების ტრადიცია, რომელიც სამი თაობის შთამომავლობას აერთიანებდა და „უგურთ“, „ერიან“, „ფანია“ და „აგვართა“-ს სახელწოდებით იყო ცნობილი. ასეთი სახის სოციალურ ორგანიზმს გააჩნდა საკმაოდ მყარი ეკონომიკური ბაზა, მმართველობის სიტემა, საერთო საოჯახო ქონება, რომელზეც ოჯახის თითოეული წევრი თანასწორუფლებიანობას ინარჩუნებდა, როგორც გაყრის (ქალების გარდა), ისე ერთად ყოფნის დროსაც. მას ასევე გააჩნდა იდეოლოგიური ერთიანობის ისეთი ინსტიტუტი, რაც საერთო-საოჯახო „ოხვამერის“ (სალოცავის) არსებობაში გამოიხატებოდა. სწორედ ამ სახის დიდი პატრიარქალური ოჯახის ანუ საოჯახო თემის ტრანსფორმირებული ფორმით არსებული დიდი ოჯახის დაშლის შედეგად მიღებული მონოგენური დასახლებების შიგნით იქმნება პატრონიმიული ერთეული, რომელიც „დინო“-ს და „გამნარყის“ სახელწოდებით არის ცნობილი და რომელიც აქ დასახლების გარკვეულ ტიპს ქმნის. „დინო“-თა, ანუ „გამნარყების“ შემდგომი გაზრდის და განტოტების შედეგად კი იქმნება უფრო დიდი სოციალური ერთეული მონოგენური დასახლებით, რომელიც „თური“-ს სახელწოდებით არის ცნობილი. „თური“ დღევანდელ რეალობაში, სამეგრელოს საგვარეულო დასახლებების უმრავლესობაში არის არა პატრონიმიის, ანუ ერთი გენეალოგიური წრის აღმნიშვნელი ტერმინი, არამედ ის მოგვარეს ნიშნავს. სამეგრელოში ჩვენ მიერ XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დღემდე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „დინო“ არის ერთი დიდი ოჯახიდან, საერთო კერიდან „განაყართა“, „გამოსულთა“ აღმნიშვნელი ტერმინი, ერთი „ზისხირი დო ხორცი“ („სისხლი და ხორცი“), ერთი „გამნარყი“, „ნარყი“ („ნაყარი“, „განაყარი“), რომელიც აერთიანებს 4-5 თაობის და იშვიათად 6-7 თაობის, ერთი დიდი ოჯახიდან განაყარ, როგორც გვერდითი, ისე პირდაპირი, აღმავალი პატრილინეური ხაზის შთამომავლებს (ნათესავებს), რომლებიც ერთმანეთის გვერდით სახლობენ თავიანთი „მამა-პაპის“ (უშუალო წინაპრების) მიწებზე, გააჩნიათ ერთიანობის გარკვეული ნიშნები და აქედან გამომდინარე ქმნიან დასახლების გარკვეულ ტიპს.

თავის დროზე, ტერმინ „დინო“-ს ყურადღება მიაქცია ნ. მარმა და „შინა“-ს („шина“) სახით მას ქართული ექვივალენტი მოუძებნა, რომელიც (დინო) ავტორისავე აზრით, „სახლის“ მნიშვნელობითაც შეიძლება იქნეს გაგებული.[3] გ. ელიავას დაკვირვებით, „დინო“ ანუ „დინოხოლენი“ ნიშნავს შინაურ ხალხს, შიდა ნათესავთ, შიდა ახლობელთ.[4] ჩვენ ვიზიარებთ წარმოდგენილ მოსაზრე-

---

[1] **Р. Харадзе**, Грузинская семейная община, т. II, Тб., 1961, стр. 67; **ნ. მგელაძე**, შრომის ორგანიზაცია და მმართველობის სისტემა აჭარულ ოჯახში ძველად// *კრებ. აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები*, თბ., 1967, გვ. 73; **ვ. ითონიშვილი**, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974, გვ. 18; **თ. აჩუგბა**, ზემო აჭარული ოჯახის სტრუქტურა (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)//*კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა*, №7, თბ., 1980, გვ. 90; **თ. აჩუგბა**, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბ., 1990, გვ. 16.

[2] **ვ. ითონიშვილი**, ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, გვ. 18.

[3] **Н. Я. Марр**, Абхазоведение и абхазы, в кн. Избранные работы, т. 5, М., 1935, с. 172.

[4] **გ. ელიავა**, ეთნოგრაფიული სამეგრელო, გვ. 89.

ბებს და აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „დინო“ წარმოადგენს შემოკლებულ სახეს მეგრული სიტყვისა „დინოხოლენი“, რაც სიტყვასიტყვით „შიგნითა“-ს ნიშნავს, ე. ი. ამ შემთხვევაში ოჯახის „შიგნითა“, „შინა“ ხალხის აღმნიშვნელია, რომელთაც ერთი საერთო წინაპარი ჰყავდათ და ერთი სახლკარობა („ოხორუ“) ჰქონდათ.

სამეგრელოს სოფლის თემები წარმოადგენს ძალზე ვრცელ დასახლებებს, რომლის შიგნით შედის პატრონიმიის (დინოს და თურის) გაზრდის შედეგად გაზრდილი *-ლე* (პლატო და მთისწინა სამეგრელოს დასახლებები) და *-სა* (პლატოს ნაწილის და ბარის სამეგრელოს დასახლებები) პრეფიქსიანი დიდი ან მცირე მონოგენური უბნები.[1] მონოგენურად განსახლებული ყველა გვარი იყოფა რამდენიმე „დინოდ“ და „გამნარყად“, რომელთაგან თითოეული როგორც ძველი, ისე ახალი წინაპრის საკუთარ სახელს ატარებს, ანუ გვარის შიგნით ყველას გააჩნია თავისი დინო, „გამნარყი“, ყველას ახსოვს ვისი დინოს წევრია, ვინ იყო მისი უშუალო ძველი თუ ახალი წინაპარი.[2] ჩვენს მიერ საკვლევად შერჩეული სათემო დასახლებათა მონოგენური უბნების მაგალითზე ახალი ეთნოგრაფიული მასალებითაც ამგვარი დაყოფა ნათლად დასტურდება. კერძოდ, კოკის თემში მცხოვრები შონიები იყოფა ორ გამნარყად: ღეჯიასი და ჯოღორიასი, რომლებიც 5-6 თაობის წინადელი წინაპრის საკუთარი სახელებია. აქ ტერმინი დინო არ იციან და იყენებენ „გამნარყს“. იმავე სოფელში მცხოვრები ნარმანიები 5 გამნარყად იყოფა.

ზოგიერთი დინოები ტერიტორიული დაშორების მიუხედავად, ნათესაურად, და უმთავრესად ერთიანი სალოცავის პრინციპით, ინარჩუნებენ ერთიანობას. მაგალითად, ხორშის თემში მცხოვრები ჭანტურიები ჩამოსახლებულან ჯვარიდან. ისინი ყოფილან სამი ძმა, ერთი მათგანი დასახლებულა გაღმა საჯიჯაოში, მეორე — ზემო ქვალონში, მესამე — აბაშაში. ამ სამ შტოს ერთმანეთთან კავშირი დღესაც არ გაუწყვეტია. ხორშელი ჭანტურიები აქ ჩამოსულან გაღმა საჯიჯაოდან, სადაც ყოველ მესამე წელს დადიან სალოცავად, რიგითობით ოჯახებში, იქ სწირავენ ცხვარს, რომელიც ძველი დროიდან შეუთქვამთ. ლოცვას, რომელიც შობიდან ერთი კვირის განმავლობაში ხდება, უმთავრესად შაბათ დღეს, გვარის უხუცესი ასრულებს. იმავე ხორშის თემში მცხოვრები ფაჩულიები აფხაზეთიდან ჩამოსულან. ისინი ოთხი ძმა ყოფილან. აქ ცხოვრობს ორი ძმის გამნარყი 32 ოჯახი. ერთი დაფუძნებულა ქვალონში, ერთიც — გარდაცვლილა. მათ შთამომავლობას შილონებს უწოდებენ, ბაბუის, შილოს სახელის მიხედვით.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ გვარების შიგნით ზემოთ ჩამოთვლილ გამნარყებს//დინოებს, სახელწოდებები თავიანთი უშუალო მეოთხე, მეხუთე, იშვიათად კი მეექვსე და მეშვიდე თაობის წინაპრის საკუთარი სახელისაგან აქვთ მიღებული (ზოგჯერ მერვე და მეცხრე თაობის წინანდელი წინაპრის საკუთარი სახელიც ახსოვთ, მაგრამ დინო მის სახელწოდებას არ ატარებს), მაშინ ნათელია, რომ მინიმუმ ყოველი მეოთხე და მაქსიმუმ ყოველი მეშვიდე თაობის შეცვლის შემდეგ ყოველი უახლოესი (მეოთხე და მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე) წინაპრის საკუთარი სახელისაგან ნაწარმოებ ახალ დინოთა შექმნა გვარის შიგნით შეუქცევადი პროცესია; ამ ფაქტს პატრონიმიის განვითარების და დაშლის შორსწასულ ნიშნებთან მივყავართ, რაც დროთა განმავლობაში გვარის გაზრდით, დიდ ტერიტორიაზე განსახლებით და შესაბამისად მის შიგნით ძველ ახლო ნათესაურ ჯგუფებს — დინოებს, იგივე გამნარყებს შორის ურთიერთვალდებულებების შესუსტებით არის გამოწვეული, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეგზოგამიურობა მკაცრად არის დაცული. ეთნოგრაფიულად ჩვენთვის ხელმისაწვდომი პერიოდისათვის ახალ დინოთა შექმნის შედეგად, ახალი გვარის წარმოქმნა არ ხდება და ერთი გვარისანი ყველანი აღიარებენ, რომ ერთი „სისხლი და ხორცის“ (მეგრ. „ზისხირი დო ხორცი“) ხალხნი, ერთი სოფლის ხალხნი არიან.

დინოს წევრები, როგორც გამოჩნდა, სამეგრელოს სოფლის თემის შიგნით ქმნიან დასახლების გარკვეულ ტიპს, რომელიც ერთი გვარის რამდენიმე დინოდ, გამნარყებად განსახლებაში გამოიხატება. დინოს წევრები აქ სახლობენ თავიანთი „მამა-პაპის“ (უშუალო წინაპრების) მიწებზე

---

[1] საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით, იხ. **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 154-158.

[2] იხ. **დ. ჭითანავა,** კოლხური გვარსახელის გენეზისი მრუდე სარკეში, გვ. 158-162.

ერთმანეთის გვერდით და ერთიანობის ზოგიერთ ნიშნებს ინარჩუნებენ. კერძოდ, ოჯახის გაყოფის შემთხვევაში ცალკეული საქორწინო წყვილები ანუ დინოს წევრები თავისი მამა-პაპური ოჯახიდან საერთო-საოჯახო ქონების თანაბრად გაყოფის მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში, გაუყოფლად ტოვებდნენ სახნავ-სათესს, რომელსაც ერთად ამუშავებდნენ, ხოლო მოსავალს იყოფდნენ. ზოგჯერ, გაუყოფელი რჩებოდა ტყის ფართობი და მიწის დასამუშავებელი იარაღები; ისინი (დინოს წევრები) მეტად მყარ ერთიანობას ინარჩუნებენ მიცვალებულის დაკრძალვის და ქორწინების შემთხვევაში, ვალდებული არიან ამ დროს ერთმანეთს დაეხმარონ მატერიალური თუ სხვა საშუალებებით. ასევე, დინოს გარკვეულწილად გააჩნდა თავისი მმართველობის სისტემა, რომელიც დინოს „დუდ-კოჩი“, „უნჩაში“ (თავკაცი, უფროსი) წევრის არსებობაში გამოიხატებოდა. მას დინოს შიგნით მომხდარი რაიმე საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტის დროს გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა; ის ასევე დინოს წევრებზე პასუხისმგებლობას იჩენდა სოფლის თუ თემის საერთო შეკრებების დროსაც. ამ ერთი „ჯინჯი“ (ძირი) სახლიდან გამოყოფილი ოჯახების ანუ დინოს წევრების ერთიანობა ყველაზე უფრო მყარად გამოხატული იყო საერთო პატრონიმიული სალოცავების არსებობაში და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრადიცია სამეგრელოს მაგალითზე ზოგიერთი დინოს შიგნით დღესაც არის შენარჩუნებული. ამ დინოების, ანუ გამნარყების გაზრდის შედეგად, როგორც აღინიშნა, იქმნება თური, რომელიც წარმოადგენს გვარს, ერთ დიდ დასახლებულ ერთეულს და ფართო გაგებით სოფელს.

ამდენად, მონოგენური უბნების პირვანდელი მონოგენური სახის აღდგენა დღევანდელი მეგრული სოფლის მაგალითზე თვალნათლივ შეიძლება და სწორედ ძველი, პირვანდელი დინოსაგან ან დინოებისაგან ნაწიწილევი ხალხით შექმნილია რამდენიმე ახალი დინო, რომელთა ერთ ტერიტორიაზე განსახლების შედეგად იქმნება „თური-გვარი“, მათ უჩნდებათ ცალ-ცალკე სასაფლაოები, მაგრამ „თური“-ს „სოფლის“ გაგებით ცალკე ჩამოყალიბება ამ დასახლებების შიგნით ვერ ხდება.

თანამედროვე სამეგრელოს სოფლის განსახლების სტრუქტურაში, როგორც ტოპოგრაფიის, ისე სოციალურ-ეკონომიკური მიმართებით, პატრონიმიული ერთობა (განსაკუთრებით ბარის და პლატო სამეგრელოს) სოფლებში დარღვეულია, ურთიერთადახმარების ტრადიციული ფორმები შესუსტებულია. ყოველივე ეს ასუსტებს მათ ეკონომიკურ სიძლიერეს, რაც ცხოვრების ახალი წესის მთელი რიგი ნიუანსების დამკვიდრებით გამოწვეული გარკვეულ მენტალურ პრობლემებს უნდა დავუკავშიროთ. ამავე დროს, ამ ურთიერთობებზე და შესაბამისად ერთი გვარის და პატრონიმიული დასახლების ერთი ლოკალური ტერიტორიული ერთობის დარღვევაზე იმოქმედა ქალაქისკენ და უცხოეთში მიგრაციის მაღალმა დონემ, ამავე დროს ინდივიდუალიზმისკენ მეტმა მისწრაფებამ, სისხლით ნათესაური გრძნობის გარკვეულმა უხილავმა „ბუნებრივმა დეგრადაციამ“. მომავალში, ამ მიმართულებებით საკითხის კვლევა აუცილებელი გარემოებაა, რითაც შევძლებთ ჩვენი ეთნოფსიქოლოგიის მთელი რიგი ნიუანსების გარკვევას და ისტორიის სიღრმეში ჩახედვით მის გაანალიზებას.

მიგრაციული პროცესები. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის ან ერთი რეგიონის შიგნით მიგრაციული პროცესები ოდითგან მიმდინარეობდა. ამ მხრივ, წერილობით წყაროებთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილზე მოპოვებული საველე-ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში არის შემორჩენილი. მათი დიდი ნაწილი უტყუარ მონაცემებს შეიცავს. ეს მნიშვნელოვანი მასალაა XVIII-XIX სს. სამეგრელოს ეთნო-დემოგრაფიული და რიგ შემთხვაში ეთნო-გენეტიკური (გვარსახელების როგორც გენეტიკური მარკერის) ისტორიის შესასწავლად**.**

საქართველოს ერთი მხარიდან მეორეში ან ერთი მხარის შიგნით გლეხთა იძულებით, თუ ნებით გადასახლების შემთხვევები ცნობილია გვიანი შუა საუკუნეებიდან. უფრო მეტად დანაშაულში მხილებული გლეხები გარბოდნენ. ფრიად ფართო ხასიათი ჰქონდა მემამულეებისაგან გლეხების აყრა-გაქცევას, რაც ანტიბატონყმური ბრძოლის ფორმა იყო. ასეთ შემთხვევაში, გლეხის მიზანი იყო გასცლოდა მებატონის სისასტიკეს, მძიმე ფეოდალურ ვალდებულებებს და

სხვაგან ეძებნა თავშესაფარი. გლეხთა აყრა-გაქცევა სხვა მიზეზითაც ხდებოდა, მაგალითად: სტიქიური უბედურების, მოუსავლიანობის, ეპიდემიის, ომიანობის და სხვა მიზეზით. აყრა-გაქცევა გლეხისთვის არ იყო ადვილი. ის ტოვებდა შეგუებულ გარემოს და მისთვის უცნობი მომავლის შესახვედრად მიდიოდა.[1]

სამეგრელოს რეგიონში მიგრაციული პროცესების დაფიქსირება ჩვენთვის ველზე მუშაობისას მუდმივი თემა იყო და ამ მხრივ საკმაოდ სოლიდური მასალა დაგროვდა. თუმცა ამჯერად შემოგთავაზებთ შიდამიგრაციულ პროცესებზე ჩვენს მიერ მოპოვებულ ახალ ეთნოგრაფიულ მასალებს კონკრეტულად ამ კვლევის ფარგლებში შერჩეული სათემო დასახლებების მაგალითზე.

ა). *კეთილარის თემი.* *კეთილარის თემში* მცხოვრები *ჩაგანავები* ამბობენ, რომ ისინი მაჭავარიანები ყოფილან სვანეთიდან, საიდანაც კაცის მოკვლის გამო გამოქცეულან. ამის დამადასტურებელი საისტორიო წყარო არ გაგვაჩნია, მაგრამ ის ფაქტი, რომ გვარსახელი ჩაგანავა XIX საუკუნემდე არცერთ ისტორიულ დოკუმენტში არ ფიგურირებს, გვაფიქრებინებს, რომ გადმოცემა შესაძლოა რეალურიც იყოს. ჩაგანავებს სოფელ კეთილარში გვარის სალოცავიც ჰქონიათ და მისთვის ცალკე ქვევრი იყო გამოყოფილი. სხვა გადმოცემით, ტყვირის ეკლესიას საჩაგანავოს ეკლესიას ეძახიან. გადმოცემით, მათი გვარის წარმოშობა კერპ ჩაგუნას უკავშირდება.

კეთილარში ძველ გვარად ითვლებიან *თელიები.*[2]

სოფელ *გულეიკარში* მცხოვრები *თოფურიები* აქ დაახლოებით 150 წლის წინ ჩამოსულან. სოფელ *კოდორში* მცხორები *სიმონიების* წინაპარი დაახლოებით 70 წლის წინ ჩამოსულა სოფელ ნოსირიდან (სენაკის მუნიციპალიტეტი). დღეს აქ მათი განაყოფი ექვსი ოჯახი სახლობს. აქ მაშინ სახლობდნენ შენგელიები, შაფათავები, ახობაძეები. იქ, სადაც სიმონიებია განსახლებული, ადრე კაჭარავები სახლობდნენ, მათ გაყოლებაზე — *გუგუშვილები, შელიები, შაფათავები, კუციები, ბზიავები, გაბუნიები, ჩაჩავები.* სოფელ ხატკარიდან ჩამოსახლებულა *გაგულია.* სოფელ კოდორში *აბურჯანია* ადგილობრივ გვარად ითვლება. ჩვენი მთხრობელის ბაბუა, პეტრე აბურჯანია, კოდორის ეკლესიაში მუშაობდა, ზარების დარეკვა ევალებოდა.[3] დღეს აქ აბურჯანიების 6 ოჯახი ცხოვრობს, ადრე უფრო მეტი ყოფილა. ადგილობრივ გვარებად ითვლებიან ასევე *ქარჩავები*, *ლაბარტყავები.* გადმოცემით, აზნაური *ჩაჩავები* ნაესაკავოდან (მარტვილის მუნიციპალიტეტი) ჩამოსულან დაახლ. 150 წლის წინ.

გადმოცემით, სოფელ *კეთილარში* მცხოვრები *ჯახიები*, ჯავახეთიდან ჩამოსულან. ისინი ჯერ ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში დასახლებულან, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ადგილას წასულან. აქვე მცხოვრები *ჯანაშიები* მარტვილიდან ჩამოსულან დაახლ. 120 წლის წინ. ისინი ხის ოსტატები ყოფილან. ამ ერთი წინაპრის შთამომავლობა აქ 7 ოჯახი სახლობს.

სოფელ *გულეიკარში* მცხოვრები *მანჩხაშვილი* არის ხარაგაულის რაიონის სოფელ ნუნისიდან. აქ ჩასიძებულა თევდორაძის ქალზე. ნუნისში მისი გვარი 1944 წლის ოქტომბერში ახალციხის სოფელ სვირიდან ჩამოუსახლებიათ, ე. წ. თურქი მესხების გასახლების დროს. მათ სოფელში იმ დროს უცხოვრია ასევე *ზეთიაშვილებს.* გულეიკარში საცხოვრებლად იმიტომ გადმოსულან, რომ აქ უკეთესი პირობები ყოფილა თავის შესანახად. მას აქვს მცირე მეურნეობა, ფრინველების (ქათმების, ინდაურის) ინკუბატორი. აქვე მცხოვრები *თუნთიები* დაახლ. 120 წლის წინ ჩამოსულან სოფელ ხორშიდან. ჩვენი მთხრობლის ბაბუას ჯერ კიდევ ჰქონდა ძველ სოფელთან ურთიერთობა, დადიოდა თავის სანათესაოში *ხორშში*, თუმცა დღეს ეს კავშირები გაწყვეტილია. აქ კარგი ადგილები იყო სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობისათვის, სწორედ ეს იყო ჩამოსვლის მიზეზი. *დავითაშვილი* 1972 წელს რაჭის სოფელ მეორე ტოლადან ჩამოსულა. ის ხელოსა-

---

[1] **V. Lordkipanidze, B. Khorava, D. Chitanava, K. Tsimintia,** Migration Processes in the Principality of Mingrelia in the First Half of the XIXth Century, გვ. 105.

[2] ჩაგანავების გვარის გენეოლოგია და ისტორია იხ. **ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიაშვილი, ნ. თავართქილაძე, რ. შენგელია,** გვარსახელები და მოსახლეობის ანთროპოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი, *კრებ. ქრონოსი*, №1, თბ., 2020, გვ. 163-184.

[3] პეტრე აბურჯანიას მეუღლე გვარად ჩაგანავა ყოფილა. პეტრეს მამას რქმევია ბათეია, რომელსაც აქ ბოლშევიკების შემოსვლამდე დიდი მამულები ჰქონია.

ნი იყო, მეუღლე აქაური ჰყავდა, კეკელიძის ქალი. გულეიკარში მცხოვრები *ღორჯომელაძეები* აჭარიდან ჩამოსულან.

კეთილარში მცხოვრები *ქაჩიბაიების* წინაპრები შეძლებული ხალხი ყოფილან, ისინი აქ დიდი რაოდენობით მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ და ბევრი სიმინდი მოჰყავდათ; *ქევანიშვილი* რაჭიდან ჩამოსულა დაახლ. 120 წლის წინ, ყოფილა ხელოსანი და ნაესაკაოში ჩასიძებია კუჭუხიძის გვარის ქალს. სოფელ *კეთილარში* მცხოვრები *გაგულიები* აქ დაახლ. 300 წლის წინ ჩამოსულან. ამ დროს აქ სამი გვარი იყო — *შელია, გაგულია და ქობულია. თედორაიები* კეთილარში ჩამოსახლებულან მეზობელი სოფელ ტყვირიდან, დაახლ. 80 წლის წინ. ჩამოსული თედორაია ჩასიძებია ლორიას გვარის ქალს. დღეს არის ერთი ოჯახი; *ჟვანია* ჩამოსულა ქოლობანიდან (აბაშის რაიონი) დაახლ. 120 წლის წინ და ჩაგანავას ჩასიძებია; *გაბუნიები* ჩამოსულან სოფელ ხანწკიდან (მარტვილის მუნიციპალიტეტი) დაახლ. 100 წლის წინ; *გორგილაძეები* დაახლ. 90 წლის წინ — სოფელ ჭყონაგორიდან (გურია); *კეკელიები* სოფელ ბანძიდან — დაახლ. 150 წლის წინ; *მითაგვარიები* დაახლ. 150-180 წლის წინ — ჯვარიდან; *გუგუშვილები* მეორე მსოფლიო ომის მერე ჩამოსულან აბაშის რაიონის სოფელ ეწერიდან და აქ ფარცვანიებისგან უყიდიათ სამოსახლო.

სოფელ გამოღმა კოდორში მცხოვრები *შელიები* ჩამოსულან წალენჯიხიდან, სავარაუდოდ საჩინოდან, დაახლ. 120-150 წლის წინ. იმ ადგილს, სადაც დამკვიდრდნენ, საშელიო დაერქვა. მას მოსდევს საქობულიო. სხვა გვარით უბნური დასახლება არ იქმნება. აქ დასახლება ადრე არ იყო, აქედან დაახლ. 10 კმ-ში მდებარე ადგილ ნაჭილაოში უცხოვრია ამ მოსახლეობას, იქ ყოფილა ბევრი თუთის ხე, ცხოვრობდნენ სისვაძეები, ნადარაიშვილები, ბზიავები.

ხუნდაძეები ტოლებიდან ყოფილან, ჩამოსულან დაახლ. 100 წლის წინ, ჩამოსული ხუნდაძე ნიკოლეიშვილს ჩასიძებია; *თოფურიას* ერთი ოჯახი აქ სულ რაღაც 50 წლის უკან არის ჩასიძებული შენგელიაზე. თოფურიები აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ განათლების კარიდან არიან. თოფურიების სხვა შტოს წინაპარი კი დაახლ. 100 წლის წინ ჩასიძებია ადგილობრივ გვარს; *ნიკურაძეები* სამტრედიიდან ჩამოსულან; *გვაძაბიები* ჩამოსულან სენაკის რაიონიდან, დაახლოებით 180 წლის წინ. ეკლესიის იქით მდებარე კუთხეს ეძახიან ნარმელეს, სადაც ცხოვრობენ *კეკელიძეები, სურმავები, ჯანაშიები, თედორაძეები; დოლიძეები* ჩოხატაურიდან ჩამოსულან სოფელ კაპანაში (აბაშის მუნიციპალიტეტი). როცა რიონი ადიდებულა გაჩენილა მალარია და მას მერე აქეთ დასახლებულა;

გადმოცემით *კეკელიძეები* ჩამოსულან ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბჟოლიეთიდან დაახლ. 150 წლის უკან, ჩამოსულა სამი ძმა და აქ დასახლებულა; *ჯახიები* ჩამოსულან გალიდან; *გვაძაბიები* — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათიდან, დაახლ. 150-180 წლის უკან. ჩამოსვლის მიზეზი იყო მესაქონლეობა; *სანაძეები* დაახლ. 100 წლის წინ-დიდი ჯიხაიშიდან (სამტრედიის მუნიციპალიტეტი), მიწის ნაკვეთების ხათრით; *თევზაძეები*-ზოგი სოფელ გომიდან, ზოგი ვანიდან; *ჭაქვაძეები* აღმოსავლეთ საქართველოდან ყოფილან, სოფელი არ ახსოვთ, იქ სხვა გვარს ატარებდნენ, თუმცა ადრინდელი გვარიც არ ახსოვთ. ჩამოსულან დაახლ. 120 წლის წინ; *თედორაძეები* წყალტუბოს რაიონიდან ჩამოსულან დაახლ. 120 წლის წინ. ისინი მეთუნეები ყოფილან, ჭრიდნენ კრამიტს, აგურს; *ზაქრაძეები* გუმიდან ჩამოსახლებულან. გარსევან ზაქრაძე დაახლ. 100 წლის წინ მიწის ხათრით ჩამოსახლებულა და ბევრი მიწები შეუსყიდია. ამ დროს მას აქ დახვედრია თოფურიები და კეკელიძეები; *ფარცვანია* დაახლ. 100-120 წლის წინ ჩამოსულა მარტვილის რაიონის სოფელ ნაგვაზაოდან. დღეს ერთი ადამიანის ნამრავლი აქ უკვე ექვსი ოჯახი ცხოვრობს; *ფრანგიშვილის* წინაპარი სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშიდან ყოფილა. დაახლ. 120-150 წლის წინ, ამ გვარის ობოლი ბავშვი აქ ჩაგანავას ჩამოუყვანია; *ბჟალავები* მეზობელ სოფელ ტყვირიდან ჩამოსულან; *შაფათავები* დაახლ. 150 წლის წინ ჩამოსულან სოფელ უშაფათიდან (სენაკის მუნიციპალიტეტი) იმ სოფელთან წინაპრების კავშირის შესახებ ხსოვნა არ აქვთ შემორჩენილი. მათ წინაპრებს აქ ბევრი მიწა შეუსყიდიათ; *ხორავები* სახორადან (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, ლესიჭინეს თემი) ჩამოსულან დაახლ. 150 წლის წინ. პირველი, ვინც აქ დასახლდა, ათანასე ხორავა ყოფილა. მისი მეუღლე იყო ცომაიას ქალი აბაშიდან; *წოწორიები* დაახლ. 120 წლის წინ მარტვილიდან ჩამოსულან.

ბ). ხორშის თემი. სოფელ *ხორშში,* სკურიას უბანში *გაბელიების* გვარს ადრიდანვე უცხოვრია, ღელე კაუტიას პირას. მათი უბნის სახელწოდებაა სკურია-საგაბელიო. აქ ადრე რვა ოჯახი ყოფილა. ზოგი მეორე მსოფლიო ომში დაღუპულა. აქ ძველად უცხოვრიათ *პაჭკორიებს,* მათ უბანს ერქვა საპაჭკორიო, *ნარაკიების* უბანს — სანარაკიო, იყვნენ ასევე *ანთიები.* მათი უმეტესობა ქალაქში წასულა — ზოგი ფოთში, ზოგიც ხობში, სენაკში და ა. შ. სოფელ *ციზეთში* ძველად ცხოვრობდნენ *ქადარიები, ჯორჯიკიები, შელიები, ხვიჩიები, კვიკვინიები, მარშანიები, აფშილავები.* ყველაზე ძველ გვარებად ითვლებიან *ჩარტიები,* სოფელსაც *საჩარტიოს* ეძახდნენ.

გადმოცემით, *გვარამიები* აქ თეკლათიდან (სენაკის მუნიციპალიტეტი) ჩამოსულან დაახლ. 70 წლის წინ. ჩამოსული *გვარამია გვასალიას* ჩასიძებია. მათ ძველი სასაფლაოც თეკლათში აქვთ, სადაც სალოცავად დადიოდნენ. ჩვენი მთხრობლის ბაბუის მამა მარკოზ გვარამია თეკლათში ბოქაული ყოფილა. აქ *გვასალიები, მარშანიები, გვათუები* ცხოვრობდნენ, ეხლა სოფელი თითქმის დაცლილია. დარჩა მარშანიას და გვათუას თითო-თითო ოჯახი; ციზეთში მცხოვრები *ქაჯაიები* მარტვილიდან ჩამოსულან საჯიჯაოში (ხობის მუნიციპალიტეტი), ხოლო შემდეგ, დაახლ. 50 წლის წინ ერთი ქაჯაია აქ გვასალიას ჩასიძებია. ქაჯაიების გვარი სალოცავად ხობის მონასტერში დადიოდა. აქ გვასალიებთან ერთად *რეკვავების* ერთი ოჯახი ცხოვრობდა; ციზეთში არის საბერაიოს უბანი, სადაც ცხოვრობენ *ბერაიები, ძიძავები, გვასალიები.* დღეს აქ ბერაიები სულ ორი ოჯახი ცხოვრობს, ადრე დაახლ. 30 ოჯახი იყო. მიგრაცია დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. აქედან ისინი წასულან ფოთში, ზუგდიდში, ხორგაში; *ბუკიები* აქ ძირძველ, ადგილობრივ გვარად ითვლება. ხეთელი (ხობის მუნიციპალიტეტი) ბუკიები აქედან არიან წასულები. ხორშში, პირველი მაისის უბანში, ბუკიების 21 ოჯახი ყოფილა. ბუკიების გვარის სალოცავი იყო საფაჩულიოს უბნის ეკლესია, რომელსაც მისარონს ეძახდნენ. იქ იყო ძველი სასაფლაო და ბუკიების გარდა კიდევ 22 სხვადასხვა გვარის ხალხი ასაფლავებდა მიცვალებულს, მათ შორის: *პარკაია, ბებია, ფაჩულია, რეკვავა, ცხომარია, ჩიქოვანი, ბაკურაძე, გაბეჩავა* და სხვ.

მაცაბერიძე დაახლ. 70 წლის წინ ჩამოსულა, როგორც ოდის ოსტატი, და აქ ჩასიძებით დამკვიდრდა; აქ მცხოვრები გვათუები აზნაურები იყვნენ, მათი წინაპრები მამულებს ფლობდნენ სოფელ ჭალადიდში; *როგავები* სოფელ კოლხიდიდან (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ჩამოსულან.

ხორშის თემის სოფელ *პატარა ზანაში* უძველესი გვარია *ჭითავა.* მათი ძირძველი საცხოვრისია პატარა ზანა. ჭითავები აზნაურები იყვნენ. ისინი ფიზიკურად ძლიერები იყვნენ. აქედან წასულები ოჩამჩირეში ცხოვრობდნენ. ჭითანავებთან გენეტიკურ კავშირს უარყოფდნენ. სხვა გადმოცემით, წარმოშობით ჯიხაიშიდან უნდა იყვნენ; პატარა ზანაში ძველი გვარებია *შარტავები, გულიავები.* აქ არის უბნები: *საჭითა, საბულიო, საშარტა,* სხვა გვარის მიხედვით აქ უბანი არ იქმნება. აქ არის სასაფლაო რომელსაც სასნაკო (სასენაკო, - დ. ჭ.) ეწოდება, სადაც ადრე ეკლესია იდგა. ჭითავასა და შარტავას შორის ქორწინება მიზანშეწონილად არ ითვლებოდა. მათ შორის არანაირი სისხლით ნათესაობა არ იყო, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდრო მეზობლობა აკავშირებდათ და ქორწინება სირცხვილად ითვლებოდა. ჭითავების წინაპრები შესაწირავით ილორში დადიოდნენ. აქ ასევე ცხოვრობენ *რურუები, სანაიები, კვირკვაიები,* რომლებიც სხვადასხვა დროს ყველა ჩასიძებული ან გვიანდელი ჩამოსულია; დაახლ. 150 წლის წინ ჩამოსულან ბებიები ჩხოროწყუდან.

მატახერიებიც აზნაურები ყოფილან. სამატახერიო იყო ხორშის ზევით მდებარე მაღლობებში, სადაც 15-მდე ოჯახი ცხოვრობდა. მათგან, ბევრი ქალაქში წასულა. ახლა მხოლოდ ერთი ოჯახია დარჩენილი. გადმოცემით, სამურზაყანოდან ჩამოსულან დაახლ. 250-300 წლის წინ. ამბობენ, რომ მატახერიებს გაუშენებიათ გაგრა. ისინი ოთხ სოფელში იყვნენ განსახლებული, მუსლიმებიც იყვნენ და აფხაზობდნენ. აქედან სოფელ ჭაქვინჯში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) გადასახლებულან. არის ესეთი გამოთქმა: „რდია გინი შურღულაია დო ჩია მატახერიას“ (გაზარდეო ხბო შურღულაიავ და მატახერიას აჭამეო). ამ გამოთქმიდან გამომდინარე, შურღულაიები მათი ყმები იყვნენ. მატახერიების ყმები იყვნენ ასევე გვასალიების ზოგიერთი წარმომადგენელი.

გადმოცემით, *ჭანტურიები* ჩამოსულან ჯვარიდან, სამი ძმიდან ერთ-ერთი დასახლებულა გაღმა საჯიჯაოში, მეორე — ზემო ქვალონში, მესამე აბაშაში. ამ სამ შტოს დღესაც აქვს ნათესაური კავშირი. ხორშელი ჭანტურიები არიან გაღმა საჯიჯაოდან. ყოველ მესამე წელს იქ დადი-

ან გვარის სალოცავში, რომელსაც რიგითობით აწყობენ ოჯახებში, იქ შესაწირია ცხვარი. ლოცვა ტარდება შობიდან ერთი კვირის განმავლობაში, უმთავრესად შაბათ დღეს.

ფაჩულიების გვარი აფხაზეთიდან ჩამოსულა. გადმოცემით, ოთხი ძმა მოსულა, აქ არის ორი ძმების განაყარი, ადრე იყო 32 ოჯახი. ერთი დაფუძნებულა ქვალონში, ერთი — გარდაცვლილა. მათ შთამომავლებს უწოდებენ შილონებს, ბაბუის, შილოს სახელის მიხედვით. ფაჩულიებს „ჯოღორამო კანდიორს" ეძახდნენ, რადგან შეძლებული და ამაყები იყვნენ.

გადმოცემით, *ხუნჯუები* საიდანღაც ჩამოსულან, კონკრეტულად საიდან, არ ახსოვთ, თუმცა ვარაუდობენ რომ ჭაქვინჯიდან (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). მათი გადმოსახლების მიზეზი ყოფილა თავადის მოკვლა. ჩამოსულა სამი ძმა. მიუხედავად იმისა, რომ აქ ისინი ცოტანი არიან, უბანს ეძახიან საფაჩულიოს, ხოლო მეორეს — სახუნჯუოს.

აქ მცხოვრები *დადიანები* არიან გლეხების შთამომავლობა, ერთ-ერთი თავადის გრიშა დადიანის უკანონო შვილიდან და მისი მოსამსახურე ბერიას ქალისგან. სხვა ვერსიით, ისინი არიან მაია დადიანის შთამომავლები ხიბულიდან. ხორშის მამასახლისი ყოფილა მათი მეოთხე თაობის წინაპარი დუტუ დადიანი.

ლაბახუები გალიდან ჩამოსულან, დაახლ. 70 წლის წინ. ლაბახუა ადანაიას ქალს ჩასიძებია; *გოგენიები* გურიიდან ჩამოსულან დაახლ. 100 წლის წინ. გურულებთან ურთიერთობა არ ჰქონიათ, იქ ადრინდელი გვარი იყო გოგინავა, აქ ჩამოსულა ხუთი ერთი წინაპრის შთამომავლობა, ერთ-ერთი მათგანი აქ გვასალიაზე ჩასიძებულა; *საგუგუნავოში* მცხოვრები *სიჭინავა* ჩამოსულა მეზობელ სოფელ ლესიჭინიდან დაახლ. 50 წლის წინ, და *კანკავას* ქალს ჩასიძებია. აქ ცხოვრობენ *ბულიები, კანკავები, მაცაბერიძეები, ბუკიები, სარიშვილი; ბულიები* საგუგუნავოდან ჩამოსულან. ისეთ უბნებში როგორიცაა: *საკანკავო, სასახეიშვილო, საადანაიაო, საგაბესკირიო, სააბშილავო,* დღეს თითო ოროლა ოჯახი თუ ცხოვრობს. აქ მცხოვრები *სახეიშვილების* ადრინდელი გვარი ყოფილა *სანიკიძე* სოფელ ოფშქვითიდან. სამ ძმას იქ თავადი მოუკლავს და აქეთ გამოქცეულან. ხორშში ამ დროს უკაცრიელი ადგილები ყოფილა. შემდეგ მოსულან აქ *კანკავები, გვასალიები.* აქედან *სახეიშვილები* წასულან ბიაში (ხობის მუნიციპალიტეტი) და ოტობაიაში (გალის რაიონი); *კვარაცხელიები* სოფელ ქვემო ქვალონიდან (ხობის მუნიციპალიეტეტი) ჩამოსულან, ერთი კვარაცხელია სახეიშვილის ქალს ჩასიძებია.

აბაკელიები მარტვილიდან ჩამოსულან; *მაცაბერიძე* დაახლ. 60 წლის წინ აქ ეთერზეთების ქარხანაში ჩამოსულა განაწილებით რაჭიდან, მშენებელი ყოფილა, დურგალი. აქ ჩასიძებია სოფელ კორტიდან ჩამოსულ *ჩხიკვაძის* ქალს. ჩხიკვაძეც თავის მხრივ ჩასიძებული ყოფილა სახეიშვილის ქალზე. აქ არის ორი ძველი გვარი — *კანკავა* და *სახეიშვილი.* აქ იყვნენ ასევე *ნორაკიძეები, ლოლუები,* რომლებიც დღეს არ ცხოვრობენ. ლოლუები აზნაურები იყვნენ. უბნებს ერქვა სანორაკიძეო, სალოლუო.

გადმოცემით, *ადანაიები საადანაიოში* თურქეთიდან ჩამოსულან დაახლ. 2,5-3 საუკუნის წინ, ლაზები ყოფილან, ქალაქ ადანადან; *ჯაიანები* გვიან ჩამოსულან. აქ ძველი გვარებია: *ადანაია, გოგია, მესხია, შამათავა, ნადარაია, ჟორდანია,* თავადი *ჩიჩუების* ორი ოჯახიც იყო. ადანაიები და გუგუნავების ნაწილი აზნაურები იყვნენ. აქ 40-ზე მეტი ნასახლარია — *მურღულიების, გოგიების, ადანაიების, ჩიჩუების, მესხიების, დანელიების, წულეისკირების, შამათავების, გელანტიების, რეკვავების* (ეხლა ჩასიძებულია *გრიგოლიები* ეკიდან), *ხარგელიების, ფირცხალავების.* არის *კირაკოზოვის* სამოსახლოც, სადაც ეხლა მუმლაძეები ცხოვრობენ. აქ დარჩა მხოლოდ სამი ოჯახი 74-იდან. მიგრაცია დაწყებულა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან.

სოფელ *საგუგუნავოში* მცხოვრები სომეხი *კაზარიანი* აქ იშვილა *გუგუნავამ,* დაახლ. XIX-XX სს. მიჯნაზე. როცა ნაშვილებმა თავისი წარმოშობის შესახებ გაიგო, ძველი გვარი აღიდგინა. ამის მერე გუგუნავამ ის სახლიდან გააგდო და აქვე, სოფელში, სხვაგან დასახლდა. გუგუნავასა და მათ შორის ქორწინება მაინც დაუშვებელია. თვითონ ჩვენი მთხრობელი თავს მეგრელად (ქართველად) აღიარებს და არა სომხად, მიუხედავად თავისი გვარისა და წარმომავლობისა. ბაბუამისს, სამსონს, აქ მაღაზია ჰქონია. აქ კიდევ ცხოვრობდა სომეხი *მამია ბალაევი,* რომელსაც ვაჟიშვილი არ დარჩა, მეუღლე ჰყოლია გვასალია. ამ უბანში ძველი გვარებია *მიგინეიშვილი, გუ-*

გუნავა, შარტავა, პარკაია.

ჯგერენაია სოფელ გურძემიდან ჩამოსულა და გუგუნავას ქალს ჩასიძებია. გურძემიდან მიწისძვრის დროს ბევრი გადმოსახლებულა სენაკში. ეთერზეთების ქარხანის დროს ბევრი ჩასიძება ხდებოდა ადგილობრივ გვარებზე. ჩასიძება უფრო ადრეც ხდებოდა, ესე იყვნენ *მირგატიები,* რომლებიც ზანიდან არიან; *ბულიავები* პატარა ზანიდან ჩამოსულან დაახლ. 120 წლის წინ; *ხვიჩიები* მარტვილიდან ჩამოსულან, დიდი ხნის წინ. ძველად მათ უბანს სახვიჩიოს ეძახდნენ, იყვნენ რვა ოჯახამდე, დღეს მხოლოდ ორი ოჯახია დარჩენილი. მათ გვარში იყო ერთი აზნაურის ოჯახი. ამ უბანში ასევე სახლობდნენ *გვეტაძეები, ფარცვანიები.*

მირცხულავები დღეს სულ სამი ოჯახია დარჩენილი, ადრე კი მთელი უბანი იყო სამირცხულავო. მათი წინაპრები აქ დაახლ. ორასი წლის წინ ჩამოსულან. იმასაც ამბობდნენ, რომ მეგრული არ სცოდნიათ, შესაბამისად სადღაც აღმოსავლეთ საქართველოდან ჩამოსულანო. სამეგრელოში მათ ძირძველ სოფელად ითვლება ფოცხო (სენაკის მუნიციპალიტეტი). სალოცავად ილორში დადიოდნენ. მათი სასაფლაო არის ჯვარ-კარი. ხორშელი მირცხულავები იმდენად შორს არიან ერთმანეთთან თაობებში, რომ ერთ გამნარყად თავს არ თვლიან; *ბაკურაძეები* რაჭიდან ჩამოსულან; ხორშელი *ქაშიბაძეების* ნამდვილი გვარი ყოფილა *კაშიბაძე,* მაგრამ შეცდომით ასე ჩაუწერიათ. აქ მოსახლეობენ ორი შტოს ქაშიბაძეები. ორი ძმა ჩამოსულა სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშიდან დაახლ. 150-200 წლის წინ. თითქოს იქ კაცი მოუკლავთ; კანკავა აქ გვასალიას ჩასიძებია და ასე დამკვიდრებულა; *შურღაიები* იმერლები ყოფილან ფარცხანაყანევიდან, იქ კაცი მოუკლავთ და ერთს შუბლაძედ, მეორეს შურღაიად და მესამეს შურღულაიად გადაუკეთებია გვარი. ამ სამ გვარს შორის ქორწინება აკრძალული იყო. მათი სალოცავი ყოფილა ქუთაისში დავით და კონსტანტინეს ტაძარი. ადრე აქ შურღაიების 100 კომლამდე იყო მაგრამ დღეს სულ სამი დარჩა, უბანსაც საშურღაიო ერქვა.

ხუნწარიები ჯერ სამეგრელოს რომელიღაც სოფლიდან გადაუსახლებიათ ბოლნისში თუმცა მერე ისევ აქეთ დაბრუნებულან; *ჩარტიები* აქ ძირძველი გვარია. დღეს აქ შვიდი ოჯახი ცხოვრობს; *ბახიები* ძველად ხობისწყლის პირას, ხორშის თემის ადგილ ქორცხაში მდებარე მანცხვარკარის უბანში ცხოვრობდნენ. იქიდან უგზოობისა და მოსახლეობის სიმცირის გამო გადმოსახლებულან დაახლ. 50 წლის წინ. მათი ერთი შტო საჯიჯაოში (ხობის მუნიციპალიტეტი) წასულა; *კვარაცხელიები* ჩამოსულან სოფელ ქვალონიდან (ხობის მუნიციპალიტეტი), დაახლ. 50 წლის წინ. ერთი კვარაცხელია ჩასიძებია სახეიშვილს. დღეს აქ სასახეიშვილო-საკანკავოს უბანში 46 ოჯახი ითვლება, თუმცა საკმაოდ ცოტანი დარჩნენ.

სკურიას უბანში მცხოვრები *გვასალიები* გადმოცემით სვანეთიდან ყოფილან, ერთი ვერსიით, გველესიანები. ისინი ზუგდიდიდან დაახლ. 150 წლის წინ ჩამოსულან. მათ გვარში იყვნენ სამღვდელოების წარმომადგენლები.

ხორშში სვანეთიდან XX საუკუნის 60-70-იანი წლებში ჩამოსახლდნენ სვანები: *გასვიანები, გუჯეჯიანები, ავალიანები და გერლიანები.* აქ ადრე ისინი სამუშაოდ ჩამოდიოდნენ, შემდეგ დასახლდნენ, თუმცა ბევრი უკან დაბრუნდა. დარჩა ხუთი ოჯახი. სახლები იყიდეს ადგილობრივებისაგან, ვინც ქალაქში იყო წასული იმათგან; *ლორჩოშვილი* ადგილობრივი გვარად ითვლება, არის ვერსია, თითქოს აბაშიდან ჩამოსულან ციზეთში. *რეკვავები* ციზეთს ზემოთ, *შუა ხორშში* ცხოვრობდნენ. იქ ძველი გვარი ჩანს; *კანკავები* გურიიდან ჩამოსულან, დაახლოებით 400 წლის წინ. იქ უთანხმოება მოსვლიათ ბატონთან; ჩვენი მთხრობლის მამა გვასალიას საგვასალიოში ჩასიძებია. მათი სალოცავი იყო საფაჩულიოსთან მდებარე ეკლესიასთან. *გვასალიებს* სალოცავად თეთრი ხარი უნდა შეეწირათ, დღეს ამ ტრადიციის აღდგენის სურვილი აქვთ, თუმცა თეთრი ხარის შოვნა, როგორც თვითონ აღნიშნავენ, ძალიან ჭირს. ციზეთის უბან საბერაიოში მცხოვრები *ბერაიები* გადმოცემით ადგილობრივი გვარია. დღეს ორი ოჯახია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაახლ. 30 ოჯახი იყო. აქ ძველი გვარებია *ფულარიები და ძიძავები.*

გ). ხუნწის თემი. ხუნწის თემში *ფაილოძეები* დაახლ. 200 წლის წინ ცაგერიდან ჩამოსულან სოფელ გორდში, შემდეგ კი ხუნწში. მათი ადრინდელი გვარი ფალიანი ყოფილა და ადრე სვანეთში მკვიდრობდნენ. მათი წინაპრების სალოცავი იყო ხუნწის ღვთისმშობლის ეკლესია. აქ ცხოვრობენ

ასევე *ფარულავები,* სულ ორი ოჯახი. ისინი ფაილოძეები ყოფილან და გვარი ფარულავად გადაუკეთებიათ. მათი გვარის ეს შტო აზნაურები გახდნენ. მათ შორის ქორწინება დაუშვებელია. XX ს. 40-იან წლებში ფაილოძეები და მათთან ერთად 50 ოჯახი, მთელი ზედა ხუნწი, მათ შორის: *ძაძამიები, კიკაბიძეები, გახოკიძეები, მოგელაძეები, გაბეშიები, ძიძიგურები აფხაზეთში,* პილენკოვოში (განთიადში) გადაუსახლებიათ. მოგვიანებით, მათი ნაწილი უკან დაბრუნებულა.

გადმოცემით, ხუნწში *კინწურაშვილები* სოფელ კინჩხიდან ჩამოსულან; სხვა გადმოცემით — სოფელ რონდიშიდან (წყალტუბოს მუნიციპ.) ჩამოსულან დაახლ. 200 წლის წინ. იმერეთში მათი რომელიღაც წინაპარი მღვდელი ყოფილა; *საღარეიშვილები* ჩამოსულან იმერეთიდან; *გახოკიძეები* — კვაითიდან. გახოკიძე, სახოკია და გახოკია ერთი გვარი ყოფილა; *ადამიები* — მათხოჯიდან; *სულაქველიძეები* — გორდიდან; *მეილუები* — გურიიდან, თუმცა ამ გვარის დღეს აქ არავინ ცხოვრობს; *გაბისონიები* აქედან წასულან სოფელ ჩხორიაში (ზუგდიდის მუნიციპ.); *ქურდიანები* ჩასიძებული არიან *ჯაშიაზე; ჯღამაიები — წირღვავაზე;* აქ მცხოვრები *სულავები* ჩასიძებული არიან შავდიას, ამიტომ შავდიების გვარი არ გაგრძელდა; *თაფლაძეები* ჩასიძებულები არიან *ძიძიგურზე,* თუმცა თვით ძიძიგურებიც ამ ოჯახში ბერიაზე იყვნენ ჩასიძებულნი; *ძაძამიები* ლეძაძამედან ყოფილან, მერე ინჩხურში გადმოსულან. დაახლ. 70 წლის წინ, ერთი ინჩხურელი ძაძამია *ფაილოძეს* ჩასიძებია. ადრე დადიოდნენ ლეძაძამეში, თუმცა მერე ეს კავშირები გაწყდა; *გაბეშია* ადგილობრივ გვარად ითვლება. მათი ძველი გვარი გობეჩია ყოფილა. ერთ გაბეშიას ბატონი მოუკლავს და გვარი გადაუკეთებია. მათი ეკლესია იყო ხუნწის ღვთისმშობლის შობის. ამ ეკლესიის მღვდელები *ჟიშკარიანები* იყვნენ. ჟიშკარიანი ადრე ორი ოჯახი ცხოვრობდა ეკლესიის წინ, ზედა ხუნწში. ჩვენი მთხრობელი იქ არის დაბადებული. მათი ერთი განაყოფი ნაგვაზაოში ცხოვრობს, ნოშრევან ჯიშკარიანის შთამომავლები; *სულაბერიძე* ჩამოსულა გორდიდან და უყიდია მღვდელ მონიავას კარმოდამო. აქ იმ დროს იყო გზისპირი დასახლება, ასევე, მესაქონლეობის და მესიმინდეობისთვის კარგი ადგილი, და ჩამოსვლის მიზეზიც ეს ყოფილა; *ფირცხალავები* ჩამოსულან ნაგვაზაოდან; *მონიავები* წარმოშობით გურიიდან ყოფილან. მათი ძველი გვარი ლომინაძე ყოფილა; *გახოკიძეები* დიდღვაბუნადან არიან. ჩვენი მთხრობლის მამის ოჯახი 1949 წელს განთიადში გადაუსახლებიათ, თუმცა 11 წლის შემდეგ ის დაბრუნებულა. დიდღვაბუნაში, გვარის ლოცვაზე, ყველა გახოკიძე იკრიბებოდა. დიდღვაბუნაში დღეს დარჩენილია გახოკიძის 6 ოჯახი; *მოსიძეები* ბაღდათიდან ჩამოსულან დაახლ. 120 წლის წინ. მათი წინაპარი სავაჭროდ დადიოდა და აქაურ *ციცხვაიას* გვარის ქალზე დაქორწინებულა. მათ წინაპრებს ბაღდათის მოსიძეებთან მისვლა-მოსვლაც არ ჰქონიათ; *თოფურიების* ადრინდელი საცხოვრისი ძველი აბაშა ყოფილა. აქ დაახლ. 200 წლის წინ ჩამოსულან და დამკვიდრებულან მაღლობზე, რომელსაც დობერა ჰქვია. აქვე იყო ძველი სასაფლაო; *ბარაბაძეები* დაახლ. 100 წლის წინ ჩამოსულან. მათი ბებია ყოფილა გათხოვლი ბარაბაძეზე მათხოჯიდან. გვილავაზე აქ მეორედ გათხოვილა და პირველ ქმართან შეძენილი შვილისთვის, რომელიც აქ ჩამოიყვანა, გვარი ბარაბაძე შეუნარჩუნებია.

ხუნწის თევდორე ტირონის ეკლესიასთან მოსახლეობდნენ ძველი გვარები: *მონიავები, მანჩხავები, წირღვავები, ძიძიგურები, მოგელაძეები, პაპავები, ხარებავები,* რომლებიც ქვემო ხუნწში ჩამოსახლდნენ. *ხუნწელიების* წინაპარი აფხაზეთიდან, გალიდან ჩამოსულა. ამ ხუნწელიას ქალიშვილი გაუუპატიურებია აზნაურს, რომელიც მას მოუკლავს და ხუნწში ჩამოსულა. აქ მაშინ დასახლება არ ყოფილა. ეს მიწები ეკუთვნოდა დადიანს, რომელსაც აქ მოურავად ჰყოლია ჭალაგანიძე და მისთვის უბრძანებია სამურზაყანოდან გამოქცეული გლეხისთვის სამოსახლოს გამოყოფა. ადგილის სახელწოდების მიხედვით, გამოქცეული გლეხისთვის გვარად ხუნწელია მიუცია. ახლა აქ ხუნწელიას გვარის ორი ოჯახი ცხოვრობს. მათ წინაპრებს სამი ქვევრი ჩამოუტანიათ შორაპანიდან, რათა სალოცავი გაეჩინათ. ამ ოჯახში მთელი მათი დინო დღესაც იკრიბება. აქედან წასული ხუნწელიები ცხოვრობენ მარტვილსა და აბაშაში. სხვა გადმოცემით, ხუნწარიების უშაფათიდან ჩამოსვლის შემდეგ დაერქვა ამ სოფელს ხუნწი; *დანელიები* ჩამოსულან ლეხაინდრაოდან დაახლ. 80 წლის წინ. ჩვენი მთხრობლის ბაბუა ვალერიანე დანელია, რომელიც ბანკში მუშაობდა ბათუმში, ჩამოსულა და უყიდია მონიავების სახლ-კარი, შემდეგ ის ხუნწში ფერმის გამგედ მუშაობდა; *გოგაიები* აფ-

ხაზეთიდან ჩამოსულან დაახლ. 100 წლის წინ; *წირღვავა* ჩამოსულა სოფელ გოჭკადილიდან (მარტვილის მუნიციპალიტეტი) დაახლ. 70 წლის წინ და მანჩხავასაგან კარმიდამო შეუძენია. წირღვავები აქედან გადასულან საჯიჯაოში, ოქუმში, ფოთში. აქ მცხოვრები სხვა წირღვავები აცხადებენ, რომ მათი გვარის სამი ოჯახი დაახლ. 200 წლის წინ აფხაზეთიდან ჩამოსულა; *ბარისოვ-ბერიძე* აქ პირველად ჩამოსული ბარისოვ-ბერიძის მეხუთე თაობის შთამომავალია. პირველი იყო რომანოზ ბარისოვ-ბერიძე, რომელიც მარტვილში გახსნილი სამეგრელოს სასულიერო სემინარიის ზედამხედველად დაინიშნა. რომანოზს ცოლად ჰყოლია ბერიას გვარის ქალი. ისინი დასაფლავებული არიან თევდორე ტირონის ეკლესიის სასაფლაოზე; *ბერიები* სამურზაყანოდან ჩამოსულან, სავარაუდოდ, საბერიოდან, დაახლ. 150-170 წლის წინ. ყოფილა სამი ძმა — ახაია, ჯოღორია და გიორგი. ორი აქ დასახლებულა, ქვაითი-ზედა ხუნწის საზღვარზე, მესამე ძმა — ჯოღორია, რომელსაც სამურზაყანოში ბატონი მოუკლავს, ოსმალეთში წასულა. მათი ერთი შტო ცხოვრობს ზესტაფონში. ბერიების წინაპრები იყვნენ ცნობილი მევენახეები, მაგალითად, გიორგი ბერია. მათ სოფელ ნაფიჩხოვოს (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი) ბერიებთან ნათესაური კავშირი არა აქვთ. როგორც გადმოგვცემენ, ლავრენტი ბერიას წინაპრები წარმოშობით ქვაითიდან იყვნენ; *ჯალაღანიები* და *ჟიშკარიანები* ადრე ზედა ხუნწში ცხოვრობდნენ. სადაც დღეს სახლობენ ადრე იქ *კირთაძე* ცხოვრობდა. აქ ასევე ცხოვრობდნენ ბებიები; *ბებიები* ზუგდიდის მაზრის რომელიღაც სოფლიდან ჩამოსულან. მათი წინაპარი გიორგი ბებია გორდის დადიანების ამალაში ყოფილა. იგი ცნობილი მოჭიდავე ყოფილა. ისინი ადრე ცხოვრობდნენ შემაღლებულ ადგილას, ეკლესიასთან ახლოს. მოგვიანებით, XIX საუკუნის ბოლოს, გზისპირას გადმოსულან. აქ ძველი გვარები ყოფილა *სტვილია, ხუნწელია,* აზნაური *რევია,* შემდეგ ჩამოსულან *ჩიქოვანები.* ჩვენი მთხრობლის ბებია და ბაბუა, რომელთა წინაპრებიც აზნაურები იყვნენ, ორივე ჩიქოვანი იყო, ბებია — ტყაიელი ჩიქოვანების შტოდან, ბაბუა — ხუნწიდან. ბაბუამისის ბებია ემუხვარის ქალი ყოფილა ოქუმიდან; გადმოცემით, *ციცხვაიები* აფხაზეთიდან არიან. მონადირე გამოკიდებია ირემს და ამ ადგილებში მოუკლავს, მოწონებია ეს ადგილი და დასახლებულა. ციცხვაიები საეკლესიო გლეხები იყვნენ, მათ მარტვილის მონასტერთან ჰქონიათ მიწები და ტყე; *გვალიების* რამდენიმე ოჯახში ცხოვრობს სოფელ ქვაითში. ძირძველ მოსახლეებად ითვლებიან. მათი სასაფლაო არის ლეციცხვაიეში, ეკლესიასთან. მათ წინაპრებს მაღალ ადგილას დობერაში ჰქონია მიწები; *კიტოვანები* ანუ კინტუანები დაახლ. 70 წლის წინ სოფელ ქვაითიდან ჩამოსულან. მათი წინაპრები ცხოვრობდნენ მეეჭვილად წოდებულ ადგილას, სუხჩესთან ახლოს სოფელ ჟუშკში; *ოდიშარიები* არიან სოფელ ნახუნაოდან. ერთი ოდიშარია აქ წოწორიაზე ჩასიძებულა.

დ.) კოკის თემი. სოფელ კოკში ძველ გვარებად ითვლებიან *ხუნჯგურუები, ჩხეიძეები, გულორდავები,* აზნაური *ჩიქავები, ხვარძიკიებიც* აზნაურები იყვნენ, შამგონაში ცხოვრობენ. *ცხაკაიების* ნაწილი სამღვდელო იყო, ისინი ჩამოსულან სოფელ ბანძიდან, დღეს სულ ერთი ოჯახი ცხოვრობს; *წითლიძეები* არიან ორსანტიაში, აზნაურები ყოფილან; ასევე აზნაურები ყოფილან *ჯაიანები.*

გადმოცემით, *წითლიძეები* დაახლ. 200 წლის წინ ჩამოსულან გურიიდან; *მალიჩავები* — სოფელ ალერტ-კარიდან (ზუგდიდის მუნიციპ.) დაახლ. 80 წლის წინ. ერთი მალიჩავა ქირიას ჩასიძებია; *მაქაცარიები* ჩამოსულან სოფელ ყულისკარიდან მესაქონლეობის მიზნით, დაახლ. 130 წლის წინ; *ხორავების* ძირძველი საცხოვრისი ყოფილა მარტვილი, შემდეგ ჩხოროწყუში, ოჩხომურში დამკვიდრებულან. იქიდან მესაქონლეობის მიზნით ჩამოსულან ჯერ სოფელ ერგეტაში (ზუგდიდის მუნიციპ.), სადაც ჭურიაში მათი წინაპრები დიდი რაოდენობით მიწებს ფლობდნენ. კოკში ჩამოსულან დაახლ. 200 წლის წინ. მათი წინაპრები ადრე გლეხები იყვნენ, თუმცა ბახვაია ხორავას შთამომავლობისათვის დადიანს აზნაურობა უბოძებია. ეს არის ჩვენი მთხრობლის ბაბუის მამა. ყველა ხორავა ოჩხომურში დადის წელიწადში ერთხელ სალოცავად, კლავდნენ ხარს; *ხუნჯგურუები* ჩამოსულან დაახლ. 60 წლის წინ ანაკლიიდან.

გადმოცემით, *ჩიქავები* წარმოშობით აღმოსავლეთ საქართველოდან არიან. სამი ძმა მოსულა დადიანთან და სამოსახლო უთხოვიათ, თუმცა ერთ სოფელში დასახლებაზე უარი უთქვამთ. დადიანს ერთი ძმა შამგონაში, მეორე — კოკში, ხოლო მესამე ახალკახათში დაუსახლებია. ამ დროს ახალკახათის მფლობელი მანუჩარ ანჩბაია (ანჩაბაძე) ყოფილა. ამიტომ ერქვა სოფელს *მანჩაშ კახათი.* მეორე ლეგენდის თანახმად, ჩიქავები ჩიჯავაძეები ყოფილან აჭარიდან.

მათ იქ ოსმალეთის ამ რეგიონის მმართველთან შეხლა-შემოხლა მოსვლიათ და კაცი მოუკლავთ. სხვა ვერსიით, ჩიქავების გვარი ყარაჩაეთიდან ჩამოსულა, სამი ძმა დასახლებულა კოკში, შამგონასა და კახათში. ჩამოსვლის მიზეზი იყო მკვლელობა. ყარაჩაიში ისინი ჩიჟაევები ყოფილან. ჩიქავები ადრე ყარაჩაეთშიც დადიოდნენ, იქიდან ჩამოტანილი ნაჩუქარი საკიდელის ჯაჭვი დღესაც ინახება პავლე ჩიქავას ოჯახში; *ხუბუები* დაახლ. 150 წლის წინ ჩამოსულან სოფელ ფოცხოდან. აქ ჩამოსულა სამი ძმა — ბაზალა, ისლამი და მალხაზი. მათ მამას ქერქენჩი რქმევია. ჩამოსვლის მიზეზი ყოფილა მცირემიწიანობა სოფელ ფოცხოში. მათი გვარის სხვა წამომადგენლებიც ჩამოსულან და შამგონასა და დარჩელში დასახლებულან; *შონია* აქ ძირძველ გვარად ითვლება. ისინი ჩარკვიანები ყოფილან სვანეთიდან, თავადი მოუკლავთ და გამოქცეულან. ერთი წასულა ხობში და ჯორჯიკიას გვარი მიუღია, მეორეს კი დემურიას გვარი. შონიასა და ჯორჯიკიას შორის ქორწინება აკრძალული იყო. შემდეგ შონიები სამურზაყანოში გადასულან. აქ დარჩენილები შონიებზე იტყოდნენ „ღეჯია დო ჯოღორიაშ გამნარყი რენანია“ (ღეჯიასა და ჯოღორიას განაყოფნი არიანო). საერთოდ, შონიების ძირ სოფლად ფახულანი ითვლება; *ნარმანიები* ადრე ნარიმანიძეები ყოფილან. ისინი ოცინდალედან ჩამოსულან. ოცინდალეს წმ. გიორგის ეკლესია მათი გვარის სალოცავად ითვლება. ნარმანიები ადრე კოკის წმ. გიორგის ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობდნენ. ახლა ცხოვრობენ ადგილ ნალიმაში, სადაც დაახლ. 1905 წელს გადმოსახლებულან. ნარმანიების გვარს ჰქონდა თავისი დაღი, რომლითაც კამეჩებსა და ცხენებს დაღავდნენ. გადმოცემით, როდესაც სოფელი სოფელი ორსანტია დაარსებულა, აქ მცხოვრები პირველი გვარები იყვნენ *ჩიკვატიები, ქვარაიები* და *ხაზალიები.* სოფელში რომელიღაც ხატის შემობრძანებას სწორედ ამ სამ გვარს უკავშირებენ. *ჩიკვატიები* აზნაურები ყოფილან. არსებობს ვერსია, რომ ისინი სვანები იყვნენ, ჩიკვატიანები. ამ გვარების მერე ჩამოსულან ორსანტიაში *წიკავები* და *ბუკიები.*

ე). თორსა-დღვაბას თემი. თორსა დღვაბაში ძირითადად სახლობდნენ წალენჯიხის და ჩხოროწყუს სოფლებიდან ჩამოსული მესაქონლეები. აქ ძველი გვარებია ლატარია, ბუკია, ცაავა. დღეს აქ *ცაავები* არ ცხოვრობენ. ისინი მოგირსა და ორულუში ცხოვრობდნენ, მაგრამ მიცვალებულებს დღვაბას სასაფლაოზე ასაფლავებდნენ. ერთ-ერთი ძველი გვარია *გულუა.* მათი წინაპარი აქ დაახლ. 250 წლის წინ დასახლებულა. გულუების ნაწილი დღესაც აქ სახლობს; *ანთიები* ჩამოსულან სოფელ ჭკადუაშიდან (ზუგდიდის მუნიციპ.). ოთხი თაობის წინადელი წინაპარი აქ დასახლებულა მესაქონლეობის მიზნით; *ლუკავების* წინაპარი დაახლ. 80 წლის წინ ჩამოსულა წალენჯიხის რაიონიდან; *ქარჩავა* ჩამოსულა დაახლოებით 70 წლის წინ სოფელ მოგირიდან (ზუგდიდის მუნიციპ.); *ქვარცხავები* სოფელ მოგირში ჭოღის თემიდან ჩამოსულან, მათ კავშირი სულ ბოლო დრომდე ჰქონდათ ჭოღელ ქარჩავებთან, ხოლო მოგირელ ქარჩავებთან მჭიდრო ნათესაურ ურთიერთობას დღესაც ინარჩუნებენ, იქ ჰქონიათ საერთო საგვარეულო სალოცავი ქვევრები. აქ მცხოვრები კიდევ ერთი ქარჩავას ოჯახის წინაპარი დაახლ. 150 წლის წინ ჩამოსულა. ის ყაჩაღი ყოფილა და აქ ტყისა და ჭაობიანი ადგილებისათვის შეუფარებია თავი. ჯერ კიდევ 70 წლის წინ მათი წინაპარი საგვარეულო სალოცავზე დადიოდა ჭოღის თემში; *ჯგერენაიების* წინაპარი ორი ოჯახი ჩამოსულა სოფელ დიდი ჭყონიდან (მარტვილის მუნიციპ.), სავარაუდოდ თამაკონიდან. წინაპართა სოფელთან მისვლა-მოსვლა, მოგვარეებთან ურთიერთობა გადმოცემითაც არ ახსოვთ. სავარაუდოდ, ჩამოსულა ექვსი თაობის უკანდელი წინაპარი. ჩამოსვლის მიზეზი იყო მესაქონლეობა. *უჩანეიშვილები* დღვაბაში ჩამოსულა სოფელ ნოსირიდან (სენაკის მუნიციპალიტეტი) დაახლ. 150-200 წლის წინ. აქ ჭაობში სახლობდნენ, ჰყოლიათ ბევრი საქონელი. 1912 წელს მოსულა დიდი თოვლი და საქონლის უმრავლესობა დაღუპულა. შემდეგ ისინი თორსას ცენტრთან დასახლებულან; *ბერიშვილები* ჩამოსულან ძველი აბასთუმნიდან (ზუგდიდის მუნიციპ.) დაახლ. 80 წლის წინ, სიმინდის მოსაყვანად; *ქარჩავები* ჩამოსულან ჩხოროწუდან დაახლ. 120 წლის წინ. უახლოეს დრომდე დადიოდნე ძირძველ სოფელში ქარჩავების სალოცავში; ტაბუჩას უბანში მცხოვრები *ჯიჭონაიების* წინაპარი 1936 წელს ჩამოსულა სოფელ ოდიშიდან (ზუგდიდის მუნიციპ.), მესაქონლეობის მიზნით. აქ სამოსახლო უყიდია ლატარიასაგან. ჯიჭონაიებს წინაპართა სოფელთან ახლაც აქვთ ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა სანათესაოსთან ჭირსა და ლხინში; იმავე ტაბუჩას უბანში

მცხოვრები *ქობალიების* წინაპარი დაახლ. 100 წლის წინ ჩამოსულა სოფელ კორცხელიდან (ზუგდიდის მუნიციპ.); *ჭითანავები* დაახლ. 100 წლის წინ ჩამოსულან სოფელ კირცხიდან (ჩხოროწყუს მუნიციპ.), ხოლო კირცხში — სოფელ ჩხორიიდან (ზუგდიდის მუნიციპ.). მათ ერთ წინაპარი, გულაია, კარგი მოჭიდავე ყოფილა. მათი სალოცავი ეკლესია ხეთის მიქამგარიო იყო; სოფელ წინაგოლაში (ხეთის თემი, ხობის მუნიციპ.) მცხოვრები ჭითანავები კი ჩამოსულან სოფელ ძველი აბასთუმნიდან (ზუგდიდის მუნიციპ.). სოფელ დიდინეძში (ზუგდიდის მუნიციპ.) ნაკალის უბანში მცხოვრები ჭითანავები ასევე ძველი აბასთუმნიდან ჩამოსულან სოფელ ჭითაწყარში (ზუგდიდის მუნიციპ.). სოფელ მოგირში მცხოვრები ჭითანავებიც მათი ერთ-ერთი შტოა, თორსასა და ხეთის ჭითანავებს მათთან ნათესაობა არა აქვთ; *მალიჩავა* ჩამოსულა სოფელ ალერტ-კარიდან (ზუგდიდის მუნიციპ.), ერთი მალიჩავა დაახლ. 70 წლის წინ ქირიას ჩაესიძა; დიდინეძის თემის დიხა-გუძუბას უბანში მცხოვრები *მაქაცარიები* ჩამოსულან ყულიშკარიდან. აქ ჩამოსულა დაახლ. 80 წლის წინ მესაქონლეობის და სიმინდის მოყვანის მიზნით. აქ ძირითადად ძველი მოსახლე გვარებია *კუკავები, ზარქუები* და *ქირიები; გაბედავები* მუხურიდან (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი) ჩამოსულან დაახლ. 70 წლის წინ სოფელ ხორგაში (ხობის მუნიციპ.), შემდეგ სოფელ დიდინეძში დასახლებულან. ერთი გაბედავა ლატარიას ჩასიძებია; *ლომაიების* წინაპარი დაახლ. 80 წლის წინ ჩამოსულა სოფელ ხიბულადან (ხობის მუნიციპ.). განკულაკების დროს მათი წინაპრისთვის ბევრი საქონელი ჩამოურთმევიათ, ამიტომ წამოსულა აქეთ მესაქონლეობის აღორძინების მიზნით; *ივარდიების* წინაპარი დაახლ. 70 წლის წინ ჩამოსულა სოფელ მენჯიდან (სენაკის მუნიციპ.) მესაქონლეობის მიზნით, აქ ჩასიძებია *ქადარიას.* მათ დღესაც აქვთ ნათესაური ურთიერთობა მენჯელ ივარდიებთან, თუმცა, ბოლო დროს ეს კავშირები თანდათანობით შესუსტდა; *ლიპარტიები* ჩამოსულან სოფელ მენჯიდან, დაახლ. 50 წლის წინ, აქ ჩასიძებია ქადარიას; *ფიფიების* წინაპარი დაახლ. 80 წლის წინ ჩამოსულა სოფელ ობუჯიდან (წალენჯიხის მუნიციპ.); *ბუკიების* წინაპრები სოფელ ხორშიდან ჩამოსულან დაახლ. 170 წლის წინ და აქ დასახლებულან მესაქონლეობის მიზნით. იმ დროს აქ გაუვალი ადგილები ყოფილა, ხალხი აქ აქა-იქ ცხოვრობდა თურმე. დაახლ. 70 წლის წინ მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ ურთიერთობა წინაპართა სოფელთან, თუმცა შემდეგ ეს კავშირები გაწყდა; *ლატარიები* წარმოშობით სვანეთიდან ყოფილან. სამი ძმა ჩამოსულა ლატალიდან და გვარსახელსაც თემის სახელი ლატალი დაედო საფუძვლად. ისინი იქ ჩარკვიანები ყოფილან. ისინი ჯერ სოფელ ხორგაში დასახლებულან. სხვა ვერსიით, ჩარკვიანს ავადმყოფი დედის საზიარებლად მოუყვანია მღვდელი, რომელიც მთვრალი ყოფილა. ზიარების შემდეგ ეს ქალი გარდაცვლილა. მათ მიუჩნევიათ, რომ მღვდლის სიმთვრალე იყო დედის გარდაცვალების მიზეზი, ამიტომ ეს მღვდელი მოუკლავთ, თვითონ კი გამოქცეულან და დასახლებულან ურთაში (ზუგდიდის მუნიციპ.), ურთიდან ჩამოსულან სოფელ ხეთაში, საიდანაც დაახლ. 150 წლის წინ თორსა-დღვაბაში გადმოსახლებულან მესაქონლეობის მიზნით. მათ ეძახდნენ ლატალელ სვანებს და აქედან მოდის გვარი ლატარია. ხეთის მიქამგარიო დაუარსებია ლატარიებს და იქ წარწერაც ყოფილა. ჩარკვიანებსა და ლატარიებს შორის ქორწინება დღესაც აკრძალულია. კიდევ ერთი გადმოცემით, ლატარიები დადიანის ყმები ყოფილან. ადგილ ნატუხურუში (ალბათ ნახუტორუ-დ.ჭ.) კამეჩების ჯოგი ჰყოლიათ. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, 1864 წლის მერე, ლატარიებს აქ მოუთხოვიათ საკუთრებაში მიწა, თუმცა დადიანი არ აძლევდა, ამით განაწყენებულებს დაუწვავთ კამეჩების ფერმა. დადიანს უკან დაუხევია და მათთვის ღელე დღვაბაწყარის პირას მიუცია მიწა. ლატარიებს მუხის მასალით სასაფლაოსთან ეკლესია აუშენებიათ. გასაბჭოების შემდეგ, ეკლესია დაუშლიათ და სკოლა აუშენებიათ თორსაში. შემდეგ ეს სკოლა დაუშლიათ და აუშენებიათ დღვაბას სკოლა, რომელიც დღესაც დგას. ყველა ლატარია ადრე განსახლებული იყო თორსა-დღვაბას უბან ტაბუჩაში. სალატარიოში მცხოვრები ყველა სხვა გვარი ჩასიძებულია ლატარიებზე, ზოგი გაზრდილია ლატარიების მიერ, მაგალითად სიჭინავები, რომლებმაც თავიანთ გვარი შეინარჩუნეს.

თორსა-დღვაბას თემში არის 1985 წელს აჭარელი ეკომიგრანტებისთვის დაარსებული ახალი უბანი — „ოქროს საწმისი“. დღეს აქ აჭარლებთან ერთად აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობაც ცხოვრობს, არიან ასევე ზუგდიდიდან და სვანეთიდან ჩამოსულები.

* * *

ჩვენ მიერ ადგილზე მოპოვებული ეთოგრაფიული მასალა, რომელიც მიგრაციული პროცესების შესწავლას გულისხმობს, მნიშვნელოვანია მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და იმ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაწავლად, რომელიც უმთავრესად XIX საუკუნისათვის იყო დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს მეტწილად შიდარეგიონულ მიგრაციასთან, რომლის მიზეზი ყველაზე ხშირად ეკონომიკური ფაქტორი იყო. როგორც წარმოდგენილი მასალით ირკვევა, სამეგრელოს ბარის და ზღვისპირა დასახლებები გვიანანტიკური დროის შემდეგ ძირითადად წარმოიქმნა XV-XVII საუკუნეებში, ხოლო XIX საუკუნეში გზისპირული დასახლების გაჩენასთან ერთად მაქსიმალურ სიმჭიდროვეს მიაღწია. უმთავრესად, ამ მხარეში ჩასახლება ხდებოდა სამეგრელოს პლატო და მთისწინა სოფლებიდან მესაქონლეობის მიზნით, იშვიათ შემთხვევებში სხვა რეგიონებიდანაც, რამდენადაც აქ ვრცელი საძოვრები იყო. გვიან შემოდგომაზე, როდესაც საქონელს მთიდან ბარში მოერეკებოდნენ, აქ იჩენდნენ დამხმარე სამეურნეო ბაზებს, რაც დროთა განმავლობაში მუდმივ საცხოვრებლად იქცა. უკვე XVIII საუკუნიდან სიმინდის კულტურასაც მიენიჭა ფართო საბაზრო მნიშვნელობა და ამ მიზნით დაბლობში, მით უფრო ანაკლიის მიმდებარე ზღვისპირა სოფლებში (კოკი, ერგეტა, დარჩელი, თორსა-დღვაბა და სხვ.) ვრცელი დასახლებები გაჩნდა. ზოგიერთის აქ დამკვიდრების მიზეზი იყო ამ ადგილებში გაუვალი ტყეები და ჭაობები, სადაც უამრავი დამნაშავე თუ ბატონს გამოქცეული გლეხი აფარებდა თავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნოგრაფიული მასალებით, ბარიდან ანუ ზღვისპირა სამეგრელოს ზოლიდან პლატო და მით უმეტეს მთისწინა სამეგრელოში გვართა მიგრაციის თითო-ოროლა ფაქტი თუ დასტურდება, რაც მეურნეობის ფორმების თავისებურებით იყო განპირობებული. როგორც წესი, სამეგრელოს ზღვისპირეთში მონოგენური სოფლები არ ფიქსირდება და ერთი უბნის ფარგლებშიც მრავალგვარიანობა მაქსიმალურია. ეს ფაქტი გამოწვეული იყო აქ გვართა ჩასიძებით დამკვიდრების წესითაც, რაც ასევე მიგრაციული პროცესების ჭრილში უნდა განვიხილოთ. ამ და სხვა ზემოთ წარმოდგენილი წესით სამეგრელოს ბარის სოფლებში მიგრაცია ფიქსირდება საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც — აფხაზეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან, ქართლიდან, სამცხე-ჯავახეთიდან და კახეთიდანაც კი. ამდენად, ნათელია, რომ შიდამიგრაციულმა პროცესებმა რა თქმა უნდა გავლენა მოახდიან სამეგრელოს მთისწინეთის და პლატოს მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, მაგრამ მას მთლიანად რეგიონის დემოგრაფიულ სურათზე უარყოფითი შედეგი არ მოუტანია, რამდენადაც მიგრაცია შიდარეგიონულ ხასიათს ატარებდა. შეიძლება ითქვას პირიქითაც, რამდენადაც მოსახლეობის აღწარმოება ეკონომიკურად ხელსაყრელ გარემო პირობებში უფრო სწრაფი ტემპით ხდებოდა. ამ ყოველივეს ადასტურებს სამეგრელოს ბარის სოფლების მაქსიმალურთან მიახლოებული სიმჭიდროვე.

რაც შეეხება თანამედროვე ვითარებას, მდგომარეობა ამ მხრივ სავალალოა. ეს პრობლემები განსაკუთრებით გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სოფლად ბოლო 30 წლის განმავლობაში ყოველდღე ნადგურდებოდა საწარმოები; შეიძლება ითქვას, ერთბაშად მოიშალა ყველაფერი. თუმცა მათი აღდგენის სურვილი ხელისუფლებას არ ჰქონია. ადგილობრივი სოფლის წარმოების და დღესდღეობით რეგიონისათვის ყველაზე ხელსაყრელი დარგის — კვების და მსუბუქი მრეწველობის განვითარება რატომღაც არ არის პრიორიტეტული. გამომდინარე აქედან, სოფლად და მუნიციპალურ ცენტრებში არსებული მასიური უმუშევრობა ახლაგაზრდებს აიძულებს სამუშაო საქართველოს დიდ ქალაქებში ან უცხოეთში, ძირითადად, საბერძნეთსა და თურქეთში ეძებონ, რაც მასიურ მიგრაციას იწვევს. საბრძნეთში მიგრაცია უფრო გრძელვადიანია, ხოლო თურქეთში უმეტესად სეზონურ სამუშაოებზე ხდება დასაქმება, ისეთ სამუშაოზე, როგორიცაა ჩაის კრეფა, თუმცა ეს დარგი ადგილზეც მარტივად შეიძლება აღორძინდეს. მაგალითად, თითქმის დაცლილია ისეთი დიდი დასახლება, როგორიცაა ხორშის თემი, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ადგილობრივ რესურსზე დაფუძნებული ეთერზეთების ქარხანა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობა არსებობდა. ფაქტი ერთია, რომ მეურნეობის ოპტიმალური ფორმების აღდგენაზე არავინ ფიქრობს და შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან ოპტიმალიური გეგმა არ არსებობს. ხალხს მიწის დაკანონებაც კი უჭირს, იმ მიწის, რომელიც მათმა წინაპრებმა რამდენჯერმე იყიდეს სახელმწიფოსგან თუ ფეოდალისგან და რომელსაც საუკუნეები იცავდნენ (იხ. ქვემოთ).

§ 3. დასახლების სოციალურ-ეკონომიკური პირობები

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა *(საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. ზოგადი მიმოხილვა).* ამ ქვეთავში მიმოვიხილავთ საკვლევად შერჩეული სამეგრელოს თითოეული მუნიციპალიტეტის სათემო დასახლებების მაგალითზე, როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეკონომიკური ყოფისათვის დამახასიათებელ ცხოვრების წესს. მასალა, ძირითადად, წარმოდგენილია მთხრობელთა მიერ ხაზგასმული გარემოებების გათვალისწინებით, საოჯახო ყოფის ჭრილში. მთხრობელებთან ინტერვიუები ნათლად ასახავს თანამედროვე ვითარებას და იმ დამოკიდებულებას, რომელიც მათ, დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ახლო წარსულისადმი ჩამოუყალიბდათ.

სამეგრელოს ეკონომიკა, ძირითადად, სოფლის მეურნეობის დარგებზე, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე იყო დაფუძნებული, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიმინდის კულტურას. იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც მოზრდილი მდინარე ან ღელე არ ჩამოედინება, შესაბამისად, სულ რაღაც 30-50 წლის წინ ყველგან ნახავდით წყლის წისქვილებს, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამის დიდი საჭიროება არ იყო ელექტროენერგიის სიიაფის გამო. წყლის წისქვილები დღეს თითო-ოროლა სოფელში თუ არის შემორჩენილი.

კოკის თემსა და მიმდებარე სოფლებში წისქვილები იდგა ენგურის ტოტებზე. მთხრობელთა გადმოცემით, XIX საუკუნეში აქ ბევრი წისქვილი ყოფილა. სოფელში თითო გვარს ორი ან სამი წისქვილი ჰქონია, რომელსაც თვითონ ან დაქირავებული მეწისქვილე უვლიდა. წისქვილი ჰქონია ნარმანიებს, შონიებს, შენგელიებს, ხუბუებს. ნალიმად წოდებულ ადგილას დღესაც დგას წყლის წისქვილი, რომელიც XX ს. დასაწყისში აუშენებიათ. საწისქვილე ღართან გეჩიას თხილის წნელისაგან დაწნული გრძელი თევზსაჭერია გამართული. თითო გეჩაზე (თევზის საჭერი ხალხური მოწყობილობა) 10-15 კგ თევზი გროვდებოდა ყოველ ღამე. წყლის წისქვილები სულ ბოლო დრომდე იყო *ჭოღის თემში*, *პირველ ჭოღაში* ორი, *მეორე ჭოღაში* — სამი. მას ღელეებზე აწყობდნენ. *ხორშის თემში* წყლის წისქვილები იყო: *საადანაიოში* — ბუხუტი და ძიკა გუგუნავების, *ციზეთში* — ორი. ბაჟი იყო ერთი კორთხო სიმინდი. ოჯახებში ბევრს ჰქონდა ასევე ხელსაფქვავები (ხეშ სქიბუ), რომელიც ზოგან დღესაც არის შემორჩენილი. მაგალითად, საგაბელიოს უბანში (სქურია), ავთო გაბელიას ოჯახში.

სამეგრელოში თევზჭერას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქ პატარა მდინარეებში ყველაგან არის წვერა და ქაშაპი (უნგვარო); ადრე ღორჯო და კიბორჩხალაც იყო, თუმცა ბრაკონიერობის გამო (დენის და სხვადასხვა საწამლავების გამოყენებით), ეს სახეობები თანდათან ქრება. მთის მდინარეებში არის საუკეთესო კალმახი. ენგურსა და მის ტოტებში კალმახი არ იყო, მაგრამ ძალიან გავრცელებულია ქაშაპი (უნგვარო), სეზონურად შემოდიოდა ზღვიდან ზუთხი და ღლავი.

რიგ სოფლებში, რომლებიც გზისპირულ დასახლებას ქმნიდნენ, ძალიან ხელსაყრელი ადგილი იყო სავაჭრო ობიექტების მოსაწყობად. ცნობილი ვაჭარი იყო სოფელ ჭოღის მკვიდრი სოფრომ შენგელია, რომელსაც XIX ს. ბოლოდან გასაბჭოებამდე სოფელ ხაბუმეს ცენტრში და სენაკში დუქნები ჰქონდა; ჭოღის ცენტრში დუქანი ჰქონია არტუდი ფაცაციას.

ცალკეული ოჯახები და გვარები დახელოვნებული იყვენენ მჭედლობაში. სამჭედლოები სათემო დასახლებებში, თუნდაც ამ 50 წლის წინ, ყველგან იყო, ამჟამად მათ იშვიად თუ შეხვდებით. *ჭოღის თემში* იყო ორი სამჭედლო, პირველ და მეორე ჭოღაში, სადაც მჭედლები იყვნენ ბოჩო და ღუტი შენგელიები. დღეს მჭედელი აქ არავინ არის; *ხორშის თემში* ორი სამჭედლო იყო. მჭედლები იყვნენ კონდრატე ბაკურაძე, ჩახუ ცხომარია; *ხუნწის თემში* მჭედლები იყვნენ კოლია თოფურია და კოლია ჩიხლაძე. აქ ახლაც არის სამჭედლო; *ხეთის თემში*, სათემო ცენტრთან, დაახლ. 50 წლის წინ, კლიმენტო ლატარიას სამჭედლო იდგა.

სოფელ კოდორში მცხოვრები 1930 წელს დაბადებული ჩვენი მთხრობლის აღნიშვნით, 50-იან წლებამდე, თავის ბავშვობაში, ოდა სახლები აქ მხოლოდ სამი-ოთხი თუ უნახავს, უმრავლესობა ცხოვრობდა ფაცხებში, რომელსაც ისლით ხურავდნენ, მცირე ნაწილს ჰქონდა ფიცრული სახლები. მისივე თქმით, სტალინის დროს ძალიან ცუდი ცხოვრება იყო, ყველაფერი რაც გვქონ-

და მთავრობას მიჰქონდა, ბევრ ნატურ გადასახადს გვაწერდნენ და უხელფასოდ გვამუშავებდნენ, სახლში არაფერი მიგვქონდა, თუ რამეს გვაძლევდნენ სარჩოს, ისიც უნდა გამოგვეწერა. ბრეჟნევის დროს კარგი ცხოვრება იყო, ახლაც არ არის ცუდი, ვისაც შრომა შეუძლია. საბჭოთა ხელისუფლების დროს სოფელში იყო ქათმების და ღორების ფერმა.

სოფელ გულეიკარში მცხოვრები, 1938 წელს დაბადებული ჩვენი მთხრობელი აღნიშნავს, რომ ეკონომიკის ძირითად დარგი აქ მესიმინდეობა და მესაქონლეობა იყო. გაზაფხულზე საქონელს სურებში მიერეკებოდნენ სამი თვით — მაისიდან სექტემბრამდე. გამორჩეულ მესაქონლედ ითვლებოდა ისეთი ოჯახი, რომელსაც 100 სული საქონელი მაინც ჰყავდა. სოფელში იყო მესაქონლეობის დიდი ფერმაც. თხა, ორი-სამი სული, თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა. საბჭოთა ხელისუფლების წლები ცუდი იყო იმით, რომ რასაც შრომობდი შენი არ იყო მთლიანად, თუმცა დღეს მეტს ვშრომობთ, მაგრამ არაფერს ფასი არ ადევს. ისეთი სამუშაო, რომელიც ფულს შემოიტანს ოჯახში, სოფელში არ არის. ერთი სიმინდის გადამამუშავებელი ქარხანა მაინც რომ იყოს, ცოტა ფასი ექნებოდა ცხოვრებას. მოსახლეობას აქვს საზამთროს დიდი ბაღები, თუმცა მოსავლის რეალიზაციას ვერ ახერხებენ, რადგან დაბალი ფასი აქვს (10-15 თეთრი კილოგრამი) და ხარჯებსაც ვერ ანაზღაურებს. მიგრაციაც მაღალია, თუმცა სხვა სოფლებთან შედარებით მოსახლეობა მაინც არის საკმაოდ, რამდენადაც მიწა ნაყოფიერია და თავის რჩენა შეიძლება. საშუალოდ, მეწველი ძროხა ოჯახებს ჰყავთ 5-6 სული. მიწის სახვნელად ძველად იყენებდნენ ხის კავს, რომელიც უფრო თუთის ხისგან იყო გამოთლილი. ძველად მოყავდათ პურიც, თუმცა კოლმეურნეობას არა, ოჯახებში, ინდივიდუალურად. არის ადგილები, რომელსაც ნაქობალუს (ნაპურალი) ეძახიან; მოყავდათ მჭადის-მჭადი, ღომის-ღომი, რამი, რომლისგანაც ძაფს ამზადებდნენ. მისი ქარხანა კეთილარში იყო. დიდი რაოდენობით ამზადებდნენ აბრეშუმის პარკს, რომელიც ზოგჯერ ერთ ოჯახს 100 კგ გამოჰყავდა; ბაზილიკი და გერანი მოყავდათ და მას იბარებდა მთავრობა; დიდი რაოდენობით მოყავდათ მუხუდო. იყო დრო, როცა 1 კგ. მუხუდოში 2 კგ. პურს იძლეოდნენ. დღეს ვერ თესავენ, ტექნიკა არ არის. არ იყო ოჯახი, რომელსაც 500 კგ. ლობიო მაინც არ მოყავდა. დღესაც ბევრს მოყავს, მაგრამ ფაროსანა ანადგურებს. ბევრი რამის მოსპობა დაუდევრობითაც არის გამოწვეული. მოსახლეობას აქვს 6-8 ტონა ტევადობის სასიმინდეები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ივსებოდა, დღეს — იშვიათად. ერთ ჰექტარზე ზოგან 6 ტონა სიმინდი მოჰყავდათ, უმთავრესად რიონისპირა მიწებზე, 3 ტონა ნებისმიერ მიწაზე მოდიოდა. ძველად, უმეტესად ორი ხარით ხნავდნენ. საბჭოთა დროს გლეხს არაფერი ეხარჯებოდა მიწის დამუშავებაში — უფასო იყო მოხვნა, თესვა, მინერალური სასუქები. დღეს, ერთი ჰექტარი მიწის დასამუშავებლად 1000 ლარის ხარჯი არის საჭირო და ეს ხარჯი რომ გაწიო, შესაძლოა მოსავალმაც არ გაამართლოს ამინდის გამო. ამ ფულით უფრო მეტ შემოტანილ სიმინდს იყიდი ბაზარში. ახლა გლეხი ამბობს, ჩემიაო ყველაფერი (მიწას და მისგან მიღებულ შემოსავალს გულისხმობს, - დ. ჭ.), მაგრამ სახლში ბოლოს არაფერი მიაქვს, ხარჯებს ვერ აუდის. სოფელში ძველად ყოფილა კრამიტის და აგურის ქურა, მისი ოსტატი იყო რაჟდენ თევდორაძე; ასევე იყვნენ მეთუნეები — თევდორაძეები, რომლებიც ჭრიდნენ კრამიტს და აგურს. ძველად აქ ყველა გლეხს ჰყავდა ერთი ცხენი, რომელსაც უმთავრესად საქონლის მოსარეკად და მოსაძებნად იყენებდნენ.

ზოგიერთი მთხრობელის აღნიშვნით, ***სოფელ კეთილარში*** მდინარე რიონზე ადრე ხიდი არ იყო, „პარონით“ გადადიოდნენ. ახლა გაკეთდა ხიდი, გზა მოწესრიგდა, თუმცა ახლოს კარიერია და დიდი მანქანების მოძრაობა ანგრევს ახალ დაგებულ „ბეტონის“ გზას. აქ ყველანაირი ბუნებრივი პირობაა იმისთვის, რომ კარგად იცხოვროს ადამიანმა, რადგან უხვმოსავლიანი მიწებია და ყველაფერი მოდის. მცირეოდენი ორგანიზებაა საჭირო და ეს სოფელი საბჭოთა დროისას, შემოსავლებით, ორ-სამ წელიწადში გაუსწრებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იყო მსხვილფეხა მესაქონლეობის, მეღორეობის და მეფრინველეობის დიდი ფერმები, განვითარებული იყო მესიმინდეობა; ყოველ დღე რძის კომბინატში 1500-2000 ლიტრ რძეს აბარებდნენ. მთხრობელების აღნიშვნით, ახალგაზრდებს სოფლისადმი ინტერესი გაუქრათ. ამის მიზეზი მომავლისადმი უიმედობაა. კეთილარში დღეს სახლების უმრავლესობა არ არის დაკეტილი, მაგრამ მაინც გა-

ჭირვებაა. ზოგიერთმა ოჯახმა 50 ტონაზე მეტი საზამთროც კი მოიყვანა, თუმცა ვერ ყიდიან, გაწეულ ხარჯებსაც კი ვერ ფარავენ. მოსავალი ერთ სეზონზე ორჯერ მოყავთ.

ხორშის თემში იყო თუთის პლანტაციები. თუთის ფოთოლს აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად იყენებდნენ; ტექნიკური კულტურებიდან — ტუნგი, რომლის ნაყოფსაც იბარებდნენ; განვითარებული იყო მესაქონლეობა და მესიმინდეობა. ერთი მთხრობელი, როგორც დღევანდელ, ისე საბჭოთა დროინდელ ეკონომიკას და სოციალურ წყობას ასე ახასიათებს: დღეს გვყავს რვა სული საქონელი, აქედან სამი — მეწველი. საბჭოთა დროს მეტი გვყავდა. საქონლის რაოდენობის შემცირების მიზეზი საკმარისი საკვების — სიმინდისა და ჩალის არქონაა. ჯერ ერთი, მიწები ყველამ შემოაკავა, მეორე მხრივ, ერთი ჰექტარი მიწა რომ დაამუშავო, ათასი ლარი მაინც ჯდება. ახლა ამას ფაროსანაც დაემატა და ფაქტიურად აზრი არა აქვს მიწის დამუშავებას. სიმინდი ერთ ჰექტარ მიწაზე მომყავს, მაგრამ 2018 წელს 100 კილოგრამი სიმინდიც არ გვქონია, ფაროსანამ გაანადგურა. კარგ მოსავლიან მიწაზე, ერთ ჰექტარზე 5 ტონა სიმინდი მოდის, ისიც ხობისწყლისპირა ჭალებში, ხოლო ზემოთ, ჰექტარზე 2,5 ტონაზე მეტს ვერ მოიყვან. საშუალოდ, აქ ასეთი სასიმინდე მიწის ნაკვეთები აქვთ ოჯახებს. თხილი მაქვს ერთ ჰექტარზე, ეს ბოლო წლებია ფაროსანამ გაანადგურა, მაგრამ კარგი მოსავალიანობის დროსაც ცოტას იძლევა, რადგან მისთვის ნაყოფიერი ნიადაგი არ არის. ჰექტარზე მაქსიმუმ ერთი ტონა თხილი მოუცია, რაც ამხელა ფართობისთვის ცოტაა. ბოლო დროს მგლებმა შეგვაწუხა და წვრილფეხა პირუტყვის ყოლა შეუძლებელია. ძველად გვყავდა თხებიც და ზოგიერთ ოჯახს რამდენიმე სული ცხვარიც. ჩაი ჩვენს უბანში (ციზეთი) არ იყო, თუმცა, აქედან ათ კილომეტრში, დიდ ხორშში დავყავდით საკრეფად. საბჭოთა დროს ოჯახები ეკონომიკურად ბევრად უფრო ძლიერი იყო, ახლა გლეხი ორსართულიან სახლს ვერ აიშენებს, მაშინ კი სამუშაო იყო და იმდროინდელი აშენებული სახლები შემორჩა. მიუხედავად გაჭირვებისა, თავისუფლების მხრივ, დღევანდელი დრო ჯობია, მაშინ გვაიძულებდნენ გვემუშავა, დღეს ასე არ არის, შენთვის ხარ და უძღვები შენს მეურნეობას როგორც გინდა.

ხორშის თემის სოფელ საგუგუნავოში იყო ეთერზეთების ქარხანა. ეს იყო ადგილობრივთა დასაქმების ძირითადი წყარო. ის იმიტომ გაშენდა, რომ მისი ნედლეულის მოსაყვანად ყველაზე ხელსაყრელი მიკროკლიმატი აქ იყო. მოყავდათ კაზანლიკის ვარდი, გერანი, ჟასმინი, ბაზილიკი. განსაკუთრებით რთული მოსაყვანია ჟასმინი. აქ ქალაქური ტიპის დასახლება იყო და მთელი სოფელი იქ იყო დასაქმებული, სხვა რეგიონებიდანაც ჩამოდიოდნენ. ჩვენი მთხრობელი გვიყვება, რომ ოჯახში ჰყავთ 15 სული მსხვილფეხა საქონელი, აქედან 6 სული მეწველი. თხა და ცხვარი არ ჰყავთ. საბჭოთა დროს 2 სული ჰყავდათ, სხვა ფულადი შემოსავალი ბევრი იყო და ოჯახს საქონლის ეს რაოდენობა ჰყოფნიდა. დღეს თხილი განადგურდა ფაროსანას გამო, დაფნა იმდენი არ არის (300 კგ წელიწადში), რომ ოჯახი შეინახოს. სიმინდის მოსავალიც არ არის ფაროსანას გამო. ჩვეულებრივ, კარგი მოსავლიანობის დროს, ჰექტარზე 3-4 ტონა მოდის. თხილი, თუ მოსავალი არ განადგურდა, დაახლოებით 800 კგ არის. ხალხი სოფლიდან მასიურად წავიდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც მიდიოდნენ ქალაქში, მაგრამ 90-იანი წლებიდან მასიურად დაიცალა სოფელი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში უამრავი სამუშაო იყო და ყველაფერს იბარებდნენ — ტყემალს, პანტა ვაშლს, ეკალას და ა. შ. თუმცა თავისუფლების მხრივ დღევანდელი დრო ჯობია, რამდენადაც ძალით გაიძულებდნენ მუშაობას და თავისუფალი დრო თითქმის არ გვქონდა, თუმცა, ეკონომიკის მხრივ კიდევ ის დრო ჯობდა, დღეს სტუმარს ელემენტარულ პატივს ვერ სცემ, ეს არის ყველაზე დიდი სირცხვილი. ეს პრობლემა ბოლო დროს გაჩნდა, ხალხს თავის გამოკვებაც უჭირს. სოფლის პრობლემებია უმუშევრობა, უწყლობა და უგზოობა. ერთი მთხრობელი ამბობს, რომ ერთი ხის მოჭრისთვის დააჯარიმეს. სოფელში არ არის ტრაქტორი. არის საქონლის ქურდობა, გამკითხავი კი არავინ არის. ოჯახებს ჰყავთ ურმებიც და ცხენებიც, მაგრამ ცხენით მიწის დამუშავება აქ შეუძლებელია რელიეფის გამო.

ძველად ხორშის თემში, ცალკეულ ოჯახებში, გავრცელებული ყოფილა შინამრეწველობა და წვრილი ხელოსნობა. ცნობილი ხის ოსტატი აკაკი ქაშიბაძე იყო. ის საუკეთესო ორნამენტებს აკეთებდა; სოფელ საგუგუნავოში მცხოვრებ ალე გვეტაძეს სამი უნიკალური ხის ოდა სახლი აუშენებია. ხის ოსტატები იყვნენ ძაკა გუგუნავა, მიხა ფაჩულია, გივი პაჭკორია. ჩონგურის და

ფანდურის ოტატი იყო ხუხუ სახეიშვილი, ამზადებდა ასევე ხანჯალს, ხმალს და ა. შ. მეორე მსოფლიო ომამდე ლუარსაბ ლოლუას აქ ვინმე ჯუღელი ჩამოუყვანია, რომელსაც მცენარეების სათბური ჰქონია. მეთუნე ყოფილა ბუხუტი გვილავა. თიხა იყო პირველ მაისში და აქ ჰქონდა გამოსაწვავი ქურები, ამზადებდა აგურს, საოჯახო ჭურჭელს, ქვევრებს, ჭის გვიმს.

სოფელში ფულადი შემოსავლის წყარო რძის პროდუქტებია. საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც აქ მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა შეზღუდული იყო და 2-3 სული საქონელი ჰყავდა ხალხს. დღეს ჰყავთ ექვსი სული მეწველი ძროხა თავისი ნამატით, სულ, დაახლ. 10-12 სული. მთხრობელთა გადმოცემით, ხორშში არის ძალიან ნაყოფიერი მიწა, არის წყაროებით მდიდარი. სოფლის სახელწოდება ოხორუ (საცხოვრისი) სიტყვიდან მოდის, ხორში ანუ დასასახლებლად ნაყოფიერი და კარგი ადგილი. ძველად, დიდი რაოდენობით დაფნა მოყავდათ, რომელსაც მაღალ ფასში იბარებდა სახელმწიფო. კარგად მოდის მანდარინი, თუმცა რეალიზაციას ვერ ახდენენ, ძალიან იაფი ღირს და ტრანსპორტირება არ უღირთ. მთხრობელი ამბობს, რომ თავისუფლება ყველაზე დიდი ღირებულებაა, მაგრამ დასაქმების და საარსებო წყაროს გარეშე მას ფასი დაეკარგა. უგზოობა და დაუსაქმებლობა არის სოფლის დაცლის მიზეზი.

ძველად მოყავდათ ღომი, ჭვე (ჭვავი), სიმინდი, მუხუდო. აქ ძველად პურიც უთესიათ, რომელსაც 1938 წელს დაბადებული ჩვენი მთხრობელი მოსწრებია. ფულადი შემოსავლის ძირითადი წყარო ახლაც არის საქონელი და სიმინდი. ჩვენი მთხრობელი ნახევრად ხუმრობით ამბობს, ჩვენს ბავშვობაში ისეთი გაჭირვება იყო, რომ წრუქს (წაქა) ჩვენ დაგვალევინებდნენ, ხოლო ყველს ყიდიდნენო. ყველაზე მეტი საქონელი, 10-15 სულამდე მეწველი ძროხა თუ ჰყავთ ოჯახებს, მაგრამ ასეთები ცოტაა, საშუალოდ 2-5 სულამდე მეწველი საქონელი ჰყავთ. მთხრობელის თქმით, საბჭოთა დროს უდარდელად და გემრიელად ცხოვრობდნენ, დღეს ბევრი თუ არ იშრომე, ლუკმა-პურს ვერ იშოვი.

ზოგიერთი ოჯახი ძირითადად მესაქონლეობას მისდევს. ჩვენს მთხრობელს ბოლო დროს ორმოც სულამდე მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავდა, აქედან 16-17 სული მეწველი, მაგრამ მგლებმა გაუნადგურეს და სულ 5 მეწველი ძროხა შერჩა. მგლის მოკვლის უფლება არა აქვთ, ხოლო სახლმწიფო კი სოფელს არ იცავს. საბჭოთა დროს დიდი რაოდენობით საქონელი არ გვყავდა, ამის მიზეზი მისი მოვლისთვის საჭირო დროის უქონლობა იყო, უამრავი გარე სამუშაო და ფულადი შემოსავლის წყარო გვქონდა და ბევრი საქონლის ყოლის აუცილებლობა არ იყო, ამბობს ჩვენი მთხრობელი. ჯემალ გუგუნავას ოჯახს 15 მეწველი კამეჩი და იმდენივე ძროხა ჰყავდა. გადარეკვითი მესაქონლეობა არა აქვთ. ცხვარი არ ყავთ, რამდენადაც აქ ეკლიანი ადგილებია და თუ გაება იხრჩობა. თხებიც იშვიათად ჰყავთ, რადგან მწყემსობა უნდა. ძველად გუგუნავების ერთ ოჯახს 80 სულზე მეტი თხა ჰყავდა. ძირითადად ოჯახებს 5-დან 10 მეწველ ძროხამდე ჰყავთ.

ჩვენი მთხრობლების გარკვეულ ნაწილს კატეგორიულად არ მოსწონს დღევანდელი ცხოვრება, ამბობენ, რომ არც სოფელში და არც მუნიციპალიტეტის ცენტრში არ არის სამუშაო, სოფელში არ არის ბავშვებისთვის გასართობი, ამბულატორია, ტრანსპორტი, მაღაზია. ადრე 15-მდე შენობა იდგა სოფლის ცენტრში, იყო თონე, მაღაზია, ამბულატორია და ყველაფერი ის, რაც აუცილებელია ადამიანისათვის როგორც კულტურული ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. დამოუკიდებლობის შემდგომი წლები ხორშის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არ მიაჩნია დადებითად. შეგვხვდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ძალიან აგრესიულად არიან განწყობილნი, განსაკუთრებით რუსეთის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებენ საბჭოთა დროს კარგად ცხოვრობდნენ ეკონომიკურად, უკან მიბრუნებას არ მიიჩნევენ მიზანშეწონილად, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ ისეთი ცხოვრება აღარ დაბრუნდება.

ხორშის თემში არის ადგილი *ოლებე*, სადაც ამოდის მინერალური წყალი; მსგავსი წყალი ამოდის ფუცუ დგებუაძის სახლის წინ, თუმცა ოლებე უკეთესი წყალია, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს შველის.

მთხრობელთა გადმოცემით, სოფელ საგვასალიოში (ხორშის თემი) ადრე მჭიდრო მოსახლეობა იყო. აქ გვასალიები, მარშანიები, გვათუები, მორგოშიები ცხოვრობდნენ. ახლა სოფელი თითქმის დაცლილია, 16 კომლი ცხოვრობს, ძირითადად მოხუცები. ახალგაზრდები ბავშვებია-

ნად თურქეთში არიან წასულები სამუშაოზე. დარჩა მარშანიას, გვათუას, მორგოშიების თითო ოჯახი. ძირითადად წავიდნენ საცხოვრებლად ქ. ფოთში. ჩვენი მთხრობელი ამბობს, რომ არ უნდა აქ ცხოვრება და წასვლაზე უჭირავს თვალი. ოჯახის ახალგაზრდა წევრები ქალაქში ცხოვრობენ, თვითონ მეუღლესთან ერთად ჯერჯერობით აქ არის, თუმცა აქაურობის მიტოვებას ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი მეურნეობა და საკუთარი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა (ტრაქტორი, ავტომანქანა და ა. შ.) აქვს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს განადგურების პირას არის, თხილის მოსავალიც ქონდა, დაახლ. ორ ტონამდე, ასევე მოყავს საშუალოდ 15-20 ტონა სიმინდი ხობისწყლისპირა მიწებზე (საბჭოთა დროსაც იგივე მოყავდათ), რომელიც ძალიან ნაყოფიერია და ჰექტარზე დაახლ. ხუთი ტონა მოდის. ოჯახში ყავს 5-დან 10 სულამდე მეწველი საქონელი (საბჭოთა დროს ყოლია 30 სული), შინაური ფრინველები, ღორი, თხა. მიუხედავად ამ საკმაოდ მყარი ეკონომიკისა, აქ ცხოვრებას უაზროდ მიიჩნევს, რადგან სიმინდი და თხილი ამ ბოლო დროს ფაროსანამ გაანადგურა. ამბობს, რომ საბჭოთა დრო ჯობდა., პირველ რიგში, ვინც სოფელში დარჩა, მათ შორისაც მეზობლური ურთიერთობები დაიკარგა, თითქოს გაცივდა ხალხი, რომ იტყვიან გამარჯობის თქმა ეზარება ბევრს, ცხოვრების ხალისი აქვთ დაკარგული, სიყვარულის დეფიციტია ურთიერთობებში; მეორე მხივ, ფიზიკურადაც არ არის ხალხი, მარტო ცხოვრებას კი რაც არ უნდა ძლიერი ვიყო ეკონომიკურად, აქ ცხოვრება აუტანელია, მგელივით ტყეში მარტო ცხოვრებას ჰგავს. კომუნისტებზე მაშინ ხალხი ამბობდა, რომ ყველა დოვლათს ითვისებენ, ხალხის ქონებას მარტო ისინი ჭამენო, მაგრამ დღევანდელ დროს რომ შევუდაროთ, მთავრობისგან „შეჭმულები“ ახლა ვართ. ამ ვითარების გამოსწორებას კი ბოლო არ უჩანს. საბჭოთა ხელისუფლება ხალხზე უფრო ფიქრობდა, სოფელს ჰყავდა ადგილობრივი პატრიოტი, სოფლის მოყვარული ხელისუფალი და შესაბამისად ყურადღებასაც იჩენდა ხალხის მიმართ, დღეს კი პატრონი არავინ არის.

ციზეთი-საბერაიოს უბანში მცხოვრებნი ყვებიან, რომ დღეს აქ ბერაიები სულ ორი ოჯახი ცხოვრობს, ადრე დაახლოებით 30 ოჯახი იყო. მიგრაცია დაიწყო საბჭოთა წყობილების დანგრევის შემდეგ. საბჭოთა დრო ჯობდა, თუ იმუშავებდი — ფული გქონდა, ახლა სამუშაოც არ არის და თუ გამოჩნდა რამე, ლუკმაპურის იქით ვერაფერს გამოიმუშავებ. ახალგაზრდობა თითქმის არ დარჩა სოფელში, აქ სამუშაოს ვერ პოულობენ, არანაირი წყარო არ არის, რომ ახალგაზრდამ ფული გამოიმუშავოს, თუ 5 და 10 სული საქონლის დევნაში გაატარა მთელი ცხოვრება თავს კი შეინახავს და მშიერი არ მოკვდება, მაგრამ სხვა ყველანაირ პოტენციალს დაკარგავს, ოჯახსაც კი ვერ შექმნის სოფლის შემოსავლით. მათი აზრით, ერთი მიზეზიც არ არის რომ აქ ახალგაზრდა გაჩერდეს. კიდევ ერთი მთხრობელი ამბობს, რომ კომუნისტების დროს სოფელი კარგი იყო, ახლა არავის უნდა იმიტომ, რომ მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანა ძვირი ჯდება, იგივე პროდუქტის ყიდვა ბაზარში იგივე დაჯდება. ძირითადი შემოსავალი არის პენსია, გვყავს ცოტა საქონელი, რომლის ნამატსაც ვყიდით, მაგრამ გასაყიდად რომ გაზარდო, დიდი დრო უნდა. საბჭოთა დრო იყო ცხოვრებისთვის „უმაღლესი ხანა“, ისეთი აწი არ იქნება. დღეს არანაირი გარე სამუშაო სოფელში არ არის. ქალაქშიც ჭირს, თავის შესანახად საზღვარგარეთ უნდა წახვიდე, ამიტომაც წავიდა ახალგაზრდობა.

სოფელში არის სასმელი წყლის პრობლემა. ჭები ზაფხულში შრება, ვისაც ჭა არა აქვს, ვერ თხრის, რადგან ძვირი ჯდება. ასევე, ამ ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილ სოფელში აქვთ მხოლოდ ერთი სკოლა და ზოგიერთ ბავშვს ათი კილომეტრის გავლაც უწევს ფეხით. არ არის ტრანსპორტი, რომ ქალაქში ჩავიდნენ; არ არის საბავშვო ბაღი. ამბობს, რომ მთავრობამ სტადიონი გააკეთა, მაგრამ რატომ გადაყარა ფული, ვერ ხვდება, რადგან სოფელში ბურთის მოთამაშე არავინ დარჩა. სოფელს არა აქვს არც კლუბი, ბიბლიოთეკა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო თუ გასართობი დაწესებულება. განსაკუთრებით აწუხებთ უგზოობა. აქაც შეიძლება ბევრი რამის გაკეთება და ხალხის დასაქმება. ერთმა ბლოკის საამქრო გააკეთა, თუმცა მუშახელის ადგილზე არყოლის გამო ვეღარ აამუშავა. ეზო-კარმიდამოები და სახლები უპატრონოდ არის მიგდებული, აქაურები მათ უბრალოდ ტოვებენ, გაყიდვასაც ვერ ახერხებენ, არავის უნდა აქ ცხოვრება. ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლების მერე მოიშალა და ვეღარ აღდგა აგერ უკვე

ოცდაათი წელია. მოსახლეობის მცირე ნაწილის დასაბრუნებლად მაინც, პირველ რიგში, საჭიროა საავტომობილო გზის აღდგენა, გაზის გაყვანა და წყლის პრობლემის მოგვარება. ასეთ შემთხვევაში, ისინი მაინც დარჩებიან ვინც ახლა აქ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაახლ. 10 წელიწადში ამ სოფლისგან არაფერი დარჩება. მოსახლეობა ძირითადად იმ უბნებშია დარჩენილი, რომლებიც შედარებით ახლოს არის სოფელ ბიასთან, სადაც გადის ცენტრალური მოასფალტებული საავტომობილო გზა, საიდანაც ადვილია მუნიციპალიტეტის ცენტრში მოხვედრა. დანარჩენი ხორში კი დღითიდღე იცლება.

ხუნწის თემის მცხოვრებლები ასე გადმოგვცემენ თავიანთ და სოფლის ყოფას:

დღეს ოჯახის ძირითად შემოსავალს მესაქონლეობა წარმოადგენს. ერთი მთხრობელი აღნიშნავს, რომ ოჯახში ჰყავთ ერთი სული მსხვილფეხა პირუტყვი, სამი სული თხა, ამდენივე ცხვარი. დღეს დიდი მიგრაციაა და უმუშევრობა. რომ გაგიჭირდეს, სოფელში სასესხებლად 10 ლარსაც ვერ იშოვი. არის თხილი, თუმცა მცირე რაოდენობით. მდინარე ნოღელას ნაპირზე არის ძალიან ნაყოფიერი მიწები. მეორე მთხრობელი აღნიშნავს, რომ ჰყავს ოთხი სული საქონელი; ჰყავდა ღორებიც, მაგრამ ყოველ წელს დაავადება კლავს. აქ ნამატიანად ათ სულზე მეტი საქონელი არავის ყავს. ზოგიერთ ოჯახს 20-25 ცხვარიც ყავს. მოჰყავს მანდარინი, ხურმა და ჩირს ამზადებს. ოჯახის ეკონომიკის წყარო არის სიმინდი. თუ სიმინდი გაქვს, საქონელსაც დაიკავებ. ზედა ხუნწში კარგი მიწაა და ბევრი სიმინდი მოდის. ვაზის ჯიშებიდან გავრცელებულია ცოლიკაური, კაჭიჭი, ადესა, ოჯალეშიც აქვს ზოგიერთ ოჯახს. იყო ოჯახები, რომელთაც 20 ბუკამდე სკა ედგათ. ერთ ბუკში დაახლოებით 3 კილოგრამი თაფლი იწურებოდა. ძველად აქ მესიმინდეობა იყო მთავარი დარგი, ამ მიმართულებით სოციალისტური შრომის გმირებიც ჰყავდა სოფელს, ასეთი იყო ჩვენი მთხრობელი გიორგი იაკინთეს ძე მოსიძე. აქ ადრე გაუვალი ტყეები ყოფილა, ჰყოლიათ ბევრი კამეჩი. საბჭოთა დროს აქ მსხვილფეხა საქონლის ფერმა იყო და ზაფხულში საქონელს მთაში მიერეკებოდნენ, თუმცა ცალკე ოჯახები ამას არ აკეთებდნენ, რადგან არავის ჰყავდა 10 სულზე მეტი საქონელი. 1939 წელს დაბადებული ჩვენი მთხრობელი მოსწრებია ღომის-ღომს (ჩხვერს). აქ თითქმის ყველა ოჯახში ჰქონდათ ხის ხელსაფქვავი (ხეშ სქიბუ) და ოჩამურე. დღესაც აქვთ შემორჩენილი, თუმცა აღარ იყენებენ.

ერთი მთხრობელი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკებამდე გაჭირვებული ცხოვრება იყო. საბჭოთა დროს უკეთესი ცხოვრება იყო. ყველამ თავისი ადგილი იცოდა, ყველას თავისი სამუშაო ჰქონდა. აქ დღეს მესაქონლეობა და სიმინდის მოყვანაა უმთავრესი საარსებო წყარო. თხილი ცოტა მოდის, მიწა კი მის გასაშენებლად ბევრია საჭირო. უზარმაზარ ტერიტორიაზე მაქვს თხილი გაშენებული და 500 კილოზე მეტი ვერ მოდის. კომუნისტებისთანა გლეხისთვის არავინ ყოფილა. აქ ძირითადი შემოსავალი იყო სიმინდი, ჩაი და აბრეშუმი. ჩვენ მოგვყავდა მინიმუმ 100 კგ აბრეშუმი. ერთ სეზონზე ერთ ტონა ჩაის ვკრეფდი, აქედან დაახლოებით პრემიებიანად მარტო ჩაის შემოსავალი დაახლ. 3000 მანეთი იყო. ამას ემატებოდა ტუნგი, გვქონდა ტყემალი, რომელსაც საკონსერვო ქარხანას ვაბარებდით. საქონელი არანაკლებ 5 სული მეწველი მყავდა; ასევე, ათი სული თხა, ერთი უღელი ხარი. იმ დროს სასუქი არ იყო საყიდი, მიწის მოსახნავად ფულს არ ვიხდიდით, რადგან ამაზე სახელმწიფო ზრუნავდა. ძირითადად, დღეს ქართულად ვსაუბრობთ ოჯახში, მაგრამ მეგრული ყველამ ვიცით, ბებიაჩემი იყო ადგილობრივი, ხუნწელია, ის ქართულად არ ლაპარაკობდა. ადრე აქ ყველა მეგრულად ლაპარაკობდა. ეს განაპირობა იმერეთთან სიახლოვემ და იმანაც, რომ აქ იყო რვაწლიანი სკოლა და აქაური ბავშვები სკოლის დასამთავრებლად ბოლო კლასებში მათხოჯში დადიოდნენ. ქართული მეტყველების მასიურად შემოსვლის მიზეზი ისიც არის, რომ აქ სულ იმერეთიდან ჰყავთ მეუღლეები. ახალი რძლები, მიუხედავად იმისა, რომ იციან, მეგრულად არ ლაპარაკობენ ხშირად. სხვა მთხრობლის თქმით, რაც დრო გადის, ცხოვრება ტექნოლოგიების მხრივ უმჯობესდება. ამიტომ დღეს კარგი დროა. თუ შევადარებთ საბჭოთა და დღევანდელ დროს, ეკონომიკის მხრივ მაშინ ყველაფერი ჰყავდათ ოჯახებს — თხა, ძროხა, ღორი, ცხვარი ათ სულამდე. საბჭოთა დროს მოგვყავდა აბრეშუმი, იყო ჩაი, ტუნგი, სიმინდი. ჩვენს ოჯახს 150-200 კგ აბრეშუმის ჭია გამოყავდა. სიხალისე, სილამაზე, სიკოხტავე მოაქვს ეკონომიკურად ძლიერ ოჯახებს, საბჭოთა დროს ეს შესაძლებელი იყო. იმ

დროს აგინებდნენ, თუმცა დღევანდელთან შედარებით სანატრელი გახდა. ერთადერთი ის იყო, რომ თავისუფლებას გვიზღუდავდნენ — ძალით გამუშავებდნენ, თუმცა დღეს მშიერ ყოფნას ის ჯობდა. მშიერი თავისუფალი არ ვარგა, უარესია.

კიდევ სხვა მთხრობლის თქმით, ძველი, საბჭოთა დროის ცხოვრება კარგი იყო ბევრი მიმართულებით, მაგალითად საკვები და ჰაერი უკეთესი იყო. საბჭოთა დროს 3-4 სული მეწველი ძროხა გვყავდა. დღეს 12 სული გვყავს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ეს თანაბარ შემოსავალს იძლევა, რადგან მაშინ საქონლის კვება იაფი ჯდებოდა, ახლა კი საკმარისად ვერ კვებავ და ნაკლებ რძეს იძლევა. დღეს ოჯახის შემოსავალი ხუთჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე მაშინ იყო. საბჭოთა დრო ჯობდა — სიყვარული მაინც იყო. სამუშაოც იყო და დაფასებულიც იყავი. დღეს ვერაფერს ვხედავ მაგდაგვარს. ადრე, ეს ბავშვის აღზრდაშიც ჩანდა, ყველა მუშაობდა ოჯახში და ბავშვებიც ადრეული ასაკიდან იწყებდნენ შრომას. უკვე მე-8 კლასელი ბავშვი გუთანს მიყვებოდა და მიწას ხნავდა. დღეს, ფიზიკურად ჯანმრთელი ახალგაზრდები მოდიან, მაგრამ მთელი დღე არაფერს აკეთებენ, არც სახლში და არც სხვაგან, მთელ დღეს უსაქმურად და ტელეფონის ყურებაში ატარებენ. ადრე სოფელში კაცი რომ გარდაიცვლებოდა, ორმოცი დღე მეზობლებიც მარხულობდნენ, ქათამსაც არ დაკლავდნენ, ტელევიზორს არ ჩართავდნენ, რაც დიდი პატივისცემის და რწმენის გამოხატულება იყო. შეიძლება ეს რაღაც გადამეტებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ დღეს არანაირი მსგავსი ურთიერთპატივისცემის ნიშნები ახალგაზრდობაში არ შეიმჩნევა.

საბჭოთა დრო ჯობდა, ყველაფერი თავის ადგილას იყო. დღეს ჩაწოლილიც რომ იყო, პენსიას სახლში არ მოგიტანენ და თუ მინდობილობა არა აქვს, ოჯახის წევრსაც არ მისცემენ. არაფერი არ არის ხალხზე გათვლილი. საბჭოთა დროს დიდი ფულის შემოსავლის წყარო იყო აბრეშუმის ჭია და ჩაი. ვინც მუშაობდა, ყველა კარგად ცხოვრობდა, სამუშაო კი ყველას ჰქონდა. უმუშევრები და „ლალა“ (უსაქმური) ხალხი დღესაც არის და მაშინაც იყო, მაგრამ დღეს ვისაც უნდა მუშაობა, იმათთვისაც არ არის სამუშაო. კომუნისტებმა ის გააკეთეს ცუდი, რომ დაანგრიეს ეკლესიები და მოსპეს სარწმუნოება. დანარჩენთან პრეტენზია არა მაქვს.

სხვა მთხრობლის აღნიშვნითაც საბჭოთა დროს თხილი არ იყო, მაგრამ სხვა კულტურებისაგან სამჯერ მეტი შემოსავალი გვქონდა, მაგალითად, დაფნა, აბრეშუმის პარკი, ჩაის ვკრეფდით. ამ უმუშევრობის გამო სოფლიდან ახლგაზრდობა უმეტესად თურქეთში და საბერძნეთშია გადახვეწილი, თუმცა მთლად ცარიელი ოჯახები ამ უბანში იშვიათია.

კოკის თემში მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობა იყო. ძველად მესაქონლეები იყვნენ შენგელიები, რომელთაც ენგურისპირას ჰყავდათ ბევრი საქონელი. საბჭოთა პერიოდში რამდენიმე ოჯახს 100-200 სული საქონელი ეყენა, დღეს 5-10 სული ჰყავთ. არ დარჩა საძოვრები, თხილის პლანტაცია გააშენეს ყველგან, თუმცა ამანაც არ გაამართლა. ჰექტარზე დაახლოებით ერთი ტონა თხილი მოდის. უფრო მეტი საქონელი ჰყავთ ზღვისპირა მონაკვეთში, თუმცა იქაც ბევრმა შემოაკავა და იქაც უკვე მესაქონლეობის პრობლემაა.

ძველადაც და საბჭოთა დროსაც აქ შემოსავლის ძირითადი წყარო იყო სიმინდი, რომელიც ურმებით ანაკლიაში მიჰქონადათ გასაყიდად; ასევე, ძირითადი დარგი იყო მესაქონლეობა. საბჭოთა დროს ოჯახში ჰყავდათ 8-9 სული მეწველი კამეჩი, 35-40 სული მეწველი ძროხა, მაგრამ მაშინ ბევრი საძოვარი იყო. ამდენის უფლება არ გვქონდა, 4-5 სულზე მეტის ყოლა არ შეიძლებოდა, მაგრამ მამაჩემი ომის ვეტერანი იყო და რაღაცნაირად ახერხებდა რომ არ ჩამოერთვათ. ახლა მყავს 15-16 სული საქონელი, რამდენიმე კამეჩი; სიმინდი მომყავს 4-5 ტონამდე, ჰექტარზე 3,5-დან 5 ტონამდე მოდის კარგი ამინდის პირობებში.

1937 წელს ყოფილი აზნაური თადა ყარამანის ძე ჩიკვატია გადაუსახლებიათ. მას სახლში ჰქონია მანდარინების ბაღი, რომელიც მაშინ იშვიათი იყო. როდესაც ბოლშევიკები ქონების აღსაწერად მოსულან, მათ თითოეული მანდარინის ნაყოფი დაუთვლიათ. ჩიკვატიას ჰყოლია ცხრა შვილი. ბოლშევიკებისთვის უთქვამს, ბავშვებმა რომ მოწყვიტონ მანდარინი და რომ დააკლდეს რა ვქნაო, მათ უპასუხიათ, რომ ამის უფლება ბავშვებისთვის არ უნდა მიეცა. მაშინ ამდგარა გაბრაზებული და სათითაოდ ნაჯახით მოუჭრია ყველა ძირი მანდარინი. ამ დროს აქ პირველი არტელის ხელმძღვანელი იყო ფილია საჯაია. სწორედ მის დროს გადაასახლეს ბაბუაჩემი ციმ-

ბირში. როდესაც მოიხადა სასჯელის ვადა, ფილია საჯაიასთვის მოუწერიათ საპატიმროდან, გამოეშვათ თუ არა. ფილია საჯაიას მიუწერია, რომ ის სახიფათო იქნებოდა რეჟიმისთვის და რჩევა მიუცია, არ გამოეშვათ. როგორც ჩანს მას შურისძიების შეეშინდა. ამის გამო, ჩიკვატიასთვის სამუდამო პატიმრობა მიუციათ და იქ გარდაცვლილა.

კოკის თემში მცხოვრები მოსახლეობის განწყობა დღევანდელი ყოფის მიმართ იგივეა, რაც ხორშის და ხუნწის თემის შემთხვევაში, ამიტომაც ზედმეტად მიგვაჩნია მთხრობელთა განწყობის დაწვრილებით მოყვანა.

თორსა-დღვაბას მცხოვრებლები სოფლის ყოფას ასე ახასითებენ:

ერთი მთხრობელი ყვება, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს შემდეგაც გარკვეულ ხანს დიდი გაჭირვება იყო, არ იყო საკვები. ისე გვიჭირდა, რომ როცა „მაქერე“ მსხალი შემოდიოდა, მას ვხარშავდით, მისგან ღომს და პურსაც ვაცხობდით. ომის დროს იყო ამერიკული დახმარებაც, მახსოვს კვერცხის ფხვნილი. თორსაში ძველად ყოფილა სახერხი, ამ უბანს დღეს „ნაზაოდუს“ (ნაქარხნალი) ეძახიან. ამ ქარხანას ვინმე კობახიძე ფლობდა.

ღომის-ღომის მოყვანას მოსწრებიან ჩვენი 70-80 წლის მთხრობელები, თუმცა ძალიან მკრთალად ახსოვთ მისი გემო და თვისებები. მათ დროს უფრო წიწილების საკვებად იყენებდნენ. დღეს გვყავს 20 სული მეწველი ძროხა, თუმცა ეს ცოტაა. ადგილზე, მაისის თვეში, ერთი კილოგრამი სულუგუნი 6 ლარად იყიდება, ხოლო მისი საბაზრო ფასი 8-9 ლარია (2018 წლის მონაცემით, - დ. ჭ.). 1940 წელს დაბადებული ჩვენი მთხრობელი არ მოსწრებია ღომის ღომს, მაგრამ გადმოცემით ახსოვს, რომ ის ძველად მოყავდათ. ყველაზე დიდი რაოდენობით მოდიოდა სიმინდი და ის იყო აქაურების შემოსავლის ძირითადი წყარო. აქ ჩემს დროსაც გავრცელებული იყო სელის კულტურა, მაგრამ ტექნიკის უქონლობის გამო დღეს არ მოყავთ. ვაზის ჯიშები იყო ფრანგულა, კაჭიჭი და იზაბელა. დაბლარი ვაზი არ იყო. დღეს სოფლის მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი არის მესაქონლეობა და სიმინდის მოყვანა. საბჭოთა დროს კი მეჩაიეობა და მესიმინდეობა ძალიან იყო განვითარებული. დღეს სოფელში ღორებიც კი ცოტა ჰყავთ, რადგან ღორის დაავადებები გაჩნდა და აზრი არა აქვს მის გაზრდას. მეკამეჩეობა და თხების მოშენებას არ მისდევენ.

საბჭოთა დროს ხალხს ჰქონდა სამუშაო, დღეს არა აქვს, თუმცა მაშინ ეს ცოტა დაძალებითაც ხდებოდა. სოფლიდან ხალხს არ უშვებდნენ, ადგილზე მუშახელის შენარჩუნების მიზნით. სასწავლებლად რომ წასულიყავი, დიდხანს გაწვალებდნენ, რომ ცნობა მიეცათ. მეორე მსოფლიო ომის დროს და მერეც 10-15 წელი ცუდი იყო. საბჭოთა დროს ჰქონდა პლიუსიც და მინუსიც, ცუდი ის იყო, რომ არ იყო თავისუფლება. დღეს ხალხმა სოფელში წესით უნდა ირჩინოს თავი თავისი შრომით, მაგრამ ახალგაზრდები არ ჩერდებიან, რადგან მუდმივი სამუშაო არ არის. არიან ახალგაზრდები, რომლებიც სოფლის შიგნით მუშახელის საჭიროების შემთხვევაში, თანასოფლელების ოჯახებში არ კადრულობენ ფულზე ფიზიკურ მუშაობას, მაგრამ წავლენ სხვაგან და იქ ადვილად შეუძლიათ მოსამსახურედ დადგნენ. ახლანდელ დროში ნათესავებს შორისაც შეწყდა მისვლა-მოსვლა, ადრე ეს რეგულარულად ხდებოდა, გაწყდა ურთიერთობები. ეკონომიკური ფონის მხრივაც უარესობაა. მეორე მსოფლიო ომის მერეც რთული ცხოვრება იყო, მაგრამ ადამიანებს შორის პატივისცემა და თბილი ურთიერთობა იყო. აქ თორსა-დღვაბას საბჭოთა მეურნეობის არსებობის დროს აიშენა მოსახლეობამ ორსართულიანი სახლები, დღეს ასეთ სახლებს ვერც ერთი გლეხი ვერ აიშენებს, გარდა მთავრობის ხალხისა და დიდი ბიზნესით დაკავებული ადამიანისა. საბჭოთა კოლექტივის დრო ჯობდა გლეხობისთვის. დღევანდელ წყობაზე და ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებითს ვერ ვიტყვი. ახლა უფროს-უმცროსობის პატივისცემის ტრადიციაც დაიკარგა. ვერ წარმოვიდგენდით თუ ტელევიზიით ბილწსიტყვაობას გავიგებდით, დღეს ყველაფერი სულერთია. ძველად, ურთიერთდახმარება სავალდებულოც კი იყო მეზობლებს შორის, ახლა კი ფულზე მიდგა საქმე. ადრე სოფლის სტადიონი სავსე იყო ყოველდღე და ბურთს თამაშობდნენ ბავშვები, ახლა მობურთალს ვერ ნახავ.

თორსა დღვაბაში ზოგიერთი ოჯახი მეცხენეობასაც მისდევს. მას კილო ხორცის ფასად, დაახლ. 3 ლარად ყიდიან. არის 500-დან 1000 ლარამდე ღირებულების ცხენები. გახედნილი ცხენი უფრო მეტი ღირს. ყველას აქვს დაღი მფლობელის გვარის მიხედვით.

* * *

სამეგრელოს სოფლის თანამედროვე ყოფაზე წარმოდგენილმა ეთნოგრაფიულმა მასალამ ძალიან მძიმე სურათი დაგვანახა. სოფლებში მოშლილია ყოველგვარი წარმოება, არის უგზოობა, დიდი მიგრაცია, ეს იმ პირობებში, როდესაც მხარის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო ძალიან ხელსაყრელია კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი დარგების განვითარებისთვის. ახალგაზრდობამ, რა თქმა უნდა არ იცის საბჭოთა დროის ცხოვრების დონე, მაგრამ XX საუკუნის 60-იან წლებში და უფრო ადრე დაბადებულ თაობაში დიდი ნოსტალგიაა იმდროინდელი ყოფის მიმართ. ძალიან ბევრისთვის ემოციურად რთულია ამის აღიარება, მაგრამ ამას ჩვენი რესპონდენტები მაინც არ მალავდნენ. ჩვენთვისაც რთულია იმის წარმოდგენა, რომ იმ ეპოქიდან 30 წლის მერე როგორ უნდა მოეხერხებინა ხელისუფლებას საბჭოთა დრო მოენატრებინა ადამიანებისათვის. მოსახლეობის გაღიზიანებას, უმთავრესად ეკონომიკური მიზეზები იწვევს, არანაკლებია უსამართლობის, დაუდევრობის და არაკომპეტენტურობის განცდა, რომელსაც ხალხი გრძნობს იმ ადამიანებისაგან, ვისაც „ირჩევს“. საბჭოთა დროისაგან განსხვავებით გლეხმა არ იცის გაჭირვების დროს ვის მიმართოს, რომ სამართალს მიაღწიოს, არჩეული დეპუტატი თვალითაც არ უნახავს, რომ რამე ჰკითხოს მაინც, რომც ნახოს — ვერაფერი ხეირი. გლეხი უკეთ გრძნობდა თავს მაშინ, როცა ერთი განცხადებით, როგორც თვითონ იტყვიან, „მთელ ცეკას ჩახსნიდა“. გვინდა მოვიყვანოთ XX საუკუნის 60-80-იანი წლების და დღევანელი საშუალო შესაძლებლობის გლეხის ოჯახის წლიური შემოსავლის შედარება.

საბჭოთა დროს: დაფნა დაახლ. 600 კგ (დაახლ. 5000 მანეთი); აბრშუმის პარკი 50 კგ (დაახლ. 500 მანეთი); ჩაი 3 ტონა (800 მანეთამდე. ზოგიერთ ოჯახს საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე ჰქონდა ჩაის პლანტაცია, რომელსაც „კერძო ჩაის“ ეძახდნენ და მას სახელმწიფო სამჯერ უფრო მეტ ფასად იბარებდა, ვიდრე კოლმეურნეობის ნაკვეთიდან მოკრეფილს (1 ტონა, 3000 მანეთი); ჩაის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლასთან დაკავშირებული სამუშაოები, დაახლ. 500 მანეთი; ტუნგი 100 კგ (დაახლ. 300 მანეთი); სიმინდი 3 ტონა (დაახლ 1000 მანეთი); ციტრუსები (მანდარინი 5 ტონა, დაახლ. 500 მანეთი, ლიმონი 500 კგ, დაახლ. 200 მანეთი); მინერალური სასუქები უფასოდ დაახლოებით 100 მანეთის (დღეს ეს უდრის 500 ლარს). მიწის დამუშავება უფასო დაახლ. 100 მანეთის (დღეს ეს უდრის 1000 ლარს ერთ ჰექტარზე). მსხვილფეხა საქონელი 5 სული, წვრილფეხა საქონელი 3 სული (ღირებული დაახლ. 2500 მანეთის). აქ არაფერს ვამბობთ ელექტროენერგიის დაბალ ტარიფზე, რომელიც თვეში სამიდან შვიდ მანეთამდე უჯდებოდა ოჯახს (დღეს ორმოცდაათიდან ას ლარამდე ადის ეს ციფრი). საბჭოთა ხელისუფლების დროს სამეგრელოში გაზიფიცირება არ იყო (დღესაც არ არის დასრულებული). დიზელის საწვავი, 1 ლიტრი ღირდა 3-11 კაპიკი (ახლა, 2,5 ლარი). ამ მონაცემებს თუ დავიანგარიშებთ, რომელიც აღებულია საშუალო შესაძლებლობის დაახლოებით 5 სულიან ოჯახზე, გამოდის, რომ საშუალო შესაძლებლობის გლეხის წლიური შემოსავალი ფულზე გადაყვანით, უხეში გათვლებით 12 000 საბჭოთა მანეთს შეადგენდა. დღევანდელი ფასების გათვალისწინებით ეს დაახლ. 50 000 ლარს შეადგენს.

ახლა ვნახოთ, აქვს თუ არა 50 000 ლარიანი შემოსავალი დღევანდელ საშუალო სიძლიერის იმავე გლეხს. დღეს სამეგრელოში უმთავრესი შემოსავლის წყარო არის თხილი, რომელიც მასიურად გააშენეს და ამით სხვა კულტურები ან საერთოდ გაქრა წარმოების მოშლის გამო (ტუნგი, ჩაი, თუთა) ან ძალიან მცირე ნაკვეთებზე მოყავთ (დაფნა, სიმინდი). სიმინდის ფართოდ მოყვანა უფრო შენარჩუნდა ზღვისპირა და აბაშის მუნიციპალიტეტის რიგ სოფლებში. თხილი რაოდენობრივად საშუალო შეძლების ოჯახს 2 ტონამდე მოყავს (აქ ზუსტ ციფრს ვერ დაადგენ, ვერც რაოდენობის და ვერც საბაზრო ფასის მხრივ, რადგან ეს დამოკიდებულია მის ხარისხზე და იმ წლის კლიმატურ გარემოზე), რაც დაახლ. 7-დან 15 ათასი ლარამდეა, საშუალოდ 8 ათასი ლარი; დაფნა 300 კგ, დაახლ. 1500 ლარი; მსხვილფეხა საქონელი 5 სული, დაახლ. 6 ათასი ლარი. აქედან გამომდინარე, საშუალო შემოსავალი რძის პროდუქტებიდან — 1000 ლარი. სიმინდის მოსავალი 2 ტონამდე, დაახლ 2500 ლარი. დღევანდელ პირობებში სულ ეს არის და ძლივს ადის წელიწადში 20000 ლარამდე, რაც მხოლოდ

და მხოლოდ დღევანდელ საარსებო მინიმუმს უტოლდება 5 სულიანი ოჯახისთვის. დღეს სწორედ ამგვარი შესაძლებლობის ოჯახები თვლება საშუალო შემოსავლის მქონედ, რომლებიც ალბათ მოსახლეობის 40%-ს შეადგენს, განსხვავებით საბჭოთა დროისაგან, სადაც ოჯახების 90%-ზე მეტი სწორედ ზემოთ წარმოდგენილ შემოსავლებს ფლობდა. ამავე დროს, ამ შემოსავლებში უნდა გავითვალისწინოთ ის ხარჯები, რომელსაც გლეხი სწორედ ამ ფულიდან ხარჯავს მიწის დასამუშავებლად საჭირო სამუშაოების, შხამ-ქიმიკატებისა და მინერალური სასუქებისათვის, რაც წელიწადში ზემოთ წარმოდგენილი მოსავლის მოსაყვანად 2000 ლარამდე უჯდება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალებიდანაც ჩანს, რომ სამეგრელოს სოფელში ვითარება ნამდვილად მძიმეა და თუ ამას სახელმწიფომ დროზე არ მიხედა, მცირე ხანში საგანგაშო დემოგრაფიულ სურათს მივიღებთ. სოფელში არ დარჩება მუშახელი. აქედან წასული ახალგაზრდობა საქართველოს ქალაქებს კი არ შეემატება, რადგან ხდება არა შიდა, არამედ გარე მიგრაცია, მუშახელი ქვეყნის გარეთ გაედინება. ერთადერთ გამოსავლად, შრომის კოოპერაცია იაფი გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხის პროგრამების შემოღება მიგვაჩნია, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება სოფლის მოსახლეობის ადგილზე დამაგრება.

მიწის საკითხი. XIX საუკუნეში საგლეხო რეფორმა საქართველოში მემამულეთა ინტერესების გათვალისწინებით გატარდა.[1] სამწუხაროდ, დღესაც, ამ დარგის სპეციალისტების აზრი მთლიანად უგულვებელყოფილია. მეორე მხრივ, მიწის გადანაწილების საკითხზე აზრს გლეხობას, სოფელს და თემს არავინ ეკითხება.

მიწის საკითხის ნათელსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლე ისტორიული ექსკურსი წარმოვადგინოთ:

ბატონყმობის ინსტიტუტს საქართველოში ფესვები იმ სოციალურ წყობილებაში აქვს, რომელიც პატრონყმობაზე იყო დამყარებული და რომელიც თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებობდა საქართველოში (XI საუკუნიდან). პატრონყმობა შემდეგში, მის წიაღში მომხდარი ცვლილებების შედეგად თანდათანობით გადაგვარდა და უკვე XV-XVI საუკუნეებისათვის ახალი, ბატონყმობაზე დამყარებული სოციალური წყობილებით შეიცვალა. ამ დროიდან დაწყებული XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ეს უკანასკნელი, სოციალურ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ ქვაკუთხედს წარმოადგენდა, რომელიც არსებითად განსაზღვრავდა ამ ურთიერთობათა ყველა ნორმას. პატრონყმობისაგან წარმომდგარი და პატრონის მიერ ყმაზე „მბრძანებლობის უფლების ხელში ჩაგდებით წარმოშობილი“, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებლური კლასის (გლეხობის) მდგომარეობის გაუარესებას მოასწავებდა.[2] ის მოასწავებდა თავისუფალ მიწისმუშათა ფენის გაქრობას და, მათ შორის არსებითი უფლებრივი განსხვავებების მოსპობას. თუ პატრონყმობის დროს სრულიად უუფლებო (ნატყვევნი, ნასყიდი, დავალიანებული) გლეხთან ერთად, ნახევრად ან სრულად თავისუფალი გლეხიც (ნებიერი, ხელოსანი, თავდაწერილი, მსახური) არსებობდა, რომელსაც თავისი საკუთარი კარმიდამო და მიწაც კი („ფუძე“) ჰქონდა, ამიერიდან ასეთი ნახევრად ან სრულიად თავისუფალ გლეხთა ფენა უკვე აღარ იყო, ყველა გლეხი ბატონის მიწაზე იყო მიჯაჭვული, მას ამუშავებდა და ბატონის სასარგებლოდ ბეგარა-გადასახადს იხდიდა; ბატონის უნებართვოდ ის მიწას ვერ დატოვებდა, ვერ დატოვებდა თავის ბატონს და სხვას ვერ მიუვიდოდა. საბატონო ბეგარა-სამუშაოს გარდა, რომელიც წინანდელთან შედარებით, ამ დროისათვის ფრიად გაზრილი იყო, გლეხს ახლა მრავალი სხვა გადასახადიც (სამეფო, სამოხელეო, საეკლესიო) აწვა; ასევე, სამხედრო მოვალეობა და მძიმე ხარკი დამპყრობელთა სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ბატონყმობა ცვლილებებს განიცდიდა, ის მაინც ერთი და იგივე სოციალურ მოვლენას წარმოადგენდა XVI-XIX საუნეებში.[3] ამდენად, პატრონყმობა, ანუ საქართველოში სათავადოების (XV ს.) გაჩენამდე არსებული ფეოდალური ურ-

---

[1] **შ. ჩხეტია,** საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 02.

[2] **შ. ჩხეტია,** საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. VII.

[3] **შ. ჩხეტია,** საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. VIII.

თიერთობები გლეხობის მიმართ უფრო ლიბერალური იყო, ვიდრე ბატონყმობის პირობებში.

თავადთა და აზნაურთა ფენის ჩამოყალიბების შემდეგ გლეხთა ფენებიც ჩამოყალიბდა იმის მიხედვით ვის დამოკიდებულებასა და მფლობელობაში იყვნენ ისინი — მეფის, ეკლესიის, თავადის თუ აზნაურის. ჩვეულებრივ, ყმა გლეხების გვერდით წარმოიქმნა ისეთი კატეგორიები, როგორც იყვნენ მსახურნი, აზატნი, მოჯალაბენი, ხიზნები, ბოგანონი და სხვები.[1]

XI-XII სს. მასალებიდან ჩანს, რომ ზოგ გლეხს სრული ფუძე და მასთან ერთად ნაყიდი მიწაც ჰქონდა. უფრო ხშირად კი ერთ ფუძეზე ორი, სამი და მეტი ოჯახი იჯდა. უკვე ამ დროს არსებობდნენ მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხები, რომლებიც ხელოსნობითა და საშოვარზე სიარულით ირჩენდნენ თავს.[2] XIV საუკუნის კანონმდებლობაში ფიქსირებულია „გლეხები“, რომლებიც ყმებს ფლობდნენ. მათი გარკვეული ნაწილი აზნაურობას იღებდა. XVIII საუკუნეში გაიზარდა ასევე გლეხთა მიერ ნასყიდი მიწის როლი.[3] ვახტანგ VI-ის სამართალმა ეს ურთიერთობები უფრო დაარეგულირა და იქ არ გამოირიცხა (160-163 მუხლები) გლეხების უფლება შეეძინათ როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება სყიდვით. მაგრამ გლეხს ბატონის „უდასტუროდ“ ნება არა აქვს რამე გაყიდოს. 64-ე მუხლი ნებას აძლევდა გლეხს ესარგებლა თავისი მებატონის საძოვრით, სათიბით და ტყით, უსასყიდლოდ — თავისი პირადი საჭიროებისათვის.[4] XVIII საუკუნიდან საქართველოში მამულების ყიდვა-გაყიდვამ ისეთი მასშტაბი მიიღო, როგორიც მას არასოდეს ჰქონია მანამადე. მიწას ყიდდნენ, როგორც ფეოდალები, ისე გლეხები. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სოფლის მშრომელი მოსახლეობა უფრო ხშირად გამოდის გამყიდველის როლში, ვიდრე პრივილეგირებული წოდება.[5] ამ საუკუნის მეორე ნახევარში კი თავადაზნაურობა უსწრებს სოფლის მშრომელ მოსახლეობას მამულების გაყიდვაში და, პირიქით, მკვეთრად ჩამორჩება მას მიწების შესყიდვაში.[6]

თავისუფლების მოსაპოვებლად ყველაზე საიმედო გზას გლეხისთვის თავის დახსნა-გამოსყიდვა წარმოადგენდა და ხშირად დიდი მსხვერპლის გაღებით აღწევდა კიდეც მიზანს. თავდახსნილი გლეხების ნაწილი თავისუფლებას ინარჩუნებდა, ნაწილი კი ჰკარგავდა.[7]

იმპერატორის 1808 წლის 7 ივლისის ბრძანებით, აღმოსავლეთ საქართველოში დაბალი სამღვდელოება — მღვდლები, დიაკვნები და სხვა საეკლესიო მსახურნი, სამუდამოდ გათავისუფლდნენ მებატონეთა როგორც ყმური დამოკიდებულებისაგან, ისე ყოველგვარი საბატონო გადასახადისა და ვალდებულებისაგან.[8] სამეგრელოში დაბალი სამღვდელოება ყმობისგან 1841 წელს გათავისუფლდა.[9] 1842 წელს რუსეთის იმპერიაში გამოიცა კანონი „ვალდებული გლეხების შესახებ“, რომლის თანახმადაც მემამულეებს უფლება ჰქონდათ, თუ მოისურვებდნენ, დაედოთ თავიანთ ყმა-გლეხებთან ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიეცათ მათთვის მიწის ნაკვეთები გარკვეული პირობით. 1847 წლის კანონით ყმა გლეხებს უფლება ეძლეოდათ გამოესყიდათ თავი მამულის გაყიდვის დროს. კანონი უფლებას აძლევდა ყმა გლეხებს შეეძინათ მიწა საკუთრებად თავიანთ სახელზე. ამის შედეგად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე 1842-1844 წლებში გამოსული დადგენილებები, რომლებიც ზღუდავდნენ მემამულის სასამართლოს კომპეტენციას და მემამულის უფლებებს ყმაზე.[10] მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ვახტანგ VI-ის სამართალი სამოქალაქო საქმეების გადასაჭრელად კვლავ გამოიყენებოდა, თუმცა

---

[1] **შ. ჩხეტია,** საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. X.

[2] **ა. ბენდიანიშვილი,** გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., 1989, გვ. 19.

[3] **ა. ბენდიანიშვილი,** გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 20.

[4] **შ. ჩხეტია,** საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. XVI, XXIII-XXIV.

[5] **ი. ანთელავა,** XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის (სოფლის მასალების მიხედვით), თბ., 1977, გვ. 84.

[6] **ი. ანთელავა,** XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების..., გვ. 85.

[7] **ი. ანთელავა,** XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების..., გვ. 94.

[8] **დ. გოგოლაძე,** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა) 1800-1864 წწ. თბ., 1971, გვ. 11.

[9] **დ. გოგოლაძე,** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში..., გვ. 14.

[10] **შ. ჩხეტია,** საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. XXIX.

ის რუსულ დაწესებულებებს სავალდებულოდ არ მიაჩნდათ და საქმეებს მაინც რუსული კანონების მიხედვით წყვეტდნენ. ვახტანგის სამართალს მაშინ იყენებდნენ, როდესაც რუსული კანონი საკმარისი არ იყო. ფიციალურად, ვახტანგ VI-ის სამართალი 1860 წელს გაუქმდა.[1]

1864 წლის 13 ოქტომბერს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა ბრძანებულებას თბილისის გუბერნიაში (აღმ. საქართველო) ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ბრძანებულების თანდართული დებულების მიხედვით, გლეხს ნება ეძლეოდა თავისი ნადელი (კარმიდამო, სავენახე, სახნავ-სათესი მიწები და სხვა სავარგულები), მთლიანად ან ნაწილობრივ, სრულ საკუთრებად შეესყიდა, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ მემამულე ამის თანახმა იქნებოდა.[2] ბატონყმობის გაუქმების შედეგად, ყმებს პირადი თავისუფლება მიენიჭათ, რაშიც თავადაზნაურობამ, გარდა ერთდროული კომპენსაციისა, დამატებითი დახმარება მიიღო. დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსულ გლეხს დებულებით მიწა მიეცა, მაგრამ არა საკუთრებად, არამედ მუდმივ სარგებლობაში, რისთვისაც ის პატრონს უხდიდა იმავე გადასახადებს, რასაც რეფორმამდე. გლეხს მისთვის გამოყოფილი მიწის საკუთრებად შესყიდვა მხოლოდ მებატონის თანხმობით შეეძლო. ნაკვეთის გამოსყიდვამდე იგი დროებითვალდებულ გლეხად იწოდებოდა. გამოსყიდვის შემდეგ კი მესაკუთრეთა კატეგორიაში გადადიოდა, მაგრამ რაკი გამოსყიდვა სავალდებულოდ არ იყო გამოცხადებული, დროებითვალდებულებამ მუდმივი ხასიათი მიიღო და კანონით მხოლოდ 1912 წელს გაუქმდა.[3] საგლეხო რეფორმა სამეგრელოში 1866 წელს გატარდა.[4]

რეფორმამ გლეხს პირადი თავისუფლება მისცა, მიწაზე საკუთრება კი არა. იურიდიულად ის თავისუფალ ადამიანად გახდა, მაგრამ არა სრული სამოქალაქო უფლებებით. რეფორმის შემდეგ მემამულეს აღარ შეეძლო გლეხის ყიდვა, გაყიდვა, გაჩუქება, როგორც ეს მანამდე იყო; გლეხს ნება მიეცა მიეტოვებინა თავისი ყოფილი მეპატრონე და, სადაც უნდოდა, იქ წასულიყო. გლეხს შეეძლო თავისი სახელით დაედო ხელშეკრულება, ხელი მოეკიდა ვაჭრობისთვის ან სხვა საქმისთვის, თავისი სახელით გამოსულიყო სასამართლოში მომჩივნად და მოპასუხედ. მიეტოვებინა გლეხის წოდება და მდაბიოდან ვაჭრად ჩაწერილიყო. მოისპო გლეხის პირადი (ბატონყმური) დამოკიდებულება მემამულეზე. კანონის მიხედვით გლეხებს თავისი ოფლითა და სისხლით მორწყული საგლეხო მიწები უნდა გამოესყიდათ, ე. ი. ეძლიათ გამოსასყიდი გუშინდელი მიწათმფლობელისათვის. კანონი სავსებით ათავისუფლებდა მცირემემამულიან მებატონეებს ვალდებულებისაგან გლეხებისათვის მიწა გამოეყოთ; კანონი უმიწოდ „ათავისუფლებდა“ იმ გლეხებსაც (ხიზნებს, შინაყმებს), რომელთაც რეფორმამდე მიწა არ ჰქონდათ.[5]

XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში 1 დღიურ მიწაზე საშუალოდ 10 კოდ პურის მოსავალს ანგარიშობდნენ. მიწის ფართობის მიხედვითაც ასე იყო სახელმწიფო გლეხობა დაჯგუფებული: უმიწო და 3 დღიურამდე მიწის პატრონი გლეხები ღარიბებს მიეკუთვნებოდნენ, 3-დან 15 დღიურამდე მფლობელი — საშუალოს, და 15 და მეტი დღიურის მფლობელი — მდიდარს.[6]

საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრება, ე. წ. „ნასყიდობის ინსტიტუტი“, რომელიც ჯერ კიდევ ფეოდალური ურთიერთობების წინარე ხანაში არსებობდა, ქართული ფეოდალური სამართალით მტკიცედ იყო დაცული.[7] ვახტანგის სამართლით „ნასყიდი მამულის ხელის ხლება სახელმწიფოს მეტს არავის შეეძლო, მაგრამ მეფესაც, როგორც არ უნდა დაესაჯა ყმა, ნასყიდი მაინც არ უნდა მოეშალა. ნასყიდ მამულს საბატონო გადასახადი არ ედო და ასეთი მამულის პატრონს, გლეხი

---

[1] **შ. ჩხეტია,** საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. XVIII.

[2] **ი. ანთელავა,** საგლეხო რეფორმა საქართველოში და მისი მნიშვნელობა, თბ., 1966, გვ. 20.

[3] **ი. ანთელავა,** საგლეხო რეფორმა საქართველოში და მისი მნიშვნელობა, გვ. 23.

[4] **შ. ჩხეტია,** საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 39.

[5] **შ. ჩხეტია,** საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 44-45.

[6] **ე. ორჯონიკიძე,** XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ. 67.

[7] **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 1, თბ., 1964, გვ. 370. ფეოდალური სამართალი მტკიცედ იცავს მიწის საკუთრებას და თუ გლეხს დღეს არა აქვს ამ მამულების მოძიების სახსრები და ვერც მიწას ამუშავებს, რომელსაც მას მეზობელი არ ედავება, მიზანშეწონილია, რომ ეს საბუთები მოძიებულ იქნას სახელმწიფოს სახსრებით და ამის საფუძველზე გლეხობას მუდმივ საკუთრებაში გადასცეს.

იქნებოდა ის თუ ფეოდალი, სრული უფლება ჰქონდა, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა ისე მოექცეოდა — გაეყიდა, გაეჩუქებინა, მზითვად მიეცა და სხვა. მართალია ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ბატონის მხრიდან გლეხის ნასყიდი მიწის მითვისებას და მასზე გადასახადის დადებას, მაგრამ ეს ქართული ფეოდალური სამართლის დარღვევა იყო და შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.[1] ამრიგად, გლეხის კუთვნილ ნასყიდ მიწაზე, სახელმწიფო სამართლით, მებატონეს ხელი ვერ მიუწვდებოდა და ასეთ მიწას საბატონო გადასახადები არ ედო, მხოლოდ სახელმწიფო ბეგარა-გადასახადებისაგან არ იყო თავისუფალი ნასყიდი ადგილ-მამული, ფეოდალის იქნებოდა ეს (გლეხებით დასახლებული ადგილ-მამული) თუ ყმა გლეხების.[2]

გლეხების მონაწილეობა მიწების ყიდვა-გაყიდვაში XVIII ს. მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს, ხოლო XIX საუკუნიდან გლეხების მიერ მიწის ნასყიდობის უამრავი საბუთი გვაქვს.[3] რეფორმამდელ ხანაში შესყიდული მიწები საკმაოდ ბევრ გლეხს დაუმტკიცეს XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან. XIX საუკუნის დასაწყისიდან, ბატონყმობის გაუქმებამდე კარგა ხნით ადრე, გლეხობას სერიოზული იერიში ჰქონდა მიტანილი ფეოდალურ საკუთრებაზე.[4] რეფორმის წინარე წლებში გლეხობის მდიდარი ფენა ფეოდალური ფორმაციისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი შეძლებული გლეხები კი არ იყვნენ, არამედ სოფლის ბურჟუაზიას წარმოადგენდნენ, თუმცა მრავლად იყვნენ უმიწო და მცირემიწიანი გლეხები, რომელთა არსებობის ძირითად საშუალებას საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავება წარმოადგენდა.[5] გათავისუფლებულ გლეხებს სამეგრელოში სრულ საკუთრებაში გამოსყიდვის გარეშე ეძლეოდათ კომლზე ხუთი ქცევა მიწა (ეზო, სახნავ-სათესი, სათიბი) დანარჩენ ტერიტორიას შეუზღუდავ საკუთრებაში იღებდნენ მებატონეები.[6]

რეფორმის შედეგად გლეხობამ მიწა მიიღო არა საკუთრებაში, არამედ მუდმივ სარგებლობაში. გლეხთა მამულების იურიდიულ მესაკუთრედ მიუხედავად გლეხური მეურნეობის დამოუკიდებლად არსებობის ჩასახვისა, მაინც მემამულე რჩებოდა.[7] ამდენად, დროებით ვალდებულების ინსტიტუტი ფაქტიურად ბატონყმობის ნაირსახეობას წარმოადგენდა. ღალა დაწესებული იყო არა იმდენად მიწაზე, რამდენადაც შრომაზე. თუ გლეხი არ გადაიხდიდა ღალა-კულუხს, მემამულეს უფლება ჰქონდა აღეწერა და გაეყიდა მისი უძრავ-მოძრავი ქონება, ან გაეგზავნა გლეხი და მისი ოჯახის წევრები გარე სამუშაოზე.[8] ქართველმა მემამულეებმა რომლებიც მთავრობის მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ, უარი თქვეს ეცნოთ გლეხთა საკუთრების უფლება ბატონყმობის დროს შეძენილ მიწებზე იმ საბაბით, რომ კანონიერად (ნოტარიული წესით) დამტკიცებული ნასყიდობის სიგელები მათ არ გააჩნდათ. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხთა ბევრი ნაყიდი მიწა, საწესდებო სიგელების ძალით, ნადელებზე იქნა მითვლილი; ბევრი, ჩამონაჭრების სახით, მემამულეთა სრულ განკარგულებაში გადავიდა.[9] გაუთავებელი სასამართლო პროცესებით თავმობეზრებული გლეხები, რომლებმაც რამდენადმე დაკარგეს რწმენა თავისი დოკუმენტების ძალისადმი, იძულებული იყვნენ ნადელებთან ერთად ხელმეორედ გამოესყიდათ საკუთარი მიწები.[10]

სანადელო მიწების გამოსყიდვისა და მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის ოფიციალური უფლება (ზოგიერთი შეზღუდვებით) მიღებული ჰქონდათ დროებითვალდებულ გლეხებს და ისინი, შეძლებისდაგვარად სარგებლობდნენ ამ უფლებით.[11]

---

[1] **ე. ორჯონიკიძე,** XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს..., გვ. 124.
[2] **დ. გოგოლაძე,** საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება..., გვ. 182.
[3] **ი. ანთელავა,** XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური..., გვ. 64-86; **ა. ბენდიანიშვილი,** აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 93.
[4] **ე. ორჯონიკიძე,** XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს..., გვ. 125, 133.
[5] **ე. ორჯონიკიძე,** XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს..., გვ. 201.
[6] **ა. ბენდიანიშვილი,** აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ. გვ. 11.
[7] **ა. ბენდიანიშვილი,** აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ. გვ. 12.
[8] **ა. ბენდიანიშვილი,** აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ. გვ. 15.
[9] **ა. ბენდიანიშვილი,** აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ. გვ. 94.
[10] **ა. ბენდიანიშვილი,** აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ. გვ. 95.
[11] **ა. ბენდიანიშვილი,** აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ. გვ. 100.

1891 წლის დებულებით ხიზან გლეხთა შესახებ, მათ ეძლეოდათ უფლება იმ მიწის ფლობის, რის საზღაურადაც მემამულეების წინაშე გარკვეულ ვალდებულებებს ასრულებდნენ. ხიზნების მიერ მემამულეთა მიწებზე აგებული სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, მათგან გაშენებულ ბაღ-ვენახთა ნარგავები ხიზანთა საკუთრებად იქნა ცნობილი. თუმცა, 1900 წელს ხიზანთა შესახებ კანონში გარკვეული შესწორებები შევიდა, რომელიც მემამულეთა ინტერესებს ითვალისწინებ-და და ხიზნად ჩაითვლებოდა ის გლეხი, რომელიც მემამულის ნებართვის საფუძველზე დასახ-ლდა მის მიწაზე და ბევრი თვითნებურად ჩამოსახლებული გლეხი უკვე ვეღარ ახერხებდა ხიზ-ნობის დამტკიცებას და იძულებული იყო ჩვეულებრივი მოიჯარის უფლებებს დასჯერებოდა.[1]

1869 წლიდან 1904 წლამდე დასავლეთ საქართველოში ნადელი გამოისყიდა 35 ათასმა კომლმა დროებით ვალდებულმა გლეხმა. მათ 149 ათასი ჰექტარი მიწის საკუთრებაში შესყიდვა 7,5 მილიო-ნი მანეთი დაუჯდათ. დროებით ვალდებულებაში დარჩა მხოლოდ 20 ათასი კომლი გლეხი. ქუთაი-სის გუბერნია იყო ერთადერთი მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, სადაც დროებით ვალდე-ბულ გლეხთა 69%-მა საკუთარი სახსრებით გამოისყიდა სანადელო მიწა; სხვა გუბერნიებში საგა-მოსყიდვო ოპერაციები ძირითადად მიმდინარეობდა მთავრობის სესხის გამოყენებით. XIX საუკუ-ნის 80-იან წლებში ერთ ჰა მიწის საშუალო ფასი 200 მანეთს შეადგენდა; 90-იან წლებში 300 მანეთს გადააჭარბა. ნაყოფიერი სახნავ-სათესი და ბაღ-ვენახები 1000-2500 მანეთად იყიდებოდა. XIX ს. დამდეგს დასავლეთ საქართველოში გლეხთა საკუთრებაში იყო დაახლოებით 400 ათასი ჰა მიწა, ხა-ზინისა და თავადაზნაურთა საკუთრებაში კი რჩებოდა 200 ათასი ჰა გლეხთა სანადელო მიწა.[2] 1900 წლის 1 მაისის კანონი სახელმწიფო გლეხების მიწათმოწყობის შესახებ, რეალურად არსებული მდგომარეობის ფიქსირებასა და ამ მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაციის შედგენაში გამოი-ხატა, იგი არ ითვალისწინებდა უმიწო და მცირემიწიანი გლეხებისა და გლეხთა საზოგადოებისათ-ვის მიწის ნადელის გამოყოფას და ამ ნაკვეთის გარკვეულ ნორმამდე აყვანას ასეთი ნორმები საერ-თოდ არ დაწესებულა. კანონმა ვერ გადაჭრა აგრარული საკითხი და სახაზინო გლეხთა დიდი ნაწი-ლი ძველებურად მიწით დაუკმაყოფილებელი დარჩა.[3] 1900 წლის 5 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „ხიზან გლეხთა“ შესახებ. კანონით, მემამულე ხიზნის აყრის შემთხვევაში ვალდებული იყო აენაზ-ღაურებინა მისთვის ამ უკანასკნელის საკუთრებად ცნობილი ქონების მხოლოდ ორმაგი ღირებუ-ლება მაგრამ არ იყო ვალდებული აენაზღაურებინა მიწის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები, არ იყო განსაზღვრული თუ რაში გამოიხატებოდა ჩვეულებით დაწესებული ხიზნური გადასახადე-ბი. საბოლოოდ, ხიზანთა ინსტიტუტი 1917 წელს გაუქმდა.[4]

1905 წლის 22 ნოემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა ი. ვორონცოვ-დაშკოვმა უმაღლეს მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სანადელო მიწების გლეხ-თა საკუთრებაში დამტკიცებას, ასევე მცირემიწიანი გლეხებისათვის თავისუფალი სახაზინო მიწის ნაკვეთების დარიგებას. მაგრამ, სახელმწიფო საბჭომ კანონპროექტი არ მოიწონა.[5] 1912 წლის 20 დეკემბერს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა კანონი, ამიერკავკასიაში დროებით-ვალდებულებითი და დამოკიდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ; ის შეიცავდა ნადელით სავალდებულო გამოსყიდვის წესებს, რომელიც 32 მუხლისაგან შედგებოდა.[6] კანონი არსებითად უცვლელად ტოვებდა სანადელო მიწების გამოსყიდვის ჯერ კიდევ XIX ს. 60-იან წლებში შედგენილ წესებს. სიახლე მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ გამოსყიდვა სავალდე-ბულო გახდა ორივე მხარისათვის. გლეხობა, მართალია, გათავისუფლდა მემამულეთა სასარ-გებლოდ მიწის რენტის გადახდის ვალდებულებისაგან, მაგრამ გადაიქცა სახელმწიფოს მოვა-

---

[1] **ა. ბენდიანიშვილი,** გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 166.

[2] **ა. ბენდიანიშვილი,** გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 176-177.

[3] **ი. ანთელავა, ვ. გუჩუა,** საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. რეფორმის შემდეგდროინდელი ხანა. ნარკვევები, თბ., 1967, გვ. 127-128.

[4] **ი. ანთელავა, ვ. გუჩუა,** საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 163, 180.

[5] **ა. ბენდიანიშვილი,** გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 235.

[6] **ა. ბენდიანიშვილი,** აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ. გვ. 159.

ლედ. მას სახელმწიფო ხაზინისაგან მიღებული სესხის პროცენტის დასაფარავად ყოველწლიურად უნდა გაეღო გამოსასყიდი. გადასახდელთა გარკვეული ნაწილი, ადრინდელ ღალა-კულუხზე ნაკლებ როდი აწვებოდა გლეხის ბიუჯეტს. ამდენად, მას შემდეგ, რაც საქართველოს გლეხობამ ღალა-კულუხის სახით თითქმის ოთხმაგად დაფარა თავის მუდმივ სარგებლობაში არსებული მიწის ღირებულება, ბატონყმობის გაუქმების 50 წლისთავზე იგი აიძულეს ერთხელ კიდევ გამოესყიდა ნადელები.[1]

1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ. 1918 წლის 7 მარტს სეიმმა დაამტკიცა აგრარული კანონი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დააჩქარა საადგილმამულო კანონის რეალიზაცია. ეროვნული სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა რუსეთის სახაზინო და საუფლისწულო მიწები. ჩატარდა მსხვილი კერძო მამულების კონფისკაცია. ტყეებისა და საძოვრების გარდა სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში ჩაირიცხა 621 ათასი ჰა სახნავ-სათესი მიწა და ბაღ-ვენახები, რომელიც საადილმამულო კომიტეტებს იჯარით უნდა გაეცათ გლეხებზე.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაიწუნა მიწის სოციალიზაციის პროგრამა და მთავრობის აგრარული რეფორმის მიმართულება, მოითხოვა გლეხობისათვის მიწის საკუთრებაში გადაცემა და, საერთოდ, კერძო საკუთრების დაკანონება. პარლამენტისა და მთავრობის უმრავლესობა დათმობაზე წავიდა. 1919 წლის 28 იანვარს დამტკიცდა ახალი საადგილმამულო კანონი. მოსახლეობის ყველა ფენა თავის განკარგულებაში ადრიდანვე არსებული და ახლად მიღებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრედ გამოცხადდა. დაშვებულ იქნა მიწის თავისუფლად ყიდვა-გაყიდვა. მიწის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.[2]

1919 წლის 28 იანვარს საქართველოს მთავრობამ აგრარული საკითხის გადასაჭრელად გამოსცა ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ფონდიდან ღარიბი გლეხობისათვის მიწის მიყიდვას. ფასები ფრიად შეღავათიანი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი გასაყიდი მიწები მეტად მცირე აღმოჩნდა სახელმწიფო ფონდში. მენშევიკებმა მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს.[3] მაგრამ მათ არ მოუსპიათ მიწაზე კერძო საკუთრება და არც მუნიციპალიზაციის პროგრამაზე აუღიათ ხელი. ბევრი კაპიტალისტური მეურნეობა ხელუხლებელი დარჩა. ამ მეურნეობათა მფლობელებს თითქოს ჩამოართვეს ნორმაზე მეტი მიწა, მაგრამ ეს ჩამორთმეული სავარგულები გლეხებს კი არ ეძლეოდათ, არამედ ტოვებდნენ „დაზარალებულ პირთა“, წინანდელ მესაკუთრეთა იჯარაში. ამან კი ძალიან შეამცირა გლეხობისათვის გადასაცემი მიწის ფონდი.[4] ასეთი რამ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ხდებოდა, როდესაც გაზეთ „კოლხიდა“ 1911 წელს წერდა, თავი იჩინა „სოფლიდან გლეხების გადასახლებამ. საკუთარი მიწის უქონლობა, მემამულეთა მიწების იჯარით საშინლად გადიდება და სხვადასხვა მოხელეებისაგან შევიწროება, აიძულებენ გლეხს გლოვა-ტირილით დასტოვონ კარმიდამო და გადაიხვეწოს“.[5]

1919 წელს გატარებული აგრარული რეფორმა ბურჟუაზიული და ამავე დროს დემოკრატიულიც იყო. მან დააკანონა მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის, ბატონყმობის ამ ეკონომიკური საფუძვლის ლიკვიდაცია. მემამულეებისათვის ნორმად დატოვებული 7-15 და 40 დესეტინა მიწა უკვე აღარ იყო საკმარისი გლეხობის ნახევრად ბატონყმური ექსპლოატაციის გაგრძელებისათვის. სამაგიეროდ, რეფორმამ ხელსაყრელი პირობები შექმნა თავისუფალ შრომაზე დამყარებული გლეხური, ფერმერული, კოოპერაციული და სახელმწიფო მეურნეობების განვითარებისათვის.[6]

---

[1] **ა. ბენდიანიშვილი,** გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 236.

[2] **ა. ბენდიანიშვილი,** საქართველოს პირველი რესპუბლიკა, წიგნ. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 363.

[3] **ა. ბენდიანიშვილი,** გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 249.

[4] **ა. ბენდიანიშვილი,** გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, გვ. 250.

[5] გაზ. კოლხიდა, 1911 წ. № 11.

[6] **ა. ბენდიანიშვილი,** საქართველოს პირველი რესპუბლიკა, წიგნ. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, გვ. 364.

* * *

მიწის საკითხზე წარმოდგენილი მოკლე ისტორიული ექსკურსიდან რეზიუმეს სახით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ გლეხს საკუთარი კუთვნილი მამული 4-5 გზის აყიდინეს, ყოველი ახალი ხელისუფლების ახლ-ახალი კანონის მიღების გამო ერთი კონკრეტული ოჯახის მთელ თაობებს ბოლო 200-300 წლის განმავლობაში თავიდან უხდებოდა საკუთარი, ერთხელ შესყიდული მიწისთვის ბრძოლა და ხელახალი დაკანონება. საქართველოში დღეს ერთ-ერთი აქტუალური გადაუწყვეტელი პრობლემის — მიწის საკითხის ისტორიულ ჭრილში დასმა და ქართველი გლეხისთვის მიწის დაკანონების ოპტიმალური გზების ძიება ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს დღევანდელი საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესებიდან და სხვადასხვა კონფლიქტური რეგიონებიდან გამომდინარეც.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიწის შესახებ 1995 წლიდან მიღებული კანონების გაანალიზებას როცა შევეცადეთ, აღმოჩნდა, რომ დღევანდლამდე იმდენი პუნქტებია მიღებული, შეცვლილი და ძალადაკარგულად გამოცხადებული, რომ მაღალი კომპეტენციის იურისტსაც კი გაუჭირდება მათში გარკვევა. დღევანდელ ვითარებაში, ამ კანონმდებლობიდან გამომდინარე, ფაქტია, რომ სოფელში გლეხს მიწა საკუთრებაში ისევ არა აქვს, მას უხდება დიდი ბრძოლა მცირეოდენი ნაკვეთის დასაკანონებლად და თავისი წინაპრის მიერ რამოდენიმეჯერ ნაყიდი მიწის უკეთეს შემთხვევაში თავიდან ყიდვა, ან მის დაბრუნებაზე საერთოდ ხელის ჩაქნევა. ფაქტია, რომ მიწის განაწილების პრობლემის გადაწყვეტა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შესძლო გლეხის სასარგებლოდ.

სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ნათელია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გლეხობის უმრავლესობა შეეცადა დაებრუნებინა ბოლშევიკების მიერ ჩამორთმეული საკარმიდამოს გარეთ არსებული მათი წინაპრების ოდესღაც კუთვნილი მიწის ნაკვეთები. ამ მიწების ნაწილი შეძენილი იყო „ნასყიდობით“ ფეოდალისგან, ნაწილი კი მოგვიანებით რუსეთის იმპერიის თუ პირველი რესპუბლიკის დროს სახელმწიფოსაგან. ამ ეპოქებში გლეხის საკუთრებაში მყოფი თითოეული მიწის თუ ტყის ნაკვეთები საზღვრების დასაფიქსირებლად ერთმანეთისაგან სპეციალური თხრილებით და, უმეტეს შემთხვევებში, ამ თხრილებში ნახშირის ჩამარხვით იყო მონიშნული. ოჯახის გაყოფის შემთხვევაშიც ახალ საზღვრებს მონიშნავდნენ ამავე წესით. დღემდე ყველა გლეხმა იცის სად იყო გასაბჭოებამდე მათი წინაპრების საკუთრებაში მყოფი მიწის და ტყის ნაკვეთი. სამეზობლოში მიწის მფლობელობაზე რაიმე დავის წარმოიქმნის შემთხვევაში უხუცესებს მიმართავდნენ. ამ ისტორიული მახსოვრობით (რამდენადაც უმრავლესობას ნასყიდობის საბუთი დაკარგული აქვს), გლეხებმა ბოლშევიკების მიერ ჩამორთმეული მიწების უმრავლესობა ჩათვალეს, რომ დაიბრუნეს და შემოაკავეს კიდეც, თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აგერ უკვე ოცდაათი წელიწადია მათი კერძო საკუთრებაში დაკანონება არ მომხდარა. გამოდის, რომ როგორც XIX, ისე XX და XXI საუკუნეებშიც გლეხმა კიდევ ერთხელ უნდა იყიდოს წინა საუკუნეებში რამდენჯერმე მათი წინაპრების მიერ ნაყიდი მიწის ნაკვეთები (იხ. ზემოთ.). მეორე მხრივ, ე. წ. „მიტაცების“ წესის გარდა, გლეხს მიწის ნაკვეთების თუ საკარმიდამოების დაკანონების ძალიან მცირე ნაწილის უფლება ეძლევა. დამოუკიდებლობის შემდგომი ყოველი ახალი ხელისუფლება თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს ამ საკითხს და არც ერთხელ გლეხის სასარგებლოდ. ხელისუფლების ყოველი ცვლილების შემდგომ გლეხს ახალ-ახალი რეგულაციების გავლა უწევს. მეორე მხრივ, ზოგიერთმა გლეხმა უსახსრობის გამო ვერ შეძლო არა თუ დაეკანონებინა, არამედ შემოეკავებინა ჩაის ბუჩქებით, ტუნგის თუ თუთის პლანტაციებით და ეკალ-ბარდებით დაფარული თავისი წინაპრების ნაკვეთები. ბოლშევიკების მიერ წართმეული ეს მიწის ნაკვეთები გლეხობას დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ისევ წაართვეს და სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ გადაწყვიტა მისი გასხვისება თუ გრძელვადიანი იჯარით გაცემა, უფრო მომგებიანად უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ამან სამეგრელოში გლეხობა თავისავე კუთვნილ მიწაზე იაფფასიან მუშახელად აქცია. ამ ყოველივეს კი ამართლებენ სამუშაო ადგილების შექმნით და ინვესტიციების შემოდინებით. ისმის მარტივი კითხვა — ქართველი გლეხის ბრალია სახელმწიფოებრივი წყო-

ბილებების და იმპერიების შეცვლა? რატომ არ უნდა დაუბრუნდეს მას ერთხელ უკვე (და არა ერთხელ) ნაყიდი მიწა უპირობოდ დამოუკიდებლობის და ეროვნული ხელისუფლების პირობებში?

დღეს სწორედ ისეთი მიდგომა ჩანს, რომ ვისაც ფული აქვს იმას უნდა მიეცეს მიწა და ადგილობრივი მცხოვრები საკუთარ ქონებაზე სამათხოვროდ იყოს დასაქმებული. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც უცხოური კაპიტალის შემოსვლა ქართულ სოფელში, ამ შემთხვევაში მიწასთან მიმართებაში, საქართველოს ეკონომიკისთვის არ არის მომგებიანი, რამდენადაც აქ იაფი მუშახელით შექმნილი ეს დოვლათი და კაპიტალის უმეტესობა რჩება არა ადგილზე, არამედ მუდმივად გაედინება უცხოეთში. მიწების უმრავლესობას, ფლობს თუ არა გლეხი მას ოფიციალურად, უსახსრობის გამო ვერ ამუშავებს. ეს ყოველივე იწვევს ადგილობრივ მცხოვრებთა მიგრაციას ქალაქში თუ უცხოეთში. სახელმწიფო დახმარება კი ამ მიმართულებით ნულის ტოლია და საბანკო სესხები იმდენად კაბალური, რომ არ ღირს მიწის სამუშაოებზე მისი აღება. ის თანხა, რომელსაც უცხოელი თავისი წინაპრის მიერ ოდესღაც კუთვნილი მიწის სამუშაოებზე ადგილზე უხდის, სავსებით არაადეკვატურია ღირსეული არსებობისათვის.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოში მიწის გადანაწილება მოსახლეობას შორის ყოველგვარი ზედმეტი დაბრკოლების და ადმინისტრაციული სირთულეების გარეშე უნდა მოხდეს და, მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა იქნას ამ მიმართულებით შესწავლილი ამა თუ იმ კუთხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სპეციფიკა. არ არის აუცილებელი მთელ ქვეყანაში არსებობდეს მიწაზე საკუთრების უფლების ერთიანი კანონი. ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ რეგიონში შემორჩენილ მიწის ფონდებს და იმას, თუ როგორ ხდებოდა ისტორიულად საგლეხო რეფორმა და გლეხთა შორის მიწის გადანაწილება. ხელისუფლების ცვლილების კვალდაკვალ ქართველი გლეხობის უმრავლესობას ჩამოერთვა მის მიერვე ნაყიდი, მისივე წინაპრების მიერვე სიხლით და ოფლით ათასწლეულობით დაცული ქართული მიწები.

საბჭოთა იმპერიამ გლეხი დატოვა მისივე ხელახლა შესყიდული მიწის გარეშე. ეს ის მიწის ნაკვეთებია რომლებიც ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ გლეხობას კი არ აჩუქეს, არამედ საკმაოდ სოლიდურ თანხად აყიდინეს. საგლეხო რეფორის შეორეულ ისტორიას რომ თავი დავანებოთ, დღეს დამოუკიდებლობის პირობებში რატომ უნდა იყიდოს ბოლშევიკების მიერ ჩამორთმეული ისევ იგივე მიწა გლეხობამ და რატომ არ უნდა ჰქონდეს თავიანთი წინაპრების მიერ შეძენილი მიწის სრული განკარგვის, საკუთრებაში ქონის უფლება და რატომ უნდა იყოს იძულებული „მიტაცებით“ დაეუფლოს მას. აქაც დარღვეული ჩანს კონსტიტუციურად 1918-1921 წლების საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობის პრინციპი. თან გაუგებარია ის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „მიტაცება“. აქაც ნაღმი ჩანს ჩადებული, რამდენადაც ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა სახელმწიფომ დაგსაჯოს და ეს „მიტაცებული“ მიწა მართლა მიტაცებულად ჩათვალოს და წაგართვას, შესაძლოა სხვა სანქციებითაც გამოიყენოს. ამ მხრივ გარე საფრთხეები, კერძოდ, ქვეყნის რომელიმე ნაწილის ოკუპაციის პირობებში უფრო მეტია. ამის საშიშროება კი ჩვენთვის არახალია.

სამეგრელოში სასწრაფოდ უნდა მოხდეს მიწის უსასყიდლოდ, ყოველგვარი საარქივო და სხვა მასალების მოძიების გარეშე მიწის გადაცემა გლეხთათვის იმ პრინციპით, რითაც ის მათ ბოლშევიკებმა ჩამოართვეს და ამით არავითარი წინააღმდეგობა სოფელში არ იქნება, რამდენადაც ყველამ ზუსტად იცის თავისი საზღვრებით, თუ სად მდებარეობს მათი წინაპრების მიწა და ტყის მასივი. ამ ყოველივეს სოფლის თემის მცხოვრებლები ადგილზე დაარეგულირებენ. იქნებ დაფიქრდეს სახელმწიფო და თუნდაც ბოლშევიკების დროინდელი ერთ-ერთი სოფლის მეურნეობის აღორძინების მაგალითიდან მაინც განვითარების ოპტიმალური გზები დასახოს, გთავაზობთ ამ ინტერვიუს: ჯგალის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის) „გამარჯვების“ კოლმეურნეებმა თავიანთი საქმიანობა ჩაის პლანტაციის გაშენებით დაიწყეს. ჩაის გაშენება მაშინ, — განაგრძობს ვიქტორ სალია, — არა მარტო ჩვენს რაიონში, არამედ მთელს რესპუბლიკაში ახლად წამოწყებული საქმე იყო და ამდენად გაშენების გეგმა არ იყო განსაზღვრული, შეიძლებოდა იმდენის გაშენება, რამდენსაც შეძლებდი, ნებადართული იყო აგრეთვე ჩაის ინდივიდუალურად გაშენება. მთავრობა ჩაის გასაშენებლად იძლეოდა კრედიტს, დაახლოებით 300 მანეთს, მაშინდელი

კურსით, ჰექტარზე 7 წლის ვადით. ამასთან, აწარმოებდნენ დასაქონლებას, ე. ი. წარმოების მოცულობის შესაბამისად იძლეოდნენ ფართლეულს და ხორბალს, რომელსაც გაეთიანების წევრები თანაბრად ინაწილებდნენ სამუშაოზე გამოსული კაცდღეების რაოდენობის მიხედვით. შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა უმაღლეს დონეზე იყო. გაერთიანების ყველა წევრი შრომობდა მაქსიმალური დატვირთვით – დილის 8 საათიდან თითქმის დაღამებამდე. დახარჯული შრომის მეტნაკლებობას არავინ ანგარიშობდა. პირადად მე, როგორც ხელმძღვანელს, დანამატი ანაზღაურება არ მეძლეოდა. მეც ისეთივე დატვირთვით ვმუშაობდი, როგორც სხვები, მხოლოდ საერთო საქმისათვის გაცდენილი დღეები ან საათები მეთვლებოდა როგორც ნამუშევარი დღე. დაგვიანების ან სამუშაოს ადრე მიტოვების, ანდა სამუშაო დღის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევა არ ყოფილა. უკიდურეს შემთხვევაში სამუშაოზე გამოდიოდა მისი შემცვლელი, ოჯახის წევრი ან სხვა ვინმე. შესრულებულ სამუშაოზე თვის ბოლოს დგებოდა შესრულების აქტი, რის საფუძველზეც ბანკიდან ვიღებდით სესხს, რასაც ვანაწილებდით კაცდღეების მიხედვით. ასეთი ერთსულოვანი და თავდადებული შრომის შედეგად 1930 წლის გაზაფხულზე შევძელით აგროწესების დაცვით ჩაის 7 ჰექტარზე დათესვა (ეს ყველაფერი გაკეთდა ხელით), სწორედ ის კარგი მოსავლიანი ჩაის პლანტაცია, რომელიც ამჟამად კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობას აქვს ვეიჯინჯში, ჩვენ მიერ არის გაშენებული.[1]

დიახ, საბჭოთა მთავრობაც კი იძლეოდა კრედიტს და ისიც 7 წლის ვადით, ჰექტარზე 300 მანეთს. დროა დავფიქრდეთ მსგავს ნაბიჯებზე, თუკი ვინმეს ქართული სოფლის და შესაბამისად სახელმწიფოს აღორძინების სურვილი კიდევ შერჩა.

ურთიერთდახმარების ფორმები. საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე იზოლირებული ადამიანი უძლურია როგორც ბუნების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფაში. ისეთ საკითხთა შორის, როგორიცაა ოჯახის ისტორია, საზოგადოებრივი ურთიერთობები, არის შრომის ორგანიზაციის და ურთიერთდახმარების ფორმები, რომელიც თავისთავად სოციალური ერთობისკენ მისწრაფების ზოგად კანონზომიერებას ატარებს. ამ კანონზომიერების გამოხატულება კონკრეტულ-ეთნიკურ ფორმებში ბევრი საგულისხმო ელემენტის შემცველია და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში მას სწორი ორიენტირის შესრულება შეუძლია.[2] ეთნიკური ტრადიცია არის საზოგადოებრივი წარმონაქმნი, სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი, ადამიანთა ჯგუფის მოქმედების გამოხატულება, განმეორებადი დროში, ხშირად თაობიდან თაობაში.[3] ეთნიკური ტრადიციების ისტორიულ განვითარებაში შესწავლა, ტრადიციების დღევანდელი მდგომარეობის ცოდნასაც გულისხმობს. ურთიერთდახმარების ადგილი და როლი საზოგადოების ცხოვრების პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის წარმოადგენს როგორც ოჯახის ეკონომიკისათვის აუცილებელ ელემენტს, ისე ზნეობრივ მოვლენას. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ცხოვრების „წესი“, ყველაზე უწინარეს, ცხოვრებას ერქვა და გამოხატავდა გარკვეული ყოფა-ცხოვრებისა და ქცევის რიგს დაწერილი იყო იგი თუ დაუწერელი.[4]

ქართულ სოფელში ტრადიციულად არსებული ურთიერთდახმარების ფორმების ეთნო-ფსიქოლოგიური თუ მორალურ-ზნეობრივი არსის შესწავლა ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი საკვანძო და რთული საკითხია. ამ სისტემის შიგნით უამრავი ტიპის, სახეობების და ვარიანტების გამოვლენა იგულისხმება, როგორიცაა: რეგიონალურ თავისებურებათა დაზუსტება, ტრადიციული კოოპერირებისა და შრომის ორგანიზაციის შესწავლა და სხვა, რომელიც თანამედროვე აქტუალურ პრობლემებს პირდაპირ პასუხობს. ქართულ სოფელში ოდითგანვე არსებული მრავალფე-

---

[1] **ს. კვარაცხელია,** ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობა, გვ. 18-19.

[2] **მ. გეგეშიძე,** ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978, გვ. 180-181.

[3] **მ. გეგეშიძე,** ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 172.

[4] **ივ. ჯავახიშვილი,** ქართული სამართლის ისტორია, წიგნ. **ივ. ჯავახიშვილი**, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 33.

როვანი ურთიერდახმარების ფენომენი იყო ახლო ტერიტორიაზე მცხოვრებთა მეზობლობით განმტკიცებული შრომის კოოპერაციის მეტად მოქნილი და ეკონომიკურად მომგებიანი ფორმა, მას შეეძლო გადაეწვიტა ისეთი პრობლემები, როგორიცაა: სასწრაფოდ მოსაგვარებელი და შრომატევადი სამუშაოს ოპერატიულად და დროულად დასრულება, ეკონომიკურ გაჭირვებაში ჩავარდნილი ოჯახისადმი შემწეობის აღმოჩენა, მოულოდნელი უბედურების გამო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახის მიმართ დახმარება და სოლიდარობის სხვადასხვა დამოუკიდებელი სახეობები. ის ერთგვარი კომუნიკაციის საშუალებაც არის, ერთი მხრივ დასახლებული ერთეულის ფარგლებში არსებულ ოჯახებსა და, მეორე მხრივ, რამდენიმე დასახლებულ ერთეულს შორისაც. აღნიშნულია, რომ ეს წესი სოფლის, უბნის თუ თემის შიგნით კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მიზნით წარმოიშვა.[1] ეს არ იყო დროებითი გაერთიანება, არამედ მუდმივად მოქმედი, რომელიც მყარ სოციალურ ინსტიტუტებთანაც კი შეიძლება გავაიგივოთ. ის წმინდა მორალურ-ზნეობრივ და ნათესაურ ურთიერთობებზე იყო დამყარებული.

ქართული სოფლის ყოფითი თავისებურებების ტრანსფორმაციის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა დღევანდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო. საჭიროა იმის გააზრება, თუ რა ხასიათის იყო ადრე ზნეობრივ-ადათობრივი ნორმები და როგორ მოხდა ამ ნორმების ერთი ლოკალური ჯგუფის შიგნით (ადამიანთა სოლიდარობის, კოლექტიური შრომის თუ შრომის კოოპერაციის) ტრანსფორმაცია, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ უგულვებელყოფა.

საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ურთიერთდახმარებისა და ერთობლივი შრომის საკითხები, ჩვეულებრივ, მეტწილად იხილებოდა თემისა (გვაროვნული, სამეზობლო) და თემობრივი პრობლემების შესწავლის პროცესში, რამდენადაც ურთიერთდახმარება თემური წყობილების წარმონაქმნად და მის სისხლხორცეულ ელემენტად ითვლებოდა. მაშინ, როგორც ნავარაუდევია, არსებობდა განაწილებითი ურთიერთობები და არა გაცვლითი. განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში შენიშნულია, რომ ერთობლივი შრომა აქ წარმოებითი ურთიერთობაა და არა უბრალოდ ორგანიზაციულ-შრომითი.[2] შრომითი ურთიერთდახმარების წარმოშობა სტადიალურად ისეთი საზოგადოების პროდუქტიცაა, როცა არქაული სოციალური ფორმები ოჯახებად და პატრონიმიებად იწყებენ დიფერენციაციას. თავდაპირველად, ჩნდებოდა შრომითი ურთიერთდახმარების გარკვეული ნიშნები, რაც ოჯახების რიცხობრივი შემცირების პარალელურად მყარად მკვიდრდებოდა და სრული ფორმით ყალიბდებოდა. სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებით გამოწვეული აუცილებლობა ბუნებრივად იბადებოდა. სამუშაო ძალის შემცირებასთან ერთად, ოჯახს აღარ შესწევდა ძალა დამოუკიდებლად გაძღოლოდა რთულ მდგომარეობას, მით უმეტეს ისეთ სამეურნეო-გეოგრაფიულ რეგიონსა და ბუნებრივ-ეკოლოგიურ გარემოში, სადაც მეურნეობის ფორმათა მრავალფეროვნება იყო.[3]

რეგიონალურ თავისებურებათა გამოვლენა, ტრადიციული კოოპერირებისა და შრომის ორგანიზაციის შესწავლა პირდაპირ პასუხობს თანამედროვე აქტუალურ პოზიციას, ხალხის საწარმოო ცოდნა-გამოცდილების გამოყენებას, რომლის მეოხებითაც ადგილობრივი მოსახლეობა, საუკუნეების მანძილზე ისე არსებობდა, რომ გარეშეთაგან დახმარებას და მეტადრე სურსათით უზრუნველყოფას არ საჭიროებდა.[4]

საცხოვრებელი გარემოს, ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ვერტიკალური ზონალობის ამომწურავი შეცნობა, ამის მიხედვით საქმიანობის წარმართვა, შრომის ზუსტი განაწილება, სქესობრივ-ასაკობრივი პრინციპის, წელიწადის დროთა და მეურნეობის მოთხოვნილებათა მი-

---

[1] **ბ. გძელიძე,** ურთიერთდახმარების ფორმები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) XIX ს-ის მეორე ნახევარი XX ს. დასაწყისი, თბ., 1989, გვ. 6-7.

[2] **ბ. გძელიძე,** ურთიერთდახმარების ფორმები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გვ. 6-7.

[3] **ნ. მგელაძე,** შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმები აჭარაში// „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, თბ., 1989, გვ. 43.

[4] **ლ. ფრუიძე,** ახალი მონოგრაფიული გამოკვლევა. რეცენზია ბ. გძელიძის წიგნზე „ურთიერთდახმარების ფორმები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) XIX ს-ის მეორე ნახევარი — XX ს. დასაწყისი// *„მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის ... სერია*, 2, თბ., 1989, გვ. 184.

ხედვით, რაც განმტკიცებული იყო ურთიერთდახმარების ფორმებით და სარწმუნოებით, ქმნიდა შესაძლებლობას უაღრესად მძიმე პირობებში არა თუ ეარსებათ, არამედ მოსახლეობის კვლავწარმოების მაღალი ტემპი ჰქონოდათ, პირნათლად შეესრულებინათ სასოფლო, სათემო და სახელმწიფო ვალდებულებები, აგრეთვე შრომის ზოგადსახელმწიფოებრივ დანაწილებაში საკუთარი სპეციფიკური წვლილი შეეტანათ.[1]

აღნიშნულია, რომ რეგიონალურ საარსებო საშუალებათა დაკარგვა იმდენად საბედისწეროა, რომ ყოფნა-არყოფნით ვაგებთ პასუხს. მტერი იმდენად ვერაფერს დაგვაკლებს, რამდენადაც წინაპართა მიერ გამომუშავებული ერის სასიცოცხლო ძალების და საშუალებების დაუნახაობა.[2] ამ საუკუნეებრივ სამეურნეო საქმიანობის შესაბამისობაში მოიყვანა ხალხმა ფოლკლორიც. მაგალითად, ისეთი სიმღერა როგორიცაა მეგრული ნადური „ოდოია“ შესამჩნევად უწყობდა ხელს შრომითი რიტმის აჩქარებას, ახალისებდა, ძალას მატებდა და ამით გლეხს მძიმე სამუშაოს უადვილებდა.[3] ასეთივე იყო შემოდგომაზე მოსავლის აღებისა და დაბინავების დროს ყველა ოჯახში გამართული ზეიმი, რომლის დროსაც უმეტესად სრულდებოდა „ოჩეშ ხვეი დო ხვარიელი“ (ყანის ხვავი და ბარაქა), რომელიც დარჩეული ტაროსადმი მიმართული ჰიმნი იყო.[4]

ა. ლამბერტის ცნობით, სამეგრელოში ყანის თოხნის დროს, როდესაც პატრონი ამ საქმეს ვერ ერევა, მეზობლები უნდა მოიხმაროს, განსაკუთრებით ისინი, ვისი ყანის თოხნის დრო ჯერ არ დამდგარა. თავის დროზე კი ისინი მათ მოეხმარებიან. ამ მძიმე შრომის გასაადვილებლად, მათ ჰქონიათ სამი ხერხი: ნადი, სიმღერა და უხვი საჭმელი, რომელსაც მამულის პატრონი იძლევა. ნადი ხშირად შედგებოდა ორმოცდაათი და სამოცი ჩარაზმული მთოხნელისგან. იმ დროს რომ გაამხნევოს ისინი, პატრონიც თავში ჩაუდგება და თოხნის, როგორც დანარჩენი. სიმღერა, რომელიც მოჰყვება ნადს, გამოუგონიათ მარტო იმიტომ კი არა, რომ ეს მხიარული კრება გაამხნევოს, არამედ იმისათვისაც, რომ ჩქარა იმუშაონ. ამ სიმღერის ხმაზე თოხნასაც ისე აწყობენ, როგორც საკრავზე ცეკვას; რამდენადაც სიმღერას ააჩქარებენ, იმდენად თოხნასაც ააჩქარებენ. ამისთვის თავში დგება ორი მომღერალი და იწყებს სიმღერას... საჭმელი საკმაოდ უხვი აქვთ, რადგან იგია მათი შრომის ერთადერთი ფასი. დღის განმავლობაში სამჯერ მიუტანენ საჭმელს ყანაში. დაღამებისას კი პატრონის სახლში უმზადებენ ვახშამს, რომელიც მეტად უხვია. „ამ დროს ყოველსავე დარდს მუშაობის შესახებ თავიდან იშორებენ, შუაღამემდე სხედან და დროს ატარებენ ჭამაში, სმაში და სიმღერაში. რა მშვენიერი სანახავია, როცა მზის ჩასვლისას თოხნას გაათავებენ და მიდიან პატრონის სახლში თითქოს ერთი დროშის ჯარისკაცებიაო...“.[5] ლამბერტი, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, აღფრთოვანებას ვერ მალავს ამ ჩვეულების მიმართ, აქ ავტორი ხაზს უსვამს, როგორც შრომის ნაყოფიერების გაზრდის ნიუანსებს, ასევე მეზობლებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთადახმარების უანგარობას, შრომის ორგანიზაციის ოდითგანვე არსებული წესის მნიშვნელობას, შრომასთან ერთად დასვენების წესს, რომელიც კრავს მეზობლებს შორის არსებულ კავშირებს, ერთ მთლიანობაში აქცევს მათ შრომას. მეტად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ლამბერტისეული ეს „მშვენიერი სანახაობა“ დღეს თითქმის გამქრალია და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ჯერ კიდევ ოცდაათიოდე წლის წინ ცოცხალი იყო.

სამეგრელოში, სოფლები და თემის უბნები ერთი გვარით დასახლებულ ერთეულს ქმნიდნენ, რაც ნაწილობრივ დღესაც ასეა. როგორც წესი, ერთი დიდი ან ინდივიდუალური ოჯახის განაყრები გვერდიგვერდ სახლობდნენ და შენარჩუნებული ჰქონდათ ბევრი რამ საერთო სამეურ-

---

[1] **ლ. ფრუიძე,** ახალი მონოგრაფიული გამოკვლევა, გვ. 185.

[2] **ლ. ფრუიძე,** ახალი მონოგრაფიული გამოკვლევა, გვ. 187.

[3] **ს. ჭანტურიშვილი,** ნადური სიმღერა ,,ოდოიას'' საკითხისათვის// *,,მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, ტ. VI, თბ., 1970, გვ. 97.

[4] **ნ. ოკუჯავა,** საკულტო-მითოლოგიური სიმღერების ტრანსფორმაციისათვის (,,ოდოია“, ,,ოჩეშ ხვეი“)// *,,ქართველური მემკვიდრეობა“*, IV, თბ., 2000, გვ. 271.

[5] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 52-53.

ნეო საქმიანობაში, თუმცა მათი ერთიანობა და სოლიდარობა გამოკვეთილად ნარჩუნდებოდა იდეოლოგიის (საერთო სალოცავი) და ურთიერთდახმარების სფეროში. ეს პატრონიმიული ერთობა გვაროვნული საზოგადოებიდან მოყოლებული ცოცხლად შემორჩა კლასობრივი საზოგადოების ქართულ საგვარეულო სოფელშიც. ისიც აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით გასული საუკუნიდან მოყოლებული და ჩვენი საუკუნის დასაწყისში, სოფლის თუ უბნის პატრონიმიული ერთობა თანდათანობით ირღვეოდა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება, თუმცა ურთიერთდახმარების ტრადიცია თვით პოლიგენური დასახლების შიგნითაც მოქმედებდა. მაგალითად, სამეგრელოსათვის დამახასიათებელ და გარკვეულწილად დღესაც ცოცხალ ისეთ სამეზობლო ერთეულში, როგორიცაა „სამოხიო“.[1] ამ პოლიგენურ დასახლებაში, 60-დან 100 ოჯახამდე შედიოდა, მათ წარმომადგენლებს ნებაყოფლობითი, უანგარო და ზნეობრივ პრინციპზე აგებული ურთიერთადახმარების ვალდებულებები გააჩნდათ ერთმანეთის მიმართ, როგორც ყველა სახის შრომით საქმიანობაში — მკაში, ლეწვაში, თიბვაში, სახლის მშენებლობაში, — ისე ქორწილის თუ გლოვის დროს. ახლო ტერიტორიაზე მცხოვრებთა მეზობლობით განმტკიცებულ ამ ჯგუფში, ეს შრომის კოოპერაციის მეტად მოქნილი და ეკონომიკურად მომგებიანი ფორმა იყო.

ურთიერთდახმარების ტრადიციული წესისადმი სრული ეპოქალური თვალის დევნება აქტუალურ საკითხად უნდა დარჩეს, მით უფრო დღეს, როდესაც საზოგადოება და მის შიგნით არსებული ურთიერთობათა ფორმები ძირეულად სხვა ხასიათს იძენს. სოფლის წეს-წყობილების ეს ტრადიციული, დაუწერელ კანონად და იდუმალად არსებული გრძნობა, როგორც თანაცხოვრების ერთადერთი საშუალება, თანდათან მივიწყებას ეძლევა, ჩვენი აზრით, ის ტრანსფორმირდა არა პროგრესულისკენ, რასაც შეეძლო ხელი შეეწყო სოფლის განვითარების სამომავლო პერსპექტივისათვის, არამედ დღეს არსებული გამოწვევებისადმი სრულიად შეუსაბამო ხასიათი მიიღო. ამ ცვლილებათა მიზეზები სპეციალურ და მრავალმხრივ კვლევას მოითხოვს. ამ რეგრესის მიზეზეთა შორის უმთავრესი შესაძლოა მეურნეობის ფორმების ცვლილებაში ვეძებოთ. როგორც ზემოთაც აღინიშნა, საბჭოთა წყობილების დანგრევის შემდგომ სამეგრელოს სოფლის მეურნეობამ ვერ შეძლო არსებულის შენარჩუნება და ვერც ახალი, მნიშვნელოვნად მომგებიანი ფორმებით ძველის ჩანაცვლება. სოფლის მეურნეობის მთელი რიგი კულტურების — ჩაის, სიმინდის, ტუნგის და სხვათა განადგურების შემდგომ სამეგრელოს მოსახლეობამ ხელი მიჰყო თხილის გაშენებას, რომელიც ჩვენი აზრით, დიდი შეცდომა იყო რადგან ფაქტია, რომ მან ვერ შეუწყო ხელი სოფლის მცხოვრებთა ეკონომიკური სიძლიერის გაზრდას. საქმე იმაშია, რომ თხილის კულტურის ფართოდ დანერგვის პარალელურად მნიშვნელოვანად შემცირდა, ზოგიერთ სოფელში კი თითქმის აღმოიფხვრა სიმინდის კულტურა. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, რამდენადაც თხილის გაშენება გაცილებით მეტ ფართობს მოითხოვს, ვიდრე სხვა, მაგალითად სიმინდის ან ჩაის კულტურა. ეს კულტურები ბევრად უფრო მეტ მოგებას იძლეოდა ჰექტარზე გაანგარიშებით. ამას ისიც დაემატა, რომ ბოლო ხუთი წელიწადია თხილიც თითქმის განადგურდა სხვადასხვა დაავადებების, მათ შორის აზიური ფაროსანას გავრცელების გამო. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ თხილი სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობისათვის ორჯერ და შესაძლოა სამჯერ ნაკლებ შემოსავალს და სარგებელს იძლევა, ვიდრე სიმინდი, რამდენადაც, თხილის როგორც საბაზრო ფასი, ისე მოსავლიანობა კლიმატურ თავისებურებათა გამო მეტად არასტაბილურია. ამავე დროს, რაც მთავარია თვითონ გლეხებს გარკვეული კოოპერაციის შემთხვევაშიც კი არა აქვს მისი უცხოურ ბაზრებზე გატანის და შესაბამისად უფრო მაღალ ფასად რეალიზაციის შესაძლებლობა. სიმინდის კულტურის გაქრობით გლეხმა დაკარგა არა მარტო თვითგამოკვების სახსრები, არამედ ამან მესაქონლეობის შემცირებასაც შეუწყო ხელი, რამდენადაც სწორედ სიმინდი და მისი ჩალაა ზამთარში მსხვილფეხა საქონლის გამოკვების ძირითადი საშუალება. კიდე ერთი გარემოება გახლავთ ის, რომ სიმინდის საბაზრო ფასი უფრო მეტია, ვიდრე თხილის. ყოველივე ამან თავისი დაღი დაასვა შრომის ორგანიზაციის, ურთიერდახმარების და სოლიდარობის ფორმებსაც. პირველ რიგში, გამოიწვია დემოგრაფიული მდგომარეო-

[1] **დ. ჭითანავა,** ტერიტორიული თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში („სამოხიო“), გვ. 400-414.

ბის გაუარესება და მოსახლეობის მასიურად სოფლიდან გარე სამუშაოებზე გასვლა, ხოლო თხილის წარმოება და მასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება ფულად ანაზღაურებაზე გადავიდა თვით ახლო მეზობლებს შორისაც კი. წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, თხილის მოსავლის აღება სიმინდის თოხნასთან შედარებით მოსახლეობაში ძალიან „არასახალისოდ" ითვლება. ასევე, ახლო მეზობლებს შორის სხვა შრომით საქმიანობაშიც ურთიერთდახმარებაც უკვე ფულად ანაზღაურებაზე გადავიდა, რაც გარკვეული მორალური წესის გაუფასურებად უნდა განვიხილოთ. ურთიერთდახმარების ფორმების მოშლის მიზეზებს შორის კიდევ უამრავის ჩამოთვლა შეიძლება: სოფლის პატრონიმიული დასახლების ძველი ფორმით არარსებობა, რაც მისი წევრების გარე სამუშაოზე გაფანტვას უნდა მივაწეროთ; ამ მიმართულებით აღსანიშნავია სახელმწიფოს როლი, სოფელში წარმოება სრულად მოშლილია, აღორძინების ნება კი არ ჩანს. ამ საკითხში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასმედიას, რომელშიც სასარგებლო ეროვნული ტრადიციების პროპაგანდას, მათი მნიშვნელობის ჩვენებას ძალზე მცირე დრო ეთმობა და ძირითადად სჯაბაასი მიდის გაუგებარ, ჩვენი ცხოვრების ტრადიციული წესებისადმი შეუსაბამო ნეოლიბერალურ ცხოვრების წესზე, რომელიც ერის მომავალი განვითარებისათვის არაფრის მომცემია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო განათლებას, რომელიც რიგ მიზეზთა გამო არ არის სათანადო დონეზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართული საოჯახო ტრადიციაც, რომელიც მინიმუმ ორ თაობას მაინც მოიცავდა, სადაც ბავშვთა აღზრდაში ბებია-ბაბუაც იღებდა აქტიურ მონაწილეობას და შრომის განაწილებაც სათანადოდ იყო დაცული. დღეს ეკონომიკური თუ შიდაოჯახური კონფლიქტების გამო (განცალკევებულად ცხოვრებისადმი მიდრეკილება-რძალ-დედამთილის და სიდედრ-სიმამრის პრობლემა, კონფლიქტი შვილებსა და მშობლებს შორის) ეს ოჯახური გარემოც მოშლის ტენდენციისაკენ მიდის. იქ კი, სადაც მეტნაკლებად შენარჩუნებულია დემოგრაფიული მდგომარეობა — ურთიერთდახმარების ტრადიციის შესუსტება (ყოველივე ზემოთქმული და სხვა მიზეზებიდან გამომდინარე), ზნეობრივი ფაქტორების და ღირებულებების დეგრადაციას უნდა დავუკავშიროთ. ახალგაზრდა თაობის სოციალურ-კულტურული ორიენტაცია სხვა, არც თუ სასურველ მიმართულებას იძენს. დღეს არსებული სამეზობლო ურთიერთობები ძირითადად ფულად ანაზღაურებაზეა დამოკიდებული და ტრადიციულად არსებული, უანაგარობაზე დაფუძნებული სოციალური ინსტიტუტის რანგში აყვანილი ყოფის მეტად შემამსუბუქებელი და ეკონომიკურად მომგებიანი ტრადიციული წესი, რომელიც ხალხის ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებთან იყო დაკავშირებული, ისტორიის „მკრთალ ნაშთად" დარჩა.

კვების კულტურა. სამეგრელო მრავალმხრივ საინტერესოა კულინარული თვალსაზრისით. ამ კუთხის მოსახლეობისათვის ცნობილი იყო საკვებად ვარგისი მრავალი მარცვლეული კულტურა. ივანე ჯავახიშვილს დამაჯერებლად აქვს დასაბუთებული, რომ ამ მხარეში ოდითგანვე ითესებოდა: ხორბალი, ქერი, ღომი, ბრინჯი; მოჰყავდათ ბოსტნეული კულტურები: პიტნა, ნიორი, ხახვი, კამა, ქინძი, ნიახური, კომბოსტო, ლობიო და სხვ. პირველი მკაფიო ცნობა ლობიოზე XVII საუკუნიდან ჩნდება. ასევე საკვებად იყენებდნენ სხვადასხვა გარეული თუ შინაური ცხოველის ხორცს, რომელიც როგორც არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი და სხვები გადმოგვცემენ, ოდიშში ბლომად მოიპოვებოდა.

სიმინდის კულტურის შემოსვლამდე (XVII-XVIII სს.) ოდიშში ძირითადი სასურსათო კულტურა იყო ***ღომი:*** მეგრულად „ღუმუ"//„ჩხვერი", ჭანურად — „ღომ-უ"//„ღომი". ღომის კულტურას ქართველების განსახლების ტერიტორიაზე, ფართო არეალი ეკავა. უახლესი არქეოლოგიური გამოკვლევებით, ღომის კარბონიზებული ნაშთები აღმოჩენილია ვანის (ძვ. წ. V ს.) და ნოქალაქევის (ძვ. წ. IV-III სს.) გათხრებისას. როგორც ირკვევა, ნოქალაქევის ელინისტური პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი მარცვლეულიდან ღომი და ფეტვი ამ პერიოდისათვის ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული კულტურა იყო. მეტად საინტერესოა ვანში (ძვ.წ. II-I სს. ფენებში) აღმოჩენილი ღომის მარცვლები სუფთა სახით. როგორც ირკვევა, წარმართულ ტაძარში დამოწმებული მარცვლეული კულტურები სარიტუალო დანიშნულებით იყო შემოწირული. მისი გავრცელების შესახებ საგულისხმო ცნობებია დაცული ძველ ქართულ წყაროებში, საქართველოში მყოფი უცხოელი მოგზაურების ჩანაწერებში. მაგალითისთვის სამეგრელოს უკანასკნელი მთავ-

რის დავით დადიანის (1846-1853) მიერ ვასილი ბებუთოვისადმი გაგზავნილ ვრცელ წერილში (1852 წ.) იმ დროს გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჩამოთვლა ღომით იწყება. ღომი არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში ითესებოდა.

სამეგრელოს მოსახლეობა ღომის კილგაცლილი მარცვლისაგან ამზადებდა სქლად მოხარშულ ფაფას, საუცხოო დიეტურ საკვებს, რომელიც „ღომის ღომის" სახელით იყო ცნობილი. ღომის ღომი ძირითადი საკვები იყო მეგრელებისთვის. ოჯახში მას ტრადიციულად თითქმის ყოველდღიურად ამზადებდნენ. დაფქვილ ღომის მარცვალს მჭადის გამოსაცხობად იყენებდნენ. ღომის დასაფქვავად იყენებდნენ ხელის საფქვავს (მეგრ. „სკიბუ"). საგანგებო წესით ამზადებდნენ ღომის (ჩხვერის) მარცვლიდან ფაფას — „ჩხუკას". მოხარშავდნენ ძალიან სქლად „ჩხვერს", დაუმატებდნენ ცოტა მარილს, ჩაასხამდნენ ნახევარ ჭიქამდე თაფლს და ჩაყრიდნენ 1 ჭიქა სუფთად დანაყილ ნიგოზს. ეს საუცხოო კონცენტრირებული საკვები იყო.[1]

ღომის მარცვლისაგან სხვადასხვა კერძი მზადდებოდა: „ელარჯი" — ხარშვისას ღომის მარცვალს ჩააზილავდნენ ჭყინტ ყველს; „იაფოფხი" — ღომის ფქვილისაგან გამომცხვარი თხელი ხაჭაპურისებრი ნამცხვარი, რომელსაც ზევიდან მოყრილი ჰქონდა დაფშვნილი ნიგოზი და ხახვი; „ფუნჩხული" — მოხარშული ღომის მარცვალი, ნიგვზითა და ზეთით შეზავებული; „ხავიწი" — თაფლითა და ღომის ფქვილით შემზადებული ფაფა. ასეთ ფაფას, ხშირად, მელოგინე ქალს მიართმევდნენ; „ალაყურტი" — მოხალული და წვრილად დაფქვილი ღომის („ჩხვერი"), სელის მარცვლის ან ყვითელი სიმინდის ფქვილისაგან თაფლში გაკეთებული ფაფა, რომელიც საგანგებოდ კარგად იყო მოზელილი და ზედ ნიგვზის ზეთი ან ერბო ჰქონდა გადასხმული. „ალაყურტი" კარგად გაკეთებული ღომის სინონიმი იყო. კარგად მოზელილ ღომზე იტყოდნენ „ალაყურტივით" ღომი არისო. ღომის („ჩხვერი") მარცვალს, როგორც დიეტურ საკვებს, კუჭ-ნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ იყენებდნენ. განსაკუთრებული წესით მისგან მზადდებოდა „ტიბუ", გრიპის საწინააღმდეგო წამალი. ერთ ჭიქა „ჩხვერის" მარცვალს გარეცხავდნენ კარგად, ჩაყრიდნენ 2-3 ლიტრ ადუღებულ წყალში, ჩაამატებდნენ 1-2 ცალ დანაყილ ნიორს, 1-2 კოვზ სუფთად დანაყილ ქონდარს და მწარე წიწაკას. ამას ავადმყოფს ოფლის მოდენის მიზნით ასმევდნენ.[2]

დიდი ხნის განმავლობაში ქართველთა სამეურნეო ყოფაში მარცვლეული კულტურებიდან მნიშვნელოვანი ადგილი ფეტვს ეკავა. ლაზურად ამ მცენარეს ეწოდება „მჭკიდი", ჭანურად — „მ-ჭკუდ-ი"//„მ-ჭკიდ-ი", მეგრულად — „ჭკიდიშ(ი)"//„ჭკიდი"// „ფიტი"//„ფატი". ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ძველ საქართველოში ფეტვი მარცვლეული მცენარეების, ფეტვნაირთა ჯგუფის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მცენარე იყო.[3]

უახლესი გამოკვლევებით, ფეტვის ნაშთები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს (ნოქალაქევი, IV-III სს; ვანი, V ს.) არქეოლოგიურ ძეგლებზე. XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობებით, ოდიშში დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ფეტვის თხელ ფაფას, რომელიც წვნიანის მაგივრობას სწევდა.[4] იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.), ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (XVII ს.) სამეგრელოს აღწერისას აღნიშნავენ, რომ ღომის გარდა აქ დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ფეტვი. ს. მაკალათიას ცნობით, „... უძველესი დროიდან სამეგრელოში ითესებოდა ღომი, მეგრულად — „ჩხვერი" და ფეტვი — „ჭკიდი", რომელიც მოსახლეობის მთავარ პურეულს შეადგენდა. ღომისაგან იხარშებოდა ფაფა „ღუმუ". ფეტვის ფქვილისაგან კი აცხობდნენ „ჭკიდს" ან ხარშავდნენ პატარა „კვერებს".[5]

---

[1] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, წიგნ. პური ჩვენი არსობისა, თბ., 2016, გვ. 244-245.

[2] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 258-259.

[3] **ივ. ჯავახიშვილი,** საქართველოს ეკონომიური ისტორია, **ივ. ჯავახიშვილი,** თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბ., 1996, გვ. 384-385.

[4] XV ს. იტალიელი მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 58.

[5] **ს. მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 182.

სამეგრელოში ფეტვის ორი ჯიში ითესებოდა — თეთრი და შავი. გაცეხვილი მარცვალი ინახებოდა ფეტვის კიდობანში. ფეტვს ხელის წისქვილით ფქვავდნენ; ფეტვის ფქვილისაგან აცხობდნენ მჭადს (მეგრ. „ჭკიდი“) ან ხარშავდნენ პატარა კვერებს. ფეტვის ფქვილს დაფშვნილ ჭყინტ ყველს შეურევდნენ, მოზილავდნენ ნელთბილი წყლით და გამოაცხობდნენ ქვის კეცებზე. ამას „ჭვიშტარს“ ეძახდნენ. წმინდად დაფქვილს, მოზელავდნენ რძეში და გამოაცხობდნენ ქვის კეცებში. კეცს გაახურებდნენ, ქვეშ ჩაუფენდნენ კაკლის ფოთლებს, ზედ გააბრტყელებდნენ მოზელილ ცომს; ზემოდან დააფარებდნენ თუნუქს (მეგრ. თანაქა), რომელზედაც ეყარა ნაკვერჩხალი. ცომის ზედაპირიოდნავ როცა შეშრებოდა, კაკლის ფოთლებს დააფენდნენ მანამდე, სანამ არ შეიბრაწებოდა. ფეტვის მოხალული ფქვილისაგან ამზადებდნენ „ქუმუს“, რომელიც ტკბილი ნამცხვრის მაგივრობას სწევდა. მოხალავდნენ ფეტვის ფქვილს და ჩაზილავდნენ თაფლიანი წყლით, მოამრგვალებდნენ და მზად იყო სუფრაზე მისატანად. სამეგრელოში ფეტვის კულტურასთან დაკავშირებული მრავალი რიტუალი არსებობდა. ამგვარი რიტუალთა კატეგორიას მიეკუთვნება „მიქამგარიას“კულტი. „მიქამგარია“ ითვლებოდა ამინდის გამგებელად, აგრეთვე საქონლისა და მოსავლის მფარველად.[1]

სამეგრელოში ბრინჯის (მეგრ. „ორიზა“//„ორზა“) მოყვანის მდიდარი ტრადიცია არსებობდა. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, ოდიშში ბრინჯი იმდენი მოჰყავდათ, რომ ის ექსპორტის საგნადაც ქცეულა. ოდიშის „... მრავალ ნაწილში, — წერს ის, — სადაც წყალი დგას და არ შეიძლება ღომის თესვა, თესავენ ბრინჯს, რომელიც ისე ბლომად მოდის, რომ არამც თუ აქაურებს ყოფნის, არამედ მიაქვთ თურქეთის გემებს, რომელნიც აქ მოდიან“.[2] ვახუშტი ბაგრატიონი ოდიშის აღწერისას აღნიშნავს: „...ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად“.[3]

ბრინჯი ითესებოდა მდ. ნოღელას ჭენჭყობიან ნაპირებზე და საკმაოდ უხვ მოსავალს იძლეოდა. მარცვლის შეფერილობა ოდნავ ღვინისფერი იყო. იყენებდნენ ფაფის დასამზადებლად. ბრინჯის ფაფა მაწიერ, დიეტურ, სამკურნალო საკვებად ითვლებოდა. ღვინის ნარევთან ერთად დამზადებულ ფაფას იყენებდნენ ოფლის მოსადენად გრიპისა და სურდოს დროს, „ტიბუს“ სახით.[4]

ურიში უძველესი ფეტვნაირი პურეულია. ოდიშში XIX საუკუნის ბოლომდე მოჰყავდათ. როგორც საკვები პურეული, დაბალი ღირსებისად მიაჩნდათ. მის მარცვალს ძველად „ჩხვერის“ (ღომის) მსგავსად მოხარშულს ხმარობდნენ, მაგრამ ძალიან ცუდი გემოსი ყოფილა. ამ საკვებით ძირითადად ყმა გლეხები იკვებებოდნენ. ურიში ითესებოდა სამკურნალო მიზნითაც. ურიშის მარცვალს ზოგჯერ „ჩხვერის“ (ღომის) მაგივრად იყენებდნენ გრიპის წამლის „ტიბუს“ დასამზადებლად. თუ „ჩხვერის“ მარცვალი არ ჰქონდათ, მაშინ ნიორს, მწარე წიწაკას, ქონდარსა და ზაფრანას (ყვითელ ყვავილს) უმატებდნენ ურიშის მარცვლებს და ერთად წამოადუღებდნენ, ნაყენს ოფლის მოდენის მიზნით დღეში სამჯერ დაალევინებდნენ ავადმყოფს გაციების დროს.[5]

ხორბალი (ჭან. „ქოვ-ალი“ // „ქუვ-ალ-ი“, „ქუ-ალ-ი“; მეგრ. „ქობალი“). უძველესი კოლხური კულტურების რელიქტებში (მახა, ზანდური, ძველი კოლხური ასლი) ნათლადაა წარმოდგენილი ხორბლის ევოლუციის თითქმის ყველა ეტაპი.ზანდური საქართველოში, კილიან ხორბლებს შორის, ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე გავრცელებული სახეობა იყო. ოდიშში ხორბლის ორი ჯიში მოჰყავდათ „რუხუ“-ს და „დურუ“-ს სახელწოდებით. რუხუ ე.წ. ცალმარცვალა ხორბლეულის ჯიშს – ჩელტა ზანდურს უნდა გულისხმობდეს, რომელსაც სპეციალური იარაღით შნაკვით კრეფდნენ ხოლმე. მახა (მეგრ. „მახა“, ჭან. „მოხა“) ხორბლის კულტურის პალეორელიქტია და მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლია. მისი კარბონიზებული მარცვლები აღმოჩენი-

---

[1] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 261-272.

[2] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 56.

[3] **ვახუშტი ბატონიშვილი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 743-744.

[4] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 273.

[5] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 276-277.

ლია ძველ კოლხეთში (ზუგდიდის რაიონი – დიხა გუძუბა). მახას პური დიდად ფასობდა მოსახლეობაში. მახას ფქვილისაგან ცხვებოდა თეთრი, გემრიელი, კარგი გემოსა და არომატის მქონე სურნელოვანი პური, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ინარჩუნებდა სირბილეს. საზოგადოდ, საპატიოდ ითვლებოდა წვეულების დროს მახას პურით გამასპინძლება. მხედველობის გასაუმჯობესებლად სვამდნენ მახას მარცვლის ნახარშს; მახას ფქვილისაგან მზადდებოდა „ხაბიზგინა“ – ნიგვზითა და ხახვით შეზავებული პური.[1]

ჭვავი (მეგრ. „ჭვე“ // „ჭვია“, ჭან. „ნჭვავი“). ოდიშში ითესებოდა თეთრი გრძელმარცვალა ჭვავი, ნაბადივით შავი ჭვავი, წვრილი, წითელმარცვალა ჭვავი და მსხვილმარცვალა ჭვავი — „მოშხუე კაკალი“.[2]სანამ სიმინდი მომწიფდებოდა, მანამდე შემოდიოდა „ჭვე“. მას იღებდნენ ივნისის თვეში („ივანობაშ თუთას“). ჭრიდნენ კონებად მთლიანად, მერე შეკონავდნენ და გადახურულ ადგილას მოათავსებდნენ, რომ არ დასველებულიყო. გაშრობის შემდეგ მინდორზე დააფენდნენ ჭილოფს, დააწყობდნენ კონებს და ხის ჯოხების დარტყმით დაიწყებდნენ დაფშვნას; შემდეგ გაანიავებდნენ, კარგად გაახმობდნენ და პურის გამოსაცხობად იყენებდნენ. საფუარი შემდეგნაირად კეთდებოდა: ცოტა ჭვავის ფქვილს მოზილავდნენ ცალკე; როცა დამჟავდებოდა, იყენებდნენ „საფარად“ საფუარად.[3]

ოდიშში საკვებად იყენებდნენ პარკოსან კულტურებს: ბარდა, ცერცვი, მუხუდო, ძაძა.

ბარდა (მეგრ. „ბარდი“ // „ბარდვი“ // „ბარდონი“) ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ხასიათდება მოკლე სავეგეტაციო პერიოდით, რაც შუალედური კულტურის სახით მისი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ცერცვი (მეგრ. „ხაჯი“, ჭან. „ხაჯი“) ერთწლიანი მცენარეა. სითბოს მიმართ დიდი მომთხოვნი არაა, ტენის მოყვარულია. ოდიშში ითესებოდა შემოდგომით. ცერცვს სამკურნალოდაც იყენებდნენ: მისგან გაკეთებულ საჭმელს აძლევდნენ ავადმყოფებს თავის ტკივილისას. დაჩირქების წინააღმდეგ გამოიყენებოდა მსხვილი ცერცვის ფქვილისაგან დამზადებული მალამო. სამკურნალოდ ხმარობდნენ აგრეთვე ცერცვის ფქვილისაგან დამზადებულ წვენს.

მუხუდო (მეგრ. „მუხუდო“) ერთწლოვანი პარკოსანი მცენარეა, გვალვაგამძლეა. ითესება ადრე გაზაფხულზე, ეგუება თითქმის ყოველგვარ ნიადაგს. თესლბრუნვაში კარგი წინამორბედია პურეულისათვის, რადგან ნიადაგს აზოტით ამდიდრებს. ძველად, საუზმისთვის, ქვის კეცებში აცხობდნენ მუხუდოს ფქვილის მჭადს. მუხუდოს მარცვალს მოხალავდნენ ქვის კეცზე, დაფქვავდნენ ხელის საფქვავით, მოზილავდნენ ნელთბილ წყალში, შეურევდნენ ახლად ამოყვანილ ჭყინტ ყველს და გამოაცხობდნენ ქვის კეცებზე.

ძაძა (მეგრ. „დიხაშ ლებია“, „ჩე ჭიფელებია“, „ჩე ჩხირალებია“, „გირძე ლებია“), ერთწლოვანი პარკოსანი მცენარეა. მისგან მრავალნაირ კერძს ამზადებდნენ.

ოდიშის სამეურნეო ყოფაში, გარდა მარცვლეული და პარკოსანი მცენარეებისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზეთე-ბოჭკოვან კულტურებს, განსაკუთრებით ***სელს*** (მეგრ. სუ // ფსუ // ქუმუ). ჟან შარდენის ცნობით, მეგრელები ძირითადად შავი ზღვის სანაპიროზე გემებით შემოსულ თურქებსა და ევროპელებთან ვაჭრობდნენ. ვაჭრებს აქედან გაჰქონდათ აბრეშუმი, სელის ძაფი, ტილო, სხვადასხვაგვარი ბეწვეული, ბზა, ცვილი, თაფლი და სხვ. ოდიშის მთავარი დადიანი ოსმალეთს ხარკის სახით მხოლოდ სელის ტილოს უხდიდა.[4]

სერგი მაკალათიას ცნობით, მეგრელები დღეში სამჯერ ჭამდნენ. საუზმეს — „საკაკალო“ ეწოდებოდა, სადილს — „ონდღური“, ვახშამს — „ოსორშო“. სუფრაზე იცოდნენ კერძის განაწი-

---

[1] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 184-216.

[2] **ნ. ბრეგაძე**, ხალხური აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი// *საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები*, III, თბ., 1968, გვ. 69.

[3] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 239-241.

[4] **ლ. ფრუიძე, ი. მაისაია, შ. სიხარულიძე, მ. თავართქილაძე**, საქართველო სამიწათმოქმედო კულტურის უძველესი კერა, გვ. 279-287.

ლება და ყველას ეძლეოდა თავისი წილი — „თია“. რძის ნაწარმიდან კარგად აკეთებდნენ სულუგუნს, რომელიც ერბოიანი და გემრიელი იყო. მეგრელების ყოველდღიური საჭმელი იყო ცხელი ღომი და სულუგუნი. ხორცი უფრო შემწვარი უყვარდათ და მას ჭამდნენ ტყემლისა და წიწაკისაგან შეზავებული საწებლით (წვენი) ან ნიგვზითა და მწვანილით შეაზავებდნენ მას. ძროხის ხორცისგან აკეთებებენ გემრიელ ხარჩოს. ს. მაკალათიას ცნობით, ღორის ხორცი მეგრელებს უყვარდათ და იშვიათი იყო ოჯახი, რომ წელიწადში ერთი ღორი მაინც არ დაეკლა, განსაკუთრებით ზამთარში. მას დაამარილებდნენ და გამოზოგვით ჭამდნენ. ფრინველების — ქათამი, ბატი, ინდაური, — ხორცს ჭამდნენ შემწვარს, საწებლით. მეგრელები არ ხმარობდნენ ერბოსა და კარაქს, რადგან მათი წარმოდგენით ეს არ უხდებოდა ღომსა და მჭადს. ერბოკვერცხს ამზადებდნენ ღორის ქონში ან დაფშვნილი ყველით, და ისე ჭამდნენ.[1] მეგრული ხაჭაპური გემრიელია და ნოყიერი. ხაჭაპურში დებდნენ მოუხდელ ჭყინტ ყველს, ფქვილი იზილებოდაა რძით, ცომს აღვივებდნენ და ისე აცხობდნენ, ზოგჯერ ხაჭაპურის ზედაპირს კვერცხში გათქვეფილი ყველით შეაზავებდნენ. აკეთებდნენ აგრეთვე „ჭვიშტარს“ ყველის გულიან მჭადს. ხარშავდნენ ყველის გულიან კვერებს და „ხოზო“-ს, რომელიც წარმოადგენს მოგრძო ფორმის კვერს. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ეთნოგრაფი თედო სახოკია საინტერესო ცნობას გვაწვდის მწყემსების ყოველდღიური საკვების შესახებ: „ჯერ მთვარე არ ამოსულიყო, ცოტათი ბნელოდა. ერთმა მწყემსმა სამასრედან კვარი (სანთელი) ამოიღო და იმითი გაგვინათა სუფრა. ყველანი მოკვეცილები ვსხედვართ კვაჩხებზედ, წინ გვიშლია ხის ფოთლებიანი შტოები, რომელზედაც კერზაულმა ყველას სათითითაოდ მოზრდილი ნაჭრები დაგვიწყო ახლად მოხარშული ხორცისა, ერთ ფურცელზე ხორცისთვის სანელებელი დაგვიდეს, პილპილისა, მარილისა, პრასისა და ოხრახუშისაგან შეზავებული, სანამ უფროსმა არ აიღო პირველი ლუკმა, სხვები იმას შესცქეროდნენ და ჭამა არ დაუწყიათ. ხორცის შემდეგ ახალამოღებული ყველი მოგვიტანეს, თითოს ნახევარ-ნახევარ გირვანქაზე მეტი გვერგო, ზოგი ისე ვჭამეთ ზოგიც შეგვიწვეს, გემო გამოეცვლებაო, ყველს მაწონი მოჰყვა, ჩაყვებში (ხის ჭურჭელი) ჩასხმული, თითო ჩაყვაში თითო ჩარექა მაინც ჩავიდოდა სულ უკანასკნელი. აი ეს წარმოადგენს მწყემსების ყოველდღიურ საკვებს“.[2]

ჩვენს მიერ ველზე მუშაობისას სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მოძიებულ იქნა მცენარეული, ხორცეული და რძიანი კერძები:

ყვალამ კვარი (ყველის კვერი), მზადდება ცომისა და ყველისგან საფუარის გარეშე. მოზელილი საშუალო სირბილის ცომი განაწილდება პატარა გუნდებად, რომელიც გაბრტყელდება, გაბრტყელების შემდეგ ჩადებენ ყველს, თავს შეუკრავენ და ადუღებულ მარილიან წყალში ჩადებენ. კვარები როცა ამოტივტივდება, უკვე მზადაა.

კაპაწვენ-კაპაწონი შემდეგი წესით მზადდებოდა: ადუღებულ რძეს დაუმატებდნენ რამდენიმე ათქვეფილ კვერცხს და აადუღებდნენ. საშობაოდ დაკლულ ღორს აუღებდნენ ქონს (ფესვის ქონი, ბადექონი) დამარილებულს რამდენიმე დღე გააჩერებდნენ, შემდეგ გააშრობდნენ, ამ ქონს წვრილად დაჭრილს ურევდნენ მჭადის ცომში და გემრიელი გამოდიოდა.

სულუგუნი (*სელეგინი*). ჭყინტ ყველს ათავსებენ წყალში, დგამენ ცეცხლზე, დაახლ. 5-10 წუთის შემდეგ, როდესაც ჭყინტი ყველი დარბილდება, ამოიღებენ ხელით, გაწურავენ, მისცემენ ფორმას, ჩადებენ სხვა ჯამში, მოაყრიან მარილს, და სულუგუნი მზადაა.

გებჟალია. წინა დღის ჭყინტ ყველს თხლად დაჭრილს ჩაყრიან ადუღებულ წყალში და მოურევენ, როცა სულუგუნის ერთ დიდ გუნდად გადაიქცევა, ამოიღებენ წყლიდან და ფართო ჯამზე ცომივით გაწელავენ, შემდეგ წაუსვამენ პიტნის სუნელს. პიტნის სუნელი მზადდება შემდეგნაირად: პიტნას, ნიორს, პილპილს და მარილს ერთად დანაყავენ და შეკრავენ („აკოჭოფნა“). შემდეგ გააკეთებენ წვენს ხაჭოსგან ან მაწვნისგან და ასევე დაუმატებენ იმ წვენს,

---

[1] **ს. მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 192.

[2] **თ. სახოკია**, მოგზაურობანი, გვ. 358.

რომელიც სულუგუნის დამზადებისას გამოვიდა. წინასწარ დამზადებულ პიტნის სუნელს გახსნიან ამ წვენში, რომელსაც დაასხამენ დაჭრილ სუნელიან ყველს.

მაწონი. აადუღებენ რძეს, ნელთბილი რომ გახდება, დაუმატებენ მაწვნის დედას (ხაწა), შემდეგ მოურევენ, თბილად შეახვევენ და დადგამენ რვა-თორმეტი საათი.

ჩახოხბილი. ქათმის ხორცს დაჭრიდნენ წვრილად, დაამატებდნენ ხორცის სუნელს, რომელიც მზადდებოდა უცხო სუნელის, ნიორის, პილპილის და ხმელი ქინძისგან, ასევე უკეთებდნენ „ყვინთელ პირს“, ჩახოხბილს ცოცხალ მწვანე სუნელს არ უკეთებდენ. ხორცი საშუალოდ რომ მოიხარშებოდა, უმატებდნენ სუნელს და გატარებულ ნიგოზს.

კუპატი. კარგად გარეცხავენ ღორის ნაწლავებს, შემდეგ მოხარშავენ, მოხარშვის შემდეგ წვრილად დაჭრიან და კმაზავენ ქონდრიანი სუნელით (შემადგენლობა: ქონდარი, მარილი, ხახვი, პილპილი). შეკმაზვის დროს ამატებენ ბროწეულს და ცოტა ძმარს. შეკმაზვის შემდეგ სათანადოდ გარეცხილ სწორ ნაწლავში ჩატენიან და განასკვავენ. ამის შემდეგ ჩამოკიდებენ გასაშრობად ცეცხლთან ახლოს. აშრობენ კვამლით. გაშრობის შემდეგ დაჭრიან და გააცხელებენ.

კუჭმაჭი. ძროხის გარეცხილ ნაწლავებს მოხარშავენ, შემდეგ დაჭრიან წვრილად, უმატებენ ქონდარის სუნელს, დააჭრიან ხახვსა და მწვანილს, ასევე უმატებენ ძროხის კისრის რბილ ხორცს. ეს კერძი ცხლად შეაქვთ სუფრაზე, იჭმევა ღომთან ერთად.

***ეკალას ფხალი* (კალიაშ წვანერ).** აარჩევდნენ ეკალას (კალია) ლორთქო ფოთლებს და მოხარშავდნენ, შედეგ გაწურავდნენ და დაჭყლეტდნენ, გაუკეთებდნენ შესაბამის სუნელს. ეკალას მხოლოდ ტყემლის სუნელით (კვარწახიშ სუნელი) კმაზავდნენ. ტყემლის სუნელი შემდეგი ინგრედიენტებისაგან შედგებოდა: (კამა, ქინძი, პილპილი, ნიორი, მარილი). შეიძლება დაემატოს მაწონი, გატარებებული თხილი ან ნიგოზი, მაგრამ წესისამებრ ეკალას აზავებდნენ მხოლოდ ტყემლის (კამაშ) სუნელით.

ჭინჭრის ფხალი. მზადდებოდა ეკალას ფხალის მსგავსად. ჭინჭრის ნორჩ ფოთლებს მოხარშავდნენ, შემდეგ ლობიოს სუნელით (ყველა ფხალეული ლობიოს სუნელით კეთდებოდა) შეკაზმავდნენ.

***ფხალი* (ხულიშ წვანერ).** ფხალის ნორჩ ფოთლებს მოხარშავდნენ წყალში, შემდეგ გაწურავდნენ, წვრილად დაკეპავდენ და შეკაზმავდნენ მწვანე სუნელით (ნიორი, პილპილი, მარილი, გატარებული ქინძი, ნიახური, ოხრახუში) და ნიგვზით.

***ტიკის მაწონი* (ტიკიშ მარწვენი).** ცხვრისა და ხბოს ტყავისაგან ამზადებდნენ ტიკს, შიგ ჩაასხამდნენ მაწონს, როცა გამოიწურება წვენი, მერე ინახავან გრილ ადგილას. მაწონი ისე იყო გამოწურული, რომ დანით იყო გასაჭრელი.

ძველი დროიდან თითქმის უკანასკნელ ხანამდე ზეთის ნაცვლად იყენებდნენ ღორის ქონს. ღორის ქონის დამუშავება ასე ხდებოდა: ღორს როცა დაკლავდნენ, აიღებდნენ ბადექონს („შვენს“), გარეცხავდნენ, პატარა ნაწილებად დაჭრიდნენ, მოათავსებდნენ ცეცხლზე დადგმულ ჯამში. ქონი რომ გადნებოდა, ქვემოთ დარჩებოდა გამოყოფილი ნალექი, ზემოთ — სუფთა ქონი, რომელსაც სხვა ჯამში გადაასხამდნენ. რომ არ გაფუჭებულიყო, ცოტა მარილს ურევდვნენ და ასე ინახავდნენ.

თხის ქონს რძესა და თაფლთან ერთად გაციებისა და ხველების დროს წამლად იყენებდნენ. ასევე გაციებისა და ხველების დროს თხის ქონით უზილავდნენ ბავშვებს გულმკერდს.

მცენარეულ კერძებს და სხვადასხვა სუნელს ძველად ჭყლეტდნენ, სრესდნენ ხაკის ქვით („ხაკიშ ქუა“). იგი წარმოადგენდა ფართო მრგვალი ფორმის ქვას, მასზე წვრილად დაჭრილი მწვანილი და სხვადასხვა მცენარე ისრისებოდა მოგრძო ქვით და ამას „ხაკიშ ნაკაკა“ სუნელს ეძახდნენ.[1]

სამწუხაროდ, დღეს სამეგრელოში ამ კერძთაგან ბევრი დავიწყებასაა მიცემული და მათი ადგილი უცხოეთიდან შემოსულ კულტურებს და კერძებს უკავია. სასურველია აღდგეს ძველი კულტურების მოყვანა და ტრადიციული კერძებს მეტი ყურადღება მიექცეს.

---

[1] **ი. შენგელია**, რითი იკვებებოდნენ ოდიშში, *აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომათა კრებული*, ტ. 4, ოდიში, გვ. 216-220.

ხალხური მედიცინა და დაავადებები. კოლხური სამედიცინო სიბრძნე ათასწლეულებს ითვლის. ეს ის თემაა, რომელიც ამოუწურავია და უამრავი სხვადასხვა დარგის მეცნიერის კვლევის საგანი გახდება. ჩვენ, ზოგადად გვსურს მკითხველს გავაცნოთ ეს საკითხი და ზოგიერთი დღევანდელი ეთნოგრაფიული ფაქტი წარმოვადგინოთ.

XVII საუკუნიდან კოლხურ მედიცინაზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ევროპელი მისიონერები, რომლებიც არა მარტო სარწმუნოების ქადაგებით იყვნენ დაკავებული, არამედ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად იყენებდნენ სამედიცინო ცოდნასაც, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ნდობით და სიყვარულით სარგებლობდნენ. ამას ხელს უწყობდა ოდიშის მაშინდელი მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657), რომელიც ძალიან კეთილგანწყობილი იყო მათ მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებს სპეციალური სამედიცინო განათლება არ ჰქონდათ მიღებული და სამონასტრო მედიცინის დონეზე იყვნენ მომზადებული, დროთა განმავლობაში მათ მაინც შეძლეს კვალიფიკაციის საგრძნობლად ამაღლება. ამან კი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივ სამკურნალო პრაკტიკაში გამოყებული წესების შესწავლა-ათვისებაში. თუ რამდენად ეფექტური იყო ეს წესები სამკურნალო თვალსაზრისით, ამაზე მიგვითითებს მისიონერ ჯუზეპე ჯუდიჩეს შემდეგი ცნობა: „თუმცა ყველა ჩვენგანმა მრავალი სნეული მოარჩინა, მაგრამ საამისო მეცნიერული სწავლა არ გვქონია, გარდა რამდენიმე საცნობარო წიგნისა... წამლების მომზადების ცოდნა და გამოცდილება არ გაგვაჩნდა, არ ვიცოდით რომელი სამკურნალო წამალი იყო ავადმყოფისათვის საჭირო. ვიცნობდით ადგილზე ხმარებულ მედიკამენტებს, რომლებსაც დიდი სარგებლობა მოუტანია დაავადებულთათვის. გარდა ერთი შემთხვევისა, ამ წამლებს კარგად უმოქმედია ავადმყოფებზე“. ცნობის ბოლო ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივ გამოყენებული წამლების აპრობირებისას კვლავ დადასტურდა მათი ეფექტურობა და საიმედოობა. ეს წამლები მისიონერებს თავიანთ სამკურნალო პრაქტიკაშიც გამოუყენებიათ. აქედან გამომდინარე ეჭვს არ იწვევს ადგილობრივი გამოცდილების ათვისებით ლევან II დადიანი, მისიონერების მსგავსად, სოლიდურ სამედიცინო-ფარმაცევტულ ცოდნას და ჩვევებს შეიძენდა.[1]

1635 წლის აპრილში დადიანი იმერეთში წავიდა საომრად. ერთ დღეს ცხენიდან გადმოვარდა და დასნეულდა. მაშინვე პატრი ლამბერტი მოაყვანინა საწამლებლად და დაჰპირდა დიდ პატივსა და საჩუქრებს, თუ გაჰკურნავდა. მისი მინისტრი პაატა წულუკიძეც 300 სკუდის ჩუქებას დაჰპირდა, თუ დადიანს განკურნავდა. პატრმა უწამლა და რამდენიმე დღის შემდგომ მთავარი განიკურნა. პაატა წულუკიძემ მოინდომა თავისი და მთავრის პირობის შესრულება, მაგრამ ლამბერტმა უთხრა: თქვენი საუკეთესო საჩუქარი ის იქნება, რომ წიფურიას წმ, გიორგის ეკლესიას მოგვცემდეთო. მთავარიც სიამოვნებით დათანხმდა და მისცა ეკლესია, რამდენიმე ყმა და აგრეთვე სხვა საჩუქრები.[2] მალე მისიონერებს შეუერთდა ტოსკანიის ერთ ქალაქში დაბადებული ექიმი, რომელიც თურქებმა ტყვედ ჩაიგდეს უნგრეთში. მან სიყმაწვილეში ქრისტიანობა უარყო და გამაჰმადიანდა. შემდეგ გურიელს ექიმად ემსახურებოდა და ნანობდა თავის შეცდომას.[3]

მისიონერების მოსვლისათანავე სამეგრელოში გაჩნდა ჟამი, რომელიც სხვა მგზავრებმა ნავიდან შემოიტანეს. ჟამმა მალე იეზუიტი ბერი სტეფანე იმსხვერპლა. შემდეგ დასნეულდა ლუი გრანჟე, რომელმაც კონსტანტინეპოლს მიაშურა იმ იმედით, იქნებ ექიმების შემწეობით გადარჩენილიყო, თუმცა ამაოდ.[4] „კონსტანტინოპოლში მცხოვრებმა იეზუიტებმა, — წერს ა. ლამბერტი თავის „წმინდა კოლხიდაში“, — კოლხეთში ორი მისიონერი გაგზავნეს, რომ ამ სამეფოს მცხოვრებლებზე ცნობები შეეკრიბათ და (ამით ვატიკანისათვის) სარგებლობა მოეტანათ, რომ-

---

[1] **რ. შენგელია,** მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია, წ. I-II, თბ., 2012, გვ. 177.

[2] **მ. თამარაშვილი,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 199-201.

[3] **დონ პიეტრო ავიტაბილე,** ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე). *შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა*, თბ., 1977, გვ. 80.

[4] **მ. თამარაშვილი,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 142.

ლის იდებსაც კოლხეთში მცხოვრები ხალხი იძლეოდა. ისინი მართლაც წასულან კოლხეთში და იქ სიყვარულით მიუღიათ, განსაკუთრებით მათ მეფეს (იგულისხმება ლევან II დადიანი, - ი. ტ.), იმ დროს ახალგაზრდას. სხვა ცნობები არ მოგვეპოვება ამ მხარის შესახებ, ვინაიდან (სამეგრელოში) ჩასვლის შემდეგ ერთიც და მეორეც ქოლერისაგან გარდაცვლილა. ამის გამო გული გატეხია იეზუიტთა საზოგადოებას და ამ წამოწყებაზე უარი უთქვამს".[1]

ა. ლამბერტი კარგად აგვიწერს ოდიშის სამთავროში სამედიცინო ცოდნას და იმ დამოკიდებულებას, რომელიც მოსახლეობას გააჩნდა ამ საქმის მიმართ, ასევე, XVII საუკუნეში გავრცელებულ დაავადებებს.[2]

---

[1] **ი. ტაბაღუა,** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბ., 1986, გვ. 35.

[2] ,,მთელ კოლხიდაში მეტად მიღებული არიან ექიმები და ხალხს ისე არაფერი არ ენატრება, როგორც ექიმის ხელობა. ამიტომაც შორეული ქვეყნებიდან მოდიან აქ და სახლდებიან თურქები, ირანელები, იტალიელები და ფრანგები, რომელთაც ცოტა რამ იციან ამ ხელობისა. როდესაც მეგრელებთან ჩამოდის მკურნალობის წესების თუნდაც მცირე ცოდნის კაცი, მისთვის საკმაოა მხოლოდ ექიმის სახელი და წამლის გაკეთების ცოდნა სანახევროდ, რათა ყველასაგან პატივცემული, ქებული და მიღებული იქმნას. სხვებზე უფრო პატივსა სცემენ იტალიელებსა და ფრანგებს. ამათგან რომ ვინმე ჩავა სამეგრელოში, რათა აღარ წავიდეს, ცდილობენ ცოლი შერთონ და ამით დააბან იქ. აძლევენ სახლკარს, მიწა-ადგილს, მსხვილფეხა საქონლის ჯოგს, ყმებს და მონებს, ყველაფერს ისე უხვად, რომ მოსულის სურვილსაც აღემატება. იქაურები ყველანი მეტად მოწადინებული არიან შეისწავლონ რაიმე წამალი, ამიტომაც ცდილობენ, რომ ექიმმა მათ თვალწინ მოამზადოს წამალი. როცა შეისწავლიან წამლის მომზადებას, მაშინვე მთელ ქვეყანას ასწავლიან. უფრო ცნობის მოყვარეებს მრავალი წამალი აქვთ შესწავლილი და ჩაწერილი მათ ენაზე ერთნაირ წიგნში, რომელსაც კარაბადინი ჰქვია. ამ კარაბადინში სწერია სხვადასხვა საცხებლები, აბები და სასმელები. ხოლო, რადგან ყველა მასალა არა აქვთ, კარგად ვერ აკეთებენ ამ წამლებს და ამზადებენ ისე, როგორც შეუძლიათ. თვითეულ დიდებულ დიდებულს ოდიშში აქვს ერთნაირი ყუთი, რომელშიაც ინახავს სხვადასხვა აბებს, სასმელებს და ვარდისწყალს, ამ წამლებს საჭიროების დროს ხმარობს.

სამეგრელოში არიან ქალები, რომელნიც სიამოვნებით ეტანებიან ავადმყოფთა მოვლას. როგორც კი ვინმე ავად გახდება, რომელიმე ამ ქალთაგანი მაშინვე მივა და დაუწყებს მოვლას: საჭმელის წესრიგს დაუნიშნავს და გაუკეთებს რამდენიმე წამალს. წამლებად, როგორც დასალევად, ისე გარედ დასადებად, ბლომად ხმარობენ ბალახებს. საჭმელის შესახებ ამ წესს ადგანან; სრულებით ერიდებიან ყოველნაირ ხორცეულობას და ყველა სხვა საჭმელსა, გარდა ღომისა. ღომს როდინში გასწმენდენ კანისაგან, ძალიან კარგად გარეცხენ და საკმაოდ თხლად მოხარშავენ. მიურთავენ ცოტაოდენ ქინძს და ღვინოს რამდენსამე წვეთს. თავის ტკივილის დროს ავამდყოფს შუბლს შეუხვევენ ნარეკალას ფოთლებით. ამის წვენს ასმევენ ყოველნაირ ავადმყოფობის დროს.

როცა ავადმყოფს დიდი სიცხე აქვს, მას გაახვევენ ხოლმე ძეწნის ფოთლებში. საფაღარათოს ქალები არ აძლევენ ავადმყოფობის დროს, მაგრამ თუ ვინმემ საფაღარათოს დალევა მოისურვა იმისთვის, რომ ავად არ გავხდეო, იმას აძლევენ ხოლმე ერთ თასს რძიანას წვენს, რომელიც პირიდანაც და უკანიდანაც ისე ასაქმებს, რომ სიკვდილამდი მიაყენებს. ვინც იშოვნის რევანდს, სულ რომ პაწაწა იყოს და ჭიით დახრულიც, შეინახავს, ვითარცა ძვირფას წამალს, ციების წინააღმდეგ. მერე როგორ აძლევენ ამ წამალს? არც გამოხარშავენ და არც დანაყავენ, არამედ როგორც არის, ისე მთლად ჩააგდებენ ერთი ღამით წყალში; მეორე დილას ამოიღებენ რევანდს, წყალს ასმევენ ციებიანს და რევანდს კი შეინახავენ სხვებისათვის.

ერთხელ მე ვნახე იქაური ექიმი, რომელმაც დაარწმუნა მთავარი, რომ დედოფალს გულის ავადმყოფობისაგან იაგუნდი მოარჩენსო. სთქვა ეს თუ არა, მაშინვე მოსძებნეს მშვენიერი იაგუნდი წამლის მოსამზადებლად. ექიმმა მოამზადა იგი ამ რიგად: მოატანინა მდინარიდან ერთი ქვა და ჩააგდო ვერცხლის თასში, რომლებშიაც ჩაასხა ცოტაოდენი წყალი. იაგუნდი დაასველა წყალში და შემდეგ ამისა მაგრად ხეხა იგი იმ ქვაზე. გულუბრყვილო ექიმს ეგონა, რომ იაგუნდი გაილესებოდა ქვაზე. ხოლო ქვა გაილესა და არა იაგუნდი, რადგან იაგუნდი უფრო მაგარია ქვაზე. ამ უბრალო ქვის ნალესით აავსო ერთი დიდი თასი და მთლად შეასვა ავადმყოფ დედოფალს.

იქაური ექიმი რომ შეეცილოს გალენს, საკმარისია იცოდეს გაკეთება სამნაირი წამლისა: ერთი — საფაღარათო, მეორე — სიროფი და მესამე — კარგი გემოს კონსერვი. პირველი და უმთავრესი საფაღარათოა. რაც უფრო ძლიერი იქნება საფაღარათო, იმდენად მეტი სახელი ექნება ექიმს. საფაღარათოს აძლევენ ყოველნაირ ავადმყოფობაში, მიუხედავად იმისა, არგებს იგი, თუ აწყენს. ხშირად მომხდარა, რომ საფაღარათოს მეტად სამწუხარო შედეგი მოჰყოლია, რადგან ძლიერი საფაღარათო ძალას ულევს ავდმყოფს და სენიდან კი ვერ ჰკურნავს. ამიტომაც ავადმყოფი ხშირად კვდება. თუ ჩვენებური ექიმი მოხვდა იქ და მისცა ავადმყოფს მსუბუქი წამალი, რათა ზომიერად გააფაღარათოს ... იგი ექიმობაში ვეღარ შეეთანხმება იქაურ კარგ ექიმს, რომელიც ამტკიცებს, რომ საფაღარათომ ვერ იმოქმედა კარგადაო, წამალი ტანში დარჩა და სენი ვერ გამოიტანაო გარედ.

ერთხელ სამეგრელოში ჩამოვიდა ერთი ირანელი ექიმი, რომელიც იყო შეჩვეული მეტად მაგარი აგებულების ირანელების ექიმობას და ისეთ საფაღარათოს უნიშნავდა, რომ უფრო ცხენებს შეეფერებოდა, ვიდრე ადამიანებს: მისი ექიმობის სახელი ისე გავრცელდა, რომ მთელი ქვეყანა აღტაცებაში მოდიოდა და ჰფიქრობდა, რომ ახალი ესკულაპი მოგვივიდაო. მისი სახელი მართლა ისე გავარდა, რომ ყველა მეგობრებმა ურჩიეს მთავარს, რომ ასეთის შემთხვევით

ესარგებლნა და სიმრთელის შესანახად ყოველ შემთხვევისათვის ამ ექიმის წამლით გაწმენდილიყო. მთავარი უფრო თავის მრჩეველთა ხათრისათვის, ვიდრე საჭიროების გამო, დათანხმდა. მოიწვიეს ექიმი, რომელიც შეუდგა წამლობას. პირველი მისი საქმე ის იყო, რომ აღუკრძალა მთავარს ცხენზე შეჯდომა იმ დროის განმავლობაში, რაც წამლობა გასტანსო. ეს მეტად ძნელი ასატანია საზოგადოდ მეგრელებისათვის, რომელნიც მთელს თავის სიცოცხლეს ცხენზე ატარებენ. შემდეგ აღუკრძალა ყოველივე საჭმელი, გარდა ცხვრის ხორცისა. მერე დაუნიშნა საფაღარათოს მიღებამდის ყოველ დღე ორ-ორჯერ აბანოში წასვლა და იქ დარჩენა თითო საათობით მაინც. აბანოო, ამტკიცებდა ექიმი, სხეულს დაარბილებს და მერე საფაღარათოს დალევისთანავე ყოველივე გაფუჭებული წვენი სხეულიდან სულ ადვილად გამოვა გარედო.

ამ რიგად გასაფაღარათებლად ამზადებდა მთავარს ათიოდე დღის განმავლობაში და ამ დროს, ხანგამოშვებით, ბლომად მისცა აბები. ბოლოს მოაწია საფაღარათოს დალევის დღემაც და წინა საღამოს ექიმმა დაალევინა დიდი ვერცხლის თასით ცხელი რძე, წონით არა ნაკლები სამი გირვანქისა და სხვა საჭმელის ნება კი იმ საღამოს აღარ მისცა. შუაღამისას მისცა ხუთმეტიოდე აბი, თითოეული წონით თითო დრაჰმა, და გათენების წინ მისცა ვერცხლის თასით ერთნაირი სასმელი, რომელიც იწონიდა ორ გირვანქაზე მეტს. რამდენადაც მახსოვს, ამ წამალში შეაზავა ექიმმა თითქმის ერთი უნცია ღორისქადა, იმდენივე ნუშის ზეთი, ნახევარი უნცია რევანდი, სხვადასხვა ჯიშის ხმელი ქლიავი ... და სხვა რამეები, რომელიც ეხლა არ მაგონდება. ყოველივე ეს დანაყა და ტკბილი ბროწეულისა, ვარდისა და ხმელიის მოდუღებულ წვენში ჩაყარა, მერე აურია კარგად და თბილად შეაჭამა მთავარს. მთავარი მეტად მოწადინებული იყო თავისი სიმრთელე დაეცვა და ამიტომაც საკვირველის მოთმინებით ემორჩილებოდა ექიმის ყოველ ბრძანებას. ამ წამალმა ისე იმოქმედა, რომ საღამომდი, დასაძინებლად დაწოლამდი, ორმოცდაშვიდჯერ ასაქმა და ღამის განმავლობაში კიდევ ამდენჯერვე.

ამ ექიმის სახელი მთელ სახელმწიფოში განითქვა და ყველანი კვირობდნენ ამ კაცის ცოდნას, რომ ერთი წამლით ასე გაწმინდა ვამდყოფის ტანიო. თუმცა მთავარი ისე დასუსტდა, რომ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დადგა თავის უწინდელ ღონეზე, მაგრამ ექიმის კმაყოფილი მაინც დარჩა, რადგან ფიქრობდა, რომ ყოველივე ის, რაც ტანიდან გამოუვიდა, სენი იყო. და ამ სენისაგან დიდი ხნით განთავისუფლებული უნდა ვიყოვო. ამიტომაც ექიმი უხვად დააჯილდოვა და გაისტუმრა. მე კარგად ვიცი, რომ ჩვენში ასეთი წამალი ან უნაყოფო იქნებოდა და ან სიცოცხლეს მოუსპობდა ავადმყოფს, ხოლო სამეგრელოში, იქაურების აგებულებისა, თუ ჰავის მიზეზით, ჩვენებურის ზომით რომ მისცეთ წამალი, არავითარი მოქმედება არ ექნება. საჭიროა გაორკეცება და გასამკეცება ზომისა, რომ წამალმა იმოქმედოს. ამას გარდა თვით იტალიელები რომ დარჩებიან რამდენსამე ხანს სამეგრელოში, იმათაც ძლიერი საფაღარათო ეჭირვებათ იქაური წესით. ამ საფაღარათოს მომზადებაა უმთავრესი საგანი, რომელიც უნდა იცოდეს ამ ქვეყნის ექიმმა.

მეორედ ექიმმა უნდა იცოდეს სიროფის გაკეთება თაფლისა თუ შაქრისაგან. სიროფი ავადმყოფის სენის შესაფერი რომ არ იყოს, არა უშავს-რა, ოღონდ გემრიელი კი იყოს. როცა ვინმე ავად გახდება და ექიმს მოიწვევენ, პიველად ექიმმა სასმელი სიროფი უნდა მოამზადოს. რამდენს სხვადასხვანაირ სიროფს მოამზადებს ექიმი, იმდენად უფრო სწავლულის სახელს მოიპოვებს იგი. ამიტომაც ამ ჯურის ექიმები ვარდებს და იას თავის დროზე ბლომად მოჰკრეფენ, გაახმობენ და შეინახავენ, რათა საჭიროების დროს თაფლით ან შაქრით შეზავებული მოხარშონ და გააკეთონ სიროფი, რომელიც აგრე უყვართ იქაურებს, არამც თუ ავადმყოფს, არამედ კარგად მყოფსაც. სახელგანთქმულ ექიმებს ამ სასმელით სავსე ჭურჭელი ბლომად უნდა ჰქონდეს დამზადებული, რადგან, თუ ვინმე დიდებულმა გზად გამოიარა, მაშინვე მოითხოვს გასაგრილებელ სასმელს და ექიმი ცოტაოდენ სიროფს გაურევს წყალში და ამ სასმელს მიართმევს სტუმარს, რომლის გულსაც ამით მოიგებს. დიდებული სტუმარი სამაგიეროდ უხვად დააჯილდოვებს მასპინძელ ექიმს.

მესამედ, იქაურმა ექიმმა უნდა იცოდეს გაკეთება საექიმო კონსერვისა, რომელსაც იქაურები ეძახიან მაჯნუნს. ეს მაჯნუნი ირანელებს საუკეთესო წამლად მიაჩნიათ, რადგან მათი აზრით იგი სხეულს როდი სცლის სისხლისაგან, არამედ სისხლს სწმენდს და აახლებს. ამას გარდა ძვირფასი ქვების ნამსხვრევებისა და ძვირფას სურნელოვან მცენარეებისაგან აკეთებენ ნაირ-ნაირ წამლებს, რომელსაც ინახავენ ხოლმე კოლოფებში და საჭიროებისამებრ ხმარობენ. სამეგრელოს ექიმებმა ალბათ თავის მეზობელ ირანელებისაგან ისწავლეს ამ წამლის კეთება. მეგრელებიც მაჯნუნს ეძახიან ამ წამლებს, თუმცა მათებური წამლები ბევრად ჩამორჩება ირანელებისას, რადგან ირანელები მისდევენ არაბთა სწავლას და ამას გარდა მათი ბუნება მდიდარია ყოვლისავე სიკეთით, როგორც უბრალო საექიმო წამლებით, ისე ძვირფასი ქვებით და ინდოეთის სურნელოვანი მცენარეებითა. ამიტომაც იგინი აკეთებენ ძვირფასს და კაცთა სხეულისათვის ფრიად სასარგებლო მაჯნუნს. ხოლო მეგრელები მოკლებულნი არიან იმავე სიმდიდრეს და თუმცა აკეთებენ მაჯნუნს, მაგრამ მოქმედებით კი ვერ შეედრება მას. მიზეზი ის არის, რომ მეგრელებს არ აქვთ ძვირფასი ქვები და წამალს აკეთებენ ან სელის დანაყილი თესლისაგან, რომელსაც თაფლით შეზელენ, ან ფორთოხლის კანისაგან, ან სტაფილოსაგან; ან სხვა რაიმე ძირისაგან და ხილისაგან. ის კი არის, რომ ოღონდ წამალი კარგი გემოსი იყოს, თორემ რისგანაც უნდა იყოს, მაინც ციდან ჩამოვარდნილ წამლად მიიჩნევენ.

ჩემს დროს აქ იყო ერთი მატყუარა ბოლგარელი, რომელმაც რჯულს უღალატა კონსტანტინოპოლში და იქიდან ჩამოვიდა ოდიშში, სადაც მშვენივრად ირჩენდა თავს მხოლოდ იმით, რომ ასეთ წამლებს თითხნიდა: იგი აიღებდა ცოტაოდენ პურს, ძალიან გაახმობდა ცეცხლზე, შეურევდა თაფლსა და პილპილს, ჩაალაგებდა რამდენსამე პატარა ჭურჭელში და დაატარებდა სოფელ-სოფელ. ყველას არწმუნებდა, რომ ეს საუკეთესო თერიაყი არისო, რომელიც ჩამოვიტანე ქაირიდანო, და დანის წვერზე რაც დაეტეოდა, იმდენ წამალში იღებდა გოჭს, ან ყვერულს და ან ქათამს და ყოველ საღამოს დატვირთული ბრუნდებოდა შინ.

ზემოხსენებული სამი საგნის ცოდნა მოეთხოვება აქაურ ექიმს. გარდა ამისა მეგრელები თხოულობენ ექიმისაგან

XIX საუკუნეში ედუარდ აიხვალდი სამეგრელოში გავრცელებულ დაავადებათა შორის უმეტესად ციებ-ცხელებას ასახელებს.[1]

ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალები და XIX საუკუნის სხვა წყაროები ჩვენს მიერ განხილული სოფლების მაგალითზე გავრცელებული დაავადებების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის. მაგალითად, 1896 წლის გაზაფხულზე სოფ. გულეკარში რაღაც სენი გავრცელებულა, რომელმაც 19 კაცი იმსხვერპლა. სოფელში ექიმი არ იყო, რომ გამოეკვლია ეს სენი გადამდები იყო თუ არა.[2] ამავე ხანებში სოფელ ხორშში გავრცელებულა ავადმყოფობა კისერა. კვირა ისე არ გაივლიდა თურმე, რომ ორი-სამი ბავშვი არ ემსხვერპლა. ხშირად ერთ ოჯახში ორი-სამი ბავშვი კვდებოდა ამ სენით.[3]

1913 წლის მონაცემებით, სამედიცინო მომსახურების მიზნით, ზუგდიდის მაზრა დაყოფილი იყო ორ დიდ სამკურნალო უბნად. ერთ-ერთი იყო წალენჯიხის უბანი, რომელიც მომსახურებას უწევდა: ყულიშკარის, კორცხელის, ჭაქვინჯის, კირცხის, ახუთის, ჭოღის, ჩხოროწყუს, ლეწურწუმის, ობუჯის, წალენჯიხის, მუხურის, ჯგალის, ჯვარის, ლიის, ჭკადუაშის, ფახულანის, ჭალეს და ლესიჭინეს საზოგადოებებს. ამ უბნის ექიმის ადგილსამყოფელი წალენჯიხა იყო.[4]

ჭოღელი ექიმი ნიკო შენგელია რევოლუციამდე ერთადერთი იყო, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა არა მარტო თანასოფლელებს, არამედ რეგიონის მთელ მოსახლეობას[5]. კეთილარში პირველი ექიმი ნოსირელი ფერშალი კოსტა კედია იყო.[6]

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, კუდას წამალს ამზადებდა ჭოღაში მცხოვრები ტერე შენგელია; ხორშის თემში მატავერის წამალს ამზადებდა კუკლე დადიანის დედა. ეხლაც არიან მეწამლეები. მეწამლეები სოფელში იყვნენ აბაკელიების ოჯახი; დადიანების მეუღლე თამარა ხარბედია, რომელიც თუთაშის წამალს ამზადებდა.

კოკის თემში მცხოვრები ჩვენი მთხრობლის ქობალიების ოჯახი ამზადებდნენ კუდას წამალს, იგივე საყმაწვილოს. რეცეპტს მთხრობელი ბოლომდე არ გვიმხელს, მხოლოდ გვითხრა, რომ რომ ის მზადდება შავი ძროხის რძისაგან. ერთ ბავშვზე მიეცემა 50 გრამამდე. რომ დაალე-

---

ისეთ რასმე, რაც ჩვენში მავნებლად მიაჩნიათ ავადმყოფისათვის. მაგალითად თხოულობენ, რომ ექიმმა ავადმყოფს ყოველ სურვილზე ნება დართოს: თუ სმა უნდა, სვას, თუ ჭამა უნდა, ჭამოს, და თუ ძილი უნდა, იძინოს. მეტისმეტი უღმერთობა იქნებაო, ამბობენ იგინი, რომ ავადმყოფს არ შეუმსუბუქოს ტანჯვაო.

სამეგრელოში უმთავრესად სამი ჩვეულებრივი ავადმყოფობაა: ტყირპი, წყალმანკი და ხველა. რაც შეეხება ხველას, მათის აზრით, ხველას ვნებს ყოველივე ტკბილი. თუ, მაგალითად, გულის და ყელის დასალბობად ავადმყოფს ცოტა შაქარი მისცეს და ამის შემდეგ მას ხველება აუვარდა, მაშინვე ჩივილს დაიწყებენ, რომ ყოველივე ტკბილის ბრალიაო. წყალმანკის დროს უსმელობას ავადმყოფები ვერ ითმენენ და არც უშლიან: მანამდი სვამენ, სანამ არ დაიხრჩვებიან. ტყირპსაც სრულებით ისე არ წამლობენ, როგორც უნდა წამლობდნენ.

სასაცილო საშუალებას ხმარობენ აგრეთვე იმ ავადმყოფთა მიმართ, რომელთაც სამდღეური ან ოთხდღეური ციება სჭირთ. ეს ჩვეულება მეგრელებმა ალბათ მათი მეზობელ აფხაზებისაგან ისწავლეს: როგორც კი ციება გამოაჩნდება ავადმყოფს და იგი დაიწყებს ციებისაგან კანკალს, წაიყვანებენ, სადაც უფრო ცივი მდინარე ეგულებათ და ყელამდე წყალში ჩასვამენ. ორ კაცს ძალით უჭირავს აგრე კაი ხანს და მერე მკვდარ-ცოცხალს ამოიყვანებენ და ლოგინში დააწვენენ. ამტკიცებენ, რომ ამის შემდეგ ავადმყოფი უკეთ გრძნობს თავსო (**ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 90-96).

[1] **ედუარდ აიხვალდი** საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). *გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა,* თბ., 2005, გვ. 201.

[2] **ს. გულეკარიდან** (სენაკის მაზ.) გვწერენ: აგერ ოც დღეზე მეტი იქნება, რომ რაღაც გაუგებარმა სენმა იმსხვერპლა 19 კაცი. აქ ექიმი არ მოიპოვება, რომ გამოეკვლია ეს სენი გადამდებია თუ არა. თუ გადამდები არის იმ შემთხვევაში რამე ზომებს მაინც მიიღებდენ! ამ სოფელში კაცის ყური შეჩვეულია სიტყვებს: ,,მოკვდა საწყალი და ქმარიც კვდება" მეტი არაფერი. საჭიროა, რომ ყურადღება მიაქციონ ამ ბედკრულ სოფელს (გაზ. ,,კვალი", №21, 1896 წ. 12 მაისი).

[3] **სოფ. ხორში,** (ზუგდიდის მაზრა). ,,...ამ სოფელში საშინლად მოიდგა ფეხი კისერამ. კვირა არ გაივლის, რომ ორი-სამი ბავშვი არ იმსხვერპლოს. ხშირად ერთს ოჯახში ორი-სამი ბავშვი კვდება ამ სენით. ჭირნახულის მოსავალი წლეულს ჩვენსკენ კარგი იყო, უფრო-კი სიმინდისა" (გაზ. ,,ივერია", №246, 1899 წ. 14 ნოემბერი).

[4] **პლ. ჯიშკარიანი,** ზუგდიდის რაიონის მშრომელები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის პერიოდში, თბ., 1968, გვ. 37.

[5] **ვ. ახალაია,** ჩხოროწყუს რაიონი (ისტორიული მიმოხილვა), გვ. 235-236.

[6] თეოდორე სარდიონის ძე თელიას მოგონებანი, წიგნ. **მღვდელი კონსტანტინე კაჭარავა**, ,,ესე სოფელი კეთილ არს", გვ. 82.

ვინებენ, უნდა დაბანონ იმ დღესვე. 9 ჩაის კოვზს აჭმევენ შემთბარ მდგომარეობაში და რაც დარჩება იმით ბანენ. შესაძლოა ამ წამლისგან გამონაყარი გაუჩნდეს, თუმცა იმის წამალიც მზადდება: იოდი, მანქანის ზეთი აეს 8, კბილის პასტის ფხვნილი, სპეციალური ფქვილი და რამდენიმე ინგრედიენტი. საყმაწვილოს წამალი ასევე მზადდება მცენარეებისაგან: მრავალძარღვას, ბაბუაწვერას და სხვა რვა სახეობის მცენარის შერევით. კუდა და საყმაწვილო ერთი და იგივე ტიპის დაავადებაა.

ხუნწის თემში ხალხურ მეწამლე იყო ლუბა ღაჭავა. სოფელ ოდიშში ცნობილი მეწამლე იყო იზა ბერდეხელია, იცოდა დამწყვრობის წამალი, კუჭის და ღვიძლის ტკივილის წამალი.

დღესაც ხალხური მედიცინის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული მეთოდებით მკურნალობა ჰქვია, სამეგრელოში არ არის მივიწყებული, მის შესწავლას ეთნოგრაფიული მასალების მოძიებასთან ერთად საისტორიო წერილებით, წყაროებისა და საარქივო მასალების ურთიერთშეჯერებით კომპლექსური კვლევა სჭირდება.

მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის წესები. სამეგრელოში მიცვალებულის დაკრძალვასა და გლოვასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალებზე ცნობებს ვხვდებით ქართველ და უცხოელ ავტორთა თხზულებებში. ერთ-ერთი პირველი, ვინც სამეგრელოში მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის წესებს ეხება, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტია.[1] ამ საკითხს ეხება თედო სახოკია ნაშრომში „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში“. მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის წესებს ეხებიან ასევე სერგი მაკალათია, დავით შავიანიძე და სხვ.[2]

მეოცე და განსაკუთრებით ოცდამეერთე საუკუნე გარდამტეხი ხანა აღმოჩნდა. გლობალიზაციის ეპოქაში დღითიდღე დავიწყებას ეძლევა ძველი ტრადიციები

თედო სახოკიას მასალების მიხედვით, ძველად სამეგრელოში იმ ოჯახში, სადაც ავადმყოფი იყო, მამლის ყივილი ცუდ ნიშნად ითვლებოდა. მეგრელების რწმენით, როცა მამალი შუადღისას იწყებს ყივილს და მეზობლის მამლები მას ბანს აძლევენ: პირველი მამალი თავის ამხანაგებს უხმობს. ამხანაგები ეკითხებიან რა ამბავიაო? პირველი პასუხობს მალე ჩემს სახლში ქვეყნის ნამცეცები დაცვივდება და გთხოვთ ყველა მეწვიოთო. ამ დროს შეიძლება საზარლად დაიყმუვლოს ძაღლმა, ეს სასიკეთო ნიშანი არ იქნება.[3] სამეგრელოში დღესაც შემორჩენილია რწმენა მამლის ყივილისა და ძაღლის ყმუილის ავ ნიშნად მიჩნევის შესახებ. დღესაც ბევრს სჯერა, რომ არის ადამიანთა ისეთი კატეგორია, რომელსაც მამლის ყივილისას ესმის, თუ რას ამბობს იგი. ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ახალდაბადებულ ბავშვს, სანამ დედის რძეს მისცემდენენ, ენას მამლის სისხლით დაუსველებდნენ. ამისთვის მამალს ბიბილოს ააჭრიდნენ და იქიდან იღებდნენ სისხლს. ხალხის რწმენით, ამის შემდეგ ის ყველაფერს გაიგებდა, რასაც მამალი იტყოდა. გარდა მამლის ყივილისა და ძაღლის ყმუილისა, ასევე ავისმომასწავლებელ ნიშნად ითვლება კამეჩის მოსვლა იმ ოჯახის კარებთან, სადაც ავადმყოფი ჰყავთ. გადმოცემით, როცა ადამიანი წვალობდა და მის სულს უჭირდა სხეულიდან გასვლა, მისი საწოლის ქვეშ უღელს წვავდნენ. ამის შემდეგ სული მშვიდად ამოვიდოდა სხეულიდან. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დღემდე ხარის და ზოგადად ნებისმიერი ცხოველის უღლის დაწვა არ შეიძლება, რის გამოც ძველ უღლებს სპეციალურად მიჩენილ ერთ ადგილას ყრიან.

თ. სახოკიას მასალებით, „ადამიანის გარდაცვალებისთანავე მთელ სოფელში გაისმოდა ქალების კივილი და მამაკაცების ღრიალი, რაც ყველასთვის იმის მაუწყებელი იყო, რომ საიდანაც ეს ხმა მოდიოდა, დატრიალდა დიდი უბედურება“.[4] ს. მაკალათიას ცნობით, „გარდაიცვლე-

---

[1] **ა. ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა, 59-66.

[2] **ს. მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 282**; დ. შავიანიძე,** სამეგრელო (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ქუთაისი, 2015.

[3] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 112.

[4] **თ. სახოკია**, ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 120.

ბოდა თუ არა ადამიანი, ჭირისუფალი ასტეხდა საშინელ კივილს, კაცები კი ხმამაღლა მოსთქვამდნენ. მიცვალებულის ლოგინს მაშინვე მოარღვევდნენ და მას სხვაგან გადაასვენებდნენ. კივილით სოფელი იგებდა ადამიანის გარდაცვალებას და ყველანი გამორბოდნენ მიცვალებულის ოჯახში, სტიროდნენ მოთქმით და ხელებს თავ-პირში იცემდნენ. ნიშნად დიდი მწუხარებისა, დედა და დები ლოყებს დაიკაწრავდნენ და თმებს იგლეჯდნენ".[1]

ადამიანის გარდაცვალება დღესაც დიდ ტრაგედიად ითვლება, თუმცა ხმით მოთქმის ტრადიცია ნელ-ნელა გაქრობის გზას დაადგა. სოფლებში, განსაკუთრებით ახალგაზრდის გარდაცვალების შემთხვევაში, დღესაც შეხვდებით ჭირისუფლის ხმამაღლა დატირების, ლოყების ჩამოხოკვის შემთხვევებს, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ამ ტრადიციის შესუსტების პროცესი.

ადამიანი გარდაიცვლებოდა თუ არა, მოდიოდა „მარწკინალი" (მიცვალებულის გამპატიოსნებელი). მარწკინალი უნდა ეცადოს მიცვალებულს სახეზე ნაკლებად დააჩნდეს საშინელი სურათი სიკვდილისა. სანამ სხეული გაშეშდებოდა, მიცვალებულს უხუჭავდა თვალებს, მოუკუმავდა პირს, ფეხებს გაუსწორებდა, ხელებს გულზე ჯვარედინად დაუწყობდა, თმასა და წვერულვაშს დაუვარცხნიდა.[2] დღეს „მარწკინალის" ფუნქციას ოჯახის წევრი ან მეზობელი ასრულებს. იცოდნენ მიცვალებულის დაბანა. ეს წესი სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის წინაც სრულდებოდა, დღეს კი თითქმის გამქრალია. ფილტვების ავადმყოფობით, კიბოთი ან მსგავსი დაავადებით გარდაცვლილი ადამიანის ეზოში შესვლა გარდაცვალებისთანავე შესაცხადებლად, საშიშად მიაჩნდათ, რადგან სჯეროდათ, რომ ის ავადმყოფობა ამ ადამიანის სიკვდილის შემდეგ ამოდიოდა სხეულიდან და შეიძლებოდა სხვაზე გადასულიყო.

თუ ადამიანი სადმე ტრაგიკულად დაიღუპებოდა ან წყალში დაიხრჩობოდა, მაშინ მისი გარდაცვალების ადგილიდან სახლამდე გააბამდნენ ძაფს, სული გამოყვება და სახლში მოვაო. იმ ადგილას სადაც ადამიანი გარდაიცვალა, წავიდოდა ქალი და კაცი, წაიღებდენ ჩონგურს და გრძელ ძაფს. სადაც ეს ადამიანი გარდაიცვალა, გამოაბამდნენ ამ ძაფს და წამოიღებდნენ სახლამდე, თან უკრავდნენ ჩონგურზე, ასიამოვნებდნენ და გზას უკვლევდნენ ამით მის სულს და ასე მოვიდოდნენ სახლამდე. ასევე იცოდნენ ადამიანის გარდაცვალების ადგილზე მამლის წაყვანა, რომ მამალს „აეყვანა" გარდაცლილის სული. დაკრძალვის შემდეგ მამალს სასაფლაოზე გაუშვებდნენ. მიცვალებულის სულის მოსაყვანად მიჰყავდათ ასევე მტრედი.[3]

ნათესავებს და მოკეთეებს ახლობლის გარდაცვალებისა და დასაფლავების დღეს განსაკუთრებული კაცის — „მაგინაფალის" პირით ატყობინებდნენ, რომელიც დაუვლიდა სათითაოდ ყველას და სიტყვიერად გადასცემდა სამწუხარო ამბავს. ამ სამწუხარო ამბის თქმას „შეცხადება", სამწუხარო ამბის მთქმელს კი „შემაცხადაფალი" ანუ შემცხადებელი ერქვა. ძველად შემცხადებელი რამდენიმე იყო, ამათ ჯგუფს თან მიჰქონდა რაიმე ნივთი, რომელიც მიცვალებულს ეკუთვნოდა: ხმალი, სატევარი, ბუდეში ჩაწყობილი ისრები, ან კიდევ მისი ტანსაცმლის მონახევი. მიცვალებულის ნათესავების ერთ-ერთ სახლს რომ მიუახლოვდებოდნენ, შემცხადებლები ხმამაღლა ტირილს დაიწყებდნენ და ამით შინაურებს აცნობებდნენ, რომ მოდიან შემცხადებლად. სახლში შემოვიდოდნენ თუ არა, წელს ზემოთ გაიშიშვლებდნენ სხეულს, განსვენებულის კუთვნილ ნივთს საჩინო ადგილას დადებდნენ და გარშემო მოუსხდებოდნენ ნივთს, რომელსაც ამ შემთხვევაში ერქვა „ნიშანი" და რომელიც დამსწრეთათვის მისი გარდაცვლილი პატრონის მოსაგონებელი იყო და იწყებდნენ მოთქმით ტირილს. ტირილის გათავებისას, შეცხადებულნი ეტყოდნენ თუ რა დღეს მოსულიყვნენ მიცვალებულის სატირლად. ახლა „შეცხადება" უფრო სადად სრულდება: შემცხადებელი მხოლოდ ჩამოატარებს სამგლოვიარო უჩალათო წერილებს, შავი ლუქით დაბეჭდილს. [4]

მაგინაფალს ზურგზე ტომარა ეკიდა და ხელში ჯამი ეჭირა, მივიდოდა ოჯახში და აცნობებ-

---

[1] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 282.

[2] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ.120.

[3] **დ. შავიანიძე,** სამეგრელო (ისტორიულ ეთნოგრაფიული ნარკვევი), გვ. 168.

[4] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 121.

და მიცვალებულის ტირილის დღეს და თან ლობიოს წამოიღებდა. ამბის მიმტანი „შემაცხადაფალი“ მარტო არ მივიდოდა ოჯახში, იგი ვინმეს მიიყვანდა და ამბავს შორიდან მოჰყვებოდა, ბოლოს მიახვედრებდა თუ რა უბედურება ეწია ოჯახს.[1] დღეს „მაგინაფალის“ ტრადიცია თითქმის მოშლილია, რისი მიზეზიც უახლესი ტექნოლოგიების (მობილური ტელეფონი, ინტერნეტი) დამკვიდრება გახდა. საბჭოთა პერიოდში მიცვალებულს წესს არ უგებდნენ, მაგრამ ბოლო დროს ეს ტრადიცია ნელ-ნელა აღდგა. დღეს თითქმის ყველგან წესის ასაგებად მღვდელი მიჰყავთ.

XIX საუკუნის მასალებით ვიგებთ, რომ მიცვალებულს გარდაცვალებიდან მეოთხე ან მეხუთე დღეს კრძალავდნენ.[2] ეს ტრადიცია დღესაც შენარჩუნებულია, თუმცა გარდაცვლილს კრძალავენ ხუთიდან შვიდ დღემდე ვადაში. დაკრძალვა შეიძლება მხოლოდ „გეკულა“ დღეებში. ასეთ დღეებად ითვლება სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი. ამ წესს დღესაც მტკიცედ იცავენ. ძველად იცოდნენ მიცვალებულისთვის ღამის გათევა, კითხულობდნენ ფსალმუნებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ფსალმუნების კითხვის ტრადიცია მოიშალა და ღამისმთევლები სხვადასხვა თამაშით ან სხვადასხვა ამბების თხრობით ერთობოდნენ. რაც უფრო ხნიერი იყო მიცვალებული, ღამისმთევლები მით ნაკლებად ერიდებოდნენ მხიარულებას. მიცვალებულისთვის ღამის გათევის ტრადიცია ასე თუ ისე დღესაც არსებობს, განსაკუთრებით, თუ მიცვალებული ახალგაზრდაა, მიმდებარედ მცხოვრები ახალგაზრდები ან მეგობრები მას ღამეს უთევენ.

ძველად გარდაცვლილისთვის სასახლის დამზადება მესაფლავის პრეროგატივა იყო. „ისინი ცულით გათლილი ფიცრისგან კუბოს შეკრავდნენ“.[3] დღეს მეკუბოვეობა ცალკე ხელობაა და სასახლეს ხშირ შემთხვევაში ოჯახი, გარდაცვლილის ნათლია ან რომელიმე ახლო ნათესავი ამზადებინებს საკუთარი ხარჯით. კუბოს მოასვენებენ დაკრძალვის წინა ღამეს, დღისით მოტანა არ შეიძლება. ღამით ან დაკრძალვის დღეს, დილით, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილ მიცვალებულს ჩააბრძანებენ კუბოში. სულ რამდენიმე წელია შემოვიდა მიცვალებულისათვის განკუთვნილი მაცივრები. მანამდე იყო სპეციალური პროფესია „ღურელიშ მაწამალარი“ (მიცვალებულის შემწამლავი), რომელიც მიცვალებულს უკეთებდა სპეციალურ პრეპარატს, რომ სხეული არ გახრწნილიყო.

ეთნოგრაფიული მასალებით, სატირალში მიმავალ ნათესავებს მოჰყავდათ ხალხი. ვინც მეტ ხალხს იახლებდა, მისთვის ეს სასახელოდ ითვლებოდა. სატირლად წამოსულებს თან მოჰქონდათ გამზადებული სურსათ-სანოვაგე, გამომცხვარი მჭადი, მოსახარში ლობიო, ღვინო, ნიგოზი, ხახვი; მოჰყავდათ მოზარეთა გუნდი და მოჰქონდათ დიდი შავად მორთული კელაპტარი. არსებობდა ერთგვარი შესაწირავი, რომელსაც „გინაფორალი“ (გადასაფარავი) ჰქვია. მოტირალთ შეძლებისდაგვარად მოჰქონდათ ერთგვარი ფულადი შესაწირი. ნათესავი, რაც არ უნდა შორს მაცხოვრებელი ყოფილიყო, ახლობლის ტირილში აუცილებლად უნდა მისულიყო. თუ კი ვინმე, რაიმე მიზეზით, სატირალში ვერ მოვიდოდა, შემდეგ უნდა მისულიყო და ეტირა მიცვალებულის ნიშანზე.

დღევანდელ ყოფაში მხოლოდ ფულადი შესაწირის არსებობა ფიქსირდება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შესაძლოა რომელიმე ნათესავი ან მეზობელი ქელეხის სუფრისთვის საჭირო ღვინით ან სხვა პროდუქტით დაეხმაროს ჭირისუფალს. დღესაც გავრცელებულია ფულადი შესაწირი, რაც შემდეგნაირად სრულდება: დაკრძალვის დღეს რომელიმე ოთახში დასვამენ ორ ადამიანს „ფარაშ მაჭარალი“ (ფულის ჩამწერებს) და სატირლად მოსულთაგან ვინც ოჯახის ნათესავი ან ახლობელია, ჩაწერს ფულს. ეს ფული ერთგვარი ვალია და როცა ჩამწერის ოჯახს ეწვევა უბედურება, იმდენივეთი უნდა შეეწიოს ეს ოჯახი. ბოლო დროს ამ ტრადიციაშიც შეიმჩნევა ცვლილება. ზოგი ოჯახი არჩევს მთლიანად საკუთარი ხარჯით დაიტიროს თავისი მიცვალებული. ახლობლის სატირალში თანმხლები ხალხით მისვლა დღესაც შემორჩენილია. თანმხლებნი გარდაცვლილის ახლობლის მეზობლები არიან, რომლებიც თავს ვალდებულად თვლიან გაყვნენ

---

[1] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 282.

[2] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 121.

[3] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 120.

მეზობელს სატირალში. დღეს მიცვალებულის ახლობლებს კელაპტრის ნაცვლად ყვავილი მიაქვთ. რაც უფრო ახლობელია გარდაცვლილი, მით უფრო დიდი და ძვირადღირებული ყვავილი მიაქვთ. იშვიათად, მაგრამ მიაქვთ სანთელიც. რაც შეეხება მოზარეთა გუნდს, მათ სამეგრელოში უკვე ვერსად შეხვდებით. სხვადასხვა მიზეზთა გამო, თუ მიცვალებულის ახლობელი ვერ მივა სატირალში, მას იმ დროს როცა ამის საშუალება მიეცემა, მივა და მიუსამძიმრებს („ქიმიანარღება") გარდაცვლილის ოჯახს. ორმოცი დღის განმავლობაში მიცვალებულის ნიშანის გაშლის ტრადიცია თითქმის მოშლილია.

თ. სახოკიას მასალებით, მიცვალებულის სატირლად მოსული ადამიანი შემოვიდოდა თუ არა ჭიშკარში მივიდოდა იქვე მდგარ ხესთან, რომელიც ტანისამოსის ჩამოსაკიდებლად იყო გამოყენებული. მოიხდიდა ქუდს, ნაბადს, ჩამოიხსნიდა იარაღს და ყველაფერს ხეზე დაკიდებდა. ამის შემდეგ ახალუხისა და პერანგის საკინძეებს იმდენზე გაიხსნიდა, რომ გულმკერდი ნაწილობრივ გამოჩენოდა. კიდევ უფრო ძველად, მოტირალნი წელს ზემოთ ტანს გაიშიშვლებდნენ და ფეხსაცმელსაც გაიძრობდნენ. 3-4 კაცი დადგებოდა და ზარს დაიწყებდა თუ არა, მოტირალნი ორივე ხელს შუბლზე ირტყამდნენ და „ვაი-ვაი"-ის ძახილით გაემართებოდნენ სახლისაკენ, სადაც მიცვალებული ესვენა. კუბოსთან მისულები დაიჩოქებდნენ და თითოეული მათგანი ჩამოთვლიდა მიცვალებულის ყოველ ღირსებას და ვაჟკაცობას. მიცვალებულს რომ იტირებდნენ, გულს იმჯიღავდნენ და ისე მიუსამძიმრებდნენ მშობლებს, ნათესავებს, ჭირისუფალს. მოტირალს ორივე მხარეზე მოჰყვებოდნენ მოწესრიგენი, რომლებიც იმაზე ზრუნავდნენ, რომ მოტირალთ მეტის-მეტი ტირილითა და მწუხარებით თავი არ დაიოსონ და თან იმ ოთახში, სადაც კუბო ასვენია თავისუფლად შესვლა-გამოსვლას არეგულირებდნენ. მოზარეთა გუნდი ისევ ეზოში ბრუნდებოდა, ამ დროს კი მეორე გუნდი სხვა მოტირლებს მოჰყვებოდა.[1]

დღეს, მიცვალებულის სატირლად შემდეგნაირად მიდიან: როგორც კი მიცვალებულის სახლს მიუახლოვდებიან ან ეზოში შევლენ, ქალები დადგებიან წინ, კაცები კი ასაკის მიხედვით ორ ან სამ მწკრივად. უპატივცემლობად ითვლებოდა წვერგაუპარსავად სატირალში მისვლა, თუ რამე მიზეზი არ გქონდა, მაგრამ დღეს ამ ტრადიციას მხოლოდ ასაკოვანი ხალხი იცავს. ქალები შევლენ კივილით და მოთქმით, შემოუვლიან კუბოს და მიცვალებულის გარშემო მსხდომ ქალებს მიუსამძიმრებენ. მიცვალებულის დასატირებლად შესვლა არ შეუძლია ორსულ ქალს. კაცები მიცვალებულის წინ დადგებიან და თავს დაუხრიან მიცვალებულს. შემდეგ ყველანი გარეთ გადიან და ხელის ჩამორთმევით უსამძიმრებენ მიცვალებულის ახლობელ მამაკაცებს, რომლებიც იქვე კარებთან დგანან. ამის შემდეგ კაცები ეზოში ჩადიან, ქალები კი ისევ იმ ოთახში შედიან, სადაც მიცვალებული ასვენია და მცირე დროით რჩებიან. ჩამოსულებს ქვემოთ დახვდება საგანგებოდ ამ საქმისთვის არჩეული პირი „გილმანგარალი", რომლის ფუნქციაში შედის ყურადღება მიაქციოს სატირლად მოსულ ხალხს, სეფაში მიიპატიჟოს და მიცვალებულის სახელზე ჭიქის აწევა სთხოვოს.

ქელეხის სუფრა აუცილებლად სამარხვო უნდა ყოფილიყო, დღეს კი ამ წესში ტრანსფორმაცია შეიმჩნევა. ბოლო ხანებში ქელეხის სუფრაზე გაჩნდა ყველი, ხაჭაპური, მაგრამ ხორცს ვერ ნახავთ, ხორცი დაუშვებელია. მგლოვიარისათვის ხორცი იმდენად მიუღებელი იყო, რომ ძველად სოფელში მიმდებარედ მცხოვრებნიც კი, სანამ მიცვალებული ესვენა, არაფრის დიდებით არ დაკლავდნენ არანაირ საკლავს. ზოგი ორმოცი დღის განმავლობაში მარხულობდა კიდეც. დღეს მარხვას არ ინახავენ, მაგრამ იმ პერიოდში, როცა ახლობელი გარდაცვლილი ჰყავთ, ხორცს არ ჭამენ და თუ ძალიან ახლობელი ან ახალგაზრდაა გარდაცვლილი, ორმოცი დღის მანძილზე ან დაკრძალვიდან ორი კვირა მაინც არაფერს დაკლავენ. ათიოდე წლის წინათაც კი, როცა ადამიანი გარდაიცვლებოდა, ახლობლები და მეზობლები ორმოცი დღის განმავლობაში არ რთავდნენ ტელევიზორს. დღეს ეს წესი უკვე მოშლილია. ასევე დიდი სირცხვილია ახლობლის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე მაინც, თუ ოჯახის წევრია ერთი წელი, ქორწილში წასვლა.

---

[1] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 122.

სამეგრელოს სოფლებში განსაკუთრებით მთიანი სამეგრელოს მხარეში, მიცვალებულის გარდაცვალების დღესვე იშლება სუფრა და დაკრძალვის დღის ჩათვლით ყოველდღე გაშლილია. სუფრაზე წარმოდგენილია, ლობიო, დამჟავებული კომბოსტო, პური და ღვინო, შესაძლოა თევზი და ყველი. სუფრის მრავალფეროვნება ოჯახის მატერიალურ სიძლიერეზეა დამოკიდებული. დაკრძალვის დღის სუფრა უფრო მრავალფეროვანია და უფრო დიდი მაშტაბებით შლიან. ამისთვის იქირავებენ ქელეხის სეფას, რომელსაც მოყვება, ჭიქები, თეფშები და ქელეხის სუფრისთვის საჭირო ყველა ნივთი. რამდენიმე წელია დაიწყეს ქელეხის რესტორანში და საბანკეტო დარბაზში გადახდა. სამეგრელოს ქალაქებში ქელეხს თითქმის ყველგან უკვე საბანკეტო დარბაზებში აკეთებენ მას შემდეგ, რაც მიცვალებულს მიწას მიაბარებენ. ეს ტენდენცია ნელ-ნელა სოფლებშიც იკიდებს ფეხს. ადგილობრივების დიდ ნაწილს ტრადიციის ასეთი ცვლილება არ მოსწონს, მაგრამ ეს პროცესი ნელ-ნელა შეუქცევად სახეს ღებულობს.

ადამიანის გარდაცვალების დღიდან მიცვალებულის ოჯახში ყველა საქმეს „სამოხიოს“ წევრები აკეთებენ. სამოხიო არის გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა გაერთიანება, რომელიც ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით დგანან და ყოველგვარ საქმეში ეხმარებიან ერთმანეთს. „სამოხიოს“ ინსტიტუტი მართალია დღეს ძველებური სიძლიერით არა, მაგრამ მაინც განაგრძობს არსებობას.

დაკრძალვის დღისთვის მზადება წინა დღეებში იწყება. სამოხიოს წევრებიდან ერთი კარგი საორგანიზაციო უნარების მქონე კაცი ინიშნება ხელმძღვანელად. იგი კურირებს ყველა საქმეს. ოჯახის წევრებთან ერთად ჩამოწერენ საყიდელი სურსათის სიას, გაშლიან სეფას, მოიმარაგებენ შეშას, მჟავეს გააკეთებენ წინა დღით. ფლავის და ლობიოს გამკეთებლები დაკრძალვის დღეს, დილით ადრე მოვლენ, რომ ხალხის მოსვლამდე მოასწრონ გაკეთება. ბოლო დღეს სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს: ლობიო, თევზი, ყველი, ფლავი, მჟავე, ლიმონათი, პური და ღვინო. შესაძლოა იყოს სხვა კერძებიც, მხოლოდ სამარხვო. დაკრძალვის დღეს, დილით ადრე, რვაცხრა საათისთვის სამოხიოს წევრები მივლენ იმ ოჯახში, სადაც მიცვალებული ასვენია. გააწყობენ მაგიდას და ყველანი ერთად შევლენ მიცვალებულის დასატირებლად („გეგლენგარა“). მერე დასხდებიან საჭმელად ხალხის მოსვლამდე, რადგან მერე ვერ მოიცლიან ჭამისთვის. სეფაში დაჯდება ერთი კაცი, რომელიც ჩამოწერს „მოინალეთაგან“ (მოსამსახურე, რომელიც მაგიდას ემსახურება) თუ ვის რა ფუნქცია დაეკისრება. ზოგი მერიქიფედ ჩაეწერება, ზოგი ლიმონათის დამტარებლად, ზოგი ლობიოს დამსხმელად, ორ-სამ კაცს მესაფლავეებისთვის საჭმლის წაღება დაევალება და სხვა. ერთი კაცი აირჩევა უფროსად „შეფაშ დუდი“ (მაგიდის თავი), რომელიც კურირებს ყველაფერს და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის მითითებებს. ასევე აირჩევენ რამდენიმე ადამიანს („გილმანგარალეფი“), რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ასეთად უფრო ხანში შესულ, დარბაისელ და პატივსაცემ ხალხს ირჩევენ. მესაფლავე ოთხი-ხუთი კაცია. მარტვილის რაიონის მონაცემებით, მესაფლავეთაგან ერთი მაინც უნდა იყოს გარდაცვლილის გვარის. სხვა რაიონებშიც ამას უპირატესობას ანიჭებენ. ადამიანს მესაფლავედ წასვლა არ შეუძლია, თუ მისი მეუღლე ფეხმძიმედაა ან სანათესაოში ვინმე ფეხმძიმე ჰყავს. მესაფლავეები დილით ადრე წავლენ საფლავზე, თან წაიღებენ საჭირო ნივთებს და შეუდგებიან საფლავის თხრას. რაც არ უნდა ადრე მორჩნენ საფლავის გათხრას, იმ სახლში, სადაც მიცვალებული ასვენია, მოსვლის უფლება არ აქვთ, სანამ მიცვალებულს მიწას არ მიაბარებენ. როცა მესაფლავეს ოჯახის წევრი გარდაეცვლება, ჭირისუფალი ვალდებულია მესაფლავის ოჯახის წევრის მესაფლავედ თვითონ წავიდეს.

მიცვალებულს გაასვენებენ ნაშუადღევს, უფრო საღამოსკენ. გასვენებამდე ყველანი სამოხიოს წევრებიდან დაწყებული ნათესავებით დამთავრებული, კიდევ ერთხელ შევლენ იქ სადაც მიცვალებული ასვენია და გამოეთხოვებიან მას. როცა მიცვალებულის გამოსვენების დრო დადგება, ოთახის კარებს, სადაც მიცვალებული ასვენია, დაკეტავენ. მამაკაცები კუბოს სამჯერ დაატრიალებენ მარჯვენა მხარეს, შემდეგ კი კარს სამჯერ მიარტყამენ. მარტვილის რაიონში დაფიქსირდა სარკის ჩამტვრევის და ხის მოთხრის ტრადიციაც. შემდეგ მიცვალებულს ეზოში დაასვენებენ, სადაც ჭირისუფლები და ახლობლები კიდევ ერთხელ დაიტირებენ და დაემშვიდო-

ბებიან. როგორც კი მიცვალებულს ეზოდან გაასვენებენ, წააქცევენ იმ მაგიდას, რომელზეც ესვენა და ყველაფერს გამოგვიან. ხის მოთხრის, მაგიდის წაქცევის და ოთახის გამოგვის ტრადიცია ძველადაც იცოდნენ და დღესაც კარგადაა შემორჩენილი. უკანასკნელ გზაზე მიცვალებულს ჭირისუფალი და დასატირებლად მისული ხალხის ნაწილი მიყვება. ბოლო დროს მიცვალებულს ძალიან ცოტა ხალხი აცილებს უკანასკნელ გზაზე, ძირითადად, ნათესავები და მეზობლები. ყველაზე წინ მიდის გარდაცვლილის ახლობელი ბავშვი ან ახალგაზრდა სანთლით და მიცვალებულის სურათით ხელში. უკანა გზაზე წამოსვლისას იგივე ადამიანმა ეს სურათი უნდა შეაბრუნოს და ისე წამოიღოს. მის უკან მიდიან ბავშვები ყვავილებით ხელში (ბოლო დროს, ზოგჯერ სოფლებშიც კი, მიცვალებულს სასაფლაომდე მანქანით მიასვენებენ), ხოლო მათ უკან მოდიან ისინი, ვისაც კუბოს თავი მოაქვს; შემდეგ მოასვენებენ მიცვალებულს. მას მოყვება ჭირისუფალი, რომელიც კივილით და მოთქმით მიაცილებს მიცვალებულს. სასაფლაოზე რომ მიაბრძანებენ მიცვალებულს, დადგამენ კუბოს და ჭირისუფალი კიდევ ერთხელ დაემშვიდობება უკანასკნელ გზაზე მიმავალს. სანამ კუბოს დააფარებენ, აუცილებელია საპონი ან სხვა რაიმე ნივთი, რომელიც მიცვალებულს უდევს, მალულად ამოუღონ. ამას აკეთებს მეზობელი ან რომელიმე ახლობელი. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ გარდაცვლილმა ცუდი თვალით არ მოიხედოს. მიცვალებულისთვის ტანსაცმლის და სხვადასხვა ნივთის ჩაყოლიების ტრადიცია ნელ-ნელა ქრება. მიცვალებულს, სანამ კუბოს დააფარებენ, ზოგჯერ ფეხსაცმელს გახდიან, ნაჭერს ამოხევენ კუბოდან და კუბოს ფეხებს მოამტვრევენ. ეს ტრადიცია ზუგდიდის რაიონში დღესაც სრულდება. კუბოს ჩაასვენებენ საფლავში და ყველა თითო მუჭა მიწას მიაყრის. შემდეგ ჭირისუფალს სახლში წაიყვანენ. სასაფლაოდან წამოსულზე ისევ უკან მიბრუნება არ შეიძლება. ხალხის წასვლის შემდეგ მესაფლავეები განაგრძობენ თავიანთ საქმეს. როცა რომელიმე მესაფლავე საფლავშია ჩასული მისთვის ხელის გაწოდება და ამოყვანა არ შეიძლება, თვითონ უნდა ამოვიდეს. მესაფლავემ ბარი, რომლითაც მიცვალებულს მიწას აყრიან, სხვა მესაფლავეს რომ მიაწოდოს, ესეც არ შეიძლება. დააგდებს ამ ნივთს და მეორე მესაფლავე აიღებს. თუ რატომ ასრულებენ ამ წესებს, არ იციან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დღესაც მკაცრად იცავენ. სანამ ჭირისუფალი და ხალხი სახლში დაბრუნება, „მოინალეები“ სუფრას გაშლიან. სუფრას მესაფლავეების მოსვლამდე არ დაიწყებენ. მესაფლავე საპატიო პიროვნებად ითვლება და ორმოცზე, წლისთავზე და მიცვალებულის სახელზე გამართულ ყოველ სუფრაზე ეძახიან.

გარდაცვალებიდან მესამე დღეს, იციან მკლავის გახსნა, ამ დღეს შედარებით ვიწროდ აკეთებენ. მკლავის გახსნაზე ახლობლებს ძალით ხორცზე კბილს დაადგმევინებენ. შედარებით ფართოდ იციან ორმოცის გადახდა. ორმოცზე შესაძლოა ასი და მეტი კაციც მოიწვიონ. ამ დროს კლავენ საკლავს. თუ გარდაცლილი ქალია, ფურს, თუ კაცი — ხარს. დაკლული საქონლის თავს, ტყავს და ფეხებს მიცვალებულის სახელზე ცალკე გაშლილი მაგიდის ქვეშ დებენ. ჯერ მიცვალებულის საფლავზე წავლენ, საფლავიდან დაბრუნების შემდეგ ღვინონარევი წყლით ყველას ხელს დააბანინებენ, შემდეგ საკმეველს დადებენ და ღვინოს პურზე გადააქცევენ. ამის შემდეგ დასხდებიან სუფრაზე. ორმოცის სუფრაზე ყველანაირი საკვებია, არაფერი არ არის შეზღუდული. სუფრის მრავალფეროვნება ოჯახის სიძლიერეზეა დამოკიდებული. ორმოცში მოწვეულ ახლობლებს მოაქვთ ნამცხვრები, გოჭი და სხვა პროდუქტები. ისევე, როგორც ქელეხში, გარდაცვლილის ოჯახის წევრი წამოდგება და ოჯახის ახლობელ ერთ კაცს, რომელიც სმით და სიტყვა-პასუხით გამოირჩევა, სთხოვს მიცვალებულის სახელზე ჭიქის აწევას. სუფრის მერე იციან მოწვეული ხალხისთვის დარჩენილი საჭმელის სახლში გატანება.

ახლობლის გარდაცვალებისას ყველა იცვამდა შავ სამოსს, განსაკუთრებით ოჯახის წევრები. ახლობელი მამაკაცები ორმოცი დღის მანძილზე წვერს არ იპარსავდნენ. როცა შავების ტარების დრო გაივლიდა, მიცვალებულის ახლობლები აირჩევნდენ ერთ პირს, რომელიც გარდაცვლილს აგონებდათ და მის მაგივრად აიყვანდნენ, ეს კი შემდეგნაირად სრულდებოდა: ეს არჩეული პირი წლისთავზე მაკრატლით შეჭრიდა თმას მგლოვიარეს („თომაში მიკოოთამა“) და ამ დღიდან „ჩაფილად“ითვლებოდა. იყო მაგალითად დიდა-ჩაფილი (დედის მაგიერი), ჯიმა-ჩაფილი (ძმის მაგიერი), და-ჩაფილი (დის მაგიერი) და სხვა. ჩაფილი მგლოვიარეს თმას მოაჭრიდა

ორ-სამ ადგილას. ამ თმას ჩვარში გამოახვევდა და შეინახავდა. ჩაფილს აძლევდნენ ნახევარს, რაც დარჩა მიცვალებულს, სამაგიეროდ სქუა-ჩაფილი თუ ჯიმა-ჩაფილი მას უვლიდა როგორც ღვიძლი შვილი და ძმა. ერთმანეთში მათ დიდი სიყვარული ჰქონდათ, წყენინება ან რამე უწესობის ჩადება დიდი სირცხვილი იყო. როდესაც და-ჩაფილი გათხოვდებოდა, მას ძმა-ჩაფილი, როგორც ძმა ქორწილში გაყვებოდა და ძმის მოვალეობას ასრულებდა. ვაჟის ქორწილში კი და-ჩაფილი ასრულებდა დის მოვალეობას. თუ მათ შორის რამე შუღლი ჩამოვარდებოდა, შენაკრეჭ თმას უკანვე უბრუნებდნენ და ამით ეს წესიც ირღვეოდა. როდესაც ჩაფილი გარდაიცვლებოდა, მის სანაცვლოდ არავის მოიდებდნენ. სამგლოვიარო თმას ჩაფილზე თვითონვე მოიჭრიდნენ და გადააგდებდნენ.[1]

მართალია, გაფერმკრთალებულია და ხშირ შემთხვევაში ფორმალურად სრულდება, მაგრამ „თუმაშ მუკოოთამაშ“ ტრადიცია სამეგრელოში დღესაც ცოცხალია. დღესაც იციან ნათესავის გარდაცვალების გამო ორმოცი დღის მანძილზე თმის მოშვება. შვილის გარდაცვალების შემთხვევაში ხშირად მთელი სიცოცხლის მანძილზე არ იხდიან შავებს; მშობლების და და-ძმების გარდაცვალების შემთხვევაში კი დაახლოებით ერთ წლამდე აცვიათ, თუმცა ბოლო დროს ზოგი უფრო ადრეც იხდის. ასევე, დღემდე იციან ჭიშკრისა და სახლის ბოძებისთვის შავი ნაჭრის შემოხვევა.

იმ პერიოდში, როცა მიცვალებული ჰყავთ, ჭირისუფლის ოჯახს ქელეხის სუფრისთვის საჭირო რაიმე ნივთი თუ ათხოვა მეზობელმა ან სხვა ვინმემ, ის ნივთი პატრონმა თვითონ უნდა წაიღოს სახლში, არ შეიძლება ჭირისუფალმა მიუტანოს. თუ ორმოცის გასვლამდე შობა დაემთხვა, ღორს ან სხვა საკლავს არ დაკლავენ. სანამ მიცვალებულის სახელზე საკლავი არ დაიკვლება („სოიშა საქონელს ვეგიოვილანან“) იქამდე არ შეიძლება სხვა საკლავის დაკვლა.

ძველად, ყვავილ ბატონებით გარდაცვლილის დატირება არ იცოდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ ამ დროს ადამიანი კი არ კვდება, არამედ ბატონებს თავისთან მიჰყავთ მსახურად. დღეს, ბატონებით სიკვდილის ფაქტები არ გვხვდება, მაგრამ თუ ბავშვს ბატონები უბრძანდება, მისი ოჯახის წევრები მუშაობას, წვერის გაპარსვას და ვინმეს სატირალში წასვლას ერიდებიან.

იცოდნენ წლისთავის გადახდა, რომელსაც „მოწანუა“ ერქვა. ამ დროს მოიწვევდნენ ნათესავ-მოკეთეებს, დაკლავდნენ საკლავს და იმართებოდა დიდი ქელეხი. მიცვალებულის ტანისამოსს ჩალით ან ბამბით გატენიდნენ („ნიშანიში ძგიბუა“) და მას დაიტირებდნენ. ამ დღეს გამართავდნენ ყაბახს, ასევე გაიმართებოდა დოღი.[2] წლისთავის გადახდა დღესაც იციან. კლავენ საქონელს და მოიწვევენ ნათესევ-მოკეთეებს, აუცილებლად — მესაფლავეებს, მაგრამ ყაბახი და დოღი უკვე არ იმართება. ორი წლისთავის გადახდა არ შეიძლება. ამ დღეს ძალზე ვიწროდ აღნიშნავენ. თუ გარდაცლილი ახალგაზრდაა, დიდი მაშტაბით იციან წლისთავის გადახდა. ყოფილა შემთხვევა, როცა შვილებს მამის გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლისთავიც კი გადაუხდიათ. სულთმოფენობას (სუნთობას) და სხვა რელიგიურ დღესასწაულებზე მიცვალებულის სახელზე აკეთებენ საკურთხის სუფრას. ამ დღეს დაკლავენ წიწილას, გამოაცხობენ სამ მრგვალ ხაჭაპურს, გააკეთებენ ღომს. მიცვალებულების სახელზე რამდენიმე თეფშზე გადაიღებენ წიწილის ხორცს, გვერდით ტყემალს დაუსხამენ და ღომს დაუდგამენ, სანთელს აანთებენ, საკმეველს აკმევენ, სანთლის დაწვას დაელოდებიან, მიუსხდებიან სუფრას და მიცვალებულის შესანდობარს იტყვიან. ამ შემთხვევაში ერთ წესს იცავენ. სუფრაზე რომ დასხდებიან, თეფშებზე, რომელზეც მიცვალებულისთვის ხორცის ნაჭერი და ღომი ჰქონდათ დადებული ცოტას გადაადგილებენ. ასევე, ორმოცი დღის გასვლამდე, ზოგიერთ ოჯახში კი ერთ წლამდეც, როცა საჭმელად დასხდებიან, მაგიდაზე იმ ადგილას, სადაც მათი გარდაცვლილი ოჯახის წევრი ჯდებოდა, თავის წილ საკვებს დაუდებენ.

მართალია, სამეგრელოში მიცვალებულის დაკრძალვასა და გლოვასთან დაკავშირებული წესებიდან ნაწილი გაქრა, ნაწილი — გადასხვაფერდა, მაგრამ ბევრმა მათგანმა დღემდე მოაღწია და ასეა თუ ისე, დღესაც განაგრძნობს არსებობას.

---

[1] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 290

[2] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 287.

ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებები. ქორწინებასა და საქორწინო წეს-ჩვეულებებს უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სოციუმის ცხოვრებაში. საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს მისთვის დამახასიათებელი საქორწინო ჩვეულება გააჩნდა. საქორწინო წეს-ჩვეულებების კვლევას დიდი ადგილი ეთმობა ერის კულტურული ცხოვრების შესწავლაში. ჩვენი კვლევის მიზანია გამოვავლინოთ სამეგრელოს ისტორულ-ეთნოგრაფიული მხარეში საქორწინო ტრადიციები ძველად და თანამედროვე მდგომარეობით, ვაჩვენოთ ტრადიციის განვითარების დინამიკა, კვლევის არეალი მოიცავს სამეგრელოს შვიდი მუნიციპალიტეტის სოფლებს.

„ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებანი ისე როგორც საოჯახო ურთერთობის ფორმები, შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. წყვილთა შეუღლება არა მხოლოდ ბიოლოგიური აქტია, არამედ საზოგადოების ცხოვრებაში მას გარკვეული სოციალური ფუნქცია აკისრია, ოჯახის შექმნისა და ფორმირებისათვის აუცილებელი“.[1]

ქორწინებისთვის არსებობდა აუცილებელი წინაპირობები, რომლის დაცვა ისტორიულად, საზოგადოების ყველა წევრისთვის აუცილებელი იყო. XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის სამეგრელოში ქორწინების დაგეგმვა ხდებოდა ისეთი სავალდებულო წინაპირობების გათვალისწინებით, როგორიც იყო ნათესაობაში მოქმედი ნორმები, სოციალურ-წოდებრივი, ეროვნული, ტერიტორიული რეგლამენტაცია, ჯვრისწერის ასაკი.[2] წყვილთა შეუღლებას უპირატესად მშობლები წყვეტდნენ. „ძველად სამეგრელოში ახალგაზრდა ქალ-ვაჟს პრაქტიკულად ხმის უფლება არ გააჩნდა მეუღლის არჩევისას, საქმროებსა და საცოლეებს შვილებისთვის, ჩვეულებრივ, მშობლები ირჩევენ და შესაბამისად დასამოყვრებლად იმ ოჯახს აირჩევენ, რომელსაც ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე ხელსაყრელად ჩათვლიდნენ.[3]

წყვილთა შორის ქორწინების წინაპირობათაგან უპირველესი იყო ნათესაობის არქონა. არ შეძლებოდა არც მამის (მამის ხაზით ნათესავებში გამოიყოფა *დუდიმოჯგირე* „მეთაური ნათესავი“), ნათესავი სამ თაობაში; *გალენ მოჯგირე*— „გარე ნათესავი“, ოთხ-შვიდთაობაში; *ტყურაია მოჯგირე* — „უბრალო ან შორი“ შვიდი თაობის ნათესავი. „დუდი და გალენი მოჯგირეების“ „თურს“ შიგნით დამოყვრება („დამოჯგირება“) არ შეიძლება და არც დედის მხრივ ნათესავზე ქორწინება; სასიძო და საპატარძლო არ უნდა ყოფილიყვნენ სისხლით ნათესავები, ნათელ-მირონები, ერთი გვარისანი, მეზობლები, სხვადასხვა რჯულისანი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ცხრა თაობა მაინც უნდა იყოს გავლილი, რომ ქორწინება შეიძლებოდეს და ნათესავად არ ჩათვალო. თუმცა, ამის მიუხედავად სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, იკრძალება ერთი გვარის წარმომადგენელთა დაქორწინება. ასეთ დროს იტყვიან, „შთამომავლობა ნაკლული გამოვაო“. ტრადიციის თანახმად, ერიდებოდნენ თანასოფლელთა შორის ქორწინებასაც. არ შეაუღლდებდნენ ერთ ან თუნდაც სხვადასხვა სოფელში მცხოვრებ, ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ოჯახის შვილებს, ერთი სალოცავის ქალ-ვაჟს; აუციებლად გასათვალისწინებელ გარემოებად ითვლებოდა ნათლიობა. „მირონი, მართალია ხელოვნურად დანათესავების ფორმაა, მაგრამ სისხლზე და ხორცზე უფრო ძლიერია. თორმეტ მოდგმაზე გადადისო“.[4]

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში და ზოგადად ქართულ რეალობაში მოგვარეებს შორის ქორწინება აკრძალული იყო, ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება იშვიათი შემთხვევა გვარს შიგნით შეუღლებისა. მსგავსი ქორწინებები საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერილი არ ყოფილა და დღესაც ასეა. „მართალია, სამეგრელოში ერთი გვარის შიგნით იკრძალება ქორწინება, მაგრამ უნდაი თქვას, რომ მკაცრად ეგზოგამირებულ ერთეულს, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს „თური“. არ დასტურდება არც ერთი შემთხვევა „თურის“ წევრთა ქორწინებისა,

---

[1] **გ. გოცირიძე,** ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებები, საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 2010, გვ. 296.

[2] **ნ. ანთელავა,** ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, თბ., 2005, გვ. 25.

[3] **ნ. აბაკელია,** საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, წიგნ. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, გვ. 305.

[4] **დ. შავიანიძე,** სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, გვ. 154.

მაშინ როდესაც გვხვდება გვარში შემავალი სხვადასხვა „თურების“ შეუღლების სხვადასხვა ფაქტები.[1] ქორწინების ერთ-ერთ ხელისშემშლელ გარემოებათაგან მიიჩნეოდა ერთი სოფლის მკვიდრთა დაქორწინება. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ძველ დროში ერთი გვარის წარმომადგენელთა ერთ უბანში ან სოფელში მკვიდრობა. ისევე, როგორც საქართველოს დანარჩენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, სამეგრელოშიც სოფლები ერთი გვარით იყო დასახლებული. „ისტორიულ წარსულში, ცხადია, ცალკეულ დასახლებას, როგორც ადამიანთა დასახლებისა და შრომის ადგილის ერთობლიობას, ჩვეულებრივ, ერთი წინაპრის შთამომავლებიქმნიდნენ. ცალკეულ დასახლებას, რასაც ერთი გვარი ქმნიდა (ე. ი. მონოგენურ დასახლებას), სამეგრელოში ერქმეოდა ამ გვარსახელისაგან ლე-ე კომფიქსით ნაწარმოები სახელი. ამგვარ ოიკონიმსა თუ მიკროოიკონიმს ორმაგი ფუნქცია ჰქონდა — გეოგრაფიული და სოციალური: იგი ადგილის სახელიც იყო და ამ ადგილზე მოსახლე ოჯახების გვაროვნულ-გენეტიკურ ერთობასაც ხაზს უსვამდა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ქონდა. XX ს. დამდეგსაც სამეგრელოში იშვიათი არ ყოფილა მონოგენური დასახლებანი.[2] ერთი თემისა და ერთი ხატის ყმები ერთმანეთზე არ ქორწინდებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთაშიც.

ქორწინების ხელისშემშლელ გარემოებად ითვლებოდა ხელოვნური დანათესავების წესი, ტაბუირებულ გარემოებად მიიჩნეოდა გამზრდელ-გაზრდილთა, „მაგიერთან“ ურთიერთობა. „ქორწინების ამკრძალავ ფაქტორებში იგულისხმებოდა ერთი გვარისა და ხატის ქალ-ვაჟის შეუღლება, დედის გვარის ქალის შერთვა. გარდა ამისა, აკრძალული („ვაშინერსი“) იყო გამზრდელის, ძიძიშვილის ნათესავისა და გვარის წარმომადგენლის შერთვა (ძიძიშვილები „მორდილს“ და-ძმად მიაჩნდა და არ შეეძლო მათი გვარისა და ნათესავის შერთვა. როდესაც ძიძის ქალიშვილი გათხოვდებოდა, მორდილი მას მაყრად მიყვებოდა და სიძეს ცხენს აჩუქებდა) და, ასევე, დად, დედად თუ მამად, მოგებული (ჩაფილი) ნათესავისა და ახლობლის შერთვა. არ ირთავდნენ „სქუაჩაფილის“ გვარსა და ნათესავს. ერთი სოფლისა და ხატის ქალ-ვაჟის შეუღლებასაც გაურბოდნენ და უფრო სასურველი და მიღებული იყო ქალის სხვა სოფელში გათხოვება. ოჯახში თუ რამდენიმე დასაქორწინებელი იყო, იცავდნენ უფროს-უმცროსობის წესს, ჯერ უფროსს დააქორწინებდნენ, შემდეგ უმცროსს. ამის დარღვევა სირცხვილად ითვლებოდა და უმცროსის დაქორწინების შემთხვევაში უფროსი ხშირად დაუქორწინებელი რჩებოდა, რადგან სახელგატეხილად ითვლებოდა.[3]

საქორწინო ასაკი, სამეგრელოში მკაცრად არ ყოფილა დადგენილი. ხშირ შემთხვევაში, მექორწინეთა ასაკი 15 წლიდან იწყებოდა, მაგრამ ვხვდებით ერთეულ შემთხვევებს, როდესაც საპატარძლოს ასაკი 13 წელიც ყოფილა. „ქორწინება, როგორც განსაკუთრებული კოსმიური და რელიგიურ-მითოსური მნიშვნელობის აქცია, მჭიდროდაა დაკავშირებული მეფის სახესთან. ქორწინება არის ამ აქტის უმაღლესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამოვლენა. იგი მოქმედებს როგორც მისი საკრალური და სოციალური შესაძლებლობების შემკრები და კატალიზატორი“.[4]

სამეგრელოს თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში საქორწილო წეს-ჩვეულებათა და რიტუალთაგან ბევრი გამქრალია, მაგრამ ნაწილი დღემდე განაგრძობს არსებობას. ერთი გვარის წარმომადგენლებს შორის ქორწინება დღესაც დიდ ცოდვად ითვლება, არ ირთავენ ასევე დედის და ბებიის გვარის ქალს. რაც შეეხება გარიგებით ქორწინებას, ეს ტრადიცია თანამედროვე ყოფიდან ბოლო ათწლეულებია თითქმის გაქრა. ეთნოგრაფიული მასალით დგინდება, რომ XX ს. მეორე ნახევარში სამეგრელოში დიდი ქორწილები იცოდნენ. ქორწილზე მოიწვედნენ 200-300 და ზოგჯერ მეტ სტუმარს. 200-300 კაციანი ქორწილები თანამედროვე ყოფაშიც გვხვდება, მაგრამ შედარებით იშვიათად. სამეგრელოში გავრცელებული ტრადიციის თანახმად, განსხვავებით საქართველოს ზოგი სხვა კუთხისა, საქორწინო სუფრის მთლიან ხარჯს სიძის ოჯახი იხდის. ქორ-

---

[1] **ნ. ანთელავა,** ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, გვ. 33.

[2] **პ. ცხადაია,** გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, გვ. 40.

[3] **ნ. აბაკელია,** საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, გვ. 305.

[4] **ი. სურგულაძე,** მითოსი, კულტი, რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 2003, გვ. 121.

წილში მოწვეულთა უმრავლესობა სიძის ნათესავები არიან, მაგრამ პატარძლის მხარესაც აქვს უფლება მოიყვანოს გარკვეული რაოდენობის ხალხი, იმდენი, რამდენსაც სიძის მხარე შეუთვლის. ერთი სოფლის შიგნით ქორწინების შემთხვევები შედარებითი იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება. ეთნოგრაფიული კვლევებით დადგინდა, რომ სამეგრელოს მთიან ნაწილში ერთი სოფლის შიგნით ქორწინების ფაქტები ბევრად ხშირი იყო, ვიდრე სამეგრელოს დაბლობ ნაწილში. მზითვის გატანების ტრადიცია დღესაც ცოცხალია. გათხოვილ ქალს ოჯახი მზითვის სახით აძლევს ფულს ან მიაქვს სამზითვო ნივთები.

ამრიგად, სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში საქორწილო წეს-ჩვეულებათაგან ნაწილი გაქრა, ნაწილი კი დღესაც ცოცხალია და არსებობას განაგრძობს.

ხალხური საკრავები. საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი ეროვნულ სიმღერებთან ერთად ქმნიდა და ავითარებდა მუსიკალურ საკრავებს. ქართველი ხალხის ყოფაში მუსიკალურ საკრავებს დიდი ადგილი ეჭირა. ისინი გამოიყენებოდა არა მხოლოდ ლხინში, არამედ გაჭირვების ჟამსა და საწესო რიტუალების შესასრულებლად. „მუსიკა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელი და თანაარსი მოვლენა იყო. ცხადია ამან განაპირობა სხვადასხვა სახის მუსიკალური საკრავების განვითარება და მათი გამოყენების მაღალი კულტურა“.[1]

აღსანიშნავია, რომ სიმღერას და შესაბამისად, საკრავთა ფუნქციასა და ადგილს ქართველი ხალხის ყოფაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ეროვნული საკრავები დროთა განმავლობაში, მუსიკალური აზროვნების შესაბამისად, იხვეწებოდა და ვითარდებოდა. მოძველებული საკრავები ადგილს შედარებით სრულყოფილ საკრავებს უთმობდა და მათი ნაწილი ხმარებიდანაც გადიოდა. ამას მოწმობს საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა და ძველი ქართული მწერლობა. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის შემორჩენილია ქართული ხალხური მუსიკალური საკრავები, ამათ გარდა, „მოგვეპოვება ქართული საკრავების ბევრი ისეთი სახელწოდება, რომლის ნამდვილი მნიშვნელობა ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინაიდან სახელწოდების ქვეშ მოქცეული რეალური საგანი დიდი ხანია გასულია ყოფიდან“.[2]

ერის სულიერი და მატერიალური კულტურის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუსიკალურ კულტურას. „ტრადიციული სამუსიკო საკრავები, როგორც მუსიკალური კულტურის ნაწილი, ერთიანი ეთნიკური კულტურის შედარებით სტაბილური და ამავე დროს კონსერვატული, უამრავი არქაული ელემენტის შემცველი სფეროა. მასში ყველაზე მკაფიოდ ვლინდება თითოეული ეთნიკური კულტურის თავისთავადობა, კულტურის თავისებურებები.[3] ამასთან, „ხალხური საკრავები მშობლიური სიმღერების, მშობლიური მუსიკალური ენის საუკეთესო გამომხატველნი არიან და განუმეორებელი სილამაზის ჟღერადობით გამოირჩევიან“.[4] თანამედროვე ვითარებაში ხალხურ მუსიკალურ საკრავებს ნაკლებად სწავლობენ, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მკვლევართა ყურადღებას უფრო მეტად იპყრობდა განვითარებული ქართული ხალხური ვოკალური მუსიკა — საგუნდო სიმღერა თავისი მრავალხმიანობის უნიკალობით და ფორმის სირთულით, ვიდრე საკრავიერი მუსიკა, რომლის მხატვრული ღირებულება მდიდარ სასიმღერო შემოქმედებასთან შედარებით გაცილებით ნაკლებია.[5]

ჩვენი კვლევის მიზანი იყო სამეგრელოში გავრცელებული საკრავების (ჩონგური, ლარჭემი, დაირა) აღწერა და მათი ფუნქციების დადგენა ეთნოგრაფიულ ყოფაში; საკრავებთან (ჩონ-

---

[1] **დ. ალავიძე,** ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები, თბ., 1978, გვ. 5.

[2] **დ. ალავიძე,** ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები, გვ. 5.

[3] **მ. შილაკაძე,** ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი, თბ., 2007, გვ. 9.

[4] ქართული ხალხური და საქართველოში გავრცელებული საკრავები, თბ., 1990.

[5] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბ., 1970, გვ. 4.

გური, ლარჭემი, დაირა) დაკავშირებული უკვე არსებული მასალის მოძიება, ხოლო ამოცანა — საკრავების ფუნქციის გამოვლენა თანამედროვე ვითარებაში.

ჩონგური ქართულ ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტარიუმში სიმებიანი (ძალებიანი) საკრავების ჩამოსაკრავ ჯგუფში შედის. გარდა ჩონგურისა, ჩამოსაკრავ ქვეჯგუფს მიეკუთვნება ბარბითი, უდი, ჩასტა, ფანდური და ჩანგი. ჩვენი ინტერესის საგანს, ამ შემთხვევაში, ჩონგური წარმოადგენს, რადგან ის გავრცელებულია სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. ის აქტიურად გამოიყენებოდა ყოფაში, არა მხოლოდ გასართობად, არამედ სხვადასხვა რიტუალების შესასრულებლად. ჩონგური „საქართველოში ხალხურ სიმებიან საკრავთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია. იგი ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრი იყო“.[1]აღსანიშნავია, რომ ეს საკრავი ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში), თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარშიც ფიქსირდება საკრავი ამ სახელწოდებით.

ჩონგური შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: კორპუსის, ტარისა და დამხმარე ნაწილებისაგან. თავად კორპუსი შედგება მუცლისა და თავფიცარისაგან. მუცელი გვხვდება ორგვარი: მთლიანი ხისაგან გამოთლილი და ერთმანეთზე შეწებებული ცალკეული ნაწილებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში შეწებებული ნაწილებისაგან აწყობილ მუცელზე, განაპირა ფირფიტებზე მოთავსებულია რამდენიმე ნახვრეტი. მთლიანი ხისაგან გაკეთებულ ჩონგურს ეს ნახვრეტები არა აქვს. მანანა შილაკაძის აღწერილობით, „მუცელი შედგება 7-8 ერთმანეთზე მიწებებული ტკეჩისაგან, რომლებიც თუთისგანაა დამზადებული. მუცელი გამობერილია. მის განაპირა ტკეჩებზე გაკეთებულია 3-5 მმ დიამეტრის მქონე 6 სახმო ნახვრეტი. ტკეჩის სისქეა 2-3 მმ. მუცლის ბოლოზე ტკეჩების მჭიდროდ და მაგრად დასაკავშირებლად გაკეთებულია თხელი და ვიწრო ლენტისებური ფირფიტა, მუცელი დაკრულია 2-3 მმ სისქის ფირფიტაზე“.[2] თავფიცარი (ზედა დეკა) 2-3 მმ სისქის ფირფიტაა და დაკრულია მუცელზე. ის სამი ერთმანეთზე მიწებებული ნაწილისაგან შედგება. მთლიანად ერთი ხისგან გათლილი, იშვიათია. შუა ნაწილის მოცულობა აღემატება განაპირა ნაწილების მოცულობას. თავფიცარზე მოთავსებულია სახმო ნახვრეტები. მ. შილაკაძის აღწერილობით, ძირითადი ნაწილი გაკეთებულია ნაძვისაგან, მასზე მიკრული (ორივე მხრიდან) ნახევარმთვარის ფორმის თითო ფირფიტა — თუთისაგან. ზედა დეკის ცენტრში გაკეთებული 2-3 მმ დიამეტრის მქონე სახმო ნახვრეტები რომბის კონტურებს ქმნიან, კორპუსის სიღრმე 160-170 მმ-ია.[3] თანამედროვე მასალით, მთლიანი ხისაგან გამოთლილი ჩონგური პრაქტიკულად არ გვხვდება. ძირითადად, ზომების გამოთვლა თვალის ზომით ხდება. ტარი ორი ნაწილისგან შედგება: ყელისა და თავისაგან. ყელი ზემოდან ბრტყელია და ქვემოდან მრგვალი. მასზე დამაგრებულია ზილის სიმის ერთ-ერთი ბოლო და მისივე მოქლონი. თავზე გაკეთებულია სამი ნახვრეტი და სამი მოქლონი. ტარი, როგორც წესი, მთლიანად ხისაგან ითლება. ამ მხრივ სიახლეა ნინო რაზმაძის მიერ მიკვლეული, ცნობილი ჩონგურის მკეთებლის კაპიტონ ცანავას მიერ დამზადებული ჩონგური, რომლის ტარიც იკეცება. იშვიათია ისეთი ჩონგური, რომლის მუცელი და ტარი მთლიანად ერთი ხისგანაა გამოთლილი.[4] მ. შილაკაძის აღწერილობით, „ტარი გაკეთებულია კაკლის ხისგან: ა) თავზე გაკეთებულია სამი ნახვრეტი მოქლონებისათვის და ერთი თასმისთვის (რომლითაც ინსტრუმენტს კიდებენ); ბ) ყელი ზემოდან ბრტყელია და ქვემდან მრგვალი. ყელზე გაკეთებულია ერთი ნახვრეტი, რომელშიც ჩასმულია ზილის სიმის დამჭერი მოქლონი. სახელურსა და კორპუსებს შორის მდებარე შემაერთებელი ნაწილის ქვედა ნაწილი 7 პატარა ტკეჩისაგან შედგება, რომლებიც იმავე მასალისაგანაა გაკეთებული, რისგანაც მუცლის ტკეჩები“.[5] დ. არაყიშვილის მიხედვით, „ტარი ცაცხვის ხისგან არის ნაკეთები,

---

[1] **დ. ალავიძე,** ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები, გვ. 17.

[2] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 36.

[3] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 36.

[4]**ნ. რაზმაძე,** ჩონგური და საჩონგურო რეპერტუარი, *ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საბაკალავრო ნაშრომი*, თბ., 2009.

[5] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 36.

უფარდებოა, სიგრძით — 440 მმ, მომრგვალებული ყელი — 120 მ-ია. მასზე სამი მოქლონია. მეოთხე მოქლონი მოთავსებულია ტარის შუა ადგილას, ხარაკიდან 266 მმ მანძილზე. ფიჭვის ხის თავფიცარი დაწებებულია. მასზე რამდენიმე წვრილი ხვრელია, გამოწყობილი ჯვარედინათ. ჯორაზე მიმაგრებულია ოთხი აბრეშუმის სიმი“.[1]

ჩონგურს აქვს დამხმარე ნაწილებიც, ესენია: ოთხი მოქლონი (სიმების მოსამართი), რომლებიც მოთავსებულია ჩონგურის ტარზე, სამი თავზე და ერთი ყელზე. მოქლონები, ტრადიცულად ხისაგან კეთდება. ინოვაციას წარმოადგენს ჩონგურზე ლითონის მოქლონების გაკეთება. ჩონგურის დამხმარე ნაწილია, ასევე ჯორაკი (სიმების გადასადები). არსებობს მაღალი ჯორა, რომელიც დაწებებულია ჩონგურის ყელზე და დაბალი ჯორა, რომელიც მოთავსებულია თავფიცარზე. ის ხის მოძრავი ნაწილია და შესაძლებელია მისი გადაადგილება. ჩონგურის ყელის შუაში მოთავსებულია ზიკიპინტი. ის არის ჯორაკის ფუნქციის მქონე პატარა ზომის ხის ჩხირი. ზიკიპინტზე გადადებულია ზილის სიმის ერთი ბოლო. ზიკიპინტი ზილის პატარა ჯორაკია. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ზიკიპინტი არის „ალყის პატარა ჯორი ზილისა“.[2] იმისათვის, რომ სიმმა შეძლოს ბგერის გამოცემა, ის ინსტრუმენტის ზედაპირიდან გარკვეულ სიმაღლეზე უნდა მდებარეობდეს. ჯორაკი და მისი მსგავსი ხის ჩხირები აუცილებელია სიმის ორივე ბოლოსთვის (სიმზე თითის დაჭერით იცვლება ბგერის სიმაღლე). კორპუსის ბოლოს მოთავსებული ხის ნაწილი არის ფსკერი. ოთხივე სიმის ბოლოების დასაჭერი ხის ნაწილი არის კოჭი, რომელიც მოთავსებულია ჩონგურის ფსკერზე. შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ზომისა და ფორმის.

ჩონგურს უკეთდება ოთხი სიმი. სამი გრძელი და ერთი მოკლე, რომლის ბგერის სიმაღლე დაკვრის პროცესში არ იცვლება. მოკლე სიმის სიგრძე გრძელი სიმების სიგრძის 2/3-ს შეადგენს.[3] რაც შეეხება სიმების განლაგებას, ჩონგურზე სიმები ორიგინალურადაა განლაგებული. სიმების ერთი ბოლო საკრავის თავზე არსებულ მოქლონებზე, ხოლო მეორე, ჩონგურის ბოლოზეა მიმაგრებული. მეოთხე სიმი მოკლეა და მისი ერთი ბოლო ჩონგურის ყელზე მოთავსებულ მოქლონზეა, მეორე ბოლო კი დანარჩენ სიმებთან ერთად ჩონგურის ბოლოზეა მიმაგრებული. მეოთხე, მოკლე სიმი მდებარეობს I და II გრძელ სიმებს შორის. მოკლე სიმი ქვემოდან მეორეა. დაკვრის დროს მას არ ეხება მარცხენა ხელის თითები და მისი სიმაღლე არ იცვლება, გამოსცემს ერთ გაბმულ ბგერას. „მოკლე სიმს „მეოთხეს“ ან „ზილს“ ეძახიან. გრძელ სიმებს დღეს პირველს, მეორეს და მესამეს უწოდებენ. მოკლე სიმს უწოდებენ მეოთხეს (თუმცა მას ქვემოდან, საიდანაც თვლა იწყება მეორე ადგილი უკავია), ხოლო სახელწოდება „ზილი“ ხმიერი მუსიკიდან გადასული ტერმინია.[4] ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, ზილი არის „წულილი ხმის ცემა“. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ „ძალთაგანს ერთს ზილი რქმევია, ერთს კიდევ ბოხი. ეს ტერმინები სიმების ორი კიდური ძალის სახელები ყოფილა, ბოხი, ცხადია, ყველაზე დაბალი ხმის მქონებელის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ზილი კიდევ წვრილის სახელი გამოდის“.[5] მ. შილაკაძის მიხედვით, ხმიერი მუსიკის განლაგებით აიხსნება თვით „ზილის“ მდებარეობაც. მას, მეოთზე სიმს I და II სიმებს შორის უკავია ადგილი. ავტორი, „ზილის“ სიმის გაჩენას უკავშირებს ოთხხმიანი სიმღერის არსებობას. ის ასრულებს მაღალი ბანის ფუნქციას. „ზილის“ შესაბამისი ხმა ოთხხმიან სიმღერაში პირველ და მეორე ხმებს შორის მდებარეობს. ამიტომაც, მიიჩნევა, რომ ზილმა პირველ და მეორე სიმებს შორის დაიკავა ადგილი.

რაც შეეხება ჩონგურის წყობას, ზოგადად, „სიმებიანი საკრავის წყობა არის მისი ღია სიმების მიერ გამოცემული ბგერათა ინტერვალური თანაფარდობა. ქართული სიმებიანი საკრავებისთვის დამახასიათებელია ერთი რომელიმე გარკვეული წყობა. ამ მხრივ ქართულ საკრავთა შორის გამოირჩევა ჩონგური, რომელსაც რამდენიმე წყობა აქვს. ამასთანავე, სიმღერების ერთი რიგი სრულდება ერთ წყობაში, მეორე — სხვა წყობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი სიმღერა ან ინსტრუმენტული

---

[1] **დ. არაყიშვილი,** ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა, თბ., 1940, გვ. 41.

[2] **ს.-ს. ორბელიანი,** მოგზაურობა ევროპაში, თბ., 1940, გვ. 128.

[3] **ნ. რაზმაძე,** ჩონგური და საჩონგურო რეპერტუარი, თბ., 2009, გვ. 31.

[4] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 37.

[5] **ივ. ჯავახიშვილი,** ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 170.

ჰანგი სრულდება თავიდან ბოლომდე ერთ წყობაში, ჩონგურზე წყობის დროებითი შეცვლა (სკორდატურა) არ გვხვდება. დღეისათვის ცნობილია ჩონგურის სამი წყობა. ჩონგურის წყობებს ეწოდებათ „პირველი“, „მეორე“ და „მესამე“. სხვა სახელწოდება დღეს არ გვხვდება“.[1] მიუხედავად ამ ცნობისა, გამოთქმული ვარაუდით, „ჩონგურს, ცხადია, თავიდანვე ამდენი წყობა არ ექნებოდა“.[2] ივ. ჯავახიშვილმა, დღეს გავრცელებული სამი წყობის ანალიზის საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩონგურს ზილის გაჩენამდე ორი წყობა უნდა ჰქონოდა (ეს წყობები შეესაბამება I და II წყობას უზილოდ), ხოლო ოთხხმიან წყობათაგან, I წყობა ჩონგურის მთავარი წყობა უნდა იყოს“.[3] პირველ წყობაში სრულდება „საბოდიშო“, საცეკვაო, სატრფიალო სიმღერები. პირველ წყობაში შესასრულებელი სიმღერები უფრო ფართოა. უმრავლესობა სიმღერებისა ამ წყობაში სრულდება. ის უნივერსალური წყობაა. მეორე წყობაში უფრო მეტად სევდიან-ნაღვლიან სიმღერებს ასრულებენ. მესამე წყობაში შესასრულებელი სიმღერები შედარებით ნაკლებია.

მეცნიერთა აზრით, ჩონგურის წყობათა სიმრავლის მიზეზი იყო ინსტრუმენტის ჰარმონიულ შესაძლებლობათა (აკორდიკის) გაფართოება. ჩონგური, ისევე როგორც დანარჩენი ქართული მუსიკალური საკრავი, სააკომპანემენტოა, ე. ი. ის სიმღერას ჰარმონიულ ფონს უქმნის. „ჰარმონიულ შესაძლებლობათა გაფართოება საკრავზე ნაკარნახევი იყო იმ კუთხის მაღალი ვოკალური კულტურით, სადაც ეს საკრავია გავრცელებული, კერძოდ, მრავალხმიანობის ფორმით, კომპლექსური მრავალხმიანობით. ამ ტიპის მრავალხმიანობისათვის დამახასიათებელია ხმათა კომპლექსური მოძრაობა, ამიტომ აქ აკორდთა გრძელი ჯაჭვები წარმოიქმნება. ამან მოითხოვა ჩონგურზე „აკორდთა მარაგის“ დაზრდა, რაც წყობათა შეცვლის გზით უნდა მომხდარიყო“.[4]

ჩონგურის დამზადების წესი დახვეწილია. თუმცა საკმაოდ რთული. დღეისათვის ჩონგურის მკეთებელი ოსტატები ძალიან ცოტაა, თუმცა მაინც არიან სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში. როგორც საკრავის აღწერილობისას აღვნიშნეთ, ჩონგური შეიძლება იყოს სამი სახის: 1. მთლიანი ხისგან გამოთლილი მუცლით; 2. ერთმანეთთან შეწებებული სხვადასხვა ზომის ხის ფირფიტებისაგან გაკეთებული მუცლით; 3. ტარიც და მუცელიც მთლიანად ერთი ხისგანაა გაკეთებული.[5] მ. შილაკაძის აღწერილობით „ჩონგურის ნაწილები — ზედა დეკა, მუცელი და სახელური სხვადასხვა მასალისაგან მზადდება. მუცელი კეთდება თუთის ხისგან, ზედა დეკას კი აკეთებენ ნაძვისაგან გურიასა და სამეგრელოში, ხოლო ფიჭვისაგან აჭარაში. სახელური კეთდება კაკლისაგან გურია-სამეგრელოში, ხოლო აჭარაში ამასაც თუთისაგან აკეთებენ. ამგვარად, დაკანონებულია მასალათა ამგვარი შეფარდება — ნაძვი ან ფიჭვი ზედა დეკისათვის, თუთა — მუცლისათვის და კაკალი — სახელურისათვის. მაგრამ ზოგჯერ სხვა მასალისგანაც ამზადებდნენ“.[6]

თანამედროვე ვითარებით, სამეგრელოში ჩონგურის სხვადასხვა ნაწილის დამზადება ხდება სხვადასხვა მასალით ან მხოლოდ ერთი ხის მასალითაც. მთლიანად ერთი მასალისგან დასამზადებლად ძირითადად იყენებდნენ თუთას, ცაცხვს და ურთხელს, ხოლო სხვადასხვა ხისგან გაკეთებული ნაწილების მასალა შემდეგია: მუცლისათვის —თუთა, ცაცხვი, ურთხელი, წაბლი და ლობიოს ხე (მეგრულად ძიგირიშ ჯა/ეკლის ხე). ზედა დეკისათვის იყენებენ ნაძვს, ფიჭვს ან თუთას. ტარისათვის — კაკალს, ცაცხვს, წიფელს. მოქლონებისათვის და ჯორასთვის ბზას იყენებენ, რაც განაპირობა მაგარი ხის მასალის შერჩევამ.

ჩონგურის გამოსათლელი ხის მოჭრა საგანგებოდ შერჩეულ დროს ხდებოდა. ხე უნდა მოჭრილიყო შემოდგომაზე ან ზამთარში (სექტემბრიდან იანვრამდე), ძველ მთვარეზე. გაზაფხულზე არ შეიძლებოდა ხის მოჭრა. საჩონგურედ მოჭრილი ხე კარგად უნდა გამოშრეს. ხის გახმობის შემდეგ რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, საჩონგურედ მასალა ვარგისია. მ. შილაკაძის

---

[1] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 37.

[2] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 39.

[3] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 39.

[4] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 40

[5] **ნ. რაზმაძე,** ჩონგური და საჩონგურო რეპერტუარი, თბ., 2009.

[6] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 42.

ცნობით, თუკი ხის გაშრობისთანავე არ დამზადდებოდა ჩონგური, ხე ფუჭდებოდა. ნ. რაზმაძის მასალის მიხედვით კი გაშრობის შემდეგ ხე არ ფუჭდება, რადგან ხდება მასალის მოხარშვა. სიმები აბრეშუმის ძაფისაგან კეთდებოდა. აბრეშუმის ძაფს დაგრეხდნენ, სანთელს გაუსვამდნენ და სიმად ხმარობდნენ. ყველა სიმს ერთნაირი სისქე ჰქონდა. სიმებს სამეგრელოში ძაფებს ეძახდნენ. დღეისათვის ხმარობენ ძუის ფაბრიკულ სიმებს, 2 ან 4 ნომერს. თანამედროვე პრაქტიკაში ფიქსირდება ჩონგურზე გიტარის სიმების გამოყენების პრაქტიკაც.

ჩონგური ინახებოდა კედელზე ჩამოკიდებული. მისი მზეზე დადება არ შეიძლება, რადგან გამოშრობის შემთხვევაში წებო შლის, ხოლო ნესტის შემთხვევაში, ხმას აყრუებს. ჩონგურს განსაკუთრებულად უვლიდნენ. ჩონგურზე უკრავდნენ ქალებიც და კაცებიც. თუმცა უმეტესად ქალები. „ჩონგურზე ... უფრო ქალები უკრავდნენ, რაც მათ უფრო შვენოდათ კიდეც. კარგად იცოდნენ ამ საკრავის გამოყენება ადგილის, დროისა და ვითარების შესაბამისად“.[1] ჩონგური ოჯახში აუცილებელ ნივთს წარმოადგენდა. ის ერთ-ერთ საუკეთესო საჩუქარს წარმოადგენდა. ჩონგურის თანხლებით ქალები ასრულებდნენ სიმღერებს შრომის დროს, ასევე საჯარო შეკრებებში. მაგალითად, სამეგრელოს სოფლებში იმართებოდა „ჯარალუა“/„ჯარობა“/„ჯარობაია“. ამ დროს სხვადასხვა შეჯიბრებებს მართავდნენ. იცოდნენ გართობა-თამაშობები; ხშირად ჩონგურზე უკრავდნენ. „ჩონგური ძირითადად წარმოადგენს სააკომპანიმენტო საკრავს. მისი თანხლებით სრულდება სოლო ერთხმიანი, ორი და სამხმიანი სიმღერებიც. მაგრამ, ტრადიციულ საჩონგურო რეპერტუარს ერთხმიანი სიმღერები — სახუმარო, სატრფიალო წარმოადგენს. ჩონგურის აკომპანიმენტით სრულდება, ასევე საწესო სიმღერები“.[2]

ჩონგურს სამეგრელოში აქტიურად იყენებდნენ საწესო რიტუალების შესრულებისას. მაგალითად, როდესაც ადამიანი სხვაგან შორს გარდაიცვლებოდა და მისი ჩამოსვენება შეუძლებელი იყო, გააკეთებდნენ მის ნიშანს და დაიტირებდნენ ჩვეულებრივი წესით. ტირილის შემდეგ ამ ნიშანს ეზოდან გადაასვენებდნენ, დაშლიდნენ და ნიშნის ტანისამოსს ნათესავები გაინაწილებდნენ.[3]

ჩონგურზე უკრავდენენ ყვავილბატონების დროს. „მეგრულად მას „პატონეფი“ ეწოდება. ქუნთრუშას, წითელას, ყელჭირვებას, ყბა-ყურას და ყვავილს საერთოდ დიდ ბატონებს ეძახიან. ხალხის წარმოდგენით, ყვავილ-ბატონები ოჯახს სიზმარში ევლინება ახალგაზრდა ქალის ან ვაჟის სახით. თუ იგი ქალის სახით მოეჩვენათ, სახადი მსუბუქი იქნება, თუ ვაჟისა — მძიმე. ყვავილიან ავადმყოფს არ მკურნალობენ და არც რაიმე წამალს შეასმევენ, ბატონები გაჯავრდებიანო. მას ართობენ სიმღერით და ჩონგურზე დაკვრით, უმღერიან იავნანას.[4] ყვავილ-ბატონების დროს ჩონგურის გამოყენების შემთხვევებს არაერთგზის აღნიშნავს თედო სახოკია. „ერთ სოფელში, ... ერთ დროს ცხოვრობდა ერთი საწყალი დედაკაცი, განთქმული მსახური „ბატონებისა“. ავადმყოფებთან რომ მიიწვევდნენ, ეს ქალი მაშინვე ხელში აიღებდა ჩონგურს და თუმცა ძალიან სუსტი მეჩონგურე გახლდათ, მაინც ეს არ უშლიდა გაჭირვებისათვის სულ ადვილად დაეღწია თავი. იმდენს ახერხებდა, რომ ბატონების გული სულ ყოველთვის ქონდა მოგებული. როგორც კი მიუახლოვდებოდა სახლს, საცა ყვავილით ავადმყოფი იწვა, საკრავს უხერხულად ააჟღერებდა, „ბატონები“, როგორც მოგვითხრობენ მაყურებელნი, გამხიარულდებოდნენ და ღიმილს დაიწყებდნენო“.[5] ყვავილ-ბატონებით დაავადებულ ადამიანს არ ტოვებდნენ მარტო, მის ყველა სურვილს ასრულებდნენ და განსაკუთრებული სიფრთხილით ექცეოდნენ. სოფელში იყო ერთი ან რამდენიმე ბატონების მსახური. თუ კი არ იყო, სხვა სოფლიდან მოიწვევდნენ. ბატონების მსახური ძირითადად ლოცვებს კითხულობდა და ჩონგურზე უკრავდა. თ. სახოკიას მიხედვით, მეზობლებიც უკრავდნენ ჩონგურზე ბატონებისთვის. „ზოგიერთი მეზობელთაგანი მსახურს ეხმარებოდა და რიგ-რიგად რჩება ავადმყოფთან ღამის სათევად. უკრავენ ჩონგურს, ცეკ-

---

[1] **დ. ალავიძე,**ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები, გვ. 20.

[2] **მ. შილაკაძე**, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 45.

[3] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 290

[4] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 332.

[5] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 31.

ვავენ, მღერიან, ერთმანეთს უამბობენ კაი-კაი ზღაპრებს. ყველანი მსახურს ემორჩილებიან, იმის მიხედვით აკეთებენ ყველაფერს“.[1]

აღსანიშნავია, რომ დღესაც სამეგრელოს სოფლებში ყვავილ-ბატონების დროს ოჯახებში შემორჩენილია ჩონგურის გამოყენების პრაქტიკა. სამეგრელოში, ასევე არიან „ბატონის მსახურებიც“, ე. წ. „მახვამერეფ“/„მახვეწეეფი“ (დამლოცველები/შემხვეწებლები), რომლებიც ყვავილ-ბატონებით დაავადებულებს „კურნავენ“ და „დიდ ბატონებს“ ეხვეწებიან ავადმყოფის ამ ქვეყნად დატოვებას, იმ ქვეყნად არ წაყვანას. „მოხვეწე“-ები დღეისათვის სამეგრელოში არიან როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. ჩონგური მათი მთავარი ატრიბუტია. ჩონგურის გარეშე ისინი ავადმყოფთან არ მიდიან. მათი თქმით, ჩონგური უყვართ ბატონებს და მასზე დაკვრით გულს უთბობენ მათ.

ლარჭემი ჩასაბერ საკრავთა მრავალღერიან სალამურების ქვეჯგუფში შედის. ქართული მრავალღერიანი სალამური გავრცელებული იყო საქართველოს ორ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში — გურიასა (სოინარი) და სამეგრელოში (ლარჭემი). ლარჭემსა და სოინარს შორის პრინციპული განსხვავება არ არის. „გურული სოინარი უფრო მინიატურულია, მეგრული ლარჭემი შედარებით დიდი“.[2] ლარჭემი მწყემსების საკრავი იყო. ის ძირითადად სამეგრელოს მთაში იყო გავრცელებული. მეგრული ლარჭემი აღწერილი აქვთ ვ. სტეშენკო-კუფტინას, დ. არაყიშვილს, ს. მაკალათიას, დ. ალავიძესა და სხვ. მეგრული მრავალღერიანი საკრავის აღსანიშნავად ვ. სტეშენკო-კუფტინა ლარჭემის გარდა ასახელებს ტერმინ „სასწრაფოსაც“. „სასწრაფო“, ისევე როგორც „თოფის ლულა“ სათოფისწამლეს სახელწოდებაა.[3] მსგავსი ტიპის საკრავი გავრცელებული იყო ლაზეთშიც, სადაც მას ოსტვინონს ეძახდნენ. სამწუხაროდ, ლაზურ ოსტვინონზე ცნობები მწირია. ლარჭემის მკვლევართაგან მას მხოლოდ კუფტინა აღნიშნავს ლაზი მეცნიერის ისქანდირ წითაშის ცნობების მიხედვით. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ლაზეთში გავრცელებული საკრავი ოსტვინონი შვიდი ან თორმეტი მილისაგან შედგებოდა.[4]

ს. მაკალათიას ცნობით, „სამეგრელოში შემონახულ ნივთიერ კულტურის ნაშთებში საყურადღებოა ერთი უძველესი საკრავი, რომელსაც აქ „ლარჭემს“ უწოდებენ. ეს მეგრული ლარჭემი თავისი წარმოშობით დაკავშირებულია ეგრეთწოდებულ პანის სალამურთან, რომელი საკრავიც გავრცელებული იყო საბერძნეთში და ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში.[5] დღეს, ეს საკრავი სამეგრელოში მივიწყებულია, ახსოვთ მხოლოდ მოხუცებს, განსაკუთრებით ჯვარის მხარეს და ხობის რაიონის სოფლებში.

ჯვარის მახლობლად, სოფ. ჩქვალერში ცხოვრობს ორი ცნობილი მელარჭემე: ვიცი ჯათუს ძე ფიფია, 78 წლის, და კოწია ქაუს ძე ქუხილავა, 70 წლის. ვიცი ფიფია ნამწყემსარია და ლარჭემს პატარაობიდან უკრავდა თურმე. მისი ცნობით, ლარჭემს საერთოდ მეჯოგეები უკრავდნენ და ამით ერთობოდნენ. ლარჭემი მცენარეა, რომელიც მთიან სამეგრელოში იზრდება. იგი წაგავს ლერწამს, მხოლოდ უფრო მსუბუქი და გამძლეა. ლარჭემის მოჭრა და საკრავის გაკეთება უკეთესია ივლისის ბოლოს, მანამდე იგი ნედლია, და კარგი ხმიანი საკრავიც გამოდის. ლარჭემს აკეთებენ აგრეთვე კალმისაგან „ჩალამ-კალამი“-საგან (ლერწამი), მაგრამ ასეთ ლარჭემს ხმა არ უვარგა და დასაკრავადაც არ არის სასიამოვნო. ლარჭემის გაკეთება ყველას არ შეუძლია, მას აკეთებს მხოლოდ ის, ვინც ლარჭემს უკრავს, რადგანაც ამ საკრავს უნდა აწყობა. სამეგრელოს მთიან რაიონებში გავრცელებული ყოფილა ექვსღეროვანი ლარჭემი, ბარში კი — ხობის რაიონში, ხუთღეროვანი.

ლარჭემის გაკეთების დროს მნიშვნელობა ეძლეოდა თვითეული ღეროს სიგრძე-სიგანეს, ზომას, შემდეგ კი ღეროებს ხმის მიხედვით არჩევდნენ. ამიტომ ოსტატმა ჯერ ხმიანობა უნდა

---

[1] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 33.

[2] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 65

[3] **ნ. რაზმაძე,** ჩონგური და საჩონგურო რეპერტუარი, თბ., 2009.

[4] **ვ. სტეშენკო-კუფტინა,** ქართული ხალხური მუსიკის უძველესი ინსტრუმენტალური საფუძვლები, პანის სალამური, ტფ., 1936, გვ. 183.

[5] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 257.

გაუსინჯოს ლერჭემის ღეროს და შემდეგ ისინი შეკრას ლარჭემად, რომლის შესაკრავად, ჩვეულებრივ, ბლის ხის ქერქს ხმარობენ. ხმა და ბგერები ლარჭემს სალამურისა აქვს, მხოლოდ იგი მრავალხმიანია და შეწყობილი. ლარჭემზე დამკვრელს სიმღერა რაიმე დასაკრავი სმენით გადაააქვს და ლარჭემზე ისე უკრავს. ლარჭემს ხშირად ორნი უკრავენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან დაკვრაში. ვიცი ფიფიამ იცის 38 სხვადასხვა ჰანგზე დაკვრა. წინათ ლარჭემს უკრავდნენ ქორწილებში, ღამისთევაში, ხატობა-დღეობებში და „გოხარჭალაფა“ ღამეს. ზოგჯერ ლარჭემს უკრავდნენ და თან ცხვირით ამღერებდნენ. წინათ ლარჭემი იყიდებოდა ხობის ბაზარზე — „ხობალა“-ს, რომელიც იმართებოდა აგვისტოში, „მარაშინა“ დღეს ხობის მონასტერთან. იქ თურმე მოჰქონდათ გასაყიდად ბევრი ლარჭემი. გამყიდველები უკრავდნენ ლარჭემს და ამით მუშტარს იზიდავდნენო. აღსანიშნავია, რომ დღესაც, თუ ვინმე ხობში მიდის, ხუმრობით ეტყვიან: „ლარჭემი მოგვიტანეო“.[1]

ვ. სტეშენკო-კუფტინას ცნობით სამეგრელოში, მრავალღერიან სალამურზე დაკვრა სცოდნიათ დიდ ხუთშაბათს. „ღამით, წირვის გათავების შემდეგ, სოფელში (ჩქვალერი) იმართებოდა თურმე ლიტანია ლარჭემით, დაირითა და ხის საყვირით: ომელია-თი ან ომე-თი (სპილენძის საყვირი)“. მკვლევარის ცნობით, ლარჭემს მეგრელები სხვადასხვა ვითარებაში იყენებდნენ. „ის ღამის მგზავრისა და მონადირის თანამგზავრია; ის ემსახურება სიგნალის მიზნებს — სხვადასხვა სოფლიდან გამოსვლას, ძაღლის დაძახებას; იგი ამშვიდებს ავადმყოფს, მას მიმართავენ მზისა და მთვარის დაბნელებისას, უკრავენ თოხნაში დასვენების დროს, უკრავენ ყანაში, როცა სიმინდის ნორჩი ტაროები ფოჩებს დაისხამს; მასვე უკრავენ მეგრელები დიდხუთშაბათის სადღესასწაულო მსვლელობისას; უკრავენ ქორწილებში; დასასრულ ის გვევლინება მწყემსების საკრავად. ამგვარად, მას აქვს მრავალფეროვანი პრაქტიკული ფუნქციონალობა. გურიასა და სამეგრელოში იგი ამჟღავნებს გადმონაშთების სახით შენახულ ძველ ფუნქციას, რომელიც მისთვის კულტს, მკურნალობას და საწარმოო მაგიას დაუკისრებია“.[2] ვ. სტეშენკო-კუფტინას აღნიშნული აქვს მხოლოდ 6 ღერიანი სალამური. მისი ცნობით, მეგრული ლარჭემი, ისევე როგორც გურული სოინარი, მხოლოდ ექვსღეროვანია. ს. მაკალათია ფიქრობს, რომ ვ. სტეშენკო-კუფტინას არ უნახავს ხუთღეროვანი ლარჭემი, რომელიც ძირითადად სამეგრელოს ბარში იყო გავრცელებული. ზ. ფიფია იხსენიებს სამღეროვან ლარჭემს. მისი ცნობით, „ლარჭემი“ სამღეროვანიცაა. სამღეროვანი „ლარჭემი“ უმთავრესად შეჯიბრებებისთვის იხმარებოდა. „დამკვრელები ერთმანეთს გამძლეობაში და დაკვრის ხელოვნებაში ეჯიბრებოდნენ“.[3] ვ. სტეშენკო-კუფტინას ცნობით, „ხანდახან მრავალღეროვან სალამურს ჰყოფენ სამ-სამ ღეროდ ორ დამკვრელს შორის. ამ შემთხვევაში ღეროებს იმავე თანმიმდევრობით აკავშირებენ, როგორც მთლიან ინსტრუმენტში: ცენტრში ბანია, მაღალი ტონები — გვერდზე. ასე გაუნაწილდა ჩემი თანდასწრებით ანსამბლის ორ მონაწილეს გამოჭრილი, მაგრამ ჯერ შეუკრავი ინსტრუმენტი“.[4] ზ. ფიფია სწორედ ექვსღერიანი სალამურის ორ ნაწილად გაყოფას გულისხმობს.

დ. ალავიძის ცნობით, გურიასა და სამეგრელოში არსებობდა ლარჭემზე/სოინარზე შეჯიბრებები. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულად ის მიიჩნეოდა, ვინც უფრო მეტ ხანს დაუკრავდა. ხშირად იმარჯვებდა პატარა ლარჭემზე დამკვრელი, რადგან ის ნაკლებ მოძრაობასა და სუნთქვას საჭიროებდა, რაც ფიზიკურად იოლი დასაძლევია. ლარჭემზე დამკვრელები მამაკაცები იყვნენ. ამ საკრავზე სრულდებოდა ძირითადად მწყემსური და საცეკვაო მელოდიები. მეცნიერის ცნობით, „სამეგრელოში სალამური ძირითადად მწყემსის საკრავია. ამასთან დაკავშირებით არსებობს სამი ჰანგი: ერთი, რომლითაც ჯოგი საძოვარზე მიჰყავთ; მეორე, რომელსაც დაბრუნებისას ასრულებენ, და მესამე, რომელსაც მწყემსი ჯოგის ძოვისას ასრულებს. გარდა ამისა,

---

[1] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 259.

[2] **ვ. სტეშენკო-კუფტინა,** ქართული ხალხური მუსიკის უძველესი ინსტრუმენტალური საფუძვლები, პანის სალამური, გვ. 215.

[3] **ზ. ფიფია,** ლარჭემი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №70, 2008 წ. 16 აპრილი.

[4] **ვ. სტეშენკო-კუფტინა,** ქართული ხალხური მუსიკის უძველესი ინსტრუმენტალური საფუძვლები, გვ. 209

სამეგრელოში ლარჭემი ქორწილებსა და დღეობებში გამოიყენებოდა. სამეგრელოში სოინარზე კარგ დამკვრელებად ითვლებოდნენ ვანო ფიფია და კოწია ქუხილავა“.[1]

ლარჭემი შედგებოდა ექვსი, ან ხუთი სალამურის ანუ ლულისგან. ს. მაკალათიას მოცემული აქვს ლარჭემის ყველა სალამურის, ანუ ლულის სახელწოდება. ხუთღერიან ლარჭემში პირველ ლერწმად ითვლებოდა უგრძელესი, რომელსაც „მემაღალე“ ერქვა, მას მოსდევდა „მებანე“, „მებანეს“ — „მაღალი“, შემდეგი იყო„მაჭყაფალი“, ხოლო ბოლოს — „ჭიფეში“. ექვსღერიან სალამურში „მეშხუაშე“ იყო პირველი ორი გრძელი ლულა. გვერდებზე, ორ ლულას ერქვა „მებანე“, ხოლო „მებანეების“ გვერდებზე ორს — „მეჭიფაშე“.[2]

დ. ალავიძის ცნობით, ლარჭემის დამზადება შთამომავლობით გადადიოდა. მამა-პაპები ასწავლიდნენ შვილებს. დაკვრამდე 1-2 საათით ადრე სცოდნიათ ლულების ავსება წყლით. ეს საკრავს გაბზარვისგან იცავდა და ასევე, წმინდა, მკაფიო ხმას გამოსცემდა. ვ. სტეშენკო-კუფტინას ცნობით, წყობის შემოწმება-დაზუსტებისთვის მეგრელები იყენებდნენ ძველ ხერხებს, ქვიშას ან ღომს ჩაყრიდნენ ღეროებში.

სამეგრელოში ასევე, სცოდნიათ ლაგუჯამე (გუდიანი) ლარჭემი, რომელიც დანარჩენ საქართველოში გუდასტვირის სახელითაა ცნობილი. თუმცა, დღეისათვის ამ ტიპის საკრავი არ ფიქსირდება. შესაძლებელია, ლარჭემი არა მხოლოდ მრავალღერიანი სალამურის, არამედ ლერწამის ან ლარჭემისაგან დამზარებული სხვა ჩასაბერი საკრავის სახელწოდებაც ყოფილიყო, მაგალითად, გუდასტვირის სტვირის/სტვირების ან ზოგადად, ფლეიტის/სალამურის ტიპის საკრავის.[3]

დღეის მდგომარეობით, ლარჭემს არსად ამზადებენ, მისი არსებობაც არ ფიქსირდება, არც ამ მატერიალური კულტურის ძეგლის ხელობის მცოდნე. წყემსები უკვე ლარჭემზე არ უკრავენ, ხშირ შემთხვევაში, მისი არსებობის შესახებაც არ იციან.

გარდა ჩონგურისა და ლარჭემისა, სამეგრელოში გავრცელებული იყო ასევე ***დაირა***. დაირაზე უკრავდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, თუშეთში და რაჭაში. მ. შილაკაძის ცნობით, გარეგნული ფორმით სხვადასხვა კუთხის დაირებს შორის განსხვავება არ ყოფილა.

დაირის რკალი ხისაა. მასზე გადაკრულია თხელი აპკი, ტყავის. „რკალზე შიგნიდან ჩამოკიდებული აქვს საჩხარუნებლები — თხელი და მრგვალი პატარა ფირფიტები და ეჟვნები. რკალი ინკრუსტირებულია თეთრი და შავი ძაფით“.[4] როგორც წესი, დაირაზე უკრავდნენ ძირითადად ქალები, ცეკვის დროს. რამდენიმე დაირა ერთად არ გამოიყენებოდა. დაირა გამოიყენებოდა ინსტუმენტულ ანსამბლში. მაგალითად, მრავალღერიან სალამურთან, ლარჭემთან ერთად სამეგრელოში. დ. ალავიძის ცნობით, სამეგრელოში, ჯვარში, ქორწილებში, ლხინში და ცეკვა-თამაშის დროს ლარჭემზე, დაირასა და სვანურ ჭიანურზე (ჭუნირი) ერთდროულად უკრავდნენ. „სოფელ ჩქვალერში დიდ ხუთშაბათს ხალხი წირვის შემდეგ კარდაკარ დადიოდა, მღეროდა და თან ლარჭემზე უკრავდა. ეს უკანასკნელი შეუღლებული იყო დაირასა და ხის ან სპილენძის საყვირთან“.[5]

„დაირას ხმარობდნენ სახასიათო ცეკვების რიტმის გასაძლიერებლად და მუსიკისათვის თავისებური იერის მისაცემად. ... დაირა ხალხურ მემუსიკეთა მწყობრში ღებულობს მონაწილეობას“.[6]

დღეისათვის დაირა ოჯახებში არ ფიქსირდება, თუმცა ძველად, შეკრებების („ჯარალუას“) დროს, მთხრობელები ჩონგურთან ერთად დაირასაც ახსენებენ. სამეგრელოში „ჯარალუა“/„ჯარუა“ აღარ ხდება. სხვადასხვა დღესასწაულებს მეგრელები საერთო სუფრებზე ხვდებიან თანამედროვე დარბაზებში, არც სხვადასხვა სახის შეჯიბრებები იმართება.

ამრიგად, ერთ დროს მრავალი ფუნქციის მქონე საკრავი — ლარჭემი, რომელიც საწესო რიტუალებისა და ყოფის თითქმის ყველა ჩვეულების დროს გამოიყენებოდა, დღეს დავიწყებუ-

---

[1] **დ. ალავიძე,** ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები, გვ. 68.
[2] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 258
[3] **ნ. რაზმაძე,** ჩონგური და საჩონგურო რეპერტუარი, თბ., 2009.
[4] **მ. შილაკაძე,** ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, გვ. 80
[5] **დ. ალავიძე,** ქართული და საქართველოში გავრცელებული ხალხური მუსიკალური საკრავები, გვ. 67.
[6] **ვ. მშველიძე,** საკრავთმცოდნეობა, თანამედროვე ორკესტრის თეორიული საფუძვლები, თბ., 1965, გვ. 257.

ლია. ლარჭემის ხელოსნები მთიან სამეგრელოში აღარ არიან. მხოლოდ ჯუმბერ და მზევარ ქუ-ხილავებს ახსოვთ საკრავის აწყობის ტექნიკა. ზოგადად კი, ამ საკრავის დამზადების პრაქტიკა დავიწყებას მიეცა. ქართული მუსიკალური კულტურის ძველი, მრავალღერიანი სალამური და მასზე მუსიკის შესრულების ტექნიკა დავიწყებულია. დავიწყებას მიეცა დაირას გამოყენება და მისი დამზადების ტექნიკაც. რაც შეეხება ჩონგურს, ამ საკრავის მკეთებლები არიან სოფელ ახუთში, სარაქონში, ობუჯში, ზედაეწერსა და სხვ. ჩონგურის დამზადებისას, შეიმჩნევა გარკვე-ული ცვლილებები. მაგალითად, ნ. რაზმაძეს დაფიქსირებული აქვს ჩონგური, რომლის ტარიც იკეცება. ინოვაციას წარმოადგენს ასევე ჩონგურზე ლითონის მოქლონების გაკეთება. ასევე, დაფიქსირდა ჩონგურზე გიტარის სიმების დამაგრებაც. ეს მუსიკალური ინსტრუმენტი თანა-მედროვე ყოფაშიც მეტ-ნაკლებად გამოიყენება. ახალგაზრდები ჩონგურზე დაკვრას სწავლო-ბენ, დღეობებსა თუ სხვა შეკრებებზე ამ საკრავზეც უკრავენ. ჩონგურზე უკრავენ ასევე სხვა-დასხვა საწესო რიტუალების (ბატონების ლოცვების, „ხვამა"/ლოცვა და სხვ.) შესრულებისას.

ხალხური სპორტის ერთი სახეობისათვის — რკინება. ქართველ ერს მრავალსაუკუნო-ვანი მშფოთვარე ცხოვრების მანძილზე მუდამ რიცხვმრავალ მტერთან უწევდა გამკლავება. ამიტომ საქართველში სამხედრო აღზრდის ხალხური სისტემები მუდამ მაღალ დონეზე იდგა. სხვა საბრძოლო სისტემებთან ერთად ქართული ჭიდაობა, როგორც სულისკვეთებით, ისე ხერ-ხებითა და ილეთების მრავალფეროვნებით, ოდითგანვე მიმზიდველ რაინდულ სახეობას წარმო-ადგენდა და თაობათა ფიზიკური წრთობის მძლავრი საშუალება იყო.

საქართველოში ჭიდაობის ტრადიციების სიძველესა და მის დიდ პოპულარობაზე მეტყვე-ლებს ალავერდის ტაძრის მთავარი შესასვლელის მარცხენა ზედა კუთხის ფრესკაზე გამოსახუ-ლი ქართულ საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი ორი ფალავნის შერკინება. იგი XV საუკუნითაა და-თარიღებული. საკათედრო ტაძრის ფრესკაზე ქართული ჭიდაობის სცენის გამოსახვა მისი დი-დი პოპულარობის და აღიარების შესანიშნავი დასტურია.[1]

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს ჭიდაობის საკუთარი, ზოგ შემთხვევაში განსხვავე-ბული, ზოგჯერ ტრადიციულთან ახლოს მდგომი, იშვიათ შემთხვევაში უნიკალური მანერა და სტილი გააჩნია.ჭიდაობის ჩატარებას თავისი წესი და რიგი ჰქონდა. იგი იმართებოდა უმთავრე-სად უქმე დღეებში, რელიგიური დღესასწაულების დროს, ღვთისმსახურების დამთავრების შემ-დეგ. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდა ქალაქის სხვადასხვა უბანი. ასპარეზობას იწყებდნენ მოზარდები, რომელთაც თანდათანობით ჭაბუკები ცვლიდნენ, და ბოლოს, სახელგანთქმული ფალავნები. საასპარეზოდ ნახერხით დაფარულ მიწაზე გამოდიოდნენ. ჩატარებული კვლევების შედეგად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოვლინდა ჭიდაობის ორი ათეული სახეობა, რომელთაგან უმრავლესი, მცირე განსხვავების მიუხედავად, ერთანეთს ჰგავს და ზოგად-ქართული ჭიდაობის ვარიანტს წარმოადგენს. ეს სახეობებია: მეგრული რკინება, გურული ჭე-დობა, მთიულური იღლიღორა, რაჭული ღოჯური, სვანური ლიბრგიელ და სხვა.[2] სამწუხაროდ, ქართული ჭიდაობის კუთხური ვარიაციები, ილეთების კუთხური სახელები, მათი შესრულების მანერა და სტილი, დღემდე თითქმის შეუსწავლელია.

ჩვენ მიერ სამეგრელოში ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად, ჯერ კიდევ შემორჩენილ მხცოვან მოჭიდავეთაგან, რომელთა ასაკი ხშირ შემთხვევაში ოთხმოცსაა გადაცილებული, დაფიქსირდა მეგრული „რკინების" ათამდე ტერმინი და ილეთი. მოჭიდავეთა უმრავლესობას ილეთები ახსოვს, მაგრამ მათი სახელების გახსენება უჭირს.

სამეგრელოში ჭიდაობას დღემდე „რკინებას" ეძახიან. ის ჭიდაობის აღმნიშვნელი ძველი ქართული რკენა ლექსემის შესატყვისია. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „ჭიდება

---

[1] **გ. კოკოშაშვილი,** ქართული საბძოლო ხელოვნება, თბ., 2012, გვ. 11.

[2] **გ. კოკოშაშვილი,** ქართული საბძოლო ხელოვნება, გვ. 12.

არს რა მხეცი და კაცი შეიჭიდნენ, გინა მხეცი და მხეცი ანუ პირუტყვი და პირუტყვი; ხოლო კაცი კაცსა რა ეჭიდებოდეს, რკენა ეწოდების“.[1]

ჭიდაობის ილეთებიდან სამეგრელოში აღსანიშნავია: *ალაშქვაფური* (მეგრ. ალაშქვაფა — „ჩარჭობა, ჩასობა, გვერდით (ჭიგოსი)“, ნიშან-თვისების გამომხატველი -ურ სუფიქსი (ამ შემთხვევაში აკონკრეტებს გვერდითა მხრიდან განხორციელებულ მოქმედებას, ჩარჭობას), *გალენ კაჭა* (მეგრ. გალენი „გარეთა“, კაჭა — „სარმა; ფეხის ფეხში გამოდება“), *დინახალენ კაჭა* (მეგრ. დინახალენი „შიგნითა, შიდა“, კაჭა — „სარმა; ფეხის ფეხში გამოდება“), *შქაშ კაჭა* (მეგრ. შქაშ — „შუა, შუისა“), *მერთელი* (მეგრ. მერთა — „მიქცევა; კვალის აბნევა“, -ელ მიმღეობის სუფიქსი), *მოგორდია* (მეგრ. გორდი „ბაყაყი“, მო- -ია პრეფიქს-სუფიქსი აწარმოებს მსგავსება-ნაირობის აღმნიშვნელ სახელებს, ანუ ტერმინი ნიშნავს ბაყაყურს), *ხასლური* (მეგრ. ხასლა — „გვერდი“, ნიშან-თვისების გამომხატველი -ურ სუფიქსი); ასევე ჭიდაობასათან დაკავშირებული ტერმინი-*გარდღა* „სარმა, ფეხის ფეხში გამოდება“.[2] გარდღას სინონიმად იხმარებოდა ტერმინი კაჭა, რომელიც შედარებით გვიან შემოსულად უნდა მივიჩნიოთ.

მოძიებულ ტერმინთაგან ყველაზე გავრცელებულია *გალენ კაჭა*, *დინახალენ კაჭა* და *მერთელი*. ამ სამი ილეთის სახელს ჭიდაობასთან შეხების მქონე თითქმის ყველა მოხუცი დაგისახელებთ. რაც შეეხება მათ ქართულ შესატყვისობებს, *გალენ კაჭა* იგივე გარე სარმაა, *დინახალენ კაჭა*— შიდა სარმა; *მერთელი* მეგრულ ლექსიკონში განმარტებულია როგორც ეშმაკური ილეთი, ირიბი, ალმაცერი, ორაზროვანი, ძნელად გამოსაცნობი. ეს ილეთი სწორედ რომ ეშმაკურად სრულდება. ილეთის გამკეთებელი მოულოდნელად თავს დაიგდებდა მიწაზე და მოწინააღმდეგეს ხელების და ფეხების მეშვეობით უკან გადააგდებდა, ამ ილეთის ქართული შესატყვისის მოძებნა ვერ მოვახერხეთ. ამ ილეთის შესრულების დროს იტყვიან „მერთელშა ქიოთუა“, ანუ მერთელით მოიგდოო, გადაიგდოო. *ალაშქვაფური*, რომელიც მხოლოდ წალენჯიხის რაიონში რამდენიმე მთხობელმა გაიხსენა, მუხლურ გარე სარმად უნდა მივიჩნიოთ. *ხასლურის* სათანადო ქართული ილეთის მიგნებაც გაჭირდა, იგი სავარაუდოდ გვერდული, წინა სარმა ან მხარიღლივი თეძო უნდა იყოს; *მოგორდიას* შესაბამისი ქართული ტერმინი ვერ დავადგინეთ; რაც შეეხება ტერმინ *გარდღას*, იგი სარმას იდენტურია. ეს სიტყვა გამოიყენებოდა კონტექსტში: „გარდღა ქუდუოთუა“ —სარმა დაუგდოო. მსგავს კონტექსტში იხმარება „კაჭა ქუდუოთ“ — ფეხმრუდე დაუგდო, სარმა დაუგდო. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ჯერჯერობით მხოლოდ ამ ტერმინების და ილეთების მოძიება გახდა შესაძლებელი.

ძველად, ჭიდაობა იმართებოდა სოფელში, თავშეყრის ადგილას, სადაც სოფლის მცხოვრებლები თავს იქცევდნენ. დღეს, სოფლების უმრავლესობა ახალგაზრდებისგან დაცლილია, ახალი თაობა წასულია ან სხვა გასართობი საშუალებებით იქცევს თავს. რკინება სამეგრელოში მხოლოდ მოხუცებს ახსოვთ, ახალმა თაობამ არც კი იცის ჭიდაობის მეგრული ნაირსახეობის ოდესმე არსებობის შესახებ.

მჭედლობა. სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში შინამრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მჭედლობა (ჭკადუა), რომელიც სამი სახისაა: რკინის მჭედელი („რკინაშ ჭკადუ“), სპილენძის მჭედელი („ლინჯიშ ჭკადუ“) და ოქრო-ვერცხლის მჭედელი („ვარჩხილიშ ჭკადუ“).

მჭედლობა საპატიო და ღირსეულ საქმედ ითვლებოდა. განსაკუთრებით დიდ მოკრძალებას იჩენდნენ სამჭედლო ადგილისა და იარაღის მიმართ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სამჭედლო გრდემლი, კვერი და მარწუხი, რომელებიც წმინდა იარაღებად ითვლებოდა და მათი დასაბამი უკავშირდებოდა წმინდა „სოლომოს“, რომელიც 363 ხელობათა გამჩენ და მფარველ ღვთაებას წარმოადგენდა. საყურადღეობოა, რომ ზოგიერთი გადმოცემით იგი გონიერი და

---

[1] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, II, გვ. 400.

[2] **ა. ქობალია,** მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, გვ. 107.

„ღმერთმოსილი“ კაცია, რომელმაც სხვადასხვა ხელობა (რომელიც მანამდე მხოლოდ ღვთაებათათვის იყო საცნაური) ასწავლა ადამიანს და ამით შეუმსუბუქა მას „სისხლის პურის ჭამა“. ამ მხრივ, „სოლომო“, ისევე როგორც სვანური სოლამი და აფხაზური შაშა, ქართულ ამირანს, იგივე ბერძნულ პრომეთეს უკავშირდება.

ამ მხრივ საინტერესოა სოფელ ჯვარში ჩაწერილი ლეგენდა, რომელშიც ნათქვამია: „ხელუა (ხელობა) ირფელ ხვალე ქირსეს ნოჩქვე. ხელოვან ხვალე თინა ყოფე. ჰოდო, თის ნოკვირუე თე „სოლომო“. წმ. სოლომო ნიჭიერ კოჩგ ყოფე. ართიშა უწუ თიქგ ქირსეს: მუშე ორთუქ ნამდა ფურე რკინა გილაიღ ხეთ, თე ფურე რკინას ბირგულშა მუსენი გეთიჭკადა ლიკვით, თის ვაუჯგუნო, ქულამურ ქიგია დო თის ქიგიოჭკადე? (თურმე იწკმა ვანოჩქვედეს ქულამური, კვეკვა დო მარწუხი. ირფელს ხეთ ნოქიმინუედეს). დასურო თეშ ქოქიმინ დო უკული კვეკვა დო მარწუხ ხოლო გაკეთ, გოჭკადუ. ექ ჯგირქ იუ. თიწკმა დოხვამუ ქირსე-ღორონთქ „სოლომო“ დო თის გენაბარ 363 ხელუა. თიში უკული სოლომო მაჟირა „კოჩი“ რე“.[1] ე. ი. თავიდან ხელობა მხოლოდ ქრისტე ღმერთს სცოდნია. მას აკვირდებოდა წმინდა სოლომო, რომელიც ძლიერ ნიჭიერი კაცი ყოფილა. ქრისტესთვის შეუნიშნავს: „ცარიელი ხელით რომ გამოგაქვს რკინა და მუხლზე იჭედებ მუშტით, უკეთესი არ იქნება, გაჭედო გრდემლი, კვერი, მარწუხი და გაიადვილო მუშაობა? ქრისტეს ჭკუაში დაუჯდა გონივრული რჩევა და მართლაც ასე მოიქცა. მოეწონა მას სოლომონის მიხვედრილობა და ჭკუა, ადგა და მთელი ხელობა მას გადააბარა. ამის შემდეგ სოლომო მეორე კაცი გახდა“. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ასევე საქართველოს სხვა კუთხეების მასალები პირველი მჭედლის შესახებ, სადაც იგი მიუხვედრელ პიროვნებადაა მიჩნეული, ან ისეთ პირად, რომელიც ღმერთმოსილი და შეუვალია ადამიანურ შეგნებათაგან. იგი შიშველი ხელით ეწევა მჭედლობას. ბოლოს, ძაღლი მას მარწუხისა და სხვა იარაღების გამოჭედვის საჭიროებას მიახვედრებს.[2]

საინტერესოა, რომ წმ. სოლომონის კულტი გადმონაშთის სახით უკანასკნელ დრომდე შემოინახა მისადმი განკუთვნილი „ლოცვის“ სახით. წმ. სოლომონისთვის დაწესებული ლოცვა („ხვამა“) მჭედლების მიერ ახალი წლის წინა დღეს სრულდებოდა. უფროსი მჭედელი ამზადებინებდა საკალავს — გოჭს, განატეხს (დედოს) და 2 კვერს; აგრეთვე, საკმეველს, სანთელს და ზედაშეს. ზედაშე ამოჰქონდათ სალოცავი ჭურიდან. როდესაც ყოველივე ამას დაალაგებნდნენ ტაბაკზე, მჭედელი აიღებდა მას ხელში, თავის ვაჟებს გაიყოლებდა და სამჭედლოში მიდიოდა; გრდემლის წინ შვილებს დააჩოქებდა, გადაავლებდა მათ თავზე სანთელ-საკმეველს, დაამწყალობებდა და წმ. სოლომოს მიმართავდა: „სუმოშსუმონეჩი დო სუმი ხელუაშ გორჩქინუ დუდო ღორონთი დო უკულ სოლომო, თქვან სახელ ხვამელ დო დიდებული: თქვა გატიბით ჩქიმ ოჯახის. ხე-ხუჯი (ხელ-მხარი) თქვა ქომუჩით“. ამ სიტყვებით საკმეველს იქვე მდგარ სანაკვერცხლეზე დაყრიდა (ონორცხვე) სანთელს აანთებდა და გრდემლზე მიაკრავდა. სალოცავად საკლავის თავი და ღვიძლი მიჰქონდათ, რომლის თითოეულ მონათალს ჯერ თავად მიიღებდა და მერე სხვებს მიაწოდებდა, როდესაც ლოცვას დაასრულებდა.[3]

სამჭედლოს შრამელი საქართველოს ყველა კუთხეში ნაკრძალს წარმოადგენდა. სამეგრელოსა და აფაზეთში სამჭედლო წმინდა ადგილად ითვლებოდა, ხოლო გრდემლი, კვერი და მარწუხი — ნაწილიან იარაღებად, რომელთაც ხატ-ჯვარზე მეტი „გამჭრელობა“ ჰქონდათ. ეს ნივთები სახლეულის საერთო „საძირე“ საგნები იყო და გაყოფისა და სხვაგან გადასახლების შემთხვევაში, მის „შევრდომილს“ და გამომლოცველს“ უნდა წაეღო მათი ცალკეული ნაწილები (ჩამონაკვეთის სახით), რომ ახალ ადგილას კვლავ გაემართა „საძირე“ (სამჭედლო), რომელსაც უნდა „მირთვოდა“ წამოღებული წმინდა ნაწილები.[4]

სამჭედლო იმავე როლს ასრულებდა ზოგიერთი წეს-ჩვეულების შესრულებისას, რასაც ეკლესია მორწმუნეთათვის. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, სამჭედლოში „ფიცსა“ და „გა-

---

[1] მთხრობელი ანტონ ფიფია, სოფ. ჯვარი.

[2] **ნ. რეხვიაშვილი**, ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1964, გვ. 136.

[3] **ნ. რეხვიაშვილი**, ქართული ხალხური მეტალურგია, გვ. 153.

[4] **ნ. რეხვიაშვილი**, ქართული ხალხური მეტალურგია, გვ. 138.

დაცემას“ („ფუჩი დო ხინტკი“) თან ახლდა უდიდესი შიში და კრძალვა. სამჭედლოში გრდელ-მლზე გადაცემა (გინოჩამა) საშინელი რისხვა იყო თვით უაღრესად გამოუსწორებელი და საზო-გადოების შემწუხებელი ადამიანისთვისაც.

რაიმე დანაშაულის შემთხვევაში სამჭედლოში მიდიოდნენ გასასწორებლად, როგორც ბრალმდებელი, ისე ბრალდებულ-მომჩივანი, ანუ დაზარალებული და ეჭვმიტანილი პირი, რო-დესაც მათ არ აკმაყოფილებდათ ქრისტიანული წესით ჯვარ-ხატზე დაფიცება და გადაცემა. მჭედელი დადგებოდა გრდემლთან, მის წინ წარდგებოდნენ ბრალდებული და ბრალმდებელი. პირველი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ. შემდეგ მჭედელი აიღებდა ხელში კვერს და წარდგამდა ნაბიჯს შემდეგი სიტყვებით: „363 ხელობაშ გორჩქინუ წმ. სოლომო, ქგედვ განჩინება, კვარჩხა-ნი მუკურთინე, თიშ გარემოებას: სკიში-სკიშა გენათხოზი დო ონდო ვერსხას დუდი, გამწუოთ თოლ დო გეშაათი ჯინჯო“. ამ სიტყვების წარმოთქმისას დროდადრო კვერს გრდელმზე ურ-ტყამდა და თან დამნაშავის მისამართით ამ სიტყვებს ხვეწნის კილოთი აღავლენდა წმ. სოლო-მოს წინაშე, რომლის გაჩენილადაც სამჭედლო და მისი მთავარი ატრიბუტები ითვლებოდა.[1]

საყურადღებოა, რომ ცალკეული სამჭედლო უსასყიდლოდ ასრულებდა უპიროვნო დაკვე-თას, სახელდობრ „ბოძალის“ (ბორძალის, მეხის) დამზადების თაობაზე. მათი რწმენით, წმ. გი-ორგის ის სჭირდებოდა კუდიანებისა და მავნებლებისთვის „თავსდატეხად“. მჭედელი ამზადებ-და რამდენიმე ამგვარ „ბოძალს“, მიჰქონდა ისინი ეკლესიის ეზოში და ათავსებდა მათ დამხრო-ბილ ხეზე, რათა წმინდა გიორგის მეხის დასაცემად წაეღო. ნამეხი ადგილი რომ ნახოს კაცმა, მუდამ ნახავს ამგვარ „ბოძალსო“, ამბობდნენ მჭედლები არტემ ბესარიონის ძე და იულო თეი-მურაზის ძე ფანცულაიები.[2]

წმ. სოლომო იყო ქვენა ღმერთი (თუდო ღორონთი), რომელსაც უფროსი მჭედელი ყოველ შა-ბათს ეხვეწებოდა ლოცვით. ხელპირს დაიბანდა, სუფთად ჩაიცვამდა და შეევედრებოდა სანთელ-საკმევლით: „წმ. სოლომო! სქან სახელ ხვამილი, ქიანაში ხელობაში გუმარჩქინალი, სი ქომუჩი წყა-ლობა თუდო ღორონთქ, სქან სახელ ხვამელი“ (წმ. სოლომო, დაილოცოს შენი სახელი, ქვეყნის ხე-ლობათა გამჩენო, შენ მომეც წყალობა, ქვენა ღმერთო, შენი სახელი დალოცვილი იყოს).

ჩვენ ზემოთ შევეხეთ სამჭედლოში გრდემლზე გადაცემის საკითხს, თუმცა შედეგებზე არაფერი თქმულა. თუ კაცი შეიტყობდა, რომ რაიმე მიზეზით გადაცემული იყო, „ცოდვა გაუ-დიდდა“ (ცოდაქ გედიდ) და რისხვამ უწია, იგი მიდიოდა სავარაუდო სამჭედლოში თავის დასახ-სნელად (დუდიშ ორსხებელო) და მჭედელს გამოლოცვას (გითოხვამას) სთხოვდა. თავის ამ გან-ზრახვას ორი დღით ადრე ამცნობდა მჭედელს, რომ ის შემზადებულიყო. მჭედელი გადაცემულს და მის მხლებლებს გვიან საღამოს მიიღებდა. როდესაც ყველას შიგნით შეიყვანდა, კარს ჩაკე-ტავდა, „გამომლოცველებს“ ყველას გრდემლის წინ დააჩოქებდა და ყოვლის გამგებელს შემცო-დებელთა „ალობას“ (პატიებას) შესთხოვდა. მჭედელი, კვერით ხელში, მათ უკან ამოუდგებოდა მარჯვნივ, სამჯერ გრდემლის წინ ხელკვერს გადაავლებდა მათ თავზე: „წმ. სოლომო, ირსხი თე-ნა გაჭირებაშე, მუთუნი ბრალ უღუდა ქაპატი! 363 ხელუაშ გორჩქინუ წმ. სოლომო, სქან ჯგირი დუს ქოვთხინთ თენა გინუჩამუ მიდგარენს ჯვეშო, დო ასე ქუმაჭიშუ. სი ქირსხი დო ქიმევჩათ ალობა. მეურს სქანდა ძღვენით დო გოხვეწუ არძა ართო, სქანი სახელი ხვამელი“. გრდემლზე ამ დროს ანთებული იყო ხუთი სანთელი, გადაცემულს თან მოჰყავდა საკლავი ცოცხალი თიკანი, სანთელ-საკმეველი, საჭირო სურსათი, ღვინო და არაყი. ამ ცერემონიალის შესრულების შემ-დეგ, იგი „ალებულად“, შენდობილად (შეწყალებულად) ითვლებოდა[3].

აღსანიშნავია, რომ გრდემლისა და კვერის კულტი ფართო გამოვლინებას ჰპოვებდა აგ-რეთვე აღთქმისა და შეპირების წეს-ჩვეულებაში. მაგალითად, ძლიერი და საქვეყნოდ ცნობილი სალოცავების საწირლად მჭედლები ამზადებდნენ პატარა გრდემლს, კვერს და ისინი „ხატის კარზე“ მიჰქონდათ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მჭედლობა და განსაკუთრებით რკინის კულტი,

---

[1] **ნ. რეხვიაშვილი**, ქართული ხალხური მეტალურგია, გვ. 154.
[2] **ნ. რეხვიაშვილი**, ქართული ხალხური მეტალურგია, გვ. 155.
[3] **ნ. რეხვიაშვილი**, ქართული ხალხური მეტალურგია, გვ. 156.

ერთობ ცხოვლად შემოინახა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ამის ერთ-ერთ ძირითად მოტივად უნდა მივიჩნიოთ რკინის როლი აღნიშნული კუთხეების სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამეგრელოსა და სამურზაყანოში წმინდა სოლომოს სახელზე დაფლული იყო ჭური (დერგი, ლაგვანი, ლახუტი). მჭედელი დაკლავდა საკლავს, გოჭს ან თიკანს, და იმის თავს, გულღვიძლს ხონჩით წარსდგამდა სალოცავ ქვევრთან, რომელსაც ამ დღისთვის მოხდიდა. ხონჩაზე ელაგა აგრეთვე 4 კვერი და სანთელ-საკმეველი; თან ონორცხვეთი (სანაკვერცხლე) ნაკვერცხალი მიჰქონდა. მჭედელი ქვევრის წინ თავის მონაგარს (გამნარყი) დააჩოქებდა და ყველას ლოცვა-კურთხევით თავზე სანთელს შემოავლებდა, შემდეგ აანთებდა და საკმეველსაც სასაკმევლეზე დადებდა, შემდეგ დაილოცებოდა: „363 ხელუაშ გორჩქინუ წმ. სოლომო! სი ქომუჩი ხე დო ხუჯიშ ძალა, გომიმანგარ თენა“. მოტანილი ზედაშე იქვე იდგა. ჯერ თავად დალევდა, მერე ამ ქვევრის (სალოცავი ქვევრის) ღვინოს სხვასაც დაალევინებდა. მეორე დღეს, სამჭედლოში გრდემლზე სანთელს აანთებდა, ქურაში ცეცხლს გააჩაღებდა, იქიდან აღებულ ნაკვერჩხალზე საკმეველს დაყრიდა. ზოგიერთმა მჭედელმა ეს ლოცვა იცოდა ამაღლებას, ზოგიერთმა — ახალ წელიწადს ან აღდგომას. დაახლოებით მსგავსად იცოდნენ აფხაზებმაც სამჭედლოზე ლოცვა.[1]

მჭედლობაზე და სამჭედლოში შესრულებულ რიტუალებზე საინტერესო ცნობები აქვს დაცული ს. მაკალათიას. ახალი წლის წინა საღამოს მჭედელი შედიოდა სამჭედლოში, გრდემლის გარშემო აანთებდა სანთლებს, იქვე დააწყობდა ხელსაწყო სამუშაო იარაღებს და ასე დაილოცებოდა: „სუმოშ სუმონეჩ სუმი ხელუაშ მორჩქინე წმ. სოლომონ, ხე-ხუჯის ქომუჩი ჭყანი დო ღონე“-ო.[2] ახალ წელიწადს მეკვლე სამჭედლოსაც უკვლევდა. შევიდოდა სამჭედლოში, ფეტვს მოაბნევდა, წყალს მოასხამდა და საახალწლოდ დაილოცებოდა. მჭედლები აგრეთვე ლოცულობდნენ შაბათ საღამოს ან კვირა დილით. აიღებდნენ სანთლებს და მიაკრავდნენ გრდემლს, იქვე დააწყობდნენ ხელსაწყო იარაღებს და წმ. სოლომონს შეევედრებოდნენ.[3]

მჭედლებს ჰყავდათ შეგირდები, რომლებსაც ხელობას ასწავლიდნენ. შეგირდის ოსტატად დალოცვა სათანადოდ უნდა აღნიშნულიყო. შერჩეულ დღეს შეგირდის მშობლები გოჭს, თიკანს ან მამალს დაკლავდენ, ხაჭაპურით და სასმელით სამჭედლოში შევიდოდნენ და რამდენიმე ნათესავის ან მეზობლის თანდასწრებით გრდემლთან მჭედელი დალოცავდა და შესთხოვდა 363 ხელობის უფროსს — სოლომონს, რომ ახალ ოსტატს ხელი მომართოდა მომავალ საქმიანობაში.[4]

სამეგრელოს თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში მჭედლობა თითქმის გამქრალია. მთელ სამეგრელოში სულ რამდენიმე მჭედელიღაა შემორჩენილი. რაც შეეხება მჭედლობასთან დაკავშირებულ რიტუალებს, შემორჩენილ სამჭედლოებში მეტ-ნაკლებად დღესაც სრულდება. სამჭედლო დღესაც წმინდა ადგილად მიაჩნიათ და იქ ქალის შესვლა აკრძალულია. ასევე, მჭედლები არ მუშაობენ კვირა დღეს. მჭედელთა ნაწილი და ის ოჯახები, რომელთა წინაპრები მჭედლები იყვნენ, დღემდე ასრულებენ „ხეხუნჯობის“ ლოცვას. აღსანიშნავია ისიც, რომ სამჭედლოში დღესაც მიდიან ხატზე გადაცემულები, რომ მჭედლისგან „ალობა“ (გამოხსნა) მიიღონ.

---

[1] **ნ. რეხვიაშვილი**, ქართული ხალხური მეტალურგია, გვ. 166.

[2] **ს. მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 228.

[3] **ს. მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 228-229.

[4] სამეგრელო. მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიის შესწავლისათვის, თბ., 1979, გვ. 92.

თავი VIII.

რელიგიური რიტუალები და რწმენა-წარმოდგენები

მეგრული „ხვამა-ოხვამე-ოხვამერი“-ს მნიშვნელობისათვის. მეგრულში ყოველგვარ ლოცვას — „ხვამა“, ხოლო შესაწირავს — „ოხვამერი“, ყოველგვარ სალოცავს და ზოგადად ეკლესიას „ოხვამე“ ეწოდება; სასაფლაოსაც „ოხვამეს“ უწოდებენ. არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევით, ქართველურ ენებში ის შემდეგი ფორმით არის: ჭან. ო-ხვამ-ე//ო-ხვამ-უ, ეკლესია, „სალოცავი“ „ო-ხვამბ-ე“, მეგრ. — ო-ხვამ-ე. ქართულში ეს ფუძე არა გვაქვს, მისი აზრით, ის ქრისტიანულმა საეკლესიო ნომენკლატურამ განდევნა ქართული ლექსიკიდან. ავტორი „ოხვამეს“ წარმართობის დროინდელ სიტყვად მიიჩნევს.[1] ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის აღნიშვნით ლაზ. ხომ-ო-ხომ-ალ-ა, „დღეობა“, „სალოცავი“, სვანური ჴუამ — ლაჴუამ, „სალოცავი“, მა-ჴვამ, „მადლობა“, სვანური ჴუამ — და ლაზური ხომ (<ჴომ<ჴუომ) ძირები კანონზომიერად შეესატყვისებიან ერთმანეთს. რაც შეეხება მეგრულ და ლაზურ ო-ხვამ-ერს, იგი შეიცავს „ხვამ“ ძირს, რომელიც მკვლევარებს ნასესხებად მიაჩნიათ სვანურიდან ან ქართულიდან (რომელსაც ეს ძირი უნდა ჰქონოდა).[2]

ჩვენ, ლაფუამსა // ხომას და მეგრულ ხვამა//ოხვამეს შორის ვერ ვხედავთ ვერანაირ განსხვავებას და ვერ გავიზიარებთ ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებას მისი ქართულიდან ნასესხობის შესახებ, რომელიც იქ არ არის ფიქსირებული ფუძისეულად და ზოგადად იმის ვარაუდი, თითქოს ოდესღაც უნდა არსებულიყო, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

ნიკო მარი იაფეტური თეორიის ჭრილში აღნიშნავს, რომ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ხმოვანთა ურთიერთმიმართებაზე უდმურტულისა რუსულ „x“-სთან, რესპ. იაფეტურ p-სთან, საკულტო ტერმინებში, სწორედ რომ Kwal-a „სამლოცველო“, შესაბამისად არქეტიპში „ცა“, როგორც რომაელებში templum←tempus [„ცა“→„მზე“→] „დრო“ და, რასაკვირველია, უდმურტული k+wal-a „სამლოცველო“ უნდა განვიხილოთ ნარნარა l-ის შეკვეცით მეგრული ზმნის ფუძეში q+va-ma „ლოცვა“. ჭანური oq+va-me, სვან. li-qwa+m-i „დალოცვა“→„მადლობის მოხდა“ (აქედან მეგრულ oqwa+m-e „ლოცვის ადგილი და საგანი“; „ტაძარი“ „ეკლესია“, ჭან. o-qva+m[b]-e „სამლოცველო“. სვან. laqwa+m, რესპ. la-qwa+m, უდრის la-qwam-i და შეკვეცის გარეშე რუსული ზმნის ძირი (მოქმედების სახელი) - χ+val-a, χ-val-i-ti „ცაში აყვანა და ა.შ.[3] მერაბ ჩუხუა ერთმანეთს უპირისპირებს სვან. ჴუამ-, ხ-ო-ჴუ̈ᲐᲛ-ი., ბზ., ხ-ო-ჴუᲐᲛ-ი., ბქ., ხ-ო-ჴუ̈ᲐᲛ-ე., ლშხ., „⌜გადა-⌝ულოცავს“, ლა-ჴუ̈ᲐᲛ., ლა-ჴუᲐᲛ., ლშხ., ლნტ., ლჴუᲛ-ი., ბქ., „ეკლესია“, მა-ჴუ̈ᲐᲛ, ბზ., მა-ჴუᲐᲛ, ბქ., „მადლობა“, მა-ჴუᲛ-ᲐᲠ, ბზ., მა-ჴუᲛ-ᲐᲠ, ბქ., „მადლობელი, მადლიერი“. ქართ. ჴმ-ა, ჴმ-ობ-ა, ჴმ-ევ-ა „დახმარება“, საჴმ-ევ-ელ-ი, სა-ჴმ-არ-ი „შესაწევნელი“. ფუძეებიდან ზან. ხომ // ხვამ-, ხომ-ა // ხუმ-ა „ხმა“, ხვამ-ა „ლოცვა“, დო-ხვამ-ა „გადალოცვა“, ა-ხვამ-ან-ს, იხვამ-ან-ს „ლოცავს“, „გადაულოცავს“, ხვამ-ან-ს „ლოცავს“, ხვამ-ერ-ი, „დალოცვილი, ო-ხვამ-ერ-ი // ო-ხვამ-ირ-ი „დასალოცი“, „ლოცვა“, ო-ხვამ-ე, „ეკლესია“ „სალოცავი“, ო-ხვამ-ე // ო-ხომ-უ „ლოცვა“, ო-ხომ-ალ-ა, „სალოცავი, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ავტორი, საერთო ქართველურ დონეზე აღადგენს ჴუამ არქეტიპს, რომელიც მისი თქმით, სვანურის თანამედროვე მდგომარეობას ემთხვევა. მისივე აზრით, ქართულში რედუცირებული ფუძეები დასტურდება - ჴუამ-ა → ჴმ-ა... ამოსავლად უა თანმიმდევრობას ზანურში ო (→//ვა)//უ მოუცია, რაც კანონზომიერია. ავტორისავე აზრით, ლოცვა, დალოცვა, სალოცავი = ეკლესია სემანტებს საფუძ-

---

[1] **არნ. ჩიქობავა,** ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 153, 425.

[2] **ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე,** ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 496.

[3] **Н. Я. Марр,** Этно и глоттогония Восточной Европы, Избранные сочинения, т. V, Л., 1935, გვ. 519-520.

ვლად დაედო ხმ-ა//ხმ-ობ-ა სემა, საინტერესოა, განაგრძობს ავტორი, ქართული მო-იჴმ-ობ-ს//მო-ი-ჴმ-ევს, რომელიც ერთდროულად „მოხმობასაც“ ნიშნავს და „დახმარებასაც“ ანუ „მოხ-მობას დასახმარებლად“, ე. ი. მოიხმობს რათა დაიხმაროს. სწორედ აქედან განვითარდა შემ-დგომი ლოცვის მნიშვნელობა.[1]

ბ. გიგინეიშვილი საკმაოდ ვრცლად განიხილავს ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ ქრისტიანო-ბის გავრცელების მიზეზით, მეგრ.-ჭან. ხვამ და სვანური ჴუ̈ამ (← *ჴუ̈ემ-) ძირების შესატყვისი თავდაპირველი ფონეტიკური სახით და მნიშვნელობით არაა დაცული, მაგრამ ავტორს ის ეგულე-ბა ჴუმ (← *ჴუემ-) ძირში, რომელსაც, მისივე აზრით, ემყარება ერთი მხრივ ზმნა ჴუმ-ევ-ა, მეორე მხრივ კი გასუბსტანტივებული მიმღეობა სა-ჴუმ-ილ-ი. ჴუმევა ძველ ქართულში, ჩვეულებრივ „ხმარება-გამოყენების“ მნიშვნელობით გვხვდება. როგორც ჩანს, განაგრძობს ავტორი, აქ ადგი-ლი ჰქონდა მნიშვნელობის გაფართოებას: [ხმარება სარიტუალო საგნებისა] → [ხმარება ზოგა-დად]. სიტყვა საჴუმილი ნიშნავს „ღუმელს“, „ქურას“, “ბრძმედს“. ავტორისავე აზრით, საფიქრე-ბელია საჴუმილი თავდაპირველად მიუთითებდა ნაწილებზე რიტუალისა (შესაწირავზე, მსხვერ-პლის შესაწირავად წინასწარი მომზადების საშუალებებსა და საგნებზე), ე. ი. იმაზე, რაც მოიხმა-რებოდა მსხვერპლშეწირვის ცერემონიალის პროცესში. ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი მსხვერპლშეწირვისა იყო ცეცხლი. მისივე თქმით, საჴუმილი, არის არა თვით ცეცხლი, არამედ სა-ჴმ-არი, ამჯერად საცეცხლე, რაც დანიშნული იყო შესაწირავად ან კიდევ ადგილი, სადაც უნდა დაენთო ცეცხლი მსხვერპლშეწირვის რიტუალისთვის, ასევე, მისივე აზრით, საჴუმილი ფორმა (თავისი ადრინდელი მნიშვნელობით „მსხვერპლის შეწირვის რიტუალი) ზუსტ ფონემურ შესატ-ყვისობას ავლენს მეგრულ ფორმასთან „ოხვამერი//ო-ხვამირ.[2] ავთანდილ არაბულის აზრით, ჴუ̈ამ//ჴუ̈ამ-ლი — ფუძეთა მიმართებაში (შდრ. კვამ-ლი - თეს-ლ-...) აგრეთვე ხვამ-ა, და ჴუ̈ამ, მა-ჴუ̈-ამ ფუძეებში ამოსავალი ჴუ̈ამ ძირი უნდა უკავშირდებოდეს საჴუმილ — ფუძეს, კერძოდ რე-დუცირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ამ ფუძეში: საჴუმილ←სა-ჴუ̈ამ-ილ, საჴუმილი, საჴმილი, ღუმელი, ქურა „ბრძმედი“. შესთხოვდნენ იგინი საჴუმილსა მას ცეცხლისა აგზებულისა-სა, ავტორისავე დასკვნით, ჴუ̈ამ- ძირი უნდა უკავშირდებოდეს „ნათების“, „ცეცხლის“ სემანტი-კას და იგივე მნიშვნელობა უნდა ედოს საფუძვლად შესაბამის ლექსიკურ ერთეულთა საკულტო დანიშნულებით დამკვიდრებასა და გავრცელებას.[3]

ერთ-ერთ ურარტულ წარწერაში, რომელიც სარდურ II-ის ლაშქრობაზე მოგვითხრობს, მის მიერ დაპყრობილ ქვეყნად მოხსენიებულია უხიმეაშუს, უხიდეს ქვეყანა. ჯ. გვეტაძის აზრით, ეს ქვეყანა ზანური, მეგრულ-ჭანური ტომებით იყო დასახლებული. მკვლევარი, მას უდარებს მეგ-რულ ოხომა-ოხვამეს და აღნიშნავს, რომ იგი გაჩენილი უნდა იყოს ამ მხარეში ზანური ტომების ბინადრობის დროს, კერძოდ ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე. შემდეგ, VIII ს. 20-იან წლებში კიმერიელების მიერ კოლხეთის სამეფოს განადგურების გამო პოლიტიკური ცენტრი და მოსახ-ლეობა ჩრდილოეთისკენ წაიწია. სავსებით შესაძლებელია ამ ტომების რელიგიური ცენტრების გადმონაცვლება, მათ შორის, ოხომას (ოხვამეს) ტიპის სალოცავებისაც. მისი აზრით, ის იგივე უქიმერიონია (გორა ქუთაისთან ახლოს).[4]

საკითხთან მიმართებაში საინტერესოდ მიგვაჩნია ინდოევროპულ ენებში შემორჩენილი სიტყვები. ინდოევროპული *Heug$^{[h]o}$-/*Hueg$^{[h]o}$ — „საზეიმოდ შექება, ხოტბის შესხმა, მსხვერპლის მიტანით“, „ლოცვის აღვლენა: ძველ ინდური *ʊāgha*v[t — მლოცველი, მსხვერპლის მიმტანი,

---

[1] **მ. ჩუხუა,** ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003, გვ. 410.

[2] **ბ. გიგინეიშვილი,** ზოგი ეთნოგრაფიული ტერმინის წარმომავლობისათვის// *საქართველოს მეცნიერებათა აკადე-მიის ,,მაცნე“, ისტორიის ... სერია*, 1, 1985, გვ. 59-62.

[3] **ა. არაბული,** ჴუ̈ამ არქეტიპის პირვანდელი მნიშვნელობის და შესაბამის ფუძეთა საკულტო დანიშნულებისათვის// *,,ქუთაისური საუბრები“*, VII, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2000, გვ. 33-34.

[4] **ჯ. გვეტაძე**, ურარტუს მეფის სარდურ II წარწერაში მოხსენიებული ტოპონიმის „უხიმეაშუს“ გაგებისათვის// *საქარ-თველოს მეცნიერებათა აკადემიის ,,მაცნე“, ისტორიის ... სერია*, 3, 1972, გვ. 209-210.

მსხვერპლშეწირვის მომწყობი, ავესტ. aog -(aogədā, aoxta) „საზეიმოდ გამოცხადება“, „გამოთქმა“. ბერძნ. *ευνcomai* „ვლოცულობ“, „საზეიმოდ ვპირდები“, „აღთქმას ვიძლევი“, *ευ'chj* „ლოცვა“, „ვედრება; ხვეწნა, მუდარა“, ლათ. *uoueō* „საზეიმოდ გპირდები“, „აღთქმას ვიძლევი“, „ვეწირები“, „ვმსხვერპლობ“. uōtum „მსხვერპლი“, „აღთქმა“. სიტყვების ამ ჯგუფთან აკავშირებენ ხეთურ ẖueR-/ẖuR - „შელოცვა“, „შელოცვის წარმოთქმა“ (მესამე პირის მხოლ. რიცხვ. *ẖueRzi*, მესამე პირის მრავლ. რიცხვ. huRanzi). ფორმალურად ეს სიტყვა ამოსულია ძირიდან Hueg[h]o/ხეთ. ẖueR მდგომარეობაში ნულოვანი გახმოვანებით სუფიქსისა *Hu-g[h]o (ხეთ. ẖuR) ფორმაში. ნულოვანი საფეხურზე სომხურ uzem, „მე მინდა“, *y-uzem* „ვეძებ“. აღნიშნულია, რომ ხეთური სიტყვის ასეთი ეტიმოლოგია გვაძლევს საფუძველს ის გავაერთიანოთ ხეთურ ẖueR-ẖuR-თან „დაკვლა“ (კლავს), „დანაწევრება“. ამ სიტყვების გაერთიანება, როგორც ერთი და იმავე სემანტიკური ვარიანტებისა, გამართლებულია საწყისი ინდოევროპული სიტყვის სემანტიკის სავარაუდო მნიშვნელობით — „შექება//ხოტბის შესხმა“, „ლოცვის აღვლენა“ — „შელოცვა“, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სემანტიკური გახლეჩა და განცალკევება სიტყვებისა ẖueR/ẖuR, მნიშვნელობით — „დაკვლა“ (თავდაპირველად ალბათ „სამსხვერპლო ცხოველის დაკვლა).[1]

აღსანიშნავია, რომ სვანურ სადღესასწაულო ნადიმში აუცილებელი სადღეგრძელო იყო დიდების თქმა ღმერთისადმი. პირველი სადღეგრძელო სახლეულის სახელზე ითქმებოდა, ანუ მათი ღმერთის დიდება. პირველი და ყველასათვის სავალდებულო ნაწილი სახლიგელისა იყო ე. წ. ლახვამილი. ნადიმის უფროსი წევრი დგებოდა თავის სკამზე, ხელში იღებდა ერთ ჯამს, ამბობდა მოკლე სადღეგრძელოს მაღალი ღმერთის, ხოშა ღერმეთის სადიდებლად, ამ ჯამს უკან დებდა და იღებდა სხვას, ადიდებდა ჯგრაგს, ამასაც მაგიდაზე დგამდა და იღებდა მესამე ჯამს, რომლითაც ადიდებდა თარგლეზერს და ლამარიას და ამის შემდგომ პირველი ჯამიდან დაწყებული ყველას ცლიდა და გადააწვდიდა მეზობელს. ასე სრულდებოდა ლახვამიალი ყველა მონადიმეთა მიერ. შემდეგ სახლიგელს შეეძლო სხვა სადიდებელი ეთქვა.[2]

როგორც ზემოთაც გამოჩნდა, სიტყვა „ოხვამეს“ უტყუარი შესატყვისები მოეპოვება ინდოევროპულ, ბერძნულ და სხვა ენებში. აღსანიშნავია, რომ ის ღმერთის, ანუ როგორც უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი სიტყვა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ გარკვეული რიტუალური ქმედების და ლოცვის აღმნიშვნელი. ამგვარ მის მნიშვნელობას თითქოს მხარს უჭერს მეგრულში მისი ღმერთ სიტყვასთან პარალელურად სხვა მნიშვნელობით ხმარებაც, მაგალითად, „ღორონთ დოხვამუ“ — ღმერთმა დალოცოს, „ჭყონ-მიოხვამუ“ — სალოცავი მუხა და სხვა. მაშასადამე, ის ნიშნავს ღმერთისთვის განკუთვნილ სალოცავ ობიექტს. თვით ქრისტიანულ სარწმუნოებაშიც ლოცვა სულის საცხოვნებელს ნიშნავს არა მარტო ცოცხლებისათვის, არამედ პირველ რიგში გარდაცვლილთათვის. ვფიქრობთ, თავდაპირველი სემანტიკით, სიტყვა „ოხვამე“ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ ქმედებასთან უნდა იყოს კავშირში. საინტერესოა ისიც, რომ მეგრულში ხვამა//ოხვამე ლოცვის, სალოცავის და სასაფლაოს მნიშვნელობის პარალელურად ნიშნავს დღეგრძელობას, სადღეგრძელოს (ხვამა, დოხვამე). ამ მხრივ ასევე საინტერესოა, როგორც სემანტიკური ისე მორფოლოგიური თვალსაზრისით, აფხაზური ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემები. კერძოდ, მეგრული ჟინი ანთარის პირველი ნაწილის „ჟინის“ აფხაზური შესატყვისია Хьых (ჟინი იგივე ზედა, ანუ ზედა სამყარო, ანუ ზედაშე). ნიკო ჯანაშიას მინიშნებით, აქ თითქოს აფხაზებს დაუნაწევრებიათ ჟინი ანთარი და მიუღიათ ორი ღმერთი, აითარი (Айтар) და Хьыхь (რამდენადაც მათდამი მიმართული ლოცვა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებებში სრულდება.[3] აფხაზები ღმერთის მნიშვნელობით ხშირად ხმარობენ სიტყვას

---

[1] **Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов**, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб., 1984, გვ. 803.

[2] **В. Бардавелидзе**, Древнейшие религиозные верования и обрядовое графические искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 72.

[3] **Н. С. Джанашия,** Статьи по этнографии Абхазии, Сухуми, 1960, გვ. 27.

ныха, რომელიც „ხატის“ მნიშვნელობით ითარგმნება.[1] ა-ნგჰიაგატი კი ნიშნავს სალოცავს, ა-ნგჰიარა — ლოცვას, დალოცვას, დღეგრძელობას, ილოცა — ლოცულობდას, ა-ნგჰიაҿа — სადღეგრძელო.[2] ამ სიტყვის პირველი ნაწილი „ანგ“, როგორც ჩანს კონკრეტულ ღვთაებასთან არის კავშირში (ალბათ დედათა სქესის). ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი ტერმინების მეგრულ ოხვამესთან, ხვამასთან (სალოცავი, სამლოცველო, ლოცვა, სადღეგრძელო და ა. შ.) დაკავშირება, როგორც მორფოლოგიური ისე სემანტიკური მნიშვნელობით, მართებულად მიგვაჩნია. ამავე დროს, სიტყვა ოხვამერის და ხატის მნიშვნელობის ურთიერთკავშირიც დასაშვებია. ოხვამე არის ღმერთის, რომელიღაც ღვთაების მიმართ ლოცვის აღსრულება.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხის გარშემო არსებული კვლევებიდან ჩანს, რომ „ხვამა-ოხვამე-ოხვამერი“-ს მნიშვნელობა არის ეკლესია, სალოცავი, დალოცვა, სამსხვერპლო, ტაძარი, სასაფლაო, ლოცვის ადგილი და სხვ. მისი მეგრულ მეტყველებაში შემორჩენილი მნიშვნელობები გვამცნობს მის ღრმა რელიგიურ-რიტუალურ დატვირთვას, მაგრამ მნიშვნელოვანია მისი თავდაპირველი შინაარსის დადგენა, რომელიც ქართველი ტომების უძველეს წარმართობის დროინდელ რწმენა-წარმოდგენებთან არის მჭიდრო კავშირში. საკითხთან მიმართებაში საყურადღებოდ მიგვაჩნია ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი „ღმერთ“ სიტყვის თავდაპირველი არსი, რომელიც ჩვენ მიცვალებულის კულტთან მჭიდრო კავშირში გვაქვს განხილული.[3]

მიცვალებულის და წინაპრის კულტის წამყვანი პოზიცია ადამიანთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების განვითარების თითქმის ყველა საფეხურზე სავსებით ნათელია, რაზეც ამჯერად არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ფართო მსჯელობის გაშლა. ამ საკითხზე, სხვა ნაშრომში საგანგებოდ გვაქვს საუბარი.[4] ზოგადად კი აღვნიშნავთ, რომ ღვთაების და მიცვალებულის (ასევე წინაპრის) სახელწოდებები მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში სინონიმებია.[5] განვითარების ადრეული საფეხურიდან მოყოლებული, მიცვალებული იდენტიფიცირებულია „ღმერთთან“ და „უზენაესი ღვთაების სახით“ არის წარმოდგენილი, რომელსაც როგორც სიკეთის, ისე სიავის მოტანა შეუძლია ცოცხალთათვის და მთლიანად სამყაროსათვის. ამავე დროს, ხატმსახურება ანუ ღვთისმსახურება და მიცვალებულის თაყვანისცემა ერთ სიბრტყეზეა აყვანილი და არ არის ურთიერთგამიჯნული, საფლავი წმინდა ადგილად ითვლება. ვფიქრობთ, გამომდინარე აქედან, ცნება „სიკვდილის“ რესპ. „გარდაცვალება“ და „ღმერთის“ ცნების სემანტიკური იგივეობა დასაშვებია, რასაც ქართველურ ენებში გარკვეული მორფოლოგიური შესატყვისობებიც გააჩნია.[6] ვფიქრობთ, ,ღმერთ-ღორონთ, ღერბეთ, ღორმოთის კავშირი „სიკვდილთან“ ანუ მეგრულ „ღურა“-სთან, „ღვრა“-სთან, „გარდაცვალებასთან“, დასაშვებია. თავდაპირველად არსებული სიკვდილის აღმნიშვნელი სიტყვა „ღმერთის“ სახელწოდებად უნდა დარჩენილიყო.[7] ზემოთთქმულიდან გამომდინარე კი ისმის საკითხი, „ღმერთის“ და „ხვამას“ ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, როგორც სემანტიკური, ისე მორფოლოგიური თვალსაზრისით.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს ქართულ წარმართულ ხალხურ ლოცვა-სავედრებელ-

---

[1] **Н. С. Джанашия,** Статьи по этнографии Абхазии, გვ. 53.

[2] **ბ. ჯანაშია,** აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954, გვ. 215.

[3] **დ. ჭითანავა,** ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი „ღმერთ“ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობისათვის// *,,საისტორიო ძიებანი“*, ტ. X-XI, თბ., 2008, გვ. 462-472.

[4] **დ. ჭითანავა,** სოციალური ორგანიზაციის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (კერის, წინაპრის და მიცვალებულის კულტთან კავშირში), *კრებ. თეიმურაზ მიბჩუანი-70*, თბ., 2008-1010, გვ. 251-270.

[5] **დ. ჭითანავა,** ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი..., გვ. 465-466.

[6] **დ. ჭითანავა,** ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი..., გვ. 467.

[7] **დ. ჭითანავა,** ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი..., გვ. 469-470. ამ მხრივ, საყურადღებოა, მაგ. ლათინური deus, die — ღმერთი, რომლებშიც გარდაცვლილი, ასევე ინგლისურ die – სიკვდილი, გერმანულ Gott (ინგლისური Got) — ღმერთი და cottel//acker — სასაფლაო, ხოლო Gottes//acker dienst — ღვთისმსახურება, რუსული Бог — ღმერთი და Гроб — საფლავი; რუსული Покойник — მიცვალებული (ცხედარი) და Поклонение — თაყვანისცემა, რომელიც თავდაპირველად სწორედ მიცვალებულისადმი, როგორც ღვთაებისადმი ასეთი ქმედების (თაყვანისცემის) გამომხატველი უნდა ყოფილიყო (იხ. **დ. ჭითანავა,** ქართველთა უზენაესი ღვთაების აღმნიშვნელი..., გვ. 470).

დამწყალობებაში ღვთაებრივ არსებათა ცალკეული ჯგუფი, რომლებსაც ღვთისშვილნი შეადგენენ. მაგალითად:

„ხთის კარზედ შავიყარენით ხთისშვილნი ყველა მჭრისაო

- -

გადავჭედ, ღმერთსა შავთხოვე: „ღმერთო, შენგან მაქვს ძალიო“,

მაშიავ მორიგემ ღმერთმა გარმამიმეტა სამიო“.

ამ ლოცვის სხვა ვარიანტი ასეთია: „ხთის კარზე შავიყარენით ანგელოზები თავნია“ ან „ღვთის კარზე შავიყარენით სამოცდა სამი ხატია“.[1]

საინტერესოა, რომ სიტყვა „ღვთის“ იცვლება ფორმით „ხთის“, რომელთაც იდენტური მნიშვნელობები აქვთ. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „სამოცდა სამი ღვთისშვილის მაგიერ (ზოგიერთ ვარიანტში, - დ. ჭ.) სამოცდასამი ხატია დასახელებული, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ხატი ხალხურ სარწმუნოებრივსა და საგმირო სიტყვიერებაში ღვთისშვილის (ან ხთისშვილის, - დ. ჭ.) შესატყვის ტერმინს წარმოადგენს.[2] სიტყვა „ღვთის“ შეცვლა „ხთის“ ფორმით, რომელთაც იდენტური მნიშვნელობები აქვთ, ჩანს იმერულ კილოშიც, სადაც „ხვთიშობლობა“ იგივეა, რაც „ღვთისმშობლობა“.[3] თუ ღვთის და ხთის ფორმა იდენტური მნიშვნელობით გვაქვს და ეს ზემოთ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ფაქტია, მაშინ დასაშვებია „ღ-ვთაების“ პარალელურად „ხ-ვთაება“ ფორმის და, შესაბამისად, თვით „ღ-მერთ“, ანუ „ხ-მერთ“ ფორმების არსებობაც, რისი ძირეული ხ-ს (ღ) სახით „ხვამა“-სთან კავშირი არ უნდა გაგვიძნელდეს.

საყურადღებოა ს.-ს. ორბელიანის გამმარტება: „ღ˜თი (ღმერთი) არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყო(ვ)ელთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყო(ვ)ელთა; ღ˜თი გამოითარგმანების ხედვა და წვა“.[4] „ხედვა“ ღმერთის განმარტებაში ყოველთვის „მხედველის“ (დამნახველის) მნიშვნელობით არის, ხოლო უფრო საინტერესოა თუ რა უნდა იგულისხმებოდეს წვაში? წვა ხომ ის ქმედებაა, რომელიც პირდაპირ ცეცხლთან არის კავშირში ანუ ღმერთ სიტყვაში თუ ჩვენ მას მეგრულ ღვრას (ანუ ღურა - სიკვდილი, გარდაცვალება) დავუკავშირებთ, ხომ არა გვაქვს საქმე მიცვალებულის ოდესღაც არსებულ კრემაციის წესის გამოძახილთან, ანუ იმასთან, რომ მიცვალებულის კრემაციას არა მარტო ჰიგიენური დანიშნულება აქვს, არამედ აქ ჩადებულია მიცვალებულის სულის სხეულისაგან გამოთავისუფლების და ზეციურ სამყაროში, სხვა სამყაროში გადასვლის იდეა, ანუ ღვრა ნიშნავს მიცვალებულის სულის სხეულიდან გამოსვლას (ანუ დოღურუ-ღურა-მოკვდა, სიკვდილი). მაშასადამე, ღურა ის აქტია, რომელიც ხდება ადამიანის ბუნებრივი სიკვდილისას, ხოლო ხვამა შემდგომი მოქმედებაა, სხეულის მიმართ განხორციელებული ქმედება. კერძოდ, საჭუმილ-ი, საჭმილ-ი ნიშნავს — ღუმელს, ქურას („ბრძმედი“).[5] იგივეა მეგრული ხალუა (ლღვობა), მო-ხალი-ლი (მოხალული); ხ იდენტურია ღვთის და ხთის სიტყვებში, და შესაძლოა, ის ასე იყოს, როგორც ხვამა, ისე ღმერთ სიტყვაშიც.

საკითხთან მიმართებაში საყურადღებოდ მიგვაჩნია საერთო ქართველურ დონეზე აღდგენილი *ჭამ-„სიმშრალე“, გახმობა“. ეს ფუძე აღდგენილია საერთონახურ დონეზე „*ᲝᲐᲭონ“-უცხიმობა ორგანიზმის დონეზე, სადაც ᲝᲐ გრამატიკული კლასის ნიშანია, ძირი კი არის *Ჭონ-.[6] ამ მხრივ საყურადღებოა მეგრული ხონება (Ჭონება), რაც ნიშნავს შიმშილობას, მარხვას, უჭმელობას.

სამეგრელოს მაგალითზე „ოხვამე“ ეწოდება არა მარტო იმ ადგილს, სადაც ეკლესია ან რაიმე სხვა სალოცავი დგას, არამედ სასაფლაოსაც. სასაფლაო წარმოადგენს სწორედ იმ ადგილს, სადაც უნდა შესრულებულიყო გარკვეული ლოცვა ანუ ხვამა, გარკვეული რიტუალური აქტი

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი პირველი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 177.

[2] **ივ. ჯავახიშვილი,** ქართული ერის ისტორიის შესავალი, გვ. 178-179.

[3] ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. *შემდგენელი ალ. ღლონტი, მეორე გამოცემა*, თბ., 1984, გვ. 750.

[4] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, II, გვ. 253.

[5] **ი. აბულაძე,** ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 386.

[6] **მ. ჩუხუა,** იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, I, თბ., 2010, გვ. 651.

დაკრძალვის დროს თუ მის შემდგომ. განვითარების ადრეულ საფეხურზე რიტუალი სრულდებოდა ვიწრო წრეში, ოჯახში, კერასთან, სადაც იკრძალებოდა მიცვალებულიც.[1]

ცნობილია, რომ საფლავი უძველესი წარმოდგენით მიცვალებულთა საცხოვრისად ითვლებოდა. შუამდინარეთში მიცვალებულთა სამყარო URUGAL გაიგივებული იყო „საფლავთან" (qabru). qabru-ს სინონიმები – būru და šuttu „ორმო", ასევე hurri „ხვრელი", bālu „კარები".[2] განვითარების გარკვეული საფეხურიდან, „ოხვამეს" უნდა ჰყოლოდა კულტის (ოხვამერის) მსახური, ანუ ქურუმი. ამის შესატყვისია მეგრული „მახვამერი" და ძველქართული მეხუეშნე, რომელიც ნიშნავს მესაიდუმლეს: „არც ვედრებაᲲ მიითვალვის და არც მეხუეშნე შეიწყნარების".[3] მეხუეშნე შეიძლება წარმოვიდგინოთ მეხვაშნე//მეოხვამურედ – მლოცველი ან ლოცვის აღმავლენი ქურუმის მნიშვნელობით, აღსანიშნავია, რომ ს.-ს. ორბელიანთან ჴომლი — „მრავალვარსკვლავია", „მრავალი ვარსკვლავთა".[4] ამ გარემოებასაც, ოხვამეს, როგორც სალოცავი ადგილის მნიშვნელობასთან მივყავართ, რომელიც ცის ღვთაებების ანუ ვარსკვლავების, იგივე პლანეტებისადმი თაყვანისცემის ფაქტს გვამცნობს. ისეთივეა მისი ქართული თარგმანი „ზედაშე" ანუ ზედა სამყაროსადმი აღვლენილი ლოცვა. ოხვამეში სწორედ იკრძალება „მარე"-ები ანუ ქვევრები, რომელშიც მოთავსებულია მიცვალებული, ხოლო ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ისხმება წმინდა ღვინო, რისი საშუალებითაც ხდება წინაპართა სამყაროსადმი ლოცვის აღვლენა და მათი ზიარება ზედა სამყაროში. შემდგომ კი ის აგრარული კულტის მნიშვნელობასაც იძენს. შესაძლოა „მარ" და მეგრული „მარა" ანუ შვიდეულის აღმნიშვნელი სახელწოდება იდენტური ტერმინები იყოს. ამ კონტექსტში ყველაზე მკაფიო სემანტიკური მსგავსების მანიშნებელია მეგრულ სიმღერაში „„ოჩე ხვეი დო ხვარიელი", სადაც „ოჩე" სახნავ-სათესს ნიშნავს, ხოლო ხვეი — იგივე სიმრავლეს, ხვარიელი — ბარაქიანობას: ეს იგივე ვარსკვლავია ანუ სიმრავლე (შდრ. მურინცხი-მრავალი რიცხვი — სიმრავლე). ოხვამერს, საფიქრებელია, მნათობთა თაყვანისცემის ფაქტთან მივყავართ, რომელმაც შესაძლოა მიცვალებულის ანუ წინაპრის კულტში ასახვის შემდგომ დამარხვის მნიშვნელობა შეიძინა. ჭანურში ხვ, ხუ ნიშნავს დამარხვას, ყრას, ცვენას, გახვრეტას.[5]

მაშასადამე, „ხვამა" სიტყვაში ღმერთი და ხვამა ერთი და იმავე მნიშვნელობას შეიცავს და მიცვალებულის კულტთან არის კავშირში. სწორედ მიცვალებულის „ღვრა" — გარდაცვალება არის კავშირში ხვამა-ხუმევასთან, ანუ იგივე სხეულის სულისგან გამოცალკავებასთან. „ხვამა-ოხვამერი-ოხვამური"-ს მეორე კომპონენტი მა-, შესაძლოა მარ სიტყვა იყოს, რაც მიცვალებულის დასაკრძალავ ჭურჭელს ნიშნავს, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნიდან მოყოლებული დასავლეთ საქართველოში, ძვ.წ. III საუკუნიდან კი აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიურად არის დაფიქსირებული.[6]

სამეგრელოში, როდესაც საოჯახო მარანში ჩაფლულ ქვევრებთან ამა თუ იმ მიზეზის გამო ოჯახი ლოცვას შეწყვეტდა, ან ოჯახის უფროსი, რომლის სახელზე მარანში „სამგარიოს" (სამიქელგაბრიელო) სახელწოდების ცალკე ქვევრი იყო ჩაფლული, გარდაიცვლებოდა, ამავე დროს თუ ოჯახი გარკვეული დროის მანძილზე ლოცვას ვერ აღავლენდა, მაშინ ამ ქვევრებს რომელი-

---

[1] **დ. ჭითანავა,** რელიგიური რწმენის წარმოშობის სათავეებთან (საკითხის დასმის მიზნით)// *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. IX, თბ., 2007, გვ. 104-125; **დ. ჭითანავა,** სოციალურ ორგანიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (საკითხის დასმის მიზნით)// *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. IX, გვ. 125-148; **დ. ჭითანავა,** სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში, გვ. 270-298.

[2] **Е. В. Антонова,** Обряды и верования первобытных земледельцев Востока, М., 1990, გვ. 104.

[3] **ი. აბულაძე,** ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 237.

[4] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, II, გვ. 443.

[5] **არნ. ჩიქობავა,** ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 423.

[6] **ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიაშვილი, ე. ყვავაძე, თ.ზუბიაშვილი,** ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, გვ. 235-255.

მე მეზობელს „ჩუმად მოაპარვინებდნენ“; მას ისინი უნდა წაეღო წყლის პირას, ოჯახიდან შორს, ქვევრები უნდა დაემტვრია, წყლისთვის გაეტანებინა ან ღრმა ხრამში გადაეგდო. თუ ოჯახი ისევ გადაწყვეტდა ლოცვის განახლებას, ანუ ახალი სალოცავი ქვევრების მარანში ჩაფვლას, ლოცვის განახლების წინ მათ წინასწარ დათქმული შესაწირავებით უნდა გადაეხადათ „ალობის“ რიტუალი, რაც ლოცვის მიტოვებისათვის და ღმერთის განაწყენებისათვის შეწყალების, პატიების თხოვნის ნიშნად იყო მიმართული.[1]

ქვევრში მიცვალებულის დაკრძალვის წესი, მჭიდრო კავშირშია ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ მარანში შესრულებულ სალოცავებთან, რომელიც გადმონაშთია იმ რწმენისა, რომლისთვისაც მიცვალებული იკრძალებოდა ქვევრებში, ურნებში თუ სხვა სახის ჭურჭელში და ის სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეას გადმოგმცემს.[2] „მარ“ უკავშირდება სამარხს. „სამარე“-ის ადგილია, სადაც იმარხება „მარები“. „მარ“ თიხის დიდ ქვევრს ეწოდება, რომელშიც, ზოგჯერ კიდევაც იმარხებოდნენ. მარანი ის ადგილია, სადაც მარები, ქვევრებია დამარხული.[3] „მარ“ პირველ რიგში არის მიცვალებულის დასაკრძალავი ადგილი ანუ საფლავი, რომლისთვისაც განვითარების გარკვეულ საფეხურზე გამოიყენეს თიხის ქვევრი ანუ თიხის ჭურჭელი. ის ასოცირდება ქალურ საწყისთან, ხოლო თვით ქვევრს ქალის სხეულის ფორმა აქვს. პირველ რიგში მარებში დაკრძალვა ემსახურება ნაყოფიერების კულტს, სადაც ადრესამიწათმოქმედო კულტურებში იკრძალებიან ბავშვები, რომლებსაც შესაძლოა მსხვერპლადაც კი სწირავდნენ ამა თუ იმ ღვთაებას. ისინი განასახიერებენ სიცოცხლის აღორძინების, აღდგენა-განახლების იდეას, ქვევრში ან სხვა სახის ჭურჭელში დაკრძალვის სახით. აღსანიშნავია ისიც, რომ V საუკუნის საქართველოში სარწმუნოებრივი დანიშნულების შენობებს ქრისტიანთათვის ეკლესიანი და სამარტჯლენი ეწოდებოდა. ეკლესიასა და სამარტჯლენს შორის არსებითი განსხვავებაა. ეკლესია საერთო სამლოცველოა, სამარტვილე კი მარტვილთათვის ანუ წამებულთათვის განკუთვნილ პატარა ნაგებობას წარმოადგენდა.[4] არქეოლოგ ა. ბოხოჩაძის აზრით, „სამარე“ და მისგან ნაწარმოები კრებითი სახელი „სამაროვანი“ ისეთი ადგილის აღმნიშვნელი იყო თავდაპირველად, სადაც მიცვალებულს მარში ჩასვენებულს მარხავდნენ. როდესაც მარი ხმარებიდან გამოვიდა, როგორც მიცვალებულის დასაკრძალავად განკუთვნილი ჭურჭელი, სახელი სამარე და სამაროვანი მაინც შემორჩა ასეთი დანიშნულების ადგილის აღსანიშნავად და მან თავი ზოგიერთ კუთხეში დღემდე შემოინახა (საინგილო). მარებით მიცვალებულის დამარხვის წესი, თუ მას თიხის ჭურჭელს დავუკავშირებთ (ქვევრსამარხები) ახ. წ. II-III საუკუნეებში უნდა შეწყვეტილიყო. მაშასადამე, ერთად შეკრებილი დიდი ზომის თიხის ჭურჭლების ადგილის აღმნიშვნელ ტერმინად მარანი წარმოიქმნა, განსხვავებით სამაროვანისა. ავტორის აზრით, „რამდენადაც თიხის დიდ ჭურჭელში ახლა მიცვალებულს აღარ მარხავდნენ და მას წმინდა სამეურნეო დანიშნულებით, საღვინე ჭურჭლებად იყენებდნენ, საფიქრებელია ამ გარემოებამ გამოიწვია ტერმინ სამაროვნის შეცვლა სახელწოდება მარნით, ხოლო თიხის ჭურჭლის სახელწოდება მარი, მის სამარხავ საშუალებად გამოყენების შეწყვეტასთან ერთად, დავიწყებას მიეცა, თავისი სახელი სამეურნეო დანიშნულების ადგილს თუ ნაგებობას უანდერძა და ჩვენ დრომდე თავი აღნიშნული ნაგებობის სახელში შემოინახა“.[5]

მარ სიტყვა, ჩვენი აზრით, შენახულია მარტვილში, სადაც ჭყონდიდის წარმართულ სალოცავში წელიწადში ერთხელ მსხვერპლად სწინავდნენ ჩვილ ბავშვებს. მარტვილი („Marth“) ბერძნულად ნიშნავს წამებულს, თუმცა ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მისი ბერძნუ-

---

[1] **დ. ჭითანავა,** საოჯახო ,,ოხვამერი“ (სალოცავი) ქვევრის დამტვრევის რიტუალის ინტერპრეტაციისათვის// *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. X, თბ., 2008, გვ. 68.

[2] **დ. ჭითანავა,** სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეა ,,ქვევრსამარხებში“ და ზედაშეს კულტურა// *ისტორიულ ეთნოლოგიური ძიებანი*, ტ. XII, თბ., 2010, გვ. 105-118.

[3] **ნ. თოფურია,** ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984, გვ. 5.

[4] **ივ. ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორიის შესავალი, გვ. 74.

[5] **ა. ბოხოჩაძე,** მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 156-157.

ლი წარმომავლობა საეჭვოა. ამ მხრივ საინტერესო თანხვედრად მიგვაჩნია მეგრულში შემორჩენილი ტერმინი მარ-თვე, რომელიც ბარტყს აღნიშნავს. მასში ჩვენ სწორედ ჩვილის მნიშვნელობა უნდა დავინახოთ. თავდაპირველად ხომ მარებში ანუ სხვადასხვა ფორმის ჭურჭელში ახალშობილები იკრძალებოდნენ, და ისინი შესაძლოა მსხვერპლადაც კი შეეწირათ.[1]

მარანი ის ადგილია, სადაც ხდება ლოცვის აღვლენა წმინდა სასმელით სიცოცხლის ამაღორძინებელი ძალების მიმართ და ის მარსის იდენტურად მივიჩნიოთ, საიდანაც ხდებოდა ახალი წლის ათვლა რომაელებში, ანუ ბუნების ხელახალი ყოველწლიური აღორძინება-განახლების დასაწყისი (იხ. მირსობა).

მარებში იკრძალებოდნენ ზრდასრული ადამიანები, რომელიც ჩვენ ქვევრსამარხების სახით შემოგვრჩა. ეს უკვე მევენახეობის განვითარებასთან არის კავშირში და ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ მასში მევენახეები იკრძალებოდნენ, როგორც მეურნეობის წამყვანი დარგის წარმომადგენლები. ქალები კი ალბათ მარებში არ იკრძალებოდნენ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სვანურში მამაკაცის აღმნიშვნელი ტერმირი „მარ“, რომლის საწყისი მნიშვნელობაც ალბათ ნაყოფიერების კულტთან არის კავშირში. ამაზე ასევე მიუთითებს ათონის მონასტრის ხელნაწერებში შემორჩენილი მარნის იდენტური ტერმინი, როგორც ღვინის შესანახი ნაგებობისა „სავაჟინე“ — „სავაჟინე ღჳნითა საყოფინელთა ჟამამდენ“.[2] მასში სიტყვა „ვაჟი“-ს გამოყოფა აშკარაა. ამავე დროს, საინტერესოა „სა-მარ-ხულის“ (ერთი საგვარეულოს დასამარხი ადგილის) და ეკვდერის იგივეობა. ამ უკანასკნელში ჩანს სიტყვა კვდომა (სიკვდილი). ის თავის მხრივ ალბათ კერამდე და საკურთხევლამდე დაიყვანება, რომელიც განვითარების ადრეულ საფეხურზე სწორედ მიცვალებულთა განსასვენებელ ადგილს და შემდგომში მთავარ სალოცავს წარმოადგენდა. სწორედ ეს იყო ის ადგილი, სადაც იმარხებოდა ანუ „ინახებოდა“ მიცვალებული, მთავარ ღვთაებასთან და არა უბრალოდ მიწაში იფლებოდა. სწორედ ამგვარ ქვევრებში, ანუ მარებში ხდებოდა მიცვალებულისადმი განსაკუთრებული პატივისცემა, მისი შენახვა და მიწისგან იზოლაცია.

„მარი“ რელიგიური მნიშვნელობით მუდმივობას აღნიშნავს, რაც მიცვალებულის მიმართ რწმენის გამოხატავს და ის ჩანს ქართულ „სამარადისო“, „მარადის“, „მარადიულის“, „მარად“ და სხვა სიტყვებში.

„მარანში“ გამოყოფილი „მარ“ ძირი ნიშნავს შენახვას ჭურჭელში ანუ მარებში. აქედან მომდინარეობს სიტყვა მარხვა, დამარხვის მნიშვნელობით და მარხვა ქრისტიანული გაგებით, რომელიც წარმართულში სწორედ მიცვალებულის პატივსაცემად „პირის შენახვის“ ანუ გარდაცვლილის პატივსაცემად გარკვეული კვებითი ტაბუს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამის მაგალითია სამეგრელოში დღესაც შემორჩენილი გადმონაშთური წესი მარხვის შენახვისა მიცვალებულის გარდაცვალებიდან 40 დღის განმავლობაში.

ზედაშეს კულტურა. ადამიანი გარე სამყაროსთან ურთიერთობისას ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა უზენაესს, შემოქმედს. ადამიანსა და ღმერთს შორის კავშირი რიტუალების გზით ხდებოდა. ეს კარგად ჩანს სამეგრელოს ხალხურ დღეობებსა და შესაწირავებში, სადაც განსაკუთრებული ადგილი ზედაშესა და საზედაშე ქვევრებს უჭირავთ. სიმბოლოთა ფართო სპექტრში სხვადასხვა საგნებთან ერთად წმინდა ღვინო და საკვებიც შედის. წერილობით წყაროებში ის „საწირველის“ სახელით არის ცნობილი. რაჭაში საწირველს „სალოცველს“, სამეგრელოში „ოხვამერს“, აფხაზეთში „ამაჭარს“, სვანეთში, ქართლსა და კახეთში კი „ზედაშეს“ უწოდებენ. სულხან-საბა ორბელიანი ზედაშეს ასე განმარტავს: „ზედაშე — შესაწირავი

[1] **E. B. Антонова,** Обряды и верования первобытных земледельцев Востока, გვ. 88.

[2] **ივ. ჯავახიშვილი,** მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 60.

ღვინო“.[1] ყოფაში ამ ტერმინის ქვეშ ღვინის გარდა სხვა სახის საწირველიც მოიაზრება: თაფლი, ერბო, არაყი, ლუდი, ბამბის ნართი და სხვა.

სამეგრელოში ასრულებდნენ ორი სახის „ხვამას“/ლოცვას. მეგრელებს ჰქონდათ „ოხვამერი“/სალოცავი და „დუნაპირი“/დანაპირი. „ნებისმიერი რიტუალი, რომელიც უფლის ან კონკრეტული ადამიანისადმი გარკვეული სათხოვრით მიმართვასთანაა დაკავშირებული და სრულდება გარკვეული წესების დაცვით, არის „ხვამა“. „ხვამა“ ქართულად „ლოცვას“,„დალოცვას“ ნიშნავს. იმავე ფუნქციით გამოიყენება მეორე ტერმინი — „გითოხვამა“, რაც სიტყვასიტყვით „გამოლოცვას“ ნიშნავს. იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველწლიურ რიტუალთან გვაქვს საქმე, „ხვამა“ ტერმინის გამოყენება გულისხმობს, როგორც წესი, „ლოცვას“, „დალოცვას“. როდესაც დაპირებულ რიტუალთან — „დუნაპირთან“ გვაქვს საქმე, მაშინ უნდა ითარგმნოს როგორც „გამოლოცვა“. „დუნაპირი“ არის რიტუალი, რომელიც წინასწარ დათქმული, შეპირებული ღონისძიების შესრულებას გულისხმობს. „დუნაპირი“ შეიძლებოდა შეესრულებინა როგორც ერთ ადამიანს, ასევე მთელ სოფელსაც“.[2] ყველა ლოცვა/„ხვამა“ სრულდებოდა ზედაშეს გამოყენებით. უმეტესად საზედაშე ქვევრები ჰქონდათ.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა „ხვამა“/ლოცვა დაკავშირებული იყო სხვადასხვა რიტუალის შესრულებასთან. რიტუალის შესრულების დროს იყენებდნენ შესაწირავებს — ზედაშეს. ძველად, ყველა ოჯახს ჰქონდა სალოცავი ქვევრი, „ოხვამერი ლაგვანი“. რომელსაც იმ კონკრეტული დღეობის თუ ლოცვის სახელი ერქვა, რომელზეც შეიწირებოდა. ოჯახში რამდენიმე „ოხვამერი ლაგვანი“ იყო. სალოცავი ქვევრი შეიძლებოდა ასევე დანაპირების/„დუნაპირის“ რიტუალის შესასრულებელ აუცილებელ ატრიბუტად გამოეყენებინათ. ამ შემთხვევაში „დუნაპირი“/დანაპირები ლოცვა ყოველწლიურადაც ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ სრულდებოდა.

ზედაშეს წარმოშობის საკითხზე მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი მას წინარექრისტიანულ მოვლენად მიიჩნევს (ვ. ბარდაველიძე, ი. სურგულაძე, დ. ჭითანავა). ფაქტია, რომ ძველთაგანვე ადამიანები რელიგიური რიტუალების შესრულების დროს შესაწირავებს იყენებდნენ. ზედაშის კულტურა განასახიერებს სიცოცხლის საწყისს, სიცოცხლის განახლებას, უწყვეტლობას ანუ აღდგენა-განახლების იდეას, რომელიც გადმონაშთის ფორმით ქვევრსამარხში აისახა. ის მჭიდრო კავშირში უნდა იყოს მიცვალებულის და წინაპრის კულტთან, რომელიც მფარველობს ოჯახს; ასევე, სიმბოლოა ნაყოფიერების, გამრავლების, კეთილდღეობის. თანამედროვე ყოფაში ის სარიტუალო პრაქტიკის სახით არის შემორჩენილი.[3] ზედაშეს იმ სახატო დღეობებში იყენებდნენ, რომლის სახელობაზეც იყო ის განკუთვნილი.[4]

საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილიდან პირველ ნაწურ ღვინოს ხატს შესწირავდნენ. ადამიანებს სწამდათ, რომ ამ შემთხვევაში მათ ოჯახებს ღმერთი „კარგ ზედამხედველობას“ და მფარველობას გაუწევდა, ბარაქას, დოვლათს მისცემდა. ხატის დამიზეზებით ხსნიდნენ სხვადასხვა სახის ავადმყოფობას. ამიტომ, განკურნების მიზნით, ხატს ზედაშეს შეუთქვამდნენ. ძველად სწამდათ, რომ რიტუალურ საგნებს, ღვთაებაზე ზემოქმედების შედეგად, შეეძლოთ გამოეწვიათ მათთვის სასურველი შედეგი (ბარაქა, დოვლათი, ჭირნახულის უხვი მოსავალი). საზედაშე ღვინოს შემოდგომით აყენებდნენ. ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილს, პირველ ნაწილ თავ ღვინოს ზედაშედ ჩაასხამდნენ. შესაწირი ღვინის ხარისხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხის რწმენით, ცუდი ხარისხის ღვინის შეწირვა ღვთაების უკმაყოფილებას გამოიწვევდა. ნ. თოფურიას მასალების მი-

---

[1] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, I, გვ. 278.

[2] **ნ. ფიფია, ქ. ციმინტია,** რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრაქტიკის შესახებ სამეგრელოში („ხვამა“: „ოხვამერი“, „დუნაპირი“)// *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, XII, თბ., 2017, გვ. 429.

[3] **ნ. თოფურია,** ღვინის ზედაშეები// მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, XII-XIII, თბ., 1963; **გ. გოცირიძე,** ზედაშის კულტურა საქართველოში//*„ქართველური მემკვიდრეობა“,* X, თბ., 2006; **დ. ჭითანავა**, სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეა „ქვევრსამარხებში“ და ზედაშის კულტურა// *ისტორიულ ეთნოლოგიური ძიებანი*, XII, თბ., 2010.

[4] **ნ. თოფურია,** ღვინის ზედაშეები, გვ. 53.

ხედვით, საზედაშედ ძირითადად თეთრ ღვინოს ირჩევდნენ. ჩასხმის დროს სანთელს აანთებდნენ და დაილოცებოდნენ. დღეობის დადგომამდე საზედაშე ქვევრისთვის თავის მოხდა არ შეიძლებოდა, ხელს ვერავინ ახლებდა. ზედაშისათვის ნაადრევად თავის მოხდის შემთვევაში, ხალხის რწმენით, მომხსნელს ღმერთი ავ ანგელოზს მოუვლენდა და ავად გახდიდა.[1] მსგავსი რიტუალური ფაქტი ჩვენს მიერ დღესაც არის დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალით.

ძველად საგვარეულო და სათემო ზედაშეებს შორის გარკვეული განსხვავება არსებობდა. გვიანფეოდალურ ხანაში ზედაშეს დაყენება სამონასტრო გამოსაღების ანუ ბეგარის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა.[2] ზოგიერთი მოსაზრებით, საზედაშე ღვინოს, საერთო სახელთან ერთად, შორეული მსგავსება უჩანს ფეოდალური საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და აღაპებისთვის შეწირულ ღვინოსთან. ზედაშესთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და მენტალური მახასიათებლები სავარაუდოდ ობიექტური ისტორიული გარემოებებიდან გამომდინარე, კანონიკური სამართლისა და ლიტურგიული პრაქტიკის გახალხურებული, სახეცვლილი ფორმებია.[3] იტალიელი მისიონერის ა. ლამბერტის აღწერით, სამეგრელოში „საუკეთესო ღვინოს, რომელიც კი აქვთ, შეინახავენ ხოლმე იმ დროისთვის, როცა მარგვლა აქვთ. ამ ღვინოს სწირავენ წმ. გიორგის იმ პირობით, რომ პეტრე-პავლობამდე არ ახადონ თავი იმ ჭურს რომელშიც ღვინო არის. მართლაც ვერავინ გაბედავს ამ დრომდის მას ხელი ახლოს. პეტრე-პავლობის დღეს კი, რომელიც მარგვლის წინ არის, დიდის ამბით უნდა მოხსნან თავი ქვევრს. ამისთვის მარანში მოიწვევენ მღვდელს, რომელიც შეიმოსება საეკლესიო ტანისამოსით, რამდენსამე ლოცვას იტყვის ქვევრის თავზე და შემდეგ ამისა, მოხსნის თავს ამ ქვევრს, იქედან პატარა ქვევრში გადმოასხამს ღვინოს, რომელსაც გაგზავნის შესაწირად წმინდა გიორგის ეკლესიაში. ამის შემდეგ შეუძლიათ იხმარონ ეს ღვინო".[4]

სამეგრელოში დიდი მოწიწებით ექცეოდნენ „ოხვამერ ლაგვანებს"/სალოცავ ქვევრებს. საზედაშე ქვევრები მარანში ჰქონდათ დამარხული. დასავლეთ საქართველოში მარანი ორი ტიპისაა: ღია და დახურული. მარანს როგორც საკულტო, ისე სამეურნეო დანიშნულება გააჩნია. ის სამეურნეო დანიშნულების იყო იმიტომ, რომ აქ მევენახეობის ინვენტარი ინახებოდა; საკულტოც იყო, რადგან ზედაშის ქვევრებთან, რომელიც სხვა ქვევრების მარჯვენა ნაწილში იყო ჩამარხული, წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვა რელიგიური რიტუალი სრულდებოდა (ბავშვის ნათლობა, ქორწინება და სხვა). ამ ფაქტს ა. ლამბერტიც ადასტურებს. მისი ცნობით, სამეგრელოს სოფელში კარის ეკლესიის უქონლობის შემთხვევაში ჯვრისწერის რიტუალი მარანში სრულდებოდა. მარანს ეკლესიასავით სცემდნენ პატივს.[5] ეთნოგრაფიული ცნობებითაც დასტურდება, რომ როდესაც ჯვრისწერა ეკლესიაში სრულდებოდა, მაშინაც კი ტაძრიდან მობრუნებულ მაყრიონს ოჯახის უფროსი მიეგებებოდა და ნეფე-დედოფალი მარანში შეჰყავდა დასალოცად. საზედაშე ქვევრთან ხატზე გადაცემაც სცოდნიათ. განსაკუთრებით ძლიერი იყო საღვთო-საღორონთო ქვევრთან გადაცემა.

სამეგრელოში ოხვამერი ლაგვანის შესახებ ცნობას გვაწვდის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. მისი ცნობით, „ღვინოს მსხვერპლად სწირავენ წმინდა გიორგის, რთველის დროს. პატარა, დაახლოებით ოც ბოთლიან კასრს ავსებენ საუკეთესო ღვინით, შესწირავენ წმინდა გიორგის და ინახავენ ცალკე. კასრს ხსნიან და სვამენ გარკვეულ დროს, სახელდობრ წმინდა პეტრეს დღეს და არა უადრეს. ღვინის მაგივრად წყალს დალევენ, მაგრამ მას დანიშნულ დღემდე მაინც არ გახსნიან. როგორც კი დრო დადგება, ოჯახის უფროსი პატარა ჭურჭლით ამოიღებს ღვინოს და მიაქვს ილორის ეკლესიაში, რომელიც წმინდა გიორგის სახელობისაა. იქ ლოცულობს და შინ ბრუნდება. შინ ამ ჭურჭლით ხელში შედის საოჯახო სარდაფში და ყველანი ერთად ლოცულობენ

---

[1] **ნ. თოფურია,** ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, XII-XIII, თბ., 1963.

[2] **ნ. თოფურია,** ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, XII-XIII, თბ., 1963.

[3] **რ. გუჯეჯიანი,**ზედაშე სვანეთში// *ეთნოგრაფიული კრებული*, თბ., 2010, გვ. 61.

[4] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 53.

[5] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 81.

წმინდა გიორგის იმ შეწირულ კასრთან, რომელზეც წინასწარ დალაგებულია: ხაჭაპური, ხახვი და პრასი. შემდეგ კლავენ ხბოს და ღორს, რომლის სისხლს ოჯახის მამა კასრის ირგვლივ მოასხამს და კვლავ ლოცულობენ. ამის შემდეგ ჭამენ და სხვამენ. მეგრელებმა სხვა მრავალი „ოხვამერი“ ანუ მსხვერპლის შეწირვაც იციან. ღვინით სავსე დიდ ჭურჭელს სწირავენ სხვა წმინდანებსაც, რომელსაც მხოლოდ დანიშნულ დროს სვამენ. ამ სხვადასხვაგვარ შესაწირავთაგან ერთს ჰქვია „სამიქელანგელოზო“, მიქაელ მთავარანგელოზის პატივსაცემად, მეორე არის წმინდა კვირიკეს პატივსაცემად, მესამეს – „საღორონთო“, ღმერთის პატივსაცემად. ამ სამ შეწირულობათაგან პირველის შეწირვის დროს კლავენ გოჭს და მამალს, მეორეს დროს სწირავენ გოჭს და პურს. ორივე შემთხვევაში ეპატიჟებიან სტუმრებს. მესამის შემთხვევაში არავის იწვევენ. მხოლოდ შინაურები ესწრებიან და ჭამენ ზვარაკს, რომელიც ყოველთვის წვრილფეხა საქონელს წარმოადგენს. გარდა ამისა, წლის განმავლობაში ისინი ბევრ სხვა შეწირულობასაც ახდენენ, როდესაც მსხვერპლის მიტანის დღე დგება, ამბობენ, დიდი დღე დადგაო“.[1]

თანამედროვე ყოფაში კლასიკური სახით არაა შემორჩენილი სალოცავ ქვევრებთან დაკავშირებული რიტუალები. ამიტომ, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კლასიფიცირებას მოვახდენთ ძველი სალოცავი ქვევრებისა და შედარებით თანამედროვე ყოფაში შემორჩენილ „ოხვამერ ლაგვანებს“/სალოცავ ქვევრებს.

„ოდუდია“ — სამეგრელოში თავის დალოცვას ნიშნავს. ამ ლოცვისთვის ცალკე სალოცავი ქვევრი იყო მიჩნეული. სალოცავი დღეები იყო: სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი. ამ დროს დაკლავდნენ დანაპირებს–ღორს ან ქათამს. ოთხ მრგვალ კვერს გამოაცხობდნენ. ოჯახის უფროსი დაილოცებოდა.

„ოთუთაშხური“ — დიდმარხვის ოთხშაბათს სრულდებოდა. მას თუთაშხა (ორშაბათი) ბედნიერს ეძახდნენ. „თუთაშხა“ ბედნიერისთვის პურის ზედაშე ჰქონდათ შეთქმული. დღეობისთვის ოჯახის უფროსი ქალი ორ-ორ კვერს გამოაცხობდა. ქალებისა და კაცების კვერები ფორმით განსხვავდებოდა. ქვევრთან უფროსი კაცი დაილოცებოდა. ოჯახში რამდენი წევრიც იყო, იმდენ სანთელს დაანთებდნენ.

„სამგარიო“ — უფროსი კაცის სალოცავი ქვევრი იყო. მას ზოგან „დიდ ოხვამერს“ ანუ დიდ სალოცავს ეძახდნენ, უფროსი კაცის ოხვამერს ან „დუდ ოხვამერს“ (თავსალოცავს). ამ დღის სალოცავად ახალი წლის შემდეგი ორშაბათი მიიჩნეოდა. საზედაშე ღვინოს პირველად „სამგარიოს“ ქვევრში ჩაასხამდნენ. სამგარიოს სახელზე მამალი ჰყავდათ, ხოლო მთავარ შესაწირავად სპეციალურად ამ დღისთვის დაყენებული ძროხის, „პატენიას“ მოგებული ხბო. ძროხას ნიშანს უკეთებდნენ (მარჯვენა ყურზე ნიშანს დაადებდნენ). მას არ გაუჯავრდებოდნენ, წკეპლას არ მიაკარებდნენ.

„შქვითული“ — რელიგიური წესია, რომელიც სამეგრელოში სრულდებოდა ჭირნახულის აღებისა და დაბინავების შემდეგ. „შქვითულში“ უნდა დაეკლათ: გოჭი, ბატკანი, ხბო, მამალი, იხვი, ციკანი, აუცილებელი იყო თევზიც. აცხობდნენ პურს, ფეტვს, სიმინდის კვერებს. ოჯახში მოკეთეებს მოიწვევდნენ. სადილის წინ ყველა მამაკაცი, ოჯახის უფროსის წინამძღოლობით, „შქვითულის“ ქვევრთან მიდიოდა და იქ დაილოცებოდა.

„საღვთო“ — უფროსი ვაჟის სალოცავი იყო. ის აღდგომას სრულდებოდა. მას ცალკე ქვევრი ჰქონდა მიჩნეული. ამ სალოცავის საკლავი თიკანი იყო. იცოდნენ ოთხი კვერის გამოცხობა.

„ხეხუნჯობა“/„სახეხუნჯო“ — ხელ-მხარის სალოცავი იყო და 31 დეკემბერს სრულდებოდა. ამ დღისთვის აცხობდნენ ორ-ორ კვერს და ჰქონდათ კვერცხი. „სახეხუნჯოს“ განსაკუთრებით ლოცულობდნენ მჭედლები. ისინი იხდიდნენ „ოჭკადურეს ოხვამერს“/სამჭედლოს სალოცავს.

„საუცოდინარო“, „საარვიცო“ — მეტად საპატიო სალოცავად მიიჩნეოდა. „საუცოდინაროს“ ნააღდგომევს ასრულებდნენ. საამისოდ საგანგებო დღე და რიცხვი დათქმული არ იყო. სალოცავი დღის არჩევა ოჯახის უფროს მამაკაცზე იყო დამოკიდებული. „საუცოდინაროს“ ერთ წელიწადს

[1] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 185.

გოჭით ან ბატკნით გადაიხდიდნენ, მეორე წელიწადს — თევზით. კლავდნენ მამალს ზედ ქვევრის თავზე ისე, რომ მამლის სისხლი ქვევრში ჩასულიყო. აცხობდნენ ასევე ყველიან კვერებს.

ზემოთ ჩამოთვლილ სალოცავებს სამეგრელოში სპეციალური საზედაშე ქვევრი ჰქონდათ მიჩნეული. ამ სალოცავებთან დაკავშირებული რიტუალების შესრულება აუცილებლობას წარმოადგენდა და ტრადიციულ საზოგადოებაში მათ ოჯახის უფროსი იხდიდა. თანამედროვე მდგომარეობით, სალოცავებთან დაკავშირებული დღე, რიტუალები, შესრულების ფორმა, მასში მონაწილე პირები და შესაწირავის სახეები, განსხვავებულია.

სამეგრელოში ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად, თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დაფიქსირდა „ოხვამერი ლაგვანები“ (სალოცავი ქვევრები) და მათთან დაკავშირებული რიტუალები. რიტუალების შესრულებისას სიახლეები შეიმჩნევა, გადასხვაფერდა მთელი რიგი პროცესები, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ოჯახის უფროსი მამაკაცი ან ქალბატონი ქვევრთან ლოცულობს, მაგრამ არ ახსოვს სალოცავის სახელი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დღეისათვის უმეტეს შემთხვევაში „საღმთოს“ ლოცულობენ.

ქვევრთან ლოცვის დროს არ შეიძლებოდა რძლებისა და სხვა გვარის წარმომადგელების დასწრება. ამ მხრივაც, ველზე მუშაობისას დაფიქსირდა ტრადიციულად არსებული წესების დარღვევა. დღეს, სარიტუალო პრაქტიკას ესწრებიან რძლები და სიძეებიც. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში ზარანდიების ოჯახში, შობის მარხვის დასრულების შემდეგ, პირველივე კვირას, ორშაბათ დღეს ასრულებენ „ხვამას“/ლოცვას. კვირას იკვლება ცხვარი, ორშაბათს–მამალი. ოჯახის უფროსი ორივე დღეს ლოცულობს სხვადასხვა ქვევრთან. ლოცვის შემდეგ იშლება სუფრა. რიტუალს რძლებიც ესწრებიან. სავარაუდოდ, ზარანდიების წინაპრები ერთ-ერთ დღეს „სამგარიოს“ ლოცულობდნენ, მეორე ლოცვა კი თანამედროვე მდგომარეობით, გააერთიანეს კარგად ნაცნობ სალოცავ დღესთან და „სამგარიოს“ ლოცვის მეორე დღეს გადახდის პრაქტიკა შესძინეს.

ხუნწის თემში, ერთ-ერთ ოჯახში, სალოცავი ქვევრებისათვის სახელები შეუცვლიათ. ოჯახში აქვთ სამი სალოცავი ქვევრი. ლოცულობენ სამჯერ: შობას, აღდგომას და ძველით ახალ წელს. იმ ქვევრს, რომელთანაც ძველით ახალ წელს ლოცულობენ „ფუძეს“ ან „ფუძეშ ოხვამერს“ (ფუძის სალოცავს) ეძახიან. დანარჩენ ორ ქვევრს–შობას და აღდგომას. ცნობილია, რომ აღდგომას „საღვთოს“ აღასრულებდნენ. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ეს ქვევრი „საღვთოა“. შობას შესრულებულ ლოცვათაგან ერთ-ერთი შეიძლება იყოს „სახეხუნჯო“ („ხეხუნჯობა“ 31 დეკემბერს, ახალ წელს სრულდებოდა), ხოლო მეორეა „სამგარიო“. შობას აუცილებლად კლავენ მამალს. ს. მაკალათიას მიერ ფიქსირებული მასალით კი შობას გოჭი და მამალი იკვლებოდა. სოფელ ხუნწში, ხუნწარიების ლოცვისას, დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ლოცულობენ ქვევრთან, მაგრამ ქვევრში არ არის ღვინო/ზედაშე. სოფელ ჯიხაშკარში არსებული პრაქტიკით, ყოველი სამი თაობის შემდეგ სალოცავი ქვევრი უნდა გამოიცვალოს. სავარაუდოდ, ეს მთელ სამეგრელოში გავრცელებული წესი არ იყო. შესაძლოა სიახლეა, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი ფაქტი არ ფიქსირდება.

თანამედროვე მდგომარეობით, ის ოჯახები, რომლებიც საზედაშე ქვევრებთან ლოცვას იხდიან, ზუსტი წესების დაცვით არ მისდევენ ტრადიციას. მათ მიერ შესრულებული სარიტუალო პრაქტიკა სიახლეა, თუმცა, ლოცვის შესრულების სახეშეცვლილ ფორმებთან ერთად, ფიქსირდება ოჯახები, სადაც ზედაშეზე ლოცვა ისევე სრულდება, როგორც ძველად. უმეტესად, ტრადიციული სახით შემორჩენილია ფუძის, სამგარიოს და საღვთოს ლოცვა სოფელი ჭოღაში შენგელიებთან, სოფელი ტყაიაში ჭიჭაღუებთან.

წარსულში, როდესაც ოჯახი ლოცვის შეწყვეტას გადაწყვეტდა, მას სალოცავი ქევრი უშვილო კაცისთვის უნდა ამოეთხრევინებინა და ქვევრსაც ის ამტვრევდა. სხვა შემთხვევაში, ქვევრს მოაპარინებდნენ კეთილ, მათთვის მოსაწონი ქცევის მამაკაცს და დაამტვრევინებდნენ. აღსანიშნავია, რომ მარნის დანგრევის შემთხვევაში, ოჯახს უფლება არ აქვს მარნის ნანგრევი ფიცრები რამეში გამოიყენოს. ფიცრები უნდა გადაიყაროს. სურვილის შემთხვევაში, მისი წაღება და გამოყენება შეუძლია სხვა ოჯახს. ქვევრის მოცილების წესები ბოლო დრომდე ტრადიციული სახით სრულდება. თუმცა, დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ლოცვის მიტოვების შემდეგ ოჯახის წევრებმა

ქვევრი თვითონ ამოთხარეს და ეკლესიის ეზოში დადეს. რაც შეეხება ლოცვის შეწყვეტის მიზეზებს, უმრავლეს შემთხვევაში, რიტუალის შემსრულებელი ოჯახის უხუცესის გარდაცვალებაა. მისი სიკვდილის შემდეგ კი შთამომავალს არა აქვს სურვილი გააგრძელოს ეს ტრადიცია. შთამომავლების მხრიდან სარიტუალო პრაქტიკის გაგრძელებაზე უარის თქმას ასევე აქვს ობიექტური მიზეზები — საცხოვებელი ადგილის შეცვლა და სხვ. ეკლესიის როლი დიდია ტრადიციული ლოცვის შეწყვეტაში. ყველა კალენდარული დღესასწაულისათვის ღვთისმსახურება ტარდება ტაძრებში, სადაც მლოცველები ესწრებიან ლიტურგიას. სასულიერო პირების გავლენით, მოსახლეობამ უარი თქვა სალოცავ ქვევრებზე და მათთან დაკავშირებულ პრაქტიკაზე, რადგან დღეს ისინი წინარექრისტიანულ, მიუღებელ ქმედებად მიიჩნევა ეკლესიის მხრიდან.

„ოხვამერი ლაგვანები"/საზედაშე ქვევრები და მასთან შესრულებული რიტუალები სამეგრელოში იშვიათად, მაგრამ დღესაც სრულდება. „ოხვამერ ლაგვანთან"/საზედაშე ქვევრთან მლოცველთა უმრავლესობა მხცოვანია, მათი შთამომავლობის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს ლოცვის გაგრძელების სურვილი.

„ალობის" რიტუალი. ზედაშეს კულტურაზე საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს და ამ მეტად მნიშვნელოვანი რელიგიურ-ყოფითი მოვლენის შესახებ მკვლევართა შორის, როგორც ზემოთ აღინიშნა, აზრთა სხვადასხვაობაა; კერძოდ ის არის წარმართული, თუ ქრისტიანული ხანიდან მომდინარე ფენომენი.[1]

ამჯერად ზედაშეს წარმოშობის პრობლემების და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი რელიგიურ-რიტუალური მხარის ვრცლად განხილვას არ შევუდგებით, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ მეგრული საოჯახო „ოხვამერი" და საერთოდ ზედაშეს კულტურა წინაქრისტიანულ ხანაში წარმოშობილ ფენომენად მიგვაჩნია, რის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტადაც შეგვიძლია მოვიშველიოთ „ალობის" რიტუალი, კერძოდ, სამეგრელოში, როდესაც საოჯახო მარანში ჩაფლულ ქვევრებთან ამა თუ იმ მიზეზით ოჯახი ლოცვას შეწყვეტდა, ან ოჯახის უფროსი, რომლის სახელზე მარანში „სამგარიოს" (სამიქელგაბრიელო) სახელწოდების ცალკე ქვევრი იყო ჩაფლული, გარდაიცვლებოდა, ამავე დროს თუ ოჯახი გარკვეული დროის განმავლობაში ლოცვას ვერ აღავლენდა, მაშინ ამ ქვევრებს რომელიმე მეზობელს „ჩუმად მოაპარვინებდნენ"; მას ისინი უნდა წაეღო წყლის პირას, ოჯახიდან შორს, ქვევრები უნდა დაემტვრია, წყლისთვის გაეტანებინა ან ღრმა ხრამში გადაეგდო. შემდგომ თუ ოჯახი ისევ გადაწყვეტდა ლოცვის განახლებას, ანუ ახალი სალოცავი ქვევრების მარანში ჩაფვლას, ლოცვის განახლების წინ მათ წინასწარ დათქმული შესაწირავებით უნდა გადაეხადათ „ალობის" რიტუალი, რაც ლოცვის მიტოვებისათვის და ღმერთის განაწყენებისათვის შეწყალების, პატიების თხოვნის ნიშნად იყო მიმართული.

„ალობის" სახელწოდების წეს-ქმედება არა მარტო საოჯახო სალოცავებთან მიმართებაში სრულდებოდა, არამედ ის სათემო თუ სასოფლო „ხატისათვის პატიების" თხოვნის, ანუ „ახსნის", „შეწყალების" მიცემის დროსაც იგივე სახელწოდებით იყო ცნობილი.[2] ზოგადად ტერმინი „ალობა" ღრმა თეონიმური დატვირთვის მატარებელია, რაზეც ამჯერად არ შევჩერდებით, ზოგადად კი აღვნიშნავთ, რომ „ალობა", შეწყალებას, პატიების თხოვნას ნიშნავს.

პირველ რიგში, ჩვენს მიერ განსახილველ წეს-ქმედებაში ძირითადი დატვირთვის მატარებელი, ვფიქრობთ, გახლავთ ქვევრის დამტვრევის მომენტი, იმ ქვევრისა, რომელიც ღვთაებისათვის იყო მარანში სალოცავად ჩაფლული. რომელი იყო ეს ღვთაება? უნდა აღინიშნოს, რომ განვითარების გარკვეული საფეხურიდან მომდინარე დღემდე, როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში, ისე ტრადიციულ (კლასიკურ) რელიგიებში ყველგან წინა პლანზე ფიგურირებს

---

[1] **ნ. აბაკელია,** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997. **გ. გოცირიძე,** ზედაშეს კულტურა საქართველოში// *„ქართველური მემკვიდრეობა"*, X, ქუთაისი, 2006; **ნ. თოფურია**, ღვინის ზედაშეები// *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, XII-XIII, თბ., 1963; **რ. გუჯეჯიანი,** ზედაშე სვანეთში// ეთნოგრაფიული კრებული, თბ., 2010.

[2] **თ. სახოკია,** მიცვალებულის კულტი სამეგრელოში// *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, ტ. III, თბ., 1940, გვ. 164.

მიცვალებულის და წინაპრის კულტი, რისი ვრცლად წარმოჩენა ამჯერად ჩვენი მიზნის ფარგლებს სცილდება. ამჯერად ჩვენთვის საყურადღებოა ის მომენტი, რომ ამა თუ იმ მასალისგან დამზადებული ნივთების და უმთავრესად თიხის ჭურჭლის დამტვრევის წესს მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებიდან გამომდინარე, ძალზედ დიდი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია და ამ მონაცემებთან პარალელების გავლება ჩვენს მიერ საინტერესო წეს-ქმედებასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

საქართველოს არქეოლოგიურ კულტურებში, მაგალითად, მტკვარ-არაქსის კულტურის ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის სამარხებში მიცვალებულს შესაწირავად თან ატანდნენ თიხის ჭურჭელს (სხვა ნივთებთან ერთად), ხოლო ერთ-ერთ სამსხვერპლო ნაგებობაზე (ამირანის გორა) ცხოველების დამწვარ ძვლებთან ერთად აღმოჩნდა უამრავი თიხის დამსხვრეული ჭურჭლის ნატეხები, რომელსაც მთლიანობაში სხვა შესაწინავებთან ერთად სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.[1] ასეთივე სურათი ჩანს თრიალეთის ყორღანულ კულტურაში, სადაც სამარხ ორმოში ჩნდება დიდი რაოდენობით შავპრიალა ჭურჭლის ნატეხები. აქ თითქმის ყველა ყორღანში (საბიდ-ახჩას მიდამოებში) ჭურჭელი მთლიანად იყო დალეწილი იმდენად, რომ მათი აღდგენა თითქმის ვერ მოხერხდა; აღსანიშნავია ისიც, რომ თიხის ჭურჭელი შემოწყობილი იყო დასაკრძალავი ეტლის თვალთან.[2] საყურადღებოა ისიც, რომ ეტლის შიგნით, უკანა ღერძის პარალელურად, მის მახლობლად იდო წვერ და ყუნწშემოტეხილი ბრინჯაოს სატევრის პირი, რომელზეც ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ წვერი და ყუნწი მისთვის დაკრძალვის პროცესში უნდა მოეტეხათ.[3] სოფ. მელაანში ძვ. წ. I ათასწლეულის დროინდელ ძეგლებზე ნაცროვან ფენაში აღმოჩნდა ათასამდე თიხის ჭურჭლის ნატეხი, ხოლო ხოვლე გორაზე საკურთხევლის შუაში ჩადგმული იყო თიხის ჭურჭლები, თიხის რკალური ნივთი და სხვ. იგივე სურათი გვაქვს ნაცარგორის ნამოსახლარებზეც.[4] შიდა ქართლში, წეროვანი II სამარხში, დასაკრძალავ ორმოში აღმოჩნდა 40 ათეულზე მეტი თიხის ჭურჭელი, ხოლო სამარხთა უმრავლესობაში გარდაცვლილის ირგვლივ ყველგან თიხის ჭურჭელი იყო შემოწყობილი.[5] ამგვარი ფაქტების მოშველიება დედამიწის სხვადასხვა რეგიონის არქეოლოგიური მასალიდან მრავლად შეიძლება.

რასაკვირველია, თვითონ თიხა ძალზე დიდი სიმბოლურ-რიტუალური დატვირთვის იყო, როგორც ჩანს მისი ფართო პრაქტიკული დანიშნულებისა და სხვა ფაქტორთა გამოც. მაგრამ თიხის ჭურჭლის მიცვალებულის დაკრძალვის მომენტში დამტვრევის ფაქტთან ერთად ჩვენ გვაქვს სხვა მასალისაგან დამზადებული ნივთების დაზიანების, დაწვის და ა. შ. ჩვეულებაც, რომელიც როგორც ჩანს, დაკრძალვის რიტუალის დროს მეტად მნიშვნელოვანი იყო და, ვფიქრობთ, არა მარტო თიხას ჰქონდა ამგვარი ფუნქცია, არამედ ნებისმიერ იმ ნივთს, რომელიც მიცვალებულის საკუთრება იყო. მაგალითად, საქართველოში ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნის ბეშთაშენის სამარხში ცნობილია ბრინჯაოს ნივთების გამიზნულად დამტვრევის ნიშნები.[6] კეტებში, მიცვალებულის თავთან დებდნენ მის ფინჯანს, რომელსაც წინასწარ ამტვრევდნენ. საერთოდ, ისინი საფლავზე ტოვებდნენ სხვადასხვა დამტვრეულ ნივთს, რომელიც გარდაცვლილის საკუთრება იყო. სასაფლაოზე დადებული იყო ქალის ყუთი დამტვრეული თავსახურავით, გახვრეტილი ჯამი და საჩაიე, დამტვრეული ალუმინის კოვზი, სავარცხელი; იქ სადაც ამტვრევდნენ ამ ნივთებს, ტოვებდნენ გარდაცვლილის ტანსაცმელსაც, იქვე ტოვებდნენ მარხილსაც, რომლითაც მკვდარი მოასვენეს. ამავე დროს შამანის დაკრძალვის დრო მის ტანსაცმელს ლითონის გამოსახულებებსა და ჟღარუნებს არღვევდნენ, ხოლო დაირას უკეთებდნენ ნახვრეტს, რომელსაც შემდგომ ტყეში წაიღებდნენ და იქვე ტოვებდნენ; ისინი მიცვალებულის

---

[1] **ტ. ჩუბინაშვილი,** ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 40, 46-47.

[2] **ო. ჯაფარიძე,** არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1960, გვ. 11, 29-30.

[3] **Б. А. Куфтин,** Археологические раскопки в Триалети, Тб. 1941, გვ. 95.

[4] **ი. კიკვიძე,** მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 200-202.

[5] **В. Г. Садрадзе,** Мцхета в XV-XIII вв. до нашей эры, Тб., 1991, გვ. 27-29.

[6] **Б. В. Техов,** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н. э. М., 1977, გვ. 66.

შარვალს ჭრიდნენ ქვემოდან ზემოთ, რადგან იქიდან მიცვალებულის სული გამოსულიყო.[1]

ჰომპონიუს მელა გალების აღწერის დროს აღნიშნავს, რომ მიცვალებულის დაკრძალვისას წვავდნენ მის მიერ განკუთვნილ ნივთებს და ცხოველებს.[2] ჩრდილოეთ კავკასიაში, მოშევაია ბალკას ქალის სამარხებში ხშირად იმარხებოდა საქსოვი მანქანის დეტალები და სხვა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დაკრძალვის წინ გამიზნულად იყო დაზიანებული.[3] ოსური მასალებით, მიცვალებულის გამოსვენების წინ წვავდნენ ტანსაცმელს.[4]

ძველ ინდოეთში, რიგვედას ტექსტების მიხედვით, ადრე ჩადენილი დანაშაულის გამოსასყიდად ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას და მათ სწამდათ, რომ ჩვეულებრივ ცოდვა გადადის ამა თუ იმ საგანზე (თიხის ჭურჭელი, ჯაჭვი), რომელსაც ანადგურებდნენ ან წყალს გაატანდნენ, ხოლო დაკრძალვის დროს ანთებდნენ დასაკრძალავ ცეცხლს, რომელიც საშინაო ცეცხლისაგან იყო აღებული და მიცვალებულთან ერთად საგანგებოდ წვავდნენ ზოგიერთ მის ნივთს, იარაღს და ჭურჭელს.[5] მიცვალებულის ნივთების განადგურება და განსაკუთრებით იარაღის და მისი ისრის წვერების მოტეხვით გარდაცვლილისთვის ჩატანება იყო დამახასიათებელი ბაიკალისპირეთის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის სამარხებისათვის.[6] ბრაზილიელ ტომებში (ბორორო), როდესაც ოჯახის წევრი მოკვდებოდა, მის კუთვნილ მთელ ქონებას წვავდნენ და წყალს ატანდნენ, რადგან მიცვალუბელს ვერ შეძლებოდა მისთვის უკან დაბრუნება.[7] მიცვალებულის ნივთების დაწვისა და დამტვრევის წესი გავრცელებული იყო ავსტრალიის, აფრიკის, ამერიკის, ოკეანეთის ხალხებში. მიცვალებულის ყოველგვარ მიწიერ საკუთრებას ანადგურებდნენ, რათა დაენახვებინათ მისთვის, რომ ერთი მხრივ, ცოცხლები არ აპირებდნენ მის გაძარცვას, მეორე მხრივ, ერთდროულად გაენადგურებინათ „მომაკვდინებელი ავადმყოფობის“ მატარებელი ყოველი ნივთი.[8] ზოგიერთ ხალხში (ტუველები), გარდაცვლილის ნივთებს არ ამტვრევდნენ, მაგრამ ხვრეტდნენ დანით.[9] მიცვალებულის ნივთებისადმი მსგავსი დამოკიდებულება (განადგურება, დაწვა და ა. შ.) მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფორმით.[10] ზოგიერთი ხალხი იმ საცხოვრებელსაც ანადგურებდა, სადაც ადრე მიცვალებული ცხოვრობდა.[11]

ქართული ეთნოგრაფიული ყოფიდან შენიშნულია, რომ არხოტის თემში, თუ მიცვალებულის „ტალავარს“ წელიწადი შეუსრულდებოდა და ვერ აიღებდნენ, ის მეორე სიკვდილიანობის გამოწვევას ნიშნავდა. ტალავართ აღებას („ტალავარ აბერტყა“) ერთ წელიწადზე ზევით გადაცილებას „სანაწყევროს“ ეძახდნენ.[12]

---

[1] **Б. О. Долгих**, О похоронном обряде кетов// *Советская археология*, №3, М. 1961, გვ. 102-105.

[2] **Е. Э. Носенко,** Представление кельтов о загробном мире (дохристианская эпоха)// *Вестник древной истории*, №3 (194), М., 1990, გვ. 106.

[3] **А. А. Иерусалимская,** Археологические параллели этнографически засвидетельствованным культам Кавказа (по материалам могильника машевая балка// Советская этнография, №1, М., 1981, გვ. 104.

[4] **Я. С. Смиронова,** Старое и новое в современной погребальной обрядности народов Северного Кавказа// *Полевые исследования института этнографии*, М., 1976, გვ. 137.

[5] Культура древней Индии, М., 1975, გვ. 83, 89.

[6] **А. Б. Окладников,** Неолит и бронзовый век прибайкалья, ч. III (глодковское время)// *Материали и исследования по археологии СССР*, №43, Л., 1955, გვ. 334-337.

[7] **К. Штейнен,** Среди диких народов Бразилии, М.-Л., 1930, გვ. 175.

[8] **Н. Н. Миклухо-Маклай,** Собрание сочинений, т. II, М.-Л., 1950, გვ. 373; **Ю. Липс,** Происхождение вещей, М., 1954, გვ. 395.

[9] **З. П. Соколова**, Новые данные о погребельном обряде северных хантов// *Полевые исследования института этнографии*, М., 1975, გვ. 168.

[10] **Ю. И. Семенов,** Как возникло человечество, М., 1966, გვ. 399-401; **Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов,** Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб. 1984, გვ. 830-831; **Е. В. Антонова,** Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азий, М., 1984, გვ. 121.

[11] **Ю. И. Семенов,** Как возникло человечество, М., 1966, გვ. 400.

[12] **მ. ბალიაური, ნ. მაკალათია,** მიცვალებულის კულტი არხოტის თემში// *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, ტ. III, თბ., 1940, გვ. 15.

ზემოთ წარმოდგენილ რიტუალებზე სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული მოსაზრებები არის გამოთქმული, თუმცა საკითხი ბოლომდე ნათელი არ არის. ი. სემიონოვი მიცვალებულის ნივთების განადგურება-დაწვას, გადაგდებას, დამტვრევას, სანიტარული მოტივით ხსნის და გადამდები სნეულებებისაგან თავდაცვის მიზნით მიმართულ ქმედებას მიაწერს.[1] მსგავს აზრს ავითარებენ ი. ლიპსი,[2] თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი.[3] საკითხისადმი მსგავსი მიდგომა მართებულად არ მიგვაჩნია. აღწერილი ქმედებების ამოსავალი რწმენა-წარმოდგენების კონტექსტში უნდა განვიხილოთ, თუნდაც იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რომ მიცვალებულის ჩასატანებელი ზოგიერთი ნივთი ამა თუ იმ ხალხთა ტრადიციაში მთლიანად კი არ ნადგურდება, არამედ ნაწილობრივ, ანუ „სიმბოლურად“ იმტვრევა, მაგალითად დანის და შუბის წვერი, ჯამის ყური და სხვა, რაც გადმონაშთურად კი არ არის შემორჩენილი, არამედ, უძველეს არქეოლოგიურ კულტურებში ფიქსირდება.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ნივთების დაწვის და განადგურების მიზეზი არის შიში მიცვალებულისადმი, განსაკუთრებით ეს ეხება მჭრელი იარაღის პირის გაფუჭება-მოტეხვას, რადგან იყო შიში იმისა, რომ მიცვალებული არ დაბრუნებულიყო და ახლობლებისათვის ზიანი არ მიეყენებინა. ამის დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ჩვეულება, რომლის მიხედვითაც შამანი გზის გასწვრივ ჯვრის დადებას ბრძანებს, რომ მიცვალებულს გზა გადაუკეტოს ანუ არ დაბრუნდეს უკან.[4] ა. იერუსალიმსკაიას აზრით, სხვადასხვა ნივთებისადმი მსგავსი მოპყრობა აიხსნება ადამიანის მიერ დაკრძალვის რიტუალისადმი ფორმალური, ანუ თაღლითური მოპყრობით მიცვალებულებისა და ღვთაებების მიმართ. ამ სიმბოლიზაციის პროცესის საწყისი მომდინარეობს ადამიანისა და ცხოველების მსხვერპლშეწირვის შეცვლით სიმბოლური საგნებით.[5] საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ვ. ნოსენკო. მისი კვლევით, არსებობდა რამდენიმე სულის ანუ არასხეულებრივი სუბსტანციების შესახებ რწმენა, რასაც მოწმობს არქეოლოგიურ მასალებში დამტვრეული ან გაფუჭებული ნივთები და ეს იმის ნიშანია, რომ საჭირო იყო საგნის „მოკვლა“ და მასში დამწყვდეული სულის გათავისუფლება, რადგან მას მფლობელის სული საიქიო სამყაროში უნდა გაეცილებინა.[6]

წარმოდგენილი მოსაზრებები ძალიან საყურადღებოა, ამჯერად კი ისინი ჩვენთვის საინტერესოა სამეგრელოში ფიქსირებული ქვევრის დამტვრევის წესთან დაკავშირებით, რომელიც, ვფიქრობთ, ახლოს დგას და იდენტური რწმენის გამოძახილია ზემოთ წარმოდგენილ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში ფიქსირებულ ნივთების განადგურების ფაქტთან. პირველ რიგში, ამ ქმედებასთან მიმართებაში (ქვევრის დამტვრევა) საინტერესოდ მიგვაჩნია თიხის სიმბოლური დატვირთვის მოკლედ წარმოჩენა. შუამდინარეთის ხალხების წარმოდგენით, ადამიანი თიხისაგან იყო შექმნილი და არა მარტო შექმნილი, არამედ თიხად იქცეოდა სიკვდილის შემდგომ. როგორც ვარაუდობენ, თიხის ნამტვრევები წარმოადგენდნენ ემბრიონის ნიშნებს. თიხა იყო ქალური ბუნების. თვითონ თიხა მიწის ნაწილია, ხოლო მიწა ქალთან არის გაიგივებული.[7] საერთოდ, მეთუნეობა ქალების საქმიანობად ითვლებოდა, ხოლო ხელოსნობის ღვთაებებს შორის პირველ ადგილზე მეთუნეობის ღვთაება იდგა. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველინდური ტრადიციით, მათ სალოცავებში ჭურჭელს ცვლიდა ღვთაების გამოსახულება.[8] წარმოდგენილ მასა-

---

[1] **Ю. И. Семенов**, Как возникло человечество, გვ. 400-401.

[2] **Ю. Липс,** Происхождение вещей, გვ. 352-395.

[3] **Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов,** Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, გვ. 831.

[4] **А. Б. Окладников,** Неолит и бронзовый век прибайкаля, ч. III (глодковское время), გვ. 337-339.

[5] **А. А. Иерусалимская,** Археологические параллели этнографически засвидетельствованным культам Кавказа, გვ. 104-105.

[6] **Е. Э. Носенко,** Представление кельтов о загробном мире (дохристианская эпоха)// *Вестник древней истории*, №3 (194), М., 1990, გვ. 112.

[7] ამ მხრივ საინტერესოა მეგრული დიხა (მიწა) და ქართული თიხის ურთიერთმიმართება, რაც სემანტურ-მორფოლოგიურად იდენტურია, ხოლო მიწა ქართველთა სარწმუნოებაში ქალური ბუნების მატარებელია.

[8] **Е. В. Антонова,** Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азий, გვ. 122-123, 136.

ლაში ჩვენთვის საინტერესოა არა თიხის სქესობრივი ბუნება, არამედ ის, რომ თიხა ზოგადად ადამიანთან და ღვთაებასთან არის გაიგივებული, მისი პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე ღვთაების რანგშია აყვანილი და უდიდესი რელიგიურ-რიტუალური დატვირთვა გააჩნია. ის ცვლის წინაპარს, მიცვალებულს, რომელიც განასახიერებს ღვთაებას და რომელსაც შეუძლია როგორც ბედნიერების, ისე უბედურების მოტანა ცოცხალთათვის.

ძველბერძნული ტრადიციით, ცოდვების გამოსასყიდად მიტანილი შესაწირავების დროს, ის თიხის ჭურჭელი, რომელშიც ეს მსხვერპლი იხარშებოდა, აუცილებლად უნდა დაემტვრიათ, ხოლო თუ ჭურჭელი ლითონის იყო, გარეცხვაც საკმარისად მიაჩნდათ. ე. ანტონოვას აზრით, ეს შესაძლოა ლითონის ჭურჭელთან შედარებით, თიხის ჭურჭლის სიიაფით იყო გამოწვეული; თუმცა, სწორედ თიხის ჭურჭლის დამტვრევას უფრო ღრმა აზრი უდევს საფუძვლად, თიხის ჭურჭელი ცვლის ცოცხალ არსებებს (არა მარტო ცოცხალ არსებებს, არამედ მიცვალებულებსაც, რომელთაც სიკვდილის მერეც უნდა განაგრძონ სიცოცხლე საიქიო სამყაროში, - დ. ჭ.), რომლის განხილვაც არ შეიძლება ცალკე იმისაგან, რომ ძველაღმოსავლური ტრადიციით ადამიანები თიხისაგან არიან შექმნილნი.[1]

სწორედ მარანში ჩაფლული თიხის ჭურჭელი შესაძლოა ცვლის წინაპარს, მიცვალებულს; ამავე დროს ის ოჯახის უფროსი წევრის სალოცავად ითვლებოდა, სწორედ ის აღავლენდა ლოცვას თავისი გარდაცვლილი წინაპრის წინაშე და მხოლოდ ეს უფროსი ადამიანია უფლებამოსილი ამ რიტუალის ჩატარების, რადგან მას, როგორც ასაკით და გამოცდილებით უფროსს გადაეცა წინაპართაგან სიბრძნე და ოჯახის შეუწყვეტელობის იდეის არსი; მან ეს მისია ლოცვაში უნდა გამოხატოს და წინაპართა წინაშე ვალი მოიხადოს. საერთოდ, მარანი და იქ ჩაფლული „ოხვამერი“ ქვევრები, გარკვეულ ტაბუირებულ ადგილს წარმოადგენდა, სადაც ყველა წესი სათანადოდ სრულდებოდა. ტაბუს გაგება ზოგიერთ ხალხში ემთხვევა ღვთაებრივის, სიწმინდის გაგებას, ამავე დროს დემონური არსებების წინაშე შიშს. თავის მხრივ, ტაბუ ინარჩუნებს მბრძანებლური ცნების ხასიათს, რომლის დარღვევაც გამოსყიდული უნდა იქნას, მაგრამ მთლიანობაში ტაბუ შედგება არა მცნებებისაგან, არამედ აკრძალვებისაგან, რაც შემდეგში მდგომარეობს: „გეშინოდეს დემონების რისხვის გადაკიდებისა“.[2]

ქვევრის დამტვრევის რიტუალში შესაძლოა საქმე გვაქვს სწორედ ტრადიციულად მომდინარე ტაბუირებულ წეს-ჩვეულებასთან, რომლის საწყისი გარკვეული ღვთაებისადმი ცოცხალთა მიერ უპატივცემლობის შემთხვევაში, მათი ცხოვრებისათვის საშიშროების მომტანი ძალების წინააღმდეგ იყო მიმართული. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ქვევრის დამტვრევა, ქვევრთან ლოცვის ძირითადი ნიუანსები მიცვალებულის კულტთანაა კავშირში. ფიუსტელ დე კულანჟის აღნიშვნით, ადამიანი სიკვდილის შემდეგ ითვლებოდა ღვთაებრივ და ნეტარ არსებად, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ცოცხლები მას მიართმევდნენ მუდმივად დადგენილ სასაფლაო შესაწირავს, თუ ეს შესაწირავი წყდებოდა, მაშინ მიცვალებულს ზიანს აყენებდნენ და ის ეცემოდა უბედურების დონეზე, იქცეოდა ავის მქნელ დემონად.[3] აკრძალვების ანუ ტაბუს დარღვევის ჭრილში განიხილავს ამ საკითხს ზ. ფრეიდი და ცოცხალთა მიერ ზიანის თავიდან აცილების შიშს უკავშირებს.[4]

ვფიქრობთ, ქვევრის დამტვრევით ცდილობდა ადამიანი მოეშორებინა მისთვის სიავის მომტანი არსებები, რომლებიც, განსაკუთრებით სახიფათონი იყვნენ მას შემდეგ, რაც მათ მიმართ პატივისცემა არ გამოიჩინა და უპატრონოდ დატოვა (შესაწირავები შეუწყვიტა). სავარაუდო თაყვანისცემის ობიექტი უნდა ყოფილიყო მიცვალებული, ანუ ღვთაების დონეზე აყვანილი წინაპარი, რომლის ადგილსამყოფელს და სულის მატარებელ ობიექტს ქვევრი წარმოადგენდა. სწორედ ძვე-

---

[1] **Е. В. Антонова,** Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азий, გვ. 121.

[2] **В. Вундт,** Миф и религия, СПб., 1910, გვ. 280-291.

[3] **Фюстель де Куланжь,** Гражданская община древнего мира, СПб., 1906, გვ. 46

[4] **З. Фрейд,** Тотем и Табу: Психология первобытной культуры и религии. *Перевод с немецкого М. В. Вульфа*, М.-П., 1923, გვ. 46-47.

ლი განაწყენებული, დემონად ქცეული ღვთაების მოცილების შემდგომ ადამიანს მაინც აწუხებს „სინდისის ქეჯნა“, თავისი მიცვალებულის და წინაპართა მიმართ შიში და ვალდებულების გრძნობა, რაც ადამიანის ფსიქოლოგიურ განწყობასთანაც არის მჭიდრო კავშირში. ადამიანი ისევ ცდილობს რეაბილიტირებას ღვთაების წინაშე და ხელახლა ევედრება ღმერთს, რომ შეიწყალოს ანუ იხდის „ალობას“, რომლის შემდგომაც მას კვლავ შეეძლება ახალი სალოცავი ქვევრის გაჩენა და ღვთაებისადმი თაყვანისცემა, ანუ ადამიანი ისევ გამოთქვამს ღმერთთან ახლოს ყოფნის სურვილს და ამით ებრძვის გარეშე ძალებს არსებობისათვის ბრძოლაში.

განვითარების საწყის სტადიაზე, მიცვალებულისთვის ჩასატანებელი ნივთების დამტვრევასა და განადგურებაში ჩანს, რომ მიცვალებულის სიცოცხლეში ნაქონი ნივთები სახიფათოდ ითვლებოდა, რაც შესაძლოა ისევ და ისევ სიკვდილის შიშს უკავშირდება, ანუ იმის თავიდან აცილებას, რომ სწორედ შესაძლოა ეს ნივთები ატარებდნენ მომაკვდინებელ ძალას. შესაძლოა, აქ საქმე გვქონდეს სულის, ანუ თვით მიცვალებულის უკან არდაბრუნების იდეის შიშთანაც, კერძოდ იმასთან, რომ მას უკან დასაბრუნებლად არავითარი მოტივაცია არ ჰქონდა, რადგან ცოცხალთა შორის მას არანაირი მატერიალური თუ სულიერი დოვლათი არ ელოდებოდა. ასევე შესაძლოა აქ საგნის უწმინდურობაზეც ვისაუბროთ, რადგან ადამიანს სწამდა, რომ ლოცვის მიტოვებისათვის სწორედ იმ საგანზე ანუ ქვევრზე გადადიოდა ადამიანთა ცოდვა, და ცდილობდნენ, ეს ცოდვილი საგანი ანუ დემონად და მავნედ ქცეული ნივთი, ჩუმად მოეშორებინათ, ისე რომ, სულს არ გაეგო ამის შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე შეეცვალათ ის ახლით.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში, და საერთოდ, ზედაშეს წარმოშობა-განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით, საყურადღებოდ მიგვაჩნია ძვ. წ. VII-VI საუკუნეებიდან მოყოლებული საქართველოსა და მთელ სამხრეთ კავკასიაში მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვის ფაქტი (იხ. ქვემოთ), რაც ასევე, რიტუალური კუთხით, მჭიდრო კავშირშია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში უფრო ადრეული ეპოქებიდან (მათ შორის მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურებში) ფიქსირებულ ურნებში დაკრძალვის წესთან. ამ საკითხზე უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული. ქვევრში დაკრძალვის იდეა არ უნდა იყოს შემთხვევითი და ის მარტო მისი, როგორც მიცვალებულის დასაკრძალავად პრაქტიკულად კარგად გამოყენებადი ჭურჭლის ფუნქციით არ უნდა განისაზღვროს, რადგან შემდგომ ეპოქაში, როდესაც მსგავსი დაკრძალვის წესი ქრება, მასში ისხმება ის წმინდა ღვინო, რომელიც საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა „ზედაშეს“, „ოხვამერის“, „საწირავის“, „შესაწირავის“ სახელწოდებით. ღვინო კი, როგორც წმინდა სასმელი, პირველ რიგში მიცვალებულის კულტთან არის მჭიდრო კავშირში და ქართველ ტომთა უძველეს საკულტო ნაგებობებში, ქვევრში ჩასხმული ფორმით ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში დასტურდება.[1]

ამდენად, ვფიქრობთ, რომ ქვევრის დამტვრევის წესში ნათლად ჩანს ადამიანის შიში მასზე განაწყენებული ღვთაებებისადმი, რომელიც ისევ და ისევ ცოცხალთა „დაუდევრობის“ მიზეზით იყო გამოწვეული; ეს ღვთაებები კი მიცვალებულის და წინაპრის კულტთან მჭიდრო კავშირშია.

სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეა „ქვევრსამარხებში“ და ზედაშეს კულტურა. საქართველოში ყველაზე ძველი ქვევრსამარხი, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნით თარიღდება, აღმოჩენილია სოფელ ეშერაში (სოხუმთან ახლოს). მიცვალებულის ძვლები ელაგა ქვევრში დიდი რაოდენობით ბრინჯაოს ნივთებთან და სარდიონის მძივებთან ერთად.[2] თიხის ჭურჭელში დაკრძალვის ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული მთიან აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის სოფ. ოლგინსკოეში, თითოეულ საფლავში ჩადგმულია სამ-სამი თიხის ჭურჭელი. ერთ-ერთ მათგანში მოთავსებულია კრემაციის ნაშთები, ინვენტარი, სამკაულები, ხოლო ორ დანარჩენში,

---

[1] **ი. კიკვიძე,** მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 226-228.

[2] **А. Л. Монгайт**, Археология в СССР, М., 1955, გვ. 23, 33.

როგორც ვარაუდობენ, რაღაც სითხე ჩაუსხამთ.[1] აფხაზეთში გვამის დაწვის ჩვეულება ურნებში და მათ გარეშე, ძვ. წ. X საუკუნიდან მოყოლებული შეინიშნება და ის დამახასიათებელი იყო, როგორც ამ მხარის, ისე მისი მოსაზღვრე რაიონების ძველი მოსახლეობისათვის (სოჭი, მზიმთა).[2]

ქვევრში დამარხვის წესი თითქმის ერთადერთი წესია მიცვალებულის დაკრძალვისა ელინისტური ხანის კოლხეთში[3], ხოლო ქვევრი, როგორც ღვინის შესანახი ჭურჭელი, ძვ. წ. VI საუკუნიდან ფართოდ არის ცნობილი საქართველოში.[4] არქეოლოგთა ვარაუდით, ქვევრის ჩამოყალიბება ძვ. წ. VII საუკუნეში უნდა მომხდარიყო, თუმცა მოგვიანებით დიღომში ძვ. წ. VIII-VII სს. ქვევრებიც აღმოჩნდა.[5] ქართლში (იბერიის სამეფოში) ქვევრსამარხთა გავრცელება ძვ. წ. III საუკუნიდან იწყება და ძვ. წ. I საუკუნემდე გვხვდება[6], ხოლო აზერბაიჯანში — ძვ. წ. II საუკუნიდან.[7] სამხრეთ კავკასიაში ქვევრსამარხები გავრცელებული ჩანს ძვ. წ. VIII საუკუნიდან (არგიშთიჰინილი)[8], ხოლო კავკასიაში ყველაზე უძველესი აღმოჩენილია დაღესტანში, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება.[9]

მიცვალებულის დამწვარი ძვლების სხვადასხვა ფორმის თიხის ჭურჭელში მოთავსებით დაკრძალვის წესი უძველესი დროიდან მოყოლებული თითქმის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე ის ჯერ კიდევ ადრეული ბრინჯაოს ხანის ყორღანებშია ფიქსირებული; კერძოდ, სამგორის ყორღანებში ნაპოვნი იყო ერთი ნახვრეტიანი ჭურჭელი, რომელშიც ადამიანის ფერფლი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII-VII ათასწლეულების მესოპოტამიის ადრესამიწათმოქმედო კულტურებში შემოსვლას იწყებს დაკრძალვის განსაკუთრებული წესი, რომელიც ბავშვის ჩონჩხის (მოგვიანებით მოზრდილების) ჭურჭელში ჩალაგებით კერასთან ან კერის ქვეშ დაკრძალვაში მდგომარეობს. ძვ. წ. XXIX-XXVIII სს. პალესტინა-სირიის ძეგლებში აბსოლუტურად ჭარბობს ჭურჭელში დაკრძალვის წესი არა მარტო ბავშვებისა, არამედ ზრდასრული ადამიანებისაც.[10] დაკრძალვის სხვა ფორმების გვერდით, შუმერები მიცვალებულის ძვლებს ალაგებდნენ დიდ დოქებში (პითოსებში) და განსაკუთრებულ ჭურჭელში — კანოპებში.[11] მიცვალებულის ძვლების თიხის ჭურჭელში დაკრძალვის ჩვეულება გავრცელებული იყო ძველ იტალიაში (ვილანოვას კულტურა), ძველ საბერძნეთში, ცენტრალურ ანატოლიაში, სამხრეთ ამერიკის ინდიელებსა და ძველ პერუელებში.[12]

ცალკეულ ძველ კულტურებში მიცვალებულის დამწვარი ძვლების ჭურჭელში ჩალაგებით დაკრძალვა, მით უმეტეს თუ ის დაკრძალვის ერთადერთი წესი არ არის, მიუთითებს გარკვეულ ეთნიკურ ცვლილებებზე. ვფიქრობთ, ეს ქვევრსამარხებთან დაკავშირებით საქართველოს მაგალითზე აშკარად ჩანს, და მოსახლეობის სოციალურ სურათზეც გვიქმნის წარმოდგენას, თუმცა

---

[1] **ი. გრძელიშვილი**, თიხის ჭურჭელში დაკრძალვის და კრემაციის ნაშთები აფხაზეთში// *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. VIII, №2, თბ., 1947, გვ. 90-92.

[2] **Е. П. Алексеева**, Древняя и средневековая история Карачаево-Черкесии, М., 1971, გვ. 191.

[3] **ვ. თოლორდავა,** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 6.

[4] საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 247, 12, 61.

[5] **ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე,** კოლხური ქვევრი// *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები*, ტ. V, თბ., 1975, გვ. 95-96; **ც. კაკაბაძე,** შროშული კერამიკა, თბ., 1982, გვ. 65.

[6] **ა. აფაქიძე,** მცხეთა, ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 40; მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. IV, თბ., 1980, გვ. 16-20.

[7] **И. Иващенко**, Кувшинные погребения Азербайджана и Грузии// *Известия АН Азербайджанской ССР*, №1, Баку, 1947, გვ. 127-128; **А. Апакидзе,** Города древней Грузии, Тб., 1968, გვ. 24, 78.

[8] **ა. ნონეშვილი,** ქვევრსამარხები ამიერკავკასიაში, თბ., 1983, გვ. 70.

[9] **М. Г. Гаджиев,** О погребальном обряде племен горного Дагестана// *Ученые записки дагестанского филиала института истории, языка и литературы АН СССР*, т. XIII, Махачкала, 1964, გვ. 283.

[10] **Е. В. Антонова**, Обряды и верования первобытных земледельцев востока, М., 1990, გვ. 52-53, 70-76.

[11] **Г. Чайлд,** Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1956, გვ. 229; **В. И. Авдиев,** История древнего востока, М., 1948, გვ. 250.

[12] **Б. А. Куфтин**, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, გვ. 72-75; **ო. ჯაფარიძე,** ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1976, გვ. 39; Античная мифология, М., 2005, გვ. 227.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მათ შორის არა ეთნოგენეტიკური კავშირების ძებნა, არამედ ამ წესის წარმოქმნის რელიგიურ-რიტუალური მხარის წარმოჩენა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისთვის და სრულად არამონათესავე ეთნიკური ჯგუფებისთვის თითქმის იდენტური ფორმით არის დამახასიათებელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ფიქსირებულ ქვევრსამარხებში დაკრძალვის წესში გარკვეული რიტუალი უნდა შესრულებულიყო და ჩვენი აზრით, მას მჭიდრო კავშირი აქვს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე შემორჩენილ „ოხვამერის“ და „ზედაშეს“ კულტურასთან.

მიცვალებულის მჯდომარე მდგომარეობაში ხორბლის შესანახ დიდ ჭურჭელში მოთავსებას (სირია-პალესტინა), ზოგიერთი ავტორი (დიუნანი), მიცვალებულის მომავალი აღორძინების შესახებ არსებულ რწმენას უკავშირებს.[1] სხვა ავტორთა მოსაზრებით, ურნებში დაკრძალული მიცვალებულის ფერფლი (შუა იტალიის, ჩრდილო გერმანიის, სკანდინავიის) გარეგნულად მოგვაგონებს სახლს და იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველად მიცვალებული იკრძალებოდა სახლში, კერასთან, და მას შემდეგ, რაც ეს წესი მივიწყებულ იქნა, მიცვალებულის სიკვდილის შემდეგ მის საცხოვრებელ სახლთან მჭიდრო კავშირის რწმენიდან გამომდინარე, მას კრძალავდნენ მისი სახლის მსგავს ჭურჭელში ანუ თავის სახლში.[2] ამავე აზრს ავითარებს ლ. შტერნბერგიც.[3]

საქართველოში ქვევრის სამარხ ჭურჭლად გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ დასაკრძალად გამოყენებამდე ის სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა.[4] ზ. კვიციანის აზრით, ქვევრში დაკრძალვის იდეა დაკავშირებულია სიცოცხლის მუდმივობასთან, ხოლო ბავშვების ამფორებში დაკრძალვის წესი გამოხატავს დაბადებისა და სიკვდილის ერთიანობის რწმენას, რომლის ფესვებიც უფრო ღრმა წარსულში უნდა ვეძებოთ და ბერძნულ ტრადიციას წარმოადგენს.[5]

გ. ლორთქიფანიძის აზრით, მიცვალებულის ქვევრებში (პითოსებში) დაკრძალვა დაკავშირებული იყო კოლხებში გაბატონებულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან. მისი აზრით, მიცვალებულის სახელდახელოდ მიწისგან იზოლაცია მიგვანიშნებს გარკვეულ ტაბუზე, რომელიც კრძალავს უშუალოდ მიწასთან შეხებას, რომელსაც კოლხეთში თაყვანს სცემდნენ, როგორც ერთ-ერთ უზენაეს ღვთაებას. მსგავსი აკრძალვა კარგად არის ცნობილი რელიგიის ისტორიაში და დაკავშირებულია ღვთაებრიობის იდეასთან.[6] ამავე დროს, გამოთქმული მოსაზრებით, დასაკრძალავი ქვევრების ცხოველური ორნამენტი — ულაყები და ირმები, — მზის კულტთან, მგელი-ძაღლი, უზენაესი ღვთაების მსახურის როლშია და რწმენა წარმოდგენათა ეს წრე შესაძლოა კავშირშია ეთნოგრაფიულად სამეგრელოში ცნობილ მესეფობასთან. ასეთი გამოსახულებებით შემკული ქვევრები საგანგებოდ მზადდებოდა და ზედაშედ აღთქმული ღვინის შესანახად თუ გამოიყენებოდა, ხოლო თვით სამარხად გამოყენებული ქვევრი ნაყოფიერების მუდმივი განახლების იდეასთან იყო დაკავშირებული და საშვილოსნოს, საშოს იმიტაციას წარმოადგენდა.[7]

მიცვალებულის ძვლების თუ ფერფლის ჭურჭელში ჩალაგებით (ქვევრსამარხები და სხვა) დაკრძალვის წესში ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობს ცეცხლი, რაც გვამის კრემაციაში არის გამოხატული. კრემაციის წესი, მსოფლიოს მრავალ ხალხში არსებობს და მას ზოგიერთი მეცნიერი, საქართველოს არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად, გარედან შეთვისებულად, ნაწილი კი ადგილობრივ წესად მიიჩნევს. ჩვენი აზრით, კრემაციის წესის ბერძნულ-რომაული თუ სხვა კულტურებიდან შეთვისების მტკიცება არ არის მართებული, არამედ მისი საწყისები უნდა ვეძებოთ ზოგადად პირველყოფილ საზოგადოებაში არსებულ რწმენა-წარმოდგენებ-

---

[1] **Е. В. Антонова,** Обряды и верования первобытных земледельцев востока, გვ. 52-53.

[2] **Г. Левин-Дорш, Г. Кунов,** Техника доисторической эпохи, ч. 1. Огонь, жилище, Киев, 1923, გვ. 37-38.

[3] **Л. Я. Штернберг,** Первобытная религия в свете этнографии, Л., 1936, გვ. 338-339.

[4] **ა. ბოხოჩაძე,** მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 116.

[5] **ზ. კვიციანი,** დასავლეთ საქართველოს და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის, თბ., 1997, გვ. 141, 143-144.

[6] **Г. Лорткипанидзе,** Колхида в VI-II вв. до н. э. Тб., 1978, გვ. 85-86.

[7] **ნ. ვაშაკიძე, გ. ლორთქიფანიძე,** კოლხური ქვევრი, გვ. 99-105.

ში და ის უნივერსალურია; მჭიდრო კავშირშია მიცვალებულის და წინაპრის კულთტან, რაც არ-ქაულ ეპოქაში კერასთან მიცვალებულის დაკრძალვაში ნათლად ჩანს.[1] გამომდინარე აქედან, საინტერესოა მთელ რიგ ავტორთა (ლევინ-დორში, კუნოვი, შტერნბერგი) მიერ გამოთქმული მოსაზრება მიცვალებულის ურნებში დაკრძალვასთან დაკავშირებით, რაც ცეცხლის და კერის კულტთან და საცხოვრისთან არის კავშირში. ვფიქრობთ, ამ წესს სხვა დატვირთვაც გააჩნია. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თიხის მაგიურ-რიტუალურ დანიშნულებასაც. შუამდინარეთის ხალხების წარმოდგენით, ადამიანი თიხისგან იყო შექმნილი და არა მარტო შექმნილი, არამედ თიხად იქცეოდა სიკვდილის შემდეგ. როგორც ვარაუდობენ, თიხის ნამტვრევები წარმოად-გენდნენ ემბრიონის ნიშნებს. თიხა იყო ქალური ბუნების; თიხა მიწის ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო მიწა ქალთან იყო გაიგივებული.[2] ჭურჭელში დაკრძალვის წესის რიტუალური არსის ამო-საცნობად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ადრესამიწათმოქმედო კულტურებში დადასტურებული ის ფაქტი, რომ საწყის ეტაპზე თიხის პატარა ზომის ჭურჭლებში იკრძალებიან ბავშვები, შემ-დგომ ეპოქებში მოზრდილებიც, ხოლო უფრო გვიანდელ კულტურებში — ყველა ასაკის ადამია-ნი. გამოთქმული მოსაზრებით, ბავშვის დაკრძალვის წესი ურნებში, ქალის როლის და სიმბოლი-კის ნათელი გამოვლინებაა პირველყოფილ და შემდგომი დროის კულტურებში, და პატარა ზო-მის ჭურჭლები უშუალოდ გადმოგვცემენ ქალის ტანის ფორმას; ის განასახიერებს როგორც მთლიანად სხეულს ან მის ნაწილს, ზოგჯერ კი მუცელს.[3] რაც შეეხება კრემაციის წესს, შესაძ-ლოა წარმოიქმნა იმ იდეიდან, რომ სული კვამლთან ერთად ზეცისკენ მიდის.[4]

საკითხთან მიმართებაში საინტერესოა ეტრუსკული გამოსახულება კიუსიდან, კერძოდ, მი-ნერვას ჩაფხუტში ეგეიდასთან ერთად ორივე ხელით უჭირავს ახალშობილი პითოსს ზემოთ, საიდა-ნაც ის გამოვიდა. მინერვიდან მარჯვნივ არის ახალშობილი შუბით. ეს არის სიკვდილის ღმერთი. ახალშობილი მარი ეტრუსკულ ძეგლებში, რომაულ მარსს შეესაბამება. [5] მარსი კლასიკური ეპოქის რომში იყო ომის ღვთაება, თუმცა თავისი საწყისით აგრარული ღვთაებაა, რომელიც შემოდგომის მცენარეულობის გენიას წარმოადგენდა.[6] როგორც ჩანს, მარსი ზოგადად დაკავშირებული იყო მი-წათმოქმედებასთან, თუმცა არესის კულტთან შერწყმის შემდეგ შეიძინა მეომრული ფუნქცია. რო-მაული ახალი წლის პირველ თვეში, მარტში, ამ ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაული ეწყობო-და. ასევე აღსანიშნავია, რომ მარსის ორეულად ითვლებოდა კვირინი, რომლის სახელზეც ეწყობო-და კვირინალიები ანუ კვირინის მიმართ მსხვერპლშეწირვის რიტუალი.[7]

ქვევრში დაკრძალვის წესის გაქრობის შემდეგ მასში ისხმება წმინდა ღვინო, რომელიც ცვლის მიცვალებულს და მასთან შესრულებული ლოცვით კავშირს ამყარებს ზედა სამყაროს-თან; ნაყოფიერების ღვთაებას შესთხოვს ოჯახის და გვარის კეთილდღეობას. თავისი საწყისით კი ის აგრარულ კულთტან და სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან არის კავშირში. სი-ცოცხლის აღდგენა-განახლების იდეასთან ჭურჭელში დაკრძალვის წესის კავშირზე, ნათლად მეტყველებს ისიც, რომ ეტრუსკული მარის ახალშობილი შეესაბამება რომაულ მარსს, რომე-ლიც თავისი საწყისით აგრარული ღვთაება იყო და მისი სახელი და დღესასწაული უკავშირდება ძველი რომაული კალენდრით ახალი წლის პირველ თვეს მარტს, რაც ისევ და ისევ, „სიცოცხლის განახლებას“, „აღდგენას“, რაღაც „ახლის დაწყებას“ გვამცნობს. ფუნქციური თვალსაზრისით, მასთან ახლოს დგას ეგვიპტური ოსირისი — მარცვლეულის ეგვიპტური ღმერთი, რომელიც

---

[1] **დ. ჭითანავა,** სოციალური ორგანიზაციის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორის შესახებ არქაულ საზოგადოებაში (კერის წინაპრის და მიცვალებულის კულტთან კავშირში), გვ. 294-295, იქვე მითითებულია ლიტერატურა ამ საკითხზე.

[2] **Е. В. Антонова,** Обряды и верования первобытных земледельцев востока, გვ. 122-123, 126.

[3] **Е. В. Антонова,** Обряды и верования первобытных земледельцев востока, გვ. 107.

[4] **В. Вундт**, Миф и религия, СПБ. 1910, გვ. 210.

[5] **А. И.Немировский,** Этруски. От мифа к истории, М., 1983, გვ. 202.

[6] **Н. А. Машкин,** История древнего Рима, М., 1948, გვ. 98; Мифологический словарь, Л., 1961, გვ. 28.

[7] **Н. А. Машкин,** История древнего Рима, გვ. 98; Мифологический словарь, გვ. 113-114.

მითში პურის პერსონიფიკაციაა. ის ყოველწლიურად კვდება და ისევ აღდგება.[1] ასევე „მარი“-დან ჩანს ნაწარმოები ქართულად ღვინის სახლის აღმნიშვნელი ნაგებობის ტერმინი — მარანი, სადაც „მარე“-ბი იყო ჩაფლული. მასში ასევე ჩანს სამარის ანუ „საფლავის“ მნიშვნელობაც და ალბათ მისაღებია ის მოსაზრება, რომ „სამარე“ და მისგან ნაწარმოები კრებითი სახელი „სამაროვანი“ ისეთი ადგილის აღმნიშვნელი იყო თავდაპირველად, სადაც მიცვალებულს მარში ჩასვენებულს მარხავდნენ.[2]

საკითხთან მიმართებაში საყურადღებოა მეგრულში ქვევრის აღმნიშვნელი სიტყვა „ლა-გვანი“, რომელიც გვ=ქვ კომპლექსების იდენტურობის თვალსაზრისით ქართული „ქვევრის“ შესატყვისია და ძირეულად იდენტური სიტყვებია. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სვანურში მიწის აღმნიშვნელად გვაქვს გიმ სიტყვა (შდრ. მეგრული დიხა, ქართ. თიხა) და მეგრულში თიხის დიდი მრგვალი ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელწოდება — „გვიმი“ (გამოიყენება ჭის ზემოთ დასადგმელად), რომელიც „სიმრგვალის“ გამომხატველი სიტყვაა და თუ „ლა-გვანსა“ და „ქვევრს“ ფუძისეულად ერთი და იმავე წარმომავლობის (გვ=ქვ) სიტყვებად მივიჩნევთ, მათთან მიმართებაში საინტერესოა მეგრული კვერცხის აღმნიშვნელი სიტყვა „მარქვალი“, რომელშიც ასევე პირდაპირ ჩანს „სიმრგვალის“ სინონიმი; კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის შედგება ორი სიტყვისგან მარი-სა და ქვალ-ის ანუ გვალი-საგან (ქვევრი=ლა-გვანი), რაც ისევ ნაყოფიერების კულტს და სიცოცხლის განახლების იდეას გადმოგვცემს. მარი სწორედ ის ჭურჭელია, რომელიც ქალის ფორმას და საშოს განასახიერებს. ამავე დროს, კვერცხი ეტრუსკულ, ეგვიპტურ, ღაზას და კრეტის მინოსურ კულტურებში მრავლად არის აღმოჩენილი, და მჭიდრო კავშირშია ზოგადად მიცვალებულის კულტთან და კონკრეტულად სიცოცხლის აღორძინების იდეასთან.[3]

საკითხთან მიმართებაში, როგორც ტერმინოლოგიური თანხვედრის, ისე რიტუალური თვალსაზრისით, საინტერესოა სვანური საახალწლო რიტუალი, რომელიც სრულდებოდა ბეღლის ფუნქციის მქონე მარცვლეულისა და ფქვილისათვის გემ//გუ̈ემ-ის წინ. ასევე, სვანეთში ცხვებოდა საგანგებო რიტუალური კვერი გემ, კიდობნების გამოსახულებით — ჴულის რიტუალის დროს წარმოთქმულ სიტყვიერ ფორმულაში მოიხსენიებოდა სქესობრივი განაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაების განმასახიერებელი ბომღა, რაც მიზნად ისახავდა ბომღას ცხოველმყოფელური ძალის ბეღლისთვის გადაცემას და საერთოდ პურეულის გამრავლებას.[4] საინტერესოა, რომ სამეგრელოში, მარანში შესრულებულ მიქამგარიოს სალოცავში, რომლის სახელზეც იქ ცალკე ქვევრია ჩაფლული, ოჯახის უფროსის მიერ წარმოთქმულ ლოცვაში აშკარად ჩანს ნაყოფიერების ღვთაებისადმი ლოცვა და სიცოცხლის განახლების იდეა, რომელსაც შესთხოვს ქვევრს ოჯახის უფროსი.[5] გავრცელებული წესის თანახმად, საზედაშე საკვები (ასევე, ოხვამურისთვის განკუთვნილი ღვინო, - დ. ჭ.) აუცილებლად გლეხის მიერ მოწეული პირველი პროდუქტი უნდა ყოფილიყო. ეს ეხებოდა როგორც ღვინოს (მას საგანგებოდ ცალკე ქვევრში აყენებდნენ) ასევე პურს (ხორბალს), ერბოს („ნათავარს“ ანუ „თვეულს“), თაფლს და ა. შ.[6]

მაშასადამე, თიხის ჭურჭელი, როგორც მიწის ანუ ქალური ბუნების და ფორმის, რომელშიც თავდაპირველად იკრძალებიან ბავშვები, განასახიერებს სიცოცხლის საწყისს, სიცოცხლის განახლების, უწყვეტლობის ანუ აღდგენა-განახლების იდეას, რომელიც გადმონაშთური ფორმით ქვევრსამარხებში აისახა. ის მჭიდრო კავშირშია მიცვალებულის და წინაპრის კულტთან. ის მფარველობს ოჯახის ნაყოფიერებას, გამრავლებას, კეთილდღეობას და შეუწყვეტლობის იდეას, რაც თავის მხრივ ახალი წლის რიტუალებთან უნდა ყოფილიყო კავშირში. თავისი საწყისით ის აგრარული საქმიანობის მფარველია (ოსირისი-მარისი-მარსი=მარი), რომელსაც განასახიე-

---

[1] **Дж. Фрезер,** Золотая ветвь, М., 1984, გვ. 354.

[2] **ა. ბოხოჩაძე,** მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 156.

[3] **А. И. Немировский,** Этруски. От мифа к истории, М., 1983, გვ. 322.

[4] **ჯ. რუხაძე,** ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 179.

[5] **ნ. თოფურია,** ღვინის ზედაშეები, გვ. 169.

[6] **გ. გოცირიძე,** ზედაშეს კულტურა საქართველოში, გვ. 60.

რებს ქალის ფორმის თიხის ჭურჭელი. შემდგომში მასში ისხმება ქართველთათვის წმიდათაწმიდა სითხე ანუ ღვინო, რომელიც ოხვამერის, ზედაშეს და სხვათა სახით ბოლო დრომდე შემორჩა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას. ღვთაების განაწყენების შემთხვევაში კი ადამიანი გარკვეულ პრევენციულ ზომებსაც მიმართავდა, რაც ქვევრის დამტვრევის რიტუალში ასახა.

„მირსობა“. დასავლეთ საქართველოში დაცულია ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი, რომელსაც იხდიდნენ როგორც ოჯახში ვიწროდ, ისე გარკვეული გვარები, საგვარეულო სალოცავის ფორმით. ს. მაკალათიას ცნობით, სამეგრელოში მას „მირსობა“-ს ან „მისრობა“-ს, სვანები — „მეისარიბ“-ს, გურულები — „მოისარობა“-ს უწოდებდნენ.[1] მეგრელები მირსობას დიდმარხვის დაწყებამდე იხდიდნენ. ამ დღისთვის საგანგებოდ ასუქებდნენ ღორს, რომელსაც „ომირსე“ ეწოდებოდა. მირსობა დღეს, ხუთშაბათს (მეგრ. ცაშხა), ამ ღორს კერის გარშემო რამდენჯერმე შემოატარებდნენ და ლოცვას წარმოთქვამდნენ. ლოცვის დასასრულს ღორს დაკლავდნენ, შემდეგ დიასახლისი ოჯახის თითოეული წევრისათვის ორ-ორ მრგვალ კვერს და კვერცხს ხარშავდა, სადილის წინ ოჯახის წევრები უფროს-უმცროსობით კერასთან მდგარ ტაბაკთან მივიდოდნენ, სათითაოდ აიღებდნენ თავიანთ კვერებსა და კვერცხებს, თვალებზე მიიფარებდნენ, თვალის სიმრთელისა და ავი თვალისაგან დაცვისათვის ლოცვას წარმოსთქვამდნენ.[2] ნ. აბაკელიას მიხედვით, მირსობას, ანუ როგორც მას უწოდებს, წმ. გიორგი მოისარს, დიდმარხვის დადგომამდე დაახლოებით 24 დღით ადრე (ხორციელის კვირის ხუთშაბათს) ასრულებდნენ.[3]

ს. მაკალათიას მასალებით, საოჯახო სალოცავის გარდა მირსობის რიტუალი „ჯეგე-მისარონის“ სახელწოდებით, საგვარეულო სალოცავების სახით, უფრო სრულად და კარგად დაცულია მთიანი სამეგრელოს სოფლებში — ჯუმითში, გარახაში, ჯიხაშკარში, გეჯეთში და სხვ. ნოქალაქევის IV საუკუნის ეკლესიაც მისარონის სახელით არის ცნობილი.[4] მაგალითად, სოფელ გარახაში, სადაც რამდენიმე გვარი საერთო ხარჯით ყიდულობდა შესაწირავ ღორს, დღეობა იმართებოდა თებერვალში, ყველიერამდე ორი კვირით ადრე. ამ დღეს ომირსე ღორს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ და ჯეგე-მისარონს შესთხოვდნენ ოჯახის კეთილდღეობას. ომირსე ღორის ხორცის ჭამა დაღამებამდე არ შეიძლებოდა, მას მლოცველები ინაწილებდნენ და საღამოს ოჯახებში მიირთმევდნენ. ამ დღესვე მიდიოდნენ ჯეგე-მისარონის სამლოცველოში. სოფელ ჯიხაშკარში კი, სადაც დღესაც დაცულია მისარონ-კარის სამლოცველო, დღეობა იმართებოდა ნააღდგომევს, ახალკვირის სამშაბათს, სადაც სალოცავად მიდიოდნენ ზარანდიები, შენგელიები და ჩარგაზიები, რომელთა საგვარეულო ხატად „ჯინჯ ხატად“, ის ითვლებოდა. ხატობა დღეს, რიგის მიხედვით, ამ საგვარეულოდან ერთ-ერთი ოჯახის უფროსი მისარონ-კარზე მიიყვანდა კურატს, დაილოცებოდა გვარის კეთილდღეობაზე, შემდეგ ღორს იქვე დაჰკლავდა და ხორცს მლოცველებს გაუნაწილებდა. ღორის თავს კი გადაულოცავდა იმ მეკომურის უფროსს, რომელსაც რიგით მეორე წელიწადს ჯეგე-მისარონისათვის კურატი უნდა დაეკლა.[5] სამეგრელოში, თუ ვინმეს რაიმე უბედურება ეწეოდა ან ცეცხლისაგან ზიანი მოუვიდოდა, მირსას განრისხებით ხსნიდნენ.[6]

მირსობას სვანებიც იხდიდნენ. ისინი თავიანთ „მეᲘსარიბს“ დიდი ზეიმით ეგებებოდნენ, დღეობა თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა და ყველიერის ორშაბათს მთავრდებოდა. მეᲘსარობის მომდევნო შაბათს ზემო სვანეთში ასრულებდნენ „ლიღუმესარი“-ს რიტუალს. აცხობდნენ კვერებს და „დარეცხან დედეში“-ს (ცისას) ევედრებიან შინაური პირუტყვის მფარველობას.[7] ამ-

---

[1] **ს. მაკალათია,** ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 11.

[2] **ს. მაკალათია,** ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, გვ. 11-12.

[3] **ნ. აბაკელია**, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997, გვ. 92-93.

[4] მასალა საკმაოდ ვრცელია, ამიტომ ჩვენ მოგვყავს რიტუალის მხოლოდ ის დეტალები, რომელიც საკვლევ საკითხზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

[5] **ს. მაკალათია,** ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, გვ. 12-14.

[6] **ს. მაკალათია,** ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, გვ. 14.

[7] **ს. მაკალათია,** ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, გვ. 15-16.

გვარ სალოცავს ოჯახებში გურიაშიც იხდიდნენ და მას მოისარობას ეძახდნენ. [1] ის გურულებმა ყველიერამდე სამი კვირით ადრე შაბათს იცოდნენ, მოისარი თვალთახილვის მფარველად ითვლებოდა.[2] რაჭაში მეისარობა ქალების უქმე იყო. საღამოთი დაკლავდნენ ყვინჩილას: „სავაჟო ყვინჩილას“, სახადის, ყოველგვარი სენისაგან თავის ასარიდებლად.[3] „მეისარობა“ ლეჩხუმშიც დიდი უქმე იყო და თვალების სალოცავ დღედ ითვლებოდა.[4]

მისარონის რიტუალზე საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა აქვს ს. მაკალათიას. ავტორმა, მირსობის რიტუალი, მასში ეთნოგრაფიულად ფიქსირებულ წესებზე და ქმედებებზე დაყრდნობით — დასავლეთ საქართველოში მირსობა საზოგადოდ თვალის სალოცავია, მას ღორს სწირავდნენ, ხმარობდნენ მოხარშულ მრგვალ კვერებს, კვერცხებს და სუფთა წყალს, და რომ მას თებერვალში იხდიდნენ, ხუთშაბათ დღეს, — მითრას კულტს დაუკავშირა.[5]

მირსობას და ჯეგე-მისარონისადმი ლოცვას დასავლეთ საქართველოში ყველგან ხუთშაბათ დღეს (ცის დღეს, მეგრ. ცაშხა) არ იხდიან. ამისთვის სოფელ ჯიხაშკარში (სამეგრელო) სამშაბათი დღეა განკუთვნილი, სვანეთში — პარასკევი, გურიაში — შაბათი, ყველიერამდე სამი კვირით ადრე. მის რიტუალურ ტექსტებში ფიქსირებული ისეთი ნიუანსები, როგორიცაა თვალის ლოცვა, კვერცხი, სუფთა წყალი და ღორის შეწირვა, ვფიქრობთ, არ გვაძლევს იმის მყარ საფუძველს, რომ ის, მაინცდამაინც მითრას კულტს (მიუხედავად მითრას ატრიბუტიკასთან მისი ასეთი მსგავსებისა და ამ კულტის საყოველთაო გავრცელებისა და პოპულარობისა გვიანანტიკურ ხანაში) დავუკავშიროთ.

დღემდე მოღწეული მირსობის რიტუალის შესრულების მკაცრად დადგენილი თარიღი არ არის შემორჩენილი. თუმცა ადრე მას დადგენილი თარიღი უნდა ჰქონოდა, რომლის მივიწყება ქრისტიანული რელიგიის გავლენას უნდა მიეწეროს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სამეგრელოში მირსობას ასრულებენ დიდმარხვამდე 24 დღით ადრე. დიდი მარხვა კი აღდგომის შესაბამისად, რომელიც მოძრავი დღესასწაულია, სხვადასხვა დროს იწყება. ყველაზე ადრეული აღდგომა შეიძლება იყოს ოთხ აპრილს. ამდენად, მირსობა ყველაზე ადრე უნდა აღენიშნათ 22 იანვარს, ხოლო ყველაზე გვიან — 26 თებერვალს. დღევანდელი კალენდრით, მირსობის რიტუალის არსის და მისი შესრულების დროის განსაზღვრა ძალიან რთულია. ჩვენი აზრით, ამ რიტუალს უფრო ძველ კალენდარულ ციკლთან აქვს კავშირში და მასთან ასოცირებული რწმენა-წარმოდგენათა მთელი კომპლექსი არქაულ სახეს ატარებს. რომაული კალენდრით, რომელშიც წელიწადი ათ თვედ იყოფოდა (მხოლოდ შემდგომ ძვ. წ. VII საუკუნეში დაემატა იანვარი და თებერვალი), იწყებოდა მარტის თვით, რომელიც ჩვენი აზრით, მირსობის რიტუალთან არის კავშირში და ახალი წლის მიგებების და ბუნების აღდგომა-განახლების იდეას გვამცნობს. ქვემოთ წარმოდგენილი მასალები, ვფიქრობთ, ამის ნათელი დადასტურება იქნება.

რომაულ კალენდარში მარტის თვის სახელწოდება დაკავშირებულია პლანეტა მარსთან. კლასიკური ეპოქის რომში მარსი ცნობილია, როგორც ომის ღვთაება, რომაული სიძლიერის შემქმნელი და მფარველი, მაგრამ შორეულ დროს ის იყო აგრარული ღვთაება — გაზაფხულის მცენარეულთა გენია. მისი ორეული იყო კვირინი. რომაულ რელიგიაში ელინიზაციის პროცესი ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა. მათ შემოყავდათ ბერძნული ღვთაებები, რომელთაც თავიანთ ღვთაებებთან აიგივებდნენ. ბოლოს და ბოლოს, რომაულმა პანთეონმა საბოლოო აღიარება მიიღო თორმეტი ღვთაების სახით, რომელთა შორის იყო მარსი, რომელიც ბერძნულ არესთან გაიგივდა.[6] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სწორედ არეა, ქართულად მარიხი

---

[1] **ს. მაკალათია,** ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, გვ. 16.
[2] **ნ. აბაკელია**, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, გვ. 97.
[3] **ნ. აბაკელია,** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, გვ. 97.
[4] **ნ. აბაკელია,** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, გვ. 98.
[5] **ს. მაკალათია,** ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, გვ. 16.
[6] **Н. А. Машкин,** История древнего Рима, Л., 1948, გვ. 98, 191, 393.

(იგივე მარსი, - დ. ჭ.) „არს მეხუთე(სა) ცასა ზედა რომელსა ჭიმჭიმელი ეწოდების“.[1] არეასთვის სამშაბათი დღე იყო მიკუთვნებული. არეასი ითვლებოდა მარტის თვე.[2] აღსანიშნავია, რომ იმავე სულხან-საბასთან „არე“ „გაზაფხულად ითქმის და წელიწადის ოთხ დროს აღნიშნავს“.[3]

მირსობის რიტუალთან დაკავშირებით საყურადღებოა სამშაბათი, ანუ არეას, იგივე მარსის დღე, და მარტის თვე, რომელიც ამავე ღვთაებებისათვის იყო განკუთვნილი. სამეგრელოში, სოფელ ჯიხაშკარში, ჯეგე-მისარონის რიტუალისთვის სწორედ სამშაბათი დღეა განკუთვნილი, სადაც უძველესი წესის შენარჩუნებასთან გვაქვს საქმე. სამეგრელოში ეს რიტუალი უმრავლეს შემთხვევაში სრულდება ხუთშაბათ დღეს, ხოლო დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში პარასკევს და შაბათს. თითქოს, ჩანს, რომ ამ მხრივ მკაცრი ნორმები არ არის დადგენილი. ჩვენი აზრით, თანამედროვე რიცხვითი სახელებით კვირის დღეების სათვალავით ჩვენებამდე, როგორც ეს ხანმეტი ძეგლების მიხედვით პ. ინგოროყვამ გაარკვია, გვქონდა ორბიტების მიხედვით. სამშაბათი დღე, რომელიც მარსისთვის ანუ არიასთვის იყო განკუთვნილი, შეესაბამება ამ რიტუალის შესრულების თავდაპირველ თარიღს და განსაზღვრავს მის თავდაპირველ მნიშვნელობასაც, რომელიც მარტის თვესთან არის კავშირში, ანუ პლანეტა მარსთან. თუ ეს ასეა, შეიძლება დაისვას კითხვა, რატომ არის, რომ ჯეგე-მისარონის სალოცავი უფრო ხშირად ხუთშაბათ დღეს სრულდება. აქაც, კალენდრის შეცვლის შემდეგ ხალხურ რწმენაში გარკვეულ აღრევასთან გვაქვს საქმე. ვინაიდან ძველი რომაული კალენდრით ამ დღესასწაულისთვის განკუთვნილი სამშაბათი დღე მარსის ანუ არეასი იყო, ის ორბიტალური სათვალავის მიხედვით ეკუთვნოდა პლანეტა მარსს და მისი განლაგების მიხედვით ეკუთვნოდა მეხუთე ცას. შემდეგ, როდესაც კვირის დღეების სახელები შეიცვალა სათვალავის მიხედვით, ჯეგე-მისარონის, მირსას, ანუ მარსის, იგივე არეას დღეს, როგორც ჩანს, შეუსაბამეს ხუთშაბათი, ანუ მეხუთე დღე.

იულიუსის მიერ კალენდრის რეფორმის ჩატარებამდე, რომში ახალი წელი 1 მარტს, ანუ მარსის თვეში იწყებოდა. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მირსობის რიტუალი, როგორც ეტიმოლოგიურად, ისე სემანტიკური მნიშვნელობით, შევუდაროთ რომაული ახალი წლის რიტუალს, რომელსაც სახელწოდებების გარდა მარსი//მირსობა, კალენზე//კალანდა, აერთიანებს ამ რიტუალების საერთო სახალხო მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოს ყოფაში. კერძოდ, სვანეთში მას დიდი ზეიმით ეგებებიან და რიტუალი ორი კვირა გრძელდება; მისთვის განკუთვნილი გოჭის მოხარშვა არ შეიძლება, აუცილებლად უნდა შეინწვას, რომ სისიხლისფერი იყოს, რაც მარსის ფერთან არის გაიგივებული; ნიშანდობლივია, რომ კალანდას, რომელიც დასავლეთ საქართველოში ახალ წელს შეესაბამება, აუცილებლად ღორი ეწირება მსხვერპლად.

პ. ინგოროყვას გამოკვლევით, ძველად თვეების დასაწყისი დაკავშირებული ყოფილა ზოდიაქოს რკალთან. თითოეული თვე იწყება იმ რიცხვში, როცა მზე შედის გარკვეულ ზოდიაქოში, და ეს თვე სრულდება, როცა მზე ტოვებს ამ ზოდიაქოს. სეზონებისა და თვეების გაანგარიშებისათვის ძველ კალენდრებში ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა დღეღამსწორობას, რასაც ძველ ქართულში „ბუნიობა“ ეწოდებოდა, და წელიწადში ორჯერ ხდება: შემოდგომის დასაწყისსა და გაზაფხულის დასაწყისში. შემოდგომის დღეღამსწორობა ხდება ზოდიაქოს წრის იმ პუნქტში, როცა მზე ტოვებს ქალწულის ზოდიაქოს და გადადის სასწორის ზოდიაქოში; გაზაფხულის დღეღამსწორობა ხდება ზოდიაქოს წრის იმ პუნქტში, როცა მზე ტოვებს თევზის ზოდიაქოს და ვერძის ზოდიაქოში გადადის.[4] ამდენად, ახალი წელი ძველად უნდა დაეწყოთ ზოდიაქოს ნიშანთა გამოთვლის მიხედვით 20-21 მარტს, როდესაც არის დღე-ღამ ტოლობა, ანუ მაშინ, როცა მზე ტოვებს თევზის ზოდიაქოს და ვერძის ზოდიაქოში შედის. ვერძი (21 მარტიდან 20 აპრილამდე) სწორედ ის ასტროლოგიური ნიშანია, რომელსაც მართავს პლანეტა მარსი. მისი ასტროლოგიური სიმბოლოა ცხვარი. ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ ძველ ქართულ წარმართულ კალენდარში თე-

---

[1] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, I, გვ. 61-62.

[2] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, I, გვ. 62.

[3] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, I, გვ. 62.

[4] **პ. ინგოროყვა,** თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 2012, გვ. 42, 44.

ბერვალს ეწოდებოდა მიჰრაკანის თვე, რომელიც ავტორის სპარსულიდან შეთვისებულად მიაჩნია.[1] მაგრამ, თებერვლის თვესთან მიჰრაკანის გაიგივება მთლად სწორი არ არის. მიჰრაკანის, ანუ მირსას თვე, რომლის თავდაპირველი სახელწოდებაა „მარიალი“, იწყებოდა 19 თებერვალს და 20 მარტს მთავრდებოდა. ამავე დროს, პ. ინგოროყვას კვლევით გამოჩნდა, რომ „მარიალის“-თვის სახელწოდება „მიჰრაკანი“, გვიან არის შემოსული ირანულიდან და ნიშნავს მითრას თვეს, რომლის შეთვისება არ უკავშირდება მითრას კულტის არქაულ ისტორიას, არამედ იგი დაკავშირებულია უფრო გვიანი ეპოქის მოვლენებთან, მითრაიზმის ირანულ სახეობასთან.[2] სულხან-საბას განმარტებით, სწორედ მარტის სახელწოდებაა მირკანი, ასევე „ნისანი და ფამენოთი(ს), რომელსა პირველად ტრიმონ ეწოდებოდა“. ჩვენს საკითხთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სულხან-საბასავე განმარტებით, მირკანი არის არეას თვე.[3] სწორედ რომ მირკანის, არეას (იგივე მარსის) ანუ მირსობის თვის დასასრული 20-21 მარტი არის დღეღამტოლობა, ანუ იწყება ახალი ასტროლოგიური წელი. გამომდინარე აქედან, არ არის გასაკვირი, მირსობის რიტუალის მარტის თვეში აღნიშვნა, რომელიც ძველად რომაული ახალი წელი იყო და ის უკავშირდება ბუნების განახლება-აღორძინების იდეას, ერთგვარ შემზადებას მომავალი წლისადმი, რაც სათანდოდ, არაერთდღიანი რიტუალებით აღინიშნება და მისი ანალოგიური ნიშნების დანახვა შეგვიძლია ახალი წლის მიგებების რიტუალში.

მარტის თვესთან და მირსობასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ხალხური საგაზაფხულო დღესასწაული სამეგრელოში „დოდგიმირის“ სახელწოდებით. ის გამიზნული იყო მოსავლის დოვლათიანობისათვის. ყველიერის წინა კვირას, ხუთშაბათ საღამოს, მსხვერპლად სწირავდნენ კურატს, რომელსაც ამ მიზნით ასუქებდნენ და „ოკაპუნეს“ უწოდებდნენ. „ოთხშაბათ საღამოს ოჯახის უფროსი ოკაპუნე ღორს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო შენ სახელ დალოცვილო კაპუნია, ჩემს ოჯახს მრავალი ეს დღე მხიარულად გაუთენე, მოგვეცი საქონლის სიმრავლე, ოჯახის დოვლათიო“ და სხვ. შემდეგ იგი ღორს კერის ბუკზე დაკლავდა ისე, რომ მისი სისხლი ზედ კერაზე დაღვრილიყო. ოთხშაბათს ღორის ხორცს მოხარშავდნენ, დაკლავდნენ მამალს და გამოაცხობდნენ ყველიან კვერებსაც. ხუთშაბათ დილას ოჯახის უფროსი მამაკაცი გამომცხვარ კვერებს, ღორისა და მამლის თავს, ღორის გულ-ღვიძლს დაალაგებდა ხონჩაზე, გარშემო მიაკრავდა ანთებულ სანთლებს და დადგამდა კერის პირას, შემდეგ დაიჩოქებდა, ხონჩას სამჯერ მარჯვნივ მოაბრუნებდა და დაილოცებოდა:

„ღმერთო ბატონო, დღევანდელი ხუთშაბათი
შენ შეგვარიგე, ვლოცულობ დოდგიმირს,
შენ დამიცავი ყოველივე ცუდისაგან ცოლი
და შვილი, ბევრი დოდგიმირის ლოცვა
დამაცადე გულმხიარულად“-ო.

ლოცვის დასასრულს ოჯახის უფროსი და ოჯახის წევრები სათითაოდ მივიდოდონენ გობთან, დაიჩოქებდნენ, გადაივლებდნენ თავზე საკმეველს და იქვე ნაკვერჩხალზე დაწვავდნენ. ლოცვის გათავებამდის ღორის ხორცის ჭამა აკრძალული იყო, შემდეგ სუფრას გაშლიდნენ და სადილად დასხდებოდნენ. დოდგიმირის ხორცს მარტო ოჯახში მყოფნი სჭამდნენ, ოჯახის უფროსი კი მარტო ყიყვსა და კვერებს შესჭამდა, გარეშე პირს, თუგინდ ნათესავიც ყოფილიყო, მის ხორცს არ აჭმევდნენ. გამონაკლისი იყო მხოლოდ შემოსწრებული სიძე, რომელსაც ეჭმეოდა დოდგიმირის ხორცი. გათხოვილი და ოჯახიდან წასული ქალი მის ხორცს არ სჭამდა. ამ წესს სასტიკად იცავდნენ და თუ კაპუნობა დღეს ოჯახს ვინმე უცხო ესტუმრებოდა, მასპინძელი მას ზურგზე აიკიდებდა და ხმის გაუცემლად (მუნჯად) თავის ეზოს ღობიდან გადასვამდა. ამას გარდა, დოდგიმირის ხორცს ქალები ხშირად გაძღომამდე ჭამდნენ, რადგან მათი რწმენით, ვინც მეტს სჭამდა ამ ღორის ხორცს, მას ბევ-

---

[1] **ს. მაკალათია,** ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, გვ. 17; **პ. ინგოროყვა,** ძველ-ქართული წარმართული კალენდარი// *საქართველოს მუზეუმის მოამბე*, ტ. VI, თბ., 1931, გვ. 438.

[2] **პ. ინგოროყვა,** ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, გვ. 115, 117.

[3] **ს.-ს. ორბელიანი,** ლექსიკონი ქართული, I, გვ. 442.

რი აბრეშუმი მოუვაო. ცდილობდნენ დოდგიმირის ხორცი სამ დღეში შეეჭამათ, თუ გადარჩებოდა — ღორს ამარილებდნენ, რომ იგი რამემ არ დასუნოსო“.[1]

ი. ყიფშიძის ცნობით, კაპუნია კერპის სახელია, რომელიც ადრე აღმართული ყოფილა დღევანდელი მარტვილის მონასტრის ადგილას. იგი თუჯისაგან ყოფილა დამზადებული, რომელსაც ადამიანის ფორმა ჰქონია. ამ კერპს პირი ჰქონია დაღებული, რომელშიც ქურუმები ცოცხალ ბავშვებს დებდნენ შესაწირად; ავტორისავე ცნობით, ამჯერად კაპუნობა დღესასწაულია, რომელიც დიდმარხვის დადგომამდე 10 დღით ადრე სრულდებოდა. ამ დღესასწაულს ეწირებოდა სპეციალურად გასუქებული ღორი ოკაპუნე და წარმოთქვამდნენ ისეთივე ლოცვას, როგორც მირსობაზე.[2] აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნის თეატინელი მისიონერის დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის ცნობით, მეგრელები ახალი მთვარის პირველ ორშაბათს, ანუ ახალ ორშაბათს, „კაპონობას“ უწოდებდნენ. „კაპუნობა“ აღნიშნავს დღეს, როდესაც დაჰკლავენ და ჭამენ ყვერულებს. თითოეული [ოჯახი] ერთ ყვერულს ზრდის, თანაც ძალიან კარგად [ასუქებს]; როცა ეს დღე დადგება, ყვერულს დაჰკლავენ, რამდენიმე ლოცვას იტყვიან და თითოეული თავის ყვერულს ისე ჭამს, რომ სხვას არ უწილადებს“.[3]

XII საუკუნეში ქართულად ნათარგმნ და 1188 წელს გადაწერილ ასტროლოგიურ თხზულებაში ჩვენთვის საინტერესო რიტუალთან (კაპუნობა — მირსობა) მიმართებაში მნიშვნელოვან დეტალს ვპოულობთ. კერძოდ, აქ კენტი რიცხვების ეტლები (ვერძი, ტყუპები, ლომი და სხვ.) მამლად არის მიჩნეული, წყვილი რიცხვებისა — დედლად.[4] აქ, ისევე, როგორც რუსთაველის ვეფხისტყაოსანში, „ეტლთა“ მწყობრი სისტემაა მოცემული, სადაც მნათობთა თანმიმდევრობა იწყება დედამიწიდან ყველაზე უშორესი ეტლით და მთავრდება უახლოესი მნათობით.[5] აქ მარიხისთვის (იგივე მარსი, ანუ არეა, - დ. ჭ.) განკუთვნილია მეხუთე ცა. მის სახლში არის ვერძის ზოდიაქოს ნიშანი, რომელიც ამ ნათარგმნ თხზულებაში ასეა დახასიათებული: „ვერძისა ბურჯი ცეცხლისაჲ არს და დღისაჲ არს და მხურვალი და ხმელი არს. მამალი არს და აღმოსავლეთისაჲ არს და მარიხისა სახლი არს და მზისა შარაფი არს, გრილი არს [და საპა]ტიოდ ნებითა საჯდომი არს, ჴელმწიფეთა და მოლაშქრეთა ბურჯი არს და ოცდაათი დარა[ჯაჲ] არს და თუითო დარაჯაჲ სამოცი დაყიყაჲ არს და რაჲ მზე პირველსა დარაჯასა მოვიდეს, დღე და ღამ ... და სამშაბათი დღე მისი არს.

ხელისუფალთაგან არის მჭედელი და მექონდრაქე (რომლისა თარგმანი არს „კასაბი“) და მჭედელი რვალისაჲ და ჰაჯამი. და ხეთაგან რაჲცა მაღალია, და რკინაჲ და ტყჳვაჲ მისი არს. და ოდეს მზე ამას ბურჯსა შიგან იყოს, [ადრე] აღმოჰჴდების და გჳანად [ჩ]აჰჴდების. და ფერთაგან თეთრი წითლად გამოსჭჳრდეს, მისი არს...

ესე ვერძისა ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ნაწილი მარიხისაჲ არს, მეორე მზისაჲ არს, მესამე მთიებისაჲ არს. ვინცა ათ დარაჯამდის იშვას, მარიხისაჲ არს; ვინცა ოც დარაჯამდის იშვას, მზისაჲ არს, და ვინცა ოცდაათ დარაჯამდინ იშვას, მთიებისაჲ არს...“.[6]

ამის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მირსობის რიტუალის ცალკეული ნიშნების შედარება, როგორც მარსის, იგივე არეას და მარიხის თვის ასტროლოგიურ ნიშნებთან, რომლის სახლშიც იმყოფება სწორედ მარტის თვეში მყოფი ვერძის — რიგითობით პირველი ზოდიაქოს ნიშანი: კაპუნობის რიტუალის შემთხვევაში შესაწირია ყვერული, ან მამალი. იგივე გვგონია ვერძის სახლში მყოფი მარიხის, ანუ მარსის სიმბოლო მამალი; მირსობის რიტუალი

---

[1] **ნ. აბაკელია**, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, გვ. 100-101.

[2] **ი. ყიფშიძე**, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ. 456.

[3] **დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი,** რელაცია საქართველოზე (XVII საუკენე). *იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მ. პაპაშვილმა და ზ. გამეზარდაშვილმა,* თბ., 2014, გვ. 28.

[4] ეტლთა და შჳიდთა მნათობთათჳის, ასტროლოგიური თხზულება XII საუკუნისა. *გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო აკაკი შანიძემ,* თბ., 1975, გვ. 7.

[5] **გ. თევზაძე,** რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 1984, გვ. 100; **დ. ჭითანავა,** თეონიმ ,,ალერტი“-ის ეტიმოლოგიისათვის, *კრებ. საქართველო და ქრისტიანობა*, თბ., 2001, გვ. 118.

[6] ეტლთა და შჳიდთა მნათობთათჳის, გვ. 16-17.

ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ უკავშირდება მებრძოლ ღვთაებას ჯეგე-მისარონს, ანუ წმ. გიორგი მოისარს. ასეთივე ფუნქცია გააჩნია მარიხს, ანუ იგივე მარს-არეას, რომელიც ამ ასტროლოგიური თხზულების მიხედვით „ხელმწიფეთა და მოლაშქრეთა ბურჯი არს“, რომლის სიმბოლოა ხმალი და ფარი; აღსანიშნავია ვერძის და მარიხის კიდევ ერთი მნიშვნელობა, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ის „ხელისუფალთაგან არის მჭედელი და მექონდრაქე (რომლისა თარგმანი არს „კასაბი“) და მჭედელი რვალისაჲ და ჰაჯამი“.

ო. ლორთქიფანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კოლხეთში არესის კულტის წარმოჩინების საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ ბერძენი მწერლის პავსანიის ცნობით: სპარტიდან თერაპნამდე „რამდენი ტაძარიც კია აგებული ამ გზაზე, მათში ყველაზე უძველესია არესის ტაძარი. არესის ქანდაკება კი, ამბობენ, აქ დიოსკურებმა მოიტანეს კოლხთა ქვეყნიდანო. არესს ეძახიან თეროს სახელისაგან. ამბობენ, იგი არესის ძიძა იყოო. სრულიად შესაძლებელია, რომ კოლხებისაგან გაიგონეს და ეძახდნენ თერიტეს, ვინაიდან ელინებმა არ იციან არესის ძიძად თერაო“. ეს თვალნათლივ მოწმობს არესის კულტის პოპულარობას კოლხეთში, მაგრამ, აღნიშნავს ო. ლორთქიფანიძე, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ომის ბერძნული ღვთაების — არესის კულტი იყო კოლხეთში. ცნობილია, რომ თუ ძველი ბერძნები უცხო ხალხების რელიგიური კულტების აღწერისას, ესა თუ ის ღვთაება ფუნქციონალურად და გარეგნული თვისებებით ამჟღავნებდა მსგავსებას ამა თუ იმ ბერძნულ ღვთაებასთან, მაშინ მას ამ ღვთაების ბერძნული სახელით მოიხსენიებდნენ. ასე რომ, სავსებით აშკარაა, განაგრძობს ავტორი, არესის სახელით კოლხეთში იხსენიება ადგილობრივი ღვთაება ომიანობისა. იქვე მოჰყავს ივ. ჯავახიშვილის ქართული წარმართული კალენდრის ანალიზი, სადაც ყურადღებაა გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ სულხან-საბა ორბელიანის ცნობით, ქართულ სამწერლობო ენაში სამშაბათი დღის აღმნიშვნელია „არიასი“, რომელიც აშკარად ბერძნულ „არესს“ და რომაულ „მარსს“, ე. ი. ომის ღმერთს შეესატყვისებაო. ო. ლორთქიფანიძის აზრით, უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში დიალექტური ფორმები: სამშაბათი მეგრულად „თახაშხად“ იწოდება, სვანურად – „თახაშ“. ამავე დროს, ჭანურში ოთხი სახელწოდებაა დადასტურებული: „ერკინაჩხა“, „ეკინაჩხა“, „ტიკინაჩხა“, „იკინაჩხა“. ივ. ჯავახიშვილი მეგრულ „თახა-შ-ხა“ და სვანურ „თახა-შ“ სიახლოვის გამო სამშაბათი დღის სახელში სავედრებელი ღვთაების სახელად „თახა“-ს მიიჩნევს, ხოლო ჭანურში შემონახული ოთხი სახელიდან აღადგენს უძველეს ფორმას: „ტერკინ//ტარკუნ“. ამ უკანასკნელს, ავტორი, უკავშირებს ომიანობის ღვთაების ხეთურ სახელს „ტარხონ“-ს. ამავე დროს ადასტურებს მსგავსი სახელების გავრცელებას ქართულ სინამდვილეშიც და ასკვნის: „სამშაბათი“ ქართველს ერს ღვთაება „ტარხონ“, „თარხონ“ ან „თარხო“-სთვის ჰქონია განკუთვნილი, რომელიც მარსის ანუ არიას შესატყვისად იყო მიჩნეული. „თახა“ ამ სახელის თუმც მერმინდელი, მაგრამ მაინც საკმაოდ ძველი ფორმა უნდა იყოს“.[1] ო. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ქართულ წარმართულ კალენდარში ერთი დღე – სამშაბათი, ომიანობის ღვთაების სავედრებლად იყო განკუთვნილი, რაც მოწმობს ამ ღვთაების კულტის ფართოდ გავრცელებას ძველ საქართველოში. არგონავტების შესახებ მითშიც კოლხეთში „არესის ჭალაკის“, „არესის ველის“, „არესის ტაძრის“ მოხსენიება ოქროს საწმისთან კავშირში სრულებით არაა შემთხვევითი. ასევე არ უნდა იყოს შემთხვევითი ისიც, რომ ოქროს საწმისი, არესის ჭალაკი, მუხის ხეზე იყო ჩამოკიდებული: მუხა ძველთაგანვე ქართულ ტომებში წმინდა ხედ იყო აღიარებული.[2]

აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკის მიხედვით, აიეტ მეფე „არესს ედრება ღონით, დიდებით, მქუხარე ხმითა“.[3] ამავე ნაწარმოების მიხედვით, „ღმერთმა ჰეფესტომ აიეტ მეფეს ... სპილენძის ფეხებიანი მძლავრი ხარები გამოუჭედა ... გამოუჭედა რვალის გუთანი, მტკიცე,

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორია, თბ., 1950, გვ.

[2] **ო. ლორთქიფანიძე**, არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986, გვ. 108-109.

[3] **აპოლონიოს როდოსელი,** არგონავტიკა. *თარგმანი და შესავალი წერილი აკაკი გელოვანისა. რედაქცია, ნარკვევი, შენიშვნები და საძიებელი აკაკი ურუშაძისა,* თბ., 1975, გვ. 113.

მთლიანი, და ესე აჩუქა“.[1] ვფიქრობთ, რომ ეს მოტივი კოლხეთის სამეფოს მარიხის ანუ მარსის სახლში ვერძის ნიშნის ქვეშ მყოფი ასტროლოგიური სიმბოლოს მფარველობაზე მიუთითებს, რომელიც ასტროლოგიური თხზულების მიხედვით სწორედ „ხელისუფალთაგან არის მჭედელი და მექონდრაქე (რომლისა თარგმანი არს „კასაბი“) და მჭედელი რვალისაჲ და ჰაჯამი“. ასევე, აიეტ მეფე სწორედ რომ არესის ჭალას ახვნევინებს იასონს; ცეცხლისმფრქვეველი ხარებით მიწის მოხვნა, ვფიქრობთ, სიცოცხლის აღდგენა-განახლების იდეას გვამცნობს.[2] არესი, ჩვენი აზრით, იგივე მარსია და მისი გაიგივება გაზაფხულის ღვთაება მირსობასთან, რომელიც ასევე ბუნების განახლებას, ახალი წლის ათვლას უკავშირდება, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით მიზანშეწონილად მიგვაჩნია. არესი ბერძნებში იყო ომის ღმერთი, რომელიც გაიგივებული იყო იმავე ფუნქციის რომაულ ღმერთ არესთან. თუმცა ის საბერძნეთში ნაკლებ გავრცელებული იყო, რაც მის არაბერძნულობაზე და პირველ რიგში აღმოსავლურ საწყისებზე მიუთითებს.[3] ამავე დროს, თავდაპირველი ფუნქციით, ის არ იყო ომის ღმერთი, რამდენადაც მასთან გაიგივებული მარსი თავისი საწყისით აგრარული ღვთაება იყო, რომელიც შემოდგომის მცენარეულობის გენიას წარმოადგენდა.[4] ოლიმპიურ მითოლოგიაში არესი ითვლება ზევსის შვილად და ცხოვრობდა ოლიმპოზე, ანუ ის იყო ხართან გაიგივებული ღვთაების – ანუ ზევსის შვილი.[5]

ნიშანდობლივია, რომ აიეტ მეფე აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკაში მოხსენიებულია, როგორც მზის ღვთაების შვილი: „ჰელიოს ღმერთის შვილად იტყვიან ძლევამოსილი კოლხეთის მეფეს, და მზის ღვთაების შვილის გარშემო ცხოვრობს კოლხების ურიცხვი ტომი. თვით აიეტი არესს ედრება ღონით, დიდებით, მქუხარე ხმითა“.[6] XII საუკუნის ასტროლოგიური თხზულების მიხედვით, „ესე ვერძისა ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ნაწილი მარიხისაჲ არს, მეორე მზისაჲ არს, მესამე მთიებისაჲ არს. ვინცა ათ დარაჯამდის იშვას, მარიხისაჲ არს; ვინცა ოც დარაჯამდის იშვას, მზისაჲ არს, და ვინცა ოცდაათ დარაჯამდინ იშვას, მთიებისაჲ არს...“.[7] ვფიქრობთ, აქედან ჩანს აიეტის დაბადების ეტლი და ის ღვთაება, რომელსაც ძველი კოლხები თაყვანს სცემდნენ. ეს არის ვერძი, რომელიც იმყოფება მზის სახლში, ხოლო მთლიანობაში მისი წარმმართველი პლანეტაა მარსი, ანუ მარიხი. სწორედ რომ არესის ტაძარში, იმავე არგონავტიკის მიხედვით მიჰყავთ ცხვრები (იგივე ვერძი — ოქროს საწმისის სიმბოლო), რომელსაც მსხვერპლად კი არ სწირავდნენ, არამედ მათი მეშვეობით „ღია ტაძრის“ (დაუხურავი) საკურთხეველში წრეს კრავდნენ და არესს აძლევდნენ აღთქმას.[8]

ამდენად, მირსობის რიტუალი დაკავშირებულია ახალი წლის მიგებებასთან, რომელიც უკავშირდება პლანეტა მარსს, რომაული კალენდრით, ახალი წლის პირველ თვეს — მარტს.

„რაკუტიას“ რიტუალი. მევენახეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს შორის სამეგრელოში ჩვენს მიერ ჩაწერილ იქნა „რაკუტიას“ სახელწოდების რიტუალი, რომელიც ამ სახით სრულდებოდა: „ოჯახის უფროსი შევიდოდა მარანში ჯოხით ხელში, დადგებოდა საწნახელთან და ჯოხის საწნახელზე მირტყმით ასეთ სიტყვებს წარმოთქვამდა — „რაკუტია-რაკუტია, ჩქიმი ოჭინახუ ებშა რე დო მეზობელეფიში ცარიელი“ („რაკუტია-რაკუტია ჩემი საწნახელი ყურძნით სავსე მეზობლების (ან რომელიმე გვარს ასახელებდა) ცარიელი“-ო). ამ დღეს აცხობდნენ ღვეზელს და დაკლავდნენ მამალს.

---

[1] **აპოლონიოს როდოსელი,** არგონავტიკა, გვ. 123.

[2] იხ. **ლ. ბითაძე, დ. ჭითანავა, შ. ლალიაშვილი, თ. ზუბიაშვილი, ე. ყვავაძე,** ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით, თბ., 2011.

[3] ზოგიერთი მოსაზრებით ის თრაკიული წარმოშობის ღვთაებაა, იხ. Античная мифология, М. 2005, გვ. 589.

[4] Мифологический словарь, 1961, Л., გვ. 28.

[5] Античная мифология, М., 2005, გვ. 590.

[6] **აპოლონიოს როდოსელი,** არგონავტიკა, გვ. 113.

[7] ეტლთა და შჳდთა მნათობთათჳის, გვ. 16-17.

[8] **აპოლონიოს როდოსელი,** არგონავტიკა, გვ. 112.

ზემოთ აღწერილი ქმედების იდენტური უნდა იყოს ს. მაკალათიას მიერ აღწერილი საახალწლო რიტუალი, რომლის სახელწოდებას ავტორი არ აფიქსირებს. კერძოდ, ს. მაკალათიას აღწერილობით, „ახალ-წელიწად დილას მეკვლე პირველად შევიდოდა მარანში, სადაც ეკიდა გიდელი საახალწლო კვერებით, ჩამოიღებდა იმ გიდელს, საწნახელს მიარტყამდა და დაიძახებდა: „ჩქიმი მამული ხარგელია, შხვაშ მამულს ფურცელია“-ო (ჩემი მამული ჭირნახულით დაზვინული, სხვისი კი აჩალულიო). ზოგან, სადაც ვაზი ხარობდა, იტყოდნენ: „ჩქიმი ღურძენი ტიანია, შხვაშ ღურძენს ფურცელია“-ო (ჩემი ვაზი მტევნიანი, სხვისი ფართო ფოთოლიანიო). ამის შემდეგ საწნახელს მივარდებოდნენ, ბავშვები ურტყამდნენ მას ჯოხებს და იმეორებდნენ მეკვლეს სიტყვებს. მარნიდან მეკვლე კვერებით მივიდოდა საღორესთან და იქ დაილოცებოდა ღორების გამრავლებაზე. დასასრულს, ამ კვერებს მაღლა აისროდა, ბავშვები კვერებს აკრეფდნენ და ვინც მეტს გაიტაცებდა, იმ წელიწადს იგი გამარჯვებული იქნებოდა.[1]

მოცემული რიტუალის აღწერილობიდან ჩანს, რომ ადამიანი ამ ქმედებით ცდილობდა ვაზის ნაყოფიერებისთვის და, შესაბამისად, საწნახელის „სისავსისათვის“ შეეწყო ხელი. ზოგადად, რელიგიურ-რიტუალური ქმედების კუთხით მიწათმოქმედებასთან თუ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა რიტუალი სწორედ ბარაქიანობა-გამრავლებასთან და ნაყოფიერებასთან არის დაკავშირებული, თუმცა ამ რიტუალის შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიქცია თვით მისმა სახელწოდებამ („რაკუტია“). ვფიქრობთ, „რაკუტიას“ რიტუალი კონკრეტულად კავშირს პოულობს მევანახეობასთან დაკავშირებულ ბერძნულ ჩვეულებასთან. სახელწოდება „რაკუტია“-ს იდენტურად მიგვაჩნია ბერძნული „არქტოსი“, რომელიც დაკავშირებულია დიდი დათვის თანავარსკვლავედთან, თვით არქტოსი კი კალისტოს მითს უკავშირდება.[2] ძველბერძნულ სამიწათმოქმედო რიტუალებში არქტურას ამოსვლა გვაუწყებდა გაზაფხულის შემოსვლას და ვაზის შეჭრის დასაწყისს, ხოლო იგივე არქტურას ჩასვლა ვაზის მოსავლის აღების დროს.[3]

აღსანიშნავია, რომ დიდი დათვის თანავარსკვლავედი (ლათ. Ursa Major), რომელიც ცის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს შვიდი ვარსკვლავისაგან იქმნება, წააგავს სახელურიან ჩამჩას. დიდი დათვის ხილვადობის ყველაზე უკეთესი პირობებია მარტსა და აპრილში, თუმცა ის, როგორც ჩაუვალი თანავარსკვლავედი, წლის ნებისმიერ დროს მოჩანს.[4]კალისტო არის ბერძნული ნიმფა, რომელიც ეჭვიანმა ჰერამ (ბერძნებამდელი ღვთაება), გადააქცია ძუ დათვად (სხვა მითის მიხედვით ეს გააკეთა ზევსმა, რომ კალისტო დაემალა ჰერასაგან). არტემიდამ მოკლა ძუ დათვი. ზევსმა კი კალისტოს მისცა უკვდავება, გადააქცია რა ის თანავარსკვლავედად, დიდი დათვის თანავარსკვლავედად.[5]

თვით ეს ღვთაებები მითოლოგიური თვალსაზრისით ცალკე კვლევას მოითხოვს, ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ სემანტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, მეგრული „რაკუტია“ და ბერძნული „არქტოსი“ იდენტურია, რომელიც მევენახეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ასტროლოგიური ცოდნის გამოყენებაზე მიუთითებს. ის „რაკუტიას“, ანუ არკტოსის სახით მოსავლიანობის და „სისავსის“ ასოციაციას იწვევდა, შესაძლოა დიდი დათვის თანავარსკვლავედის, ანუ ჩაფის ფორმის გამოც. მისი ცაზე მთელი სიკაშკაშით გამოჩენა ნიშნავდა მევენახეობასთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყებას, ხოლო შედარებით მკრთალი ნათება მის დასრულებას. ის ჩაფის ფორმით, რომელიც შეკრული და სავსეა, სწორედ „სისავსეს“ განასახიერებს. ზოგადი მსგავსების თვალსაზრისით, ის იმავე ნიშნის ღვთაება-ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო ეგვიპტელთათვის სირიუსი და მისი მსგავსნი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა აგრარულ საქმიანობასთან დაკავშირებულ რიტუალებშია ცნობილი.

---

[1] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 297.

[2] Мифологический словарь, Л., 1961, გვ. 95.

[3] **Б. Л. Богаевский,** Земледельческая религия Афин, т. I, Петроград, 1916, გვ. 65

[4] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, თბ., 1978; Большая советская энциклопедия, т. III, М., 1970.

[5] Мифологический словарь, გვ. 111.

მევენახეობა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. მევენახეობას საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, მათ შორის სამეგრელოშიც, უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ივანე ჯავახიშვილის, ერმილე ნაკაშიძის, მაქსიმე რამიშვილისა და სხვათა კვლევებით დგინდება, რომ სამეგრელოში ვაზის სამოცამდე ენდემური ჯიში იყო გავრცელებული, მათ შორის: დღუნდღუში, ეგურძგური, ვერნახი, კვაწახურა, კოლოში, კაჭიჭი, კიკაჩა, კერთოლი, კუტალა, მახვატელი, მაჭყვადინა, მუხიშხა, პანეში, საკუმა, სამაჭრო, ოფოფი, ოქონა, პუმპულა, უგვარო, ჩხინკილოური, ჩხუში, ჩიჩქიში, ჩერგვალი, ჩეჭიფეში, ჩეში, ჩეკოლოში, ჩეხარდანი, ჭვიტილური, ჭოდი, ჭუბერი, ხემხუ, ხოჯიშთოლი, ჯინეში და სხვ.[1]

სამეგრელოში მევენახეობის კულტურაზე და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებზე ცნობებს ვხვდებით ქართულ წერილობით წყაროებსა და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოდიშში იყო ,,ვენახნი მაღალნი, ღვინო მსუბუქი და კარგი. აქა არს ღვინო ზარდაგი, ფერისთვის ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა".[2] სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ,,ზერდაგი" განმარტებულია როგორც ყვითელ-შავი.

ფრანგი იუველირი და ვაჭარი ჟან შარდენი, საინტერესო ცნობებს გვაწვდის სამეგრელოში მევენახეობის კულტურასთან დაკავშირებით. ის წერს, რომ სამეგრელოში იცოდნენ საუცხოო, მაგარი და ბლანტი ღვინო, რომელიც მეტად სასიამოვნო იყო სასმელად და კუჭისთვისაც მარგებელი; მისივე ცნობით, მთელ აზიაში უკეთესს ვერაფერს დალევდი.[3] სამეგრელოში მევენახობის კულტურაზე ცნობები დაცული აქვთ ასევე არქანჯელო ლამბერტის, კრისტოფორო დე კასტელის, ედუარდ აიხვალდს, კორნელი ბოროზდინს, ჟიულ მურიეს, ჯუზეპე ჯუდიჩეს, კარლ კოხს და სხვ.

კორნელი ბოროზდინის ცნობით, სამეგრელოში რთველს გიორგობის თვეში იწყებდნენ. ყურძენს რაც უფრო გვიან დაკრეფდნენ, მით უფრო კარგი ღვინო დგებოდა. ოჯალეშს ქრისტეშობა გასულს ან იანვრის დამდეგს კრეფდნენ. ყურძენს ცაცხვის ხისგან გაკეთებულ საწნახელში ყრიდნენ, ფეხით გაჭყლეტდნენ და ტკბილს ასადუღებლად შიგ ტოვებდნენ. შემდეგ, მეორედ გაჭყლეტდნენ, ხელახლა ადუღებდნენ, მესამეჯერ გაჭყლეტის შემდეგ ტკბილს საწნახელიდან ხრიკათი ამოიღებდნენ და ქვევრში ასხამდნენ. ჭაჭა ცაცხვის საწნახელიდან ქვის საწნახელში გადაჰქონდათ და საქაჯავით (ხარხიმით) ხელახლა გაწურავდნენ; ჭაჭისგან გამოწურული სქელი ტკბილით ავსებდნენ ქვევრებს, თავს მაგრად მოუკრავდნენ ბლის ქერქით და მიწით მოუგოზავდნენ. გაზაფხულზე, დუღილ გათავებულ ღვინოს სხვა ქვევრში გადაიღებდნენ და ამით მთავრდებოდა ღვინის დაყენების მთელი პროცესი.[4]

XIX საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში ვაზს გაუჩნდა ავადმყოფობა ნაცარი, რომელიც შემოტანილ იქნა ევროპიდან და ყირიმიდან ვაზთან ერთად. ნაცარმა გურია-სამეგრელოს მევენახეობა თითქმის სრულად გაანადგურა და ადგილობრივი ჯიშების ნაცვლად მოსახლეობამ იზაბელა (ადესა) გააშენა, რომელსაც ნაცარი და ჭრაქი არ ეკარებოდა. ამიტომ ადესა მოკლე ხანში ერთობ გავრცელდა.[5] ამ ამბავს ეხმიანება 1890 წელს გაზ. ,,ივერიაში" გამოქვეყნებული სტატია, სადაც ვკითხულობთ: ,,ამ ორმოცი წლის წინათ ქუთაისის გუბერნიაში პირველი ადგილი ღვინის წარმოებაში სამეგრელოსა და გურიას ეჭირა. მეგრელები და გურულები იმერულ ღვინოს დაცინვით ,,გიდლის ღვინოს" ეძახდნენ და თავი მოსწონდათ ,,ოჯალეშის", ,,კოლოშის", ,,ჯანისა" და სხვა ღვინოებით; ბედმა უღალატა მეგრელებსა და გურულებს და დღეს იმ ,,გიდ-

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი**, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნ. **ივ. ჯავახიშვილი**, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბ., 1986; **ე. ნაკაშიძე**, მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში, ტფ., 1929; **მ. რამიშვილი**, საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1970.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 782.

[3] **ჟ. შარდენი**, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 110-111.

[4] **კ. ბოროზდინი**, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 17.

[5] **ე. ნაკაშიძე**, მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში, გვ. 7.

ლის ღვინოში“ ფუთში 4 და 5 მანეთს აძლევენ და თვითონ, უსიამოვნო ,,იზაბელას“ გარდა, აღარა მოსდით რა“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში მევენახეობა XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან თითქმის სრულად განადგურდა, მევენახეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები არ წაშლილა ადგილობრივთა ხსოვნიდან და მათმა ნაწილმა დღემდე მოაღწია.

იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ცნობით, სამეგრელოში კარის ეკლესიის არქონის შემთხვევაში ჯვრისწერა და ნათლობა მარანში ხდებოდა, რადგან მარანი წმიდა ადგილად იყო მიჩნეული.[2] მსგავსი ფაქტი დავაფიქსირეთ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. მთხრობელთა თქმით, ჯვრისწერიდან დაბრუნებული ნეფე-დედოფალი დასალოცად მარანში შეჰყავდათ.

სამეგრელოში მევენახეობასთან დაკავშირებული შემდეგი რიტუალიც იყო გავრცელებული: ახალ წელს, სადილის შემდეგ, დიასახლისი ამზადებდა „კირუკარუს“. ეს იყო პური-კვერი, რომელზეც გამოსახული იყო ყურძნის მტევნები, ხელის წისქვილი, ბარი, ბაგა, ჩამური, ღორი და კრუხი. რიტუალური პურები ვაზის მოსავლიანობასთან იყო დაკავშირებული. ამ კვერებით ოჯახის უფროსი ვენახს ახალ წელს ულოცავდა და მას სწირავდა.[3] მამალი მზისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ ითვლებოდა. მზე ზემოქმედებას ახდენდა მცენარეულობის ზრდაზე, მის მოსავლიანობაზე; ამდენად, მამლის, როგორც მზის ფრინველის შეწირვით, გლეხს სურდა ვაზის ზრდა და ნაყოფიერება გამოეწვია.[4] გარდა შესაწირი კვერებისა, ახალი წლის რიტუალში გვხვდება სხვა წესებიც, რომლებიც ვაზის, ბარაქისა და უხვი მოსავლისათვის იყო განკუთვნილი. ახალი წლის საღამოს ოჯახები სასეირნოდ ემზადებოდნენ. მასში ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობდა. სეირნობის მონაწილენი დატვირთული უნდა ყოფილიყვნენ: ერთს მიჰქონდა პურის ლავაშები, მეორეს — სიმინდით სავსე ტომარა, მესამეს — ბავშვი მიჰყავდა და ა.შ. ყველანი ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი. შევიდოდნენ მარანში, საწნახელის წინ დადგებოდნენ, საწნახელს ჯოხს ურტყამდნენ და მღეროდნენ: „ჯუჯელია ჯუჯელია! ჩქიმ მამულს ყურძენი დო შხვაშ მამულს ფურცელია! ჩანა, ჩანა... ჩქიმ მამულს ყურძენი დო შხვაშ მამულს ფურცელია“.[5]

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ჯუჯელიას მნიშვნელობა ისევე გაურკვეველია, როგორც აგუნასი და ბადაგონისაო“.[6]

მარანთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბარაქიანობისა და მოსავლიანობის გადიდების მიზნით შესრულებულ მოქმედებებსაც. სამეგრელოში ახალ წელს ოჯახის უფროსი მარანს მიულოცავდა, თან იძახოდა: „ბაღ (ბეღელი) სავსე, მარანი სავსე, ჩემი მამული დატვირთული, სხვის მამულში კი ფურცელი“.[7]

სამეგრელოში და ქართლში უწმინდურ ქალს მარანში შესვლა არ შეეძლო. ხალხის რწმენით, თუ უწმინდური ქალი მარანში შევიდოდა, ბარაქა არ იქნებოდა. მარნის კარებზე ავი თვალის საწინააღმდეგოდ წითელი ტყემლის ან მწარე ჯვარსახულ ტოტს დაკიდებდნენ. ხალხის რწმენით, პირველად, მავნე თვალი მას შეხედავდა და ძალა დაეკარგებოდა, მარანს ვერ ავნებდა.[8]

მევენახეობის კულტურასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს შორის მთავარი ადგილი უჭირავს საზედაშე ქვევრებს, რომელთაც სამეგრელოში ,,ოხვამერი ლაგვანეფი“ ეწოდება. საზედაშე ქვევრები და მასთან დაკავშირებული რიტუალები საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ განსაკუთრებული მრავალფეროვნებით სამეგრელოში გამოირჩეოდა. ქართველ ეთნოლოგებს — ს. მაკალათიას, ნ. თოფურიას, ა. ჭანტურიას, ნ. აბაკელიას, — კომპლექსურად აქვთ აღწერილი სალოცავი ქვევრე-

---

[1] გაზ. ,,ივერია“, 1890 წ. 21 მარტი.

[2] **ა. ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა, გვ. 91-92.

[3] **ნ. თოფურია,** ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, გვ. 41.

[4] **ნ. თოფურია,** ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, გვ. 42.

[5] **И. Кобалия**, Из мифической Колхиды, გვ. 104-107.

[6] **ივ. ჯავახიშვილი**, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, გვ. 111-112.

[7] **ნ. თოფურია,** ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, გვ. 30.

[8] **ნ. თოფურია,** ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, გვ. 33.

ბი, მათი სახელები და ქვევრთან დაკავშირებული რიტუალები. სამეგრელოში შემდეგი სახის საღოცავი ქვევრები იყო: ოდუდია, სამგარიო, შქვითული, საღვთო, საღორონთო, მიქამგარიო, ხეხუნჯობა//სახეხუნჯო, ოთუთაშხური და სხვა. თითოეულ ქვევრში პირველ ნაწურ ღვინოს ასხამდნენ და წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვა რიტუალი სრულდებოდა, რომელიც ოჯახის, გვარის თუ ცალკეული პირის დალოცვისა და კეთილდღეობისკენ იყო მიმართული.

საბჭოთა პერიოდში სამეგრელოში მევენახეობის განვითარებაში სულ სხვა ვითარება იყო. XX საუკუნის 30-იან წლებში სამეგრელოში მევენახეობის ორი საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა: ერთი ჭკადუაშში (ზუგდიდის რაიონი), მეორე — სალხინოში (მარტვილის რაიონი).[1] 1936 წლის სტატისტიკური მონაცემებით დაბლარ ვენახს სამეგრელოში 1290 ჰექტარამდე ფართობი ეკავა.[2] სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მასიურად იმერული ჯიშის ვაზის ცოლიკაურის გაშენება, რომელსაც შემდეგ სამეგრელოში ვენახის მთლიანი ფართობის 90%-ზე მეტი ეჭირა, ოჯალეშს კი 2-3%.[3] სხვა ადგილობრივ ჯიშებს რაც შეეხება, მათი ერთეული ეგზემპლარები გაბნეული იყო არსებულ ვენახებში.[4]

1974 წელს მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბაზაზე საფუძველი ჩაეყარა ვაზის ადგილობრივი ჯიშების საკოლექციო ნაკვეთს, რომლის ინიციატორი მუზეუმის დირექტორი გივი ელიავა იყო. საკოლექციო ნაკვეთზე მეგრული ვაზის ოცამდე ჯიში გაშენდა.[5]

თანამედროვე მდგომარეობით, სამეგრელოში გაბატონებული ადგილი უჭირავს იმერულ ჯიშს ცოლიკაურს; ასევე, ფართოდაა გავრცელებული იზაბელა, ძირითადად ტალავერზე. ადგილობრივი ჯიშებისადმი ინტერესი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა და ბოლო რამდენიმე წელია მასიურად დაიწყო მათი გაშენება, განსაკუთრებით ოჯალეშის. ასევე, დიდი ინტერესია ჭვიტილურზე, ეგურძგურზე, მაჭყვადინაზე და სხვ. ვაზის მეგრული ჯიშებიდან დღეისთვის შემორჩენილია: ოჯალეში, შონური, ჭვიტილური, პანეში, მახვატელი, ჭუბერი, ჭოდი, ხოჯიშთოლი, ტოროკუჩხი, კოლოში, ჩეხარდანი//ზერდაგი, ჩერგვალი, საადრეოჩეში, ჩეჭიფეში, მაჭყვადინა, აფშილური, ეგურძგური, კაჭიჭი და სხვ. ჯერჯერობით, ამ ჯიშების უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში თითო-ოროლა ეგზემპლარის სახითაა წარმოდგენილი. ვაზის ენდემური ჯიშების მოძიების საქმეში დიდია ენთუზიასტთა დამსახურება, რომლებიც კარდაკარ დადიან და მიმობნეულ ჯიშებს ეძებენ. ამ საშვილიშვილო საქმეში არ შეიძლება არ აღინიშნოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯიღაურას კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლის ლონდა მამასახლისაშვილის დიდი ღვაწლი, რომელმაც დაკარგული ჯიშების მოსაძიებლად მრავალი ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის — სამეგრელოში. რომ არა ქალბატონი ლონდა მამასახლისაშვილი, ჯიშთა უდიდესი ნაწილის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდებოდა, რადგან მოსახლეობას ხშირად ვაზის ამა თუ იმ ჯიშის სახელი უკვე აღარ ახსოვს ან არასწორად ეძახის სხვა სახელს.

ჩვენმა ექსპედიციამ საველე-ეთნოგრაფიული კვლევა აწარმოა სამეგრელოს შვიდივე მუნიციპალიტეტში, რის შედეგადაც შევისწავლეთ მევენახეობისა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების თანამედროვე მდგომარეობა. თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილია მხოლოდ საზედაშე ქვევრებთან ლოცვა, ისიც ძალზე იშვიათად, და ხშირ შემთხვევაში ტრანსფორმირებული სახით. თუმცა მარანი დღესაც წმიდა ადგილად მიიჩნევა. იმ ადგილას, სადაც მარანი იდგა, სხვა ნაგებობის დადგმა დაუშვებელია. ასევე, თუ ვინმემ მარანი

---

[1] **ვ. დემეტრაძე**, მასალები დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მერვინეობის მრეწველობის დარაიონებისა და სტანდარტიზაციისათვის, ქუთაისი, 1936, გვ. 130.

[2] **ვ. დემეტრაძე**, მასალები დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მერვინეობის მრეწველობის დარაიონებისა და სტანდარტიზაციისათვის, გვ. 132

[3] **ე. მაღრაძე,** სუბტროპიკული ზონის მევენახეობა, თბ., 1973, გვ. 22.

[4] **ე. მაღრაძე**, სუბტროპიკული ზონის მევენახეობა, გვ. 129.

[5] **გ. ელიავა,** ვაზის ძველკოლხური უნიკალური ჯიშების კატალოგი, თბ., 1984, გვ. 4.

დაშალა, ამ მასალის გამოყენება პატრონს არ შეუძლია. მან ეს მასალა თვალსაჩინო ადგილას უნდა დადოს, რის შემდეგაც მისი წაღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, უახლოეს ათწლეულში სამეგრელოში ისევ ფართოდ გავრცელდება ვაზის ადგილობრივი ჯიშები, მევენახეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებიდან კი საზედაშე ქვევრებთან მლოცველთა რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდება.

აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები უძველესი დროიდან არსებობდა. ადამიანები მოსავლიანობას, ნაყოფიერებას, სიუხვეს სხვადასხვა ღვთაებას შესთხოვდნენ და ამისთვის რიტუალებს ატარებდნენ. ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, მესოპოტამიაში არსებობდა მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები, რომლებიც სეზონთა ცვლას და მოსავლიანობას უკავშირდებოდა. მიწათმოქმედი ხალხისთვის აგრარული კულტურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ ყველა ცივილიზაცია მოსავლის სიუხვეს და მის მიღებას დიდ ყურადღებას აქცევდა. ამ მხრივ საქართველოც გამონაკლისი არ ყოფილა.

უძველესი დროიდან საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრარულ კულტურას. ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ღვთაებებს შესთხოვდნენ მოსავლის გამრავლებას, ამინდის ცვალებადობას; ჰქონდათ სხვადასხვა მეთოდი იმის დასადგენად, თუ როგორი იქნებდა კონკრეტული წელი ამა თუ იმ პროდუქტის მისაღებად, შემწეობას გამოითხოვდნენ ღვთაებისგან. აგრარული კულტურები (ხორბალი, ღომი, ფეტვი) ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლოდაც მიიჩნეოდა. ამიტომ, მათი გამოყენება სარიტუალო პრაქტიკაში ხშირი იყო. ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვაზს. ვაზთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

სამეგრელოში აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული სარიტუალო პრაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა. ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, აქ, აგრარულ კულტურასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს დიდი ადგილი ეჭირა. უმრავლეს შემთხვევაში, ისინი ნაყოფიერებასთან და უხვი მოსავლის მიღებასთან იყო კავშირში.

სამეგრელოში აგრარულ კულტურასთან დაკავშირებულ რიტუალებს და რწმენა-წარმოდგენებს სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ადამიანები ასრულებდნენ სხვადასხვა სახის რიტუალს, რათა ღვთაების კეთილგანწყობა მოეპოვებინა და მისი შემწეობით, უხვი მოსავალი მიეღოთ.სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეჭირა მევენახეობასთან დაკავშირებულ რიტუალებს, რომელთა მიზანი ყურძნის სიუხვე და მაღალი ღირსების ღვინის მიღება იყო. რიტუალების დიდი ნაწილი ახალ წელს სრულდებოდა: „ახალ წელს სადილის შემდეგ დიასახლისი ამზადებდა „კირუკარუს“ (იხ. ზემოთ).

საახალწლო რიტუალის პრაქტიკის ნაწილი იყო მარანში ლოცვა „ჯუჯელიას რიტუალის სახით (იხ. ზემოთ).

ზოგადად, სამეგრელოში მარანი წმინდა ადგილად იყო მიჩნეული (იხ. ზემოთ).

სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში ელიაობას ჭირნახულის ბოროტი თვალისაგან დასაცავად ტყემლის ან ასკილის ტოტისაგან გაკეთებულ ჯვარს ყანაში, ვენახში და ბოსტანში დაასობდნენ. ხალხის რწმენით, ჯვარი წარმოადგენდა უმძლავრეს საშუალებას ავი ძალებისაგან თავდასაცავად.[1]

მევენახეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს შორის, გამორჩეული ადგილი ეჭირა „ოხვამერ ლაგვანეფს“ (საზედაშე ქვევრებს, -ავტ.). საზედაშე ქვევრებს, რომელიც ზემოთ უკვე ვრცლად აღვწერეთ.

[1] **ნ. თოფურია,** ქართველი ხალხის სამეურნეო კულტურის ისტორიიდან, გვ. 50.

აგრარული კულტურის წარმომადგენლებს სამეგრელოში საქორწილო რიტუალებში დიდი ადგილი ეთმობოდა: „ეკლესიიდან გამოსულ ჯვარდაწერილებს მყარი თოფების სროლითა და სიმღერით მიაცილებდა მექორწილე ოჯახისკენ, რომლის ეზოშიც მხოლოდ მახარობლის გაგზავნის შემდეგ შედიოდნენ. ეზოში შემოსულ ნეფე-დედოფალს დამხვდურნი ჟრიამულითა და დამბაჩების სროლით ხვდებოდნენ. მათ მიუახლოვდებოდა სიძის დედა, თითო კოვზ თაფლს შეაჭმევდა და სახლისაკენ გაუძღვებოდა. სახლის ზღურბლზე იდო გადმოტრიალებული თეფში, ხოლო მის გვერდით ღვინით სავსე ჭიქა. ნეფეს თეფში ფეხის დარტყმით უნდა დაემტვრია. პატარძალს კი ფეხის წაკვრით ჭიქა უნდა წაექცია და ღვინო დაეღვარა. სახლში შესულ ნეფე-დედოფალს წინ მეჯვარე მიუძღვებოდა და იწყებდნენ კერიის გარშემო შემოვლას. პატარძალს ამ დროს ხელში ღომის ან სიმინდის მარცვლით სავსე თეფში ეჭირა და მარცვლებს ოთხივ კუთხეში აბნევდა“.[1] პატარძალი სახლის კუთხეებს მოივლიდა. მიაბნევდა ღომის მარცვლებს, რომელიც სიმბოლურად გამრავლებასთან იყო დაკავშირებული. შემდეგ, დოქით წყალს მოასხამდა მიწაზე დაბნეულ მარცვლებს. ამით გამოხატავდა ნატვრას, რომ ოჯახში კარგი ჭირნახული ჰქონოდათ და გვალვას არ შეეწუხებინათ. ამ რიტუალის საფუძველია ქმრის ჭერქვეშ მოყვანილი ცოლის სადიასახლისო მოვალეობის არსებობა.[2]

საქორწინო სუფრაზე ხუთი რიტუალური პური უნდა ყოფილიყო: 1. „სინჯა დო მოჭყუდუში ქობალი“ (სიძე-პატარძლის პური); 2. „მორდიაში ქობალი“ (მეჯვარის პური); 3. „დადეში ქობალი“ (მდადის პური); 4. „დუდ ქობალი“ (თავი პური) და 5. „დუდ ჭვიშტარი“ (თავი ჭიშთარი).[3]

გამრავლებისა და ნაყოფიერების სიმბოლო-ხორბალი-სამეგრელოში ბავშვის დაბადების დროს შესრულებულ რიტუალშიც გამოიყენებოდა. ბავშვი რომ დაიბადებოდა, იმ დღეს ბავშვის ბებია იქ მყოფ ქალებს ხელში პურის მარცვლებს ჩაუყრიდა. რიტუალს ერქვა „ხეშ კაკალიშ გითორღვაფა“. ქალები სამჯერ მუჭებში გაატარებდნენ ამ მარცვლებს და დაილოცებოდნენ მშობიარეზე. ბავშვის ბებიაც დაილოცებოდა გამომცხავრი კვერებით.[4]

გვალვა-დელგმის საწინააღმდეგოდ და მიწის მოსავლიანობის გამრავლებისათვის არაერთი რიტუალი არსებობდა სამეგრელოში. მაგალითად, „ელიობას ორი კაცი ყანაში წავიდოდა. წაიღებდა ერთ ქოთან რძეს, ოთხ კვერს და ლეკუხას (ხეჭელას) ჯოხს. ამ ჯოხზე, ყანის ავი თვალისაგან დაცვის მიზნით, ჯვარს ამოჭრიდნენ და თვალსაჩინო ადგილას გააკეთებდნენ. ყანაში ცეცხლს დაანთებდნენ და ზედ რძით სავსე ქოთანს დადგამდნენ. ერთი, რომელსაც ხელში მამალი ეჭირა, დანის გარშემო დარბოდა, მიწას ჯოხს არტყამდა და გაიძახოდა: წმ. ელია მაჩუქე ყანაო. შემდეგ ცეცხლთან მივიდოდა და მეორე კაცს ეკითხებოდა, ადუღდა თუ არა რძეო. ის პასუხობდა, ადუღდა და გადმოვიდაო. ეს კითხვა-პასუხი რამდენჯერმე მეორდებოდა. თუ რძე გადმოვიდოდა და ცეცხლი ჩაქრებოდა, კარგი მოსავლის უტყუარ ნიშნად ითვლებოდა. ამის შემდეგ კლავდნენ მამალს, ატყავებდნენ და გაკეთებულ ფიტულს თავფეხებიანად ხეზე ჰკიდებდნენ. ხორცს იქვე ჭამდნენ და მიწის მოსავლის გადიდებაზე დაილოცებოდნენ“.[5] მსგავსი რიტუალი აღწერილი აქვს მ. ჩართოლანს: „ზემო სამეგრელოში გიმათუთას (ოქტომბერს) ადგილის ღმერთის სახელზე ლოცულობდნენ. მამაკაცი ადგილის//საადგილო ქათამს დაკლავდა და ქალი უხვ მოსავალსა და მიწის ბარაქაზე დაილოცებოდა; ლოცვას გარეშე კაცი ვერ დაესწრებოდა.[6] გვალვა-დელგმასთან დაკავშირებულ რიტუალში იცოდნენ თხის შეწირვა: „მეგრელებს, როცა სურთ წვიმა მოისპოს, მაშინ მიმართავენ წმინდა ელიას და არა სხვას, რომელსაც შესწირავენ თხას. ამ თხის ხორცს შესჭამს მღვდელი და ტყავს გასტეხენ და იქვე სადმე ჩამოჰკიდებენ ხეზე“.[7]

---

[1] **ნ. ანთელავა,** ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, თბ., 2005, გვ, 187.

[2] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 100.

[3] **ნ. ანთელავა,** ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში, გვ. 164.

[4] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 272.

[5] **ჯ. რუხაძე,** ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, გვ. 159.

[6] **მ. ჩართოლანი,** ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 197.

[7] **ა. ლამბერტი**, სამეგრელოს აღწერა, გვ. 154

სამეგრელოს ძველი ყოფისა და წეს-ჩვეულებების ერთ-ერთ საყურადღებო მხარეს წარმოადგენდა „ჯარობა“/„ჯარალუა“. „იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებური სახე იყო და უკავშირდებოდა რომელიმე დიდ დღეობას — გორისჯვრობა, ჯოხინჯობა, კალაკრობა, გიორგობა, ელიობა, მარიობა (მეგრ. მარაშნა), გოლგოთობა (გორგონთობა), ბარბალობა, აღდგომა, ახალკვირე და სხვა. ასეთი დღეობა (დღახუ), ერთ განსაზღვრულ ადგილას, უფრო რომელიმე ხატის (სალოცავის) კარზე იმართებოდა ჯარობა, სადაც თავს იყრიდნენ აღნიშნულ სალოცავთან ტრადიციით, წეს-ჩვეულებებით და რწმენა-წარმოდგენებით დაკავშირებული ერთი ან რამდენიმე გვარის კაცები, მათი მიმდგამი ნათესავები, მოკეთენი, სტუმრები და ყველა მოსურნენი“.[1]„ჯარალუა“ დღეს ცდილობდნენ გამოეცნოთ, იქნებოდა თუ არა მოსავლიანი წელი. მაგალითად, მეხატულე ანუ მნათე „გუმოჭყუდურს“ (გათხოვილ ქალს) ხატის წინ დააჩოქებდა და დაამწყალობებდა. შემდეგ საწირავ საგნებს გამოართმევდა და თავ-თავის ადგილას მოათავსებდა. მათ შორის სელს („შულოს“) თითოეულად ათავსებდა იქვე მდებარე ერთ დიდ ქვაბში. იცოდნენ მისნობა (მენცარუა) იმის შესახებ, თუ როგორი მოსავალი მოვიდოდა იმ წელიწადს, ან კაცის თუ საქონლის „გავალი“ (ზარალი) და სიმრთელე იქნებოდა თუ არა, მოარული ავადმყოფობა და სახადი ხომ არ შეაწუხებდა ხალხს, და სხვა. [2]

აგრარულ კულტურასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა მევენახეობასთან დაკავშირებული რიტუალები. საველე-ეთნოგრაფიულმა კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე ყოფაში აგრარულ კულტურასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და, შესაბამისად, რიტუალებიც გაქრა ყოფიდან. გამონაკლისს წარმოადგენს საზედაშე ქვევრები. რიტუალების გაქრობის მიზეზი თავის დროზე საქართველოს საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა, თანამედროვე ეპოქაში კი მიგრაციები და გლობალიზაციასთან დაკავშირებული პროცესებია.

თანამედროვე ყოფამ შემოინახა მხოლოდ ქვევრთან ლოცვის პრაქტიკა. მართალია, იშვიათად, მაგრამ თითქმის ყველა სოფელში ხდება ცალკეული ოჯახებისა თუ გვარის ლოცვა საზედაშე ქვევრთან (ოხვამერ ლაგვანთან, -ავტ.). რაც შეეხება საქორწინო და ნათლობის რიტუალს მარანში, დღეს აღარ სრულდება. ეკლესია და სამღვდელოება ყველა ქალაქსა თუ სოფელში ჯვრისწერისა და ნათლობის რიტუალის შესრულებას ტაძარში ქრისტიანული წესით უზრუნველყოფს.

ჩვეულებითი სამართალი. ყველა ეთნოგრაფიულ ჯგუფს აქვს მახასიათებლები, რომლებიც საერთო ეროვნული კულტურის ნაწილია. ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ისტორიული მოვლენები და სხვა ფაქტორები ქმნიან ლოკალურ ვარიაციებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის ეთნიკურ კულტურას.

სამეგრელოში დღემდე მეტნაკლებად შემონახულია „გინოჩამა“, რომელიც ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი ელემენტია. როგორც თავისი შინაარსით, ასევე გამოხატვის ფორმებით, იგი უძველესი სოციალური პრაქტიკის ნაყოფია. ის ხალხურ წიაღში წარმოშობილი ქცევის წესია, რომელიც გარკვეული დანაშაულებრივი ქმედებისთვის დამნაშავის დასჯას უზრუნველყოფდა. ის მოიცავს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს, რომელსაც ქრისტიანულიც აქვს შერწყმულ-შეთვისებული და ერთიანობაში ქმნის ერთ მთლიან სისტემას და მოქმედებს როგორც ხალხური სამართლის ნაწილი.

მეგრული „გინოჩამა“ ქართულად შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „ხატზე გადაცემა“. ის მხოლოდ ხატზე, როგორც მატერიალურად არსებულ წმინდა საგანზე გადაცემას არ გულისხმობს. გადაცემა შეიძლება მოხდეს ფიზიკურად არსებულ საგნებზე: ხატზე, ხეზე, სამჭედლოში, წყალზე, წისქვილში, ტაძრის კედლებზე, მიწაზე და სხვა. „გინოჩამის“ პრაქტიკა ისტორიულად არსებობდა

---

[1] **ნ. რეხვიაშვილი,** ჯარობა სამეგრელოში, კრებ. თედო სახოკია, თბ., 1969, გვ. 116.

[2] **თ. სახოკია,** ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 117.

და თანამედროვე ყოფაშიც გადმოვიდა. „გინოჩამას“/ხატზე გადაცემას აქვს თავისი ფორმა, წესი და რიგი შესრულებისა, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა.

ხატზე გადაცემის ტრადიცია სამეგრელოში აღწერილი აქვთ თედო სახოკიას, სერგი მაკალათიას. ისინი ამ მოვლენას აკუთვნებენ ხალხურ სამართალს, თუმცა მათთან ნაკლებადაა საუბარი „გინოჩამის“ მიზეზებზე, მიზანსა თუ სხვა ასპექტებზე. ამ თემაზე მუშაობა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც დღეს ნაკლებადაა გამოკვლეული ეს ინსტიტუტი. ხალხის მახსოვრობაში ის კარგადაა შემონახული. იშვიათად, მაგრამ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც თანამედროვე ვითარებაშიც მიუმართავთ სამართლის ამ ფორმისთვის. ასევე, „გინოჩამა“ საინტერესოა როგორც ძველ დროში არსებული სამართლის ფორმა, რომელიც ხალხის ყოფაში იყო დამკვიდრებული, მხარდაჭერილი და აქტუალური.

სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის შვიდივე მუნიციპალიტეტში ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული კვლევის წარმოებისას ამ ტიპის საკითხზე მთხრობელთა ნდობის მოპოვება გართულებული იყო, რადგან დღეს „ხატზე გადაცემა“ სირცხვილად ითვლება იმისთვის, ვინც გადაცემულია. თუ ვინმეს რაიმე მძიმე ავადმყოფობა შეხვდებოდა, იტყოდნენ – გადაცემულიაო. ამიტომ, ერიდებიან ამ თემაზე საუბარს, განსაკუთრებით კი უცხო ადამიანებთან. გარდა ამისა, მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ქრისტიანობის გაძლიერებასთან ერთად, „ხატზე გადაცემა“ უვიცობისა და დეგრადირების ნიშნად ითვლება და ცდილობენ დიდად არ წარმოაჩინონ, რომ მსგავსი პრაქტიკა ჯერ კიდევ არსებობს.

სამეგრელოში ხატზე გადაცემის ტრადიცია ადათიდან იღებს სათავეს. შეიძლება ითქვას, რომ ის ჩვეულებითი სამართლის შემადგენელი ნაწილია და ისტორიულად ხალხის ყოფაში არსებულ სამართალს განეკუთვნება.„გინოჩამა“ დაფუძნებულია ადათზე და მოიცავს ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელ ბევრ ნიშანს. „გინოჩამა“ ხალხური სამართალია, საუკუნეების მანძილზე შექმნილი, პრაქტიკაში დამკვიდრებული, თუმცა სახელმწიფოსა და ეკლესიის მხრიდან მხარდაჭერილი არასოდეს ყოფილა და მას კანონის სახე არ მუღია. ამის მიუხედავად, „გინოჩამა“ საკმაოდ გავრცელებული იყო მართლმსაჯულების აღსასრულებლად. სამართლის ამ ფორმას დამოუკიდებელი შინაარსი აქვს და ეს არ არის ჩვეულებრივი წყევლა. „გინოჩამა“ ჩამოყალიბებული სისტემაა და მას თავისი წესი და რიგი აქვს; მომდინარეობს ადათიდან და მოქმედებს როგორც ხალხური სამართალი.

ქართული სამართლებრივი კულტურის შესწავლისთვის ადათობრივი სამართალი და ჩვეულებითი სამართალი მნიშვნელოვანი წყაროა. მათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებათ წყაროთა სისტემაში. ტერმინი ადათი ქართულში გვიან შემოვიდა. მის ნაცვლად იხმარებოდა „წესი“, „ჩვეულება“, “რიგი“, „ქცევა“.[1] ადათი ადამიანთა ქცევის წესია, რომელიც იქმნება და მკვიდრდება საზოგადოებაში მისი ხანგრძლივი და მრავალგზისი გამოყენების შედეგად. ადათ-ჩვეულებები ქცევის საერთო წესს წარმოადგენენ, მაგრამ მათ იურიდიული ძალა და მნიშვნელობა არ ჰქონიათ. თავდაპირველად, არსებობდა ადათი და შემდეგ მათ ნაწილს მიენიჭა სამართლის ნორმის ძალა და გახდა ადამიანთა ქცევის სავალდებულო წესი.[2] ადათობრივმა ნორმებმა მიიღო ჩვეულებითი სამართლის სახე და ხალხში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ამას ხელს უწყობდა მთელი რიგი მიზეზები. ჩვეულებითი სამართალი, დაუწერელი სამართალია. ის ჩვევის სახით არის დამკვიდრებული ხალხში და ზეპირად, საკმაოდ სისტემურად და ნორმათა დაცვით მოქმედებს. როგორც ისიდორე დოლიძე აღნიშნავს, ჩვეულებითი სამართალი მოქმედებს მაშინ, როცა არ არსებობს კანონი, ანუ დაწერილი სამართალი, ის კანონის მაგიერი სამართალია. თუმცა დაუწერელ სამართალს ხალხი მაშინაც იყენებს, როცა არსებობს დაწერილი, სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობა. ამის არაერთი მაგალითი არსებობს და ერთ-ერთი „გინოჩამაა“. ჩვეულებითი სამართალი მოქმედებს ზოგჯერ კანონის პარალელურად.

---

[1] **ი. დოლიძე,** საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, გვ. 7

[2] **ი. დოლიძე,** საქართველოს ჩვეულებითი სჯული, გვ. 9.

სამეგრელოში „გინოჩამას“ კანონის ძალა არ მიუღია. ის სამართლებრივი არაა იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს მხრიდან არ ჰქონდა სანქცია მინიჭებული. თუმცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა ხალხის ყოფაში და ფუნქციონირებდა, როგორც სამართალი. შინაარსობრივადაც სავსებით გარკვეულია. რა თქმა უნდა, ის ვერ იქნებოდა სახელწიფოს მიერ მხარდაჭერილი და აღიარებული, რადგან მას უფრო შურისძიების, სამაგიეროს გადახდის ხასიათი ჰქონდა, ასევე საკრალურთან ჰქონდა საერთო და მთელი რიგი მიზეზები არსებობს, რატომაც არაა ის კანონიზებული. შეიძლება ვთქვათ, რომ „გინოჩამა“ გახალხურებული სამართალია, ადათიდან მომდინარე ჩვეულებითი სამართლის ნაწილია, რომელიც სანქცირებული არ ყოფილა და არც ახლა არის სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ, მის უკან არც სახელმწიფო იძულება დგას. თუმცა იძულება საზოგადოების მხრიდან საკმაოდ ძლიერია და მისი მოქმედების ეფექტურობასაც ადათ-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და ტრადიციები უზრუნველყოფს.

კვლევის ერთ-ერთი საკითხი არის იმის დადგენა, თუ რატომ არსებობდა სამეგრელოში ხალხური სამართლის ისეთი ფორმა, როგორიც „გინოჩამაა“. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება თუკი განვიხილავთ სამეგრელოში არსებულ ადათობრივ სამართალსაც, რომელზეც უცხოელი მოგზაურები წერდნენ. ჩანს, რომ სამთავრო სამართალი სამართალწარმოებისას ადათობრივ ნორმებს აქტიურად იყენებდა. თეზისის დასამტკიცებლად, პირველ რიგში, საჭიროა განვმარტოთ რამდენიმე საკითხი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ადათობრივ სამართალში არსებული სასჯელის ფორმები და, ზოგადად, სამართლებრივი კულტურა.

სამართლებრივი კულტურა საერთო კულტურის შემადგენელი ნაწილია. იგი გულისხმობს ამა თუ იმ ხალხის საქმიანობას საკანონმდებლო და მართლმსაჯულების დარგში. რაც უფრო მაღალია ხალხის მართლშეგნება, მით უფრო განვითარებულია სამართლებრივი ინსტიტუტები. სოციალური ყოფა, სახელმწიფოებრივი წყობილება, იურიდიული ყოფა ასახულია სამართლის ნორმებში, რომელსაც ხალხი შეიმუშავებს ადათით, ჩვეულებით თუ კანონების სახით. ქართველი ხალხი მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე ერია. უძველესი დროიდან ჰქონდა შემუშავებული კანონები სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ თუ სამართლის სხვა დარგში და ამის დამადასტურებელია ის საკანონმდებლო ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. თუმცა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების პარალელურად მოქმედებდნენ ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომლებიც სანქცირებული არ ყოფილა.

ჩვეულებითი სამართლისაგან განსხვავებით, სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მოქმედებდა ადათობრივი სამართალი, რომელიც მხარდაჭერილი იყო მთავრისა და მმართველი ფენის მიერ. არქანჯელო ლამბერტისა და ჟან შარდენის თხზულებებში ვხვდებით სასჯელის ფორმებს, რომლებიც არსებობდა სამეგრელოში. ისინი ადათობრივ სამართალს განეკუთვნება. სხვადასხვა დანაშაულისთვის სხვადასხვა სასჯელი იყო. სასჯელთა სიმძიმე დამოკიდებული იყო დანაშაულის სიმძიმეზე. სიკვდილით დასჯა მთავრის სამართალში არ იყო გათვალისწინებული, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, ეკლესიების გაქურდვისა და დანგრევისა. „სხვა ყოველივე დანაშაულობა შეიძლება მთვარმა აპატიოს ფულის გადახდევინებით, ანუ ვისმე მფარველობის გამო“.[1] თუმცა სხვანაირად იქცევიან დიდებულები: „ხოლო აგრევე არ იქცევიან მისი სამთავროს დიდებულები და თავადები. მათ სრული უფლება აქვთ სიკვდილისა. ამიტომაც ხშირადაც სარგებლობენ ამ უფლებით და ბევრ კაცს უსპობენ სიცოცხლეს, როცა ბრაზს, სისასტიკეს და ბარბაროსობას მისცემენ თავს“.[2] მათ შეუძლიათ სიკვდილით დასაჯონ თავიანთი გლეხები. მსაჯულნიც და კანონმდებლებიც თვითონ არიან. „ბატონებს აქ თავისი ქვეშევრდომების სიცოცხლესა და ქონებაზე განუზომელი უფლება აქვთ, როგორც უნდა ისე ექცევიან მათ“.[3]

რაც შეეხება სასჯელებს, მრავალი ფორმა არსებობდა დამნაშავის დასჯისა და არც თუ ისე ჰუმანური: ნაქურდალისთვის ფასის გადახდევინება, ხელის ან ფეხის მოჭრა გახურებული ნაჯა-

---

[1] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 72.

[2] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 73.

[3] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 117.

ხით, თვალების დაბრმავება ცეცხლის მეშვეობით, ცხვირის მოჭრა და სხვა. განაჩენის გამოტანამდე აუცილებელი იყო ბრალის წაყენება. იმისათვის, რომ დარწმუნებულიყვნენ, ესა თუ ის ადამიანი ნამდვილად დამნაშავე იყო თუ არა, მიმართავდნენ წამების სახეებს. იყენებდნენ ორდალიებს: ადუღებულ წყალში ხელის ჩაყოფა, ცალი ხელით ხეზე ჩამოკიდება, ფიცი. „იმ შემთხვევაში, თუ სამხილებელი ნიშნები ძალზე სუსტი იყო, მაშინ ეჭვმიტანილს ეძლეოდა შესაძლებლობა თავი მხოლოდ ფიცით ემართლებინა. ფიცი მას რომელიმე ძლიერი ხატის წინაშე უნდა დაედო, ამ ხატს მომჩივანი ირჩევდა, აგრეთვე ეკლესიას, სადაც ფიცი უნდა დადებულიყო“.[1]

საერთო ქართული მოვლენა, ადათობრივი სამართლისათვის დამახასიათებელი ორდალიები სამეგრელოშიც ფართოდ გამოიყენებოდა. მოგვიანებით, როდესაც გამოძიებისა და სასჯელის ამ ფორმებს აღარ იყენებდნენ, ნაწილი გადავიდა ხალხურ სამართალში, რომელმაც ხატზე გადაცემის ფორმა მიიღო, ქრისტიანობის ელემენტებს შეერწყა და სახელმწიფო კანონმდებლობის პარალელურად მოქმედებდა. სამეგრელოში „გინოჩამის“ პრაქტიკის აქტიური გამოყენება ყოფაში განაპირობა რამდენიმე მიზეზმა: ა) ეკლესიის შესუსტება და ზოგადად სასულიერო პირების გაუნათლებლობა; ბ) მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა გვიან შუა საუკუნეებში, გაჭირვება და მასიური ქურდობა; გ) გამოძიების სისტემის მოშლა; დ) წმინდა გიორგის, როგორც სამართლიანობის დამცველი წმინდანის, ძლიერი კულტის არსებობა.

პირველი მიზეზი, რამაც განაპირობა „გინოჩამის“ ტრადიციის გაძლიერება სამეგრელოში და სამართლის ფორმად დამკვიდრება, არის ეკლესიის შესუსტება და მღვდლების გაუნათლებლობა. რა თქმა უნდა, ამას მრავალი მიზეზი აქვს და ერთ-ერთი ისტორიული, ობიექტური პირობებიდან გამომდინარეა. სამეგრელოში „წარმართული“ ელემენტების არდავიწყებასა და პრაქტიკაში მათ გამოყენებას დიდად შეუწყო ხელი ისტორიულმა გარემოებებმა, ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლამ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკლესიის შესუსტებამ.

სამეგრელოში ხატზე გადაცემა უმეტესად ხდებოდა ეკლესიებში და ამ რიტუალში პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობდნენ სასულიერო პირები. ასევე, სასულიერო პირებს გარკვეული წვლილი მიუძღვით მეგრელთა წინარექრისტიანული რწმენისა და ქრისტიანულის შერწყმა-შენივთებასა და მათ აქტიურ გამოყენებაში. შარდენი წერს: „სარწმუნოების შესახებ მე არცერთ მეგრელთან არ მიმსჯელია, რადგან ვერავის შევხვდი ისეთს, რომელმაც იცოდა თუ რა არის სარწმუნოება, კანონი, ცოდვა, წმინდა საიდუმლოება და ღვთისმსახურება. ამ მხრივ შევნიშნე მხოლოდ ის, რომ ქალები ანთებენ პატარა სანთელს, ამაგრებენ მას თავის სახლის ან ეკლესიის კარზე, ამავე დროს აკმევენ მცირეოდენ საკმეველს და მზისკენ მიბრუნებულნი ძლიერ მოიხრებიან და მრავალგზის გადაიწერენ პირჯვარს თავით ფეხამდე. საეკლესიო ცერემონიალს, წირვას და ნათლობას მღვდლები და ეპისკოპოსები ასრულებენ. მე მინახავს ისინი მღვდელმსახურების დროს, რომელსაც არავინ ესწრებოდა იმის გამო, რომ ღვთისმოსაობა აკლიათ“.[2]

გვიანი შუა საუკუნეების სამეგრელოში განათლების დონე დაბალი იყო. იყვნენ სასულიერო პირები, რომლებმაც წერა-კითხვაც არ იცოდნენ. შარდენის მოგზაურობის აღწერაში ვკითხულობთ: „მღვდლების რიცხვი ძალიან დიდია; ყველანი ღარიბები არიან და მათი ერთადერთი საარსებო წყარო მხოლოდ მათი მღვდლობაა. მღვდლად კურთხევისთვის არ არის საჭირო განსწავლულობა, საკმარისია იცოდე კითხვა, ან ზეპირად ისწავლო წირვა, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე იმეორებ. ეპისკოპოსები არ ამოწმებენ იმ პირებს, რომელთაც მღვდლად კურთხევა სურთ, რადგანაც ხშირად მათზე უფრო უვიცნი არიან; რადგან თითოეულ კურთხევას მათთვის არანაკლებ ერთი კარგი ცხენის ფასი შემოსავალი მოაქვს, როგორი უმეცარიც არ უნდა იყოს მსურველი, მას ადვილად აკურთხებენ. მღვდლები ვალდებულნი არ არიან დაიცვან უბიწოება; პირიქით, ბერძნული წესის თანახმად მღვდლად კურთხევამდე ირთავენ ქალწულს, მაგრამ მათთვის დამახასიათებელია ის, რომ პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ შეუძლიათ შეირთონ მეორე, შემდეგ მესამე და კიდევ მეოთხე; მაგრამ რადგანაც ეს საეკლესიო კანონებს და წმ. ბასილის წესდებას ეწინააღმდეგე-

---

[1] **ლ. გაბისონია**, სამეგრელო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია, ტ. I, თბ., 2005, გვ. 178.

[2] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 127.

ბა, ამიტომ საჭიროა ეპისკოპოსის ნებართვა, რომელსაც იგი ყოველთვის იძლევა, რადგანაც სხვა რაიმე ნებართვასთან შედარებით ორმაგ ფასს უხდიან“.[1]

ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი 1664-1666 წლებში თავის შვილთან, მთავარდიაკონ პავლე ალეპოელთან ერთად საქართველოში, მათ შორის სამეგრელოში იმყოფებოდა.მან შემოგვინახა ცნობები იმდროინდელი სარწმუნოებრივი ვითარების შესახებ. ის წერს: „ბევრმა ერისკაცმა თუ ქალმა არ იცის პირჯვრის წერა და ბოლომდე „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინას“ თქმა. ბევრ ქართველს წესად არა აქვს, აღსარება თქვას ან ზიარება მიიღოს, როცა საღ-სალამათია. [ამას მხოლოდ] სიკვდილის წინ აკეთებს. ხშირად ავადმყოფი უაღსარებოდ და უზიარებლად კვდება. მიუხედავად ამისა, მას სულთათანასაც უკითხავენ და წესსაც უგებენ. ბევრი ქართველი მღვდელი გარდაცვლილის ოჯახს გასამრჯელოსაც ართმევს, რათა მიცვალებულს წესი აუგოს; მერე მიდის ქართველთა შორის ცნობილ რომელიმე ეკლესიაში, იცმევს მღვდელმსახურის სამოსელის მხოლოდ ნაწილს და ისე დგას საკურთხველში, რომ არც ლოცვებს კითხულობს და არც არაფერს აკეთებს, რაც მღვდელთა წესია (ეს მათი საქციელი ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ). [მღვდელმსახურების] დამთავრებისას იგი გამოდის საკურთხევლიდან, მიდის და ეუბნება მიცვალებულის ოჯახს, მე დღეს თქვენს მიცვალებულს წესი ავუგეო. ასეთი ამბები მეგრელთა ქვეყანაში იმიტომ ხდება, რომ ისინი მეტისმეტად უმეცარნი არიან და არც მოძღვარი ჰყავთ. მღვდლები ჩვენი თანდასწრებით არ წირავდნენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ დარაჯად ვედექით და, როგორც კი მღვდელი ანაფორას ჩაიცვამდა, მოულოდნელად თავს წავადგებოდით და ვუყვებოდით, როგორ სრულდებოდა მსხვერპლად შეწირვა, ლიტურგია თუ სხვა საეკლესიო წესები. მეგრელთა ქვეყანის უამრავი დიაკონი და მღვდელი მოუნათლავია. მე ბევრი მათგანი მოვნათლე. უმეტესობა ისე ბერდება, რომ ხეირიანად პირჯვრის გადაწერაც კი არ იცის. ეს იმიტომ ხდება, რომ ქართველი ეპისკოპოსები სრულებით არ მოძღვრავენ მათ. ასევე იქცევიან სხვა ქვეყნიდან მოსული პატრიარქები, მღვდელმთავრები და მღვდლები. ისინი არაფერს ასწავლიან მრევლს და არ განუმარტავენ რწმენის საკითხებს; მხოლოდ ფულს აგროვებენ და ისე გაეცლებიან, რომ სასარგებლოს არაფერს ეუბნებიან.“[2]

მაკარი ანტიოქიელის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში არსებული ვითარების აღწერა. ის თავის თხზულებაში საუბრობს, ზოგადად, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე რელიგიის მხრივ. ზოგიერთ შემთხვევაში მას დაკონკრეტებული არა აქვს რომელ ეთნოგრაფიულ მხარეზე საუბრობს, მაგრამ დედუქციური მეთოდის საშუალებით შეგვიძლია განვაზოგადოთ და სამეგრელოში არსებულ ვითარებაზეც შევიქმნათ წარმოდგენა. შეიძლება, ავტორს ნაკლად ჩავუთვალოთ ის, რომ, ზოგ შემთხვევაში, დაკონკრეტებული არ აქვს წყაროში ეთნოგრაფიული მხარეები. თუმცა ნიშანდობლივია ის, რომ წყარო არსებითი და მნიშვნელოვანია.

ჟან შარდენი წერს: „ავადმყოფობის დროს მეგრელები დიდი პატივისცემით ექცევიან მღვდელს, რადგან სწამთ ყველაფერი, რასაც იგი მათ ეუბნება. ისინი იწვევენ მღვდლებს და სთხოვენ, რომ თავიანთ წიგნებში ნახონ სასიკვდილოა თუ არა ის სენი, რითაც დაავადებულნი არიან და რა არის ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი. პაპები დიდხანს ფურცლავენ წიგნებს და ბოლოს ამბობენ ტყუილს, რაც პირველად ენაზე მოადგებათ, ეუბნებიან, რომ ავადმყოფობა გამოწვეულია ამა და ამ ხატის განრისხების გამო; ცოდვების მოსანანიებლად და ამ ხატის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საჭიროა ხბოს ან ხარის დაკვლა, ან აბრეშუმის ნაჭრის შეწირვაო; ამის შეუსრულებლობა სიკვდილს გამოიწვევსო. ავადმყოფი ფიცულობს, რომ ამ პირობას შეასრულებს“.[3] სასულიერო პირებისადმი ხალხის დამოკიდებულებაზე საუბრობს არქანჯელო ლამბერტიც: „იქაურები არავითარ საქმეს არ დაიწყებენ, სანამ არ დაუძახებენ მღვდელს, რომელიც მარჩიელობს და გამოუცხადებს მათ, კარგი ბოლო ექნება მათ საქმეს, თუ ცუდი. ავადმყოფო-

---

[1] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 147.

[2] **მაკარი ანტიოქიელი,** ცნობები საქართველოს შესახებ, *კრებ. არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები*, თბ., 1982, გვ. 102.

[3] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 114.

ბის, მგზავრობისა, სასამართლოში საქმის გარჩევისა, ქორწინებისა და ყოველივე მომავალი საქმის შესახებ მღვდლებმა უნდა უწინასწარმეტყველოს მათ. გარდა ამისა ვისმე რომ რაიმე უბედურება შეემთხვევა, მღვდელმა უნდა ახსნას, თუ ღმერთმა რა მიზეზით მოუვლინა ეს უბედურება. მეგრელები დარწმუნებულნი არიან, რომ უფრო ერთი უბედურება, განსაკუთრებით ავადმყოფობა, არის შედეგი მათი ცოდვებისა, რომლის გამო განრისხებულ ღმერთს ან რომელიმე წმინდანს ჰსურს მათი სიკვდილი ან სულიერად დაღუპვა".[1]

„მღვდელს ხალხი დაუჯერებია, — წერს ა. ლამბერტი, — რომ ყოველმა კაცმა თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ხშირად უნდა შესწიროს ღმერთს მსხვერპლი, რომლის გამო მას ბევრი დაეხარჯება და მღვდელიც ცოტაოდენს გამორჩება. ამიტომაც არ მოიძებნება სამეგრელოში ისეთი ოჯახი, სადაც მღვდელი ხშირად არ დადიოდეს მსხვერპლის შესაწირავად. მსხვერპლად ჩვეულებრივ წირავენ ხარებს, ძროხებს, ცხვრებს, ბატკნებს და თიკნებს."[2] მოგვიანებით „მარჩიელი", იგივე „მაკითხე" აღარ იყო მღვდელი და ეს ფუნქცია სამოქალაქო პირმა შეითვისა, რომელიც, ხალხის რწმენით, ზებუნებრივი ძალით იყო მოცული. ხალხი „მაკითხეს"/ მარჩიელს გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნისას მიმართავდა, რათა გაეგო თუ რას ითხოვდა ესა თუ ის ხატი, რა მიზეზით ითხოვდა და როგორ მოქცეულიყო. სასულიერო პირების ამგვარი დამოკიდებულება იყო სწორედ მიზეზი იმისა, რომ ხალხი არ ივიწყებდა წინარექრისტიანულ წესებსა და პრაქტიკას, რომელიც ქრისტიანულთან იყო შერწყმული. პაგანიზებული ვარიანტი ბოლო დრომდე შემორჩა ყოფას. თავის მხრივ, სასულიერო პირთა ამგვარი დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიისა და ხალხისადმი, მძიმე პოლიტიკური და სოციალური ვითარების შედეგი იყო.

კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ შემორჩა „გინოჩამა" ხალხის ყოფას, როგორც სამართლებრივი ინსიტუტი, შეიძლება იყო ისიც, რომ ხალხი არ ენდობოდა მთავრის სამართალს, და არც ბატონისას (მთავარი ბატონის სამართალში არ ერეოდა). დამნაშავის დასჯისათვის სამეგრელოში სხვადასხვა სასჯელი არსებობდა, თუმცა XIX საუკუნეში, როცა საქართველო რუსეთის მფლობელობაში მოექცა და რუსული სასამართლო იქნა შემოღებული სამეგრელოშიც, რა თქმა უნდა, ეს სასჯელები და ორდალიები სამართალწარმოებიდანამოიღეს. თუმცა, დამნაშავის აღმოჩენისა და დასჯის ძველი ფორმა ხალხში მაინც დარჩა. თ. სახოკია „გინოჩამას"ღვთის სამართალს უტოლებს. „როცა ვისმე რასმე დააბრალებდენ და მისი დანაშაულის დამტკიცება სხვაფრივ არ შეეძლოთ, ბრალდასადებს „ძლიერი" ხატის წინაშე უნდა დაეფიცნა თავის სიალალ-სიმართლე".[3] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გინოჩამა ორდალია არ არის. ის ჩვეულებითი სამართლის სიტემაა, რომელიც მოიცავს ორდალიასაც ფიცის სახით.

მეგრელებს განსაკუთრებით ეშინოდათ ხატების განრისხების და ფიქრობდნენ, რომ ყველა მათ დანაშაულზე, „შეცოდებაზე", მათ პასუხს აგებინებდა რომელიმე ძლიერი ხატი. ისეთ ვითარებაში, როცა კანონმდებლობა უძლური იყო ადამიანისთვის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პასუხი ეგებინებინა, ხალხმა მსაჯულად ესა თუ ის ხატი გაიხადა. შარდენი წერს: „თუ მათ კარგად არ იცნობ და ნახავ რა სასოებით ეპყრობიან ხატებს, იფიქრებ, რომ მსოფლიოში მათზე უფრო თავდადებული ქრისტიანები არ არსებობს".[4]

მესამე მიზეზი „გინოჩამის" პრაქტიკის აქტიური გამოყენებისა სამეგრელოში იყო ქურდობის გაძლიერება და ქვეყანაში დიდი გაჭირვება, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და სოციალური. უმძიმეს მდგომარეობაში იყო ზოგადად ქვეყანა. სამეგრელო დაასუსტა და წელში გატეხა „ტყვეთა სყიდვამ". ისტორიკოსთა შეფასებით, არც ერთ ომს არ მიუყენებია საქართველოსთვის ისეთი დიდი ზიანი, როგორიც „ტყვეთა სყიდვამ" მიაყენა. ეკონომიკურმა გაჭირვებამ ხალხს ქურდობისკენ უბიძგა და მასიურად ყველა დანაშაულს ჩადიოდა.

---

[1] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 129.

[2] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 128.

[3] **თ. სახოკია,** წმ. გიორგის კულტი და ღვთის სამართალი, წიგნ. ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, გვ. 65.

[4] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 152.

როგორც შარდენი წერს, ხატებისაკენ მიმავალნი შორიდანვე იწყებდნენ თაყვანისცემას და გაერთხმებოდნენ მიწაზე, სამჯერ შემოუვლიდნენ ეკლესიას. ხატების შიში, როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ირკვევა, ბევრი დამნაშავის გამოაშკარავების საფუძველი ყოფილა. „ქურდებს, სიკვდილის შიშით, ყველაზე მეტად ერიდებათ სოფელ ხეთას მცხოვრებ მოზომილეს ოჯახის მთავარ-ანგელოზად წოდებულ წმ. გიორგის ხატისა და სოფელ პუდაზის წმინდა იობის ხატის წინაშე დაფიცებისა“.[1]

მეგრელები „მარჩიელად“ მღვდელს იწვევდნენ, რომელსაც უნდა ეპოვა გამოსავალი ხატის განრისხების თავიდან ასაცილებლად, მის „შემოსარიგებლად“ და, ასე ვთქვათ, დანაშაულის, ცოდვის გამოსასყიდად. მღვდლები კი ჩვეულ დარიგებებს მიმართავდნენ, ადამიანებს ეუბნებოდნენ, რომ ხატის დასაწყნარებლად, რისხვის თავიდან ასაცილებლად, უნდა შეეწირათ ცხოველები: ძროხა, ხბო ან ცხვარი და ამ შესაწირავს თავად წმინდანი ითხოვსო.“ მღვდელმა თუ შენიშნა ავადმყოფს, რომ მისი მორჩენა აღარ შეიძლებაო, იტყვის, რომ ჩემს წიგნში ამოვიკითხეო, რომ შენ დიდი ცოდვა ჩაგიდენიაო და ამისათვის ფრიად განრისხებულია ესა და ეს წმინდანი, რომელსაც გადაუწყვეტია შენი მოკვლაო; ხოლო ნუ შეგეშინდებაო, რადგან წმინდანს უნდა მიიღოს ან ძროხა, ან ხბო და ან ცხვარიო და თუ შესწირავ ერთ მათგანს კეთილი გულით, იქნება გადარჩე სიკვდილისაგანო. ამ განაჩენს ისე მტკიცედ ერწმუნებიან, თითქოს ზეციდან მოვლენილი იყოსო.“[2]

მეოთხე მიზეზად შეიძლება დავასახელოთ მოსახლეობის დამოკიდებულება წმინდა გიორგისადმი, როგორც სამართლიანობის დამცველი წმინდანისადმი. წმინდა გიორგი, ცნობილია, რომ სამეგრელოში ჯეგე-მისარონთან არის გაიგივებული. წმინდა გიორგი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით თაყვანსაცემი წმინდანია, ხალხის რწმენით, სამართლის საკითხში. „წინათ მთელს სამეგრელოში ყველაზე უფრო ძლიერ ხატ-სამლოცველოდ ითვლებოდა ილორის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც მდებარეობს სოფ. ილორში. ეს ეკლესია სამი კილომეტრით არის დაშორებული ქალაქ ოჩამჩირეს“.[3] ილორის ეკლესიაში მლოცველი გამოულეველი ყოფილა. აქ მოდიოდნენ სხვადასხვა შესაწირავით. როგორც ს. მაკალათია აღწერს, მოჰქონდათ ადამიანის სიგრძის სანთლები, ვერცხლის მავთულები, მოჰყავდათ კურატი ან ცხვარი. ილორის ხატის წინაშე მსხვერპლს მნათე ამწყალობებდა. ილორში მნათე ხდებოდა იმ გვარის წარმომადგენელი, რომლის „ჯინჯი ხატად“ ის ითვლებოდა. მნათეებს ყოველწლიურად ირჩევდნენ და არსებობდა მთელი რიგი მოთხოვნებისა, რომელიც მნათეებს უნდა დაეცვათ. არსებობდა უხუცესი, რომელსაც ჰყავდა თანაშემწენი. მნათეები მლოცველებს სხვადასხვა სამსახურს უწევდნენ. ხატზე გადაცემა, მშვილდში გატარება ხატისგან დამიზეზებულისა, ფიცი და სხვა, მნათეს ევალებოდა. ყველაზე სამძიმო საქმე ილორის ხატზე ადამიანის გადაცემა იყო. „ხალხის რწმენით ილორის ხატზე გადაცემულ მტყუანს უეჭველად ილორის წმინდა გიორგი დაამიზეზებდა და ბოლოს მოუღებდა. ამიტომ ილორის ხატზე გადაცემას უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. დაზარალებული ამის შესახებ წინასწარ გააფრთხილებდა დამნაშავეს და შეუთვლიდა მას, რომ განზრახვა აქვს გადასცეს იგი ილორის წმინდა გიორგის. თუ არ იცოდნენ ვინ იყო ქურდი, ან ბოროტი საქმის ჩამდენი, მაშინ სასოფლო ყრილობაზე ან ეკლესიაში წირვის შემდეგ გამოაცხადებდნენ, რომ ესა და ეს ადამიანი მიდის ილორის ხატზე დამნაშავის გადასაცემადო. დაიცდიდნენ რამდენიმე დღეს და თუ ქურდი არ გამოჩნდებოდა და ნაქურდალს არ მოიტანდა, მაშინ დაზარალებული მიდიოდა ილორში, მოიტანდა საწირში სანთელსა და ფულს და სთხოვდა მნათეს ხატზე გადაცემას. მნათე მას მიიყვანდა ილორის ხატთან, დაჩოქებდა, სანთელს აანთებდნენ და დაზარალებული ხელაპყრობით დაიწყებდა გადაცემას და იტყოდა: დიდებულო, ილორის წმ. გიორგი, ვინც მე ესა და ეს ნივთი ან საქონელი წამართვა ან მომპარა (თუ იცის ვინ არის, დაასახელებს), ორი კვირის განმავლობაში მოატანინე თავისი ხელითაო, თუ არადა გევედრები გამოიჩინე შენი ძალა, გააგიჟე და ისე გაამწარე, რომ ის ჩემს სახელს ყვიროდესო“ და სხვა. „გინოჩამის“ დროს და-

---

[1] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 154.

[2] **ა. ლამბერტი,** სამეგრელოს აღწერა, გვ. 130.

[3] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 348.

იწყევლებოდნენ სხვადასხვა გვარად: „წმ. გიორგი ილორისაო, მისი ქალიშვილი გააგიჟე და შენს კარზე თმებით დააბიო; ვაჟი კი ხაჯალურით შეკრული მოიყვანე და შენს კარზე დააბიო. ამაზე მნათე იტყოდა: „შეუსრულე ილორის წმ. გიორგი ისე, როგორც გეხვეწებაო“ და დაამთავრებდა სამჯერ „აამენ“-ის თქმით“.[1]

ილორის წმინდა გიორგი მთელ სამეგრელოში ცნობილი იყო, როგორც ყველაზე სამართლიანი. მასთან სამართლის საძიებლად მთელი სამეგრელოდან მოდიოდნენ. ადამიანს, როცა თავის ნათქვამის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანის საფუძვლის მოსპობა სურდა, იფიცებდა ილორის წმინდა გიორგის. „სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ ილორის წმინდა გიორგის სახელი საფიცრად არის გამხდარი ყველა მეგრელისათვის. მეგრელმა თუ რამე თავისი სიმართლე უნდა დაუმტკიცოს მოყვასს, — იტყვის: წმ. გიორგის მადლმა, ეს ასეაო! ეს ფიცის ფორმულა სრულიად საკმარისია მოფიცარმა თავისი სიმართლე საჩინო ყოს. იგივე მეგრელი, როცა გაბოროტებულია ვიზედმე, წმ. გიორგის სახელით დაიწყევლება: მავანს წმინდა გიორგიმ კისერი მოუგრიხოსო! ამის თქმა საკმაო იქნება, წმინდა გიორგიმ უსმინოს დამწყევლელს ვედრება და საჭიროდ დაინახოს დაწყევლილის დასჯა“.[2] ხალხის რწმენით, ილორის წმინდა გიორგის ჰყავდა „ძმები“. ყველა ის ტაძარი, რომელიც სამეგრელოში წმინდანის სახელზე იყო აგებული, ილორის წმინდა გიორგის „ძმები“ იყვნენ. თუმცა ამ „ძმებშიც“ გამოიყოფოდა ძლიერი ხატები, მაგალითად ალერტის წმ. გიორგი, ყულიშ-კარის ეკლესია, ხეთის წმ. გიორგი და სხვა. თ. სახოკიას ცნობით, როცა ხეთელი კაცი წმინდა გიორგის ფიცულობს, ამბობს: „ჯეგეშ მარდმე“, რაც ნიშნავს „ჯეგეს მადლმა“. წყევლაა: „ჯეგე გორჭყორუდას“, რაც ნიშნავს „ჯეგე (წმინდა გიორგი) გაგიწყრესო“.[3]

წმინდა გიორგის ხატებაში ქართველი ხედავდა არა მხოლოდ წმინდანის, არამედ ღმერთის შესაძლებლობებსაც. მეგრელთა წარმოდგენით, წმინდა გიორგის ჰქონდა განუსაზღვრელი ძალაუფლება სამართლსა და სამართლიანობის დადგენაში.

ეს არის ის მიზეზები, რამაც სამეგრელოში „გინოჩამის“ ტრადიციის არსებობა განაპირობა. ხალხის რწმენით, „გინოჩამა“ იყო დამნაშავის გამოააშკარავების, დასჯისა და სამართლის აღსრულების საუკეთესო ფორმა. „გინოჩამის“, როგორც პაგანიზებული ქმედების ბუნება კარგად ჩანს დამნაშავის ხატზე გადაცემისა თუ ფიცის პრაქტიკაში. ის რომ წინარექრისტიანული ხანიდან მომდინარეობს და შემდეგ ქრისტიანობას შეერწყა, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტები, რომლებიც საველე-ეთნოგრაფიული კვლევისას გვაქვს მოპოვებული.

„გინოჩამა“, როგორც აღვნიშნეთ, ხდებოდა ეკლესიებში და ქრისტიანული ხატების (მატერიალურად არსებულის) წინაშე. ხალხი სამართალს წმინდანების ძალაში ეძებდა, ამ მხრივ განსაკუთრებული წმ. გიორგი იყო. თუმცა „გინოჩამა“ ხდებოდა ასევე ხეზე, სამჭედლოში, წყალზე, წისქვილში, ტაძრის კედლებზე, მიწაზე და სხვა. „ეკლესიების ირგვლივ გაშენებულია მაღალი, მსხვილი ხეები და გარშემორტყმულია ქვის გალავნით ან მესერით. ამ ხეების ფესვები ხატებისთვის არის შეწირული, ამიტომაც მათ არ ჭრიან და არც უბრალოდ ეხებიან, რათა ხატების რისხვა არ გამოიწვიონ“.[4] სავარაუდოდ ეს ხეები, რომელზეც შარდენი საუბრობს, მუხა და ცაცხვია. ქართულ ხალხურ ყოფაში მუხა და ცაცხვი წმინდა ხეებია. ასევე, მეგრელთა რწმენით, ძალიან ძლიერია ტყის ბლის ხეზე ლურსმნის მიჭედება და ამდაგვარად დამნაშავისგადაცემა.

სოფელ ჩქვალერში, ერთ-ერთი მთხრობელის თქმით, ფიფიას გვარის წარმომადგენელს გადაუცია ცაცხვის ხეზე კაცი, შეუგროვებია ხალხი და მათი თანდასწრებით ამოუჭრია ხეზე ჯვარი და თან უთქვამს ტექსტი. სოფელ ჩქვალერში, ლეშამგეს უბანში არის ძველი ეკლესია, „ლეშამგეს ქირსე-მანცხვარი“. აქ სცოდნიათ ხატზე გადაცემა და დაწყევლა. ეკლესიის ეზოში არის დიდი ცაცხვის ხე, რომელზედაც ხდებოდა „გინოჩამისას“ ლურსმნების მიჭედება ან სხვა რაიმე მოქმედება. ხალხის რწმენით, ამ ეკლესიაზე თუ ეკლესიის ეზოში არსებულ ხეებზე ვინმე

---

[1] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 351.

[2] **თ. სახოკია,** წმ. გიორგის კულტი და ღვთის სამართალი, გვ. 62.

[3] **თ. სახოკია,** წმ. გიორგის კულტი და ღვთის სამართალი, გვ. 63.

[4] **ჟ. შარდენი,** მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 148.

სამართლის საძიებლად გადასცემდა დამნაშავეს, ხატი აუცილებლად შეისმენდა და დაუყოვნებლივ იპოვიდა სამართალს. „ხშირად ჯეგე და ქირსე გადაცემულ ადამიანს თავის ფეხით მიიყვანდა ეკლესიის კარებთან. გადაცემულს ხატის კარებთან მიაბამდნენ. გადაცემის დროს მაწყევარი თუ იტყოდა: „ჩემი მავნებელი ჯეგე და ქირსე ისე ცუდად გახადე, რომ იგი აიძულე შენს კარზე თავისი ფეხით მოვიდეს და აქ მიაბანო“. ამის გამო გადაცემული ადამიანი თუ ცუდად გახდებოდა, ის მკითხავის რჩევით, მიდიოდა ქირსეს კარებთან და მას იქ დააბამდნენ. მას დაიხსნიდა მისივე მოკეთე, რომელმაც მკითხავის მითითებით იცოდა, თუ რამდენი ფული უნდა მოეტანა ავადმყოფის დასახსნელად. ხშირად, ადამიანის სანაცვლოდ ცხენს ან ხარს მიაბამდნენ ხატის კარებთან და ამის შემდეგ ავადმყოფი ახსნილად ითვლებოდა და ის იკურნებოდაო“.[1]

„ლეშამგეს ქირსე-მანცხვარის“ ეკლესიაში სხვადასხვა სოფლებიდან მოდიოდნენ ხატზე გადასაცემად. სოფელ ოჭანეში ერთ კაცს ღორი დაჰკარგვია, რომელსაც მეზობლისთვის დაუბრალებია ქურდობა. მეზობელი სამართლის საძიებლად ლეშამგეში წასულა. იყო შემთხვევები, როდესაც მაწყევარი უსამართლოდ გადასცემდა ხატზე ადამიანს. ამ შემთხვევაში, გადაცემული მიდიოდა ხატთან, იფიცებდა თავის უდანაშაულობაზე. თავის მხრივ, ისიც მოითხოვდა ხატისგან სამართალს. უსამართლო წყევლა, ხალხის რწმენით, მაწყევარს დაუბრუნდებოდა. ერთ ახალგაზრდა კაცს, რომელიც სოფელ ორსანტიიდან იყო (ზუგდიდის მუნიციპ.), მოუპარავს ცხენი. დამნაშავე „ლეშამგეს ქირსე-მანცხვარში“ მოუყვანიათ ცხენივით მოჭიხვინე.

სოფელ ალერტში, ლეგოგიეს უბანში, ახალგაზრდა მამაკაცს ღორი მოუპარავს. ბიჭს თურმე, ღორივით ჯაგარი ამოსვლია სახეზე და მთელ სხეულზე. შველა მანამ არ ჰქონია, სანამ მაწყევარმა არ დალოცა. ყოფილა შემთხვევა, როცა მამაკაცს მოუპარავს ღორის დამარილებული ხორცი, ამის გამო გადაუციათ დანაშაულის ჩამდენი და დამნაშავის ოჯახში, ქალს სხეულზე მარილი გამოსვლია. მთხრობელთა თქმით, ღორის, ბატის და გოგრის ქურდი სასტიკად ისჯება დაზარალებულის მხრიდან „გინოჩამის“ გარეშეც, თავისით იწყევლებაო.

„გინოჩამის“, ხატზე გადაცემის მიზეზი ქურდობა, სახლ-კარის გადაწვა, მკვლელობა თუ სხვა მძიმე დანაშაულია. სოფელ ჩქვალერში შეძლებულ მელაქია ფიფიასთვის ღარიბ როსტო ფიფიას სახლ-კარი გადაუწვავს. მელაქიას სახლში ყოფილა პატარძალი, რომელიც მზითვის გამოსატანად შესულა ცეცხლწაკიდებულ სახლში და შიგ ჩამწვარა. გამწარებულ ოჯახის უფროს ქალს (დედამთილს) ცეცხლის წამკიდებელი ილორში გადაუცია. მას ფურცელზე დაუწერია წყევლა და ბეჭედიც დაურტყამს. წყევლა იყო შემდეგი: „გეშალაფედან, შარას ქიგლასირედან, გოჭყვადედან, მორსხა ვაუღუდან“ (ამოგდებულიყვნენ, გზაზე მომკვდარიყვნენ, ამომწყდარიყვნენ, ხსნა არ ღირსებოდეთ). ქალმა გადასცა ხსნის („მორსხა“) გამორიცხვით.

ილორის ეკლესიას ჰქონია ბეჭედი, რომელიც, მთხრობელთა თქმით, სამკუთხა ფორმის იყო. ილორის ეკლესიის ბეჭდით დაბეჭდილ წყევლის ტექსტებს სამეგრელოში ხვდებოდი საფლავის ქვებზე. ამ დრომდე ილორის ეკლესიაში „გინოჩამილი“ ფურცელი სოფელ ჭალის ერთ-ერთ სასაფლაოზე ყოფილა შემონახული. სამწუხაროდ, დღეს ეს ფურცელი აღარ არსებობს და ამიტომ ზუსტად ვერ შევძელით გაგვეგო, თუ როგორი იყო ილორის ეკლესიის ბეჭედი, რომელსაც წყევლის ფურცელზე არტყამდნენ.

„გინოჩამა“ სცოდნიათ წისქვილში. მთხრობელთა თქმით, „გინოჩამა“ წისქვილში მძიმე იყო, რადგან ის სახალხოა და აქ ბევრი ხალხი იყრის თავს. წისქვილში, ძირითადად, სიმინდის ქურდობისთვის გადასცემდნენ. ამიტომ სიმინდის ქურდიც დაუსჯელი არ რჩებოდა. ერთ-ერთ გადამცემელს სიმინდის ქურდი ასე დაუწყევლია: „ვინც აიღო [სიმინდი] იმას ხსნას არ მივცემ, თუ მითხრა იმ შემთხვევაში –მივცემო“. მისულა წისქვილში შავი ზონრით შეკრული დიდი სანთლით და გადაცემისას უთქვამს: „არავის შეეცილოს ჩემი წყევლა, გარდა ქურდისაო“ და სამართლის აღსრულება მოუთხოვია „შემთხვევის ადგილზე“, ანუ ხალხმრავლობაში. ქურდი ერთ-ერთ გასვენებაზე ცუდად გამხდარა და დაუწყია სიმინდის პატრონის სახელის ყვირილი და მის-

[1] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 368.

გან შველას ითხოვდა. გადამცემელს გადაცემული დაუჩოქებია, სანთელი თავს ზემოთ შემოუტარებია და უთქვამს, ამ ხელით გადაგეცი და ამ ხელითვე ხარ ჩემგან დალოცვილიო.

დამნაშავეებს განსაკუთრებით ეშინოდათ სამჭედლოში გადაცემის. ძლიერ გადამცემელად ითვლებოდა მჭედელი. 31 დეკემბერს სამეგრელოში იხდიან „ხეხუჯობას“, ანუ ხელებისა და მხარის სალოცავს. გადმოცემის თანახმად, წელიწადის დღეთა რაოდენობის მიხედვით არსებობდა ხელობები. ყველა ამ ხელობის დამფუძნებლად ბიბლიური სოლომონ წინასწარმეტყველი მიიჩნეოდა. ხალხური აღქმით, სოლომონ წინასწარმეტყველის მთავარ საქმიანობას მჭედლობა წარმოადგენდა. მჭედლობის საიდუმლოც მას ქრისტემ გაანდო. „ხეხუჯობის“ რიტუალს მხოლოდ მჭედლები ასრულებენ. „ოხეხუჯე“ შესაწირავი ცხოველი ღორია. სამჭედლო, მეგრელთა რწმენით, წმინდა ადგილად ითვლება და სამჭედლოში ადამიანის გადაცემა მჭედლის მიერ, მძიმე წყევლად. შესაძლოა, სამჭედლოს ასეთი საკრალურობა, ზემოთ მოტანილი გადმოცემითაც აიხსნას. მჭედლის ხელით შესრულებული „გინოჩამის“ რიტუალი, ალბათ, მეგრელთა რწმენით, მსწრაფლასრულებადია, რადგანაც სოლომონ წინასწარმეტყველის მთავარ საქმიანობას მჭედლობა წარმოადგენდა და მჭედელიც ბიბლიურ სოლომონთან ასოცირდებოდა.

„გინოჩამის“ რიტუალი მოიცავს ერთ-ერთ კომპონენტს, „მორსხა“,წყევლისაგან გათავისუფლების რიტუალს. თუმცა წყევლისაგან გათავისუფლება-არგათავისუფლება დამოკიდებულია წყევლის ტექსტზე. ტექსტს ძირითადად გადამცემი ამბობს და ის ინდივიდუალურია. ევედრება სასწაულმოქმედ წმინდანს თუ ღმერთს, ასევე სხვა, მისთვის სარწმუნო ღვთაებას, ზებუნებრივ ძალას. ფორმულა არ არსებობს, თუმცა გადაცემა არის ორგვარი: „მორსხით“ (ახსნით) და „უმორსხო“ (ახსნის გარეშე). გადამცემი, ანუ დაზარალებული, თავისი ემოციებისა თუ გრძნობების გავლენით ამბობს ტექსტს და სამართალაღსრულებას ზებუნებრივ ძალას ანდობს.

„მორსხა“ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ხსნა, საშველი; ნასახი, ნატამალი რისიმე, უკიდურესი მდგომარეობიდან გამოსაყვანი საშუალება“.[1] „მორსხა“ გულისხმობს მაწყევრის მხრიდან დაწყევლილისათვის წყევლის ახსნას. ამას მეგრელები სხვანაირად „ალობას“ ეძახიან, ანუ გათავისუფლება წყევლისგან. „მორსხა“ თავის მხრივ მოითხოვს რიტუალს. მაწყევარმა რომ „ალობა“ მისცეს გადაცემულს, აუცილებელია გადაცემული გამოაშკარავდეს და „შენდობა“ ითხოვოს. „მორსხას“ რიტუალი სხვადასხვაგვარია. დამოკიდებულია მაწყევარის შეხედულებაზე, წყევლის დროს ნათქვამ სიტყვაზე, ან მკითხავზე/მარჩიელზე (მაკითხე). არის შემთხვევები, როცა „მორსხას“ თავის თავზე იღებს „მაკითხე“ (მარჩიელი). ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა „გინოჩამა“ „უმორსხოდ“, ანუ გამოხსნის გარეშე ხდება. ერთ-ერთი შემთხვევის დროს სოფელ ჩქვალერში მკითხავ ჟორა მიქავას როსტო ფიფიას ოჯახისთვის გაუმართავს „მორსხის“ რიტუალი და მოუთხოვია ერთი მამალი და ერთი წლის დედალი, აუცილებლად ნაყიდი. სუფრისათვის ახალი მაგიდის გადასაფარებელი, თეფშები და ჭიქები, რძეში მოხარშული „ხოზო კვარები“, წითელი ღვინო, ხურდა ფული, ლურსმანი, ნახმარი ნალი, ბოქლომი, პილპილი და მარილი. მთხრობელის თქმით, ყველაფერი, რაც „მორსხისთვის“ გაშლილ სუფრაზე იყო, შეიჭამა, ხოლო დანარჩენი შეკრეს და წყალს გაატანეს.

სოფელ რიყეში (ზუგდიდის მუნიციპ.) ერთ-ერთმა „გადამცემელმა“ „გადაცემულს“ მისცა „ალობა“, ანუ გაათავისუფლა წყევლისგან და ამის საფასურად მან ცხენი გაუშვა ყულიშკარის ეკლესიაში. ცხენი იმიტომ, რომ ყულიშკარის წმინდა გიორგიმ დამნაშავე სწორედ ცხენის ქურდობისთვის დასაჯა. დამნაშავეს შეუკრებია ყველა თავისი შთამომავალი და გადამცემლის შთამომავალი ყულიშკარის ეკლესიაში და აქ შესრულდა „მორსხა“. ყოფილა შემთხვევა, როცა მაწყევარს წყევლის ტექსტში უთქვამს: „მორსხა“ მანამ არ იქნება, სანამ ცხენის, ხარის თუ სხვა რაიმე ნივთის პატრონის მარჯვენა, ანუ დაზარალებულის მარჯვენა ქურდს არ შემოევლებოდა თავზე. წლების შემდეგ გარდაცვლილი ამოუთხრიათ მიწიდან და მისი მარჯვენა გაგიჟებული ქურდისთვის, ან მისი რომელიმე შთამომავლისთვის თავზე გადაუვლებიათ.

---

[1] **ა. ქობალია,** მეგრული ლექსიკონი, გვ. 475.

ყველაზე მძიმეა ხატზე გადაცემა „მორსხის“ გარეშე, ამ დროს წყევლა, როგორც სამეგრელოში სჯერათ, მაწყევარს უკან უბრუნდება, მიუხედავად იმისა, მაწყევარი სამართლიანად გადასცემს თუ არა წყევლას. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მკვლელობისთვის სამართალდამცველებს მკვლელიარ დაუსჯიათ. ოჯახის წევრებმა, მოკლულის დებმა, გაუთხოვრობის აღთქმა - დადეს და მდინარეში ჩავიდნენ, წყალში ჩამოივარცხნეს თმა, დაწყევლეს მკვლელი და მისი ოჯახის ყველა მამაკაცი. მთხრობელთა რწმენით, „გინოჩამამ“ სამართალი აღადგინა და დამნაშავის ოჯახში ყველა მამაკაცი გარდაიცვალა. დებმა გაუთხოვრობის აღთქმა დადეს იმიტომ, რომ შთამომავლები არ ჰყოლოდათ და წყევლა უკან არ დაბრუნებულიყო.

თავის მხრივ, მაწყევარი ატარებდა რიტუალს, რომელსაც „ერსხა“ ერქვა. „ერსხა“ აუცილებლად უნდა შეესრულებინა მაწყევარს, რათა თავიდან აეცილებინა წყევლის უკან დაბრუნება. მაწყევარი „ერსხის“ რიტუალს ყოველთვის ასრულებდა. არის შემთხვევები, როცა ეს რიტუალი „ხვამად“ ქცეულა, ანუ ყოველწლიური დღეობის სახე მიუღია. მაგალითად, სოფელ მუჟავაში არქანიების გვარი ატარებს „განალინიშ ხვამას“, რომელიც ბავშვის დაბადებასთანაა დაკავშირებული. ოჯახის უფროსი ქალი ოჯახში ბავშვის დაბადებისას მუდმივად ასრულებს ამ რიტუალს. „წყევლას რომ გაეჭრა, — წერს ს. მაკალათია, — გადამცემი ილორში ყოველ წელიწადს აგზავნიდა საწირავ-სანთელს და სთხოვდა ილორის წმ. გიორგის ჩქარა გამოეჩინა თავისი ძალა და რისხვა. თუ გადაცემულის ოჯახში (როცა იცოდნენ დამნაშავე) ვინმე მოკვდებოდა, იტყოდნენ — წყევლამ გაჭრაო და გადამცემი მაშინვე ილორში წაიყვანდა ციკანს „განალინს“, ილოცებოდა იქ, რომ წყევლა მას არ დაბრუნებოდა“.[1]

დღეს ამ რიტუალმა დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა, თუმცა ხალხის მეხსიერებაში სახეცვლილი შემორჩა. ის გახდა „ხვამა“ (ლოცვა) ბავშვთან დაკავშირებული. წინაპართაგან გადმოცემული რიტუალი „გინოჩამასთან“ რომ იყო დაკავშირებული, არ ახსოვთ, მაგრამ შთამომავლების დაცვის მიზანს რომ ემსახურებოდა, კარგად ახსოვთ, და დღეს უცილობლოდ ასრულებენ ამ რიტუალს. სოფელ ჩქვალერში მცხოვრები ერთ-ერთი გადამცემელი – მალაქია ფიფიას ოჯახის უფროსი ქალი როდესაც გაიგებდა გადაცემულის ოჯახში ვინმეს რამე უბედურება შეემთხვა, აუცილებლად დაკლავდა მამალს. მსხვერპლად სწირავდა ილორის წმინდა გიორგის, რათა წყევლა უკან არ დაბუნებულიყო. ამავე დროს, ეს მსხვერპლი ერთგვარი სამადლობელიც იყო.

„გინოჩამა“, ხატზე გადაცემა, თავისი შინაარსით რთული ფენომენია. ის მოიცავს მთელ რიგ რიტუალთა სისტემას, არაერთგვაროვანს, სხვადასხვა შინაარსისას. სხვადასხვაა გინოჩამის მიზეზები, მოტივი, მიზანი. გინოჩამა ემსახურება თავისი არსით დამნაშავის დასჯას, თუმცა რამდენად სამართლიანია სამართლის ასეთი ძიება და შემდეგ აღსრულება, ეს უკვე სხვა საქმეა. „გინოჩამა“ უძველესი სოციალური პრაქტიკის ნაყოფია, ის ხალხურ წიაღში წარმოშობილი ქცევის წესია, რომელიც დამნაშავის დასჯას ემსახურებოდა. „გინოჩამის“ შინაარსი მოიცავს უძველეს რწმენა-წამოდგენებს, რომლებიც შერწყმულია ქრისტიანობასთან. პრაქტიკა დატვირთულია მთელი რიგი სიმბოლოებით. აქ ქრისტიანული და წინარექრისტიანული სიმბოლოები ასიმილირებულია ერთმანეთთან და ერთგვარად, ქრისტიანული ნაწილი პაგანიზებულია. ხატზე გადაცემა არაა მხოლოდ მეგრელებისთვის დამახასიათებელი, ის უნივერსალურია, თუმცა სამეგრელოში, ის ასევე მოიცავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნიუანსებს და ლოკალურ მახასიათებლებს. საინტერესოა, „გინოჩამა“ როგორც ისტორიულად არსებული ფაქტი. მეცნიერებს შეუძლიათ შეისწავლონ სამეგრელოს ყოფა და ისტორიული განვითარების ტენდენცია ამ მოვლენით. ეს არის ხალხის სამართალი, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა დამოკიდებულება იყო მის მიმართ. „გინოჩამა“ არის ჩვეულებითი სამართლის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ადათიდან იღებს სათავეს და ხალხის რწმენით, სამართალს ემსახურება.

---

[1] **ს. მაკალათია**, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, გვ. 352.

რაც შეეხება თანამედროვეობას, რა თქმა უნა, საუკუნეებმა თავისი კვალი დატოვა ხალხის მახსოვრობაში, მაგრამ დრომ მოახერხა ამ მოვლენის, სრულად არა, მაგრამ მეტწილად დავიწყება. დღეს „გინოჩამა“ გაქრობის პირასაა. საზოგადოებრივი აზრი გავლენას ახდენს იმ ადამიანებზე, ვისაც სურვილი აქვს „გინოჩამის“ რიტუალის შესრულებისა, რის გამოც ისინი თავს იკავებენ ხატზე გადაცემის შესრულებისგან. მთხრობლების თქმით, საეკლესიო პირებმა ყველას აუკრძალეს ეკლესიის ეზოებსა თუ კედლებზე, ხეებზე „გინოჩამას“ რიტუალის შესრულება. დღეს ეკლესია საკმაოდ ძლიერი ინსტიტუტია საქართველოში. ალერტის წმინდა გიორგის მონასტერში ბერებს ტაძრის კედლებზე დახვედრიათ ლურსმნები და სხვადასხვა ნივთები, ასევე ხეებზე მიჭედებული ლურსმნები და სხვა. დღესაც არსებობენ „მაკითხეები“/მარჩიელები, ქადაგები და ისეთი ხალხი, რომელიც სამართალს „გინოჩამით“ ეძებენ, მაგრამ იშვიათია. თანამედროვე ახალმა ყოფამ, დამოუკიდებლობამ და ქრისტიანული რელიგიის გაძლიერებამ თითქმის განდევნა „გინოჩამასთან“ დაკავშირებული ძველი რწმენა ხალხის ცხოვრების წესიდან.

შემოკლებათა განმარტება

ენიმკის მოამბე — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე

სიგკ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული

სინ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები

სსცსა — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

АКАК - Акты собранные Кавказской археографической комиссией

СМОМПК - Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

Davit Chitanava, Bezhan Khorava, Ketevan Tsimintia, Ioseb Shengelia

(Samegrelo village in ancient times and now)

(Summary)

This work represents historical and ethnological study of Samegrelo from the ancient time up to the present day.

One large communal settlement from each municipality of Samegrelo, according to their specific characteristics, was chosen as a reference point, both from a historical and ethnological point of view, for the issues studied. They are: Khuntsi community of Martvili municipality, Tchogha community of Tchkhorotsku municipality, Jgali community of Tsalenjikha municipality, Ketilari community of Abasha municipality, Khorshi community of Senaki municipality, Torsa-Dghvaba community of Khobi municipality, Koki community of Zugdidi municipality. As a result of research carried out on the basis of the study and critical analysis of scientific literature, historical sources, including archival materials, periodicals of the second half of the XIX - early XX centuries, the Soviet period and the post-Soviet period, as well as field ethnographic materials, the history of the Megrelian village has been studied monographically for the first time, which has not only scientific but also practical significance. We are introducing very important material into scientific circulation, in which special attention is paid to the coverage of the cultural, economic and social development of the old and modern Megrelian village.

A separate chapter is devoted to the peculiarities of the biogeographic environment of Samegrelo from ancient times to the Middle Ages inclusive.

The territory of Samegrelo and especially its coastal part has been inhabited since the Acheulean period, and in Mousterian the zone of hilly foothills of central Colchis is already well developed.

At the sites of the New Stone Age of Samegrelo, in contrast to the monotonous Neolithic in the rest of Western Georgia, a local variation, a new cultural and economic area was singled out.

The Mesolithic, which genetically must be related to the mountainous Mesolithic, is well represented in Samegrelo. Part of the Late Mesolithic and Early Neolithic tribes continue living in caves and grottoes along the rivers, which does not prevent them to master new branches of the productive economy.

In the Neolithic (VIII-VI millennia BC), the population settled in open habitats (early Neolithic) on the hills in the river valleys, where there are the first traces of residential buildings. And in the following period, the flatland of the eastern coast of the Black Sea - the Colchis plain - is widely developed, where settlements are found only on the artificially created hills.

The development of the Western Georgian Eneolithic culture continued at an upward pace. It occupied a more extensive territory than had been covered by the Late Mesolithic culture of Odishi.

In the period, preceding the formation of the Colchian culture, bronze metallurgy and metalworking reached a certain stage of development in Western Georgia. Shapes of hoes that existed in the first half of the II millennium BC in Colchis indicate the early origin of agricultural implements and intensive hoe farming. The Early Bronze Age (2500-1800 BC) is characterized with plough agriculture, the development of cattle breeding and the emergence of metallurgy. In Colchis, the foundations were laid for the casting of copper agricultural implements.

In the proto and ancient Colchian epochs, in the Colchis lowland and hilly zone buildings tied with log joining are attested. Along with log buildings, hut-like structures with a wicker wall and a wicker frame, arranged on stake flooring, were also widespread in the Colchis plain in the Bronze Age-Early Iron Age.

From the III millennium BC in the Colchis plain, a peculiar type of settlement is spread - artificially heaped hill settlements located in groups, the so-called “Dikha-Gudzubas”. Their height sometimes reached several meters, and their diameter was up to one hundred meters; they are surrounded by a ditch or ditches

(as well as dams); these ditches connected with rivers and form a single system. There are hundreds of such hills here, and the population lived here almost continuously from the IV-III millennia BC to the period of the first centuries AD. This process of development of the Colchis plain would have been started certain tribal associations living in the foothills of Samegrelo, carriers of the Neolithic and Kura-Araxes cultures, who migrated from the northern zone to the plain. A certain part of them later moved to the north, and their unity was supposed to lay the foundation for the Iberian-Caucasian peoples.

Since the II millennium to the VII century BC inclusive, this region, as well as almost all of Georgia and some adjacent regions, find themselves in the area of the Colchian bronze culture.

In VI-V centuries BC, the lower part of the Pasisi (Rioni) river also appears to be densely populated, where some urban-type settlements were discovered.

The name of natural and artificial Dikha-Gudzubas and hill-settlements should have been khi//okhore//khori//kori. This term belongs to the Kartvelian-Iberian-Caucasian unity and related to them ancient Eastern non-Indo-European ethnic groups, and at first it was a designation of the clan. Every Colchian Dikha-Gudzubas or natural hill-settlements represented ancestral settlements of related family communities, the unity of which here was supposed to make up a community as a territorial-neighbouring, that is, polygenic, unit and create a single defensive system in a certain local territory. This tradition of "Dikha-Gudzuba" type settlement continues in part until the V century AD. And since the V century, a new form of settlements, the so-called system of homesteads, should have emerged, which has survived in Western Georgia to this day.

After the emergence of a system of homestead settlements, due to the boggy relief of the Colchis Plain, people first of all chose a place for settlement where there was less dampness and there was drinking water nearby. Of decisive importance was also the proximity of the settlement to the forest and fertile arable land. Such an open and scattered structure of the settlement is clearly visible both in the villages of the Samegrelo plateau and in the villages of Abkhazeti, Imereti and Guria. And most of the villages in the Samegrelo foothills reach the maximum density. Since the XIX century, with the appearance of roadside settlements, the population living mainly at the foot of "Lakada" mountain and along the Egrisi ridge moved en masse towards the foothills and the Colchis plain. Even in the plain itself, people left abandoned and roadless districts and settled along the roads and nearby the rural centers, on the outskirts of cities, Soviet farms. This process became more intense after the World War II and continues to this day.

When conveying the history of a region, it is necessary to consider its historical geography. It can be safely said that the historical geography of Samegrelo has not yet been fully studied. In the historical and geographical essay, nature and geographical environment, physical-geographical and historical boundaries, flora and fauna, hydrography, orography, natural resources of Samegrelo are examined in detail, as well as issues of its historical development, historical geography of inhabited localities, fortifications, church-historical geography, historical toponymy, historical-economic geography.

Medieval history of Samegrelo is considered in the work in two parts: Odishi - from Duchy to Principality; the Odishi principality in the XVI-XVII centuries.

The term "Samegrelo" has been attested in historical sources since the XI century. Despite this, this geographical name did not receive administrative-territorial significance in Georgia during the entire Middle Ages. In medieval Georgian sources, the name of this region is found everywhere as "Odishi", and in European sources - as Mingrelia. Odishi was a duchy within the Georgian Kingdom. Therefore, the history of Samegrelo is considered in the work from the XI century, from the first mention of terms "Samegrelo" and "Odishi" to the formation of the Odishi principality, that is, the middle of the XVI century. The second part examines the history of the Odishi principality in the XVI-XVIII centuries, as well as its socio-economic development during this period. The villages of Odishi (Samegrelo) have been often mentioned in historical sources since XVI-XVII centuries. Therefore, we considered the development of the village in Samegrelo precisely from this period.

The third part of the work - Village in Samegrelo in the XIX - early XX centuries - represents the period when Odishi (Samegrelo) was under the rule of the Russian Empire. In this part of the work, the development of the village in Samegrelo is considered against the background of the history of Georgia and the region in the XIX- early XX centuries. It was from the XIX century, during the Russian rule, that the term Samegrelo gradually began to be used instead of Odishi. There is an extensive and varied material on the history of the village in Samegrelo of this period, which gave us the opportunity to look at the history of region from different aspects: political history, socio-economic development, church, culture.

The fourth part - Village in Samegrelo in 1918-1921 - examines the development of the village in Samegrelo during the period of the Georgian Democratic Republic - political history, socio-economical development, church, culture.

The fifth part - Village in Samegrelo in 1921-1991 - surveys the history of the village in Samegrelo from the moment of the establishment of the Soviet rule in Georgia until the restoration of Georgia's independence. This part of the work discusses such issues as the establishment of the Soviet rule in Samegrelo, administrative-territorial division of the region, the first steps of the Soviet power, political repressions, the fight against the church, collectivization, the war between the USSR and Germany in 1941-1945 and the village in Samegrelo, the village in Samegrelo in 40-80s. At the same time, the study cites not only dry numbers, but also a person is not left without attention as well. It should be noted that history of Samegrelo of 1921-1991 has not yet been monographically studied.

In the sixth part - Village in Samegrelo from 1991 to the present day - considers the situation in the village in Samegrelo since the coup d'etat of 1991-1992, the War in Abkhazia in 1992-93 and economic devastation up to this day. As a result of the study, data were established about famous people, natives of the communities of interest to us, workers in the fields of education, science and culture, and it was also possible to establish the localization of the places of former churches and historical roads in the communities, and to get very important information about the clans previously living here.

In the early 90s, collective and Soviet farms were disintegrated and transformed into joint-stock companies. Their lands were appropriated by private individuals. As the tea processing factories in the country did not work, the population cut them down and began sowing corn or growing nuts in these territories.

The difficult socio-political and economic situation that has developed in Georgia since the early 90s of the last century has miserably affected the village in Samegrelo. Thousands of refugees expelled from Abkhazeti settled there. At the same time, the process of migration to neighboring (Turkey, Russia) or distant countries has intensified. According to the 2002 and 2014 censuses of the population of Georgia, a significant population decline was stated, the cause of which is the difficult socio-economic situation.

The work has been prepared on the basis of a critical study and analysis of materials from periodicals of the XIX-XX centuries, relevant historical sources and scientific literature. As a result of the research carried out, the history of the village in Samegrelo has been first studied monographically, which has not only scientific but also practical significance. We are introducing important materials into scientific circulation, in which particular attention is attached to the coverage of the cultural, economic and social development of the modern Georgian village. At the same time, we tried to avoid localization, the history of the communities is closely related to the process of the historical development of the whole of Georgia, and each community is represented not separately, but as an indivisible part of the country.

As for the practical significance of the work, the following branches of rural economy were identified in the communities studied by us: tea-growing, maize growing, silkworm breeding, subtropical fruit-growing, viticulture, vegetable growing, apiculture, meat and dairy farming, cultivation of traditional cereals (foxtail millet, millet, rye) and vegetable crops (peas and horse-beans), as well as grapes and a number of traditional species of fruits in the recent past.

In Samegrelo, with appropriate assistance, it is quite possible to develop various branches of rural economy, such as tea-growing, subtropical fruit-growing, viticulture, vegetable growing, silkworm breeding, apiculture, as well as meat and dairy farming, to restore processing industries of tea and fruit, technical cultures, essential oil crops, and a number of forgotten cultures, that would benefit both the population and the country. Along with traditional cultures, the culture of the tung-tree is also interesting, the industrial use of which can be restored.

Samegrelo is rich in natural resources. The use of limestone, barite, andesite, dolomite and other minerals for industrial purposes seems to be quite real.

The proper use of the recreational potential of Samegrelo is of great importance. The bottling of healing water at the Skuri resort was carried out until the end of the 80s, which was supplied to the market of the Soviet Union. The resort itself was an important health center, and its restoration would bring significant economic benefits. The same can be said about the restoration of balneological resorts of Tsaishi and Menji, the children's resort Mukhuri, climatic resorts - Lebarde, Anaklia, Ganmukhuri.

Samegrelo has great tourism potential. Various types of tourism can be developed here, such as agro (rural), gastronomic, ecological, extreme, cultural, medical, recreational, religious.

Interesting tourist sites are such natural monuments as caves, lakes of the Tobavarchkhili group on the Egrisi crest, the Abasha river canyon, Lake Paliastomi and the Colchis National Park, as well as cultural heritage sites - churches of Martvili, Tsalenjikha, Khobi, Poti, Zugdidi, Tsaishi and Kortskheli, Dadiani palaces in Zugdidi and Salkhino, Nokalakevi complex, castles of Rukhi, Shkhepi, Kheta, Jikhaskari, Bronze Age settlements in the Colchis plain, foundries of the Late Bronze Age - Early Iron Age, located along the Ochkhomuri river, Stone Age sites in the Qalichona cave, which, as natural and historical monuments, can become interesting tourist attractions.

Thus, Samegrelo has an important potential from an economic point of view, the use of which is quite possible and can be of great benefit for the development of the country.

In Samegrelo, the unit of settlement is a homestead, or, as it is called here, "Okhoru", in which the unity of residential and utility buildings is presented in a scattered manner, but in compliance with certain norms. For "Okhoru", a sunny forest edge, protected from avalanche and flood, is chosen, near to the river and spring water ("Tsurgili"). When choosing a place for "Okhoru", various rites and actions were used.

The Colchian dwelling was traditionally wooden, the most ancient types of which ("wicker hut" and "log cabin") survived here from the Neolithic to the XIX century. From the XVIII century "Pitapitsara", the same "Boqvi" or "Ganis Saxli" appeared, the developed form of which was the "Oda" house, which is still used as a dwelling by some families. There were famous wood craftsmen in almost all the villages. Masters from Lazeti and Racha also used to come to Samegrelo to built Oda houses.

From the 60s of the XX century, two-storey Oda houses appeared in Samegrelo, which are still widely used for living. Now in Samegrelo they mainly build reinforced concrete and so-called "block" houses.

The work analyzes the stages of development, architectural and construction details, interior arrangement and furniture of each of these residential buildings.

Based on the results of the analysis of ethnographic and linguistic materials, this work examines the panorama of the vertical zonality , as well as the economic and cultural interaction of the mountain, foothill, plateau and low, that is, coastal, zones of Samegrelo and the issues of delimitation of the mountain and the plain.

The work also describes the state of the infrastructure of the current Megrelian village. Internal roads are in very poor condition, there are no shops, cafes, restaurants, other cultural and educational institutions and ambulatories in the village.

The work studies the history of the formation of rural societies in Samegrelo, and presents the materials of the population census from the 19th century to the present day, using as an example seven communal settlements we selected for the study. The social strata, land ownership, the number of resettled,

free and landless peasants, as well as the area of princely property were distinguished. The study revealed a decline in population, especially after the collapse of the Soviet Union.

Issues related to the rural community, patronymy and family structure were studied. The rural community here was created from several monogenic or polygenic villages, where names of ancestral settlements are formed by the suffixes “Le” (in foothills) and “Sa” (mostly in plateau and plain).

In Samegrelo, the territorial, that is, the neighboring community, which represented the main ethnogeographic unit, is found in several varieties, which finds expression in the peculiarities of the settlements in the mountains and foothills of Samegrelo. In the coastal, that is, in the so-called “lower zone” villages, which occupied a strip about 20-30 km inland along the sea coast, typical communal settlements are not attested. The reason is that they were formed mainly after the Sovietization and settlement here rarely took place until the 50s of the XIX century. Basically, these places were settled by shepherds who came from the mountain Samegrelo. Peasants who fled from their landowners, or people guilty of something who sought refuge in impassable swamps, also settled there.

On the Samegrelo plateau, the rural community was formed from several polygenic villages, each of which included numerous monogenic settlements of the district or rural type. They were united around the common communal shrine, had a certain system of government and a common communal cemetery. Some part of villages entering the community had their own cemeteries, churches or shrines.

In the XIX century, the head of community was called Mamasakhlisi. Megrelian term designating the head of community is “Dudkochi” (verbatim “head-man”), “Manjghveri” (verbatim “leader”). From the clans that were part of the community, one of the elders was elected the leader of community taking into account his merits and personal qualities. He had to be distinguished by honesty and justice. Every person living there was considered a full member of the community, despite his social stratum. Community meetings, which were held in case of necessity, were attended by elder men of every district or large family (women did not attend meetings), who resolved all problematic issues of the community by a majority vote. Punishment of the guilty or the reconciliation of the warring ones, the ordering of taxes and the determination of the rights and responsibilities of each member, etc. took place there. Each member had to defend the community in turn. There was one or two main communal roads there (“Temshera”). The members of community had to assist poor families. They were also obliged to donate meat and wine at joint expense for major community or church holidays.

In modern realities, the lifestyle of the community has completely changed. But it must be said that 30-50 years ago some signs of an archaic mode of living in the form of narrower neighbourhoods were still preserved, which was expressed in a respectful attitude towards the elders of the clans and villages, in the resolution of certain disputes among neighbors, mainly over land or division of family property, on the spot. But in the current situation, even this form of relationship has been lost, and this happened in parallel with the change of generations, and today's youth, with rare exceptions, looks at the old customs and foundations, including the tradition of respect for elders, to put it mildly, superficially.

Small neighbourhood units known as “Samokhio” are formed in rural communities or inside villages in Samegrelo. “Samokhio” is an association of families living close to each other (60-100 families), who are obliged to help each other in sorrow and joy. Today, people of different clans are united in "Samokhio", although earlier it was a monogenic settlement. Despite its polygenic nature, marriage inside it was forbidden.

Megrelian “Samokhio”, both in its social meaning and purpose, and in its phonetic varieties, reveals a connection with Gurian Sakheviskatso/Sakheikatso, Imeretian “Mekheve”, Georgian “Khevi” and Svan Qheu. In these lexemes, the root “Ki”, that is “Khi” is isolated, which is also reflected in Kartvelian ethnotoponymic derivational suffixes and is one of the oldest Georgian terms denoting a clan. Svan has retained it in the form of Lamkhub/Samkhub. The term "Sakhli", which denotes a clan in the Georgian lexicon, and the Megrelian "Okhore" are also identical to it. The Khi suffix also forms a certain part of

Georgian surnames and is a term dating back to matriarchy, which has survived as a feminine suffix (-khe) in Colchian (Megrelian) surnames.

In current reality, exogamy of Samokhio is gradually crumbling. Representatives of its new generation do not consider belonging to the same “Samokhio” a forbidden circumstance for marriage (excluding blood relatives and relatives by marriage).

Along with "Samokhio", the monogenic village also creates a type of settlement within the rural community of Samegrelo. It comes from the oldest lexical unit "Ti" denoting a large family and preserved in the form of a relic. A larger social unit - clan and patronymy - derived from it, is designated by a term “Turi”, which in the foothill settlements denotes the genealogical groups of descendants of 4-7 generations descending from one ancestor.

Patronymic divisions designated by the name “Turi” are not typical for the villages of the plain Samegrelo, their number is small in the villages of the Samegrelo plateau, but in the foothills they are more common.

Term “Dino”, and in some cases also “Gamnarqi”, is found together with “Turi” as a designation of patronymy.

Up to the end of the XIX century, the tradition of living as a large patriarchal family, that is, a transformed form of family community, uniting the descendants of three generations, was partially preserved here. Within the monogenic settlements formed after the breakup of such a large family, a patronymic unit is created, known under the names “Dino” and “Gamnarqi” (genealogical groups of 4-5 and rarely of 6-7 generations), which creates a certain type of settlement here. Monogenic district settlements are created precisely by it.

In the modern structure of the rural settlements of Samegrelo (especially in the plain and plateau of Samegrelo), many traditional norms characteristic of patronymy are violated.

The work properly covers migration processes. In the XV-XIX centuries, mainly internal migration took place here, primarily from the mountainous Samegrelo to the plain. But, in the current situation, external migration prevails. This is due to the collapse of production and the lack of jobs.

The assessment of the economic state of the village in terms of the changes that have occurred is presented in the work directly in the form of interviews with storytellers. People born around the 1960s and earlier have a great sense of nostalgia for that time.

The land issue is also considered in the work quite broadly, from which it becomes clear that over the past 200 years the Georgian peasant was forced to buy his land 4-5 times due to the adoption of supposedly new laws by each government or officials. After the collapse of the Soviet Union, most of the peasants tried to reclaim plots of land, left outside their household plots and once belonged to their ancestors, which had been taken away by the Bolsheviks. The part of these lands was bought from feudal lords under a “contract of sale”, the other part - from the Russian Empire or the state during the first republic. The peasantry believed that they had returned the lands taken away by the Bolsheviks and fenced them off, but after the restoration of independence (1991), these plots were not legalized as private property. Thus, it turns out that the Georgian peasant, both in the nineteenth and in the twentieth and twenty-first centuries, must again buy the land plot, already purchased several times by his ancestors in previous centuries.

The work also discusses the issues of traditional medicine that date back millennia, and traditional methods of treatment, which have not forgotten here to this day.

It is simportant to note that, Blacksmithing was one of the important branches of home industry. Metalworking was considered as a worthy and honorable occupation. Forge place was the most important place to consideration and was treated with respect. The blacksmith’s tools were recognized as a sacred item. The creation of blacksmithing was associated with St. Salomon. St. Salomon was the patron of blacksmiths. Entering into the forge was forbidden for women because of its holiness. Today we do not find blacksmiths

and forges in the ethnographic life in Samegrelo.In this article the legends, holidays and rituals are explained about forge as well as modern views connected to forges.

Observation of each stage of the development of society convinces us that an isolated person is weak both in the struggle against nature and in ensuring the necessary minimum for his existence.

Ethnic tradition is a social formation, and from a social-psychological point of view, it is an expression of the action of a group of people, repeated over time, often from generation to generation. Studying ethnic traditions in the historical development also presupposes knowledge of their current situation. Such issues (as family history, social relations) include forms of labour organization and mutual assistance, which are carriers of the general regularity of striving for social unity. The expression of this regularity in specific ethnic forms contains many points worthy of attention, and is capable of fulfilling the role of a right, useful guide in the historical and ethnographic research. The place and role of mutual assistance in the process of social life are of great importance, since it is not only a necessary element for the family economy, but a moral phenomenon as well.

Ivane Javakhishvili noted, that the term "way of life" meant first of all the life itself and expressed a written or unwritten specific order of being and behavior.

The study of ethno-psychological or moral nature of the forms of mutual assistance traditionally existing in a Georgian village is one of the most important and complex issues of ethnological science. Inside this system, the identification of numerous types, kinds and variations, such as a more precise definition of regional peculiarities, studying of traditional cooperation and labour organization, and others that directly correspond to the pressing problems of our time, is implied.

The phenomenon of diverse mutual assistance that existed in a Georgian village since ancient times was a very flexible and economically beneficial form of labour cooperation strengthened by the neighbourhood of people living in the same territory. It could resolve such problems as the prompt and timely completion of labour-consuming work requiring quick organization, giving help to the family who found themselves in difficult conditions due to unexpected misfortune, and other various means of solidarity. It was also one of the means of communication, on the one hand, among families living within a locality and, on the other hand, among several localities. It has been noted that this custom arose for establishing good neighbourly relations in a village, neighbourhood or community. It was not a temporary association, but a constantly operative one, which could even be equated to stable social institutions. It was based on pure moral and kindred relations.

The study of the transformation of the household peculiarities of a Georgian village is a very important task because of today's heavy socio-economic situation. Here it is necessary to comprehend what kind of the moral and customary norms were and how the transformation of these norms (of people solidarity, collective work or labour cooperation), and in some cases their complete disregard, occurred inside one local group.

In the Soviet ethnographic science, issues of mutual assistance and joint labour were usually considered in the process of studying problems of (tribal-neigbouring) community, as mutual assistance was considered the formation of the communal system and its integral part. It is assumed that at that time there were relationships of distribution, not exchange. It has been noted, that among the peoples at a low stage of development, joint labour is production relations, and not just organizational and labour ones. From the point of view of stadiality, the origin of mutual labour assistance is a product of such a society as well, where archaic social forms begin to differentiate into families and patronimies. At the beginning, certain signs of mutual labour assistance had appeared, which gradually developed in full form in parallel with a decrease in family sizes. The necessity caused by socio-economic needs was arising naturally. With a decrease in labour force, a family was not able to cope with a difficult situation independently, especially in such an economic and geographical region and natural and ecological environment, where people had to deal with a variety of economic forms.

The identification of regional peculiarities, study of traditional cooperation and labour organization directly correspond to the modern task - the use of production knowledge and experience of people, by means of which the local population has existed for centuries without any outside help and, especially, without the need to be provided with food from outside.

A thorough understanding of habitat, natural and climate conditions and vertical zoning, management of activities in accordance with all this, the exact division of labour according to the age-sex principle, the seasons and economic requirements, which was strengthened by forms of mutual assistance and religion, allowed the population not only to exist in extremely difficult conditions, but also have a high level of reproduction, conscientiously fulfill village, community and state duties, and contribute to the general state division of labour.

It has been noted correctly and without exaggeration, that losing of regional livelihoods is so disastrous that we are responsible for this with our existence. An enemy cannot do more harm to us than ignoring the vital forces and means of the nation, worked out by our ancestors .

People brought also folklore into line with this centuries-old economic activity, for example, such a Megrelian song as "Odoia", which, according to the correct remark, significantly assisted accelerating of labour rhythm, inspired a worker, added strength to him and thereby facilitated his difficult work.

Here you can also mention the festival, which was celebrated in autumn by all Samegrelo families during harvesting and storage, during which the song "Ocheshi khvei do khvavrieli" (Abundance of field), an anthem dedicated to maize cob, was mainly performed.

Arch. Lamberti tells us, that in Samegrelo "during hoeing a cornfield, when a owner cannot cope alone, he should ask neigbours for help, especially those, whose cornfields are not yet to be hoed. In due time, he will help them in return. They had three ways to ease this hard work: nadi (group of helpers), songs and plenty of food, which was provided by the land owner. Nadi was often consisted of fifty or sixty lined up hoers. In order to encourage them, the owner stands at the head of them and hoes like others. The song, which accompanies this process, was invented not only to encourage this joyful meeting but also to speed up their work. They tune the hoeing to the rhythm of the song like a dance to the instrument: the more song accelerates, the more the hoeing accelerates. For this, two singers stand at the head and start singing... Food is in abundance as it is the only cost of their work... At this time they free themselves from labour worries, sit up until midnight and spend time eating, drinking and singing. What a beautiful sight when they finish hoeing at sunset and go to the owner's house, as if they were the soldiers under the same flag".

It should be noted here that Lamberti, as can be seen from the above quote, cannot hide his admiration for this custom. The author emphasizes nuances of increasing labour productivity, relationships existing among neighbours, disinterestedness of mutual assistance, importance of the long-standing custom of labour organization, the rule of rest together with work, which ties the bonds between neighbours, unites their work into a single whole. Unfortunately, but it is a fact, that "this beautiful sight" painted by Lambert, has almost vanished, although, surprisingly, it was alive about thirty years ago in Samegrelo's ethnographic life.

In Samegrelo, villages and community neighbourhoods made up units (and this is partly true today) inhabited by the same surname. As a rule, offshoots of one large or individual family settled side by side and retained much in common in economic activity, though their unity and solidarity was especially clearly preserved in the sphere of ideology (common shrines) and mutual assistance. This patronymic unity had been vividly preserved in a Georgian tribal village of the class society from the time of the tribal society. It should also be noted, that patronymic unity of a village or neigbourhood gradually disintegrated since the last century and at the beginning of our century, though the tradition of mutual assistance acted even inside polygenic settlements, for example, in such a neighbouring unit, characteristic of Samegrelo and existing to a certain extent to this day, as "Samokhio". About 60/100/120 families were part of this polygenic settlement. Their representatives were obliged to provide mutual, voluntary, disinterested help, built on the moral principle, during all types of work (agriculture, reaping, thrashing, mowing, house building), as well as

during the wedding and mourning. It was a very flexible and economically beneficial form of labour cooperation in this group strengthened by the neighbourhood of people living in the same territory.

Observation on the traditional custom of mutual assistance throughout the entire epoch should remain an urgent task, especially today, when society and the forms of relations within it acquire a radically different character. This traditional feeling of a rural way of life, existing in the form of an unwritten law and secretly, is gradually being forgotten as the only means of living together. In our opinion, it has not been transformed into a progressive form that could contribute to the future prospects of rural development, but has acquired a character that is completely incompatible to modern challenges. The reasons of these changes require special and multilateral study. Society and the forms of relations within it have recently acquired a completely different character, and even the term is incompatible. Among the many reasons for this regression, the main thing can be sought in the changing of the economy forms. As it is known, after the collapse of the Soviet system, the agriculture of Samegrelo was not able to maintain existing forms or replace old forms with new, more effective ones. After the destruction of a number of agricultural industries (growing tea, maize, tung and other crops), the population of Samegrelo began to grow hazelnuts, that, in our opinion, was a big mistake and looked more like sabotage than an attempt to increase the economic well-being of the population. The matter is that, in parallel with the introduction of hazelnuts, maize yield decreased significantly, and in some villages it was almost eradicated. The reason for this is a significant reduction in arable land, because growing hazelnuts requires much more land than other crops, such as corn or tea, which yield much more profit per hectare. Added to this is the fact that hazelnuts also have been almost completely destroyed by various diseases and the brown marmorated stink bug over the last 5 years. On the other hand, it should be noted, that hazelnuts bring in half or even three times less income and profit for people employed in the agricultural sector, than maize, because, in addition to the abovementioned circumstances, both the market price and productivity of hazelnuts are very unstable due to the climatic peculiarities. At the same time, and most importantly, the peasants themselves, even in the case of some cooperation, are not able to export hazelnuts to foreign markets and, therefore, sell them at higher prices. On the other hand, the eradication of maize production not only deprived the peasant of self-feeding resources, but also caused a decrease in cattle breading, since it is maize and its straw that are the main means of feeding cattle in winter. Another circumstance is that the market price for maize is more, than for hazelnuts. All this left an imprint on the organization of labour, mutual assistance and forms of solidarity as well. First of all, it caused the worsening of demographic situation and a massive outflow of the population from the village to seasonal works, and the production of hazelnuts and the implementation of related work were transferred to cash settlements even between the close neighbours. Even from a purely psychological point of view, harvesting of hazelnuts in comparison with hoeing of maize is considered "very joyless" occupation for the population. Moreover, mutual assistance in other work activities among close neighbours was also transferred to cash settlements that should be considered as the devaluation of certain moral factors. Many other reasons for breaking down of the forms of mutual assistance could be listed, for example, the fact that the patronymic settlement of the village no longer exists in the old form, which should be mainly attributed to the migration and the dispersal of its members in search of seasonal works. In this regard, we must indicate the role of the state, because industry in the village is almost completely destroyed, and the will to restore it is not visible. The media should also play a big role in this, but they pay very little attention to popularizing useful national traditions and demonstrating their significance, and instead, mainly cover the neoliberal lifestyle, which is inappropriate for our traditional way of life, and, as practice shows, gives nothing for the future development of our nation. School education is of great importance as well, but it is not at the proper level due to numerous reasons. An important role in this matter was played by the tradition of Georgian family life, which comprised at least two generations, where grandparents actively participated in bringing up children, and the division of labour was also adequately protected. Today, due to economic or intra-family conflicts (tendency to live separately, relationship problems, on the one hand, between daughter-in-law and mother-in-

law and, on the other hand, between son-in-law and his wife's parents, conflicts between children and parents), this family environment also tends to to be destroyed. And where the demographic situation is more or less preserved, the weakening of the traditions of mutual assistance - both for all the above and for other reasons - should be associated with the degradation of moral factors and values. The social and cultural orientation of the young generation is acquiring other new, not very desirable directions. At present, the existing neighbouring relations mainly depend on cash settlements, and the traditional custom, based upon disinterestedness and elevated to the rank of a social institute, which greatly facilitated being, and was economically beneficial and connected with people's social and economical interests, has survived only as a "faded relic" of history.

Rules for mourning and burial of the deceased are various in Samegrelo, one of the historical-etnographic region in Georgia. Part of these rules have disappeared from the practice of execution, some of them have undergone a change and were transformed. Some rituals connected to the burial have reached up to the modern time. Rules and rituals performed at funeral day and post funeral period of mourning were described and analyzed in this topic. Former rules and rituals are compared with the modern activates. Georgian and foreign authors have studied the issue. Italian missionary ArcangeloLamberti was one of the first to discuss the rules of a repast after a funeral and several rituals of mourning. Modern materials are found in ethnographic field.

Customs connected to the marriage have always been a major part of life among the members of society. Wedding tradition had both different and similar forms of custom in all historical-ethnographic parts of Georgia. The aim of the research was to reveal the rules of historical and modern behavior of marriage, performance of the wedding rituals, rules of selection of the wedding couple. Megrelian have some prohibitive and inhibitive factors of marriage which is connected to the kinship. The rules of kinship that is related to the wedding tradition were revealed. All these restrictive and permissible circumstances connected to the marriage and their addictive reasons are derived from the religious and customs of Megrelian.

Prayers are issue of research. In mengrelian language, all types of prayers are called - **"khvama"**, donations - **"okhvameri",** while all types of places of worship and churches in general, are called "okhvame". In Samegrelo, cemeteries are also called "okhvame". In Mengrelian language khvama//okhvame also means longevity, a toast (**khvama, dokhvame**).

Word **"okhvame"** has almost identical matches in Indo-European, Greek and other languages, apparently it entered them from Georgian and old oriental world.

In Georgian folk pagan prayer-pleading, the word denoting the divine beings is "**ghvtis**", which is changed with the form "**khtis"** - which has identical values. Parralel to the "Gh-vtaeba" there is identical form - "**Kh-vtaeba**", which accordingly points to the exsistance of forms **"gh-merti**", i.e. **"Kh-merti**", whose connection with **"khvama**" is totally putative. In Georgian languages, connection of names of Supreme Deity **- Ghmert-Ghoront**, **Gherbet, Ghormoti** to the **"death",** i.e. Mengrelian "**Ghura"**, i.e. **"Ghvra", "death**", is allowable. Originally word denoting the death had to stay as a naming of **"God".** Khvama is the same, action informing departion of soul from the body, maybe in form of cremation. Ghura is an act, which happens while natural death of a human, while Khvama is the next action, i.e. action against body. In particular - sakhumil, which means an oven **("brdzmedi").** The same is Mengrelian **khalua -** (**lghvoba - melting**), **mo-khali-li (mokhaluli - roasted).**

In mengrelian, usage of the word okhvame with the meaning of the cemetery, points out right to that place, where prayer i.e. khvama had to take place, it was some ritual act during or after the burial. In the early stages of development, ritual took place privately in the family, near the hearth, where, in the early stages the dead were buried. After certain level of development, "okhvame" had to have a priest, i.e. servant of the cult **(okhvameri**). Similar to this is Mengrelian **"Makhvameri"** and old Georgian **"Mekhueshne".**

The second component of "khvama-okhvameri-okhvamuri" - **ma,** is identical to word **mar,** which means the burial container for the dead. It is pointed out in old east early agricultural cultures, while after VI BC it is archeologically fixed in Western Georgia as a **Qvevri burial** place.

"Mar" is connected to the burial place. "Samar" is a place, where "mars" are buried. First of all, mar is a place where dead has to be buried, i.e. cemetery, for which on a certain stage of development Qvevri, i.e. clay pottery was used. It is associated with feminine origin, while Qvevri itself has the forms of the woman. First of all burial serves the fertility cult in the mars, where in early agricultural cultures children are buried, which might be sacrificed to a certain Deity. They represented revival of life, idea of restoration-renewal, in a way of burial in a Qvevri or other pottery. It is noteable that in Georgia of V century, religious buildings for Christians were called churches and "samartvile"s. There are substantial differences between churches and samartviles. Church is general chapel, while samartvile was a small building for martyrs.

Burial of dead in the qvevri, is tightly connected to Georgian ethnographical event - prayers in a cellar, which is remnant of a belief, according to which dead were buried in qvevris, casket, or other type of container and it conveys the idea of renewal-refreshment.

Second component preserved in okhvame **- mari**, gains the meaining of the week, which was preserved in Mengrelian in the form of **mara.** Mara is seven of the week, each day of which in Georgian peageant pantheon (Mengrelian) luminaries correspond. It is the same star, i.e. abundance (shdr **murinckhi** - round number - **mravali** (many)). The same is okhvameris meaning in Georgian **- "zedashe"** i.e. prayer for the upper world. **"mares"** i.e. qvevris - where dead are placed, are prohibited in okhvame, while after entry of Christianity holy wine is poured, with help of which prayer for the ancestors' world and communion with upper world. Later it gains meaning of agrarian cult.

In the article, attention is focused on Etruscan **mari's - newborn**, which corresponds to Roman Mars. First month of old Roman new year, when main holiday of Mars was celabrated, was dedicated to his God. In the **marishusrnana** of this ritual we might possibly see the same cellar (wine house where qvevris fir the prayer were of nature's new yearly growth-renewal.

Dealing with the outside world, the Supreme Being had a special place for a man. Relationship between God and Man was made by the way of rituals. It seems obviously in folk holidays and sacrifices of God, where the main place has contributed Sacramental Wine (Zedashe) and earthenware vessels (SacrementalKvevri), where Sacramental Wine is infused. A wide range of symbols, along with various items, include sacramental wine and food. They are called “Satsirveli”. In Georgia, every historical-ethnografical region sacremental wine and food are known with different names, as “Salocveli” in Racha, “Okhvameri” in Samegrelo, “Zedashe” in Kakheti, Kartli and Svaneti. Apart from wine, under the term “Zedashe” (Sacramental Wine) people betoken about honey, boiled butter, vodka, beer, cotton yarn. Topic of the present paper deal with donations of God (Zedashe and Sacramental Kvevri for praier) which are used for folk holidays, their roles in historical and modern life. The scales of ancestral and family prayers in Samegrelo (Tsalenjikha and Martvili region), which are called “Khvama”as well. There are two major types of “khvama” (practices connected with faith and belief) in Samegrelo. Megrelians had “Okhvameri” (annually celebrated ritual) and “Dunafiri” (ritual conducted just once). “Zedashe” was used for these practice and people had some Sacramental kvevri for Sacramental wine. Every family had Sacramental Kvevri which had their specific names. The topic is urgent because traditional holidays are verge on disappearing as Sacramental Kvevri, accordingly Sacramental Wine. The materials collected in an ethnographic field show state of affairs. The study carried out in two regions (Tsalenjikha and Martvili) in mountainous Samegrelo. It is used both empiric and theoretic and also interdisciplinary and specific field methods. Main result of our research is ethnologic study of the issue and, respectively, the result and conclusions are novelty for the field.

Belief about agrarian culture had existed all over the word since ancient times. People pray to deity for abundant crops. They asked god or goddesses for suitable weather for good harvest and welfare. Agricultural

deities existed in Georgia as well. In a Christian era Georgian people prayed to the Christian Saints instead of the deity. One of the historical-ethnographic region named Samegrelo people performed rituals around the earthenware vessel named Kvevri, in cellar or open air as well. The topic is about agrarian culture and worship in Samegrelo. The rituals in which agrarian cult held the main place is discussed.

Winegrowing had an important place in almost all historical-ethnographic regions in Georgia. About sixty endemic vine varieties were common in Samegrelo, such as Egurdzguri, Koloshi, Chvitiluri, Paneshi, Dghunghushi, Makhvateli, machqvadina, Chodi, Chuberi, Chergvali, Chekhardani, Chechipeshi etc. Viticulture and customs related to vine have always been a great importance for Georgians. Local peculiarities formed the one common Georgian culture of vine and its belief. Megrelians also had rituals connected to the winegrowing and agriculture. Rituals and their importance for society are revealed. Modern ethnographic materials about viticulture collected in the field are analyzed and compared with the former rules and rituals. Thus, during the research the issue of viticulture former and modern ethnographic life in Samegrelo are studied. Endemic varieties of vine which existed nowadays have been revealed as well as vine varieties that were recorded in the past and have already been vanished.

One of the popular saints in Georgia was St. George. He was addressed with special prayer at war time and hardship. People made some special rituals for St. George for helping. Because of the special love of St. George, researchers believe that he replaced a pre-historian deity. Zoroastrian angelic divinity – Mithra occupies the first place among the pre-Christian deities. The Archeological and historical sources, as well as ethnographical materials confirm the existence of Mithra. In Samegrelo there are shrines which are called by the name of Mithra, for example “Jege-misaroni”. Today, here St. George replaced Mithra and the object of worship is St. instead of Mithra. Some rituals are hold in Samegrelo which is the remaining of the old belief of Mithraism.

This article discusses an ancient ritual performed in western Georgia, which is called “Mirsoba” or „Misroba” in Samegrelo, “Meisarib” in Svaneti and “Moisaroba” in Guria.

Mengrelians celebrate Mirsoba prior to the lent. Pigs are being fattened specially for this day to be sacrificed, which is called “Omirse”. Besides family shrines Mirsoba ritual is preserved more completely in mountain villages of Samegrelo - in the form of ancestral shrines, titled as “Jege Misaroni”. There are also churches, known as Misarionis. It should also be noted that in the Samegrelo region; if anyone had any trouble or had damage caused by fire, it is explained by Mirsa’s anger.

Research has shown that by using the current calendar it is almost impossible to define the nature and timing of ritual Mirsoba. In our opinion, this ritual has a connection to the old calendar cycle, particularly to the old Roman calendar, in which the year was divided into ten months (only afterwards, in the VII century BC January and February were added), and began with March.

Hence, before the times of Julius - New Year began on 1st of March (month of Mars) and was called Kalenze, we believe that Mirsoba ritual can be compared to the Roman New Year ritual, etymologically as well as by semantic meaning; Which can be united not only by the naming Mars//Mirsoba, Kalenze//Kalanda, but also by common public meaning in the life of western Georgia.

In particular: in Svaneti it is greeted with great celebration and ritual lasts for two weeks;

The pig designated for the ritual can’t be boiled, but must be fried instead to be of a bloody color – which is equated to the color of Mars; On the Kalanda ritual which informs us of New Year’s arrival in West Georgia, pig must be sacrificed. In the old days, according to the zodiac signs calculation, New Year had to start on 20th - 21th of March, during equinox, that is, when the Sun leaves the zodiac sign of fish and enters zodiac sign of the ram. Aries (March 21 to April 20) is an astrological sign governed by the planet Mars. Its astrological symbol is the sheep.

After the advent of Christianity Mirsoba ritual is associated with the warrior God Jege Misarion, or Saint George arrower.

A similar feature has Marikh, or same as Mars-Area, which according to this astrological treatise is the “stronghold of kings and warriors ", whose symbol is the sword and shield.

Ram's sister Marikh, according to the XII century astrological works translated from Arabic to Georgian, “is a blacksmith and butcher and blacksmith of metal and Hajami (releasing blood) from authorities”

King Aeetes himself, according to the Argonautica of Apollonius of Rhodes, “is comparable to Ares in energy, glory, loud voice ". According to the same work “God Hephaestus hammered copper-footed mighty bulls for king Aeetes … hammered metal (steel) plow, firm, whole, and gifted these". We believe that this motive indicates protection by Marikh of Kolkheti kingdom or same as the astrological sign of Ram in the house of Mars.

King Aeetes makes Jason plow the Ares floodplain; we think that the plowing scene involving fire-breathing oxen conveys the idea of life renewal – recovery.

Ares (Arei) was the Greek god of war, who was identified with the Roman (Italian) God Ares of the same function. However, it is less common in Greece, which points primarily that it has Oriental basis, and is non-Greek. We believe that Western Georgian “Mirsoba” ritual is a reflection of worship of Mars and Ares.

“Rakutia”, the ritual recorded in Samegrelo was performed in the fallowing way: the head of the family used to enter *marani* (building for keeping vine in pitchers) with the stick in his hand, go towinepressand stand there. He used to strike the stick on the winepress with the fallowing words: “Rakutia, Rakutia, let my winepress be full of grapes and my neighbor’s (or a certain family, he wanted,was mentioning) empty”. On this day special ritual bread was baked and a cock slaughtered.

From the description of this ritual it is obvious that a human being was trying to increase fertility of vine and thus make winepress always full. The ritual of Rakutia is linked and connected with Greek tradition of viticulture. We believe that the name itself, Rakutia, is identical to Greek Arktos, who is connected with the constellation of Great Bear. Arktoshimself is connected with the myth of Kallisto. In old Greek agricultural rituals rising of Arcturus was announcing starting of springtime and a time of cutting vine, set of Arcturus was showing that it is a time of vine harvest.

Megrelian *Rakutia* and Greek *Arktos* are identical and are connected withthe use of astrological knowledge in viticulture. Rakutia/Arktos was a symbol of productivity and plentitude. It might be because of the Great Bear constellation;because its form of *chapi* (liquid vessel containing 18 litres). Its appearance on the sky with full brightness meant that it is just a time to start labor connected with viticulture and when it had rather dim light, to finish it. When the constellation is in its form of *chapi*, it symbolizes plentitude.

The interpretation of the ritual of broking family "okhva. meri" (that means: veneration. pray) - pitcher buried in "marani (wine cellar. "Marani" may be in the open air as well) - is discussed in the aricle. When a certain family in Samegrelo for some reasons had to stop prayer and veneration at a pitcher buried in a family wine cellar, or thehad of the family on who's name a special pitcher "samgario" (dedicated to archangels: Michael and Gabriel) - buried in wine-cellar died, if family for a long time or for some time could not pray and observe the ritual, than a neighbor used to steal" the pitchers "secretly" by owner's re quest. The neighbor should take the stolen pitchers to the any kind of water (river, spring...) side and broke them or let the wa. ter take them or through them in a deep precipice. Lately, if the family decided to restore the ritual of prayer, that means burying in wine cellar new pitchers for this purpose, they should per form a special ritual named "aloba". The ritual should have been performed by chosen beforehand offerings, that was performed for restoring the prayer and for seeking forgiveness from God.

On the basis of ethnological and archeological materials about the above mentioned ritual it is stated that clay among Georgians as well as in the religious mentality of many peoples of the world was believed as sacred, as deity. It substituted dead and ancestor. The author thinks that the above mentioned ritual may be a kind of taboo action and if a human being express his or her disregard towards a certain deity, the sacred principal of the mentioned ritual may prevent dangerous forces and defense transgressor. It is also mentioned

that the main nuances of the prayer at pitcher are connected with cult of dead. The main object of veneration should have been dead, the ancestor equal to deity. Its dwelling place and the bearer of its soul was pitcher and if an owner of pitcher did not pray and venerate it, deity ancestor should become demonic, evil-working creature. That's why a human being had fear and had an intention to get rid of it. After performing "aloba" ritual he or she repented sins and used to buy new pitcher and renew prayer.

The question of relationship of this ritual and generally rituals performed in "marani (wine-cellar) and pitchers used for burials, that were widely spread in Georgia and all over the Caucasus, is also put forward in the article.

The article discusses the interrelation problems of burring in the vessel (urn, pitcher burials etc.) of the cremated corpse ashes or bones and the religious beliefs and rituals connected with zedashe-okhvameri and the ideological background of its origin.

In the early agricultural cultures of the ancient East keeping of a child's cremated bones and burying themsymbolically is connected with a nature ofwoman and is connected with resurrection and revival of the life. The mere example of it is one of the Etruscan imagesof a newly born child (marishushusrnana) coming from a vassal and this idea personifies the creation of new life, revival. Maris, the newly bom is connected with the cults of Roman Mars (Greek Ares which in itself springs from agriculture and its cults. At the same time the festival of Maris-Mars was feasted in behalf of the beginning of the old Roman New Year (March)or "the revived new life". Festival of Maris-Marsmight be identical to Georgian mar, the pitcher where cremated bones of a dead body were put. It also is tightly connected with marani not only because it is a building for keeping vine, but as the main place for praying and veneration that can determine the wellbeing and fertility The Megrelian term lagvani (pitcher) etymologically should denote simrgvali (meaning round). Name of the special ritual bread baked for the goddess of fertility and fertilization in Svaneti called gem/guem seems to be derived from gim (Sv. earth). From the very beginning children were buried in mars (lately adults as well) thatis connected with the idea of revival. Lately it became a place for keeping holy vine. The rituals that are performed at the pitcher with the holy vine have the same functions and determine the wellbeing and fertility of the family.

The form of custom law “Ginochama” (cursing on an icon) has existed in Samegrelo, one of the historical-etnographic region in Georgia. It was quite common among Megrelians.Cursing on an icon – “ginochama” is a folk law created over the centuries and established in practice. It contains the ancient elements of custom which is well preserved in people’s memory. The practice of “ginochama” has existed historically. It has been spread into the modern life, as well. The form, practice and rules of rituals were passed orally from generation to generation. “Ginochama” (cursing on an icon) was one of the prohibitive circumstances of marriage or othe social relationships. Although it was established in practice, it has never been supported by state and church. “Ginochama” (cursing on the icon) had never been the law enacted by the state. However, it was quite popular among the Megrelians for the administration of justice. The reasons and purposes of “ginochama” are different. In its essence “ginochama” serves to reveal and punish the offender. Nowadays it hardly practiced by Megrelian.

For centuries Georgian people have created folk songs and at the same time have developed folk instruments. Instruments had an important place in Georgian people’s life. They used instruments not only on holydays but also at the time of mourning. It was also used during rituals. The national instruments created by Georgian people had improved over time. The aim of the research was to find the instruments which existed in Samegrelo, to describe them and to determine their function in ethnographic life of Megrelians. Folk instruments (chonguri, daira, larchemi) and materials are found in the literature. The task was to establish the function of folk instruments in modern time. Larchemi and daira are no longer used in modern life. Larchemi used to take with several function. Nowadays no one knows how to make larchemi. The knowledge of making larchemi is forgotten. As for chonguri, it is quite popular and some people know how to carve out chonguri from wood.

ილუსტრაციები

საღვინე ქვევრები, ხუნწის თემი

სალოცავი ქვევრები, ხუნწის თემი

ოდა სახლი, ხუნწის თემი

ოდა სახლი, ხუნწის თემი

ოჩამურე, ხუნწის თემი

ხელსაფქვავი, ხუნწის თემი

ხუნწის თემი

სალოცავ ქვევრებთან, ხუნწის თემი

ხუნწის თემი

ოდა სახლი, კეთილარის თემი

საცხოვრებელი ნაგებობა, კეთილარის თემი

ოდა სახლი, ხორშის თემი

სასიმინდე, ხორშის თემი

ნისორი, ჭოღის თემი

საწნახელი, ჭოღის თემი

ოდა სახლი, ჭოღის თემი

ცხენოსანთა შეჯიბრი, კეთილარის თემი

მთხრობელებთან, თორსა-დღვაბას თემი

მთხრობელებთან, კოკის თემი

წყლის წისქვილი, კოკის თემი

ხარხის ღობე

ჯარგვალი. სახლის ხის წყობა

დონ კრისტოფორო დე კასტელი, მეგრული კარ-მიდამო (XVII საუკუნე)



მეგრული საცხოვრებლის განვითარების ფაზები. მარტივიდან რთულისაკენ, ი. ადამიას მიხედვით.



ფაცხა. ი. ადამიას მიხედვით

ჟ. მურიე, მეგრული კარ-მიდამო, XIX ს.

ჯარგვალი სახლი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ერგეტა, 1997 წ.)

ისლით გადახურული ოროთახიანი ჯარგვალი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. უჩაშონა, XX ს-ის 50-იანი წლები

ოდა სახლის ორნამენტი

დიუბუა დე მონპერე,
გლეხის კარმიდამო დასავლეთ საქართველოში.

სამეგრელოს კარმიდამო ნაგებობები



მეგრული სოფელი, ტეილორის ნახატი ფოტოს მიხედვით

ნოქალაქევის ნანგრევები,
პ. სეილერის ნახატი დიუბუა დე მონპერეს მიხედვით

შხეფის ციხე, დიუბუა დე მონპერე

წისქვილი სამეგრელოში,
ტეილორის ნახატი ფოტოს მიხედვით

ავტორები

დავით ჭითანავა — ისტორიის დოქტორი, ისტორიკოს-ეთნოგრაფი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. იკვლევს საქართველოს ძველი ისტორიის, გვარების ისტორიის, საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის გენეტიკისა და ეთნოლოგიის საკითხებს. როგორც ქართველ, ისე უცხოელ კოლეგებთან ერთად გამოქვეყნებული აქვს სტატიები საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. იგი არის 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 4 წიგნის ავტორი.

ბეჟან ხორავა — ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს. მისი ნაშრომები გამოცემულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, თურქულ ენებზე. გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2011). დაჯილდოებულია უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მადლობის სიგელით; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და წმინდა ამბროსი მარტირის (ისტორიის, ჰერალდიკის, გენეალოგიის, სამართლის) საერთაშორისო აკადემიის (იტალია) წევრად.

ქეთევან ციმინტია — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ანთროპოლოგიის მიმართულების დოქტორანტი. აქტიურად მონაწილეობს ქართულ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. იკვლევს სოციალურ და კულტურულ საკითხებს. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი.

იოსებ შენგელია — საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის მაგისტრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის მიმართულების დოქტორანტი. აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო ექსპედიციებში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეებში. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა ისტორია და ეთნოგრაფია, ტრადიციული ქართული საბრძოლო ხელოვნება და აგრარული კულტურები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი.

დამკაბადონებელი: **ნანა ყანდაშვილი**

ყდის დიზაინი: **ირაკლი უშვერიძე**

გამომცემლობა „**უნივერსალი**"
Publishing House **"UNIVERSAL"**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია, 4, ☎: 5(99) 33 52 02 , 5(99) 17 22 30
4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universali505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com